



საქართველოს  
ეროვნული ბანკის  
და ფინანსური სექტორის

სამართლებრივი  
რეგულირება



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

---

საქართველოს  
ეროვნული ბანკის  
და ფინანსური სექტორის

სამართლებრივი  
რეგულირება

---

# შინაარსი

1. კანონები	4
2. მონეტარული და სავალუთო პოლიტიკა	110
3. გედამხედველობა და რეგულირება	140
4. სავალუთო სისტემები	448
5. საკასო-სამონეტო საქმიანობა	480
6. სხვა	534



საქართველოს ეროვნული ბანკის უმთავრესი მიზანია უზრუნველყოს ქვეყანაში ფასების სტაბილურობა, რაც აუცილებელი პირობაა გრძელვადიანი, მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის. ჩვენ საფინანსო სექტორის ეფექტური რეგულირებით ხელს ვუწყობთ სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას. ჩვენი ამოცანაა ხელი შევუწყოთ საფინანსო სექტორის გამჭვირვალობას, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. ეროვნული ბანკის ფუნქციაა ასევე ოფიციალური საერთაშორისო რეგულირების ფლობა, შენახვა და მართვა. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა და რეგულირების ჩარჩო პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ შეფასებულია როგორც წარამტებული და ეფექტური პოლიტიკა, რომელიც სამაგალითოა განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი. ეროვნული ბანკი როგორც ბანკთაშორისი საგადახდო ოპერაციების განმახორციელებელი პირი და ქვეყნის ფისკალური აგენტი, უზრუნველყოფს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას. ეროვნული ბანკი განახორციელებს ქვეყანაში საქართველოს ფულის ნიშნების ემისიას, ჩვენ ვაკონტროლებთ ნაღდი ფულის მარაგს, ვამარაგებთ საქართველოს ეკონომიკას მაღალი ხარისხის, უსაფრთხოების მაღალი სტანდარტით დაცული ლარის ბანკნოტებითა და მონეტებით.

ჩვენი მიზანია, წინამდებარე წიგნში წარმოგიდგინოთ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული დოკუმენტები რომლითაც რეგულირდება როგორც ეროვნული ბანკის, ისე ფინანსური სექტორის საქმიანობა. ჩვენ სისტემატიზაცია გავუკეთეთ ამ დროისათვის მოქმედ დოკუმენტებს და შევეცადეთ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და მარტივად გამოყენებადი ფორმით მოგვწოდებინა თქვენთვის. წიგნის თითოეული თავი ასახავს ეროვნული ბანკის და ფინანსური სექტორის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს:

- კანონები
- მონეტარული და სავალუტო პოლიტიკა
- ზედამხედველობა და რეგულირება
- საგადახდო სისტემები
- საკასო-საემისიო საქმიანობა
- სხვა

აქ შესულია ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, რომელიც მოქმედებს **2015 წლის 1 ივლისის** მდგომარეობით. წიგნში აგრეთვე მოცემულია ის საკანონმდებლო აქტები რომლებიც ეროვნული ბანკის საქმიანობას ან მის მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უკავშირდება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წიგნი საინტერესო და სასარგებლო იქნება თქვენთვის. მისი მომხმარებლები შეიძლება გახდნენ საფინანსო სექტორის წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკონომიკის ექსპერტები, მკვლევარები, სტუდენტები და სხვა.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი საზრუნავი ჩვენი საზოგადოების საფინანსო და ეკონომიკურ საკითხებში ცოდნის ამაღლებაა. ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება ამ მიმართულებით და იგი დაეხმარება მომხმარებელს უკეთ გაიგოს ეროვნული ბანკის არსი, მისი მიზნები და ამოცანები, ჩაწვდეს მის მიერ გატარებულ პოლიტიკას და ფინანსური სექტორის ფუნქციონირების ძირითად ასპექტებს. ეს დაეხმარება ჩვენს მოქალაქეებს მიიღონ ინფორმაციაზე, ცოდნაზე დამყარებული და შესაბამისად, მათთვის ხელსაყრელი და სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებები.

გიორგი ქადაგიძე  
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

---

# 1 კანონები

1.1	საქართველოს კონსტიტუციის მუხლები	5
1.2	საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ	6
1.3	საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ	24
1.4	საქართველოს კანონი არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების–საკრედიტო კავშირების შესახებ	39
1.5	საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ	47
1.6	საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ	50
1.7	საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ	75
1.8	საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ	79
1.9	საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ	97

## 1.1 საქართველოს კონსტიტუციის მუხლები

### მუხლი 95.

1. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას.
2. ამოღებულია
3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.
4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.
5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

### მუხლი 96.

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.
2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
3. ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

## 1.2 საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ

### თავი I

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. საქართველოს ეროვნული ბანკი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები.
2. ამოღებულია
3. ეროვნულ ბანკს აფუძნებს საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.
4. ეროვნული ბანკის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საფინანსო სექტორის წარმომადგენელი – კომერციული ბანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, საბროკერო კომპანია, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, აქტივების მმართველი კომპანია, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, საფონდო ბირჟა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, სადაზღვევო საბროკერო კომპანია, ანგარიშვალდებული სანარმო, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი, ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი;
- ბ) საფინანსო სექტორი – საფინანსო სექტორის წარმომადგენლების ერთობლიობა;
- გ) კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;
- დ) ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი – ეროვნული ბანკის მიერ მისაღწევი ინფლაციის მაჩვენებელი;

- ე) ოფიციალური გაცვლითი კურსი – ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა ვალუტების მიმართ დადგენილი გაცვლითი კურსი, რომელიც გამოიყენება საბუღალტრო და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის;
- ვ) სახელმწიფო სესხი – „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფო ვალი და კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები;
- ზ) დეპოზიტი – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებმაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება. ელექტრონული ფულის სანაცვლოდ მიღებული სახსრები არ არის დეპოზიტი;
- თ) ფულის ნიშნები – ეროვნული ბანკისა და სხვა ქვეყნის ემიტენტი დაწესებულებების მიერ გადახდის კანონიერი საშუალებების სახით გამოშვებული ბანკნოტები და მონეტები;
- ი) ყალბი ფულის ნიშნები – თაღლითური, არაკანონიერი გზით დამზადებული ბანკნოტები და მონეტები, აგრეთვე ფალსიფიცირებული ფულის ნიშნები, რომლებმაც შეინიშნება ნომინალური გადაკეთების კვალი;
- კ) ემისია – ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ან ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება;
- ლ) რეპროდუცირება – ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ბანკნოტებისა და მონეტების მთლიანად ან მათი ნაწილის, მათ შორის, მათი ინდივიდუალური დიზაინის ელემენტების, ფერის, ზომების, სიმბოლოების ან მათი სახეცვლილებით მატერიალური ან არამატერიალური ფორმით რაიმე გამოსახულების, დამზადება, რომელიც შესაძლოა წააგავდეს ნამდვილ ფულის ნიშნებს ან ქმნიდეს ნამდვილი ფულის ნიშნების შთაბეჭდილებას;
- მ) ნუმისმატიკური ფასეულობა – სარეალიზაციოდ ან საექსპონატოდ განკუთვნილი, ეროვნული ბანკის მიერ რეპროდუცირებული ლარის ბანკნოტები და მონეტები, აგრეთვე ის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც ამოღებულია მიმოქცევიდან ან რომელთა ემისია არ განხორციელებულა შეუსაბამო მახასიათებლების გამო, ასევე ისტორიული ბანკნოტები და მონეტები, მათი ასლები;
- ნ) კრედიტი – დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფადობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება;
- ო) კლირინგი (საკლირინგო ხელშეკრულება) – უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ემყარება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას და გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში;
- პ) სპოტური ოპერაცია – გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღის განმავლობაში;
- ჟ) ფორვარდული ოპერაცია – გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში;

- რ) სვოპი – გარიგება უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ, მისი შემდგომი გაყიდვის ან გამოსყიდვის წინასწარ დათქმული პირობებით;
- ს) ფისკალური აგენტი – საგადახდო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ორგანიზებით სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერი პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;
- ტ) ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები – ყველა ხარჯი, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ეკონომიკის უზრუნველყოფასთან;
- უ) საქართველოს საფინანსო სექტორის სტატისტიკა – ეროვნული ეკონომიკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე ფინანსური კორპორაციების ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მარაგებისა და ნაკადების ამსახველი სტატისტიკა;
- ფ) პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;
- ქ) არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულება – იურიდიული პირი, რომელიც არ არის კომერციული ბანკი და უფლებამოსილია მიიღოს დებოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის ნაწილი;
- ქ<sup>1</sup>) კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი – იურიდიული პირი, რომელიც ასეთად მიჩნეულია ეროვნული ბანკის მიერ და რომელიც ამ კანონის შესაბამისად სახსრებს მოიზიდავს ფიზიკური პირებისაგან და მოზიდული სახსრებით გასცემს სესხებს;
- ღ) დროებითი ბანკი – განსაკუთრებულ შემთხვევაში საბანკო სისტემის სტაბილურობისა და დეპოზიტების უსაფრთხოების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ საგანგებოდ და დროებით შექმნილი ბანკი;
- ყ) კონტროლი – პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უშუალოდ თუ სხვებთან ერთად, ხმის უფლების მქონე აქციების (წილის, პაის) გამოყენებით თუ სხვა გზით ძლიერი ზეგავლენის მოხდენა;
- შ) მაკონტროლებელი პირი – კონტროლის განმახორციელებელი პირი;
- ჩ) ოჯახის წევრი – პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი;
- ც) ახლო ნათესავი – ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ირიცხება კანონით შემკვიდრეთა წრიდან I ან II რიგში;
- ძ) საჯარო რეგისტრი – ეროვნული ბანკის უწყებრივი საჯარო რეგისტრი, რომელშიც ხორციელდება ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების აღრიცხვა და სისტემატიზაცია;
- წ) საგარეო სექტორის სტატისტიკა – საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო ინვესტიციური

- მდგომარეობის, საგარეო ვალისა და ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების სტატისტიკა;
- ჭ) ინფლაცია – ფასების სტატისტიკის მწარმოებელი ოფიციალური ორგანოს მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო კალათის ფასების ინდექსის ცვლილება;
- ბ) სარეზერვო ფული – ეროვნული ბანკის მიერ ემითირებული ნაღდი ფული (ეროვნული ბანკის სალაროში არსებული სახსრების ნაშთის გარეშე), ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის (მათ შორის, ლიცენზიაგაუქმებული ბანკის) ანგარიშებზე არსებული სახსრები ეროვნულ ვალუტაში;
- ჯ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა – „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ზონა;
- ჰ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი – საბაჟო კონტროლის ზონა, რომლის საქმიანობისთვის სავალდებულოა შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა და სადაც ნებადართულია, სატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე გაიყიდოს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა აკრძალულია.

### მუხლი 3. ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები

1. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.
2. ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.
3. ეროვნული ბანკის ფუნქციებია:
  - ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;
  - ბ) განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
  - გ) უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
  - დ) ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
  - ე) იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი;
  - ვ) ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;
  - ზ) განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;
  - თ) საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა;
  - ი) ამოღებულია
  - კ) შეასრულოს ამ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.



## მუხლი 4. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა

1. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი, გარდა საქართველოს კონსტიტუციითა და ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებებზე. საქართველოს სახელმწიფო პასუხს არ აგებს ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე, გარდა ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადის, სახელმწიფო გადასახდელის, მოსაკრებლისა და სახელმწიფო ბაჟისაგან.

## მუხლი 5. საერთაშორისო თანამშრომლობა

1. ეროვნული ბანკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო თათბირებზე, ყველა საბჭოსა და ორგანიზაციაში.
2. ეროვნული ბანკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სხვა ქვეყნის შესაბამის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ორგანოსთან. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის გაცვლას ეროვნულ ბანკსა და სხვა ქვეყნის შესაბამის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ორგანოს შორის, იმ პირობით, რომ აღნიშნული ორგანო დაიცავს ამ გზით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას.
3. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნის მთავრობას, ცენტრალურ ბანკსა და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრიც არის თვითონ ეროვნული ბანკი ან საქართველო.
4. როგორც საქართველოს წარმომადგენელს, ეროვნულ ბანკს, უფლება აქვს, აიღოს ვალდებულებანი და აწარმოოს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ოპერაციები.

## თავი II ეროვნული ბანკის ორგანიზება და მმართველობა

### მუხლი 6. ეროვნული ბანკის ორგანიზება

1. ეროვნული ბანკი ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა.
2. ეროვნული ბანკი ამ ორგანული კანონის საფუძველზე განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულე-

ბის ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესებს.

### მუხლი 7. ეროვნული ბანკის მმართველობა

1. ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომელიც შედგება 7 წევრისაგან. თუ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა რაოდენობა 4-ზე ნაკლებია, ეროვნული ბანკის საბჭო არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს თავისი ფუნქციები. ამ შემთხვევაში ვაკანსია უნდა შეივსოს ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 2 თვისა.
2. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები არიან საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პროფესიონალები ეკონომიკის, ფინანსების ან სხვა შესაბამის დარგში და გამორჩეულნი პატიოსნებით. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში სხვა შესაბამისი დარგის (გარდა ეკონომიკისა და ფინანსებისა) პროფესიონალთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს.
3. ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარეა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საბჭოს თავმჯდომარისა, შედიან ეროვნული ბანკის ორი ვიცე-პრეზიდენტი და სხვა წევრები.
4. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი 7 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
5. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გადაყენება შეიძლება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.
6. დასაშვებია ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ხელახლა არჩევა. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის მაგივრად აირჩევა ახალი წევრი ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის უფლებამოსილების სრული ვადით.
7. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
8. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი თანამდებობიდან გათავისუფლდება, თუ:
  - ა) იგი აღარ არის ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი;
  - ბ) მან დაკარგა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობის დაკავების უფლება ამ ორგანული კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად;
  - გ) იგი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
  - დ) იგი გარდაიცვალა.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული წესით გათავისუფლებიან თანამდებობიდან ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტები.
10. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებისა, არ არის საჯარო მოსამსახურე.

## მუხლი 8. ეროვნული ბანკის საბჭო

ეროვნული ბანკის საბჭო უმაღლეს ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს ეროვნული ბანკის საქმიანობას.

## მუხლი 9. ეროვნული ბანკის საბჭოს უფლებამოსილებები

ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია:

- ა) განიხილოს და დაამტკიცოს საერთაშორისო რეგულაციების მართვისა და განკარგვის ძირითადი პრინციპები;
- ბ) დაადგინოს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი;
- გ) დაამტკიცოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტი;
- დ) შექმნას სპეციალური დანიშნულების რეგულაციები;
- ე) განიხილოს, დაამტკიცოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ეროვნული ბანკის წლიური საქმიანობის ანგარიში და საფინანსო ანგარიშგებანი;
- ვ) გამოსცეს სამართლებრივი აქტები;
- ზ) განსაზღვროს საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების ძირითადი მიმართულებები;
- თ) დაამტკიცოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და დებულება;
- ი) შეასრულოს ამ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

## მუხლი 10. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოების ოდენობების განსაზღვრა

ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოების ოდენობა არ შეიძლება იყოს ეროვნულ ბანკში არსებულ საშუალო ხელფასზე ნაკლები და მას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

## მუხლი 11. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის გადადგომა

1. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი შეიძლება გადადგეს თანამდებობიდან, თუ ამის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გადადგომამდე არა უგვიანეს 2 თვისა.
2. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი თანამდებობიდან გადამდგარად ითვლება განცხადებაში მითითებული თარიღიდან.

## მუხლი 12. ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომა

1. ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომას წარმართავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.
2. ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომას, როგორც

წესი, იწვევს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. სხდომის მოწვევა შეიძლება აგრეთვე ნებისმიერ დროს ეროვნული ბანკის საბჭოს ორი წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

3. ეროვნული ბანკის საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი, რომელთაგან ერთი უნდა იყოს თვით ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.
4. ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმის უფლება აქვს მხოლოდ სხდომის მონაწილე წევრს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ხმა.
5. ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომის ჩატარების წესებსა და პროცედურებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის საბჭო.
6. ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომა ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც.
7. ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებითაც.
8. ეროვნული ბანკის საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის დახურულად გამოცხადების შესახებ.

## მუხლი 13. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ინტერესთა შეუთავსებლობა

1. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებისა, იმავდროულად არ შეიძლება იყოს: საჯარო მოსამსახურე, იურიდიული პირის ხელმძღვანელი, საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის თანამშრომელი.
2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები არიან საჯარო მოსამსახურეები.
3. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრს და მისი ოჯახის წევრებს არა აქვთ უფლება, იყვნენ საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის პარტნიორი.

## მუხლი 14. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის შემდგომი სამსახური

1. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის ვადის ამოწურვის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობისგან გათავისუფლების შემთხვევაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს 6 თვის განმავლობაში ეკრძალებათ საქართველოს საფინანსო სექტორში მუშაობა.
2. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის ვადის ამოწურვის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობისგან გათავისუფლების შემთხვევაში ეროვნული ბანკის

პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს 6 თვის განმავლობაში უნარჩუნდებათ არსებული თანამდებობრივი სარგობები.

## მუხლი 15. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილებები

1. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:
  - ა) ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის საქმიანობას;
  - ბ) წარმოადგენს ეროვნულ ბანკს მესამე პირებთან;
  - გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული ბანკის მოსამსახურეებს;
  - დ) ანაწილებს ფუნქციებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტებს შორის, აგრეთვე ეროვნული ბანკის მოხელეებს შორის;
  - ე) უფლებამოსილია დაესწროს საქართველოს მთავრობის სხდომას ხმის უფლების გარეშე;
  - ვ) განსაზღვრავს ეროვნული ბანკის საშტატო ნუსხას და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგობების ოდენობას, ასევე ყველა სახის დამატებითი სარგებლის ოდენობას;
  - ვ<sup>1</sup>) განსაზღვრავს ეროვნულ ბანკში საქმისწარმოების ერთიან წესს;
  - ზ) გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;
  - თ) ქმნის სათათბირო და საკონსულტაციო ორგანოებს (კომიტეტი, კომისია);
  - ი) ასრულებს ამ ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.

## მუხლი 16. ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტი

1. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბრძანებით ქმნის ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტს. საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტის წევრები არიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, შესაბამისი ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები.
2. საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტის ფუნქციაა საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.
3. საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტი უფლებამოსილია:
  - ა) განიხილოს და შეიმუშაოს საფინანსო ზედამხედველობის რეგულირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;
  - ბ) განიხილოს საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა შენიშვნები ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.
4. საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტის გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით მიე-

წოდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ხოლო პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნული ბანკი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.

## მუხლი 17. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი

1. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბრძანებით ქმნის ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრები არიან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრები შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები.
2. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ფუნქციაა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.
3. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი უფლებამოსილია:
  - ა) შეიმუშაოს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა;
  - ბ) განსაზღვროს ღია ბაზრის და სხვა ფულად-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესები;
  - გ) დაადგინოს საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ბანკის სასესხო, სადეპოზიტო და სხვა ფულად-საკრედიტო ოპერაციებზე, გარდა ბოლო ინსტანციის სესხისა;
  - დ) განსაზღვროს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმები;
  - ე) შეასრულოს მონეტარულ და სავალუტო პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები.
4. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნებას და არ უნდა იყოს გადამწყვეტი ისეთი მოკლევადიანი მიზნების მიღწევა, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საშუალოვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობაზე.
5. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით მიეწოდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ხოლო პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნული ბანკი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.

## მუხლი 18. ეროვნული ბანკის შიდააუდიტორული სამსახური

1. ეროვნული ბანკის შიდააუდიტორული სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული ბანკის საბჭო სხდომის მონაწილე წევრების ხმათა უმრავლესობით. შიდააუდიტორული სამსახურის უფროსი

ინიშნება 7 წლის ვადით. იგი შეიძლება დაინიშნოს განმეორებითი ვადითაც.

2. შიდააუდიტორული სამსახურის უფროსს შეუძლია გადადგეს თანამდებობიდან, რის შესახებაც ერთი თვით ადრე უნდა აცნობოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.
3. შიდააუდიტორული სამსახურის ფუნქციებია:
  - ა) განახორციელოს ეროვნული ბანკის შიდა კონტროლის სისტემებისა და ოპერაციების პერიოდული აუდიტი;
  - ბ) ეროვნული ბანკის საბჭოსთვის მოხსენების წარდგენის მიზნით შეადგინოს განუვლი მუშაობის შესახებ ანგარიში და შეიმუშაოს რეკომენდაციები საბიუჯეტო და საბუღალტრო პროცედურებისა და შიდა კონტროლის სისტემების შესახებ;
  - გ) ჩაატაროს ეროვნული ბანკის პერიოდული საფინანსო ანგარიშგებებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების აუდიტორული შემოწმება.

### მუხლი 19. ეროვნული ბანკის პერსონალის შრომის ანაზღაურება

1. ეროვნული ბანკის მოხელეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ შრომის ანაზღაურების დონეს. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე.
2. ეროვნული ბანკის მიერ ასანაზღაურებელი თანამდებობრივი სარგოების, დანამატებისა და სხვა გასაცემლების ოდენობა არ უნდა უკავშირდებოდეს ეროვნული ბანკის წმინდა შემოსავალს.

### მუხლი 20. პროფესიული საიდუმლოება და ინტერესთა შეუთავსებლობა

1. ეროვნული ბანკის საბჭოს მოქმედ ან ყოფილ წევრს, ეროვნული ბანკის თანამშრომელს ან აუდიტორს არ აქვს კონფიდენციალურ ინფორმაციასთან არაუფლებამოსილი პირის დაშვების უფლება, აგრეთვე უფლება – გათქვას, გაავრცელოს ან პირადი სარგებლობისათვის გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია.
2. ამოღებულია
3. ცნობები ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების ან/და ოპერაციების, მესამე პირების შესახებ შეიძლება გაიცეს მხოლოდ სასამართლოს გადანაცვებილების საფუძველზე.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცნობები გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში.
5. ეროვნულ ბანკში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, მონეტარული პოლიტიკის, სტატისტიკური ან/და საფინანსო სექტორის სტაბილურობის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის საბჭოს გადანაცვებილებით შეიძლება გარკვეული გონივრული ვადით გამოცხადდეს კონფიდენციალურად.

რად. ასეთი ინფორმაციების ნუსხას, შემლუდვის ვადასა და გაცემის წესს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის საბჭო.

6. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებსა და ეროვნული ბანკის იმ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს, რომლებიც ამ ორგანული კანონის საფუძველზე ახორციელებენ საფინანსო სექტორის ზედამხედველობას, უფლება არა აქვთ, იყვნენ საფინანსო სექტორის წარმომადგენლის ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირის თანამშრომლები, წილის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელები, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრები. თუ ეროვნული ბანკის იმ სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის, რომელიც ამ ორგანული კანონის საფუძველზე ახორციელებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობას, ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი არის ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების ქვეშ მყოფი პირის ან მასთან დაკავშირებული სხვა პირის 10 პროცენტზე მეტი წილის მფლობელი, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრი, ამის შესახებ მან წერილობითი განაცხადი უნდა წარუდგინოს ეროვნულ ბანკს მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. მას ასევე უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს ასეთ პირთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. ეროვნული ბანკის თანამშრომელს არ შეიძლება დაევალოს იმ პირის ზედამხედველობა, რომლის წილის მფლობელი, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრი მისი ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია.
7. ეროვნული ბანკის თანამშრომელს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიიღოს რაიმე ქონებრივი სიკეთე ან შეღავათი ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების ქვეშ მყოფი პირისაგან ან მასთან დაკავშირებული სხვა პირისაგან თავისი ან ნებისმიერი სხვა პირის სახელით, რომელთანაც მას აკავშირებს ახლონათესაური, სამსახურებრივი ან ფინანსური ურთიერთობა.
8. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, აგრეთვე ეროვნული ბანკის თანამშრომელი ვალდებულია ეროვნულ ბანკს მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად აცნობოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიმართ მისი ან მისი ოჯახის წევრის, როგორც ფიზიკური პირის, სასესხო ან სხვა მატერიალური ვალდებულება, რომელიც ჯამში 10,000 ლარს აღემატება (აჭარბებს).

## თავი III საფინანსო დებულებები

### მუხლი 21. ეროვნული ბანკის კაპიტალი

1. ეროვნული ბანკის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და საერთო სარეზერვო ფონდისაგან.
2. ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალია 15,000,000 ლარი.
3. ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალის გაზრდის წყაროა წმინდა მოგება.

## მუხლი 22. ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი

1. ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი იქმნება წლის წმინდა მოგებიდან, ამ ორგანული კანონის 25-ე მუხლში მოცემული განაწილების შესაბამისად.
2. ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ეროვნული ბანკის წმინდა ზარალის დასაფარავად.
3. საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის, ასევე ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეზერვო ფონდში არსებული თანხების განაწილების შესახებ.

## მუხლი 23. ეროვნული ბანკის სპეციალური რეზერვები

1. ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნული ბანკის წმინდა მოგებიდან შეიძლება შეიქმნას:
  - ა) ეროვნული ვალუტის კურსის სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ კურსის ცვლილების გამო მოსალოდნელი ზარალის დასაფარავი რეზერვი;
  - ბ) აქტივების ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის დასაფარავი რეზერვი;
  - გ) სხვა სპეციალური რეზერვები.
2. სპეციალური რეზერვები გამოიყენება შესაბამისი ზარალის დასაფარავად.

## მუხლი 24. ეროვნული ბანკის წმინდა მოგების გამოანგარიშება

ყოველი საფინანსო წლისათვის ეროვნული ბანკის წმინდა მოგება გამოიანგარიშება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალის და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ან ზარალის ჯამი. წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი მიიღება საანგარიშგებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვით.

## მუხლი 25. ეროვნული ბანკის წმინდა მოგების განაწილება

თუ ეროვნულ ბანკს საფინანსო წლის დასრულების შემდეგ აქვს წმინდა მოგება, იგი უნდა განაწილდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

- ა) თუ წმინდა მოგება შედგება წმინდა საოპერაციო მოგებისა და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგებისაგან, გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული მოგება მიიმართება გადაფასების შესაბამის სპეციალურ რეზერვში. თუ წმინდა მოგებაში ჩართულია გადაფასების არარეალიზებული ზარალი, იგი კომპენსირდება გადაფასების რეზერვის ანგარიშიდან.

- ბ) წმინდა მოგების დარჩენილი თანხით უნდა შეივსოს ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი, ვიდრე მისი მოცულობა არ გაუთანაბრდება შესაბამისი საფინანსო წლის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის ოდენობის 15 პროცენტს. ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების დარჩენილი თანხით ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდის მოცულობის, შესაბამისი საფინანსო წლის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის ოდენობის 15 პროცენტზე ნაკლები ოდენობით შევსების შესახებ;
- გ) საფინანსო წლის დარჩენილი წმინდა მოგება უნდა გადაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე ეროვნული ბანკის საფინანსო წლის დასრულებიდან 6 თვის ვადაში.

## მუხლი 26. ეროვნული ბანკის წმინდა ზარალის განაწილება

1. თუ ეროვნული ბანკი ნებისმიერ საფინანსო წელს გასწევს წმინდა ზარალს, იგი უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:
  - ა) თუ წმინდა ზარალი შედგება წმინდა საოპერაციო ზარალისა და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა ზარალისაგან, წმინდა საოპერაციო ზარალის თანხა დაერიცხება საერთო სარეზერვო ფონდს და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული ზარალის თანხა განაწილდება გადაფასების რეზერვის ანგარიშგებზე. თუ ამ სახის განაწილების შედეგად გადაფასების რეზერვის ანგარიშგები უარყოფითი გახდება, უარყოფითი ნაშთი გადანაწილდება საერთო სარეზერვო ფონდში;
  - ბ) თუ წმინდა ზარალი შედგება წმინდა საოპერაციო მოგებისა და უფრო დიდი წმინდა არარეალიზებული გადაფასების ზარალის ჯამისაგან, გადაფასების ზარალი კომპენსირდება გადაფასების რეზერვის ანგარიშგებიდან. დარჩენილი ზარალი გადანაწილდება საერთო სარეზერვო ფონდში;
  - გ) თუ წმინდა ზარალი შედგება წმინდა საოპერაციო ზარალისა და გადაფასების წმინდა არარეალიზებული მოგებისაგან, ზარალი დაერიცხება საერთო სარეზერვო ფონდს;
  - დ) თუ აღნიშნული განაწილების შემდეგ ეროვნული ბანკის კაპიტალი საწესდებო კაპიტალზე ნაკლები გახდება, არსებული დეფიციტის დასაფარავად (ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალის შესავსებად) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეროვნულ ბანკს საკუთრებაში გადასცემს მიმოქცევად (საბაზრო) სახელმწიფო სავალო ვალდებულებებს წარმომდგენზე იმ ვადითა და პირობებით, რომლებიც სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ვადისა და პირობების ანალოგიური იქნება.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდები უნდა გამოუშვას უპირობოდ,

ეროვნული ბანკის საფინანსო წლის დასრულებიდან 5 თვის ვადაში. ეს ფასიანი ქაღალდები მათი გამოშვების შემდეგ უნდა აისახოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

## თავი IV ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ფუნქციები და ოპერაციები

### მუხლი 27. ეროვნული ბანკის საკუთარი ფასიანი ქაღალდები

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მიზნით გამოუშვას საკუთარი ფასიანი ქაღალდები თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

### მუხლი 28. ოპერაციები ღია ბაზარზე

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს ოპერაციები ღია ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებითა და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების პირდაპირი შეძენის ან გაყიდვის გზით ან მათი შემდგომში გასხვისების ან გამოსყიდვის პირობით (რეპო და უკურეპო ოპერაციები).

### მუხლი 29. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის დაანესოს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, რომლებიც განისაზღვრება მოზიდულ სახსრებთან პროცენტული თანაფარდობით და ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეჭვმდებაროს ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას.
2. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმებს, მათი გაანგარიშებისა და დაცვის წესს, აგრეთვე მათი დარღვევისათვის სანქციებს აწესებს ეროვნული ბანკი. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმების დარღვევისათვის სანქციის სახით დაკისრებული ფულადი ჯარიმა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
3. თუ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები განთავსებულია ეროვნულ ბანკში, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების თანხაზე პროცენტების გადახდის შესახებ.

### მუხლი 30. ეროვნული ბანკის სადისკონტო ოპერაციები

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების შესყიდვის გზით აწარმოოს სადის-

კონტო ოპერაციები კომერციულ ბანკთან და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებასთან თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ გაასხვისოს სადისკონტო ოპერაციებით შესყიდული ფასიანი ქაღალდები.

### მუხლი 31. ეროვნული ბანკის სასესხო და სადეპოზიტო ოპერაციები

1. ეროვნულ ბანკს შეუძლია გასცეს კრედიტები კომერციულ ბანკებსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე, რომლებსაც ანგარიშები აქვთ გახსნილი ეროვნულ ბანკში, თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით, შესაბამისი უზრუნველყოფით.
2. კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოსაყენებელი აქტივების ჩამონათვალს ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო.
3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიიღოს დეპოზიტები თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

### მუხლი 32. კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ანგარიშები ეროვნულ ბანკში

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ჰქონდეს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილეთა ანგარიშები და მიიღოს მათგან დეპოზიტები თავის მიერ დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.

### მუხლი 33. ბოლო ინსტანციის კრედიტორი

1. ამ ორგანული კანონის 31-ე მუხლით ნებადართული სესხების გარდა, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, კომერციულ ბანკზე გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბოლო ინსტანციის სესხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, საპროცენტო განაკვეთი არ უნდა იყოს ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიანი სესხისათვის დადგენილ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები და იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ორგანული კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი აქტივებით.
3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილურობას, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია უფრო გრძელვადიანი, განსხვავებული საპროცენტო განაკვეთიანი და არაუზრუნველყოფილი სესხის გაცემა.
4. ეროვნული ბანკის საბჭო ამ ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის წესებსა და პირობებს.

### მუხლი 33<sup>1</sup>. ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სტატისტიკური ფუნქციების შესრულების ინფორმაციული უზრუნველყოფა

1. ფულად-საკრედიტო და სტატისტიკური ფუნქციების შესრულების ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისაგან მოითხოვოს მონეტარული, საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკების წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგება, აგრეთვე სხვა აუცილებელი ინფორმაცია.
2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისაგან მოითხოვოს კონფიდენციალური ინფორმაცია ექსკლუზიურად სტატისტიკური ფუნქციების შესასრულებლად.

## თავი V გადახდის საშუალებები

### მუხლი 34. ფულის ერთეული

1. საქართველოს ფულის ერთეულია „ლარი“. ლარი შედგება 100 „თეთრისაგან“.
2. ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.
3. ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ან რეალიზებული ლარის ბანკნოტები და მონეტები არის ეროვნული ბანკის უპირობო ვალდებულება ნომინალური ღირებულებით, გარდა იმ ბანკნოტებისა და მონეტებისა, რომლებიც ამოღებულია მიმოქცევიდან ან/და განეკუთვნება ნუმისმატიკურ ფასეულობას.

### მუხლი 35. ემისია

1. მხოლოდ ეროვნულ ბანკს აქვს როგორც მიმოქცევისათვის, ისე საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება. ლარის ბანკნოტებსა და მონეტებზე საავტორო უფლებების მფლობელია ეროვნული ბანკი.
2. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ნომინალს, ზომას, წონას, რაოდენობას, გაფორმებას, მასალასა და სხვა მახასიათებლებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის საბჭო.
3. ლარის არსებული ნომინალის ბანკნოტისა და მონეტის დიზაინის, მასალის ან/და მასზე დატანილი წლის ცვლილების, ან ლარის ახალი ნომინალის შემოღების შემთხვევაში მათი მიმოქცევაში გაშვება ხდება ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ემისია უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აკრძალულია.
5. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მოახდინოს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების, ასევე ნუმისმატიკური ფასეულობის რეალიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.
6. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადებისა და რეალიზაციის წესებს ადგენს ეროვნული ბანკის საბჭო.
7. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმებს და მათი მიღება-გამოცვლის წესებს ადგენს ეროვნული ბანკის საბჭო.

### მუხლი 36. ფულის ნიშნებისა და სხვა ფასეულობების შენახვა და განადგურება

1. ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს როგორც ფულის ნიშნების, ისე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადებისათვის საჭირო ორიგინალური მასალებისა და სხვა ფასეულობების საიმედო შენახვას.
2. მხოლოდ ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების და მათი დამზადებისათვის საჭირო ორიგინალური მასალების განადგურებას.
3. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების განადგურების ან მათი შემდგომი გამოყენების წესს ადგენს ეროვნული ბანკის საბჭო.

### მუხლი 37. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების მიმოქცევიდან ამოღება და შეცვლა

1. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მიმოქცევიდან ამოიღოს და შეცვალოს ემიტირებული ლარის ბანკნოტები და მონეტები.
2. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების მიმოქცევიდან ამოღებისა და შეცვლის წესს ადგენს ეროვნული ბანკის საბჭო.
3. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ განსაზღვრული გამოცვლის ვადის დასრულების შემდეგ გამოსაცვლელი ლარის ბანკნოტები და მონეტები, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება, წყვეტს მოქმედებას.

### მუხლი 38. ფულის ნიშნების მარაგი და ემისიის გეგმა

ეროვნული ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ნაღდი ფულის მარაგს, ადგენს მისი ემისიის გეგმას, უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკას ლარის ბანკნოტებითა და მონეტებით.

### მუხლი 39. ყალბი ფულის ნიშნები და ფულის ნიშნების რეპროდუცირება

1. ფულის ნიშნების გაყალბება აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. ყალბი ფულის ნიშნები მიმოქცევიდან ამოიღება და არ ანაზღაურდება.
3. საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესს ადგენს ეროვნული ბანკის საბჭო.
4. ეროვნული ბანკი მთავარი ექსპერტია ლარის ბანკნოტებისა და მონეტების, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ექსპერტია უცხოური ვალუტის ბანკნოტებისა და მონეტების ნამდვილობის დადგენის საქმეში.
5. საქართველოს ტერიტორიაზე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

## თავი VI საერთაშორისო რეზერვები

### მუხლი 40. ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები

1. ეროვნული ბანკი ფლობს, ინახავს და მართავს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს, რომლებიც შეიძლება შედგებოდეს შემდეგი აქტივებისაგან:
  - ა) მონეტარული ოქრო;
  - ბ) უცხოური ვალუტა მონეტებისა და ბანკნოტების სახით;
  - გ) სხვა ქვეყანაში საბანკო ანგარიშებზე რიცხული უცხოური ვალუტის ნაშთები;
  - დ) საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხების სპეციალური უფლებები (SDR) და სარეზერვო პოზიცია სავალუტო ფონდში;
  - ე) უცხოური ვალუტით დენომინირებული და ასანაზღაურებელი თამასუქები და სადეპოზიტო სერტიფიკატები;
  - ვ) უცხო ქვეყნების, ცენტრალური ბანკების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული სავალო ვალდებულებები;
  - ზ) უცხოური ვალუტით გამოხატული და ასანაზღაურებელი, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და შეთანხმებები ფასიანი ქაღალდების შექმნის შესახებ, მათი შემდგომი გასხვისების პირობით (უკურეპო ოპერაციები);
  - თ) ნებისმიერი სხვა საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სარეზერვო საშუალებები.
2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მართვის ამოცანების შესასრულებლად ისესხოს უცხოური ვალუტა საკუთარი სახელით, ერთ წლამდე ვადით, საერთაშორისო რეზერვებში შემავალი აქტივების უზრუნველყოფით, ან დადოს შეთანხმებები ფასიანი ქაღალდების გასხვისების/გასესხების შესახებ, მათი შემდგომი გამოსყიდვის პირობით (რეპო ოპერაციები).

## თავი VII ეროვნული ბანკის ურთიერთობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან

### მუხლი 41. ბანკირი და ფისკალური აგენტი

1. ეროვნული ბანკი ასრულებს საქართველოს მთავრობის ბანკირისა და ფისკალური აგენტის როლს.
2. ეროვნული ბანკის მოვალეობაა, საკონსულტაციო დახმარება გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას ეროვნული ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ან მისი კომპეტენციის სფეროში შემავალ ყველა საკითხზე.

### მუხლი 42. კონსულტაციები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენამდე საქართველოს ფინანსთა მინისტრი ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ატარებს კონსულტაციებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესახებ, რომლებიც მოიცავს:
  - ა) მთლიანი შემოსულობების მოცულობასა და სტრუქტურას;
  - ბ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის მოცულობასა და სტრუქტურას;
  - გ) ფინანსური აქტივების ცვლილებას;
  - დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურას.
2. კონსულტაციები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას მომდევნო საფინანსო წელს სახელმწიფო სექტორისათვის საშინაო და საგარეო სესხების მიღების გეგმების შესახებ, მათ შორის, საკრედიტო სახსრების მოცულობის შეთანხმების, მათი მიღებისა და განაწილების და სესხების მოსალოდნელი პირობების საკითხებზე. საქართველოს ცენტრალურმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა აცნობონ ეროვნულ ბანკს აღებული სავალო ვალდებულებების შესახებ.
3. კონსულტაციების შედეგად ეროვნული ბანკის პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას უგზავნის დასკვნას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.

### მუხლი 43. სადეპოზიტო ფუნქციები

1. ეროვნული ბანკი იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დეპოზიტებს. დეპოზიტარის როლში ეროვნული ბანკი იღებს და გასცემს ფულად სახსრებს, აღრიცხავს და ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა საფინანსო მომსახურებას. საგადახდო საბუთების საფუძველზე



ეროვნული ბანკი აღნიშნულ ანგარიშებზე დეპონირებული თანხების ფარგლებში გასცემს თანხას. ეროვნულ ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი დეპოზიტების მიხედვით პროცენტების გადახდის შესახებ.

- ეროვნულ ბანკს შეუძლია ნება დართოს სხვა საფინანსო დაწესებულებებს, მიიღონ ასეთი დეპოზიტები მის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

#### მუხლი 44. საფინანსო აგენტის ფუნქციები

ეროვნულ ბანკს შეუძლია თავად შეასრულოს სახელმწიფო დაწესებულებების საფინანსო აგენტის როლი შემდეგ საკითხებზე:

- მათ მიერ გამოშვებული სავალ ვალდებულებების რეალიზება, მათ შორის, ტრანსფერული აგენტის ან სხვა საჭირო ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება;
- ძირითადი თანხებისა და პროცენტების გაცემა, ფასიანი ქაღალდების მიხედვით სხვა გადახდების წარმოება;
- მათი ანგარიშებიდან საგადახდო ოპერაციების შესრულება;
- ეროვნული ბანკის ფუნქციების შესაბამისი სხვა საკითხები.

#### მუხლი 45. ეროვნული ბანკისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვა ნებისმიერი პირისგან მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა აუცილებელი სტატისტიკური, საბუღალტრო და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

#### მუხლი 46. ეროვნული ბანკის ფინანსური დახმარების უფლება

- ეროვნული ბანკი ფინანსურად არ ეხმარება საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა ამ ორგანული კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დივიდენდის გაცემის შემთხვევისა. ეროვნული ბანკი, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, ახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შექმნას მხოლოდ მეორეულ ბაზარზე.
- საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, პირველად ბაზარზე შეისყიდოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მხოლოდ მის პორტფელში უკვე არსებული ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ, თუ მათი დაფარვის დღე ემთხვევა ახალი ფასიანი ქაღალდების ემისიის დღეს. შექმნა უნდა განხორციელდეს აუქციონზე დაფიქსირებულ საშუალოშენიშნულ ფასად. თითოეული აუქციონის შემთხვევაში ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი ფასიანი ქაღალდების მოცულობა წარმოადგენს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდების დამატებით ემისიას და არ უნდა აღე-

მატებოდეს ამ აუქციონზე გაყიდული ფასიანი ქაღალდების საერთო მოცულობის 20%-ს.

## თავი VIII საფინანსო სექტორის გედამხედველობა

#### მუხლი 47. ეროვნული ბანკის მიზნები და ამოცანები საფინანსო სექტორის გედამხედველობის კუთხით

ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ მიზნით ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, სისტემური რისკის კონტროლს, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, პოტენციური რისკების შემცირებას.

#### მუხლი 48. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება საფინანსო სექტორის გედამხედველობის კუთხით

- ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, გედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადამღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული სანარმოების, საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობას ამ ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.
- უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ყალბი ფულის მიმოქცევის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნებისათვის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგულირება მათი რეგისტრაციის, შემოწმებისა და მათ მიმართ მინიმალური მოთხოვნების დადგენის გზით.
- საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისათვის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები, ბრძანებები, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და დაანესოს შესაბამისი სანქციები.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა, ეროვნული ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია პირს უარი განუცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სუბიექტად რეგისტრაციის/ლიცენზირების თაობაზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალ-

ისწინებულ შემთხვევებში ამავე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტის მნიშვნელოვანი წილის შექცენაზე, თუ:

- ა) პირის რეგისტრაციამ/პირზე ლიცენზიის გაცემამ ან პირის მიერ სუბიექტის მნიშვნელოვანი წილის შექცენამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს საფინანსო სექტორის სტაბილურობას;
  - ბ) პირის რეგისტრაციამ/პირზე ლიცენზიის გაცემამ ან პირის მიერ სუბიექტის მნიშვნელოვანი წილის შექცენამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო ორგანიზაციების სავალდებულო გადაწყვეტილებებით ან/და რეკომენდაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა;
  - გ) პირის რეგისტრაციამ/პირზე ლიცენზიის გაცემამ ან პირის მიერ სუბიექტის მნიშვნელოვანი წილის შექცენამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოსა და უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმებების დარღვევა;
  - დ) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა არ წარუდგინა მას სრულყოფილი ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის დასაწყებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების შესრულებისათვის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მნიშვნელოვანი წილის შექცენისათვის საჭირო თანხების წარმომავლობის შესახებ.
4. საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისათვის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობებისაგან და ამ კანონის 481 მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისაგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
  5. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ითანამშრომლოს ადგილობრივ საზედამხედველო და სამართალდამცავ ორგანოებთან.
  6. ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტსა და ეროვნულ ბანკს შორის მიმონერა შეიძლება განხორციელდეს მატერიალური ფორმით ან ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.
  7. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტისაგან მიიღოს თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გამოგზავნილი ან/და ციფრული ხელმოწერის გამოყენებით ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტი. ციფრული ხელმოწერის გამოყენების საკითხი რეგულირდება ეროვნულ ბანკსა და ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
  8. თუ ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტისათვის მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის ჩაბარება ვერ ხერხდება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ან ვიცე-პრეზიდენტს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება ოფიციალური დოკუმენტის საჭაროდ გავრცელების შესახებ.

ოფიციალური დოკუმენტი საჭაროდ ვრცელდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით ან ინფორმაციის სხვა საშუალებებით. საჭაროდ შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი საჭაროდ გავრცელებიდან მე-15 დღეს.

#### მუხლი 48<sup>1</sup>. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის რეგულირება

1. იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა), რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე მეტი ფიზიკური პირისაგან ან რომლის მიერ ფიზიკური პირებისაგან მოზიდული სახსრების ოდენობა აღემატება ხუთ მილიონ ლარს, ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისათვის დადგენილი მოთხოვნები.
2. იურიდიული პირი, რომლის მიერ მოზიდული სახსრების ოდენობა არ აღემატება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ოდენობას ან რომელიც სახსრებს მოიზიდავს ოთხასზე ნაკლები ფიზიკური პირისაგან, ვალდებულია, ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნები, თუ მისი საქმიანობა, მოზიდული სახსრების რაოდენობა, საქმიანობის რეგიონი ან სეგმენტი ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეულია საფინანსო სექტორისათვის მნიშვნელოვნად ან თუ მისი საქმიანობა და კლიენტთა მოზიდვის მეთოდები მეტყველებს იმ წრის მნიშვნელოვნად გაფართოების გეგმაზე, რომლიდანაც ხდება სახსრების მოზიდვა.
3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის რეგულირება, რაც მოიცავს: მის რეგისტრაციას და მისი რეგისტრაციის გაუქმებას, შესაფერისობის კრიტერიუმების, რისკების გამჭლავნების, მინიმალური კაპიტალის, ლიკვიდობის და დამატებითი მოთხოვნების დადგენას, შემონიშნებას, შეზღუდვებისა და სანქციების დანესებას.
4. თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა საფრთხეს უქმნის საფინანსო სექტორის სტაბილურობას ან ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს, იგი უფლებამოსილია კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს მოსთხოვოს სახსრების მოზიდვასთან და სესხების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტა. საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესრულებლობა გამოიწვევს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული იურიდიული პირების ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის პირობები, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისადმი მინიმალური კაპიტალის, ლიკვიდობის და დამატებითი მოთხოვნები, შესაფერისობის კრიტერიუმები,

ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით. ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

- 6. საბანკო ლიცენზიის მოპოვებისთანავე იურიდიული პირი ავტომატურად კარგავს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსს.

### მუხლი 48<sup>2</sup>. საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია და ზედამხედველობა

- 1. ეროვნული ბანკი საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და მათთვის მინიმალური მოთხოვნების დადგენის, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესების გზით.
- 2. ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და მისი გაუქმების წესი, მათ მიმართ გამოსაყენებელი სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი, განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით. ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
- 3. ეროვნული ბანკი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს მნიშვნელოვანი სისტემისა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების საკითხს.
- 4. ეროვნული ბანკი მნიშვნელოვანი სისტემისა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათი შემოწმების, მათთვის დამატებითი მოთხოვნების დადგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის და შეზღუდვებისა და სანქციების დაწესების გზით.

### მუხლი 49. კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობა

- 1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:
  - ა) ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობას. იგი მოიცავს: ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას;
  - ბ) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კომერციული ბანკის კაპიტალის წარმოშობის წყაროებისა და მისი მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ;
  - გ) ზედამხედველობა გაუწიოს და შეამოწმოს კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, შეამოწმოს მათი შვილობილი სანარმოები, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების აუდიტი და

- დ) მიიღოს მათგან ნებისმიერი ინფორმაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას მასალები გადაეცემა შესაბამის ორგანოებს;
- ე) კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გაუზარდოს სავალდებულო რეზერვების ნორმები, შეუწყვიტოს აქტიური ოპერაციები, აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, შრომის ანაზღაურების გაზრდა, პრემიებისა და სხვა მსგავსი ანაზღაურების გაცემა, მოითხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, გაუზარდოს აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ნორმები;
- ვ) კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ადმინისტრატორებს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება; დააკისროს მათ ფულადი ჯარიმა და მოითხოვოს მათი თანამდებობიდან განთავისუფლება; კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გადახდევინოს ფულადი ჯარიმა; კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გაუქმოს შესაბამისი ლიცენზია;
- ზ) ნორმატიული აქტით დაადგინოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემისა და გაუქმების წესები, განსაზღვროს ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი. ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;
- თ) გარკვეული ვადით ან/და გარკვეული პირობებით გაათავისუფლოს კომერციული ბანკი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმების დაცვისაგან;
- ი) შექმნას და მართოს დროებითი ბანკი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- კ) დროებითი ადმინისტრატორის ან ლიკვიდატორის მეშვეობით ხელი შეუწყოს გადახდისუნარო კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ან მათი ნაწილის გადაცემას თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;
- ლ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, საფინანსო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების მიზნით, კომერციული ბანკებისათვის დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები: საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა, დამატებით დაანესოს დასვენების დღეები, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული უქმე დღეები გამოაცხადოს საბანკო დღეებად; დაანესოს გარკვეული შეზღუდვები ან/და შეზღუდვებისაგან მათი გათავისუფლება და სხვა ქმედება, რომელიც აუცილებელია საფინანსო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის.
- 2. კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ლიკვიდატორს და დროებით ადმინისტრატორს ნიშნავს ეროვნული ბანკი და ისინი ანგარიშვალდებული არიან ეროვნული ბანკის წინაშე. ლიკვიდატორსა და დროებით ადმინისტრატორზე გადადის კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ყვე-

ლა ორგანოს (მათ შორის, აქციონერთა საერთო კრების) სრული უფლებამოსილება.

- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებას განუსაზღვროს კაპიტალის მინიმალური ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი.
- არავის არა აქვს უფლება, ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის გარეშე მიიღოს დებოზიტები და მათი გამოყენებით გასცეს კრედიტები.
- კომერციული ბანკი და არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულება მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.
- ეროვნული ბანკი საერთაშორისო ფინანსური კომპანიის შემოწმებას ახორციელებს თავის მიერ დადგენილი სპეციალური წესის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევების შესრულების შესამოწმებლად, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულია საერთაშორისო ფინანსური კომპანიებისათვის.

### მუხლი 50. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ზედამხედველობა

- ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობას ახორციელებს მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმებისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით.
- ეროვნული ბანკი ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ ყალბი ფულის მიმოქცევის აღკვეთის მიზნით და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმების, მათ მიმართ მინიმალური მოთხოვნების დადგენისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით.
- ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრაციისა და მისი გაუქმების წესი, ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით. ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისაგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაცია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

### მუხლი 51. ამოღებულია

### მუხლი 52. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

- დაარეგულიროს ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას და მიმოქცევისას წარმოშობილი ურთიერთობები; უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის სფეროში დარღვევების გამოვლენა, თავიდან აცილება და აღკვეთა;
- გასცეს და გააუქმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ლიცენზიები;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს დაუდგინოს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები;
- დაამტკიცოს ემისიის პროსპექტი;
- განახორციელოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობის მონიტორინგი, შემოწმებები, გამოკვლევები;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს, შეცვალოს და გააუქმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებასთან დაკავშირებული წესები და ზედამხედველობა გაუწიოს მათ შესრულებას;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს დაუწესოს სანქციები, მათ შორის, ფულადი ფორმით. ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით. ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

## თავი IX

### მუხლი 53. ამოღებულია

### მუხლი 54. ამოღებულია

### მუხლი 55. ამოღებულია

## თავი X

### ეროვნული ბანკის ანგარიშები, საფინანსო ანგარიშგება, აუდიტი და საერთო ანგარიშგება

### მუხლი 56. ეროვნული ბანკის საფინანსო წელი

ეროვნული ბანკის საფინანსო წელი იწყება იანვრის პირველ დღეს და მთავრდება დეკემბრის ბოლო დღეს.

### მუხლი 57. ბუღალტრული აღრიცხვა

ეროვნული ბანკი ანგარიშგებას, თავის ოპერაციებს და საფინანსო მდგომარეობის ასახვისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### მუხლი 58. ეროვნული ბანკის საფინანსო ანგარიშგება

ეროვნული ბანკი ადგენს ყოველი საფინანსო წლის სა-

ფინანსო ანგარიშგებას. ანგარიშგება მოიცავს ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგებას და მათთან დაკავშირებულ განმარტებითი ხასიათის შენიშვნებს.

### მუხლი 59. ეროვნული ბანკის ანგარიშგების აუდიტი

1. ეროვნული ბანკის ანგარიშგების აუდიტს ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა.
2. ეროვნული ბანკის ანგარიშგების გარე აუდიტის განსახორციელებლად საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი საქართველოს პარლამენტს აუდიტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა, წარუდგენს მსოფლიოს ოთხი ყველაზე მსხვილი აუდიტორული ფირმის სიას, ხოლო საქართველოს პარლამენტი ამ სიიდან ტენდერის ან კონკურსის საფუძველზე არაუგვიანეს 1 დეკემბრისა აირჩევს ერთ აუდიტორულ ფირმას (გარე აუდიტორს). ამ აუდიტორულ ფირმასთან კონტრაქტი ფორმდება არანაკლებ 2 და არაუმეტეს 4 წლის ვადით.
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს ეროვნული ბანკის მხოლოდ ადმინისტრაციულ და კაპიტალურ ხარჯებს.

### მუხლი 60. ეროვნული ბანკის საბალანსო ანგარიშგებისა და დოკუმენტების წარდგენა და გამოქვეყნება

1. ეროვნული ბანკი ამზადებს და მაქსიმალურად მოკლე ვადაში, არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს და აქვეყნებს არააუდიტირებულ საბალანსო უწყის საანგარიშგებო თვის ბოლო სამუშაო დღის მდგომარეობით.
2. საფინანსო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 4 თვისა ეროვნული ბანკი აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს გასული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამ ორგანული კანონის 61-ე მუხლით განსაზღვრულ ანგარიშს.
3. ეროვნულ ბანკს ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული საფინანსო ანგარიშგებებისა და დოკუმენტების გარდა შეუძლია გამოაქვეყნოს სხვა ანგარიშგებები და გამოკვლევები საფინანსო და ეკონომიკურ საკითხებზე, რომელთა გამოქვეყნებასაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს.

### მუხლი 61. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ანგარიშგება

1. ეროვნული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს.
2. არა უგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი სამი წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს.

3. საქართველოს პარლამენტი მიმდინარე წლის ბოლომდე ამტკიცებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.
4. თუ საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარდგენილი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტი, ეროვნული ბანკი მოქმედებს თავის მიერ შემუშავებული პროექტის ფარგლებში.
5. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტში უნდა აღინიშნოს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებსაც ეროვნული ბანკი გამოიყენებს მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად, და შესაძლო რისკების მიმოხილვა.
6. ყოველწლიურად, საფინანსო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზღვარგარეთ პოლიტიკის განხორციელების შესახებ. საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს წარდგენილ ანგარიშს.

### მუხლი 62. საკლირინგო და საგადახდო ხელშეკრულებები

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დადოს საკლირინგო და საგადახდო ხელშეკრულებები ან ამავე მიზნით ნებისმიერი სხვა კონტრაქტი უცხო ქვეყნის სახელმწიფო და კერძო ცენტრალურ საკლირინგო დაწესებულებებთან როგორც თავისი სახელით, ისე საქართველოს სახელითა და დავალებით.

### მუხლი 63. კლირინგის, უნაღდო ანგარიშსწორებისა და საგადახდო სისტემების მექანიზმი

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებებისამებრ შეიმუშაოს და გამოსცეს კლირინგის, უნაღდო ანგარიშსწორების საქმიანობისა და საგადახდო სისტემების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, დაადგინოს შესაბამისი წესები და მოთხოვნები, ორგანიზება გაუწიოს ქვეყანაში საგადახდო სისტემების შექმნასა და დანერგვას, მართოს და უზრუნველყოს ამ სისტემების მომსახურება და ადმინისტრირება, დახმარება გაუწიოს სხვა ბანკებს საგადახდო სისტემების შექმნაში, განახორციელოს საქართველოში მოქმედი საგადახდო სისტემების ზედამხედველობა.

## თავი XI ეროვნული ბანკის დამატებითი უფლებები და ძირითადი აკტალკები

### მუხლი 64. ეროვნული ბანკის უპირატესი და უპირობო უფლება

1. ეროვნულ ბანკს აქვს უპირატესი და უპირობო უფლება, დაიკმაყოფილოს ნებისმიერი მოთხოვნა

დაფარვის ვადის დადგომისას მოვალის ანგარიშებზე არსებული სახსრების, სალაროს ნაშთების ან მოვალის საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების ხარჯზე. აღნიშნული წესიდან გამონაკლისია ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე არსებული სახსრები.

2. ეროვნულ ბანკს შეუძლია ისარგებლოს არსებული სახსრების თავის ანგარიშზე ჩარიცხვის უპირატესი უფლებით და სხვა აქტივების აუქციონზე გაყიდვის გზით ანარმოს ამონაგები თანხებიდან კუთვნილი თანხების დაკავება გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. აუქციონის ჩატარების წესებს ადგენს ეროვნული ბანკი. აუქციონის არშემდგარად გამოცხადების შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ქონების პირდაპირ საკუთრებაში მიღებით. შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, ეროვნულ ბანკს მისცენ ასეთ ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.
3. ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილებანი ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება არ იქნეს გამოყენებული ლიკვიდაციისა და დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმებში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ.

### მუხლი 65. ეროვნული ბანკისათვის აკრძალული საქმიანობა

ამ ორგანული კანონით პირდაპირ გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ეროვნულ ბანკს ეკრძალება:

- ა) განახორციელოს ფინანსური დახმარება ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, პირდაპირი გასესხების, უსასყიდლო სესხის ან პირობითი ვალდებულების კრედიტის ყიდვის, კრედიტში წილობრივი მონაწილეობის გზით ან სხვა ვალდებულებებით თავის თავზე სასესხო ან პირობითი ვალდებულებების აღებით;
- ბ) განახორციელოს კომერციული საქმიანობა, შეიძინოს აქციები;
- გ) ყიდვის ან იჯარით აღების გზით ან სხვა სახით შეიძინოს სრული ან ნაწილობრივი უფლება უძრავ ქონებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებელი ან მიზანშეწონილია შენობის გამოყენება ადმინისტრაციული საქმიანობისათვის, ოპერაციების ჩატარებისათვის, ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა გარემოებისათვის;
- დ) გასცეს სესხი საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო დაწესებულებებზე.

### მუხლი 66. ეროვნული ბანკის განსაკუთრებული უფლებამოსილებები

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

- ა) გასცეს კრედიტები, შეიძინოს წილობრივი მონაწილეობის უფლება ან ნებისმიერი სახით მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობაში, რომლის მუშაობაც დაკავშირებულია

ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებასთან;

- ბ) განსაზღვროს ეროვნული ბანკის სისტემის იმ მოსამსახურეთა ნუსხა, რომლებსაც უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი.
- გ) განახორციელოს ოქროს ზოდების დამზადება, შესყიდვა და რეალიზაცია.
- გ<sup>1</sup>) თავის მიერ დადგენილი წესით ანარმოს ოპერაციები ოქროთი ან/და ოქროსთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებით. ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე არ ვრცელდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება და მათი რეგისტრაცია და მიმოქცევა ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით;
- დ) განახორციელოს ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციისათვის საჭირო ნივთების დამზადება, შესყიდვა და რეალიზაცია.

### მუხლი 67. მარეგლამენტირებელი დებულებები

1. ეროვნული ბანკი თავისი მოვალეობების შესრულებისას სარგებლობს ავტონომიური (დამოუკიდებელი) რეგლამენტირების უფლებით. ეროვნული ბანკი ანარმოებს ნორმატიული აქტების, დირექტივებისა და მითითებების საჭირო რეგისტრს.
2. ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი წესით დადგენილი ელექტრონული ანგარიშსწორების ანგარიშებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში განსაზღვრული ფორმატები და სტანდარტები კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გადაეცემა ინდივიდუალური წესით და ძალაშია ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნული თარიღიდან.
3. ეროვნული ბანკი, თუ არ არსებობს ნორმატიული აქტის დაუყოვნებლივ ამოქმედების საჭიროება, ნორმატიული აქტის პროექტს სამართლებრივი ექსპერტიზისათვის გადაუგზავნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, გარდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.
4. ნორმატიული აქტის დაუყოვნებლივ ამოქმედების საჭიროებას განსაზღვრავს მიმღები (გამომცემი) ორგანო (თანამდებობის პირი). ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდის მისანიჭებლად დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა, გადაეცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტი ძალაშია მასში მითითებული თარიღიდან.
5. ნორმატიული აქტის დაუყოვნებლივ ამოქმედების ნორმის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნულ ნორმატიულ აქტში ცალკე მუხლით უნდა მიეთითოს ამ აქტის დაუყოვნებლივ ამოქმედების მიზეზები.
6. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავისი საქმიანობის პროცესში მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით (მათ შორის, საარქივო მასალის სახით) შექმნას, მიიღოს, გაგზავნოს, შეინახოს და გასცეს ნებისმიერი დოკუმენტი, რო-

მელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და ელექტრონული ან/და ციფრული ხელმოწერა. ელექტრონულ დოკუმენტსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ დოკუმენტს.

### მუხლი 68. ადმინისტრირების ნორმები

1. ეროვნული ბანკისათვის ამ ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები ხორციელდება თანასწორუფლებიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების საფუძველზე და შეესაბამება მიღებულ ადმინისტრირების ნორმებს.
2. ეროვნული ბანკი ვალდებულია, თავი შეიკავოს ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილებების გამოყენებისაგან ისეთი მიზნის მისაღწევად, რომელიც არ შეესაბამება ამ უფლებამოსილებებს, ან გამოიყენოს თავისი უფლებები იმ დონეზე, რომელიც აღემატება აუცილებელ ღონისძიებებს შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად.
3. ამ ორგანული კანონის დებულებების შესრულების მიზნით ეროვნული ბანკის გადანაწევტილებები ექვემდებარება მიუკერძოებლობის პრინციპებს და მათი მოტივაცია უნდა იყოს ობიექტური და რაციონალური. ყველა გადანაწევტილება უნდა სრულდებოდეს სამართლებრივი ნორმების დაცვით და უნდა ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს.
4. ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.
5. ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების შემთხვევაში დაუშვებელია ამ აქტის მოქმედების შეჩერება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ ეროვნული ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.
6. ეროვნული ბანკის არც ერთ თანამშრომელს არ დაეკისრება პირადი პასუხისმგებლობა რომელიმე პირის მიმართ რაიმე მოქმედებისათვის ან უმოქმედობისათვის, თუკი მან ეს ქმედება ჩაიდინა ან მისგან თავი შეიკავა თავისი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ეროვნულ ბანკს სასამართლოს, სხვა ორგანობისა და პირების წინაშე წარმოადგენს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები ან მათ მიერ უფლებამოსილი ეროვნული ბანკის მოხელე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – სხვა პირი.

## თავი XII გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

### მუხლი 69. საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული საქართველოს მთავრობის დავალიანება

საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული საქართველოს მთავრობის დავალიანება (მიღებული კრედიტები და გადაფორმებული სავალო ვალდებულებები), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო სამინაო ვალს, დაიფაროს 2030 წლის 16 მარტამდე საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ისე, რომ ყოველწლიურად მოხდეს დავალიანების ერთი ნაწილის გადაფორმება საქართველოს ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილ ერთწლიან, ყოველწლიურად განახლებად სახელმწიფო სავალო ვალდებულებად – სახელმწიფო ობლიგაციად, ხოლო მეორე ნაწილისა – სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, რომელთა დაფარვაც განხორციელდეს შესაბამისი წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებიდან.

### მუხლი 70. გარდამავალი დებულებები

1. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკთან შექმნილი საჭარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო 2009 წლის 1 დეკემბერს.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი რეორგანიზებული იქნეს.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის რეორგანიზებულმა სტრუქტურულმა ერთეულებმა განახორციელონ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფლებამოსილებანი.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს სამართალმემკვიდრე.
5. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები, ტექნიკური საშუალებები და სხვა ქონება გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბანკს.
6. საქართველოს საფინანსო სექტორის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ახალი ნორმატიული აქტების გამოცემამდე ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.
7. საფინანსო სექტორის საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემული ლიცენზიები, ნებართვები და განხორციელებული რეგისტრაციები, რომლებიც არ არის გაუქმებული, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.
8. ამ ორგანული კანონის ამოქმედებიდან:
  - ა) საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს თავის კომპეტენციაში შემავალი სამართლებრივი აქტების შესაბამისობა ამ ორგანულ კანონთან;
  - ბ) საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ამ ორგანულ კანონთან.

9. ამ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის 2008 საფინანსო წლის წმინდა მოგების განაწილებაზე, რომელიც განიკარგება 2008 წელს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10. 2014 წლის 1 მარტიდან 2015 წლის 1 ივნისამდე „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებას საინვესტიციო ფონდების მიმართ ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

### მუხლი 71. კანონის ამოქმედება

1. ეს ორგანული კანონი, გარდა პირველი–69-ე მუხლებისა, 70-ე მუხლის მე-3-მე-8 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ორგანული კანონის პირველი–69-ე მუხლები, 70-ე მუხლის მე-3-მე-8 პუნქტები ამოქმედდეს 2009 წლის 1 დეკემბრიდან.
3. 2009 წლის 1 დეკემბრიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 1995 წლის 23 ივნისის ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995, NN27-30, მუხ. 642).

*საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი*

*თბილისი,  
2009 წლის 24 სექტემბერი.  
N1676 – III*



# 1.3 საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ

## თავი I

## ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ადმინისტრატორი – კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის) წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან ერთ ანდა ერთზე მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით აილოს ვალდებულებები;
- ბ) ბანკის ფილიალი – ბანკის ქვედანაყოფი, სადაც უშუალოდ ხორციელდება საბანკო საქმიანობა ან მისი ნაწილი;
- გ) ბანკთან დაკავშირებული პირები – ბანკის ადმინისტრატორები, აქციონერები, მათთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან, ან მათთან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირები;
- დ) ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის იდეალური მიზნებისათვის შექმნილი პირი, ან თუ მესაკუთრე იურიდიულ პირს არ გააჩნია მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი, მაშინ – მისი მმართველი ორგანოს წევრი;
- ე) განვითარებული ქვეყნები – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ განვითარებული ქვეყნების ნუსხაში შეტანილი ქვეყნები;
- ვ) ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი – ახლონათესაურ კავშირში მყოფ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი, ან პარტნიორები (აქციონერები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, გარდა ბანკისა, სხვა კომერციული ინტერესებით;
- ზ) კომერციული ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;
- თ) კრედიტი – დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება;
- ი) ოპციონი – ვალდებულების შესრულების საშუალების, ფორმის, მოცულობის ამორჩევის უფლე-

- ბა, რომელიც ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობებით ენიჭება ერთ-ერთ მონაწილე მხარეს, ან ხელშეკრულებით (კონტრაქტით) განპირობებულ გარემოებათა გამო ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის უფლება;
- კ) საბანკო საქმიანობის ლიცენზია – ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის განხორციელების ნებართვა;
- კ<sup>1</sup>) ამოღებულია
- ლ) საბანკო საქმიანობა – ამ კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული საქმიანობის სახეობები;
- ლ<sup>1</sup>) საოპერაციო დღე – კომერციული ბანკის მიერ დადგენილი საბანკო დღის დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის შემდგომ ბანკის მიერ კლიენტისგან მიღებული დავალებები ითვლება მეორე საბანკო დღეს მიღებულად;
- ლ<sup>2</sup>) საბანკო დღე – კალენდარული დღე, რომლის დროსაც ხორციელდება გადარიცხვის ოპერაციები ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემის საშუალებით;
- მ) საბლანკო კრედიტი – კრედიტი, რომელიც გაიცემა უზრუნველყოფის გარეშე;
- ნ) სავალო ინსტრუმენტი – ნებისმიერი მიმოქცევადი სავალო საბუთის და ამ საბუთის ეკვივალენტური სხვა ნებისმიერი ინსტრუმენტი, აგრეთვე ნებისმიერი მიმოქცევადი საბუთი, რომელიც იძლევა სხვა სავალო ინსტრუმენტის შეძენის უფლებას ხელმოწერის ან გაცვლის გზით; მიმოქცევად სავალო ინსტრუმენტს შეიძლება ჰქონდეს სერტიფიკატების ან საბუღალტრო ჩანაწერების ფორმა;
- ო) ტრასტი – ნდობითი ფუნქცია;
- პ) უცხოური სანდო ბანკი – განვითარებული ქვეყნის ბანკი, რომელსაც აქვს კომპეტენტური საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული, გარკვეული დონის ან მასზე მაღალი რეიტინგი; ეროვნული ბანკი ადგენს კომპეტენტურ საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციათა ნუსხას და თითოეული კომპეტენტური საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მიხედვით განსაზღვრავს რეიტინგის დონეს;
- ჟ) ფაქტორინგი – სავაჭრო-საკომისიო ოპერაციის სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს;
- რ) ფიდუციარული ოპერაცია – ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი ან სატრასტო კომპანია აწარმოებს თავისი სახელით, მაგრამ კლიენტის დავალებით და მისი ხარჯით (როგორც წესი, ინვესტიციების სამართავად); მთელი რისკისათვის კლიენტი თავადაა პასუხისმგებელი, ხოლო ბანკი მიიღებს საკომისიოს;
- ს) ფინანსური ინსტიტუტები – „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირები;
- ტ) ფორფეტირება – საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების, სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით; ამ

ოპერაციის შესრულებისას გარანტია იმპორტიორი ქვეყნის ბანკი;

- უ) ფიჩერსული ოპერაციები – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟებზე გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულების პირობით. გარიგების შესრულებამდე გარანტიის სახით შეიტანება გარკვეული თანხა;
- ფ) შვილობილი სანარმო (შვილობილი ორგანიზაცია) – იურიდიული პირი ან იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც აკონტროლებს სათავო სანარმო (სათავო ორგანიზაცია), ან იურიდიული პირი, რომელშიც სათავო სანარმო ფლობს წილის (ხმის უფლების მქონე აქციების, პაის) 50 ან 50-ზე მეტ პროცენტს;
- ფ<sup>1</sup>) სათავო სანარმო (სათავო ორგანიზაცია) – იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ერთი ან ერთზე მეტი შვილობილი სანარმო (შვილობილი ორგანიზაცია);
- ქ) საზედამხედველო კაპიტალი – კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისათვის და სხვადასხვა სახის რისკისაგან დასაცავად;
- ღ) სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის;
- ყ) განცხადებული სანესდებო კაპიტალი – საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული სანესდებო კაპიტალი;
- შ) განალდებული სანესდებო კაპიტალი – განცხადებული სანესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი;
- ჩ) გადახდისუნარო ბანკი – ბანკი, რომლის აქტივები ვეღარ ფარავს მისსავე ვალდებულებებს;
- ც) კონტროლი – სანარმოს (ორგანიზაციის) ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლება-მოსილება, ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით;
- ძ) მაკონტროლებელი პირი – კონტროლის განმახორციელებელი პირი;
- წ) მონათესავე სანარმო – იურიდიული პირის შვილობილი ან/და კონტროლისადმი დაქვემდებარებული სანარმო, აგრეთვე მისი მაკონტროლებელი პირები და მათი შვილობილი და კონტროლისადმი დაქვემდებარებული სანარმოები;
- ჭ) პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;
- ბ) მნიშვნელოვანი წილი – კომერციული ბანკის განცხადებული თუ განალდებული სანესდებო კაპიტალის წილის 10 პროცენტზე მეტი, რომელსაც პირი ფლობს სანესდებო კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით;
- ჯ) არაპირდაპირი მონაწილეობა (ფლობა) – იურიდი-

ული პირის კაპიტალში წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით.

## მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. კომერციული ბანკი შეიძლება შეიქმნას სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით. კომერციული ბანკების საქმიანობა რეგლამენტირდება ამ კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.
2. არავის არა აქვს უფლება, მოიზიდოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით გასცეს კრედიტები ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის გარეშე.
3. არავის არა აქვს უფლება გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით ამ კანონის შესაბამისად გაცემული საბანკო ლიცენზიის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საერთაშორისო შეთანხმებით, ან როცა კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებულია ტერმინი „ბანკი“ ჩანს, რომ იგი არ აწარმოებს ამ კანონით და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.
4. ამოღებულია
- 4<sup>1</sup>. ამოღებულია
- 4<sup>2</sup>. ამოღებულია
- 4<sup>3</sup>. ამოღებულია
5. კომერციულ ბანკებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ამ კანონსა და სხვა კანონებს შორის კოლიზიის წარმოშობისას გამოიყენება ამ კანონის დებულებანი.

## თავი II ლიცენზირება

### მუხლი 3. შუამდგომლობა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს მიმართავენ წერილობით (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უცხოური სანდო ბანკის ფილიალისა (წარმომადგენლობისა)), მის მიერ განსაზღვრული წესებისა და ფორმის მიხედვით. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:
  - ა) დამფუძნებელი დოკუმენტების დედნები ან მათი სანოტარო წესით ან აპოსტილით დამოწმებული ანდა ლეგალიზებული ასლები;
  - ბ) ინფორმაცია ადმინისტრატორების ამ კანონით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;
  - გ) კომერციული ბანკის ცნობა განცხადებული სანესდებო კაპიტალისა და მისი განალდებული ნაწილის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც

შეიცავს მონაცემებს შესაბამისი კომერციული ბანკის განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და საზედამხებდველო კაპიტალის საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ. უცხოეთის ბანკის ფილიალი წარმოადგენს ინფორმაციას სათავო ბანკის მიერ მისთვის გამოყოფილი რესურსის ოდენობის შესახებ;

- დ) ამ კანონის 8<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შესაფერისობის დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;
  - ე) ეროვნული ბანკის წესებით გათვალისწინებული დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაცემებს საწესდებო კაპიტალისა და სხვა ფინანსური რესურსების, კომერციული ბანკის სათავო დაწესებულებისა და ფილიალების ადგილსამყოფლის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც ეროვნული ბანკი დასაბუთებულად მოითხოვს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში;
  - ვ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც მომავალში განთავსდება კომერციული ბანკი ან მისი ფილიალი.
2. სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

#### მუხლი 4. გადაწყვეტილება ლიცენზირების შესახებ

- 1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ შუამდგომლობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 3 თვისა ეროვნული ბანკი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც წერილობით აცნობებს განმცხადებელს.
- 2. ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირზე, რომლის განადგებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად დაკავებული ფართობი აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ადმინისტრატორი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი შეესაბამებიან ამ კანონით განსაზღვრულ კომერციული ბანკის ადმინისტრატორისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის შესაფერისობის კრიტერიუმებს. სათავო ბანკის მიერ აღნიშნული ფილიალისათვის გამოყოფილი რესურსის ოდენობა უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
- 3. უცხოეთის ბანკის ფილიალზე (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული უცხოური სანდო ბანკის ფილიალისა) საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავად ბანკი უფლებამოსილია სათავო დაწესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში მიიზიდოს დეპოზიტები. ასეთ შემთხვევაში მასზე ლიცენზია

გაიცემა, თუ წარმოდგენილი იქნება იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხებდველო ორგანოს თანხმობა საქართველოში ფილიალის გახსნაზე, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული.

- 4. ეროვნული ბანკი უცხოური სანდო ბანკის ფილიალზე შესაბამისი სახეობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:
  - ა) დამფუძნებელი ბანკის განცხადება;
  - ბ) იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხებდველო ორგანოს თანხმობა საქართველოში ფილიალის გახსნაზე, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული;
  - გ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ დამფუძნებელ ბანკს, მინიჭებული რეიტინგის თანახმად, ამ კანონიდან გამომდინარე, ენიჭება უცხოური სანდო ბანკის სტატუსი;
  - დ) ფილიალის ადმინისტრატორების დანიშვნის აქტი;
  - ე) იმ პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარადგენს ამ პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.
- 5. უცხოური სანდო ბანკის ფილიალზე ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის დადგენილი მინიმალური სარეგულაციო მოთხოვნები.

#### მუხლი 4<sup>1</sup>. კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები

- 1. პირს ეკრძალება იყოს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.
- 2. პირი შეიძლება იყოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, თუ:
  - ა) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად არ ცნო და სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
  - ბ) იგი არ არის ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
  - გ) აქვს სათანადო განათლება ან/და გამოცდილება;
  - დ) იგი ამავე დროს არ არის სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ ბანკის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მოცემული კომერციული ბანკი; ამოღებულია
- 3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნორმატიული აქტით განსაზღვროს კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის დამატებითი კრიტერიუმები.

## მუხლი 5. ლიცენზირების პირობები

1. საბანკო ლიცენზიები გაცემა განუსაზღვრელი ვადით, მათი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.
2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემისას დაურთოს მას გარკვეული პირობები და შეზღუდვები, თუ სრულად არ არის დაკმაყოფილებული ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები. შემდგომში პირობები და შეზღუდვები საბანკო საქმიანობის ლიცენზიას შეიძლება დაერთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი სისტემატურად არღვევს საბანკო კანონმდებლობას, ეროვნული ბანკის ინსტრუქციებს, დებულებებს, წესებს, დადგენილებებს, მოთხოვნებს, და მხოლოდ დარღვევათა აღმოსაფხვრელად საჭირო ფარგლებში.

## მუხლი 6. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით:
  - ა) კომერციული ბანკის თხოვნის საფუძველზე, ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად;
  - ბ) ამ კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის გამო;
  - გ) ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე გარემოების გამო:
    - გ.ა) ლიცენზია გაცემულია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ შუამდგომლობაში ყალბი განცხადების ან სხვა უზუსტობების საფუძველზე;
    - გ.ბ) კომერციულმა ბანკმა არ გამოიყენა ლიცენზია მისი ძალაში შესვლის თარიღიდან 6 თვის განმავლობაში;
    - გ.გ) კომერციული ბანკის სხვა ბანკთან შერწყმის, მიერთების ან გამოყოფის შემთხვევაში;
    - გ.დ) კომერციულ ბანკს აღარ აქვს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფულადი სახსრებით ფორმირებული საწესდებო კაპიტალის ან საზედამხებელო კაპიტალის მინიმალური ოდენობა, ან მან დაკარგა კრედიტორების ნდობა მათ წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულების ნაწილში, ან ბანკს აღარ შეუძლია მისთვის მინდობილი აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
  - გ.ე) კომერციული ბანკის პარტნიორებმა (აქციონერებმა) გადაწყვიტეს ბანკის გაუქმება ან ლიკვიდაცია ან ბანკმა შეწყვიტა არსებობა, როგორც იურიდიულმა პირმა;
  - გ.ვ) კომერციული ბანკი ეწევა ან ეწეოდა ბანკის ფინანსური მდგომარეობისათვის საფრთხის შემქმნელ ან არაჯანსაღ საბანკო პრაქტიკას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მის დეპოზიტორებს;
  - გ.ზ) აქციონერთა გადაწყვეტილებით, კომერციული ბანკი ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება;
  - გ.თ) კომერციული ბანკი გადახდისუუნაროა.
2. ეროვნული ბანკი ვალდებულია გაუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მოქმედება უცხოეთის

ბანკის ფილიალს და შვილობილ ბანკს, თუ ბანკის სათავო დანესებულებას ჩამოერთვა მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში სათანადო ოპერაციების წარმოების უფლება.

3. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისთანავე სავალდებულოა ეროვნული ბანკის მიერ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება ამ კანონის 37-ე მუხლით დადგენილი წესით..

## მუხლი 7. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება თხოვნით

1. კომერციულ ბანკს შეუძლია წერილობით სთხოვოს ეროვნულ ბანკს, გაუქმოს მას ლიცენზია.
2. ეროვნული ბანკი აღნიშნული თხოვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას თხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს კომერციულ ბანკს (უარის შემთხვევაში – მისი საფუძვლის მითითებით).

## მუხლი 8. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნება და მისი შედეგები

1. გადაწყვეტილება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ ქვეყნდება ეროვნული ბანკისა და სხვა ბეჭდვით ორგანოებში. გადაწყვეტილება ძალაში მისი მიღების დღიდან ან თვით ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა თარიღიდან.
2. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან კომერციულ ბანკს ეკრძალება ამ ლიცენზიით მინიჭებული ყოველგვარი საქმიანობა და ამ კანონის 37-ე მუხლით დადგენილი წესით უნდა მოხდეს მისი ლიკვიდაცია. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან კომერციული ბანკი მოვალეა უმოკლეს ვადაში გაანაღდოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ვალდებულება. საქმიანობის შეწყვეტის პერიოდში ყველა ვალდებულების განაღდებად კომერციული ბანკი ემორჩილება ამ კანონის დებულებებს ისევე, როგორც ლიცენზირებული ბანკი.
3. კომერციული ბანკის გადახდისუუნარობასა და გაკოტრებაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ეროვნული ბანკი.

## თავი II კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა

### მუხლი 8<sup>1</sup>. შესაფერისობის დეკლარაცია

1. პირი (შემდგომში – დეკლარანტი), რომელიც აპირებს შეიძინოს კომერციული ბანკის წილი იმ რაოდენობით, რომ მისი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მონაწილეობა ამ ბანკის კაპიტალში გადააჭარბებს 10, 25 ან 50 პროცენტს,

ვალდებულია ეროვნულ ბანკში წარადგინოს შესაფერისობის დეკლარაცია (შემდგომში – დეკლარაცია).

2. დეკლარაციაში დეკლარანტი მიუთითებს:
  - ა) მის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
  - ბ) ინფორმაციას, რომ იგი არ არის ნასამართლევ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
  - გ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ან აღნიშნავს, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ოპერაციის შედეგად ასეთი ბენეფიციარი მესაკუთრე (მესაკუთრეები) არ იქნება;
  - დ) ინფორმაციას, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრე არ არის ნასამართლევ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
  - ე) მის საკუთრებაში არსებული წილის რაოდენობას ამ ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში;
  - ვ) მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, იმ ბენეფიციარი მესაკუთრის საკუთრებაში აღმოჩენილი წილის რაოდენობას, რომლის წილიც აჭარბებს 10, 25 ან 50 პროცენტს;
  - 8) დასკვნას ბენეფიციარი მესაკუთრის დეკლარაციაზე (მისი წარმოდგენის შემთხვევაში), რომელშიც აისახება, ადასტურებს თუ არა იგი ბენეფიციარი მესაკუთრის დეკლარაციაში მოყვანილი ინფორმაციის სიზუსტეს.
- 2<sup>1</sup>. შესაძლებლობის შემთხვევაში დეკლარანტი თავის დეკლარაციას დაურთავს ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მიერ შევსებულ დეკლარაციას (დეკლარაციებს).
3. თუ დეკლარანტის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრე არ არსებობს, იგი ამის შესახებ მიუთითებს დეკლარაციაში და არ ავსებს დეკლარაციის იმ ნაწილებს, რომლებიც შეეხება ბენეფიციარ მესაკუთრეს.

## მუხლი 8<sup>2</sup>. დეკლარაციის განხილვა

1. ეროვნული ბანკი განიხილავს დეკლარაციას მისი წარმოდგენიდან 1 თვის ვადაში და დეკლარანტს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე აძლევს თანხმობას ან ეუბნება დასაბუთებულ უარს.
2. თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ წარმოდგენილია არასაკმარისი ან არაზუსტი ინფორმაცია, მას უფლება აქვს აღნიშნული გადაამოწმოს ან დააზუსტოს უშუალოდ ბენეფიციარ მესაკუთრესთან. ამ შემთხვევაში პასუხის გაცემის ვადა გრძელდება 3 თვემდე და ამის შესახებ უნდა ეცნობოს დეკლარანტს.

3. დეკლარაციის წარმოდგენიდან 1 თვის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემას.
4. მნიშვნელოვანი წილის შექმნის შესახებ გარიგება ბათილია, თუ დეკლარანტმა ეროვნულ ბანკს არ წარუდგინა დეკლარაცია ან ეროვნული ბანკისაგან მიიღო დასაბუთებული უარი, მაგრამ მაინც შეიძინა კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილი.

## მუხლი 8<sup>3</sup>. ეროვნული ბანკისთვის წარსადგენი ინფორმაცია

1. კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წლიურ ან-გარიშთან ერთად, მის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, აწვდის ინფორმაციას მისი 10 პროცენტზე მეტი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ და აღნიშნავს, ადასტურებს თუ არა ამ ინფორმაციის სიზუსტეს.
2. ბენეფიციარი მესაკუთრე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კომერციული ბანკის წილის 10 პროცენტზე მეტს, ვალდებულია ყოველი წლის აპრილში ეროვნულ ბანკს წარუდგინოს დეკლარაცია წინა წლის დეკემბრის მონაცემების მიხედვით.
3. კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ ეროვნული ბანკისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში დადგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

## მუხლი 8<sup>4</sup>. სანქცია და გასაჩივრება

1. საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ეროვნულ ბანკს შეუძლია კომერციული ბანკისაგან მოითხოვოს მისი მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ დეკლარაციის წარდგენა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი პირს:
  - ა) გარკვეული ვადით შეუჩეროს ხმის უფლება და მოსთხოვოს 60 დღის ვადაში მის საკუთრებაში არსებული წილის 10 პროცენტამდე შემცირება;
  - ბ) უვადოდ შეუჩეროს ხმის უფლება.
3. შესაბამისი პირს უფლება აქვს ეროვნული ბანკის გადანყვეტილება კომერციული ბანკის წილის შექმნაზე უარის, ხმის უფლების შეჩერების ან/და მის საკუთრებაში არსებული წილის 10 პროცენტამდე შემცირების მოთხოვნის შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში.
4. ხმის უფლების შეჩერების შესახებ სასამართლოს გადანყვეტილების არსებობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს ისარგებლოს მხოლოდ წილის 10 პროცენტის შესაბამისი ხმის უფლებით.

## თავი III საკუთრების უფლება და მართვა

### მუხლი 9. მოთხოვნები კომერციული ბანკის კაპიტალისა და რეზერვების მიმართ

1. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვების, განაღდებული სანესდებო კაპიტალისა და საზედამხებველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას და მათი შექმნის წესებს. კომერციულ ბანკს ეკრძალება სანესდებო კაპიტალის შევსება (ფორმირება) არაფულადი ფორმით.
2. კომერციულ ბანკს არა აქვს უფლება, შეამციროს თავისი სანესდებო კაპიტალი აქციების გამოსყიდვით ან შეამციროს საზედამხებველო კაპიტალი რეზერვების გამოყენებით ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და სანესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ წესდებაში სათანადო შესწორების შეუტანლად..

### მუხლი 10. კომერციული ბანკის საკუთრების უფლებისა და აქტივების სტრუქტურის შეზღუდვა

1. კომერციული ბანკი უფლებამოსილია:
  - ა) ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს იურიდიული პირის სანესდებო კაპიტალის წილის არა უმეტეს 20 პროცენტისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს;
  - ბ) შეუზღუდავი ოდენობით ფლობდეს წილს გარკვეულ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ საბანკო საქმიანობასთან. ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე ეს წილი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს;
  - გ) ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის საფუძველზე შექმნას და შეიძინოს შვილობილი საწარმოები, რომლებიც ეწევიან სხვა სახის საქმიანობას. ნებართვაში თითოეული შვილობილი საწარმოს მიხედვით დათქმული უნდა იყოს საქმიანობის სახეობა, რომლის განხორციელებაც მას შეუძლია. ამ შემთხვევაში შვილობილი საწარმოების საქმიანობა შეზღუდულია ნებართვაში დათქმული საქმიანობის სახეობით;
  - დ) მიიღოს წილი მის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად. ასეთ შემთხვევაში, თუ დაირღვა ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, იგი ვალდებულია გაასხვისოს ნამეტი წილი ამ უფლების შექმნიდან არა უგვიანეს 6 თვისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა;
  - ე) შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო – საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში, და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება

2. მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებში მითითებული წილების ერთობლივი ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს კომერციული ბანკის სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს.
3. კომერციული ბანკი ვალდებულია, ჰქონდეს სრული ინფორმაცია ბანკის თითოეული ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს წილის 10 პროცენტზე მეტს (მისი ოდენობის მითითებით), აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს ეროვნულ ბანკს ისევე, როგორც ინფორმაცია ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების თაობაზე, და საჭაროდ გამოაქვეყნოს ეს ინფორმაცია თავის წლიურ ანგარიშში. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ასეთი ინფორმაციის მინოდებისა და გამოქვეყნების წესს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ შეეხება კომერციული ბანკის იმ ბენეფიციარ მესაკუთრეს, რომლის ვინაობის დადგენაც ბანკს არ შეუძლია, ვინაიდან მის სასარგებლოდ ნომინალური მფლობელობა ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებში განთავსებული და იქ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საკლირინგო ორგანიზაციების ან საერთაშორისო დეპოზიტარების მიერ.
5. ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომლებიც შეეხება კომერციული ბანკის პარტნიორს (აქციონერს), აგრეთვე ვრცელდება ბენეფიციარ მესაკუთრეზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კომერციული ბანკის აქციებს (წილს).

### მუხლი 10<sup>1</sup>. მოთხოვნები კომერციული ბანკის შვილობილი საწარმოს მიმართ, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ახორციელებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობას

1. კომერციულმა ბანკმა საქართველოს ფარგლებს გარეთ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით შვილობილი საწარმოს შექმნიდან ან შექმნიდან 14 დღის ვადაში ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ბანკის გადანყვეტილება იმის თაობაზე, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF-ის) რეკომენდაციების

შესრულების მიზნით შვილობილმა საწარმომ ფუნქციონირების დაწყებისთანავე შეიმუშავა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა.

2. თუ შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით არ არის გათვალისწინებული შვილობილი საწარმოს მიერ FATF-ის რეკომენდაციების შესრულება ან ამ ქვეყანაში არ ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ ან საკმარისად არ სრულდება FATF-ის რეკომენდაციები:

- ა) ბანკმა უნდა აიღოს წერილობითი ვალდებულება, რომ იგი უზრუნველყოფს თავისი შვილობილი საწარმოს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დადგენილი ღონისძიებების განხორციელებას ბანკისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;
- ბ) ბანკი უზრუნველყოფს ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, რომ მისი შვილობილი საწარმო ვერ ახორციელებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას იმის გამო, რომ ამას კრძალავს ან ზღუდავს შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.

### მუხლი 11. კომერციული ბანკების შერწყმა, მიერთება ან გაყოფა

კომერციული ბანკების შერწყმა, მიერთება ან გაყოფა შეიძლება მხოლოდ ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ. დაუშვებელია ისეთი შერწყმა, მიერთება ან გაყოფა, რომელიც არ შეესაბამება ამ კანონის მე-10 მუხლის დებულებებს.

### მუხლი 12. კომერციული ბანკის წესდება

- 1. თითოეულ კომერციულ ბანკს აქვს წესდება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ წერილობით დაუყოვნებლივ ეცნობება ეროვნულ ბანკს.
- 2. თითოეული კომერციული ბანკის მართვა ხორციელდება შინაგანანხით, რომელმაც მისი წესდების შესაბამისად უნდა განსაზღვროს:
  - ა) ბანკისა და მისი საოპერაციო და ადმინისტრაციული ქვედანაყოფების ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა, მათი შემადგენელი ერთეულები და ფუნქციები, მმართველობითი თანამდებობები და ანგარიშვალდებულებები;
  - ბ) თითოეული დეპარტამენტის დირექტორისა და მის დაქვემდებარებაში და კონტროლის ქვეშ მყოფი განყოფილების მოვალეობანი;

- გ) აუდიტის კომიტეტის ფუნქციები;
  - დ) ადმინისტრატორებისა და ბანკის სხვა თანამშრომელთა უფლებამოსილება, აწარმოონ საბანკო ოპერაციები ბანკის სახელით და მის ხარჯზე.
3. თითოეული კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წარუდგენს წესდებას, შინაგანანხეს და იმ თანამდებობის პირთა სიებს, რომლებსაც აქვთ ბანკის წარმომადგენლის უფლებამოსილება, მათი ხელმოწერის ნიმუშებთან ერთად და მათი უფლებამოსილების ფარგლების აღნიშვნით.

### მუხლი 13. კომერციული ბანკის ხელმძღვანელი ორგანოები

კომერციული ბანკის ხელმძღვანელ ორგანოთა ფორმირება და ფუნქციონირება ხორციელდება „შენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. კომერციული ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდების შესაბამისად. იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს. ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის მითითებით კრებაში შესაძლო მონაწილეობის მისაღებად აქციონერებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა მიეწოდოს ეროვნულ ბანკს.

### მუხლი 14. სამეთვალყურეო საბჭო

- 1. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ზედამხედველობას კომერციული ბანკის საქმიანობაზე. იგი შედგება სულ მცირე 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან, ამასთან, წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს.
- 11. კომერციული ბანკის დირექტორი (დირექტორები) შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები). დირექტორი (დირექტორები) არ შეიძლება წარმოადგენდეს უმრავლესობას სამეთვალყურეო საბჭოს სრულ შემადგენლობაში. დირექტორი არ უნდა მონაწილეობდეს საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეეხება დირექტორატის (ადმინისტრაციული ორგანოების) საქმიანობის ზედამხედველობას, მათი ანგარიშების დამტკიცებასა და შეფასებას.
- 2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 წლის ვადით. მათი განმეორებითი არჩევა შეუძლებელია.
- 3. აქციონერთა საერთო კრება განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხს. აკრძალულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიმართ რაიმე სახის წახალისების ზომების გამოყენება კომერციული ბანკის ხარჯებიდან.
- 4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს და აქციონერთა საერთო კრების გადანაცვტილებით საბჭოდან გამოყვანილ უნდა იქნეს პირი, რომელიც:
  - ა) არის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრი საქართველოში რეგისტრირებულ შვიდზე მეტ საწარმოში;

- ბ) არის საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ ბანკის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მოცემული კომერციული ბანკი;
  - გ) კანონის შესაბამისად არ არის უფლებამოსილი, დაიკავოს ადგილი სამეთვალყურეო საბჭოში;
  - დ) გამოცხადებულია გაკოტრებულად.
5. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს:
- ა) ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
  - ბ) საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
  - გ) ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება;
  - დ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა.
6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კომერციული ბანკის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად, ბანკზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდნენ ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობებს, წარმოშობილი ზიანისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს ბანკის წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ბანკის უარი ან კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია ბანკის კრედიტორთა დასაცავად. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი გადახდისუნარიანია ან გაკოტრების თავიდან აცილების ანდა საბანკო საქმიანობის შეწყვეტის მიზნით მორიგდება თავის კრედიტორებს. თუ ანაზღაურება აუცილებელია ბანკის კრედიტორთა დასაცავად, ბანკის ადმინისტრატორთა ვალდებულება არ წყდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მოქმედებენ აქციონერთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.
7. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს კომერციული ბანკის ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად. მათ უნდა უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორების შერჩევა და შენარჩუნება, კომერციული ბანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა და საბანკო საქმიანობის პოლიტიკის წერილობით ჩამოყალიბება.

8. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.

## მუხლი 15. დირექტორატი

1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალუებათ კომერციული ბანკის დირექტორებს. ისინი პასუხისმგებელი არიან ბანკის საქმეების მართვასა და მისი ფუნქციების შესრულებაზე. დირექტორატი შედგება 3 დირექტორისაგან მინც, რომელთაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არა უმეტეს 4 წლის ვადით. მათი განმეორებით დანიშვნა შეუძლებელია.
2. კომერციული ბანკის დირექტორატის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს ან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დირექტორატის წევრის თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც:
  - ა) ვერ აკმაყოფილებს ბანკის დირექტორის შესაფერისობის კრიტერიუმებს;
  - ბ) ამოღებულია
  - გ) კანონის შესაბამისად არ აქვს უფლება დაიკავოს ადგილი დირექტორატში;
  - დ) გამოცხადებულია გაკოტრებულად;
  - ე) ამოღებულია
  - ვ) არის ამ ბანკის დირექტორატის წევრის მეუღლე, შვილი ან ახლო ნათესავი.
3. კომერციული ბანკის დირექტორატს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება.

## მუხლი 16. აუდიტის კომიტეტი

1. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეთვალყურეო საბჭოსთან იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება დამოუკიდებელი წევრებისაგან. წევრი ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის არ არის კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირი და მას ან/და მასთან ნათესაური კავშირის მქონე იმ პირებს, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ შემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან, არ აქვთ კომერციული ბანკის მიმართ ფინანსური ვალდებულება.
2. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ.
3. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა.



## მუხლი 17. საბანკო საიდუმლოება

1. არავის არა აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიენოდოს მხოლოდ ეროვნულ ბანკს, მისი კომპეტენციის ფარგლებში.
2. ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი გარიგების მონაწილე მხარეებს, შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.
3. სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციების გამოყენება საჯარო გამოსვლებში.

## მუხლი 17<sup>1</sup>. ინფორმაციის გადამონმების უფლება

1. ბანკს უფლება აქვს, პირის წერილობითი თანხმობის საფუძველზე მიიღოს ამ პირის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.
2. ბანკი ვალდებულია არ დაუშვას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული პირის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მესამე პირისთვის გადაცემა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

## მუხლი 18. კომერციული ბანკის ფილიალები

კომერციული ბანკის ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

## თავი IV საოპერაციო მოთხოვნები

### მუხლი 19. საბანკო საქმიანობის ზოგადი პრინციპები

1. კომერციული ბანკის მართვა და მისი საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების, საბანკო საქმიანობის ლიცენზიისათვის დართული პირობებისა და შეზღუდვების, აგრეთვე ეროვნული ბანკის დადგენილებების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. ეროვნული ბანკის წესები, ნორმატივები და ინსტრუქციები, რომლებიც შეეხება ერთზე მეტ კომერციულ ბანკს, ექვემდებარება აუცილებელ გამოქვეყნებას და ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან ან ამ წესებში, ნორმატივებსა და ინსტრუქციებში მითითებული თარიღიდან. თუ არ არსებობს ამა თუ იმ მიმართულების საბანკო საქმიანობის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი, კომერციული ბანკი მოქმედებს საერთაშორისო საბანკო ნორმებისა და ჩვევების შესაბამისად.
2. კომერციული ბანკი ინარჩუნებს კაპიტალისა და ლიკვიდური რესურსების სათანადო დონეს და ახდენს თავისი აქტივების დივერსიფიკაციას დანაკარგების რისკის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის მოთხოვნათა შესაბამისად.
3. საბანკო მომსახურების თაობაზე კლიენტსა და ბანკს შორის ურთიერთობის პირობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. ფულადი გადარიცხვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისას, ბანკი ვალდებულია კლიენტს გადაუხადოს დაგვიანებული თანხის არა ნაკლებ 0,5 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.
4. კომერციულ ბანკს უფლება აქვს, შეიმუშაოს და ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს მის მიერ კონკრეტული საბანკო მომსახურების განწვევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკა. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კონკრეტული საბანკო მომსახურების განწვევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე კონკრეტული საბანკო მომსახურების განწვევის დროს გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

### მუხლი 20. საბანკო საქმიანობა

1. კომერციული ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი:
  - ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

- ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;
- გ) საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;
- დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;
- ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- ე<sup>1</sup>) უპროცენტო საბანკო მომსახურება;
- ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- ზ) კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- თ) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- ი<sup>1</sup>) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;
- ი<sup>2</sup>) ქონების იჯარით გაცემა;
- ი<sup>3</sup>) საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;
- კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.
- 2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებების განხორციელება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.
- 3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების განხორციელებამდე კომერციული ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს შესაბამისი საბანკო პროდუქტის აღწერა.

**მუხლი 21. ეკონომიკური ლიმიტები და ნორმატივები**

- 1. კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები:
  - ა) სანესდებო და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;
  - ბ) ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა ეროვნული ბანკის წესების შესაბამისად;

- გ) ბანკის მიერ მოზიდული ანაბრების ზღვრული თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;
- დ) ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე (ინსაიდერსა და აუტსაიდერზე) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;
- ე) ბანკის მიერ ყველა ინსაიდერზე (ბანკთან, ასევე ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებზე) გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალთან;
- ვ) ყველა გაცემული კრედიტისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის მაქსიმალურად დასაშვები მთლიანი მოცულობა, რომელიც გამოიხატება პროცენტულად ბანკის მიერ გაცემულ ყველა კრედიტთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება გასცეს ბანკმა 10 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე (მათ შორის, ინსაიდერებსა და ურთიერთდაკავშირებულ პირებზე).
- 2. კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ნორმატივების მოთხოვნები:
  - ა) ლიკვიდური სახსრების მინიმალური ერთობლივი თანხის ან ასეთი სახსრების კონკრეტულ სახეობათა თანაფარდობა აქტივების (მიღებული გარანტიებისა და გირაოს ჩათვლით) ღირებულებასთან ან მათი ღირებულების ცვლილებასთან. ასეთი თანაფარდობა შეიძლება დანესდეს ზოგადად აქტივებთან ან ვალდებულებებთან (გარესაბაღანსო ვალდებულებების ჩათვლით) ან მათ კონკრეტულ სახეობებთან. ბანკს აქვს ლიკვიდურობის დაცვის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულ ბანკში შესაბამისი სახსრების განთავსების უფლება;
  - ბ) კრედიტებისა და ინვესტიციების, ან მათი განსაკუთრებული სახეების მაქსიმალური ერთობლივი თანხის შესახებ;
  - გ) აქტივებისა და გარესაბაღანსო ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება და გამოყენება, ასევე ის ვადები და პირობები, რომლებითაც აქტივების მიხედვით მისაღები თანხები აღარ აღირიცხება შემოსავალში, გარდა ნაღდად მიღებულისა;
  - დ) აკრძალვების, შეზღუდვების ან პირობების შესახებ, რომლებიც შეეხება:
    - დ.ა) გაცემული კრედიტებისა და განხორციელებული ინვესტიციების სახეობები და ფორმები;
    - დ.ბ) აქტივებისა და ვალდებულებების (გარესაბაღანსო და სხვა ვალდებულებების) მიხედვით დაბრუნების ვადებისა და პროცენტების შესაბამისობა;
    - დ.გ) დადგენილი ლიმიტების გადამეტებით წარმოქმნილი ღია პოზიციები უცხოურ ვალუტაში, ძვირფას ლითონებში ან ძვირფას ქვებში.
  - 3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია რისკზე დამყარებული ზედამხედველობის პრინციპებიდან გამომდინარე თითოეული კომერციული ბანკის მიმართ დაადგინოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების ინდივიდუალური მაჩვენებლები და მოთხოვნები.

## მუხლი 21<sup>1</sup>. ანგარიშის გახსნა

1. კომერციული ბანკები ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებენ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. კომერციულმა ბანკებმა თავიანთი მომსახურების მომხმარებლებთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების შემოწმებისას უნდა იცოდნენ თავიანთი მომსახურების მომხმარებელთა ვინაობა, საქმიანობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ამ საქმიანობის რისკის დონე.
3. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია.
4. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანგარიშის გახსნაზე.

## მუხლი 22. აკრძალული გარიგებები და მუშაობის მეთოდები

1. კომერციულ ბანკს ეკრძალება ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგადაც იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე, აგრეთვე ყოველგვარი მანიპულაცია, რომელიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მას ან მესამე პირებს, შექმნის საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას. საბანკო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონკურენციის პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი, რომელიც განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობის დასაშვებ პარამეტრებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ზემოქმედების ზომებს.
2. კომერციულ ბანკს არ აქვს უფლება, რომელიმე კლიენტთან დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სესხის გაცემის ან რაიმე საბანკო მომსახურების განწვევის პირობაა ამ ბანკის ან მისი რომელიმე მონათესავე საწარმოს არასაბანკო მომსახურების შესყიდვა ან გამოყენება, თუ კლიენტს არ მიეცა აღნიშნული არასაბანკო მომსახურების სხვა მომწოდებლისგან მიღების შესაძლებლობა.

## მუხლი 23. გარიგებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია

1. კომერციული ბანკი ვალდებულია ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვადით შეინახოს ყველა საბუთი, რომელიც მის თითოეულ გარიგებას შეეხება, კერძოდ:
  - ა) შუამდგომლობები და ყველა სახელშეკრულებო

- ბ) ბანკის პარტნიორების (მსესხებლებისა და გარანტორების ჩათვლით) ფინანსური ჩანაწერები და სხვა დოკუმენტური მონომბები, რომლებსაც ეყრდნობა ბანკი გარიგების დამტკიცებისას;
  - გ) გარიგების დამტკიცების შესახებ ბანკის გადანაცვტილების ხელმოწერილი ჩანაწერი;
  - დ) ეროვნული ბანკის ნორმატივებით გათვალისწინებული სხვა საბუთები.
2. კომერციული ბანკი ვალდებულია კლიენტებისა და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეინახოს არანაკლებ 15 წლის განმავლობაში.

## მუხლი 24. ამოღებულია

## მუხლი 25. გარიგებები დაინტერესებულ პირებთან

კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ შეღავათიანი პირობებით ნებისმიერი ადმინისტრატორისათვის, მაკონტროლებელი პირისათვის, მონათესავე საწარმოსათვის ან მათთან დაკავშირებულ პირთათვის საბანკო საქმიანობაში შემავალი ნებისმიერი პროდუქტის მიცემა ან ნებისმიერი საბანკო მომსახურების განწვევა სესხის სახეობის, საპროცენტო განაკვეთის, დაფარვის ვადის, უზრუნველყოფის საშუალების, ღირებულების ან რაიმე სხვა პირობების მიუხედავად.

## თავი IV<sup>1</sup>

## მუხლი 25<sup>1</sup>. ამოღებულია

## თავი V ანგარიშები, აუდიტი, ანგარიშგება და ინსპექცია

## მუხლი 26. ანგარიშები და საფინანსო ანგარიშგება

1. ბანკები და მათი შვილობილი ორგანიზაციები სისტემატურად აწარმოებენ ანგარიშებსა და ჩანაწერებს და ადგენენ წლიურ საფინანსო ანგარიშგებას, რომლებიც საერთაშორისო საბუღალტრო მეთოდების საფუძველზე ზუსტად ასახავს მათ ოპერაციებს და ფინანსურ მდგომარეობას, ამასთან იცავენ საქართველოს ეროვნული ბანკის წესების შესაბამის ფორმას, დეტალურობის დონეს და სააღრიცხვო ნორმებს.
2. ბანკების ანგარიშები, ჩანაწერები და საფინანსო ანგარიშგება კრებსით საფუძველზე ასახავს მათი შვილობილი ორგანიზაციების ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობას.

## მუხლი 27. გარე აუდიტი

1. თითოეული კომერციული ბანკი და მისი შვილობილი საწარმო ვალდებულია ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატაროს გარეაუდიტორული შემოწმება.
2. თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია გარეაუდიტორული შემოწმების დასრულებისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შემოწმების სრული ანგარიში და გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული საფინანსო ანგარიშგება და გარეაუდიტორული დასკვნა.

## მუხლი 28. უცხოეთის ბანკის ფილიალი

ამ კანონის 26-ე, 27-ე და 29-ე მუხლების დებულებები ვრცელდება უცხოეთის ბანკის ფილიალზე და შვილობილ ორგანიზაციაზე, რომლებიც საქართველოში საქმიანობას ეწევიან ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიებით. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ბანკის ფილიალის საფინანსო-საანგარიშგებო საბუთები შეიძლება წარდგენილ იქნეს გამარტივებული საფინანსო ანგარიშების სახით, რაც გულისხმობს, რომ ბანკის ფილიალის აუდიტის კომიტეტად შეიძლება ჩაითვალოს მოცემული უცხოეთის ბანკის აუდიტის კომიტეტი ან სხვა შესაბამისი ორგანო.

## მუხლი 29. ანგარიშგება და ინსპექციები

1. კომერციული ბანკი ამზადებს და ეროვნულ ბანკს წარუდგენს ანგარიშგებებს, რომლებშიც ასახავს (როგორც თვით ბანკის, ისე მისი შვილობილი ორგანიზაციების) ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო და საოპერაციო საქმიანობას; ლიკვიდურობას, გადახდისუნარიანობას და მომგებიანობას, თვით ბანკისა და მისი შვილობილი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის ერთობლივად და ცალ-ცალკე შეფასების მიზნით. ანგარიშგების ფორმა, ხარისხი და მისი წარდგენის ვადები განისაზღვრება ეროვნული ბანკის ნორმატივებით.
2. თითოეული კომერციული ბანკი და მისი შვილობილი ორგანიზაცია ექვემდებარება ინსპექტირებას, რომელსაც ახორციელებენ ეროვნული ბანკის ინსპექტორები ან ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული აუდიტორები. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირება ხორციელდება უცხოეთის ბანკის ფილიალში ან შვილობილ ორგანიზაციაში, აუდიტორები შეიძლება იყვნენ შესაბამისი ქვეყანაში მოქმედი საფინანსო ან საკონტროლო ორგანოს მოსამსახურეები.
3. კომერციული ბანკისა და მისი შვილობილი ორგანიზაციის ინსპექტირებისას ეროვნულ ბანკს და მის აუდიტორებს უფლება აქვთ:
  - ა) შეამოწმონ კომერციული ბანკისა და მისი შვილობილი ორგანიზაციის ანგარიშები, სახსრები, დავთრები, საბუთები და სხვა აუცილებელი ჩანაწერები;
  - ბ) მოსთხოვონ კომერციული ბანკის ადმინისტრაცი-

ტორებს, თანამშრომლებს, ასევე მათი მონათესავე საწარმოების ადმინისტრატორებსა და თანამშრომლებს, მიაწოდონ ინფორმაცია კომერციული ბანკის აქციონერების, მაკონტროლებელი პირებისა და ადმინისტრატორების შესახებ, ასევე ოპერაციებთან და გარიგებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები.

## თავი VI დარღვევები და სანქციები

### მუხლი 30. დარღვევები და სანქციები

1. ამ მუხლში მითითებული დარღვევებისათვის განსაზღვრულ სანქციებს თითოეულ შემთხვევაში უფარდებს ეროვნული ბანკი. მხარეს, რომლის მიმართაც სანქცია გამოიყენება, აქვს მისი სასამართლოში გასაჩივრების უფლება.
2. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, კომერციული ბანკის, მისი ადმინისტრატორებისა და მაკონტროლებელი პირების მიმართ გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილი სანქციები, თუ ბანკმა ან მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა:
  - ა) დაარღვია ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან ეროვნული ბანკის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება, მოთხოვნა, წერილობითი მითითება;
  - ბ) დაარღვია ნებისმიერი პირობა ან შეზღუდვა, რომელიც დართული აქვს საბანკო საქმიანობის ლიცენზიას ან ეროვნული ბანკის შესაბამის დებულებას;
  - გ) დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადები ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია;
  - დ) დაარღვია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.
  - ე) დაარღვია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დარღვევების გამოვლენისას ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და კომერციული ბანკის აქტივების არსებული თუ შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სანქციები:
  - ა) კომერციულ ბანკს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;
  - ბ) დაანესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ კომერციულმა ბანკმა შეწყვიტოს და შემდგომში არ დაუშვას ესა თუ ის დარღვევა და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიიღოს დარღვევის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომები;

- გ) კომერციულ ბანკს დააკისროს ფულადი ჯარიმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ბანკის საკუთარი სახსრებისა;
- დ) კომერციულ ბანკს გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, თუ ადმინისტრატორის ქმედებამ ფინანსური ზარალი მიაყენა ბანკს ან დაუშვა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა;
- ე) ადმინისტრატორს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება და კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მოსახოვოს მისი თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან თანამდებობიდან განთავისუფლება;
- ვ) სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატს მოსახოვოს კომერციული ბანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა დარღვევათა განსახილველად და მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელი ზომების მიღება;
- ზ) კომერციულ ბანკს შეუჩეროს ან შეუზღუდოს აქტივების ზრდა, მოგების განაწილება, დივიდენდებისა და პრემიების გაცემა, ხელფასების გაზრდა და დეპოზიტების მოზიდვა;
- თ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საფრთხე ემუქრება კომერციული ბანკის მენაბრეთა ან სხვა კრედიტორთა ინტერესებს, შეუჩეროს მას აქტიური ოპერაციები, შემოიღოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი;
- ი) მოითხოვოს კომერციული ბანკის მაკონტროლებელი პირისაგან კონტროლის გაუქმება ან შეზღუდვა ეროვნული ბანკისათვის საფინანსო ან სხვა ინფორმაციის მიუწოდებლობის ან ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. ასეთ გაუქმებას ან შეზღუდვას უნდა ახლდეს პირობები და ვადები, რომლებსაც ეროვნული ბანკი საჭიროდ მიიჩნევს არსებული გარემოებებიდან გამომდინარე;
- კ) კომერციულ ბანკს გაუუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია.
- 4. სანქცია უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სერიოზულობას და კომერციული ბანკის აქტივებისათვის მიყენებულ ზარალს ანდა შესაძლო საფრთხეს.
- 5. ამ მუხლის შესაბამისად დაკისრებული ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

- ბ) დროებითი ადმინისტრატორის (ადმინისტრატორების) სახელი და გვარი;
- გ) დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადა;
- დ) გაფრთხილება ბანკის კლიენტთა ანაბრებისა და სხვა სახსრების შესაძლო გაყინვის შესახებ;
- ე) ზომები, რომლებიც გამოიყენება ბანკის ადმინისტრატორების მიმართ.

**მუხლი 33. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი**

1. დროებითი ადმინისტრაცია მოვალეობათა შესრულებას იწყებს დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ დღიდან. გადაწყვეტილება ქვეყნდება ბეჭდით ორგანოში.
- 1<sup>1</sup>. დროებითი ადმინისტრატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის დღისა, აცნობოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღების შესახებ იმ საგადახდო სისტემის ოპერატორს, რომლის სისტემის მონაწილეც არის კომერციული ბანკი, რომელსაც დროებითი ადმინისტრაცია მართავს.
2. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დღიდან დაუშვებელია ნებისმიერი ქმედების განხორციელება კომერციული ბანკის სახელით და მის ხარჯზე დროებითი ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. დროებით ადმინისტრატორზე გადადის კომერციული ბანკის ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრატორების) სრული უფლებამოსილება.
4. დროებითი ადმინისტრატორი ვალდებულია უმოკლეს ვადაში აღძრას შუამდგომლობა საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილი თანამდებობის პირთა სიაში აუცილებელი ცვლილებების შეტანის შესახებ.
5. ამოღებულია

**მუხლი 34. დროებითი ადმინისტრაციის უფლებამოსილებანი**

1. ეროვნული ბანკის მიერ დანიშნულ დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს, მიიღოს აუცილებელი ზომები კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, მისი ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ქვედანაყოფების გაყიდვის ან დახურვის, ბანკის მოსამსახურეთა თანამდებობიდან განთავისუფლების, სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების ჩათვლით. დროებითი ადმინისტრატორი ასევე უფლებამოსილია, მოახდინოს კომერციული ბანკის სხვა კომერციულ ბანკთან შერწყმა, მისი კაპიტალის განახლება ან მისი აქტივებისა და ვალდებულებების ან მათი ნაწილის სხვა კო-

**თავი VII  
დროებითი ადმინისტრაცია  
და ლიკვიდაცია**

**მუხლი 31. ამოღებულია**

**მუხლი 32. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის წესი**

დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაში აღინიშნება:

- ა) დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის საფუძვ-

მერციულ ბანკზე გასხვისება. დროებითი ადმინისტრატორის მიერ სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

2. კომერციული ბანკის დროებითი ადმინისტრატორს უფლება აქვს, კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის ნებისმიერ მომენტში მთლიანად ან ნაწილობრივ მოახდინოს ბანკში ფიზიკური და იურიდიული პირების ნებისმიერი ფულადი სახსრების ბლოკირება დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადით, იმ პირობით, რომ მიიღებს აუცილებელ ზომებს მათი სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად, თუ ეს არ ეწინააღმდეგება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

### მუხლი 35. დროებითი ადმინისტრაციის გაუქმება

დროებითი ადმინისტრაცია უქმდება:

- ა) მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, რის შესახებაც ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში;
- ბ) ეროვნული ბანკის დასაბუთებული გადაწყვეტილებით;
- გ) ბანკისათვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში.

### მუხლი 36. ამოღებულია

### მუხლი 37. ლიკვიდაცია

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება კომერციული ბანკის ლიკვიდაცია. ლიკვიდატორის ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით. დაუშვებელია ამ კომერციულ ბანკთან დაკავშირებული პირის ლიკვიდატორად დანიშვნა. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება იძულებითი აღსრულება.
11. თუ ლიკვიდირებული კომერციული ბანკი იყო საგადახდო სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი, ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშნისთანავე უზრუნველყოს მის მიერ ფუნქციების შესრულების დაწყებამდე სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა ან/და ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშნიდან 3 თვის განმავლობაში შეადგინოს აქტივებისა და პასივების ნუსხა და მისი ასლი გადასცეს ეროვნულ ბანკს გამოსაქვეყნებლად. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესით.
3. კომერციული ბანკის ლიკვიდატორი უფლებამოსილია

სილია საჯარო აუქციონზე გაყიდოს ბანკის აქტივები ან აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს კრედიტორებს რიგითობის მიხედვით, სხვა ბანკს გადასცეს სესხებზე ან სხვა საფინანსო აქტივებზე მოთხოვნის უფლება და ორგანიზება გაუწიოს ამ ბანკებისათვის ვალდებულებათა გადაცემას.

4. ლიკვიდატორს დანიშნის დღიდან სამი თვის განმავლობაში შეუძლია შეწყვიტოს:
  - ა) გარიგება ბანკის თანამშრომლის დაქირავების შესახებ;
  - ბ) კონტრაქტები მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებაშიც ბანკი იღებდა მონაწილეობას;
  - გ) ბანკის ნებისმიერი ვალდებულება როგორც უძრავი ქონების მოიჭარისა, თუ შეიჭარეს, (რომელიც 60 დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ ბანკი აპირებს გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება), არა აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელებზე, გარდა იმ თანხისა, რომელიც დაირიცხა შეთანხმების გაუქმების თარიღისათვის და არ მოითხოვს ასეთი გაუქმების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებას.
41. კომერციული ბანკის დროებითი ადმინისტრატორი და ლიკვიდატორი უფლებამოსილი არიან სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადონ კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ დროებითი ადმინისტრატორის ან ლიკვიდატორის დანიშვნამდე ერთი წლით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება და მოითხოვონ მათი ბათილობა თუ ამის შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულმა პირებმა ამ ბანკის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია ბანკისათვის (მისი კრედიტორებისათვის) ზიანის მიყენება.
5. ლიკვიდატორმა დანიშნიდან ორი თვის ვადაში უნდა:
  - ა) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა რწმუნებული პირის ყველა იმ ფუნქციის შეწყვეტისათვის, რომელსაც ასრულებდა დაწესებულება, დაუბრუნოს დაწესებულების, როგორც რწმუნებული პირის კუთვნილი ყველა აქტივი და საკუთრება მათ მე-საკუთრეს და განახორციელოს ყველა ანგარიშსწორება რწმუნებული პირის ანგარიშების მიხედვით; გაუგზავნოს დაზღვეული წერილით ამონაწერები მოთხოვნათა ხასიათისა და თანხის შესახებ ბანკის სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად ყველა მესაბრეს, დანარჩენ კრედიტორებს, კლიენტებს, რომლებიც ბანკის სეიფებში ინახავენ ფასეულობას, აგრეთვე იმ ქონების დეპონენტებს, რომელსაც განაგებს დაწესებულება; ამონაწერში აღინიშნება, რომ ლიკვიდატორისათვის პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია წერილის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში, აგრეთვე ის რომ კლიენტებს, შეუძლიათ თავიანთი ფასეულობის მიღება.
  - ბ) კომერციული ბანკის ტერიტორიაზე შენახული ქონება, რომელიც ამონაწერში მითითებულ ვადებში არ არის გამოთხოვილი, მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება, რომლებიც ბანკზე

ირიცხება ხელშეკრულების საფუძველზე, ითვლება მოუკითხავ რესურსად და გადადის ეროვნული ბანკის მფლობელობაში, მესაკუთრის გამოვლენის მიზნით.

7. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს ფინანსური გირაოს მოგირავნეს აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები, რომელთა საფუძველია გირაო, დაკმაყოფილდება შესაბამისი შეთანხმების პირობების თანახმად (გირაოს ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანამიმდევრობით:
  - ა) ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც კომერციულ ბანკს წარმოეშვა ვალდებულება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ;
  - ბ) ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები არა უმეტეს 1500 ლარისა;
  - გ) ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
  - დ) იურიდიულ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები;
  - ე) საბიუჯეტო დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
  - ვ) კომერციული ბანკის მიმართ დანარჩენი მოთხოვნები.
8. თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მოთხოვნების სრულად დასაფარავად, მაშინ ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.
9. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.
10. ისეთი აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე კომერციული ბანკის აქტივი იყო, ის ავტომატურად ჩაითვლება ლიკვიდირებული ბანკის აქტივად, რომლის განკარგვის უფლებასაც იძენს ეროვნული ბანკი. თუ ლიკვიდირებული ბანკის ამოღებული აქტივი არის ფულადი სახსრები, ისინი უნდა გადაირიცხოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ლიკვიდირებული ბანკების მოუკითხავი თანხების ანგარიშზე და განაწილდეს ლიკვიდატორის მიერ საბოლოოდ წარმოდგენილი ვალდებულებების დაზუსტებული რიგითობის მიხედვით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. არაფულადი სახის მატერიალური აქტივის ამოღების შემთხვევაში, მისი განკარგვის მიზნით, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც განსაზღვრავს ამოღებული აქტივის განკარგვის წესს ლიკვიდირებული ბანკის ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლად.

## თავი VIII გარდამავალი ხასიათის დეპულებები

### მუხლი 38. ამოღებულია

### მუხლი 38<sup>1</sup>. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში

პირი შეიძლება იყოს კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, თუ:

- ა) იგი არ არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილი პირი;
- ბ) იგი ნასამართლევია არ არის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
- გ) მას აქვს სათანადო განათლება ან/და გამოცდილება;
- დ) იგი ამავე დროს არ არის სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ კომერციული ბანკის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება ეს კომერციული ბანკი.

### მუხლი 39. მოთხოვნები კომერციული ბანკის შექმნილი ან შეძენილი შვილობილი საწარმოს მიმართ

იმ კომერციულმა ბანკმა, რომელმაც ამ კანონის 101 მუხლის ამოქმედებამდე შექმნა ან შეიძინა შვილობილი საწარმო, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ახორციელებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობას, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ამ კანონის 101 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

*საქართველოს პრეზიდენტი  
ედუარდ შევარდნაძე*

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე  
ზურაბ ჟვანია*

*თბილისი,  
1996 წლის 23 თებერვალი.  
121 - II ს*

# 1.4 საქართველოს კანონი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ

## თავი I ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი – კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს ამ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება;
- ბ) ანაბარი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის წევრის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს საკრედიტო კავშირი და რომლებსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი;
- გ) პაი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის საწესდებო კაპიტალში საკრედიტო კავშირის წევრის ფულადი შესატანი, რომელიც მის წევრს ანიჭებს ამ კანონითა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უფლებებს საკრედიტო კავშირის მიმართ;
- დ) საბანკო საქმიანობა – ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობა;
- ე) სესხი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის მიერ თავისი წევრისათვის დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება;
- ვ) ხელმძღვანელი ორგანო – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გამგეობა;
- ზ) ინვესტიცია – შესაძლო მოგების მიღების მიზნით ჭარბი ლიკვიდური სახსრების დაბანდება მოკლევადიან მატერიალურ ან არამატერიალურ აქტივებში;
- თ) ჭარბი ლიკვიდურობა – ფულადი სახსრები, რომლებიც რჩება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას – საკრედიტო კავშირს მენაბრეების მიმართ არსებული, ასევე სხვა ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვისა და სესხზე მისი წევრების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ;
- ი) კომერციული ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართ-

- ველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;
- კ) ლიცენზია – საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის – საკრედიტო კავშირისათვის მინიჭებული უფლება, განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული საბანკო საქმიანობა შესაბამისი პირობების დაცვით;
- ლ) სალიცენზიო მონმობა – ლიცენზიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მ) რეგვრები – ქონება, რომელიც იქმნება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის მიერ მიზნობრივი დანიშნულებით და არ წარმოადგენს მისი წევრების საერთო წილობრივ საკუთრებას;
- ნ) მაკორექტირებელი ღონისძიებები – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და რეგულირების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ღონისძიებები;
- ო) ოჯახის წევრი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის წევრის მეუღლე, მშობლები, შვილები, ნაშვილები და მის კმაყოფაზე მყოფი პირი;
- პ) ახლო ნათესავი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის წევრის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს სხვა ნათესავი, გერი, და, ძმა, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერები;
- ჟ) საქმიანი პარტნიორი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებასთან – საკრედიტო კავშირთან კომერციული ინტერესებით დაკავშირებული პირი.
- რ) ამოღებულია

### მუხლი 2. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ეს კანონი ვრცელდება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე – საკრედიტო კავშირებზე (შემდგომში – საკრედიტო კავშირი) და მისი მიზანია მათი საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ კანონის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
2. საკრედიტო კავშირებმა თავიანთ საფირმო დასახელებაში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღნიშვნის გარდა უნდა შეიტანონ ტერმინი „საკრედიტო კავშირი“. არც ერთ საკრედიტო კავშირს არა აქვს სიტყვის „ბანკი“ გამოყენების უფლება.
3. არავის არა აქვს უფლება, თავის დასახელებაში გამოიყენოს ტერმინი „საკრედიტო კავშირი“ ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით, თუ მას არა აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი რამ დაწესებულია ან აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ან როდესაც სახელწოდებიდან აშკარაა, რომ იგი არ ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საბანკო საქმიანობას.



### მუხლი 3. საკრედიტო კავშირის საქმიანობის პრინციპები და უფლებამოსილება

1. საკრედიტო კავშირის საქმიანობის პრინციპებია:
  - ა) წევრობის ნებაყოფლობითობა;
  - ბ) ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანება;
  - გ) წევრთა უშუალო მონაწილეობა საკრედიტო კავშირის მართვაში.
2. საკრედიტო კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საბანკო საქმიანობა:
  - ა) მიიღოს ანაბრები მხოლოდ თავისი წევრებისაგან;
  - ბ) გასცეს სესხები მხოლოდ თავის წევრებზე;
  - გ) განახორციელოს ინვესტიციები ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად;
  - დ) გასწიოს ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება, სასესხო ვალდებულებების აღების ჩათვლით.

### მუხლი 4. საკრედიტო კავშირის რეგისტრაცია

1. საკრედიტო კავშირის რეგისტრაცია ხორციელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.
2. საკრედიტო კავშირი ვალდებულია მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ მისი რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

## თავი II საკრედიტო კავშირის წევრობის პირობები, წევრთა უფლებები და მოვალეობები

### მუხლი 5. საკრედიტო კავშირის წევრად მიღება

1. საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს.
2. საკრედიტო კავშირის წევრად მიღებული პირი ვალდებულია საკრედიტო კავშირის წესდებით (შემდგომში – წესდება) განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით შეიტანოს პაი.

## თავი III საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელობა

### მუხლი 6. საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები

1. საკრედიტო კავშირის საქმიანობას მართავენ საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა.
2. საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა წევრები, გარდა დაქირავებული აღმასრულებელი დირექტორისა, უნდა იყვნენ იმავე საკრედიტო კავშირის წევრები. ხელმძღვანელ ორგანოში შეი-

ძლება იყოს ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკრედიტო კავშირის ყველა წევრი ერთი ოჯახის წევრია ან მის წევრთა უმრავლესობა წარმოდგენილია ოჯახის წევრებით.

### მუხლი 7. საერთო კრება

1. საკრედიტო კავშირის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც კანონმდებლობითა და წესდებით მინიჭებული უფლებების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს საკრედიტო კავშირის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საერთო კრება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოწვეულ უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც, წლიური ბალანსის სამეურნეო წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში განხილვისა და დამტკიცებისათვის.
2. საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:
  - ა) წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
  - ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრთა არჩევა-გადარჩევა;
  - გ) გამგეობის მიერ წარდგენილი საკრედიტო კავშირის საქმიანობის წლიური ანგარიშისა და მის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნის დამტკიცება;
  - დ) საკრედიტო კავშირის შემოსავლების გამოყენების, აგრეთვე ზარალის დაფარვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
  - ე) საერთო რეზერვის შექმნა, მისი მოცულობის დადგენისა და გამოყენების პროცედურების განსაზღვრა;
  - ვ) ფილიალების შექმნა;
  - ზ) საკრედიტო კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
  - თ) საკრედიტო კავშირის უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისა და გამოუყენებელი სახსრების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
  - ი) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტისას აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობა.
4. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 60 პროცენტისა, ხოლო საგანგებო კრებას – 40 პროცენტისა. საერთო კრების განმეორებით მოწვევის შემთხვევაში იგი ჩაითვლება გადაწყვეტილებაუნარიანად, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. საერთო კრება მოიწვევა ერთიდან სამ კვირამდე დროის განმავლობაში, მისი მოწვევის თაობაზე წესდებით გათვალისწინებულ გაზეთში ან ამავე წესდებით განსაზღვრული სხვა საშუალებით განცხადების გამოქვეყნებით.

### მუხლი 8. სამეთვალყურეო საბჭო

1. საკრედიტო კავშირის გამგეობის საქმიანობის კონტროლს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

2. სამეთვალყურეო საბჭოს ირჩევს საერთო კრება 2 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს – არანაკლებ 3 და არა უმეტეს 15 წევრისა.
3. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:
  - ა) საკრედიტო კავშირის პოლიტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობა;
  - ბ) თავისი ინიციატივით, საერთო კრების ან წევრთა 10 პროცენტის მოთხოვნით საკრედიტო კავშირის საქმიანობის შემოწმების მიზნით აუდიტის მოწვევა;
  - გ) საგანგებო კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საკრედიტო კავშირის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ან მისი საქმიანობის მოსალოდნელი გაუარესების თავიდან ასაცილებლად ღონისძიებების განსახორციელებლად, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და გამგეობის წევრთა უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, ანდა ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
  - დ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის უფლება არა აქვთ გამგეობის წევრებს.
5. სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნის გარეშე საერთო კრებას წლიური ანგარიშის დამტკიცების უფლება არა აქვს.
6. სამეთვალყურეო საბჭო გაცემს თანხმობას გამგეობის თითოეული წევრისათვის სესხის გაცემის თაობაზე.
7. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს საგანგებო კრების მოწვევამდე ხელმძღვანელი ორგანოს წევრს შეუჩეროს უფლებამოსილება.
8. გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

## მუხლი 9. გამგეობა

1. გამგეობას ირჩევს საერთო კრება 2 წლის ვადით. გამგეობის წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს – არანაკლებ 3 და არა უმეტეს 9 წევრისა. გამგეობას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს მისივე შემადგენლობიდან დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:
  - ა) საკრედიტო კომიტეტის არჩევა;
  - ბ) საკრედიტო კავშირის პოლიტიკის განსაზღვრა;
  - გ) საკრედიტო კავშირში ახალი წევრის მიღება, წევრის უფლებამოსილების შეჩერება და გარიცხვა;
  - დ) აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა-გათავისუფლება;
  - ე) საკრედიტო კავშირის წევრთათვის გასაწვევი მომსახურების, მათ შორის, ანაბრების მიღების პირობებისა და წესების განსაზღვრა;
  - ვ) დაუბრუნებელი სესხების ჩამოწერის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის თანახმად;
  - ზ) ამ კანონით გათვალისწინებული სარეზერვო სახსრების გამოყენება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით;

- თ) წლიური ანგარიშის შედგენა და მისი საერთო კრებისათვის განსახილველად წარდგენა;
- ი) ინვესტიციების განხორციელების თაობაზე პროცედურების შემუშავება;
- კ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

## მუხლი 10. საკრედიტო კომიტეტი

1. საკრედიტო კომიტეტი არის გამგეობის წინაშე ანგარიშვალდებული სპეციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საკრედიტო კავშირის საკრედიტო საქმიანობისთვის. იგი ვალდებულია სრული ანგარიში განუეული საქმიანობის შესახებ ყოველთვიურად წარუდგინოს გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოს.
2. საკრედიტო კომიტეტს ირჩევს გამგეობა 2 წლის ვადით. იგი შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, რომელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება წესდებით.
3. საკრედიტო კომიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება:
  - ა) საკრედიტო კავშირის წევრთა განცხადებების განხილვა სესხის გამოყოფის თაობაზე და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ასევე გამგეობის წევრთა მიერ სესხის მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვა და აღნიშნულის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოსათვის წინადადებების წარდგენა;
  - ბ) საკრედიტო პორტფელის პერიოდული კონტროლი და განხილვა, ყველა გირაოს ან სხვა სახის უზრუნველყოფის შეფასება, ნებისმიერ სესხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება, სესხის ამოღების მიზნით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
  - გ) სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ზარალის ასანაზღაურებლად ზომების მიღება;
  - დ) სესხების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;
  - ე) სესხის დაბრუნების კონტროლი;
  - ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.
4. საკრედიტო კავშირის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, აგრეთვე დაქირავებულ პირებს უფლება არა აქვთ იყვნენ საკრედიტო კომიტეტის წევრები.
5. საკრედიტო კომიტეტის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც. განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება ოქმში, რომელიც ეგზავნება გამგეობას საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეაგირებისათვის.

## მუხლი 11. გარე აუდიტი და ბუღალტრული აღრიცხვა

- საკრედიტო კავშირი ვალდებულია:
- ა) ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად;

- ბ) ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით.

## მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს და გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს რომელიმე ბანკის ან სხვა საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ან გამგეობის წევრი. ამასთან, პირს ეკრძალება იყოს საკრედიტო კავშირის გამგეობის წევრი, თუ:

- ა) იგი მონაწილეობდა ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიიყენა კომერციულ ბანკს ან სხვა საკრედიტო კავშირს;
- ბ) კომერციულ ბანკში ან სხვა საკრედიტო კავშირში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ბოროტად გამოიყენა უფლებამოსილება;
- გ) წარსულში იყო კომერციული ბანკის ან სხვა საკრედიტო კავშირის ადმინისტრატორი და მისი საქმიანობის შედეგად კომერციული ბანკი ან სხვა საკრედიტო კავშირი გახდა გადახდისუნარიანი;
- დ) არ შეასრულა ფინანსური ვალდებულება რომელიმე კომერციული ბანკის ან სხვა საკრედიტო კავშირის მიმართ.
- ე) მასზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული სხვა აკრძალვები.

## თავი IV ანაბარი

### მუხლი 13. ანაბარი

1. საკრედიტო კავშირის მიერ მოზიდული ანაბრები არის საკრედიტო კავშირის სახსრების ფორმირების ძირითადი წყარო. იგი ანაბრებს იღებს მხოლოდ თავისი წევრებისაგან. ანაბარი შეიძლება იყოს მოთხოვნამდე ან ვადიანი, რომელზედაც შეიძლება გაიყოს შემნახველი წიგნაკი. შემნახველი წიგნაკის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
2. საკრედიტო კავშირმა უნდა უზრუნველყოს აქტივებისა და ვალდებულებების იმგვარად მართვა, რომ ანაბარზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდეს გაცემულ სესხზე საპროცენტო განაკვეთს.
3. საკრედიტო კავშირმა სესხის მიმღებისაგან შეიძლება მოითხოვოს ანაბრის დაგირავება ან მისი ბლოკირება გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით.
4. საკრედიტო კავშირმა ნებისმიერ დროს შეიძლება განახორციელოს სესხის მიმღების მიმართ მისი ანაბრისა და ვადაგადაცილებული სესხის ურთიერთგაქვითვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

### მუხლი 14. ანაბრის გატანა

ანაბრის გატანა ხდება ხელშეკრულების შესაბამისად. ანაბრის მთლიანად ან ნაწილობრივ გატანაზე საკრედი-

ტო კავშირის წევრებს შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს მათი ვალდებულება საკრედიტო კავშირის მიმართ სესხის, თავდებობის ან სხვა სახით ამ ვალდებულების ფარგლებში.

## თავი V სესხი

### მუხლი 15. სესხის გაცემის პირობები და მიზანი

1. საკრედიტო კავშირი გასცემს სესხს მხოლოდ თავის წევრებზე ამ კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საკრედიტო კომიტეტის მიერ პერიოდულად განსაზღვრული ვადებითა და პირობებით.
2. საკრედიტო კავშირის მიერ გაცემული სესხი შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ან არაუზრუნველყოფილი. უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წევრის პაი, ანაბარი, უძრავი ან მოძრავი ქონება ან სხვა გადახდისუნარიანი პირის თავდებობა ან/და საბანკო გარანტია. გამგეობის, სამეთვალყურეო საბჭოსა და საკრედიტო კომიტეტის წევრს არა აქვს უფლება, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაუდგეს თავდებად ან გასცეს გარანტია საკრედიტო კავშირის მიერ გაცემულ რომელიმე სესხზე.

### მუხლი 16. კონფიდენციალობა

1. ინფორმაცია საკრედიტო კავშირის წევრის ანაბრისა და სასესხო ოპერაციის შესახებ კონფიდენციალურია და იგი შეიძლება მიეცეს მხოლოდ საკრედიტო კავშირის შესაბამის წევრსა და მის წარმომადგენელს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემათ მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. საზედამხებდევლო ფუნქციის განსახორციელებლად საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მიიღოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული და საკრედიტო კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი.

## თავი VI ინვესტიციები

### მუხლი 17. დასაშვები ინვესტიციები

1. საკრედიტო კავშირს შეუძლია ჭარბი ლიკვიდურობის გათვალისწინებით განახორციელოს ინვესტიციები:
  - ა) სახაზინო ვალდებულებებში;
  - ბ) კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი დეპოზიტების სახით;

- გ) სხვა საკრედიტო კავშირებზე მოკლევადიანი სესხების გაცემით.
2. საკრედიტო კავშირის ჭარბი ლიკვიდურობის გათვალისწინებით შეუძლია ასევე განახორციელოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული სხვა სახის ინვესტიციები.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ინვესტიციების სახეობათა მიხედვით ერთ სანარმოში ინვესტირებული თანხების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო კავშირის აქტივების 15 პროცენტს.
4. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული ინვესტიციები ერთობლივად არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო კავშირის აქტივების 30 პროცენტს.
5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი ლიმიტების გადაჭარბება დასაშვებია საერთო კრების გადაწყვეტილებით.

## თავი VII რეზერვები

### მუხლი 18. საერთო რეზერვი

საკრედიტო კავშირი ვალდებულია შექმნას საერთო რეზერვი. საერთო რეზერვი იქმნება წლიური მოგებიდან ანარიცხებით, რომლის ოდენობა არ უნდა იყოს გასანაწილებელი მოგების 90 პროცენტზე ნაკლები.

### მუხლი 19. საერთო რეზერვის გამოყენება

საერთო რეზერვი პირველ რიგში გამოიყენება საკრედიტო კავშირის ზარალის დასაფარავად.

### მუხლი 20. აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი

საერთო რეზერვის გარდა, საკრედიტო კავშირმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად უნდა შექმნას აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი. აღნიშნული რეზერვი არ არის საერთო რეზერვის შემადგენელი ნაწილი.

## თავი VIII კაპიტალი და ლივიდენდება

### მუხლი 21. საკრედიტო კავშირის კაპიტალი

1. საკრედიტო კავშირის კაპიტალი შედგება სანესდებო კაპიტალის, დამატებითი ფულადი შესატანების, ფულადი შემოწირულობების, ამ კანონით გათვალისწინებული საერთო რეზერვის და გასული წლის გაუნაწილებელი მოგებისა და სამეურნეო წლის მოგებისაგან.
2. სანესდებო კაპიტალი იქმნება საკრედიტო კავშირის წევრების მიერ პაის შეტანით. პაის მინიმალური ოდენობა, ასევე მისი შეტანის წესი განისაზღვრება ამ კანონით, „მენარმეთა შესახებ“

3. საქართველოს კანონითა და წესდებით. საქართველოს ეროვნული ბანკი საკრედიტო კავშირებს პერიოდულად განუსაზღვრავს სანესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას ფულადი სახით. საკრედიტო კავშირის სანესდებო კაპიტალი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით, მაგრამ არანაკლებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური სანესდებო კაპიტალის ოდენობისა.

### მუხლი 22. ლივიდენდება

1. პაის შეიძლება დაერიცხოს ლივიდენდება. ლივიდენდება დაერიცხება მხოლოდ სრულად გადახდილ პაის. ლივიდენდის ოდენობას განსაზღვრავს საერთო კრება გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებების განხილვის შემდეგ.
2. პაის ლივიდენდება დაერიცხება მის პროპორციულად. სამეურნეო წლის განმავლობაში განხორციელებული შესატანები მოგების განაწილებისას გაითვალისწინება შეტანის მომენტიდან განვლილი დროის პროპორციულად.
3. პაის ლივიდენდება დაერიცხება მხოლოდ საერთო რეზერვში კანონით დადგენილი ანარიცხების განხორციელების შემდეგ, ფინანსური წლის შედეგების შესაბამისად. ლივიდენდების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გასანაწილებელი მოგების 10 პროცენტს.

## თავი IX ლიცენზირება

### მუხლი 23. შუამდგომლობა ლიცენზიის მიღების შესახებ

1. საკრედიტო კავშირი ლიცენზიის მისაღებად განცხადებით მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს. განცხადება უნდა შეიცავდეს:
  - ა) განმცხადებლის ვინაობასა და იურიდიულ მისამართს, ფილიალების ჩათვლით;
  - ბ) მოთხოვნას ლიცენზიის მიღების თაობაზე;
  - გ) განცხადების წარდგენის თარიღს და უფლებამოსილი პირის ხელმოწერას;
  - დ) განცხადებისათვის დართული საბუთების ნუსხას;
  - ე) მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემებს.
2. განცხადებას უნდა დაერთოს:
  - ა) სადამფუძნებლო დოკუმენტების (მათ შორის, წესდების) დედნები ან მათი სანოტარო წესით დამონმებული ასლები;
  - ბ) ცნობა განცხადებული კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ;
  - გ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
  - დ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე საკუთრებას ან სხვა უფლებას,

- რომელშიც განთავსებული იქნება საკრედიტო კავშირი;
  - ე) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკრედიტო კავშირის მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი არ ყოფილა ნასამართლვეი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
  - ვ) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკრედიტო კავშირის მმართველი ორგანოს წევრებს აქვთ სათანადო განათლება ან/და გამოცდილება;
  - ბ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი დასაბუთებულად მოითხოვს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.
3. ამოღებულია

### მუხლი 24. გადანყვეტილება ლიცენზირების შესახებ

1. ლიცენზირების შესახებ განცხადების მიღების დღიდან 1 თვის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს დასაბუთებულ გადანყვეტილებას ლიცენზიის გაცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ, რის თაობაზედაც გადანყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით აცნობებს საკრედიტო კავშირს.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი ლიცენზიას სალიცენზიო მონუმბის სახით აძლევს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ საკრედიტო კავშირს, რომელსაც აქვს განადგენილი საწესდებო კაპიტალი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნის ოდენობით და რომლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციაც აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს.
3. ლიცენზია არ გაიცემა, თუ საკრედიტო კავშირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
4. ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. მისი სხვა პირისათვის გადაცემა აკრძალულია.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს გაცემული ლიცენზიების უწყებრივ რეესტრს და ვალდებულია, მონაცემები ლიცენზიის გაცემისა და გაუქმების, აგრეთვე ასლის გაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში შეიტანოს რეესტრში.

### მუხლი 25. ლიცენზიის გაუქმება

ლიცენზიას აუქმებს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი, თუ:

- ა) საკრედიტო კავშირმა დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და ამას დაეთანხმა საქართველოს ეროვნული ბანკი;
- ბ) საკრედიტო კავშირმა ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში არ დაიწყო ამ კანონით გათ-

- ვალისწინებული საბანკო საქმიანობა;
- გ) დადგინდა, რომ ლიცენზია გაცემულია ყალბი მონაცემების ან უზუსტობების შემცველი საბუთების საფუძველზე;
- დ) დადგინდა საკრედიტო კავშირის გადახდისუნარიანობა;
- ე) ხდება საკრედიტო კავშირის რეორგანიზაცია;
- ვ) საკრედიტო კავშირმა შეიცვალა საქმიანობის საგანი;
- ბ) საკრედიტო კავშირს აღარ აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფულადი სახსრებით ფორმირებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;
- თ) საკრედიტო კავშირი ამოღებულია მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ი) სისტემატურად ირღვევა ამ კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

### მუხლი 26. ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადანყვეტილების გამოქვეყნება და მისი შედეგები

1. გადანყვეტილება ლიცენზიის გაუქმების შესახებ დაუყოვნებლივ ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა ბეჭდვით ორგანოებში; იგი იმავდროულად ეგზავნება საკრედიტო კავშირს, რომელიც ვალდებულია, სალიცენზიო მონუმბა გადანყვეტილების მიღებიდან 3 დღეში დაუბრუნოს საქართველოს ეროვნულ ბანკს. გადანყვეტილება მოქმედებს მისი მიღების დღიდან ან თვით ამ გადანყვეტილებით განსაზღვრული თარიღიდან.
2. საკრედიტო კავშირს ლიცენზიის გაუქმების დღიდან ეკრძალება ამ ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით უნდა მოხდეს მისი ლიკვიდაცია. საკრედიტო კავშირი ვალდებულია, ლიცენზიის გაუქმების დღიდან უმოკლეს ვადაში გაანაღლოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება. საქმიანობის შეწყვეტის პერიოდში ყველა ვალდებულების განაღდებადგე საკრედიტო კავშირი ემორჩილება ამ კანონის დებულებებს ისევე, როგორც ლიცენზირებული საკრედიტო კავშირი.
3. საკრედიტო კავშირის გადახდისუნარიანობის თაობაზე გადანყვეტილებას იღებს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ლიცენზიის გაუქმებისთანავე იწყებს საკრედიტო კავშირის ლიკვიდაციას. საკრედიტო კავშირის ლიკვიდატორს ნიშნავს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი.

# თავი X საქართველოს ეროვნული ბანკის გედამხედველობა საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე

## მუხლი 27. საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე გედამხედველობა

1. საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე გედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. გედამხედველობა ითვალისწინებს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, ნებისმიერი სახით შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას, დროებითი ადმინისტრაციის მეშვეობით მართვასა და ლიკვიდაციას „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების შესაბამისად.
2. საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე გედამხედველობის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი გამოსცემს შემდეგ ნორმატიულ აქტებს:
  - ა) ფულადი ფორმით განაღდებული სანესდებო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნისა და საკრედიტო კავშირის წევრთა მინიმალური ოდენობის შესახებ (ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით);
  - ბ) კაპიტალის კოეფიციენტის ადეკვატურობის შესახებ;
  - გ) რისკის დონეების შესახებ;
  - დ) აქტივების შესაძლო დანაკარგების რეგერვის ფორმირების წესის შესახებ;
  - ე) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სხვა ლიმიტებისა და ნორმატივების შესახებ.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი პერიოდულად ამოწმებს საკრედიტო კავშირებს (დოკუმენტური შემოწმებისა და ადგილზე ინსპექტირების ჩათვლით) მათი ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად, აგრეთვე საკრედიტო კავშირების საქმიანობის ამ კანონთან და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დასადგენად.
4. საგედამხედველო ფუნქციის განხორციელების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და საკრედიტო კავშირების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებს მაკორექტირებელ ღონისძიებებს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და ლიცენზიის გაუქმების ჩათვლით.

## მუხლი 28. საკრედიტო კავშირის რეორგანიზაცია

საკრედიტო კავშირის რეორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის საფუძველზე, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის გარეშე და მის წევრთა უფლებებისა და ინტერესების სრულად დაცვით.

## მუხლი 29. დროებითი ადმინისტრაცია და ლიკვიდაცია

1. თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო კავშირის საქმიანობაზე გედამხედველობის განხორციელების შედეგად დადგინდა, რომ საფრთხე ემუქრება საკრედიტო კავშირის წევრთა ანაბრებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით დანიშნოს დროებითი ადმინისტრაცია.
2. დროებით ადმინისტრაციაზე, ისევე როგორც ლიკვიდატორზე გადადის საკრედიტო კავშირის ყველა ორგანოს სრული უფლებამოსილება.
3. საკრედიტო კავშირის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები უნდა დაიფაროს შემდეგი თანამიმდევრობით:
  - ა) საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც ვალდებულებები საკრედიტო კავშირს წარმოეშვა ლიცენზიის გაუქმების შემდეგ;
  - ბ) მენაბრეები;
  - გ) სხვა მოთხოვნები საკრედიტო კავშირის მიმართ.
4. თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად დაფარვისათვის, მაშინ ყველა მოთხოვნა უნდა დაიფაროს თანაბარი პროპორციით.
5. დროებითი ადმინისტრაციისა და ლიკვიდაციის რეჟიმების და მართვის წესს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

## მუხლი 30. დარღვევები და სანქციები

1. ამ კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და წერილობითი მითითებების, აგრეთვე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკს უფლება აქვს, საკრედიტო კავშირის ან მისი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:
  - ა) გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;
  - ბ) გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება), რომ საკრედიტო კავშირმა შეაჩეროს ან შეწყვიტოს ესა თუ ის საქმიანობა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადებში მიიღოს ზომები დარღვევების აღმოსაფხვრელად;
  - გ) დააჯარიმოს საკრედიტო კავშირი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;
  - დ) გადაახდევინოს ფულადი ჭარბი აღმასრულებელ დირექტორს ან გამგეობის წევრს, თუ მისმა ქმედებამ ფინანსური ზარალი მიაყენა საკრედიტო კავშირს;
  - ე) საკრედიტო კავშირის აღმასრულებელ დირექტორს და ბუღალტერს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუჩეროს ხელმოწერის უფლება;

- ვ) მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა დარღვევათა განსახილველად, მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად ან ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობის განსახილველად;
  - ზ) შეუჩეროს ან შეუზღუდოს აქტივების ზრდა, მოგების განაწილება, დივიდენდების გაცემა, ხელფასების გაზრდა და ანაბრების მოზიდვა, პრემიებისა და სხვა ჭილდოების გაცემა;
  - თ) განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საფრთხე ემუქრება საკრედიტო კავშირის შენარჩუნებას ან სხვა კრედიტორთა ინტერესებს, შემოიღოს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი;
  - ი) გააუქმოს საკრედიტო კავშირის ლიცენზია.
2. ამ მუხლის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

## თავი XI გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

### მუხლი 31. გარდამავალი დებულება

ამ კანონის ამოქმედებამდე შექმნილი საკრედიტო კავშირები ვალდებული არიან კანონის ამოქმედებისთანავე შესაბამისი საბანკო საქმიანობა განახორციელონ მხოლოდ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

### მუხლი 32. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2002 წლის 1 ოქტომბრიდან.

*საქართველოს პრეზიდენტი  
ედუარდ შევარდნაძე*

*თბილისი,  
2002 წლის 4 ივლისი.  
N1608 - რს*

# 1.5 საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ

## მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სამართლებრივი მონესრიგება და მათი განვითარებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა.

## მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - მიკროლიზინგი – ლიზინგი, რომლის ღირებულება განისაზღვრება მიკროკრედიტის დადგენილი ზღვრით;
  - რეგისტრაცია – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირის ნებაყოფლობითი რეგისტრაცია საქართველოს ეროვნულ ბანკში;
  - ამოღებულია
  - მნიშვნელოვანი წილი – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი წილი, რომელსაც პირი ფლობს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით.
- ამ კანონში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი მნიშვნელობა.

## მუხლი 3. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, რომლის მიმართაც გამოყენებული უნდა იქნეს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თაობაზე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები.
- მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა უფლებამოსილი, თავის საფირმო სახელწოდებაში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღნიშვნის გარდა შეიტანოს ტერმინი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ ან მისი აბრევიატურა „მისო“.
- თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, საქართველოს

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააფრთხილოს იგი, დააკისროს ფულადი ჯარიმა ან მიიღოს გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

## მუხლი 4. მიკროსაფინანსო საქმიანობა

- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა:
  - იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; ამ მიზნით საკრედიტო საგადახდო ბარათის გამოშვება;
  - ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქალაქებში;
  - ფულადი გზავნილების განხორციელება;
  - სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება;
  - მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
  - სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;
  - იურიდიული პირების სანესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სანესდებო კაპიტალის 15%-ს;
  - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რელიზაცია, გამოსყიდვა და ამ ფინანსურ მომსახურებებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, რეგისტრაციის შემდეგ, რომლის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრული წესით შეასრულოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო აგენტის ფუნქცია.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება დეპოზიტების მიღება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისაგან.

## მუხლი 5. მიკროკრედიტის ცნება და ოდენობა

- მიკროკრედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა.



2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50000 (ორმოცდაათი ათას) ლარს.

## მუხლი 6. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შესატანი არ უნდა იყოს 250000 (ორას ორმოცდაათი ათას) ლარზე ნაკლები. ამ თანხის ზემოთ წესდებით დადგენილი საწესდებო კაპიტალის სრული ოდენობის ფულადი ან/და არაფულადი ფორმით შევსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 7. შესაფერისობის კრიტერიუმები

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) არ შეიძლება იმავდროულად იყოს რომელიმე კომერციული ბანკის, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პარტნიორი (აქციონერი), სამეთვალყურეო ან/და დირექტორთა საბჭოს წევრი.
2. პირს ეკრძალება, იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი, თუ:
  - ა) მონაწილეობდა ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომერციულ ბანკს, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებას – საკრედიტო კავშირს ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, ან შელახა კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის დებოზიტართა ან სხვა კრედიტორთა უფლებები, ან გამოიწვია კომერციული ბანკის, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნარობა ან გაკოტრება;
  - ბ) წარსულში იყო კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი და მისი საქმიანობის შედეგად აღნიშნული კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გადახდისუუნარო გახდა;
  - გ) არ შეასრულა ფინანსური ვალდებულება რომელიმე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ;
  - დ) ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
  - ე) არა აქვს სათანადო განათლება ან/და გამოცდილება.
3. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორს ეკრძალება მონაწილეობა იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში, რომლის მიმართაც მას პირადი ინტერესი აქვს.
4. პირს ეკრძალება იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით

მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.

5. პირი, რომელიც აპირებს შეიძინოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილი, ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს განაცხადი და დოკუმენტაცია ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შესაბამისობის თაობაზე.
6. საქართველოს ეროვნული ბანკი განაცხადს განიხილავს მისი წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში და დაინტერესებულ პირს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე აძლევს თანხმობას ან ეუბნება დასაბუთებულ უარს.
7. განაცხადის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაინტერესებული პირისათვის პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემას.
8. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილის შეძენის თაობაზე გარიგება ბათილია, თუ დაინტერესებულმა პირმა საქართველოს ეროვნულ ბანკს არ წარუდგინა განაცხადი ან ეროვნული ბანკისაგან მიიღო დასაბუთებული უარი, მაგრამ მაინც შეიძინა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილი.

## მუხლი 8. აუდიტი, აღრიცხვა და ანგარიშგება

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია:
  - ა) აწარმოოს გამჭვირვალე ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება და დაიცვას საჭაროობის პრინციპი;
  - ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს შიდა კონტროლის სისტემა და პროცედურები;
  - გ) ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
  - დ) აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
  - ე) წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნულ ბანკს. ანგარიშგების ფორმა და წარდგენის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით;
  - ვ) იყოს პასუხისმგებელი ანგარიშგების უტყუარობაზე, ასევე ინფორმაციის და ანგარიშგების სრულად წარდგენაზე;
  - ზ) ყოველწლიურად გამოაქვეყნოს ბეჭდვით ორგანოში სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება და გარეაუდიტორული დასკვნა.
2. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ამ მუხლით გათვალისწინებულ ფინანსურ ანგარიშგებას ზედმედ ორჯერ არ წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს მის მიერვე დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააუქმოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაცია.

3. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია 6 წლის განმავლობაში შეინახოს შემდეგი დოკუმენტაცია:
  - ა) საბუღალტრო წიგნები, საინვენტარიზაციო აღწერილობა, ბალანსი, ასევე მათი გაგებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სხვა ორგანიზაციული დოკუმენტები;
  - ბ) საბუღალტრო წიგნში ჩანაწერების დამადასტურებელი ბუღალტრული დოკუმენტები.

### მუხლი 9. მიკროსესხის გაცემის პირობები

1. მიკროსესხის გაცემის თაობაზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის იდება წერილობითი საკრედიტო ხელშეკრულება ამ კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.
2. ამ მუხლით გათვალისწინებული სესხი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური, უზრუნველყოფილი ან საბლანკო. მიკროსესხის გაცემის წესებს და პირობებს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.
3. საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოს და მომსახურების გადასახდელს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.
4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს კონტროლი მსესხებლის მიერ კრედიტის გამოყენების მიზნობრიობაზე, ხოლო მსესხებელი ვალდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოს ასეთი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობით. თუ მსესხებელი არ შეასრულებს კრედიტის მიზნობრივად გამოყენების ვალდებულებას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს უარი თქვას კრედიტის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების შესრულებაზე გაუცემელი კრედიტის ნაწილში და მოითხოვოს კრედიტის გაცემული ნაწილის ვადამდე დაფარვა.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციას დაუწესოს მის მიერ გაცემული მიკროსესხების რეფინანსირების ან საკუთარი სახსრებით დაფარვის შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიოს პირობები და ზღვრული ოდენობა.

### მუხლი 10. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა.
2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში არსებული ინფორმაცია მსესხებლის შესახებ შეიძლება მიეცეს მხოლოდ თავად მსესხებელს, მის წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით ან მსესხებელთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

3. სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე საგადასახადო სამსახურებს ეკრძალებათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა ორგანოებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის საჯარო გამოყენება.

### მუხლი 11. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებამდე არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების დაფუძნების შემთხვევაში ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წესდებებით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ თავიანთი გადაწყვეტილებებით დაადგინონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა ამ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად (სააქციო საზოგადოებისათვის დაადგინონ აქციების ნომინალური ღირებულება).
2. საწესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანის შეტანისას ამ კანონის ამოქმედებამდე არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა 2007 წლის 30 ნოემბრამდე მოახდინონ შესაბამისი ქონების აუდიტორული შეფასება.
3. ამ კანონის ამოქმედებამდე არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წესდებებით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოებს მიეცეთ უფლება, გაასხვისონ ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული საზოგადოებების წილები (აქციები) და დაადგინონ მათი გასხვისების წესი.
4. ამ კანონის ამოქმედებამდე არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით რეგისტრირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე 2007 წლის 31 დეკემბრამდე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები.

### მუხლი 12. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი*

*თბილისი,  
2006 წლის 18 ივლისი.  
N3482 - რს*

## 1.6 საქართველოს კანონი ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ

ამ კანონის მიზანია საქართველოში ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქალაქების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქალაქების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქალაქებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქალაქებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

### თავი I ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. ფასიანი ქალაქებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს ეს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.
2. ამ კანონით არ განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს სახელით სამთავრობო ფასიანი ქალაქების ემისიისა და საჯარო შეთავაზების, აგრეთვე ამ ფასიანი ქალაქებით საფონდო ბირჟის გარეთ საბანკო ვაჭრობის წესები.
3. სახელმწიფო საკუთრების გასხვისების წესები განსაზღვრულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით.
4. ეს კანონი აწესრიგებს ფასიანი ქალაქების საჯარო შეთავაზებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ფასიანი ქალაქების ბაზარზე საფონდო ბირჟების, ცენტრალური დეპოზიტარების, ფასიანი ქალაქების რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების, ბროკერებისა და საინვესტიციო ფონდების საქმიანობის წესებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე დამატებით მოთხოვნებს იმ საწარმოთა საქმიანობის წესისა და პასუხისმგებლობის მიმართ, რომელთა ფასიანი ქალაქების საჯარო შეთავაზება და გაყიდვაც ხორციელდება.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.
6. ფინანსური ინსტიტუტები (გარდა კომერციული ბანკებისა) უფლებამოსილი არიან, განვითარებული ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დამატებითი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე განახორციელონ თავიანთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. საფონდო ბირჟებისა და ცენტრალური დეპოზიტარების საქმიანობა ეფუძნება თვითრეგულირების პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ისინი თვითონ

არეგულირებენ თავიანთ საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სახელმწიფო ორგანოებს ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, სადაც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა აღემატება 50%-ს, ეკრძალებათ ფინანსურ ინსტიტუტებში წილის ფლობა.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. ანგარიშვალდებული საწარმო – ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საწარმო.
2. არსებითი (ფაქტი ან მოვლენა) – ფაქტი ან მოვლენა, რომელსაც, კეთილგონიერების ფარგლებში, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინვესტორი ან პოტენციური ინვესტორი ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისას.
3. აუდიტორი – პროფესიული ორგანიზაციის წევრი (ფიზიკური ან იურიდიული პირი) რომელიც გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას ფინანსური ანგარიშგების ან კონსოლიდირებული ანგარიშგების შესახებ აუდიტის საფუძველზე ან/და რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის პროცედურების საფუძველზე. აუდიტორული კომპანია არ უნდა იყოს აფილირებული და უნდა იყოს დამოუკიდებელი ამ მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნული იმ პირისაგან, რომელსაც ის ემსახურება, როგორც აუდიტორი.
4. ბანკი – საბანკო დაწესებულება, რომელიც ორგანიზებულია „მწარმეთა შესახებ“, ხოლო ლიცენზირებულია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების მიხედვით.
5. ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის იდეალური მიზნებისათვის შექმნილი პირი, ან თუ მესაკუთრე იურიდიულ პირს არ გააჩნია მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი, მაშინ – მისი მმართველი ორგანოს წევრი.
- 5<sup>1</sup>. რეგისტრირებული მესაკუთრე – პირი, რომელიც არ არის ფასიანი ქალაქის ნომინალური მფლობელი ან რეგისტრირებული მფლობელის წარმომადგენელი და რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ შემდეგ მოთხოვნას:
  - ა) არის ფასიანი ქალაქის რეგისტრირებული მფლობელი, გარდა ნომინალური მფლობელისა;
  - ბ) წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის;
  - გ) იღებს ფულად მოგებას, როგორც ფასიანი ქალაქის მესაკუთრე;
  - დ) აქვს ფასიანი ქალაქთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება;
  - ე) აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება, გახდეს ფასიანი ქალაქის რეგისტრირებული მესაკუთრე.

6. ბროკერი – ფიზიკური პირი, რომელიც დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით ახორციელებს ფასიან ქალაქებთან დაკავშირებულ გარიგებებს ან/და ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას.
7. გაზეთი – ნებისმიერი გაზეთი ან ოფიციალური გამოცემა, რომელსაც ამ კანონის მიზნებისათვის ასეთად მიიჩნევენ საქართველოს ეროვნული ბანკი.
8. ამოღებულია
9. გაყიდვა - ხელშეკრულება ფასიანი ქალაქების გაყიდვის ან სხვაგვარი გასხვისების შესახებ.
10. ლიცენზია – „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიცენზია.
11. დაკავშირებული პირი:
  - ა) ფიზიკურ პირთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ირიცხება კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში;
  - ბ) სანარმო, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, არსებითი ზემოქმედება მოახდინოს ამ სანარმოს გადანყვეტილებებზე;
  - გ) იმ სანარმოს მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, არსებითი ზემოქმედება მოახდინოს ამ სანარმოს გადანყვეტილებებზე;
  - დ) იურიდიული პირის შემთხვევაში:
    - დ.ა) პირის მმართველი ორგანოს წევრი ან/და ნარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;
    - დ.ბ) პირის პარტნიორი ან დამფუძნებელი, რომელსაც პრაქტიკული საშუალება აქვს, ზემოქმედება მოახდინოს ამ იურიდიული პირის გადანყვეტილებებზე.
12. ემისიის პროსპექტი – წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით, რომლის მიზანია ფასიანი ქალაქის გასაყიდად შეთავაზება.
13. წინასწარი პროსპექტი – ემისიის პროსპექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს ეროვნულ ბანკს, მაგრამ ჯერ არ დამტკიცებულა მის მიერ.
14. დამტკიცებული პროსპექტი – ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.
15. საბოლოო პროსპექტი – ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და შეიცავს შესათავაზებელი ფასიანი ქალაქების რაოდენობას, ხოლო თუ საბროკერო კომპანია/კომპანიები თანახმა არის/არიან ფასიანი ქალაქების გაყიდვაზე ემიტენტის ან/და ფასიანი ქალაქების მფლობელების სახელით – აგრეთვე ინფორმაციას ფასიანი ქალაქების შეთავაზების ხელშეკრულებების შესახებ.
16. ემიტენტი – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქალაქებს.
17. ამოღებულია
18. კანონმდებლობა ფასიანი ქალაქების შესახებ – ეს კანონი, ფასიანი ქალაქების ბაზრის მარეგულირებელი სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომელთა შესრულებამაც ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
19. ამოღებულ იქნეს
20. კონტროლი (მნიშვნელოვანი წილი, მნიშვნელოვანი შენაძენი) – ვითარება, როდესაც პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე სანარმოში ფლობს ხმების 10%-ზე მეტს ან სხვაგვარად შეუძლია გააკონტროლოს სანარმო.
21. მეორადი საჯარო ვაჭრობა – ფასიანი ქალაქის იმგვარი ყიდვა ან გაყიდვა, რომელიც:
  - ა) არ ხორციელდება ემიტენტის სახელით ან არ ნარმომადგენს ამ კანონის მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 მუხლების მიხედვით საჯარო შეთავაზების ნაწილს;
  - ბ) ღიაა პირდაპირი ან ნარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობისათვის არანაკლებ 100 პირისათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი წრისათვის.
22. მმართველი ორგანო – დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნული დირექტორები ან/და სამეთვალყურეო საბჭო.
23. პირი – იურიდიული ან ფიზიკური პირი.
24. რეგისტრირებული მფლობელი - ფასიანი ქალაქების შესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი, რომელიც რეგისტრირებულია ფასიანი ქალაქების რეგისტრში.
25. რეკლამა – განცხადების გამოქვეყნება ნებისმიერი შესაძლო ფორმით, მათ შორის უწყებების, ნიშნების, ეტიკეტების, სავიზიტო ბარათების, წერილების, კატალოგების, ფასების ნუსხათა ჩვენებით, სურათების, ფოტოების გამოფენით, კინოფილმების დემონსტრაციით, აუდიო ან ტელევიზიულად, კომპიუტერული ქსელებით, სხვადასხვა ჩანაწერების გავრცელებით და ნებისმიერი სხვა მსგავსი სახით.
26. საბროკერო კომპანია – იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საბროკერო საქმიანობის ლიცენზია.
27. სამეურნეო წელი – დროის პერიოდი ყოველი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
28. სამთავრობო ფასიანი ქალაქი – საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქი.
29. საფონდო ბირჟა – ფასიანი ქალაქების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქალაქებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვებას, ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.
30. ამოღებულია
31. ფასიანი ქალაქების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევა – დარღვევა, რომელიც არ არის ტექნიკური ხასიათის და ნარმომადგენს ფასიანი ქალაქებთან დაკავშირებული კანონების ან საფონდო ბირჟის ან დეპოზიტარის წესების მოთხოვნათა განზრახ უგულებელყოფას.
32. ფასიანი ქალაქი (ფასიანი ქალაქები) – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქალაქების სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით) ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან

რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ ასეთების შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქალაქ-დებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. ამ კანონით შემდეგი ინსტრუმენტები არ განიხილება და არ რეგულირდება, როგორც ფასიანი ქალაქები:

- ა) ბანკების ვალდებულებები, დაკავშირებული დეპოზიტებთან ან სხვა ფიქსირებულ ვადიან დაფინანსებასთან, რომლებსაც წარმოქმნის კლიენტთა პირდაპირი, შუამავლების გარეშე მომსახურება და რომლებისთვისაც არ არის დამახასიათებელი საჯარო მიმოქცევა;
  - ბ) ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი ან ენუიტური კონტრაქტი, გამოშვებული დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი იურიდიული პირის მიერ;
  - გ) ჩეკი (რეგულირდება საქართველოს კანონით „ჩეკების შესახებ“);
  - გ<sup>1</sup>) თამასუქი (რეგულირდება საქართველოს კანონით „თამასუქის შესახებ“);
  - დ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული გამონაკლისი ხელშეკრულებები ან ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეგულირება ხორციელდება შესაბამისად ამ კანონით ან სხვა კანონებით.
33. არამატერიალიზებული ფასიანი ქალაქი – ფასიანი ქალაქი, რომელიც არ არსებობს ქალაქის ფორმით, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქალაქების რეესტრში ან ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში რეესტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე.
34. საინვესტიციო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ინვესტორი აძლევს სხვა პირს ფულს ან სხვა უფლებას საკუთრებაზე ეკონომიკურ საქმიანობაში დასაბანდებლად, შესაძლო შემოსავლის მიღების მიზნით.
35. სასესხო ფასიანი ქალაქი – ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს უფლებას განსაზღვრული ძირითადი თანხის პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებაზე; იგი მოიცავს სამთავრობო ფასიან ქალაქებს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
36. საჯარო ფასიანი ქალაქები – იმ კლასის ფასიანი ქალაქები, რომლებიც განთავსდა საჯარო შეთავაზების გზით ან/და დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე;
37. ფასიანი ქალაქების ემისია (გამოშვება) – პროცედურა, რომლის საშუალებითაც ემიტენტი განთავსებს ფასიან ქალაქებს.
38. ფასიანი ქალაქების კლასი – ემიტენტის ყველა ის ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს იდენტურ უფლება-მოვალეობებს.
39. წილობრივი ფასიანი ქალაქი – ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის წილს საწარმოში.
40. ფასიანი ქალაქების ბაზრის მონაწილე – ინვესტორი, ემიტენტი, ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, აუდიტორი.
41. ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე – საფონდო ბირჟა, ცენტრალური დე-

პოზიტორი, ფასიანი ქალაქების რეესტრატორი, ანგარიშვალდებული საწარმო, ფასიანი ქალაქების ბაზრის შუამავალი.

42. ფასიანი ქალაქების ბაზრის შუამავალი – საბროკერო კომპანია ან სხვა შუამავალი, რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესებით.
43. ფასიანი ქალაქის ნომინალური მფლობელი – იურიდიული პირი, რომელიც არის ფასიანი ქალაქების ბაზრის შუამავალი, ბანკი ან ცენტრალური დეპოზიტორი, რომელსაც რეესტრირებული მესაკუთრე (ან სხვა ნომინალური მფლობელი) წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს უფლებას, ფასიანი ქალაქები ამ ნომინალური მფლობელის სახელზე შეიტანოს რეესტრში და რეესტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის ინტერესებისათვის ჩაებას ამ ფასიან ქალაქებთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებში.
44. ფასიანი ქალაქების რეესტრატორი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქალაქების რეესტრს და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში ემიტენტსა და ფასიანი ქალაქების რეესტრატორს შორის.
45. ფასიანი ქალაქების რეესტრი – რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ემიტენტი ან ფასიანი ქალაქების რეესტრატორი და რომელშიც აღნიშნულია რეესტრირებული მფლობელებისა და მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქალაქების რაოდენობა, კლასი და მათთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.
46. ფასიანი ქალაქების შეთავაზების ხელშეკრულება – ხელშეკრულება ფასიანი ქალაქების შეთავაზების განმარტაციულ ემიტენტსა და ერთ ან რამდენიმე საბროკერო კომპანიას შორის, რომლის მიხედვითაც, საბროკერო კომპანია/კომპანიები კისრულობს/კისრულობენ ვალდებულებას, განათავსოს/განათავსონ ფასიანი ქალაქები გარანტირებულ ან არაგარანტირებულ საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად:
- ა) გარანტირებული საფუძველი ფასიანი ქალაქების შეთავაზების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნიშნავს საბროკერო კომპანიების მიერ ემიტენტისაგან ფასიანი ქალაქების მთელი ემისიის შესყიდვას, თავიანთ საკუთრებაში მისი დატოვების ან შემდგომი გადაყიდვის გარანტიით;
  - ბ) არაგარანტირებული საფუძველი ფასიანი ქალაქების შეთავაზების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნიშნავს საბროკერო კომპანიების მიერ ემიტენტისაგან ფასიანი ქალაქების მთელი ემისიის პირობით შესყიდვას, თავიანთ საკუთრებაში მისი დატოვების ან შემდგომი გადაყიდვის გარანტიის გარეშე.
47. შეთავაზება – გამოშვებული ან გამოსაშვები ფასიანი ქალაქის ან მასზე საკუთრების უფლების გაყიდვის ან ანაზღაურებით გასხვისების ნებისმიერი ცდა. იგი არ გულისხმობს საბროკერო

- კომპანიისათვის ან საბროკერო კომპანიის მიერ შეთავაზებულ წინადადებას მიიღოს მონაწილეობა ფასიანი ქაღალდის ან მასზე საკუთრების უფლების შეთავაზების ხელშეკრულებაში.
48. შეთავაზების განაცხადი – ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენილი განაცხადი, რომელიც გულისხმობს მის ნებისმიერ შესწორებას და ნებისმიერ ემისიის პროსპექტს, ანგარიშს ან დოკუმენტს, რომელიც ამ განაცხადის ნაწილია, – უშუალოდ ან ჩართული მასზე მითითებით.
49. ჩანაწერი – ნებისმიერი ინფორმაცია, წარმოდგენილი ანგარიშის, კორექსონდენციის, მაგნიტურ ფირსა და კომპიუტერის დისკზე ჩანაწერებისა თუ სხვა სახით, რომელთა ნაკითხვაც შესაძლებელია ჩვეულებრივ ან რაიმე ტექნიკური საშუალებებით.
50. ცენტრალური დეპოზიტარი (დეპოზიტარი) – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლება მოსილია, რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის დავალებით აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება, აგრეთვე განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული სხვა მომსახურება.
- 50<sup>1</sup>. წევრი – საფონდო ბირჟის ან ცენტრალური დეპოზიტარის კლიენტი, რომელიც საფონდო ბირჟის ან ცენტრალური დეპოზიტარის წესის შესაბამისად აღიარებულია საფონდო ბირჟის ან ცენტრალური დეპოზიტარის წევრად.
51. წერილობითი ფორმა – კომუნიკაციის ნაბეჭდი, ლითოგრაფიული ან ნებისმიერი გრაფიკული ფორმა.
52. ამოღებულია
53. განვითარებული ქვეყნები – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ განვითარებული ქვეყნების ნუსხაში შეტანილი ქვეყნები.
54. ფინანსური ინსტიტუტები – იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაა ფინანსური მომსახურების განხორციელება და რომლებიც მოქმედებენ კომერციული ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის, გადამზღვეველი კომპანიის, საინვესტიციო ბანკის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, საბროკერო კომპანიის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის, საინვესტიციო ფონდის ან/და ფინანსური მომსახურების განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციის სახით. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია გააფართოოს და განმარტოს ფინანსური ინსტიტუტების ჩამონათვალი.
55. საინვესტიციო ფონდი – იურიდიული პირი ან კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც იქმნება ინვესტორების ფულის აკუმულირებისა და განთავსების მიზნით.
56. კოლექტიური საინვესტიციო სქემა – ფინანსური ინსტიტუტების მართვაში გადაცემული ფულადი საშუალებები ამ თანხების ინვესტიციებში განთავსების მიზნით.
57. გათვითცნობიერებული (გამოცდილი) ინვესტორი – პირი, რომელსაც აქვს საკმარისი გამოცდილება, ქონება ან შემოსავალი იმისათვის, რომ აიტანოს საინვესტიციო საქმიანობით გამოწვეული ფინანსური ზარალი. გათვითცნობიერებული (გამოცდილი) ინვესტორი არის მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი, ფინანსური ინსტიტუტი, ფინანსური ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიული პირი, რომლის კაპიტალი აღემატება 1 მილიონ ლარს, ან სხვა პირები, რომლებიც ასეთად აღიარებული არიან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.
58. მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირი – პირი, რომლის დადასტურებული ქონება აღემატება 3 მილიონ ლარს ან წლიური შემოსავალი ბოლო 3 წლის განმავლობაში აღემატება 200 000 ლარს.
59. გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი – ფინანსური ინსტიტუტი ან კოლექტიური საინვესტიციო სქემა, შექმნილი ამ კანონის შესაბამისად. მისი მონაწილენი არიან მხოლოდ გათვითცნობიერებული (გამოცდილი) ინვესტორები.
60. საინვესტიციო ფონდის მმართველი – პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც მართავს საინვესტიციო ფონდს.
61. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი – ემიტენტის მიერ გამოშვებული და განთავსებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდების წილი, რომელიც არ განეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ არც ერთ კატეგორიას:
- ა) პირის (მათ შორის, ემიტენტის) რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ 5%-იან ან უფრო მსხვილ ამ კლასის ფასიანი ქაღალდების პაკეტს, გარდა იმ ფასიანი ქაღალდების პაკეტისა, რომელსაც დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების მიზნით რეგისტრირებულ საკუთრებაში ფლობს საერთაშორისო დეპოზიტარი;
  - ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს;
  - გ) ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრებისა და თანამშრომლების რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს.
62. უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟა – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ბირჟათა სიაში შეყვანილი საფონდო ბირჟა, რომლის წესები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. ასეთ ბირჟებს, როგორც მინიმუმი, მიეკუთვნებიან განვითარებულ ქვეყნებში არსებული, მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ბირჟები.
63. კოტირება – საფონდო ბირჟის მიერ ფასიანი ქაღალდის ოფიციალური ფასის ან/და ფასთა ინტერვალის დადგენა გარკვეული თარიღისათვის, გაანგარიშებული დადებული გარიგებების ან/და გაკეთებული სავაჭრო განაცხადების საფუძველზე, ბირჟის მიერ დამტკიცებული მეთოდის შესაბამისად.
64. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში – ფინანსური ანგარიში, რომელიც მოიცავს როგორც მშობელი, ისე შვილობილი საწარმოს ფინანსურ ანგარიშებს.

65. შვილობილი საწარმო (შვილობილი ორგანიზაცია) – იურიდიული პირი, რომელშიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე ფლობს წილის (ხმის უფლების მქონე აქციების, პაის) 50 პროცენტს ან 50-ზე მეტ პროცენტს, ხოლო იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნის შემთხვევაში – აკონტროლებს მას.
66. ფილიალი – ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც უშუალოდ ხორციელდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის წესდებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი ნაწილი.

## თავი II ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება

### მუხლი 3. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ცნება

1. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება არის წინადადება ემიტენტის სახელით ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ან არაპირდაპირი მიყიდვის შესახებ არანაკლებ 100 პირისათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობისათვის. საჯარო შეთავაზებად მიიჩნევა აგრეთვე არაანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებით წამოყენებული ამგვარი წინადადება იმ პირის სახელით, რომელიც არ არის ემიტენტი. ნებისმიერ პირს შეუძლია განახორციელოს საჯარო შეთავაზება, თუ იგი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს ამ კანონით განსაზღვრულ, თავის მიერ ხელმოწერილ შესაბამის ინფორმაციას (დოკუმენტებს) და საქართველოს ეროვნულ ბანკს შეატყობინებს ძირითად ინფორმაციას თავის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია დააწესოს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების განსხვავებული წესი.
2. ემიტენტი უფლება აქვს საბროკერო კომპანიასთან დადოს ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ.
3. იმ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელს, რომელიც ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებას ახორციელებს ამ კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, უფლება აქვს წინადადებით მიმართოს ემიტენტს, დადგენილი წესით საჯარო შეთავაზებაში შეიტანოს მის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები.
4. საჯარო შეთავაზება არასამთავრობო ემიტენტების, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.
5. საინვესტიციო ფონდის ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და გასხვისების წესები განისაზღვრება ამ კანონით, თუ საქართველოს კანონმდებლობით ფასიანი ქაღალდების შესახებ სხვა

რამ არ არის დადგენილი.

6. ფასიანი ქაღალდების შეთავაზება და მიყიდვა მხოლოდ გამოცდილი ინვესტორებისათვის არ განიხილება, როგორც საჯარო შეთავაზება.

### მუხლი 4. მოთხოვნები ემისიის პროსპექტისადმი

1. საჯარო შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ ემიტენტის მიერ ამ კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მოთხოვნათა დაცვით მომზადებული და დამტკიცებული პროსპექტის გამოქვეყნებისთანავე ან შემდეგ.
2. ემიტენტი საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტის დასამტკიცებლად მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს და წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს, რომლებიც მიიჩნევა საჯარო შეთავაზების განაცხადად:
  - ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის მიხედვით შედგენილი განაცხადი;
  - ბ) წინასწარი პროსპექტის 3 ასლი, ხელმოწერილი ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ, როცა ემიტენტი საწარმოა, ხოლო სხვა ემიტენტების შემთხვევაში – ხელმოწერილი იმ პირების მიერ, რომლებიც კანონის მიხედვით აღიარებული არიან, როგორც პასუხისმგებლები ემიტენტის მართვაზე (პასუხისმგებელი პირები). წინასწარი პროსპექტი შეიცავს:
    - ბ.ა) ინფორმაციას ემიტენტის შესახებ, კერძოდ, მის სახელს, მისამართსა და დაარსების თარიღს, განთავსებული ფასიანი ქაღალდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რაოდენობასა და კლასს; ყოველი მფლობელის სახელს, რომელიც აკონტროლებს ემიტენტს; თუ ემიტენტი საწარმოა – მისი მმართველი ორგანოს წევრთა სახელებს, საჯაროებისამებრ – ემიტენტის მიერ შერჩეული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სახელს, ზემოხსენებული პირების შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს;
    - ბ.ბ) ბოლო 2 წლის განმავლობაში ემიტენტის საქმიანობის დახასიათებას და ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო ძირითად რისკებს. თუ ემიტენტი საქმიანობას ეწევა 2 წელზე ნაკლები ვადის განმავლობაში, ამ პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციას იგი წარადგენს დაარსებიდან განაცხადის წარდგენამდე პერიოდისთვის;
    - ბ.გ) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ინდივიდუალურ, ხოლო არსებობის შემთხვევაში – კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებს ბოლო 2 სამეურნეო წლისათვის. თუ ემიტენტი საქმიანობას ეწევა 2 წელზე ნაკლები ვადის განმავლობაში, ამ პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციას იგი წარადგენს დაარსებიდან განაცხადის წარდგენამდე პერიოდისთვის;
    - ბ.დ) ინფორმაციას გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შესახებ, კერძოდ:
      - ბ.დ.ა) გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების კლასსა და საორიენტაციო რაოდენობას;
      - ბ.დ.ბ) ხელმოწერის პროცედურის დეტალებს, ხოლო თუ საბროკერო კომპანიამ ხელი მოაწერა ფასიანი

ქალაქების შეთავაზების ხელშეკრულებას და დათანხმდა, შეესყიდა მთელი ემისიის ფასიანი ქალაქების ნაწილი, – ასეთი გარიგების დაახლოებით დეტალებს;

ბ.დ.გ) ინფორმაციას იმის შესახებ, ხდება თუ არა ფასიანი ქალაქების მფლობელთა სახელით ფასიანი ქალაქების შეთავაზება, ხოლო ასეთი შეთავაზების შემთხვევაში – მათ სახელებსა და თითოეულის მიერ შეთავაზებული ფასიანი ქალაქების რაოდენობას;

ბ.დ.დ) სასესიო ფასიანი ქალაქისათვის პროცენტის გაანგარიშების მეთოდს, თუ ფასიანი ქალაქი პროცენტიანია; ფასიანი ქალაქის ვადასა და ნებისმიერი ნებადართული დაფარვის პირობებს;

ბ.დ.ე) შეთავაზების შედეგად მიღებული შემოსავლების სავარაუდო გამოყენებას.

3. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია დაანგოს გამარტივებული მოთხოვნები ინფორმაციის მოწოდებაზე, გამოშვებული თუ გამოსაშვები ფასიანი ქალაქების სახეობების, ემიტენტის ტიპის, სასესიო ფასიანი ქალაქის ვადიანობის მიხედვით.

4. თუ ემიტენტი ანგარიშვალდებული საწარმოა და მას წარდგენილი აქვს ყველა აუცილებელი ანგარიში ბოლო 2 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია, თავის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, არ მოითხოვოს სრული ემისიის პროსპექტის წარდგენა ან მოითხოვოს ემისიის პროსპექტისათვის საჭირო ინფორმაციის ნაწილის წარდგენა.

5. თუ ემისიის პროსპექტისათვის აუცილებელი ინფორმაცია უკვე წარედგინა საქართველოს ეროვნულ ბანკს, იგი შეიძლება ჩაერთოს პროსპექტში მითითების სახით, ამ კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

6. თუ რომელიმე ემიტენტის ფასიანი ქალაქები განთავსებულია უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟათაგან ერთ-ერთზე მაინც, მაშინ ასეთ ემიტენტს შეუძლია საქართველოში ფასიანი ქალაქების ემისია განახორციელოს საფონდო ბირჟის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ყოველგვარი დამატებითი რეგულირების გარეშე. ამ შემთხვევაში ემიტენტი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს გაუგზავნოს შეტყობინება ფასიანი ქალაქების ემისიის შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკი საჭიროების შემთხვევაში ფასიანი ქალაქებს მიანიჭებს ეროვნულ საიდენტიფიკაციო ნომერს.

7. შეთავაზების განაცხადის საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს მას და თუ:

ა) მიიჩნევს, რომ წინასწარი პროსპექტი არ შეესაბამება ამ კანონს ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წესებს, ემიტენტს მიაწვდის წერილობით პასუხს მისგან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნით, რომელიც საჭიროა წარდგენილი ინფორმაციის განმარტებისა და დამუსტებისათვის, ან/და მოსთხოვს ემიტენტს, წარადგინოს წინასწარ პროსპექტში მითითებული ინფორმაციის სისწორის დამადასტურებელი საბუთები. აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების შემდეგ

ემიტენტს შეუძლია წარადგინოს შეთავაზების განაცხადის შესწორებები, რომელთაც ხელახლა განიხილავს;

ბ) დაამტკიცა ემისიის პროსპექტი, ემიტენტის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწვდის მას წერილობით თანხმობას ემისიის პროსპექტის დამტკიცებაზე;

გ) მიიჩნევს, რომ წარდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება ამ კანონს ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წესებს, ანდა თუ ემიტენტი უარს ამბობს, წარადგინოს დოკუმენტები, მონაცემები ან ახსნა-განმარტებები, რომელთაც ეს მუხლი მოითხოვს, შეიძლება წერილობითი ფორმით უარი განაცხადოს ემისიის პროსპექტის დამტკიცებაზე;

დ) ემიტენტი არ იქნა ინფორმირებული წერილობითი ფორმით, ამ პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მაშინ 15 დღის გასვლის შემდეგ ემისიის პროსპექტი დამტკიცებულად მიიჩნევა.

8. საბოლოო პროსპექტში მიმდინარე ფინანსური ინფორმაცია არ უნდა იყოს 18 თვეზე უფრო ადრინდელი. ტექსტში მოყვანილი აღწერები უნდა შეესაბამებოდეს უახლეს შესაძლო თარიღს.

9. 10 დღის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული მეტი დროის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ემისიის პროსპექტი დამტკიცებულად მიიჩნევა, ემიტენტმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს საბოლოო პროსპექტის 3 ეგზემპლარი, შეთავაზებული ფასიანი ქალაქების რაოდენობის პირველ გვერდზე მითითებით, ხოლო როცა საბოლოო კომპანიები ყიდიან ფასიანი ქალაქებს ემიტენტის ან/და ემიტენტის ფასიანი ქალაქების მფლობელთა სახელით – ფასიანი ქალაქების შეთავაზების ხელშეკრულების პირობები. საბოლოო პროსპექტი, ამ მუხლის მე-12 პუნქტის გათვალისწინებით, გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქალაქების საჯაროდ გასაყიდად.

10. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის საბოლოო პროსპექტის წარდგენა არ უნდა ჩაითვალოს ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით შეტანილ შესწორებებად.

11. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება ადასტურებს, რომ ემიტენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეესაბამება ამ კანონსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წესებს, მაგრამ ის არ ადასტურებს განცხადებული ინფორმაციის სისწორეს, ამასთანავე, იგი არ უნდა იქნეს განხილული, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის რეკომენდაცია. ყოველი წინასწარი, დამტკიცებული და საბოლოო პროსპექტის წინა გვერდზე მკაფიოდ უნდა ჩანდეს შემდეგი სიტყვები: „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ“.

12. გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტში მითითებული შემთხვევებისა, საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემისათვის, გა-



ნუცხადებლობისათვის ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციისათვის ამ კანონით პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ შემდეგ პირებს:

- ა) ემიტენტს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, რომლებმაც პროსპექტს ხელი მოაწერეს სოლიდარულად;
  - ბ) ყოველ საბროკერო კომპანიასა და ბროკერს, რომლებიც მოქმედებენ ემიტენტის სახელით, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე;
  - გ) ყოველ აუდიტორსა თუ სხვა ექსპერტს, რომელმაც განაცხადა თანხმობა მის, როგორც ემისიის პროსპექტის ნაწილის ავტორის, მოხსენიებაზე, ემისიის პროსპექტის მის მიერ მომზადებულ ნაწილში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემის ან გამოტოვების გამო.
13. არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, არ იქნება პასუხისმგებელი ამ მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, თუ ამის შესახებ მითითებულია ემისიის პროსპექტში ან თუ მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ:
- ა) საბოლოო პროსპექტის ძალაში შესვლამდე იგი გადადგა ან შეწყვიტა ის ურთიერთობები, რომლებიც მოცემულია საბოლოო პროსპექტში მისი საქმიანობის ან საქმიანობაზე თანხმობის შესახებ, და ამის თაობაზე მან წინასწარ წერილობით შეატყობინა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ემიტენტს;
  - ბ) საბოლოო პროსპექტის ეს ნაწილი ძალაში შევიდა მასთან შეუთანხმებლად, ამ ფაქტის აღმოჩენისთანავე მან დაუყოვნებლივ შეატყობინა საქართველოს ეროვნულ ბანკს ამის შესახებ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით და გაზეთში გამოაქვეყნა წერილობითი განცხადება, რომ საბოლოო პროსპექტის ეს ნაწილი ძალაში შევიდა მასთან შეუთანხმებლად;
  - გ) საბოლოო პროსპექტის ამა თუ იმ ნაწილთან დაკავშირებით, სათანადო გამოკვლევის შემდეგ მას ჰქონდა საფუძველი მიეჩნია და მიიჩნია კიდევ, რომ საბოლოო პროსპექტის ძალაში შესვლისას მასში მოცემული მონაცემები სწორი იყო, ან რომ საბოლოო პროსპექტის ეს ნაწილი სწორად არ ასახავს ასეთი პირის განცხადებას ანდა არ არის მის მიერ მომზადებული ანგარიშის ზუსტი ასლი თუ ნაწილი.
14. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ბათილია ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს ამ მუხლში დასახელებულ პირთა პასუხისმგებლობას (თუ ამის შესახებ ემისიის პროსპექტის გარეკანზე არ არის მითითებული), თუ ემისიის პროსპექტში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემის ან გამოტოვების გამო დაზარალდა აქციის მფლობელი. ემიტენტი, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, პასუხისმგებელია საჯარო შეთავაზებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების შემძენ პირთა წინაშე იმ ზარალისათვის, რომელიც წარმოიქმნა შეძენის შედეგად და გამოწვეულია დამტკიცებულ ან საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემით ან განუცხადებლობით. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში ჩა-

მოთვლილი სხვა პირები, ანალოგიურად, პასუხისმგებელი იქნებიან ასეთივე მყიდველთა წინაშე ამ ზარალისათვის, თუ მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით. იმ ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, რომელთა საჯარო შეთავაზებაც მოხდა ამ მუხლის პირველი პუნქტის ან ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, შეიძლება გაუქმდეს მყიდველის მოთხოვნით, რაც დაექვემდებარება ისეთ პროცედურულ და დროით შეზღუდვებს, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით.

15. საბოლოო პროსპექტის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი რეგისტრაციაში ატარებს ფასიანი ქაღალდებს და თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით ანიჭებს მათ ეროვნულ საიდენტიფიკაციო ნომერს.

### მუხლი 5. შეთავაზების პროცედურა

1. საბოლოო პროსპექტი მიენოდება ინვესტორებს საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დაწყებამდე, დაწყებისთანავე ან გაყიდვის პროცესში.
2. საჯარო შეთავაზების პერიოდში ამა თუ იმ არსებითი მოვლენის, კერძოდ, ემისიის პროსპექტში ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების რაოდენობის, შეთავაზების ბოლო ვადის ან სხვა არსებითი ფაქტის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში ემიტენტი მიმართავს შემდეგ პროცედურას:
  - ა) საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს შეთავაზების განაცხადის შესწორებას, რომელშიც განიმარტება მასში შეტანილი ყველა ცვლილება;
  - ბ) აქვეყნებს შეტყობინებას გაზეთში ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული სხვა საშუალებით; აცხადებს არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმების შესახებ და ახორციელებს შეთავაზებას მითითებულ თარიღამდე ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ყველა ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე ყოველგვარი ფასდაკლების გარეშე, ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.
3. თუ ემისიის პროსპექტში შესწორება შეიტანება ამა თუ იმ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ხელმომწერებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ შესყიდულ ფასიანი ქაღალდებზე, ხოლო ემიტენტი ვალდებულია უკან დააბრუნოს ფასიანი ქაღალდების საფასური გამოუქვითავად, ხელმომწერთა მიერ უარის განცხადებიდან 10 დღის განმავლობაში. ხელმომწერნი, რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ ფასიანი ქაღალდებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.
4. თუ საჯარო შეთავაზების დაწყების შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკი შეიტყობს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ ემისიის პროსპექტში ესა თუ ის არსებითი მოვლენა არასწორადაა გადმოცემული ან გამოტოვებულია, იგი უფლებამოსილია მოსთხოვოს ემიტენტს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების შესრულება.

5. თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ ემისიის პროსპექტში მითითებული სხვა ინფორმაცია საჯარო შეთავაზების პერიოდში შეიცვალა, ემიტენტი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ ახალი ინფორმაციის (ცვლილებების) ამსახველი დოკუმენტის ასლი, ვიდრე მოცემულ ცვლილებას ემისიის პროსპექტში შეიტანდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.

**მუხლი 6. შეთავაზების საჯაროობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე**

1. აკრძალულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე მისი გავრცელება.
2. აკრძალულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე ემიტენტის ან მისი სახელით მოქმედი საბროკერო კომპანიის მიერ სათანადო ფასიანი ქაღალდის გაყიდვის შეთავაზება ან ამ პირთა მიერ ნებისმიერი სხვა პირისაგან სათანადო ფასიანი ქაღალდის შესყიდვაზე თანხმობის მიღება.

**მუხლი 7. დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების შეჩერება და გაუქმება**

1. თუ ემიტენტი ან მისი სახელით მოქმედი საბროკერო კომპანია არღვევს ამ კანონის მე-4 – მე-6 მუხლების მოთხოვნებს, ანდა ემისიის პროსპექტში მათ მიერ წარდგენილი ინფორმაცია არსებითად არასწორი ან არასრულია, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს დამტკიცებული პროსპექტის მოქმედება და განსაზღვროს ვადა ამგვარი დარღვევების გამოსასწორებლად. თუ დარღვევები განსაზღვრულ ვადაში არ გამოსწორდება, საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია დამტკიცებული პროსპექტის მოქმედება გააუქმოს.
2. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი შეაჩერებს ან გააუქმებს დამტკიცებული პროსპექტის მოქმედებას, ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება აკრძალულია და მყიდველებს უფლება აქვთ, უარი თქვან თავიანთ შესყიდვებზე ამ კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით.

**მუხლი 8. ფასიანი ქაღალდების ემისიის ანგარიში**

1. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში ემიტენტი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშს, რომელიც შეიცავს შეთავაზებული და გაყიდული ფასიანი ქაღალდების ზუსტ რაოდენობასა და ფასს; თუ ემისიით გამოსაშვები ფასიანი ქაღალდები სრულად არ არის განთავსებული, ემიტენტი წარადგენს ანგარიშს ფაქტობრივად გან-

2. თავსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკი წარდგენილ ანგარიშს განიხილავს მისი მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი ინფორმაციის განმარტება ან მასში ცვლილებების შეტანა, რომლებიც უნდა მოამზადოს და წარადგინოს ემიტენტმა.
3. თუ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი არ არის სანარმო, მან საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს და რეგისტრირებულ მფლობელთათვის გაავრცელოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე, ფინანსური და სხვა ინფორმაციის შემცველი ანგარიშები.

**თავი III  
საჯარო ფასიანი  
ქაღალდების ემიტენტები**

**მუხლი 9. ანგარიშვალდებული სანარმოს ცნება**

1. ანგარიშვალდებულ სანარმოდ (საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტად) მიიჩნევა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები (გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა).
2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიიღოს ჩანაწერით მფლობელთა განსაზღვრის წესი.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს წესს, რომლითაც გარკვეული ტიპის ანგარიშვალდებული სანარმოები თავისუფლდებიან ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, მე-14 და მე-15 მუხლების მოთხოვნათა შესრულებისაგან, თუ სანარმოთა მიერ ასეთი ანგარიშების მოსამზადებლად გასაწევი ხარჯები, სანარმოთა საკუთარი კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნული მუხლებით დაცული საჯარო ინტერესის შეუსაბამო აღმოჩნდება.

**მუხლი 10. საჯარო ფასიანი ქაღალდები. ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება**

1. საჯარო ფასიანი ქაღალდი გამოშვებულ უნდა იქნეს არამატერიალიზებული ფორმით. მატერიალიზებული ფორმით გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდი ექვემდებარება დემატერიალიზაციას.
2. ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიძლება მიიღოს შესაბამისი წესი. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და ის ემიტენტი, რომელიც უფლებამოსილია, თავისი ფასიანი ქაღალდების რეესტრი თვითონ აწარმოოს, ვალდებული არიან იმოქმედონ ამ წესის მიხედვით.
3. ემიტენტი, რომელიც არის ანგარიშვალდებული სანარმო, ვალდებულია მისი ანგარიშვალდებულ

საწარმოდ მიჩნევიდან 60 დღის ვადაში შეარჩიოს ფასიანი ქალაქების რეგისტრატორი, დადოს მასთან წერილობითი ხელშეკრულება და ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადასც მას ფასიანი ქალაქების რეესტრი ან/და მის საწარმოებლად საჭირო ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია.

4. თუ ემიტენტი, რომელიც ვალდებულია ფასიანი ქალაქების რეესტრი გადასცეს დამოუკიდებელ რეგისტრატორს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში არ შეარჩევს მას, რეგისტრატორს მას უნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესით.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ემიტენტმა 7 დღის ვადაში უნდა შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის შერჩევისა და მასთან ხელშეკრულების დადების შესახებ. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) ემიტენტის სახელწოდება (დასახელება), იურიდიული მისამართი;
  - ბ) ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის ვინაობა;
  - გ) ფასიანი ქალაქების რეგისტრატორთან ხელშეკრულების დადებისა და ამოქმედების თარიღები;
  - დ) ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქების ყოველი კლასი, თითოეული კლასით გათვალისწინებული ფასიანი ქალაქების რაოდენობის მითითებით;
  - ე) ემიტენტის მმართველი ორგანოს ყველა წევრის, ხოლო თუ იგი საწარმო არ არის – აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირების სახელი, გვარი, თანამდებობა;
  - ვ) მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება, რეგისტრაციის თარიღი და საიდენტიფიკაციო კოდი.
6. ემიტენტი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ნებისმიერ ინფორმაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ მისი განხორციელებიდან 7 დღის ვადაში შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, ფასიანი ქალაქების რეგისტრატორს და იმ საფონდო ბირჟას, რომელზედაც სავაჭროდ დაშვებულია მისი ფასიანი ქალაქები.
7. თუ ფასიანი ქალაქები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, ფასიანი ქალაქების რეგისტრატორი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე მონაცემის ცვლილების შემთხვევაში:
  - ა) ფასიანი ქალაქების რეესტრში ცვლილების განხორციელებამდე არა უგვიანეს 5 დღისა შეატყობინოს ცვლილების შესახებ (მისი სამართლებრივი საფუძვლისა და თარიღის ჩვენებით) საქართველოს ეროვნულ ბანკს, იმ საფონდო ბირჟას, რომელზედაც სავაჭროდ დაშვებულია შესაბამისი ფასიანი ქალაქები, და ამ საფონდო ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს (დეპოზიტარს);
  - ბ) ცვლილების განხორციელების დღის ბოლომდე ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფონდო ბირჟას და მის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს წერილობით დაუდასტუროს მისი განხორციელება, ამასთანავე, შესაბამისი ფასიანი ქალაქების ნომინალურ მფლობელებს 3 დღის ვადაში აცნობოს აღნიშნული ცვლილების შესახებ.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფონდო ბირჟა და მისი მომსახურე ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებული არიან, აღნიშნული პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დადასტურების მიღებამდე შეაჩერონ შესაბამის ფასიანი ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციები.
9. თუ ემიტენტი, რომელიც ვალდებულია, ფასიანი ქალაქების რეესტრი ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის მეშვეობით აწარმოოს, გარკვეული მიზეზით მოშლის მასთან ხელშეკრულებას, მან უნდა უზრუნველყოს ფასიანი ქალაქების ახალი რეგისტრატორის შერჩევა და მასთან ხელშეკრულების ამოქმედება არა უგვიანეს წინა ხელშეკრულების მოშლის დღისა. ხელშეკრულების მოშლის თარიღისთვის ემიტენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება. ამ შემთხვევაში რეესტრი და სათანადო დოკუმენტაცია ფასიანი ქალაქების რეგისტრატორმა უნდა გადასცეს ემიტენტს ან ემიტენტის მიერ შერჩეულ ახალ რეგისტრატორს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესი.
10. ერთ ემიტენტს შეიძლება ჰყავდეს ფასიანი ქალაქების მხოლოდ ერთი რეგისტრატორი.

## მუხლი 11. პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები

1. ყველა ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან ფასიანი ქალაქების რეგისტრირებულ მესაკუთრეებს მიაწოდოს:
  - ა) წლიური ანგარიში;
  - ბ) ნახევარი წლის ანგარიში;
  - გ) მიმდინარე ანგარიში.
2. წლიური ანგარიში დგება ყოველი სამეურნეო წლისათვის და უნდა შეიცავდეს: ინფორმაციას ემიტენტის, მისი საქმიანობის, მმართველი ორგანოს წევრთა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც აქციონერთა კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმების მნიშვნელოვან წილს; აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშებს; საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას. ასეთი ანგარიშების მომზადება აუცილებელია პირველივე სამეურნეო წლიდან, მას შემდეგ, რაც საწარმო გახდა ანგარიშვალდებული საწარმო. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს წლიური ანგარიში ყოველი სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ, არა უგვიანეს 15 მაისისა. აღნიშნულ წლიურ ანგარიშს წარადგენს ის საწარმოც, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმო გახდა სამეურნეო წლის განმავლობაში, ამ პუნქტში აღნიშნული ვადების დაკვირვებით.
3. ნახევარი წლის ანგარიში დგება სამეურნეო წლის პირველი 6 თვის შესახებ (30 ივნისის მდგომარე-

ობით). აღნიშნული ანგარიში საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე. საწარმო, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმო გახდა სამეურნეო წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, ასევე ვალდებულია წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ნახევარი წლის (სამეურნეო წლის პირველი 6 თვის შესახებ) ანგარიში ამ პუნქტში აღნიშნული ვადების დაცვით. ნახევარი წლის ანგარიში უნდა შეიცავდეს: ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსურ ანგარიშებს; ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენების შესახებ; საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას.

4. მიმდინარე ანგარიშის წარდგენა აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრულ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც საწარმო გახდა ანგარიშვალდებული საწარმო. მიმდინარე ანგარიშის წარდგენა ხდება ანგარიშში ასახული მოვლენის დადგომიდან 15 დღის განმავლობაში. მას უნდა ჰქონდეს ისეთი ფორმა და უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორსაც მოითხოვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი.
5. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია განსაზღვროს ამ მუხლის მიხედვით წარსადგენი ანგარიშის ფორმა და მისი წარდგენის წესი.
6. თუ საწარმოს საჯარო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ხდება საფონდო ბირჟაზე, საწარმო ამ მუხლით განსაზღვრულ ანგარიშებს ერთდროულად წარუდგენს როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკს, ისე საფონდო ბირჟას.
7. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საწარმოს შესახებ ან ამ მუხლის მიხედვით წარსადგენი ფინანსური ანგარიშის თაობაზე. ინფორმაცია შეიძლება მოითხოვნილ იქნეს ანგარიშში ინფორმაციის ღიაობის გადასამოწმებლად, ჩანაწერის განსამართავად ან ანგარიშთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მისაღებად. წარდგენილ დამატებით დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის ასახვის მიზნით საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია აგრეთვე მოითხოვოს ამ დოკუმენტის შესწორება.
8. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია შეიძლება ჩართულ იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის უკვე წარდგენილი ნებისმიერი სხვა დოკუმენტიდან მასზე მითითების გზით, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გარკვევით უნდა მიეთითოს ჩართული ინფორმაციის წარმომავლობა, წყარო, გვერდი, აბზაცი ან ინფორმაციის სხვა დახასიათება. ძველად მისაწვდომი ინფორმაცია უშუალოდ უნდა იქნეს წარდგენილი.
9. ამ მუხლის მიხედვით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშს საწარმოს მხრიდან ხელს უნდა აწერდნენ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. აღნიშნული პირები კანონმდებლობის შესაბა-

მისად პასუხისმგებელი არიან ანგარიშში შეტანილი არსებითი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

## მუხლი 12. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ინფორმაციის ღიაობა

1. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს ანგარიშს ამ საწარმოს იმ ფასიანი ქაღალდების პროცენტული ოდენობის შესახებ, რომელთა რეგისტრირებული ან/და ბენეფიციარი მესაკუთრეც ის არის.
2. თუ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ხდება საფონდო ბირჟაზე, მაშინ ანგარიში წარედგინება საფონდო ბირჟასაც.
3. ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა იმ დროიდან, როცა:
  - ა) საწარმო გახდა ანგარიშვალდებული;
  - ბ) პირი გახდა მმართველი ორგანოს წევრი;
  - გ) პირმა შეიძინა აღნიშნული საწარმოს ფასიანი ქაღალდები.
4. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ანგარიშის ფორმა და შინაარსი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

## მუხლი 13. კონფიდენციალური ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ

1. ანგარიშვალდებულ საწარმოს შეუძლია საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენილ ანგარიშებში არ შეიტანოს თავის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ კანონითა და თავის მიერ დადგენილი წესით შეიძლება მოითხოვოს ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გახსნა, რომელიც არ იქნება შემოფარგლული ვაჭრობის საიდუმლოებებით, სპეციალისტების მიერ საწარმოში ან საწარმოს გარეთ მომზადებული სტრატეგიული დანიშნულების ფინანსური ან კომერციული ინფორმაციით.
2. ანგარიშვალდებული საწარმო საქართველოს ეროვნულ ბანკს ცალკე, კონფიდენციალობის მითითებით წარუდგენს სპეციალურ ანგარიშს, რომელიც ძირითად ანგარიშთან ერთად დამატებით მოიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას. საქართველოს ეროვნული ბანკი დაიცავს წარდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალობას. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სპეციალური ანგარიშის მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში, თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გადაწყვიტოს წარდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხი. ამასთანავე, თუ:
  - ა) საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიიჩნევს, რომ

ინფორმაცია არასწორად იყო ამოღებული წარდგენილი ანგარიშიდან, ანგარიშვალდებულ საწარმოს დამატებით ფაქტორებზე დაყრდნობით შეუძლია წერილობითი ფორმით სთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება. ასეთი წერილობითი სთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გადაამოწმოს თავისი ბოლო გადაწყვეტილება. საქართველოს ეროვნულ ბანკს გადაწყვეტილების გადამოწმება მხოლოდ ერთჯერ შეუძლია;

- ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომ ინფორმაცია არასწორად იყო ამოღებული წარდგენილი ანგარიშიდან, ანგარიშვალდებულ საწარმო, რომელმაც წარადგინა დოკუმენტები, ვალდებულია წარადგინოს შესწორებული დოკუმენტები, რომლებშიც ჩართული იქნება ადრე ამოღებული ინფორმაცია.

### მუხლი 14. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის საჭაროობა

1. პირი ან პირთა ჯგუფი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმით, ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ ატყობინებს საქართველოს ეროვნულ ბანკს, ემიტენტსა და საფონდო ბირჟას, სადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა.
2. მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ შეტყობინება უნდა მოხდეს ამ ფაქტის დადგომიდან 15 დღის ვადაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით უფრო მცირე ვადა არ არის გათვალისწინებული.
3. ჯგუფად ჩაითვლებიან პირები, თუ მათ შორის არის შეთანხმება:
  - ა) ანგარიშვალდებული საწარმოს საჭარო მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდების შეძენის, ფლობისა და განკარგვის საერთო პოლიტიკის წარმოების შესახებ;
  - ბ) ამ ფასიან ქაღალდებთან მიმართებით მესაკუთრის ნებისმიერი უფლების, მათ შორის, ხმის უფლების გამოყენების შესახებ.
4. ასეთი შეთანხმების არსებობა ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრებს შორის იგულისხმება წერილობითი დადასტურების გარეშე.
5. ჯგუფი საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე პასუხისმგებელია ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისათვის.
6. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი ან საფონდო ბირჟა აღმოაჩენს, რომ პირმა არ შეატყობინა საქართველოს ეროვნულ ბანკს, ემიტენტს ან შესაბამის საფონდო ბირჟას მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ, საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია პირს შეუჩეროს პარტნიორთა უახლოეს კრებაზე მის მფლობელობაში არსებულ ანგარიშვალდებული საწარმოს 10%-ზე მეტ აქციებზე ხმის გამოყენების უფლება.

### მუხლი 15. სატენდერო შეთავაზება

1. პირს, რომელიც აპირებს ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების შეძენას იმ რაოდენობით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კონტროლი საწარმოზე, ეს შეუძლია გააკეთოს სატენდერო შეთავაზების საშუალებით, რაც ნიშნავს საწარმოს ფასიანი ქაღალდების სწრაფ შეძენაზე განცხადების გაკეთებას კონტროლის მოპოვების მიზნით, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. შემთავაზებელს ეკრძალება სატენდერო შეთავაზება ნებისმიერი კლასის საჭარო ფასიან ქაღალდებზე, თუ ამის შემდეგ იგი გახდება ამ კლასის ფასიანი ქაღალდების 10%-ზე მეტის რეგისტრირებული მესაკუთრე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:
  - ა) შეთავაზების ასლების ან თხოვნის პირველად გამოქვეყნებამდე ან ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის მათ გაგზავნამდე შემთავაზებული საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს განცხადებას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით მოთხოვნილი ფორმითა და ინფორმაციით;
  - ბ) შემთავაზებელი სატენდერო შეთავაზების შესახებ ინფორმაციას გამოაქვეყნებს გაზეთში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.
3. ნებისმიერი წინადადება ან რეკომენდაცია ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის სატენდერო შეთავაზების უარყოფის ან მასზე თანხმობის შესახებ, აგრეთვე სატენდერო მიწვევა უნდა გაკეთდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.
4. სატენდერო შეთავაზების პირობები და შემთავაზებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ერთნაირი უნდა იყოს სათანადო ფასიანი ქაღალდების ყველა მესაკუთრისათვის.
5. თუ შემთავაზებელი მიიღებს უფრო მეტი ფასიანი ქაღალდის გაყიდვის თანხმობას, ვიდრე ეს აღნიშნული იყო სატენდერო შეთავაზებაში, იგი შეიძენს ფასიან ქაღალდებს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე. ეს მოთხოვნა ეხება იმ თანხმობებსაც, რომლებიც მიღებულია ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის შეთავაზებული თანხის გაზრდის თაობაზე გაკეთებული განცხადების პირველად გამოქვეყნების შემდეგ, ამ კანონის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით.
6. თუ პირი ცვლის სატენდერო შეთავაზების პირობებს შეთავაზების დამთავრებამდე და ფასიანი ქაღალდების მფლობელებს სთავაზობს გაზრდილ თანხას, იგი ვალდებულია ეს თანხა გადაუხადოს ყოველ მფლობელს, რომელმაც თანხმობა განაცხადა სატენდერო შეთავაზების პირობებზე, მიუხედავად იმისა, მოხდა ეს ცვლილების გამოქვეყნებამდე თუ გამოქვეყნების შემდეგ.
7. სატენდერო შეთავაზების პერიოდში შემთავაზებელს ან მასთან დაკავშირებულ პირს არ შეუძლია:
  - ა) სატენდერო შეთავაზების გარდა, სხვა ნებისმიერი

გზით შეიძინოს ან აწარმოოს მოლაპარაკება სატენდერო შეთავაზებაში განხილული ფასიანი ქაღალდების ან ისეთი ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომლებიც შეიძლება კონვერტირებულ იქნეს შეთავაზებაში განხილულ ფასიან ქაღალდებში;

- ბ) გაყიდოს სატენდერო შეთავაზებაში აღნიშნული ემიტენტის ფასიანი ქაღალდები.
- 8. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით შეიძლება განსაზღვრულ იქნეს სხვა მოთხოვნებიც სატენდერო შეთავაზებათა მომზადების, განხორციელების, შემთავაზებელთა ქმედების, შემთავაზებლისათვის – ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ სამიზნე საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

### მუხლი 16. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრთა პასუხისმგებლობა

- 1. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა:
  - ა) მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად;
  - ბ) ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი;
  - გ) მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე უკეთესია საწარმოსა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ინტერესებისათვის.
- 2. გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც მოჰყვა ამ მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა, სოლიდარულად აგებენ პასუხს საწარმოსთვის მიყენებული ზიანისათვის.
- 3. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, რომ თავის მოვალეობათა შესრულებისას იგი შეიძლება დაეყრდნოს დასკვნებსა და ანგარიშებს (მათ შორის, ფინანსურ ანგარიშებსა და მონაცემებს), თუ ისინი მომზადებულია იმ აუდიტორის, იურიდიული მრჩევლის, საწარმოს თანამშრომლის ან სხვა პირის მიერ, რომელიც, მმართველი ორგანოს წევრის კეთილგონივრული მოსაზრებით, პროფესიონალია შესაბამის საკითხში, რადგან ეს საკითხი მის კომპეტენციას განეკუთვნება. ამასთანავე, მმართველი ორგანოს წევრის მოქმედება არ ჩაითვლება კეთილსინდისიერად, თუ მას ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს ან ვვალდებოდა, რომ ჰქონოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც გაუმართლებელს ხდის აღნიშნულ პირებზე დაყრდნობას.
- 4. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდის მფლობელს უფლება აქვს ამ მუხლით გათვა-

ლისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის გამო სარჩელი აღძრას ამ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიმართ.

- 5. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, დამკვირვებლის სტატუსით დაესწროს ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა (პარტნიორთა) საერთო კრებას მისი მიმდინარეობისას საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირების მიზნით.

### მუხლი 16<sup>1</sup>. ინტერესთა კონფლიქტი და ინფორმაციის განცხადება

- 1. ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ განსახორციელებელი გარიგებები უნდა დაიდოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, თუ დაინტერესებული პირი არის ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი აქციონერი. ამ მუხლის მოთხოვნები, გარდა მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, არ ვრცელდება გარიგებებზე, რომლებიც იდება ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის.
- 2. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ანდა ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერი დაინტერესებულ პირად მიიჩნევა, თუ ის ან მასთან დაკავშირებული პირი ამ ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი შვილობილი საწარმოს (საწარმო, რომელშიც ეს ანგარიშვალდებული საწარმო ფლობს 50%-ზე მეტ წილს) მიერ გარიგების დადების შემთხვევაში აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:
  - ა) არის გარიგების მეორე მხარე;
  - ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ იურიდიული პირის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ს ან მეტს, რომელიც გარიგების მეორე მხარეა;
  - გ) არის გარიგების მეორე მხარის მმართველი ორგანოს წევრი;
  - დ) დანიშნულია/არჩეულია ამ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრად გარიგების მეორე მხარის ანდა გარიგების მეორე მხარის ხმათა საერთო რაოდენობის 20%-ის ან მეტის მფლობელის (მფლობელების) წარდგინებით;
  - ე) გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წილის ფლობასთან ან მმართველი ორგანოს წევრობასთან;
  - ვ) ასეთად განისაზღვრება ამ ანგარიშვალდებული საწარმოს წესდებით.
- 3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირი ვალდებულია, დასადებ გარიგებაში თავისი დაინტერესების ფაქტის, გარიგების ხასიათისა და მოცულობის თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო თუ ამ-

ავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გარიგებას ამტკიცებს საერთო კრება, – განუცხადოს მასაც.

4. თუ პირმა არ იცოდა, რომ დადებულ გარიგებაში თვითონ იყო ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირი, იგი ვალდებულია ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა შეასრულოს დაუყოვნებლივ, თავისი დაინტერესების ფაქტის შეტყობისთანავე.
- 4<sup>1</sup>. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ვალდებულია დასაბუთებულ გარიგებაში ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ შეტყობისთანავე წერილობით აცნობოს ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო თუ ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გარიგებას საერთო კრება ამტკიცებს – მასაც განუცხადოს.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დაინტერესებულ პირებს ეკრძალებათ ხმის უფლების გამოყენება საზოგადოების ყველა შესაბამის ორგანოში იმ გარიგებებთან დაკავშირებით, რომლებშიც მათ აქვთ დაინტერესება. ამ შემთხვევაში დარჩენილი ხმები განიხილება, როგორც ხმათა სრული ოდენობა, და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა ხორციელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
6. გარიგება, რომელშიც მონაწილეობენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირები ან რომლის ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ანდა მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა დაამტკიცოს საწარმოს სამეთვალყურეო საბჭომ ან საერთო კრებამ, ხოლო თუ გარიგების ღირებულება აღემატება ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 50%-ს – საერთო კრებამ, ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.
- 6<sup>1</sup>. გარიგება, რომელშიც მონაწილეობენ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირები და რომლის ღირებულებაც შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან 10%-ზე მეტს ანდა მისი წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა დაამტკიცოს საერთო კრებამ, ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.
7. ანგარიშვალდებულმა საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს იმ გარიგების დამტკიცების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ დაინტერესებული პირები. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გარიგების მოცულობა და ხასიათი, ასევე სხვა ძირითადი პირობები. ანგარიშვალდებულმა საწარმომ უნდა უზრუნველყოს ამ პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ან საფონდო ბირჟის ვებგვერდზე ანდა საქართველოს ეროვნული ბან-

კის მიერ განსაზღვრული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის შეტყობინების გაგზავნიდან 5 დღის ვადაში. ინფორმაცია ყოველი ასეთი გარიგებისა და ანგარიშვალდებულ საწარმოსა და მის 100%-იან შვილობილ საწარმოს ან 100%-იან აქციონერს შორის დადებული გარიგების თაობაზე, რომლის ღირებულება შეადგენს ანგარიშვალდებული საწარმოს აქტივების ღირებულების 10%-ს ან მეტს ანდა წესდებით გათვალისწინებულ უფრო მცირე ოდენობას, უნდა აისახოს ანგარიშვალდებული საწარმოს მიმდინარე და წლიურ ანგარიშებში.

8. პირი, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა და არ განაცხადა გარიგებაში თავისი დაინტერესების შესახებ ან/და გამოიყენა ხმის უფლება ამ მუხლით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად, ვალდებულია აანაზღაუროს საზოგადოებისთვის ამ გარიგების შედეგად მიყენებული ზიანი და დააბრუნოს გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებელი, თუ დამტკიცდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო გარიგების შედეგად საზოგადოებას მიადგა ზიანი და დაინტერესების არარსებობისას გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა.
- 8<sup>1</sup>. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები, რომლებმაც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდან და არ განაცხადეს გარიგებაში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ან/და მხარი დაუჭირეს გარიგების ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დადებას, რამაც საზოგადოებას ზიანი მიადგინა, ვალდებული არიან დაინტერესებულ პირთან ერთად სოლიდარულად აანაზღაურონ საზოგადოებისთვის ამ გარიგების შედეგად მიყენებული ზიანი და დააბრუნონ გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამო გარიგების შედეგად საზოგადოებას მიადგა ზიანი და დაინტერესების არარსებობისას გარიგება უკეთესი პირობებით დაიდებოდა.
9. გარიგების ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დადების შემთხვევაში, მისი დადებიდან 18 თვის განმავლობაში, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრს ან/და ანგარიშვალდებული საწარმოს 5%-ის ან 5%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, თუ საწარმო სააქციო საზოგადოებაა, ხოლო სხვა სამართლებრივი ფორმის ანგარიშვალდებულ საწარმოში – თითოეულ პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი გარიგების ბათილობა ან/და ამავე მუხლის მე-8 და 8<sup>1</sup> პუნქტებით განსაზღვრული პირების მიერ ზიანის ანაზღაურება და ასეთი გარიგების დადებით მიღებული პირადი სარგებლის დაბრუნება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## მუხლი 17. ამოღებულია

# თავი IV ფასიანი ქალაქებით საჭარო ვაჭრობა

## მუხლი 18. გარიგებანი საფონდო ბირჟაზე

1. საჭარო ფასიანი ქალაქებით მეორადი გარიგება შეიძლება დაიდოს როგორც საფონდო ბირჟაზე, ისე საფონდო ბირჟების გარეთ.
2. საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს:
  - ა) საქართველოსა და უცხოელი ემიტენტების ფასიანი ქალაქები, რომელთა მიმოქცევა დაშვებულია საქართველოში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად;
  - ბ) ფასიანი ქალაქები, რომლებიც ასახავს სახელმწიფოს ვალს ან/და გამოშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მათ შორის, სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქალაქები, თუ მათი ყიდვა-გაყიდვა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ამ ფასიანი ქალაქების ემისიისა და მიმოქცევის შესახებ;
  - გ) ყოველგვარი დამატებითი რეგულირების გარეშე იმ ემიტენტის ფასიანი ქალაქები, რომლებიც სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟათაგან ერთ-ერთზე მაინც. ამ შემთხვევაში ემიტენტი ვალდებულია, შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.
3. ფასიანი ქალაქებით საჭარო ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე ხორციელდება ამ კანონისა და შესაბამისი საფონდო ბირჟის წესების მიხედვით.
4. საჭარო ფასიანი ქალაქებით გარიგებები შეიძლება დაიდოს საბროკერო კომპანიის მონაწილეობით ან მის გარეშე.
5. ერთი კლასის ფასიანი ქალაქები შეიძლება სავაჭროდ დაშვებული იქნეს ერთ ან მეტ საფონდო ბირჟაზე.
6. თუ საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჭარო ფასიანი ქალაქებით გარიგებები იდება საფონდო ბირჟის გარეთ და გარიგების თანხა აღემატება 100 ლარს, ამ შემთხვევაში:
  - ა) თუ გარიგება დადებულია საბროკერო კომპანიის მონაწილეობით, საბროკერო კომპანია ვალდებულია, საფონდო ბირჟაზე დააფიქსიროს ფასიანი ქალაქების რაოდენობა და ფასი საფონდო ბირჟის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
  - ბ) თუ გარიგება დადებულია საბროკერო კომპანიის მონაწილეობის გარეშე, ფასიანი ქალაქების რეგისტრატორი ვალდებულია, საფონდო ბირჟაზე დააფიქსიროს ფასიანი ქალაქების რაოდენობა და ფასი საფონდო ბირჟის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

## მუხლი 19. გარიგებანი საჭარო ფასიანი ქალაქებით

1. ფასიანი ქალაქებით გარიგებისას მათზე საკუ-

თრების უფლება წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად ითვლება ამ ფაქტის ფასიანი ქალაქების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო თუ ისინი ნომინალურ მფლობელთანაა, – ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში რეგისტრაციის მომენტიდან.

2. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს ფასიანი ქალაქებზე საკუთრების უფლების რეალიზაციის მიზნებისათვის საჭარო ფასიანი ქალაქებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის მოთხოვნები და პროცედურები.
3. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, დააზუსტოს საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის პროცედურები.

## თავი V ლიცენზირება

### მუხლი 20. ლიცენზიის სახეები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად გასცეს, ცვლილებები შეიტანოს და გააუქმოს შემდეგი სახის ლიცენზიები:
  - ა) საბროკერო საქმიანობის ლიცენზია;
  - ბ) საფონდო ბირჟის ლიცენზია;
  - გ) ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია;
  - დ) ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის ლიცენზია.
2. აკრძალულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ლიცენზიის გარეშე შესაბამისი საქმიანობის განხორციელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### მუხლი 20<sup>1</sup>. ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის ან საბროკერო კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ ფილიალის დაარსება ან შვილობილი საწარმოს შექმნა ან შექმნა

1. ფასიანი ქალაქების რეგისტრატორმა ან საბროკერო კომპანიამ საქართველოს ფარგლებს გარეთ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით ფილიალის დაარსებიდან ან შვილობილი საწარმოს შექმნიდან ან შექმნიდან 14 დღის ვადაში საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის ან საბროკერო კომპანიის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის დაარსების ან შვილობილი საწარმოს შექმნის ან შექმნის თაობაზე;
  - ბ) ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის ან საბროკერო კომპანიის მმართველი ორგანოს განცხა-



დება იმის თაობაზე, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF-ის) რეკომენდაციების შესრულების მიზნით ფილიალმა ან შვილობილმა საწარმომ ფუნქციონირების დაწყებისთანავე შეიმუშავა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა.

2. თუ ფილიალის ან შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით არ არის გათვალისწინებული ფილიალის ან შვილობილი საწარმოს მიერ FATF-ის რეკომენდაციების შესრულება ან ამ ქვეყანაში არ ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ ან ჯეროვნად არ სრულდება FATF-ის რეკომენდაციები:
  - ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ან საბროკერო კომპანიის მმართველმა ორგანომ უნდა აიღოს წერილობითი ვალდებულება, რომ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან საბროკერო კომპანია უზრუნველყოფს თავისი ფილიალის და შვილობილი საწარმოს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დადგენილი ღონისძიებების განხორციელებას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისადმი ან საბროკერო კომპანიისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;
  - ბ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან საბროკერო კომპანია უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, რომ მისი ფილიალი ან შვილობილი საწარმო ვერ ახორციელებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას იმის გამო, რომ ამას კრძალავს ან ზღუდავს ფილიალის ან შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.

## მუხლი 21. ამოღებულია

## მუხლი 22. ამოღებულია

## მუხლი 23. საბროკერო კომპანიის საქმიანობა

საბროკერო საქმიანობის ლიცენზია საბროკერო კომპანიას უფლებას ანიჭებს, განახორციელოს კაპიტალში წილის, აქციების, ობლიგაციების, სერტიფიკატების, თამასუქების, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან დაკავშირებული ოპერაციები და მათი მომსახურება, მათ შორის:

- ა) პირდაპირი კონსულტაციები გაუწიოს ინვესტორებს ინვესტიციებთან დაკავშირებით, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ფასის, ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელების, ფასიანი ქა-

- ბ) ღალდების ყიდვა-გაყიდვისა და მათთან დაკავშირებულ უცხოური ვალუტით გარიგებებში;
- გ) განახორციელოს ფინანსურ ინსტრუმენტებთან და მათ ემიტენტებთან დაკავშირებული კვლევა და უზრუნველყოს ამ კვლევის შედეგების ან/და საინვესტიციო სტრატეგიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გავრცელება;
- გ) კონსულტაცია გაუწიოს ემიტენტებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე;
- დ) მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე;
- ე) მიიღოს და გადასცეს კლიენტების დავალებები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, კლიენტების სახსრებით განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით გარიგება მათივე ინტერესებისათვის;
- ვ) მართოს კლიენტების, მათ შორის, საპენსიო სქემების, საინვესტიციო პორტფელები და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი სახსრები;
- ზ) განახორციელოს კლიენტების საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურება; ამ მიზნით გაუხსნას კლიენტებს ფულადი და ფასიანი ქაღალდების ანგარიშები და აწარმოოს მათზე ოპერაციები;
- თ) საკუთარი სახსრებით განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით გარიგება თავისივე ინტერესებისათვის;
- ი) მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება გარანტირებულ საფუძველზე;
- კ) ასესხოს კლიენტებს და ისესხოს მათგან ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე გამოიყენოს საკუთარი სახსრები კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების შესაძენად, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრულ „მოკლე გაყიდვებში“;
- ლ) განახორციელოს ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;
- მ) განახორციელოს სხვა ოპერაციები ფინანსურ ინსტრუმენტებთან, სამეწარმეო საზოგადოების წილებთან ან ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებით.

## მუხლი 23<sup>1</sup>. ზოგადი მოთხოვნები

1. ერთი პირი შეიძლება იყოს ერთდროულად რამდენიმე საბროკერო კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე ან თანამშრომელი. მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და ეს ინფორმაცია საჯარო უნდა გახადოს.
2. ბირჟის, რეგისტრატორის ან ცენტრალური დეპოზიტარის ის თანამშრომელი, რომელსაც ხელი მიუწვდება კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, არ შეიძლება იმავდროულად იყოს საბროკერო კომპანიის თანამშრომელი.
3. ამ კანონით ნებადართულია კომერციული ბანკების მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უშუალოდ ან მათი შვილობილი საწარმოების (საბროკერო კომპანიების) მეშვეობით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს

- კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
4. საბროკერო კომპანიებმა არ უნდა განახორციელონ საქმიანობა, რომელიც ამ კანონის 23-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული, გარდა სამთავრობო ფასიან ქალაქდებთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ საქმიანობაში მონაწილეობისა და დამხმარე საქმიანობისა, რომელიც საჭიროა ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად.
  5. სანარმო, რომელიც არ არის კომერციული ბანკი და რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მხოლოდ სამთავრობო ფასიან ქალაქდებთან ამ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში, ექვემდებარება რეგულირებას ამ კანონის შესაბამისად.
  6. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს ამ კანონის 23-ე მუხლში ჩამოთვლილი საქმიანობები, რომელთა განხორციელებისას პირს არ მოეთხოვება, იყოს საბროკერო კომპანია ან ჰქონდეს ლიცენზია, თუ ამ პირის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.
  7. საბროკერო კომპანიები ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებენ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საბროკერო კომპანიებმა თავიანთი მომსახურების მომხმარებლებთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების შემოწმებისას უნდა იცოდნენ თავიანთი მომსახურების მომხმარებლების ვინაობა, საქმიანობა და ამ საქმიანობის რისკის დონე. მათ უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია. საბროკერო კომპანიებს უფლება აქვთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანგარიშის გახსნაზე.
  8. პირებს, რომლებსაც არ აქვთ საბროკერო საქმიანობის ლიცენზია, უფლება არა აქვთ, საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ საფირმო სახელწოდება სიტყვებით „ფასიანი ქალაქდების საბროკერო კომპანია“ ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

#### მუხლი 24. საბროკერო საქმიანობის სალიცენზიო პირობები

საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის მძიებელი ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს განცხადებით, რომელსაც, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში აღნიშნული დოკუმენტების გარდა, უნდა დაურთოს ინფორმაცია და დოკუმენტები:

- ა) იმის შესახებ, რომ იგი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება;
- ბ) იმის შესახებ, რომ მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი არ ყოფილა ნასამართლვეი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის

- დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, მისი მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქალაქდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის; საბროკერო კომპანიის იმ ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს;
- დ) ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, რომელია უფრო ახალი), რომელიც დადასტურებულია აუდიტორის მიერ; პირი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არა უკვიანეს ნახევარი წლისა, წარადგენს მიმდინარე ბალანსს;
  - ე) იმის შესახებ, რომ მას აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში).
  - ვ) იმის შესახებ, რომ მისი მმართველი ორგანოს წევრებს აქვთ სათანადო განათლება ან/და გამოცდილება.

#### მუხლი 25. ამოღებულია

#### მუხლი 26. ამოღებულია

#### მუხლი 27. საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობები

1. საფონდო ბირჟის ლიცენზიის მძიებელი ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს განცხადებით, რომელსაც, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში აღნიშნული დოკუმენტების გარდა, უნდა დაურთოს ინფორმაცია და დოკუმენტები:
  - ა) იმის შესახებ, რომ იგი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება;
  - ბ) იმის შესახებ, რომ მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი არ ყოფილა ნასამართლვეი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, მისი მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქალაქდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის; საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ინფორმაცია მმართველი ორგანოს წევრების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;
  - ბ<sup>1</sup>)

- ბ<sup>2</sup>) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული შესაფერისობის დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;
- გ) მისი წესდება, შინაგანაწესი და წესები, რომლებიც:
- გ.ა) მოიცავს წევრობის, სავაჭრო, სავაჭროდ დასაშვებ, უთანხმოებათა მოგვარებისა და სხვა წესებს, რომლებიც მოითხოვება ამ კანონის შესაბამისად;
- გ.ბ) მოითხოვს სამართლიან, კეთილგონივრულ და თანასწორუფლებიან დამოკიდებულებას საფონდო ბირჟის ყველა წევრისა თუ წევრობის კანდიდატისადმი;
- დ) იმის შესახებ, რომ მას აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);
- დ<sup>1</sup>) ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ახალი), რომელიც დადასტურებულია აუდიტორის მიერ და მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. თუ ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არა უგვიანეს ნახევარი წლისა, იგი წარადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებულ მიმდინარე ფინანსურ ანგარიშს;
- დ<sup>2</sup>) დოკუმენტი (დოკუმენტები) საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან (დაწესებულებებიდან) საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი წესით განსაზღვრული მინიმალური ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების შესახებ;
- ე) იმის შესახებ, რომ მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და ტექნიკური საშუალებები შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წესს (ასეთის დადგენის შემთხვევაში);
- ვ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პარტნიორების (აქციონერთა) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა.
- 2. პირებს, რომლებსაც არ აქვთ საფონდო ბირჟის ლიცენზია, უფლება არა აქვთ, საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ საფირმო სახელწოდება სიტყვებით „საფონდო ბირჟა“ ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.გამოხატავს.

**მუხლი 28. ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობები**

1. ცენტრალური დეპოზიტარი შეიძლება აგრეთვე ფლობდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიას. აღნიშნულ შემთხვევაში ლიცენზია გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.
2. ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს განცხადებით, რომელსაც, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართ-

- ველოს კანონის მე-9 მუხლში აღნიშნული დოკუმენტების გარდა, უნდა დაურთოს ინფორმაცია და დოკუმენტები:
- ა) იმის შესახებ, რომ იგი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება;
- ბ) იმის შესახებ, რომ მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი არ ყოფილა ნასამართლევ მიძიმე ან განსაკუთრებით მიძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, მისი მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის; საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ინფორმაცია მმართველი ორგანოს წევრების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;
- ბ<sup>2</sup>) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული შესაფერისობის დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;
- გ) მისი წესდება, შინაგანაწესი და წესები;
- დ) იმის შესახებ, რომ მას აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);
- დ<sup>1</sup>) ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ახალი), რომელიც დადასტურებულია აუდიტორის მიერ და მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. თუ ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არა უგვიანეს ნახევარი წლისა, იგი წარადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებულ მიმდინარე ფინანსურ ანგარიშს;
- დ<sup>2</sup>) დოკუმენტი (დოკუმენტები) საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან (დაწესებულებებიდან) ეროვნული ბანკის შესაბამისი წესით განსაზღვრული მინიმალური ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების შესახებ;
- ე) იმის შესახებ, რომ მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და ტექნიკური საშუალებები შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წესს (ასეთის დადგენის შემთხვევაში);
- ვ) ხელმძღვანელ პირთა სახელები, მისამართები და სათანადო პროფესიული გამოცდილების აღწერა;
- გ) იმ თანამშრომელთა სახელები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ამ კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და ცენტრალური დეპოზიტარის (დეპოზიტარის) მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობაზე;
- თ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პარტნიორე-

ბის (აქციონერთა) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა.

3. პირებს, რომლებსაც არ აქვთ ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია, უფლება არა აქვთ, საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ სიტყვები „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

### მუხლი 29. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობები

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს განცხადებით, რომელსაც, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში აღნიშნული დოკუმენტების გარდა, უნდა დაურთოს ინფორმაცია და დოკუმენტები:
  - ა) იმის შესახებ, რომ იგი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება;
  - ბ) იმის შესახებ, რომ მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი არ ყოფილა ნასამართლევნი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, მისი მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის;
  - გ) იმის შესახებ, რომ მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და ტექნიკური საშუალებები შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ წესს (ასეთის დადგენის შემთხვევაში);
  - დ) იმის შესახებ, რომ მას აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);
  - ე) მისი წესდება, შინაგანაწესი და წესები;
  - ვ) პარტნიორების (აქციონერთა) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა; საქმიანობა ბოლო 5 წლის განმავლობაში და ინფორმაცია ანგარიშვალდებულ საწარმოებში საჭარო ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ;
  - ზ) ხელმძღვანელ პირთა სახელები, მისამართები და სათანადო პროფესიული გამოცდილების აღწერა;
  - თ) იმ თანამშრომელთა სახელები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ამ კანონის, შესაბამისი წესებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობაზე;
  - ი) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პარტნიორების (აქციონერთა) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა.

- ვ) იმის შესახებ, რომ მისი მმართველი ორგანოს წევრებს აქვთ სათანადო განათლება ან/და გამოცდილება.
2. პირებს, რომლებსაც არ აქვთ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია, უფლება არა აქვთ, საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ სიტყვები „რეგისტრატორი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი“ ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

### მუხლი 30. ამოღებულია

### მუხლი 31. საბროკერო კომპანიებისათვის, საფონდო ბირჟებისათვის, ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის ლიცენზიების გაუქმება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით გააუქმოს საბროკერო კომპანიისათვის, საფონდო ბირჟისათვის, ცენტრალური დეპოზიტარისათვის (დეპოზიტარისათვის) ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის მიცემული ლიცენზია:
  - ა) თუ ლიცენზიის მფლობელი აღარ აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელთა საფუძველზედაც გაიცა ლიცენზია;
  - ბ) თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
  - გ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი აფრთხილებს ლიცენზიის მფლობელს და უწესებს ვადას არანაკლებ 30 დღისა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებები.
3. თუ ლიცენზიის მფლობელი ვერ შეძლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება გააუქმოს ლიცენზია და საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს ადმინისტრატორი.
4. საფონდო ბირჟის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან იკრძალება ყოველგვარი ოპერაციის განხორციელება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ინვესტორთა ინტერესების დასაცავად.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით დანიშნული ადმინისტრატორი ახორციელებს მართვასა და ყველა საჭირო ქმედებას ინვესტორთა ინტერესების დასაცავად, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

# თავი VI ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებადი მონაწილენი

## მუხლი 32. ფინანსური ანგარიშგება, ანგარიშები და მათი შემოწმება

1. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად მის ლიცენზირებას დაქვემდებარებული პირების მიმართ შეიძლება განსაზღვროს მოთხოვნები სხვადასხვა სახის დოკუმენტების წარმოების, მათი შენახვის ვადების და ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის შესახებ.
2. ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი ანგარიშების მფლობელებსა და მათ წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეამოწმოს მის ლიცენზირებას დაქვემდებარებული პირების მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვა, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების შემოწმება, რისთვისაც შეუძლია მათგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

## მუხლი 33. საბროკერო კომპანიათა და ბროკერთა მოვალეობები

1. საბროკერო კომპანიამ, თავისი აქტივების კლიენტების ფასიანი ქალაქებისა და ფულადი სახსრებისაგან გამიჯვნის მიზნით, უნდა იქონიოს განცალკევებული ანგარიშები.
2. ყველა ხელშეკრულება საბროკერო კომპანიასა და მის კლიენტებს შორის ფორმდება წერილობით.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის საფუძველზე საბროკერო კომპანიები და ბროკერები უზრუნველყოფენ ბაზარზე არსებული საუკეთესო პირობების შესაბამისად კლიენტების დავალების შესრულებას: მათ არ უნდა გაუწიონ კონკურენცია კლიენტის დავალებას, არ უნდა მოახდინონ მანიპულირება კლიენტის დავალების შესრულებასთან დაკავშირებით ან არ უნდა გადაწყვიტონ კლიენტის დავალების შესრულება ისეთი ფასითა და დავალების შესრულების ხარჯებით, რომლებიც ნაკლებად ხელსაყრელია კლიენტისათვის.

4. ბროკერს ეკრძალება საბროკერო კომპანიის სახელით კლიენტებისათვის შეგნებულად შეცდომაში შემყვანი რეკომენდაციებისა და ინფორმაციის მიცემა. საბროკერო კომპანია იძლევა ინფორმაციას ინვესტიციების ვარგისობის, საბროკერო კომპანიის ან ბროკერის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტისა და საბროკერო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.
5. საბროკერო კომპანია ვალდებულია შესაბამისი მოვლენის დადგომიდან ან გადაწყვეტილების მიღებიდან (რომელიც უფრო ადრე იყო) არა უგვიანეს 7 დღისა წერილობით აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს:
  - ა) ფილიალის გახსნის ან დახურვის თაობაზე;
  - ბ) საბროკერო კომპანიის სახელში ცვლილების შეტანის თაობაზე.
6. საბროკერო კომპანიამ საქართველოს ეროვნული ბანკისაგან წინასწარ უნდა მიიღოს თანხმობა რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიძლება არ მისცეს თანხმობა საბროკერო კომპანიას მის რეორგანიზაციაზე, თუ აღნიშნული რეორგანიზაცია საფრთხეს შეუქმნის საბროკერო კომპანიისათვის მინდობილ კლიენტის ფულად სახსრებს ან/და კლიენტის ფასიან ქალაქებს.

## მუხლი 34. საფონდო ბირჟის წევრები

1. საფონდო ბირჟის წევრები შეიძლება იყვნენ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტები.
2. ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი შეიძლება იყოს ერთზე მეტი საფონდო ბირჟის წევრი.
3. საფონდო ბირჟა უარს ეტყვის ნებისმიერ პირს წევრად მიღებაზე, თუ:
  - ა) ის წერილობით არ აღიარებს საფონდო ბირჟის წესებს და არ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს;
  - ბ) ბროკერი, რომელმაც საფონდო ბირჟაზე უნდა ივაჭროს განმცხადებლის სახელით, განათლების დონით, გამოცდილებითა და კომპეტენტურობით არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საფონდო ბირჟის წესებით არის განსაზღვრული;
  - გ) ის წერილობით არ დათანხმდება თავისი ჩანაწერებისა და დავთრების შემოწმებაზე ნებისმიერი მონოდებული ინფორმაციის სიზუსტის დადგენის მიზნით.
4. საფონდო ბირჟის წევრმა შეიძლება სასამართლოში გაასაჩივროს საფონდო ბირჟის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და ბირჟის მიერ დადგენილ წესებს.

## მუხლი 34<sup>1</sup>. საფონდო ბირჟის წესები

1. საფონდო ბირჟის სავაჭრო წესები:
  - ა) განსაზღვრავს საფონდო ბირჟაზე დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული დავების მოგვარების მეთოდებსა და პროცედურებს;
  - ბ) განსაზღვრავს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქალაქებით ვაჭრობის პროცედურებს და კონკრეტული ფასიანი ქალაქებით ვაჭრობის დროებით ან

- სამუდამოდ შეწყვეტის პირობებს;
- გ) განსაზღვრავს საფონდო ბირჟაზე სავაჭრო სესიების დღეებსა და საათებს;
- დ) განსაზღვრავს საბირჟო ვაჭრობის მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს და ჭარბებს ამ მოთხოვნათა დარღვევისათვის;
- ე) განსაზღვრავს კოტირებისა და გამოცხადების პროცედურას, ასევე კოტირების ფორმასა და შინაარსს და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ საბაზრო მონაცემებს (წესები უნდა ემსახურებოდეს სამართლიან და ინფორმაციულ კოტირებათა წარმოქმნას, არ უნდა უშვებდეს შეცდომაში შემყვან და ცრუ კოტირებებს და ხელს უნდა უწყობდეს კოტირებათა შეგროვებისა და გავრცელების მოწესრიგებულ პროცედურებს);
- ვ) განსაზღვრავს საფონდო ბირჟის საინფორმაციო საშუალებებს;
- ზ) განსაზღვრავს საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების აღრიცხვის წესებს, რომლებიც აუცილებელია წევრებს შორის დადებულ გარიგებათა შესახებ ჩანაწერების შექმნისა და შემდგომი ანგარიშსწორებისათვის;
- თ) განსაზღვრავს სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად ბროკერების საფონდო ბირჟაზე დაშვების პროცედურას, მათ შორის, საკვალიფიკაციო/საგამოცდო მოთხოვნებს, ბროკერთა საქმიანობაზე ზედამხედველობისა და მათი სავაჭროდ დაშვების დროებით ან სამუდამოდ გაუქმების პირობებს;
- ი) უზრუნველყოფს გაყალბებისა და მანიპულირების თავიდან ასაცილებელ მექანიზმებს; ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრებას, აგრეთვე რეგულირებაში, კლირინგში, ანგარიშსწორებასა და ინფორმაციის დამუშავებაში ჩართული პირების საქმიანობის კოორდინაციისა და თანამშრომლობის განვითარებას ფასიანი ქაღალდებით გარიგებებისათვის ხელის შეწყობის მიზნით;
- კ) კრძალავს დისკრიმინაციას ერთნაირი სტატუსის მქონე კლიენტებს, ემიტენტებს, საბროკერო კომპანიებსა და ბროკერებს შორის.
2. საფონდო ბირჟამ ყოველ სავაჭრო დღეს საჭაროდ უნდა გამოაცხადოს ვაჭრობის სრული დღიური ბრუნვა, ფასები და გაყიდული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა საბაზრო ინფორმაცია.
3. საფონდო ბირჟის სხვა წესები განსაზღვრავს:
- ა) საფონდო ბირჟის მომსახურების სახეებს და ამ მომსახურების ფასებს;
- ბ) წევრთა კლიენტების საჩივართა მოგვარების პროცედურას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საფონდო ბირჟის წესებს ეხება;
- გ) პასუხისმგებლობას ამ კანონისა და შესაბამისი წესებისა თუ საფონდო ბირჟის წესების დარღვევისათვის, მათი გარიცხვის, საქმიანობისა და ფუნქციების შეჩერებისა და შეზღუდვის, საყვედურის გამოცხადების, დაჭარიმებისა და სხვა სათანადო სანქციების გამოყენებით;
- დ) ეთიკის კოდექსის ნორმებს.
4. დაუშვებელია საფონდო ბირჟა ეწეოდეს სხვა საქმიანობას, გარდა:

- ა) ამ კანონით გათვალისწინებული საფონდო ბირჟის (ძირითადი) საქმიანობისა;
- ბ) შემოსვენებული ძირითადი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სხვა (დამხმარე) საქმიანობებისა;
- გ) შემოსვენებული ძირითადი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო აქტივების ეფექტიანი გამოყენებისთვის გამიზნული დამხმარე საქმიანობისა.
5. საქართველოში ერთდროულად შეიძლება საქმიანობდეს რამდენიმე საფონდო ბირჟა.

### მუხლი 35. საფონდო ბირჟის მმართველი ორგანო

- საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავენ აქციონერები.
- საფონდო ბირჟის მმართველ ორგანოს შეუძლია:
  - მიიღოს, უარყოს ან შეასწოროს საფონდო ბირჟის წესები;
  - უზრუნველყოს ამ კანონის, თავისი შინაგანაწესის, წესდებისა და საფონდო ბირჟის წესების დაცვა და აღნიშნულის გათვალისწინებით შეამოწმოს საფონდო ბირჟის წევრების საქმიანობა და ფინანსური მდგომარეობა;
  - განმარტოს საფონდო ბირჟის წესები. ყველა ამგვარი განმარტება საბოლოოა;
  - დაუშვას სავაჭროდ გარკვეული ფასიანი ქაღალდები, დროებით ან სამუდამოდ შეაჩეროს ზოგიერთი ფასიანი ქაღალდით ვაჭრობა;
  - დაუშვას წევრები საფონდო ბირჟაზე საქმიანობისათვის, საფონდო ბირჟის წესებისა და ამ კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, და დროებით ან საერთოდ აუკრძალოს ვაჭრობა წევრებს საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად;
  - უზრუნველყოს კანონიერი და სწორი საქმიანობა, საფონდო ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე კოტირებების, ფასებისა და მათთან დაკავშირებული საბაზრო ინფორმაციის გამოქვეყნება.

### მუხლი 36. ამოღებულია

### მუხლი 37. საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- დაუშვებელია საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე.
- საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების, საფონდო ბირჟის წესდებით, შინაგანაწესითა და წესებით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.
- საფონდო ბირჟისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბირჟო საქმიანობის ლიკვიდაციის გაუქმება მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველია.
- საფონდო ბირჟა, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას თვითლიკვიდაციის ან საბირჟო საქმიანო-

ბის შეჩერების შესახებ, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს საქართველოს ეროვნულ ბანკს ამ გადაწყვეტილების თაობაზე.

5. საფონდო ბირჟის ლიკვიდატორს ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

### მუხლი 38. ცენტრალური დეპოზიტარი

1. ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციებია:
  - ა) გახსნას, ამოქმედოს და დახუროს ცენტრალური დეპოზიტარის წევრებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სხვა მონაწილეთა ანგარიშები თავისი წესების შესაბამისად;
  - ბ) მოამზადოს და დანერგოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი წესებით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის სისტემის მთლიანობასა და უსაფრთხოებას;
  - გ) შეამოწმოს, იცავენ თუ არა წევრები ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის ინსტრუქციებსა და წესებს;
  - დ) უზრუნველყოს სხვა მომსახურება მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მომსახურების მიზნით;
  - ე) მისცეს წევრს ამონაწერი ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ თავისი წესების შესაბამისად.
2. ცენტრალურ დეპოზიტარს (დეპოზიტარს) თავისი წესების შესაბამისად შეუძლია დაუყოვნებლივ შეაჩეროს ან დახუროს იმ წევრის ანგარიში:
  - ა) რომლის საქმიანობაც შეჩერებულია საფონდო ბირჟის ან ცენტრალური დეპოზიტარის მიერ;
  - ბ) რომელმაც არ შეასრულა აღებული ვალდებულება ფასიანი ქაღალდების ან ფინანსური სახსრების მიწოდების შესახებ;
  - გ) რომელიც განიცდის ისეთ ფინანსურ ან საოპერაციო სიძნელეებს, რომ ცენტრალური დეპოზიტარი (დეპოზიტარი) იღებს გადაწყვეტილებას და აცნობებს საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომ ანგარიშის ასეთი შეჩერება ან დახურვა აუცილებელია დეპოზიტარის, მისი მონაწილეების, კრედიტორების ან ინვესტორების დასაცავად.
3. დეპოზიტარის წესები უზრუნველყოფს:
  - ა) მონაწილეთა უფლება-მოვალეობების დადგენას;
  - ბ) სამართლიან და არადისკრიმინაციულ მოპყრობას მონაწილეებისა და მონაწილეობის კანდიდატებისადმი;
  - გ) დეპოზიტარის პასუხისმგებლობას ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა დროული და ზუსტი კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის;
  - დ) დეპოზიტარის წესების დარღვევისათვის მონაწილეთა გარიცხვის, საქმიანობისა და ფუნქციების შეჩერებისა და შეზღუდვის, საყვედურის გამოცხადების, დაჯარიმებისა და სხვა სათანადო სანქციების გამოყენების საშუალებას;
  - ე) წევრებისა და თანამშრომლების მიერ ეთიკის კოდექსის ნორმების დაცვას.
4. ცენტრალური დეპოზიტარის სახელწოდება უნდა შეიცავდეს სიტყვებს „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
5. ცენტრალურ დეპოზიტარს (დეპოზიტარს) ეკრძალება ყოველგვარი საქმიანობა, გარდა ამ კანონის მიხედვით ცენტრალური დეპოზიტარის (დეპოზიტარის),

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და მათთან დაკავშირებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული სხვა საქმიანობისა.

### მუხლი 39. ამოღებულია

### მუხლი 40. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოვალეობანი

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი და თავისი წესების შესრულება.
2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს უფლება არა აქვს, უარი განაცხადოს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, თუ ემიტენტის მიერ შესრულებულია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან სახელშეკრულებით ურთიერთობის პირობები, წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამება ემიტენტის წესდებისა და შინაგანაწესის დებულებებს, ამ კანონს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის წესების მოთხოვნებს. ყოველი ასეთი უარი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეროვნულ ბანკში.
3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ემიტენტთან უნდა ჰქონდეს სახელშეკრულებით ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის მიხედვით შედგენილ წერილობით შეთანხმებაში არსებულ პირობებზე. ასეთი შეთანხმება, როგორც მინიმუმი, უნდა მოითხოვდეს, რომ თუ ემიტენტის მიერ შესრულებულია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან სახელშეკრულებით ურთიერთობის პირობები, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა დროულად უზრუნველყოს ემიტენტი ყოველი ემისიის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელთა მიმდინარე სიით, რომელიც გამიზნულია ყოველწლიური და რიგგარეშე კრებებისათვის, დივიდენდების განაწილების, პროცენტების გადახდისა და სესხის ძირითადი ნაწილის დაბრუნების, აგრეთვე ამ კანონის მე-15 მუხლის მიზნებისა და სხვა ნებადართული კორპორაციული ქმედებებისათვის. ემიტენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისას რეგისტრატორი უფლებამოსილია, ემიტენტს შეუჩეროს მომსახურება მის მიერ ვალდებულებების შესრულებამდე.
4. ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ასეთ რეგისტრირებულ მფლობელს უნდა მიაწოდოს:
  - ა) მისი ფასიანი ქაღალდების ანგარიშიდან ამონაწერი კონკრეტული თარიღისათვის;
  - ბ) ინფორმაცია ანგარიშზე განხორციელებული ფასიანი ქაღალდების ბრუნვის შესახებ კონკრეტული პერიოდისათვის.
5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ მიწოდებული ამონაწერი უნდა შეიცავდეს:
  - ა) მკაფიო მითითებას, რომ მოცემული ამონაწერი

არ არის ფასიანი ქალაქი, არ საჭიროებს რეგისტრატორისათვის წარდგენას და მხოლოდ ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ამონაწერში ხსენებული პირი არის ამ ფასიანი ქალაქის რეგისტრირებული მფლობელი (მფლობელის ტიპის მითითებით) მასში მითითებული თარიღისათვის;

- ბ) ანგარიშის მფლობელის (მფლობელების) სახელს (სახელებს), ამონაწერის გაცემის დღესა და დროს (ბრუნვის ამონაწერის შემთხვევაში – პერიოდს), ემიტენტის სახელს და იურიდიულ მისამართს, ფასიანი ქალაქის კლასის საიდენტიფიკაციო ნომერს, ანგარიშზე არსებული ფასიანი ქალაქების რაოდენობას, ფასიანი ქალაქდებთან დაკავშირებულ შესაბამის მოვალეობებს ან შეზღუდვებს და ნებისმიერ სხვა საჭირო ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს რეგისტრატორისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესები.
- 6. ფასიანი ქალაქების რეგისტრატორებმა ანგარიშის მფლობელებს შეიძლება მოსთხოვონ გარკვეული ანაზღაურება ამონაწერის დამატებითი ასლების მიწოდებისათვის. რეგისტრატორების მიერ დაწესებული შესაბამისი ტარიფები უნდა იყოს სამართლიანი, ზომიერი და არადისკრიმინაციული (ერთნაირი სტატუსის მქონე კლიენტებისთვის), უნდა ასახავდეს რეალურ დანახარჯებს და წინასწარ უნდა იყოს ცნობილი.
- 7. ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის წესები:
  - ა) განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული ფასიანი ქალაქების რეგისტრში ყოველი ემიტენტის შესახებ, რომლის ფასიანი ქალაქებიც რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;
  - ბ) განსაზღვრავს წესს გარიგებათა აღიარებისა და ფასიანი ქალაქების რეგისტრში ჩანაწერების შეტანის, მათთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციისა და ჩანაწერების გაკეთების დროის შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;
  - გ) განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული ფასიანი ქალაქების მფლობელთა ან ნომინალურ მფლობელთა სახელზე გახსნილ ყოველი ფასიანი ქალაქის ანგარიშში, იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშის მფლობელებმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობონ ფასიანი ქალაქების რეგისტრატორს ადრე წარდგენილ ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;
  - დ) მოითხოვს თანამშრომლებისაგან, დაიცვან ქცევის ნორმები, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
- 8. ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის თანამშრომლებსა და მმართველ პირებს ეკრძალებათ, მიაწოდონ ვინმეს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა, არასაჯარო კონფიდენციალური ინფორმაცია, მიღებული ფასიანი ქალაქების რეგისტრატორად მუშაობისას, ან გამოიყენონ ეს ინფორმაცია ფასიანი ქალაქებით ვაჭრობისას.
- 9. ფასიანი ქალაქების რეგისტრატორს, თუ ის არ არის ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის

მფლობელი, ეკრძალება ყოველგვარი საქმიანობა, გარდა ფასიანი ქალაქების რეგისტრატორობისა ან/და ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის დელეგირებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისა.

- 10. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ფასიანი ქალაქების ემიტენტის საკუთრებაში პირდაპირ ან არაპირდაპირ აღმოჩნდა ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის წილის 10%-ზე მეტი, მაშინ იგი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს აცნობოს ამ ფაქტის შესახებ.
- 11. ფასიანი ქალაქების რეგისტრატორს და მისი მმართველი ორგანოს წევრებს არ აქვთ უფლება, იყვნენ იმ საჯარო ფასიანი ქალაქების ემიტენტის ფასიანი ქალაქების მნიშვნელოვანი წილის მფლობელები, რომლისთვისაც ფასიანი ქალაქების რეგისტრატორი აწარმოებს რეესტრს. ფასიანი ქალაქების მნიშვნელოვანი წილზე ნაკლები წილის რეგისტრირებული მესაკუთრეობის შემთხვევაში ამის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო.
- 12. ფასიანი ქალაქების რეგისტრატორი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის მიხედვით მომზადებულ, ფასიანი ქალაქების რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუშის ასლს.

#### მუხლი 41. საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი

- 1. საფონდო ბირჟასა და ცენტრალურ დეპოზიტარს აქვთ უფლება, თავიანთი წევრებისადმი დადგენილი წესებით განსაზღვრონ ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.
- 2. საფონდო ბირჟას არ აქვს უფლება, რომ მას საკლირინგო-საანგარიშსწორებო მომსახურებას უწევდეს ერთზე მეტი დეპოზიტარი.
- 3. საფონდო ბირჟამ ან დეპოზიტარმა ახალი წესების მიღების, არსებულ წესებში ცვლილებების შეტანის ან წესების გაუქმების შესახებ უნდა აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.
- 4. საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქალაქების კოტირება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ვალუტაში.

#### მუხლი 42. ამოღებულია

#### მუხლი 43. საქართველოს ეროვნული ბანკის დამატებითი უფლებამოსილება

- 1. თუ საფონდო ბირჟის/ცენტრალური დეპოზიტარის რომელიმე წესი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს აღნიშნული წესის მოქმედება ან საფონდო ბირჟის/ცენტრალურ დეპოზიტარს მოსთხოვოს შესაბამის წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა.



2. შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს, დაამატოს ან შეაჩეროს საფონდო ბირჟის/ცენტრალური დეპოზიტარის წესისმიერი წესი, თუ მიიჩნევს, რომ საფონდო ბირჟის/ცენტრალური დეპოზიტარის წესი:
  - ა) საფრთხეს უქმნის საქართველოში სამართლიანი და მონეტარიზებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებას;
  - ბ) ხელს უშლის ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა სწრაფ, ზუსტ და უსაფრთხო კლირინგსა და ანგარიშსწორებას.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე უფლებამოსილია, საფონდო ბირჟის/ცენტრალურ დეპოზიტარს დააკისროს მოთხოვნები თუ შეზღუდვები შესაბამის საკითხთან ან ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც ამ კანონის მიხედვით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების ან საფონდო ბირჟის/ცენტრალური დეპოზიტარის წესის რეგულირების სფეროშია.
4. ამ მუხლის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი ძალაში იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ მუხლის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტის მოქმედება შეაჩეროს თავის მიერ დადგენილ ვადაზე ადრე, თუ აღმოიფხვრა შესაბამისი აქტის გამოცემის მიზეზები.
6. საფონდო ბირჟა/ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი.
7. საფონდო ბირჟა/ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.
8. სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში მოსამართლის გადაწყვეტილებით შეიძლება შეჩერდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტის მოქმედება.

## თავი VI<sup>1</sup> ამოღებულია

მუხლი 43<sup>1</sup>. ამოღებულია

მუხლი 43<sup>2</sup>. ამოღებულია

მუხლი 43<sup>3</sup>. ამოღებულია

მუხლი 43<sup>4</sup>. ამოღებულია

მუხლი 43<sup>5</sup>. ამოღებულია

## თავი VII ფასიანი ქაღალდების გარიგებებში გაყალბებისა და მანიპულაციების აკრძალვა

### მუხლი 44. გაყალბება და მანიპულაცია

აკრძალულია ყოველგვარი საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ან ორგანიზებულ ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის მოჩვენებითი აქტივობის შექმნის მიზნით:

- ა) საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ისეთი გარიგებების დადება, რომლებიც არ იწვევს ცვლილებებს რეგისტრირებულ მესაკუთრებაში;
- ბ) ფასიანი ქაღალდების შექმნის ან გაყიდვის შესახებ ურთიერთსაინანაღმდეგო ბრძანებების პირდაპირ ან არაპირდაპირ გაცემა.

### მუხლი 45. ინსაიდერული ინფორმაცია და მისი ბოროტად გამოყენება

1. ინსაიდერული ინფორმაცია ნიშნავს არასაჯარო, არსებით ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ანგარიშვალდებულ სანარმოსთან ან მათ საჯარო ფასიან ქაღალდებთან.
2. ინსაიდერად ჩაითვლება პირი, რომელსაც თავისი წევრობით ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველ ორგანოში, მისი მონაწილეობით ასეთი სანარმოს კაპიტალში (მეწილეობით) ან საქმიანობით, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით ხელი მიუწვდება ინსაიდერულ ინფორმაციაზე. ინსაიდერად ჩაითვლებიან აგრეთვე სხვა პირები, რომლებმაც მიიღეს ინსაიდერული ინფორმაცია და, ჩანს, რომ ამ ინფორმაციის წყაროა ინსაიდერი.
3. ინსაიდერს ან პირს, რომელიც შეგნებულად მიიღებს ინსაიდერისაგან შიდა ინფორმაციას, ეკრძალება:
  - ა) თავისთვის ან მესამე პირის ინტერესებისათვის, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შეიძინოს ან გაყიდოს იმ ანგარიშვალდებული სანარმოს ან სანარმოების საჯარო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ინსაიდერულ ინფორმაციასაც ის ფლობს;
  - ბ) მიაწოდოს მესამე პირს ინსაიდერული ინფორმაცია, თუ ეს ქმედება არ არის გამოწვეული მისი საქმიანობის, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;
  - გ) ინსაიდერულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ურჩიოს მესამე პირს ან მონახოს მესამე პირი საჯარო ფასიანი ქაღალდების შესაძენად ან გასასხვისებლად.

თავი VIII  
ფასიანი ქალაქების  
ბაზრის გეგმავლობა

- მუხლი 46. ამოღებულია
- მუხლი 47. ამოღებულია
- მუხლი 48. ამოღებულია
- მუხლი 49. ამოღებულია
- მუხლი 50. ამოღებულია
- მუხლი 51. ამოღებულია
- მუხლი 52. ამოღებულია
- მუხლი 53. ამოღებულია
- მუხლი 54. ამოღებულია

თავი IX  
პასუხისმგებლობა ფასიანი  
ქალაქების შესახებ  
კანონმდებლობის  
დარღვევისათვის

მუხლი 55. ადმინისტრაციული და  
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა  
ფასიანი ქალაქების შესახებ საქართველოს  
კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. ფასიანი ქალაქების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის სახეები განისაზღვრება ამ კანონით, ხოლო სახდელის ოდენობები და მათი დაკისრების წესი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.
2. პირის მიერ ამ კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების, ფასიანი ქალაქების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ან მისი შესაძლო ქმედებით ინვესტორთა ინტერესებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, სამართლებრივი აქტით:
  - ა) მოსთხოვოს სამართალდამრღვევ პირებსა და მათ თანამონაწილეებს, მიიღონ საჭირო ზომები თავიანთი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში;
  - ბ) შეაჩეროს ფასიანი ქალაქების გაყიდვა ან გარიგებანი;
  - გ) სამართალდამრღვევ პირს შეუჩეროს ფასიანი ქალაქების ბაზარზე მონაწილეობა გარკვეული პერიოდით;
  - დ) სამართალდამრღვევ პირს დააკისროს ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
3. ფასიანი ქალაქების ბაზრის წესების დამამძიმებ-

ელ გარემოებებში დარღვევისათვის შეიძლება დადგენილ იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მუხლი 55<sup>1</sup>. დარღვევები და სანქციები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ან/და მისი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სანქციები, თუ ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებადმა მონაწილემ ან/და მისი მმართველი ორგანოს წევრმა დაარღვია:
  - ა) ფასიანი ქალაქების შეთავაზების წესები;
  - ბ) ფასიანი ქალაქების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები;
  - გ) ლიცენზიის წესები;
  - დ) ფასიანი ქალაქების მიმოქცევის წესები და სხვა წესები;
  - ე) საანგარიშგებო, კონფიდენციალურობის მოთხოვნები ან/და წესების შემუშავების პროცედურა;
  - ვ) „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები (ფასიანი ქალაქების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის ან მათი მმართველი ორგანოს წევრის შემთხვევაში).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დარღვევის გამოვლენისას საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე – არათანამიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სანქციები:
  - ა) გააგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;
  - ბ) დაანესოს სპეციალური ღონისძიებები ან გამოსცეს ინსტრუქცია (მითითება) მოთხოვნით, რომ ფასიანი ქალაქების ბაზრის რეგულირებადმა მონაწილემ შეწყვიტოს და შემდგომ არ დაუშვას ესა თუ ის დარღვევა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად;
  - გ) დააკისროს ფულადი ჯარიმა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;
  - დ) ფასიანი ქალაქების რეგულირებადი მონაწილის მმართველი ორგანოს წევრს შეუჩეროს ხელმოწერის უფლებამოსილება და მმართველ ორგანოს მოსთხოვოს მისი თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან თანამდებობიდან განთავისუფლება;
  - ე) შეაჩეროს ან შეზღუდოს მოგების განაწილება, დივიდენდებისა და მატერიალური წახალისებების გაცემა და ახალი ვალდებულებების აღება;
  - ვ) გააუქმოს შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია.
3. ამ მუხლის შესაბამისად დაკისრებული სანქცია უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სერიოზულობასა და შესაძლო რისკს.
4. ამ მუხლის შესაბამისად დაკისრებული სანქციის ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. ფასიანი ქალაქების რეგულირებადი მონაწილისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული სანქციის იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ხდება კანონიერ ძალაში შესული

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

## თავი X გარდამავალი დებულებანი

მუხლი 56. ამოღებულია

## თავი XI დასკვნითი დებულებანი

მუხლი 57. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 აგვისტოს N 412 ბრძანებულება „სააქციო საზოგადოებების აქციათა რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების ზოგიერთ ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“.
3. 2008 წლის 15 ივლისიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის 375 ბრძანებულება „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დროებითი დებულების თაობაზე“.
4. ამ კანონის საფუძველზე 2008 წლის 15 აპრილამდე გაცემულ ყველა ლიცენზიას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც 2008 წლის 15 აპრილის შემდეგ გაცემულ ლიცენზიებს.
5. 2009 წლის 15 თებერვლამდე ძალას ინარჩუნებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა ის წესი, რომელიც მოქმედებდა 2008 წლის 15 აპრილამდე, ხოლო 2009 წლის 15 თებერვლიდან უნდა ამოქმედდეს ახალი წესები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი იქნება.

*საქართველოს პრეზიდენტი  
ელუარდ შევარდნაძე.*

*თბილისი,  
1998 წლის 24 დეკემბერი.  
N1745 – რს*

# 1.7 საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ

## მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ამ კანონის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდების სახეების განმარტება, მათი შექმნის და საქმიანობის განსაზღვრა.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. პაი – სახელობითი, არამატერიალიზებული, წილობრივი ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის წილს საპაიო საინვესტიციო ფონდში და ფონდის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში აძლევს მას კომპენსაციის მიღების უფლებას და სხვა უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ კანონით.
2. საპაიო საინვესტიციო ფონდი – კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც შედგება ინვესტორების მიერ მართვის მინდობის უფლებით გადაცემული ფულადი საშუალებებისგან, აგრეთვე ამ საშუალებების მართვის შედეგად მიღებული ქონებისგან, რომლის წილზე საკუთრების უფლება წარმოიშობა და დასტურდება აქტივების მმართველი კომპანიის მიერ გაცემული ფასიანი ქალაქით (პაით). საპაიო საინვესტიციო ფონდი არ არის იურიდიული პირი.
3. ღია საპაიო საინვესტიციო ფონდი – ფონდი, რომელიც უწყვეტად ახორციელებს პაის განთავსებას ნებისმიერ დროს მისი გამოსყიდვის ვალდებულებით.
4. ინტერვალური საპაიო საინვესტიციო ფონდი – ფონდი, რომელიც უწყვეტად ახორციელებს პაის განთავსებას ფონდის წესებით განსაზღვრულ დროს ინტერვალში მისი გამოსყიდვის ვალდებულებით.
5. დახურული საპაიო საინვესტიციო ფონდი – ფონდი, რომელიც ახორციელებს პაის განთავსებას საჭიროებიდან გამომდინარე და რომელსაც მისი გამოსყიდვის ვალდებულება არ გააჩნია.
6. სააქციო საინვესტიციო ფონდი – სააქციო საზოგადოება, რომელსაც შეიძლება მართავდეს პირი ან პირთა ჯგუფი და რომლის ერთადერთი საქმიანობაა აკუმულირებული ფინანსური აქტივების ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირება და მასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების განხორციელება. სააქციო საინვესტიციო ფონდი ანგარიშვალდებული საწარმოა.
7. ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი – სააქციო საინვესტიციო ფონდი, რომლის ერთადერთი საქმიანობაა ფინანსური აქტივების ინვესტირება დამწყებ (არაუმეტეს 2 წლის) კომპანიებში ანდა ბიზნესიდეებში. ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდს არ შეიძლება ჰყავდეს 50 ინვესტორზე მეტი. ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდის აქტივების 20%-ზე მეტი არ შეიძლება განთავსდეს საჯარო ფასიან ქალაქებში. მას აგრეთვე ეკრძალება სესხის აღება საკუთარი აქტივების 20%-ზე მეტი ოდენობით.

8. კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდი – სააქციო საინვესტიციო ფონდი, რომლის ერთადერთი საქმიანობაა ფინანსური აქტივების ინვესტირება არსებულ კომპანიებში ამ კომპანიების შემდგომ რესტრუქტურირების მიზნით. კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდი ინვესტირებისას ვალდებულია შეიძინოს კომპანიის კაპიტალის საკონტროლო პაკეტი. კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდს არ შეიძლება ჰყავდეს 50 ინვესტორზე მეტი. მას უფლება აქვს, ფინანსური საშუალებების მოსაზიდად გამოიყენოს როგორც კაპიტალი, ისე სასესხო ფინანსური ინსტრუმენტები.

## მუხლი 3. საინვესტიციო ფონდები და მათი სახეები

1. საქართველოში ნებადართულია რეგულირებადი საინვესტიციო ფონდების საქმიანობა.
2. კომპანია, რომელიც შეიძლება აწარმოებდეს საინვესტიციო ფონდის საქმიანობის მსგავს საქმიანობას (ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებას), არ შეიძლება ჩაითვალოს საინვესტიციო ფონდად. აღნიშნული ტიპის არარეგისტრირებული საინვესტიციო კომპანია შეიძლება შეიქმნას და ფუნქციონირებდეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმით, იმის გათვალისწინებით, რომ მას მის სახელწოდებაში სიტყვების „საინვესტიციო ფონდი“ არსებობის შემთხვევაშიც ეკრძალება ამ სახელწოდების რეკლამირება და შესაბამისი მომსახურების განევა საზედამხედველო ორგანოში საინვესტიციო ფონდად რეგისტრაციამდე.
3. რეგულირებადი საინვესტიციო ფონდების სახეებია:
  - ა) საპაიო საინვესტიციო ფონდი (რომელიც შეიძლება იყოს ღია, ინტერვალური, დახურული);
  - ბ) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი (გისფ);
  - გ) სააქციო საინვესტიციო ფონდი (მათ შორის, ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი ან კერძო სააქციო ფონდი);
  - დ) სხვა სახის საინვესტიციო ფონდები, რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
4. ბანკი, სადაზღვევო კომპანია, საბროკერო კომპანია, საპენსიო სქემა, სამრეწველო ან/და საფინანსო კომპანია, ჰოლდინგი არ არის საინვესტიციო ფონდი.
5. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამენარმეო საქმიანობა, გარდა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებისა და მათთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების განხორციელებისა. მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება საინვესტიციო ფონდზე, რომელიც რეგისტრირებულია იურიდიულ პირად და არის ანგარიშვალდებული კომპანია.
6. საინვესტიციო ფონდის საქმიანობის ფარგლებში ფონდის მონაწილეთა ფინანსური აქტივების ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებით და მათთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების

განხორციელებით (მათ შორის, დივიდენდებით, საპროცენტო ან სხვა შემოსავლით) წარმოშობილი მოგება ან ზარალი არ არის იმ საინვესტიციო ფონდის მოგება ან ზარალი, რომელიც, ამ კანონის თანახმად, არ არის იურიდიული პირი.

7. საინვესტიციო ფონდის წილის, აქციების ან პაის მფლობელის ინვესტირებულ თანხაზე ნამატი (ამონაგების, დივიდენდის (გარდა საინვესტიციო ფონდიდან მიღებული დივიდენდისა) ან სხვა სახით) საინვესტიციო ფონდიდან ამ პირის გასვლამდე (წილის, აქციების ან პაის რეალიზაციამდე) განიხილება დამატებით ინვესტირებულ თანხად. საინვესტიციო ფონდის წილის, აქციების ან პაის მფლობელის შემოსავალი წარმოიშობა საინვესტიციო ფონდიდან დივიდენდის სახით შემოსავლის მიღების მომენტში ან/და საინვესტიციო ფონდის წილის, აქციების ან პაის რეალიზაციის მომენტში (ანგარიშსწორების დღეს). საინვესტიციო ფონდიდან გასვლის შედეგად მიღებული შემოსავალი შეადგენს მიღებულ და ინვესტირებულ თანხებს შორის წარმოშობილ დადებით სხვაობას.
8. საინვესტიციო ფონდი ვალდებულია ჰყავდეს აუდიტორი, რომელიც არ უნდა იყოს დაკავშირებული პირი. საინვესტიციო ფონდის 5%-ზე მეტი წილის/ აქციების/პაის შესაკუთრეს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით ჩაატაროს დამოუკიდებელი აუდიტი.
9. საზედამხედველო ორგანო ადგენს საინვესტიციო ფონდების რეგულირების (მათ შორის, რეგისტრაციის პროცედურისა და ანგარიშგების) წესებს, რომლებითაც განისაზღვრება განსხვავებული მოთხოვნები სხვადასხვა სახის საინვესტიციო ფონდების მიმართ, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

#### მუხლი 4. საინვესტიციო ფონდის შექმნის პროცედურა

1. საინვესტიციო ფონდი შექმნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საზედამხედველო ორგანოს რეგისტრაციისათვის უგზავნის განაცხადს.
2. საზედამხედველო ორგანომ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული განაცხადი მისი მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში უნდა განიხილოს. თუ განაცხადი არასრულყოფილია, საზედამხედველო ორგანოს შეუძლია საინვესტიციო ფონდს მოსთხოვოს ინფორმაციის დაზუსტება (შევსება).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში საზედამხედველო ორგანოს მიერ პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში საინვესტიციო ფონდი რეგისტრირებულად ჩაითვლება.
4. საინვესტიციო ფონდს საზედამხედველო ორგანოში რეგისტრაციის გარეშე არ შეუძლია საქმიანობის დაწყება (ინვესტირება).
5. გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მიმართ დამატებითი მოთხოვნებია:
  - ა) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის სანყისი კაპიტალი არ შეიძლება იყოს 500 000 (ხუთასი ათას) ლარზე ნაკლები. აღნიშნული მინიმუმი მიღწეული უნდა იქნეს

საზედამხედველო ორგანოში ფონდის რეგისტრაციიდან 1 წლის განმავლობაში;

- ბ) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მონაწილეთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს 50-ზე მეტი. აღნიშნული მაქსიმუმის გადაჭარბების შემთხვევაში ფონდი უნდა და-რეგისტრირდეს სააქციო საინვესტიციო ფონდად;
- გ) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის აქტივების მმართველი შეიძლება იყოს აქტივების მართვის ლიცენზიის მქონე პირი ან პირთა ჯგუფი. გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის აქტივების მმართველთან ხელშეკრულება, მომსახურების სახეები, პირობები და ინვესტირების კრიტერიუმები რეგულირდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით და დამატებით რეგულაციას არ ექვემდებარება;
- დ) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის პაის, წილებს ან აქციებს აღრიცხავს და ინახავს აქტივების მმართველი კომპანია, თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- ე) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდს ეკრძალება რეკლამირება ფონდის საემისიო აქციებით, წილებით ან პაით დაინტერესებისა და მათი რეალიზაციისათვის.

#### მუხლი 5. საინვესტიციო ფონდის განაცხადი

საზედამხედველო ორგანოში წარდგენილ საინვესტიციო ფონდის განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) კომპანიის რეკვიზიტები;
- ბ) მმართველის (მმართველების), სპეციალიზებული დეპოზიტარის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აუდიტორის (რეგისტრაციიდან 2 თვის ვადაში) ან სხვა მომსახურე პირთა ვინაობა და მისამართები;
- გ) ყველა მისამართი, რომლებიც ფონდის მონაწილემ (ინვესტორმა) უნდა იცოდეს, რათა ჰქონდეს სრული ინფორმაცია ფონდის შესახებ, რომ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება;
- დ) ფონდში ახალი მონაწილის (ინვესტორის) შეყვანის პირობები;
- ე) ფონდის მართვისათვის მმართველის (მმართველების) სასარგებლოდ გადასახდელი გადასახდელები;
- ვ) ფონდის წესები.

#### მუხლი 6. საინვესტიციო ფონდის ვალდებულებანი

1. იმ ხელშეკრულების (წესდების) გარეკანზე, რომელიც ეხება ფულადი საშუალებების მოზიდვას, მითითებული უნდა იყოს საინვესტიციო ფონდის სახე.
2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მონაწილისათვის (ინვესტორისათვის) კონკრეტული შემოსავლის დაპირება.
3. თუ გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდს მომსახურებას უწევს დაკავშირებული პირი ან ამ ფონდის მმართველი ან

რეგისტრირებული მესაკუთრე არის დაკავშირებული პირი, საინვესტიციო ფონდი ვალდებულია ეს ინფორმაცია საჯარო გახადოს.

- ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ განაცხადში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში საინვესტიციო ფონდი ვალდებულია ამის შესახებ ინფორმაცია 7 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს საზედამხედველო ორგანოს.
- საინვესტიციო ფონდის მმართველი ან/და მმართველი კომპანია ვალდებულია წარადგინოს ფონდის წლიური, ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშგება, აგრეთვე მიმდინარე ანგარიშები, რომელთა ძირითადი შინაარსი ან განსხვავებული ფორმატი განისაზღვრება საზედამხედველო ორგანოს წესებით. ანგარიშგების წარდგენის ვადა იგივეა, რაც დადგენილია ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, თუ სხვა რამ არ იქნა დადგენილი საზედამხედველო ორგანოს მიერ.

### მუხლი 7. გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მონაწილე (ინვესტორი)

- გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მონაწილე (ინვესტორი) თავად ახდენს შესაბამისობის დეკლარირებას და დეკლარაციაში ირწმუნება, რომ მან იცის ფონდში მონაწილეობის რისკების შესახებ.
- გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მმართველი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ მან იცოდა, რომ პირი, რომელსაც უფლება მისცა, გამხდარიყო ფონდის მონაწილე (ინვესტორი), არ იყო გამოცდილი ინვესტორი.

### მუხლი 8. მოთხოვნები აქტივების მმართველი კომპანიის მიმართ

- საინვესტიციო ფონდის ან/და საპენსიო სქემის აქტივების მართვის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე პირს.
- აქტივების მმართველი კომპანია რეგისტრირებული უნდა იყოს „მენარმეტა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, როგორც შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება.
- აქტივების მმართველი კომპანია საქმიანობას ახორციელებს საინვესტიციო ფონდის ან სქემის წესდების, საინვესტიციო დეკლარაციის და წესების, ფონდისა და აქტივების მმართველ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების ან მართვის მინდობის უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებისა და საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.
- აქტივების მმართველ კომპანიას დადებული უნდა ჰქონდეს სადეპოზიტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ცენტრალურ დეპოზიტართან, სპეციალიზებულ დეპოზიტართან ან დეპოზიტართან, რაც სავალდებულოა საპენსიო სქემებისთვის და ყველა იმ შემთხვევაში, როცა საინვესტიციო ფონდის პაის,

წილის ან აქციების რეგისტრირებულ მესაკუთრეთა რაოდენობა 50-ს აღემატება.

- აქტივების მმართველი კომპანია არ შეიძლება იყოს იმ საინვესტიციო ფონდის ან სქემის დამფუძნებელთან, მნიშვნელოვანი წილის (პაის, წილის ან აქციების) მფლობელთან დაკავშირებული პირი, რომელსაც უწევს აქტივების მართვის მომსახურებას. აქტივების მმართველი კომპანია აგრეთვე არ შეიძლება იყოს იმ დეპოზიტართან დაკავშირებული პირი, რომელთანაც დებს საინვესტიციო ფონდის მომსახურებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას.
- აქტივების მმართველ კომპანიას შეუძლია დადოს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირებთან, თუ ეს გათვალისწინებულია აქტივების მართვის შესახებ ხელშეკრულებით. ამ შემთხვევაში აქტივების მმართველი კომპანია პასუხისმგებელია საინვესტიციო ფონდის ან საპენსიო სქემის მეპაიეების, მენილეებისა და აქციონერების წინაშე მის მიერ სხვა პირისთვის გადაცემულ აქტივებზე.
- აქტივების მმართველი კომპანია აქტივებში ინვესტირებას, ამ კანონში აღნიშნული ან/და საზედამხედველო ორგანოს წესებით დადგენილი გამოწვევების გარდა, ახორციელებს მხოლოდ დეპოზიტართან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების პირობები შეთანხმებული უნდა იყოს კოლექტიური საინვესტიციო ან საპენსიო სქემის დამფუძნებელთან, მეპაიეებთან/მენილეებთან/აქციონერებთან ან/და საინვესტიციო ფონდის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებთან. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.
- საინვესტიციო ფონდისა და კოლექტიური სქემის მიერ აქტივების მმართველი კომპანიისთვის მონაწილეთა აქტივების სამართავად გადაცემა არის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა და არ ინვესს ამ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემას ან შეცვლას.

### მუხლი 9. აქტივების მმართველი კომპანიის ფუნქციები

აქტივების მმართველი კომპანიის ფუნქციებია:

- ფონდის წესების საფუძველზე საინვესტიციო ფონდის ან საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება;
- საინვესტიციო პორტფელებისა და ფულადი სახსრების მართვა, მათ შორის, საინვესტიციო ფონდის ფასიანი ქაღალდების (პაის) გამოშვება, გაყიდვა და გამოსყიდვა, ფონდის/სქემის აქტივების ნომინალური მფლობელობის მომსახურება და საზედამხედველო ორგანოს წესებით განსაზღვრული სხვა ოპერაციების განხორციელება;
- საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, ინვესტორების (მათ შორის, საინვესტიციო პაის მფლობელთა) რეესტრის წარმოება, რეესტრიდან ამონაწერების გაცემა, შემოსავლების გადანაწილება;
- საინვესტიციო ფონდისა და საპენსიო სქემის აქტივების შეფასება და მათი პერიოდული გადაფასება;

- ე) დეპოზიტართან და ბაზრის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობა ფონდის აქტივების მართვის და საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების პროცესში, ფონდის ინტერესების დაცვა მესამე პირთან ურთიერთობაში;
- ვ) განსაზღვრული პერიოდულობით კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშგების წარდგენა ფონდის/საქემის დამფუძნებლის, მეპაიეებისა და საზედამხედველო ორგანოსთვის საზედამხედველო ორგანოს მიერ შემუშავებული ფორმატით და დადგენილ ვადებში.

თან და მესამე პირთან, როგორც საპაიო საინვესტიციო ფონდის/საქემის აქტივების მმართველი კომპანია.

### მუხლი 10<sup>1</sup>. საინვესტიციო ფონდების გედამხედველობის უფლებამოსილება

2014 წლის 1 მარტიდან 2015 წლის 1 ივნისამდე საინვესტიციო ფონდების საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი.

### მუხლი 10. მმართველი კომპანიისთვის მართვის მინდობის უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება

1. მმართველი კომპანიისთვის მართვის მინდობის უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების შინაარსს განსაზღვრავს აქტივების მმართველი კომპანია სტანდარტული პირობებით, რომლებზედაც თანხმობას ფულადი საშუალებების მართვის მინდობის უფლებით გამაცემი პირი გამოხატავს მხოლოდ ამ ხელშეკრულებასთან მიერთებით.
2. მმართველი კომპანიისთვის მართვის მინდობის უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებასთან მიერთება შესაძლებელია მხოლოდ საპაიო საინვესტიციო ფონდის ან საპენსიო საქემის აქტივების მმართველი კომპანიის მიერ გამოშვებული საპაიო საინვესტიციო ფონდის ან საპენსიო საქემის პაის შესყიდვით.
3. ფულადი საშუალებები მმართველ კომპანიას გადაეცემა საპაიო საინვესტიციო ფონდში/საქემაში ჩასართავად, რათა ეს ფულადი საშუალებები გაერთიანდეს სხვა ინვესტორების მიერ გადაცემულ ფულად საშუალებებთან შემდგომ ფონდის წესების შესაბამისად მათი ინვესტირებისათვის.
4. მმართველი კომპანიისთვის მართვის მინდობის უფლების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს:
  - ა) ფონდის საქმიანობის შეჩერების და ხელშეკრულების განწყვეტის პირობებსა და წესებს;
  - ბ) სხვა მმართველი კომპანიისთვის ფონდის აქტივების გადაცემის წესებსა და პირობებს ფონდის ლიკვიდაციის ან მმართველი კომპანიისთვის ლიკვიდაციის გაუქმების შემთხვევაში.
5. საპაიო საინვესტიციო ფონდის/საქემის ქონებად ითვლება პაის მფლობელთა საერთო ქონება, რომელზედაც მფლობელებს აქვთ ნილობრივი საკუთრების უფლება.
6. საპაიო საინვესტიციო ფონდის/საქემის პაის მფლობელებს აქვთ აღებული ზარალის რისკი, რომელიც დაკავშირებულია საპაიო საინვესტიციო ფონდის/საქემის ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილებასთან.
7. აქტივების მმართველი კომპანია ახორციელებს ნებისმიერ იურიდიულ და სხვა მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია საპაიო საინვესტიციო ფონდის/საქემის ქონებასთან, დებს ხელშეკრულებებს დეპოზიტართან, აუდიტორთან, შემფასებელ-

### მუხლი 11. დასკვნითი დებულება ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი*

*ქუთაისი,  
24 ივლისი 2013 წ.  
N843-რს*

# 1.8 საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ

## თავი I ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მიზანია საქართველოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა. ეს კანონი განსაზღვრავს საგადახდო სისტემის, საგადახდო მომსახურების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპებს, ასევე ფინანსური გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. საგადახდო სისტემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ეს კანონი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.
3. საგადახდო სისტემასთან და საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ამ კანონსა და სხვა კანონებს შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში ამ კანონის დებულებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საგადახდო სისტემა – ფულადი სახსრების საგადახდო სისტემა, ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა, კლირინგის სისტემა;
- ბ) ფულადი სახსრების საგადახდო სისტემა – საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციების ან ტრანსფერორდერების დამუშავებას;
- გ) ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემა – სისტემის სამ ან მეტ მონაწილეს შორის საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომლის საფუძველზედაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება;
- დ) კლირინგის სისტემა – სისტემის სამ ან მეტ მონაწილეს შორის საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც ხდება მონაწილეთა მიერ გაგზავნილი ტრანსფერორდერების დამუშავება და მათ საფუძველზე ნეტპოზიციების გამოთვლა ან/და დადგენა მონაწილეებს შორის შემდგომი ანგარიშსწორების და რომელშიც ნეტპოზიციების გამოთვლა შეიძლება ემყარებოდეს პრინციპს, რომლის დროსაც სისტემის ოპერატორი მოქმედებს გამყიდველის სახელით ყველა მყიდველის მიმართ და მყიდველის სახელით ყველა გამყიდველის მიმართ;

- ე) ნეტპოზიცია – დროის განსაზღვრული მომენტისთვის სისტემის მონაწილის მიერ მიღებული ყველა ჩარიცხვის ან სხვა მოთხოვნის ოდენობების ჯამს გამოკლებული მის მიერ სხვა მონაწილის ან მონაწილეთა სასარგებლოდ განხორციელებული ყველა გადარიცხვის ან სხვა ვალდებულების ჯამი;
- ვ) საკრედიტო ნეტპოზიცია (ნეტმოთხოვნა) – სისტემის მონაწილის ნეტპოზიციის დადგენისას მიღებული დადებითი სიდიდე;
- ზ) სადებეტო ნეტპოზიცია (ნეტვალდებულება) – სისტემის მონაწილის ნეტპოზიციის დადგენისას მიღებული უარყოფითი სიდიდე;
- თ) ურთიერთგაქვითვა (ნეტიინგი) – ნეტპოზიციის გამოთვლა ან/და დადგენა, რის შედეგადაც სისტემის მონაწილეს წარმოეშობა ნეტმოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება ან ნეტვალდებულების დაფარვის მოვალეობა. ურთიერთგაქვითვა (ნეტიინგი) ხდება როგორც ორმხრივი (ორ მონაწილეს შორის), ისე მრავალმხრივი (ორზე მეტ მონაწილეს შორის) საერთო ვალდებულებებისა და მოთხოვნების გაანგარიშების – ურთიერთჩათვლის – საფუძველზე;
- ი) სისტემის ოპერატორი (ოპერატორი) – იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად ან სხვა იურიდიულ პირებთან ერთად, უფლებამოსილია და პასუხისმგებელია საგადახდო სისტემის ოპერირებისა და სისტემის წესების შემუშავებისთვის;
- კ) სისტემის წესები – სისტემის ოპერატორის მიერ შემუშავებული წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სისტემის მუშაობას;
- ლ) მნიშვნელოვანი სისტემა – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ოპერატორის სისტემა, რომელსაც ჰყავს სამი ან მეტი მონაწილე და რომელიც მიჩნეულია მნიშვნელოვან სისტემად ამ კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად;
- მ) სისტემის მონაწილე (მონაწილე) – იურიდიული პირი, რომელსაც უშუალოდ შეუძლია სისტემაში ტრანსფერორდერის გაცემა და რომელიც მიჩნეულია სისტემის მონაწილედ სისტემის წესების შესაბამისად. სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს საქართველოს ეროვნული ბანკი, უცხოური ცენტრალური ბანკი, საკლირინგო დაწესებულება, ფინანსური ინსტიტუტი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ანგარიშსწორების აგენტი, სისტემის ოპერატორი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ან მისი სტრუქტურული ერთეული, სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანო ან საგადახდო სისტემა;
- ნ) ანგარიშსწორების აგენტი – იურიდიული პირი, რომელიც სისტემის მონაწილეებს უზრუნველყოფს ანგარიშსწორების ანგარიშებით, რომელთა შემუშავებითაც ხდება მონაწილეთა შორის ანგარიშსწორება სისტემაში შესრულებული ტრანსფერორდერების საფუძველზე. ანგარიშსწორების აგენტი შეიძლება იყოს საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკი ან სხვა იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნა და მომსახურება;



- ო) ანგარიშსწორების ანგარიში – ანგარიშსწორების აგენტის შესაბამისი უნიკალური ჩანაწერი, რომელზედაც აღირიცხება ფულადი სახსრები ან ფინანსური ინსტრუმენტები და რომლის მეშვეობითაც ხდება ანგარიშსწორება;
- პ) ანგარიშსწორება – ოპერაცია, რომლის შედეგადაც ხდება სისტემის მონაწილეებს შორის შესაბამისი ფულადი სახსრებზე ან/და ფინანსურ ინსტრუმენტებზე საკუთრების უფლების გადაცემა;
- ჟ) ტრანსფერორდერი – სისტემის მონაწილის მიერ მეორე მონაწილის მიმართ სისტემაში გაცემული დავალება მიმღებისთვის ფულადი სახსრების ჩარიცხვის შესახებ ან ფინანსურ ინსტრუმენტზე საკუთრების ან მოთხოვნის უფლების გადაცემის შესახებ; ან დავალება, რომლის შედეგადაც ხდება მონაწილის მიერ გადახდის ვალდებულების საკუთარ თავზე აღება ან გადახდის ვალდებულების სისტემის წესების შესაბამისად შესრულება;
- რ) ფინანსური ინსტიტუტი – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინსტიტუტი;
- ს) ფინანსური ინსტრუმენტი – მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ნილობრივ მონაწილეობას ადგილობრივ ან უცხოურ კომპანიაში, ან მისი ეკვივალენტი; მიმოქცევადი სასესხო ინსტრუმენტი/ვალდებულება; სხვა მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების შექმნის უფლებას მასზე ხელმოწერის, მისი ყიდვის ან მისი გაცვლის გზით, ან რომლის შესრულება ხდება შეთანხმებულ და მიმდინარე ფასთა შორის სხვაობის დაფარვით, ან რომელიც ითვალისწინებს ფულად ანგარიშსწორებას, გარდა საგადახდო ინსტრუმენტისა; ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებული უფლება; ფულის ან სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტი; ანგარიშზე რიცხული ძვირფასი ლითონები; სხვა დოკუმენტი, რომელსაც აქვს ფულადი გამოხატულება ან/და რომელიც არის ორ ან მეტ მხარეს შორის არსებული ფულადი სახსრების გადახდასთან დაკავშირებული სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე შეთანხმების დადასტურება, ასევე ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები, უფლებები ამ ინსტრუმენტებზე ან მათთან დაკავშირებული უფლებები;
- ტ) რეპო შეთანხმება – შეთანხმება, რომლის მიზანია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, როდესაც ერთი მხარე თანახმაა, მიჰყიდოს მეორე მხარეს ფასიანი ქაღალდები მყიდველის მიერ გამყიდველისათვის შესყიდვის თანხის გადახდის სანაცვლოდ, იმავდროული შეთანხმებით, რომ მყიდველი გამყიდველს მიჰყიდოს იმავე ან მსგავს ფასიან ქაღალდებს გარკვეული, შეთანხმებული თარიღის დადგომის დღეს ან მოთხოვნისთანავე, მყიდველის მიერ გამყიდველისათვის გამოსყიდვის თანხის გადაცემის სანაცვლოდ;
- უ) საქმიანობის შეზღუდული რეჟიმი (რეჟიმი) – იურიდიული პირის გადახდისუნარიანობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად განხორ-

- ცივლებული ზომების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ან რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფულადი სახსრების გადარიცხვის ან ფინანსურ ინსტრუმენტზე საკუთრების ან მოთხოვნის უფლების გადაცემის ან/და გადახდის ოპერაციების შეწყვეტა ან შეჩერება, ან მათზე შეზღუდვების დაწესება. ამ კანონის მიზნებისათვის „რეჟიმი“ საქართველოში მოიცავს გადახდისუნარიანობ ან გაკოტრებულად გამოცხადებას ან რეაბილიტაციის დაწყებას „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებას ან/და ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ან „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- ფ) დეფოლტი – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა, რომლის შედეგადაც მეორე მხარეს წარმოეშობა გირაოს ამოქმედების უფლება ან ამ კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლება;
- ქ) ფინანსური გირაო – ფინანსური ინსტრუმენტები ან ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრები, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად გამოყენებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად;
- ღ) დამგირავებელი – პირი, რომელიც ფინანსური გირაოს ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს ვალდებულებებს ფინანსური გირაოს მეშვეობით;
- ყ) მოგირავენი – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხდება ფინანსური ინსტრუმენტების ან ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრების დაგირავება ფინანსური გირაოს ხელშეკრულების საფუძველზე;
- შ) გირაოს ამოქმედება – ფინანსური გირაოს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის დეფოლტი, როდესაც მეორე მხარე ამ ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამოსილია იმოქმედოს ამ კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად ან მოახდინოს ფინანსური გირაოს დაუყოვნებელი რეალიზაცია ან დაისაკუთროს იგი;
- ჩ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (პროვაიდერი) – იურიდიული პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ც) ელექტრონული ფულის პროვაიდერი – საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც უშვებს ელექტრონულ ფულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ძ) საგადახდო მომსახურების მომხმარებელი (მომხმარებელი) – პირი, რომელიც სარგებლობს საგადახდო მომსახურებით, როგორც გადამხდელი ან/და მიმღები;
- წ) გადამხდელი – პირი, რომელიც გასცემს საგადახდო დავალებას ან/და ეთანხმება საგადახდო დავალების გაცემას;
- ჭ) მიმღები – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია;

- b) საგადახდო ინსტრუმენტი – ტექნიკური საშუალება ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერსა და მომხმარებელს შორის შეთანხმებული პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც საგადახდო მომსახურების მომხმარებელი ახდენს საგადახდო დავალების ინიცირებას;
- ჰ) ელექტრონული ფულის ინსტრუმენტი – საგადახდო ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა ელექტრონული ფულის გამოყენების საშუალებას;
- პ) ელექტრონული ფული – ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ საგადახდო მომსახურების გადახდის ოპერაციების განხორციელებისათვის მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრების ეკვივალენტური ღირებულება, რომელიც შენახულია საგადახდო ინსტრუმენტზე და რომელსაც მისი გამომშვები და სხვა პირები გადახდის საშუალებად აღიარებენ. ელექტრონულ ფულსა და მის სანაცვლოდ მიღებულ ფულად სახსრებს შორის ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ დაწესებული თანაფარდობა პროვაიდერის საქმიანობის ყველა ეტაპზე უცვლელი უნდა იყოს;
- პ<sup>1</sup>) ფულადი გზავნილი – საგადახდო მომსახურება, რომლის დროსაც გადამხდელი ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების გადახდის ოპერაცია ხორციელდება გადამხდელისა და მიმღები ფიზიკური პირის სახელზე ანგარიშის გახსნის გარეშე და რომელიც არ არის დაკავშირებული ფულადი ვალდებულების შესრულებასთან, როდესაც ფულადი სახსრები გადაეცემა უშუალოდ მიმღებს ან მიმღების სახელით მოქმედ სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მიმღებისათვის გადაცემის მიზნით;
- პ<sup>2</sup>) გადახდის ოპერაცია – გადამხდელის ან მიმღების მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების განთავსების/ჩარიცხვის, გადარიცხვის ან გატანის ოპერაცია;
- პ<sup>3</sup>) საგადახდო დავალება – გადამხდელის ან მიმღების მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის მიცემული დავალება გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე;
- პ<sup>4</sup>) მუდმივი დავალება – გადამხდელის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის მიცემული საგადახდო დავალება, რომლის საფუძველზედაც პროვაიდერი ახორციელებს რეგულარულ გადახდებს მიმღების სასარგებლოდ;
- პ<sup>5</sup>) პირდაპირი დებეტი – საგადახდო ინსტრუმენტი, რომელშიც გადახდის ოპერაცია ინიცირებულია მიმღების მიერ გადამხდელის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის (დადებეტების) მიზნით, გადამხდელის წინასწარი თანხმობის საფუძველზე;
- პ<sup>6</sup>) ავთენტიფიკაცია – პროცედურა, რომლის საშუალებითაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ამოწმებს საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებას, მისი პერსონიფიცირებული მახასიათებლების ჩათვლით;
- პ<sup>7</sup>) ექვივალენტი – საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტთან ან სხვა პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონულ-ტექნიკური საშუალებით, საგადახდო ინსტრუმენტის მეშვეობით გადახდის ოპერაციის, საგადახდო ინსტრუმენტის

- რეკვიზიტებით ინტერნეტგადახდის ოპერაციის, საგადახდო ინსტრუმენტის მეშვეობით ნაღდი ფულის გატანის ოპერაციის განხორციელებას და შესაბამის ანგარიშსწორებას;
- პ<sup>8</sup>) აგენტი – პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მიწოდებისას მოქმედებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სახელით;
- პ<sup>9</sup>) მნიშვნელოვანი წილი – განცხადებული თუ შევსებული კაპიტალის წილის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი, რომელსაც პირი ფლობს კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით;
- პ<sup>10</sup>) ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენებული ღონისძიება, რომლის მიზანია პირის საქართველოს კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა და რომელიც მოიცავს იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს.

## თავი II სისტემის ოპერატორი

### მუხლი 3. სისტემის ოპერატორის რეგისტრაცია

- იურიდიულ პირს უფლება აქვს, საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს საგადახდო სისტემის მართვა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ კანონის შესაბამისად სისტემის ოპერატორად დარეგისტრირების შემთხვევაში.
- სისტემის ოპერატორის რეგისტრაცია და რეგისტრაციის გაუქმება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესისა და მოთხოვნების შესაბამისად.
- საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების დაუბრკოლებელი განხორციელებისა და საგადახდო სისტემების საიმედო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დაადგინოს საგადახდო სისტემების ფუნქციონირების ურთიერთშესაბამისობის სტანდარტები, მათ შორის, ინფორმაციისა და ტრანსფერორდერების გაცვლის მიზნით.
- საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს და მიიღოს ფინანსური, სტატისტიკური და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

### მუხლი 4. მნიშვნელოვანი სისტემა

ამ კანონის მიზნებისათვის, საზოგადოების ნდობის ან/და საგადახდო სისტემის ან/და ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს მნიშვნელოვანი სისტემა და ამ სისტემის ან/და მისი ოპერატორის მიმართ დაანუსოს დამატებითი მოთხოვნები თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

## მუხლი 5. გამონაკლისები ამ თავის მოქმედებიდან

ამ თავით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნები არ ვრცელდება სისტემის ოპერატორზე, თუ იგი არის:

- ა) საქართველოს ეროვნული ბანკი (ეროვნული ბანკის სისტემები);
- ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი;
- გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი;
- დ) საერთაშორისოდ აღიარებული საგადახდო სისტემის ოპერატორი, რომელიც არ არის რეგისტრირებული, როგორც იურიდიული პირი ან იურიდიული პირის ფილიალი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ე) საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და თუ ეს სისტემა გამოიყენება მხოლოდ ამ პროვაიდერის მომხმარებელთათვის საგადახდო მომსახურების გასაწევად.

## თავი III მნიშვნელოვანი სისტემების დაცვა

### მუხლი 6. ამ თავის მოქმედების სფერო

1. ამ თავის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ეროვნული ბანკის სისტემებსა და ამ კანონის შესაბამისად მნიშვნელოვან სისტემად მიჩნეულ სისტემებზე. ფინანსური სისტემის სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით ამ თავის მოქმედება საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით შეიძლება გავრცელდეს სხვა სისტემებზედაც.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს იმ სისტემების ჩამონათვალს, რომლებზედაც ვრცელდება ამ თავის მოქმედება.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მნიშვნელოვან სისტემად მიჩნევის შემთხვევაში ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია დაიცვას მნიშვნელოვანი სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნები.

### მუხლი 7. ანგარიშსწორების ანგარიშების დაცვა

1. ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებები, გარდა საინკასო დავალებისა.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სისტემის ოპერატორს ან/და ანგარიშსწორების აგენტს თავის მიერ დადგენილი წესით დაუნესოს მოთხოვნები ანგარიშსწორების ანგარიშებისა და მათზე განთავსებული ფულადი სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ.
3. სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი უფლებამოსილია შესაბამისი სისტემის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დროებით

შეაჩეროს ოპერაციები სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე. სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს სისტემის მონაწილის ან/და ფინანსური სისტემის სტაბილურობის ინტერესებით.

### მუხლი 8. ტრანსფერორდერის გამოთხოვის დაუშვებლობა

სისტემის წესები უნდა განსაზღვრავდეს გარემოებას, რომლის შემდეგ სისტემაში შესული ტრანსფერორდერი სისტემის მიერ მიღებულად ითვლება. დაუშვებელია სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერის სისტემის მონაწილის ან ნებისმიერი მესამე პირის, მათ შორის, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველის, დროებითი ადმინისტრატორის, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების, მიერ გამოთხოვა.

### მუხლი 9. გადახდის, კლირინგის და ანგარიშსწორების საბოლოობა

1. სისტემის მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებას არ აქვს უკუქცევითი ძალა და გავლენას არ ახდენს სისტემაში მის მონაწილეობასთან დაკავშირებულ ან მონაწილეობიდან გამომდინარე იმ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე წარმოიშვა.
2. ამ თავის მიზნებისათვის, ეროვნული ბანკის სისტემების მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებად მიიჩნევა:
  - ა) ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი მარეგისტრირებული ორგანოსგან მონაწილის მიმართ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან/და გაკოტრების პროცესის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღება;
  - ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოცემა, თუ მონაწილე კომერციული ბანკია;
  - ბ<sup>1</sup>) საჭარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოცემა, თუ მონაწილე სადაზღვევო ორგანიზაციაა;
  - გ) სხვა უფლებამოსილი პირისგან მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების თაობაზე ოფიციალური ინფორმაციის მიღება.
3. ისეთი სისტემის მონაწილის მიმართ, რომლის ოპერატორიც არ არის საქართველოს ეროვნული ბანკი, საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებად მიიჩნევა:
  - ა) ოპერატორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღება, თუ მონაწილე კომერციული ბანკია;
  - ა<sup>1</sup>) ოპერატორის მიერ საჭარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიღება,

- ბ) თუ მონაწილე სადაზღვევო ორგანიზაციაა;
- გ) ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად ოპერატორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისგან შეტყობინების მიღება;
4. სხვა უფლებამოსილი პირისგან მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების თაობაზე ოფიციალური ინფორმაციის მიღება.
4. ამ პუნქტის დებულებები სავალდებულოა მესამე პირებისათვის, მათ შორის, ლიკვიდატორისათვის, გაკოტრების მმართველისა და დროებითი ადმინისტრატორისათვის, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებისათვის, და არ შეიძლება სადავო გახდეს:
- ა) ის ტრანსფერორდერი, რომელიც სისტემის წესების მიხედვით სისტემაში მიღებულ იქნა საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე, მიუხედავად იმისა, ამ ტრანსფერორდერის შესაბამისად ფულადი სახსრების გადარიცხვა ან ფინანსურ ინსტრუმენტზე საკუთრების ან მოთხოვნის უფლების გადაცემა რეჟიმის ამოქმედებამდე მოხდა თუ მისი ამოქმედების შემდეგ;
- ბ) ტრანსფერორდერიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა, როდესაც ტრანსფერორდერი სისტემის წესების მიხედვით სისტემაში მიღებულ იქნა საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე, მიუხედავად იმისა, ურთიერთგაქვითვა რეჟიმის ამოქმედებამდე მოხდა თუ მისი ამოქმედების შემდეგ.
5. საკლირინგო დაწესებულებაში ურთიერთგაქვითვის განხორციელება სავალდებულოა მესამე პირებისათვის, მათ შორის, ლიკვიდატორისათვის, გაკოტრების მმართველისა და დროებითი ადმინისტრატორისათვის, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებისათვის, და არ შეიძლება სადავო გახდეს, თუ მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესახებ შეტყობინება საკლირინგო დაწესებულებას საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე გაეგზავნა, მიუხედავად იმისა, თავად ურთიერთგაქვითვის ოპერაცია საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე განხორციელდა თუ მისი ამოქმედების შემდეგ.

### მუხლი 10. ანგარიშსწორება საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შემდეგ

1. სისტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი, მიუხედავად სისტემის მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებისა, უფლებამოსილია:
- ა) ამ კანონის მე-9 მუხლის მიზნებისათვის სისტემაში საბოლოო ანგარიშსწორების განსახორციელებლად გამოიყენოს მონაწილეთა ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები ან/და ფინანსური ინსტრუმენტები, სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების მიხედვით ანგარიშსწორების განხორციელების ან ურთიერთგაქვითვის შედეგად მიღებული ნეტვალდებულების დაფარვის მიზნით;
- ბ) თუ ეს გათვალისწინებულია მონაწილესთან დადებული შეთანხმებით, ამ კანონის მე-9 მუხლის

- მიზნებისათვის სისტემაში საბოლოო ანგარიშსწორების განსახორციელებლად გამოიყენოს მონაწილისათვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზი და სისტემის ოპერატორის ან/და ანგარიშსწორების აგენტის მიმართ დავალიანების დაფარვის მიზნით მოახდინოს საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ფინანსური გირაოს რეალიზაცია ამავე კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული თანხის ან მისთვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზით გათვალისწინებული თანხის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სისტემის მიერ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებამდე მიღებული ტრანსფერორდერების ან მათ საფუძველზე გამოთვლილი ნეტვალდებულების მოცულობით.

### მუხლი 11. შეტყობინება საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შესახებ

1. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს ელექტრონული ან/და მატერიალური დოკუმენტის სახით აწვდის იმ სისტემებისა და მათი მონაწილეების ჩამონათვალს, რომლებზედაც ვრცელდება ამ თავის მოქმედება.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოსგან იღებს ინფორმაციას სისტემის მონაწილის, ოპერატორის ან ანგარიშსწორების აგენტის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების თაობაზე.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი უცხოური ორგანოსგან უცხოური სისტემის მონაწილის, ოპერატორის ან ანგარიშსწორების აგენტის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას ადგილობრივი სისტემების ოპერატორებს.
4. სისტემის მონაწილე ვალდებულია ოპერატორს, ხოლო ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუყოვნებლივ შეატყობინოს მის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შესახებ.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი დაუყოვნებლივ ატყობინებს ადგილობრივი სისტემების ოპერატორებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ან მის მიერ სისტემის მონაწილის, ოპერატორის ან ანგარიშსწორების აგენტის მიმართ ლიკვიდაციის ან დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღების შესახებ.

### მუხლი 12. შესაბამისი კანონმდებლობის განსაზღვრა

1. ეროვნული ბანკის სისტემების ან ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელოვანი სისტემის უცხოური მონაწილის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შემთხვევაში

სისტემაში მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. უცხოური სისტემის მონაწილე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მოქმედი იურიდიული პირის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედების შემთხვევაში სისტემაში მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი უცხოური კანონმდებლობით, რომლითაც ეს სისტემა ფუნქციონირებს.

## თავი IV საგადახდო მომსახურება

### მუხლი 13. საგადახდო მომსახურების ცნება

1. ამ კანონის მიზნებისათვის საგადახდო მომსახურება არის:
- ა) მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოჭრას და მის შესრულებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს;
  - ბ) მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვას და მის შესრულებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს;
  - გ) გადახდის განხორციელება პირდაპირი დებეტის (მათ შორის, ერთჯერადი დავალებით), საგადახდო ბარათის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ან საკრედიტო გადარიცხვა (მუდმივი დავალების ჩათვლით), საგადახდო მომსახურების მომხმარებლის საკუთარი თანხის ან საკრედიტო რესურსის ფარგლებში;
  - დ) საგადახდო ინსტრუმენტების, მათ შორის, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტების, გამოშვება ან/და ექვირინგი;
  - ე) ფულადი გზავნილები;
  - ვ) ელექტრონული ფულის გამოშვება, გადახდის ოპერაციების განხორციელება ელექტრონული ფულის მეშვეობით, მობილური ტელეფონის, ინტერნეტის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით;
  - ზ) გადამხდელის მიერ სატელეკომუნიკაციო, ციფრული ან საინფორმაციო-ტექნოლოგიური მოწყობილობის საშუალებით გაცემული თანხმობის საფუძველზე გადახდის ოპერაციის განხორციელება იმ სატელეკომუნიკაციო, საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის ან ქსელური ოპერატორის მიმართ ან სასარგებლოდ, რომელიც მოქმედებს, როგორც შუამავალი გადამხდელსა და მიმღებს – მომხმარებელსა და მომსახურების ან საქონლის მიმწოდებელს – შორის.
2. ამ კანონის მიზნებისათვის საგადახდო მომსახურებაში არ შედის:
- ა) გადამხდელსა და მიმღებს შორის შუამავლის გარეშე, ნაღდი ფულით განხორციელებული გადახდის ოპერაცია;
  - ბ) გადამხდელსა და მიმღებს შორის კომერციული შუამავლის მეშვეობით განხორციელებული გადახდის ოპერაცია;

- გ) საინკასაციო მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ბანკოტებისა და მონეტების ტრანსპორტირებასთან, მათ შორის, მათ შეგროვებასთან, დამუშავებასა და მიწოდებასთან;
  - დ) ნაღდი ფულის ნაღდ ფულზე გადაცვლის მომსახურება, რომელიც არ ხორციელდება საბანკო ანგარიშების საშუალებით;
  - ე) ოპერაცია, რომელიც ხორციელდება სისტემის მონაწილეებს შორის საგადახდო სისტემის ფარგლებში;
  - ვ) ტექნიკური, სატელეკომუნიკაციო, ციფრული ან საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების მიწოდების მიერ განხორციელებული მომსახურება, რომელიც გულისხმობს ტექნიკურ მხარდაჭერას საგადახდო მომსახურების განხორციელების უზრუნველსაყოფად და რომლის დროს გადასარიცხი თანხა არ ხვდება ამ მომსახურების მიწოდების მფლობელობაში; ამგვარი მომსახურება მოიცავს მონაცემთა გადამუშავებასა და შენახვას, კონფიდენციალურობის დაცვას, მონაცემებისა და სუბიექტების ავთენტიფიკაციას, სატელეკომუნიკაციო ან საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას, საგადახდო მომსახურებისთვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებების მიწოდებას და მომსახურებას;
  - ზ) მომსახურება, რომელიც დაფუძნებულია საგადახდო ინსტრუმენტზე ან ელექტრონულ ფულზე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მისი გამომშვების მომსახურების ან/და საქონლის რეალიზაციის ობიექტებში;
  - თ) გადახდის ოპერაცია, რომელიც ხორციელდება ნებისმიერი სატელეკომუნიკაციო, ციფრული ან საინფორმაციო-ტექნოლოგიური მოწყობილობის საშუალებით, როდესაც შეძენილი საქონელი ან მომსახურება მიწოდებულია და გამოყენებული უნდა იქნეს იმავე სატელეკომუნიკაციო, ციფრული ან საინფორმაციო-ტექნოლოგიური მოწყობილობის მეშვეობით, იმის გათვალისწინებით, რომ სატელეკომუნიკაციო, ციფრული ან საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების ოპერატორი არ მოქმედებს, როგორც მხოლოდ შუამავალი საგადახდო მომსახურების მომხმარებელსა და საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელს შორის;
  - ი) გადახდის ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის მიერ კლიენტების სახსრებით ფასიანი ქაღალდების ოპერაციების განხორციელებასთან, მათ შორის, დივიდენდებისა და სხვა შემოსავლების განაწილებასთან, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან;
  - კ) ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის გადახდები, რომლებიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მონაწილეობის გარეშე ხორციელდება;
  - ლ) გადახდის ოპერაცია, რომელიც ხორციელდება ჩეკით, „ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს მომსახურების ის სახეები, რომლებიც არ შედის საგადახდო მომსახურებაში, ასევე ელექტრონულ

ლი ფულისა და საგადახდო ინსტრუმენტების კატეგორია, რომელთა საშუალებით განხორციელებული ოპერაციები არ მიიჩნევა საგადახდო მომსახურებად ან/და რომლებზედაც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება.

- ამ მუხლის მიზნებისათვის „კომერციული შუამავალი“ გულისხმობს პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, იმოქმედოს გადამხდელის ან მიმღების სახელით საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას ან შექცინისას.

#### მუხლი 14. გამონაკლისები ამ თავის მოქმედებიდან

- ამ თავის მოქმედება არ ვრცელდება:
  - საქართველოს ეროვნულ ბანკზე;
  - უცხოურ ცენტრალურ ბანკზე და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტზე;
  - საერთაშორისოდ აღიარებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერზე, რომელიც არ არის რეგისტრირებული, როგორც იურიდიული პირი ან იურიდიული პირის ფილიალი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების, მე-17 მუხლისა და მე-18 მუხლის პირველი – მე-5 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკზე.
- ამ კანონის მე-15 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე.

#### მუხლი 15. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია და საგადახდო მომსახურების განხორციელება

- დაუშვებელია საგადახდო მომსახურების განხორციელება იმ პირის მიერ, რომელიც არ არის:
  - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი;
  - კომერციული ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;
- ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი.
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურება განხორციელოს აგენტის ან აგენტების მეშვეობით, რომელთა შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც საგადახდო მომსახურებას ახორციელებს აგენტის მეშვეობით, მესამე პირის წინაშე პასუხისმგებელია აგენტის მიერ განხორციელებული საგადახდო მომსახურებისათვის. ეს არ ათავისუფლებს აგენტს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებებისაგან.
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას ახორციე-

ლებს საქართველოს ეროვნული ბანკი თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

- საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სიას.

#### მუხლი 16. ინფორმაციის მიღება და გამოქვეყნება

- საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მოსთხოვოს და მიიღოს ფინანსური, სტატისტიკური და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
- საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საგადახდო მომსახურებასთან.

#### მუხლი 17. საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი

- საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დამატებითი მოთხოვნები დაუდგინოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, თუ მის მიერ ან/და მასთან დაკავშირებული პირის მიერ გამოშვებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა გადააჭარბებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვრებს.
- თუ საქართველოს ეროვნული ბანკი საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ფინანსური სექტორისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მასზე გაავრცელოს ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილი მოთხოვნები, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროვაიდერის ან/და მასთან დაკავშირებული პირის მიერ გამოშვებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა არ აჭარბებს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილ ზღვრებს.
- ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებში აღნიშნული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (შემდგომ – საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი) ვალდებულია საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი და გაანგარიშებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა, მისი სახეობების მიხედვით. თუ საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი იმავდროულად არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, მან უნდა დაიცვას ამ კანონის საფუძველზე და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კაპიტალის ოდენობებს შორის უდიდესი.
- საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის გან-

საზღვროს პირობები, როდესაც პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს საგადახდო მომსახურების პროვაიდერთან დაკავშირებულ პირად.

5. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის მიმართ დადგენილი მოთხოვნები ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ გაცემულ ელექტრონული ფულის ინსტრუმენტებზე არსებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა აღარ ატარებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილ ზღვრებს, გარდა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.
6. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გაათავისუფლოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერი საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დაცვისგან, თუ:
  - ა) გაცემულ ელექტრონული ფულის ინსტრუმენტებზე არსებული ელექტრონული ფულის მოცულობა ან სხვა საგადახდო მომსახურების ბრუნვა ზედიზედ სამი თვის განმავლობაში აღარ ატარებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილ ზღვრებს;
  - ბ) მისთვის დამატებითი მოთხოვნები დადგინდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.
7. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს მოსთხოვოს და მიიღოს ფინანსური, მათ შორის, აუდირებული, სტატისტიკური და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

## მუხლი 18. მომხმარებლის ფულადი სახსრები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს თავის მიერ დადგენილი წესით განუსაზღვროს მოთხოვნები ელექტრონული ფულის სანაცვლოდ ან სხვა საგადახდო მომსახურების განხორციელებისათვის მომხმარებლისაგან მიღებული სახსრების (მომხმარებლის ფულადი სახსრები) მიმართ.
2. საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერთან არსებული მომხმარებლის ფულადი სახსრები უნდა განთავსდეს პროვაიდერის საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით, სხვა საბანკო ანგარიშზე ან ანგარიშებზე. მომხმარებლის ფულადი სახსრების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ცალკეულ საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერებს მოსთხოვოს მომხმარებლის ფულადი სახსრების უზრუნველყოფის მიზნით გარანტიის ან/და დაზღვევის პოლისის წარდგენა.

4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი გარანტიის ან/და დაზღვევის პოლისის პირობების ან/და გარანტორის/ზღვეველის შეცვლა ან დამატება.
5. საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს უფლება არ აქვს, თავისი ვალდებულების უზრუნველყოფისათვის გამოიყენოს მომხმარებლის ფულადი სახსრები.
6. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მიღებული მომხმარებლის ფულადი სახსრები არ არის დეპოზიტი.
7. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ელექტრონული ფული გადაუცვალოს მას ფულად სახსრებზე.
8. დაუშვებელია ელექტრონული ფულის პროვაიდერის მიერ მომსახურების განხორციელებისათვის მიღებულ ფულად სახსრებზე სარგებლის დარიცხვა ელექტრონული ფულის მომხმარებლის სასარგებლოდ.
9. დაუშვებელია საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მომხმარებლის ფულადი სახსრების კრედიტის/ოვერდრაფტის გასაცემად გამოყენება.
10. ელექტრონული ფული არის ელექტრონული ფულის პროვაიდერის ვალდებულება მომხმარებლის მიმართ.
11. იურიდიული პირი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მენარმე ელექტრონული ფულის სქემაში შეიძლება მონაწილეობდნენ, როგორც გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები, და არ შეიძლება მოქმედებდნენ, როგორც გადახდელი, გარდა გადახდელისთვის განხორციელებული ოპერაციის თანხის დაბრუნების შემთხვევისა. ელექტრონული ფულის პროვაიდერი ვალდებულია ამ პირთა მიერ ელექტრონული ფულის მიღებიდან არა უგვიანეს 15 საბანკო დღისა უზრუნველყოს აღნიშნული ელექტრონული ფულის მოცულობის ეკვივალენტური ფულადი სახსრების ამ პირთა საბანკო ანგარიშებზე გადარიცხვა.

## თავი V საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები

### მუხლი 19. საგადახდო მომსახურების დაცვა

1. ამ თავის მოთხოვნები უნდა შესრულდეს ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლების დებულებების დაცვით.
2. ამ თავის მოქმედება ვრცელდება ლარით და უცხოური ვალუტით განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე. თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, საქართველოში მოქმედ საგადახდო მომსახურების პროვაიდერზე არ ვრცელდება ამ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27-ე მუხლისა და 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

- ამ კანონის 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლების, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა და 32-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, თუ ეს მდგომარეობა უშუალოდ ახდენს გავლენას ამავე კანონის შესაბამისად პროვაიდერის ან მომხმარებლის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე, განსაკუთრებული გარემოების საფუძველზე ან/და ფინანსური სისტემის სტაბილურობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოპერაციების შეზღუდვის შემთხვევაში.

### მუხლი 20. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება ან/და მასთან შეთანხმების დადება

საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ან/და მასთან დადოს შეთანხმება, რომელიც მოიცავს მომსახურების პირობებს, მათ შორის, მომსახურების განვლის ვადებს, ტარიფებს, მომხმარებლისა და პროვაიდერის უფლება-მოვალეობებს.

### მუხლი 21. მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტი

- საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტების მახასიათებლები.
- მომხმარებელსა და პროვაიდერს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტზე არ გავრცელდება ამ კანონის:
  - 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა და 33-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები, თუ ამ ინსტრუმენტს არ აქვს ოპერაციების შეზღუდვის ან/და დაბლოკვის საშუალება;
  - 32-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 33-ე მუხლის პირველი – მე-3 პუნქტების მოთხოვნები, თუ ამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია ანონიმურად ან, ინსტრუმენტის თავისებურებებიდან გამომდინარე, პროვაიდერს არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ გადახდის ოპერაცია ავტორიზებულია;
  - 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, თუ გადახდის ოპერაციის უარყოფა გამოწვეულია თავად ინსტრუმენტის მახასიათებლებით;
  - 26-ე მუხლით განსაზღვრული საგადახდო დავალების შესრულების ვადები;
  - 29-ე მუხლით განსაზღვრული საგადახდო დავალების გამოთხოვის უფლება.

### მუხლი 22. გადახდის ოპერაციის ავტორიზაცია

- გადახდის ოპერაცია ავტორიზებულად მიჩნეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გადახდელის თანხმობა ოპერაციის განხორციელებაზე, თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

- თანხმობის გაცემის ფორმა და პროცედურა განისაზღვრება გადამხდელსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის შეთანხმების საფუძველზე. ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში გადახდის ოპერაცია არავტორიზებულად იქნება მიჩნეული.
- თუ თანხმობა საგადახდო ინსტრუმენტის საშუალებით გაიცემა, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია დაანესოს ლიმიტები ამ ინსტრუმენტით განხორციელებულ ოპერაციებზე, ასევე დაბლოკოს საგადახდო ინსტრუმენტი მომხმარებელთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- გადამხდელს შეუძლია გამოითხოვოს თავისი თანხმობა გადახდის ოპერაციის განხორციელებაზე ამ კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად.

### მუხლი 23. საგადახდო დავალება

- მომხმარებლის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის მიცემული საგადახდო დავალება უნდა შეესაბამებოდეს პროვაიდერის წესებით დადგენილ სტანდარტებს და უნდა შეიცავდეს იმ რეკვიზიტებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროვაიდერის მიერ საგადახდო დავალების შესრულებას, და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ინფორმაციას.
- საგადახდო დავალების ფორმასა და სტრუქტურას განსაზღვრავს პროვაიდერი.
- პროვაიდერი პასუხისმგებელია საგადახდო დავალების საგადახდო სისტემისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით თავის მიერ დამატებულ ინფორმაციაზე.
- მომხმარებელი პასუხისმგებელია თავის მიერ პროვაიდერისათვის საგადახდო დავალებით მიწოდებული რეკვიზიტების სისწორისა და სისრულისთვის.
- საგადახდო დავალება შეიძლება გაიცეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს საგადახდო დავალების მიცემის (ინიცირების) ამ მუხლისაგან განსხვავებული წესი.

### მუხლი 24. საგადახდო დავალების მიღება და შესრულება

- საგადახდო დავალების მიღების დროდ ითვლება მომენტი, როდესაც გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი მიიღებს საგადახდო დავალებას, მიუხედავად იმისა, ის ინიცირებულია გადამხდელის თუ მიმღების მიერ. თუ საგადახდო დავალება გადამხდელის პროვაიდერის მიერ მიღებულია მისთვის არასამუშაო დღეს, იგი მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად ჩაითვლება. გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია დაანესოს სამუ-



შაო დღის გარკვეული დრო, რომლის შემდეგ მიღებული საგადახდო დავალება მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად ჩაითვლება.

2. თუ მომხმარებელსა და პროვაიდერს შორის შეთანხმება ითვალისწინებს საგადახდო დავალების შეთანხმებულ დღეს (გადარიცხვის შესრულების მომავალი თარიღი) შესრულებას, დავალების მიღების მომენტად ამ კანონის 26-ე მუხლის მიზნებისათვის ითვლება შეთანხმებული დღე. თუ შეთანხმებული დღე არის ამ მომხმარებლის პროვაიდერისათვის არასამუშაო დღე, საგადახდო დავალების მიღების დღედ ჩაითვლება შეთანხმებული დღის მომდევნო სამუშაო დღე.
3. გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია საგადახდო დავალების მიღების დღეს მხარეებს შორის შეთანხმებული ფორმით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აცნობოს გადამხდელს საგადახდო დავალების მიღება ან სხვაგვარად გახადოს ეს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი.
4. თუ საგადახდო დავალება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შეთანხმებულ დღეს უნდა შესრულდეს, გადამხდელის პროვაიდერი უფლებამოსილია საგადახდო დავალება მიიღოს ამ თარიღის დადგომამდე ნებისმიერ დროს, გადამხდელის ანგარიშზე ფულადი სახსრების არარსებობის მიუხედავად, თუკი გადამხდელსა და მის პროვაიდერს შორის დადებული შეთანხმებით ან/და პროვაიდერის წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## მუხლი 25. საგადახდო დავალების უარყოფა

1. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უარს ამბობს საგადახდო დავალების შესრულებაზე, იგი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად აცნობოს მომხმარებელს ამის შესახებ ან სხვაგვარად გახადოს ეს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომი შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, მაგრამ არა უგვიანეს საგადახდო დავალების შესრულების ვადისა.
2. თუ დაცულია გადამხდელსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით და პროვაიდერის წესებით განსაზღვრული მოთხოვნები, გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უფლება არ აქვს, უარი განაცხადოს გადამხდელის მიერ ავტორიზებული საგადახდო დავალების შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, ის ინიცირებული იყო გადამხდელის თუ მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. თუ შეთანხმებული დღისთვის გადამხდელს არ აქვს გადახდის ოპერაციის განსახორციელებლად საკმარისი თანხა, გადამხდელის პროვაიდერს უფლება აქვს, უარი თქვას საგადახდო დავალების შესრულებაზე, თუკი გადამხდელსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
4. უარყოფილი საგადახდო დავალება არ ჩაითვლება მიღებულად ამ კანონის 26-ე და 31-ე მუხლების მიზნებისათვის.

## მუხლი 26. საგადახდო დავალების შესრულების ვადები

1. თუ გადამხდელი და მიმღები ერთი და იმავე პროვაიდერის მომხმარებლები არიან, პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის მიმღების ანგარიშზე ასახვა ან/და მისთვის სხვაგვარად ხელმისაწვდომობა საგადახდო დავალების მიღების დღეს, თუკი საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. თუ გადამხდელსა და მიმღებს სხვადასხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ჰყავთ:
  - ა) გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხვა საგადახდო დავალების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა, თუკი საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
  - ბ) მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს, ხოლო თუ თანხის ჩარიცხვის დღე პროვაიდერისათვის არასამუშაო დღეა – არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ასახოს ჩარიცხული თანხა მიმღების ანგარიშზე ან სხვაგვარად გახადოს მისთვის ხელმისაწვდომი, თუკი საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. თუ მიმღების პროვაიდერი ვერ ახერხებს მიმღების იდენტიფიკაციას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმღების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს თანხის დაბრუნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.
4. მიმღების პროვაიდერი ვალდებულია მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიცირებული საგადახდო დავალება გადამხდელის პროვაიდერს გადასცეს მათ შორის შეთანხმებულ ვადაში, ხოლო პირდაპირი დებეტის შემთხვევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში.
5. მომხმარებლის მიერ საბანკო ანგარიშზე ნაღდი თანხის შეტანისას ან მისი ელექტრონულ ფულზე გადაცვლისას პროვაიდერი ვალდებულია ეს თანხა დაუყოვნებლივ გახადოს ხელმისაწვდომი ანგარიშის მფლობელისთვის ან ელექტრონული ფულის მომხმარებლისთვის.
6. გადამხდელს უფლება აქვს, საგადახდო დავალების შესრულების დადასტურების მიზნით თავის პროვაიდერს დამატებით მოსთხოვოს დადასტურებული დოკუმენტი. საგადახდო დავალების შესრულების დადასტურების მიზნით დოკუმენტი გაიცემა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, და იგი, გარდა გადამხდელის მიერ საგადახდო დავალებაში მითითებული ინფორმაციისა, უნდა შეიცავდეს ამავე წესით განსაზღვრულ ინფორმაციას.
7. გადახდის ოპერაციის საგადახდო სისტემაში გატარება/არსებობა, მისი რეკვიზიტები, დანიშნულება

და თარიღი, ასევე მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხვა შეიძლება დადასტურდეს ნებისმიერი უფლებამოსილი პირის წინაშე, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, სისტემიდან მიღებული ელექტრონული დოკუმენტით.

## მუხლი 27. გადახდის შესრულება

1. გადახდა შესრულებულად ითვლება მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვის მომენტიდან, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. მიმღებს უფლება აქვს, მის ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვამდე განსაზღვროს დრო ან გარემოება, როდესაც გადახდას შესრულებულად ჩათვლის.

## მუხლი 28. გადარიცხული და ჩარიცხული თანხების ოდენობები

1. გადამხდელის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, ასევე ამ პროვაიდერის ნებისმიერი შუამავალი, რომელიც საგადახდო დავალების შესრულებაში მონაწილეობს, ვალდებული არიან, გადარიცხონ საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა.
2. მიმღების საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მიმღების ანგარიშზე ასახოს ან სხვაგვარად გახადოს მისთვის ხელმისაწვდომი თანხა მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ოდენობით, თუ მიმღებსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მიმღების პროვაიდერი ვალდებულია მიმღებთან შეთანხმებული ფორმით მიაწოდოს მას ინფორმაცია მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე ჩარიცხული თანხისა და დაკავებული საკომისიოს ოდენობების შესახებ, თუ მიმღებსა და მის პროვაიდერს შორის შეთანხმებით გათვალისწინებულია საკომისიოს დაკავების შემთხვევა.
3. თუ გადარიცხული თანხიდან დაკავებულ იქნა საკომისიო, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საკომისიოსი, გადამხდელის პროვაიდერი უზრუნველყოფს, რომ მიმღებმა მიიღოს გადამხდელის მიერ ინიცირებულ საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა, თუკი მიმღებსა და გადამხდელის პროვაიდერს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ საგადახდო დავალება ინიცირებულია მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, მიმღების პროვაიდერი უზრუნველყოფს, რომ მიმღებმა მიიღოს საგადახდო დავალებაში მითითებული სრული თანხა.
4. დაუშვებელია საგადახდო დავალების ნაწილობრივ შესრულება, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## მუხლი 29. საგადახდო დავალების გაუქმებისა და გამოთხოვის დაუშვებლობა

1. მომხმარებელს არ აქვს უფლება, გააუქმოს საგადახდო დავალება, თუ იგი მიღებულია გადამხდელის

პროვაიდერის მიერ, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. თუ საგადახდო დავალება ინიცირებულია მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით, გარდა პირდაპირი დებეტისა, გადამხდელს არ აქვს უფლება, გააუქმოს იგი, თუკი ეს დავალება გადაცემულია გადამხდელის პროვაიდერისთვის ან გადამხდელს მიმღებისთვის დავალების შესრულებაზე თანხმობა აქვს მიცემული.
3. პირდაპირი დებეტის შემთხვევაში საგადახდო დავალების გამოთხოვა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
4. ამ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს, გამოითხოვოს საგადახდო დავალება არა უგვიანეს შეთანხმებული დღის წინა სამუშაო დღისა.
5. მომხმარებელსა და მის პროვაიდერს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საგადახდო დავალება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ამ მუხლის პირველი – მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვადის გასვლის (გარემოების დადგომის) შემდეგ, ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლების დებულებების დაცვით. აღნიშნული შეთანხმების არსებობისას, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადამხდელის მიერ საგადახდო დავალების გამოთხოვისათვის სავალდებულოა მიმღებთან შესაბამისი შეთანხმების არსებობა.

## მუხლი 30. საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებები

1. საგადახდო მომსახურების მომხმარებელი ვალდებულია:
  - ა) გამოიყენოს საგადახდო ინსტრუმენტი ამ საგადახდო ინსტრუმენტისათვის დადგენილი პირობების შესაბამისად;
  - ბ) დაიცვას მისთვის გაცემული საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომები, უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა;
  - გ) საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში შეატყობინოს ამის თაობაზე თავის საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ან ამ პროვაიდერის მიერ განსაზღვრულ პირს.
2. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია:
  - ა) მიიღოს ყველა შესაძლო ზომა საგადახდო ინსტრუმენტის დაცულობისა და მისი არამართლმომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;
  - ბ) არ გახადოს საგადახდო ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის, გარდა ამ ინსტრუმენტის მფლობელისა;
  - გ) ნათლად გააცნოს საგადახდო მომსახურების მომხმარებელს საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების მოთხოვნები;

- დ) უზრუნველყოს საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ნებისმიერ დროს მიღება უშუალოდ მომხმარებლისგან ან მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირისგან. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში პროვაიდერი ვალდებულია მიაწოდოს მას შეტყობინების მიღების დასტური, თუ შეტყობინების მიღებიდან გასული არ არის 18 თვეზე მეტი;
- ე) საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საგადახდო ინსტრუმენტის შემდგომი გამოყენების აღკვეთა.
- 3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საკუთარ თავზე აიღოს საგადახდო ინსტრუმენტის ან/და მისი პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლებისა და საშუალებების გაგზავნასთან დაკავშირებული ყველა რისკი.
- 4. პროვაიდერი პასუხს არ აგებს მის მიერ შეთავაზებულ უსაფრთხოების ზომებზე მომხმარებლის მიერ უარის თქმის შემთხვევაში დამდგარი შედეგისთვის. ასეთ შემთხვევაში უსაფრთხოების ზომებზე უარის თქმის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებელია მომხმარებელი.
- 5. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების პროვაიდერს საგადახდო ინსტრუმენტთან, მათ შორის, ელექტრონული ფულის ინსტრუმენტთან, დაკავშირებით დაუწესოს მოთხოვნები და ლიმიტები თავის მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 31. საგადახდო დავალების შესრულებლობა ან არასწორად შესრულება**

- 1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი პასუხს არ აგებს საგადახდო დავალების შესრულებლობისთვის ან არასწორად შესრულებისთვის, რომელიც გამომწვეულია მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ საგადახდო დავალებაში მითითებული არასწორი ინფორმაციით. ეს არ ათავისუფლებს პროვაიდერს ვალდებულებისაგან, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს მომხმარებელს არასწორად გადარიცხული თანხის დაბრუნებაში.
- 2. თუ დაცულია ამ მუხლის პირველი პუნქტისა და ამ კანონის 32-ე მუხლის დებულებები, გადამხდელის პროვაიდერი პასუხისმგებელია გადამხდელის წინაშე გადამხდელის მიერ ინიცირებული საგადახდო დავალების სწორად შესრულებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას შეუძლია დაუსაბუთოს გადამხდელს, საჭიროების შემთხვევაში კი – მიმღების პროვაიდერს, რომ მას სწორად აქვს მითითებული მიმღების რეკვიზიტები და მიმღების პროვაიდერს მიღებული აქვს გადახდის ოპერაციის თანხა ამ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. თუ გადამხდელის პროვაიდერმა დაასაბუთა მის მიერ გადამხდელის საგადახდო დავალების შესრულების სისწორე, მიმღების პროვაიდერი პასუხისმგებელია მიმღების მიმართ გადახდის ოპერაციის განხორციელების სისწორისთვის.

- 3. თუ გადამხდელის პროვაიდერი პასუხისმგებელია გადახდის ოპერაციის არასწორად განხორციელებისთვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იგი ვალდებულია გადამხდელს დაუბრუნოს არასწორად გადარიცხული თანხა და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული საკომისიო.
- 4. თუ მიმღების პროვაიდერი პასუხისმგებელია გადახდის ოპერაციის არასწორად განხორციელებისთვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იგი ვალდებულია მიმღებს ანგარიშზე ჩაურიცხოს ან სხვაგვარად გახადოს მისთვის ხელმისაწვდომი გადახდის ოპერაციის თანხა.
- 5. მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით ინიცირებული საგადახდო დავალების შემთხვევაში, თუ დაცულია ამ მუხლის პირველი პუნქტისა და 32-ე მუხლის დებულებები, მიმღების პროვაიდერი პასუხისმგებელია მიმღების წინაშე მიმღების მიერ ინიცირებული საგადახდო დავალების გადამხდელის პროვაიდერისთვის სწორად გადაცემისთვის ამ კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. თუ მიმღების პროვაიდერმა საგადახდო დავალება ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევით გაგზავნა, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შეცდომის გამოსწორება.
- 6. მიმღების პროვაიდერი პასუხისმგებელია მიმღების წინაშე მიმღების მიერ ინიცირებული საგადახდო დავალების თანხის მის ანგარიშზე ჩარიცხვისას ამ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევისთვის.
- 7. გადამხდელის პროვაიდერი პასუხისმგებელია გადამხდელის წინაშე მიმღების მიერ ინიცირებული საგადახდო დავალების შეუსრულებლობისთვის ან არასწორად შესრულებისთვის, გარდა ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია დაუბრუნოს გადამხდელს არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის თანხა და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული საკომისიო.
- 8. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული პროვაიდერის პასუხისმგებლობა გამოწვეულია გადახდის ოპერაციის განხორციელების პროცესში მონაწილე სხვა პროვაიდერის, შუამავლის ან სხვა პირის ქმედებით ან უმოქმედობით, პროვაიდერი უფლებამოსილია მოსთხოვოს ამ პირს ამ თავის შესაბამისად პროვაიდერის მიერ გადახდილი თანხისა და შესაბამისი ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 9. ამ თავის მოთხოვნების შესრულება არ ათავისუფლებს მხარეებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

**მუხლი 32. შეტყობინება არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესახებ**

- 1. მომხმარებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესაბამისი თანხის ანაზღაურება ამ

თავის დებულებების შესაბამისად, თუ არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 40 დღეზე მეტი ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 დღეზე მეტი და მომხმარებელმა არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესახებ პროვაიდერს შეატყობინა ამგვარი ოპერაციის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს ვადაში, ხოლო პირდაპირი დებუტის შემთხვევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის წესით დადგინდეს ვადაში.

2. თუ მომხმარებელი განაცხადებს, რომ გადახდის ოპერაცია არაავტორიზებულია ან არასწორად არის განხორციელებული, პროვაიდერს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ გადახდის ოპერაცია ავთენტიფიცირებული ან/და სწორად განხორციელებული იყო და რომ ტექნიკურ გაუმართაობას ან სხვა დეფექტს ოპერაციაზე გავლენა არ მოუხდენია.
3. თუ მომხმარებელმა არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგინილი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ განაცხადა, ეს არ ათავისუფლებს პროვაიდერს ვალდებულები-საგან, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს მომხმარებელს არაავტორიზებული ან არასწორად გადარიცხული თანხის დაბრუნებაში.

### მუხლი 33. მომხმარებლისა და პროვაიდერის ვალდებულებები არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებით

1. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გადამხდელს აუნაზღაუროს არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხა, თუ დაცულია ამ კანონის 32-ე მუხლის დებულებები, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. მომხმარებლისთვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.
2. გადამხდელი პასუხისმგებელია მოპარული ან დაკარგული საგადახდო ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით გამოწვეული, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არა უმეტეს 100 ლარისა, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. ამ პუნქტის მიზნებისათვის ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად ითვლება, თუ ის საქართველოში გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებით განხორციელდა და ინტერნეტგვერდი ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომელიც არ არის იურიდიული პირი.
3. გადამხდელი სრულად აგებს პასუხს არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი

დანაშაულებრივი ქმედებით, ასევე მის მიერ ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების განზრახ ან დაუდევრობით შეუსრულებლობით.

4. გადამხდელი არ არის პასუხისმგებელი მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული ან უკანონოდ გამოყენებული საგადახდო ინსტრუმენტის, ასევე მის მიერ საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომების ან პერსონიფიცირებული უსაფრთხოების საშუალებების დაუცველობით გამოწვეული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუ მან ოპერაცია განახორციელა ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პროვაიდერის მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ, თუკი ეს ზიანი გამოწვეული არ არის გადამხდელის დანაშაულებრივი ან განზრახი ქმედებით.
5. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არ უზრუნველყოფს ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ნებისმიერ დროს მიღებას, გადამხდელი არ არის პასუხისმგებელი მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული ან უკანონოდ გამოყენებული საგადახდო ინსტრუმენტის, ასევე მის მიერ საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომების ან პერსონიფიცირებული უსაფრთხოების საშუალებების დაუცველობით გამოწვეული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის, თუკი ეს ზიანი გამოწვეული არ არის გადამხდელის დანაშაულებრივი ან განზრახი ქმედებით.

### მუხლი 34. ავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხის ანაზღაურება

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის მიერ დადგინილი წესით განსაზღვროს გარემოებები, როდესაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია აუნაზღაუროს გადამხდელს ავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხა, და შესაბამისი ვადები, თუ ეს გადახდის ოპერაცია ინიცირებულ იქნა მიმღების მიერ ან მისი მეშვეობით.

## თავი VI ფინანსური გირაო

### მუხლი 35. ამ თავის მოქმედების სფერო

1. ამ თავის მოქმედება ვრცელდება იურიდიულ პირებს შორის დადებულ ყველა სახის ფინანსური გირაოს ხელშეკრულებაზე, რომელშიც გირავნობის საგანი არის საქართველოში გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტი ან/და ფულადი სახსრები.
2. ფინანსური გირაოს ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველო, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშსწორების აგენტი, ოპერატორი, ფინანსური ინსტიტუტი,

უცხოური ცენტრალური ბანკი, უცხოური ფინანსური ინსტიტუტი ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი.

3. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფინანსური გირაოს ხელშეკრულების მხარე შეიძლება ასევე იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, თუ მეორე მხარე კომერციული ბანკია.
4. ამ თავის დებულებები აგრეთვე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ, საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ გირავნობით დატვირთულ მოთხოვნებზე დამგირავებლის სასესხო აქტივებისადმი.
5. ფინანსური გირაო შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ტიპის ვალდებულების, მათ შორის, არსებული, სამომავლო, შესაძლო ან პირობითი ვალდებულების, უზრუნველყოფისათვის, რომელიც აქვს ან შეიძლება ჰქონდეს დამგირავებელს მოგირავნის მიმართ.
6. დაუშვებელია ფინანსური გირაოს საგნად იმ ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც დაგირავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. დაუშვებელია ფინანსური გირაოს საგნის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება.

### მუხლი 36. ფინანსური გირაოს ხელშეკრულების ნამდვილობა

1. ფინანსური გირაოს ხელშეკრულება ნამდვილია და მის მოქმედებას სადავოდ ვერ გახდიან მესამე პირები, მათ შორის, ლიკვიდატორი, გაკოტრების მმართველი და დროებითი ადმინისტრატორი, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოები, თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით და მოგირავნეს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს აქვს ფინანსური გირაოს საგნის ფლობის ან კონტროლის შესაძლებლობა, რაც მოგირავნეს ან მისი სახელით მოქმედ პირს საშუალებას აძლევს, არ დაუშვას დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის განკარგვა, ხოლო გირაოს ამოქმედების შემთხვევაში მოახდინოს მისი რეალიზაცია ან დაისაკუთროს ის ამ თავის დებულებების შესაბამისად.
2. მოგირავნე შეიძლება ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს ფინანსური გირაოს საგანს:
  - ა) თუ ფინანსური გირაოს საგანია წარმომდგენზე ფინანსური ინსტრუმენტი – მისი ფიზიკურ მფლობელობაში გადაცემით;
  - ბ) თუ ფინანსური გირაოს საგანია რეგისტრირებული ფინანსური ინსტრუმენტი – შესაბამის რეესტრში ჩანაწერის განხორციელებით;
  - გ) თუ ფინანსური გირაოს საგანია ჩანაწერის სახით არსებული ფინანსური ინსტრუმენტი – მისი მოგირავნის ანგარიშზე ან მოგირავნის სახელით მოქმედ დეპოზიტართან მოგირავნის, დამგირავებლის ან მესამე პირის სახელზე გახსნილ ანგარიშზე ჩარიცხვით და მოგირავნის ან დეპოზიტარის მიერ შესაბამისი ფორმით ფინანსურ ინსტრუმენტზე გირავნობის არსებობის აღრიცხვით;

- დ) თუ ფინანსური გირაოს საგანია ანგარიშზე რიცხული ფულადი სახსრები – მათი მოგირავნის ან მისი სახელით მოქმედ ბანკში მოგირავნის, დამგირავებლის ან მესამე პირის სახელზე გახსნილ ანგარიშზე ჩარიცხვით და მოგირავნის ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ შესაბამისი ფორმით ფულად სახსრებზე გირავნობის არსებობის აღრიცხვით;
- ე) თუ დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის დადებულია რეპო შეთანხმება – მოგირავნისათვის ფინანსური გირაოს საგანზე საკუთრების უფლების გადაცემით, რეპო გარიგების პირობების შესაბამისად.
3. საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედება არ არის ფინანსური გირაოს ხელშეკრულების გაუქმების ან ბათილად გამოცხადების საფუძველი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხელშეკრულება ძალაში შევიდა ან ფინანსური გირაოს საგანი დაგირავდა რეჟიმის ამოქმედებამდე ნებისმიერ დროს ან რეჟიმის ამოქმედების დღეს, თუ მოგირავნემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა რეჟიმის ამოქმედების შესახებ.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ გირავნობით დატვირთულ მოთხოვნებზე დამგირავებლის სასესხო აქტივებისადმი. საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ სასესხო აქტივების დაგირავების ხელშეკრულება ნამდვილია და მის მოქმედებას სადავოდ ვერ გახდიან მესამე პირები, მათ შორის, ლიკვიდატორი, გაკოტრების მმართველი და დროებითი ადმინისტრატორი, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოები, რომლებიც ვალდებული არიან, იმოქმედონ გირავნობის პირობების შესაბამისად.
5. ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში ფინანსური გირაოს საგანი დამგირავებელს უბრუნდება, ან ფინანსური გირაოს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით შეიძლება მოხდეს ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა (ნეტინგი) ამ თავის დებულებების შესაბამისად.
6. ფინანსური გირაოს ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელი არ არის ფინანსური გირაოს რომელიმე მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია.

### მუხლი 37. ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებლობის შედეგები

1. გირაოს ამოქმედების შემთხვევაში, თუ ქვემოთ მოცემული დებულებები წინასწარ განსაზღვრულია მხარეთა შორის დადებული ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით ან სხვა ხელშეკრულებით, რომლის ნაწილიცაა ფინანსური გირაოს ამ კანონით განსაზღვრული დებულებები: ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ყველა ვალდებულება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების გადახდის ვადა შეიძლება არ იყოს დამდგარი გირაოს

ამოქმედების მომენტისთვის, და ისინი აღირიცხება, როგორც თანხის გადახდის ვალდებულება მათი შეფასებითი მიმდინარე ღირებულებით, ან ხდება ამ ვალდებულებების შეწყვეტა და შესაბამისი თანხის გადახდის ახალი ვალდებულებით ჩანაცვლება; ან/და მხარეთა ურთიერთვალდებულებების საფუძველზე გამოითვლება ნეტვალდებულება, რომელსაც იხდის ის მხარე, რომლის მთლიანი ვალდებულებაც მეტია.

2. გირაოს ამოქმედების შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილი პირი, რომელთანაც აღირიცხება ფინანსური გირაო, ვალდებულია დამგირავებელს შეატყობინოს ფინანსური გირაოს ამოქმედების შესახებ.

### მუხლი 38. ფინანსური გირაოს რეალიზაციით მიღებული თანხით დავალიანების დაფარვა

1. ფინანსური გირაოს ხელშეკრულების დებულება, რომელიც ითვალისწინებს გირაოს ამოქმედებით მიღებული თანხით ვალდებულებების შესრულებას, ნამდვილია და მის მოქმედებას სადავოდ ვერ გახდის მესამე პირები, მათ შორის, ლიკვიდატორი, გაკოტრების მმართველი და დროებითი ადმინისტრატორი, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოვალის, კრედიტორის, დამგირავებლის ან მოგირავნის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმი ამოქმედდა.
2. ამ თავის შესაბამისად ფინანსურ გირაოდ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ დაუშვებელია სხვა ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, მათი ნებისმიერი ფორმით გასხვისება ან განკარგვა, გარდა ამ თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. დამგირავებლის მიერ ფინანსური გირაოს ხელშეკრულებაზე თანხმობის გაცემა გულისხმობს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოგირავნის უფლებას, მოახდინოს გირავნობის საგნის დაუყოვნებელი რეალიზაცია ან დაისაკუთროს ის ხელშეკრულების პირობებისა და ამ კანონის შესაბამისად.
4. დამგირავებელი არ არის უფლებამოსილი, სხვა გირავნობით ან/და უფლებით დატვირთოს ამ თავის შესაბამისად დაგირავებული ფინანსური გირაო. ასეთი გარიგება ბათილია.
5. ფინანსური ინსტრუმენტის გირავნობის შემთხვევაში, მიუხედავად დამგირავებლის მიმართ საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის ამოქმედებისა ან მისი დეფოლტის დადგომისა, მოგირავნის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის რეალიზაციისას და ამ კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების გამოყენებისას, რეალიზაციით მიღებული თანხა გამოყენებული უნდა იქნეს მოგირავნის მიმართ არსებული უზრუნველყოფილი ვალდებულებების დასაფარავად ან ურთიერთგაქვითვისათვის, ხოლო ფულადი სახსრების გირავნობის შემთხვევაში – ურთიერთგაქვითვისათვის.

6. ფინანსური გირაოს რეალიზაციით მიღებული თანხით ფინანსური გირაოს მეშვეობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების სრულად დაფარვის შემდეგ დარჩენილი ნაშეტი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამგირავებელს უბრუნდება.
7. თუ ფინანსური გირაოს რეალიზაციით მიღებული თანხა არასაკმარისია ფინანსური გირაოს მეშვეობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების სრულად დასაფარავად, ნარჩენი ვალდებულების ნაწილში მოგირავნე სარგებლობს არაუზრუნველყოფილი კრედიტორისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით.

### მუხლი 39. ფინანსური გირაოს გაზრდა, შემცირება და ჩანაცვლება

1. ფინანსური გირაოს ან უზრუნველყოფილი ვალდებულების ღირებულების ცვლილების შემთხვევაში ხდება გირავნობის საგნის შესაბამისი გაზრდა ან შემცირება, თუ ეს გათვალისწინებულია ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით.
2. შესაძლებელია დამგირავებელმა გირავნობის საგანი ჩანაცვლოს იმავე ღირებულების სხვა საგნით, პირველადი გირავნობის საგნის გამოთხოვის გზით, თუ ეს გათვალისწინებულია ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით.
3. სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის ერთობლიობის ფინანსურ გირაოდ გამოყენების შემთხვევაში დამგირავებლის უფლება, შეამციროს, გაზარდოს ან ჩანაცვლოს ფინანსური გირაო, არ ზღუდავს მოგირავნის უფლებას, ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს ფინანსური გირაოს საგანს ამ კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, თუ ეს გათვალისწინებულია ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით.
4. ფინანსური გირაოს მიმღები – მოგირავნე – უფლებამოსილია ფინანსური გირაოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ფინანსური გირაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით. ამ შემთხვევაში ფინანსური გირაოს მეშვეობით უზრუნველყოფილი ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ ან ფინანსური გირაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფინანსური გირაოს მიმღები ვალდებულია ფულადი სახსრების გირავნობის შემთხვევაში დამგირავებელს დაუბრუნოს იგივე ოდენობა იმავე ვალუტით, ხოლო სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში – იმავე მოვალის ან ემიტენტის, იმავე ემისიის ან კლასის და იმავე ვალუტით დენომინირებული იმავე ნომინალური ღირებულების ან იმავე ჯამური ნომინალური ღირებულების მქონე ფინანსური ინსტრუმენტი. ფინანსური გირაოს ხელშეკრულება შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს მოგირავნის მიერ მსგავსი ღირებულების სხვა აქტივის დაბრუნების ვალდებულებას, თუ ამ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით დგება რაიმე გარემოება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ გირაოსთან ან გავლენას ახდენს მასზე.
5. ფინანსური გირაოს ამ მუხლის პირველი და მე-2

პუნქტების შესაბამისად გაზრდა, შემცირება ან ჩანაცვლება არ განიხილება ახალი ფინანსური გირაოს ხელშეკრულების დადებად.

6. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები ნამდვილია და მათ მოქმედებას სადავოდ ვერ გახდიან მესამე პირები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფინანსური გირაოს გაზრდა ან ჩანაცვლება მოხდა რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, თუკი მოგირავენ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა რეჟიმის ამოქმედების შესახებ.

#### მუხლი 40. უზრუნველყოფილ კრედიტორთა შორის უპირატესი და უპირობო დაკმაყოფილების უფლება

მოგირავენს სხვა უზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებით აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი და უპირობო დაკმაყოფილების უფლება ამ თავის შესაბამისად.

#### მუხლი 41. ფინანსური ინსტრუმენტების ჩანაწერით ფლობა

ფინანსური ინსტრუმენტების ჩანაწერით ფლობის შემთხვევაში, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტებზე საკუთრების უფლება ჩანაწერით დასტურდება, ამ თავით გათვალისწინებული ურთიერთობების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც შესაბამისი ჩანაწერი არსებობს.

### თავი VII სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობა

#### მუხლი 42. სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოსცეს საგადახდო მომსახურების ცალკეული სახეობების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.
2. საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:
  - ა) გამოსცეს ნორმატიული აქტები;
  - ბ) სისტემის ოპერატორსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს დაუდგინოს მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია სისტემის წესებთან, პროცედურებთან, სტანდარტებთან, სისტემის მონაწილეთა უფლებებთან და მოვალეობებთან,

სისტემის უსაფრთხოებასთან და ტექნიკურ უზრუნველყოფასთან და სისტემის ოპერირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან;

- გ) მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორსა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს დაუდგინოს დამატებითი მოთხოვნები, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე;
- დ) გარკვეული ვადით ან/და გარკვეული პირობებით გაათავისუფლოს მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი ამ კანონითა და თავის მიერ დადგენილი ნორმების დაცვისაგან;
- ე) მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორსა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს წერილობითი მითითებით მოსთხოვოს გარკვეული ქმედების განხორციელება ან მისგან თავის შეკავება.

#### მუხლი 43. ინფორმაციის შენახვა და კონფიდენციალურობა

1. არავის არ აქვს უფლება, დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას ან გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან პირადი მიზნისთვის გამოიყენოს იგი. ამგვარი ინფორმაცია შეიძლება მიენოდოს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკს, მისი კომპეტენციის ფარგლებში.
2. მომხმარებლის ფულადი სახსრებისა და ელექტრონული ფულის, ასევე მის მიერ განხორციელებული ოპერაციების (მათ შორის, ოპერაციის განხორციელების მცდელობის) შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიენოდოს თავად მომხმარებელს და მის სათანადოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიენოდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
3. გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს შესაბამის საგადახდო სისტემას, სისტემის ოპერატორს, მიმღების პროვაიდერსა და მიმღებს. აღნიშნულ პირებზე ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.
4. საგადახდო სისტემის ფუნქციონირების შედეგად სისტემის ოპერატორისათვის გადაცემული ტრანსფერორდერით განსაზღვრული ინფორმაცია შეიძლება მიენოდოს მხოლოდ სისტემის შესაბამის მონაწილეს ან მის სათანადოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში.
5. სასამართლო, საგამოძიებო და საგადასახადო ორგანოებს ეკრძალებათ სასამართლოს მიერ

შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სხვა პირებისა და ორგანოებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის საჯარო გამოსვლებში გამოყენება.

6. სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არიან, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით უზრუნველყონ სათანადო უსაფრთხოების ზომების შემუშავება და გატარება.
7. სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არიან, შეინახონ სათანადო ჩანაწერები და საბუთები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არიან, მონაწილეების, მომხმარებლებისა და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეინახონ არანაკლებ 15 წლის განმავლობაში.

#### მუხლი 44. მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის მიერ წარსადგენი ინფორმაცია

1. მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერი ვალდებული არიან, მნიშვნელოვან სისტემად ან საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერად მიჩნევის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 დღის ვადაში წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს:
  - ა) სადამფუძნებლო დოკუმენტების დედნები ან მათი სანოტარო წესით ან აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული ასლები;
  - ბ) ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების, მნიშვნელოვანი წილის უშუალო და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ;
  - გ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს კაპიტალის ოდენობას;
  - დ) საქართველოს ეროვნული ბანკის წესებით გათვალისწინებული სხვა დამატებითი ინფორმაცია.
2. მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის კაპიტალი მათი საქმიანობის არც ერთ ეტაპზე არ უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ და გაანგარიშებულ კაპიტალის (მისი სახეობების მიხედვით) ოდენობაზე ნაკლები.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვან პროვაიდერს, აგრეთვე მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილეებს მოსთხოვოს ანგარიშსწორების ანგარიშების საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნა.
4. მნიშვნელოვანი სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერისათვის ნებადართულია მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება.

#### მუხლი 45. შემოწმება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ადგილზე ან/და დისტანციურად შეამოწმოს სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის ან/და მის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა, რისთვისაც უფლება აქვს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს საქმის წარმოების დოკუმენტაცია, ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ჩანაწერები და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ადგილზე ან/და დისტანციურად შეამოწმოს მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის სისტემაში დაშვებისა და მონაწილეობის სისტემის წესებთან და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

#### მუხლი 46. სანქციები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სანქციები, თუ სისტემის ოპერატორმა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა:
  - ა) დაარღვიეს ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან საქართველოს ეროვნული ბანკის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება, წერილობითი მითითება;
  - ბ) წარადგინეს არასწორი ან არაზუსტი ინფორმაცია;
  - გ) დაარღვიეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დარღვევის გამოვლენისას საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დამრღვევის მიმართ თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე – არათანამიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სანქციები:
  - ა) გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება ან/და მოსთხოვოს, შეწყვიტოს და აღარ დაუშვას ესა თუ ის დარღვევა;
  - ბ) დააკისროს ფულადი ჯარიმა თავის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;
  - გ) გაუქმოს რეგისტრაცია.
3. ამ მუხლის შესაბამისად დაკისრებული ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

#### მუხლი 47. სისტემების ოპერატორებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ჩამონათვალი

საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს სისტემების ოპერატორებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეესტრს და აქვეყნებს თავის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე.



## მუხლი 48. სისტემის ოპერატორისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვალდებულებები

სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული არიან, საქართველოს ეროვნულ ბანკს, აგრეთვე იმ სისტემის ოპერატორს, რომლის მონაწილენიც არიან, შეატყობინონ რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების საქმის წარმოების, საქმიანობის დროებით შეჩერების და სხვა ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ პირთა მიერ სისტემის ოპერირებაზე ან საგადახდო მომსახურების განწევაზე.

## მუხლი 49. გამონაკლისი ამ თავის მოქმედებიდან

ამ თავის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე.

## მუხლი 50. ზოგადი პრინციპები

თუ არ არსებობს საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების მარეგულირებელი ნორმა, ოპერატორი ან პროვაიდერი მოქმედებს საერთაშორისო ნორმებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

## თავი VIII გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

### მუხლი 51. გარდამავალი დებულება

იურიდიულმა პირებმა, რომლებიც ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას ამ კანონის ამოქმედებამდე ახორციელებდნენ, ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში რეგისტრაცია უნდა გაიარონ ამ კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

### მუხლი 52. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2012 წლის 1 ივლისიდან.

*საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი*

*თბილისი,  
2012 წლის 25 მაისი.  
N6304-1ს*

# 1.9 საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ

## მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

- ამ კანონის მიზანია საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.
- ეს კანონი არეგულირებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლენასთან და აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ამ კანონით გათვალისწინებულ საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებსა და შესაბამის პირებს შორის, აგრეთვე ურთიერთობებს, ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.
- ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებზე, მათ წარმომადგენლებზე, წარმომადგენლობებსა და ფილიალებზე, აგრეთვე უწყებებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- უკანონო შემოსავალი – პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება;
- ქონება – საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქონება;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია – უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა;
- მონიტორინგი – ამ კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია, გარიგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენა ამ კანონითა და მის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით;
- არაკოპირირებადი (არამოთანამშრომლე) ან საყურადღებო ზონა – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარდგინებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული

ქვეყანა ან ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი. აღნიშნული ქვეყანა ან ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი არაკოპირირებად (არამოთანამშრომლე) ან საყურადღებო ზონად მიიჩნევა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით ან თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მითითებულ ზონაში მოქმედებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუსტი მაკონტროლებელი მექანიზმი;

- კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციები – ევროსაბჭო, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF) და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ასეთად აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ;
- ზედამხედველობა – ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საზედამხედველო ორგანოების მიერ მონიტორინგის განმახორციელებელი შესაბამისი პირების საქმიანობის ზედამხედველობა;
- საეჭვო გარიგება – გარიგება (მიუხედავად მისი თანხის ოდენობისა და ოპერაციის სახეობისა), რომელზედაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი დაიდო ან შესრულდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ან/და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზედაც დაიდო ან შესრულდა გარიგება, მოპოვებულია ან წარმოშობილია დანაშაულებრივი საქმიანობიდან, ან/და გარიგება დაიდო ან შესრულდა ტერორიზმის დაფინანსების მიზნით (ეჭვს იწვევს გარიგების მონაწილე პირი ან გარიგების თანხის წარმოშობა, ან არსებობს სხვა საფუძველი, რომლის გამოც გარიგება შეიძლება მიჩნეულ იქნეს საეჭვოდ), ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირი შეტანილია ტერორისტთა ან ტერორიზმის ხელშეწყობ პირთა სიაში ან/და შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მათთან, ან/და რომ მასში მონაწილე ფულადი სახსრები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ან გამოყენებულ იქნეს ტერორიზმისათვის, ტერორისტული აქტისათვის ან ტერორისტების მიერ ან ტერორისტული ორგანიზაციის ან ტერორიზმის დამფინანსებლის მიერ, ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი არის არაკოპირირებად (არამოთანამშრომლე) ზონაში, ან რომ მისი თანხის გადარიცხვა ხდება ასეთ ზონაში ან ასეთი ზონიდან; უჩვეულო გარიგება – რთული, უჩვეულოდ დიდი გარიგება, აგრეთვე გარიგებათა ტიპი, რომელსაც არ აქვს აშკარა ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი ან აშკარა კანონიერი მიზანი, არ შეესაბამება გარიგების მონაწილე პირის ჩვეულებრივ საქმიანობას;
- ამოღებულია
- არარეზიდენტი პირი – პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;
- პირის იდენტიფიკაცია – პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იძლევა პირის მოკვლევისა და მისი სხვა პირებისგან გამორჩევის საშუალებას;
- საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახ-

ური – ამ კანონის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს და რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა;

- ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი პირი – ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირი, რომელიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ატარებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ღონისძიებებს;
- ო) არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი – „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული იურიდიული პირი.
- პ) საექვო ზონა – ქვეყანა ან ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე მიჩნეულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუსტი მაკონტროლებელი მექანიზმის მქონედ;
- ჟ) ფინანსური ინსტიტუტები – „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინსტიტუტები;
- რ) ბენეფიციარი მესაკუთრე – ფიზიკური პირი, რომელიც არის პირის საბოლოო მფლობელი ან მაკონტროლებელი პირი ან/და რომლის სახელითაც ხორციელდება გარიგება (ოპერაცია); სამეწარმეო იურიდიული პირის (აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ ორგანიზაციული წარმონაქმნის, რომელიც არ არის იურიდიული პირი) ბენეფიციარი მესაკუთრე არის მისი წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტის ან მეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით საბოლოო მესაკუთრე, მფლობელი ან/და მაკონტროლებელი ფიზიკური პირი ან ფიზიკური პირი, რომელიც სხვაგვარად ახორციელებს კონტროლს სამეწარმეო იურიდიული პირის მართვაზე;
- რ<sup>1</sup>) პირი – როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;
- ს) საექვო ფინანსური ინსტიტუტი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ვერ უპასუხებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სტანდარტებს;
- ტ) მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოება (SWIFT) – საერთაშორისო ბანკთაშორისი ქსელი (სისტემა), რომელიც ბანკთაშორისი ანგარიშსწორების განხორციელებისა და ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთი საშუალებაა.
- უ) ფიქტიური ბანკი („შელ ბანკი“) – ბანკი, რომელიც არ არის ფიზიკურად წარმოდგენილი იმ ქვეყანაში, სადაც რეგისტრირებულია / ლიცენზირებულია, და რომელმაც კონტროლი და ზედამხედველობა არ ხორციელდება;

- ფ) ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი – პირი (გარდა კომერციული ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა), რომელიც ახორციელებს ფულადი გზავნილებით მომსახურებას.
- ქ) პოლიტიკურად აქტიური პირი – უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას. პოლიტიკურად აქტიური პირები არიან: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის ხელმძღვანელი და მთავრობის წევრი, აგრეთვე მათი მოადგილეები, სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი, უზენაესი სასამართლოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სამხედრო ძალების ხელმძღვანელი პირი, ცენტრალური (ეროვნული) ბანკის საბჭოს წევრი, ელჩი, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი პირი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) ხელმძღვანელი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) აღმასრულებელი ორგანოს წევრი, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე, ასევე მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე მასთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი; პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში;
- ღ) ოჯახის წევრი – პირის მეუღლე, შვილი (მათ შორის, გერი) და მისი მეუღლე, მშობელი, და, ძმა;
- ყ) პოლიტიკურად აქტიურ პირთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი – ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს ან/და აკონტროლებს იმ იურიდიული პირის წილს ან ხმის უფლების მქონე აქციებს, რომლის წილს ან ხმის უფლების მქონე აქციებს ფლობს ან/და აკონტროლებს პოლიტიკურად აქტიური პირი, აგრეთვე მასთან სხვაგვარ მჭიდრო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი.
- შ) კლიენტი – ნებისმიერი პირი, რომელიც მიმართავს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ამ უკანასკნელის ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურებისთვის ან/და სარგებლობს ზემოაღნიშნული მომსახურებით;
- ჩ) სალიზინგო კომპანია – იურიდიული პირი, რომელიც ეწევა სალიზინგო საქმიანობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.
- ც) ადვოკატი – „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული პირი.

### მუხლი 3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები

მონიტორინგის განმახორციელებელი პირები არიან:

- ა) კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- ა<sup>1</sup>) ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირები;
- ა<sup>2</sup>) კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი;

- ბ) საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები;
- გ) სადამზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები;
- დ) ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირები;
- ე) ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები;
- ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური);
- ზ) გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები;
- თ) ნოტარიუსები;
- თ<sup>1</sup>) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- ი) ამოღებულია
- კ) პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევა საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას;
- ლ) სალიზინგო კომპანიები.
- მ) ამოღებულია
- ნ) ადვოკატები.

#### მუხლი 4. ზედამხედველობა

საზედამხედველო ორგანოები არიან:

- ა) საქართველოს ეროვნული ბანკი – კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის; საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის;
- ა<sup>1</sup>) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური – სადამზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლებისათვის;
- ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშობების მომწყობი პირებისათვის; ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის; შემოსავლების სამსახურისათვის; სალიზინგო კომპანიებისათვის; გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირებისათვის;
- გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – ნოტარიუსებისათვის; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის.
- დ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაცია – იმ პირებისათვის, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას.
- ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია – ადვოკატებისათვის.

#### მუხლი 5. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები

1. ამ კანონის მიზნებისათვის მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და გარიგების (მისი თანხის) დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა (გარდა კომერციული ბანკების, საბროკერო და სადამზღვევო კომპანიების, ადვოკატებისა და საბუღალტრო ან/და აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელი პირების საშუალებით შესრულებული გარიგებებისა), თუ არსებობს ერთ-ერთი ან ორივე შემდეგი პირობა:
  - ა) გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში), როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში;
  - ბ) ეს გარიგება არის საეჭვო გარიგება ამ კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
2. კომერციული ბანკების მონიტორინგს ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარიგებები, აგრეთვე პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და მისი დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) და ამავე დროს იგი თავისი შინაარსით არის შემდეგი გარიგება (ოპერაცია):
  - ა) თანხის მიღება წარმომდგენზე საბანკო ჩეკით;
  - ბ) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ბანკნოტების საშუალებით;
  - გ) საყურადღებო ან საეჭვო ზონაში მოქმედი ან რეგისტრირებული ბანკის საბანკო ანგარიშიდან მფლობელის მიერ თანხის გადმორიცხვა საქართველოში არსებულ საბანკო ანგარიშზე ან თანხის გადარიცხვა საქართველოდან ასეთ ზონაში მოქმედ ან რეგისტრირებულ ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;
  - დ) საყურადღებო ან საეჭვო ზონაში რეგისტრირებული პირის მიერ სესხის გაცემა ან მიღება, ანდა ასეთი პირის მიერ საქართველოში არსებული საბანკო დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული ნებისმიერი სხვა გარიგება (ოპერაცია);
  - ე) სხვა სახელმწიფოში ანონიმური პირის საბანკო ანგარიშზე თანხის საქართველოდან გადარიცხვა ან ანონიმური პირის სხვა სახელმწიფოში არსებული საბანკო ანგარიშიდან თანხის საქართველოში გადმორიცხვა;
  - ვ) სანარმოს სანესდებო კაპიტალში ფულადი სახსრების შეტანა, გარდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ სანარმოთა აქციების შეძენისა;
  - ზ) ფიზიკური პირის (არამენარმე სუბიექტის) მიერ საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების ნაღდი ფორმით განთავსება და გადარიცხვა (გარდა ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვისა და საქართველოს ფარგლებში მის საკუთარ ანგარიშებს შორის თანხის

- გადარიცხვისა);
- თ) სესხის გაცემა წარმომდგენზე ფასიანი ქალაქდებით უზრუნველყოფით;
  - ო) იურიდიული პირის რეგისტრაციიდან 90 კალენდარულ დღეში თანხის მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა ან ამ ანგარიშიდან გადარიცხვა;
  - კ) გრანტის (გარდა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გაცემული გრანტისა) ან საქველმოქმედო დახმარების თანხის ანგარიშზე ჩარიცხვა ან ანგარიშიდან გადარიცხვა;
  - ლ) საექვო ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობით განხორციელებული გარიგება (ოპერაცია).
- 2<sup>1</sup>. საბროკერო კომპანიების მონიტორინგს ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარიგებები, აგრეთვე პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და მისი დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) და ამავე დროს იგი თავისი შინაარსით არის შემდეგი გარიგება (ოპერაცია):
- ა) წარმომდგენზე ფასიანი ქალაქდებით შესრულებული გარიგება;
  - ბ) საექვო ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობით განხორციელებული გარიგება (ოპერაცია);
  - გ) ფასიანი ქალაქდებით საყურადღებო ან საექვო ზონაში მყოფი და რეგისტრირებული პირის მიერ ან/და ასეთ ზონაში მოქმედი ბანკის საბანკო ანგარიშის გამოყენებით შესრულებული გარიგება;
  - დ) ნაღდი ფულით შესრულებული გარიგება.
- 2<sup>2</sup>. სადაზღვევო კომპანიების მონიტორინგს ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარიგებები, აგრეთვე პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და მისი დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) და ამავე დროს იგი თავისი შინაარსით არის შემდეგი გარიგება (ოპერაცია):
- ა) დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევა;
  - ბ) ანუიტეტური და საპენსიო დაზღვევა;
  - გ) პრემიის დაბრუნების პირობით პიროვნული დაზღვევა;
  - დ) საყურადღებო ან საექვო ზონაში მყოფი და რეგისტრირებული პირის მიერ ან/და ასეთ ზონაში მოქმედი ბანკის საბანკო ანგარიშის გამოყენებით შესრულებული გარიგება;
  - ე) დამზღვევის ინიციატივით პირველი სამი თვის განმავლობაში განყვეტილი სადაზღვევო კონტრაქტი;
  - ვ) საექვო ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობით განხორციელებული გარიგება (ოპერაცია);
  - ზ) ნაღდი ფულით შესრულებული გარიგება.
- 2<sup>3</sup>. ადვოკატისა და საბუღალტრო ან/და აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელი პირის მონიტორინგს ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გა-

- რიგება, როდესაც ადვოკატი ან საბუღალტრო ან/და აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელი პირი კლიენტის დავალებით ან კლიენტის სახელით მონაწილეობს შემდეგი სახის საქმიანობაში/გარიგებაში:
- ა) უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა;
  - ბ) ფულადი სახსრების, ფასიანი ქალაქდების ან სხვა ქონების მართვა;
  - გ) საბანკო, შემნახველი ან ფასიანი ქალაქდების ანგარიშების მართვა;
  - დ) იურიდიული პირის შექმნისთვის, საქმიანობისთვის ან მართვისთვის შენატანების ორგანიზება;
  - ე) იურიდიული პირის ან ამხანაგობის შექმნა, საქმიანობა ან მართვა;
  - ვ) იურიდიული პირის (წილის) ყიდვა-გაყიდვა.
3. შემოსავლების სამსახურის მონიტორინგს ექვემდებარება 30 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი ნაღდი ფულისა და ფასიანი ქალაქდების საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა.
4. მონიტორინგს ექვემდებარება აგრეთვე ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარიგების დადების ან შესრულების მცდელობა და სხვა ფაქტი (გარემოება), რომელიც, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წერილობითი მითითებების შესაბამისად, შეიძლება უკავშირდებოდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ან ტერორიზმის დაფინანსებას.
5. ამ მუხლის პირველი – 2<sup>3</sup> და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გარიგებების გარდა, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა მონიტორინგის განმახორციელებელი პირისათვის შეიძლება განსაზღვროს კონკრეტული სახის გარიგებათა ჩამონათვალი, რომელთა შესახებაც უნდა ეცნობოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს განსაზღვრულ შემთხვევებში, მის მიერ დადგენილი წესით.
- 5<sup>1</sup>. ადვოკატი და პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმას აგზავნიან იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების ფორმის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მათი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.
6. საექვო გარიგების შესახებ ვარაუდის არსებობისა და გარიგების თანხის ოდენობის მიუხედავად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი არ აჩერებს გარიგების შესრულებას (მასთან საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირის (კლიენტის) მომსახურებას), გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
7. თუ ვერ ხერხდება მონიტორინგის განმახორციელებელ პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების მსურველი პირის იდენტიფიკაცია, აგრეთვე ამ კანონის 61 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელმძღვანელობისგან უარის მიღებისას მონიტორინგის

განმახორციელებელი პირი უარს ეუბნება პირს გარიგების შესრულებაზე (კლიენტის მომსახურებაზე). მონიტორინგის განმახორციელებელი პირი გარიგების შესრულებას აჩერებს ასევე იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მონაწილე რომელიმე პირი შეყვანილია ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში, და დაუყოვნებლივ უგზავნის ანგარიშგების შესაბამის ფორმას საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

8. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა მიიღონ გონივრული ზომები იმაში დასარწმუნებლად, რომ ყურადღებას აქცევენ ყველა გარიგებას (ოპერაციას) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით.
9. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ უჩვეულო გარიგებებს, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“, 2<sup>1</sup> პუნქტის „გ“ და 2<sup>2</sup> პუნქტის „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ გარიგებებს, რომელთაც არ აქვთ აშკარა ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი და აშკარა კანონიერი მიზანი, შესაძლებლობის ფარგლებში შეისწავლონ ასეთი გარიგებების დადების მიზანი და წერილობით დააფიქსირონ მიღებული შედეგები.
10. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავენ მათთან საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირის გარიგების უჩვეულო გარიგების სთვის მიკუთვნების პრინციპებს.

**მუხლი 6. მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ვალდებულებები გარიგების და მასში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვასთან დაკავშირებით**

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი (გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის „ე“, „ვ“, „თ<sup>1</sup>“, „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირებისა) ვალდებულია მოახდინოს კლიენტის (მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება მესამე პირის სასარგებლოდ იდება) იდენტიფიკაცია და მიიღოს გონივრული ზომები მისი ვინაობის გადასამოწმებლად სანდო და დამოუკიდებელი წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის (დოკუმენტების) საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) გარიგების (ოპერაციის) თანხა აღემატება 3 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში);
  - ბ) კლიენტს სურს განახორციელოს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ფულადი გადარიცხვა, რომლის თანხა აღემატება 1 500 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში);
  - გ) ჩნდება ეჭვი კლიენტის არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტეში ან შესაბამისობაში;
    - დ) გარიგება არის საეჭვო გარიგება ამ კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
2. ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ

- ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია მოახდინოს კლიენტის იდენტიფიკაცია, თუ გარიგების (ოპერაციის) თანხა (ნაღდი ფულის სახით გადახდილი თანხა) აღემატება 30 000 ლარს.
3. შემოსავლების სამსახური ვალდებულია განახორციელოს საზღვარზე 30 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი ნაღდი ფულის – ეროვნული და უცხოური ვალუტების, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების – გადამადგილებელი ფიზიკური პირების იდენტიფიკაცია.
  4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია მოახდინოს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის გარიგების მონაწილე პირის (მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება მესამე პირის სასარგებლოდ იდება) იდენტიფიკაცია.
  - 4<sup>1</sup>. ადვოკატი და პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებული არიან მოახდინონ კლიენტის (მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება მესამე პირის სასარგებლოდ იდება) იდენტიფიკაცია და მიიღონ გონივრული ზომები მისი ვინაობის გადასამოწმებლად სანდო და დამოუკიდებელი წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის (დოკუმენტების) საფუძველზე, აგრეთვე შეასრულონ ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი კლიენტისთვის ამზადებენ ან/და ასრულებენ ერთ-ერთ შემდეგ საქმიანობასთან დაკავშირებულ გარიგებას (ოპერაციას):
    - ა) უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა;
    - ბ) ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების მართვა;
    - გ) საბანკო, შემნახველი ან ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მართვა;
    - დ) იურიდიული პირის შექმნისთვის, საქმიანობისთვის ან მართვისთვის შენატანების ორგანიზება;
    - ე) იურიდიული პირის ან ამხანაგობის შექმნა, საქმიანობა ან მართვა;
    - ვ) იურიდიული პირის (წილის) ყიდვა-გაყიდვა.
  5. საბროკერო კომპანიის მიერ თავისი კლიენტისათვის კომერციული ბანკის მეშვეობით შესრულებული გარიგების შემთხვევაში იდენტიფიკაციის განხორციელება ევალდება საბროკერო კომპანიას (ამ შემთხვევაში კომერციულ ბანკს საბროკერო კომპანიის კლიენტის იდენტიფიკაცია არ მოეთხოვება).
  6. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია აღრიცხოს/შეინახოს გარიგების შესახებ ინფორმაცია (დოკუმენტები), რომელიც (რომელიც) შეეხება:
    - ა) გარიგების (ოპერაციის) შინაარსს;
    - ბ) გარიგების დადების თარიღსა და ადგილს, აგრეთვე გარიგების თანხის ოდენობას და ვალუტას, რომელშიც გარიგება უნდა შესრულდეს;

- გ) გარიგების მონაწილე პირის (მათ შორის, კლიენტის) იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილ ამ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას (დოკუმენტებს);
- დ) იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას (დოკუმენტებს), რომლის დავალებითაც იდება ან სრულდება გარიგება;
- ე) იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას (დოკუმენტებს), რომელიც მესამე ან სხვა პირის დავალებით დებს ან ასრულებს გარიგებას.
7. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავს პროცედურებს, რომლებიც აუცილებელია კლიენტის იდენტიფიკაციისათვის (გარდა ანგარიშის გახსნის პროცედურებისა). ამასთანავე, მას უფლება აქვს, მოითხოვოს გარიგებასთან (ოპერაციასთან) და მასში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია (დოკუმენტები).
8. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა საიდენტიფიკაციო მონაცემები უნდა შეამოწმოს მინიმუმ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ან საქართველოს კანონმდებლობით მათთან გათანაბრებული დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელმწიფოს მიერ გამოცემული ისეთი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც იძლევა იურიდიული პირის შექმნისა და მისი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) შესაბამისი უფლებამოსილების დადასტურების საშუალებას.
9. აკრძალულია ფინანსური ინსტიტუტის მიერ ანონიმური ანგარიშის ან ფიქტიურ სახელზე ანგარიშის გახსნა ან/და წარმოება.
10. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია მოახდინოს კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია, ასევე მიიღოს გონივრული ზომები მისი ვინაობის გადამოწმების მიზნით სანდო, დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით და დარწმუნდეს, რომ იცის, ვინ არის კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე.
11. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი კლიენტის (მისი ბენეფიციარი მესაკუთრის) იდენტიფიკაციისას ან/და მისი ვინაობის გადამოწმებისას შეიძლება დაეყრდნოს მესამე პირს/შუამავალს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ახორციელებს პირის იდენტიფიკაციას და მისი ვინაობის გადამოწმებას, ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების (მათი ასლების) შენახვას და ექვემდებარება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესაბამის ზედამხედველობასა და რეგულირებას. ამასთანავე, მან კლიენტის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების ან მათი ასლების) დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში ამ კანონით გათვალისწინებული წესით კლიენტის იდენტიფიკაციისა და მისი ვინაობის გადამოწმებისათვის საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება მონიტორინგის განმახორციელებელ პირს.
12. მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს, კლიენტის (მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება მესამე პირის სასარგებლოდ იდება) (მისი ბენეფიციარი მესაკუთრის) ამ კანონით გათვალისწინებული წესით იდენტიფიკაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემთა ელექტრონული ბაზებით.
13. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ჰქონდეს რისკების მართვის სათანადო სისტემა ისეთი კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, რომლის საქმიანობა შეესაძლებელია შექმნას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მაღალი რისკი, და აწარმოოს მის მიმართ გაძლიერებული იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების და გაძლიერებული მონიტორინგის პროცესი. იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების პროცედურები უნდა განხორციელდეს რისკებზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, კლიენტის ტიპისა და სახის, საქმიანი ურთიერთობის, პროდუქტის/მომსახურების ან გარიგების გათვალისწინებით ან სხვა გზით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით.
14. თითოეული კლიენტისა და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ამ მუხლით გათვალისწინებული იდენტიფიკაცია და ვინაობის გადამოწმება და სხვა ინფორმაციის მოპოვება უნდა მოხდეს გარიგების განხორციელებამდე ან ანგარიშის გახსნამდე ან სხვა სახის საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე, ასევე საქმიანი ურთიერთობის გაგრძელებამდე, თუ არსებობს ეჭვი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე ან ტერორიზმის დაფინანსებაზე ან ჩნდება ეჭვი კლიენტის არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტეში ან შესაბამისობაში. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია განსაზღვროს შემთხვევები, რომელთა დროსაც კლიენტისა და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის გადამოწმება შესაძლებელია დასრულდეს საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, გარდა ამ კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
15. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია აწარმოოს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის მუდმივი მონიტორინგი, რომელიც მოიცავს:
- ა) კლიენტისა და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ მიმდინარე ინფორმაციისა და ჩანაწერების შენახვას;
- ბ) არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების პერიოდულ განახლებას და მათ მოქმედ ნორმებთან შესაბამისობას;

- გ) გარიგების დეტალურ შესწავლას, იმისათვის, რომ დადგინდეს, შეესაბამება თუ არა გარიგება კლიენტის შესახებ მის ცოდნას, კლიენტის კომერციულ და პირად საქმიანობას, ან რისკის ჯგუფს და, საჭიროების შემთხვევაში, ქონების (მათ შორის, ფულადი სახსრების) წარმომავლობას.
16. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რისკებს, დაკავშირებულს ისეთი ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვასთან, რომლებიც ხელს უწყობს ანონიმურობას მომსახურებისას, და ყველა ზომა უნდა მიიღოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის მათი გამოყენების აღსაკვეთად. მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უნდა ჰქონდეს იდენტიფიკაციისა და ვინაობის გადამოწმების ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით პირის დისტანციურ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას. ამ პუნქტში მითითებული პოლიტიკა და პროცედურები გამოყენებული უნდა იქნეს საქმიანი ურთიერთობის დამყარებისა და მისი მუდმივი მონიტორინგის დროს.

**მუხლი 6<sup>1</sup>. მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ვალდებულებები პოლიტიკურად აქტიურ პირთან დაკავშირებით**

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია გამოარკვიოს, მიეკუთვნება თუ არა კლიენტი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირის კატეგორიას.
2. თუ მონიტორინგის განმახორციელებელი პირის კლიენტი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირია, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებულისა, დამატებით უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:
  - ა) ხელმძღვანელობისგან მიიღოს ასეთ კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ან მისი გაგრძელების ნებართვა;
  - ბ) მიიღოს გონივრული ზომები ასეთი კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ქონების (მათ შორის, ფულადი სახსრების) წარმომავლობის დასადგენად;
  - გ) განახორციელოს ასეთ კლიენტთან თავისი საქმიანი ურთიერთობის გაძლიერებული მონიტორინგი.
3. თუ კლიენტი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე მონიტორინგის განმახორციელებელ პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ გახდა პოლიტიკურად აქტიური პირი, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთანავე განახორციელოს მის მიმართ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**მუხლი 7. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებანი გარიგების შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტების) შენახვასთან დაკავშირებით**

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია კლიენტის იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტი), ასევე კლიენტის ანგარიშის შესახებ დოკუმენტაცია და საქმიანი კორესპონდენცია მატერიალური ან ელექტრონული ფორმით (მონოდებულები ამ კანონის მე-6 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით) შეინახოს მასთან საქმიანი ურთიერთობის განწყვეტის მომენტიდან არანაკლებ 6 წლის განმავლობაში, თუ შესაბამისი საზედამხედველო ორგანო არ მოითხოვს უფრო მეტი ვადით შენახვას, და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას წარუდგინოს კომპეტენტურ ორგანოებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (დოკუმენტი) და გარიგების შესახებ ინფორმაცია (დოკუმენტები) ინახება ორიგინალის სახით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ინახება ინფორმაციის (დოკუმენტის) ასლი, დამოწმებული ნოტარიუსის ან თავად მიმღები პირის (მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ. დამოწმებას არ საჭიროებს კლიენტის იდენტიფიკაციისათვის ამ კანონის მე-6 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით წარმოდგენილი და მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ გადამოწმებული მონაცემები.
3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია (დოკუმენტები) და ამ კანონის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერები შეინახოს გარიგების დადების ან შესრულების დღიდან არანაკლებ 6 წლის განმავლობაში, თუ შესაბამისი საზედამხედველო ორგანო არ მოითხოვს უფრო მეტი ვადით შენახვას ან/და საქართველოს კანონმდებლობით ასეთი ინფორმაციის (დოკუმენტების) შენახვისათვის უფრო მეტი ვადა არ არის დაწესებული.
4. ინფორმაცია (დოკუმენტი) იმგვარად უნდა იყოს აღრიცხული და შენახული, რომ მისი მონაცემები სრულად ასახავდეს დადებულ ან შესრულებულ გარიგებას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს შესაბამისი საზედამხედველო ორგანოებისათვის მათი ოპერატიულად წარდგენა, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნისას გამოყენება მტკიცებულების სახით.
5. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან საეჭვო გარიგებებისა და დანაწევრებული გარიგებების გამოვლენის მიზნით შექმნიან მონაცემთა ელექტრონული ბაზა (სისტემა).

**მუხლი 8. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებანი შიდა კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით**

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის



და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით განახორციელოს შიდა კონტროლი.

2. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან შეიმუშაონ შიდა ინსტრუქციები (შიდა კონტროლის წესები) და მიიღონ შესაბამისი ზომები მათი შესრულების მიზნით. აღნიშნული ინსტრუქციებით უნდა დადგინდეს მონიტორინგის განმახორციელებელი პირის (მისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების) შიგნით კლიენტებისა და საქმიანი ურთიერთობის დამყარების მსურველი პირების იდენტიფიკაციის, ინფორმაციის ანალიზის, საეჭვო გარიგების გამოვლენისა და ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში გადაგზავნის წესები და პროცედურები ამ კანონისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვით და მონიტორინგის განმახორციელებელი პირის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, აგრეთვე უნდა განისაზღვროს საეჭვო გარიგების გამოვლენასა და ინფორმაციის გადაგზავნაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი ან სტრუქტურული ერთეული და მისი უფლება-მოვალეობანი. ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს განსაზღვროს იმ პრინციპების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა უპასუხებდეს შიდა ინსტრუქცია, აგრეთვე გამოითხოვოს და განიხილოს შიდა ინსტრუქცია, მიუთითოს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ამ ინსტრუქციის ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის შესახებ და მოსთხოვოს მისი შესწორება.
3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან მოახდინონ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია ანუ შეიმუშაონ მონაცემთა აღრიცხვის სისტემა და უზრუნველყონ მისი წარმოება.
4. ინფორმაციის სისტემატიზაციისა და შიდა კონტროლის განხორციელებისათვის მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ხელმძღვანელი ვალდებულია ამისათვის სპეციალურად განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომელი ან სტრუქტურული ერთეული.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებელი თანამშრომელი ან სტრუქტურული ერთეული ვალდებულია:
  - ა) განახორციელოს ამ კანონის შესაბამისად შემუშავებული შიდა ინსტრუქციის შესრულების კონტროლი ინსტრუქციით გათვალისწინებული წესითა და პერიოდულობით;
  - ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ხელმძღვანელს წერილობით, შიდა ინსტრუქციით გათვალისწინებული წესითა და პერიოდულობით მიაწოდოს ინფორმაცია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების შესახებ.
6. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენის პროცესში ჩართული თანამშრომლის პერიოდული სწავლება.

7. ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, არასაბანკო სადევოზიტო დაწესებულებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, საბანკო სისტემის მიღმა არსებული ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების, ლატარიებისა და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი პირების (გარდა კაზინოებისა), ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირების, გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირების, ნოტარიუსებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ამ კანონისა და მის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების შესრულებაზე კონტროლის წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი საზღვარსგარეთ ორგანოს ნორმატიული აქტით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან შეთანხმებით.

### მუხლი 9. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებანი მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებათა შესახებ ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით

1. თუ მონიტორინგის განმახორციელებელ პირს გაუჩნდა ეჭვი საიდენტიფიკაციო მონაცემების უტყუარობაში ან, მცდელობის მიუხედავად, კლიენტის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება ან თუ გარიგება არის ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარიგება, იგი ვალდებულია ამის შესახებ ცნობა მიაწოდოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ამ კანონითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმითა და წესით.
11. თუ ადვოკატს გაუჩნდა ეჭვი საიდენტიფიკაციო მონაცემების უტყუარობაში ან, ცდის მიუხედავად, კლიენტის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, ან თუ გარიგება არის ამ კანონის მე-5 მუხლის 23 პუნქტით გათვალისწინებული გარიგება, იგი ვალდებულია ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცნობის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის ამ კანონითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმითა და წესით წარდგენას.
2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ცნობის მიწოდება გულისხმობს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ გარიგების შესახებ ანგარიშგების შესაბამისი ფორმის შევსებას, გაგზავნას და სამსახურის მიერ მისი მიღების დადასტურებას. ანგარიშგება უნდა გაიგზავნოს იდენტიფიკაციის შეუძლებლობის ან სა-

- იდენტიფიკაციო მონაცემების ან გარიგების საეჭვოობის შესახებ ვარაუდის გაჩენის დღესვე, ხოლო თუ გარიგების (ოპერაციის) თანხა აღემატება ამ კანონის მე-5 მუხლით დადგენილ ზღვარს – გარიგების დადებიდან ან შესრულებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა. თუ გარიგების მონაწილე რომელიმე პირი შეტანილია ტერორისტთა ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში ან/და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დაკავშირებულია მათთან, ან/და რომ მასში მონაწილე ფულადი სახსრები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ან გამოყენებულ იქნეს ტერორიზმისათვის, ტერორისტული აქტისათვის ან ტერორისტების მიერ ან ტერორისტული ორგანიზაციის ან ტერორიზმის დამფინანსებლის მიერ, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია ინფორმაციის მიღების დღესვე გაუგზავნოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ანგარიშგება თავის ხელთ არსებულ ყველა სათანადო მასალასთან და დოკუმენტთან ერთად.
3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეინახოს ანგარიშგების შესაბამისი ფორმა (წერილობითი ან ელექტრონული) არანაკლებ 6 წლის განმავლობაში, თუ შესაბამისი საზედამხებდველო ორგანოს მიერ არ არის მოთხოვნა უფრო მეტი ვადით შეინახვაზე.
  4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით შეიძლება განისაზღვროს გამონაკლისები, როდესაც სამსახურს ცნობა არ მიეწოდება, მიუხედავად იმისა, რომ გარიგება არის ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარიგება. როგორც წესი, ეს დებულება გამოიყენება იმ შემთხვევისათვის, როდესაც გარიგება საეჭვო არ არის ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე.

## მუხლი 10. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ამ კანონითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.
11. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
12. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო თათბირებზე, საბჭოებსა და ორგანიზაციებში.
13. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდებით.
14. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური განხორციელებული საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს მთავრობას.
15. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.
2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური შესაბამის საზედამხებდველო ორგანოსთან შეთანხმებით ადგენს საეჭვო გარიგებაზე ანგარიშგების ფორმას. ანგარიშგების ფორმა სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საეჭვო გარიგებისა და მისი მონაწილე პირების, აგრეთვე საბანკო ანგარიშების (სადაც ეს შესაძლებელია) შესახებ.
3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური განსაზღვრავს და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ გარიგების საეჭვოობის დადგენის მიზნით აწვდის მათ ინფორმაციას (ჩამონათვალს, მითითებებს და ა.შ) საეჭვო გარიგებისა და მისი მონაწილე პირების შესახებ.
4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს:
  - ა) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების, ასევე სხვა დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტების გამოვლენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის განმახორციელებელი პირისაგან მოითხოვოს და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია და მის ხელთ არსებული დოკუმენტები (ორიგინალები ან ასლები), მათ შორის, კონფიდენციალური, ნებისმიერი გარიგების (ოპერაციის), მათ შორის, საბანკო ანგარიშის, ან გარიგების (ოპერაციის) დადების ან შესრულების მცდელობის და მისი მონაწილე პირების შესახებ, ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ კანონით მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;
  - ბ) საზედამხებდველო ორგანოებს მიანოდოს ინფორმაცია შესაბამისი რეაგირებისათვის;
  - გ) ამ კანონის შესრულების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
  - დ) მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელ და მის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებასა და განხილვაში;
  - ე) მინიჭებული ფუნქციების შესრულების მიზნით გააგზავნოს შეკითხვები და მიიღოს ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან ან დაწესებულებიდან, აგრეთვე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს;
  - ვ) მიმართოს სასამართლოს ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშზე) ყადაღის დადების ან გარიგების (ოპერაციის) შეჩერების მიზნით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონება (მათ შორის, გარიგების თანხა) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერორიზმის დასაფინანსებლად (ასეთ შემ-

თხვევაში მასალები დაუყოვნებლივ გადაეცემა საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს).

5. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ვალდებულია:
  - ა) შექმნას საინფორმაციო ქსელი, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი, უზრუნველყოს შესაბამისი მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნა და ფუნქციონირება;
  - ბ) შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, ნებისმიერი ორგანოსაგან ან პირისაგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცეს ეს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) და თავის ხელთ არსებული სათანადო მასალები საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს;
  - გ) შეისწავლოს ამ კანონის შესრულების მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ კანონის მიზნის მიღწევას.
6. ნებისმიერი პირი ან ორგანო საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში არსებულ, საქართველოს კანონმდებლობით კონფიდენციალურად აღიარებულ ინფორმაციას მიიღებს მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის წარდგენის საფუძველზე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ამ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. არავის არა აქვს უფლება, დაავალოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს რაიმე ინფორმაციის მოძიება (მოპოვება).
7. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მართვასთან, სტრუქტურასთან, ანგარიშვალდებულებასთან და კონტროლთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

### მუხლი 10<sup>1</sup>. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ხელმძღვანელობს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი თანამდებობიდან ვადამდე თავისუფლდება:
  - ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
  - ბ) სერიოზული სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენისას;

- გ) ზედიზედ 4 თვის განმავლობაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისას, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
  - დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტისას;
  - ე) სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას.
3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას.

### მუხლი 10<sup>2</sup>. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მართვა და ბიუჯეტი

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფუნქციები, მის მართვასთან, სტრუქტურასთან, ანგარიშვალდებულებასთან, წარმომადგენლობასა და კონტროლთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებით და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით, რომელსაც საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საშტატო ნუსხას და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მოხელის შრომის ანაზღაურების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ შრომის ანაზღაურების დონეს. სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დაფინანსების წყაროებია:
  - ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
  - ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
5. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ბიუჯეტს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის წარდგინებით, ყოველწლიურად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიმდინარე ხარჯები არ შეიძლება იყოს წინა წელს დამტკიცებულ დაფინანსებაზე ნაკლები. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის დაფინანსებასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის წინასწარი თანხმობით. თუ საქართველოს მთავრობა არ დაამტკიცებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ბიუჯეტს, სამსახური დაფინანსდება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წინა წელს დამტკიცებული დაფინანსების ოდენობით.

## მუხლი 11. საზედამხედველო ორგანოების პასუხისმგებლობა

1. საზედამხედველო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების (გარიგების შესახებ, მათ შორის, მისი მონაწილე პირების იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის სისტემატიზაციისა და მიწოდების, შიდა კონტროლის განხორციელებისა და სხვ.) შესრულების შემოწმებისათვის, განსაზღვრული წესითა და პროცედურით.
2. საზედამხედველო ორგანოები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების მეშვეობით და დაეხმარონ სამართალდამცავ ორგანოებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.
3. თუ საზედამხედველო ორგანომ აღმოაჩინა, რომ გარიგება ექვემდებარებოდა მონიტორინგს და ამის შესახებ ინფორმაცია არ იყო გადაგზავნილი საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, ან რომ დარღვეული იყო ამ კანონის, შესაბამისი ნორმატიული აქტების ან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მითითებები, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და დამრღვევ პირს დააკისროს შესაბამისი სანქცია.

## მუხლი 11<sup>1</sup>. ფიქტიური ბანკი („შელ ბანკი“)

1. აკრძალულია ფიქტიური ბანკის შექმნა და არსებობა, აგრეთვე მასთან საქმიანი (მათ შორის, საკორესპონდენტო) ურთიერთობა.
2. ფინანსური სექტორის წარმომადგენლები ვალდებული არიან მიიღონ გონივრული ზომები, რათა გამოარკვიონ:
  - ა) მიეკუთვნება თუ არა მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი (ან პირი, რომელთანაც ისინი ამყარებენ საქმიან ურთიერთობას) ფიქტიური ბანკის კატეგორიას;
  - ბ) აქვს თუ არა მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირს (ან პირს, რომელთანაც ისინი ამყარებენ საქმიან ურთიერთობას) ფიქტიურ ბანკთან ურთიერთობა.

## მუხლი 12. პასუხისმგებლობა ინფორმაციის დაცვასა და გაცემასთან დაკავშირებით

1. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და მონიტორინგის განმახორციელებელი პირების, საზედამხედველო ორგანოების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს არა აქვთ უფლება, შეატყობინონ გარიგების მონაწილე პირებს ან სხვა პირებს, რომ გარიგების შესახებ ინფორმაცია გადაეცა შესაბამის ორგანოს, მათი ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, საზედამხედველო ორგანოები, სამართალდამცავი ორგანოები, მათი ხელმძღვანელები და თანამშრომლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ კანონის შესაბამისად მიღებული იმ ინფორმაციის დაცვა, რომელიც შეიცავს პირად, საბანკო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოს, და ასეთი ინფორმაცია გასცენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს, საზედამხედველო ორგანოებს, მათ ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული შესაბამისი მოქმედების შედეგად ნორმატიული აქტით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დარღვევისათვის, ანდა ასეთი ინფორმაციის დაცვის ან გაცემისათვის, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა.
5. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების, საზედამხედველო ორგანოების, სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების მიერ ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დარღვევის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს ანაზღაურებს ზიანის მიმყენებელი – შესაბამისად ფინანსური მონიტორინგის სამსახური, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი, საზედამხედველო ორგანო ან სამართალდამცავი ორგანო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ოდენობით.
6. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს, მათ ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რომელიც შეიძლება მიაღვეს ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი ინფორმაციისა და მასალების სათანადო ორგანოებისათვის გადაცემის შედეგად.
7. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ამ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულებისას დაუშვებელია მონიტორინგის განმახორციელებელი პირების თანამშრომელთა ვინაობის გამჟღავნება.
8. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ამ კანონის შეუსაბამო – უსაფუძვლო ეჭვის საფუძველზე ინფორმაციისა და მასალების საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესა-

ბამისი სამსახურებისათვის გადაცემის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს ანაზღაურებს ფინანსური მონიტორინგის სამსახური სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 13. ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობენ ადგილობრივ და სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საჭირო ინფორმაციის მიღების, გამოძიების, სასამართლო განხილვისა და გადანყვეტილებების აღსრულების სტადიებზე.
2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს უფლება აქვს სხვა სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებთან დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები (შეთანხმებები), რომლებითაც მონესრიგდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ინფორმაციის გაცვლისა და მათი კომპეტენციისათვის მიკუთვნებული სხვა საკითხები. აღნიშნული ხელშეკრულებები (შეთანხმებები) უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას და მის გამოყენებას მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით.
3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ნებისმიერი ორგანოსაგან ან პირისაგან ნებართვის მიღების გარეშე, სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს უგზავნის თხოვნებს საჭირო ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე და უპასუხებს მათ ანალოგიურ თხოვნებს.
4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას და მას იყენებენ მხოლოდ გაგზავნილ თხოვნაში მითითებული მიზნებისათვის.

### მუხლი 13<sup>1</sup>. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია (შემდგომ – კომისია) არის საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ტერორიზმთან დაკავ-

შირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციებით (შემდგომ – გაეროს რეზოლუციები) განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებას, რათა ამ პირებმა არ განახორციელონ ტერორისტული ან სხვა უკანონო საქმიანობის დაფინანსება ან მისი სხვა ფორმით მხარდაჭერა.

2. კომისია თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად თანამშრომლობს საქართველოს და უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, გაეროსთან.
3. კომისიის საქმიანობას წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს კომისიას, წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ დოკუმენტებს.
4. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოახდინოს საკუთარი უფლება-მოვალეობების ან მათი ნაწილის დელეგირება კომისიის სხვა წევრზე.
5. კომისიის შემადგენლობაში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისიის თანათავმჯდომარე.
6. საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას, მის წევრთაგან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის თანათავმჯდომარეს.
7. კომისიის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

### მუხლი 13<sup>2</sup>. კომისიისა და სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება

1. კომისია უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებას თაობაზე.
2. კომისია უფლებამოსილია უცხო ქვეყნის ან/და საქართველოს სათანადო ორგანოების მიმართვის საფუძველზე შეიმუშაოს ტერორიზმთან დაკავშირებული პირების სია და მასში მითითებული პირების ქონებაზე ყადაღის დადებას ან ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კომისიის სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია გაეროს რეზოლუციებით დადგენილი სანქციების შესასრულებლად მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესახებ. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიმართვა სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის.

## მუხლი 14. ამოღებულია

## მუხლი 15. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.
2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში გამოსცეს ბრძანებულება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
3. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაასრულოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების გატარება.
4. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა საზედამხედველო ორგანოებთან შეთანხმებით უზრუნველყოს ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და გადაცემის წესისა და პირობების შესახებ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება (გამოცემა) და მათი პერიოდული სრულყოფა, ხოლო მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უზრუნველყონ ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული შიდა ინსტრუქციების შემუშავება.
5. საზედამხედველო ორგანოებმა უზრუნველყონ ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების დამრღვევი მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის სანქციების (ფინანსური სანქციების ჩათვლით) განსაზღვრისა და დაკისრების წესის მიღება (გამოცემა).
- 5<sup>1</sup>. ფინანსურმა ინსტიტუტებმა 2012 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყონ ამ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების გავრცელება იმ კლიენტებსა და მათ ბენეფიციარ მესაკუთრეებზე, რომლებთანაც აქვთ საქმიანი ურთიერთობები 2012 წლის 1 იანვრისთვის.
6. ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 წლის ვადაში:
  - ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ნაღდი ფულის მოძრაობის აღრიცხვასთან დაკავშირებით, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიღებული ინფორმაციის კეთილსინდისიერი გამოყენება და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება;

- ბ) საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაატაროს ანგარიშსწორების უნაღლო ფორმების გამოყენებისა და გავრცელების გაფართოების ხელშეწყობი ღონისძიებები და წარმოადგინოს საკანონმდებლო წინადადებები, რომლებითაც შეიზღუდება დამნაშავე პირების მიერ კომერციული ბანკების კონტროლი.

## მუხლი 16. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი, გარდა მე-10 და მე-15 მუხლებისა, ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ კანონის მე-10 და მე-15 მუხლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი  
ედუარდ შევარდნაძე*

*თბილისი,  
2003 წლის 6 ივნისი.  
N2391 - IIს*

---

## 2 მონეტარული და სავალუტო პოლიტიკა

2.1 საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისა და გირაოს მართვის დებულება	111
2.2 სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი	121
2.3 ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესი	123
2.4 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულება	125
2.5 კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესი	131
2.6 სესხების უზრუნველყოფის სახეობების განსაზღვრის შესახებ	134
2.7 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის წესი და პირობები	135
2.8 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დავალებით საქართველოს ეროვნულ ბანკში აკრედიტივებით ოპერაციების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ	137

## 2.1 საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისა და გირაოს მართვის დებულება

### თავი I ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. დებულების მიზანი

- ეს დებულება არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში ეროვნული ბანკი) მონეტარულ ოპერაციებსა და მონეტარული ოპერაციებისათვის განკუთვნილი გირაოს მართვის საკითხებს.
- ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციები მოიცავს საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიას, ღია ბაზრის ოპერაციებს, სასესხო და სადევმოზიტო ოპერაციებს, სავალუტო აუქციონის ოპერაციებს.
- ეროვნული ბანკი ახორციელებს მონეტარულ ოპერაციებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.
- ეროვნული ბანკი ადგენს მონეტარული ოპერაციების პარამეტრებს, მათ შორის ოპერაციების მოცულობას, მინიმალურ და/ან მაქსიმალურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საპროცენტო განაკვეთებს და/ან ვალუტის კურსს, ინსტრუმენტების ვადიანობას, საერთო მოცულობას ან ინდივიდუალურ ლიმიტებს (საჭიროების შემთხვევაში), სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან.
- მონეტარულ ოპერაციებს ეროვნული ბანკი ახორციელებს ეროვნული ვალუტით.
- მონეტარულ ოპერაციებს ეროვნული ბანკი ახორციელებს საქართველოში მოქმედ რეზიდენტ კომერციულ ბანკებთან და არარეზიდენტი ბანკების ფილიალებთან (შემდგომში ბანკები), რომელთაც შესაბამისი ანგარიშები აქვთ გახსნილი ეროვნულ ბანკში.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ დებულების მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- ფასიანი ქაღალდები – საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს მთავრობისა და/ან მისი სახელით გამოშვებული და/ან პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებული სავალ ფასიანი ქაღალდები.
- ფასიანი ქაღალდების რეესტრი – ელექტრონული ჩანაწერები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში, სადაც მითითებულია ინფორმაცია სახელმწიფო ფასიანი ქაღალ-

დების მფლობელისა და ნომინალური მფლობელის შესახებ.

- გამოცხადებული ემისია – ემიტენტის მიერ გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდების ოდენობა;
- ემისიის რეგისტრაციის ნომერი – ნომერი, რომელსაც ანიჭებს ემიტენტი ფასიანი ქაღალდების ყოველ გამოშვებას;
- აუქციონის თანხა – მონეტარული ოპერაციების აუქციონის წესით განხორციელებისას, აუქციონის განაცხადით გამოცხადებული თანხა;
- შეძენის დღე – დღე, როდესაც მოხდა ფასიანი ქაღალდის შესყიდვაზე გარიგების დადება;
- ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღე – დღე, როდესაც უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებით განაღდება;
- ბლუმბერგის სისტემა – სავაჭრო ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგებების დადება;
- მრავალი ფასის მეთოდი – აუქციონის ჩატარების მეთოდი, რომლის დროსაც აუქციონში გამარჯვებული მყიდველის თვითთვლილი განაცხადი დაკმაყოფილდება განაცხადში მის მიერ მითითებული ფასით;
- ნომინალური ღირებულება – თანხა, რომელსაც ემიტენტი უხდის ფასიანი ქაღალდების მფლობელს დაფარვის ვადის დადგომის დღეს.
- დისკონტის თანხა – სხვაობა ფასიანი ქაღალდის ნომინალურ ღირებულებასა და მის საანგარიშსწორებო/შესყიდვის ფასს შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებია.
- კუპონი – ფიქსირებული სარგებელი (პროცენტული შემოსავალი), რომელსაც დებულობს კუპონური ფასიანი ქაღალდის მფლობელი წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში.
- საანგარიშსწორებო ფასი – თანხა, რომელსაც მყიდველი უხდის გამყიდველს ანგარიშსწორების დღეს გარიგების პირობების შესაბამისად.
- მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომლის ზემოთაც ეროვნული ბანკი არ გაყიდის ფინანსურ ინსტრუმენტს;
- მინიმალური საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომლის ქვემოთაც ეროვნული ბანკი არ გაყიდის ფინანსურ ინსტრუმენტს;
- საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი – აუქციონზე გამარჯვებული განაცხადების მიხედვით გამოთვლილი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი;
- საშუალო შეწონილი ფასი – აუქციონზე გამარჯვებული განაცხადების მიხედვით გამოთვლილი საშუალო შეწონილი ფასი;
- ნომინალური მფლობელი – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი იურიდიული პირი, რომელსაც მფლობელი წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თავის სახელზე აღრიცხვის და მათი განკარგვის უფლებას.
- სასესხო დავალიანება – ძირითადი თანხის, დარიცხული პროცენტის, ვადაში დაუფარაობის პირგასამტეხლოს ან/და სესხის პირობების დარღვევის გამო ეროვნული ბანკის სასარგებლოდ



წარმოქმნილი ნებისმიერი სხვა გადასახდელის ერთობლიობა.

- უ) სესხი – ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხი ან ერთდღიანი სესხი;
- ფ) სესხის დაფარვის დღე – დღე, როდესაც უნდა მოხდეს სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდა.
- ქ) ფასი – ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების გამომსახველი საპროცენტო განაკვეთი ან ფულადი ღირებულება;
- ღ) საბანკო დღე – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული სამუშაო დღე, როდესაც მუშაობს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემა;
- ყ) ანგარიშსწორების ანგარიში – ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ანგარიშები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებად დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემაში.
- შ) უზრუნველყოფის პორტფელი – კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისას უზრუნველყოფად გამოსაყენებელი საერთაშორისო საბანკო გარანტიების და ბანკის სასესხო აქტივების ერთობლიობა.
- ჩ) უზრუნველყოფის ხელშეკრულება – კომერციული ბანკის სასესხო აქტივების ეროვნულ ბანკთან სესხის უზრუნველყოფად გამოყენების მიზნით ეროვნულ ბანკს და კომერციულ ბანკს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება, კომერციული ბანკის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხების უზრუნველყოფად სასესხო აქტივების გამოყენების თაობაზე.
- ც) უზრუნველყოფის ხელშეკრულების განახლების დღე – ყოველი თვის 10 რიცხვის მომდევნო ოთხშაბათი ან დასვენების დღის დამთხვევის შემთხვევაში, წინა საბანკო დღე, როდესაც ხდება სასესხო აქტივების რეესტრის განახლება.
- ძ) საერთაშორისო საბანკო გარანტია – ამ დებულების მიზნებისათვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და/ან „ეგთო“ (OECD) ქვეყნების რეზიდენტი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული საბანკო გარანტია.
- წ) სასესხო აქტივები – კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხები და მასზე დარიცხული პროცენტები.
- ჭ) სასესხო აქტივების რეესტრი – ეროვნული ბანკის ელექტრონული ჩანაწერები, რომელშიც აღირიცხება ინფორმაცია კომერციული ბანკების მიერ მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფად გამოყენებულ სასესხო აქტივებზე.
- ხ) ლევერაჟის კოეფიციენტი – იურიდიული პირის მთლიანი აქტივების შეფარდება მთლიან კაპიტალთან.

## თავი II მომენტარული ოპერაციების საერთო წესები

### მუხლი 3. მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფა

1. მონეტარული ოპერაციები, რომელიც ითვალისწინებს ბანკებისათვის სესხის გაცემას, ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი უზრუნველყოფით.
2. მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფად გამოსაყენებელი აქტივების სახეობებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.
3. სესხის დაფარვის ვალდებულების დადგომიდან მომდევნო საბანკო დღეს სასესხო დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი იწყებს სესხის უზრუნველყოფაში მყოფი აქტივების გასხვისებას მის მიერ დადგენილი წესით.

### მუხლი 4. მონეტარულ ოპერაციებთან დაკავშირებული კომუნიკაცია

1. მონეტარული ოპერაციების ჩატარების შესახებ ეროვნული ბანკი შეტყობინებას აგზავნის ბანკებთან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.
2. მონეტარულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება ბანკებს ეცნობებათ არაუგვიანეს ერთი საბანკო დღით ადრე, თუკი ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. ბანკების მიერ მონეტარული ოპერაციების განხორციელების შესაბამისი განაცხადების წარდგენა ეროვნულ ბანკში ხდება ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის ან „სვიფტის“ ავტორიზებული შეტყობინებით მეშვეობით. განაცხადის წარდგენის საშუალების შესახებ ეროვნული ბანკი წინასწარ ატყობინებს ბანკებს შესაბამისი შეტყობინებით.
4. იმ შემთხვევაში თუკი ეროვნული ბანკი უარს განუცხადებს ბანკს სესხის გაცემაზე, ამის შესახებ ბანკს ეცნობება იმავე საშუალებით, რითაც მოხდა განაცხადის წარდგენა სესხის აღებაზე.
5. თუ მონეტარული ოპერაცია ითვალისწინებს აუქციონის ჩატარებას, შედეგები აუქციონის მონაწილეებს ეგზავნებათ აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი საათისა, თუ ამ დებულებით სხვა არ არის გათვალისწინებული. შედეგები იგზავნება იმავე საშუალების გამოყენებით, რითაც მოხდა განაცხადების მიღება.
6. ზოგადი ინფორმაცია აუქციონის შედეგების თაობაზე ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე, აუქციონის დამთავრების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს აუქციონის ჩატარების დღის 18:00 საათისა.

### მუხლი 5. მონეტარული ოპერაციების განხორციელებაზე განაცხადების წარდგენა

1. განაცხადის გაგზავნით ბანკი ადასტურებს მონეტარული ოპერაციის განხორციელების გადაწყვეტილებას და ამ დებულებით დადგენილი წესების შესრულების ვალდებულებას.
2. ეროვნული ბანკი არ განიხილავს/მიიღებს ისეთ

განაცხადს, რომელიც დადგენილ დროზე გვიან არის წარდგენილი, ან არ შეიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას ან მონაცემებს რომელიც შეუსაბამოა გამოცხადებულ პარამეტრებთან.

3. ბანკს უფლება აქვს აუქციონის დაწყებამდე გამოგზავნილი ძველი განაცხადი გააუქმოს და/ან გაითხოვოს, ხოლო მის ნაცვლად წარადგინოს ახალი განაცხადი. დაუშვებელია აუქციონის დაწყების შემდეგ განაცხადის შეცვლა ან უკან გათხოვა.

## მუხლი 6. მონეტარული ოპერაციების ორგანიზება

1. მონეტარული ოპერაციების წარმოებას ახორციელებს ეროვნულ ბანკში შექმნილი საბაზრო ოპერაციების ჯგუფი.
2. ტექნიკური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, საბაზრო ოპერაციების ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მონეტარული ოპერაციების განხორციელების დროის შეცვლის შესახებ, კერძოდ აუქციონზე განაცხადების მიღების, აუქციონის ჩატარების და შედეგების დაგზავნის დროის შეცვლის შესახებ.
3. თუ ტექნიკური პრობლემები საფრთხეს უქმნის გამოცხადებული აუქციონის გამართულად ჩატარებას, ეროვნულ ბანკს შეუძლია მოახდინოს გამოცხადებული აუქციონის გაუქმება.
4. ეროვნულ ბანკს შეუძლია მიზეზის მითითების გარეშე გააუქმოს დანიშნული აუქციონი განაცხადების წარდგენის დაწყებამდე, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკებს იმავე საშუალებით, რითაც მოხდა აუქციონის გამოცხადება.
5. მონეტარულ ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების ოპერაციები ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებადი დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, ამ დებულებისა და აღნიშნული სისტემების წესების შესაბამისად.
6. თუ ბანკის ანგარიშსწორებისა და საკორექციონო ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა ბანკის მიერ ეროვნული ბანკის მიმართ სასესხო დავალიანების დასაფარად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 7. მონეტარული ოპერაციების აუქციონის წესი

1. ეროვნული ბანკი მონეტარული ოპერაციების განხორციელებისას შეიძლება იყენებდეს აუქციონის მეთოდს.
2. აუქციონები ტარდება მრავალი ფასის მეთოდით.
3. აუქციონის მეთოდით მონეტარული ოპერაციების განხორციელებისას, ეროვნული ბანკი ყიდის ან ყიდულობს ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ დებულებით დადგენილი წესის დაცვით.
4. აუქციონზე ვაჭრობა შესაძლებელია შემდეგი ფი-

ნანსური ინსტრუმენტებით:

- ა) ფასიანი ქაღალდები;
  - ბ) რეფინანსირების სესხი;
  - გ) უცხოური ვალუტა სპოტი.
5. გაყიდვის აუქციონებს განეკუთვნება:
    - ა) რეფინანსირების სესხის აუქციონი;
    - ბ) სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიის აუქციონი;
    - გ) ფასიანი ქაღალდების გაყიდვის აუქციონი;
    - დ) უცხოური ვალუტის გაყიდვის აუქციონი.
  6. ყიდვის აუქციონებს განეკუთვნება:
    - ა) ფასიანი ქაღალდების ყიდვის აუქციონი;
    - ბ) უცხოური ვალუტის ყიდვის აუქციონი.
  7. აუქციონზე გამარჯვებული განაცხადების გამოვლენა ხდება შემდეგი წესის დაცვით:
    - ა) გაყიდვის აუქციონზე დაშვებული განაცხადები დალაგდება:
      - ა.ა) ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით
      - ა.ბ) რეფინანსირების სესხის შემთხვევაში – საპროცენტო განაკვეთების კლების მიხედვით
      - ა.გ) სავალუტო აუქციონის შემთხვევაში – უცხოური ვალუტის ფასის კლების მიხედვით
    - ბ) ყიდვის აუქციონზე დაშვებული განაცხადები დალაგდება:
      - ბ.ა) ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – საპროცენტო განაკვეთების კლების მიხედვით
      - ბ.ბ) სავალუტო აუქციონის შემთხვევაში – უცხოური ვალუტის ფასის ზრდის მიხედვით
  8. პირველ რიგში დაკმაყოფილება სიის დასაწყისში მყოფი განაცხადი, ხოლო შემდგომ ყოველი მომდევნო განაცხადი და აუქციონი სრულდება მაშინ, როდესაც დალაგებული განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება აუქციონის თანხას ან განაცხადში მითითებული ფასი ან საპროცენტო განაკვეთი გაუთანაბრდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ზღვრულ (მინიმალურ ან მაქსიმალურ) ფასს ან საპროცენტო განაკვეთს.
  9. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის დასრულებისას ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის ან ფასის მქონე რამდენიმე განაცხადის თანხა აღემატება ჯერ კიდევ გაუნაწილებელი ფინანსური ინსტრუმენტების ოდენობას, ეს განაცხადები დაკმაყოფილება პროპორციული განაწილების პრინციპით.
  10. აუქციონები ტარდება ეროვნული ბანკის მიერ აუქციონის შეტყობინებაში მითითებული პირობების შესაბამისად.
  11. აუქციონის შედეგების შესაბამისი ანგარიშსწორება ხორციელდება აუქციონის შეტყობინებაში მითითებულ დღეს, რომელიც არ აღემატება T+3 დღეს.

## თავი III მონეტარული ოპერაციები

### მუხლი 8. რეფინანსირების სესხის ოპერაციები

1. რეფინანსირების სესხი წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკებისათვის ფულადი რესურსის მიწოდებას

- საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის მართვისა და ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით.
2. ბანკებზე რეფინანსირების სესხს ეროვნული ბანკი გასცემს:
    - ა) აუქციონის წესით;
    - ბ) აუქციონის გარეშე, წინასწარ დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.
  3. აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის გაცემის შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს:
    - ა) რეფინანსირების სესხის აუქციონის ჩატარების თარიღსა და დროს;
    - ბ) აუქციონზე გამოტანილი რეფინანსირების სესხის საერთო მოცულობას;
    - გ) რეფინანსირების სესხის მინიმალურ წლიურ საპროცენტო განაკვეთს;
    - დ) რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღებს;
    - ე) რეფინანსირების სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან;
  - 3) რეფინანსირების სესხის განაცხადის წარდგენის დროს და საშუალებას.
  4. რეფინანსირების სესხის განაცხადში ბანკმა უნდა მიუთითოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:
    - ა) რეფინანსირების სესხის მოცულობა;
    - ბ) რეფინანსირების სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი.
  5. აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რეფინანსირების სესხის ანგარიშსწორების დღეს, არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებისა, ეროვნული ბანკი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.
  6. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის საპროცენტო განაკვეთი არის ფიქსირებული, რომელსაც წინასწარ ადგენს ეროვნული ბანკი და რომელიც წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთისა და აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის სპრედის ჯამს.
  7. თუ ეროვნული ბანკის მიერ ზედმიზეზ ნებისმიერი სამი კალენდარული თვის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ორ პროცენტულ პუნქტზე მეტად გაიზარდა, ამ ფაქტის დადგომიდან მომდევნო ორი თვის განმავლობაში აუქციონის გარეშე აღებული და ჯერ დაუფარავი რეფინანსირების სესხის განახლებისათვის საპროცენტო განაკვეთი რჩება უცვლელი.
  8. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის ვადიანობა და შესაბამისად სესხის აღებისა და დაფარვის თარიღები იდენტურია აუქციონის წესით რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღების.
  9. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის აღების შესახებ შეტყობინების არ დაგზავნის შემთხვევაში, ავტომატურად მოქმედებს აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის აღების შესახებ ეროვნული ბანკის ბოლო შეტყობინებით განსაზღვრული პირობები.
  10. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის გაცემის

- შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს:
- ა) რეფინანსირების სესხის აღებისა და დაფარვის თარიღებს;
  - ბ) რეფინანსირების სესხის წლიურ საპროცენტო განაკვეთს;
  - გ) რეფინანსირების სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანაფარდობას სესხის უზრუნველყოფასთან;
  - დ) რეფინანსირების სესხის განაცხადის წარდგენის დროს და საშუალებას.
11. აუქციონის გარეშე რეფინანსირების სესხის განაცხადის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, რეფინანსირების სესხის ანგარიშსწორების დღეს არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე, ეროვნული ბანკი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.
  12. რეფინანსირების სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის ოპერაციებს ახორციელებს ეროვნული ბანკი უაქციუბოდ, ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, სესხის დაფარვის დღეს, არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე.
  13. რეფინანსირების სესხის დაფარვის დღეს, ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არარსებობის გამო სესხის არდაფარვის შემთხვევაში, სესხის სრულ თანხაზე ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაერიცხება ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიანი სესხისათვის დადგენილი პროცენტი.
  14. ბანკს ახალი სესხის აღება შეუძლია ეროვნული ბანკისაგან აღებული სესხის დასაფარად, იმავე უზრუნველყოფის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე ახალი სესხის თანხის ჩარიცხვისთანავე ამ თანხით დაიფარება უკვე არსებული სესხი.

## მუხლი 9. დღის შიდა სესხი

1. დღის შიდა სესხს, ეროვნული ბანკი გასცემს ბანკებზე საბანკო სისტემაში ლიკვიდობის ამალღების ხელშეწყობის მიზნით.
2. ბანკს შეუძლია ისარგებლოს დღის შიდა სესხით, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, ამ სისტემებში არსებული დღის შიდა ლიკვიდობის საშუალების გამოყენებით, შესაბამისი საოპერაციო საათების განმავლობაში, ამავე სისტემების წესების შესაბამისად.
3. დღის შიდა სესხის გამოყენების საჭიროებას განსაზღვრავს ბანკი, ეროვნული ბანკისაგან წინასწარი დასტურის გარეშე.
4. დღის შიდა სესხით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთი არ წესდება.
5. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი საოპერაციო საათების განმავლობაში არ მოხდა ბანკის მიერ გამოყენებული დღის შიდა სესხის დაფარვა, იგი ავტომატურად გარდაიქმნება ამ დებულებით გათვალისწინებულ ერთდღიან სესხად.

## მუხლი 10. ერთდღიანი სესხი

- ერთდღიანი სესხი წარმოადგენს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მუდმივმოქმედ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზედა ზღვრის რეგულირებას.
- ერთდღიანი სესხის გაცემის შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს:
  - ერთდღიანი სესხის საპროცენტო განაკვეთს;
  - ერთდღიანი სესხის თანაფარდობას ერთდღიანი სესხის უზრუნველყოფასთან;
  - ერთდღიანი სესხის განაცხადის წარდგენის დროს და საშუალებას.
- ბანკის მიერ ზედიზედ ხუთჯერ ან მეტჯერ ერთდღიანი სესხის გამოყენების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს უარი უთხრას ბანკს ერთდღიანი სესხის გაცემაზე.
- ეროვნული ბანკი ერთდღიან სესხს გასცემს შემდეგ შემთხვევებში:
  - ბანკის სასესხო განაცხადის საფუძველზე;
  - ავტომატურად ბანკის სასესხო განაცხადის გარეშე, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორებისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით, იმ შემთხვევაში თუ ბანკმა საოპერაციო საათების დასრულებამდე ვერ უზრუნველყო დღის შიდა სესხის დაფარვა. ამ შემთხვევაში ერთდღიანი სესხის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებისას დაუფარავი დღის შიდა სესხის ოდენობით.
- ერთდღიანი სესხის განაცხადში ბანკმა უნდა მიუთითოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:
  - ერთდღიანი სესხის აღების თარიღი;
  - ერთდღიანი სესხის მოცულობა;
- ერთდღიანი სესხის განაცხადის დროულად და სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, იმავე დღეს არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე, ეროვნული ბანკი ერთდღიანი სესხის თანხას ჩარიცხავს ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკს უარი უთხრას ერთდღიანი სესხის გაცემაზე მიზეზის მითითების გარეშე, რის შესახებაც ბანკს აცნობებს იმავე საშუალებით, რა საშუალებითაც მოხდა განაცხადის წარდგენა.
- ერთდღიანი სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაფარვის ოპერაციებს ახორციელებს ეროვნული ბანკი უაქცეპტოდ, ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, სესხის დაფარვის დღეს, არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე.
- ერთდღიანი სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულების მომენტისათვის დაუფარაობის შემთხვევაში, ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაეკისრება სესხის სრული თანხის 0.5 პროცენტის გადახდა, რომლის დაფარვის ოპერაციას ახორციელებს ეროვნული ბანკი, უაქცეპტოდ,

ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ნაშთიდან.

- ერთდღიან სესხზე პროცენტი ბანკს დაერიცხება სესხის აღებისა და დაფარვის დღეებს შორის კალენდარული დღეების რაოდენობის გათვალისწინებით.

## მუხლი 11. ერთდღიანი დეპოზიტი

- ერთდღიანი დეპოზიტი წარმოადგენს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მუდმივმოქმედ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ფულად ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ქვედა ზღვრის რეგულირებას.
- ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ ეროვნული ბანკი ბანკებს აცნობებს მათთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ინფორმაციის საშუალებებით ახალი განაკვეთის ძალაში შესვლამდე სულ მცირე ერთი საბანკო დღით ადრე.
- ერთდღიანი დეპოზიტის ეროვნულ ბანკში განთავსება ბანკს შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე ყოველ საბანკო დღეს, შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე.
- ეროვნულ ბანკში განსათავსებელი ერთდღიანი დეპოზიტის თანხის ოდენობას განსაზღვრავს ბანკი.
- ერთდღიანი დეპოზიტის ეროვნულ ბანკში განთავსებისათვის, შესაბამისი გადარიცხვის დავალებით დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით ბანკმა თანხა უნდა გადარიცხოს ეროვნულ ბანკში თავის ერთდღიანი დეპოზიტის ანგარიშზე.
- დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მომდევნო საბანკო დღეს, ანგარიშსწორებისათვის შესაბამისი საოპერაციო საათების დაწყებისთანავე, ერთდღიანი დეპოზიტის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს ეროვნული ბანკი ჩარიცხავს ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.
- ერთდღიან დეპოზიტზე პროცენტი ბანკს დაერიცხება დეპოზიტის განთავსებისა და დაბრუნების დღეებს შორის კალენდარული დღეების რაოდენობის გათვალისწინებით.

## მუხლი 12. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები

- ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატი არის მოკლევადიანი სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ეროვნული ბანკი უშვებს საბანკო სისტემიდან ფულადი მასის ამოღებისათვის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად.
- სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება და რეგისტრაცია ხდება არამატერიალიზებული ფორმით.
- სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვებასთან, რეგისტრაციასთან, გასხვისებასთან და დაგირავებასთან დაკავშირებული ოპერაციები აღირიცხება საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდზე

- ბის ანგარიშსწორების სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.
4. სადემოზიტო სერტიფიკატების თითოეულ ემისიას ეროვნული ბანკი ანიჭებს ISO-6166 სტანდარტის შესაბამისი ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერს და არეგისტრირებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში.
  5. სადემოზიტო სერტიფიკატებისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი იქმნება შემდეგი 12 სიმბოლო-საგან:
    - ა) პირველი და მეორე სიმბოლო არის ქვეყანის საერთაშორისო კოდი GE;
    - ბ) მესამე სიმბოლო არის ემიტენტის, საქართველოს ეროვნული ბანკის აღმნიშვნელი B;
    - გ) მეოთხე სიმბოლო არის ფასიანი ქაღალდის ტიპის აღმნიშვნელი, ეროვნული ბანკის სადემოზიტო სერტიფიკატის, როგორც დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში D;
    - დ) მეხუთე და მეექვსე სიმბოლო არის სადემოზიტო სერტიფიკატის დაფარვის წლის აღმნიშვნელი: დაფარვის წლის ბოლო ორი რიცხვი;
    - ე) მემვიდე სიმბოლო არის სადემოზიტო სერტიფიკატის დაფარვის თვის აღმნიშვნელი: 1-დან 9-ის ჩათვლით არის თვეები იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, A არის ოქტომბერი, B არის ნოემბერი, C არის დეკემბერი;
    - ვ) მერვე და მეცხრე სიმბოლო არის სადემოზიტო სერტიფიკატის დაფარვის დღის აღმნიშვნელი კალენდარული დღის რიცხვი;
    - ზ) მეათე და მეთერთმეტე სიმბოლო არის სადემოზიტო სერტიფიკატის ემისიის რიგითობის აღმნიშვნელი;
    - თ) მეთორმეტე სიმბოლო არის საკონტროლო ციფრი (გასაღები), რომელიც გამოითვლება წინა თერთმეტი მონაცემების გათვალისწინებით სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-6166 სტანდარტის შესაბამისად.
  6. ერთი სადემოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება არის 1000 ლარი.
  7. სადემოზიტო სერტიფიკატების გამოშვება ხდება არაუმეტეს ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და იფარება ნომინალური ღირებულებით.
  8. ეროვნული ბანკის სადემოზიტო სერტიფიკატების გასხვისება ან დაგირავება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ბანკთან ან სხვა ბანკთან.
  9. პირველად ბაზარზე სადემოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა ხდება აუქციონის მეშვეობით.
  10. პირველად ბაზარზე სადემოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა ეროვნული ბანკის გადანყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.
  11. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს აუქციონის ჩატარების შესახებ აცნობებს არა უგვიანეს ერთი საბანკო დღით ადრე.
  12. სადემოზიტო სერტიფიკატების აუქციონის შესახებ ეროვნული ბანკის შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
    - ა) აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო;
    - ბ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის ნომერი.

- გ) ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;
  - დ) ანგარიშსწორების დღე;
  - ე) ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადა;
  - ვ) განაცხადის წარდგენის დრო და საშუალება.
13. სადემოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე ბანკების განაცხადების მიღება იწყება აუქციონის დღეს, აუქციონის დაწყებამდე 15 წუთით ადრე და წყდება აუქციონის დაწყების მომენტში.
  14. ბანკის განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    - ა) შესასყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას;
    - ბ) საპროცენტო განაკვეთს.
  15. სადემოზიტო სერტიფიკატების შესყიდვაზე ბანკის მიერ წარდგენილ განაცხადში სადემოზიტო სერტიფიკატების რაოდენობა არ უნდა იყოს 100 ცალზე ნაკლები.
  16. ანგარიშსწორების დღეს, არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით ხდება აუქციონში გამარჯვებული ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებიდან შესაბამისი თანხების ჩარიცხვა ეროვნული ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.
  17. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული პირობის შესასრულებლად, შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე ვერ უზრუნველყოფს აუქციონით დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების მობილიზებას თავის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რაც აუცილებელია ანგარიშსწორების განსახორციელებლად, ბანკის ყველა განაცხადი უქმდება.
  18. სადემოზიტო სერტიფიკატები განთავსება ითვლება დასრულებულად ანგარიშსწორების დღეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებისთანავე, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც განხორციელდა აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების ეროვნული ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვა და შესაბამისი მოცულობის სადემოზიტო სერტიფიკატების რეგისტრაცია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში.
  19. სადემოზიტო სერტიფიკატების დაფარვის დღეს, დროის რეალური რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით სადემოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების შესაბამისი თანხების ჩარიცხვა ხდება ეროვნული ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებზე, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში არსებული ჩანაწერების მიხედვით.
  20. დაფარვის დღის არასაბანკო დღეზე დამთხვევის შემთხვევაში, თანხების ჩარიცხვა განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.

### მუხლი 13. ღია ბაზრის ოპერაციები

1. ღია ბაზრის ოპერაციებით ეროვნული ბანკი ყიდის და ყიდულობს ფასიან ქაღალდებს ფულადი მასის რეგულირებისათვის, ფულად-საკრედიტო პოლი-

- ტიკის მიზნებიდან გამომდინარე.
2. ღია ბაზრის ოპერაციების შედეგად ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა და ანგარიშსწორება ხორციელდება დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, ამავე სისტემების წესების შესაბამისად.
  3. ეროვნული ბანკი ფასიანი ქაღალდებს ყიდის და ყიდულობს მეორად ბაზარზე აუქციონის მეშვეობით.
  4. აუქციონზე ბანკების განაცხადების წარდგენა იწყება აუქციონის დღეს, აუქციონის დაწყებამდე 30 წუთით ადრე და წყდება აუქციონის დაწყების მომენტში.
  5. ანგარიშსწორების დღეს, არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით ხდება აუქციონის შედეგების შესაბამისი ანგარიშსწორება.
  6. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირობის შესასრულებლად, შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე ვერ უზრუნველყოფს აუქციონით დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების მობილიზებას თავის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რაც აუცილებელია ანგარიშსწორების განსახორციელებლად, ის განაცხადები, რომლის მიხედვითაც ვერ მოხდება ანგარიშსწორება უქმდება.
  7. დაფარვის დღის არასაბანკო დღეზე დამთხვევის შემთხვევაში, თანხების ჩარიცხვა განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.

#### მუხლი 14. სავალუტო აუქციონის ოპერაციები

1. სავალუტო აუქციონი წარმოადგენს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ყიდის ან ყიდულობს უცხოურ ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე.
2. სავალუტო აუქციონის ჩატარების შესახებ შეტყობინებას ეროვნული ბანკი ბანკებს უგზავნის აუქციონის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 საათით ადრე.
3. სავალუტო აუქციონის შეტყობინება მოიცავს:
  - ა) სავალუტო აუქციონის ჩატარების თარიღს და დროს;
  - ბ) აუქციონის ვალუტას;
  - გ) აუქციონის სახეს (ყიდვა/გაყიდვა);
  - დ) შესასყიდი ან გასაყიდი ვალუტის ოდენობას;
  - ე) საჭიროების შემთხვევაში მინიმალურ და/ან მაქსიმალურ კურსებს;
  - ვ) ანგარიშსწორების თარიღს;
  - ზ) განაცხადების მიღების დროს და საშუალებას.
4. ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო აუქციონზე შესასყიდი ან გასაყიდი ვალუტის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს არაუგვიანეს აუქციონის ჩატარების დღეს, განაცხადების მიღების დაწყებამდე.
5. სავალუტო აუქციონში გამარჯვებულ ბანკებთან ანგარიშსწორება ხდება T+1 წესით, აუქციონის შემდეგ იმ პირველ დღეს, როცა საქართველოში და აუქციონში გამოყენებული უცხოური ვალუტის.
6. ბანკის მიერ სავალუტო აუქციონზე წარდგენილ

- განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:
- ა) მოთხოვნილი ან მიწოდებული უცხოური ვალუტის მოცულობა.
  - ბ) მოთხოვნის/მიწოდების ფასი (იმ ფორმატით, რა ფორმატითაც არის გამოსახული ოფიციალური გაცვლითი კურსი ამ ვალუტის მიმართ).
7. სავალუტო აუქციონზე თითო ბანკიდან დასაშვებია ერთი განაცხადის წარდგენა.
  8. უცხოურ ვალუტის გაყიდვის აუქციონის შემთხვევაში, ანგარიშსწორების დღეს, დაკმაყოფილებული განაცხადის შესაბამისად, ეროვნულ ბანკი, ბანკის ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშიდან ახდენს თანხის ჩამოჭრას და ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშზე შესაბამისი ვალუტის ჩარიცხვას.
  9. უცხოურ ვალუტის შესყიდვის აუქციონის შემთხვევაში, ანგარიშსწორების დღეს, დაკმაყოფილებული განაცხადის შესაბამისად, ეროვნული ბანკი, ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ახდენს უცხოური ვალუტის ჩამოჭრას და ბანკის ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვას.
  10. თუ ბანკის შესაბამის ანგარიშზე ეროვნულ ბანკში, სავალუტო აუქციონის ანგარიშსწორების დღეს, RTGS სისტემის მეორე შეზღუდვამდე არ აღმოჩნდა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის საკმარისი თანხა, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.
  11. თუ სავალუტო აუქციონის ანგარიშსწორების დღეს, ვალუტირების თარიღით ანგარიშსწორების ვალუტის ემიტენტ ქვეყანაში საბანკო დღის ბოლომდე არ მოხდება სავალუტო აუქციონის ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი თანხების ჩარიცხვა ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე, ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაეკისვრება პირგასამტეხლო სავალუტო აუქციონზე დაკმაყოფილებული თანხის 2 პროცენტის ოდენობით.
  12. თუ ბანკის შესაბამის ანგარიშზე ეროვნულ ბანკში, სავალუტო აუქციონის ანგარიშსწორების დღის მომდევნო საბანკო დღეს, RTGS სისტემის მეორე შეზღუდვამდე არ აღმოჩნდა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის საკმარისი თანხა, სავალუტო აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადი ჩაითვლება ბათილად.
  13. პირგასამტეხლოს თანხის ჩამოჭრა ხორციელდება ბანკის ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშიდან, ხოლო თუ თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ თანხის ჩამოჭრა ხორციელდება ბანკის აშშ დოლარის საკორესპონდენტო ანგარიშიდან და/ან სხვა უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშებიდან. პირგასამტეხლოს თანხის გაანგარიშებისას და გადახდისას გამოიყენება იმ დღეს მოქმედი ოფიციალური კურსები.

# თავი IV მონეტარული ოპერაციების გირაოს მართვა

## მუხლი 15. გირაოს მართვის საერთო წესები

1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკის მიერ ბანკებზე გაცემული სესხები უზრუნველყოფილი უნდა იყოს აქტივებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
2. მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფად გამოსაყენებელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული ფასიანი ქაღალდების და/ან სასესხო აქტივების ფინანსური გირაოს თითოეული ხელშეკრულებისა და თითოეული საერთაშორისო საბანკო გარანტიის მიხედვით, ეროვნული ბანკი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში ქმნის არამიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის ანალოგიურ ტექნიკურ საშუალებას, რომლის ღირებულება შესაბამისაა ფინანსური გირაოს ხელშეკრულებისა და საერთაშორისო საბანკო გარანტიის თანხას ლარებში.
3. არამიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის ანალოგიური ტექნიკური საშუალების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციებისათვის.
4. სესხის დაფარვის ვალდებულების დადგომიდან მომდევნო საბანკო დღეს კომერციული ბანკის მიერ ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების დაუფარაობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ახორციელებს სესხის უზრუნველყოფაში არსებული აქტივის რეალიზაციას ან საკუთრებაში მიღებას და რეალიზაციას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.
5. სესხის უზრუნველყოფაში არსებული აქტივის რეალიზაციის თანხიდან ეროვნულ ბანკის მიმართ სასესხო დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ, დარჩენილი ნაშთი თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უბრუნდება კომერციულ ბანკს.
6. თუ დასაკუთრებული აქტივის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა არ იქნა საკმარისი ეროვნული ბანკის მიმართ სასესხო დავალიანების სრულად დასაფარად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დარჩენილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად.

## მუხლი 16. ფასიანი ქაღალდები

1. ეროვნული ბანკის სესხების უზრუნველყოფად გამოყენების მიზნით, ფასიანი ქაღალდები უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.
2. ბანკის მიერ ეროვნული ბანკისათვის სესხის დაუფარაობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციას ეროვნული ბანკი ახორციელებს აუქციონის მეშვეობით, ამ დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3. ფასიანი ქაღალდების აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ ბანკებს.
4. თუ ეროვნული ბანკის მიერ დასაკუთრებულია სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები, აუქციონი შეიძლება ჩატარდეს ცალ-ცალკე ლოტებად სხვადასხვა სახისა და ვადის ფასიანი ქაღალდების მიხედვით.
5. ფასიანი ქაღალდების აუქციონის შესახებ შეტყობინებას ეროვნული ბანკი ბანკებს უგზავნის ფასიანი ქაღალდების საკუთრებაში მიღების ან რეალიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დღეს.
6. ფასიანი ქაღალდების აუქციონის შეტყობინება მოიცავს:
  - ა) ფასიანი ქაღალდის სახესა და რეგისტრაციის ნომერს;
  - ბ) ფასიანი ქაღალდის რაოდენობას და ნომინალურ ღირებულებას;
  - გ) ფასიანი ქაღალდის დაფარვამდე დარჩენილი დღეების რაოდენობას;
  - დ) აუქციონის ჩატარებისა და განაცხადების წარდგენის თარიღსა და დროს;
  - ე) აუქციონის ჩატარების საშუალებას;
  - ვ) ანგარიშსწორების ვადებს;
  - ზ) ეროვნული ბანკის შეხედულებისამებრ, მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს.
7. აუქციონში თითოეული ბანკის მიერ წარსადგენი განაცხადების რაოდენობა შეზღუდული არ არის.
8. ბანკი აუქციონის განაცხადში უთითებს:
  - ა) შესასყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას;
  - ბ) საპროცენტო განაკვეთს.
9. იმ შემთხვევაში თუ აუქციონზე არ იქნა წარდგენილი განაცხადები, არაუგვიანეს შემდეგი საბანკო დღისა ეროვნული ბანკი აცხადებს ახალ აუქციონს ამ თავით განსაზღვრული წესის დაცვით.
10. თუ ბანკი ვერ უზრუნველყოფს აუქციონზე დადებული გარიგების მიხედვით ანგარიშსწორებას დადგენილ ვადებში, მისი ყველა განაცხადი უქმდება და:
  - ა) კმაყოფილდება დასრულებულ აუქციონზე წარდგენილი ის განაცხადები, რომელშიც საპროცენტო განაკვეთები უფრო დაბალია სხვა განაცხადებთან შედარებით;
  - ბ) ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო აუქციონზე დადებული გარიგების 5%-ის ოდენობით.
11. აუქციონის მეშვეობით გაყიდული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული თანხები მიმართული იქნება ბანკის სასესხო დავალიანების შედეგად წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად.

## მუხლი 17. საერთაშორისო საბანკო გარანტია

1. ეროვნული ბანკის სესხების უზრუნველყოფად გამოყენების მიზნით, გარანტია უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.
2. უცხოურ ვალუტაში გაცემული გარანტიები უზრუნველყოფად გამოყენების მიზნებისათვის აღირიცხება ლარებში და მათი ღირებულების გადაფასება ხდება ყოველკვირეულად, ოთხშაბათობით (ან წინა სამუშაო დღეს, თუ ოთხშაბათი არის დასვენების დღე), გადაფასების დღეს მოქმედი ოფიციალური

- გაცვლითი კურსით.
3. ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკის მიერ წარდგენილი გარანტიის შედარებას დადგენილ კრიტერიუმებთან და შესაბამისობის შემთხვევაში აკეთებს ჩანაწერს შესაბამის რეესტრში. უცხოურ ვალუტაში გაცემული გარანტიის შემთხვევაში, რეესტრში ჩანაწერის გაკეთებისას ეროვნული ბანკი იყენებს იმ დღეს მოქმედ ოფიციალურ გაცვლით კურსს.
  4. ბანკის მიერ სესხის დაუბრუნებლობისას, სასესხო დავალიანების დაფარვის მიზნით, ეროვნული ბანკი გარანტთან წარადგენს მოთხოვნას გარანტიით გათვალისწინებული ფორმით, გარანტიის სრულად ან ნაწილობრივ ამოქმედების შესახებ.
  5. უცხოურ ვალუტაში გაცემული გარანტიის ამოქმედების შემთხვევაში, გარანტისგან გარანტიის თანხის მოთხოვნა ხდება დაუბრუნებელი სესხის გაცემის დღეს გარანტიის გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსით.

### მუხლი 18. სასესხო აქტივები

1. არაუგვიანეს ყოველი კალენდარული თვის 10 რიცხვის მომდევნო სამშაბათისა (ან წინა საბანკო დღეს, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამშაბათი იქნება არასაბანკო დღე), ბანკი, რომელსაც სურვილი აქვს საკუთარი სასესხო აქტივები გამოიყენოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების უზრუნველსაყოფად, ეროვნულ ბანკს დოკუმენტური და ელექტრონული სახით წარუდგენს შესაბამისი სესხების მონაცემებს, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმატით.
2. ეროვნული ბანკი ახორციელებს სესხებზე წარდგენილი მონაცემების შემოწმებას დადგენილ კრიტერიუმებთან მის მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიითა და სიზშირით.
3. მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფად ბანკის სასესხო აქტივის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ეროვნულს ბანკს შეუძლია გაითვალისწინოს:
  - ა) ბანკის მიერ გაცემული სესხების ხარისხის ადეკვატურობა;
  - ბ) ბანკის საკრედიტო რისკის მართვის ხარისხისა და პრაქტიკის ადეკვატურობა;
  - გ) ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობა.
4. ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების გარდა, ბანკის სასესხო აქტივების ხარისხის ადეკვატურობის შეფასებისას, განხილვისა და ანალიზის ძირითად საგანს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები:
  - ა) ბიზნეს სესხების შემთხვევაში:
    - ა.ა) აქტივების კაპიტალთან მიმართების – ლევერაჟის კოეფიციენტი;
    - ა.ბ) სესხის მომსახურების კოეფიციენტი;
    - ა.გ) სესხის პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;
    - ა.დ) ლიკვიდობის კოეფიციენტი;
    - ა.ე) მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი;
    - ა.ვ) დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი;
    - ა.ზ) მომგებიანობის კოეფიციენტები;
  - ბ) საცალო სესხების შემთხვევაში, შემოსავლის ანუ იტეტთან ფარდობის კოეფიციენტი.

5. ბანკი პასუხისმგებელია მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფად გამოსაყენებელი სასესხო აქტივების შესახებ ეროვნული ბანკისათვის წარდგენილი ინფორმაციის ნამდვილობაზე.
6. ეროვნული ბანკი ბანკთან ერთად საჭარო რეესტრში არეგისტრირებს სასესხო აქტივების უზრუნველყოფის ხელშეკრულებას და მისგან გამომდინარე უფლება—ვალდებულებებს.
7. ბანკის სასესხო აქტივების საჭარო რეესტრში რეგისტრაციის შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, ეროვნული ბანკი განახორციელებს მათ შესახებ ინფორმაციის შეტანას ეროვნული ბანკის შესაბამის რეესტრში. სასესხო აქტივების რეესტრში არ შეიტანება სასესხო აქტივების ძირითადი თანხაზე მისაღები პროცენტების თანხა.
8. თუ უზრუნველყოფის პორტფელის განახლების დღეს ბანკი არ წარადგენს განაცხადს უზრუნველყოფის ხელშეკრულების განახლებაზე, ეროვნული ბანკი ბანკს შეუჩერებს სასესხო აქტივების უზრუნველყოფის პორტფელში გამოყენების უფლებას, ახალი ხელშეკრულების ხელმოწერამდე.
9. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის ხელშეკრულების განახლების დღის დადგომამდე, ბანკის რომელიმე სასესხო აქტივი აღარ აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, და/ან მოხდა სესხის მთლიანად დაფარვა, და/ან მოსალოდნელია ისეთი ცვლილებები, რომელიც გამოიწვევს ბანკის უზრუნველყოფის პორტფელის სასესხო აქტივების თანხობრივი მოცულობის 10% და/ან მეტი პროცენტით ცვლილებას, ბანკი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ეროვნულ ბანკს.
10. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სასესხო აქტივების რეესტრში ნებისმიერ დროს შეიტანოს კორექტირება ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის და/ან ეროვნული ბანკის ხელთ არსებული სხვა ნებისმიერი ინფორმაციის საფუძველზე.
11. ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას, ბანკი უფლებამოსილია, ჩაანაცვლოს დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამო და/ან დაფარული სესხი მის მიერ წარდგენილი სხვა სესხით, რომელიც აკმაყოფილებს იმ დროისათვის მოქმედ კრიტერიუმებს.
12. უზრუნველყოფის ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება იმავე პროცედურით, რაც გათვალისწინებულია უზრუნველყოფის ხელშეკრულების თავდაპირველი რეგისტრაციისას.
13. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზრუნველყოფის პორტფელის შემცირება განპირობებულია სასესხო აქტივის დაფარვით, უზრუნველყოფის პორტფელის შემცირება ეროვნული ბანკის მიერ მოხდება პორტფელში შემავალი აქტივების ეროვნული ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად ფაქტური გამოყენების გათვალისწინებით.
14. უზრუნველყოფის ხელშეკრულებით უზრუნველყოფის პორტფელში მოთავსებული სასესხო აქტივების გამოყენების შესაძლებლობა ძალაში შედის უზრუნველყოფის ხელშეკრულების საჭარო რეესტრში რეგისტრაციის დღის მომდევნო საბანკო დღიდან.



# თავი V დებულების პირობების დაცვა

## მუხლი 19. აკრძალული ქმედებები და ბანკების ვალდებულებები

1. ბანკს ეკრძალება ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგადაც იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე, აგრეთვე ყოველგვარი მანიპულაცია, რომელიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მას ან მესამე პირებს, შექმნის საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას.
2. ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებულ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, რეფინანსირების სესხებისა და სავალუტო აუქციონებში მონაწილეობისას და ამ მონაწილეობასთან დაკავშირებით ბანკებს ეკრძალებათ შემდეგი ქმედებების განხორციელება:
  - ა) ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმდნენ კონკრეტული აუქციონისთვის საკუთარი განაცხადების თაობაზე;
  - ბ) აუქციონის დამთავრებამდე ერთმანეთს აცნობონ ინფორმაცია საკუთარი განაცხადების შესახებ;

- გ) კონკურენტი ბანკების ინსაიდერული ინფორმაციის ან მათგან მიღებული სხვა ინფორმაციის გამოყენებით განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომელიც აუქციონზე მათ ჩააყენებს დაუმსახურებელ უპირატეს მდგომარეობაში სხვა მონაწილეებთან და/ან მესამე პირებთან შედარებით;
- დ) აუქციონზე გააკეთონ განაცხადები ერთმანეთის ნაცვლად და/ან ერთმანეთის სასარგებლოდ;
3. ბანკებს ეკრძალებათ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ჩაერთონ მეორად ბაზარზე ისეთ სავაჭრო გარიგებებში, რომლებიც მიმართულია კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტზე ფასებისა და საპროცენტო განაკვეთების მანიპულირებისაკენ.
4. ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებების აღმოჩენის ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე თავის შეხედულებისმებრ ბანკი გარკვეული დროით აღარ დაუშვას ეროვნული ბანკის აუქციონებზე.
5. ბანკები ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან ამ დებულების მოთხოვნები და პირობები.
6. ეროვნული ბანკის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკს გარკვეული დროით შეუჩეროს შესაბამისი მონეტარული ინსტრუმენტით სარგებლობის უფლება.

## დანართი N1

### ანგარიშსწორების ფასები

#### 1. სადებოზიტო სერტიფიკატის საანგარიშსწორებო ფასის გაანგარიშების ფორმულა:

$$\text{საანგარიშსწორებო ფასი} = \frac{\text{ნომინალური ღირებულება}}{1 + \left[ \frac{\text{საპროცენტო განაკვეთი}}{100} \times \frac{\text{დაფარვამდე დღეების რაოდენობა}}{365} \right]}$$

#### 2. ობლიგაციის საანგარიშსწორებო ფასი გაანგარიშების ფორმულა:

$$P = \frac{F}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^w} \left[ \frac{R}{n} \times \frac{\left(1 - \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^N}\right)}{\left(1 - \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)}\right)} + \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^{N-1}} \right]$$

- სადაც:
- P – საანგარიშსწორებო ფასი
  - F – ობლიგაციის ნომინალური ღირებულება
  - i – აუქციონის მონაწილის მიერ შეთავაზებული წლიური საპროცენტო განაკვეთი გაყოფილი 100-ზე
  - N – კუპონის გადახდების რაოდენობა წლის განმავლობაში
  - W – ფასიანი ქაღალდის შესყიდვის თარიღსა და მომდევნო კუპონის გადახდის თარიღს შორის დღეების რაოდენობა, შეფარდებული კუპონების გადახდებს შორის დღეების რაოდენობასთან
  - R – წლიური კუპონური შემოსავლის საპროცენტო განაკვეთი გაყოფილი 100-ზე
  - N – დარჩენილი, ჯერ კიდევ გადაუხდელი კუპონების რაოდენობა ფასიანი ქაღალდის დაფარვამდე

## 2.2 სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და ადგენს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის (შემდგომში – ოფიციალური გაცვლითი კურსი) განსაზღვრის წესს.
- სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრასა და გამოქვეყნებას ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი.
- სხვა ქვეყნების ვალუტების ჩამონათვალს, რომელთა მიმართაც განისაზღვრება ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.
- ოფიციალური გაცვლითი კურსი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას და სხვა მიზნებისათვის მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
- ოფიციალური გაცვლითი კურსი არის ინდიკატიური მაჩვენებელი და გარდა ამ მუხლის მეოთხე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, მისი გამოყენება სავალდებულო არ არის.

### მუხლი 2. ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი

- აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური კურსის გაანგარიშება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, წინა სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათიდან გაანგარიშების დღის 16:30 საათამდე პერიოდში (შემდგომში – გასაანგარიშებელი პერიოდი) ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში (შემდგომში – სავაჭრო სისტემა) რეგისტრირებული გარიგებების გათვალისწინებით.
- აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსად ცხადდება სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელი პერიოდის განმავლობაში ბანკთაშორის დადებულ სპოტ გარიგებათა გათვალისწინებით გამოთვლილი საშუალო შენონილი კურსი. ბანკთაშორის დადებულ გარიგებებში იგულისხმება საქართველოს ეროვნულ ბანკთან, როგორც გარიგების ერთ-ერთ მხარესთან, დადებული გარიგებებიც.
- აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება:

- ა) საბაზრო კურსისგან არსებითად განსხვავებული კურსით დადებული გარიგებები. არსებითად განსხვავებულ კურსად მოიაზრება კურსი, რომელიც გასაანგარიშებელ პერიოდში დადებული დანარჩენი გარიგების საშუალო შენონილი კურსისაგან 2.5 და მეტი პროცენტით განსხვავდება;
  - ბ) ორ კონტრაგენტს შორის გასაანგარიშებელ პერიოდში მსგავსი პირობებით და მოცულობით დადებული საპირისპირო გარიგებები.
4. აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრისას კურსის გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ გარიგებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება იმ წინა ერთი საბანკო დღის გასაანგარიშებელ პერიოდში დადებული გარიგებები, როდესაც დაფიქსირდა სულ მცირე ერთი სავალუტო გარიგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
- ა) გასაანგარიშებელ პერიოდში სავაჭრო სისტემაში დადებულ იმ ბანკთაშორის გარიგებათა რაოდენობა, რომლებიც ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიციალური კურსის გაანგარიშებაში, სამი ან სამზე ნაკლებია;
  - ან
  - ბ) სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ ბანკთაშორის იმ გარიგებათა ჯამური ბრუნვა, რომლებიც ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიციალური კურსის გაანგარიშებაში, 3 მლნ აშშ დოლარზე ნაკლებია.
5. სხვა დანარჩენი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზრებზე არსებული კურსების კროს-კურსული გადაანგარიშების საფუძველზე.
6. თითოეული ასეთი ვალუტისათვის ბაზრის იმ სეგმენტების ჩამონათვალს (ბანკთაშორის ან ცენტრალური ბანკის კურსი), რომელსაც უპირატესობა ენიჭება კროს-კურსული გადაანგარიშებისათვის საჭირო კურსების მისაღებად, ადგენს ეროვნული ბანკი.
7. გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენს „როიტერის“, „ბლუმბერგის“, საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკების ვებგვერდები.
8. კროს-კურსული გადაანგარიშებისათვის საჭირო კურსების განსაზღვრისას აიღება იმ მომენტისათვის ხელმისაწვდომი უკანასკნელი საკურსო მაჩვენებლები.
9. კროს-კურსების გადაანგარიშებისათვის საჭირო აშშ დოლარის მიმართ სხვა ვალუტების კურსებს (გარდა ლარისა) ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ყოველ სამუშაო საბანკო დღეს 14:45–დან 15:00 საათამდე. ტექნიკური შეფერხებების შემთხვევაში დასაშვებია კურსის განსაზღვრა უფრო გვიანაც, ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრისთანავე.

### მუხლი 3. ოფიციალური გაცვლითი კურსების გამოქვეყნება

1. ოფიციალური გაცვლითი კურსები ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე არა უგვიანეს გაანგარიშების დღეს 17:00 საათისა. ოფიციალური გაცვლითი კურსები მოქმედებს გამოქვეყნების მომდევნო დღიდან, ახალი კურსების ამოქმედების დღემდე პერიოდში.
2. ოფიციალური გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაცია დამატებით შესაძლებელია გავრცელდეს „როიტერისა„ და „ბლუმბერგის„ საინფორმაციო სისტემებში ან ეროვნული ბანკის გადანაცვლებით მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

## 2.3 ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესი

### მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სავაჭრო სისტემა – ბლუმბერგის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგებების დადება;
- ბ) სადლინგო კოდი – ოთხნიშნა კოდი, რომელიც ენიჭება ბანკს ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში მისი იდენტიფიკაციის მიზნით;
- გ) დილერი – ბანკის თანამშრომელი, რომელიც ბანკის სახელით დებს გარიგებებს სავაჭრო სისტემაში;
- დ) ადმინისტრატორი – პირი, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის სადლინგო კოდის გამოყენების უფლების მინიჭებაზე იმ დილერებისათვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან ბანკის სახელით დადონ გარიგებები სავაჭრო სისტემის მეშვეობით;
- ე) სპოტი – გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღის განმავლობაში;
- ვ) ფორვარდი – გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში;
- ზ) სვოპი – გარიგება უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ, მისი შემდგომი გაყიდვის ან გამოსყიდვის წინასწარ დათქმული პირობებით;
- თ) კოტირება – ყიდვა-გაყიდვის კურსების გამოცხადება;
- ი) გარიგების დადების დღე – დღე, როდესაც ხდება გარიგების პირობების შეთანხმება მხარეებს შორის.

### მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის (შემდგომში „სავაჭრო სისტემა“) მეშვეობით პირდაპირ ბანკთაშორის ბაზარზე ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესებს.
2. ამ წესის შესაბამისად და მისი პირობების დაცვით სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვაჭრობა შეუძლიათ საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს და უცხოური ბანკების ფილიალებს (შემდგომში „მონაწილე ბანკი“), რომელთაც ეროვნულ ბანკს მიმართეს შესაბამისი წერილობითი თხოვნით.
3. მონაწილე ბანკს ამ წესის შესაბამისად შეუძლია გარიგებების დადება სხვა მონაწილე ბანკთან ან/და საქართველოს ეროვნულ ბანკთან.
4. ეს წესი ვრცელდება სავაჭრო სისტემაში დადებულ გარიგებებზე იმ ვალუტების წყვილთათვის და იმ ინსტრუმენტებისათვის, რომელთათვისაც ეროვნული ბანკის მიერ შექმნილია სპეციალური გვერდები და ხდება მონაწილე ბანკის მიერ შესაბამისი კოტირებების გამოქვეყნება.

5. ამ წესის შესაბამისად სავაჭრო სისტემაში შესაძლებელია სპოტი, ფორვარდული და სვოპ სავალუტო გარიგებების დადება.

### მუხლი 3. სავაჭრო სისტემის მონაწილეთა ავტორიზაცია

1. სავაჭრო სისტემაში მონაწილე ბანკს ეძლევა სადლინგო კოდი. ამ წესით სავაჭრო სისტემაში გარიგებების დადების მსურველი ბანკი წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს შესაბამისი თხოვნით და უგზავნის საკუთარ სადლინგო კოდს და ინფორმაციას ადმინისტრატორის შესახებ. ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნული მიმართვის მიღების შემდეგ, ბანკს ავტომატურად ენიჭება მონაწილე ბანკის სტატუსი. მონაწილე ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს სადლინგო კოდის გამოყენება მხოლოდ ავტორიზებული პირების მიერ.
2. ეროვნულ ბანკში შესაბამისი წერილობითი მიმართვის გაგზავნით მონაწილე ბანკი ეთანხმება და იღებს ვალდებულებას შეასრულოს ამ წესით დადგენილი პირობები.
3. მონაწილე ბანკის სადლინგო კოდის და ადმინისტრატორების შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბანკი აქვეყნებს ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის მეშვეობით სპეციალურ გვერდზე.
4. სადლინგო კოდის ან ადმინისტრატორთა სიაში ცვლილებების შემთხვევაში ბანკი დაუყოვნებლივ აცნობებს აღნიშნულის შესახებ ეროვნულ ბანკს.
5. მონაწილე ბანკები ვალდებული არიან ბლუმბერგის მეშვეობით მიაწოდონ ერთმანეთს და ეროვნულ ბანკს ინფორმაცია ბანკის სახელით გარიგების დადებაზე უფლებამოსილი დილერების, ასევე მათთვის ამ უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ.
6. სავაჭრო სისტემის მონაწილე ბანკის სტატუსის გასაუქმებლად ბანკი წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს არა უგვიანეს ერთი კვირით ადრე. ეროვნული ბანკი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს მონაწილე ბანკებს და შეიტანოს შესაბამისი კორექტირებები სავაჭრო სისტემის შესაბამის გვერდზე.
7. ამ წესის შესაბამისად დადებულ გარიგებებზე ამ წესის პირობები ვრცელდება ბანკისათვის მონაწილე ბანკის სტატუსის გაუქმების შემდეგაც.

### მუხლი 4. კოტირებების გამოქვეყნება და გარიგებების დადება

1. სავაჭრო სისტემის მონაწილე ბანკი ყოველ სამუშაო საბანკო დღეს აქვეყნებს საკუთარ კოტირებებს სავაჭრო სისტემაში სპეციალურ გვერდზე.
2. მონაწილე ბანკი ვალდებულია საკუთარ კოტირებებზე წვდომა მიაწიფოს სავაჭრო სისტემის მონაწილე ყველა ბანკს და მათ დილერებს.
3. მონაწილე ბანკს არა აქვს უფლება უარი თქვას გამოყენებული კურსით 200 000 აშშ დოლარის და ნაკლები მოცულობის გარიგების დადებაზე. უფრო დიდი მოცულობის გარიგებებზე კურსის შე-

4. თანხმება მხარეთა შორის ხდება დამატებით. სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგებების დადება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო და მათი დადების დრო დღის განმავლობაში არ იზღუდება.
5. დადებული გარიგებები საბოლოოა და მათი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.
6. გარიგების დადების დღეს მხარეთა შეთანხმებით გარიგების პირობების ცვლილება ან გარიგების გაუქმება რეგისტრირდება სავაჭრო სისტემაში.
7. გაუქმებული გარიგების ან გარიგების პირობებში ცვლილებების (თუკი ასეთი განხორციელდა გარიგების დადების დღის გასვლის შემდეგ) შესახებ ინფორმაცია ეგზავნება ეროვნულ ბანკს წერილობით, შესაბამისი მიზგზის მითითებით, არა უგვიანეს ანგარიშსწორების დღისა.

### მუხლი 5. ანგარიშსწორება და საჭარიმო სანქციები

1. მონაწილე ბანკს შორის ანგარიშსწორება ხდება მათ შორის დადებულ გარიგებაში მითითებულ დღეს.
2. მონაწილე ბანკებს შორის ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან კომერციულ ბანკში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშის მეშვეობით დადებული გარიგების პირობების შესაბამისად.
3. მონაწილე ბანკებს შორის უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში, ასევე უცხოურ ან ადგილობრივ ბანკში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშის მეშვეობით მონაწილე ბანკის გადანყვეტილებით დადებული გარიგების პირობების შესაბამისად.
4. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ბანკი ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას ანგარიშსწორების დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს.
5. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ბანკის მიერ არ განხორციელდება ანგარიშსწორება მომდევნო საბანკო დღესაც, გარიგება ითვლება გაუქმებულად.
6. მონაწილე ბანკს ანგარიშსწორების ვადის დარღვევისათვის ეკისრება ჯარიმა დადებული გარიგების თანხის 0.1%-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.
7. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში გარიგების გაუქმებისათვის მონაწილე ბანკს ეკისრება ჯარიმა მეორე მხარის სასარგებლოდ გარიგების თანხის 5%-ის ოდენობით.
8. საჭარიმო თანხის ჩამონერა ეროვნული ვალუტით ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან და თანხის ჩარიცხვა მეორე ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.
9. გარიგების გაუქმების შემთხვევაში გარიგების შესაბამისად გადარიცხული თანხა სრულად უბრუნდება გადამრიცხველ ბანკს არა უგვიანეს გარიგების გაუქმების დღისა. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მონაწილე ბანკს ეკისრება ჯარიმა დაუბრუნებელი თანხის 1%-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.
10. გარიგების პირობის დარღვევის შემთხვევაში და-

ზარალებული ბანკი წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს ანგარიშსწორების დღიდან არა უგვიანეს სამი საბანკო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მონაწილე მეორე მხარე არ ეთანხმება გარიგების პირობების დარღვევის ფაქტს, იგი ვალდებულია ეროვნული ბანკიდან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღის განმავლობაში წარმოადგინოს გარიგების შესრულების დამადასტურებელი საბუთები.

11. გარიგებების პირობების სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავისი გადანყვეტილებით აუკრძალოს ბანკს სავაჭრო სისტემაში მონაწილეობის მიღება.

### მუხლი 6. ინფორმაციის გამოქვეყნება

1. ინფორმაცია სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების შესახებ ავტომატურად ხელმისაწვდომი ხდება ეროვნული ბანკისათვის.
2. ეროვნული ბანკი ყოველდღიურად აქვეყნებს ინფორმაციას სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების მოცულობის, მონაწილეთა რაოდენობის, მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო გაცვლითი კურსის შესახებ.

## 2.4 დეპუტატი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოკლევადიანი დისკონტური და საშუალო ვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების (შემდგომში – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები) გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის წესებს.
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით.
- ერთი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 1000 ლარი.
- სახაზინო ვალდებულებების გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და დაიფარება ნომინალური ღირებულებით.
- სახაზინო ობლიგაციების გამოშვება ხდება 1-დან 10 წლამდე დაფარვის ვადით, კუპონის 6 თვეში ერთხელ გადახდით.

### მუხლი 2. დებულებაში გამოყენებული ტერმინები

ამ დებულების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- სახაზინო ვალდებულება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომში „ფინანსთა სამინისტრო“) მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი (შემდგომში „სახაზინო ვალდებულება“);
- სახაზინო ობლიგაცია – ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საშუალოვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი (შემდგომში „სახაზინო ობლიგაცია“);
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი – ბაზარი, რომელზეც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა მათი გამოშვებისას;
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის მონაწილეები – კომერციული ბანკები და მათი კლიენტები;
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი – ბაზარი, რომელზეც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა პირველად ბაზარზე განთავსების შემდეგ;
- კომერციული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული

- იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;
- ბანკის კლიენტები (შემდგომში „კლიენტები“) – რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები;
- ნომინალური ღირებულება – თანხა, რომელსაც ემიტენტი (ფინანსთა სამინისტრო) უხდის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელს დაფარვის ვადის დადგომისას;
- შესყიდვის ფასი (ძირითადი თანხა) – თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შეძენისას;
- დისკონტის თანხა – სხვაობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ნომინალურ ღირებულებასა და შესყიდვის ფასს შორის, რომელიც ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებია;
- პრემიის თანხა – სხვაობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ნომინალურ ღირებულებასა და შესყიდვის ფასს შორის, რომელიც ნომინალურ ღირებულებაზე მეტია.
- კუპონი – სახაზინო ობლიგაციების ფიქსირებული სარგებელი, რომელსაც დებულობს სახაზინო ობლიგაციის მფლობელი წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით;
- შეძენის დღე – აუქციონის ჩატარების დღე;
- ანგარიშსწორების დღე – დღე, როდესაც ხდება აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასის ექვივალენტი თანხის ფინანსთა სამინისტროსათვის გადახდა;
- დაფარვამდე დღეების რაოდენობა – ანგარიშსწორების დღიდან დაფარვის დღემდე კალენდარული დღეების რაოდენობა;
- დაფარვის დღე – დღე, როდესაც უნდა მოხდეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განაღდება;
- აუქციონის განკვეთის დონე – ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი, რომლის ზემოთაც აუქციონში მონაწილე განაცხადები არ დაკმაყოფილდება;
- მრავალი ფასის მეთოდი – აუქციონის ჩატარების მეთოდი, რომლის დროსაც აუქციონში გამარჯვებული მყიდველის თითოეული განაცხადი კმაყოფილდება განაცხადში მითითებული ფასით;
- კონკურენტული განაცხადი – განაცხადი, რომელიც მონაწილეობს აუქციონში და გამარჯვების შემთხვევაში კმაყოფილდება განაცხადში მითითებული ფასით;
- არაკონკურენტული განაცხადი – განაცხადი, რომელიც არ მონაწილეობს აუქციონში და კმაყოფილდება აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით;
- საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი – აუქციონზე გამარჯვებული კონკურენტული განაცხადების მიხედვით გამოთვლილი საშუალო შეწონილი პროცენტი;
- გამოცხადებული ემისია – აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობა;
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) – აუქციონზე გაყიდული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობა;
- ემიტენტი – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამომშვები, რომელიც ვალდებულია მოახდინოს

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განაღდება მათი დაფარვის დღეს, ნომინალური ღირებულებით;

- ყ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელი – იურიდიული ან პიზიკური პირი, რომელსაც აქვს საკუთრების უფლება სახაზინო ვალდებულებაზე და სახაზინო ობლიგაციებზე;
- შ) ნომინალური მფლობელი – ბაზრის შუამავალი, რომელსაც მფლობელი წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თავის სახელზე აღრიცხვის და მათი განკარგვის უფლებას;
- ჩ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყოველი გამოშვებისათვის (ემისიისათვის) მინიჭებული ISO-6166 სტანდარტის შესაბამისი საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი;
- ც) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრი – ელექტრონული ჩანაწერები ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში, სადაც მითითებულია ინფორმაცია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, მათი მფლობელებისა და ნომინალური მფლობელების შესახებ;
- ძ) სუბრეესტრი – რეესტრი, რომელსაც კომერციული ბანკი აწარმოებს საკუთარი კლიენტების ჭრილში;
- წ) ელექტრონული სავაჭრო სისტემა – პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა აუქციონზე და შესაძლებელია ვაჭრობა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე.
- ჭ) ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა – ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებადი ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების და მათთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა და ანგარიშსწორება;
- ხ) ანგარიშსწორების ანგარიში – დროის რეალურ რეჟიმში ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში არსებული მონაწილის სისტემური ანგარიშსწორების ანგარიშისა და ქვეანგარიშების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშს ან სხვა მონაწილის ანგარიშს, რომელთა საშუალებითაც ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში ხორციელდება აღნიშნული სისტემის მონაწილის ფულადი სახსრების განკარგვა (ანგარიშსწორება). ანგარიშსწორების ანგარიშისა და ქვეანგარიშების ერთობლიობა გულისხმობს მათზე აღრიცხული თანხების არითმეტიკულ ჯამს.

### მუხლი 3. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის ორგანიზება

- 1. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ხდება აუქციონის მეშვეობით.
- 2. აუქციონები ტარდება ელექტრონული სავაჭრო სისტემის გამოყენებით.
- 3. აუქციონები ტარდება მრავალი ფასის მეთოდით.
- 4. აუქციონი ტარდება საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი).
- 5. აუქციონზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს.

- 6. ფინანსთა სამინისტრო აუქციონის შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებს ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით.

### მუხლი 4. აუქციონის გამოცხადება

- 1. არა უგვიანეს ყოველი კვარტლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ემისიის კალენდარს სულ მცირე მომდევნო სამი თვისათვის.
- 2. ემისიის კალენდარი მოიცავს ინფორმაციას აუქციონების ჩატარების თარიღების, თითოეულ აუქციონზე გასაყიდი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ვადიანობის და მოცულობის შესახებ.
- 3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ემისიის კალენდრის შედგენა და მასში ნებისმიერი ცვლილების განხორციელება ხდება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, რისთვისაც იგი კალენდრის პროექტს გამოქვეყნებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე უგზავნის ეროვნულ ბანკს.
- 4. აუქციონამდე არანაკლებ ხუთი კალენდარული დღით ადრე ფინანსთა სამინისტრო ეროვნულ ბანკს უგზავნის აუქციონის ჩატარების შესახებ შეტყობინებას და იმავე დღეს აცხადებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და სამინისტროს ვებ-გვერდზე
- 5. აუქციონის გამოცხადებისას ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს ემისიის აუქციონის თარიღს, გასაყიდად გამოტანილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რაოდენობას, ანგარიშსწორებისა და დაფარვის თარიღებს, ასევე სახაზინო ობლიგაციებისათვის კუპონის გადახდის თარიღებს.
- 5<sup>1</sup>. ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს მოახდინოს ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისია ერთ ან რამდენიმე აუქციონზე. ამასთან, ყველა ასეთ ფასიანი ქაღალდს ექნება ერთი და იგივე საიდენტიფიკაციო ნომერი, პირველად ემისიაზე დაფიქსირებული კუპონის განაკვეთი, კუპონების გადახდისა და ფასიანი ქაღალდის დაფარვის თარიღები.
- 6. ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს აუქციონის გამოცხადებას ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით ფინანსთა სამინისტროდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების დღეს.
- 7. აუქციონის გამოცხადებისას ეროვნული ბანკი მიუთითებს აუქციონის დაწყების დროს.
- 8. ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს გააუქმოს დანიშნული აუქციონი, რის შესახებაც ის აუქციონის ჩატარების თარიღამდე ერთი სამუშაო დღით ადრე ინფორმაციას უგზავნის ეროვნულ ბანკს და აღნიშნულ ინფორმაციას განათავსებს სამინისტროს ვებ-გვერდზე.

### მუხლი 4<sup>1</sup>. გაუქმებულია

### მუხლი 4<sup>2</sup>. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის

- 1. გამოცხადებულ ემისიაზე დამატებით, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობისთვის, ფინანსთა სამინისტრო უშვებს

- სახელმწიფო ფასიან ქალაქებს.
2. ფინანსთა სამინისტრო, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, წინასწარ განსაზღვრავს ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ემისიების მოცულობებს, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება ბანკებს.
  3. აუქციონის ჩატარების შეტყობინებაში ცალკე მითითება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები ფასიანი ქალაქების რაოდენობა და მოცულობა.
  4. ამ მუხლის შესაბამისად გამოსაშვები სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ემისია ხორციელდება აუქციონის მეშვეობით, ამავე აუქციონზე წარდგენილი კონკურენტული განაცხადების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით.
  5. ამ მუხლის შესაბამისად გამოსაშვები სახელმწიფო ფასიანი ქალაქების შესაძენად აუქციონის დაწყებამდე, აუქციონზე განაცხადების წარდგენის განსაზღვრული წესით ბანკი აგზავნის შესაბამის არაკონკურენტულ განაცხადს, რომელიც შესაძლებელია აღემატებოდეს ამ დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ლიმიტს.
  6. თითოეული ბანკისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტის ფარგლებში ავტომატურად კმაყოფილდება ამ მუხლის შესაბამისად გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქალაქების არაკონკურენტული განაცხადი, რომელიც ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით არის წარდგენილი.

## მუხლი 5. განაცხადების წარდგენის წესი

1. განაცხადების მიღება იწყება აუქციონის დღეს, აუქციონის დაწყებამდე 15 წუთით ადრე და წყდება აუქციონის დაწყების მომენტში.
2. ბანკებს უფლება აქვთ აუქციონზე განაცხადი წარადგინონ საკუთარი სახელით (ბანკის პორტფელისთვის) და/ან კლიენტის დავალებით (კლიენტის პორტფელისთვის).
3. ბანკის კლიენტები აუქციონზე განაცხადებს წარადგენენ კომერციული ბანკების მეშვეობით.
4. ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს გაუგზავნოს განაცხადების წარმოდგენი კლიენტების სია, შესაბამისი თანხების მითითებით.
5. განაცხადი შეიძლება იყოს კონკურენტული და არაკონკურენტული.
6. არაკონკურენტულ განაცხადებს (როგორც საკუთარს, ისე კლიენტისას) ბანკი წარმოადგენს ჯამურად, მთლიანი თანხის და განაცხადების რაოდენობის მითითებით.
7. ერთი არაკონკურენტული განაცხადის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს.
8. ერთი კლიენტის დავალებით ბანკს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი არაკონკურენტული განაცხადი.
9. საკუთარი სახელით ბანკს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი არაკონკურენტული განაცხადი.
10. ბანკის მიერ კლიენტების დავალებით აუქციონზე წარმოდგენილი არაკონკურენტული განაცხადების რაოდენობა არ იზღუდება.
11. ბანკის მიერ აუქციონზე წარსადგენი კონკურენტუ-

- ლი განაცხადების რაოდენობა არ იზღუდება.
12. თითოეული ბანკის მიერ აუქციონზე წარდგენილი საკუთარი განაცხადების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის 75%-ს.
  - 12<sup>1</sup>. ბანკის საკუთარ განაცხადად ჩაითვლება სხვა ბანკის და/ან კლიენტის განაცხადი, თუ ბანკი პირდაპირი და/ან არაპირდაპირი გზით ფლობს ასეთი ბანკის და/ან კლიენტის 10%-ს ან/და მეტი ოდენობის წილს.
  - 12<sup>2</sup>. თითოეული ბანკის მიერ წარდგენილი ერთი კლიენტის განაცხადების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ემისიის მოცულობის 50%-ს.
  - 12<sup>3</sup>. ბანკის ყველა კლიენტის განაცხადების რაოდენობა და ჯამური მოცულობა შეზღუდული არ არის.
  13. ერთი კონკურენტული განაცხადის მინიმალური მოცულობა შეადგენს 50 000 ლარს.
  14. კომერციული ბანკები განაცხადებს წარადგენენ ელექტრონული ფორმით აუქციონის მომსახურე პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.
  15. ელექტრონული განაცხადის წარმოდგენით ბანკი აღიარებს წინამდებარე წესების მოთხოვნათა სავალდებულო შესრულებას.
  16. აუქციონზე დაიშვება მხოლოდ სწორად შევსებული ელექტრონული განაცხადი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:
    - ა) კონკურენტული განაცხადის შემთხვევაში: შესასყიდი სახელმწიფო ფასიანი ქალაქების რაოდენობას და საპროცენტო განაკვეთს (მეათასედის/მძიმის შემდეგ სამი ციფრის სიზუსტით). კლიენტის სახელით გაკეთებულ განაცხადში ბანკი გააკეთებს შესაბამის მითითებას.
    - ბ) არაკონკურენტული განაცხადის შემთხვევაში: შესასყიდი სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ჯამური ოდენობას და საკუთარი და კლიენტებისაგან მიღებული განაცხადების რაოდენობას.
  17. აუქციონის დაწყებამდე კომერციულ ბანკს უფლება აქვს ძველი განაცხადი გააუქმოს და/ან გაითხოვოს, ხოლო მის ნაცვლად წარადგინოს ახალი განაცხადი. დაუშვებელია აუქციონის დაწყების შემდეგ განაცხადის შეცვლა ან უკან გამოთხოვა.
  18. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის მხრიდან წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების გამო ვერ ხერხდება განაცხადების მიღება, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს აუქციონის დაწყების დრო, რის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს ფინანსთა სამინისტროს და მონაწილე ბანკებს. ამ შემთხვევაში აუქციონის დაწყების ახალი დროის გამოცხადება უნდა მოხდეს აუქციონის დაწყებამდე სულ მცირე ერთი საათით ადრე.

## მუხლი 6. აუქციონის ჩატარების წესი

1. აუქციონი იწყება წარმოდგენილი არაკონკურენტული განაცხადების მოცულობის დაჯამებით.
2. აუქციონზე მიღებული განაცხადები ეგზავნება ფინანსთა სამინისტროს. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსთა სამინისტრო მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ეროვნულ ბანკს არ გაუგზავნის შეტყობინებას აუქციონის განკვეთის დონის დადგენის შესახებ, მაშინ აუქციონი სრულდება:
  - ა) ემისიის სრულად განთავსებით, თუ აუქციონზე



შემოსული განაცხადების მოცულობა უტოლდება ან აღემატება გამოცხადებული ემისიის მოცულობას;

- ბ) შემოსული განაცხადების სრულად დაკმაყოფილებით, თუ აუქციონზე შემოსული განაცხადების მოცულობა ნაკლებია გამოცხადებული ემისიის მოცულობაზე.
3. არაკონკურენტული განაცხადების ჯამური თანხა, მაგრამ არაუმეტეს მთლიანი გამოცხადებული ემისიის 25%-ისა, აკლდება ემისიის მოცულობას და დარჩენილი ნაწილით განისაზღვრება კონკურენტული განაცხადების აუქციონის მოცულობა.
4. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეების მიერ წარმოდგენილი არაკონკურენტული განაცხადების საერთო თანხა გამოცხადებული ემისიის 25%-ზე მეტია, არაკონკურენტული განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციული განაწილების პრინციპით.
5. აუქციონზე დაშვებული ყველა კონკურენტული განაცხადი დალაგდება განაცხადში მითითებული საპროცენტო განაკვეთების ზრდის მიხედვით.
6. პირველ რიგში დაკმაყოფილდება ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე კონკურენტული განაცხადი, ხოლო შემდგომ ყოველი მომდევნო მაღალი განაკვეთის მქონე კონკურენტული განაცხადი და აუქციონი სრულდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული კონკურენტული განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება კონკურენტული განაცხადების აუქციონის მოცულობას ან საპროცენტო განაკვეთი მიაღწევს აუქციონის განკვეთის დონეს
7. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის დასრულებისას ყველაზე მაღალი ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთის მქონე რამდენიმე კონკურენტული განაცხადის თანხა აღემატება ჯერ კიდევ გაუნაწილებელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობას, ეს განაცხადები დაკმაყოფილდებიან პროპორციული განაწილების პრინციპით.
8. საჭიროების შემთხვევაში, პროპორციული განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, გასაყიდად გამოტანილი ფასიანი ქაღალდების რა-

ოდენობა გაიზრდება ან შემცირდება აუქციონის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

9. სახაზინო ობლიგაციის კუპონის განაკვეთი დგინდება აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთის ერთი მერვედის ჯერადამდე დამრგვალებით.
- 9<sup>1</sup>. ფინანსთა სამინისტროს მიერ ადრე გამოშვებული სახაზინო ობლიგაციების დამატებითი ემისიის შემთხვევაში, კუპონის განაკვეთად აიღება ასეთი სახაზინო ობლიგაციის პირველ აუქციონზე დადგენილი კუპონის განაკვეთი და წინასწარ ცხადდება ფინანსთა სამინისტროს მიერ აუქციონის შეტყობინებაში.
- 9<sup>2</sup>. გაუქმებულია
- 9<sup>3</sup>. სახაზინო ობლიგაციაზე, რომლის პირველად აუქციონზე ხდება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისათვის დამატებითი სახაზინო ობლიგაციების გამოშვება, კუპონის განაკვეთად დგინდება პირველად აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი მძიმის შემდეგ სამი ციფრის სიზუსტით.
10. ეროვნული ბანკი ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან 1 საათის განმავლობაში სავაჭრო პროგრამის მეშვეობით აუქციონში მონაწილე ბანკებს მიანოდოს აუქციონში მათი მონაწილეობის შედეგების ამსახველი ინფორმაცია.
11. ტექნიკური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გადაავადოს აუქციონის შედეგების გამოქვეყნება.
12. აუქციონის შედეგები ქვეყნდება ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ვებ გვერდებზე არაუგვიანეს აუქციონის ჩატარების დღისა.

**მუხლი 7. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე შესყიდვის ფასის და კუპონის გაანგარიშება**

1. ერთი სახაზინო ვალდებულების შესყიდვის ფასი გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$P = \frac{F}{1 + \left[ \frac{\text{საპროცენტო განაკვეთი}}{100} \times \frac{\text{დაფარვამდე დღეების რაოდენობა}}{365} \right]}$$

2. ერთი სახაზინო ობლიგაციის შესყიდვის ფასი გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$P = \frac{F}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^w} \left[ \frac{R}{n} \times \frac{\left(1 - \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^N}\right)}{\left(1 - \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)}\right)} + \frac{1}{\left(1 + \frac{i}{n}\right)^{N-1}} \right]$$

სადაც:

- P – საანგარიშსწორებო ფასი
- F – ობლიგაციის ნომინალური ღირებულება
- i – აუქციონის მონაწილის მიერ შეთავაზებული წლიური საპროცენტო განაკვეთი გაყოფილი 100-ზე
- N – კუპონის გადახდების რაოდენობა წლის განმავლობაში
- W – ფასიანი ქაღალდის შესყიდვის თარიღსა და მომდევნო კუპონის გადახდის თარიღს შორის დღეების რაოდენობა, შეფარდებული კუპონების გადახდებს შორის დღეების რაოდენობასთან
- R – წლიური კუპონური შემოსავლის საპროცენტო განაკვეთი გაყოფილი 100-ზე
- N – დარჩენილი, ჯერ კიდევ გადაუხდელი კუპონების რაოდენობა ფასიანი ქაღალდის დაფარვამდე

3. არაკონკურენტული განაცხადები დაკმაყოფილდება საშუალო შენონილი პროცენტით, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად:

$$C = \frac{\sum(NXP)}{\sum(N)}$$

სადაც:

- C – საშუალო შენონილი პროცენტი;  
 E – ჯამი;  
 N – აუქციონზე დაკმაყოფილებული კონკურენტული განაცხადების ნომინალური ღირებულება;  
 P – დაკმაყოფილებული განაცხადების საპროცენტო განაკვეთები;
4. გადასახდელი კუპონი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$Q = N \left( \frac{P}{2} \right)$$

სადაც:

- Q – კუპონის ფასი;  
 P – კუპონური განაკვეთი;  
 N – სახაზინო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

### მუხლი 8. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია

1. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციასთან, გასხვისებასთან, დაგირავებასთან და ნომინალურ მფლობელობაში გადაცემასთან დაკავშირებული ოპერაციები აღირიცხება ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.
2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელს უფლება აქვს გაასხვისოს, დააგირავოს ან ნომინალურ მფლობელობაში გადასცეს ისინი სხვა პირებს.
3. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თითოეულ ემისიას ფინანსთა სამინისტრო ანიჭებს ISO-6166 სტანდარტის შესაბამისი ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელსაც ეროვნული ბანკი არეგისტრირებს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში.
4. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი იქმნება შემდეგი 12 სიმბოლოსაგან:
  - ა) პირველი და მეორე სიმბოლო არის ქვეყნის საერთაშორისო კოდი GE;
  - ბ) მესამე სიმბოლო არის ემიტენტის, ფინანსთა სამინისტროს აღმნიშვნელი T;
  - გ) მეოთხე სიმბოლო არის ფასიანი ქაღალდის ტიპის აღმნიშვნელი:
    - გ.ა) დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში D;
    - გ.ბ) კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში C;
  - დ) მესამე და მეექვსე სიმბოლო არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დაფარვის წლის აღმნიშვნელი: დაფარვის წლის ბოლო ორი რიცხვი;
  - ე) მეშვიდე სიმბოლო არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დაფარვის თვის აღმნიშვნელი: 1-დან 9-ის ჩათვლით არის თვეები იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, A არის ოქტომბერი, B არის ნოემბერი, C არის დეკემბერი;

- ვ) მერვე და მეცხრე სიმბოლო არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დაფარვის დღის აღმნიშვნელი კალენდარული დღის რიცხვი;
  - ზ) მათე და მეთერთმეტე სიმბოლო არის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ემისიის რეგიონობის აღმნიშვნელი;
  - თ) მეთორმეტე სიმბოლო არის საკონტროლო ციფრი (გასაღები), რომელიც გამოითვლება წინა თერთმეტი მონაცემების გათვალისწინებით სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-6166 სტანდარტის შესაბამისად.
5. დაუშვებელია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელის ცვლილება ან დაგირავება აუქციონზე მათი შეძენის და/ან დაფარვის დღეს.
  6. საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედი ბანკები ვალდებული არიან:
    - ა) თავიანთ ბანკში ანარმონ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელობის სუბრეესტრების კლიენტების ჭრილში;
    - ბ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების შესაბამისი ანგარიშები გაუხსნან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.
  7. სუბრეესტრში უნდა აისახებოდეს ცალკეული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიხედვით: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, მფლობელის ან ნომინალური მფლობელის ვინაობა, მისი ანგარიშის ნომერი. კლიენტის სახელზე შენახული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გასხვისებისას, დაგირავებისას, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემისას ან კლიენტის მიერ მომსახურე ბანკის შეცვლისას, ბანკი ვალდებულია სუბრეესტრში მოახდინოს სათანადო ჩანაწერები.

### მუხლი 9. ანგარიშსწორების წესები

1. აუქციონის შედეგების შესაბამისი ანგარიშსწორება ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს შეტყობინებაში მითითებულ თარიღზე.
2. ანგარიშსწორების დღეს, არა უგვიანეს საოპერაციო საათის დასრულებამდე, ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებად საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით ხდება აუქციონში გამარჯვებული ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებიდან შესაბამისი თანხების ჩარიცხვა სახაზინო სამსახურის ხაზინის ანგარიშსწორების ანგარიშზე.
3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობის შესასრულებლად, საოპერაციო საათების დასრულებამდე, ბანკი ვერ უზრუნველყოფს აუქციონით დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების მობილიზებას თავის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რაც აუცილებელია ანგარიშსწორების განსახორციელებლად, უქმდება ბანკის ყველა განაცხადი.
4. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსება ითვლება დასრულებულად ანგარიშსწორების დღეს საოპერაციო საათის დასრულებისთანავე,

იმ მოცულობით, რა მოცულობითაც განხორციელდა აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისი თანხების სახაზინო სამსახურის ხაზინის ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვა და შესაბამისი მოცულობის ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში.

5. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღეს, აგრეთვე სახაზინო ობლიგაციების კუპონის გადახდის დღეს, ეროვნული ბანკის მიერ ოპერირებადი საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, სახაზინო ვალდებულებების შესყიდვის ფასისა და დისკონტის შესაბამის თანხებს, აგრეთვე სახაზინო ობლიგაციების ნომინალის ღირებულებისა და კუპონის შესაბამის თანხებს ეროვნული ბანკი ჩამოჭრის სახაზინო სამსახურის ხაზინის ანგარიშსწორების ანგარიშიდან, რის შესახებაც აცნობებს სახაზინო სამსახურს. ეროვნული ბანკი ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩარიცხვას განახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეესტრში არსებული ჩანაწერების მიხედვით.
6. ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ვალდებულებების ძირითადი თანხის დაფარვას ახორციელებს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი სახაზინო კოდის შემცირების გზით, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ფარგლებში. ხოლო დისკონტის თანხის გადახდას ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან.
7. ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას ახორციელებს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი სახაზინო კოდის შემცირების გზით, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ფარგლებში. ხოლო, დისკონტის და კუპონის გადახდას ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან.
- 7<sup>1</sup>. სახაზინო ობლიგაციების პრემიის ამორტიზაცია ხდება ეტაპობრივად თანაბარი ოდენობებით, კუპონის გადახდასთან ერთად, ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი სახაზინო კოდისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ერთდროულად შემცირების გზით.
8. ბანკი ვალდებულია თანხის მიღებისთანავე, დაფარვის დღეს ჩაურიცხოს თანხები საკუთარ კლიენტებს.
9. დაფარვის დღის არასამუშაო დღეზე დამთხვევისას, თანხების ჩარიცხვა განხორციელდება მომდევნო სამუშაო-საბანკო დღეს.

## მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. აუქციონის მონაწილეები ვალდებული არიან განუხრებლად დაიცვან ამ დებულების მოთხოვნები.
2. ბანკი პასუხისმგებელია, როგორც თავის საკუთარ, ასევე მისი კლიენტების განაცხადებამდე.
3. ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს თავისი კლიენტებისათვის სახაზინო ვალდებულებებითა და სახაზინო ობლიგაციებით ოპერაციების (ნებისმიერი ფორმით გასხვისება, დაგირავება, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა) განხორციელების პროცედურები, მათ შორის, მომ-

სახურების ტარიფები, განაცხადების ფორმები და სტანდარტული ხელშეკრულებები.

4. ბანკის მხრიდან ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ბანკს შეიძლება გარკვეული ვადით აეკრძალოს აუქციონებში მონაწილეობის მიღება.

## მუხლი 11. აკრძალული ქმედებები და ბანკების ვალდებულებები

1. ბანკს ეკრძალება ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგადაც იგი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდება დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე, აგრეთვე ყოველგვარი მანიპულაცია, რომელიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მას ან მესამე პირებს, შექმნის საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას.
2. ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებულ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონებში მონაწილეობისას და ამ მონაწილეობასთან დაკავშირებით, ბანკებს ეკრძალებათ შემდეგი ქმედებების განხორციელება:
  - ა) ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმდნენ კონკრეტული აუქციონისთვის საკუთარი განაცხადების თაობაზე;
  - ბ) აუქციონის დამთავრებამდე ერთმანეთს აცნობონ ინფორმაცია საკუთარი განაცხადების შესახებ;
  - გ) კონკურენტი ბანკების ინსაიდერული ინფორმაციის ან მათგან მიღებული სხვა ინფორმაციის გამოყენებით განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომელიც აუქციონზე მათ ჩააყენებს დაუმსახურებელ უპირატეს მდგომარეობაში სხვა მონაწილეებთან და/ან მესამე პირებთან შედარებით;
  - დ) აუქციონზე გააკეთონ განაცხადები ერთმანეთის ნაცვლად და/ან ერთმანეთის სასარგებლოდ;
  - ე) თავიანთი კლიენტების განაცხადების ინფორმაცია გამოიყენონ აუქციონზე ბანკის საკუთარი განაცხადის გაკეთების პროცესში. ბანკმა შიდა პროცედურებით უნდა უზრუნველყოს თავისი კლიენტების განაცხადების დამუშავება ისე, რომ ეს ინფორმაცია არ იქნეს გამოყენებული ბანკის მიერ აუქციონზე საკუთარი სახელით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვამდე გადაწყვეტილებების მიღებისას.
3. ბანკებს ეკრძალებათ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ჩაერთონ მეორად ბაზარზე ისეთ სავაჭრო გარიგებებში, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფასებისა და საპროცენტო განაკვეთების მანიპულირებისაკენ.
4. ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებების აღმოჩენის ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე, თავის შეხედულებისამებრ ბანკი გარკვეული დროით აღარ დაუშვას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონებზე.

## 2.5 კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოეთის ბანკების ფილიალისათვის (შემდგომში – ბანკი) აწესებს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებსა და ნორმებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.
2. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები წესდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე და ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების მხარდაჭერის მიზნით.
3. ბანკებმა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შესაბამისი თანხები ამ წესის შესაბამისად უნდა იქონიონ ეროვნულ ბანკში შესაბამის ანგარიშებზე.
4. ამ წესის მიზნებისათვის დასაცავი მინიმალური რეზერვების თანხების დამრგვალება ხდება ერთეულ ვალუტამდე. ნახევარ ერთეულზე ნაკლები თანხა მხედველობაში არ მიიღება, ხოლო ნახევარი ერთეული და მეტი თანხა დამრგვალდება ერთ ერთეულამდე.

### მუხლი 2. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა

1. ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 10%.
2. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 15%, გარდა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისა.
3. ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 5%.

### მუხლი 3. მინიმალური რეზერვების გაანგარიშება

1. დასაცავი მინიმალური რეზერვების გაანგარიშება ხდება საშუალო მოზიდული სახსრების გამრავლებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე.
2. მოზიდული სახსრები მოიცავს ბანკის ვალდებულებებს მესამე პირების მიმართ, რომელიც ასახულია „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით“ განსაზღვრულ შემდეგ საბალანსო ანგარიშებზე:

- ა) ეროვნული ვალუტის შემთხვევაში: 3302, 3303, 3306, 3351-3353, 3402-3408, 3452-3458, 3502, 3521-3522, 3552, 3601-3608, 3651-3658, 3701-3703, 3801-3803, 3821-3826, 4301, 4502, 4504-4506, 4508, 4509;
  - ბ) უცხოური ვალუტის შემთხვევაში: 3312, 3313, 3316, 3361-3363, 3412-3418, 3462-3468, 3512, 3531-3532, 3562, 3611-3618, 3661-3668, 3711-3713, 3811-3813, 3834-3836, 4311, 4512, 4514-4516, 4518, 4519.
3. მოზიდულ სახსრებში არ გაითვალისწინება:
    - ა) ბანკის კაპიტალი და მასთან გათანაბრებული სახსრები;
    - ბ) სუბორდინირებული ვალი, რომელიც აკმაყოფილებს საზღვარსაღწევლო კაპიტალის პირობებს და ასეთად აღიარებულია ეროვნული ბანკის მიერ, მიუხედავად იმისა ჩართულია თუ არა საზღვარსაღწევლო კაპიტალის გაანგარიშებაში პირველად კაპიტალთან მიმართებაში ზღვრული მოცულობიდან გამომდინარე;
    - გ) ისეთი სახის ვალდებულებები, რომელთა ბალანსში ასახვა არ არის დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობასთან;
    - დ) განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა სახის ვალდებულებები, ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით;
    - ე) ეროვნული ბანკიდან და სხვა რეზიდენტი ბანკებიდან მიღებული ვალდებულებები.
    - ვ) ნარჩენი ვადიანობის მიხედვით, ეროვნული ვალუტით 365 დღისა და მეტი ვადიანობის, ასევე უცხოური ვალუტით 730 დღისა და მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები.
    - ზ) ბანკის მიერ გამოშვებული სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატები.
  - 3<sup>1</sup>. ნასესხებ სახსრებში შედის საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები და ბანკის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.
  4. საშუალო მოზიდული სახსრები არის საანგარიშო პერიოდში ბანკის მიერ მოზიდული სახსრების ანგარიშებზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს რიცხული ნაშთების საშუალო არითმეტიკული.
  5. აშშ დოლარისა და ევროს გარდა სხვა უცხოური ვალუტების ნაშთები მოზიდული სახსრებისა და შესაბამისი მინიმალური რეზერვების გაანგარიშებებში აისახება აშშ დოლარის ექვივალენტური თანხებით.
  6. საშუალო მოზიდული სახსრების გაანგარიშება ხდება ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით:
    - ა) ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრების მიხედვით;
    - ბ) ევროთი მოზიდული სახსრების მიხედვით;
    - გ) აშშ დოლარით და სხვა უცხოური ვალუტით (ევროს გარდა) მოზიდული სახსრების მიხედვით.
  7. საშუალო მოზიდული სახსრები გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდის მიხედვით.
  8. საანგარიშო პერიოდი არის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ორკვირიანი პერიოდი, რომელიც იწყება სამშაბათს და მთავრდება ორშაბათს.

#### მუხლი 4. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვა

1. ბანკმა მინიმალური რეზერვები უნდა განათავსოს და დასაცავი პერიოდის განმავლობაში ამ წესის შესაბამისად უნდა შეინარჩუნოს სარეზერვო ანგარიშებზე ეროვნულ ბანკში.
2. დასაცავი პერიოდი არის ორკვირიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მეჩვიდმეტე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს.
3. ყოველ საანგარიშო პერიოდს შეესაბამება ერთი დასაცავი პერიოდი.
4. სარეზერვო ანგარიშებია:
  - ა) აშშ დოლარის სპეციალური ანგარიში ეროვნულ ბანკში;
  - ბ) ევროს სპეციალური ანგარიში ეროვნულ ბანკში;
  - გ) ლარის ანგარიშსწორების ანგარიში ეროვნულ ბანკში.
  - დ) ლარის საკასო მომსახურების ანგარიში ეროვნულ ბანკში.
5. ბანკმა მინიმალური რეზერვების დაცვა უნდა განხორციელოს მოზიდული სახსრების შესაბამისი ვალუტით. ამასთან, აშშ დოლარის და ევროს გარდა სხვა უცხოურ ვალუტებში მოზიდული სახსრების მინიმალური რეზერვების დაცვა ხდება აშშ დოლარებში, აშშ დოლარის სარეზერვო ანგარიშზე.
6. ბანკი ვალდებულია:
  - ა) დასაცავი პერიოდში უცხოური ვალუტის სარეზერვო ანგარიშებზე ყოველდღიურად იქონიოს ამ პერიოდისათვის დასაცავი მინიმალური რეზერვი;
  - ბ) ეროვნული ვალუტის სარეზერვო ანგარიშზე იქონიოს ნაშთი იმგვარად, რომ დასაცავი პერიოდის ბოლოს დაანგარიშებული დასაცავი პერიოდის განმავლობაში არსებული საშუალო ნაშთი იყოს არანაკლებ ამ პერიოდისათვის დასაცავი მინიმალური რეზერვის ოდენობისა.
7. სამუშაო დღეებში მინიმალური რეზერვის მოცულობად ჩაითვლება სამუშაო დღის ბოლოს სარეზერვო ანგარიშზე არსებული ნაშთი, ხოლო არასამუშაო დღეებში ჩაითვლება წინა სამუშაო დღის ბოლოს არსებული ნაშთი.
8. (გაუქმებულია)
9. უცხოური ვალუტის სარეზერვო ანგარიშზე ფაქტობრივად არსებული ნაშთის შესაბამის მინიმალურ რეზერვთან მეტობის შემთხვევაში, გედმეტად რიცხულ თანხას დასაცავი პერიოდის დასრულების შემდგომ ეროვნული ბანკი ბანკს უბრუნებს შესაბამისი უცხოური ვალუტის საკორესპოდენტო ანგარიშზე ეროვნულ ბანკში.
10. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში, სარეზერვო ანგარიშებზე რიცხულ თანხებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი მთლიანად უბრუნებს ბანკს სალიკვიდაციო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაუქმდა ბანკის რეორგანიზაციასთან (შერწყმა, მიერთება) დაკავშირებით, მაშინ მოცემული თანხა უბრუნდება უფლებამონაცვლე ბანკს მის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

#### მუხლი 5. მინიმალურ რეზერვებზე პროცენტის დარიცხვა

1. უცხოური ვალუტის სარეზერვო ანგარიშზე არსებულ თანხაზე, მაგრამ არაუმეტეს მინიმალური რეზერვის თანხისა, ბანკს დაერიცხება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პროცენტი.
2. ეროვნული ვალუტის სარეზერვო ანგარიშებზე არსებული თანხაზე ან მის ნაწილზე, ბანკს დაერიცხება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პროცენტი, შემდეგი პირობებით:
  - ა) იმ შემთხვევაში, თუ დასაცავი პერიოდის საშუალო ნაშთი მეტია ან ტოლია დასაცავი მინიმალური რეზერვის თანხაზე, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება საშუალო ნაშთის იმ ნაწილზე, რომელიც გაიანგარიშება, როგორც დასაცავი მინიმალური რეზერვის შესაბამისი თანხა შემცირებული ეროვნულ ვალუტაში საშუალო მოზიდული სახსრების 5%-ის ოდენობის თანხით;
  - ბ) იმ შემთხვევაში, თუ დასაცავი პერიოდის საშუალო ნაშთი ნაკლებია დასაცავი მინიმალურ რეზერვის თანხაზე მაგრამ არა არის ნაკლები საშუალო მოზიდული სახსრების 5%-ის ოდენობის თანხაზე, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება მინიმალური რეზერვის იმ ნაწილზე, რომელიც გაიანგარიშება, როგორც დაცვის პერიოდის ფაქტობრივი საშუალო ნაშთის თანხა შემცირებული ეროვნულ ვალუტაში საშუალო მოზიდული სახსრების 5%-ის ოდენობის თანხით.
3. დარიცხული პროცენტების შესაბამისი თანხა ეროვნულ ვალუტაში ჩაირიცხება ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე ეროვნულ ბანკში, დასაცავი პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა. უცხოურ ვალუტაში დარიცხული პროცენტის შემთხვევაში ჩაირიცხვის დღეს მოქმედი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გათვალისწინებით.

#### მუხლი 6. ანგარიშგება და განსაკუთრებული პირობები

1. ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის კონტროლს აწარმოებს ეროვნული ბანკი.
2. ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს სპეციალურ ელექტრონულ მისამართზე წარუდგინოს ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელი პირის და ბანკის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ციფრული ხელმოწერით დამოწმებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ანგარიშგება ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ფორმით ყოველი დასაცავი პერიოდის დამთავრებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ციფრული ხელმოწერით დამოწმებული ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენა დასაშვებია ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელი პირის და ბანკის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის

ხელმოწერითა და ბანკის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამონმებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ანგარიშგების წერილობითი დოკუმენტის სახით ეროვნული ბანკისათვის მიწოდება.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ცალკეული ბანკის დროებითი ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში, ლიკვიდური სახსრების მწვავე უკმარისობის აღმოფხვრის მიზნით, ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის წინადადებით, ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის თანხმობით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ განსაზღვრული ვადებითა და პირობებით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან ვიცე პრეზიდენტი უფლებამოსილია ბანკი გაათავისუფლოს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვისაგან.
4. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვისაგან გაათავისუფლება ხდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

## 2.6 სესხების უზრუნველყოფის სახეობების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო ადგენს:

### მუხლი 1.

სესხის უზრუნველყოფის სახეობებს წარმოადგენს:

1. საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული, ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები.
2. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები.
3. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული, ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები.
4. კომერციული ბანკის სასესხო აქტივები.

### მუხლი 2.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ შეიძლება დაადგენოს ეროვნული ბანკისათვის მისაღები კრიტერიუმები, პირობები და გადაჭრის კოეფიციენტები სესხის უზრუნველყოფის თითოეული სახეობების მიხედვით.

### მუხლი 3.

ამ დადგენილების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია საქართველოში ფულადი ბაზრის განვითარებისა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ამოქმედების აუცილებლობით.

### მუხლი 4.

ეს დადგენილება ამოქმედდეს დაუყოვნებლივ.

## 2.7 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის წესი და პირობები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების (შემდგომში – ბანკი) დროებითი ფინანსური სიძნელეებისა და/ან ლიკვიდური სახსრების მწვავე უკმარისობის შემთხვევაში, საბანკო სექტორში სისტემური პრობლემებისა და კრიზისის შესაძლო განვითარების თავიდან აცილების მიზნით და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ ბანკისათვის ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის შემთხვევებსა და პირობებს.
- სესხი ეძლევა ისეთ ბანკს, რომელიც ითვლება გადახდისუნარიანად, შეექმნა ან ახლო მომავალში შეიძლება შეექმნას მნიშვნელოვანი ოდენობის ლიკვიდობის დროებითი უკმარისობა. ასევე, უნდა არსებობდეს არგუმენტირებული დასაბუთება ბოლო ინსტანციის სესხის აღების აუცილებლობის შესახებ.
- ბანკისათვის სესხის გაცემის გადაწყვეტილებას იღებს და სესხის გაცემის პირობებს ადგენს ეროვნული ბანკის საბჭო.

### მუხლი 2. ბოლო ინსტანციის სესხის ზოგადი პირობები

- ბოლო ინსტანციის სესხი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
  - სესხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს;
  - სესხის საპროცენტო განაკვეთი არ უნდა იყოს ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიანი სესხისათვის დადგენილ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები;
  - სესხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ განსაზღვრული სესხის უზრუნველსაყოფად მისაღები აქტივებით.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც შეიძლება საფრთხე შეექმნას ქვეყნის საფინანსო სისტემის სტაბილურობას, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია უფრო გრძელვადიანი, განსხვავებული საპროცენტო განაკვეთიანი და არაუზრუნველყოფილი სესხის გაცემა.

### მუხლი 3. სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღება

- ბოლო ინსტანციის სესხის გამოყოფის შესახებ ბანკი წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს.
- ბანკის წერილობით მიმართვა უნდა მოიცავდეს

ბანკის ლიკვიდობისა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმას, სესხის უზრუნველყოფისათვის შეთავაზებული გირაოს სრულ აღწერას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- ბოლო ინსტანციის სესხის გამოყოფის შესახებ ბანკის წერილობით მიმართვაზე, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (ერთეულები) ამზადებს და ეროვნული ბანკის საბჭოს წარუდგენს წერილობითი ინფორმაციას, რომელიც უნდა მოიცავდეს:
  - ბანკის მიმდინარე ლიკვიდობის, ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებას;
  - სესხის გირაოს სახეობიდან გამომდინარე ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის (საერთაშორისო ფასიანი ქაღალდებისა და საერთაშორისო საბანკო გარანტიების შემთხვევაში) და/ან საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის (ბანკის სხვა სახის გირაოს შემთხვევაში) დასკვნას ბანკის მიერ წარდგენილი გირაოს დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;
- წინადადებებს ბანკისათვის სესხის გაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.
- ეროვნული ბანკის საბჭო განიხილავს ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის შესახებ ბანკის მიმართვას და მის შესახებ მომზადებულ ინფორმაციას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
- ეროვნული ბანკის საბჭოს უფლება აქვს ბოლო ინსტანციის სესხის გაცემასთან დაკავშირებით ბანკს დაუწესოს სპეციალური მოთხოვნები და/ან სპეციალური შეღავათები.
- ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მიზგზის მითითების გარეშე უარი უთხრას ბანკს ბოლო ინსტანციის სესხის გაცემაზე.
- ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ამზადებს საკრედიტო ხელშეკრულების პროექტს და წარუდგენს ბანკს.
- ორივე მხარის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ეროვნული ბანკი გამოსცემს შესაბამის განკარგულებას და ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელებს სესხის გაცემის პროცედურას.
- ბოლო ინსტანციის სესხის პირობის და/ან პირობების ცვლილება ხდება იმავე პროცედურების დაცვით, როგორც სესხის გაცემა.

### მუხლი 4. სესხის პირობების დარღვევა

- ბანკის მიერ ბოლო ინსტანციის სესხის სრულ დაფარვამდე, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ეროვნული ბანკის საბჭოს პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას ბანკის მიერ სამოქმედო გეგმის და/ან საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ.
- ეროვნული ბანკის ფინანსური ბაზრების დეპარტამენტი აწარმოებს გაცემული ბოლო ინსტანციის სესხის დაფარვის მონიტორინგს და დაფარვის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და/ან ვიცე პრეზიდენტს და საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს დაუყოვნებლივ წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას.



3. ბანკის მიერ სამოქმედო გეგმის და/ან საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე საბანკო ზედამხედველობის სრტუქტურული ერთეული უფლებამოსილია საკითხი განსახილველად წარუდგინოს ეროვნული ბანკის საბჭოს.
4. ბანკის მიერ სამოქმედო გეგმის და/ან საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ბანკს მოსთხოვოს სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაუყოვნებელი და უპირობო დაფარვა.
5. სესხის სრულად და/ან ნაწილობრივ დაუფარაობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ბანკის აქტივიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

## 2.8 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დავალებით საქართველოს ეროვნულ ბანკში აკრედიტივებით ოპერაციების წარმოების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აღნიშნული წესი არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დავალებით დოკუმენტური აკრედიტივების გახსნისა და წარმოების პირობებსა და პროცედურებს.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. კლიენტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.
2. ბანკი – საქართველოს ეროვნული ბანკი.
3. აკრედიტივის განაცხადი – სპეციალური ფორმა, რომელსაც კლიენტი წარუდგენს ბანკს, და სადაც მითითებულია აკრედიტივის პირობები.
4. ოფიციალური გაცვლითი კურსი – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის მიმართ.
5. კორესპონდენტი ბანკი – ბანკი, სადაც ეროვნულ ბანკს გახსნილი აქვს ანგარიში და საიდანაც ხდება აკრედიტივთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.
6. აკრედიტივის ანგარიში – ანგარიში, რომელზეც დეპონირებულია აკრედიტივის უზრუნველყოფისათვის დაჭაფშული თანხები და რომელზეც აისახება აკრედიტივთან დაკავშირებული თანხის ყოველი მოძრაობა.
7. დაჭაფშული თანხები – აკრედიტივის დახურვამდე აკრედიტივის მოქმედების მთელი პერიოდის ვადით გაყინული თანხები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ აკრედიტივთან დაკავშირებული ხარჯების გასაწევად და რომლის გამოყენება არ შეიძლება სხვა მიზნებისათვის.

### მუხლი 3. განაცხადი აკრედიტივის გახსნაზე

1. კლიენტი ბანკში წარმოადგენს სპეციალურ განაცხადს ბანკის მიერ შემუშავებული ფორმით (დანართი N 1) აკრედიტივის გახსნის თაობაზე.
2. აკრედიტივის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილ სტანდარტებს (UCP, ISP, URR ბოლო ვერსია ან სხვა), რის შესახებაც უნდა მიეთითოს განაცხადში.
3. სწორად შევსებული აკრედიტივის განაცხადი უნდა მოიცავდეს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს; განაცხადის ყველა გვერდი, დანართების ჩათვლით, დამონშებული უნდა იყოს ორი უფლებამოსილი

4. პირის ხელმოწერით და ბეჭდით.
4. არასწორად შევსებული განაცხადი დაუბრუნდება კლიენტს.
5. აკრედიტივის პირობებში ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში კლიენტი ბანკს აცნობებს წერილობით, რომელიც დამონშებულია ორი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

### მუხლი 4. აკრედიტივის უზრუნველყოფა

1. აკრედიტივის უზრუნველყოფას წარმოადგენს:
  - ა) აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის ბანკში კლიენტის სპეციალურ (მიზნობრივ) სავალუტო ანგარიშზე დაჭაფშული თანხები;
  - ბ) აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის ბანკში კლიენტის სპეციალურ (მიზნობრივ) ანგარიშზე დაჭაფშული თანხები ეროვნული ვალუტით;
  - გ) ბანკში ხაზინის ერთიან ანგარიშზე აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის დაჭაფშული თანხები ეროვნული ვალუტით;
  - დ) საერთაშორისო საფინანსო (სუპრანაციონალური) ინსტიტუტის მიერ მიმღების ან მიმღების ბანკის სახელზე გაცემული საგარანტიო წერილი.
2. აღნიშნული უზრუნველყოფიდან ერთ-ერთის გამოყენების შესახებ მიეთითება აკრედიტივის განაცხადში.
3. პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში თანხების დაჭაფშნა ხდება აკრედიტივის თანხის ეკვივალენტური მოცულობით ლარებით, განაცხადის მიღების დღისათვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.
- 3<sup>1</sup> პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული უზრუნველყოფით გახსნილი აკრედიტივის შემთხვევაში, აკრედიტივის თანხის ანაზღაურების ვალდებულება გადადის საგარანტიო წერილის გამცემ ორგანიზაციაზე.
4. შესაბამისი უზრუნველყოფის არსებობა წარმოადგენს აკრედიტივის გახსნის პროცედურების დაწყების აუცილებელ პირობას.
5. ეროვნული ვალუტით აკრედიტივის თანხების დაჭაფშნის შემთხვევაში საკურსო სხვაობით გამოწვეული დანაკლისის შევსება მოხდება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს კლიენტის მიერ, ბანკის შეტყობინების საფუძველზე.
6. ეროვნული ვალუტით აკრედიტივის თანხების დაჭაფშნის შემთხვევაში საკურსო სხვაობით გამოწვეული ნამეტის დაბრუნება მოხდება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს ბანკის მიერ.

### მუხლი 5. აკრედიტივის გახსნა და თანხების ჩამოწერა

1. აკრედიტივის განაცხადის შესაბამისად ბანკი ხსნის აკრედიტივს და ახდენს განაცხადში მითითებული თანხების დეპონირებას (დაჭაფშნას) კორესპონდენტ ბანკში უცხოურ ვალუტაში შესაბამის მიზნობრივ ანგარიშზე.  
11 შესამე მხარის მიერ საგარანტიო წერილის საფუძველზე გახსნილი აკრედიტივის შემთხვევაში თანხების დეპონირება არ ხდება.
2. ბანკი უფლებამოსლია უარი განაცხადოს აკრედიტივის გახსნაზე, რაზეც წერილობით აცნობებს კლიენტს.
3. აკრედიტივის პირობების შესაბამისად კორესპონ-

დენტი ბანკის მიერ ბანკის ანგარიშიდან თანხების ჩამოწერისას, კლიენტის შესაბამისი ანგარიშიდან აკრედიტივის ძირითადი და მომსახურების (საკომისიო) თანხის ჩამოჭრას ბანკი ახორციელებს თავიდანვე, ანგარიშის პირდაპირი დებეტის გზით, თანხების ჩამოწერის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, რაც დაუყოვნებლივ აისახება შესაბამისი აკრედიტივის ანგარიშზე.

- ინფორმაცია აკრედიტივის ანგარიშზე თანხების ყოველი მოძრაობის შესახებ კლიენტს გაეგზავნება იმავე საბანკო დღის განმავლობაში.
- იმ შემთხვევაში, თუ კურსის ცვლილებით წარმოიშობა დანაკლისი, ხოლო კლიენტი ვერ უზრუნველყოფს თანხების საკმარისობას შესაბამისი ანგარიშზე ყოველი თვის ბოლოსათვის, ან თანხების ჩამოწერა მოხდება თვის განმავლობაში, დანაკლისის თანხას ბანკი აინაზღაურებს აკრედიტივის განაცხადში მითითებული ანგარიშიდან, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს კლიენტს.

- ბანკს აქვს უპირობო და უპირატესი უფლება აკრედიტივებთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს აკრედიტივის ანგარიშზე დაჯავშნილი თანხებიდან და კლიენტის ანგარიშებზე რიცხული ნებისმიერი სხვა თანხებიდან, ან მომავალ პერიოდში მიღებული შემოსულობებიდან.

## მუხლი 6. აკრედიტივის მომსახურების ხარჯები

- ბანკი არ იღებს საკომისიო აკრედიტივით ანგარიშსწორებისას უშუალოდ მის მიერ განეული მომსახურებისათვის.
- კლიენტი აანაზღაურებს მხოლოდ კორესპონდენტი ბანკის ან აკრედიტივით ანგარიშსწორების მონაწილე სხვა ბანკის მიერ დაკავებულ საკომისიო და სხვა მომსახურების ხარჯებს.

## საქართველოს ეროვნულ ბანკს

სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი  
საერთაშორისო ანგარიშსწორების განყოფილება  
ლენინის ქ. 3/5 0105, თბილისი, საქართველო  
ტელ: 442 494 ფაქსი 999 885  
E-mail: backoffice@nbg.gov.ge

განაცხადის N

ფორმა ივსება ინგლისურ ენაზე

\* ნიშნით აღნიშნული მინდვრების შევსება აუცილებელია

## გამოუთხოვადი დოკუმენტური აკრედიტივის განაცხადი

გთხოვთ ქვემოთ მოცემული პირობებით SWIFT-ის საშუალებით გახსნით გამოუთხოვადი დოკუმენტური აკრედიტივი

\* აკრედიტივის სახე / from of Documentary Credit

- დადასტურებული / Confirmed  დაუდასტურებელი / Unconfirmed  გადაცემადი / Transferable  
 Standby

\* აკრედიტივის წესები / Applicable rules

- UCP Latest Version  ISP Latest Version  სხვა / Other

\* განმცხადებელი / Applicant

\* განმცხადებლის მისამართი / Applicant's Address

\* მიმღები / Beneficiary

\* მიმღების მისამართი / Beneficiary's Address

\* მიმღების ბანკი / Advising Bank

\* SWIFT Code

\* მიმღების ანგარიშის N / Beneficiary's Account N

\* აკრედიტის მოქმედების ვადა  
Expiri Date (DD/MM/YYYY)

\* ვალუტა / Currency  თანა ციფრებით/Amount in Figures

\* თანხა სიტყვიერად/ Amount in words

გადახრა თანხიდან +  % -  %  
Tolerance

\* საკომისიო ანაზღაურება/ Charges will be beared by

განმცხადებლის მიერ Applicant  მიმღების მიერ Beneficiary  სხვა Other

\* გადახდის ფორმა / Available by

დოკუმენტების წარდგენისათვის/Sight paymet  აქცეპტირებით / Acceptance  
 ნაწილობრივი მიწოდება / Partial shipment

ნეგოციაციით / Negotiation

დასაშვებია / Allowed  არ არის დასაშვები / not allowed

გადატვირთვა /Transshipment

დასაშვებია/allowed  არ არის დასაშვები / not allowed

ტრანსპორტირება დან:  დანიშნულების ადგილი   
Shipment From Transportation to

მიწოდების ბოლო ვადა / Latest date of shipment DD/MM/YYYY

მიწოდების პირობები / Terms of Delivery

\* პროდუქციის აღწერა / Description of Goods:

\* წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი/Documents Required

Commercial Invoice in one original and  copies  Packing List in one original and  copies  
 Delivery Receipt  Marine/ Ocean Bill of Lading  Air Waybill  Waybill  
 Multimodal Transport Document, covering at least two different modes of transport  
 Other Documents

სერტიფიკატები / Certificats

Origin  Health  Insurance  Inspection Other

\* დამატებითი ინსტრუქციები / Additional Instructions

\* განმცხადებელი ორგანიზაციის საკონტაქტო პირების მონაცემები:

სახელი/გვარი  ტელ  E-mail

\* განმცხადებელი

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური აკრედიტაციის მომსახურების  
ხარჯები და ძირითადი თანხა დაფარეთ ანგარიშიდან

აკრედიტაციის თანხა დაჯავშნეთ

1. ხელმოწერა .....

ბ.ა.

2. ხელმოწერა .....

1. ხელმოწერა .....

ბ.ა.

2. ხელმოწერა .....

---

## 3 მემბრედეველობა დო რეგულირებო

3.1 საბანკო მემბრედეველობა	141
3.2 საკრედიტო კავშირების მემბრედეველობა	274
3.3 ფასიანი ქალაქების ბაზრის მემბრედეველობა	300
3.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ფულადი გზავნილების განმარტოციელებელი პირების დო კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მემბრედეველობა	417

## 3.1 საბანკო ზედამხედველობა

3.1.1	კომერციული ბანკების ლიცენზირების წესი	142
3.1.2	კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ	145
3.1.3	დებულება კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ	146
3.1.4	ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება	150
3.1.5	კომერციული ბანკების მიერ ფილიალის, განყოფილების (სერვისცენტრის) და წარმომადგენლობის შექმნის წესი	157
3.1.6	დებულება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ	161
3.1.7	კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება	167
3.1.8	კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი	195
3.1.9	კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება	198
3.1.10	კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი	200
3.1.11	კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი	209
3.1.12	დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე	214
3.1.13	კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულება	241
3.1.14	კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი	245
3.1.15	დებულება კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ	253
3.1.16	კომერციული ბანკების გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი	257
3.1.17	კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესი	261
3.1.18	კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესი	263
3.1.19	კომერციული ბანკის გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესი	266
3.1.20	კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი	267

### 3.1.1 კომერციული ბანკების ლიცენზირების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ კომერციული ბანკების, უცხოური სანდო ბანკის ფილიალის, უცხოური ბანკის ფილიალის და შვილობილი ბანკის ლიცენზირების საკითხებს.
- ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირზე, რომლის განაღდებული და განცხადებული კაპიტალის ოდენობა და საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად დაკავებული ფართობი აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ადმინისტრატორი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი შეესაბამებინა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ კომერციული ბანკის ადმინისტრატორისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის შესაფერისობის კრიტერიუმებს.
- უცხოური ბანკის ფილიალის/შვილობილი კომპანიის ლიცენზირება შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წესით, თუ განმცხადებელი წარმოადგენს განსაკუთრებულად სანდო ბანკს, კერძოდ, თუ ის ხასიათდება მაღალი ცნობადობით, ძლიერი რეპუტაციით, მაღალი საკრედიტო რეიტინგით, საფინანსო სექტორში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილებით, მდგრადი ფინანსური მაჩვენებლებითა და მაღალი დონის გამჭვირვალობით.
- სანდო უცხოური ბანკის საქართველოს ბაზარზე შემოსვლის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი ინდივიდუალურად განსაზღვრავს იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულმა უცხოური ბანკის ფილიალმა/შვილობილმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს, მინიმუმ ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

#### მუხლი 2. კომერციული ბანკის სალიცენზიო პირობები

- დაინტერესებული იურიდიული პირი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს. წერილობითი მიმართვა წარმოდგენილი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების მიერ უფლებამოსილი პირის მიერ. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- წერილობით მიმართვას (გარდა უცხოური სანდო ბანკის ფილიალისა) თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია და ინფორმაცია:
  - ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - სადაამუშებლო დოკუმენტების დედნები ან მათი სანოტარო წესით, აპოსტილით დამონშეული ან/და ლეგალიზებული ასლები;
  - ინფორმაცია ადმინისტრატორების „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;
  - დაინტერესებული იურიდიული პირის ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მონაცემებს განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და საზედამხებველო კაპიტალის საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ.
  - „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 81 მუხლით გათვალისწინებული შესაფერისობის დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;
  - დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც მომავალში განთავსდება კომერციული ბანკი ან მისი ფილიალი;
  - „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად.
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დასაბუთებულად მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, მათ შორის:
  - ინფორმაცია კომერციული ბანკის მფლობელობის სტრუქტურის შესახებ, მოცემული ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;
  - ინფორმაცია კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის შესახებ მოცემული ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად;
  - სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია, მოცემული ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად;
  - კომერციული ბანკის ბიზნეს-გეგმა, მოცემული ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.
- უცხოური ბანკის ფილიალზე (გარდა უცხოური სანდო ბანკის ფილიალისა) და შვილობილ ბანკზე საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავად ბანკი უფლებამოსილია სათავო დაწესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოიზიდოს დეპოზიტები. ასეთ შემთხვევაში ლიცენზია გაიცემა განაცხადის საფუძველზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დო-

- კუმენტები:
- ა) იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხებდველო ორგანოს თანხმობა/სარეკომენდაციო წერილი საქართველოში ფილიალის გახსნის ან შვილობილი ბანკის დაფუძნების შესახებ, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული;
  - ბ) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - გ) სათავო ბანკის უფლებამოსილი ორგანოს სანოტარო წესით, აპოსტილით დამონმებული ან/და ლეგალიზებული გადაწყვეტილება ფილიალის გახსნის ან შვილობილი ბანკის დაფუძნების შესახებ;
  - დ) აუდიტორული კომპანიის დასკვნა სათავო ბანკის ბოლო სამი წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
  - ე) ინფორმაცია ადმინისტრატორების „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;
  - ვ) ინფორმაცია სათავო ბანკის მიერ ფილიალისათვის ან შვილობილი ბანკისათვის გამოყოფილი რესურსის ოდენობის შესახებ;
  - ზ) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - თ) კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი „კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად;
5. ეროვნული ბანკი უცხოური სანდო ბანკის ფილიალზე საბანკო საქმიანობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:
- ა) დამფუძნებელი ბანკის განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
  - ბ) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - გ) იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხებდველო ორგანოს თანხმობა საქართველოში ფილიალის გახსნაზე, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული;
  - დ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ დამფუძნებელ ბანკს, მინიჭებული რეიტინგის თანახმად, ამ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ენიჭება უცხოური სანდო ბანკის სტატუსი;
  - ე) ფილიალის ადმინისტრატორების დანიშვნის აქტი;
  - ვ) იმ პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარადგენს ამ პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.
  - ზ) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. კომერციული ბანკის მფლობელობის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მონაცემებს მფლობელობის ყველა დონის შესახებ უშუალო აქციონერების, შუალედური მფლობელებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარების ჩათვლით. კერძოდ, ასეთი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:
- ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:
    - ა.ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში აპოსტილით დამონმებული ან ლეგალიზებული ასლი.
    - ა.ბ) ინფორმაცია მოქალაქეობის და რეზიდენტობის შესახებ;
    - ა.გ) დეტალური ავტობიოგრაფია;
    - ა.დ) საქართველოში მიმდინარე პერიოდში ან წარსულში მოქმედ კომერციულ ბანკში წილის ოდენობა და სხვა ბიზნეს ინტერესები საქართველოს ტერიტორიაზე;
    - ა.ე) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
    - ა.ვ) მონაცემები ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლის წყაროსა და ამ შემოსავლის წარმომავლობის შესახებ;
    - ა.ზ) საგადასახადო დეკლარაცია შემოსავლების შესახებ;
  - ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში:
    - ბ.ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები;
    - ბ.ბ) უახლესი პერიოდის (კვარტლის) აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება;
    - ბ.გ) ნასამართლეობის ცნობა.
7. ინფორმაცია კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის შესახებ უნდა მოიცავდეს:
- ა) ინფორმაციას პირის განათლების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
  - ბ) ცნობას ნასამართლეობის შესახებ;
  - გ) ინფორმაციას გადახდისუნარიანობის/გადახდისუნარიანობის თაობაზე;
  - დ) ინფორმაციას კომერციული ბანკების წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების, მათ შორის, ვადაგადაცილებული სესხების შესახებ;
  - ე) ინფორმაციას აქციონერებთან ან პოტენციურ ადმინისტრატორებთან ნათესაური კავშირის შესახებ.
8. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:
- ა) კორპორაციული მართვის დებულებას;
  - ბ) ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მენეჯმენტის სამუშაოს აღწერილობას;
  - გ) საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და სხვა რელევანტური რისკების მართვის ჩარჩოს;
  - დ) კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების მოდელს;
  - ე) ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშებას ბიზნეს გეგმაში წარმოდგენილ ბიუჯეტზე დაყრდნობით;
  - ვ) სააღრიცხვო პოლიტიკას.
9. ბიზნეს გეგმა უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:
- ა) კომერციული ბანკის ბიზნეს სტრატეგიას;
  - ბ) ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის პოტენციურ გავლენას კომერციული ბანკის ბიზნეს სტრატეგიაზე;
  - გ) მიზნობრივი ბაზრის აღწერასა და საკუთარი კონკურენტუნარიანობის შეფასებას;
  - დ) საბიუჯეტო გეგმასა და ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზს;
  - ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების სანყის ეტაპზე დასაწერ გეგმასა და მომდევნო საოპერაციო პერიოდში დანერგვის გეგმას.
10. ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნას დედნების ან მათი სანოტარო წესით, აპოსტილით დამონმებული ან/და



- ლეგალიზებული ასლების სახით.
- ლიცენზირების პროცესში წარმოდგენილი უნდა იქნას იმ ჯგუფის დეტალური აღწერა, რომლის ნაწილიც უნდა გახდეს კომერციული ბანკი ლიცენზირების შემთხვევაში. აღნიშნული ჯგუფის სტრუქტურა მისაღები უნდა იყოს ეროვნული ბანკისათვის. კერძოდ, ჯგუფის სტრუქტურა არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ შეიძლება შეაფერხოს მისი ზედამხედველობა. ლიცენზირებული კომერციული ბანკი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ მოთხოვნას მუდმივად.

### მუხლი 3. გადანყვეტილება ლიცენზირების შესახებ

- საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადანყვეტილებას იღებს მხოლოდ ეროვნული ბანკი.
- საბანკო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით და მისი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.
- ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღების მიზნით შეისწავლის წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და აფასებს დაინტერესებული იურიდიული პირის ბიზნეს-გეგმის ადეკვატურობასა და განხორციელებადობას, მის პოტენციურ პოზიციას საბანკო სექტორში და მისი მდგრადი ფუნქციონირების შესაძლებლობას.
- საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შესახებ წერილობითი მიმართვის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში ეროვნული ბანკი დაინტერესებულ იურიდიულ პირს წერილობით აცნობებს საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით დასაბუთებულ უარის ან თანხმობის შესახებ.
- თუ დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის ან ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ იურიდიულ პირს განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომლის განმავლობაშიც ჩერდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული იურიდიული პირისათვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემისას დაურთოს მას გარკვეული პირობები და შეზღუდვები, თუ სრულად არ არის დაკმაყოფილებული „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

### მუხლი 4. კომერციული ბანკების შერწყმა(გაერთიანება, მიერთება) და გაყოფა(დაყოფა, გამოყოფა)

- კომერციული ბანკების გაერთიანება შეიძლება მოხდეს ორი ან ორზე მეტი ბანკის მიერ ეროვნულ-

- ლი ბანკის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.
  - ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს განცხადებასთან ერთად უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
    - შესაბამისი კომერციული ბანკების პარტიორთა საერთო კრებების გადანყვეტილება გაერთიანების შესახებ;
    - კომერციული ბანკების აუდიტის კომიტეტის აქტები ბოლო პერიოდისათვის;
    - ბანკების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ახალი ბანკის ბალანსის პროექტი;
    - მომავალი კომერციული ბანკის ბიზნეს-გეგმა და გაერთიანების ეკონომიკური დასაბუთება;
    - ბანკის შინაგანაწესი (დამონმბებული წესდების შესაბამისად);
  - ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების განხილვის შემდგომ არაუგვიანეს ერთი თვისა ეროვნული ბანკი მიიღებს გადანყვეტილებას და წერილობით აცნობებს ამის თაობაზე კომერციულ ბანკებს.
  - თუ კომერციული ბანკების გაერთიანება დადებითად იქნა შეფასებული, მაშინ დამატებით, კომერციული ბანკის ლიცენზირებისათვის საჭიროა წარმოდგენილ ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად მოთხოვნილი დოკუმენტაცია.
  - ლიცენზიის გაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღება ხორციელდება ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესის მიხედვით.
  - გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი კომერციული ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის დადგენილი მინიმალური სარეგვრო მოთხოვნებს.
  - იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ერთი კომერციული ბანკის მიერ მეორე კომერციული ბანკის მიერთება მაშინ ეროვნული ბანკის თანხმობის მისაღებად განცხადებას თან უნდა დაერთოს:
    - ბანკების საერთო კრების გადანყვეტილება მიერთების თაობაზე;
    - ბიზნეს-გეგმა, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტების (ბალანსები, ანგარიშგებები) პროექტებს ერთი ბანკის მიერთებისას მეორეზე.
  - ბანკების მიერთების საკითხის დადებითად გადანყვეტის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიერთებული კომერციული ბანკის საბანკო საქმიანობის ლიცენზია ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო იმ კომერციული ბანკის საბანკო საქმიანობის ლიცენზია რომელმაც მიიერთა მეორე უცვლელი რჩება.
  - არ დაიშვება CAMEL-ის კომპოზიტიური რეიტინგის მეოთხე და მეხუთე კატეგორიების კომერციული ბანკების მიერ სხვა კომერციული ბანკების ან მათი ფილიალების შერწყმა (მიერთება).
  - კომერციული ბანკის გაყოფა ორ ან რამდენიმე კომერციულ ბანკად განხილდება როგორც ახალი კომერციული ბანკების წარმოქმნა და შესაბამისად მათი ლიცენზირება უნდა მოხდეს ამ წესის თანახმად.

### 3.1.2 კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, შესაძლო რისკების მაქსიმალურად თავიდან აცილების და კომერციული ბანკების კაპიტალის ამაღლებისა და მინიმალური კაპიტალის ოდენობის საერთაშორისო ნორმებთან მიახლოების მიზნით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე და 73-ე მუხლებისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-19, 21-ე და 30-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად ვბრძანებ:

1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი კომერციული ბანკებისა და უცხოური კომერციული ბანკების ფილიალებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს 12 (თორმეტი) მილიონი ლარით.
2. საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს:
  - ა) არანაკლებ 9.2 (ცხრა მილიონ ორასი ათასი) მილიონ ლარს 2006 წლის 31 ეკემბრისათვის;
  - ბ) არანაკლებ 12 (თორმეტი) მილიონ ლარს 2007 წლის 30 ივნისისათვის.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დადგომამდე საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 7.8 (შვიდი მილიონ რვაასი ათასი) მილიონ ლარს.
4. საზედამხედველო კაპიტალის ზრდა განხორციელდეს მხოლოდ ფულადი ფორმით და მხოლოდ საქართველოს ეროვნული ვალუტით.
5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 25 მაისის N124 და 2003 წლის 23 დეკემბრის N297 ბრძანებები.
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

### 3.1.3 დებულება კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკისა და უცხოეთის ბანკის ფილიალის (შემდგომში – ბანკი) ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს და შესაფერისობის თაობაზე ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკისათვის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) წარმოდგენის საკითხებს.
- ბანკის ადმინისტრატორები საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი არიან მიღებული დეპოზიტების საიმედოობისა და უსაფრთხოების, საბანკო მომსახურების დროულად და სრულყოფილად წარმოებისათვის, ბანკის ეფექტიანად და მომგებიანად მართვისათვის.
- საბანკო მომსახურების განხორციელებისათვის ბანკის ადმინისტრატორები უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით.
- ბანკის ეფექტიანად მართვისა და დეპოზიტორთა ნდობის მოპოვების აუცილებელი წინაპირობაა, ბანკის ადმინისტრატორებს ჰქონდეთ საბანკო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელი სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.
- ბანკის ადმინისტრატორები ვალდებული არიან პირად და ბანკის ინტერესებზე მალლა დააყენონ დეპოზიტორთა ფულადი სახსრების დაცვის საიმედოობა და უსაფრთხოება, ვინაიდან ბანკის ადმინისტრატორთა საქმისადმი არაპროფესიონალურმა და არაკეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბანკის გადახდისუნარიობა და გაკოტრება, საფრთხე შეუქმნას დეპოზიტორთა ფულად სახსრებს და შეასუსტოს საზოგადოების ბანკებისადმი ნდობა, რაც საბანკო სისტემის სტაბილურობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.
- ბანკს უფლება აქვს მიიღოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია და აწარმოოს საბანკო საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ადმინისტრატორები აკმაყოფილებენ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.
- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს, არ შეიძლება დაინიშნოს ბანკის ადმინისტრატორად, ან/და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს – აქ-

ციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა გათავისუფლდეს ბანკის ადმინისტრატორის თანამდებობიდან.

- ბანკის აქციონერთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო თავისი საზედამხედველო და მმართველობითი უფლებამოსილების გამოყენებით ვალდებულია, უზრუნველყოს ბანკის ადმინისტრატორებად ისეთი პირების დანიშვნა, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დებულებით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.
- ბანკის აქციონერთა საერთო კრებამ და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განახორციელონ სხვადასხვა მმართველობითი ორგანოს ისეთი წევრებით დაკომპლექტება, რომ მათი გამოცდილება უზრუნველყოფდეს მმართველობითი ორგანოს ჭამურ შესაბამისობას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებას.
- ამ დებულების მოთხოვნები ეხებათ ბანკის შემდეგ ადმინისტრატორებს:
  - ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს;
  - ბანკის აუდიტის კომიტეტის წევრებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად ან ერთ ან/და ერთზე მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით აიღონ ვალდებულებები;
  - ბანკის დირექტორატის წევრებს;
  - ბანკის ფილიალის და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფის ხელმძღვანელს, მის მოადგილესა და მათი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებს;
  - ბანკის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს;
  - ბანკის სხვა ადმინისტრატორებს, რომლებიც ბანკის შინაგანანგესით უფლებამოსილი არიან საბანკო საქმიანობის განხორციელებისას (მათ შორის კონკრეტული საქმიანობის ხელმძღვანელობისას) დამოუკიდებლად ან/და ერთ ან მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით იკისრონ ვალდებულებები.

#### მუხლი 2. ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმები

- ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმები ეფუძნება პირის კვალიფიციურობას, პროფესიულ გამოცდილებას, კომპეტენტურობასა და საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.
- ადმინისტრატორის თანამდებობაზე დასანიშნი პირი ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, აუდიტის კომიტეტის წევრს, დირექტორატის წევრს, ფილიალის და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფის ხელმძღვანელსა და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ისეთი სპეციალობით, როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, საბუღალტრო საქმე ან სამართლმცოდნეობა;
  - ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უნდა ჰქონ-

- ნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს სხვადასხვა გამოცდილებისა და უნარის ერთობლიობას, რაც შესაბამისაა ბანკის საქმიანობის მასშტაბებსა და კომპლექსურობას;
- გ) ბანკის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ისეთი სპეციალობით, როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი და საბუღალტრო საქმე;
- დ) ბანკის დირექტორატის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, რისთვისაც მას უნდა ჰქონდეს საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 4 წლის სტაჟი, მათგან ხელმძღვანელ თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე) მუშაობის 2 წლის სტაჟი;
- ე) ბანკის ფილიალის დირექტორსა და მის მოადგილეს, (ბანკის განყოფილების (სერვის-ცენტრის)) ხელმძღვანელსა და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, რისთვისაც მათ უნდა ჰქონდეთ საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 3 წლის სტაჟი, მათგან ხელმძღვანელ თანამდებობებზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე) მუშაობის – 1 წლის სტაჟი;
- ვ) ბანკის მთავარ ბუღალტერსა და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეთ საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 3 წლის სტაჟი;
- ზ) ბანკის ფილიალის მთავარ ბუღალტერს და მის მოადგილეს უნდა ჰქონდეთ საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 2 წლის სტაჟი;
- თ) დასანიშნი პირი – დირექტორი, ბანკის ფილიალის და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათი უფლებამოსილების განმარტაციულზელი პირები, ბანკის მთავარი ბუღალტერი და მისი მოადგილე, არ უნდა იყოს ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტის კომიტეტის წევრი ან/და სხვა კომერციული ბანკის, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან/და სხვა საწარმოს ადმინისტრატორი;
- ი) დასანიშნი პირი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, არ უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკის ადმინისტრატორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას უკავია ადმინისტრატორის თანამდებობა ამ ბანკის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ბანკში ან ბანკში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მოცემული კომერციული ბანკი;
- კ) დასანიშნი პირი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრი საქართველოში რეგისტრირებული შვიდზე მეტ საწარმოში;
- ლ) დირექტორატის, სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის წევრი არ უნდა იყოს ამავე ბანკის დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის I და II რიგის მემკვიდრე;
- მ) ბანკის მთავარი ბუღალტერი და მისი მოადგილე არ უნდა იყვნენ ამავე ბანკის დირექტორის ან მისი

- მოადგილის I და II რიგის მემკვიდრე.
3. ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების მიხედვით პირს ეკრძალება იყოს ბანკის ადმინისტრატორი, თუ:
- ა) მონაწილეობდა ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომერციულ ბანკს ან არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებას – საკრედიტო კავშირს და შელახა კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის დებოზიტორთა ან სხვა კრედიტორთა უფლებები, ან/და გამოიწვია კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება;
- ბ) კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებაში – საკრედიტო კავშირში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებები;
- გ) წარსულში იყო კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ადმინისტრატორი და მისი საქმიანობის შედეგად კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი გადახდისუნარო გახდა;
- დ) კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის მიმართ არ შეასრულა ერთი ან მეტი ფინანსური ვალდებულება;
- ე) გამოცხადებულია გადახდისუნაროდ;
- ვ) ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
- ზ) სასამართლომ ცნო ქმედუნაროდ;
- თ) არ აქვს საკმარისი განათლება და გამოცდილება მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად. ადმინისტრატორის განათლებისა და გამოცდილების დონე შესაბამისობაში უნდა იყოს ბანკისა და უშუალოდ მისი ფუნქციების მასშტაბებთან და კომპლექსურობასთან.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით ადგენს თავად ბანკი.
5. ბანკის ადმინისტრატორები აკმაყოფილებენ ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს, თუ ისინი სრულყოფილად ასრულებენ ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და არ ექცევიან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი აკრძალვების ქვეშ.

### მუხლი 3. კომერციული ბანკის ვალდებულება

1. ბანკი ვალდებულია თავის შინაგანანგწესში ბანკის მართვის სხვა საკითხებთან ერთად დეტალურად განსაზღვროს:
- ა) ბანკის ადმინისტრირებისთვის თანამდებობაზე დანიშნვის პროცედურები;
- ბ) ბანკის ადმინისტრატორების შესაფერისობის კრი-

ტერიუმები ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

- გ) საბანკო საქმიანობის განხორციელებისას ბანკის ადმინისტრატორთა მოვალეობები კონკრეტული საქმიანობის წარმოებისას და უფლება დამოუკიდებლად ან/და ერთ ან მეტ პირთან ბანკის სახელით იკისრონ ვალდებულებები;
  - დ) ბანკის ის სტრუქტურული ერთეული (ან თანამდებობა), რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადმინისტრატორის თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურების დაცვისათვის.
2. ბანკი ადმინისტრატორის დანიშვნისას ვალდებულია:
- ა) ადმინისტრატორის თანამდებობაზე დანიშნამდე პირის შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით იქონიოს დასანიშნი პირის შესახებ ამ დებულებით დადგენილი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობისა და სიზუსტის დეტალური შემოწმება;
  - ბ) ბანკის ადმინისტრატორად დანიშნამდე განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა დასანიშნი პირი ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს;
  - გ) არ დაანიშნოს ან თანამდებობიდან გაათავისუფლოს ადმინისტრატორი იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა, რომ დასანიშნი ან დანიშნული პირი არ აკმაყოფილებს დებულებით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს;
  - დ) ბანკის ადმინისტრატორების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის განსაზღვრის შემდეგ, მათი დანიშნამდე სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე, ეროვნულ ბანკისგან შესაბამისი თანხმობის მიღების მიზნით, წარუდგინოს ადმინისტრატორების შესახებ ამ დებულებით დადგენილი სრული დოკუმენტაცია და წერილობით დაადასტუროს, რომ იგი პასუხისმგებელია წარდგენილი ინფორმაციის უტყუარობისა და სიზუსტისათვის;
3. ბანკის ადმინისტრატორების შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ ბანკის მიერ ეროვნულ ბანკისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:
- ა) დასანიშნი ადმინისტრატორის ზემდგომი სტრუქტურული ერთეულის წერილობით განცხადებას, რომ მათ მიერ შემოწმებულია ადმინისტრატორის შესახებ არსებული ინფორმაცია, იგი აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს და რომ მათ მიერ წარდგენილი ინფორმაცია უტყუარია და ზუსტი;
  - ბ) ადმინისტრატორის წერილობით განცხადებას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს და მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია უტყუარია და ზუსტი;
  - გ) ადმინისტრატორის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;
  - დ) ადმინისტრატორის კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელ ინფორმაციას (დანიშვნის თარიღისათვის განახლებული კადრების აღრიცხვის ფურცელი, ამონაწერი შრო-

მის წიგნაკიდან და/ან წინა სამუშაო ადგილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები).

- ე) ინფორმაციას ადმინისტრატორის ვალების შესახებ;
  - ვ) 2 სარეკომენდაციო წერილს (გაცემულს იმ პირთა მიერ, რომლებთანაც მუშაობდა დასანიშნი პირი);
  - ზ) ცნობას ნასამართლობის შესახებ რეზიდენტი პირებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო არარეზიდენტი პირებისათვის შესაბამისი ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოდან, ლეგალიზებულს ან აპოსტილით დამოწმებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ბანკი უფლებამოსილია დანიშნოს პირი ადმინისტრატორად მხოლოდ ამ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.
5. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადმინისტრატორის თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი არის:
- ა) სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის დაქვემდებარებული პირებისათვის – სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის თარიღი;
  - ბ) სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის არდაქვემდებარებული პირებისათვის – ბანკის შესაბამისი დოკუმენტის (ოქმი, ბრძანება და სხვ.) გამოცემის თარიღი.
6. ბანკმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს:
- ა) ყოველწლიურად 31 იანვრამდე, ინფორმაცია მოქმედი ადმინისტრატორების ვალების შესახებ 1 იანვრის მდგომარეობით;
  - ბ) მოქმედი ადმინისტრატორების მიერ თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
7. ბანკი ვალდებულია ეროვნული ბანკის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს უკვე დანიშნული ადმინისტრატორი დაკავებული თანამდებობიდან, თუ ეროვნულმა ბანკმა გამოავლინა, რომ იგი არ აკმაყოფილებს შესაფერისობის კრიტერიუმს.

#### მუხლი 4. ეროვნული ბანკის უფლებები

- 1. ეროვნული ბანკი ამოწმებს აკმაყოფილებენ თუ არა ბანკის ადმინისტრატორები ამ დებულებით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.
- 2. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრატორის შესახებ წერილობითი დოკუმენტების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში ეროვნული ბანკი აძლევს თანხმობას ან ეუბნება დასაბუთებულ უარს ადმინისტრატორის დანიშვნის თაობაზე.
- 3. შესაფერისობის კრიტერიუმებთან ადმინისტრატორთა შესაბამისობის შემოწმების მიზნით ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დეტალურად შეამოწმოს ადმინისტრატორის შესახებ ბანკის მიერ წარდგენილი ინფორმაციის უტყუარობა და სიზუსტე, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: გადაამოწმოს, დააზუსტოს ან/და მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, გაესაუბროს კანდიდატს. ამ შემ-

თხვევაში საკითხის სირთულიდან გამომდინარე, პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაგრძელდეს 10 (ათი) სამუშაო დღემდე და ამის შესახებ უნდა ეცნობოს ბანკს.

4. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვე-პუნქტით განსაზღვრული წერილობითი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი პირის ადმინისტრატორად დანიშვნაზე თანხმობის მიცემას.
5. იმ შემთხვევაში თუ ბანკის მიერ სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი ადმინისტრატორის დასანიშნად ეროვნული ბანკის თანხმობის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტები, მაშინ ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკს განუსაზღვროს დამატებითი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ პერიოდში ჩერდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. ბანკის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის უშედეგოდ გაშვება ნიშნავს ეროვნული ბანკის ავტომატურ უარს ადმინისტრატორის დანიშვნის თაობაზე.
6. ადმინისტრატორის დანიშვნის თაობაზე ბანკის გადაწყვეტილება ბათილია, თუ ბანკმა ეროვნულ ბანკს არ წარუდგინა ამ დებულებით გათვალისწინებული წერილობითი დოკუმენტები ან წარუდგინა არასწორი/არაზუსტი ინფორმაცია ან ეროვნული ბანკისაგან მიიღო დასაბუთებული უარი, მაგრამ მაინც დანიშნა პირი ადმინისტრატორად.
7. უკვე დანიშნული ბანკის ადმინისტრატორის ამ დებულებით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ასეთ ადმინისტრატორს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება და წერილობით მოსთხოვოს ბანკს მისი დაკავებული თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან გათავისუფლება.
8. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკის სიდიდისა და კომპლექსურობიდან, ასევე დასაკავებელი თანამდებობის თავისებურებებიდან გამომდინარე თითოეულ ადმინისტრატორზე დააწესოს დამატებითი ინდივიდუალური მოთხოვნები.
9. ბანკის მიერ ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ბანკის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

### 3.1.4 ინტერნეტ კონფლიქტის პართიზის დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულების მიზანია კომერციული ბანკების (შემდგომში – ბანკი) მიერ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებზე ადეკვატური ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფა ინტერნეტ კონფლიქტის მაქსიმალურად არიდებისათვის.
2. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას წარმოქმნილი დარღვევებისა და ინტერნეტ კონფლიქტის ასარიდებლად ბანკებმა ტრანზაქციები უნდა აწარმოონ გაშლილი მკლავის პრინციპით, მონიტორინგი გაუწიონ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს, ჩამოწერონ მათ მიმართ რისკის პოზიციები სტანდარტული პოლიტიკებითა და პროცედურებით და მიიღონ სათანადო ზომები რისკების კონტროლისა და მითითებისათვის.
3. წინამდებარე დებულებაში მოყვანილი განმარტებები ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს – „ბასს 24“-სა და საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს“. იმ შემთხვევაში, თუ ამ დებულებით დარეგულირებული არ არის ინტერნეტ კონფლიქტთან დაკავშირებული გარკვეული საკითხი ან არ არის მოცემული გარკვეული ტერმინის განმარტება, ბანკმა უნდა იხელმძღვანელოს ზემოთხსენებული სტანდარტებითა და არსებული საუკეთესო პრაქტიკით.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) დაკავშირებული მხარე (პირი) – ბანკთან, მის კონტროლს და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან დაკავშირებული შემდეგი ფიზიკური და იურიდიული პირები:
  - ა.ა) ფიზიკური პირი ან მისი ოჯახის წევრი ან მასთან სხვა გზით დაახლოვებული პირი, თუ:
  - ა.ა.ა) მას აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ბანკზე; ან
  - ა.ა.ბ) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ბანკზე; ან
  - ა.ა.გ) ის არის ბანკის ან მისი მშობელი საწარმოს (სათაო ორგანიზაციის) უმაღლესი მენეჯმენტის წევრი.
- ა.ბ) საწარმო (ასევე, იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი), თუ სრულდება ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე:
  - ა.ბ.ა) საწარმო და ბანკი არიან ერთი ჯგუფის წევრები (მშობელი, შვილობილი ან მშობელი საწარმოს შვილობილი არის დაკავშირებული დანარჩენებთან);

- ა.ბ.ბ) საწარმოსა და ბანკს შორის ერთ-ერთი არის მეორეს ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო (ან ერთ-ერთი მათგანი არის იმ ჯგუფის წევრის ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიცაა მეორე საწარმო);
- ა.ბ.გ) ბანკი და საწარმო არიან მესამე საწარმოს ერთობლივი საწარმოები;
- ა.ბ.დ) საწარმოსა და ბანკს შორის ერთ-ერთი არის მესამე პირის ერთობლივი საწარმო, ხოლო მეორე მათგანი არის აღნიშნული მესამე პირის ასოცირებული საწარმო;
- ა.ბ.ე) საწარმო წარმოადგენს ბანკის ან ბანკთან დაკავშირებული საწარმოს თანამშრომელთა დასაქმების შემდგომი პერიოდის სარგებლის სქემას;
- ა.ბ.ვ) საწარმო ექვემდებარება ამ მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს;
- ა.ბ.ზ) ამ მუხლის „ა.ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ფიზიკურ პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საწარმოზე ან აღნიშნული პირი არის საწარმოს (ან მშობელი საწარმოს) უმაღლესი მენეჯმენტის წევრი.
- ა.ბ.თ) საწარმო, ან იმ ჯგუფის წევრი ნებისმიერი საწარმო, რომელიც, უწევს ბანკს ან მის მშობელ საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის პერსონალით მომსახურებას.
  - ბ) დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქცია – რესურსების, მომსახურებების ან ვალდებულებების გადაცემა ბანკსა და დაკავშირებულ მხარეს შორის მისი საფასურის მიუხედავად, მათ შორის:
    - ბ.ა) საქონლის (მზა ან დაუსრულებელი პროდუქციის) ყიდვა ან გაყიდვა;
    - ბ.ბ) უძრავი ქონების ან სხვა აქტივების ყიდვა ან გაყიდვა;
    - ბ.გ) მომსახურების განწევა ან მიღება;
    - ბ.დ) იჯარა;
    - ბ.ე) სამშენებლო ხელშეკრულება;
    - ბ.ვ) სამეცნიერო კვლევითი ხასიათის ტრანზაქციები;
    - ბ.ზ) ტრანზაქციები ფინანსური გარიგებების ფარგლებში (მათ შორის, სესხები და საკუთარ კაპიტალში შენატანები ნაღდი ფულით ან ნატურით);
    - ბ.თ) გარანტიების გაცემა ან უზრუნველყოფის მიწოდება;
    - ბ.ი) ტრანზაქცია მესამე მხარესთან დაკავშირებული მხარის უზრუნველყოფით;
    - ბ.კ) რაიმეს შესრულების პირობის გაცემა იმ შემთხვევისათვის, თუ მომავალში მოხდება ან არ მოხდება კონკრეტული მოვლენა, მათ შორის, აღსრულების მოლოდინში მყოფი ხელშეკრულებები (აღიარებული და არაღიარებული);
    - ბ.ლ) ვალდებულებების დაფარვა საწარმოს სახელით ან საწარმოს მიერ დაკავშირებული მხარის სახელით;
    - ბ.მ) მიმდინარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის გადახედვა, მათ შორის, რესტრუქტურისა და რეფინანსირება, შეღავათების მიცემა;
    - ბ.ნ) რისკის პოზიციის ჩამოწერა ან აღდგენა.
  - გ) უმაღლესი მენეჯმენტი – ფიზიკური პირები, რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ აქვთ საწარმოს საქმიანობების დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, მათ შორის, საწარმოს ნებისმიერი დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

- დ) კონტროლი – გარემოება, როცა ინვესტორს აქვს რისკის პოზიცია ან მოთხოვნა ცვალებად შემოსავლებზე სანარმოოდან და ამავდროულად აქვს შესაძლებლობა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გავლენა მოახდინოს აღნიშნულ მიღებულ შემოსავლებზე.
- ე) უფლებამოსილება – გარემოება, როცა ინვესტორს არსებული უფლებები შესაძლებლობას აძლევს, მართოს ისეთი საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციიდან მიღებულ შემოსავლებზე.
- ვ) ერთობლივი კონტროლი – შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლი, რომელიც მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც შესაბამის საქმიანობებზე გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.
- ზ) ერთობლივი სანარმო – სანარმო, სადაც ერთობლივი კონტროლის მქონე მხარეებს აქვთ წვდომა საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ერთობლივი სანარმო მოიცავს ერთობლივი სანარმოს შვილობილებსაც.
- თ) ასოცირებული სანარმო – სანარმო, რომელზეც ინვესტორს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა. ასოცირებული სანარმოები მოიცავს ასოცირებული სანარმოს შვილობილებსაც.
- ი) მნიშვნელოვანი გავლენა – სანარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლება, რაც არ წარმოადგენს ამ პოლიტიკების კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს.
- კ) მშობელი სანარმო (სათაო ორგანიზაცია) – სანარმო, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სანარმოს (შვილობილს).
- ლ) შვილობილი სანარმო – სანარმო, რომელსაც აკონტროლებს სხვა სანარმო (მშობელი/სათაო სანარმო).
- მ) ფიზიკური პირის ოჯახის წევრები და მასთან დაახლოებული პირები – პირები, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ფიზიკურ პირზე, ან თავად იყვნენ ფიზიკური პირის გავლენის ქვეშ სანარმოსთან საქმიანი ურთიერთობის წარმართვისას, მათ შორის:
  - მ.ა) ნათესავები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან;
  - მ.ბ) მუდმივ თანაცხოვრებაში მყოფი პირები და მათი შვილები, ვისთან ერთადაც შესაბამისი პირი ეწევა საერთო მეურნეობას.
  - მ.გ) ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც ფიზიკურ პირთან ახლო საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა, გავლენა ჰქონდეს ფიზიკურ პირზე, ან თავად იყოს ფიზიკური პირის გავლენის ქვეშ საქმიანი ურთიერთობების/აქტივობების წარმოებისას.
- ნ) ჯგუფი – მშობელი და შვილობილი სანარმოები;
- ო) რისკის პოზიცია – აქტივი ან გარესაბალანსო ელემენტი, რაც მოიცავს მხარის მიმართ ბანკის მოთხოვნას (სესხები, დეპოზიტები, სავალო ინსტრუმენტები, ინვესტიციები ფასიან ქალაქობებში და სხვ.), პოტენციურ მოთხოვნას (კაპიტალში ინ-

- ვესტიციის გეგმის განცხადება, მოთხოვნის შექმნის დაპირება და სხვ.) და პირობით ვალდებულებას (კრედიტის მახასიათებლების მქონე თუ არ მქონე გარანტიები მხარის სასარგებლოდ და სხვ).
- პ) ბანკის ადმინისტრატორი – კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან ერთ ან/და ერთზე მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით აიღოს ვალდებულებები. ასეთ პირებს მიეკუთვნებიან ის თანამშრომლები, რომელთაც მათზე დელეგირებული უფლებამოსილებებისა თუ ფუნქციების ფარგლებში ბანკის სახელით შეუძლიათ მატერიალური გადაწყვეტილებების მიღება დამოუკიდებლად.
- ჟ) საზედამხედველო არბიტრაჟი – ბანკის მიერ საქმიანობის ან ტრანზაქციის ისეთი ფორმით/გზით განხორციელება, რომლის შედეგადაც ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების არიდება ან შემსუბუქება.

### მუხლი 3. ინტერესთა კონფლიქტის მართვის ძირითადი პრინციპები

1. ბანკებმა უნდა უზრუნველყონ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების წარმართვა გაშლილი მკლავის პრინციპით და ისეთი წესებითა და პირობებით, რომლებიც არაა უფრო შეღავათიანი, ვიდრე არადაკავშირებულ მხარეებთან იმავე ვითარებაში განხორციელებული ანალოგიური ტრანზაქციები.
2. ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკებისა და პროცედურების ძირითადი პრინციპები ასახული უნდა იყოს ბანკის ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში, რომელიც, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს ამ დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ საკითხებსა და დამტკიცებული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
3. ბანკებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური პროცედურები და პოლიტიკები პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისა და მართვისათვის. აღნიშნული პროცესებითა და პოლიტიკებით შესაძლებელი უნდა იყოს დაკავშირებული მხარეებისა და ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეების დროული იდენტიფიცირება.
4. დაკავშირებულ მხარეთა იდენტიფიცირებისთვის ბანკს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს დაკავშირებულ მხარეებზე ინფორმაციის შეგროვების პროცედურა, რაც უნდა მოიცავდეს ბანკის თანამშრომლებისგან ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებას.
5. ბანკმა უნდა მიიღოს ზომები ამ დებულების მე-2 მუხლის „მ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაკავშირებული პირების იდენტიფიცირებისათვის. ამისთვის ბანკი, სულ მცირე, უნდა აწარმოებდეს უმაღლესი მენეჯმენტის წევრებთან ზემოთხსენებული ქვეპუნქტით განსაზღვრული ახლო საქმიანი ურთიერთობებით დაკავშირებული პირების შესახებ ინფორმაციის პერიოდულ განახლებას. აგრეთვე, ყოველდღიური საქმიანობის პროცესში აღნიშნული ქვეპუნქტით განსაზღვრული ახლო



ნათესაური თუ სხვა ტიპის კავშირის მქონე პირების გამოვლენის შემთხვევაში, უნდა ხორციელდებოდეს მათი დაკავშირებული პირებისათვის მიკუთვნება და მათთან შემდგომი საქმიანი ურთიერთობების წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესაბამისად წარმართვა. კონკრეტული ბანკის რისკის გარემოდან გამომდინარე, ბანკმა უნდა განსაზღვროს დამატებითი მიდგომები და პოლიტიკები ასეთი პირების ეფექტიანი იდენტიფიცირებისა და ინტერესთა კონფლიქტის არიდებისათვის.

6. ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის სიას (თანამდებობებს ან პირებს) უნდა ამტკიცებდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და აღნიშნული უნდა ექვემდებარებოდეს მუდმივ განახლებას.
7. ბანკებს განსაზღვრული უნდა ჰქონდეთ დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების დამტკიცების პროცედურები, რომლებიც უნდა მოიცავდეს ადეკვატურად განსაზღვრულ უფლებამოსილებების დელეგირებათა სისტემას.
8. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების დამტკიცების უფლებამოსილებების დელეგირებათა სისტემის ფარგლებში ბანკებს განსაზღვრული უნდა ჰქონდეთ მატერიალურობის ზღვრები დაკავშირებული მხარეების ტიპის, ტრანზაქციის სახეებისა და მოცულობების მიხედვით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მათ დამტკიცებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ბანკების მიერ დაწესებული მატერიალურობის ზღვარი უნდა შესაბამისობაში იყოს ბანკის საქმიანობის, დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების მასშტაბებსა და კომპლექსურობას.
9. ბანკებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული დაკავშირებული მხარეების მიმართ რისკის პოზიციებისათვის აუცილებელი უზრუნველყოფის საშუალების სახეები და მოცულობა, რაც ასახული უნდა იყოს ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში. დებულება, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს უზრუნველყოფის სახეებისა და რისკის პოზიციისთან შედარებით უზრუნველყოფის მინიმალური დასაშვები მოცულობების შესახებ ინფორმაციას.
10. ბანკს უნდა ჰქონდეს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების ბანკის საქმიანობის, დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების მასშტაბებისა და კომპლექსურობასთან შესაფერისი კონტროლისა და მონიტორინგის სისტემები. ასეთმა პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებით გამოწვეული რისკების კონტროლი და მითიგაცია, მათ შორის, დაკავშირებული მხარეების რისკის პოზიციების სტანდარტული პოლიტიკითა და პროცედურებით ჩამოწერა.
11. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ ანგარიშგებას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და ეროვნულ ბანკთან.
12. ბანკის რისკების მართვის ფუნქციამ მონიტორინგი უნდა გაუწიოს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციებს და გააკონტროლოს ინტერესთა კონფლიქტის სხვადასხვა წყარო. მათ მიერ გამოვლენილი არაჯანსაღი პრაქტიკის შედეგები უნდა

ეცნობოს სამეთვალყურეო საბჭოსა და, მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს.

13. კომერციული ბანკის შიდააუდიტორული სამსახური ვალდებულია საკუთარი გეგმის ფარგლებში განახორციელოს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების მოცემულ დებულებასთან შესაბამისობის აუდიტი გონივრული პერიოდულობით, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ.
14. ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად არიდების მიზნით, ბანკებმა უნდა უზრუნველყონ ადმინისტრატორებთან, რომლებიც მოცემული დებულების მიზნებისათვის არ წარმოადგენენ უმაღლესი მენეჯმენტის წევრებს, ტრანზაქციებზე ადეკვატური ზედამხედველობა და კონტროლი. ბანკში არსებული უფლებამოსილებათა და მათი დელეგირებათა სისტემების გათვალისწინებით, ბანკებს უნდა ჰქონდეთ დანერგილი ყველა ის საჭირო პროცესი, რაც ამ დებულებით მოითხოვება დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისათვის. ბანკების პროცესები და პოლიტიკები უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ბანკის ადმინისტრატორებმა არ მიიღონ მონაწილეობა მათთან დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების დამტკიცებაში ან ისეთ ტრანზაქციებში, საიდანაც მათ რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებელი ელის.

#### მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება

1. ბანკის ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში დეტალურად უნდა იქნას განსაზღვრული შემდეგი საკითხები:
  - ა) დებულების მიზნები და ამოცანები;
  - ბ) დებულების დამტკიცებასა და მასში ცვლილებების შეტანაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები;
  - გ) ტერმინთა განმარტება;
  - დ) დაკავშირებული მხარეების იდენტიფიცირების დეტალური პროცედურა;
  - ე) დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების სახეები, რომლებსაც კონტროლს უწევს ბანკი;
  - ვ) დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ანალიზის პროცესი სხვადასხვა ფუნქციების პასუხისმგებლობებისა და შესაბამისი აუცილებელი დოკუმენტაციის მოთხოვნების დეტალური აღწერით;
  - ზ) ნებადართული უზრუნველყოფის სახეები და ლიმიტები;
  - თ) დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების დამტკიცების პროცესი; მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასამტკიცებელი ტრანზაქციები და სხვა სტრუქტურებზე დელეგირებული უფლებამოსილებების ლიმიტები;
  - ი) დაკავშირებულ მხარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის პროცედურები და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები;
  - კ) დაკავშირებული მხარეების მიმართ რისკის პოზიციების ჩამოწერის პროცედურა;

- ლ) ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკის კონტროლისა და მონიტორინგის სისტემები ცალკეული ტრანზაქციების მიხედვით, აღნიშნულ პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების ჩათვლით;
  - მ) დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების შესახებ ანგარიშგების სისტემა და გამჟღავნების/გამჭვირვალობის პოლიტიკა;
  - ნ) დებულების დარღვევისათვის ბანკის მიერ დაწესებული სანქციები.
2. ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებას ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.
  3. დებულებაში ნებისმიერი ცვლილება დამტკიცებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.
  4. ნებისმიერი გამონაკლისის დაშვება ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებიდან საჭიროებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დასაბუთებულ დასტურსა და დოკუმენტირებას. ასეთი სანქცირებული გადახვევების შესახებ ინფორმაცია უნდა მიენოდოს ეროვნულ ბანკს მოთხოვნის შემთხვევაში.

### მუხლი 5. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების დამტკიცება

1. ბანკი ვალდებულია დაკავშირებულ მხარეებთან მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტრანზაქციები განახორციელოს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის შემდეგ, გარდა ამ დებულებით განსაზღვრული ლიმიტებით დასაშვები შემთხვევებისა.
2. დაუშვებელია ქვემოთ მოცემული ლიმიტების ფარგლებს ზემოთ სამეთვალყურეო საბჭომ დაადგინოს ბანკის ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულზე დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციების დამტკიცების უფლებამოსილება:
  - ა) დაკავშირებული იურიდიული პირის მიმართ რისკის პოზიციის ზრდა, რომლის შედეგად მოცემული მხარის მიმართ რისკის პოზიციების მიმდინარე ნაშთი აჭარბებს 200,000 (ორასი ათასი) ლარსა და საზღვდამხედველო კაპიტალის 1%-ს შორის მინიმუმს. აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს ლიკვიდობის მართვის მიზნებისათვის მოკლევადიანი რისკის პოზიციების შექმნა იმ ჯგუფის წევრი საწარმოების მიმართ, რომელსაც მიეკუთვნება ბანკი, საბჭოს მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში. ასეთი ლიმიტები უნდა აისახოს საბჭოს სხდომის ოქმში და მიენოდოს ეროვნულ ბანკს 10 სამუშაო დღის ვადაში;
  - ბ) დაკავშირებული ფიზიკური პირის მიმართ რისკის პოზიციის ზრდა, რომლის შედეგადაც მოცემული პირის მიმართ რისკის პოზიციების ნაშთი აჭარბებს 150,000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარსა და საზღვდამხედველო კაპიტალის 0.5%-ს შორის მინიმუმს;
  - გ) დაკავშირებულ მხარესთან ისეთი ტრანზაქციის განხორციელება, რომლის შედეგადაც პროდუქციისა თუ მომსახურების სანაცვლოდ ბანკიდან გადინებული ფულადი ნაკადების ჯამური წლიური ოდენობა აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს;

- დ) დეპოზიტით უზრუნველყოფილი რისკის პოზიციის შექმნა დაკავშირებული მხარის მიმართ, რომლის შედეგად მოცემული მხარის მიმართ რისკის პოზიციის მიმდინარე ნაშთი აჭარბებს 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს თუ აღნიშნული უზრუნველყოფა აკმაყოფილებს კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №100/04 ბრძანებით განსაზღვრულ კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფის კრიტერიუმებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ზღვრების ფარგლებში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ თავად უნდა განსაზღვროს ბანკისათვის მიზანშეწონილი ლიმიტები და აღნიშნული ასახული უნდა იქნას ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში. ასეთი ლიმიტების განსაზღვრისას სამეთვალყურეო საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბანკში არსებული გარემო, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური საფრთხეები და მათი მართვის დონე.
  4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა მონაწილეობდეს ტრანზაქციების დამტკიცებაში, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე და მოცემულ წევრს აქვს პირადი ინტერესი ტრანზაქციის განხორციელებაში. ასეთი წევრის დასწრება მხედველობაში არ მიიღება კრების კვორუმის განსაზღვრისას.
  5. უმაღლესი მენეჯმენტის არცერთი წევრი ან/და სხვა დაკავშირებული მხარე არ უნდა მონაწილეობდეს დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების შესახებ გამართულ განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, თუ მას აქედან რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებელი ელის. ასევე, უმაღლესი მენეჯმენტის არცერთი ასეთი წევრი ან დაკავშირებული მხარე არ უნდა ეცადოს ზეგავლენა მოახდინოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებაზე ამგვარ ოპერაციებთან დაკავშირებით.
  6. სამეთვალყურეო საბჭოს აუცილებლად უნდა წარედგინოს დაკავშირებულ მხარეებსა და მათთან დაგეგმილი ტრანზაქციების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია ტრანზაქციის დამტკიცებისათვის.
  7. ნებისმიერი ცვლილება დაკავშირებულ მხარესთან ხელშეკრულებაში დამტკიცებული უნდა იქნას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გარდა ამ დებულებით განსაზღვრული კონკრეტული შემთხვევებისა, რომლებიც არ ცვლის ფინანსურ შეთანხმებას, არ ამცირებს და არ ცვლის უზრუნველყოფის საშუალებას და არ მოიცავს შეღავათების განწვევას დაკავშირებულ მხარეზე.
  8. ამ მუხლის მე-7 პუნქტი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა დაკავშირებული მხარის მიმართ რისკის პოზიცია არ აღემატება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ლიმიტებს.
  9. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხილვები და მიღებული გადაწყვეტილებები სათანადოდ უნდა გაფორმდეს სხდომის ოქმებში და 10 სამუშაო დღის ვადაში მიენოდოს ეროვნულ ბანკს. ეროვნული ბანკის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა უნდა წარმოადგინოს სამეთვალყ-

ურევო საბჭოსათვის მინოდებული კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული წერილობითი/ ელექტრონული ინფორმაცია და მასალები.

## მუხლი 6. დაკავშირებულ მხარეებთან აკრძალული ტრანზაქციები

1. აკრძალულია ნებისმიერ დაკავშირებულ მხარესთან ისეთი რისკის პოზიციის შექმნა, რომლის ხარისხიც წარმოქმნის მომენტისათვის არ შეესაბამება „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეგერვების შექმნისა და გამოყენების წესით“ განსაზღვრულ „სტანდარტულ“ კატეგორიას.
2. აკრძალულია რომელიმე დაკავშირებული მხარის მიმართ რისკის პოზიციის შექმნა ისეთი უზრუნველყოფით, რომლის საკრედიტო ხარისხიც მნიშვნელოვნად არის კორელირებული ბანკის საკრედიტო ხარისხთან. ასეთი უზრუნველყოფა მოიცავს და არ შემოიფარგლება ბანკის ან მისი შვილობილი საწარმოს ფასიანი ქაღალდებითა და ფინანსური ინსტრუმენტებით.
3. ბანკს ნებისმიერ დროს ეკრძალება რისკის პოზიციის შექმნა მისი დაკავშირებული მხარის მიმართ თუ მიღებული უზრუნველყოფის საშუალების სამართლიანი ღირებულება რისკის პოზიციის მთლიანი თანხის 110%-ზე ნაკლებია გარდა ამ მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. მიღებული უზრუნველყოფის საშუალების სამართლიანი ღირებულების რისკის პოზიციის მთლიან თანხასთან თანაფარდობის ლიმიტი არ უნდა იყოს შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით დაშვებულ ქვედა ზღვარზე ნაკლები. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დაურღვევლად, აღნიშნულიდან გამონაკლისის დაშვების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დეტალურად უნდა იყოს ასახული ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში. ასეთი გადაწყვეტილებები ადეკვატურად უნდა იყოს დოკუმენტირებული და ბანკს უნდა შეეძლოს მათ შესახებ მონაცემების ანგარიშგება.
5. დასაშვებია დაკავშირებული მხარის მიმართ რისკის პოზიციის შექმნა თუ მიღებული უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს დეპოზიტი, რომლის სამართლიანი ღირებულება რისკის პოზიციის მთლიანი თანხის 100%-ზე მეტი ან ტოლია და თუ აღნიშნული უზრუნველყოფა აკმაყოფილებს „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებით განსაზღვრულ კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფის კრიტერიუმებს.
6. დაკავშირებული ფიზიკური პირის მიმართ დასაშვებია არაუზრუნველყოფილი რისკის პოზიციის შექმნა, თუკი ასეთი ტრანზაქციის შედეგად მოცემული პირის მიმართ რისკის პოზიციის მიმდინარე ნაშთის არაუზრუნველყოფილი ნაწილი არ აღემატება 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს და ასეთი რისკის პოზიციის წარმოქმნა დასაშვებია

ბია ბანკის შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით. ჯამური რისკის პოზიციის უზრუნველყოფილი ნაწილი იანგარიშება ამ დებულებით უზრუნველყოფისადმი დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

7. დასაშვებია ბანკის ფინანსური შვილობილი კომპანიების მიმართ არაუზრუნველყოფილი რისკის პოზიციის შექმნა სამეთვალყურეო საბჭოსა და საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის მიღების შემთხვევაში.
8. ეროვნული ბანკისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში დასაშვებია განისაზღვროს ის დამატებითი შემთხვევები, როცა ბანკს უფლება აქვს გასცეს არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებულ მხარეებზე. აღნიშნული დეტალურად უნდა იქნას ასახული ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებაში.
9. ბანკის აქციონერებმა ბანკისაგან უნდა მიიღონ შემოსავლები გაუნაწილებელი მოგებიდან კანონიერად გადახდილი დივიდენდების სახით ბანკის განაღდებულ კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების გათვალისწინებით.
10. აქციონერისა თუ ბენეფიციარი მფლობელის მიერ ბანკისგან მიღებული ნებისმიერი შემოსავლები, რომელთა გადახდა უკავშირდება აქციონერის მიერ ბანკისათვის განუვლ მომსახურებას, ექვემდებარება ყოველწლიურ გამოქვეყნებას ცალკე ანგარიშგების სახით. აღნიშნული, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს მიღებული შემოსავლების მოცულობების შესახებ ინფორმაციას ინდივიდუალური აქციონერების, ბენეფიციარი მფლობელებისა და შემოსავლის სახეების (მაგ. ხელფასი, განუვლი მომსახურება, რომლის ბენეფიციარიც მოცემული აქციონერია) მიხედვით. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ აქციონერებზე და ბენეფიციარ მფლობელებზე, რომელთა წილი ბანკის განაღდებულ კაპიტალში 2%-ზე ნაკლებია.
11. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგება უნდა გამოქვეყნდეს არაუგვიანეს ყოველი წლის 31 იანვრისა.

## მუხლი 7. ლიმიტები ტრანზაქციებზე

1. ერთი დაკავშირებული მხარის მიმართ რისკის პოზიციის საერთო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზღვარსაღწევლო კაპიტალის 5%-ს.
2. ყველა დაკავშირებული მხარის მიმართ რისკის პოზიციის საერთო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზღვარსაღწევლო კაპიტალის 25%-ს.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული ლიმიტების გაანგარიშებისათვის ბანკმა უნდა გამოიყენოს რისკის პოზიციის ჯამური ოდენობა მათზე შექმნილი აქტივების შესაძლო დანაკარგების რეგერვებით შემცირებამდე.
4. დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციის განხორციელება, რომლის შედეგადაც ბანკის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში შესყიდული აქტივებისა თუ მიღებული მომსახურების ჯამური

ღირებულება აღემატება ბანკის საზედამხებდველო კაპიტალის 5%-ს, საჭიროებს საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარ დასტურს.

- ამ მუხლით განსაზღვრული ლიმიტების გაანგარიშებისათვის რისკის პოზიციებში არ გაითვალისწინება ბანკის მიერ საზედამხებდველო კაპიტალიდან დაქვითული ინვესტიციები სანარმოების კაპიტალში.

### მუხლი 8. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ანგარიშგება და გამჟღავნება

- ბანკებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური საინფორმაციო სისტემები დაკავშირებული მხარეების მიმართ რისკის პოზიციის მონიტორინგისათვის. ნებისმიერი გადახვევა პოლიტიკიდან, პროცესიდან თუ ლიმიტიდან დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და, მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს.
- ბანკის სამეთვალყურეო საბჭო პერიოდულად უნდა იღებდეს ანგარიშგებას დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების დეტალურ აღწერას. ასეთი ანგარიშგება მიზანშეწონილი დეტალურობით უნდა ასახავდეს ტრანზაქციებს მათი სახეებისა და დაკავშირებული მხარეების სახეების ჭრილში. დაკავშირებულ მხარეებთან მატერიალური ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინდივიდუალურად. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წევრებთან, მათი ოჯახის წევრებთან და მათ სანარმოებთან განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ანგარიშგება უნდა იყოს საკმარისად დეტალური. ანგარიშგება უნდა ასახავდეს დაკავშირებული მხარეების მიმართ რისკის პოზიციების ხარისხს, კერძოდ ვადაგადაცილებებსა და მათზე შექმნილ შესაძლო დანაკარგების რეზერვს, ასევე განხორციელებულ ჩამონერებს. ანგარიშგება დამატებით უნდა ასახავდეს დადგენილი ლიმიტებიდან სანქცირებული გადახვევების ფარგლებში განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციას.
- ბანკებმა ეროვნულ ბანკში ყოველთვიურად უნდა წარადგინონ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების ანგარიშგება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად.
- ბანკებმა უნდა უზრუნველყონ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების სწორად გამჟღავნება წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში „ბასს 24“-ის შესაბამისად.
- ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს დაუსაბუთოს განსხვავებები წლიურ აუდიტებულ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციებსა და ეროვნულ ბანკთან წარდგენილ ანალოგიურ ინფორმაციას შორის.

### მუხლი 9. უმაღლესი მენეჯმენტის ვალდებულებები

- ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის აცილება და არ დაუშვან საკუთარი ინტერესების ბანკის ინტერესებზე მაღლა დაყენება ან თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაამეტება.
- ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებმა უნდა უზრუნველყონ ბანკში ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული ადეკვატური პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვა, მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, მათი განახლება.
- ბანკში ინტერესთა კონფლიქტის ჯანსაღი პრაქტიკისა და მისი არიდების მოტივაციის შექმნის მიზნით უმაღლესი მენეჯმენტის წევრებმა წინასწარ უნდა განსაზღვრონ შესაბამისი სანქციები დარღვევების გამოვლენისას.
- ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებმა ხელი უნდა შეუწყონ დაკავშირებული მხარეების იდენტიფიცირების პროცესს და აღნიშნულის მიზნით, ვალდებულნი არიან, გაამჟღავნონ ინფორმაცია მათთან დაკავშირებულ მხარეებზე. ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად მოკლე დროში.
- ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებმა არ უნდა მიიღონ (გასცენ) ბანკისგან ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისგან ისეთი ანაზღაურება, რომელიც აღემატება ფაქტობრივად განეული სამსახურის სამართლიან ღირებულებას.
- ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრები ვალდებული არიან, თავად ან ბანკის საშუალებით ყოველი წლის 31 იანვრამდე ეროვნულ ბანკს მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია წლის განმავლობაში მათ მიერ ბანკის აქციების ყიდვა-გაყიდვის, მათი წარმოებული თუ მათთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ. თუ უმაღლესი მენეჯმენტის წევრის მიერ განხორციელებული ასეთი ტრანზაქციების მოცულობა (ტრანზაქციის ღირებულება ან აქციების ღირებულება, რომელთა წარმოებული ინსტრუმენტებთან განხორციელდა მოცემული ტრანზაქცია) უკანასკნელი 15 კალენდარული დღის განმავლობაში გადააჭარბებს 200,000 ლარს, ინფორმაცია ეროვნულ ბანკს უნდა მიწოდოს აღნიშნული მოვლენის დადგომიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში. ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრებმა ეროვნულ ბანკს ასევე უნდა წარუდგინონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია მათთან დაკავშირებული პირების მიერ განხორციელებული ანალოგიური ტრანზაქციების შესახებ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული პერიოდულობით. წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ფინანსური ინსტრუმენტის დახასიათებას, ტრანზაქციის სახეს (მაგ. ყიდვა, გაყიდვა), განხორციელების დროსა და ადგილს და მის ფასსა და მოცულობას, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი

ხელშეკრულებების ასლებს.

7. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრები მონაწილეობას მიიღებენ ბანკის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში, მათმა ქმედებებმა ზარალი არ უნდა მიაყენოს ბანკს.

## მუხლი 10. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებები

1. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს:
  - ა) მოსთხოვოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მას დაეხმარება კონკრეტული პირის დაკავშირებულ მხარედ მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.
  - ბ) მოსთხოვოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია ბანკთან დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების შესახებ.
  - გ) მოსთხოვოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია ადმინისტრატორთან დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების შესახებ.
  - დ) მოსთხოვოს ბანკს პოლიტიკებისა და პროცედურების გაუმჯობესება ინტერესთა კონფლიქტის მართვის გაუმჯობესების მიზნით.
  - ე) საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს ბანკს ჩაატაროს რისკის შემცველი კონკრეტული ტრანზაქციების გარე აუდიტი ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენისა და ამ დებულებასთან შესაბამისობის დაზუსტების მიზნით. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ითანამშრომლოს ბანკის გარე აუდიტორთან ამდებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების პროცესში. გარე აუდიტის მხრიდან ბანკისათვის აღნიშნული მომსახურების განწევისათვის დამატებითი ხარჯების არსებობის შემთხვევაში, ხარჯებს სრულად ანაზღაურებს ბანკი.
  - ვ) მოსთხოვოს ბანკს დაკავშირებული მხარის მიმართ კონკრეტული მოთხოვნის საზედამხედველო კაპიტალიდან სრულად ან ნაწილობრივ დაქვითვა თუ აღნიშნული რისკის პოზიცია საქართველოს ეროვნული ბანკის აზრით წარმოადგენს მაღალი რისკის მატარებელს.
  - გ) გადაჭარბებული რისკების იდენტიფიცირების შემთხვევაში ბანკს აუკრძალოს დაკავშირებულ მხარეებთან ნებისმიერი ტრანზაქციის განხორციელება, მათ შორის, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულადი სახსრების ან რაიმე სახის პრემიის ან ჯილდოს სახით გაცემა.
  - თ) მიიღოს კანონმდებლობით ნებადართული ზომები საზედამხედველო არბიტრაჟის გამომწვავებისას, რაც უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის სერიოზულობას.
  - ი) ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მოსთხოვოს იმ თანამშრომლის გათავისუფლება, რომელმაც საქართველოს ეროვნული ბანკის დასაბუთებული შეხედულებით დაარღვია ეს დებულება და თუ ასეთი ქმედება წარმოადგენს არაჯანსაღ პრაქტიკას.
2. თუ ბანკი და საქართველოს ეროვნული ბანკი ვერ შეთანხმდებიან ბანკის კონკრეტული მომხმარებლის ან ტრანზაქციის დაკავშირებულ მხარედ ან ტრანზაქციად აღიარებაზე, კომერციულმა ბანკმა უნდა იმოქმედოს ეროვნული ბანკის მითითების

შესაბამისად.

3. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი ჩათვლის, რომ ამ მუხლში აღწერილი ნებისმიერი მოთხოვნა არ განხორციელდა, ან დროისა და გარემოებების გამო სამომავლოდაც არ მოყვება შედეგი, ეროვნულ ბანკს შეუძლია გაატაროს არსებული ვითარებისათვის საჭირო ადმინისტრაციული და მაკორექტირებელი ღონისძიებები, მათ შორის, დამრღვევი ბანკის საბანკო ლიცენზიის გაუქმება ან, საჭიროების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად მასალების შესაბამისი ორგანოებისათვის გადაცემა.
4. თუ საქართველოს ეროვნული ბანკი ჩათვლის, რომ ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის წევრმა, აქციონერმა ან მაკონტროლებელმა პირმა მიიღო სარგებელი (მასთან დაკავშირებული პირის ან თავად მის მიერ ბანკთან ტრანზაქციის განხორციელებით), რომელიც აღემატება მოცულობას, რასაც იგი მიიღებდა ამ დებულების შესაბამისად გაშლილი მკლავის პრინციპზე დაყრდნობით მოქმედების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შეუძლია, მოსთხოვოს ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, მიიღონ ზომები აღნიშნული ნამეტი სარგებლის ბანკის მიმართ ვალდებულებად აღიარებისათვისა და რესურსების ბანკისათვის დაბრუნებისათვის.

## მუხლი 11. ჯარიმები და სანქციები

ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი გამოიყენებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჯარიმებსა და სანქციებს ბანკისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ.

## მუხლი 12. გარდამავალი ხასიათის დებულებები

1. ბანკები ვალდებული არიან, ამ დებულების ძალაში შესვლიდან ხუთი თვის ვადაში მოიყვანონ პოლიტიკები და პროცედურები დებულებასთან შესაბამისობაში და შემოუშავონ ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება ამ დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გარდამავალ პერიოდში ბანკებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა საქმიანობის ამ დებულების შესაბამისად წარმართვისათვის.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გარდამავალ პერიოდში დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე ბანკის მიერ ტრანზაქციების დამტკიცება იდენტიფიცირებულ დაკავშირებულ მხარეებთან, თუ მათი მოცულობა აღემატება ამ დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ლიმიტებს.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გარდამავალ პერიოდში დაუშვებელია ბანკის მიერ იდენტიფიცირებულ დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ტრანზაქციების დამტკიცება, რომლის შედეგადაც ირღვევა ამ დებულების მე-6 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტითა და მე-7 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვები.

### 3.1.5 კომერციული ბანკების მიერ ფილიალის, განყოფილების (სერვისცენტრის) და წარმომადგენლობის შექმნის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მიერ ფილიალის, განყოფილების (სერვისცენტრის) და წარმომადგენლობის შექმნის წესსა და პირობებს.
- კომერციულ ბანკს შეუძლია დააარსოს ფილიალი და წარმომადგენლობა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის გარეთ, ხოლო განყოფილება (სერვისცენტრი) მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ფილიალი – კომერციული ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით და უფლებამოსილია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული საბანკო საქმიანობიდან განახორციელოს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისთვის დებულებით განსაზღვრული საქმიანობა კომერციული ბანკის ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ;
- განყოფილება (სერვისცენტრი) – კომერციული ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც იქმნება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, უშუალოდ ექვემდებარება სათავო ბანკს ან მის ფილიალს და უფლებამოსილია განახორციელოს საბანკო საქმიანობა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისთვის დებულებით განსაზღვრული საბანკო საქმიანობის სახეობათა ფარგლებში;
- წარმომადგენლობა – კომერციული ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც არ არის უფლებამოსილი განახორციელოს საბანკო საქმიანობა; იგი კომერციული ბანკის სახელით აწარმოებს მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებას, პოტენციური კლიენტების მოძიებას, მარკეტინგულ კვლევასა და სხვა მსგავსი სახის საქმიანობას.
- დებულება – დოკუმენტი, რომელიც ასახავს ფილიალისა და განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნის, ფუნქციონირების, მართვის პირობებსა და წესს;
- უცხოეთის საბანკო ზედამხედველობის ორგანო – დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ამ

#### მუხლი 3. ფილიალისა და განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნისათვის აუცილებელი პირობები

- კომერციულ ბანკს უფლება აქვს დააარსოს ფილიალი ან განყოფილება (სერვისცენტრი) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
  - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკში ჩატარებული ბოლო შემოწმების შედეგად ბანკს მინიჭებული აქვს CAMEL-ის რეიტინგის მიხედვით I, II ან III კატეგორია;
  - ფილიალს ან/და განყოფილებას (სერვისცენტრს) აქვს შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, ჰყავს კვალიფიციური კადრები და მზადაა კლიენტებსა და სათავო ბანკთან (ფილიალთან) დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების განსახორციელებლად;
  - მიღებული აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობა ფილიალის ან/და განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნის თაობაზე.
- კომერციული ბანკი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ფილიალის ან/და განყოფილების (სერვისცენტრის) შესაქმნელად თანხმობის მისაღებად იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- კომერციული ბანკი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჯერ არ აქვს მინიჭებული CAMEL-ის სისტემის მიხედვით რეიტინგი და აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, ასევე უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ფილიალის ან/და განყოფილების (სერვისცენტრის) დაარსებისთვის თანხმობის მისაღებად.
- მიუხედავად იმისა, რომ ბანკი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ბანკში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, დასაბუთებული უარი უთხრას მას ფილიალის ან განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნაზე.
- ცალკეულ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს CAMEL-ის სისტემის მიხედვით არა აქვს მიღებული I, II ან III კატეგორია, მაგრამ მისი ბოლო შემოწმების პერიოდიდან მკვეთრად გაუმჯობესდა ფინანსური მდგომარეობა, რაც უწყვეტად დასტურდება საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი ანგარიშგებების საფუძველზე მომზადებული საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის დასკვნებით მიცემული შეფასებე-

ბით, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს მისთვის ფილიალის ან/და განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნის თაობაზე თანხმობის მიცემის საკითხს.

#### მუხლი 4. საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალის დაარსება

1. კომერციული ბანკი საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალის შექმნის მიზნით თანხმობის მისაღებად განცხადებით მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს.
2. განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ფილიალის შექმნაზე;
  - ბ) ინფორმაცია ფილიალის მიერ საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის თაობაზე.
3. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს ფილიალის დაარსების შექმნის საკითხს და 15 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას. თანხმობა ჩაითვლება ავტომატურად გაცემულად, თუ აღნიშნულ ვადაში განმცხადებელი კომერციული ბანკი არ მიიღებს საქართველოს ეროვნული ბანკის დასაბუთებულ უარს ფილიალის შექმნის თაობაზე.
4. ფილიალის შექმნის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობის მიღების შემდეგ, კომერციული ბანკი ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს 15 სამუშაო დღის განმავლობაში წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ფილიალის დებულება;
  - ბ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს იმ უძრავი ქონების საკუთრების ან სარგებლობის უფლებას, სადაც განთავსებული იქნება ბანკის ფილიალი;
  - გ) სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) დანიშვნის შესახებ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41 მუხლითა და „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 სექტემბრის №234 ბრძანებით განსაზღვრული ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში სრულყოფილად წარუდგენლობის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი წერილობით აცნობებს კომერციულ ბანკს მის მიერ ფილიალის შექმნაზე გაცემული თანხმობის შესაძლო გაუქმების შესახებ.

#### მუხლი 5. საქართველოს ფარგლებს გარეთ ფილიალის დაარსება

1. კომერციული ბანკის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ ფილიალის დაარსების თაობაზე საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი საბუთები:
  - ა) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ფილიალის შექმნაზე;
  - ბ) ფილიალის სამწლიანი ბიზნესგეგმა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დასაბუთებული უნდა იყოს მისი შექმნის ეკონომიკური მიზანშეწონილობა, აგრეთვე სათავო ბანკის მიერ მისთვის დაკისრებული უფლებები და მოვალეობები;
  - გ) განცხადებისა და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ასლი, რომელიც უნდა წარედგინოს ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით უცხოეთის სახელმწიფო საბანკო ზედამხედველობის ორგანოს ფილიალის შექმნასთან დაკავშირებით;
  - დ) იმ კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სრული პაკეტი, რომლის საფუძველზეც ფილიალის ადგილსამყოფელ ქვეყანაში ხორციელდება მისი ლიცენზირება, საქმიანობის რეგულირება და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა;
  - ე) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს განცხადება იმის თაობაზე, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და FATF-ის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, ფილიალს, ფუნქციონირების დაწყებისთანავე, შემუშავებული ექნებათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა, რომელიც უნდა მოიცავდეს:
    - ე.ა) შიდა კონტროლისა და მენეჯმენტის დონეზე პირთა დანიშვნის, ასევე სხვა თანამშრომელთა სამსახურში მიღების პროცედურებს, რომელიც მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პროცესებში ბანკის თანამშრომლების შესაძლო მონაწილეობის აღკვეთას;
    - ე.ბ) თანამშრომლების მიმდინარე სწავლების პროგრამას;
    - ე.გ) შიდა აუდიტის ფუნქციას სისტემის შესამოწმებლად;
  - ვ) იმ შემთხვევაში, თუ ფილიალის ადგილსამყოფელ უცხო ქვეყანაში მოქმედი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებენ ფილიალის მიერ FATF-ის რეკომენდაციების შესრულებას, ან იმ ქვეყანაში არ ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ ან საკმარისად არ სრულდება FATF-ის რეკომენდაციები:
- ვ.ა) კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ უნდა იკისროს წერილობითი ვალდებულება, რომ კომერციული ბანკი უზრუნველყოფს მისი ფილიალის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა

და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დადგენილი ღონისძიებების გატარებას ბანკებისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად, ფილიალის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ფარგლებში;

- ვ.ბ) კომერციული ბანკი უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, რომ კომერციული ბანკის ფილიალი ვერ ახორციელებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, იმის გამო, რომ ამას კრძალავს ან ზღუდავს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს ფილიალის გახსნის შექმნის საკითხს და არა უგვიანეს 15 სამუშაო დღისა წერილობით აცნობებს განმცხადებელ კომერციულ ბანკს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
3. კომერციული ბანკი ვალდებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ ფილიალის შექმნიდან (რეგისტრაციიდან) 30 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ეროვნულ ბანკს დამატებით წარუდგინოს ქართულ ენაზე თარგმნილი შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
- ა) ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამისი მარეგისტრირებული ორგანოს მიერ გაცემული ფილიალის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სანოტარო წესით ან აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული);
- ბ) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ფილიალის დებულება;
- გ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს იმ უძრავი ქონების საკუთრების ან სარგებლობის უფლებას, სადაც განთავსებულია ბანკის ფილიალი (სანოტარო წესით ან აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული);
- დ) სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41 მუხლითა და „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 სექტემბრის N234 ბრძანებით განსაზღვრული ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან ფილიალის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

## მუხლი 6. განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნა

1. კომერციული ბანკი განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნის მიზნით თანხმობის მისაღებად, განცხადებით მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს.
2. განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი საბუთები:
  - ა) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნასთან დაკავშირებით;
  - ბ) განყოფილების (სერვისცენტრის) დებულება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს სათავო ბანკის ან ფილიალის მიერ მისთვის დაკისრებული უფლებები და მოვალეობები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საბუთების სრულყოფილად წარდგენის შემდეგ, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს განყოფილების (სერვისცენტრის) გახსნის საკითხს და 15 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას. თანხმობა ჩაითვლება ავტომატურად გაცემულად, თუ აღნიშნულ ვადაში განმცხადებელი კომერციული ბანკი არ მიიღებს საქართველოს ეროვნული ბანკის დასაბუთებულ უარს განყოფილების (სერვისცენტრის) დაარსებაზე.
4. კომერციული ბანკი ვალდებულია განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შემდეგი საბუთები:
  - ა) დირექტორატის გადაწყვეტილება განყოფილების (სერვისცენტრის) ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. ამ შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41 მუხლითა და „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 სექტემბრის N234 ბრძანებით განსაზღვრული ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
  - ბ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს იმ უძრავი ქონების საკუთრების ან სარგებლობის უფლებას, სადაც განთავსებული იქნება განყოფილება (სერვისცენტრი).
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში სრულყოფილად წარუდგენლობის შემთხვევაში, წერილობით აცნობებს კომერციულ ბანკს მის მიერ განყოფილების (სერვისცენტრის) შექმნაზე გაცემული თანხმობის შესაძლო გაუქმების შესახებ.

## მუხლი 7. წარმომადგენლობის შექმნა

კომერციული ბანკის მიერ წარმომადგენლობის შექმნის შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილი უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება



- ნარმომადგენლობის შექმნის თაობაზე;
- ბ) ინფორმაცია წარმომადგენლობის ადგილმდებარეობის შესახებ;
- გ) ინფორმაცია წარმომადგენლობის ადმინისტრატორთა (წარმომადგენელთა) შესახებ;
- დ) წარმომადგენლობის საქმიანობის აღწერილობა და სათავო ბანკის მიერ მისთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობანი.

### მუხლი 8. ბანკის ფილიალის, განყოფილებისა (სერვისცენტრის) და წარმომადგენლობის საქმიანობის შეწყვეტა

1. ბანკის ფილიალის, გარდა ქვეყნის გარეთ დაარსებული ფილიალისა, ასევე განყოფილებისა (სერვისცენტრის) და წარმომადგენლობის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება.
2. ქვეყნის გარეთ დაარსებული ფილიალის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება;
  - ბ) შესაბამისი ქვეყნის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.
3. კომერციული ბანკი ვალდებულია ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

### 3.1.6 დებულება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის მიზანია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და უცხოეთის ბანკების ფილიალების (წარმომადგენლობებისა) (შემდგომში – ბანკები) საქმიანობის რეგულირების მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნეს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, მინიმუმადე იქნეს დაყვანილი საბანკო სისტემაში სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობა და ამ გზით მაქსიმალურად დაცული იქნეს ბანკების დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრები, საბანკო სისტემაში კონკურენტუნარიანობის პრინციპები და საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) ინსტიტუციონალური ინტერესები.
2. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის მთავარი ბერკეტია ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების დადგენა და მათი შესრულების კონტროლი.
3. ამ დებულებით დგინდება ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისა და უცხოეთის ბანკის ფილიალისათვის (წარმომადგენლობისთვის).

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

ამ დებულების მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) „მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი“ – ამ დებულების მიხედვით დადგენილი და გაანგარიშებული საზედამხედველო კაპიტალი, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს ეროვნული ბანკი;
- ბ) „საერთო-რეზერვი“ – რეზერვი, რომელიც იქმნება სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტების შესაძლო დანაკარგებისათვის, მათ დაუკონკრეტებლად, არაიდენტიფიცირებული ზარალისათვის;
- გ) „სპეციალური რეზერვი“ – რეზერვი, რომელიც იქმნება კონკრეტული სესხის და მასზე დარიცხული მისაღები პროცენტების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, იდენტიფიცირებული ზარალისათვის;
- დ) „პრივილეგირებული აქცია“ – აქცია, რომლის მფლობელს არა აქვს ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე. ასეთი აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით, რომლის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება წესდებით ან/და სათანადო ემისიის

პროსპექტით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში). ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში პრივილეგირებული აქციის თანხა (წილის შესაბამისად) გასტუმრებულ უნდა იქნეს ჩვეულებრივ აქციის თანხის გადახდამდე;

- ე) „უვადო პრივილეგირებული აქცია“ – ისეთი პრივილეგირებული აქცია, რომელსაც არა აქვს დაფარვის კონკრეტული ვადა და რომლის მფლობელს არა აქვს უფლება მოსთხოვს ბანკს ასეთი აქციის რაიმე ფორმით უკან გამოსყიდვა;
- ვ) „არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქცია“ – ისეთი უვადო პრივილეგირებული აქცია, რომელზეც არ ხდება წინა წლებში ბანკის მიერ გაუნაწილებელი დივიდენდების აკუმულირება;
- ზ) „აქციებში კონვერტირებადი ვალი“ – სესხებით და/ან სავალ ფასიანი ქაღალდებით მიღებული ფულადი სახსრები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისას კონვერტირდება ბანკის ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში;
- თ) „სუბორდინირებული ვალი“ – ისეთი არაუზრუნველყოფილი ვალი, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით არ არის დეპოზიტი და სხვა ვალებთან და დეპოზიტებთან შედარებით აქვს გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტი, რომლის მიხედვით ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული ვალის კრედიტორის მოთხოვნები ბაკმა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ ყველა დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ვალების სრულად გადახდის (დაფარვის) შემდეგ;
- ი) „არამატერიალური აქტივები“ – ისეთი აქტივები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ღირებულება და არა აქვთ მატერიალური ფორმა: პატენტები, საიჯარო უფლებები, სასაქონლო ნიშნები, ნოუ-ჰაუ, გუდვილი და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები;
- კ) „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“, რომლის წევრ ქვეყნებში ჩაითვლება შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერალანდი, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეიცია, შვეიცარია;
- ლ) „საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები“ – რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ფონდი, ამერიკათაშორისი განვითარების ბანკი, ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი, კარიბის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი.

#### მუხლი 3. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა

1. ბანკის კაპიტალი ბანკისათვის არის საბანკო საქ-

მიანობის განხორციელებისა და მისი სტაბილური ზრდის, საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალება, ბანკის ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის დაფარვის ძირითადი წყარო.

2. ბანკის კაპიტალის მიზანია:
  - ა) უზრუნველყოფილ იქნეს ბანკში დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების შენახვის საიმედოობა, საბანკო საქმიანობის რისკებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა, რათა ბანკის ფინანსური დანაკარგების, ზარალისა და გაკოტრების შედეგებით გამოწვეული პროცესები არ გავრცელდეს სხვა ბანკებზე, არ მიიღოს სისტემური ხასიათი და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობა;
  - ბ) უზრუნველყოფილ იქნეს საბანკო საქმიანობის განხორციელება, გაიზარდოს საბანკო ოპერაციების გაფართოების შესაძლებლობები როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე სამომავლოდ. ამასთან, იგი უნდა იძლეოდეს მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის განეიტრალების საშუალებას.
3. ბანკის ფინანსური სიძლიერის, გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების ძირითადი კომპონენტია კაპიტალის ადეკვატურობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბანკის კაპიტალის არსსა და მიზნებს.
4. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოყენება ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი.
5. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრელი სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები ეს არის პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი.
6. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი არის ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შენონილ აქტივებთან, რომლის მიხედვით ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შენონილი აქტივების არანაკლებ 8 პროცენტისა.
7. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი არის ბანკის საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შენონილ აქტივებთან, რომლის მიხედვით ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შენონილი აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა.

#### მუხლი 4. საზედამხედველო კაპიტალი

1. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისათვის გამოიყენება საზედამხედველო კაპიტალი. მასში ჩასათვლელად ცალკეული კომპონენტი ან მათი ნაწილი არ შეიძლება მოიცავდეს ისეთ შეთანხმებას, გარიგებას ან პირობას, რომელიც ეწინააღმდეგება ბანკის კაპიტალის არსსა და მიზნებს, ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფას.

2. საზედამხედველო კაპიტალი არის კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალების და სხვადასხვა რისკის თავიდან აცილებისათვის.
3. ბანკის საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი და მეორადი კაპიტალისაგან და უდრის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამს, გამოკლებული საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა.
4. საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში აიღება მასში შემავალი კომპონენტები მთლიანი ღირებულებით, გარდა პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვის კომპონენტების, რომლებიც აიღება წმინდა ღირებულებით.
5. ბანკის პირველადი კაპიტალი არის საზედამხედველო კაპიტალის ძირითადი წყარო და უდრის პირველადი კაპიტალის შემადგენელი კომპონენტების თანხობრივ ჯამს, გამოკლებული პირველადი კაპიტალის დაქვითვის კომპონენტების თანხობრივი ჯამი.
6. პირველადი კაპიტალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
  - ა) ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
  - ბ) არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
  - გ) აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები;
  - დ) სარეზერვო ფონდი, რომლებიც შექმნილი უნდა იყოს წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან, ბანკის განკარგულებაშია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოშობილი ზარალის დასაფარავად;
  - ე) წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (ზარალი).
7. პირველადი კაპიტალის დაქვითვა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
  - ა) ბანკის სანესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა;
  - ბ) არამატერიალური აქტივები.
8. ბანკის მეორადი კაპიტალი წარმოადგენს საზედამხედველო კაპიტალის დამატებით წყაროს და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
  - ა) მიმდინარე წლის მოგება (ზარალი);
  - ბ) მიზნობრივი ფონდები;
  - გ) საერთო რეზერვები, არა უმეტეს საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შენონილი აქტივების 1.25%-ის ოდენობისა;
  - დ) პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით, გარდა პირველად კაპიტალში ასახული არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციებისა;
  - ე) ბანკის აქციებში კონვერტირებადი ვალი, იმ პირობით, თუ იგი სრულად აკმაყოფილებს სუბორდინირებული ვალის შინაარსს და თუ ასეთი ვალის ბანკის აქციებში კონვერსიის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და ეს

პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებით;

- 3) სუბორდინირებული ვალი, მიღებული მინიმუმ 5 წლით სარგებლობის ვადით და ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ვალის 20 პროცენტით შემცირებული ოდენობით, იმ პირობით, თუ სუბორდინირებული ვალი მიღებულია ყოველგვარი უზრუნველყოფისა და გამოყენების შეზღუდვების გარეშე და რომელიმე მხარის მიერ ასეთი სუბორდინირებული ვალის პირობების შეცვლა და/ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და თუ ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებაში.
- 9. საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
  - ა) ინვესტიციები საქართველოს რეზიდენტი ბანკების სანესდებო კაპიტალში;
  - ბ) არაკონსოლიდირებული ინვესტიციები ბანკის შვილობილი საწარმოების სანესდებო კაპიტალში.
- 10. პირველადი კაპიტალი უნდა შეადგენდეს საზედამხედველო კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტს.
- 11. თუ ამ დებულების პირობების გათვალისწინების შემდეგ სუბორდინირებული ვალის (ვალების) თანხობრივი მოცულობა შეადგენს პირველადი კაპიტალის 50 პროცენტზე მეტს, სუბორდინირებულ ვალის (ვალების) თანხობრივი მოცულობიდან მეორადი კაპიტალის გაანგარიშებაში აიღება არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 50 პროცენტის შესაბამისი თანხისა.
- 12. თუ მეორადი კაპიტალი შეადგენს პირველადი კაპიტალის 100 პროცენტზე მეტს, მეორადი კაპიტალის გაანგარიშებაში აიღება არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 100 პროცენტის შესაბამისი თანხისა.

### მუხლი 5. რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები

- 1. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისათვის გამოიყენება რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, რომლებიც მოიცავს საკრედიტო და საბაზრო რისკებით შეწონილ აქტივებს.
- 2. საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი.
- 3. საბაზრო რისკი არის ბაზარზე ფასების მერყეობის შედეგად ბანკის აქტივების ღირებულების ცვლილებით გამოწვეული რისკი.
- 4. რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები არის საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისა და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამი შემცირებული საერთო რეზერვების იმ ნაწილით, რომლებიც არ შედის მეორად კაპიტალში, და სპეციალური რეზერვებით.

### მუხლი 6. საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები

- 1. აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად

და თითოეული კატეგორიის აქტივებს შესაბამება საკრედიტო რისკის კოეფიციენტი:

- ა) I კატეგორიის აქტივები, 0%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0;
  - ბ) II კატეგორიის აქტივები, 20%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0.2;
  - გ) III კატეგორიის აქტივები, 50%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0.5;
  - დ) IV კატეგორიის აქტივები, 100%-იანი საკრედიტო რისკი – საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 1.0.
2. საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ის აქტივები, რომლებიც პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვის კომპონენტებს წარმოადგენს.
3. საკრედიტო რისკის მიხედვით აქტივების შეწონვისას გაანგარიშებაში აიღება აქტივების წმინდა ღირებულება, გარდა სესხებისა და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა, რომლებიც აიღება მთლიანი ღირებულებით.
4. 0%-იანი საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული I კატეგორიის აქტივებია:
- ა) ბანკში არსებული ნაღდი ფულადი სახსრები ლარებით და „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ვალუტით;
  - ბ) ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო და მინიმალური რეზერვების ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები;
  - გ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია ეროვნული ბანკის მიერ;
  - დ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;
  - ე) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;
- 3) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ამავე ბანკში დაჯავშნილი დეპოზიტებით;
- ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით წარმოქმნილი მოთხოვნები;
  - თ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც სრულად და უპირობოდ უზრუნველყოფილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული და გარანტირებული სახაზინო ვალდებულებებით.
5. 20%-იან საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული II კატეგორიის აქტივებია:
- ა) ნაღდ ფულთან გათანაბრებული დოკუმენტების თანხობრივი მოცულობა ლარებით და „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ვალუტით;
  - ბ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;
  - გ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ;

- დ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების რეზიდენტ ბანკებში დაჭაფშნული დეპოზიტებით;
- ე) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც არაპირდაპირ გარანტირებულია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ და რომლებიც ამ დებულების შესაბამისად მიკუთვნებული არ არის 0%-იანი რისკის მატარებელი აქტივების კატეგორიას;
- ვ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები;
- გ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდებით.
6. 50%-იან საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული III კატეგორიის აქტივებია:
- ა) ნაღდი ფულადი სახსრები და ნაღდ ფულთან გათანაბრებული დოკუმენტების თანხობრივი მოცულობა „ეგთო-ს“ არაწევრი ქვეყნების ვალუტით;
- ბ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს რეზიდენტი ბანკების მიერ;
- გ) მოკლევადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია „ეგთო-ს“ არაწევრი ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;
- დ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო უწყების) მიერ;
- ე) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო უწყების) მიერ გამოშვებული და გარანტირებული სხვა სავალო ფასიანი ქაღალდებით;
- ვ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოსა და „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ადგილობრივი მთავრობების (მუნიციპალიტეტების) მიერ;
- გ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საქართველოსა და „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ადგილობრივი მთავრობების (მუნიციპალიტეტების) მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით.
7. 100%-იან საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული IV კატეგორიის აქტივებია:
- ა) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია ეგთოს არაწევრი ქვეყნების მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;
- ბ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია „ეგთო-ს“ არაწევრი ქვეყნების მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;
- გ) გრძელვადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც გარანტირებულია „ეგთო-ს“ არაწევრი ქვეყნების რეზიდენტი ბანკების მიერ;
- დ) კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები;
- ე) ინვესტიციები იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში;
- თ) საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდები;
- ზ) მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდებით;
- თ) ძირითადი საშუალებები;
- ი) სესხები, რომლებიც ასახული არ არის 0,20 და 50%-იან საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების კატეგორიებში;
- კ) დანარჩენი აქტივები, რომლებიც ასახული არ არის 0, 20 და 50%-იან საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების კატეგორიებში.
8. ბალანსგარეშე ვალდებულებების საკრედიტო რისკის მიხედვით შენონვისათვის ბალანსგარეშე ვალდებულებების ხელშეკრულების მთლიანი თანხა გადაიყვანება საბალანსო უწყისის კრედიტ-ექვივალენტურ თანხაში, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შენონვას იმავე კრიტერიუმებით, როგორც საბალანსო უწყისში რიცხული აქტივებისა.
9. ბალანსგარეშე ვალდებულებების ხელშეკრულების მთლიანი თანხის საბალანსო უწყისის კრედიტ-ექვივალენტურ თანხაში გადაყვანის მიზნით, ბალანსგარეშე ვალდებულებები კრედიტ-კონვერსიის ფაქტორების გათვალისწინებით იყოფა 4 კატეგორიად და თითოეული კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებს შესაბამება თავისი კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი;
- ა) I კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, 100%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორი – კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი 1.0;
- ბ) II კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, 50%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორი – კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი 0.5;
- გ) III კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, 20%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორი – კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი 0,2;
- დ) IV კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებები, 0%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორი-კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტი 0.
10. 100%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული I კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია:
- ა) გაცემული გარანტიები, საბანკო აქცეპტები, სესხის გაცემის ვალდებულებები, თუ ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა აღემატება ერთ წელს;
- ბ) აქტივის გაყიდვის ვალდებულებები უკან გამოსყიდვის ვალდებულებით, როდესაც საკრედიტო რისკს იღებს ბანკი და ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს;
- გ) აქტივების შესყიდვის ვალდებულებები, თუ ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს.
11. 50%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემ-

დებარებული II კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია:

- ა) გაცემული გარანტიები, რომელთა შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება 1 წელს;
  - ბ) სხვა პირობითი ვალდებულებები, რომელთა შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება 1 წელს.
12. 20%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული III კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია ტვირთებით უზრუნველყოფილი დოკუმენტური აკრედიტივები.
  13. 0% – იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული IV კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია ისეთი ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება უპირობოდ გააუქმოს ბანკმა.
  14. საპროცენტო განაკვეთთან და სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური ხელშეკრულებებით წარმოშობილი ბალანსგარეშე ვალდებულებების საკრედიტო რისკი ეხება ამ ხელშეკრულების შესრულებიდან გამომდინარე პოტენციურ ზარალს და, შესაბამისად, ასეთი ბალანსგარეშე ვალდებულებების მთლიანი თანხა ექვემდებარება განსხვავებულ კრედიტ-კონვერსიის ფაქტორებს.
  15. სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური ხელშეკრულებებით წარმოშობილი ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა ხელშეკრულების ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს, არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას.
  16. საპროცენტო განაკვეთთან და სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური ხელშეკრულებებით წარმოშობილი ბალანსგარეშე ვალდებულებების მთლიანი თანხის საბალანსო უწყისის კრედიტ-ექვივალენტურ თანხაში გადაყვანა წარმოებს განსხვავებული სხვადასხვა კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტებით, ასეთი ხელშეკრულებების ვადის გათვალისწინებით ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
  17. საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გაიანგარიშება როგორც საბალანსო უწყისის აქტივების თითოეული კატეგორია, გამრავლებული ამ კატეგორიის აქტივების შესაბამის საკრედიტო რისკის კოეფიციენტზე, დამატებული ბალანსგარეშე ვალდებულებების თითოეული კატეგორია, გამრავლებული შესაბამის კრედიტ-კონვერსიის კოეფიციენტზე და მიღებული კრედიტ-ექვივალენტური თანხა, გამრავლებული შესაბამის საკრედიტო რისკის კოეფიციენტზე.

### მუხლი 7. საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები

1. საბაზრო რისკი არის ბანკის აქტივებსა და ბალანსგარეშე ვალდებულებებზე ზარალის მიღების რისკი, რომელიც შესაძლებელია გამოიწვიოს ბა-

ზარზე ფასების მერყეობამ.

2. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო, საფონდო, სავალუტო და სასაქონლო პოზიციის რისკებს. ამ დებულების მიზნებისათვის საბაზრო რისკში ჩაითვლება მხოლოდ სავალუტო რისკი.
3. სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შემთხვევაში ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი, ვინაიდან ასეთმა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის მოგებაზე, კაპიტალზე, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.
4. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას ექვემდებარება ბანკის მიერ უცხოურ ვალუტაში ფორმირებული სესხები, დებიტორული დავალიანებები და მათზე დარიცხული მისაღები პროცენტები, გარდა:
  - ა) მსესხებლისათვის მიცემული სესხების და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა და/ან მათი ნაწილისა, რომელთა დაფარვის წყაროა სასესხო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მსესხებელთა ექსპორტიდან მისაღები ფულადი სახსრები ანალოგიურ ვალუტაში და, თუ მსესხებელს აქვს ექსპორტიდან ანალოგიურ ვალუტაში მისაღები ფულადი სახსრების დამადასტურებელი დოკუმენტები;
  - ბ) მსესხებელისათვის მიღებული სესხების და სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტებისა და/ან მათი ნაწილისა, რომელთა დაფარვა უზრუნველყოფილია ამავე ბანკში ანალოგიურ ვალუტაში ფორმირებული დაჯავშნული დეპოზიტებით.
5. სავალუტო რისკის მიხედვით აქტივების შეწონვას დაქვემდებარებული სესხები, დებიტორული დავალიანებები და მათზე დარიცხული მისაღები პროცენტები გაიანგარიშებისას აიღება მთლიანი ღირებულებით.
6. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ აქტივებს შეესაბამება 75%-იანი რისკის კატეგორია და სავალუტო რისკის კოეფიციენტი 0,75.
7. საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გაიანგარიშება როგორც სავალუტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების მთლიანი თანხა, გამრავლებული სავალუტო რისკის კოეფიციენტზე.

### მუხლი 8. კომერციული ბანკების ვალდებულებები

1. ბანკები ვალდებული არიან:
  - ა) დაიცვან ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
  - ბ) ეროვნულ ბანკს ყოველთვიურად წარუდგინონ ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ამსახველი ანგარიშგება;
  - გ) საზედამხედველო კაპიტალის გაიანგარიშებაში ჩართვის მიზნით ეროვნულ ბანკს წარუდგინონ ბანკის აქტივებში უპირობოდ კონვერტირებადი ვალისა და სუბორდინირებული ვალის ხელშეკრულება მისი გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.
2. კაპიტალის ადეკვატურობის მიმართ ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ბანკები ვალდებული არიან:

- ა) ეროვნულ ბანკს წარუდგინონ კაპიტალის აღდგენის დამაკმაყოფილებელი გეგმა და კაპიტალის აღდგენისათვის უზრუნველყონ ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულება;
- ბ) კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დამაკმაყოფილებლის მიზნით უზრუნველყონ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ღონისძიებების, სანქციებისა და შეზღუდვების სრულყოფილად შესრულება.

### მუხლი 9. სანქციები და შეზღუდვები

1. ბანკის მიერ მინიმალური საზედამხებველო კაპიტალის, პირველადი კაპიტალის ან საზედამხებველო კაპიტალის კოეფიციენტების მიმართ ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკის მიმართ გამოიყენებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლითა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებებსა და სანქციებს.
2. ბანკის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის დროულად აღმოფხვრის მიზნით ეროვნულმა ბანკმა ბანკისაგან უნდა მოითხოვოს და განიხილოს ბანკის კაპიტალის აღდგენის გეგმა, დაუნესოს ბანკს სპეციალური მოთხოვნები კაპიტალის შემცირების შეჩერებისათვის აუცილებელი შეზღუდვებითა და კაპიტალის გაზრდისათვის გასატარებელი ღონისძიებებით.
3. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ბანკს გაუუქმოს საბანკო საქმიანობის ლიცენზია, თუ:
  - ა) ბანკის პირველადი კაპიტალისა და საზედამხებველო კაპიტალის კოეფიციენტები შეადგენს, შესაბამისად, 3 და 5 პროცენტს ან მათზე ნაკლებს;
  - ბ) ბანკის საზედამხებველო კაპიტალი შეადგენს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საზედამხებველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის 80%-ზე ნაკლებს;
  - გ) ბანკის საზედამხებველო კაპიტალი შეადგენს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საზედამხებველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლებს და ამავდროულად საზედამხებველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის 80%-ზე მეტს 3 (სამი) თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

## დანართი N1

N	ვადა ხელშეკრულების მიხედვით	ხელშეკრულებები საპროცენტო განაკვეთზე	ხელშეკრულებები სავალუტო კურსზე
1.	1 წელზე ნაკლები	0.5%	2.0%
2.	1-დან 2-წლამდე	1.0%	5.0%
3.	ყოველ დამატებით წელზე	+1.0%	+3.0%

### 3.1.7 კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება

#### თავი I ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ დებულების მიზანია ხელი შეუწყოს კომერციული ბანკების გაკოტრების რისკების შემცირებასა და მთლიანი საბანკო სისტემის ფინანსურ სტაბილურობას. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (შემდგომში – ეროვნული ბანკი) უნდა უზრუნველყოს საბანკო სექტორში ეფექტიანი, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი გარემოს ფუნქციონირება, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.
2. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის მთავარი ბერკეტია ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების დადგენა და მათი შესრულების კონტროლი.
3. ამ დებულებით დგინდება ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისა და უცხოეთის ბანკების ფილიალებისათვის.
4. ამ დებულებით დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები ეფუძნება სამ „პილარს“, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისოდ აღიარებული „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოში. თუ ამ დებულებაში მოცემული არ არის კონკრეტული საკითხის მარეგულირებელი წესი ან ტერმინის განმარტება, კომერციულმა ბანკმა ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით უნდა იხელმძღვანელოს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის სტანდარტებით.

##### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) საერთო რეზერვი – არაიდენტიფიცირებული ზარალის რეზერვი „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების შესახებ“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად;
- ბ) სხვა სრული შემოსავალი – ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (შემდგომში –

- გ) ფასს) განმარტებული სხვა სრული შემოსავალი; გაუნაწილებელი მოგება – ფასს-ით განმარტებული გაუნაწილებელი მოგება.;
- დ) არამატერიალური აქტივები – ფასს-ით განმარტებული არამატერიალური აქტივები;
- ე) ძირითადი საშუალებები – ფასს-ით განმარტებული ძირითადი საშუალებები;
- ვ) ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი – ფასს-ით განმარტებული ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი;
- ზ) ფინანსური ინსტიტუტი – „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფინანსური ინსტიტუტი, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული საფინანსო სექტორის წარმომადგენელი და სალიზინგო კომპანიები, ასევე, ანალოგიური ორგანიზაციები, რომლებიც დაფუძნებული არიან საზღვარგარეთ;
- თ) საჯარო დაწესებულება – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება, ასევე ამ დებულების მიზნებისათვის საჯარო დაწესებულებად მიიჩნევა სხვა ქვეყნების ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი არაკომერციული ადმინისტრაციული ორგანოები ან სტრუქტურები, რომლებიც კომპეტენტური ორგანოების მიერ მიჩნეულია იმავე პასუხისმგებლობების მქონე ერთეულებად, რაც რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებს აქვთ, ან ცენტრალური მთავრობის კუთვნილებაში მყოფი არაკომერციული იურიდიული პირები, რომელთაც აქვთ პირდაპირი საგარანტიო შეთანხმებები, მათ ასევე შეიძლება მიეკუთვნებოდეს თვითმმართველი ორგანოებიც, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით;
- ი) კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფა – საკრედიტო რისკის მიტიგაციის ფორმა, რომლის დროსაც საკრედიტო რისკის შემცირება ხდება კომერციული ბანკის უფლებით, მეორე მხარის დეფოლტის ან საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა მოვლენის დადგომის შემთხვევაში, დაიწყოს მეორე მხარის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება ან ამოიღოს/დაისაკუთროს მისი კონკრეტული აქტივები ან თანხები ან შეამციროს/ჩაანაცვლოს მისი რისკის პოზიცია რისკის პოზიციასა და კომერციული ბანკის მიმართ მოთხოვნის თანხებს შორის სხვაობით;
- კ) კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფა – საკრედიტო რისკის მიტიგაციის ფორმა, რომლის დროსაც საკრედიტო რისკის შემცირება ხდება მსესხებლის დეფოლტის ან საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა მოვლენების დადგომის შემთხვევაში, გადახდის ვალდებულების შესაბამის მხარის მიერ თავის თავზე აღებით;
- ლ) ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტი – კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატი ან სხვა ანალოგიური ინსტრუმენტი;
- მ) ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფი – ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფი, რომელიც განსაზღვრულია „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი



- ბ) რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით; მონათესავე საწარმო – იურიდიული პირის შვილობილი ან/და კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმო, აგრეთვე მისი მაკონტროლებელი პირები და მათი შვილობილი და კონტროლისადმი დაქვემდებარებული საწარმოები;
- ო) საზედამხედველო კონსოლიდირება – რისკის მიხედვით შენონილი აქტივების კალკულაციაში საწარმოს აქტივების გათვალისწინება, რომელშიც კომერციულ ბანკს განხორციელებული აქვს ინვესტიცია;
- პ) რისკის პოზიცია – აქტივი და/ან გარესაბალანსო ელემენტი.

## თავი II კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები – საკუთარი სახსრები (I კილარი)

### მუხლი 3. საზედამხედველო კაპიტალი

1. კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა განისაზღვრება მისი საზედამხედველო კაპიტალით. მასში არ უნდა იყოს ჩართული ისეთი ინსტრუმენტები, რომელთა შესახებ შეთანხმება, ხელშეკრულება ან დაპირება ვერ უზრუნველყოფს კომერციული ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის პრინციპებს.
2. კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისაგან:
  - ა) პირველადი კაპიტალი, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:
    - ა.ა) ძირითადი პირველადი კაპიტალი;
    - ა.ბ) დამატებითი პირველადი კაპიტალი.
    - ბ) მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო კაპიტალი).
3. პირველადი კაპიტალი შედგება ისეთი ინსტრუმენტებისაგან, რომელთაც შეუძლია ზარალის უპირობოდ მათი წარმოქმნისთანავე დაფარვა ისე, რომ კომერციულმა ბანკმა შეძლოს თავისი საქმიანობის შეფერხების გარეშე გაგრძელება. პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები კომერციულ ბანკს უნდა აძლევდეს გადახდების განხორციელებას შესაძლებლობას მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ (მათი გადაუხდელობა არ უნდა იწვევდეს კომერციული ბანკის დეფოლტს) და ზარალის დაფარვისათვის მათი სრულად გამოყენების შესაძლებლობას.
4. მეორადი კაპიტალი არის სალიკვიდაციო კაპიტალი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბანკის ზარალის დაფარვა დეპოზიტორებამდე და არაუზრუნველყოფილ კრედიტორებამდე კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას და/ან მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების დროს.

### მუხლი 4. ძირითადი პირველადი კაპიტალი

1. ძირითადი პირველადი კაპიტალი არის საზედამხედველო კაპიტალის უმთავრესი წყარო და უდ-

2. ძირითადი პირველადი კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისგან:
  - ა) ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც სრულად განაღდებულია და აკმაყოფილებს ამ დებულების XIII თავში მოცემულ კრიტერიუმებს;
  - ბ) დამატებითი სახსრები, რომლებიც წარმოიქმნება ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ემისიით;
  - გ) აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი და სხვა რეზერვები;
  - დ) გაუნაწილებელი მოგება (ზარალი).

### მუხლი 5. დამატებითი პირველადი კაპიტალი

1. კომერციული ბანკის დამატებითი პირველადი კაპიტალი უდრის დამატებითი პირველადი კაპიტალის ელემენტების ჯამს გამოკლებული დამატებითი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები.
2. დამატებითი პირველადი კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისგან:
  - ა) ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს ამ დებულების XIII თავში მოცემულ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს და არ არის ძირითადი პირველადი კაპიტალის ნაწილი;
  - ბ) დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები.

### მუხლი 6. მეორადი კაპიტალი

1. მეორადი კაპიტალი არის საზედამხედველო კაპიტალის დამატებითი წყარო და უდრის მეორადი კაპიტალის ელემენტების ჯამს გამოკლებული მეორადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები.
2. მეორადი კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისგან:
  - ა) ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს ამ დებულების XIII თავში მოცემულ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს და არ არის პირველადი კაპიტალის ნაწილი;
  - ბ) მეორად კაპიტალში შემავალი ინსტრუმენტების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები;
  - გ) საერთო რეზერვები, საკრედიტო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების მაქსიმუმ 1.25%-ის ოდენობით.

### მუხლი 7. საზედამხედველო კორექტირებები

1. კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშებისათვის საზედამხედველო კომპონენტებს უნდა გამოაკლდეს ამ მუხლით განსაზღვრული საზედამხედველო კორექტირებები.
2. საზედამხედველო კაპიტალის დათვლისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კორექტირებები:

- ა) აქტივების გადაფასების რეზერვის დაქვითვა უნდა მოხდეს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან;
- ბ) მოგებასა და ზარალში აქტივების არარეალიზებული გადაფასების შედეგად მიღებული აკუმულირებული მოგების ის ნაწილი (იგულისხმება ისტორიულად აკუმულირებული და არა მხოლოდ მიმდინარე წლის მოგება), რომელიც აღემატება მოგებასა და ზარალში არარეალიზებული გადაფასების შედეგად ასახულ აკუმულირებულ ზარალს (იგულისხმება ისტორიულად აკუმულირებული და არა მხოლოდ მიმდინარე წლის ზარალი), უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან. აღნიშნულის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს „საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციაში“ მოცემული ოთხნიშნა კოდით გამოსახული ცალკეული აქტივის კლასისათვის. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის კომერციულმა ბანკებმა არ უნდა გაითვალისწინონ მაღალი ლიკვიდურობის მქონე აქტივები, რომლებიც ივაჭრება ლიკვიდურ ბაზრებზე. ეროვნულ ბანკს შეუძლია მოთხოვოს კომერციულ ბანკს, კონკრეტული აქტივები არ მიიჩნიოს მაღალი ლიკვიდურობის მქონედ და კაპიტალიდან დაქვითოს მათი გადაფასების შედეგად აკუმულირებული მოგება, რომელიც აღემატება აკუმულირებულ ზარალს;
- გ) არამატერიალური აქტივები უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან;
- დ) გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომელთა რეალიზება დამოკიდებულია კომერციული ბანკის სამომავლო მომგებიანობაზე უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან. გადავადებული საგადასახადო აქტივი შეიძლება გაიქვითოს მასთან დაკავშირებულ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ორივე, გადავადებული საგადასახადო აქტივიც და ვალდებულებაც, გადაიხდება ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოში და გაქვითვა დაშვებულია შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიერ. დროებითი სხვაობების (მაგ: შესაძლო დანაკარგების რეზერვები) შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივების თანხის დაქვითვა უნდა მოხდეს „ზღვრული დაქვითვის“ მეთოდის გამოყენებით ამ დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. ყველა სხვა ასეთი აქტივი, როგორცაა საოპერაციო დანაკარგებთან დაკავშირებული მომავალ პერიოდზე გადატანილი გამოუყენებელი ზარალი ან გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტები, სრულად უნდა დაიქვითოს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებთან გაქვითვის შემდეგ, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, რომელიც შეიძლება გაიქვითოს გადავადებულ საგადასახადო აქტივთან, არ უნდა შეიცავდეს თანხას, რომელიც უკვე გაიქვითა გუდვილის, არამატერიალური აქტივებისა და საპენსიო აქტივების კორექტირებისას და უნდა გადანაწილდეს გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად და ზღვრული დაქვითვის პროპორციულად;
- ე) ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის თანხა, რომელიც დაკავშირებულია საბალანსო უწყისის იმ ელემენტების ჰეჯირებასთან, რომლებიც არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით (მათ შორის, დაგეგმილი ფულადი ნაკადები), არ უნდა იქნას გათვალისწინებული ძირითადი პირველადი კაპიტალის დათვლისას (დადებითი თანხა უნდა გამოაკლდეს, ხოლო უარყოფითი თანხა უნდა დაემატოს). ამგვარი მიდგომით, ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი არ უნდა იქნას აღიარებული პრუდენციული მიზნებისთვის. ელემენტები, რომლებიც იწვევენ ხელოვნურ მერყეობას ძირითად კაპიტალში არ აღიარდება;
- ვ) ინვესტიციები საკუთარ აქციებში უნდა დაიქვითოს საზედამხებდევლო კაპიტალიდან. კომერციული ბანკის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული ინვესტიციები საკუთარ ჩვეულებრივ აქციებში მთლიანად დაიქვითება ძირითადი პირველადი კაპიტალიდან (თუ უკვე არ მოხდა მათი აღიარების შეწყვეტა შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით). გარდა ამისა, ნებისმიერი საკუთარი აქცია, რომელიც კომერციულმა ბანკმა უნდა გამოისყიდოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების თანახმად, უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან. დამატებითი პირველადი კაპიტალის დათვლისას უნდა დაიქვითოს კომერციული ბანკის მიერ განხორციელებული ინვესტიციები საკუთარ დამატებით პირველად კაპიტალში და მეორადი კაპიტალის დათვლისას უნდა დაიქვითოს კომერციული ბანკის მიერ განხორციელებული ინვესტიციები საკუთარ მეორად კაპიტალში;
- ზ) კომერციული ბანკების, სადამღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების კაპიტალში ჯვარედინი მფლობელობა (ურთიერთმფლობელობა), რომელიც კაპიტალის ხელოვნურ გაზრდას იწვევს, სრულად დაიქვითება საზედამხებდევლო კაპიტალიდან. კომერციულმა ბანკებმა უნდა დაქვითონ სხვა ბანკების, სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა და სადამღვევო ორგანიზაციების კაპიტალში აღნიშნული ტიპის ინვესტიციები „შესაბამისი დაქვითვის მეთოდის“ გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ დაქვითვა უნდა მოხდეს კაპიტალის იმ კომპონენტებიდან, რომლის ნაწილიც ის იქნებოდა ამ წესის შესაბამისად თუ იგი თავად კომერციული ბანკის მიერ იქნებოდა გამოშვებული. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის კაპიტალი წარმოადგენს ამ დებულებით განსაზღვრულ პირველად და მეორად კაპიტალს;
- თ) აქტივების კლასიფიკაციის შედეგად მიღებული რეზერვების უკმარისობა უნდა დაიქვითოს ძირითადი პირველადი კაპიტალიდან, კერძოდ, დაქვითვას ექვემდებარება ეროვნული ბანკი მიერ დადგენილი აქტივების კლასიფიკაციის წესზე დაყრდნობით გაანგარიშებული შესაძლო დანაკარგების რეზერვების მეთობა ფასს—ით გაანგარიშებულ შესაძლო დანაკარგების რეზერვზე. ამასთან, ღირებულება სრულად უნდა დაიქვითოს და არ უნდა მოხდეს ღირებულების შემცირება რაიმე საგადასახადო ეფექტებით, რომლებიც წარმოიშობოდა თუ რეზერვების დონე მიაღწევდა

- ოსალოდნელი დანაკარგების დონეს;
- ო) ინვესტიციები კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების კაპიტალში, რომლებიც არ ექვემდებარება საზედამხებდველო კონსოლიდირებას უნდა დაიქვითოს საზედამხებდველო კაპიტალიდან. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის კაპიტალი წარმოადგენს ამ დებულებით განსაზღვრულ პირველად და მეორად კაპიტალს. თუ მოცემული ორგანიზაციის კაპიტალის ინსტრუმენტი, რომელშიც კომერციულ ბანკს აქვს ინვესტიცია განხორციელებული, არ აკმაყოფილებს ამ დებულების XIII თავში განსაზღვრულ ძირითადი პირველადი, დამატებითი პირველადი და მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს, ამ საზედამხებდველო კორექტირების მიზნებისთვის ინსტრუმენტი უნდა მიეკუთვნოს ჩვეულებრივ აქციებს (ძირითადი პირველადი კაპიტალი), ხოლო თუ ინსტრუმენტი გამოშვებულია კომერციული ბანკის მიერ და არ მიეკუთვნება საზედამხებდველო კაპიტალს, იგი არ უნდა დაიქვითოს საზედამხებდველო კაპიტალიდან;
- კ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში განსაზღვრული ინვესტიციები, რომლებიც არ წარმოადგენს ჩვეულებრივ აქციებს, სრულად უნდა დაიქვითოს შესაბამისი დაქვითვის მეთოდის გამოყენებით. შესაბამისი დაქვითვის მეთოდის მიხედვით, დაქვითვა უნდა მოხდეს კაპიტალის იმ კომპონენტიდან, რომლის ნაწილიც ის იქნებოდა ამ წესის შესაბამისად, თუ იგი თავად კომერციული ბანკის მიერ იქნებოდა გამოშვებული. თუ კაპიტალის კონკრეტული კომპონენტიდან დაქვითვის მოთხოვნის შემთხვევაში კომერციულ ბანკს არ აქვს აღნიშნული კომპონენტის საკმარისი ოდენობა, დარჩენილი თანხა უნდა დაიქვითოს მომდევნო (უფრო მაღალი) რანგის კაპიტალიდან;
- ლ) აქციების ფლობა და სხვა სახით 10%-ზე მეტი წილის ფლობა კომერციული იურიდიული პირების კაპიტალში დაიქვითება ძირითადი პირველადი კაპიტალიდან.
3. ჩვეულებრივ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები დაექვემდებარება ზღვრულ მიდგომას (ზღვრული დაქვითვის მეთოდი):
- ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის დათვლისას ქვემოთ მოცემული ელემენტები დაექვემდებარება ლიმიტირებულ აღიარებას/ჩათვლას ძირითად პირველად კაპიტალში სრულად დაქვითვის ნაცვლად. აღიარებას ექვემდებარება თითოეული ელემენტი არაუმეტეს ძირითადი პირველადი კაპიტალის (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ - „ი“ ქვეპუნქტების ჩათვლით ყველა საზედამხებდველო კორექტირების გათვალისწინების შემდეგ) 10%-ის ოდენობით:
- ა.ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მნიშვნელოვანი ინვესტიციები არაკონსოლიდირებული კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ჩვეულებრივ აქციებში, როდესაც კომერციული ბანკი ფლობს მათ მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების 10%-ზე მეტს და ინვესტიციები კომერციულ ბანკთან მონათესავე არაკონსოლიდირებული კომერციული ბანკების,

- სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ჩვეულებრივ აქციებში;
- ა.ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი სხვაობების შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივები.
- ბ) კომერციულმა ბანკმა ასევე უნდა დაქვითოს ზემოთ ხსენებული ორი ელემენტის ჯამის ის ნაწილი, რომელიც აჭარბებს ძირითადი პირველადი კაპიტალის (დათვლილი ზემოხსენებული ელემენტების დაქვითვამდე, მაგრამ ძირითადი პირველადი კაპიტალის ყველა სხვა დანარჩენი საზედამხებდველო კორექტირებების გათვალისწინების შემდეგ) 15%-ს;
- გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციები არაკონსოლიდირებული კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ჩვეულებრივ აქციებში, როდესაც კომერციული ბანკი ფლობს მათ მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების 10%-ზე ნაკლებს დაექვემდებარება ლიმიტირებულ აღიარებას/ჩათვლას: თუ ინვესტიციები ჯამურად აჭარბებს კომერციული ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის 10%-ს (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ - „თ“ ქვეპუნქტების ჩათვლით ყველა საზედამხებდველო კორექტირების გათვალისწინების შემდეგ), ნამეტი თანხა უნდა იქნას დაქვითული. ძირითადი პირველადი კაპიტალიდან უნდა დაიქვითოს ინვესტიცია, რომელიც აჭარბებს 10%-ს გამრავლებული ძირითადი პირველადი კაპიტალის მთლიან საზედამხებდველო კაპიტალში წილზე. დამატებითი პირველადი კაპიტალიდან უნდა დაიქვითოს ინვესტიცია, რომელიც აჭარბებს 10%-ს გამრავლებული დამატებითი პირველადი კაპიტალის მთლიან საზედამხებდველო კაპიტალში წილზე. მეორადი კაპიტალიდან უნდა დაიქვითოს ინვესტიცია, რომელიც აჭარბებს 10%-ს გამრავლებული მეორადი კაპიტალის მთლიან საზედამხებდველო კაპიტალში წილზე.

### თავი III კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. საკუთარი სახსრების მინიმალური დონე და რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები (I კილარი)

#### მუხლი 8. საკუთარი სახსრების მინიმალური დონე

- ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია, ჰქონდეს საკუთარი სახსრების ის ოდენობა, რომელიც ყოველთვის მეტი ან ტოლი იქნება კაპიტალის შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებზე:
- ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – კომერციული ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შენონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 7%-ზე

- მეტი ან ტოლი;
- ბ) პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – კომერციული ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შენონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 8.5%–ზე მეტი ან ტოლი;
  - გ) საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი – კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შენონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 10.5%–ზე მეტი ან ტოლი.
2. ძირითადი პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტების დათვლისათვის გამოყენებული რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები წარმოადგენს ამ დებულების IV-XI თავებით განსაზღვრული საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების ჯამს.
  3. მოცემული მუხლით განსაზღვრული კოეფიციენტების დათვლის მიზნებისათვის კომერციულმა ბანკებმა უნდა ისარგებლონ „საქართველოს საბანკო დანესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის“ საფუძველზე გაანგარიშებული რიცხვებით.
  4. საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს კაპიტალის კონსერვაციისა და კონტრციკლური ბუფერების დაჭერის ვალდებულებასა და მათი მოცულობის შესაბამისად კომერციულ ბანკებზე დანესებულ შემლუდვებს.
  5. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს შეუზღუდოს კომერციულ ბანკს ფიზიკური პირის მიერ დაფინანსებული ისეთი ინსტრუმენტების გამოშვება ან/და კაპიტალში ჩართვა, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის წარმოადგენს ვალდებულებას, რათა ასეთი ინსტრუმენტების პორტფელი არ იყოს ზედმეტად გრანულარული.

### მუხლი 9. საკრედიტო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები

მე-8 მუხლის მიზნებისათვის საკრედიტო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების თანხების დასათვლელად კომერციულმა ბანკებმა უნდა გამოიყენონ IV თავში მოცემული სტანდარტიზებული მიდგომა და მე-18 მუხლში აღწერილი სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის დათვლის მეთოდოლოგია.

## თავი IV კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. საკუთარი სახსრების მინიმალური ღირებულება და რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები (I კილარი)

### მუხლი 10. რისკის პოზიციები

1. აქტივის რისკის პოზიციის ღირებულება არის მი-

სი საბალანსო ღირებულება, ხოლო XIV თავში ჩამოთვლილ გარესაბალანსო ელემენტების რისკის პოზიციის ღირებულება არის მათი ღირებულების შემდეგი პროცენტი: თუ მაღალი რისკის კატეგორიას მიეკუთვნება – 100%, თუ საშუალო რისკის კატეგორიას მიეკუთვნება – 50%, თუ საშუალო/დაბალი რისკის კატეგორიას მიეკუთვნება – 20%, თუ დაბალი რისკის კატეგორიას მიეკუთვნება – 0%. აღნიშნულ გარესაბალანსო ელემენტებს უნდა მიენიჭოს რისკის კატეგორიები ამ დებულების XIV თავის მიხედვით.

2. სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის წარმოებული ინსტრუმენტების რისკის პოზიციის ღირებულება, რომელიც ექვემდებარება კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მიხედვით შენონვას, განისაზღვრება ამ დებულების XVI თავის შესაბამისად.
3. თუ რისკის პოზიცია უზრუნველყოფილია კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფით, მისი ღირებულება შეიძლება შეიცვალოს ამ დებულების V თავის შესაბამისად.

### მუხლი 11. რისკის პოზიციის კლასები

1. თითოეული რისკის პოზიცია უნდა მიეკუთვნოს რისკის პოზიციის შემდეგი კლასებიდან ერთერთს:
  - ა) უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ;
  - ბ) უპირობო და პირობითი მოთხოვნები რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ;
  - გ) უპირობო და პირობითი მოთხოვნები საჯარო დაწესებულებების მიმართ;
  - დ) უპირობო და პირობითი მოთხოვნები მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიმართ;
  - ე) უპირობო და პირობითი მოთხოვნები საერთაშორისო ორგანიზაციების/ინსტიტუტების მიმართ;
  - ვ) უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ;
  - ზ) უპირობო და პირობითი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ;
  - თ) უპირობო და პირობითი საცალო მოთხოვნები;
  - ი) უპირობო და პირობითი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია საცხოვრებელი უძრავი ქონებით;
  - კ) ვადაგადაცილებული სესხები;
  - ლ) მაღალი საზედამხედველო რისკის კატეგორიაში შემავალი ერთეულები;
  - მ) მოკლევადიანი მოთხოვნები კორპორატიული კლიენტების მიმართ;
  - ნ) მოთხოვნები კოლექტიური ინვესტიციების სახით;
  - ო) სხვა ერთეულები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში მოცემული საცალო კლიენტების მიმართ უპირობო და პირობითი მოთხოვნების კლასისთვის მიკუთვნებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:
  - ა) რისკის პოზიცია უნდა იყოს ფიზიკური პირის/პი-

- ბ) რების ან მცირე/საშუალო ბიზნესის მიმართ; რისკის პოზიცია უნდა მიეკუთვნებოდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის რისკის პოზიციებს, რისკის პოზიცია საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის გათვალისწინების გარეშე ერთი მხარის მიმართ არ უნდა ატარებდეს საზედამხებდევლო საცალო პორტფელის 0.2%-ს და ასეთი რისკის პოზიციებს უნდა ჰქონდეთ ისეთი მსგავსი მახასიათებლები, რომლებიც არსებითად ამცირებს გასესხებასთან დაკავშირებულ რისკებს;
  - გ) მოვალე მხარის (რომელშიც იგულისხმება ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფი) მიმართ რისკის პოზიცია საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი უპირობო ან პირობითი მოთხოვნების გამოკლებით, არ უნდა ატარებდეს 350,000 ლარს. კომერციულმა ბანკებმა უნდა მიიღონ გონივრული ზომები ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად;
  - დ) ფასიანი ქაღალდები არ უნდა მიეკუთვნოს საცალო რისკის პოზიციების კლასს.
3. კომერციულმა ბანკებმა უნდა შეიმუშავონ და დანერგონ პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სახის რისკის პოზიციის სათანადოდ და თანმიმდევრულად იდენტიფიკაციასა და კლასიფიკაციას.

**მუხლი 12. რისკის პოზიციების გაანგარიშება**

- 1. რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების დასათვლელად უნდა მოხდეს ყველა რისკის პოზიციისთვის წონის მინიჭება ამ დებულების 32-ე-45-ე მუხლების შესაბამისად გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება მათი საკუთარი სახსრებიდან დაქვითვა. რისკის წონის მინიჭება ხდება რისკის პოზიციის კლასისა და კრედიტის ხარისხის მიხედვით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ დებულების 32-ე- 45-ე მუხლებით. კრედიტის ხარისხი შეიძლება დადგინდეს საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების (შემდგომში – სშგი) საკრედიტო შეფასებაზე დაყრდნობით მე-13 -მე-16 მუხლების მოთხოვნების შესაბამისად.
- 2. პირველ პუნქტში აღნიშნული რისკის წონის მისანიჭებლად რისკის პოზიციის ღირებულება უნდა გამრავლდეს ამ თავის მიხედვით განსაზღვრულ და მითითებულ რისკის წონაზე.
- 3. უზრუნველყოფილი რისკის პოზიციის შემთხვევაში მისანიჭებელი წონა შეიძლება შეიცვალოს V თავის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება მათი საკუთარი სახსრებიდან დაქვითვა.

**მუხლი 13. რისკის პოზიციისათვის მისანიჭებელი რისკის წონის დადგენა**

- 1. მე-12 მუხლის მიხედვით რისკის პოზიციის რისკის წონის დასადგენად შეიძლება გამოყენებული იქნას სშგი-ების საკრედიტო შეფასება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ინსტიტუტი ამ მიზნებისთვის აღიარებულია ეროვნული ბანკის მიერ (შემდგომში –აღიარებული სშგი).
- 2. მე-13 მუხლის მიზნებისთვის ეროვნული ბანკის

- მიერ სშგი–ს აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მისი შეფასების მეთოდოლოგია აკმაყოფილებს ობიექტურობის, დამოუკიდებლობის, უწყვეტი განხილვისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, ხოლო მის მიერ გაკეთებული საკრედიტო შეფასებები აკმაყოფილებს სანდოობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს.
- 3. ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტებია:
  - ა) Fitch;
  - ბ) Moody's; და
  - გ) Standard&Poor's.
- 4. ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული სშგი-ების სია განთავსდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**მუხლი 14. საკრედიტო ხარისხის შეფასების ბიჭები და შეფასებების გამოყენება**

- 1. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ამ დებულების 32-ე – 45-ე მუხლებში მითითებულ საკრედიტო შეფასების თუ რომელ ბიჭს შეესაბამება აღიარებული სშგი-ს საკრედიტო შეფასებები დანართი №2-ის შესაბამისად.
- 2. კომერციული ბანკის რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების დათვლისას გამოყენებული სშგი-ების მიერ გაკეთებული საკრედიტო შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს ამ დებულების 46-ე – 49-ე მუხლებით გასაზღვრულ მოთხოვნებს. საკრედიტო შეფასება არ უნდა ხდებოდეს შერჩევით.
- 3. კომერციულმა ბანკებმა უნდა გამოიყენონ დაკვეთილი საკრედიტო შეფასებები. ეროვნული ბანკის ნებართვით მათ ასევე შეუძლიათ გამოიყენონ არადაკვეთილი საკრედიტო შეფასებები.

**თავი V  
კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. საკრედიტო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების გაანგარიშება. საკრედიტო რისკის მიტიგაცია (I კილბარი)**

**მუხლი 15. სტანდარტიზებული მიდგომის გამოყენებისას ნებადართული საკრედიტო რისკის მიტიგაცია**

- 1. ამ თავის მიზნებისათვის გამსესხებელი კომერციული ბანკი არის კომერციული ბანკი, რომელიც ფლობს რისკის პოზიციებს მიუხედავად იმისა, აღნიშნული რისკის პოზიციები წარმოქმნილია თუ არა სესხის გაცემიდან.
- 2. მე-8 მუხლის მიზნებისათვის რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების დათვლისას კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც IV თავის შესაბამისად იყენებენ სტანდარტიზებულ მეთოდს,

შუქლიათ გამოიყენონ ამ თავში აღწერილი საკრედიტო რისკის მიტიგაციის დებულებები.

## მუხლი 16. მოთხოვნები საკრედიტო რისკის მიტიგაციის გამოყენებისათვის

1. გამსესხებელი კომერციული ბანკების მიერ გამოყენებული კრედიტის უზრუნველყოფის მექანიზმები, შესაბამისი ქმედებები და მათთან დაკავშირებული დანერგული პროცედურები და პოლიტიკები უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ მიტიგაციას, რომელიც არის სავალდებულო ძალის მქონე და ყველა შესაბამის იურისდიქციაში აღსრულებადი.
2. გამსესხებელი კომერციული ბანკი ვალდებულია მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა უზრუნველყოს კრედიტის უზრუნველყოფის ეფექტიანობა და მასთან დაკავშირებული რისკების შემცირება.
3. იმისათვის, რომ მოხდეს კრედიტის დაფინანსებულ უზრუნველყოფად აღიარება, გამოყენებული აქტივები უნდა იყოს საკმარისად ლიკვიდური, ხოლო დროის განმავლობაში მათი ღირებულება საკმარისად სტაბილური, რათა რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების დათვლისას ნებადართულ ფარგლებში უზრუნველყოფის აღიარებამ განაპირობოს შესაბამისი რწმუნება საკრედიტო რისკის შემცირების შესახებ. ნებადართული ინსტრუმენტები განისაზღვრება ამ დებულების 51-ე – 53-ე მუხლებით.
4. კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფის შემთხვევაში გამსესხებელ კომერციულ ბანკს უფლება უნდა ჰქონდეს, მოვალის დეფოლტის შემთხვევაში, მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული აქტივების დროული რეალიზაცია და/ან დასაკუთრება. უზრუნველყოფაში არსებული აქტივის ღირებულებასა და მოვალის საკრედიტო ხარისხს შორის არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია.
5. იმისათვის, რომ მოხდეს კრედიტის დაუფინანსებელ უზრუნველყოფად აღიარება, უზრუნველყოფის მიმწოდებელი უნდა იყოს საკმარისად საიმედო, ხოლო უზრუნველყოფის ხელშეკრულება – სავალდებულო ძალის მქონე და შესაბამის იურისდიქციაში აღსრულებადი, რათა რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების დათვლისა და ნებადართული რაოდენობით აღიარებისთვის გამოყენებული მეთოდით მიღებული იქნას შესაბამისი რწმუნება კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ. ნებადართული უზრუნველყოფის ხელშეკრულებები და უზრუნველყოფის მიმწოდებლები განისაზღვრება/შემოიფარგლება ამ დებულების 51-ე – 53-ე მუხლებით.
6. კრედიტის უზრუნველყოფად აღიარებისათვის დაკმაყოფილებული უნდა იყოს ამ დებულების 54-ე – 56-ე მუხლებით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები.

## მუხლი 17. საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის გაანგარიშება

1. ამ დებულების მე-16 მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რისკის მიხედვით

შენონილი რისკის პოზიციების თანხა შეიძლება შეიცვალოს ამ დებულების 57-ე – 59-ე მუხლების შესაბამისად.

2. რისკის პოზიციებიდან, რომლებზეც ვრცელდება საკრედიტო რისკის მიტიგაცია, არ შეიძლება მიღებული იქნას უფრო მაღალი რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიცია, ვიდრე მიიღებოდა ამავე რისკის პოზიციაზე საკრედიტო რისკის მიტიგაციის გარეშე.
3. იმ შემთხვევაში, თუ რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების დათვლისას უკვე გათვალისწინებულია კრედიტის უზრუნველყოფა, აღნიშნული აღარ უნდა ჩაითვალოს საკრედიტო რისკის მიტიგაციად მოცემული თავის მიზნებისათვის.

## თავი VI კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. საკრედიტო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების გაანგარიშება. სავალდებულო კურსის ცვლილებით გამომწვეული საკრედიტო რისკი (I კილარი)

### მუხლი 18. სავალდებულო კურსის ცვლილებით გამომწვეული საკრედიტო რისკით შენონილი რისკის პოზიციები

1. სავალდებულო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის გათვალისწინებისათვის კომერციულმა ბანკებმა უნდა დაითვალოს აღნიშნული რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციები ამ მუხლის შესაბამისად.
2. სავალდებულო კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის მიხედვით შენონვას ექვემდებარება ამ დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საბალანსო რისკის პოზიციები საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის გათვალისწინების შემდეგ, რომლებიც დენომინირებულია რისკის პოზიციის დაფარვის წყაროს ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, გარდა შემდეგისა:
  - ა) რისკის პოზიციები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც უზრუნველყოფილია ამავე კომერციულ ბანკში განთავსებული დეპოზიტებით რისკის პოზიციის ვალუტაში;
  - ბ) რისკის პოზიციები და/ან მათი ნაწილი, რომელთა დაფარვის წყაროს წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებული მსესხებლის მიერ მიღებული შემოსავლები რისკის პოზიციისგან განსხვავებულ ვალუტაში, როცა აღნიშნული შემოსავლები სათანადოდ ჰეჯირებულია და ეფექტურად უზრუნველყოფს შემოსავლების რისკის პოზიციის ვალუტაში დენომინაციას;
  - გ) რისკის პოზიციები და/ან მათი ნაწილი, რომელთა

დაფარვის წყაროს წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებული მსესხებლის შემოსავლები რისკის პოზიციისგან განსხვავებულ ვალუტაში, როცა შემოსავლების სიდიდე რეალურად არ იცვლება რისკის პოზიციის ვალუტის კურსის ცვლილებით, რადგან მსესხებლის შემოსავლები არაელასტიური საქონლის გაყიდვიდან მიიღება (მაგალითად, იმპორტირებული საქონლის გაყიდვის საქმიანობა, თუ აღნიშნული საქონელი არაელასტიურია ფასის მიმართ, რაც ადგილობრივი გაცვლითი კურსის გაუფასურების შემთხვევაში და, შედეგად, ლარში დენომინირებული ფასების დონის გაზრდისას არ იწვევს მოცემული საქონლის გაყიდვების მოცულობისა და შესაბამისად მიღებული შემოსავლების შემცირებას). იმისათვის, რომ ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული რისკის პოზიციები არ დაექვემდებაროს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას, კომერციულმა ბანკმა უნდა მიიღოს თანხმობა ეროვნული ბანკისგან კონკრეტული სამენარმეო საქმიანობების ასეთად მიჩნევაზე. მოთხოვნის შემთხვევაში, კომერციულ ბანკს უნდა შეეძლოს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს ეროვნულ ბანკს დეტალური ინფორმაცია ყველა იმ რისკის პოზიციებზე, რომლებიც ამ ქვეპუნქტიდან გამომდინარე არ დაექვემდებარა სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას.

3. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვისათვის ამ მუხლით განსაზღვრული რისკის პოზიციები იწონება 75% რისკის წონით.

## თავი VII კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშება (I კილარი)

### მუხლი 19. საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები

1. ამ თავის მიზნებისათვის საბაზრო რისკში ჩაითვლება მხოლოდ სავალუტო რისკი.
2. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაექვემდებარებული რისკის პოზიცია უდრის „კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესით“ განსაზღვრულ კრებსით საერთო ღია სავალუტო პოზიციას.

## თავი VIII კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშება (I კილარი)

### მუხლი 20. საოპერაციო რისკისათვის საჭირო კაპიტალის გაანგარიშების მეთოდები

1. კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საოპერაციო რისკებისთვის მინიმალური დონის კაპიტალის ქონა.
2. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს მეთოდს, რომლის გამოყენება შეუძლიათ კომერციულ ბანკებს საოპერაციო რისკისთვის გამოყოფილი კაპიტალის დათვლისათვის.
3. კომერციული ბანკის ზომისა და სირთულიდან გამომდინარე კომერციულმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს კაპიტალი საოპერაციო რისკისათვის ამ დებულების 21-ე ან 22-ე მუხლის შესაბამისად.
4. საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები წარმოადგენს საოპერაციო რისკისთვის გამოყოფილი კაპიტალის თანაფარდობას ამ დებულების მე-8 მუხლით განსაზღვრულ საზედამხებდებლო კაპიტალის მოთხოვნილ დონესთან.
5. საოპერაციო რისკისათვის საჭირო კაპიტალის გაანგარიშებისათვის ამ დებულების 22-ე მუხლში მოცემული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში კომერციულ ბანკს არ აქვს უფლება ეროვნული ბანკის თანხმობის გარეშე დაუბრუნდეს ან დაიწყოს ამ დებულების 21-ე მუხლში მოცემული მეთოდის გამოყენება.

## თავი IX კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები. საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების გაანგარიშების მეთოდები (I კილარი)

### მუხლი 21. ძირითადი ინდიკატორის მეთოდი

ძირითადი ინდიკატორის მეთოდით დათვლილი საოპერაციო რისკისათვის საჭირო კაპიტალი არის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ინდაკატორის პროცენტული წილი ამ დებულების მე-60 მუხლში მოცემული პარამეტრებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

### მუხლი 22. სტანდარტიზებული მეთოდი

1. საოპერაციო რისკისთვის სტანდარტიზებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში კომერციულმა ბანკებმა უნდა დაყონ თავიანთი საქმიანობები რამდენიმე ბიზნეს ხაზად ამ დებულების 61-ე მუხლის შესაბამისად.

2. თითოეული ბიზნეს ხაზისათვის კომერციულმა ბანკმა უნდა დათვალოს საოპერაციო რისკისათვის საჭირო კაპიტალის მოთხოვნები საოპერაციო რისკის მიმართ, როგორც ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ინდაკატორების პროცენტი ამ დებულების 61-ე მუხლში.
3. სტანდარტიზებული მეთოდით დათვლილი საოპერაციო რისკისათვის საჭირო კაპიტალის მოთხოვნები საოპერაციო რისკის მიმართ შედგება თითოეული ბიზნეს ხაზის მიხედვით გაანგარიშებული საჭირო ინდივიდუალური კაპიტალის მოთხოვნების ჯამისგან.
4. სტანდარტიზებული მეთოდის მოთხოვნებისა და საჭირო პარამეტრების აღწერა მოცემულია ამ დებულების 61-ე მუხლში.
5. საოპერაციო რისკისათვის საჭირო კაპიტალის მოთხოვნების სტანდარტიზებული მეთოდით დათვლისათვის კომერციული ბანკი უნდა აკმაყოფილებდეს ამ დებულების 61-ე მუხლის მოთხოვნებს.

## თავი X კომერციული ბანკების შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი (II კილარი)

### მუხლი 23. მოთხოვნები შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესზე

1. კომერციულმა ბანკმა უნდა დანერგოს ძლიერი, ეფექტიანი და ყოვლისმომცველი სტრატეგია და პროცესები, რათა შეაფასოს და მუდმივად შეინარჩუნოს შიდა კაპიტალის საკმარისი ოდენობა, რომელიც ადეკვატური იქნება ყველა მნიშვნელოვანი დონისა და ტიპის რისკების დასაფარავად (არა მხოლოდ I კილარით გათვალისწინებული რისკები, არამედ ყველა რელევანტური რისკი, მათ შორის, საბაზრო რისკები, რომლებიც არ არის I კილარში, სექტორის მიმართ კონცენტრაციის რისკები, საპროცენტო, ლიკვიდობის, სტრატეგიული და რეპუტაციის რისკები და სხვა). უნდა ხორციელდებოდეს აღნიშნული სტრატეგიებისა და პროცესების რეგულარულად გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ყოვლისმომცველობა და კომერციული ბანკის ტიპთან, საქმიანობის მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან შესაბამისობა.
2. კომერციულმა ბანკებმა მინიმუმ წელიწადში ერთხელ ეროვნული ბანკს უნდა წარუდგინონ შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგები.
3. კომერციულ ბანკებს II კილარის ფარგლებში შეუძლიათ გამოიყენონ ფასს-ის მიხედვით გაანგარიშებული რიცხვები.

## თავი XI საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესი (II კილარი)

### მუხლი 24. საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესის მახასიათებლები

1. ეროვნული ბანკი განიხილავს კომერციული ბანკების მიერ დანერგილი ღონისძიებების, სტრატეგიების, პროცესებისა და მექანიზმების ამ დებულებასთან შესაბამისობასა და შეაფასებს კომერციული ბანკების რისკებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განხილვისა და შეფასების პროცესის სფერო/ობიექტი შემოიფარგლება ამ დებულების მოთხოვნებით და ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებული „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ შემუშავებულ საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესის ჩარჩოს.
3. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ განხილვისა და შეფასების პროცესზე დაყრდნობით ეროვნული ბანკი ადგენს, რამდენად უზრუნველყოფს კომერციული ბანკის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, სტრატეგიები, პროცესები და მექანიზმები, ასევე, მფლობელობაში არსებული საკუთარი სახსრები კომერციული ბანკის რისკების ჯანსაღ მართვასა და მათი განეიტრალების შესაძლებლობას.
4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული განხილვისა და შეფასების პროცესის პერიოდულობასა და ინტენსიურობას ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკის ზომის, სისტემური მნიშვნელობის, ტიპის, კომპლექსურობისა და სხვა მნიშვნელოვან მახასიათებლებზე დაყრდნობით.

### მუხლი 25. საზედამხედველო ქმედება

ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს მოსთხოვს სათანადო ზომების მიღებას. აღნიშნული მიზნებისათვის ეროვნულ ბანკს შეუძლია მიიღოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზომები, მათ შორის, კომერციულ ბანკს დაავალდებულოს ამ დებულების მე-8 მუხლით განსაზღვრულ მინიმალურ დონეზე მეტი საკუთარი სახსრების ფლობა.

## თავი XII კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის გამჟღავნება (III კილარი)

### მუხლი 26. ინფორმაციის გამჭვირვალობაზე მოთხოვნები

ამ დებულების მიზნებისათვის კომერციულმა ბანკებმა საჭირო უნდა გახადონ „კომერციული ბანკების გამჭვირვალობის წესით“ დადგენილი ინფორმაცია.



# თავი XIII კაპიტალის განმარტება

## მუხლი 27. ეროვნული ბანკის დასტური

ნებისმიერი ახლად გამოშვებული ინსტრუმენტის საზედამხედველო კაპიტალის დათვლაში ჩართვამდე კომერციულ ბანკს სჭირდება ეროვნული ბანკის დასტური. ეროვნული ბანკი განიხილავს საკითხს კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომელიც მკაფიოდ უნდა აღწერდეს ინსტრუმენტის შესაბამისობას ამ თავის შესაბამის მუხლებში მითითებულ კრიტერიუმებთან.

## მუხლი 28. ძირითად პირველად კაპიტალში შემავალ ჩვეულებრივ აქციებად კლასიფიკაციის კრიტერიუმები

1. ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავად კაპიტალის ინსტრუმენტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
  - ა) კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში წარმოდგენს ყველაზე სუბორდინირებულ მოთხოვნას;
  - ბ) მასზე ვრცელდება მოთხოვნის უფლება ლიკვიდაციის დროს უპირატესი ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილ აქტივებზე გამოშვებულ კაპიტალში წილის პროპორციულად;
  - გ) ძირითადი თანხა არის უვადო და მისი ანაზღაურება არასდროს ხდება, გარდა ლიკვიდაციის შემთხვევისა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხორციელდება ნებაყოფლობით გამოსყიდვა ან სხვა საშუალებით კაპიტალის ნებაყოფლობითი შემცირება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში);
  - დ) ინსტრუმენტების გამოშვებისას კომერციული ბანკის რაიმე ქმედება არ ქმნის მოლოდინს, რომ მოხდება გამოშვებული ინსტრუმენტების გამოსყიდვა, დაფარვა ან გაუქმება, ასევე, არც კანონით განსაზღვრული ან სახელშეკრულებო პირობები არ უნდა იძლეოდეს ასეთი მოლოდინის შექმნის საფუძველს;
  - ე) განაწილება ხდება განაწილებადი ელემენტებიდან (გაუნაწილებელი მოგების ჩათვლით). განაწილების ოდენობა არ არის დამოკიდებული გამოშვების დროს გადახდილ თანხაზე და ხელშეკრულებით დადგენილ ზღვარზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომერციული ბანკი ვერ იხდის გასანაწილებელ ოდენობას, რადგან იგი მეტია გასანაწილებელი ელემენტების დონეზე);
  - ვ) არ არსებობს განაწილების სავალდებულო გარემოებები. შესაბამისად, განაწილებული თანხის გადაუხდელობა არ ითვლება დეფოლტად;
  - ზ) განაწილება ხდება მხოლოდ ყველა კანონისმიერი და სახელშეკრულებო და უპირატესი კაპიტალის ინსტრუმენტების მიმართ ვალდებულების გადახდის შემდეგ. აღნიშნული ნიშნავს, რომ არ არსებობს პრივილეგირებული განაწილების ვალდებულება, მათ შორის, კაპიტალის იმ ელემენტების მიმართ, რომლებიც კლასიფიცირებულია,

- თ) როგორც ყველაზე მაღალი ხარისხის კაპიტალი; არის კაპიტალი, რომელიც პირველ რიგში და პროპორციულად უდიდესი წილით ფარავს ზარალს. ყველაზე მაღალი ხარისხის კაპიტალის ელემენტებს შორის თითოეული ინსტრუმენტი მიმდინარე დანაკარგებს ფარავს ფუნქციონირებადი სანარმოს პრინციპის მიხედვით პროპორციულად და ერთდროულად;
- ი) საბალანსო უწყისით გადახდისუნარიად აღიარების მიზნებისათვის განაღდებული თანხა ითვლება სააქციო კაპიტალად და არა ვალდებულებად;
- კ) განაღდებული თანხა ითვლება კაპიტალად შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით;
- ლ) ინსტრუმენტი არის პირდაპირი გზით გამოშვებული და განაღდებული და პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მის შესყიდვას კომერციული ბანკი არ აფინანსებს;
- მ) განაღდებული თანხა არ არის უზრუნველყოფილი და მასზე არ ვრცელდება ინსტრუმენტის გამომშვების ან მასთან დაკავშირებული პირის მიერ გაცემული გარანტია, ასევე, მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებს;
- ნ) მისი გამოშვება ხდება მხოლოდ კომერციული ბანკის აქციონერების თანხმობით, ხოლო თუ ეს ნებადართულია კომერციული ბანკების შესახებ კანონითა და მენარმეთა შესახებ კანონით, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების თანხმობით სხვა უფლებამოსილი პირების თანხმობით;
- ო) ის გარკვევით და ცალკე აისახება კომერციული ბანკის საბალანსო უწყისში.

## მუხლი 29. დამატებით პირველად კაპიტალად კლასიფიკაციის კრიტერიუმები

1. დამატებით პირველად კაპიტალად კლასიფიკაციისათვის კაპიტალის ინსტრუმენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:
  - ა) არის გამოშვებული და განაღდებული;
  - ბ) სუბორდინირებულია დეპოზიტორების, არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისა და კომერციული ბანკის სუბორდინირებული ვალის მიმართ;
  - გ) არ არის უზრუნველყოფილი და მასზე არ ვრცელდება ინსტრუმენტის გამომშვების ან მასთან დაკავშირებული პირის მიერ გაცემული გარანტია. ასევე, მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებს კომერციული ბანკის კრედიტორებთან მიმართებაში;
  - დ) არის უვადო, საპროცენტო განაკვეთი არ იზრდება და არ არსებობს სხვა რაიმე მოტივაცია დაფარვისათვის;
  - ე) ის შეიძლება გამოთხოვილი იქნას ინსტრუმენტის გამომშვების მიერ გამოშვებიდან მხოლოდ მინიმუმ ხუთი წლის შემდეგ;
  - ე.ა) გამოთხოვის უფლების გამოყენებისათვის კომერციულმა ბანკმა უნდა მიიღოს წინასწარი თანხმობა ეროვნული ბანკისაგან;
  - ე.ბ) კომერციულმა ბანკმა არ უნდა შექმნას გამოთხო-

- ვის უფლების გამოყენების მოლოდინი;
- გ.გ) კომერციულმა ბანკმა არ უნდა გამოიყენოს გამოთხოვის უფლება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოთხოვილი ინსტრუმენტის ჩანაცვლება ხდება იგივე ან უკეთესი ხარისხის კაპიტალით და აღნიშნული კაპიტალის ჩანაცვლება ხდება ისეთი პირობებით, რომელიც შეესაბამება კომერციული ბანკის შემოსავლის მასშტაბებს, ან კომერციულ ბანკს შეუძლია დემონსტრირება, რომ თანხის გამოთხოვის უფლების გამოყენების შემთხვევაში, კომერციული ბანკის კაპიტალი საკმარისად აღემატება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს.
- ვ) ძირითადი თანხის (მაგ: გამოსყიდვის ან დაფარვის გზით) გადახდისათვის საჭირო უნდა იყოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობა, ამასთან, კომერციულმა ბანკმა არ უნდა ჩათვალოს ან შექმნას ბაზარზე ეროვნული ბანკისგან თანხმობის მიღების მოლოდინი;
- ზ) დივიდენდის/კუპონის გადახდის შეჩერების უფლებამოსილება;
- ზ.ა) კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს თანხის განაწილების/გადახდის შეჩერების სრული უფლებამოსილება;
- ზ.ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდის შეჩერება არ უნდა იყოს დეფოლტის გამომწვევი მიზეზი;
- ზ.გ) კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს სრული წვდომა შეჩერებულ გადახდებზე, რათა დაფაროს სხვა დავალიანება მისი დაფარვის ვადის დადგომისას;
- ზ.დ) განაწილების/გადახდების შეჩერებამ კომერციულ ბანკს არ უნდა შეუქმნას შეზღუდვები, გარდა ჩვეულებრივი აქციების მფლობელი აქციონერებისათვის გადასახდელ წილთან მიმართებაში.
- თ) დივიდენდები/კუპონები გადახდილი უნდა იქნას განაწილებადაც ელემენტებიდან;
- ი) ინსტრუმენტზე დივიდენდის გაცემა არ უნდა იყოს კომერციული ბანკის საკრედიტო მდგომარეობაზე დამოკიდებული, რაც გამოიწვევს დივიდენდის/კუპონის ცვლილებას კომერციული ბანკის საკრედიტო მდგომარეობის/რეიტინგის მიხედვით;
- კ) ინსტრუმენტი არ შეიძლება იყოს იმ ვალდებულებების ნაწილი, რომელიც აჭარბებს აქტივებს;
- ლ) ინსტრუმენტს, რომელიც ბუღალტრული მიზნების კლასიფიცირდება ვალდებულებად, უნდა შეეძლოს ზარალის დაფარვა წინასწარ განსაზღვრულ ამოქმედების მომენტში ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაციის ან ჩამოწერის მექანიზმით, რომლის საშუალებითაც ზარალს ფარავს მოცემული ინსტრუმენტი. ჩამოწერას ექნება შემდეგი ეფექტები:
- ლ.ა) ინსტრუმენტის მფლობელის მოთხოვნის შემცირება ლიკვიდაციის დროს;
- ლ.ბ) გამოთხოვის უფლების გამოყენების დროს გადასახდელი თანხის შემცირება;
- ლ.გ) ინსტრუმენტის მფლობელის მიმართ კუპონის/დივიდენდის გადახდის ნაწილობრივ ან მთლიანად შემცირება.
- მ) კომერციულ ბანკს ან მასთან დაკავშირებულ პირს, რომელზეც კომერციულ ბანკს აქვს კონტოლი ან მნიშვნელოვანი ზეგავლენა, არ აქვს შესყიდული მოცემული ინსტრუმენტი, ასევე, პირდაპირ თუ

- არაპირდაპირ, კომერციულ ბანკს არ აქვს დაფინანსებული ინსტრუმენტის ყიდვის ოპერაცია;
- ნ) ინსტრუმენტს არ უნდა ჰქონდეს ისეთი თვისებები, რომლებიც ხელს შეუშლის რეკაპიტალიზაციას, როგორცაა მაგალითად, განსაზღვრულ დროში ახალი ინსტრუმენტის უფრო დაბალ ფასად გამოშვების შემთხვევაში ინვესტორის ანაზღაურების ვალდებულებები.
- ო) ფიზიკური პირის მიერ დაფინანსებული ინსტრუმენტები, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის წარმოადგენს ვალდებულებას, საზედამხებდევლო კაპიტალში უნდა ჩაირთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტის დაფინანსების მინიმალური სახელშეკრულებო თანხაა 250,000 ლარი.

### მუხლი 30. მეორად კაპიტალად კლასიფიკაციის კრიტერიუმები

1. მეორად კაპიტალად კლასიფიცირებისათვის კაპიტალის ინსტრუმენტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
  - ა) არის გამოშვებული და განაღდებული;
  - ბ) სუბორდინირებულია დეპოზიტორებისა და არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ;
  - გ) არ არის უზრუნველყოფილი და მასზე არ ვრცელდება ინსტრუმენტის გამომშვების ან მასთან დაკავშირებული პირის მიერ გაცემული გარანტია. ასევე, მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებს კომერციული ბანკის არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან მიმართებაში;
  - დ) დაფარვის ვადა:
    - დ.ა) თავდაპირველი ვადიანობა უნდა იყოს მინიმუმ ხუთი წელი;
    - დ.ბ) დაფარვის ვადამდე დარჩენილი 5 წლიანი პერიოდის განმავლობაში მისი აღიარება საზედამხებდევლო კაპიტალში უნდა მოხდეს ამორტიზებული ღირებულებით წრფივად;
    - დ.გ) საპროცენტო განაკვეთი არ იზრდება და არ არსებობს წინასწარ დაფარვის სხვა წამახალისებელი მოტივაცია.
    - ე) შეიძლება გამოთხოვილ იქნას გამომშვების მიერ მინიმუმ ხუთი წლის შემდეგ;
    - ე.ა) გამოთხოვის უფლების გამოყენებისათვის კომერციულმა ბანკმა უნდა მიიღოს წინასწარი თანხმობა ეროვნული ბანკისაგან;
    - ე.ბ) კომერციულმა ბანკმა არ უნდა შექმნას გამოთხოვის უფლების გამოყენების მოლოდინი;
    - ე.გ) კომერციულმა ბანკმა არ უნდა გამოიყენოს გამოთხოვის უფლება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოთხოვილი ინსტრუმენტის ჩანაცვლება ხდება იგივე ან უკეთესი ხარისხის კაპიტალით და აღნიშნული კაპიტალის ჩანაცვლება ხდება ისეთი პირობებით, რომელიც შეესაბამება კომერციული ბანკის შემოსავლის მასშტაბებს ან კომერციულ ბანკს შეუძლია დემონსტრირება, რომ თანხის გამოთხოვის უფლების გამოყენების შემთხვევაში კომერციული ბანკის კაპიტალი საკმარისად აღე-

- გ-დ) მატება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს;
- გ-ე) ინვესტორს არ აქვს მომავალი გადახდების (კუპონი ან ძირი თანხა) დაჩქარების უფლება, გაკორტრებისა და ლიკვიდაციის შემთხვევების გარდა;
- გ-ვ) ინსტრუმენტზე დივიდენდის გაცემა არ უნდა იყოს კომერციული ბანკის საკრედიტო მდგომარეობაზე დამოკიდებული, რაც გამოიწვევს დივიდენდის/კუპონის ცვლილებას კომერციული ბანკის საკრედიტო მდგომარეობის/რეიტინგის მიხედვით;
- გ-ვ) კომერციულ ბანკს ან მასთან დაკავშირებულ პირს, რომელზეც კომერციულ ბანკს აქვს კონტოლი ან მნიშვნელოვანი ზეგავლენა, არ უნდა ჰქონდეს შესყიდული მოცემული ინსტრუმენტი, ასევე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კომერციულ ბანკს არ უნდა ჰქონდეს დაფინანსებული ინსტრუმენტის ყიდვის ოპერაცია.
- ვ) ფიზიკური პირის მიერ დაფინანსებული ინსტრუმენტები, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის წარმოადგენს ვალდებულებას, საზედამხებდველო კაპიტალში უნდა ჩაირთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტის დაფინანსების მინიმალური სახელშეკრულებო თანხაა 250,000 ლარი.
- 2. თუ ინსტრუმენტი დაყოფილია ტრანშებად, ზემოთმოცემული პირობები უნდა დააკმაყოფილოს თითოეულმა მათგანმა ცალ-ცალკე.

## თავი XIV გარესაბალანსო ელემენტების კლასიფიკაცია

### მუხლი 31. გარესაბალანსო ელემენტების კლასიფიკაცია

- 1. მაღალი რისკის (როცა ინსტრუმენტი არის კრედიტის პირდაპირი შემცვლელი და საკრედიტო რისკი ტოლფასია იგივე მხარის მიმართ საბალანსო რისკის პოზიციის საკრედიტო რისკისა და როცა კომერციულ ბანკს საკრედიტო რისკი აქვს მთლიან ნომინალურ ღირებულებაზე) კატეგორიას მიეკუთვნება შემდეგი გარესაბალანსო ელემენტები:
  - ა) კრედიტის მახასიათებლების მქონე გარანტიები;
  - ბ) საკრედიტო დერივატივები;
  - გ) აქცეპტები;
  - დ) ინდოსამენტები ჩეკებზე, რომლებზეც მითითებული არ არის სხვა კომერციული ბანკის დასახელება;
  - ე) ტრანზაქციები რეგრესის უფლებით;
  - ვ) კრედიტის მახასიათებლების მქონე შეუქცევადი სთენდბაი აკრედიტივები;
  - ზ) ფორვარდული ნასყიდობის ხელშეკრულებით შეძენილი აქტივები;
  - თ) ნაწილობრივ განადღებული აქციებისა და ფასიანი ქაღალდების გადაუხდელი ნაწილი;
  - ი) აქტივების გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებები;
  - კ) სხვა მაღალი რისკის მქონე გარესაბალანსო ელემენტები, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი.

- 2. საშუალო რისკის (როცა ინსტრუმენტი ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით, მაგრამ გარკვეული გარემოებები, როგორცაა სხვა ტრანზაქციების განხორციელებაზე დამოკიდებულება და სხვა, გვაძლევს მაღალ რისკზე ნაკლებ რისკს) კატეგორიას მიეკუთვნება შემდეგი გარესაბალანსო ელემენტები:
  - ა) გაცემული და დამტკიცებული დოკუმენტური აკრედიტივები;
  - ბ) გარანტიები (შეპირებები) და ზარალის კომპენსაცია (ტენდერზე დამოკიდებული, შედეგებზე დამოკიდებული) და კრედიტის შემცვლელთა მახასიათებლების არმქონე გარანტიები;
  - გ) კრედიტის შემცვლელთა მახასიათებლების არმქონე შეუქცევადი სთენდბაი აკრედიტივები;
  - დ) ერთ წელზე მეტი თავდაპირველი ვადიანობის მქონე აუთვისებელი საკრედიტო ინსტრუმენტები (ხელშეკრულებები სესხის გაცემაზე, ფასიანი ქაღალდების შესყიდვაზე, გარანტიებისა და აქცეპტების გაცემაზე);
  - ე) სხვა საშუალო რისკის გარესაბალანსო ელემენტები, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი.
- 3. საშუალო/დაბალი რისკის (როცა უზრუნველყოფის ან/და თვითვლიკვიდირების შესაძლებლობის ან ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის პირობა გვაძლევს საშუალოზე დაბალ საკრედიტო რისკს) კატეგორიას მიეკუთვნება შემდეგი გარესაბალანსო ელემენტები:
  - ა) დოკუმენტური აკრედიტივები, რომელთა უზრუნველყოფას წარმოადგენს გადასაზიდი საქონელი და სხვა თვითვლიკვიდირებადი ტრანზაქციები;
  - ბ) ერთი და ერთ წელზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის მქონე აუთვისებელი საკრედიტო ინსტრუმენტები (ხელშეკრულებები სესხის გაცემაზე, ფასიანი ქაღალდების შესყიდვაზე, გარანტიებისა და აქცეპტების გაცემაზე), რომელთა ნებისმიერ დროს უპირობოდ გაუქმება შეტყობინების გარეშე შეუძლებელია ან რომლებიც მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში რეალურად ვერ უზრუნველყოფს მისი ავტომატური გაუქმების შესაძლებლობას;
  - გ) სხვა საშუალო/დაბალი რისკის გარესაბალანსო ელემენტები, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი.
- 4. დაბალი რისკის (როცა შესაძლებელია საკრედიტო რისკის უგულებელყოფა, რადგან სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე ის ძალიან შემცირებულია) კატეგორიას მიეკუთვნება შემდეგი გარესაბალანსო ელემენტები:
  - ა) აუთვისებელი საკრედიტო ინსტრუმენტები (ხელშეკრულებები სესხის გაცემაზე, ფასიანი ქაღალდების შესყიდვაზე, გარანტიებისა და აქცეპტების გაცემაზე), რომლებიც შეიძლება უპირობოდ გაუქმდეს ნებისმიერ დროს შეტყობინების გარეშე ან/და რომლებიც მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში რეალურად უზრუნველყოფს მისი ავტომატურად გაუქმების შესაძლებლობას. საცალო საკრედიტო ხაზები შეიძლება ჩაითვალოს უპირობოდ გაუქმების შესაძლებლობის მქონედ თუ ხელშეკრულების სრუ-

ლად გაუქმების უფლების პირობის ხელშეკრულებაში ჩადება ნებადართულია მომხმარებელთა დაცვისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით;

- ბ) სხვა დაბალი რისკის გარესაბალანსო ელემენტები, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი.

## თავი XV სტანდარტიზებული მიდგომა. რისკის წონები და სშგი-ის საკრედიტო შეფასების გამოყენება

### მუხლი 32. რისკის პოზიციები ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ

- ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რისკის პოზიციები ცენტრალური მთავრობების და ცენტრალური ბანკების მიმართ უნდა შეინონოს 100%-ით.
- ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით, იმ ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ რისკის პოზიციებს, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ნომინირებული სშგი-ის საკრედიტო შეფასებები, უნდა მიენიჭოს რისკის წონები ამ დებულების №1 დანართის პირველი ცხრილის შესაბამისად სშგი-ების საკრედიტო შეფასებების ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო ხარისხის შეფასების ექვსბიჯიან შკალაში პოზიციის მიხედვით.
- ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის მიმართ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული და განთავსებული რისკის პოზიციები უნდა შეინონოს 0%-ით.

### მუხლი 33. რისკის პოზიციები რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ

- ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რისკის პოზიციები რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ უნდა შეინონოს ამ დებულების №1 დანართის მე-2 ცხრილის შესაბამისად სშგი-ების საკრედიტო შეფასებების ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო ხარისხის შეფასების ექვსბიჯიან შკალაში პოზიციის მიხედვით. რეიტინგის არმქონე რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ რისკის პოზიციები უნდა შეინონოს 100% რისკის წონით.
- რისკის პოზიციები რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ უნდა შეინონოს ისევე, როგორც რისკის პოზიციები ცენტრალური მთავრობების მიმართ თუ ასეთი რისკის პოზიციების რისკებს შორის არ არსებობს განსხვავება პირველი მათგანის (რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობების) მიერ შემოსავლების მიღების სპეციფიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე და ისეთი ინსტიტუციონალური გარიგებების არსებობიდან გამომდინარე, რაც ამცირებს დეფოლტის რისკს. ეროვნული ბანკი გამოაქვეყნებს რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ჩამონათვალს, რომელთა მიმართ რისკის პოზიციებიც უნდა შეინონოს ისევე, როგორც რისკის პოზიციები ცენტრალური მთავრობების მიმართ.

- ეროვნული ბანკის ნებართვით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ყველა რისკის პოზიციას რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ მიანიჭონ 100% რისკის წონა.

### მუხლი 34. რისკის პოზიციები საჯარო დაწესებულებების მიმართ

- ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, რისკის პოზიციებს საჯარო დაწესებულებების მიმართ უნდა მიენიჭოს 100% რისკის წონა, თუ მოცემული რისკის პოზიცია უკვე არ არის კლასიფიცირებული რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ რისკის პოზიციების კლასში.
- გამონაკლის შემთხვევებში, საჯარო დაწესებულებების მიმართ რისკის პოზიციებს უნდა მიენიჭოს ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციებისათვის მინიჭებული რისკის წონები თუ ეროვნული ბანკი თვლის, რომ არ არსებობს აღნიშნული რისკის პოზიციების რისკებს შორის განსხვავება ცენტრალური მთავრობის მიერ გაცემული გარანტიების არსებობიდან გამომდინარე. ეროვნული ბანკი გამოაქვეყნებს საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალს, რომელთა მიმართ რისკის პოზიციებიც შეინონება ისევე, როგორც რისკის პოზიციები ცენტრალური მთავრობების მიმართ.
- ეროვნული ბანკის ნებართვით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ყველა რისკის პოზიციას საჯარო დაწესებულებების მიმართ მიანიჭონ 100% რისკის წონა.

### მუხლი 35. რისკის პოზიციები მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიმართ

- ამ დებულების IV თავის მიზნებისთვის მრავალმხრივი განვითარების ბანკებად ითვლება ინტერამერიკული საინვესტიციო კორპორაცია, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი და ცენტრალური ამერიკის ბანკი ეკონომიკური ინტეგრაციისათვის, საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია; ინტერამერიკული განვითარების ბანკი; აზიის განვითარების ბანკი; აფრიკის განვითარების ბანკი; ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი; ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი; კარიბის განვითარების ბანკი; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი; ევროპის საინვესტიციო ფო-

- ნდი; მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო; იმუნიზაციის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი; ისლამური განვითარების ბანკი.
2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, რისკის პოზიციები მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიმართ უნდა შეიწონოს ისევე, როგორც რისკის პოზიციები კომერციული ბანკების მიმართ, ამ დებულების 37-ე მუხლის შესაბამისად.
  3. შემდეგი მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიმართ რისკის პოზიციები უნდა შეიწონოს 0% რისკის წონით:
    - ა) საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი;
    - ბ) საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია;
    - გ) ინტერამერიკული განვითარების ბანკი;
    - დ) აზიის განვითარების ბანკი;
    - ე) აფრიკის განვითარების ბანკი;
    - ვ) ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი;
    - ზ) ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი;
    - თ) კარიბის განვითარების ბანკი;
    - ი) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი;
    - კ) ევროპის საინვესტიციო ბანკი;
    - ლ) ევროპის საინვესტიციო ფონდი;
    - მ) მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო;
  - 5) იმუნიზაციის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი;
  - ო) ისლამური განვითარების ბანკი.
4. ეროვნული ბანკის ნებართვით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ყველა რისკის პოზიციას მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიმართ მიმართ მიანიჭონ 100% რისკის წონა.

### მუხლი 36. რისკის პოზიციები საერთაშორისო ორგანიზაციების/ინსტიტუტების მიმართ

1. რისკის პოზიციები შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების/ინსტიტუტების მიმართ უნდა შეიწონოს 0% რისკის წონით:
  - ა) ევროპის ცენტრალური ბანკი;
  - ბ) საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
  - გ) საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი.
2. ეროვნული ბანკის ნებართვით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ყველა რისკის პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციების/ინსტიტუტების მიმართ მიანიჭონ 100% რისკის წონა.

### მუხლი 37. რისკის პოზიციები კომერციული ბანკების მიმართ

1. რისკის პოზიციებს კომერციული ბანკების მიმართ, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ნომინირებული სშგი-ის საკრედიტო შეფასება, ამ დებულების №1 დანართის მე-3 ცხრილის შესაბამისად უნდა მიენიჭოს რისკის წონები სშგი-ების საკრედიტო შეფასებების ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო ხარისხის შეფასების ექვსბიჯიან შკალაში პოზიციის მიხედვით.

2. რეიტინგის არმქონე კომერციული ბანკების მიმართ რისკის პოზიციები უნდა შეიწონოს 50% რისკის წონით. აღნიშნული რისკის წონა არ უნდა იყოს იმ ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციისათვის მისანიჭებულ რისკის წონაზე ნაკლები, რომელშიც დაფუძნებულია მოცემული ბანკი.
3. მოკლევადიან რისკის პოზიციებს კომერციული ბანკების მიმართ, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ნომინირებული სშგი-ის საკრედიტო შეფასება, ამ დებულების №1 დანართის მე-3 ცხრილის შესაბამისად უნდა მიენიჭოს რისკის წონები სშგი-ების საკრედიტო შეფასებების ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო ხარისხის შეფასების ექვსბიჯიან შკალაში პოზიციის მიხედვით.
4. სამი ან სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის რისკის პოზიციები რეიტინგის არმქონე კომერციული ბანკების მიმართ უნდა შეიწონოს 20% რისკის წონით. აღნიშნული რისკის წონა არ უნდა იყოს იმ ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციისათვის მისანიჭებულ რისკის წონაზე ნაკლები, რომელშიც დაფუძნებულია მოცემული ბანკი.
5. სამი ან სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული და განთავსებული რისკის პოზიციები კომერციული ბანკების მიმართ შეიწონება 20% რისკის წონით.
6. როდესაც მოსალოდნელია, რომ სამი ან სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის რისკის პოზიციის ვადა გაგრძელებული იქნება წარმოქმის დღიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ, რაც შეტყვევებს იმაზე, რომ რეალური/მოსალოდნელი ვადიანობა აღემატება სამ თვეს, რისკის პოზიცია არ უნდა ჩაითვალოს სამი ან სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის რისკის პოზიციად ამ მუხლის მიზნებისათვის.
7. ეროვნული ბანკის ნებართვით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ყველა რისკის პოზიციას კომერციული ბანკების მიმართ მიანიჭონ 100% რისკის წონა.

### მუხლი 38. რისკის პოზიციები კორპორატიული კლიენტების მიმართ

1. რისკის პოზიციებს კორპორატიული კლიენტების მიმართ, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ნომინირებული სშგი-ის საკრედიტო შეფასება, უნდა მიენიჭოს რისკის წონები ამ დებულების N1 დანართის მე-4 ცხრილის მიხედვით სშგი-ების საკრედიტო შეფასებების ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო ხარისხის შეფასების ექვსბიჯიან შკალაში პოზიციის მიხედვით.
2. იმ რისკის პოზიციებს, რომელთათვისაც ნომინირებული სშგი-ების საკრედიტო შეფასებები ხელმისაწვდომი არაა, უნდა მიენიჭოს 100% რისკის წონასა და ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციის რისკის წონას შორის უმაღლესი.
3. ეროვნული ბანკის ნებართვით კომერციულ ბან-

კებს შეუძლიათ ყველა რისკის პოზიციას კორპორატიული კლიენტების მიმართ მიაწიონ 100% რისკის წონა გარე შეფასებების მხედველობაში მიღების გარეშე.

### მუხლი 39. საცალო რისკის პოზიციები

რისკის პოზიციები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, უნდა შეინონოს 75% რისკის წონით.

### მუხლი 40. საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი რისკის პოზიციები

1. რისკის პოზიციები ან რისკის პოზიციების ნაწილი, რომლებიც სრულად და სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი უძრავი ქონებით, რაც დამაკმაყოფილებელია ეროვნული ბანკისთვის და რომელშიც ცხოვრობს ან იცხოვრებს მესაკუთრე ან რომელსაც აქირავებს მესაკუთრე, უნდა შეინონოს 35% რისკის წონით.
2. რისკის პოზიცია საცხოვრებელი უძრავი ქონების დამქირავებლის/ლიზინგის მიმღების (მაცხოვრებლის) მიმართ მიმართ, უნდა შეინონოს 35%-ით, თუ დამქირავებელს/ლიზინგის გამცემს წარმოადგენს კომერციული ბანკი და დამქირავებელს/ლიზინგის მიმღებს აქვს ყიდვის უფლება და იმ შემთხვევაში თუ ეროვნული ბანკისათვის დამაკმაყოფილებელია კომერციული ბანკის რისკის პოზიციის სრულად და სრულყოფილად უზრუნველყოფა ქონებაზე მისი საკუთრების გზით.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიზნებისთვის ეროვნული ბანკის დასკვნა იქნება დამაკმაყოფილებელი თუ სრულდება შემდეგი პირობები:
  - ა) ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული მსესხებლის საკრედიტო ხარისხზე. ეს მოთხოვნა არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მხოლოდ მაკროეკონომიკური ფაქტორები ახდენს გავლენას, როგორც ქონების ღირებულებაზე, ასევე მსესხებლის მდგომარეობაზე/ფინანსურ შესაძლებლობებზე;
  - ბ) მსესხებლის რისკი მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ქონების ან პროექტის შედეგანობაზე, არამედ დამოკიდებულია მსესხებლის უნარზე ვალი დაფაროს სხვა წყაროებიდან. გადახდები არ უნდა იყოს მნიშვნელოვნად დამოკიდებული უზრუნველყოფაში მყოფი ძირითადი ქონებიდან გენერირებულ ფულად სახსრებზე;
  - გ) კმაყოფილდება აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები და მე-6 პუნქტით დადგენილი შეფასების წესები.
4. საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი რისკის პოზიციების კლასზე მიკუთვნებისათვის რისკის პოზიციის ღირებულების უზრუნველყოფის ღირებულებასთან თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს. შესაბამისად, აღნიშნულ კლასს უნდა მიეკუთვნოს სესხი ან მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შეადგენს საცხოვრებელი ქონების ღირებულების 50%-ს.

5. საცხოვრებელი უძრავი ქონების აღიარებისათვის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:
  - ა) სამართლებრივი ნამდვილობის პირობა: საკრედიტო ხელშეკრულების დადების დროს იპოთეკის ხელშეკრულება უნდა იყოს სათანადოდ და დროულად დადებული და ყველა შესაბამის იურისდიქციაში სამართლებრივად აღსრულებადი. ხელშეკრულება უნდა ასახავდეს მასზე უპირატეს უფლებას (ყველა სამართლებრივი მოთხოვნა იპოთეკით დატვირთისათვის უნდა იყოს შესრულებული). უზრუნველყოფის ხელშეკრულება და დამხმარე სამართლებრივი პროცესები კომერციულ ბანკს უნდა აძლევდეს უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციით ღირებულების მიღების შესაძლებლობას დროის გონივრულ ფარგლებში;
  - ბ) ქონების ღირებულების მონიტორინგი: ქონების ღირებულების მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს საკმარისი სიხშირით, მინიმუმ წელიწადში ერთხელ. როდესაც საბაზრო პირობები ხასიათდება მნიშვნელოვანი ცვალებადობით, მონიტორინგი უნდა განხორციელდეს უფრო მეტი სიხშირით. ქონების ღირებულების მონიტორინგისა და გადასაფასებელი ქონების იდენტიფიცირებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას სტატისტიკური მეთოდები. თუ არსებობს ქონების საბაზრო ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირების ეჭვი, ქონების შეფასება უნდა გადაიხედოს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. სესხებისთვის, რომლებიც აჭარბებს 200 000 ლარს ან კომერციული ბანკის საზედამხებველო კაპიტალის 5%-ს, ქონების შეფასება უნდა გადაიხედოს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ. დამოუკიდებელ შემფასებლად მიიჩნევა პირი, რომელსაც აქვს შეფასებისათვის საჭირო კვალიფიკაცია, უნარები და გამოცდილება და დამოუკიდებელია საკრედიტო გადაწყვეტილების პროცესებისგან;
  - გ) დოკუმენტირება: კომერციული ბანკის მიერ დამზადებული საცხოვრებელი უძრავი ქონების ტიპები და მასთან დაკავშირებული გასესხების პოლიტიკა მკაფიოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული.
6. საცხოვრებელი ქონების შეფასების პროცედურა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ა) სესხის გაცემამდე ქონება უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ საბაზრო ღირებულებით;
  - ბ) საბაზრო ღირებულება არის შეფასებული თანხა, რომლითაც შეფასების თარიღისთვის გაშლილი მკლავის პრინციპით განხორციელდებოდა ქონების გაყიდვა დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის სათანადო მარკეტინგის განხორციელების შედეგად იმ პირობით, რომ მონაწილე მხარეები მოქმედებენ გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და იძულების გარეშე. საბაზრო ღირებულების დოკუმენტირება უნდა მოხდეს გამჭვირვალე და მკაფიო გზით;
  - გ) უზრუნველყოფის ღირებულება ტოლია ქონების საბაზრო ღირებულებისა. საჭიროების შემთხვევაში, მან უნდა ასახოს ამ მუხლით განსაზღვრული მონიტორინგის შედეგები და ღირებულებაზე სხვა

7. მოთხოვნების არსებობით გამოწვეული ზეგავლენა. ამ მუხლის მიზნებისათვის უზრუნველყოფად ჩაითვლება მხოლოდ ის საცხოვრებელი ქონება, რომლის საცხოვრებელი ფართობიც არ აღემატება 120 კვადრატულ მეტრს. ეროვნული ბანკის თანხმობით აღნიშნული მოთხოვნა არ გავრცელდება კომერციულ ბანკზე, თუ მის მიერ წარმოდგენილი რისკის პოზიციების საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილ აქტივებად კლასიფიკაციის პოლიტიკა ადეკვატურად ითვალისწინებს ქონების ლიკვიდურობასა და კომერციული ბანკი აღნიშნულ კლასს მიაკუთვნებს მხოლოდ მაღალი ლიკვიდურობის მქონე ქონებით უზრუნველყოფილ რისკის პოზიციებს.
8. საცხოვრებელი ქონების რეალური ფართობი უნდა ემთხვეოდეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ფართობს. საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილ აქტივებად კლასიფიკაციის პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს დასაშვებ ცდომილების ზღვარს.

#### მუხლი 41. ვადაგადაცილებული სესხები

1. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ნებისმიერი რისკის პოზიციის მთლიან თანხას უზრუნველყოფილი ნაწილის (V თავის შესაბამისად) გამოკლებით, რომელიც ვადაგადაცილებულია 90-ზე მეტი დღით, უნდა მიენიჭოს შემდეგი რისკის წონები:
  - ა) 150%, თუ სესხების შესაძლო დანაკარგების სპეციალური რეზერვი („კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების შესახებ“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული წესით გაანგარიშებული) არის მთლიანი რისკის პოზიციის (სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოკლების გარეშე) 20%-ზე ნაკლები;
  - ბ) 100%, თუ სესხების შესაძლო დანაკარგების სპეციალური რეზერვი („კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების შესახებ“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული წესით გაანგარიშებული) არის მთლიანი რისკის პოზიციის (სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოკლების გარეშე) არანაკლებ 20% .
2. ვადაგადაცილებული სესხების უზრუნველყოფილი ნაწილის განსაზღვრისთვის გამოიყენება საკრედიტო რისკის მიტიგაციისათვის ნებადართული უზრუნველყოფა და გარანტიები.
3. უპირობო და პირობითი მოთხოვნები, რომლებიც მიეკუთვნება საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ კლასს ამ დებულების მე-40 მუხლის მიხედვით, 90-ზე მეტი დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში უნდა შეიწონოს 100%-ით. ამასთან, თუ სესხების შესაძლო დანაკარგების სპეციალური რეზერვი („კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების

შესახებ“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული წესით გაანგარიშებული) მთლიანი რისკის პოზიციის 20%-ზე ნაკლები არ არის, რისკის პოზიცია შეიწონება 50% რისკის წონით.

#### მუხლი 42. მაღალი საზღვრადმხედველ რისკის კატეგორიაში შემავალი ერთეულები

1. რისკის პოზიციები, რომლებიც ასოცირდება განსაკუთრებით მაღალ რისკთან, როგორცაა ინვესტიციები ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდებში მაქსიმუმ 10%-იანი წილის ფლობით, ან ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სხვა მაღალი რისკის მატარებელი რისკის პოზიციები, უნდა შეიწონოს 150% რისკის წონით.
2. ეროვნულმა ბანკმა შესაძლებელია ნება დართოს კომერციულ ბანკს, რისკის ის პოზიციები, რომლებიც არ იმყოფება ვადაგადაცილებაში, შეიწონოს 100% რისკის წონით თუ შესაძლო დანაკარგების სპეციალური რეზერვი მთლიანი რისკის პოზიციის (შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოკლების გარეშე) 20%-ზე ნაკლები არ არის.
3. იჯარით გაცემის მიზნით საკუთრებაში არსებული ქონება უნდა შეიწონოს 250 % რისკის წონით.

#### მუხლი 43. მოკლევადიანი რისკის პოზიციები კორპორატიული კლიენტების მიმართ

1. სამი ან სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის რისკის პოზიციებს კორპორატიული კლიენტების მიმართ, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია ნომინირებული სშგი-ის საკრედიტო შეფასება, N1 დანართის მე-5 ცხრილის შესაბამისად უნდა მიენიჭოს რისკის წონები სშგი-ების საკრედიტო შეფასებების ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო ხარისხის შეფასების ექვსბიჯიან შკალაში პოზიციის მიხედვით.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის რისკის პოზიცია არ უნდა ჩაითვალოს სამი ან სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის რისკის პოზიციად, როდესაც მოსალოდნელია, რომ სამი ან სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის რისკის პოზიციის ვადა გაგრძელებული იქნება წარმოქმის დღიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ რეალური/მოსალოდნელი ვადიანობა აღემატება 3 თვეს.

#### მუხლი 44. რისკის პოზიციები საპაიო საინვესტიციო ფონდის (კოლექტიური საინვესტიციო სქემების) სახით

1. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა რისკის პოზიციები საპაიო საინვესტიციო ფონდების სახით უნდა შეიწონოს 100% რისკის წონით.
2. რისკის პოზიციებს საპაიო საინვესტიციო ფონდების სახით, რომლებსთვისაც ხელმისაწვდომია სშგი-ის საკრედიტო შეფასება, უნდა მიენიჭოს რისკის წონები N1 დანართის მე-6 ცხრილის მიხედვით

სშგი-ების საკრედიტო შეფასებების ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო ხარისხის შეფასების ექსპედიტიანი შკალაში პოზიციის მიხედვით.

- როდესაც ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ კოლექტიურ საინვესტიციო სქემებში პოზიცია დაკავშირებულია განსაკუთრებით მაღალ რისკებთან, რისკის წონა უნდა განისაზღვროს 150%-ით.

#### მუხლი 45. სხვა ერთეულები

- ძირითადი საშუალებები უნდა შეინონოს 100%-ით.
- ფული და მისი ექვივალენტები კომერციულ ბანკში უნდა შეინონოს 0%-ით, ხოლო ნაღდი ფული სხვა სახით (შეგროვების პროცესში) 20%-ით.
- მნიშვნელოვანი ინვესტიციები (ბანკის სააქციო კაპიტალის 10%-ზე მეტი) არაკონსოლიდირებულ კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო ორგანიზაციებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში და გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც არ გამოიქვითა ძირითადი პირველადი კაპიტალიდან, უნდა შეინონოს 250%-ით.
- ინვესტიციები იმ არაკონსოლიდირებულ კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო ორგანიზაციებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, სადაც ინვესტიცია მოცემული კომერციული ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციებისა თუ სხვა ფინანსური ინსტიტუტის კაპიტალის 10%-ზე ნაკლებია და რომელიც არ გამოიქვითება ძირითადი პირველადი კაპიტალიდან, უნდა შეინონოს 100% რისკის წონით.
- აქციების ფლობა და/ან სხვა სახით 10%-ზე ნაკლები წილით მონაწილეობა კომერციული იურიდიული პირების კაპიტალში უნდა შეინონოს 100% რისკის წონით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება მათი დაქვითვა საკუთარი სახსრებიდან.
- კომერციული ბანკის მიერ მფლობელოში არსებული ოქროს ზოდი, საცავში ან გადანაწილებული ვალდებულების უზრუნველყოფის სახით, უნდა შეინონოს 0% რისკის წონით.
- აქტივის გაყიდვისა და გამოსყიდვის და ვალუტის ფორვარდული ხელშეკრულებების შემთხვევაში, შეწონვისათვის რისკის წონა უნდა მიენიჭოს აქტივს და არა კონტრაგენტ მხარეს.
- სხვა აქტივები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული მე-11 მუხლის მიხედვით უნდა შეინონოს 100%-ით.

#### მუხლი 46. რისკის წონების განსაზღვრისათვის სშგი-ის საკრედიტო შეფასებების გამოყენება

- კომერციულ ბანკს შეუძლია ერთი ან ერთზე მეტი აღიარებული სშგი-ის ნომინირება აქტივებისა და გარესაბალანსო ელემენტების რისკის წონის განსაზღვრაში გამოყენებისათვის.
- თუ კომერციული ბანკი აირჩევს კონკრეტული აღიარებული სშგი-ის გამოყენებას რისკის პოზიციების გარკვეული კლასისთვის, მან მისი საკრედიტო შეფასებები უნდა გამოიყენოს ამ კლასში შემავალი ყველა რისკის პოზიციის მიმართ.
- თუ კომერციული ბანკი გადაწყვეტს რომელიმე კონკრეტული აღიარებული სშგი-ის საკრედიტო

შეფასების გამოყენებას, მაშინ მან იგივე საკრედიტო შეფასებები უნდა გამოიყენოს მუდმივად და თანმიმდევრულად.

- კომერციულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ იმ სშგი-ების შეფასებები, რომლებიც ითვალისწინებს მთლიან თანხას, როგორც ძირს, ასევე დარიცხულ პროცენტს.
- თუ რომელიმე შესაფასებელი ერთეულისათვის არსებობს მხოლოდ ერთი ნომინირებული სშგი-ის საკრედიტო შეფასება, მაშინ იგი გამოიყენება ამ ერთეულის რისკის წონის განსაზღვრისათვის.
- თუ არსებობს ნომინირებული სშგი-ების ორი საკრედიტო შეფასება, რომლებიც შეესაბამება განსხვავებული რისკის წონებს შეფასებული ერთეულისათვის, გაითვალისწინება უმაღლესი რისკის წონა.
- თუ არსებობს ორზე მეტი საკრედიტო შეფასება ნომინირებული სშგი-ების მიერ შეფასებული ერთეულისათვის, გაითვალისწინება ის ორი მათგანი, რომლებიც შეესაბამებიან უმცირეს რისკის წონებს. თუ ეს ორი უმცირესი რისკის წონა ერთმანეთისგან განსხვავებულია, გაითვალისწინება მათ შორის უდიდესი და თუ ისინი ერთმანეთის ტოლია, აიღება თავად ეს რისკის წონა.

#### მუხლი 47. ემიტენტებისა და გამოშვებული ინსტრუმენტების შეფასება

- თუ საკრედიტო შეფასება არსებობს კონკრეტულ ინსტრუმენტთა კლასზე, რომელსაც მიეკუთვნება რისკის პოზიციის ერთეული, აღნიშნული საკრედიტო შეფასება უნდა იქნას გამოყენებული მოცემული ერთეულისათვის რისკის წონის მინიჭებისას.
- როდესაც არ არსებობს კონკრეტული ინსტრუმენტის საკრედიტო შეფასება, ამასთან, არსებობს იმ ინსტრუმენტის საკრედიტო შეფასება, რომელთაც არ მიეკუთვნება მოცემული ერთეული ან არსებობს ემიტენტის ზოგადი საკრედიტო შეფასება, კომერციულმა ბანკმა უნდა გამოიყენოს ზემოთხსენებული არსებული საკრედიტო შეფასებებიდან ის, რომელიც უფრო მაღალ რისკის წონას იძლევა. ამასთან, შეფასება, რომელიც უფრო დაბალ რისკის წონას იძლევა გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოცემული რისკის პოზიცია მოთხოვნის უფლების რიგითობით უპირატესია, ვიდრე მოცემული შეფასებული ინსტრუმენტი ან შეფასებული ემიტენტის არაუზრუნველყოფილი რისკის პოზიციები.
- ერთ კორპორატიულ ჯგუფში მყოფი ემიტენტის საკრედიტო შეფასება არ უნდა იქნას გამოყენებული ამავე ჯგუფში შემავალი სხვა ემიტენტების საკრედიტო შეფასებად.

#### მუხლი 48. მოკლევადიანი და გრძელვადიანი საკრედიტო შეფასებები

- მოკლევადიანი საკრედიტო შეფასებები შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ მოკლევადიანი აქტივებისა და გარესაბალანსო ელემენტების



შენიშნავს, რომლებიც წარმოადგენენ რისკის პოზიციებს კომერციული ბანკებისა და კორპორატიული კლიენტების მიმართ.

2. მოკლევადიანი საკრედიტო შეფასება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ ერთეულებზე, რომლებზეც ეს მოკლევადიანი საკრედიტო შეფასება ვრცელდება და არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა ერთეულებისათვის რისკის წონის მინიჭებისას.
3. თუ მოკლევადიან ინსტრუმენტს შეესაბამება 150% რისკის წონა, მაშინ აღნიშნული კონტრაგენტის მიმართ ყველა შეფასების არმქონე არაუმრუნველყოფილი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი რისკის პოზიციები უნდა შეინიშნოს ასევე 150% რისკის წონით.
4. თუ მოკლევადიან ინსტრუმენტს შეესაბამება 50% რისკის წონა, მაშინ შეფასების არმქონე რისკის პოზიციებს მოცემული კონტრაგენტის მიმართ არ უნდა მიენიჭოს 100%-ზე დაბალი რისკის წონა.

### მუხლი 49. ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ერთეულები

საკრედიტო შეფასება, რომელიც გამოიყენება კონტრაგენტის მიმართ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული რისკის პოზიციებისთვის, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმავე კონტრაგენტის მიმართ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რისკის პოზიციების შენიშნვისთვის.

## თავი XVI კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი

### მუხლი 50. კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი

1. კონტრაგენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი არის ტრანზაქციის განხორციელებამდე კონტრაგენტის დეფოლტის რისკი.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის გაითვალისწინება კონტრაგენტთან დაკავშირებული მხოლოდ ის რისკები, რომელსაც მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული ინსტრუმენტები (ფიუჩერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ანალოგიური ხელშეკრულებებით წარმოშობილი გარესაბალანსო ვალდებულებები).
3. თუ საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული ინსტრუმენტების ხელშეკრულების ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს, იგი არ გაითვალისწინება რისკის მიხედვით შენიშნვის მიზნებისათვის.
4. საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსის წარმოებული ინსტრუმენტების ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის პოზიციის ღირებულება განისაზღვრება ამ დებულების N1 დანართის მე-7 ცხრილის მიხედვით.

## თავი XVII საკრედიტო რისკის მიტიგაცია

### მუხლი 51. ჩართვის უფლება

ამ თავით განისაზღვრება ამ დებულების მე-16 მუხლის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის მიტიგაციის ფორმები.

### მუხლი 52. ჩართვის უფლება. კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფა

1. ნებადართულია კომერციულ ბანკსა და კონტრაგენტს შორის არსებული ორმხრივი საბალანსო მოთხოვნების ერთმანეთთან ურთიერთგაქვითვა.
2. ურთიერთგაქვითვას ექვემდებარება მხოლოდ კომერციულ ბანკსა და კონტრაგენტს შორის ორმხრივი ფულადი სახსრების საბალანსო ერთეულები.
3. მხოლოდ გამსესხებელი კომერციული ბანკის სესხები და დეპოზიტები შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას რისკის მიხედვით შენიშნული რისკის პოზიციების თანხის დათვლისას.
4. ნებადართულია უზრუნველყოფის შემდეგი სახეების კრედიტის დაფინანსებულ უზრუნველყოფად აღიარება:
  - ა) ფინანსური უზრუნველყოფის შემდეგი სახეები:
    - ა.ა) გამსესხებელ კომერციულ ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები ან გამსესხებელი კომერციული ბანკის მიერ გამოშვებული ფულთან გათანაბრებული ფინანსური ინსტრუმენტები.
    - ა.ბ) ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების, რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების, საჯარო დაწესებულებების, მრავალმხრივი განვითარების ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების/ინსტიტუტების მიერ გამოშვებული სავალუტო ფასიანი ქაღალდების შემდეგი ჯგუფი:
      - ა.ბ.ა) ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული სავალუტო ფასიანი ქაღალდები, რომელთა საკრედიტო შეფასება ხდება ამ დებულების IV თავის მიზნებისთვის აღიარებული სშგი-ის მიერ და რომლის საკრედიტო ხარისხი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ რისკის პოზიციების შენიშნვის წესით შეესაბამება მე-4 ან უკეთეს ბიჯს;
      - ა.ბ.ბ) რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოშვებული სავალუტო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ამ დებულების IV თავის მიხედვით შეინიშნება იმ ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციების ანალოგიურად, რომლის იურისდიქციაშიც ისინი დაარსდნენ;
      - ა.ბ.გ) საჯარო დაწესებულებების მიერ გამოშვებული სავალუტო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ამ დებულების 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით შეინიშნება ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციების ანალოგიურად;
      - ა.ბ.დ) მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული სავალუტო ფასიანი ქაღალდები,

- რომელთაც ამ დებულების IV თავის მიხედვით ენიჭებათ 0% რისკის წონა;
- ა.ბ.გ) საერთაშორისო ორგანიზაციების/ინსტიტუტების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთაც ამ დებულების IV თავის მიხედვით ენიჭებათ 0% რისკის წონა.
- ა.გ) რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების, საჯარო დაწესებულებებისა და მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების შემდეგი მეორე ჯგუფი:
- ა.გ.ა) კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთა საკრედიტო შეფასება ხდება ამ დებულების IV თავის მიზნებისთვის აღიარებული სშგი-ის მიერ და რომლის საკრედიტო ხარისხი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კომერციული ბანკების მიმართ რისკის პოზიციების შეწონვის წესით შეესაბამება მე-3 ან უკეთეს ბიჯს;
- ა.გ.ბ) რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გარდა იმ ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც ამ დებულების IV თავის მიხედვით განიხილება იმ ცენტრალური მთავრობის მიმართ რისკის პოზიციად, რომლის იურისდიქციაშიც ისინი დაარსდნენ;
- ა.გ.გ) მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გარდა იმ ფასიანი ქაღალდებისა, რომელთაც ამ დებულების IV თავის მიხედვით ენიჭებათ 0% რისკის წონა.
- ა.დ) სხვა იურიდიული პირების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთა საკრედიტო შეფასება ხდება ამ დებულების IV თავის მიზნებისთვის აღიარებული სშგი-ის მიერ და რომლის საკრედიტო ხარისხი კორპორატიული კლიენტების მიმართ რისკის პოზიციების ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შეწონვის წესით შეესაბამება მე-3 ან უკეთეს ბიჯს;
- ა.ე) სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია სშგი-ს მოკლევადიანი საკრედიტო შეფასება და რომლის საკრედიტო ხარისხი მოკლევადიანი რისკის პოზიციების შეწონვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით შეესაბამება მე-3 ან უკეთეს ბიჯს;
- ა.ვ) წილი კაპიტალში ან კონვერტირებადი ობლიგაციები (რომელიც არ არის ემიტირებული გამსესხებელი კომერციული ბანკის მიერ), რომლებიც შედის მთავარ ინდექსში. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის მთავარ ინდექსად მიიჩნევა ეროვნული ბანკის მიერ ასეთად აღიარებული ინდექსი.
- ა.ზ) ოქრო (სტანდარტული ზოდი ან მისი ექვივალენტი).
- ბ) კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, რომელთათვისაც ხელმისაწვდომი არაა აღიარებული სშგი-ის საკრედიტო შეფასება, შეიძლება ჩაითვალოს ნებადართულ უზრუნველყოფად, თუ:
- ბ.ა) ისინი განთავსებულია აღიარებულ საფონდო ბირჟაზე. ამ მუხლის მიზნებისთვის ბირჟა ჩაითვლება აღიარებულ ბირჟად, თუ იგი ფუნქციონირებს რეგ-

- ულარულად და აქვს ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემული ან დამტკიცებული წესები, რომელთაც დგინდება ბირჟის საქმიანობისა და მასთან წვდომის პირობები და ამავდროულად არსებობს ეროვნული ბანკის თანხმობა ბირჟის ასეთად მიჩნევისათვის. წესები ასევე უნდა განსაზღვრავდეს ხელშეკრულების მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია ბირჟაზე სავაჭროდ;
- ბ.ბ) ინსტრუმენტზე კომერციულ ბანკს აქვს დეპოზიტორების გარდა ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატესი მოთხოვნის უფლება;
- ბ.გ) კომერციული ბანკის მიერ გამოშვებულ საკრედიტო შეფასების მქონე სხვა სავალო ფასიანი ქაღალდებს, რომლებიც ხასიათდებიან ანალოგიური უპირატესი მოთხოვნის უფლებით, აქვთ საკრედიტო შეფასება ამ დებულების IV თავის მიზნებისთვის აღიარებული სშგი-ის მიერ და საკრედიტო ხარისხი კომერციული ბანკების მიმართ რისკის პოზიციების შეწონვის წესით შეესაბამება მე-3 ან უკეთეს ბიჯს;
- ბ.დ) გამსესხებელი კომერციული ბანკი არ ფლობს ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ივარაუდოს, რომ ფასიანი ქაღალდების ემისიის შედეგად ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტში მითითებული პირობა არ კმაყოფილდება; და
- ბ.ე) კომერციულ ბანკს შეუძლია დაუმტკიცოს ეროვნულ ბანკს, რომ ინსტრუმენტის საბაზრო ლიკვიდობა საკმარისია ამ მიზნებისთვის.
- გ) წილი კოლექტიურ საინვესტიციო სქემებში შეიძლება მიჩნეულ იქნას ნებადართულ უზრუნველყოფად თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:
- გ.ა) ფასი საჯაროა და ყოველდღიურად კოტირდება;
- გ.ბ) საპაიო საინვესტიციო ფონდები ლიმიტირებულია იმ ინსტრუმენტებში ინვესტირებით, რომელთა აღიარება ნებადართულია ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით.
- დ) საპაიო საინვესტიციო ფონდის მიერ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ან პოტენციური გამოყენება ინვესტიციების ჰეჯირების მიზნებისთვის არ აბრკოლებს ფონდში არსებული წილების ნებადართულ უზრუნველყოფად გამოყენებას;
- ე) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, როდესაც არსებობს ფასიანი ქაღალდის ორი საკრედიტო შეფასება აღიარებული სშგი-ების მიერ, გამოიყენება უფრო მაღალი რისკის წონა. როდესაც არსებობს ფასიანი ქაღალდის ორზე მეტი საკრედიტო შეფასება, აღიარებული სშგი-ების მიერ, გამოიყენება ორი ყველაზე დაბალი რისკის შეფასება, ხოლო თუ ეს ორი შეფასება ერთმანეთისგან განსხვავებულია, მათ შორის უმაღლესი.
5. სხვა სახის კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფა: სხვა კომერციულ ბანკში დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები ან ფულთან გათანაბრებული სხვა სახის ინსტრუმენტები, რომლებიც განთავსებული არაა ფასეულობათა შენახვის მომსახურების მიღების მიზნით და რომლებიც გამსესხებელი კომერციული ბანკის მიერ დატვირთულია გირავნობით, შესაძლებელია აღიარებული იქნას კრედიტის ნებადართულ უზრუნველყოფად.

### მუხლი 53. ჩართვის უფლება. კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფა

1. კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფის მომწოდებლად შეიძლება ჩაითვალოს:
  - ა) ცენტრალური მთავრობები და ცენტრალური ბანკები;
  - ბ) რეგიონული მთავრობები და ადგილობრივი თვითმმართველობები;
  - გ) მრავალმხრივი განვითარების ბანკები;
  - დ) საერთაშორისო ორგანიზაციები/ინსტიტუტები, რომელთა მიმართ რისკის პოზიციები ამ დებულების IV თავის მიხედვით შეინიშნება 0% რისკის წონით;
  - ე) საჯარო დაწესებულებები, რომელთა მიმართ მოთხოვნები ამ დებულების IV თავის მიხედვით ეროვნული ბანკის მიერ განიხილება, როგორც მოთხოვნები კომერციული ბანკებისა და ცენტრალური მთავრობების მიმართ;
  - ვ) კომერციული ბანკები;
  - ზ) სხვა კორპორატიული პირები, მათ შორის, კომერციული ბანკის მშობელი კომპანია, შვილობილი და მონათესავე საწარმო, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია საკრედიტო შეფასება ამ დებულების IV თავის მიზნებისთვის აღიარებული სშგი-ის მიერ და საკრედიტო ხარისხი კორპორატიული კლიენტების მიმართ რისკის პოზიციების ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შენონვის წესით შეესაბამება მე-2 ან უკეთეს ბიჭს.

### მუხლი 54. მინიმალური მოთხოვნები

1. კომერციულმა ბანკმა ეროვნულ ბანკს უნდა დაუსაბუთოს, რომ იგი იყენებს მართვისა და კონტროლის ადეკვატურ პროცესებს იმ რისკებისათვის, რომლებიც წარმოიქმნება საკრედიტო რისკის მიტიგაციის გამოყენების შედეგად.
2. საკრედიტო რისკის მიტიგაციის გამოყენების პარალელურად, მიტიგაციის შედეგად რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციისა და მოსალოდნელი ზარალის ცვლილების/შემცირების მიუხედავად, კომერციულმა ბანკებმა უნდა განაგრძონ აღნიშნული რისკის პოზიციის საკრედიტო რისკის სრულად შეფასება და ნათლად უნდა შეძლონ ეროვნული ბანკისათვის აღნიშნული მოთხოვნის შესრულების დემონსტრირება.

### მუხლი 55. მინიმალური მოთხოვნები. კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფა

1. ამ დებულების მე-15–მე-17 მუხლების მიზნებისთვის საბალანსო ელემენტების ერთმანეთთან ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების აღიარებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:
  - ა) უნდა იყოს სავალდებულო ძალის მქონე და შესაბამის იურისდიქციაში აღსრულებადი მაშინაც კი, როდესაც კონტრაგენტი მხარე გადახდისუნარო ან გაკოტრებულია;
  - ბ) კომერციულ ბანკს უნდა შეეძლოს ნებისმიერ

- დროს დაადგინოს ის აქტივები და ვალდებულებები, რომლებზეც ვრცელდება საბალანსო ელემენტების ერთმანეთთან ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებები;
- გ) კომერციულმა ბანკმა მონიტორინგი უნდა გაუწიოს და გააკონტროლოს კრედიტის უზრუნველყოფის შეწყვეტასთან დაკავშირებული რისკები;
  - დ) კომერციულმა ბანკმა მონიტორინგი უნდა გაუწიოს და გააკონტროლოს შესაბამისი რისკის პოზიციები წმინდა ღირებულებით.
2. ფინანსური უზრუნველყოფისა და ოქროს აღიარებისთვის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:
    - ა) დაბალი კორელაცია: მსესხებლის საკრედიტო ხარისხსა და უზრუნველყოფის ღირებულებას შორის არ უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია. მსესხებლის ან მის ჯგუფთან დაკავშირებული ნებისმიერი საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები არ ჩაითვლება ფინანსურ უზრუნველყოფად;
    - ბ) სამართლებრივი ნამდვილობის პირობა: კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს სახელშეკრულებო და საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება, რათა მოხდეს უზრუნველყოფის ხელშეკრულების აღსრულებადობა. კომერციულ ბანკს ჩატარებული უნდა ჰქონდეს სათანადო სამართლებრივი კვლევა, რაც ადასტურებს უზრუნველყოფის ხელშეკრულების აღსრულებადობას შესაბამის იურისდიქციაში. საჭიროების შემთხვევაში, მან ხელახლა უნდა ჩაატაროს მსგავსი კვლევა აღსრულებადობაში დარწმუნების მიზნით;
    - გ) საოპერაციო მოთხოვნები: უზრუნველყოფის ხელშეკრულებები უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული უზრუნველყოფის დროული რეალიზაციისათვის ნათელი და მკაფიო პროცედურებით. კომერციულმა ბანკებმა უნდა შეიმუშავონ უზრუნველყოფის გამოყენებით წარმოშობილი რისკების კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის, კრედიტის უზრუნველყოფის შემცირების ან საერთოდ გაუქმების რისკები, მისი ღირებულების შეფასების რისკები, კრედიტის უზრუნველყოფის შეწყვეტასთან დაკავშირებული რისკები, უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად წარმოშობილი კონცენტრაციის რისკები და უნდა განსაზღვრონ მათი დამოკიდებულება კომერციული ბანკის რისკის პროფილთან. კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფის ნებადართული სახეებისა და თანხების შესახებ დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები. კომერციულმა ბანკმა უნდა დაითვალოს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულება და მოახდინოს მისი გადაფასება მინიმუმ ექვს თვეში ერთხელ და, ასევე, როდესაც კომერციულ ბანკს აქვს საფუძვლიანი ეჭვი საბაზრო ფასის მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. როდესაც უზრუნველყოფის საგანს ფლობს მესამე მხარე, კომერციულმა ბანკმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ მესამე მხარის მიერ უზრუნველყოფის საგანი განცალკავებული იქნას საკუთარი აქტივებისგან.
    - დ) სტანდარტული ზოდის ექვივალენტი ოქროს აღიარებისთვის, კომერციულმა ბანკებმა ამ მუხ-

ლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად უნდა შეიმუშავონ სტანდარტული ზოდის ექვივალენტი ოქროს ღირებულების ადეკვატურად შეფასებისა და დისკონტირების პოლიტიკა და პროცედურები. სტანდარტული ზოდის ექვივალენტი ოქროს უზრუნველყოფად აღიარებისათვის აღნიშნული პოლიტიკა და პროცედურები დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს ეროვნული ბანკისათვის;

- გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან ერთად ფინანსური უზრუნველყოფის აღიარებისათვის უზრუნველყოფის დარჩენილი ვადა უნდა იყოს სულ მცირე მოთხოვნის დარჩენილი ვადის ტოლი.
- 3. მინიმალური მოთხოვნები სხვა დაფინანსებული საკრედიტო უზრუნველყოფის აღიარებისთვის: ამ დებულების 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირობების გამოყენებისთვის ამ დებულების 52-ე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული უზრუნველყოფა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი პირობებს:
  - ა) მსესხებლის მოთხოვნა მესამე მხარედ წარმოდგენილი კომერციული ბანკის მიმართ საჭაროდ დაგირავებულია გამსესხებელი კომერციული ბანკის მიერ ან დათმობილია მისთვის და გირაო ან მოთხოვნის დათმობა არის სავალდებულო ძალის მქონე და შესაბამის იურისდიქციაში აღსრულებადი;
  - ბ) მესამე მხარედ წარმოდგენილ კომერციულ ბანკს ეცნობა გირაოს ან მოთხოვნის დათმობის შესახებ;
  - გ) მიღებული შეტყობინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მესამე მხარედ წარმოდგენილი კომერციული ბანკის მიერ გადახდების მხოლოდ გამსესხებელი კომერციული ბანკისათვის განხორციელება ან სხვა მხარისათვის მოცემული გამსესხებელი კომერციული ბანკის თანხმობით;
  - დ) გირაო ან მოთხოვნის დათმობა უპირობო და შეუქცევადია.

### მუხლი 56. მინიმალური მოთხოვნები. კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფა

- 1. მოთხოვნები გარანტიების მიმართ:
  - ა) გარანტიები აღიარებულ იქნება უზრუნველყოფად თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:
    - ა.ა) საკრედიტო უზრუნველყოფა უნდა იყოს პირდაპირი;
    - ა.ბ) საკრედიტო უზრუნველყოფის პირობები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და უდავო;
    - ა.გ) საკრედიტო უზრუნველყოფის ხელშეკრულება არ უნდა შეიცავდეს ისეთ პუნქტებს, რომელთა შესრულებაც სცდება გამსესხებლის პირდაპირი კონტროლის ფარგლებს, მათ შორის:
      - ა.გ.ა) საშუალებას აძლევს გარანტიის გამცემს (გარანტს) ცალმხრივად გააუქმოს უზრუნველყოფა;
      - ა.გ.ბ) უზრუნველყოფილი რისკის პოზიციის საკრედიტო ხარისხის გაუარესების შედეგად ზრდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ რეალურ ხარჯს;
      - ა.გ.გ) მსესხებლის მიერ გადასახდელების დროულად ვერ დაფარვის შემთხვევაში საშუალებას აძლევს გარანტიის გამცემს (გარანტს) დროულად არ გადაიხადოს გადასახდელები;

- ა.გ.დ) გარანტიის გამცემს (გარანტს) უზრუნველყოფის ვადის შემცირების საშუალებას აძლევს;
- ა.დ) საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას იგი სავალდებულო ძალის მქონე და აღსრულებადი უნდა იყოს ყველა შესაბამის იურისდიქციაში.
  - ბ) კომერციულ ბანკში გარანტიების გამოყენების შედეგად წარმოშობილი პოტენციური კონცენტრაციის რისკის მართვისათვის არსებული სისტემები ეროვნული ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს. კომერციულმა ბანკმა უნდა შეძლოს დემონსტრირება თუ როგორ შესაბამისობაშია და რა გავლენას ახდენს გარანტიების გამოყენების სტრატეგია მისი საერთო რისკის პროფილზე.
  - გ) გარანტიის აღიარებისთვის დამატებით უნდა სრულდებოდეს შემდეგი პირობები:
    - გ.ა) პრინციპალის დეფოლტის შემთხვევაში კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს უფლება, დროულად მიიღოს გარანტიის გამცემისგან (გარანტისგან) ყველა ის თანხა, რაზე მოთხოვნაც აქვს კომერციულ ბანკს და რომელზეც უზრუნველყოფა ვრცელდება. გარანტიის გამცემისგან (გარანტისგან) თანხის მიღება არ უნდა იყოს დამოკიდებული პირველ რიგში კომერციული ბანკის მიერ მსესხებლის (პრინციპალის) მიმართ მოთხოვნის ნაყენებაზე;
    - გ.ბ) გარანტია უნდა იყოს მკაფიოდ დოკუმენტირებული ვალდებულება, რომელსაც იღებს გარანტიის გამცემი (გარანტი);
    - გ.გ) გარანტია უნდა ფარავდეს მოთხოვნასთან დაკავშირებულ მსესხებლის (პრინციპალის) ყველა სახის გადასახდელებს. როდესაც გარანტია არ ითვალისწინებს გარკვეული სახის გადასახდელებს, გარანტიის აღიარებული ღირებულება უნდა დაკორექტირდეს ისე, რომ ასახავდეს გარანტიის გავრცელების ლიმიტირებულ ნაწილს.
- 2. სამთავრობო და სხვა საჯარო ორგანოების კონტრ-გარანტიები:
  - ა) როდესაც რისკის პოზიცია უზრუნველყოფილია გარანტიით, რომელიც კონტრ-გარანტირებულია ცენტრალური მთავრობის ან ცენტრალური ბანკის, ადგილობრივი მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო დაწესებულების მიერ, რომლის მიმართ მოთხოვნებიც ამ დებულების IV თავის თანახმად მიიჩნევა ამავე იურისდიქციაში მოქმედი ცენტრალური მთავრობის მიმართ არსებული მოთხოვნების ანალოგიურად, ან მრავალმხრივი განვითარების ბანკის მიერ, რომლის მიმართ რისკის პოზიციებიც ამ დებულების IV თავის თანახმად იწონება 0% რისკის წონით, ის შეიძლება ჩაითვალოს გარანტიის გამცემის მიერ უზრუნველყოფილ მოთხოვნად თუ:
    - ა.ა) კონტრ-გარანტია ფარავს მოთხოვნის საკრედიტო რისკის ყველა ელემენტს;
    - ა.ბ) თავდაპირველი გარანტიაც და კონტრ-გარანტიაც აკმაყოფილებს ამ დებულების 56-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გარდა აღნიშნული პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნისა.
  - ბ) ეროვნული ბანკისათვის დამაკმაყოფილებელია უზრუნველყოფის სიმყარე და ისტორიული ფაქტები, რომლებიც არ მეტყველებს კონტრ-გარანტიის

უფრო ნაკლებად ეფექტიანობაზე პირდაპირ გარანტიასთან შედარებით.

- გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობები ასევე ვრცელდება რისკის პოზიციებზე, რომლებიც არ არის კონტრ-გარანტირებული აღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული სუბიექტების მიერ თუ ამ რისკის პოზიციის კონტრ-გარანტია თავის მხრივ პირდაპირ გარანტირებულია ჩამოთვლილი სუბიექტების მიერ და ამ პუნქტში მითითებული პირობები დაკმაყოფილებულია.

### მუხლი 57. საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის გამოთვლა

- ამ დებულების 51-ე–56-ე მუხლების პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ დებულების IV თავით გასაზღვრული რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების დათვლა შეიძლება შეიცვალოს ამ დებულების 57-ე, 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად.
- იმ შემთხვევაში, როცა კომერციულ ბანკს აქვს სამართლებრივად აღსრულებადი სესხებისა და დეპოზიტების ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებები, მას შეუძლია ამ დებულების 56-ე მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში კაპიტალის ადეკვატურობის დათვლისას გამოიყენოს რისკის პოზიციის წმინდა ღირებულება.
- ფინანსური უზრუნველყოფით საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის გამოთვლისათვის კომერციული ბანკები გამოიყენებენ ამ დებულების 58-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკრედიტო რისკის მიტიგაციის მარტივ მეთოდს. ამ შემთხვევაში მსესხებლის რისკი ნაცვლდება უზრუნველყოფის რისკით რისკის პოზიციის უზრუნველყოფილი ნაწილის პროპორციულად (მინიმუმ 20% რისკის წონით და გამონაკლის შემთხვევაში, 0%-ით). ნაწილობრივი უზრუნველყოფა დასაშვებია, ხოლო ვადების შეუთავსებლობა არ დაიშვება.
- კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი ნაწილს ენიჭება გარანტიის გამცემისგან (გარანტის) რისკის წონა, ხოლო არაუზრუნველყოფილი ნაწილს - პრინციპალის რისკის წონა. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფა და რისკის პოზიცია დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტაში, (ადგილი აქვს ვალუტის შეუთავსებლობას,) მოხდება რისკის პოზიციის უზრუნველყოფილი ნაწილის შემცირება.

### მუხლი 58. საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის გამოთვლა. კრედიტის დაფინანსებული უზრუნველყოფა

- ფინანსური უზრუნველყოფის მარტივი მეთოდი:
  - მარტივი მეთოდის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მაშინ თუ უზრუნველყოფის შეფასება ხდება ამ დებულების IV თავის შესაბამისად.
  - ამ მეთოდით ნებადართული ფინანსური უზრუნველყოფა განისაზღვრება მისი საბაზრო ღირებულების თანხით ამ დებულების 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პი-

რობების დაცვით.

- მოთხოვნის იმ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფილია ნებადართული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებით, მიენიჭება რისკის ის წონა, რაც მიენიჭებოდა ამ დებულების IV თავით იმ შემთხვევაში თუ გამსესხებელს რისკის პოზიცია ექნებოდა თავად უზრუნველყოფის ინსტრუმენტის მიმართ, სულ მცირე 20%-ის ოდენობით გარდა ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში აღწერილი შემთხვევებისა. რისკის პოზიციის დარჩენილი ნაწილი კი უნდა შეინონოს რისკის პოზიციის იმ კლასის მიხედვით, რომელსაც იგი მიეკუთვნება ამ დებულების IV თავის შესაბამისად.
- შესაძლებელია 0% რისკის წონის მინიჭება, თუ:
  - რისკის პოზიცია და უზრუნველყოფა დენომინირებულია ერთსა და იმავე ვალუტაში; და
  - უზრუნველყოფა წარმოადგენს დეპოზიტზე განთავსებულ ფულად სახსრებს ან ფულთან გათანაბრებულ სხვა ინსტრუმენტს;
  - უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულება დადის-კონტებულია 20%-ით და წარმოადგენს:
  - იმ ცენტრალური მთავრობების და ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, რომლებიც ამ დებულების IV თავის მიხედვით უნდა შეინონოს 0%-ით;
  - იმ რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, რომელთა მიმართ რისკის პოზიციები ამ დებულების IV თავის თანახმად უნდა შეინონოს ისევე, როგორც რისკის პოზიციები აღნიშნულ იურისდიქციებში ცენტრალური მთავრობების მიმართ;
  - იმ მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, რომელთა მიმართ რისკის პოზიციები ამ დებულების IV თავის თანახმად უნდა შეინონოს 0%-ით;
  - იმ საერთაშორისო ორგანიზაციების/ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, რომელთა მიმართ რისკის პოზიციები ამ დებულების IV თავის თანახმად უნდა შეინონოს 0%-ით.
- სხვა დაფინანსებული უზრუნველყოფა: ამ დებულების 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ დებულების 52-ე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული კრედიტის უზრუნველყოფა შეიძლება ჩაითვალოს მესამე მხარედ წარმოდგენილი კომერციული ბანკის გარანტიად.
- სტანდარტული ოქროს ზოდის ექვივალენტით უზრუნველყოფილი რისკის პოზიცია უნდა შემცირდეს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების 50%-ით.

### მუხლი 59. საკრედიტო რისკის მიტიგაციის ეფექტის გამოთვლა. კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფა

- შეფასება:
  - კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფის თანხა (G) არის მსესხებლის დეფოლტის/გადაუხდე-

ლობის ან სხვა კონკრეტული საკრედიტო მოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოფის მიმწოდებლის მიერ გადახდილი თანხა:

- ა.ა) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დათვლილი კრედიტის უზრუნველყოფის თანხა უნდა შემცირდეს 40%-ით, თუ დაუფინანსებელ უზრუნველყოფას წარმოადგენს კრედიტის წარმოებული ინსტრუმენტი, რომელიც არ ვრცელდება კრედიტის რესტრუქტურზაციაზე;
- ა.ბ) კრედიტის უზრუნველყოფის თანხა არ უნდა იყოს რისკის პოზიციის თანხის 60%-ზე მეტი თუ დაუფინანსებელ უზრუნველყოფას წარმოადგენს კრედიტის წარმოებული ინსტრუმენტი, რომელიც არ ვრცელდება კრედიტის რესტრუქტურზაციაზე;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის დაუფინანსებელი უზრუნველყოფა და რისკის პოზიცია დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტაში, კრედიტის უზრუნველყოფის თანხა უნდა შემცირდეს შემდეგნაირად:  $G^* = G \times (1 - HFX)$ , სადაც:
  - ბ.ა) G - კრედიტის უზრუნველყოფის ნომინალური ღირებულება;
  - ბ.ბ)  $G^*$  არის სავალუტო რისკით კორექტირებული G;
  - ბ.გ) Hfx არის კრედიტის უზრუნველყოფისა და ძირითადი ვალდებულების ვალუტებს შორის სხვაობით გამოწვეული მერყეობების კორექტირება;
  - ბ.დ) როდესაც კრედიტის უზრუნველყოფა და ძირითადი ვალდებულება დენომინირებულია ერთსა და იმავე ვალუტაში:  $G^* = G$ ;
- გ) ვალუტებს შორის განსხვავებების გამო წარმოშობილი მერყეობების კორექტირება უნდა იყოს 8%.
- 2. რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების ღირებულების დათვლა:
  - ა) სრული უზრუნველყოფა: g არის რისკის წონა, რომელიც მიენიჭება რისკის პოზიციას, რომელიც სრულად უზრუნველყოფილია დაუფინანსებელი უზრუნველყოფით (GA), სადაც g არის ამ დებულების IV თავით განსაზღვრული რისკის წონა უზრუნველყოფის გარანტიის მიმართ რისკის პოზიციებზე და GA არის ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით დათვლილი  $G^*$
  - ბ) ნაწილობრივი უზრუნველყოფა - თანაბარი უპირატესობა: როდესაც უზრუნველყოფის თანხა ნაკლებია რისკის პოზიციის თანხაზე და უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი ნაწილები თანაბარი უპირატესობისაა, ანუ კომერციული ბანკი და უზრუნველყოფის მიმწოდებელი (გარანტი) დანაკარგებს პროპორციულად ინაწილებენ, კაპიტალის მოთხოვნა შესაბამისი პროპორციულობით უნდა იქნას შემსუბუქებული. ამ დებულების მე-12 მუხლის მიზნებისათვის რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დათვლა უნდა მოხდეს შემდეგი ფორმულის შესაბამისად:  $(E - GA) \times r + GA \times g$ , სადაც:
    - ბ.ა) E - რისკის პოზიციის ღირებულება;
    - ბ.ბ) GA - პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით დათვლილი  $G^*$ ;
    - ბ.გ) r - IV თავით განსაზღვრული მსესხებლის მიმართ რისკის პოზიციების რისკის წონა;
    - ბ.დ) g - IV თავით განსაზღვრული გარანტიორის მიმართ რისკის პოზიციების რისკის წონა.
  - გ) სახელმწიფო გარანტიები: ამ დებულების 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მიდგო-

მა ვრცელდება რისკის პოზიციებზე ან მათ ნაწილზე, რომლებიც გარანტირებულია ცენტრალური მთავრობისა ან ცენტრალური ბანკის მიერ და ასევე, გარანტია დენომინირებულია მსესხებლის ეროვნულ ვალუტაში და რისკის პოზიცია განთავსებულია ამავე ვალუტაში.

## თავი XVIII საოპერაციო რისკი

### მუხლი 60. ძირითადი ინდიკატორის მეთოდით საოპერაციო რისკისათვის საჭირო კაპიტალის განაგარიშება

1. ძირითადი ინდიკატორის მეთოდით საოპერაციო რისკის კაპიტალის მოთხოვნა უნდა შეადგენდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ინდიკატორის 15%-ს, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ - „თ“ ქვეპუნქტებში.
  2. შესაბამისი ინდიკატორის განმარტება:
    - ა) ეროვნული ბანკი ადგენს შესაბამის ინდიკატორს კაპიტალის დათვლის მიზნებისთვის;
    - ბ) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ინდიკატორი განისაზღვრება, როგორც წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე, როგორც ეს განსაზღვრულია ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში;
    - გ) სამი წლის საშუალო გამოითვლება ფინანსური წლის ბოლოს მდგომარეობით ბოლო სამი თორმეტთვიანი დაკვირვებებით. აუდიტებული შედეგების არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ბიზნეს შეფასების გამოყენება;
    - დ) თუ რომელიმე ინდიკატორისთვის წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამი უარყოფითი ან ნულის ტოლია, გემოთხსენებული შედეგი სამი წლის საშუალოს დათვლისას არ გაითვალისწინება. შესაბამისად, საოპერაციო რისკის კაპიტალის დათვლისათვის აიღება შედეგი, რომელიც ტოლია დადებითი ინდიკატორების ჯამის თანაფარდობისა იმ წლების რაოდენობაზე, როდესაც ეს ინდიკატორი იყო დადებითი;
    - ე) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ინდიკატორი შედგება N1 დანართის მე-8 ცხრილში არსებული ელემენტების ჯამისგან. თითოეული ელემენტი შეყვანილი უნდა იქნას ელემენტთა ჯამის გამოთვლაში ელემენტის დადებითი ან უარყოფითი ნიშნის მიუხედავად;
    - ვ) ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ინდიკატორი (N1 დანართის მე-8 ცხრილი) დაითვლება საოპერაციო ხარჯებისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების დაქვითვამდე. მესამე მხარის მიერ შესრულებულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. მესამე მხარეში მოიაზრება ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც არ არის კომერციული ბანკის მშობელი ან შვილობილი საწარმო ან არ არის კომერციული ბანკის მშობელი კომპანიის შვილობილი საწარმო;

- 8) ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ინდიკატორის დათვლისას არ უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი ელემენტები:
- 8.ა) არასავაჭროდ განკუთვნილი საბალანსო ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები;
- 8.ბ) განსაკუთრებული ან არარეგულარული ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი;
- 8.გ) დაზღვევიდან მიღებული შემოსავლები.
- თ) როდესაც სავაჭრო საბალანსო ელემენტების გადაფასების აღიარება ხდება მოგება—ზარალის უწყისში, გადაფასება გათვალისწინებული უნდა იქნას ინდიკატორის დათვლისას.

**მუხლი 61. სტანდარტიზებული მეთოდით საოპერაციო რისკისათვის საჭირო კაპიტალის გაანგარიშება**

1. კაპიტალის მოთხოვნები:
  - ა) სტანდარტიზებული მეთოდის მიხედვით საოპერაციო რისკისთვის კაპიტალის მოთხოვნები წარმოადგენს ამ დებულების 60–ე მუხლის მე–2 პუნქტის „ა“– „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წლიური შესაბამისი ინდიკატორების ბოლო სამი წლის საშუალო მაჩვენებელს შესაბამისი ინდიკატორი დაითვლება ყოველ წელს N1 დანართის მე–9 ცხრილით განსაზღვრული ბიზნეს ხაზების მიხედვით, რომელიც მრავლდება კაპიტალის N1 დანართის მე–9 ცხრილით განსაზღვრულ მოთხოვნის შესაბამის კოეფიციენტზე. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ნებისმიერი ბიზნეს ერთეულისათვის შესაბამისი ინდიკატორით გამოწვეული უარყოფითი კაპიტალის მიღების შემთხვევაში ინდიკატორი გაითვალისწინება ჯამში, ხოლო, თუ ყველა ბიზნეს ერთეულის ინდიკატორი წლის განმავლობაში არის უარყოფითი, მაშინ ინდიკატორი ამ წლისათვის უნდა განისაზღვროს როგორც 0;
  - ბ) სამი წლის საშუალო მაჩვენებელი გაიანგარიშება ბოლო სამი თორმეტთვიანი ხანგრძლივობის დაკვირვების შედეგებით ფინანსური წლის ბოლოს. აუდიტებული მონაცემების არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ბიზნეს შეფასების გამოყენება.
2. კომერციულმა ბანკმა უნდა შეიმუშავოს და დანერგოს სპეციალური დოკუმენტირებული პოლიტიკა და შეიმუშავოს კრიტერიუმები სხვადასხვა ოპერაციის/საქმიანობის შესაბამის ბიზნეს ხაზებში დაჯგუფებისათვის, ასევე, უნდა აღწეროს თუ რომელი ბიზნეს ხაზი რა კონკრეტულ საქმიანობებს მოიცავს სტანდარტიზებული მეთოდისათვის. ბიზნეს ერთეულებში დაჯგუფების პრინციპები შემდეგნაირია:
  - ა) დაჯგუფება უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი და ამომწურავი, რათა იძლეოდეს კომერციული ბანკის ნებისმიერი საქმიანობის ერთ კონკრეტულ ბიზნეს ხაზში მოხვედრის შესაძლებლობას;
  - ბ) ის საქმიანობა, რომლის შესაბამისი ბიზნეს ერთეულის განსაზღვრა რთულია, მაგრამ წარმოადგენს დამხმარე საქმიანობას, მიკუთვნებული უნდა იქნას იმ ბიზნეს ერთეულს, რომლის დამხმარე

- საქმიანობადაც ის ითვლება. თუ საქმიანობა დამხმარე ფუნქციას წარმოადგენს ერთზე მეტი ბიზნეს ერთეულისთვის, გამოყენებული უნდა იქნას ობიექტური დაჯგუფების კრიტერიუმები;
- გ) თუ კონკრეტული საქმიანობის/ოპერაციის მართივად მიკუთვნება ვერ ხორციელდება ვერცერთი ბიზნეს ხაზისთვის, მოცემული ოპერაცია უნდა მიეკუთვნოს იმ ბიზნეს ხაზს, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი პროცენტული კოეფიციენტი. იგივე ბიზნეს ხაზს უნდა მიეკუთვნოს დამხმარე საქმიანობა/ოპერაციაც;
- დ) საოპერაციო რისკისათვის კაპიტალის დათვლის მიზნებისთვის საქმიანობების ბიზნეს ერთეულებში დაჯგუფება შესაბამისობაში უნდა იყოს საკრედიტო და საბაზრო რისკების კატეგორიებთან;
- ე) კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საბანკო საქმიანობების შესაბამის ბიზნეს ერთეულებში დაჯგუფების პოლიტიკის შემუშავებაზე;
- ვ) დაჯგუფების პროცესი უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ განხილვას/გადახედვას.
- 3. საოპერაციო რისკის კაპიტალის სტანდარტიზებული მეთოდით დათვლისას კომერციულმა ბანკმა, რისკების მართვის ზოგადი სტანდარტების დაკმაყოფილების გარდა, უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები. აღნიშნულ კრიტერიუმებთან სრულყოფილად შესაბამისობისათვის მნიშვნელოვანია კომერციული ბანკის ზომისა და განხორციელებული ოპერაციების სირთულის გაითვალისწინება. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას პროპორციულობის პრინციპი:
  - ა) კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს საოპერაციო რისკების შეფასებისა და მართვის კარგად დოკუმენტირებული სისტემა. იგი უნდა მოიცავდეს აღნიშნული სისტემის ფარგლებში მკაფიოდ განსაზღვრულ პასუხისმგებლობებს. აღნიშნული სისტემა უნდა იძლეოდეს კომერციული ბანკის საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებული რისკის პოზიციების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი საოპერაციო რისკების შემთხვევების მონიტორინგის შესაძლებლობას, კომერციული ბანკის მატერიალური დანაკარგების ჩათვლით. სისტემის გადახედვა უნდა ხდებოდეს რეგულარულად დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ;
  - ბ) საოპერაციო რისკების შეფასების სისტემა მჭიდროდ ინტეგრირებული უნდა იყოს კომერციული ბანკის რისკების მართვის მთლიან პროცესთან. შეფასების სისტემის შედეგები კომერციული ბანკის რისკის პროფილისა და კონტროლის პროცესის მონიტორინგის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს;
  - გ) კომერციული ბანკი ვალდებულია, დანერგოს საოპერაციო რისკების ანგარიშგების სისტემა, რომელიც ასევე მოიცავს ანგარიშგებას მენეჯმენტთან/დირექტორატთან. კომერციულ ბანკს უნდა ჰქონდეს პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს სამოქმედო გეგმასა და საოპერაციო რისკების მართვის ანგარიშგებაში ინფორმაციის შეტანასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

მუხლი 62. გარდამავალი ხასიათის დებულებები

1. ყველა კომერციულმა ბანკმა უნდა დაიწყოს ამ დებულებით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება არა უგვიანეს 2014 წლის 30 ივნისისა და უწყვეტად განაგრძოს მისი დაცვა მოცემული თარიღიდან.
2. კომერციულმა ბანკებმა ეროვნულ ბანკს უნდა მიმართონ და თანხმობა მიიღონ იმისათვის, რომ გამოიყენონ:
  - ა) 75% რისკის წონა უპირობო და პირობითი საცალო მოთხოვნებისათვის;
  - ბ) 35% რისკის წონა უპირობო და პირობითი მოთხოვნებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფილია საცხოვრებელი უძრავი ქონებით;
  - გ) სშგი-ს მიერ დადგენილი რეიტინგები;
  - დ) სტანდარტული მიდგომა საოპერაციო რისკისთვის;
  - ე) საკრედიტო რისკის მითიგაცია.
3. ეროვნული ბანკი განიხილავს თანხმობის მიცემის საკითხს კომერციული ბანკის მიერ მოწოდებული დოკუმენტების საფუძველზე, რომელშიც ახსნილი და დასაბუთებული უნდა იყოს ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისათვის დანერგილი პოლიტიკები და კომერციული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები. ამ პუნქტით განსაზღვრული მეთოდების გამოყენებამდე კომერციულმა ბანკმა იგი უნდა წარუდგინოს ეროვნულ ბანკს სულ მცირე 2 თვით ადრე.
4. 2014 წლის 31 დეკემბრამდე ეროვნული ბანკის თანხმობით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ არ განახორციელონ აქტივების მიკუთვნება ამ დებულების XV თავის 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე, მე-37, 38-ე და 43-ე მუხლებსა და 45-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული კლასებისათვის და მიაკუთვნონ ისინი ამ დებულების 45-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ სხვა აქტივების კატეგორიას.
5. 2014 წლის 31 დეკემბრამდე ეროვნული ბანკის თანხმობით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ არ განახორციელონ გარესაბალანსო ელემენტების კლასიფიკაცია ამ დებულების 31-ე მუხლის შესაბამისად და ყველა მათგანი მიაკუთვნონ მაღალი რისკის კატეგორიას, რომელსაც რისკის პოზიციის ღირებულების მისაღებად ენიჭება 100% რისკის წონა.
6. კომერციულმა ბანკებმა უნდა გააგრძელონ მინიმალური კაპიტალის პარალელურ რეჟიმში დათვლა და ეროვნულ ბანკში წარდგენა „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 12 თებერვლის N18/04 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მანამ, სანამ ეროვნული ბანკის მითითებით მიეცემა აღნიშნულის შეწყვეტის უფლება. განახლებული კაპიტალის ადეკვატურობის დებულებით

- სავალდებულო ანგარიშგების სამუშაო ვერსიები 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ყოველი მომდევნო თვის ბოლოს მდგომარეობით წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ყოველი მომდევნო თვის ბოლოს მდგომარეობით ანგარიშგების ფორმები წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა.
7. კომერციულმა ბანკებმა გარდამავალ ეტაპზე (2014–2017 წლები) უნდა დაიცივან როგორც მიმდინარე წესით განსაზღვრული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები, ასევე „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 12 თებერვლის N18/04 ბრძანებით განსაზღვრული მინიმალური დონის მოთხოვნა შემდეგი წესის შესაბამისად: მინიმალური დონის გასაანგარიშებლად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 12 თებერვლის N18/04 ბრძანებით განსაზღვრული პირველადი და მეორადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა უნდა გამრავლდეს შესაბამისი წლის მაკორექტირებელ კოეფიციენტზე, რომელიც 2014 წელს უდრის – 100%-ს, 2015 წელს – 95%-ს, 2016 წელს – 90%-ს, 2017 წელს – 80%-ს.
  8. 2014 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვადასხვა ნორმისა თუ კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის კომერციულმა ბანკებმა უნდა გამოიყენონ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 12 თებერვლის N18/04 ბრძანებით განსაზღვრული კაპიტალის განმარტება, ხოლო შემდგომ პერიოდებში - ამ დებულებით განსაზღვრული კაპიტალის განმარტება.
  9. ამ დებულების ძალაში შესვლიდან 2017 წლის ჩათვლით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საზედამხედველო კაპიტალს მიაკუთვნონ ის ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, თუ მოცემული ინსტრუმენტების წინასწარი დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობითა და აღნიშნული მკაფიოდ განსაზღვრულია ხელშეკრულებაში.
  10. კომერციულმა ბანკებმა უნდა წარმოადგინონ ამ დებულების 23-ე მუხლში აღწერილი შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების მიმდინარე პროცესის შედეგები არაუგვიანეს 2014 წლის 30 სექტემბრისა.
  11. ამ დებულების მოთხოვნების დაცვის ვადების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის თანხმობით.



# დანართი N1

## ცხრილი 1

ცენტრალური მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების მიმართ რისკის პოზიციების შენონვა						
კრედიტის ხარისხის ბიჯი	1	2	3	4	5	6
რისკის წონა	0%	20%	50%	100%	100%	150%

## ცხრილი 2

რეგიონული მთავრობებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ რისკის პოზიციების შენონვა						
კრედიტის ხარისხის ბიჯი	1	2	3	4	5	6
რისკის წონა	20%	50%	100%	100%	100%	150%

## ცხრილი 3

კომერციული ბანკების მიმართ რისკის პოზიციების შენონვა						
კრედიტის ხარისხის ბიჯი	1	2	3	4	5	6
რისკის წონა	20%	50%	50%	100%	100%	150%
კომერციული ბანკების მიმართ 3 ან 3 თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის რისკის პოზიციების შენონვა						
კრედიტის ხარისხის ბიჯი	1	2	3	4	5	6
რისკის წონა	20%	20%	20%	50%	50%	150%

## ცხრილი 4

კორპორატიული კლიენტების მიმართ რისკის პოზიციების შენონვა						
კრედიტის ხარისხის ბიჯი	1	2	3	4	5	6
რისკის წონა	20%	50%	100%	100%	150%	150%

## ცხრილი 5

კორპორატიული კლიენტების მიმართ 3 ან 3 თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადიანობის მქონე რისკის პოზიციების შენონვა						
კრედიტის ხარისხის ბიჯი	1	2	3	4	5	6
რისკის წონა	20%	50%	100%	150%	150%	150%

## ცხრილი 6

საპაიო საინვესტიციო ფონდების (კოლექტიური საინვესტიციო სქემების) სახით რისკის პოზიციების შენონვა						
კრედიტის ხარისხის ბიჯი	1	2	3	4	5	6
რისკის წონა	20%	50%	100%	100%	150%	150%

## ცხრილი 7

ვადა ხელშეკრულების მიხედვით	ხელშეკრულებები საპროცენტო განაკვეთზე	ხელშეკრულებები სავალუტო კურსზე
1 წელზე ნაკლები	0.5%	2.0%
1-დან 2 წლამდე	1.0%	5.0%
ყოველ დამატებით წელზე	+1.0%	+3.0%

## ცხრილი 8

1. საპროცენტო და მასთან დაკავშირებული შემოსავლები
2. საპროცენტო და მასთან დაკავშირებული ხარჯები
3. აქციებიდან მიღებული შემოსავალი და სხვა ცვალებადი და ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლები
4. საკომისიო შემოსავლები
5. საკომისიო ხარჯები
6. წმინდა მოგება ან წმინდა ზარალი ფინანსური ოპერაციებიდან
7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

ცხრილი 9

ბიზნეს ხაზი	საქმიანობის აღწერა	კაპიტალის მოთხოვნის კოეფიციენტი
კორპორატიული ფინანსები	ფინანსური ინსტრუმენტების ანდერრაიტინგი ან/და ფინანსური ინსტრუმენტების განთავსება საწარმოს სახელით; ანდერრაიტინგთან დაკავშირებული მომსახურება; საინვესტიციო რჩევები; ბიზნესისთვის რჩევების მიცემა კაპიტალის სტრუქტურასთან, ინდუსტრიულ სტრატეგიასა და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ბიზნესის შესყიდვასა და შერწყმასთან დაკავშირებით რჩევები და მომსახურება; საინვესტიციო კვლევები, ფინანსური ანალიზი და სხვა სახის ზოგადი რეკომენდაციების გაწევა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე;	18%
ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა და გაყიდვები	გარიგებები კომერციული ბანკის პირად ანგარიშზე; საბროკერო მომსახურება ფულად ბაზრებზე; ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული დავალების მიღება და გადაცემა; კლიენტების სახელით დავალების შესრულება; ფინანსური ინსტრუმენტების განთავსება სხვისი სახელით (რაც არ წარმოშობს საწარმოს ვალდებულებას); მრავალმხრივი სავაჭრო ინსტრუმენტებით ოპერაციები.	18%
საცალო საბანკო საქმიანობა	დეპოზიტებისა და სხვა საცალო ვალდებულებების მოზიდვა; ბარათებით, მერჩანტული მომსახურება; სესხის გაცემა; ფინანსური ლიზინგი; გარანტიები და სხვა ვალდებულებები.	12%
კომერციული საბანკო საქმიანობა	დეპოზიტებისა და სხვა ვალდებულებების მოზიდვა; სესხის გაცემა; ფინანსური ლიზინგი; გარანტიები და სხვა ვალდებულებები.	15%
გადახდები და ანგარიშსწორება	ფულის გადარიცხვის მომსახურება; საგადახდო საშუალებების გამოშვება და ადმინისტრირება.	18%
სააგენტო (კლიენტის დავალებით) მომსახურება	კლიენტების სახელით ფინანსური ინსტრუმენტების შენახვა და მართვა, ნაღდი ფულის/გირაოს მართვა და სხვა შემნახველი მომსახურება.	15%
აქტივების მართვა	პორტფელის მართვა; აქტივების მართვის სხვა ფორმები.	12%
საცალო საბროკერო მომსახურება	ერთ ან მეტ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით დავალების მიღება და გადაცემა; კლიენტების დავალების შესრულება; ფინანსური ინსტრუმენტების განთავსება სხვისი სახელით (რაც არ წარმოშობს საწარმოს ვალდებულებას).	12%

## დანართი N2

### საკრედიტო ხარისხის შეფასების 6-ბიჯიანი შკალა

		Fitch	Moody's	Standard&Poor's
საკრედიტო ხარისხის შეფასების ექვსბიჯიანი შკალა	1	AAA to AA-	Aaa to Aa3	AAA to AA-
	2	A+ to A-	A1 to A3	A+ to A-
	3	BBB+ to BBB-	Baa1 to Baa3	BBB+ to BBB-
	4	BB+ to BB-	Ba1 to Ba3	BB+ to BB-
	5	B+ to B-	B1 to B3	B+ to B-
	6	CCC+ და უფრო დაბალი	Caa1 და უფრო დაბალი	CCC+ და უფრო დაბალი
საკრედიტო ხარისხის შეფასების ექვსბიჯიანი შკალა მოკლევადიანი საკრედიტო შეფასებებისათვის	1	F1+, F1	P-1	A-1+, A-1
	2	F2	P-2	A-2
	3	F3	P-3	A-3
	4	უფრო დაბალი, ვიდრე F3	NP	B-1, B-2, B-3, C
	5			
	6			

### 3.1.8 კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საბანკო საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების მიზანია საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების (შემდგომში – ბანკი) მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) ინტერესების მაქსიმალური დაცვა.
2. ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს ბანკისათვის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენით და მათი შესრულების კონტროლის განხორციელებით.
3. ბანკის საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების მიზნებისათვის განისაზღვრება „საზედამხედველო კაპიტალი“ და „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“.
4. ბანკისათვის დადგენილი ეკონომიკური ნორმატივების და ლიმიტების გაანგარიშება წარმოებს ყოველთვიურად ბანკის ნაერთი ბალანსიდან.

#### მუხლი 2. წესში გამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა განმარტებანი

ამ წესის მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ცნებებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) „საზედამხედველო კაპიტალი“ – პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამი დაქვითვების გამოკლებით;
- ბ) „მთლიანი აქტივები“ – NN10, 11, 12,13,14,15,16, 17, 18, 19, 20, 23,24,25,27,29 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხების ჯამს გამოკლებული NN 41,49 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხები;
- გ) „ლიკვიდური აქტივები“ – ფულადი სახსრები და ისეთი სახის აქტივები, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გარდაქმნის შესაძლებლობა. ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში მონაწილეობს N1003, 1004, 1005, 1006, 1013, 1014, 1015, 1016, 1018, 1051, 1052, 1061, 1062, 141, 1512, 1702, 1703, 1712, 1713, 1722, 1723, 1724, 1732, 1733, 1734 საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხები; ასევე, ეროვნული ბანკის მონეტარულ ოპერაციებში გირავნობის საგნის სახით გამოყენებადი აქტივები, მათ შორის, რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფასიანი ქაღალდები, ამ აქტივების დაგირავების შემთხვევაში ეროვნული ბანკისგან მისაღები სესხის მაქსიმალური თანხ-

ის ოდენობით. ლიკვიდურ აქტივებს აკლდება N3502, 3503, 3512, 3513 საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხები და კომერციული ბანკებიდან მიღებული ერთდღიანი დეპოზიტებისა ან იმ დეპოზიტების ეკვივალენტი თანხები, რომლის მყისიერად და უპირობოდ გამოთხოვა შესაძლებელია ან დეპოზიტის გამცემ ბანკს აქვს უფლება მისი უზრუნველყოფით დაუყოვნებლივ და უპირობოდ აიღოს სესხი. ამასთან, ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში არ ჩაითვლება:

- გ.ა) N141 და N1512 საბალანსო ანგარიშებზე რიცხული სავალ ფასიანი ქაღალდები, რომლებიც კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის 0% საკრედიტო რისკით არ იწონება;
  - გ.ბ) ყადაღადადებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხები;
  - გ.გ) ნეგატიურად კლასიფიცირებული ბანკთაშორისი დეპოზიტები;
  - გ.დ) ეროვნულ ბანკში განთავსებული მინიმალური რეზერვების თანხა ან მისი ნაწილი, რომლის უზრუნველყოფითაც კომერციულ ბანკს ადებული აქვს კრედიტი;
  - გ.ე) ეროვნული ბანკის მონეტარულ ოპერაციებში გირავნობის საგნის სახით გამოყენებული აქტივები;
  - გ.ვ) პირდაპირ ან არაპირდაპირ გაცვლილი ბანკთაშორისი დეპოზიტები;
  - გ.ზ) კომერციულ ბანკებში განთავსებული ერთ დღეზე მეტი ვადიანობის დეპოზიტები, რომლის მყისიერად და უპირობოდ გამოთხოვა შეუძლებელია ან გამცემ ბანკს მისი უზრუნველყოფით დაუყოვნებლივ და უპირობოდ სესხის აღების უფლება არ აქვს. გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს არარეზიდენტ კომერციულ ბანკებში განთავსებული 2-7 დღემდე ვადიანობის დეპოზიტები, არაუმეტეს ასეთ არარეზიდენტ კომერციულ ბანკებში განთავსებული მთლიანი ლიკვიდური აქტივების 1/3-ის ოდენობით.
- დ) „მიმდინარე აქტივები“ – დაფარვის ერთ თვემდე ვადის მქონე აქტივები;
  - ე) „საკრედიტო დაბანდება“ – ბანკის ყველა ვადიან და ვადაგადაცილებულ სასესხო და ოვერდრაფტების ანგარიშებზე რიცხული თანხები;
  - ვ) „ოვერდრაფტი“ – მოკლევადიანი დაკრედიტების ფორმა, რომლითაც ბანკი კლიენტს აძლევს უფლებას მის ანგარიშსწორების ანგარიშზე რიცხული ნაშთების გადამტებით განახორციელოს გადახდები, ანუ ბანკი უშვებს კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე სადებეტო (უარყოფითი) სალდოს არსებობას, ოვერდრაფტის შესახებ ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების (თანხობრივი მოცულობა, დაფარვის ვადა და საპროცენტო განაკვეთი) გათვალისწინებით;
  - ზ) „ძირითადი საშუალებები“ – მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება ბანკის განკარგულებაში, გამოიყენება საბანკო მომსახურების გასანეწად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშებო პერიოდზე მეტი ხნით სარგებლობისათვის;
  - თ) „ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება“ – ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. მისი გაანგარიშებისას N 290 და 291 ჭკუფის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხების ჯამს აკლდე-

ბა N 490 და 492 ჯგუფის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხა;

- ო) „არამატერიალური აქტივები“ – ისეთი აქტივები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ღირებულება და არ აქვთ მატერიალური ფორმა: პატენტები, საიჯარო უფლებები, სასაქონლო ნიშნები, ნოუ-ჰაუ, გუდვილი და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტები;
- კ) „არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება“ – არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. მისი გაანგარიშებისას N 2961 საბალანსო ანარიშზე რიცხულ თანხას აკლდება N 4911 საბალანსო ანგარიშზე რიცხული თანხა;
- ლ) „მთლიანი ვალდებულებები“ – NN 33,34,35,36,37, 38,40,43,44,45,47 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხების ჯამი;
- მ) „გარესაბალანსო ვალდებულებები“ – ბანკის მიერ გაცემული გარანტიების 50%, აქცეპტები, თამასუქები, სესხების დაფინანსებისათვის ნაკისრი ვალდებულებები, გასანაღდებელი აკრედიტივები, უცხოური ვალუტის ყიდვა გაყიდვისათვის ნაკისრი ვალდებულებები და ბანკის მიერ დოკუმენტურად აღიარებული და შესაძლო გადასახდელი ვალდებულებითი შინაარსის მქონე საბანკო ინსტრუმენტები ძირითადი თანხებით;
- ნ) „ვალდებულებები“ – ბანკის მთლიანი ვალდებულებებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ამ წესით დადგენილი საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის გასანგარიშებლად. ვალდებულებები გაიანგარიშება როგორც ბანკის „მთლიანი ვალდებულებებისა“ და „გარესაბალანსო ვალდებულებების“ თანხობრივ მოცულობათა ჯამი, რომელშიც არ გაითვალისწინება:
  - ნ.ა) ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატები, მიღებული სესხები, მიღებული საბანკო დეპოზიტები, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულებით გათვალისწინებული კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტები, სუბორდინირებული ვალები და გარესაბალანსო ვალდებულებები და/ან მათი ნაწილი, რომელთა გადახდამდე/შესრულებამდე დარჩენილია ექვს თვეზე მეტი და ვადაზე ადრე გამოთხოვა შეუძლებელია;
  - ნ.ბ) აქტივების დაგირავებით ეროვნული ბანკისგან მიღებული რეფინანსირების სესხები;
  - ნ.გ) დაჯავშნული დეპოზიტები, დეპოზიტის თანხისა და მისი უზრუნველყოფით გაცემული სესხის ან გარესაბალანსო ვალდებულების თანხებს შორის უმცირესის ოდენობით;
  - ნ.დ) პირდაპირ ან არაპირდაპირ გაცვლილი ბანკთაშორისი დეპოზიტები;
  - ნ.ე) N3502, 3503, 3512, 3513 საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხები და კომერციული ბანკებიდან მიღებული ერთდღიანი დეპოზიტები ან დეპოზიტები, რომლის მყისიერად და უპირობოდ გამოთხოვა შესაძლებელია, ან დეპოზიტის გამცემ ბანკს აქვს უფლება, მისი უზრუნველყოფით დაუყოვნებლივ და უპირობოდ აიღოს სესხი;
  - ნ.ვ) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისათვის ნაკისრი ვალდებულებები;
  - ნ.გ) რეპო გარიგებების ჩარჩოხელშეკრულების ფარ-

- გლებში წარმოქმნილი ვალდებულებები, გამოყენებული ფასიანი ქაღალდის დაგირავების შემთხვევაში ეროვნული ბანკისგან მისაღები სესხის მაქსიმალური თანხის ოდენობასა და რეპო გარიგების ანგარიშსწორების თანხას შორის უმცირესის ოდენობით.
- ო) „მიმდინარე ვალდებულებები“ – ბანკის მთლიანი და გარესაბალანსო ვალდებულებებიდან ერთ თვემდე ვადაში გადასახდელი/შესასრულებელი და შესაძლო შესასრულებელი ყველა ვალდებულებათა თანხობრივ მოცულობათა ჯამი, რომელშიც არ გაითვალისწინება ბანკის მიერ გაცემული გარანტიებისა და გასანაღდებელი აკრედიტივების ნაწილი მათ უზრუნველსაყოფად ამავე ბანკში დაჯავშნული ფულადი სახსრების ოდენობით და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისათვის ნაკისრი ვალდებულებები;
- კ) „ინსაიდერი“ – ბანკის მაკონტროლებელი პირი, ადმინისტრატორი, მონათესავე სანარმო ან/და მათთან დაკავშირებული პირი;
- ჟ) „აუტსაიდერი“ – არაინსაიდერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი;
- რ) „სუბორდინირებული ვალი“ – ისეთი ვალი, რომელსაც სხვა დეპოზიტებსა და სესხებთან შედარებით აქვს გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტი, ანუ ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული ვალის კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ ყველა სხვა კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ;
- ს) „კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდი“ – ისეთი არასახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდი, რომლის ემიტენტი არის იურიდიული პირი და რომელიც ვალდებულია სავალო ფასიანი ქაღალდით გათვალისწინებული ძირითადი თანხის და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდისათვის;
- ტ) „ეგთო“ – „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომლის წევრ ქვეყნებში ჩაითვლება შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეიცია, შვეიცარია;
- უ) „საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში“ – საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი (მსოფლიო ბანკი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ამერიკათაშორისი განვითარების ბანკი, ჩრდილოეთის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, აფრიკის განვითარების ბანკი;
- ფ) „დასაღწევად ანგარიშები“ – სანაშთო ბალანსის 28 და 48 კლასის საბალანსო ანგარიშები, რომლებზეც რიცხული საერთო თანხა, როგორც წესი, ყოველდღიურად ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. ეროვნულ ბანკში წარსადგენ სანაშთო ბალანსში 28 და 48 კლასის ანგარიშები ექვემდებარ-

რება დასაღწევად, რომლის შედეგად მიღებული შესაძლო სადებეტო ნაშთი მონაწილეობას იღებს „რისკის მიხედვით შენონილი აქტივების“, „მთლიანი აქტივების“ და „მიმდინარე აქტივების“ გაანგარიშებაში, ხოლო შესაძლო საკრედიტო ნაშთი მონაწილეობს „მთლიანი ვალდებულებების“ და „მიმდინარე ვალდებულებების“ განგარიშებაში.

### მუხლი 3. ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები

ბანკებისათვის დადგენილი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტებია:

- ა) კკ1 (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი) – ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შენონილი აქტივების არანაკლებ 8 პროცენტისა;
- ბ) კკ2 (საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი) – ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შენონილი აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა;
- გ) სკ1 (ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი) – ბანკის მიერ ერთი ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5 პროცენტს;
- დ) სკ2 (ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი) – ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს;
- ე) სკ3 (ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი) – ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15 პროცენტს;
- ვ) სკ4 (ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა კოეფიციენტი) – ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს;
- ზ) სკ5 (მსხვილი სესხების კოეფიციენტი) – ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას;
- თ) სკ6 (საბლანკო სესხების კოეფიციენტი) – ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25 პროცენტს;
- ი) ლკ (საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი) – საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 30 პროცენტისა; სადაც ლიკვიდურ აქტივებს იმავე ვალუტაში, არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტებში ხვედრითი წილის პროპორციულად, აკლდება არარეზიდენტი კლიენტების მიერ განთავსებული დეპოზიტების  $X = \max[(A - 10\%), 0]$  პროცენტი, სადაც A არის არარეზიდენტი კლიენტების მიერ განთავსებული დეპოზიტების პროცენტული წილი კლი-

- ენტების მთლიან დეპოზიტებში; არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილის გაანგარიშებაში არ გაითვალისწინება დაჯავშნილი დეპოზიტები.
- კ) იკ1 (წილობრივი ინვესტიციების კოეფიციენტი) – იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს;
- ლ) იკ2 (ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი) – ბანკის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 70 პროცენტს;
- მ) ამოღებულია
- ნ) პლ2 (კრეზითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია) – ბანკის კრეზითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20 პროცენტს.

### მუხლი 4. კომერციული ბანკების ვალდებულებები კომერციული ბანკები ვალდებული არიან:

- ა) განუხრელად დაიცვან ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები;
- ბ) ეროვნულ ბანკს წარუდგინონ სუბორდინირებული სესხის (ვალის) მიღების თაობაზე ხელშეკრულება მისი გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში;
- გ) არ დაუშვან თავიანთი კაპიტალის და რეზერვების შემცირება აქციების უკუგამოსყიდვის ან სარეზერვო აქტივების განთავსების გზით ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- დ) არ დაუშვან ინსაიდერთა სასარგებლოდ კრედიტებისა და ვალდებულებების გაცემა და საბანკო მომსახურების განევა აუტსაიდერებთან შედარებით უფრო ხელსაყრელი და შეღავათიანი პირობებით.

### მუხლი 5. ეროვნული ბანკის უფლება

ეროვნული ბანკის უფლება აქვს მიიღოს ზომები ბანკის მიერ ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების არასწორად გაანგარიშების, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშების წესების დარღვევის გამოვლენის შემთხვევებში, ასევე მე-4 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და მის მიმართ გამოიყენოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები, მათ შორის დააკისროს და გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა მის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

### მუხლი 6. ბანკის მიერ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების გასაჩივრება

ბანკს, რომლის მიმართაც სანქცია გამოიყენება, აქვს მისი გასაჩივრების უფლება ეროვნული ბანკის საბჭოში ან სასამართლოში. ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ეროვნული ბანკის საბჭოში ბანკს არ ართმევს უფლებას, იმავე საკითხთან დაკავშირებით იჩივლოს სასამართლოში.

### 3.1.9 კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების, უცხოური ბანკების ფილიალებისა და უცხოური სანდო ბანკების ფილიალების (შემდგომში - ბანკი) მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და მათ მიერ საკრედიტო რისკის მართვისას მსხვილი რისკების რეგულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში - ეროვნული ბანკი) აწესებს ბანკების მიერ ერთი ან რამდენიმე პირისათვის, ან ურთიერთდაკავშირებული პირებისათვის დიდი ოდენობით სესხების გაცემის ან სხვა საკრედიტო მომსახურების განწვევის გონივრულ ზღვრებს.
2. ეს დებულება ადგენს იმ ლიმიტებსა და შეზღუდვებს, რომელთა დაცვით ბანკებმა თავიდან უნდა აიცილონ კრედიტების კონცენტრაცია და მის საფუძველზე წარმოშობილი მსხვილი რისკები.
3. ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა ბანკისათვის.
4. კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების რეგულირების მიზნით ბანკების მიერ ამ დებულებით დადგენილი ლიმიტების გაანგარიშება წარმოებს ყოველთვიურად და წარედგინება ეროვნულ ბანკს.
5. ეროვნული ბანკის მიერ მსესხებლების ერთ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფად გაერთიანების გადანყვეტილებასა და მაკლასიფიცირებელი ბანკის გადანყვეტილებას შორის განსხვავებები შესაძლოა იქცეს მათ შორის განხილვის საგნად, მაგრამ ეროვნული ბანკის პოზიცია გადამწყვეტია.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) „სესხები და სხვა ვალდებულებები“ – ბანკის მიერ პირისათვის გაცემული კრედიტები, ბანკის იურიდიული ვალდებულებები, როგორცაა ოვერდრაფტი, ავანსები, აკრედიტივი, გარანტია ანდა კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით სხვა ვალდებულებები, ასევე განხორციელებული ინვესტიციები (რომელიც არ არის დაქვითული საზედამხედველო კაპიტალიდან);
- ბ) „საკრედიტო დაბანდება“ – ბანკის ყველა ვადიან და ვადაგადაცილებულ სასესხო და ოვერდრაფტების ანგარიშებზე რიცხული თანხები;
- გ) „მსხვილი სესხები და სხვა ვალდებულებები“ –

ბანკის მიერ ერთი პირისათვის ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხები და სხვა ვალდებულებები, რომელთა ოდენობა აღემატება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს;

- დ) „საბლანკო სესხი“ – სესხი, რომლისთვისაც არ არსებობს გირაო ან იპოთეკა, ან, თუ არსებობს, მას არ გააჩნია საბაზრო ღირებულება, ან, ღირებულების მიუხედავად, იგი არ არის სწორად რეგისტრირებული, აგრეთვე სესხი, რომელიც გაცემულია ბანკის საკუთარი აქციების, ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის ან მაკონტროლებელი პირის აქციებისა და ბანკის შვილობილი საწარმოს აქციების უზრუნველყოფით;
- ე) „ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფი“ – ბანკის ორ ან მეტ მსესხებელს შორის არსებული ურთიერთობა, როდესაც:
  - ე.ა) მსესხებლები ბანკისათვის წარმოადგენენ ერთ რისკს, ვინაიდან ერთ-ერთი მათგანი პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ახორციელებს კონტროლს მეორეზე ან დანარჩენებზე;
  - ე.ბ) მსესხებლები ბანკისათვის განიხილებიან ერთი რისკის შემადგენელ პირებად, ვინაიდან ისინი ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ თუ ერთ მათგანს შეექმნება ფინანსური პრობლემები, მეორე ან ყველა დანარჩენი აღმოჩნდებიან ფინანსური სირთულეების წინაშე;
- ვ) „კონტროლი“ – პირის საქმიანობაზე და/ან ამ საქმიანობიდან გამომდინარე გადანყვეტილებაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უშუალოდ თუ სხვებთან ერთად, ხმის მქონე აქციების და/ან წილის გამოყენებით თუ ნებისმიერი სხვა გზით ზეგავლენის მოხდენა;
- ზ) „ეგო“ – „ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“, რომლის წევრ ქვეყნებად გაითვალისწინება შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, შვეცია, შვეიცარია.

#### მუხლი 3. სესხებისა და სხვა ვალდებულებების გაცემისათვის დაწესებული ლიმიტები და შეზღუდვები

1. ბანკის კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების რეგულირების მიზნით დადგენილია შემდეგი ლიმიტები:
  - ა) ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;
  - ბ) ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს;

- გ) ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას;
  - დ) ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25%-ს.
2. ბანკის მიერ ერთი ინსაიდერისა და ყველა ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების მაქსიმალური ოდენობის და მათთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.
  3. დადგენილია ბანკის მიერ პირებისათვის სესხის გაცემის შემდეგი შეზღუდვები:
    - ა) ბანკს ეკრძალება პირს მისცეს სესხი თავისი აქციების შესაძენად;
    - ბ) ბანკს ეკრძალება პირს მისცეს სესხი ამავე ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის ან მაკონტროლებელი პირის აქციების შესაძენად;
    - გ) ბანკს ეკრძალება პირს მისცეს სესხი ამავე ბანკის შვილობილი კომპანიის აქციების შესაძენად.
  4. ამ დებულებით დადგენილი ლიმიტების გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება ბანკის მიერ გაცემული ის სესხები და სხვა ვალდებულებები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც:
    - ა) პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;
    - ბ) პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ;
    - გ) უზრუნველყოფილია „ეგთო-ს“ წევრი ქვეყნების ცენტრალური მთავრობების და/ან ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებული და გარანტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებით;
    - დ) უზრუნველყოფილია ამავე ბანკში დაჯავშნილი დეპოზიტებით.
    - ე) რეპო გარიგების ფარგლებში უზრუნველყოფილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ ოპერაციებში გირავნობის საგნის სახით გამოყენებადი აქტივებით, არაუმეტეს ამ აქტივების დაგირავების შემთხვევაში ეროვნული ბანკისგან მისაღები სესხის მაქსიმალური თანხის ოდენობისა.
  5. ამ დებულებით დადგენილი ლიმიტების გაანგარიშებისათვის ბანკის მიერ გაცემული სესხები და სხვა ვალდებულებები აიღება მთლიანი ღირებულებით.



### 3.1.10 კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ამ წესის მიზანია კომერციულმა ბანკებმა თავიანთი აქტივების კლასიფიკაციისა და რეზერვებთან დაკავშირებული ვალდებულებებისათვის უზრუნველყონ შიდა პროცედურებისა და საანგარიშგებო მოთხოვნების ჩამოყალიბება და შესრულება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ბანკის რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენას და მის გათვითცნობიერებას ბანკის მენეჯერების, მენეჯმენტის, აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, ეროვნული ბანკისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.
- ეს წესი შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოში მოქმედ კომერციული ბანკებისათვის, უცხოური ბანკის ფილიალებისათვის და უცხოური სანდო ბანკების ფილიალებისათვის.
- კომერციული ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული უნდა იყოს კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ზუსტი, სრული და მიმდინარე ინფორმაცია, მათ შორის, აქტივების ხარისხთან დაკავშირებით.
- კომერციული ბანკის მენეჯმენტის მხრიდან ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად დროული ზომების მიუღებლობა იმის გამო, რომ მენეჯმენტმა არ იცოდა პრობლემები ზუსტი, სრული და მიმდინარე ინფორმაციის არარსებობის მიზეზით, ჩაითვლება საბანკო საქმიანობის არაჯანსაღ და არაუსაფრთხო გზად, რაც გამოიწვევს ბანკის მიმართ საზედამხებდევლო ღონისძიებების გატარებას.
- ამ ინფორმაციის ძირითადი კომპონენტია კომერციული ბანკის მიერ თავისი აქტივების კლასიფიკაცია რისკის გათვალისწინებით და მათი შესაძლო დანაკარგების დასაფარავად ადეკვატური რეზერვის შექმნა.
- საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აქტივების კლასიფიკაციის განსახორციელებლად და მოსალოდნელი დანაკარგების დაფარვის მიზნით ადეკვატური რეზერვის შესაქმნელად, თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია საკრედიტო რისკის მართვის მიზნით, ჩამოაყალიბოს და იქონიოს წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები.
- ამ წესის მოთხოვნების შესრულების მიზნით კომერციულმა ბანკებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებები და ფუნქციები.
- თითოეული კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშებს, სადაც მო-

ცემული იქნება ამ წესით გათვალისწინებული აქტივების კლასიფიკაცია და თითოეულისათვის შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვები.

9. ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების მიმართ გამოიყენებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ სანქციებს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- „სესხი“ – სესხის ხელშეკრულებით კომერციული ბანკის მიერ მსესხებლისათვის საკუთრებაში გადაცემული ქონება (სათანადო უზრუნველყოფით ან მის გარეშე), რომელზეც მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს ეს ქონება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. ეს ტერმინი მოიცავს აგრეთვე სამეურნეო და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემულ ავანსს, ასევე სესხის და კრედიტის პირდაპირ ან არაპირდაპირ გაცემას, ამ კომერციული ბანკის იურიდიულ ვალდებულებას გასცეს კრედიტი ნებისმიერი ფორმით, როგორცაა ოვერდრაფტი, აკრედიტივი, გარანტია ანდა კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით სხვა სახელშეკრულებო ვალდებულება კონკრეტული პირობებით, ან ბანკის ნებისმიერ სხვა პირობით ვალდებულებას;
- „ვადაგადაცილებული სესხი“ – სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მომხდარა 30-ზე მეტი კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებული თარიღის შემდეგ, რომელიც მოცემულია სესხთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციაში;
- „მთლიანად უზრუნველყოფილი სესხი“ – სესხი, რომლის დროული და სრული გადახდის უზრუნველსაყოფად კომერციულ ბანკში განთავსებულია დეპოზიტები, ასევე კომერციული ბანკის სასარგებლოდ გირაოთი ან იპოთეკით აქტივია დატვირთული, რომლის საბაზრო ღირებულება ტოლია ან აღემატება სესხის გადაუხდელ თანხას;
- „ნაწილობრივ უზრუნველყოფილი სესხი“ – სესხი, რომლის უზრუნველყოფაში მიღებული გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულება სესხის გადაუხდელ თანხაზე ნაკლებია;
- „საბლანკო სესხი“ – სესხი, რომლისთვისაც არ არსებობს გირაო ან იპოთეკა, ან თუ არსებობს, მას არ გააჩნია საბაზრო ღირებულება, ანდა ღირებულების მიუხედავად იგი არ ყოფილა სწორად რეგისტრირებული;
- „რესტრუქტურირებული სესხი“ – სესხი, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე მსესხებლის იურიდიული ან ფინანსური სირთულეების გამო, არსებობს შეთანხმება კომერციულ ბანკსა და მსესხებელს შორის. რესტრუქტურირებულ სესხებს მიეკუთვნება ყველა ის სესხი, რომლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეცვლილია ერთ-ერთი შემდეგი ქვეპუნქტის მიხედვით:

- ვ.ა) საპროცენტო განაკვეთის შემცირება ან დარიცხული პროცენტების მიღების უფლებაზე უარის თქმა;
- ვ.ბ) დარიცხული საპროცენტო შემოსავლების კაპიტალიზაცია;
- ვ.გ) ძირითადი თანხის ან პროცენტის შემცირება (მათ შორის, რეფინანსირება), რაც არ არის მსესხებლის მიერ გადახდის შედეგი (მათ შორის ისეთი შემთხვევები, როდესაც მსესხებელმა დაფარა პროცენტები ან ძირითადი თანხა თავისი, სხვა ან ურთიერთდაკავშირებული ჯგუფის სხვა წევრების მიერ აღებული სესხებით);
- ვ.დ) სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება;
- ვ.ე) სესხებზე საშელავათო პერიოდის დანესება (გარდა სეზონური ტიპის ბიზნესების შემთხვევაში);
- ვ.ვ) კომერციული ბანკის მიერ მსესხებლისათვის მინიჭებული ნებისმიერი სხვა უფლება ან პრივილეგია, რაც ნორმალურ პირობებში არ მოხდებოდა;
- ბ) „რეფინანსირებული სესხი“ – სესხი, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე არსებობს შეთანხმება კომერციულ ბანკსა და მსესხებელს შორის და დაფარვის პირობების ცვლილება არ არის გამოწვეული მსესხებლის ფინანსური სირთულეებით. ასეთი სახის რეფინანსირებას მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება: კონკურენციის გამო საპროცენტო განაკვეთების შემცირება, საბრუნავი საშუალებების განახლება, არსებული სესხების გაერთიანება-გადაფარვა მსესხებლის დამატებით დაფინანსებისას, მათ შორის, როდესაც ხდება დავალიანების ზრდა ახალი პროექტების დაფინანსების მიზნით და სხვა. რეფინანსირების მომენტისათვის მსესხებელი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს „სტანდარტული“ კატეგორიის პირობებს;
- თ) „ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივი“ – საყურადღებო, არასტანდარტულ, საეჭვო და უიმედო კატეგორიად კლასიფიცირებული აქტივი;
- ი) „გირაო“ – ნებისმიერი სახის მოძრავი ქონების და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, რომელიც დაგირავებულია მსესხებლის მიერ სესხის გამცემი ბანკისათვის გირავნობის ხელშეკრულებით, ისე რომ ბანკი იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე;
- კ) „იპოთეკა“ – ნებისმიერი უძრავი ქონების გამოყენება (დატვირთვა) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, რომელიც დატვირთულია მსესხებლის მიერ სესხის გამცემი ბანკისათვის იპოთეკის შესახებ რეგისტრირებული და იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებით, ისე რომ ბანკი იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ამ ქონების ხარჯზე;
- ლ) „დარეზერვება“ – ამ წესიდან გამომდინარე, საერთო ან სპეციალური რეზერვების შექმნა კომერციული ბანკის მიერ კლასიფიცირებულ აქტებთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანაკარგების დაფარვის მიზნით;
- მ) „აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი“ – კომერციული ბანკის აქტივებისათვის შექმნილი რეზერვის ანგარიში, რომელიც წარმოადგენს სასესხო და არასასესხო აქტივების და პირობითი

- ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად გათვალისწინებულ თანხას. ეს რეზერვი მოიცავს როგორც სპეციალურ, ისე საერთო რეზერვებს;
- ბ) „სპეციალური რეზერვი“ – რეზერვი, რომელიც შექმნილია რაიმე სპეციალური აქტივის შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, კომერციული ბანკის ბალანსზე აქტივში ნაჩვენები ღირებულების შემცირების მიზნით. ეს რეზერვი პირდაპირ არის მიბმული ან შეესაბამება კონკრეტულ, განსაზღვრულ აქტივს;
- ო) „საერთო რეზერვი“ – რეზერვი, რომელიც შექმნილია აქტივების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, მათ დაუკონკრეტებლად;
- პ) „ფასიანი ქალაქდები“ – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჭარო შეთავაზებაც შესაძლებელია ნილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქალაქდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნან ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შეძენის უფლების მატარებლები;
- ჟ) „ბანკთაშორისი დეპოზიტი“ – კომერციული ბანკის მიერ სხვა მოკორესპონდენტო ბანკში სადეპოზიტო და საკორესპონდენტო ანგარიშზე გარკვეული ვადით და მოთხოვნამდე განთავსებული ფულადი სახსრები;
- რ) „სხვა უძრავი ქონება“ – უძრავი ქონება, რომელიც დასაკუთრებულია კომერციული ბანკის მიერ მსესხებლისათვის ვადაში დაუფარავი დავალიანების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით. ასევე ქონება, რომელიც წინათ კომერციული ბანკის შენობებზე გამოიყენებოდა;
- ს) „გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონება“ – ბანკის მიერ მსესხებლის დავალიანების მთლიანად ან ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად დასაკუთრებული გირაო სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-დანადგარების (რომლებიც არ არის უძრავი ქონების განუყოფელი ნაწილი), ფასიანი ქალაქდების, სხვა სახის მოძრავი ქონებისა და ფინანსური აქტივების სახით;
- ტ) „საბაზრო ღირებულება“ – თავისუფალი საბაზრო ფასი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე იდენტური საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებისას და საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) შესაბამის ბაზარზე იმ პირებს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს.
- უ) „აღრიცხული აქტივი“ – წარმოადგენს:
  - უ.ა) სესხის შემთხვევაში გადაუხდელი ძირითადი თანხის ნაშთს დამატებული დარიცხული პროცენტი;
  - უ.ბ) არასასესხო აქტივის შემთხვევაში მისი შეძენის მთლიანი ღირებულება.

### მუხლი 3. კომერციული ბანკების ვალდებულება

1. კომერციული ბანკები ვალდებული არიან:
  - ა) განახორციელონ აქტივების კლასიფიკაცია და შექმნან შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვები იმ თავიანთი წერილობითი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც დამტ-

კიცებულია მათი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და რომლებიც დაცული უნდა იყოს კრედიტების მართვის დოკუმენტებში. იგი მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული ბანკის შემმოწმებლებისათვის და სესხის სახეობის მიხედვით უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

- ა.ა) განცხადება სესხის მიღების თაობაზე;
- ა.ბ) მსესხებლის საფინანსო ანგარიშგება (საბალანსო, მოგება-ზარალისა და ფულის მიმოქცევის უწყისები);
- ა.გ) ბიზნესგეგმა;
- ა.დ) გირავნობის შესახებ იურიდიული დოკუმენტაცია;
- ა.ე) საკრედიტო ხელშეკრულება, სესხის გაცემის თაობაზე დასკვნა და გადანყვეტილება;
- ა.ვ) ინფორმაცია სესხის მონიტორინგის თაობაზე და ა.შ;
- ბ) კლასიფიკაციას დაუქვემდებარონ ნებისმიერი ვალუტით ფორმირებული და საბალანსო უწყისებზე არსებული ყველა აქტივი, ასევე საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების მიხედვით გათვალისწინებული ყველა გარესაბალანსო მუხლები;
- გ) აქტივების კლასიფიკაცია განსაზღვრონ მას შემდეგ, რაც მხედველობაში მიიღება ყველა გარემოება და შესაძლებლობა, რომლებიც ზედმინვებით ანალიზის საფუძველზე ზეგავლენას მოახდენენ აქტივების ხარისხზე;
- დ) დანაკარგების რეზერვის ანგარიშები შექმნან ნებისმიერი ვალუტით ფორმირებული აქტივების დასაფარავად;
- ე) დანაკარგების რეზერვი შექმნან საქართველოს ეროვნული ვალუტით;
- ვ) აქტივების დანაკარგების რეზერვის ანგარიშზე დარეზერვება მოახდინონ იმ თანხით, რომელიც დაფარავს შესაძლო დანაკარგებს;
- ზ) შექმნილი რეზერვები და მათი ნებისმიერი შემდგომი ზრდა გაატარონ კომერციული ბანკის ხარჯებში, მუხლით „ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით“, რომელიც ნაჩვენებია იქნება მის ბალანსზე მუხლით „აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვები“;
- თ) აქტივების რისკის კლასიფიკაციის მიხედვით საჭირო რეზერვების შექმნა აწარმოონ სააღრიცხვო პერიოდში მიღებული შემოსავლების მიუხედავად. ამასთან, აქტივების კლასიფიკაციის წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები შეუთანხმონ ეროვნულ ბანკს;
- ი) შეიმუშაონ წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც აღწერს რის საფუძველზე ხდება ამოუღებელი აქტივის ჩათვლა „უიმედოდ“ და მათი ჩამონერა საბალანსო უწყისიდან;
- კ) უიმედოდ კლასიფიცირებული აქტივი ჩამონერონ კომერციული ბანკის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვიდან.
- 2. ეროვნული ბანკის მიერ ნებისმიერი აქტივის კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ გადანყვეტილებასა და მაკლასიფიცირებელი ბანკის გადანყვეტილებას შორის განსხვავებები შესაძლოა იქცეს მათ შორის განხილვის საგნად, მაგრამ ეროვნული ბანკის პოზიცია გადამწყვეტია. ეროვნულმა ბანკმა შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერი აქტივის კლასიფიკაციაში ცვლილება და მასთან

ერთად შესაძლო დანაკარგების რეზერვის დამატებით შექმნა, თუ ეროვნული ბანკის აზრით, ეს გამართლებულია ისეთი ფაქტებითა და გარემოებებით, როგორცაა:

- ა) კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის საერთო მდგომარეობის გაუარესება;
- ბ) ცვლილება კომერციული ბანკის სესხის გაცემის პროცედურებში ან რისკის მართვის ადეკვატური პოლიტიკის უქონლობა;
- გ) კომერციული ბანკის ფაქტობრივი დანაკარგები ისეთი სახის სესხებზე, როგორცაა კონკრეტული სექტორისათვის, დარგების ან რეგიონებისათვის გაცემული სესხები;
- დ) კომერციული ბანკის მენეჯმენტის უმოქმედობა (არასაკმარისი ქმედება), ამოიღოს პრობლემური სესხები;
- ე) სესხების კონცენტრირება ეკონომიკის სექტორებში, დარგებსა და რეგიონებში;
- ვ) უარყოფითი ტენდენციები ეკონომიკის იმ სექტორებში, დარგებსა და რეგიონებში, სადაც კომერციული ბანკს აქტივების დიდი კონცენტრაცია აქვს;
- ზ) სხვა გარემოებები მოვალის ან თვით კომერციული ბანკის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოვლენილ იქნა ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად და ა.შ.

#### მუხლი 4. აქტივების კლასიფიკაციის სისტემა

1. აქტივების ნეგატიურად კლასიფიკაცია დამყარებული უნდა იქნეს იმ ფაქტებზე და სისუსტეებზე, რომლებიც გამოწვეულია ან გამომდინარეობს ისეთი გარემოებებიდან, მოვლენებიდან ან მდგომარეობიდან, რომელთა ზედმინვებით ჩატარებული ანალიზისა და განსჯის შემდეგ ნათელი ხდება, რომ აქტივის ღირებულება მცირდება.
2. კატეგორიების მიხედვით აქტივების კლასიფიკაციის განხორციელების დროს კომერციულმა ბანკმა უნდა გამოიყენოს მათ გარშემო არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი მოსაზრებანი, რაც უნდა ეფუძნებოდეს თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და კომპონენტებს.
3. სესხის ნეგატიურად კლასიფიკაციის დროს, კომერციულმა ბანკმა ამ მსესხებელს არ უნდა მისცეს დამატებითი სესხი როგორც მიმდინარე საკრედიტო ხაზის დაფინანსების, ასევე ახალი სესხის სახით, მათთან დაკავშირებული რისკებისა და მომავალი დანაკარგების შესაძლებლობის ზედმინვებითი განხილვის გარეშე. ასეთი დამატებითი სესხის მიცემის შემთხვევაში, მას შეიძლება მიენიჭოს „სტანდარტული“ კატეგორია, თუ იგი მთლიანად დაცულია ლიკვიდური უზრუნველყოფით, მიუხედავად ამ მსესხებელზე სხვა სესხების ნეგატიურად კლასიფიცირებისა.
4. კომერციულმა ბანკმა ყოველთვიურად თვითონ უნდა მოახდინოს თავისი აქტივების კლასიფიკაცია ამ წესით დადგენილი კატეგორიების მიხედვით.
5. მსესხებლის და დაკავშირებული ჯგუფის ყველა მიმდინარე სესხს, როგორც წესი, უნდა მიენიჭოს

ერთი კატეგორია. გამონაკლისი შემთხვევები უნდა იყოს არგუმენტირებული და სრულყოფილად დოკუმენტირებული.

## მუხლი 5. სესხების კლასიფიკაციის კატეგორიები

სესხების კლასიფიკაცია წარმოებს ხუთი კატეგორიის მიხედვით, მათ შორის:

- ა) სტანდარტული სესხები;
- ბ) საყურადღებო სესხები;
- გ) არასტანდარტული სესხები;
- დ) საეჭვო სესხები;
- ე) უიმედო სესხები.

## მუხლი 6. სტანდარტული სესხები

1. სესხი კლასიფიცირდება სტანდარტულად, თუ მისი ძირითადი თანხის და პროცენტის მუდმივად გადახდა დროულად წარმოებს, ამასთან, მსესხებლის კაპიტალი და გადახდის უნარი სტაბილურია. ეს კლასიფიკაცია მისაღებია, როდესაც მსესხებელი ფინანსურად ძლიერია და აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა მოულოდნელი მოვლენებისაგან, ასრულებს მომგებიანობასთან დაკავშირებულ თავის მიზნებს და აქვს საკმარისი ნაღდი ფული, რათა დროულად დააკამათოს ყველა ვალდებულება, მათ შორის, აღნიშნული აქტივიც.
2. სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხისათვის მიღებული გირაო ან იპოთეკა გამოყენებული იქნება როგორც უსაფრთხოების დამატებითი კომპონენტი, თუმცა მაინც საჭიროა მისი სწორად რეგისტრაცია და დოკუმენტურად დადასტურება.
3. ბიზნესისათვის გაცემული სესხის შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილ ფინანსურ მახასიათებლებთან ერთად მსესხებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ბიზნესგეგმა რეალურია და პრაქტიკულად განხორციელებადი, და რომ მისი ძირითადი პროდუქცია და მარკეტინგული სტრატეგია სტაბილურია და კონკურენტუნარიანი.
4. სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხი წარმოადგენს ნორმალურ მდგომარეობას, მაგრამ ყველა კომერციულ ბანკს მაინც მოეთხოვება საერთო რეზერვის შექმნა თითოეული სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 2%-ის ოდენობით, გარდა რეპო გარიგების ფარგლებში წარმოშობილი და სესხის სახით აღრიცხული აქტივისა, რეპო გარიგებით მიღებული ფასიანი ქაღალდის მონეტარულ ოპერაციებში საქართველოს ეროვნულ ბანკთან დაგირავების შემთხვევაში მისაღები სესხის მაქსიმალური თანხის ოდენობით.

## მუხლი 7. საყურადღებო სესხები

1. სესხი კლასიფიცირდება საყურადღებოდ, თუ:
  - ა) იგი ადევკვატურად არის დაცული, მაგრამ პოტენციურად სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაცემის დროს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და გადახდის უნარი სტაბილური ჩანდა, შემდგომში გამოჩნდა განსაზღვრული ნაკლოვანებები და ტენდენციები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გამოსწორდება, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი მსესხებლის მიმართ, გააგრძელოს სესხის დროული დაფარვა. ასეთი სესხი ქმნის გაუმართლებელ საკრედიტო რისკს, მაგრამ არა ისეთს, რომ მიენიჭოს კლასიფიკაცია არასტანდარტული, იმიტომ, რომ საკრედიტო რისკი მოცემულ მომენტში მცირეა. ასეთი ნაკლოვანებების მაგალითებია ისეთი სიტუაციები, როდესაც საკრედიტო დოკუმენტაცია (ან მათი ნაწილი) დაკარგულია, არასრული ან მოძველებულია; როდესაც კომერციულ ბანკს არ ძალუძს აქტივების შესაბამისად მართვა ან მსესხებელთან სათანადო ურთიერთობა, ან როდესაც მთლიანად უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, გირაო ან იპოთეკა დოკუმენტურად არ არის სწორად გაფორმებული, გადაცემული ან რეგისტრირებული, ანდა როდესაც არსებობს ინფორმაცია გირაოს ან იპოთეკის საეჭვო მდგომარეობასთან ან მის მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებით;

- ბ) კომერციული ბანკის განმეორებითი მოთხოვნის მიუხედავად მსესხებელმა ვერ მოახერხა ფინანსური ანგარიშგებების მიწოდება მათ შორის საბალანსო უწყისის ან მოგება-ზარალის უწყისის, ან სამუშაო ან ბიზნეს-გეგმის, რაზეც არსებობდა შეთანხმება;
  - გ) მოსალოდნელია ისეთი მოვლენები მსესხებლის საქმიანობაში ან წარმოებაში, ან ისეთი მიმართულებები ბაზარზე, რომელთა გამოც შესაძლოა, რომ მსესხებლის მომავალი მოგება ან ბიზნესი გახდეს არასტაბილური, ანდა აღმოჩნდეს მნიშვნელოვნად გაუარესებული;
  - დ) გირაოსთან ან იპოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ არის სწორად გაფორმებული, ან როდესაც გირაო ან იპოთეკა არ არის სწორად რეგისტრირებული, და ამ ორიდან რომელიმე სიტუაციას თან ერთვის გადახდის პირველადი წყაროს საშუალებით ამ ვალის სათანადო დაფარვის დაქვეითებული უნარი;
  - ე) სესხის ვადაგადაცილებული პროცენტი დაუფარავია და დამატებულია ძირითად თანხაზე;
  - ვ) ნებისმიერი შეთანხმებული გადახდა ვადაგადაცილებულია 30 დღეზე ნაკლები პერიოდით. თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.
2. ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეზერვის შექმნა თითოეული საყურადღებოდ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 10% -ის ოდენობით.

## მუხლი 8. არასტანდარტული სესხები

1. სესხი კლასიფიცირდება არასტანდარტულად, თუ:
  - ა) იგი არაადევკვატურად არის დაცული მსესხებლის კაპიტალითა და გადახდის უნარით, ანდა გირაოს ან იპოთეკის ღირებულებით. არასტანდარტულად

კლასიფიცირებულ სესხს გააჩნია ისეთი სისუსტეები ან პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის დავალიანების დაფარვას ან საეჭვოს ხდის მთლიან გადახდას;

- ბ) სესხის გადახდის ძირითადი წყაროები, მათ შორის კაპიტალი და მოგება, არ არის საკმარისი ვალის გადასახდელად. შესაბამისად, კომერციულმა ბანკმა უნდა გამოიყენოს გადახდის სხვა წყაროები, როგორცაა გირაოს ან იპოთეკის რეალიზაცია, მსესხებლის სხვა აქტივების გაყიდვა ან მსესხებლის სხვა ვალ(ებ)ის რესტრუქტურირება. ამასთან, არსებობს სხვა ისეთი მნიშვნელოვნად უარყოფითი პირობები, როგორცაა: ღირებულების მქონე და რეალიზებადი გირაოს ან იპოთეკის არარსებობა, მსესხებლის აუხსნელი ხანგრძლივი არყოფნა, ან საკუთარი ბიზნესისადმი უყურადღებობა.
2. საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 30 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს არასტანდარტული სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ასეთი კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.
3. მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 60 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს არასტანდარტული სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.
4. ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეგერვის შექმნა თითოეული არასტანდარტულად კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 30%-ის ოდენობით.

## მუხლი 9. საეჭვო სესხები

1. სესხი კლასიფიცირდება საეჭვოდ, თუ მას აქვს არასტანდარტულად კლასიფიცირებული სესხის მახასიათებლები, მაგრამ არსებულ პირობებში მისი გადახდა საეჭვოა ერთ-ერთი ისეთი სისუსტის გამო, როგორცაა: გარკვეული და მნიშვნელოვანი ფაქტორის არსებობა, რომლიდან გამომდინარეც მოსალოდნელია ნაწილობრივი გადახდა უახლოეს პერიოდში და შესაბამისად, უიმედო კლასიფიკაციის მინიჭება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის, სანამ ფაქტები უფრო არ გაირკვევა. გარკვეული და მნიშვნელოვანი ფაქტორები მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სესხის მიმდინარე ნაწილობრივი გადახდა ან გირაოს (იპოთეკის) დასაკუთრების და გაყიდვის პროცედურების დაწყება და განხორციელება უახლოეს მომავალში, ასევე დამატებითი გირაოს ან იპოთეკის ჩადების შესაძლებლობა, რითაც სესხი მთლიანად უზრუნველყოფილი გახდება.
2. საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პრო-

ცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 90 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს საეჭვო სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

3. მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 120 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს საეჭვო სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.
4. ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეგერვის შექმნა თითოეული საეჭვოდ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 50%-ის ოდენობით.

## მუხლი 10. უიმედო სესხები

1. სესხი კლასიფიცირდება უიმედოდ, თუ:
- ა) მსესხებლის გადახდისუნარიანობის გამო შეუძლებელია მისი ამოღება ან ამოღებადი თანხა იმდენად მცირეა, რომ იგი კომერციული ბანკის ბალანსზე არ უნდა დარჩეს;
- ბ) გირაოს ან იპოთეკის მიუხედავად, მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია 150 დღით;
- გ) 150-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილების მიუხედავად, მსესხებლის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სესხის ამოღება მთლიანად შეუძლებელია ან ამოსაღებად მოსალოდნელი თანხები არ შეესაბამება ამოღებისათვის დახარჯულ დროსა და ხარჯებს.
2. დანაკარგები სესხებიდან ბალანსზე აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დადგინდა, რომ მათი ამოღება შეუძლებელია. მათი საბუღალტრო აღრიცხვა უნდა შეწყდეს და ისინი უნდა ჩამოიწეროს ამავე პერიოდის ბალანსიდან.
3. ბანკებმა ძალისხმევა უნდა მიმართონ უიმედოდ კლასიფიცირებული სესხების კანონიერად ამოღებისაკენ სათანადო ზომების გამოყენებით, ყველა არსებული გირაოს ან იპოთეკის დასაკუთრებასთან და გაყიდვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის ჩათვლით.
4. ყველა კომერციულ ბანკს მოეთხოვება სპეციალური რეგერვის შექმნა თითოეული უიმედოდ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 100%-ის ოდენობით.

## მუხლი 11. დანაწევრებული კლასიფიკაციები

1. კომერციულ ბანკს უფლება აქვს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და ამ ნესის მე-8-10 მუხლით გათვალისწინებული სესხების კატეგორიების კრიტერიუმების შესაბამისად, მოახდინოს სესხის კლასიფიკაცია ნაწილობრივ როგორც არასტანდარტული, საეჭვო ან უიმედო იმ შემთხვევებში, თუ აღნიშნული სესხი ნაწილობრივ უზრუნველყოფილი სესხია.

2. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულების ტოლია, კლასიფიკაცია შეიძლება იყოს არასტანდარტული.
3. ისეთ შემთხვევებში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი აღემატება გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულებას, კლასიფიკაცია შესაბამისად შეიძლება იყოს საეჭვო ან უიმედო.
4. დანაწევრებული კლასიფიკაციის შემთხვევაში სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილის საეჭვოდ კლასიფიკაცია დასაბუთებული უნდა იყოს მკაფიო და სარწმუნო არგუმენტებით.

**მუხლი 12. გირაო და იპოთეკა, როგორც კლასიფიკაციასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მნიშვნელოვანი კომპონენტი**

1. კომერციულმა ბანკმა გირაო და იპოთეკა არ უნდა განიხილოს როგორც სესხის გადახდის პირველადი წყარო, თუ არსებული პირობები ამას არ მოითხოვს.
2. კომერციულმა ბანკმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს პროცედურები, რომლიდან გამომდინარეც მოხდება გირაოს და იპოთეკის შეფასების პოლიტიკის ჩამოყალიბება მისი ლიკვიდურობის ან საბაზრო ღირებულების მხედველობაში მიღებით, რაც მნიშვნელოვანია სესხის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მისაღებად.
3. ყველა გირაო და იპოთეკა უნდა მიეკუთვნოს ლიკვიდური ან არალიკვიდური უზრუნველყოფის კატეგორიას.
4. ლიკვიდურ უზრუნველყოფას მიეკუთვნება:
  - ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახელმწიფო უწყებების) უპირობო გარანტიები;
  - ბ) ფულადი დეპოზიტები თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, დაგირავებული და დაჯავშნული სესხის გამცემ კომერციულ ბანკში;
  - გ) საქართველოს სამთავრობო ფასიანი ქაღალდები;
  - დ) კომერციული ბანკისათვის გირაოს შესახებ ხელშეკრულების თანახმად ფაქტობრივად გადაცემული ძვირფასი ლითონების სტანდარტიზებული ზოდები.
5. არალიკვიდურ უზრუნველყოფას მიეკუთვნება:
  - ა) მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით უძრავი ქონებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების სწორად დოკუმენტირებული და რეგისტრირებული იპოთეკა;
  - ბ) მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მოძრავი ქონებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების დაგირავება;
  - გ) კერძო საწარმოების ფასიანი ქაღალდების დოკუმენტურად სწორად დაფორმებული და იურიდიული ძალის მქონე დაგირავება;
  - დ) სწორად დოკუმენტირებული და იურიდიული ძალის მქონე უპირობო გარანტიები ან გამოუთხოვადი აკრედიტივები კომერციული ბანკებიდან;

- ე) საწარმოებისა და კერძო პირების სწორად დოკუმენტირებული და იურიდიული ძალის მქონე უპირობო გარანტიები.

**მუხლი 13. რესტრუქტურირებული სესხების კლასიფიკაცია**

1. კომერციულმა ბანკმა რესტრუქტურირებული სესხის კლასიფიკაცია უნდა განახორციელოს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა: სესხის განახლების ან მისი დაფარვის ვადის გაგრძელების რაოდენობა; სესხის საერთო ვადის ცვლილება მის თავდაპირველ ვადასთან; სესხის პროცენტის დაფარვის ვადების ცვლილება თავდაპირველ ვადებთან სესხის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების პირობებში კონკრეტული ცვლილებები, რომლებიც შეტანილ იქნა რესტრუქტურირებული სესხის შესახებ ხელშეკრულებაში და ცვლილებების მიზეზები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საპროცენტო განაკვეთის ნებისმიერ შემცირებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე უფრო დაბალი განაკვეთით, ვადის გაგრძელებას და ასევე იმ ფაქტორებს, რომლებიც უკავშირდება მოცემულ პირობებს. ნებისმიერი ტიპის რესტრუქტურირების / რეფინანსირების შესახებ კომერციული ბანკის გადანყვეტილება, უნდა ეფუძნებოდეს მსესხებელთა ფინანსურ ანალიზს, რომელიც სრულყოფილად უნდა იქნეს დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი ეროვნული ბანკის შემომწმებლებისათვის.
2. სესხი რესტრუქტურირების შემთხვევაში, როგორც წესი, სესხი კლასიფიცირდება ნეგატიურად.
3. გამონაკლის შემთხვევაში კომერციულ ბანკს შეუძლია რესტრუქტურირებული სესხის სტანდარტულ კლასიფიკაციაში დატოვება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხი სრულად და უპირობოდ აკმაყოფილებს სტანდარტული სესხის კატეგორიის პირობებს.
4. რესტრუქტურირებული სესხის კლასიფიკაცია არ შეიცვლება, თუ შემცვლელი ან დამატებითი მოვალე არის მსესხებლის ინსაიდერი.
5. იმ შემთხვევებში, როდესაც შემცვლელს ან დამატებით მსესხებელს გადაეცემა რესტრუქტურირებული, ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხი, იგი არ უნდა შეიცვალოს ნაკლებად ნეგატიურ კლასიფიკაციად იმ შემთხვევის გარდა, თუკი გადანყვეტილების მიღებისას გამოყენებულ სხვა ფაქტორებთან ერთად შემცვლელი ან დამატებითი მოვალე თანახმაა და აქვს ფინანსური შესაძლებლობა წარმოადგინოს დამატებითი ლიკვიდური უზრუნველყოფა ან კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის მართვის სტანდარტების შესაბამისად, აქვს ფინანსური შესაძლებლობა დაფაროს ყველა გადაუხდელი ძირითადი თანხა და პროცენტი შეთანხმებული დროის მანძილზე.
6. კომერციული ბანკების საკრედიტო კომიტეტები (კრედიტების მართვის სხვა ორგანოები) ვალდებული არიან ყოველთვის რეგულარულად განიხილონ რე-

სტრუქტურული სესხების კლასიფიკაცია, რისი მიზანია დადგინდეს, რამდენად საჭიროა კლასიფიკაციის შეცვლა უფრო დაბალი კატეგორიით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ნებისმიერი შემცვლელი ან დამატებითი მოვალის უნარს, განაგრძოს რესტრუქტურული ხელშეკრულების პირობების მთლიანად შესრულება.

7. სესხის რესტრუქტურული სესხების კლასიფიკაციიდან ამოღება შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხის რესტრუქტურულიდან გასულია ერთ წელზე მეტი პერიოდი და ამასთან ერთად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სესხს მინიჭებული აქვს სტანდარტული კატეგორია.
8. სესხის რეფინანსირებული სესხების კლასიფიკაციიდან ამოღება შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხის რეფინანსირებიდან გასულია ერთ წელზე მეტი პერიოდი.

#### მუხლი 14. სესხის კლასიფიკაციის გაუმჯობესება

1. შესაძლებელია ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების რეკლასიფიკაცია ნაკლებად ნეგატიურ/სტანდარტულ კატეგორიაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სესხი სრულად და უპირობოდ აკმაყოფილებს შესაბამისი კატეგორიის პირობებს და ამ პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად განხორციელებულია ბოლო 6 თანმიმდევრული, დემონსტრაციული გადახდა. სეზონური შემოსავლების არსებობის შემთხვევაში რეკლასიფიკაცია ნაკლებად ნეგატიურ/სტანდარტულ კატეგორიაში დასაშვებია ერთი ახალი ციკლის/სეზონის მონაცემების გათვალისწინებით. ამასთან, ახალი ციკლის/სეზონის შედეგად სახეზე უნდა იყოს ვალდებულებების რეალური დაფარვები.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული 6 თანმიმდევრულ, დემონსტრაციულ გადახდებთან მიმართებაში არ უნდა იქნეს გამოყენებული რაიმე სახის საშეღავათო პირობა, თუნდაც ისეთი, როგორც რეფინანსირებისას მისაღები იქნებოდა.
3. სესხის ნებისმიერი სახის რეკლასიფიკაცია (კატეგორიის გაუმჯობესება) უნდა ეფუძნებოდეს ფინანსურ ანალიზს, სრულყოფილად უნდა იყოს დოკუმენტირებული და ხელმისაწვდომი ეროვნული ბანკის შემოწმებისათვის.
4. კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს იმ სტანდარტული სესხების იდენტიფიცირება, რომელთა რეკლასიფიკაციის თარიღიდან (როგორც სტანდარტული) გასულია არაუმეტეს ერთი წლისა.

#### მუხლი 15. ბანკთაშორისი დეპოზიტები და მათი კლასიფიკაცია

1. კომერციულმა ბანკმა სხვა კომერციულ ბანკში ბანკთაშორისი დეპოზიტის განთავსებამდე იმ კომერციული ბანკიდან უნდა მოითხოვოს სრული და მიმდინარე ფინანსური ინფორმაცია, ხოლო თანხის განთავსების შემდეგ, ბანკმა ასეთი ბანკიდან უნდა მოითხოვოს ფინანსური ინფორმაცია

დროის განსაზღვრული პერიოდისათვის კვარტალური საბალანსო და მოგება-ზარალის უწყისების სახით, ასევე წლიური ანგარიში.

2. ბანკთაშორისი დეპოზიტების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მოკორესპონდენტო კომერციული ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და მის უნარზე, შეასრულოს თავისი ვალდებულება, როგორც ეს გათვალისწინებულია მოცემულ კომერციულ ბანკსა და მოკორესპონდენტო ბანკს შორის თავდაპირველი ხელშეკრულებით. სხვა ურთიერთ-საპირისპირო ფაქტორების არარსებობისას, თუ წარმოიშვება პრობლემები (დაგვიანება), აქტივი ექვემდებარება კლასიფიკაციას.
3. თუ თანხის მიღება მოკორესპონდენტო ბანკიდან დაგვიანებულია 30 ან მეტი დღით, ბანკთაშორისი დეპოზიტი კლასიფიცირდება როგორც არასტანდარტული.
4. თუ თანხის მიღება დაგვიანებულია 60 ან მეტი დღით, ბანკთაშორისი დეპოზიტი კლასიფიცირდება როგორც საეჭვო.
5. თუ თანხის მიღება დაგვიანებულია 90 დღეზე მეტი პერიოდი, ბანკთაშორისი დეპოზიტი კლასიფიცირდება უიმედოდ და უნდა ჩამოიწეროს განმთავსებელი კომერციული ბანკის ბალანსიდან.
6. სხვა ბანკში განთავსებული დეპოზიტები და სხვა მოთხოვნები, ამ კომერციულ ბანკში ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურების დაწყებისას, კლასიფიცირდება უიმედოდ და უნდა ჩამოიწეროს განმთავსებელი კომერციული ბანკის ბალანსიდან.

#### მუხლი 16. არასასესხო აქტივების კლასიფიკაცია და დარეგულირება, მათი შესაძლო დანაკარგების რეგულირების შექმნა და გამოყენება

1. კომერციული ბანკის სხვა უძრავი ქონების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეგულირების შექმნა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:
  - ა) კომერციული ბანკის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონება, მისი ღირებულების მიუხედავად, წარმოადგენს არაჯანსაღ საბანკო აქტივს. ასეთი აქტივი დასაკუთრებისთანავე უნდა გაანალიზდეს კომერციული ბანკის მიერ და დაექვემდებაროს კლასიფიკაციას;
  - ბ) კომერციული ბანკი ვალდებულია, შეძენიდან მაქსიმუმ სამი წლის განმავლობაში გაასხვისოს მის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონება, ასევე კომერციული ბანკის ყოფილი შენობები, რომლებიც აღარ გამოიყენება საბანკო საქმიანობისათვის, მათი ამ დანიშნულებით არგამოყენების დღიდან სამი წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შეიქმნას შესაბამისი რეგულირება და ჩამოიწეროს ბალანსიდან;
  - გ) კომერციულმა ბანკმა იპოთეკის დასაკუთრებისთანავე უნდა მოახდინოს სხვა უძრავი ქონების კლასიფიკაცია და მისთვის შესაბამისი რეგულირების შექმნას შემდეგნაირად:

- გ.ა) სხვა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამდე თანხაზე როგორც არასტანდარტული;
  - გ.ბ) სხვა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებაზე ზევით თანხაზე როგორც უიმედო.
  - დ) ბალანსზე აღრიცხვიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ კომერციულმა ბანკმა უნდა მოახდინოს მისი კლასიფიკაცია როგორც საეჭვო და შექმნან შესაბამისი რეზერვი;
  - ე) ბალანსზე აღრიცხვიდან სამი წლის შემდეგ, ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია სხვა უძრავი ქონების კლასიფიკაცია მოახდინოს როგორც უიმედო, შექმნას შესაბამისი რეზერვი და ჩამოინეროს თავისი ბალანსიდან, რის შემდეგაც მათი აღრიცხვა ინარმოებს შესაბამის გარესაბალანსო ანგარიშებზე;
  - ვ) სხვა უძრავი ქონება კომერციული ბანკის მიერ უნდა აღირიცხოს მისი დასაკუთრების თარიღისათვის აღრიცხული აქტივის ღირებულებით, ან მისი საბაზრო ფასით, თუ ეს უკანასკნელი ნაკლებია აღრიცხული აქტივის ღირებულებაზე. აღრიცხული აქტივის ღირებულება უნდა განსაზღვროს აღიარებულმა დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ორგანიზაციამ.
2. გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:
- ა) გირაოთი დასაკუთრებული ყველა მოძრავი ქონება კომერციული ბანკის მიერ გაანალიზდება და კლასიფიცირდება თითოეული შემთხვევის მიხედვით;
  - ბ) კომერციული ბანკი ყველანაირად უნდა შეეცადოს, რომ არ იქონიოს გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონება მათი დასაკუთრებიდან 180-ზე მეტი დღის განმავლობაში;
  - გ) კომერციულმა ბანკმა გირაოთი მოძრავი ქონების დასაკუთრებისთანავე უნდა მოახდინოს ამ ქონების კლასიფიკაცია და მისთვის შესაბამისი რეზერვები შექმნას შემდეგნაირად:
    - გ.ა) გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამდე თანხაზე როგორც არასტანდარტული;
    - გ.ბ) გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებაზე ზევით თანხაზე როგორც უიმედო;
  - დ) თუ გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონება კომერციული ბანკის ბალანსზე აღრიცხვიდან 90 დღის შემდეგ კვლავ ირიცხება, კომერციულმა ბანკმა უნდა მოახდინოს მისი კლასიფიკაცია როგორც საეჭვო და შექმნას შესაბამისი რეზერვი;
  - ე) ბალანსზე აღრიცხვიდან 180 დღის შემდეგ, ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონების კლასიფიკაცია მოახდინოს როგორც უიმედო, შექმნას შესაბამისი რეზერვი და ჩამოინეროს თავისი ბალანსიდან, რის შემდეგაც მათი აღრიცხვა ინარმოებს შესაბამისი გარესაბალანსო ანგარიშზე.
3. მსესხებლისა და დაკავშირებული ჯგუფის სესხების ნეგატიურად კლასიფიკაციის შემთხვევაში, კომერციული ბანკი ვალდებულია გაითვალისწინოს ჯგუფის მიმართ არსებული სხვა რისკებიც (ინვესტიციები, დებიტორული დავალიანებები და სხვა აქტივები).

**მუხლი 17. აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი, უიმედო აქტივების ბუღალტრული აღრიცხვა და ჩამოწერა**

1. კომერციულმა ბანკებმა ამ წესის შესაბამისად უნდა შექმნან ყველა სესხებისა და სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვები.
2. ბანკის მენეჯმენტი პასუხისმგებელია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ კომერციულ ბანკს მუდმივად ჰქონდეს ადეკვატური რეზერვები.
3. რეზერვების ადეკვატურობა თითოეულმა კომერციულმა ბანკმა უნდა განიხილოს ყოველთვიურად და თუ აქტივებისა და მათი კლასიფიკაციის ზედმინვნითი შესწავლის შემდეგ დადგინდება, რომ შესაძლო დანაკარგების რეზერვი არასაკმარისია, მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას კლასიფიკაციის გათვალისწინებით დამატებითი რეზერვის შექმნაზე და ქმნის მას იმ ოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარავად.
4. კომერციული ბანკები აქტივების შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვების შესაქმნელად დარეზერვებაზე განუვლ ყველა ახალ რეზერვს გაატარებენ ხარჯებში და ასახავენ თავიანთ მიმდინარე მოგება-ზარალის უწყისში.
5. კომერციული ბანკის მიერ სასესხო პორტფელის ანალიზის შედეგად ჭარბი რეზერვის გამოვლენისას, კომერციული ბანკი დაადგენებს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშს და დააკრედიტებს ბანკის ხარჯების ანგარიშს.
6. სესხის დაფარვისა და სხვა აქტივების ამოღების შეუძლებლობის დადგენის შემთხვევაში, ბანკებმა უნდა ჩამოწერონ უიმედოდ კლასიფიცირებული აქტივები და შეამცირონ შესაძლო დანაკარგების რეზერვი მისი დადებულებით და აქტივების ანგარიშის დაკრედიტებით.
7. კომერციული ბანკის მიერ სესხის ჩამოწერა გადახდის შეუძლებლობის გამო არ ჩაითვლება ვალის გაუქმებად. აღნიშნული ვალი უნდა დარჩეს სპეციალურ გარესაბალანსო ანგარიშებზე მისი ჩამოწერის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. კომერციულმა ბანკმა უნდა მიიღოს ზომები როგორც ვადაგადაცილებული პროცენტის, ისე ძირითადი თანხის ამოსაღებად. ასეთ აქტივზე, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შეხედულებისამებრ, პროცენტების დარიცხვა გაგრძელდება გარესაბალანსო ანგარიშზე, რათა კვლავ ხდებოდეს მიმდინარე ვალდებულების შესაფერისი ასახვა.
8. 5-წლიანი პერიოდის განმავლობაში კომერციულმა ბანკმა სულ ცოტა თვეში ერთხელ უნდა მიაწოდოს მსესხებელს ან მის სამართალმემკვიდრეს, ან წარმომადგენელს გადაუხდელი ძირითადი



თანხის ნაშთისა და დარიცხული პროცენტის დამადასტურებელი ამონაწერი, რომელიც ზუსტად ასახავს ზემოაღნიშნული სპეციალური გარესაბალანსო ანგარიშის ნაშთებს.

9. თუ მოვალე ფარავს სესხს, რომელიც ჩამოიწერა საბალანსო უწყისიდან და ეს მოხდა ამავე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში, კომერციული ბანკი თავიდან დაადებებებს ფულადი სახსრების ანგარიშს და დააკრედიტებს აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ანგარიშს, რის შემდეგაც იგი დაადებებებს აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ანგარიშს და დააკრედიტებს დარეზერვებაზე განეული ხარჯების ანგარიშს.
10. თუ მოვალე არ გადაიხდის ჩამოიწერილ სესხს 5 წლის განმავლობაში, სესხის როგორც ძირითადი თანხა, ისე პროცენტები, გაუქმებული იქნება სპეციალური გარესაბალანსო უწყისის ანგარიშიდან ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისი გატარებების მეშვეობით, რაც არ ნიშნავს სესხის ამოღების პროცედურების შეწყვეტას.

### მუხლი 18. ლიკვიდობის მიზნებისათვის სესხების რეალური ვადიანობის გათვალისწინება

ლიკვიდობის მიზნებისათვის, როგორც რესტრუქტურ-იზაციის, ასევე, რეფინანსირების შემთხვევაში, სესხი უნდა იქნას აღრიცხული იმ ვადის მიხედვით, რა ვადაშიც მსესხებელი შეძლებს სესხის დაფარვას ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების დროს.

### 3.1.11 კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის განსაზღვრის მიზანია სავალუტო ოპერაციების შესრულების შედეგად უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების შემთხვევაში შესაძლო რისკის შემცირება, რადგან ასეთმა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომერციული ბანკების მოგებაზე, კაპიტალზე, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე.
2. სავალუტო პოზიცია არის უცხოური ვალუტით ფორმირებულ ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა.
3. საბალანსო სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას ბანკის აქტივებში ჩაითვლება უცხოური ვალუტით არსებული ყველა საბალანსო აქტივი, ხოლო ვალდებულებებში – უცხოური ვალუტით არსებული ყველა საბალანსო ვალდებულება.
4. ბალანსგარეშე ანგარიშგების სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას ბანკის აქტივებში ჩაითვლება უცხოური ვალუტის ყიდვის შესახებ სავალუტო კონტრაქტების თანხობრივ მოცულობათა ჯამი, ხოლო ვალდებულებებში – უცხოური ვალუტის გაყიდვის შესახებ სავალუტო კონტრაქტების თანხობრივ მოცულობათა ჯამი.
5. კრებსითი სავალუტო პოზიციის გაანგარიშებისას თითოეული უცხოური ვალუტის აქტივებში ჩაითვლება უცხოური ვალუტით არსებული ყველა საბალანსო აქტივისა და ამავე უცხოური ვალუტის ყიდვის შესახებ სავალუტო კონტრაქტების თანხობრივ მოცულობათა ჯამი, ხოლო ვალდებულებებში – უცხოური ვალუტით არსებული ყველა საბალანსო ვალდებულებისა და ამავე უცხოური ვალუტის გაყიდვის შესახებ სავალუტო კონტრაქტების თანხობრივ მოცულობათა ჯამი.
6. სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს დახურული ან ღია:
  - ა) სავალუტო პოზიცია არის დახურული, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთის ტოლია;
  - ბ) სავალუტო პოზიცია არის ღია, როდესაც უცხოური ვალუტის სახეობების მიხედვით ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთის ტოლი არ არის.
7. თითოეული უცხოური ვალუტის მიხედვით ბანკის ღია სავალუტო პოზიცია შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე:

- ა) ღია სავალუტო პოზიცია არის გრძელი, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულებებზე;
  - ბ) ღია სავალუტო პოზიცია არის მოკლე, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე.
8. საერთო და წმინდა ღია სავალუტო პოზიცია:
- ა) საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი.
  - ბ) წმინდა ღია სავალუტო პოზიცია არის ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის სხვაობა.
9. სავალუტო კონტრაქტებში ჩაირთვება უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ სპოტური, ფიუჩერული, ფორვარდული და სვოპური კონტრაქტებით ნაკისრი ვალდებულებები და ოფციონებით გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებები თანხობრივი მოცულობებით.
10. ამ წესის მიზნებისათვის სავალუტო ოპერაციების ამსახველ სავალუტო კონტრაქტებს აქვს შემდეგი განმარტებები:
- ა) სპოტი – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია მიმდინარე საბაზრო სპოტ-კურსით დაუყოვნებლივ ანგარიშსწორების პირობით;
  - ბ) სავალუტო ფიუჩერსი – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი სავალუტო გარიგება ბირჟებზე, გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით;
  - გ) სავალუტო ფორვარდი – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი სავალუტო გარიგება ბირჟის გარეშე;
  - დ) სავალუტო სვოპი – ორ მონაწილეს შორის ერთი და იმავე ვალუტით ერთდროულად (ერთი სავაჭრო დღის განმავლობაში) დადებული ორი სავალუტო გარიგება, ვალუტის მიწოდების სხვადასხვა თარიღით და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა კურსით;
  - ე) სავალუტო ოფციონი – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის უფლება, რომელიც კონტრაქტის პირობით ენიჭება ერთ-ერთ მონაწილეს მხარეს. ამავე დროს, მეორე მონაწილეს მხარე იღებს ვალდებულებას პირველი მხარის მიერ კონტრაქტით მინიჭებული უფლების გამოყენების შემთხვევაში დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა;
  - ვ) სტრესტესტირება – რისკის შეფასების სისტემა, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა რისკის (ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება, საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესება, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, დეპოზიტების მყისიერი გადინება და სხვ.) ფაქტორების გათვალისწინებით ბანკის ფინანსური მონაცემების სიმუღირება;
  - ზ) ჰეჯირება – წარმოადგენს გარიგებას, რომლის მიზანია თავის დაზღვევა უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების და ფასების მკვეთრი ცვლილებისაგან. არსებული გარიგება ყიდვაზე ან გაყიდვაზე ბალანსდება საპირისპირო

გარიგებით გაყიდვაზე ან ყიდვაზე. ამ ოპერაციის მიზანია დააკომპენსიროს არსებული გარიგებიდან მიღებული ზარალი მომავალი გარიგებიდან მიღებული მოგების ხარჯზე.

11. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ფორმით (როგორც უშუალოდ ბანკის მიერ კონტრაქტით, ისე ბანკის ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით, როგორც უშუალოდ ბანკის კლიენტთან, ისე შიდა და გარე ბაზარზე).

## მუხლი 2. საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი და მისი გაანგარიშება

1. ბანკის კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშების დროს აიღება ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით ბანკის საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშგებით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხებდევლო კაპიტალის 20 პროცენტს.
2. საერთო ღია სავალუტო პოზიციებზე დადგენილი ლიმიტის ყოველდღიურად დაცვის მიზნით ბანკს ევალება ყოველდღიურად გაიანგარიშოს საბალანსო, ბალანსგარეშე და კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიციები N1 დანართის შესაბამისად და უზრუნველყოს დღის განმავლობაში (საოპერაციო დღის დაწყებიდან დამთავრებამდე) ამ წესით დადგენილი ლიმიტის შენარჩუნება.
3. საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ ან, უკიდურეს შემთხვევაში, საოპერაციო დღის ბოლომდე მის აღსადგენად განახორციელოს დამაბალანსებელი სავალუტო ოპერაციები.

## მუხლი 3. ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა

1. სავალუტო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა უნდა განხორციელდეს “საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის” შესაბამისად.
2. სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის მიმართ დაფიქსირებული გაცვლის ოფიციალური კურსის მიხედვით.
3. უცხოური ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის ცვლილების შესაბამისად სავალუტო პოზიციის ანგარიშები ექვემდებარება გადაფასებას მისი შედეგების ასახვით სავალუტო პოზიციის კონტრაქტის ანგარიშზე და შესაბამისად მოგება-ზარალის ანგარიშებზე.
4. ბანკის კრებსით ბალანსში სავალუტო პოზიციის კონტრაქტის ყველა ანგარიშზე რიცხული ნაშთები და სავალუტო პოზიციის ყველა ანგარიშზე თითოეული უცხოური ვალუტით რიცხული ნაშთები ექვემდებარება დასაღწევას. დასაღწე-

ბის შედეგად სავალუტო პოზიციის კონტრაქტის N 2601 საბალანსო ანგარიშის თანხა ტოლი უნდა იყოს სავალუტო პოზიციის N 2611 საბალანსო ანგარიშის თანხისა.

5. შესასრულებელი სავალუტო ოპერაციები და მათთან დაკავშირებული კონტრაქტები ძირითადი თანხებით “საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის” შესაბამისად თანხობრივად აღირიცხება შესაბამის ბალანსგარეშე ანგარიშებზე და თითოეული უცხოური ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის შესახებ კონტრაქტების თანხობრივ მოცულობებს შორის სხვაობა ჩაითვლება თითოეული უცხოური ვალუტის ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშებაში.

## მუხლი 4. კომერციული ბანკის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომერციული ბანკის ხელმძღვანელები მათდამი რწმუნებული ბანკის სავალუტო რისკის რეგულირების მიზნით ვალდებული არიან:

- ა) განსაზღვრონ ბანკის სავალუტო საქმიანობის ძირითადი მიზნები და მიმართულებები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს კანონით ნებადართულ ოპერაციებს, სხვადასხვა ტიპის მომსახურებას, საანგარიშგებო ფორმების შედგენას, შიდააღრიცხვო კონტროლს და სხვ.;
- ბ) გააკონტროლონ სავალუტო რისკები სავალუტო პოლიტიკის, ლიმიტისა და მონიტორინგის სისტემის საშუალებით;
- გ) შეიმუშაონ სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უნდა მოიცავდეს:
  - გ.ა) სავალუტო საქმიანობის მართვის პროცედურებს და მექანიზმს;
  - გ.ბ) ბანკის მონანიღობას სავალუტო ბაზარზე და სავალუტო ბაზრის ცვლილებებზე მენეჯმენტის ოპერატიული რეაგირების სისტემას;
  - გ.გ) პეჯირების სტრატეგიას;
  - გ.დ) ანგარიშვალდებულებას და პასუხისმგებლობას სავალუტო რისკის მართვასთან დაკავშირებით გადამწყვეტილებების მიღებაზე;
  - გ.ე) დაგეგმილი სამუშაოს დროულად შესრულებას და შესრულებულ გარიგებათა დოკუმენტურ ასახვას ბუღალტრულ დავთრებში;
  - გ.ვ) სავალუტო საქმიანობის ეკონომიკური გარემოს ანალიზის საფუძველზე სავალუტო ოპერაციებისა და სავალუტო რისკის მართვის სისტემის კორექტირების შესაძლებლობას;
  - გ.ზ) სავალუტო ოპერაციების წარმოებისას ანგარიშსწორების რისკის მართვის სისტემას;
  - გ.თ) თითოეული უცხოური ვალუტით ფორმირებული აქტივებისა და ვალდებულებების ვადებში თანხვედრის მართვისა და მონიტორინგის სისტემას;
  - გ.ი) სავალუტო კონტრაქტების ანალიზს;
  - გ.კ) თითოეული უცხოური ვალუტით დღიური ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტზე ამ წესით დადგენილი მოთხოვნები;

- გ.ლ) ფილიალებისათვის თითოეული უცხოური ვალუტის მიხედვით ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების დადგენას;
- დ) პერიოდულად განიხილონ შემუშავებული სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ მათი გადასინჯვა;
- ე) უზრუნველყონ სავალუტო რისკის მატარებელი შესაბამისი სამსახურების ისეთი თანამშრომლებით დაკომპლექტება, რომლებიც აცნობიერებენ:
  - ე.ა) რისკის არსს სავალუტო ბაზარზე ოპერაციებთან მიმართებით;
  - ე.ბ) ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს სავალუტო რისკზე;
  - ე.გ) სხვა რისკებს, რომლებიც თან სდევს სავალუტო ბაზარზე ოპერაციების განხორციელებას;
- ვ) უზრუნველყონ შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები სავალუტო ოპერაციების წარმოების სათანადო წესებით, რომლებშიც განსაზღვრული იქნება მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები, აგრეთვე საქმიანობის მიმართულებები და ანგარიშგების სახეობები;
- ზ) პერიოდულად, შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით, განახორციელონ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების კონტროლი და აწარმოონ ბანკის სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესრულების მონიტორინგი.

- ვ) ყოველდღიურად აწარმოონ საერთო ღია სავალუტო პოზიციის გაანგარიშება თითოეული უცხოური ვალუტის ტრილში საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური ანგარიშგების N1 დანართის შესაბამისად;
- ზ) ყოველთვიურად, საზედამხედველო ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველთვიური ანგარიშგება N2 დანართის შესაბამისად და საანგარიშგებო თვის ბოლო დღის ყოველდღიური ანგარიშგება N1 დანართის შესაბამისად.

## მუხლი 6. სანქციები

ამ წესის მე-2 მუხლით დადგენილი საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ ბანკი კომერციულ ბანკებს დააკისრებს და გადაახდევინებს ფულად ჯარიმას მის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

## მუხლი 5. კომერციული ბანკების ვალდებულება კომერციული ბანკები ვალდებული არიან:

- ა) იქონიონ სავალუტო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის წესები და ინსტრუქციები, რომლებიც უნდა მოიცავდეს უფლება-მოვალეობების გამიჯვნას სავალუტო ოპერაციების მწარმოებლებსა და საბუღალტრო აპარატს შორის;
- ბ) განახორციელონ ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური მონიტორინგი მათი დადგენილ ლიმიტთან შესაბამისობის დასადგენად და ნებისმიერი გადაჭარბების გამოვლენის შემთხვევაში, მისი გადაჭრის მიზნით წარადგინონ მოხსენება ბანკის ხელმძღვანელობასთან;
- გ) იქონიონ სავალუტო რისკის მართვის ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება როგორც გაცვლითი კურსის განაკვეთის ყოველდღიურ ცვლილებაზე მონიტორინგი, ისე, პერიოდულად, ბანკის ფინანსური მონაცემების სტრესტესტირება ბანკის მოგება-ზარალზე, კაპიტალსა და ლიკვიდობაზე სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენის დადგენის მიზნით;
- დ) აწარმოონ სავალუტო ოპერაციების ამსახველი დოკუმენტებისა და მონაცემების სრულყოფილი აღრიცხვა;
- ე) შეინახონ უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის დამადასტურებელი ყველა საბუთი, რომლებიც გამოიყენება სავალუტო ოპერაციებთან მუშაობის დროს;

# დასწავლის N1

ბანკი:

თარიღი:

## საერთო ღირსებასთან დაკავშირებული კონტრაქტების ყოველდღიური ანგარიშგება

N	ვალუტა	საბალანსო აქტივები	საბალანსო ვალდებულებები	საბალანსო სავალუტო პოზიცია*	სავალუტო კონტრაქტები ყიდვამ	სავალუტო კონტრაქტები გაყიდვამ	გარესაბალანსო სავალუტო პოზიცია**	კრესტითი სავალუტო პოზიცია	ვალუტის კურსი	საბალანსო ღირსება		გარესაბალანსო ღირსება		კრესტითი ღირსება		ლაგები
										გრძელი (+ ნიშნით)	მოკლე (- ნიშნით)	გრძელი (+ ნიშნით)	მოკლე (- ნიშნით)	გრძელი (+ ნიშნით)	მოკლე (- ნიშნით)	
1	2	3	4	5 = 3 - 4	6	7	8 = 6 - 7	9 = 5 + 8	10	11=5*10	12=5*10	13= 8 * 10	14= 8 * 10	15 =9 * 10	16 =9 * 10	
1																
2																
3																
4																
5																
6																
7																
8																
9																
10																
11																
12																
13																
14																
15	ღირსებასთან დაკავშირებული პოზიცია ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით															
16	საერთო ღირსებასთან დაკავშირებული პოზიცია															
17	საზღვარსაშორის ვალუტის კაპიტალი															
18	საბალანსო ღირსებასთან დაკავშირებული პოზიციის ლიმიტი (არაუმეტეს საზღვარსაშორის ვალუტის კაპიტალის 20%) კრესტითი ღირსებასთან დაკავშირებული პოზიციის ლიმიტი (არაუმეტეს საზღვარსაშორის ვალუტის კაპიტალის 20%)															
19	საერთო ღირსებასთან დაკავშირებული პოზიციის პროცენტულად საზღვარსაშორის ვალუტის კაპიტალთან															
20	საერთო ღირსებასთან დაკავშირებული პოზიციის მეთობა (ნაკლებობა) დადგენილ ლიმიტთან															

\* - დადებითია თუ ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეთობა მის ვალდებულებებზე და უარყოფითი, თუ ნაკლებია

\*\* - დადებითია, თუ ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტის ყიდვის შესახებ არსებული სავალუტო კონტრაქტების თანხობრუნ მოცულობათა ჯამზე ვალუტის გაყიდვის კონტრაქტების თანხობრუნ მოცულობათა ჯამზე და უარყოფითი, თუ ნაკლებია

ბანკის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

# დასარტო N2

ბანკი:

თარიღი:

## საერთო ღირსებასთან დაკავშირებული კონტრაქტის ყოველწლიური ანგარიშგება

წმდ რიცხვი	საბალანსო			ბალანსგარეშე			კრედიტით			საგადასახადო ღირებულება	ლია საგადასახადო ღირებულების დადგენილ ღირებულებასთან	ლია საგადასახადო ღირებულების ღირებულების თანხა	საგადასახადო ღირებულების ღირებულების თანხა	ლია საგადასახადო ღირებულების ღირებულების თანხა	ლია საგადასახადო ღირებულების ღირებულების თანხა
	გრძელდი ღირსებასთან დაკავშირებული (+ნიშნით)	მოკლე ღირსებასთან დაკავშირებული (-ნიშნით)	წმდ ღირსებასთან დაკავშირებული	გრძელდი ღირსებასთან დაკავშირებული (+ნიშნით)	მოკლე ღირსებასთან დაკავშირებული (-ნიშნით)	საერთო ღირსებასთან დაკავშირებული	გრძელდი ღირსებასთან დაკავშირებული (+ნიშნით)	მოკლე ღირსებასთან დაკავშირებული (-ნიშნით)	საერთო ღირსებასთან დაკავშირებული						
1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11=10*20%	12=3-11	13=9-11	14	15
1															
2															
3															
4															
5															
6															
7															
8															
9															
10															
11															
12															
13															
14															
15															
16															
17															
18															
19															
20															
21															
22															
23															
24															
25															
26															
27															
28															
29															
30															
31															

ბანკის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

### 3.1.12 დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე

#### თავი I ზოგადი დებულებები რისკების მართვასთან დაკავშირებით

##### მუხლი 1. რისკის ცნება და მისი გამოყენების არსი

1. საბანკო სისტემამ სწრაფი ცვლილებები განიცადა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რასაც შედეგად მოჰყვა საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდა. რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არა არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან.
2. საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების ზრდამ განაპირობა გამართული კორპორაციული მართვის აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ბანკის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და პროცედურების აქტიურ ზედამხედველობას, რისკების შეფასებასა და დადგენას, მათი ლიმიტების განსაზღვრას, მათი მონიტორინგის დაწესებას, საინფორმაციო სისტემების, რისკების კონტროლისა და შიდა კონტროლის სისტემების დანერგვას.
3. რისკების მართვა სარგებლობას მოუტანს როგორც საბანკო სისტემას, ისე საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელ პირებს. რისკების ეფექტიანად მართვით კომერციული ბანკის (შემდეგში—ბანკის) მენეჯმენტს შეუძლია გააუმჯობესოს აქტივების ღირებულება, მიიღოს ინფორმაცია მომავალში ბანკის შესაძლო ზარალის შესახებ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე გააუმჯობესოს სისტემური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები და პროცესები, გამოიყენოს როგორც ბანკის მუშაობის შეფასების უფრო ზუსტი ბაზა, ისე შეაფასოს ბანკის შედარებით კომპლექსური ინსტრუმენტებისა თუ ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკები და შექმნას რისკების მართვის ისეთი ჯანსაღი ინფრასტრუქტურა, რომელიც ბანკის კონკურენტუნარიანობას გააძლიერებს.
4. საბანკო ზედამხედველობის თვალსაზრისით რისკების მართვის გამოყენება დააჩქარებს ბანკის შესაძლო ზარალის შეფასებას, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბანკის კაპიტალზე და შექმნის ბანკების ზედამხედველობის სტრატეგიის ერთიან საფუძველს.
5. რისკების მართვის გამოყენების ძირითადი არსი არის მისი პროცედურებისა და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს

ბანკების მუშაობის მართვა მისაღები ლიმიტების ფარგლებში, რაც მომგებიანი იქნება ბანკებისათვის. ამასთან, ბაზრის სხვადასხვა პირობებისა და სტრუქტურის, ბანკების ოპერაციების მოცულობის, კომპლექსურობისა და ნებისმიერი ბანკისათვის რისკების მართვის ერთიანი უნივერსალური მექანიზმის არარსებობის გათვალისწინებით, აუცილებელია თითოეულმა ბანკმა შექმნას რისკების მართვის სტრუქტურა და მისთვის დამახასიათებელი რისკების მართვის სისტემა.

6. საბანკო საქმიანობის არსიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი, ისე მოულოდნელი რისკი არის პოტენციური მოვლენა, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ბანკის მოგებასა და კაპიტალზე. იმისათვის, რომ განხორციელდეს რისკის მართვის პროცესი, ბანკმა, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა განსაზღვროს რისკები, აღიაროს და გაერკვეს მისთვის დამახასიათებელ ყველა რისკში, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მის მიერ რაიმე ახალი საქმის განხორციელებისას, მათ შორის ნებისმიერი რისკი, რომელიც მასთან დაკავშირებულ თუ სხვა მონათესავე სანარმოებს ახასიათებთ.
7. რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ ბანკმა თანამიმდევრობით უნდა განახორციელოს მათი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. რისკების შეფასების მიზანი ის არის, რომ ბანკმა შეძლოს მისი ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების გაანგარიშება, რათა განისაზღვროს რისკების გავლენა ბანკის კაპიტალზე, რომელიც ამ ბიზნესსაქმიანობის ხელშესაწყობად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამის პარალელურად ბანკის მიერ რისკების მონიტორინგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ბანკის მიერ რისკების შეფასება, განსაკუთრებით ნებისმიერი ისეთი რისკის, რომელიც მნიშვნელოვანია და/ან შეუძლია გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე.
8. მონიტორინგის შედეგები, მათ შორის, რისკების დროული, ზუსტი და ინფორმაციული შეფასება გამოყენებული უნდა იქნეს ბანკში გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ და ნებისმიერ სხვა საჭირო შემთხვევაში. გარდა ამისა, ამ შედეგების საფუძველზე ბანკმა უნდა განახორციელოს ღონისძიებები რისკების შესამცირებლად, მათ შორის კაპიტალის გაზრდით, ჰეჯირებით და რისკის შესუსტების სხვა მექანიზმებით.

##### მუხლი 2. რისკების მართვასთან დაკავშირებით ბანკის მენეჯმენტის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

1. ბანკს მოეთხოვება გააანალიზოს და შეიმუშაოს ადეკვატური კონტროლის ღონისძიებები იმ არსებითი საფრთხეების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ბანკს კონკრეტული მიზნების მიღწევაში. რისკების ეფექტიანი მართვა აუცილებლად გულისხმობს ყველა შესაძლო რისკის მართვას. აღნიშნული მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ბანკში დამკვიდრებულია სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, შიდა აუდიტის,

- შესაბამისობის სამსახურების, გარე აუდიტისა და თვით რისკების მართვის შიდა სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკმა უნდა განსაზღვროს რისკების მართვასთან დაკავშირებული თითოეული დონის სამსახურისათვის ზუსტი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.
2. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცავს სულ მცირე შემდეგი საქმიანობა:
    - ა) რისკების მართვის პოლიტიკის დამტკიცება და შეფასება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად ნებისმიერი ისეთი ფაქტორის შეცვლის გამო, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ბიზნესსაქმიანობაზე;
    - ბ) ზემოაღნიშნული რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით გატარებული საქმიანობის შესახებ დირექტორატის ანგარიშის შეფასება სულ ცოტა კვარტალში ერთხელ;
    - გ) იმ გადანაცვებების განხილვა, რომლებიც აღემატება დირექტორატის უფლებამოსილებას და სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას მოითხოვს.
  3. დირექტორატის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცავს მინიმუმ შემდეგი ასპექტები:
    - ა) რისკების მართვის დეტალური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა მოიცავდეს რისკების საერთო ლიმიტებს, რისკების კონკრეტული სახეობების ლიმიტებსა და ბანკის ცალკეული საქმიანობის მიხედვით რისკების ლიმიტებს, რისკების განმსაზღვრველ დირექტორატს დაქვემდებარებული კოლექტიური ორგანოების და/ან ცალკეული პირების უფლებამოსილებას;
    - ბ) რისკების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია უნდა გადაისინჯოს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად, ნებისმიერი ისეთი ფაქტორის გამო, რომლის შეცვლამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის საქმიანობაზე;
    - გ) პასუხისმგებლობა რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელებისა და ბანკის წინაშე მდგარი ყველა რისკის გავლენისათვის, მათ შორის, რისკების მართვის სამსახურის მიერ მონოდედებული ანგარიშის საფუძველზე რისკების მართვის სტრატეგიის შეფასება, მითითებების მომზადება და კვარტალური ანგარიშგების წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოსათვის;
    - დ) ბანკის დირექტორატის მიერ იმ ოპერაციების შეფასება და მათი განხორციელების შესახებ გადანაცვებების მიღება, რომელთა შესრულება აღემატება დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას, ან ისეთი ოპერაციების შესახებ, რომლებიც მოითხოვს დირექტორატის თანხმობას შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად;
    - ე) შიდა კონტროლის ეფექტიანობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რისკების მართვის კულტურის შემუშავება, რაც გულისხმობს ადეკვატურ კომუნიკაციას ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე;

- ვ) რისკების მართვის განმახორციელებელ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს (და არა მხოლოდ) მუდმივი სწავლების ორგანიზებას და ტრენინგების პროგრამების შემუშავებას, განსაკუთრებით ისეთი პროგრამებისა, რომლებიც ეხება რისკების მართვის პროცესებსა და სისტემებს;
- ზ) რისკების მართვის სამსახურის დამოუკიდებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც ასევე გულისხმობს ფუნქციების გამიჯვნას რისკების მართვის სამსახურსა (რომელიც ახორციელებს რისკების განსაზღვრას, შეფასებას, მონიტორინგსა და კონტროლს) და იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს;
- თ) განხილვის რეგულარულობა, რომლის სიხშირეც განისაზღვრება მოთხოვნების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს:
  - თ.ა) რისკების შეფასების მეთოდოლოგიის სიზუსტე;
  - თ.ბ) რისკების მართვის საინფორმაციო სისტემის ადეკვატური ფუნქციონირება;
  - თ.გ) რისკების პოლიტიკისა და პროცედურების სისწორე და რისკების ლიმიტების დადგენა.

### მუხლი 3. ადამიანური რესურსები

1. ბანკმა რისკების მართვის განმახორციელებელი სტრუქტურის თითოეული დონისათვის უნდა დაადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მოთხოვნები;
2. წინდახედულობიდან გამომდინარე და რისკების მართვის პროცესების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ბანკმა ყურადღება უნდა მიაქციოს მისი თანამშრომლების, განსაკუთრებით კი უშუალოდ საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი პირებისა და რისკის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის კომპეტენციას და პატიოსნებას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა განათლება, კვალიფიკაცია, სტაჟი, უნარ-ჩვევები და რისკების მართვის ადეკვატური ცოდნა.
3. ბანკმა უნდა შეიმუშაოს როგორც თანამშრომელთა დაქირავების, განვითარებისა და სწავლების, ისე ანაზღაურების ადეკვატური სისტემა, იმისათვის, რომ რისკების მართვის სფეროში ჰყავდეს სათანადო ოდენობის კომპეტენტური პერსონალი.
4. საბანკო ოპერაციების, სახეობების, მოცულობისა და კომპლექსურობის შესაბამისად, რისკების მართვის სამსახურში სამუშაოდ ბანკმა უნდა დაიქირაოს კომპეტენტური თანამშრომლები.
5. რისკების მართვის სამსახურში დასაქმებულ პერსონალს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები:
  - ა) უნდა ესმოდეთ ბანკის თითოეული პროდუქტისათვის/საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკი;
  - ბ) უნდა ესმოდეთ შესაბამისი რისკფაქტორები და საბაზრო პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბანკის პროდუქტებზე/საქმიანობაზე და შეეძლოთ შეაფასონ ამ ფაქტორების შეცვლით გამოწვეული თითოეული შედეგის გავლენა ბანკის სიცოცხლისუნარიანობაზე;
  - გ) უნდა ჰქონდეთ გამოცდილება და უნარი იმისა,



რომ ბანკის წინაშე მდგარი რისკების შესახებ ინფორმაცია დროულად მიაწოდონ დირექტორატს და რისკების მართვის კომიტეტს.

#### მუხლი 4. რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები

1. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა ისე უნდა აიგოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს კონკრეტული ოპერაციის განმახორციელებელი (შემდგომში – რისკების ამღები) თითოეული სამსახურის დამოუკიდებლობა შიდა აუდიტის, შესაბამისობის და ასევე რისკების მართვის სამსახურებისაგან.
2. რისკების ეფექტიანად მართვის მიზნით თითოეულმა ბანკმა უნდა შექმნას ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბანკის მიზნებთან, ბიზნესპოლიტიკასთან, მოცულობასთან, კომპლექსურობასა და შესაძლებლობებთან. ეს სტრუქტურა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რისკების მართვის კომიტეტსა და სტრუქტურულ ერთეულებს (რისკების მართვის სამსახურს), შესაბამისობისა და შიდა აუდიტის სამსახურებს.
3. რისკის მართვის კომიტეტს შეიძლება ჰყავდეს მუდმივი და არამუდმივი წევრები და იგი უნდა შედგებოდეს დირექტორატის წევრთა სულ ცოტა უმრავლესობისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან:
  - ა) თუ, მაგალითად, ბანკის დირექტორატში 3 წევრია, რისკების მართვის კომიტეტი შეიძლება დაკომპლექტდეს გენერალური დირექტორითა და დირექტორით, რომელიც კურირებს ბანკში რისკების მართვას (შემდგომში - შესაბამისი დირექტორი), ან დირექტორით, რომელიც კურირებს კონკრეტულ სფეროს (მაგ. საკრედიტო საქმიანობა, მარკეტინგი, საოპერაციო და სხვ.) და შესაბამისი დირექტორით;
  - ბ) ბანკი ვალდებულია დანიშნოს შესაბამისი დირექტორი როგორც რისკების მართვის კომიტეტის მუდმივი წევრი;
  - გ) რისკების მართვის კომიტეტის მიერ მომზადებულმა რეკომენდაციებმა უნდა ასახოს კომიტეტის წევრებს შორის მიღწეული შეთანხმება;
  - დ) შესაბამისი პასუხისმგებელი პირები არიან ის პირები, რომლებიც თანამდებობრივი იერარქიით ერთი საფეხურით ჩამორჩებიან დირექტორატის იმ წევრებს, რომლებიც ბანკში უშუალოდ კურირებენ საბანკო ოპერაციების განხორციელებასა და რისკების მართვას;
  - ე) რისკების მართვის კომიტეტში პასუხისმგებელი პირები შეყვანილი უნდა იყვნენ რისკების მართვის კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხების გათვალისწინებით, როგორცაა მაგალითად სახაზინო, საინვესტიციო და საკრედიტო საქმიანობა, საბანკო ოპერაციები და ა.შ..
4. რისკების მართვის კომიტეტი უფლებამოსილი და პასუხისმგებელია მოამზადოს და მისცეს რეკომენდაციები ბანკის გენერალურ დირექტორს სულ ცოტა ქვემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით:

- ა) რისკების მართვის პოლიტიკის ფორმულირება და მასში შესატანი ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის – რისკების მართვის სტრატეგია და იმ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გეგმა, რომლებიც გამოწვეულია გარე ანომალური ფაქტორებით. ამგვარ ფორმულირებას ერთობლივად უზრუნველყოფენ ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და რისკების მართვის ქვედანაყოფის ხელმძღვანელები;
- ბ) რისკების მართვის რეგულარული გამოყენების გაუმჯობესებასა ან მიღწევებზე განპირობებული ბანკის გარე ან შიდა მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილებით, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე, ასევე რისკის პროფილზე და ამგვარი გამოყენების ეფექტიანობის შეფასების შედეგები;
- გ) ჩვეულებრივი პროცედურებისაგან განსხვავებულ (არატიპობრივ) ბიზნესგადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როგორცაა მაგალითად ბიზნესის მნიშვნელოვანი გაფართოება, რომელიც განსხვავდება ბანკის ადრე დამტკიცებული ბიზნესგეგმისგან, ანდა რისკის განევა დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებით, – ამ გარემოებებთან დაკავშირებით რეკომენდაციები უნდა მომზადდეს ბანკის ბიზნესის აუცილებლობების და იმ კონკრეტულ ოპერაციასა თუ ოპერაციებთან დაკავშირებული ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ბანკის მიერ დადგენილი პროცედურებიდან გადახვევას საჭიროებს.
5. რისკების მართვის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ოპერაციების მოცულობასა და კომპლექსურობას, ისევე როგორც ბანკისათვის დამახასიათებელ რისკებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ბანკს შეუძლია განსაზღვროს სწორი ორგანიზაციული სტრუქტურა საკუთარი მდგომარეობის, მათ შორის ფინანსური მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების შესაბამისად.
6. მთლიანი აქტივების მიხედვით შედარებით მსხვილი ბანკისათვის, რომელიც კომპლექსურ ბიზნესოპერაციებს ახორციელებს, რისკების მართვის სამსახურის (ქვედანაყოფი) ორგანიზაციულმა სტრუქტურამ უნდა ასახოს ბანკის ბიზნესმახასიათებლები. მთლიანი აქტივების მიხედვით შედარებით პატარა ბანკისათვის, რომელიც ნაკლებად კომპლექსურ ბიზნესოპერაციებს ახორციელებს, ბანკმა შეიძლება დანიშნოს სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც რისკების მართვის სამსახურის ფუნქციის განახორციელებს.
7. ბანკის მოცულობიდან და ოპერაციების კომპლექსურობიდან გამომდინარე, რისკების მართვის სამსახურის (სტრუქტურული ერთეულის) უფროსის თანამდებობა შეიძლება იყოს საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი (რისკის ამღები) სამსახურის უფროსის თანამდებობის ტოლფასი ან მისგან განსხვავებული. ამასთან, რისკების მართვის სამსახურის უფროსი უშუალოდ უნდა ექვემდებარებოდეს გენერალურ დირექტორს ან შესაბამის დირექტორს.
8. რისკების მართვის სამსახური დამოუკიდებელი უნდა იყოს რისკების ამღები სტრუქტურული ერთეულიდან.

- თეულებისაგან, როგორცაა ხაზინის, ინვესტიციების, დაკრედიტების, ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულები.
9. რისკების მართვის სამსახურის უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას შემდეგი:
    - ა) მონიტორინგი გაუწიოს რისკების მართვის კომიტეტის მიერ რეკომენდებული და დირექტორატის მიერ დამტკიცებული რისკების მართვის სტრატეგიის განხორციელებას;
    - ბ) საერთო პოზიციის/რისკების მონიტორინგი, აგრეთვე მონიტორინგი ცალკეული რისკისა და ბიზნესის სახეობის მიხედვით;
    - გ) სტრატეგიების გამოყენება, რათა დადგინდეს რისკების მართვის პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელების გავლენა თითოეული რისკის ამლები სტრუქტურული ერთეულის მუშაობაზე;
    - დ) ბანკის შიგნით შემუშავებულ ნებისმიერ ახალ საქმიანობასთან და/ან პროდუქტთან დაკავშირებით წინადადებების განხილვა. საკითხების შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, შეუძლია თუ არა ბანკს განახორციელოს ახალი საქმიანობა და/ან პროდუქტი, მათ შორის გამოიყენოს ის სისტემა და პროცედურები, რომლებიც გავლენას იქონიებს ბანკის რისკების საერთო პროფილზე;
    - ე) რისკების პროფილის შესახებ ანგარიშის მომზადება და ბანკის გენერალური დირექტორისა და რისკების მართვის კომიტეტისათვის წარდგენა რეგულარულად ან სულ ცოტა კვარტალში ერთხელ. საბაზრო პირობების რაიმე მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში ანგარიში უფრო ხშირი ინტერვალებით უნდა მომზადდეს. ნაკლები რისკის შემთხვევაში, როგორცაა მაგალითად საკრედიტო რისკი, ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ყოველ კვარტალში ერთხელ.
  10. რისკების ამლები სტრუქტურული ერთეულებისაგან მათი სამსახურებისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიღება.

## მუხლი 5. პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტების დადგენა

1. რისკის მართვის პოლიტიკა არის რისკის მართვის მიზნით შექმნილი წერილობითი დოკუმენტი და იგი უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ხედვას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. იგი უფრო მეტად ფოკუსირებული უნდა იყოს ბანკის ოპერაციებისათვის დამახასიათებელ რისკებზე.
2. რისკის მართვის პოლიტიკა არის რისკის მართვის სტრატეგიათა გაერთიანება, რომელმაც სხვა ასპექტებთან ერთად უნდა უზრუნველყოს და მოიცვას შემდეგი:
  - ა) ბანკმა დაიცვას რისკის ლიმიტი, რომელიც შესაბამისი იქნება ბანკის პოლიტიკასა და შიდა პროცედურებთან, კანონებთან და შესაბამისი ნორმატიული აქტების დებულებებთან;
  - ბ) ბანკი იმართებოდეს ისეთი ადამიანური რესურსების გამოყენებით, რომელთაც აქვთ რისკის მართვასთან დაკავშირებული ცოდნა და გამოც-

- დილება, ბანკის კომპლექსურობისა და ბიზნეს-შესაძლებლობების შესაბამისად;
- გ) ბანკის მიერ საბანკო პროდუქტებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა თითოეული საბანკო პროდუქტისა და ოპერაციისათვის დამახასიათებელი რისკის ანალიზის საფუძველზე, რაც ბანკის ოპერაციებისა და საქმიანობის კომპლექსურობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს;
- დ) ბანკის ეკონომიკური ნორმატივების გათვალისწინებით რისკების შეფასების მეთოდის შემუშავება და რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა ბანკის თითოეული საბანკო პროდუქტისა და ოპერაციის, აგრეთვე ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკის ზუსტი დაანგარიშების მიზნით, აგრეთვე რისკების თაობაზე მონაცემებისა და ინფორმაციის შესახებ ანგარიშების მომზადება, რომლებიც გამოყენებული იქნება მომგებიანი ბიზნესგადაწყვეტილებების მისაღებად;
- ე) ლიმიტების და რისკების ზღვრების დადგენა, რომლებიც პოტენციური რისკების ლიმიტებს წარმოადგენს და რომლებიც შეიძლება ბანკის კაპიტალმა აიტანოს; აგრეთვე ბანკის რისკების მართვის მონიტორინგის ინსტრუმენტის შექმნა;
- ვ) შიდა კონტროლის სისტემის შექმნა რისკების მართვის გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისობა შიდა პოლიტიკასა და პროცედურებთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან (შესაბამისობის რისკი), მენეჯმენტისა და ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოპერაციების ეფექტიანობა და ქმედითობა და რისკის კულტურის ეფექტიანობა ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე;
- ზ) რისკის რეიტინგის შეფასება, როგორც ბანკის მიერ საბანკო პროდუქტებისა და ოპერაციების ზოგიერთი ასპექტის მაკორექტირებელი ღონისძიებებისა და რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელების საფუძველი;
- თ) გაუთვალისწინებელ გარემოებათა გეგმის მომზადება ყველაზე ცუდი სცენარების გათვალისწინებით (გარეშე და შიდა ფაქტორები), რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბანკის გადარჩენა.
3. რისკების მართვის სტრატეგიის მიღებისას ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული, ბანკის ფინანსური მდგომარეობა, ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და ის რისკები, რომელიც გარე და შიდა ფაქტორების ცვლილებით წარმოიქმნება.
4. პოლიტიკისა და პროცედურების ფორმულირებისა და რისკების ლიმიტების დადგენისას, ბანკმა უნდა გაითვალისწინოს რისკისადმი მიდრეკილება. ამ პროცედურებისა და ლიმიტების დადგენა უნდა მოიცვას სულ მცირე შემდეგი:
  - ა) ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების გადაცემის ზუსტი მასშტაბები;
  - ბ) ლიმიტების და პროცედურების დადგენის შესახებ ადეკვატური დოკუმენტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს განხილვასა და აუდიტს;
  - გ) დადგენილი პროცედურებისა და ლიმიტების რეგულარული განხილვა წელიწადში ერთხელ მაინც ან უფრო ხშირად, რომელიც ბანკის რისკის პრო-

ფილს, ტიპს, მოთხოვნებსა და განვითარებას შეესაბამება;

- დ) როგორც საერთო ლიმიტების დაწესება, ასევე ლიმიტები რისკის ცალკეული სახეობების და ბანკის სპეციფიკურ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების მიხედვით.

## მუხლი 6. რისკების მართვის პროცესების გამოყენება

1. რისკების მართვის პროცესი მოიცავს: რისკების დადგენას, რისკების შეფასებას, მონიტორინგს და ლიმიტებს, რისკების მართვის საინფორმაციო სისტემებს, რისკების კონტროლს, აქტივების და ვალეულებების მართვას, რისკების შეფასების მოდელების სტრესტესტების გამოყენებას.
2. რისკების დადგენის მიზანია ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ყველა სახეობის რისკის იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანოს. რისკის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების მხედველობაში მიღება:
  - ა) პროაქტიული (მოსალოდნელი) და არარეაქტიული პოზიციის ქონა;
  - ბ) ყველა სახეობის ოპერაციის მოცვა;
  - გ) ინფორმაციის ნებისმიერი შესაძლო წყაროს გამოყენებით რისკების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და ანალიზი;
  - დ) რისკების ალბათობის ანალიზი და ამ რისკების შედეგები.
3. რისკების შეფასება გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად, რათა მიღებულ იქნეს რისკების მართვის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ სრული სურათი. ამ მიდგომით შესაძლებელი უნდა გახდეს შემდეგი შეფასებების გაკეთება:
  - ა) პროდუქტის/საქმიანობის მგრძობელობა ფაქტორების ცვლილებისადმი, რომლებიც ზემოქმედებს მასზე, როგორც ნორმალურ, ისე ანომალურ მდგომარეობაში;
  - ბ) სხვადასხვა ფაქტორის ცვლილებების დინამიკა, წარსული ცვლილებებისა და მერყეობის საფუძველზე და კორელაცია;
  - გ) რისკების ფაქტორები ინდივიდუალურ საფუძველზე;
  - დ) აგრეგირებული რისკი, რისკის კორელაციის გათვალისწინებით;
  - ე) ყველა საბანკო ოპერაციისა და პროდუქტისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლებიც შეიძლება ინტეგრირებულ იქნენ ბანკის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში.
4. რისკების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდი. როგორც წესი, რისკების შეფასების ყველაზე მარტივი მიდგომა არის სტანდარტული მეთოდის გამოყენება, რომელიც რეკომენდებულია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, თუმცა, პრაქტიკოსები ეყრდნობიან და გამოიყენებენ ალტერნატიულ მოდელს. ალტერნატიული მოდელის გამოყენება მოითხოვს, რომ დაკმაყოფილებული იყოს სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნა გამოყენებული მეთოდის სიზუს-

ტის უზრუნველსაყოფად.

5. ბანკს, რომელიც დიდი ოდენობით ოპერაციებს ახორციელებს და მაღალი კომპლექსურობა ახასიათებს, შეუძლია შეიმუშაოს და გამოიყენოს შიდა მოდელი. ამასთან, შიდა მოდელის გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შიდა მიზნებისთვის, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და ბანკის მომავალი პოლიტიკის გათვალისწინებით.
6. რისკების შეფასებისას გამოყენებული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესოპერაციების სახეობას, მასშტაბებს და კომპლექსურობას, მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობებს, დირექტორატის და შესაბამისი აღმასრულებელი პირების უნარს აღიქვან გამოყენებული რისკების შეფასების სისტემის შეზღუდვათა საბოლოო შედეგები.
7. რისკების შეფასების მეთოდი გასაგები უნდა იყოს ბანკის თანამშრომლებისთვის, რომლებიც აკონტროლებენ რისკებს, მათ შორისაა (და არა მხოლოდ) რისკების მართვის კომიტეტი, ხაზინის სამსახური, რისკების მართვისა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები.
8. რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი, მინიმუმ შემდეგნაირად უნდა დადგინდეს:
  - ა) გათვალისწინებული უნდა იქნეს ბანკის რისკების მასშტაბები ან მისგან გამომწვეული ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის ამტანობის ზღვრები;
  - ბ) გათვალისწინებული უნდა იქნეს წარსულის გამოცდილება ზარალთან მიმართებაში და ადამიანური რესურსების უნარი;
  - გ) ნებისმიერი პოზიციის დაწესებულ ლიმიტზე გადამეტების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა წარედგინოს რისკების მართვის სტრუქტურულ ერთეულს, რისკების მართვის კომიტეტს და საჭიროების შემთხვევაში დირექტორატს.
9. ლიმიტების დადგენამ უნდა მოიცავს შემდეგი:
  - ა) ლიმიტი ოპერაციებზე/პროდუქტზე;
  - ბ) ლიმიტი უცხოურ ვალუტაზე;
  - გ) ლიმიტი ბრუნვაზე;
  - დ) ლიმიტი ღია სავალუტო პოზიციაზე;
  - ე) ლიმიტი დასაშვები ზარალის (დანაკარგის);
  - ვ) დღიური ლიმიტი;
  - ზ) ლიმიტი ინდივიდუალურ მსესხებელზე და ოპერაციის მონაწილე მეორე მხარეზე;
  - თ) ლიმიტი დაკავშირებულ მხარეებზე;
  - ი) ლიმიტი სამეურნეო და გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით.
10. ლიმიტების განსაზღვრას ახდენს რისკების მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ამტკიცებს რისკების მართვის კომიტეტი ან სხვა კოლეგიალური ორგანო (აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, საკრედიტო კომიტეტი, დირექტორატი), მათი უფლებამოსილების შესაბამისად.
11. ლიმიტების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საქართველოს შესაბამისი კანონები და ნორმატიული აქტები, მათ შორის დებულებები მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებით, დაკრედიტების ლიმიტების, ღია სავალუტო პოზიციის შესახებ და ა. შ..
12. ლიმიტების ნებისმიერი სახით გადამეტების შემ-

- თხვევაში, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს კორექტირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამან ზემოქმედება არ იქონიოს რისკის მიმართ დადგენილი და განსაზღვრული კაპიტალის მთლიან ოდენობაზე.
13. ლიმიტის ნებისმიერი გადამეტება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დადგენილი და გათვალისწინებული დირექტორატის მიერ, ხოლო ღონისძიებები ლიმიტების გადამეტებასთან დაკავშირებით შეიძლება გატარდეს მხოლოდ დირექტორატის ან უფლებამოსილი პირის ნებართვით, ბანკის შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
  14. ბანკმა უნდა შეიმუშაოს სარეზერვო სისტემა და ეფექტიანი პროცედურები იმისათვის, რომ დაცული იყოს რისკის მონიტორინგის პროცესები და განახორციელოს სარეზერვო სისტემის რეგულარული შემოწმება და განხილვა.
  15. რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა, როგორც რისკების მართვის პროცესის ნაწილი, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების ნაწილია, რომელიც რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად აუცილებლად უნდა შეიმუშავდეს. რისკების მართვის ეფექტიანად გამოყენების მიზნით ამ საინფორმაციო სისტემამ უნდა უზრუნველყოს:
    - ა) სათანადო ინფორმაციის საფუძველზე აგრეგირებული/კომპოზიტიური რისკის შეფასება დროულად, როგორც ბანკის ბიზნესსაქმიანობის, ისე საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკების მიხედვით;
    - ბ) რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისობა და რისკების ლიმიტების დადგენა;
    - გ) რისკების მართვის შედეგები (პროგრესი), ბანკის მიერ რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად დადგენილ ორიენტირებთან შედარებით.
  16. რისკების შესახებ ანგარიში, რომელიც რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს, უნდა მომზადდეს რეგულარულად, რისკების მართვის სამსახურის ან უფლებამოსილი პირების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელი არიან ოპერაციებში ჩართული ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფისგან. დირექტორატის და რისკების მართვის კომიტეტის შესაბამისი პირებისადმი ანგარიშგების სიხშირე უნდა გაიზარდოს ბაზრის პირობების ნებისმიერი მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში.
  17. ანგარიშგება, რომელიც სცილდება დირექტორატის საბჭოს, დირექტორატის წევრებისა და რისკების მართვის მენეჯმენტის დონეს, შეიძლება წარდგენილ იქნეს ნაკლები სიხშირით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ადეკვატური ინფორმაცია უნდა მიანოდოს ამ მხარეებს, რათა მათ შეძლონ ბანკის რისკის პროფილში ცვლილებების შეფასება.
  18. რისკების მართვის საინფორმაციო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს რაოდენობრივ-ტექნიკურ ფორმატში შეფასებული რისკების ხარისხობრივ ფორმატში გადაყვანას, რომელიც ადვილად გასაგები იქნება დირექტორატისა და ბანკის სხვა პასუხისმგებელი პირებისათვის.
  19. ნებისმიერი ახალი საინფორმაციო სისტემის, ახალი ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისას, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ახალი საინფორმაციო სისტემისა და ტექნოლოგიების გამოყენებამ არ გამოიწვიოს რაიმე შეფერხება.
  20. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და სისტემის განახლება დაავალოს მესამე მხარეს, მაშინ ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილება მესამე მხარის შერჩევასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს ობიექტურად და დამოუკიდებლად. მესამე მხარის ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა იყოს შენახვისა და განახლების პირობები და ვადები, აგრეთვე წინასწარი ღონისძიებები, რომლებიც აღკვეთს ნებისმიერ დაბრკოლებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ოპერაციების განხორციელებისას.
  21. მენეჯმენტის მიერ ახალი სისტემის გამოყენებამდე ბანკმა უნდა ჩაატაროს ტესტირება პროცესების ეფექტიანი განვითარების სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ბანკმა ასევე უნდა შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვისა და მენეჯმენტის ბიოგრაფიული მონაცემების სათანადო შეფასება ახალი სისტემის/პროგრამული უზრუნველყოფის მიერ.
  22. ბანკის მიერ ახალი სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისას მისი ფუნქციონირება ისეთი უნდა იყოს, რომ მან ეფექტიანად და ავტომატურად დააკმაყოფილოს კომპეტენტური ხელმძღვანელობის მხრიდან ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.
  23. ბანკმა უნდა მართოს და განაახლოს სისტემური დოკუმენტაცია, აგრეთვე კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზა, პარამეტრები, პროცესების ეტაპები, მონაცემთა წყაროები და შედეგები იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს კონტროლის განხორციელებას და აუდიტს.
  24. ბანკმა უნდა დააწესოს რისკების კონტროლი, რათა მართოს კონკრეტული რისკი, რადგან მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი რისკი, რომელმაც შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს ბანკის არსებობა.
  25. ბანკს შეუძლია გააკონტროლოს რისკები ისეთი საზომების მეშვეობით, რომლებიც მოიცავენ ჰეჯირებას და რისკების შემცირების სხვა მეთოდებს, როგორცაა მაგალითად გარანტიების გაცემა, „სეკურიტიზაცია“ და საკრედიტო დერივატივები და გააძლიეროს ბანკის კაპიტალი პოტენციური რისკის გასაწვრივებად.
  26. საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლისათვის ბანკებმა უნდა განახორციელონ აქტივებისა და ვალდებულებების მართვა (შემდგომში – ავმ). ავმ-ის ეფექტიანი გამოყენების ხელშესაწყობად ბანკმა უნდა შექმნას აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი (კომიტეტი), რომლის შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს ავმ-სთან დაკავშირებული ბანკის ოპერაციების მოცულობას და სირთულეს (კომპლექსურობას).
  27. ბანკმა უნდა მოამზადოს და შეიმუშაოს წერილობითი პოლიტიკა, პროცედურები და განსაზღვროს ლიმიტები, რომლებიც გავლენას მოახდენენ ბანკის ავმ-ის მუშაობაზე. ავმ პოლიტიკა მკაფიოდ უნდა ასახავდეს შემდეგ პასუხისმგებლობასა და

- უფლებამოსილებებს:
- ა) ბანკის ოპერაციებისა და პროდუქტებიდან წარმოშობილი საპროცენტო რისკის დადგენა;
  - ბ) საპროცენტო რისკების შეფასების სისტემის დამტკიცება;
  - გ) პოლიტიკიდან გამონაკლისების დაშვების პროცედურას და მისთვის პასუხისმგებელი პირისათვის უფლებამოსილების მიცემა.
28. კომიტეტის პოლიტიკამ უნდა მოიცვას შემდეგი საკითხები:
- ა) პასუხისმგებლობა, კომიტეტის შეხვედრის სიხშირე და კომიტეტის წევრობა;
  - ბ) კომიტეტსა და დირექტორატს შორის ანგარიშვალდებულებრივი ურთიერთობა;
  - გ) ფონდების განთავსების სტრატეგია;
  - დ) ჰეჯირების სტრატეგია;
  - ე) დაფინანსების სტრატეგია;
  - ვ) ფასწარმოქმნის სტრატეგია;
  - ზ) საპროცენტო რისკების მართვა, კერძოდ ლიმიტების დანესება სპეციალურ რისკებზე, ასევე რისკების შეფასება გეპის ანალიზის, ხანგრძლივობის „დურაციის“ ანალიზის ან სიმულაციის მოდელის გამოყენებით.
29. კომიტეტის უფლებამოსილებამ უნდა მოიცვას:
- ა) ავმ-ის სტრატეგიის შემუშავება, განხილვა და მოდიფიკაცია;
  - ბ) ბანკის საპროცენტო რისკის პოზიციის შეფასება და ავმ-ის სტრატეგია, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ბანკის მიერ რისკის განვების პოზიცია შესაბამისობაში იყოს საპროცენტო რისკის მართვის ამოცანებთან;
  - გ) აქტივებისა და ვალდებულებების ფასწარმოქმნის სტრატეგიის განხილვა, რათა სახსრების განთავსებისას უზრუნველყოფილი იყოს, რომ ფასწარმოქმნამ მიაღწიოს ოპტიმალურ შედეგებს, მინიმუმამდე შეამციროს სახსრების ხარჯები და შეინარჩუნოს ბანკის საბალანსო უწყისის სტრუქტურა ბანკის ავმ-ის სტრატეგიის შესაბამისად;
  - დ) ბანკის ფაქტობრივ შედეგებს, ბიუჯეტის გეგმურ პარამეტრებსა და ბიზნესგეგმებს შორის გადახრების განხილვა;
  - ე) დირექტორატის ინფორმირება საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ავმ-ის სტრატეგიისა და პოლიტიკაზე.
30. კომიტეტის შეხვედრა შეიძლება გაიმართოს თვეში ან კვარტალში ერთხელ, ეკონომიკაში განხორციელებული ცვლილებების, ბანკის მდგომარეობისა და საპროცენტო სავალუტო ლიკვიდობის რისკების პროფილის შესაბამისად.
31. კომიტეტის რეგულარულ შეხვედრებზე განხილული უნდა იქნეს:
- ა) გადაწყვეტილებები მოკლევადიან განთავსებებზე, ფასები და დაფინანსებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, ტენდენციები და ფაქტობრივი შედეგები ბიუჯეტის გეგმურ პარამეტრებთან მიმართებაში. საჭიროების შემთხვევაში, ავმ-ის სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს ბოლოდროინდელ მოვლენებს. კომიტეტმა ასევე უნდა შეიმუშაოს ჰეჯირების სტრატეგია და მხედველობიდან არ გამოორჩეს თანამშრომლების მიერ ავმ-ის
- ბ) ყოველდღიური გადაწყვეტილებები;
  - საპროცენტო რისკების გავლენა ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებზე;
  - კ) კომიტეტის შეხვედრები უნდა იქნეს დოკუმენტირებული და საჭიროების შემთხვევაში გადაცემული დირექტორატისათვის შემდგომი რეაგირების მიზნით.
32. კომიტეტის ყოველკვარტალურ შეხვედრებზე განხილული უნდა იქნეს საპროცენტო, ლიკვიდობისა და სავალუტო რისკები და მათი ანალიზი, საპროცენტო რისკების მართვის სტრატეგიის კორექტირების საკითხი, აგრეთვე სახსრების განთავსებასთან დაკავშირებით პოლიტიკა და დირექტივები.
33. დირექტორატისათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი ფოკუსირებული და ადეკვატურად დოკუმენტირებული უნდა იყოს, რათა დირექტორატს გაუადვილდეს შეფასებების გაკეთება. კომიტეტის ანგარიშების მასშტაბმა, სხვა საკითხებთან ერთად, შეიძლება მოიცვას შემდეგი:
- ა) კომიტეტის ოქმები, მათ შორის წინა პერიოდის ოქმებიც, რომლებიც შეეხება განსახილველ საკითხებს;
  - ბ) მოგება/ზარალის უწყისი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაცემები წინა პერიოდებთან შედარებით;
  - გ) საბალანსო უწყისი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მონაცემები წინა პერიოდებთან შედარებით;
  - დ) ბიუჯეტის გეგმური პარამეტრები;
  - ე) ახალი საკრედიტო ანგარიში;
  - ვ) ანგარიში მარჟების ანალიზის შესახებ;
  - ზ) ფასიანი ქაღალდების პორტფელის ჩამონათვალი, რომელსაც თან ერთვის ბანკის მიერ ბოლო თვესა და კვარტალში განხორციელებული ოპერაციები;
  - თ) ლიკვიდობის ანალიზის ანგარიში, კერძოდ თანხების წარმოშობის წყაროებისა და მათი გამოყენების ანალიზი;
  - ი) ანგარიში ფასწარმოქმნის მონაცემების შესახებ, რომელშიც ასახული იქნება პროდუქტის ფასი ან ღირებულება;
  - კ) მოდელის სიმულაცია (თუ ბანკი იყენებს მოდელს) ან გეპის ანგარიში, რომელიც ასახავს საპროცენტო პროფილს;
  - ლ) ჰეჯირების ანგარიში, თუ ბანკი იყენებს ჰეჯირების სტრატეგიას.
34. კომიტეტის პოლიტიკის და გადაწყვეტილებების სისტემა, სამოქმედო გეგმა და მისი საფუძვლები მუდმივ გადახედვას (განხილვას) უნდა ექვემდებარებოდეს, კერძოდ კი უნდა ასახავდეს ისეთ ცვლილებებს, როგორცაა მოქმედი კანონმდებლობების დებულებები, ბაზრის მდგომარეობა და მომხმარებელთა ქცევა.
35. ბანკის მიერ მთავარი რისკების, როგორცაა საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი და საოპერაციო რისკი, შეფასებისათვის გამოყენებული მოდელები, ბანკის მოთხოვნებს, მისი ოპერაციების მოცულობას, კომპლექსურობას და ბანკის მიერ მიღებულ სარგებელს უნდა შეესაბამებოდეს.
36. თუ ბანკს აქვს შიდა მოდელები (ბექ-ტესტები),

როგორცაა მაგალითად, საკრედიტო რისკის რაოდენობრივი შეფასების ინსტრუმენტები, რისკის ღირებულება და ცალკეული რისკების სტრესტესტები, მაშინ ბანკმა უნდა გამოიყენოს საკუთარი ისტორიული მონაცემები/პარამეტრები და დაშვებები და/ან სებ-ის მიერ განსაზღვრული შეფასებები.

37. მოდელის გამოყენების შემთხვევაში, მონაცემების მიმართ მოთხოვნები ასევე უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისობას, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდეგში – ეროვნული ბანკი) მოითხოვს.
38. ბანკებმა, რომლებიც რისკების შესაფასებლად შიდა მოდელებს იყენებენ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სულ ცოტა შემდეგი საკითხები:
  - ა) სტატისტიკური მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და მათი მომზადების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს;
  - ბ) უნდა არსებობდეს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სისტემას, რომ დროულად აღადგინოს სათანადო და ზუსტი მონაცემები და ინფორმაცია;
  - გ) უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც მოიპოვებს მონაცემებს რისკების შესახებ (კერძოდ, საბაზრო რისკის), ბანკის ყველა პოზიციისათვის;
  - დ) დოკუმენტაცია მონაცემთა გამოყენებული წყაროების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს რისკების შეფასების პროცესს;
  - ე) მონაცემთა ბაზისა და მონაცემთა შენახვის პროცესები უნდა შეადგენდეს სისტემის ნაწილს, რათა აღკვეთილ იქნეს სტატისტიკური მონაცემების დამახინჯება.
39. გარკვეული რისკების შეფასების მოდელების გამოყენებით გამოწვეული სისუსტეების აღსაკვეთად ბანკმა უნდა მოახდინოს მოდელის დადასტურება. დადასტურების პროცესი უნდა განხორციელდეს შიდა ან გარე მხარის მიერ, იმ ერთეულისგან დამოუკიდებლად, რომელიც ამ მოდელს იყენებს. საჭიროების შემთხვევაში, დადასტურება უნდა განხორციელდეს ან დახმარება გაეწიოს გარეშე მხარის მიერ, რომელსაც რისკების შეფასების მოდელებში ტექნიკური კომპეტენცია და გამოცდილება აქვს.
40. მოდელის დადასტურება წარმოადგენს შემდეგ პროცესს:
  - ა) კონკრეტული მოდელის შიდა ლოგიკის შეფასება მათემატიკური სიზუსტის გამოყენებით;
  - ბ) მოდელის პროგნოზების შედარება შესაბამის მოვლენებთან;
  - გ) ერთი მოდელის შედარება სხვა არსებულ მოდელთან, იქნება ეს შიდა თუ გარე მოდელი (შესაძლებლობის შემთხვევაში).
41. დადასტურება ასევე უნდა განხორციელდეს ახალ მოდელებთან მიმართებაში, ადგილზე იქნება ისინი შემუშავებული თუ სხვისგან ნაყიდი. ადგილზე შემუშავებულმა მოდელებმა უფრო ინტენსიური შეფასება უნდა გაიარონ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ხდება ბაზრის მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება.
42. რისკების შეფასების პროცესმა მკაფიოდ უნდა დაადგინოს დადასტურების პროცესი, მისი სიხ-

შირე, მოთხოვნები მონაცემებსა და ინფორმაციაზე, აგრეთვე გამოყენებული დაშვებების შეფასება მანამ, სანამ ბანკი დაიწყებს მოდელის გამოყენებას.

43. სტრესტესტი მიზნად ისახავს რისკების შეფასების შევსებას ანომალიურ საბაზრო პირობებში, ბანკის პოტენციური ეკონომიკური ზარალის შეფასების მეშვეობით, რათა დადგინდეს ბანკის მგრძობელობა რისკფაქტორების ცვლილებებისადმი და იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის პორტფელზე.
44. სტრესტესტის ჩატარებისას რისკების შეფასების სისტემა უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რაც მრავალი სცენარის გამოყენების საშუალებას შექმნის. სტრესტესტის დროს გამოყენებული დაშვებები გულდასმით უნდა იქნეს შემუშავებული, რათა მოხდეს ბანკის პორტფელში არსებული ტენდენციების შემომწევა. ბანკმა უნდა ჩაატაროს სტრესტესტი წარსულში მიღებული უდიდესი ზარალის (დანაკარგის) საფუძველზე და წარსულში მომხდარი დიდი საბაზრო ცვლილებების გათვალისწინებით.
45. სტრესტესტის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი უნდა გახდეს პოტენციური ზარალის დაანგარიშება, რის შედეგადაც ბანკს შესაძლებლობა მიეცემა შეაფასოს ყველა უარყოფითი შედეგი, რაც შეიძლება ბანკის მოგებასა და კაპიტალში ცვლილებებით იყოს გამოწვეული. სტრესტესტის შედეგები, მათ შორის რისკების მართვის სტრუქტურის მიერ გაკეთებული დაშვებები რეგულარულად უნდა მოხსენდეს ბანკის დირექტორატს.
46. დირექტორატმა ან შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები და გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ სტრესტესტის ყველა ცუდი სცენარის პროგნოზების გათვალისწინებით.

## მუხლი 7. რისკების მართვის შიდა კონტროლი

1. რისკების მართვასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის მასშტაბები, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს:
  - ა) შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობას ბანკის ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების დონესთან;
  - ბ) პოლიტიკების, პროცედურებისა და ლიმიტების შესაბამისობის მონიტორინგისათვის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის დადგენას;
  - გ) ანგარიშვალდებულებათა დადგენას და ფუნქციების მკაფიო განაწილებას რისკის წარმომქმნელ და მკონტროლებელ სტრუქტურებს შორის;
  - დ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც მკაფიოდ ასახავს ბანკის ბიზნესსაქმიანობას;
  - ე) პროცედურების ადეკვატურობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის საქმიანობის შესაბამისობა კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან;
  - ვ) ბანკის ოპერაციების შეფასების პროცედურების ეფექტიანი, დამოუკიდებელი და ობიექტური განხილვა;
  - ზ) მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ადეკვატური შემომწევა და განხილვა;

- თ) აუდიტის შედეგების საფუძველზე ბანკის მენეჯმენტის მასშტაბების, საოპერაციო პროცედურების, აუდიტის შედეგებისა და პასუხების სრულყოფილი და ადეკვატური დოკუმენტირება;
  - ო) ბანკის საქმიანობის და ბანკის მენეჯმენტის ქმედებების რეგულარულად შემოწმებას, არსებითი ხასიათის სისუსტეების გამოვლენას და მათ განხილვას.
2. რისკების მართვის განხილვამ უნდა მოიცავს მინიმუმ შემდეგი:
- ა) სულ ცოტა წელიწადში ერთხელ რისკების მართვის რეგულარულ მიმოხილვას რისკის მენეჯერის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, აგრეთვე სათანადო შეფასებებს რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულის, შესაბამისობის სამსახურის თანამშრომლის და შიდა აუდიტის სამსახურის აუდიტორების მიერ;
  - ბ) ბანკის წინაშე მდგარი რისკის, საბაზრო ცვლილებებისა და რისკის შეფასებისა და მართვის მეთოდების შესაბამისად განხილვა და შეფასება შეიძლება უფრო ინტენსიური გახდეს და მისი მასშტაბებიც გაფართოვდეს;
  - გ) განხილვა ასევე უნდა განხორციელდეს გარე აუდიტორის ან სხვა კვალიფიციური მხარის მიერ, რომელსაც კარგად ესმის რისკების მართვის ტექნოლოგიები;
  - დ) რისკების შეფასებისა და განხილვისას განსაკუთრებით გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი საკითხები:
    - დ.ა) რისკების შეფასებისა და რისკების ლიმიტების დასადგენად გამოყენებული მეთოდები, ვარაუდები (დაშვებები) და ცვლადები;
    - დ.ბ) შედარება სიმულაციების ან წინასწარი პროგნოზირების გამოყენებით რისკების შეფასების მეთოდებიდან მიღებულ შედეგებსა და ფაქტობრივ შედეგებს შორის;
    - დ.გ) შედარება მოდელში გამოყენებულ დაშვებებსა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის;
    - დ.დ) შედარება დადგენილ ლიმიტებსა და ფაქტობრივ რისკებს შორის;
    - დ.ე) რისკების შეფასების შესაფერისობის დადგენა და რისკის ლიმიტები ბანკის წარსულ საქმიანობასა და მიმდინარე პოზიციასთან დაკავშირებით.

**მუხლი 8. რისკების მართვა ახალი პროდუქტებისა და საქმიანობისათვის**

1. ახალი პროდუქტებისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების მართვის მიზნით ბანკმა უნდა შეიმუშაოს წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები.
2. ახალი პროდუქტებისა და საქმიანობისთვის რისკების მართვის პოლიტიკამ და პროცედურებმა უნდა დაადგინოს მინიმუმ შემდეგი:
  - ა) სტანდარტული საოპერაციო პროცედურები და უფლებამოსილება ახალი პროდუქტის და საქმიანობის რისკების მართვასთან დაკავშირებით;
  - ბ) ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი ყველა რისკის დადგენა;
  - გ) ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის რისკების მართვის დამახასიათებელი შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდების საგამოცდო პერიოდი იმი-

- სათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეთოდების ტესტირება საბანკო საქმიანობის წინდახედულობისა და სხვა ასპექტების თვალსაზრისით;
  - დ) ახალი პროდუქტისა და საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა, რომელშიც ასახული იქნება მინიმუმ ამ რისკის პროფილი და ახალი პროდუქტისა და საქმიანობის მოგებისა და ზარალის დონე;
  - ე) ახალი პროდუქტისა და საქმიანობის სამართლებრივი ანალიზი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესაძლო სამართლებრივი რისკების შესაძლებლობა და ახალი პროდუქტისა და საქმიანობის შესაბამისობის ანალიზი უპირატეს კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში. თუ ბანკი არის ბიზნესჯგუფის წევრი და განსაკუთრებით იმ ფინანსური ჯგუფისა, რომელსაც რისკების მართვის ცენტრალიზებული პროცესი აქვს, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ რისკების შეფასების პროცესი რაც შეიძლება ზუსტად იყოს კონსოლიდირებული. რისკების კონსოლიდირებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესმა უნდა დაადგინოს მკაფიო ლიმიტები, რომელიც კონსოლიდაციის ყველა დონეზე იქნება დაკმაყოფილებული.
3. სრულყოფილ ქვედანაყოფებს და ფილიალებს შორის ოპერაციების შემთხვევაში, რომლის დროსაც გარკვეული რისკის პოზიცია წარმოიქმნება, ბანკმა უნდა:
    - ა) მკაფიოდ განსაზღვროს შიდა გარიგებები;
    - ბ) შეადაროს შიდა გარიგებები ბუღალტრული აღრიცხვის პროცესში, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენას;
    - გ) უზრუნველყოს იმის შესაძლებლობა, რომ შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი რისკების პოზიციების შეფასება, მონიტორინგი და გაკონტროლება რისკების მართვის სტრუქტურის მიერ;
    - დ) უზრუნველყოს თანამიმდევრული ლიმიტების დადგენა.
  4. ბანკმა რეგულარულად, სულ ცოტა ყოველ თვე, უნდა შეადაროს ის ცვალებადობა, რომელიც მოგებისა და ზარალის უწყისსა და შიდა გარიგებებს შორის ჩნდება გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში არსებული განსხვავებების გამო და დაუყოვნებლივ მოახდინოს ამ განსხვავებების შემოწმება და გასწორება.
  5. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესჯგუფის შიგნით ორგანიზაციებს შორის ოპერაციები ხორციელდება, ბანკმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ოპერაციები სწორად იქნეს გატარებული, რათა ბიზნესჯგუფის ანგარიშები ზუსტად იქნეს ასახული ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში.

**მუხლი 9. ზედამხედველების როლი ბანკის რისკების მართვის პროცესების შეფასების საქმეში**

1. საზედამხედველო პოლიტიკის გატარებისას ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბანკებში რისკების მართვის ადეკვატრობას, რათა აღნიშნული სისტემები იძლეოდეს რისკების გონივრული მართვისა და გამოყენების

დროული იდენტიფიცირების, ადეკვატური შეფასების, ეფექტიანი მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას.

2. რისკების მართვის გამოყენება საბანკო ზედამხედველობის თვალსაზრისით დააჩქარებს ბანკის შესაძლო ზარალის შეფასებას, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბანკებს მოეთხოვებათ, რომ მათ კვარტალური პერიოდულობით შეაფასონ რისკების მართვა და ანგარიში რისკის პროფილის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს.
3. ეს ანგარიში უნდა მოიცავდეს შედარებას გასულ კვარტალთან. მასში ასევე უნდა აისახოს ყველა შესაბამისი რისკის დონე და დინამიკა, ბანკის ბიზნესსაქმიანობის კომპლექსურობის შესაბამისად. რისკის პროფილის შესახებ ეროვნულ ბანკში წარდგენილი ანგარიში უნდა იყოს აღნიშნულ საკითხზე დირექტორის და რისკის მართვის კომიტეტისთვის გადაცემული ანგარიშის იდენტური.
4. ბანკს ასევე მოეთხოვება ყოველი ახალი პროდუქტისა და საქმიანობის თაობაზე სებ-ში ანგარიშის წარდგენა მათი განხორციელებიდან არა უგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5. ბანკს უნდა მოეთხოვოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს სხვა ანგარიშები იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მდგომარეობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს, ან სხვა მიზეზთა გამო, რომლებიც ეროვნულ ბანკს მნიშვნელოვნად მიაჩნია. ამასთან დაკავშირებით, ბანკის ასეთ მდგომარეობად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:
  - ა) ეროვნული ბანკი ბანკს უწევს ინტენსიურ ან სპეციალურ ზედამხედველობას;
  - ბ) ბანკი დგას უდიდესი საბაზრო და ლიკვიდობის რისკის წინაშე;
  - გ) გარე (ბაზრის) მდგომარეობა მწვავე მერყეობას განიცდის და არ ექვემდებარება ბანკის კონტროლს.
6. ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშების წარდგენის სიხშირე და ფორმატი უნდა დადგინდეს ბანკსა და ეროვნულ ბანკს შორის გამართული კონსულტაციების საფუძველზე, რადგან ისინი ეფუძნება ბანკის მიმდინარე მდგომარეობას და იმ რისკებს, რომლებიც მოცემულ ეტაპზე შეიძლება დადგეს ბანკის წინაშე.
7. ბანკების CAMEL-ის სისტემით ან თემატური შემოწმების პროცესში ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. შესაბამისად, ზედამხედველების შემოწმების პროგრამა თითოეული ბანკისათვის სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა:
  - ა) როგორ ხდება მუშაობის პროცესში ბანკის მიერ საერთაშორისო დონეზე აღიარებული ცხრავე რისკის მართვა და რისკის ხარისხის დადგენა;
  - ბ) რა მატერიალური (კაპიტალი, ლიკვიდობა) და არამატერიალური (მართვის ხარისხი და კონტრო-

ლის სისტემები) რესურსები აქვს ბანკს მოცემული რისკის მართვისათვის;

- გ) საკმარისია თუ არა გამოვლენილი რესურსების მოცულობა რისკის დასაბალანსებლად.
8. შემოწმებლებმა უნდა განსაზღვრონ, რომ ბანკის მიერ რისკების მართვისადმი მიდგომა, მისი შვილობილი საწარმოების ჩათვლით, საკმაო მათი საქმიანობის წარმართვისათვის და რომ მას დანერგილი აქვს რისკების უზრუნველყოფის დისციპლინა მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების მართვის პროცესებში.
9. შემოწმებლებმა უნდა მოითხოვონ რომ ბანკებს ჰქონდეთ მართებული ეფექტიანი სისტემა, რათა განსაზღვრონ, გაზომონ, მართონ და აკონტროლონ ბანკისათვის დამახასიათებელი რისკები. უნდა აწარმოონ ბანკის სტრატეგიების, პოლიტიკებისა, პროცედურებისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი შეფასება, რომელიც დაკავშირებულია კრედიტის გაცემასთან და პორტფელის მიმდინარე მართვასთან, სავალუტო ოპერაციების წარმოებასთან, ლიკვიდობის მართვასთან და ასე შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საბანკო საქმიანობას ძირითადად განსაზღვრავს საკრედიტო და სავალუტო ოპერაციები, ადგილზე შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვას.
10. შემოწმებლებმა ადგილზევე უნდა შეაფასონ ინდივიდუალური ბანკები საკრედიტო რისკის განსაზღვრის, გაზომვის მართვისა და კონტროლის მიზნით. ეს უნდა შეიცავდეს ბანკის მიერ გამოყენებული ნებისმიერი გაზომვის ინსტრუმენტის შეფასებას (როგორცაა, რისკების შიდა რეიტინგები და საკრედიტო რისკის მოდულები) გარდა ამისა, მათ უნდა განსაზღვრონ, რომ დირექტორატი ეფექტიანად მართავს საკრედიტო რისკის პროცესს და რისკის პოზიციებს, აგრეთვე სათანადო პოლიტიკებთან შესაბამისობას. საკრედიტო რისკის სისტემების ხარისხის შეფასებისათვის ზედამხედველებმა უნდა გამოიყენონ ანალიზის მთელი რიგი მეთოდები. ასეთი შეფასების მთავარი ელემენტია ზედამხედველების მიერ იმის განსაზღვრა, რომ ბანკი იყენებს „ჭანსალი“ აქტივის შეფასების პროცედურებს.
11. შემოწმებლებმა უნდა დაადგინონ, აღიარებს თუ არა ბანკის მენეჯმენტი პრობლემურ კრედიტებს ადრეულ სტადიაზე და იღებს თუ არა შესაბამის ზომებს. მათ უნდა აწარმოონ იმ ტენდენციების მონიტორინგი, რომლებიც არსებობს ბანკის საკრედიტო პორტფელის ფარგლებში და იმსჯელოს აღმასრულებელ ხელმძღვანელობასთან ერთად საბაზრო სიტუაციის გაუარესების შესახებ. ზედამხედველებმა უნდა შეაფასონ ბანკის კაპიტალი, უზრუნველყოფასა და რეზერვებთან ერთად, ადეკვატურია თუ არა ის საკრედიტო რისკის დონესთან, რომელიც განსაზღვრულია და დამახასიათებელია ბანკის საქმიანობისათვის.
12. საკრედიტო რისკის მართვის პროცესის ადეკვატურობის მიმოხილვის დროს შემოწმებლებმა უნდა განსაზღვრონ აღნიშნული პროცესი ეფექტურია თუ არა:



- ა) მხოლოდ ინდივიდუალური საქმიანობის ან იურიდიული ერთეულების დონეზე;
  - ბ) საქმიანობისა და ფილიალების ფართო სპექტრში და კონსოლიდირებული ბანკის ფარგლებში.
13. საკრედიტო რისკის მართვის პროცესის შეფასების შემდეგ, შემომწმებლებმა თავისი საქმიანობა უნდა მიმართონ მენეჯმენტთან ერთად ნებისმიერი სისუსტის აღმოფხვრის, სისტემაში არსებული გაზრდილი კონცენტრაციებისა და პრობლემური კრედიტებისაკენ, აგრეთვე, დამატებითი რეგულირების შექმნისაკენ.
  14. ზედამხედველებმა უნდა გაითვალისწინონ დანესებული პრუდენციული ლიმიტები (მაგ., დიდი რისკიანობის ლიმიტები), რაც ყველა ბანკს ეხება, მათი საკრედიტო რისკის მართვის პროცესის ხარისხის მიუხედავად. ასეთი ლიმიტები უნდა შეიცავდეს შეზღუდულ საბანკო რისკებს ცალკეული მსესხებლებისადმი ან მათთან დაკავშირებულ პარტნიორთა ჯგუფების მიმართ. სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს იმ პარტნიორებისადმი გაცემულ კრედიტების გადახდას, რომლებიც „დაკავშირებული“ არიან ბანკებთან ან ერთმანეთთან.
  15. თუ შემომწმების შედეგად დადგინდება, რომ ბანკის მიერ რისკების მართვა არ არის ადეკვატური ან ეფექტიანი ბანკის განსაკუთრებული რისკის პროფილისათვის, ბანკს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გაუწიოს ინტენსიური ან სპეციალური ზედამხედველობა.

## თავი II საკრედიტო რისკი

### მუხლი 10. საკრედიტო რისკის ცნება, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის პასუხისმგებლობა საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებისათვის

1. საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან (შემდგომში – დებიტორები) სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა, კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა.
2. საკრედიტო რისკის სტრატეგიის და პოლიტიკის დამტკიცებასა და რეგულარულ (მინიმუმ წელიწადში ერთხელ) განხილვისათვის პასუხისმგებელია ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. საკრედიტო რისკის სტრატეგიაში და პოლიტიკაში უნდა იყოს:
  - ა) ასახული ეკონომიკური ციკლის და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მიმართ ბანკის ამტანობა და მოსალოდნელი შემოსავლების მდგრადობის ალბათობა;
  - ბ) გათვალისწინებული ადგილობრივი და საერთაშორისო ეკონომიკური ციკლები და ცვლილებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო პორტფელის შემადგენლობასა და ხარისხზე;

- გ) შემუშავებული იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს გრძელვადიანი მოთხოვნები, საჭიროების შემთხვევაში მასში სათანადო კორექტირებების გათვალისწინებით.
3. დირექტორატი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებისა და პროცედურების შემუშავებისათვის, რომელთა საფუძველზეც მოხდება საკრედიტო რისკის განსაზღვრა, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. პოლიტიკამ და პროცედურებმა, თუ ისინი სწორად იქნება შემუშავებული და განხორციელებული, ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი დაკრედიტების სტანდარტებს, საკრედიტო რისკის მონიტორინგს, პრობლემური სესხების დადგენას და ამოღებას.
  4. ბანკმა უნდა დაადგინოს და მართოს ყველა ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი და უზრუნველყოს, რომ მათ დანერგვასა და ამუშავებამდე ახალი პროდუქტებისა და საქმიანობის შედეგად მიღებულმა რისკებმა სათანადო კონტროლი გაიაროს, ამასთან, წინასწარ უნდა იქნეს მიღებული რისკების მართვის კომიტეტის რეკომენდაციები ან დირექტორატის თანხმობა.

### მუხლი 11. პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტების დადგენა

1. ბანკს საკმარისი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, რათა გამოიყენოს იგი დებიტორთა რისკის პროფილის კომპლექსური შეფასებისათვის. ფაქტორები, რომლებიც მხედველობაშია მისაღები, სულ მცირე, უნდა იყოს:
  - ა) სესხის მიზნობრიობა და გადახდის წყარო;
  - ბ) დებიტორის რისკის პროფილი და უზრუნველყოფა მიმდინარე თარიღისთვის და მგრძობელობა საბაზრო პირობების ცვლილებებისადმი;
  - გ) წარსული და მომავალი გადახდისუნარიანობის ანალიზი, ფინანსური მონაცემებისა და ფულადი ნაკადების პროგნოზის მიხედვით, მოვლენის სხვადასხვა სცენარით განვითარების შემთხვევაში;
  - დ) დებიტორის ბიზნესის მოცულობა, სტაბილურობა და ეკონომიკური სექტორის/მსესხებლის ბიზნესის მდგომარეობა და მსესხებლის ადგილი კონკრეტულ სექტორში;
  - ე) კრედიტის პირობები, მათ შორის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია დებიტორის მომავალ რისკთან.
2. რისკის მქონე საკრედიტო ოპერაციების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსავლიანობის დონე, რომელიც უნდა განხორციელდეს მინიმუმ იმის უზრუნველყოფით, რომ ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზი ჩატარდეს კომპლექსურად და მოიცვას საოპერაციო ხარჯები, სახსრების მოზიდვის ხარჯები, დებიტორების დეფოლტთან დაკავშირებული ხარჯების შეფასება, სანამ არ მოხდება სრული დაფარვა და კაპიტალის მოთხოვნების დაანგარიშება.
3. კრედიტების შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს კონკრეტული ოპერაციის რისკის დონის

დაანგარიშებასთან, კერძოდ დებიტორის საერთო მდგომარეობასთან და გარანტიის სახით წარმოდგენილი გირაოს ხარისხსა და საბაზრო კონკურენტუნარიანობასთან.

4. სულ ცოტა კვარტალში ერთხელ დირექტორატმა უნდა მიიღოს დაკრედიტების ოპერაციების მომგებიანობის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში საკრედიტო ოპერაციების შეფასება კორექტირებული უნდა იქნეს და გატარდეს ყველა აუცილებელი მაკორექტირებელი ღონისძიება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.
5. სესხებისა და ვალდებულებების შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცედურები, როდესაც ეს ხდება უფლებამოსილების გადაცემის მეშვეობით, მკაფიოდ უნდა იქნეს გაფორმებული ბანკის ზუსტი მახასიათებლების (მოცულობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის სახეები და ოპერაციების კომპლექსურობა) ჩვენებით, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ბანკში არსებულმა სისტემამ.
6. სესხების და/ან ვალდებულებების გაგრძელების შესახებ გადანყვეტილების მიღების შესახებ უფლებამოსილების გადაცემისას ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფუნქციების განაწილება კრედიტის დამტკიცებაში, ანალიზსა და ადმინისტრირებაში მონაწილეთა შორის.
7. ბანკში განხილვის პროცესი უნდა განხორციელდეს მინიმუმ კვარტალში ერთხელ და მოიცავს საკრედიტო რისკის კლასიფიცირება, გირაოს საბაზრო კონკურენტუნარიანობის შეფასება და საკომისიო მოსაკრებლების დადგენა. განხილვის შედეგები უნდა შეადგენდეს საკრედიტო ფაილის განუყოფელ ნაწილს.
8. საკრედიტო ადმინისტრირების სისტემის შემუშავებისას ბანკმა უნდა უზრუნველყოს:
  - ა) კრედიტების ადმინისტრირების ეფექტიანობა და ქმედითობა, მათ შორის დოკუმენტაციის, სახელშეკრულებო პირობებისა და ვადების, სასესხო ხელშეკრულებების (იურიდიული ასპექტების) და გირაოს მონიტორინგი;
  - ბ) მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და დროულობა;
  - გ) მოვალეობების სწორი გადანაწილება;
  - დ) ბაზკ ოფფიცე-თვის დადგენილი პროცედურების კონტროლი;
  - ე) შესაბამისობა შიდა წერილობით პოლიტიკასა და პროცედურებთან და მოქმედ კანონებთან.
9. ბანკმა უნდა განახორციელოს შეფასებისა და განხილვისთვის გამოყენებული ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციისა და მასალის ადმინისტრირება და დოკუმენტირება საკრედიტო ფაილში.
10. ბანკმა უნდა უზრუნველყოს საკრედიტო ფაილებში არსებული ჩანაწერების სრულყოფა სულ ცოტა კვარტალში ერთხელ დავალიანების მქონე დებიტორებისთვის, რომლებიც გაცილებით დიდი რისკების წინაშე აყენებენ ბანკის საკრედიტო პორტფელს (დიდი რისკის და კრედიტების კონცენტრაცია).
11. საკრედიტო რისკზე ლიმიტების დაწესების შესახებ პროცედურებში ბანკმა სხვა ფაქტორებთან ერთად

უნდა წარმოადგინოს ის ფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკრედიტო რისკზე ლიმიტების დაწესებაზე და იმ პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია გადანყვეტილების მიღებასთან/საკრედიტო რისკის ლიმიტების დაწესებასთან.

12. ბანკმა უნდა დააწესოს ლიმიტები მსესხებლებისა და კონტრაგენტებისათვის მათთან ოპერაციების განხორციელებამდე რისკის მიმართ ბანკის ტოლერანტულობის დონის გათვალისწინებით;
13. საკრედიტო რისკის ლიმიტები წესდება იმ მიზნით, რომ შემცირებულ იქნეს კონცენტრაციით გამოწვეული რისკები. დაწესებულმა ლიმიტებმა უნდა მოიცავს სულ მცირე შემდეგი:
  - ა) კლიენტის ან კონტრაგენტი პარტნიორის რისკი;
  - ბ) ურთიერთდაკავშირებული მხარეების რისკი;
  - გ) გარკვეული ეკონომიკური სექტორის ან გეოგრაფიული კონცენტრაციის რისკი.
14. ერთი კლიენტისთვის ან კონტრაგენტი პარტნიორისთვის დაწესებული ლიმიტი შეიძლება ეფუძნებოდეს მათი ფინანსური უწყისებიდან რაოდენობრივი მონაცემების და მათთან გასაუბრებით მოპოვებული ხარისხობრივი ინფორმაციის ანალიზს.
15. საკრედიტო რისკის ლიმიტის დაწესება სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით, რაც ხელს შეუწყობს გარე და შიდა აუდიტორების მიერ აუდიტის ჩატარებას.
16. ბანკს გარდა იმისა, რომ მოეთხოვება ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულება, მან აგრეთვე უნდა დაიცავს ბანკის შიდა პოლიტიკა, პროცედურები და დაწესებული ლიმიტები.

## მუხლი 12. საკრედიტო რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

1. ბანკმა უნდა დაადგინოს მისი ყველა პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკის ამგვარი დადგენა შეადგენს კონკრეტული საქმიანობისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის მახასიათებლების შესწავლის შედეგს, როგორცაა, კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა და მიზნობრივი დაფინანსება.
2. საკრედიტო ოპერაციებისა და მიზნობრივი დაფინანსების საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დებიტორის ფინანსური მდგომარეობა, კერძოდ კი ის, თუ რამდენად სწრაფად დაფარვის უნარი აქვს მას, აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილი გირაო და გარანტიები. დებიტორის რისკის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დებიტორის გარემოს ანალიზი, ბიზნესპარტნიორების მახასიათებლები, აქციონერთა და მენეჯმენტის ხარისხი, ბოლო ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა, ფულადი ნაკადების პროექტი, ბიზნესგეგმის ხარისხი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს დებიტორის მდგომარეობისა და კრედიტუნარიანობის კომპლექსური ანალიზის ჩა-

- სატარებლად.
3. სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობის საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეორე მხარის ფინანსური მდგომარეობა, რეიტინგი, ინსტრუმენტების დახასიათება, ჩატარებული ოპერაციების ტიპები, ბაზრის ლიკვიდობა და სხვა ფაქტორები, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო რისკზე.
  4. ბანკს უნდა ჰქონდეს რისკების შეფასების წერილობითი პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს:
    - ა) მოახდინოს საბალანსო და გარესაბალანსო უწყისებში საკრედიტო რისკის მქონე დებიტორების ან დებიტორთა და/ან მხარეთა სპეციალური ჯგუფების ცენტრალიზება;
    - ბ) საკრედიტო რისკის რეიტინგების განსხვავებული კატეგორიების შეფასება, როდესაც გამოყენებული იქნება ხარისხობრივი ასპექტებისა და რაოდენობრივი მონაცემების კომბინაცია და შერჩეული იქნება კონკრეტული კრიტერიუმები;
    - გ) რისკების შეფასების შედეგების შესახებ სრული ინფორმაციის გავრცელება შესაბამისი სტრუქტურების მიერ მონიტორინგის განხორციელების მიზნით.
  5. საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიიღებული მინიმუმ შემდეგი ასპექტები:
    - ა) საკრედიტო რისკის შემცველი თითოეული ოპერაციის დახასიათება, დებიტორის/მეორე მხარის ფინანსური მდგომარეობა და სასესხო ხელშეკრულების ვადები და პირობები, როგორცაა ვადა, სარგებელი და სხვ.;
    - ბ) გეპის პროფილი ბაზრის პოტენციური ცვლილების ჭრილში;
    - გ) გირაო და/ან გარანტია;
    - დ) დეფოლტის შესაძლებლობა;
    - ე) ბანკის უნარი გაუძლოს პოტენციურ დეფოლტს.
  6. ბანკები, რომლებიც რისკის შიდა რეიტინგის მეშვეობით ახორციელებენ რისკების შეფასებას, რეგულარულად უნდა ახდენდნენ მონაცემთა გადამოწმებას.
  7. საკრედიტო რისკის შეფასებისას გამოყენებულმა პარამეტრებმა სხვა ასპექტებთან ერთად უნდა მოიცვას შემდეგი:
    - ა) უმოქმედო სესხები;
    - ბ) კრედიტების კონცენტრირება მსესხებლებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით;
    - გ) გირაოს ადეკვატურობა;
    - დ) დაკრედიტების ზრდა;
    - ე) უმოქმედო სახაზინო და საინვესტიციო (არასაკრედიტო) პორტფელები;
    - ვ) სახაზინო და საინვესტიციო პორტფელების შემადგენლობა (ბანკთაშორისი ფასიანი ქაღალდები და კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა);
    - ზ) რეზერვების ადეკვატურობა;
    - თ) მიზნობრივი დაფინანსების ოპერაციების დეფოლტი;
    - ი) მიზნობრივი დაფინანსების მიზნით გაცემული კრედიტების კონცენტრაცია.
  8. ბანკმა შეიძლება გამოიყენოს სისტემა და სტატისტიკური/ალბათობის მეთოდი, რათა შეაფასოს საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციების კონკრეტული სახეობებისთვის დამახასიათებელი რისკი, როგორცაა მაგალითად კრედიტუნარიანობის შეფასების ინსტრუმენტები „კრედიტ სკორინგ ტოლს“.
  9. ამ სისტემის გამოყენებისას ბანკმა უნდა:
    - ა) განახორციელოს დეფოლტის პროგნოზირებისას გამოყენებული მოდელისა და დაშვებების სიზუსტის განხილვა;
    - ბ) განახორციელოს კორექტირებები დაშვებებში, შიდა და გარე პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.
  10. მსხვილი რისკის ან შედარებით კომპლექსური ოპერაციების შემთხვევაში საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა დაეფუძნოს არამართო ამ სისტემას, არამედ საკრედიტო რისკის შეფასების სხვა ინსტრუმენტებსაც.
  11. ბანკმა უნდა მოახდინოს ამგვარი საკრედიტო ინფორმაციის დოკუმენტირება, რადგან ამ სისტემაში გამოყენებული დაშვებები, მონაცემები და ინფორმაცია, მათ შორის, აქედან გამომდინარე ნებისმიერი ცვლილება, მუდმივად უნდა განახლდეს. სისტემა გამოყენების დროს უნდა:
    - ა) უწყობდეს ხელს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და უზრუნველყოფდეს მის შესაბამისობას უფლებამოსილების გადაცემის შესახებ დებულებებთან;
    - ბ) იყოს დამოუკიდებელი და გამოიყენოს სათანადო და ეფექტიანი უსაფრთხოების პროცედურები;
    - გ) იქნეს განხილული იმ სტრუქტურის ან მხარის მიერ, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ამ სისტემის გამომყენებელი სტრუქტურისგან.
  12. საკრედიტო რისკის მონიტორინგის განხორციელების მიზნით:
    - ა) ბანკმა უნდა შეიმუშაოს და გამოიყენოს საინფორმაციო სისტემა და პროცედურები, რათა მონიტორინგი გაუწიოს თითოეული დებიტორის ან მეორე მხარის მდგომარეობას ბანკის ერთიან საკრედიტო პორტფელში.
    - ბ) საკრედიტო რისკის მონიტორინგის სისტემამ უნდა შეძლოს შეფასების განხორციელება შემდეგი მიზნით:
      - ბ.ა) უზრუნველყოფილი იქნეს ბანკის ინფორმირება დებიტორის ან მეორე მხარის ბოლო ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
      - ბ.ბ) მონიტორინგი გაეწიოს შესაბამისობას სასესხო ხელშეკრულების პირობებსა და ვადებთან ან საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციების შესახებ ხელშეკრულებასთან;
      - ბ.გ) დებიტორის ან მეორე მხარის ვალდებულებებთან დაკავშირებული გირაოს ადეკვატურობის შეფასება;
      - ბ.დ) ნებისმიერი დაგვიანების დადგენა დაფარვასთან დაკავშირებით და პრობლემური სესხების დროუ-

- ლი კლასიფიკაცია;
- ბ.ე) სწრაფი ღონისძიებების გატარება პრობლემურ სესხებთან მიმართებაში.
- გ) ბანკმა ასევე უნდა გაუწიოს მონიტორინგი საკრედიტო რისკის შესაბამისობას დადგენილ ლიმიტებთან, მათ შორის დაფარვისუნარიანობასა და რისკის შიდა რეიტინგთან.
- დ) საკრედიტო რისკის მონიტორინგი რეგულარულად და მუდმივად უნდა განხორციელდეს რისკის მართვის სტრუქტურის მიერ, რომლის დროსაც ფაქტობრივი საკრედიტო რისკი უნდა შედარდეს საკრედიტო რისკის მიმართ დაწესებულ ლიმიტებს.
- ე) საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, რისკების მართვის სტრუქტურამ მუდმივად უნდა მოამზადოს ანგარიშები საკრედიტო რისკის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მათ შორის მათი გამომწვევი ფაქტორების ჩათვლით, რომელიც უნდა მიენოდოს რისკების მართვის კომიტეტს ან დირექტორატს.
13. რისკების შიდა რეიტინგის სისტემის ძირითადი პრინციპებია:
- ა) რისკების შიდა რეიტინგის სისტემის გამოყენების პროცედურების შემუშავება და დოკუმენტირება;
- ბ) ადრეულ ეტაპზე რისკების პროფილის ნებისმიერი ცვლილების დადგენა, რომელიც საკრედიტო რისკის პოტენციური ან ფაქტობრივი შემცირებით არის გამოწვეული.
- გ) შიდა რისკის შეფასების სისტემის მუდმივად შეფასება იმ მხარის მიერ, რომელიც დამოუკიდებელია შიდა რისკის შეფასების მომხმარებელი სტრუქტურისაგან.
14. რისკების შიდა რეიტინგის შესახებ ანგარიშები, როგორცაა ანგარიშები საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის შესახებ, რეგულარულად უნდა გადაეცეს დირექტორატს.
15. საკრედიტო რისკის შეფასების პროცესის ეფექტიანობასა და ქმედითობის გასაუმჯობესებლად ბანკს უნდა ჰქონდეს მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტი და დროული ანგარიშებისა და მონაცემების მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებას დირექტორატის ან სხვა შესაბამისი პირების მიერ.
16. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემამ უნდა:
- ა) შეიმუშაოს ანგარიშები და ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს აქტიური რისკის მონიტორინგს და მათ შედარებას დაწესებულ ლიმიტებთან, აგრეთვე ამ ლიმიტებთან მიმართებაში ნებისმიერი გადაჭარბების შესახებ დირექტორატისათვის აუცილებლად ინფორმირებას;
- ბ) უზრუნველყოს ზუსტი და დროული მონაცემები თითოეული მსესხებლისა და მხარის მთლიანი საკრედიტო რისკის და საკრედიტო პორტფელის შესახებ და ანგარიში საკრედიტო რისკის ლიმიტებიდან გამონაკლისების შესახებ;
- გ) მიცეს საშუალება დირექტორატს დაადგინოს ნებისმიერი რისკის კონცენტრაცია საკრედიტო პორტფელში.

### მუხლი 13. საკრედიტო რისკის კონტროლი

1. ბანკმა უნდა შექმნას კრედიტების დამოუკიდებელი და მუდმივი განხილვის შიდა სისტემა საკრედიტო რისკის მართვის პროცესის გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. განხილვამ სულ ცოტა უნდა მოიცავს საკრედიტო ადმინისტრირების პროცესის შეფასება, შიდა რისკის რეიტინგის გამოყენების სიზუსტის შეფასება ან მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტების შეფასება და იმ სტრუქტურის ან ოფიცრების მუშაობის ეფექტიანობის შეფასება, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ცალკეული კრედიტების ხარისხს.
2. განხილვა უნდა განხორციელდეს იმ სტრუქტურის ან პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც დამოუკიდებელი იქნება საკრედიტო რისკის ოპერაციების განმახორციელებელი სტრუქტურისაგან. განხილვის შედეგები სრულად უნდა მიენოდოს უშუალოდ შიდა აუდიტის სტრუქტურას, შესაბამის დირექტორს, დირექტორატის სხვა შესაბამის წევრებს და აუდიტის კომიტეტს.
3. ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ის სტრუქტურები, რომლებიც კურირებენ საკრედიტო ან საკრედიტო რისკის მატარებელ ოპერაციებს ადეკვატურად იმართებოდნენ, ხოლო საკრედიტო რისკი რეგულარულად იყოს დაცული შესაბამის ფარგლებში და დააკმაყოფილოს პრუდენციული სტანდარტები.
4. ბანკმა უნდა შექმნას და გამოიყენოს შიდა კონტროლი, რათა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი გამონაკლისი პოლიტიკიდან, პროცედურებისა და ლიმიტებიდან დროულად იქნეს მიწოდებული დირექტორატსა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის, მათ მიერ მაკორექტირებელი ღონისძიებების გასატარებლად.
5. შიდა აუდიტის ჩატარებისას შიდა აუდიტის სამსახურმა უნდა შეამოწმოს შიდა კონტროლის ეფექტიანობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ სისტემის ქმედუნარიანობა, უსაფრთხოება და მისი შესაბამისობა მოქმედი კანონების დებულებებთან და პოლიტიკასთან, ინსტრუქციებთან და ბანკის შიდა პროცედურებთან. არაეფექტიანობისა ან უზუსტობის ნებისმიერი შემთხვევა, ან ნებისმიერი მნიშვნელოვანი მონაცემი ამ სისტემაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დირექტორატს და რისკის მართვის სამსახურს იმისათვის, რომ მათ დაუყოვნებლივ გაატარონ მაკორექტირებელი ღონისძიებები.
6. ბანკს უნდა ჰქონდეს პრობლემური სესხების მართვის პროცედურები, მათ შორის წერილობითი სისტემა, რომელიც აღმოაჩენს და გამოავლენს პრობლემურ სესხებს და ეფექტიანად გამოიყენოს ეს პროცედურები. თუ ბანკს აქვს ამოსაღები მნიშვნელოვანი ოდენობის პრობლემური სესხები, მაშინ ბანკმა უნდა განაცალკევოს პრობლემური სესხების გადაჭრის ფუნქცია დაკრედიტების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სამსახურის ფუნქციიდან. თითოეული სტრატეგია და პრობლემური სესხების გადაჭრის შედეგები ადმინისტრირებულ უნდა იქნეს მონაცემებში, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც მონაცემები, რომელსაც კრედიტების გაცემის ან რესტრუქტურირების ფუნქციით გამოიყენებენ.

## თავი III საბაზრო და საპროცენტო რისკები

### მუხლი 14. საბაზრო და საპროცენტო რისკის ცნება

1. საბაზრო რისკი არის ბანკის ბალანსური და გარე-ბალანსური პოზიციის მიხედვით საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი.
2. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო, საფონდო, სავალუტო და სასაქონლო პოზიციების რისკებს. წინამდებარე დოკუმენტით მოცული იქნება საბაზრო რისკის მხოლოდ საპროცენტო და სავალუტო რისკების კომპონენტები.
3. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ბანკის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის საქმიანობისგან, როგორცაა ინვესტიციების განხორციელება ფასიან ქაღალდებსა და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, სხვა კომპანიათა კაპიტალში წილობრივი მონაწილეობით, სესხების გაცემით, სავალო ინსტრუმენტების გამოცემით, ვაჭრობის დაფინანსებით და სხვ.
4. საპროცენტო რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც გამომწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილების შედეგად.
5. სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ბანკის უცხოურ ვალუტაში ფორმირებული აქტივების გაუფასურების რისკი.

### მუხლი 15. სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის პასუხისმგებლობა საპროცენტო რისკის სტრატეგიაზე და პოლიტიკის განხორციელებაზე

1. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ჰქონდეს საპროცენტო რისკის სახეებისა და დონის ადეკვატური აღქმა.
2. პოლიტიკისა და სტრატეგიის დამტკიცების პროცესში სამეთვალყურეო საბჭომ თავისი თანხმობა უნდა დაუკავშიროს ბანკის მიერ განხორციელებული ბიზნესის საერთო მიზნებს.
3. ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს საპროცენტო რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა და სტრატეგია და უზრუნველყოს, რომ ბანკის დირექტორატმა გაატაროს სათანადო ღონისძიებები ამ რისკის მონიტორინგის და კონტროლის მიზნით.
4. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული დირექტორატის მიერ პროცენტულ რისკთან დაკავშირებით, რომელიც მისი მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების ნაწილს წარმოადგენს.
5. ბანკის დირექტორატი პასუხისმგებელი უნდა იყოს, რომ ბანკს ჰქონდეს ადეკვატური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო რისკების სამართავად, განსაკუთრებით საოპერაციო საქმიანობასთან მიმართებაში.
6. დირექტორატი ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს

იმისათვის, რომ დაცულ იქნეს:

- ა) საპროცენტო რისკის ლიმიტები;
- ბ) საპროცენტო რისკის შეფასების სტანდარტები და სისტემები;
- გ) პოზიციის შეფასების სტანდარტები და მოხდეს საპროცენტო რისკით გამოწვეული შედეგების შეფასება;
- დ) საპროცენტო რისკის აღრიცხვა და განხილვა საპროცენტო რისკის მართვის მიზნით;
- ე) შიდა კონტროლი საპროცენტო რისკის მართვის მიზნით.

### მუხლი 16. პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტების დაწესება

1. ბანკს უნდა ჰქონდეს კომპლექსური წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო რისკის სამართავად.
2. პოლიტიკაში და პროცედურებში ჩამოყალიბებული და გადმოცემული უნდა იყოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პროცენტული რისკის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თაობაზე და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს გამოყენებული (ნებადართული) ინსტრუმენტები, ჰეჯირების სტრატეგია და პოზიციის წარმოქმნის შესაძლებლობები.
3. საპროცენტო რისკის შესახებ პოლიტიკამ ასევე უნდა განსაზღვროს რაოდენობრივი პარამეტრები, რომლებიც საპროცენტო რისკის შეფასებისას გამოყენებული მეთოდებიდან გამომდინარეობს, როგორცაა მაგალითად საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობა, მოგება რისკებიდან, კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება, რათა წარმოდგენილ იქნეს ბანკის საპროცენტო რისკისადმი ამტანობის დონე.
4. საპროცენტო რისკის შესახებ არსებული პოლიტიკა და პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, რეგულარულად უნდა იქნეს განხილული და გადასინჯული რისკის მართვის სამსახურის ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ, შიდა აუდიტის სამსახურის ან გარე აუდიტორის მიერ, რომელიც კომპეტენტურია საპროცენტო რისკის მართვის საკითხებში.

### მუხლი 17. საპროცენტო რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

1. ბანკს მოეთხოვება ზუსტად დაადგინოს საპროცენტო რისკი აქტივების, დერივატივებით ოპერაციების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით როგორც კონკრეტულ ბიზნესში, ისე ბანკის საქმიანობაში მთლიანად.
2. საპროცენტო რისკის შეფასების მიზნით, საბაზრო ფასით შეფასებული აქტივები, ვალდებულებები და გარესაბალანსო ანგარიშები უნდა დაჯგუფდეს სავაჭრო ჟურნალში, ხოლო არასაბაზრო ფასით შეფასებული ოპერაციები და პოზიციები უნდა დაჯგუფდეს საბანკო ჟურნალში. როგორც წესი, ამ საბანკო ჟურნალის პოზიციები, როგორცაა ფა-

- სიანი ქალაქები ან ობლიგაციები საინვესტიციო პორტფელში, არ არის გამიზნული მოკლევადიანი მოგების მისაღებად და მათ დაფარვამდე იქნებიან შენახული.
3. საბაზრო ფასით შეფასების პროცესი წარმოადგენს ერთ-ერთ ტექნოლოგიას, რომელიც ასახავს აქტივების, დერივატივებით განხორციელებული ოპერაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებას, რაც ასევე წარმოადგენს ამ აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რისკის შეფასების შესაფერის მეთოდს.
  4. საბაზრო ფასით შეფასების პროცესის ადეკვატურობა და სიზუსტე შემოწმებული უნდა იქნეს იმ მხარის მიერ, რომელიც დამოუკიდებელია საოპერაციო სტრუქტურისგან და აქვს შესაბამისი კომპეტენცია, როგორცაა, მაგალითად, რისკების მართვის სტრუქტურა.
  5. ბანკებს, რომლებიც ქმნიან შიდა მოდელებს, შეუძლიათ გამოიყენონ VAR მეთოდი, რათა შეაფასონ ნებისმიერი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლების შეცვლის შედეგად კონკრეტული პოზიციით ან პორტფელით გამოწვეული მაქსიმალური ზარალი მოცემულ ინტერვალში. შეფასება VAR მეთოდის გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით, როგორცაა დისპერსია/კოვარიაცია, ისტორიული სიმულაცია და მონტე კარლოს სიმულაცია.
  6. შემოწმების განხორციელებისას სტატისტიკურ შედეგებსა და საპროცენტო განაკვეთის გამოყენებაში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით ბანკმა უნდა გამოიყენოს მისი საკუთარი მონაცემთა წყარო, ციფრები და შემუშავებული კრიტერიუმები, რომლებიც არ ეყრდნობა სხვა მხარეებიდან მიღებულ მონაცემებს.
  7. სხვადასხვა საქმიანობისთვის დამახასიათებელი საპროცენტო რისკის შეფასებისას ბანკს უნდა შეეძლოს შეაფასოს მინიმუმ რამდენიმე პარამეტრი, მათ შორის:
    - ა) საპროცენტო განაკვეთის მერყეობით გამოწვეული პოტენციური ზარალი;
    - ბ) საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ვადების მიხედვით.
  8. საჭიროების შემთხვევაში, ბანკმა შეიძლება კორექტივები შეიტანოს ან გააუმჯობესოს შეფასების კრიტერიუმები და პროცესი იმ მიზნით, რომ უფრო ზუსტად შეაფასოს საპროცენტო რისკი გამოყენებული საპროცენტო განაკვეთის სპრედის გაკორექტირებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.
  9. ბანკმა უნდა შეაფასოს და განახორციელოს თითოეული ოპერაციის კომპლექსური დაანგარიშება, რათა უზრუნველყოს საერთო საპროცენტო რისკის მონიტორინგი რეალურ დროში.
  10. ბანკმა უნდა განახორციელოს თვეში ერთხელ მონიტორინგი ლიმიტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, ხოლო ლიმიტების ნებისმიერი გადაჭარბება და შემდგომი ღონისძიება ამ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით ყოველ დღე უნდა მოხსენდეს დირექტორატს ან შესაბამის პასუხისმგებელ პირს, შინაგანაწესისა და უფლებამოსილებების შესაბამისად.
  11. საპროცენტო რისკის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს მონიტორინგი გაუნიოს საპროცენტო განაკვეთის ყოველდღიურ ცვლილებას და ამ ცვლილებების გავლენას ბანკის მოგებასა და კაპიტალზე.
  12. ბანკს, რომელიც აქტიურად აწარმოებს ოპერაციებს დერივატივებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, უნდა ჰქონდეს სისტემა, რომელსაც შეეძლება ყოველდღიური მონიტორინგი გაუნიოს საპროცენტო განაკვეთს (სავაჭრო ჟურნალი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას, და იმ დონემდე განავითაროს ეს სისტემა, რომ შესაძლებელი იყოს ამ ცვლილებების მონიტორინგი რეალურ დროში.
  13. რისკების მართვის სტრუქტურა პასუხისმგებელი უნდა იყოს დროული და ზუსტი ანგარიშების მომზადებისა და გავრცელებისათვის შემდეგთან დაკავშირებით:
    - ა) საბაზრო ფასით მოგებისა და ზარალის შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც კლასიფიცირებული იქნება პროდუქტების, ოპერაციებისა და რისკის სახეობების მიხედვით;
    - ბ) რისკის მგრძობელობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გავლენის შედეგად მიღებული ზარალის მიმართ;
    - გ) პოტენციური ზარალი, რომელიც შეიძლება წამოიქმნას საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად.
  14. რისკების მართვის სტრუქტურამ რეგულარულად უნდა შეისწავლოს საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის დინამიკა ან ბაზრის ზეგავლენის შესაძლებლობა. ამ შესწავლის შედეგები უნდა მოხსენდეს რისკის მართვის სტრუქტურას და დირექტორატს, როგორც არსებული საპროცენტო განაკვეთის რისკისა და დაწესებული ლიმიტების განხილვის შესახებ ინფორმაცია.

## მუხლი 18. საპროცენტო განაკვეთის რისკის კონტროლი

1. რისკების კონტროლი და საოპერაციო განყოფილების მენეჯმენტის პასუხისმგებლობა დაფარვის ვადამდე არსებულ პოზიციებზე (საბალანსო მუხლები) გათვალისწინებული უნდა იყოს ბანკის საორგანიზაციო სტრუქტურაში, რომელიც სხვაგანადაც ერთად უნდა მოიცავდეს:
  - ა) პოზიციების შედარებას, რომელიც იმართება და აღირიცხება მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში;
  - ბ) მოგებისა და ზარალის სიზუსტის კონტროლი და შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ აქტებთან და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებთან, კერძოდ, დისკონტის აღიარებასთან, პრემიების გატარებასთან და სხვ.;
  - გ) სათანადო რეგერვების კლასიფიკაცია და შექმნა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.
2. კაპიტალის ბაზარზე გატანილი ფასიანი ქალაქებისა და ობლიგაციებისთვის ბანკმა უნდა გამოიყენოს შიდა კონტროლი, რომელიც მიზნად ისახავს ამ ფასიანი ქალაქებისა და ობლიგაციების

- საკრედიტო სპრედის მონიტორინგს, შეადარებს რა ამ პორტფელის პოზიციებიდან მიღებულ მოგებას სახელმწიფო სავალსე ვალდებულებებთან.
3. მიუხედავად დარეგულირების სამართლებრივი კრიტერიუმებისა, თუ ბანკს მიაჩნია, რომ საკრედიტო სპრედი ფართოვდება, ბანკმა უნდა განახორციელოს ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების გამოშვების მდგომარეობისა და პერსპექტივის ანალიზი. თუ ანალიზის შედეგები მიანიშნებს დეფოლტის მზარდ შესაძლებლობაზე, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა გაატაროს ღობისძიებები სესხების შესაძლო დანაკარგების რეგულირების შექმნის მიზნით.
  4. თუ დადგინდა დეფოლტის მზარდი შესაძლებლობა, ბანკმა უნდა დააწესოს მკაცრი მონიტორინგი ფასიანი ქაღალდებსა და ობლიგაციებზე და გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები დანაკარგების შესამცირებლად.
  5. იმ ფასიანი ქაღალდებთან და ობლიგაციებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იყიდება ან არ არის გატანილი ბაზარზე, ბანკმა რეგულარულად უნდა განიხილოს ემიტენტების მდგომარეობა, კრედიტუნარიანობა და გადახდისუნარიანობა. განხილვა უნდა მოხდეს ფინანსური ანგარიშგებების, ფულადი ნაკადების შესახებ პროგნოზებისა და ემიტენტებთან დაკავშირებული ყველა სხვა სათანადო დოკუმენტაციის შეგროვებითა და ანალიზით. ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების რეგულარული განხილვა უნდა იყოს დოკუმენტირებული და იგი უნდა მოხდეს სულ ცოტა ორ თვეში ერთხელ.
  6. თუ ბანკი მონაწილეობს დერივატივების ხელშეკრულებებში, როგორცაა საპროცენტო განაკვეთის სვოპები, მაშინ ბანკმა, როგორც ჰეჯირებისა და ავმ-ის სტრატეგიის გამოყენების ნაწილი, უნდა უზრუნველყოს, რომ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შეესაბამებოდნენ მოქმედ სამართლებრივ დებულებებსა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.
  7. თუ ოპერაციები ხორციელდება ჰეჯირების მიზნით, მაშინ ბანკმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს პასუხისმგებლობა და შიდა კონტროლი იმისათვის, რომ:
    - ა) უზრუნველყოს, რომ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებმა არ გამოიწვიოს შეცდომები შემოსავლების აღიარებაში;
    - ბ) შეამოწმოს, რომ ოპერაციები ეფექტიანად განხორციელდეს აქტივ/ვალდებულებების კომიტეტის ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად და რომ ოპერაციებმა შეამციროს საერთო საპროცენტო განაკვეთის რისკი;
    - გ) რეგულარულად შეაფასოს ჰეჯირების ეფექტიანობა, კერძოდ ჰეჯირების კოეფიციენტის დაანგარიშებაში და დროგამოშვებით შეადაროს ეს კოეფიციენტი;
    - დ) უზრუნველყოს, რომ ოპერაციების შესახებ ხელშეკრულებები მართული იყოს დაფარვის ვადამდე;
    - ე) შეამოწმოს, რომ ბანკის შიდა ოპერაციებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვადები და პირობები სრულდებოდეს;

- 3) ხელახლა შეაფასოს მეორე მხარის კრედიტუნარიანობა და აღკვეთოს განთავსების კონცენტრაცია იმ საფუძველზე, რომ დეფოლტის შემთხვევაში ჰეჯირების სტრატეგია არაეფექტიანი გახდეს.

### მუხლი 19. სავალსეთო რისკის კონტროლი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან

ბანკის დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკის საოპერაციო სტრუქტურები, რომლებიც ჩამოყალიბებულია პროდუქტებით ვაჭრობასა და სავალსეთო რისკის მართვით ოპერაციების განხორციელებაში, ისეთი პერსონალით დაკომპლექტდნენ, რომელსაც ესმის:

- ა) რისკების არსი საბაზრო ოპერაციებთან მიმართებაში;
- ბ) ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სავალსეთო რისკზე;
- გ) სხვა რისკები, რომლებიც საბაზრო ოპერაციების განხორციელების შედეგად ჩნდება.

### მუხლი 20. სავალსეთო რისკის მართვის პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტების დანესება

1. ბანკს უნდა ჰქონდეს კომპლექსური, წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები სავალსეთო რისკის მართვასთან დაკავშირებით.
2. პოლიტიკასა და პროცედურებში გათვალისწინებული და აღწერილი უნდა იყოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, რომელიც დაკავშირებული იქნება სავალსეთო რისკის მართვის შესახებ გადამწყვეტილებების მიღებასთან და მკაფიოდ უნდა განსაზღვროს უფლებამოსილი ინსტრუმენტები, ჰეჯირების სტრატეგია და პოზიციების დაკავების შესაძლებლობები.
3. სავალსეთო რისკის პოლიტიკამ ასევე უნდა დაადგინოს რაოდენობრივი პარამეტრები, რომლებიც ბანკის რისკების მიმართ ტოლერანტობას ასახავს.
4. სავალსეთო რისკის პოლიტიკა და პროცედურები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ განხილვასა და გადასინჯვას, - იქნება ეს რისკის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული თუ შიდა აუდიტის სამსახურის ან კომპეტენტური გარეშე მხარის მიერ, - საერთო საბაზრო მდგომარეობით გამოწვეულ ნებისმიერ შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საზედამხებელო სტრუქტურის მხრიდან იქნება რაიმე აკრძალვა კონკრეტული ვალსეთის გამოყენებით ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით.
5. ბანკის მიერ გამოყენებული პროცედურები უნდა იყოს ადეკვატური თითოეული საერთო ლია სავალსეთო პოზიციასთან (როგორც კრებსითი, ისე საბალანსო) მიმართებაში და შეეძლოს მისი ყოველდღიური ზუსტი დაანგარიშება.
6. ბანკმა უნდა დააწესოს თანამიმდევრული შიდა ლიმიტები წმინდა საერთო ლია სავალსეთო პოზიციებზე, რათა აღკვეთოს შესაბამისი კანონმდებლო-

ბით დადგენილი ლიმიტების ნებისმიერი გადაჭარბება, კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა შიდა დაწესებულებული ლიმიტი იქნა გამოყენებული.

7. უცხოური ვალუტით ოპერაციების განხორციელებისას დაწესებული ლიმიტები და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ინსტრუმენტები უნდა შეესაბამებოდეს საერთო რისკების მართვის პოლიტიკას, უნდა იძლეოდეს კონსოლიდაციის საშუალებას და მოიცავს ბანკის ყველა სტრუქტურა, რომელსაც სარისკო პოზიციები აქვთ უცხოურ ვალუტაში.

## მუხლი 21. სავალუტო რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

- ბანკმა უნდა განახორციელოს სავალუტო რისკის შემცველი აქტივების, დერივატივებით განხორციელებული ოპერაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ზუსტი დადგენა, როგორც კონკრეტულ საქმიანობაში, ისე ბანკის საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით.
- სხვადასხვა საქმიანობისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკის შეფასებისას ბანკს უნდა შეეძლოს შეაფასოს სულ ცოტა რამდენიმე პარამეტრი, მათ შორის:
  - გაცვლითი კურსის ცვალებადობით გამოწვეული შესაძლო ზარალი, თანხების განთავსების კუთხით, მათ შორის გარესაბალანსო ოპერაციები;
  - კურსთა ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ზარალი, თანხების მოზიდვის კუთხით, მათ შორის გარესაბალანსო ვალდებულებები.
- სავალუტო რისკის შეფასებისას ბანკმა ამ პარამეტრების გარდა ასევე უნდა გაითვალისწინოს სტრუქტურული და სტრატეგიული ფაქტორები:
  - სტრუქტურულ ფაქტორებს განეკუთვნება:
    - ბანკის კაპიტალის დონე, სავალუტო რისკის გათვალისწინებით, მოქმედი კანონის შესაბამისად;
    - შესაძლო ცვალებადობა ბანკის კაპიტალის კოეფიციენტებში, გაცვლითი კურსის უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ანგარიშებთან/პოზიციებთან თანაფარდობის დაანგარიშების საფუძველზე;
  - სავალუტო რისკი, როგორცაა: სავალუტო რისკის მატარებელი პორტფელების მოცულობა და სტაბილურობა, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული შემოსავლები და ხარჯები, თანხვედრის არარსებობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის უცხოურ ვალუტაში.
  - სტრატეგიულ ფაქტორებს განეკუთვნება:
    - ჰეჯირების ეფექტიანობა სავალუტო რისკის გაკონტროლებისას, როგორცაა ფულადი ნაკადების შესაბამისობა, გეგმური შემოსავლების ჰეჯირება და ფინანსური ხელშეკრულებების გამოყენება, როგორცაა ფიუჩერსები და ოფციონები;
    - უცხოურ ვალუტაში დენომინირებული პოზიციების მოცულობა და დაფარვის ვადა;
    - ვალუტებს შორის თანხვედრის არარსებობის შემთხვევაში მათი მოცულობა და დაფარვის ვადა;
    - ცვლილებების გავლენა ბანკის ბიზნესსტრატეგიაზე.

- გარეშე ფაქტორები, როგორცაა: ეკონომიკური გარემოს გავლენა, მარეგულირებელი ცვლილებები, კონკურენცია ბაზარზე და სხვ..
- ბანკმა უნდა განახორციელოს თითოეული ოპერაციის ზუსტი შეფასება და დაანგარიშება, რათა უზრუნველყოს, რომ საერთო სავალუტო რისკის მონიტორინგი ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი.
- ბანკმა უნდა განახორციელოს ლიმიტებთან შესაბამისობისა და ლიმიტების ნებისმიერი გადაჭარბების ყოველდღიური მონიტორინგი და მის თაობაზე ყოველ დღე აცნობოს დირექტორთა საბჭოს ან შესაბამის თანამშრომლებს, შინაგანაწესისა და უფლებამოსილებების შესაბამისად.
- საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს მონიტორინგი გაუწიოს გაცვლითი კურსის განაკვეთის ყოველდღიურ ცვლილებას და ამ ცვლილებების გავლენას ბანკის შემოსავლებსა და კაპიტალზე.
- ბანკს, რომელიც აქტიურად ანარმოებს ოპერაციებს დერივატივებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, უნდა ჰქონდეს სისტემა, რომელსაც შეეძლება ყოველდღიური მონიტორინგი გაუწიოს სავალუტო რისკს და გაცვლითი კურსის განაკვეთის ცვლილებას და იმ დონემდე განავითაროს ეს სისტემა, რომ შესაძლებელი იყოს ამ ცვლილებების მონიტორინგი რეალურ დროში.
- რისკის მართვის სტრუქტურა პასუხისმგებელი უნდა იყოს დროული და ზუსტი ანგარიშების მომზადებასა და გავრცელებაზე შემდეგთან დაკავშირებით:
  - სავალუტო რისკით გამოწვეული მოგება და ზარალი;
  - რისკის მგრძობელობა საბაზრო სავალუტო კურსის ცვლილების გავლენის შედეგად მიღებული ზარალის მიმართ;
  - პოტენციური ზარალი, რომელიც შეიძლება წამოიქმნას საბაზრო სავალუტო კურსის განაკვეთის ცვლილების შედეგად.
- რისკების მართვის სტრუქტურამ რეგულარულად უნდა შეისწავლოს გაცვლითი კურსის განაკვეთის ცვალებადობის დინამიკა ან ბაზრის ზეგავლენის შესაძლებლობა. ამ შესწავლის შედეგები უნდა მოხსენდეს რისკის მართვის სტრუქტურას და დირექტორატს, როგორც არსებული სავალუტო რისკისა და დაწესებული ლიმიტების განხილვის შესახებ ინფორმაცია.

## მუხლი 22. სავალუტო რისკის კონტროლი

- ბანკმა უნდა განახორციელოს სავალუტო რისკის კონტროლი შემდეგი მიზნით:
  - უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოგების და/ან უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხარჯების ჰეჯირება, უცხოური ვალუტის განაკვეთებში არახელსაყრელ ცვლილებებთან მიმართებაში;
  - პრუდენციული პრინციპების გათვალისწინება და სათანადო ჰეჯირების სტრატეგიის შერჩევა, ფულადი სახსრებით უზრუნველყოფისა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საკრედიტო რისკის



- გ) მატარებელი ოპერაციებისთვის;
- შექმნას სათანადო რეგერვები ეროვნულ ვალუტაში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისათვის.
- 2. ბანკის საქმიანობის სახეებს ან სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, რომელთათვისაც არ არის დაწესებული სავალუტო პოზიციის ლიმიტები, არ უნდა ჰქონდეთ სავალუტო რისკის შემცველი ოპერაციების განხორციელების უფლება, რაც საშუალებას მისცემს დაუყოვნებლივ დადგინდეს ნებისმიერი ნებადაურთავი პოზიცია და გადაიჭრას პრობლემები.
- 3. აუცილებლად უნდა განხორციელდეს სავალუტო რისკის სათანადო კონტროლი და მისი ეფექტიანი გამოყენება მოქმედი კანონებით გათვალისწინებული ლიმიტებისა და მოთხოვნების დაცვის მიზნით.

## თავი IV ლიკვიდობის რისკი

### მუხლი 23. ლიკვიდობის რისკის ცნება

1. ლიკვიდობის რისკი არის ბანკის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში. ლიკვიდობის რისკი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:
  - ა) საბაზრო ლიკვიდობის რისკი, კერძოდ რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ბანკმა ვერ უზრუნველყოს გარკვეული პოზიციების დაბალანსება საბაზრო ფასებით;
  - ბ) დაფინანსების ლიკვიდობის რისკი, კერძოდ რისკი იმისა, რომ ბანკმა ვერ უზრუნველყოს აქტივების ფულად ფორმაში გადაყვანა ან სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან.
2. ლიკვიდობის რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვ.
3. ლიკვიდობის რისკის მართვა უკიდურესად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდობის პრობლემები შეიძლება დამანგრეველი იყოს არამართო ბანკისათვის, არამედ მთლიანად საბანკო სექტორისათვის.

### მუხლი 24. ლიკვიდობის რისკის კონტროლი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან

1. ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა უნდა გააცნობიერონ ლიკვიდობის რისკი და აქტიურად იმუშაონ, რათა რეგულარულად დაამტკიცონ და შეაფასონ ლიკვიდობის რისკის პოლიტიკა და სტრატეგია.
2. ლიკვიდობის რისკის პოლიტიკამ და სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს რისკის ტოლერანტობა და მისი გავლენა კაპიტალზე, მხედველობაში იქნება

3. დირექტორატმა უნდა შეიმუშავოს ლიკვიდობის რისკის პოლიტიკა და სტრატეგია და გააცნოს იგი ყველა შესაბამის სტრუქტურას და შეაფასოს ამ პოლიტიკისა და სტრატეგიის გამოყენება.
4. დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მომზადება და მათი კომპეტენციის განვითარება, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.
5. დირექტორატმა აქტიურად უნდა შეაფასოს ბანკის ლიკვიდობის პოზიცია არამართო მიმდინარე ადეკვატურობის საფუძველზე, არამედ შეაფასოს დაფინანსების სტრატეგიის გამოყენება, კერძოდ, არახელსაყრელი საბაზრო პირობების საფუძველზე.

### მუხლი 25. ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტების დადგენა

1. ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკა უნდა შეიქმნას ბანკის მისიის, ბიზნესსტრატეგიის, კაპიტალის ადეკვატურობის, ადამიანური რესურსებისა და რისკისადმი მიდრეკილების შესაბამისად.
2. ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკა პერიოდულად უნდა შეფასდეს, განახლდეს და ფხვდაფხვ მიჰყვეს ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის, დანიშნულების, ბიზნესსტრატეგიისა და მთლიანი კაპიტალის ცვლილებებს. ბანკს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა დაფინანსების, ანგარიშგებისა და ლიკვიდობის შეფასებისათვის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით.
3. ლიკვიდობისა და დაფინანსების სტრატეგიის თანახმად, უფლებამოსილებები უნდა მიენიჭოს კონკრეტულ სტრუქტურას, რომ მან განსაზღვროს ბაზარი, ინსტრუმენტები და ოპერაციები შესაბამის მხარეებთან. პოლიტიკით ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პრობლემების გადაჭრა, რომლის დროსაც ყურადღება უნდა გამახვილდეს ლიკვიდობის რისკზე და იმ ფაქტზე, რომ ბანკი აღარ იყოს დამოკიდებული ერთ ან რამდენიმე ინსტრუმენტზე, მხარესა ან ბაზრის კონკრეტულ სეგმენტზე.
4. დირექტორატის მიერ დამტკიცებული ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები უნდა გაეცნოს და სათანადოდ განხორციელდეს იმ სტრუქტურების მიერ, რომლებიც ლიკვიდობის რისკის მატარებელ საქმიანობას კურირებენ.
5. ბანკის ლიკვიდობის და დაფინანსების პოლიტიკამ და მართვამ უნდა განსაზღვროს ლიმიტები, რომლებიც თანაიმდევრულად იქნება განხორციელებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდობის უკმარისობა, გეპის კონცენტრაცია და დამოკიდებულება რაიმე კონკრეტულ მხარეზე, ინსტრუმენტსა თუ საბაზრო სეგმენტზე.
6. დადგენილი ლიმიტები უნდა იყოს თანამიმდევრული და შეესაბამებოდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ გეგმის ეფექტიანი

გამოყენება. ბანკმა უნდა დააწესოს სპეციალური მოკლევადიანი დაფინანსების ლიმიტები, განსაკუთრებით ბაზარზე წარმოქმნილ „ოვერნაით“ დაკრედიტებასთან დაკავშირებით.

7. ლიმიტების დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მინიმუმ შემდეგი ასპექტები:
  - ა) რეგულარული დაფინანსების აუცილებლობა ან ჭარბი ლიკვიდობა;
  - ბ) შესაბამისობა საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციებთან;
  - გ) საერთო ლიკვიდობა ბანკთაშორის ფულად ბაზარზე და ლიკვიდობის ნაკლებობის შესაძლებლობა წარსული გამოცდილების საფუძველზე;
  - დ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა და ლიკვიდობის ხელმისაწვდომობა;
  - ე) დადგენილი ლიმიტები განხილული და კორექტირებული უნდა იქნეს საერთო საბაზრო გარემოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებისას.
8. ლიკვიდობის რისკის დადგენის პოლიტიკა, პროცედურები და პროცესი სრულად უნდა იქნეს დოკუმენტირებული წერილობითი ფორმით, რაც ხელს შეუწყობს აუდიტის განხორციელებას.

## მუხლი 26. ლიკვიდობის რისკის დადგენა, შეფასება და მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

1. ბანკმა ზუსტად უნდა განსაზღვროს და გააანალიზოს ლიკვიდობის რისკის მატარებელი საბანკო პროდუქტები, ოპერაციები და საქმიანობა.
2. ბანკმა უნდა გააანალიზოს ნებისმიერი ზეგავლენის შესაძლებლობა ლიკვიდობის პოზიციასთან დაკავშირებით, სხვადასხვა სცენარის გამოყენებით, რადგან ბანკის ლიკვიდობის პოზიცია დამოკიდებულია ფულად ნაკადებზე სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით.
3. ბანკმა შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა სცენარი, რათა შეაფასოს:
  - ა) ფულადი ნაკადები და ბანკის ლიკვიდობის პოზიცია ნორმალურ პირობებში;
  - ბ) ინდივიდუალური ბანკის მდგომარეობა კრიზისის დროს, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიხატება მის მიერ ბანკის ვალდებულებების უმეტესობის გადახდის უუნარობაში;
  - გ) საბანკო სისტემის მდგომარეობა კრიზისის დროს, რომელიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, გამოიხატება საბანკო სისტემის ლიკვიდობასთან დაკავშირებულ უმეტეს ან ყველა პრობლემაში;
  - დ) ამ სცენარების გამოყენებისას ბანკმა უნდა შეიმუშაოს დაშვებები ფულად ბაზარზე მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდობის მომავალ აუცილებლობასთან და ბანკის მიერ ფულად ბაზარზე ლიკვიდობის გაზრდის უნართან დაკავშირებით.
4. ლიკვიდობის რისკის შეფასების მასშტაბმა უნდა მოიცვას:
  - ა) დაფინანსების სტრუქტურა, კერძოდ დეპოზიტების სტრუქტურის შეფასება სახეობის, ვადიანობის, ვალუტის, საპროცენტო განაკვეთის, თანხების მფლობელების, თანხების საკუთრების კონცენ-

- ბ) ტრაციის მიხედვით;
  - ბ) მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, კერძოდ ფულადი ნაკადების ყველა შემოდინების და გადინების შეფასება, მათ შორის დაფინანსების აუცილებლობა, რათა დაკმაყოფილდეს გარესაბალანსო მუხლების ვალდებულებები, მომავალში დაფინანსების ნაკლებობის ნებისმიერი შესაძლებლობის დასადგენად;
  - გ) ბაზარზე ხელმისაწვდომობა, კერძოდ ბანკის უნარი გაზარდოს ლიკვიდობა ბაზარზე როგორც ნორმალურ, ისე ანომალურ პირობებში;
  - დ) აქტივების გასაფლობა (საბაზრო თვალსაზრისით), კერძოდ იმ აქტივების შეფასება, რომლებიც შეიძლება ფულად გადაიქცნენ, განსაკუთრებით ანომალურ პირობებში (კრიზისის დროს), როდესაც ბანკს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა ვალდებულება საკუთარი პოზიტიური ფულადი ნაკადებიდან და ფულად ბაზარზე ნასესხები სახსრებიდან.
5. ლიკვიდობა შეიძლება დაანგარიშდეს გეპის გამოყენებით ყველა სცენართან მიმართებაში, როდესაც ფულადი ნაკადები მომზადდება გეპის ან შეფასებების საფუძველზე, ბანკის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.
  6. თუ ფულადი ნაკადები მზადდება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, მისი სიმუსტე რეგულარულ განხილვას უნდა დაექვემდებაროს. ამასთან, პროგნოზირების დროს გამოყენებული დაშვებები და ცვლადები განხილულ უნდა იქნეს საბაზრო პირობების ცვლილებების, ბანკთაშორისი კონკურენციისა და კლიენტურის ქცევის ცვლილების კუთხით.
  7. ლიკვიდობის რისკის მონიტორინგის მიზნით, ბანკმა უნდა შეაფასოს დეპოზიტორების თანხების სტაბილურობა და დინამიკა და მოამზადოს ყველაზე ცუდი სცენარი დინამიკაზე დაკვირვების საფუძველზე, ამ დაკვირვების განმავლობაში თანხების გატანის ყველაზე მაღალი განაკვეთის მიხედვით, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბანკმა წარსულში უკვე მიიღო თანხების სწრაფად გატანის გამოცდილება.
  8. ბანკმა უნდა შეაგროვოს მონაცემები და რეგულარული (ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური და სხვა ინტერვალებით) მონიტორინგი გაუწიოს ლიკვიდობის პოზიციას და იმ შესაძლო დანაკარგებს, რომელიც ბანკმა ლიკვიდობის რისკის შედეგად, მათ შორის ლიკვიდობის პოზიციის გეპის მართვით შეიძლება მიიღოს.
  9. ბანკმა უნდა განახორციელოს იმ ფაქტორების რეგულარული განხილვა, რომლებიც პასუხისმგებელია ლიკვიდობის რისკზე და ამ ფაქტორების კავშირი იმ დანაკარგებთან, რომლებიც შეიძლება ბანკმა განიცადოს.
  10. ლიკვიდობის რისკის მონიტორინგის მიზნით რისკის მართვის სტრუქტურამ უნდა მოამზადოს ანგარიშები ლიკვიდობის რისკფაქტორებით გამონეული დანაკარგების შესახებ და გადასცეს ისინი რისკის მართვის კომიტეტსა და დირექტორთა საბჭოს.
  11. ზუსტი და დროული ინფორმაციისა და ანგარიშების უზრუნველყოფა ბანკის ლიკვიდობის მდგომარე-

ობის, გეპის პროფილისა და ფულადი ნაკადების მდგომარეობის შესახებ, საინფორმაციო სისტემა გარე და შიდა ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესაბამისად უნდა იქნეს შედგენილი და შემუშავებული, მან უნდა დააკმაყოფილოს სების მოთხოვნები ბუღალტრულ აღრიცხვასთან და სპეციალური ანგარიშგებების წარმოდგენასთან დაკავშირებით.

12. გაანალიზოს წარმოდგენილი ანგარიშები და ანალიზის შედეგები რეგულარულად წარუდგინოს შესაბამისს კოლეგიალურ ორგანოებს, შიდა აუდიტსა და ხაზინას, ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგების სიხშირე შეიძლება გაიზარდოს, თუ ანალიზიდან გაირკვევა, რომ ბანკი შეიძლება დადგეს ლიკვიდობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე.
13. ბანკმა დაუყოვნებლად უნდა გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რათა აღმოფხვრას ავტომატურ პროცესში არსებული სუსტი მხარეები იმით, რომ ადეკვატური და დროული შიდა კონტაქტი იქონიოს სახაზინო სტრუქტურასთან, რათა იგი დროულად იქნეს ინფორმირებული თანხების დიდი ოდენობით და მოულოდნელი გადინების შესახებ.
14. საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებული ანგარიშები რეგულარულად უნდა იქნეს შემოწმებული მათი ეფექტიანობისა და საიმედოობის თვალსაზრისით, ლიკვიდობის გეპის ყველაზე ბოლო მდგომარეობის შესაბამისად, იქნება ეს გრძელი თუ მოკლე პოზიცია.

### მუხლი 27. ლიკვიდობის რისკის კონტროლი

1. ბანკს უნდა ჰქონდეს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმა, რათა თავიდან აიცილოს ლიკვიდობის ნებისმიერი შესაძლო დანაკლისი, რომელმაც შეიძლება ბანკის მიერ სხვა მხარეების ვალდებულებებთან დაკავშირებული დეფოლტი გამოიწვიოს.
2. გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმამ უნდა მოიცავს დაშვებები და ბუსტი შეფასებები შემდეგთან დაკავშირებით:
  - ა) სადემოზიტო თანხების სტაბილურობის დადგენა და გამავალი თანხების მოძრაობა სტატისტიკური შეფასებების საფუძველზე;
  - ბ) ფასიანი ქაღალდების ფასების ლოგიკური დონეები იმ შემთხვევებისათვის, თუ ფასიანი ქაღალდები გაიყიდება;
  - გ) ლიკვიდობის რეზერვები და აქტივები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს გირაოს სახით იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მოიზიდავს ნასესხებ თანხებს, როგორცაა რეპოლოპერაციები და სავალუტო სვოპები;
  - დ) დეფოლტის შესაძლებლობა დებიტორების ან მსესხებლების (სხვა მხარეების) მხრიდან ვალდებულებების დროული დაკმაყოფილების თვალსაზრისით;
  - ე) თანხების გადინების შესაძლებლობა გარესაბალანსო ოპერაციებთან მიმართებაში.

3. ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს გაუთვალისწინებელი მოვლენების დაფინანსების გეგმის შემოწმება, რათა დაადგინოს თანხების ოდენობა, რომლებიც შეიძლება მოიზიდოს მუდმივი მსესხებლებისგან (მხარეებისგან) ან ბაზრის მეშვეობით, იმ სცენარის საფუძველზე, როდესაც არ არსებობს არანაირი გარანტია, სადელამისო სესხის შესაძლებლობა, ბაზარზე არ არის შემცირებული ბანკის საკრედიტო სპრედი.
4. ბანკმა უნდა განიხილოს კლიენტურასთან ურთიერთობის სტრატეგია, დეპოზიტების დივერსიფიკაცია და ბანკის მიერ ლიკვიდური აქტივების გაყიდვის უნარი და უნდა იცოდეს თანხების ოდენობა, რომლის მიღებასაც იგი ბაზრის მეშვეობით შეიძლება, ნორმალურ ან ანომალურ პირობებში.

## თავი V სამართლებრივი რისკი

### მუხლი 28. სამართლებრივი რისკის ცნება

სამართლებრივი რისკი არის რისკი, რომელიც გამოწვეულია სამართლებრივი სისუსტეებით, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს სამართლებრივი მოქმედებები, კანონებსა და ნორმატიულ აქტებში დამხმარე დებულებების უქონლობა ან სამართლებრივად სავალდებულო მოთხოვნების სისუსტე, როგორცაა, მაგალითად, შეუსაბამობა ხელშეკრულებების სამართლებრივ მოთხოვნებთან და სხვ.

### მუხლი 29. სამართლებრივი რისკების კონტროლი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან

1. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიერონ საქმიანობისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და აქტიურად იმუშაონ, პოლიტიკის შესაბამისად დაამტკიცონ და განახორციელონ სამართლებრივი რისკის კონტროლის შეფასება.
2. დირექტორატმა უნდა დაადგინოს და გააკონტროლოს ნებისმიერი ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკები, რათა უზრუნველყოს, რომ ახალმა პროდუქტმა და საქმიანობამ გაიაროს რისკის მართვის პროცესი, მის დანერგვამდე და კლიენტურისთვის შეთავაზებამდე.
3. დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკს ჰქონდეს სამართლებრივი რისკის მიერ ბანკის კაპიტალზე შესაძლო გავლენის დაანგარიშების პოლიტიკა.
4. დირექტორატმა მუდმივად უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელს გააგებინოს სამართლებრივი რისკის არსი, მასთან შესაბამისობის კულტურა და მის მიერ გამოწვეული პრობლემები, ორგანიზაციის ყველა დონეზე.

5. დირექტორატმა ბანკის თანამშრომლები უნდა ჩართოს ბანკის იურიდიულ დეპარტამენტთან ან სხვა შესაბამის სტრუქტურასთან სამართლებრივ რისკთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლებრივი რისკის დაუყოვნებელი აღკვეთა და გაკონტროლება.

### მუხლი 30. სამართლებრივი რისკის კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები

1. ბანკს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი რისკის წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ბანკის ბიზნესსტრატეგიას უნდა შეესაბამებოდეს.
2. სამართლებრივი რისკის კონტროლის პროცედურები დამტკიცებული უნდა იქნეს დირექტორატის მიერ და მის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ორგანიზაციის ყველა დონეზე, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ეს პროცედურები ეფექტურად განხორციელდეს.
3. ბანკს უნდა ჰქონდეს და განახორციელოს ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი რისკის ანალიზის პროცედურები.
4. ბანკს უნდა ჰქონდეს ისეთი სტრუქტურა ან ჰყავდეს თანამშრომელთა ჯგუფი, რომელთა ფუნქცია იქნება “სამართლებრივი ზედამხედველობის” განხორციელება იმ პირების მიმართ, რომლებიც სამართლებრივ ანალიზსა და რჩევებს სთავაზობენ ორგანიზაციის ყველა დონეზე მომუშავეებს.
5. იურიდიულმა სტრუქტურამ/დეპარტამენტმა, რისკების მართვის სტრუქტურამ და რისკების მიმდებმა სტრუქტურებმა ერთობლივად უნდა შეაფასონ გარკვეულ სამართლებრივ დებულებებსა თუ ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების გავლენა სამართლებრივ რისკზე.
6. ბანკს უნდა ჰქონდეს ეთიკის კოდექსი, რომელსაც ყველა თანამშრომელი გამოიყენებს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე, რათა გაუმჯობესდეს შესაბამისობა შიდა პოლიტიკასა და პროცედურებთან და საბანკო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.
7. ბანკმა რეგულარულად უნდა დააკისროს სანქციები იმ პირებსა და თანამშრომლებს, რომელთა მხრიდან დადასტურდება შეცდომები, როგორც ბანკის მიერ დადგენილი პოლიტიკისა და პროცედურების, ინსტრუქციების, წესების, ისე საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების და ბანკის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა.
8. ბანკმა რეგულარულად უნდა შეაფასოს და განახლოს სამართლებრივი რისკის კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, გარე და შიდა მოვლენების შესაბამისად, როგორცაა ცვლილებების შეტანა შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებში.

### მუხლი 31. სამართლებრივი რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

1. ბანკმა უნდა დაადგინოს სამართლებრივი რისკები, რომლებიც ახასიათებს სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის საკრედიტო (თანხებით უზრუნველყოფა), სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობას და მომსახურებას, ვაჭრობის დაფინანსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისა და ადამიანური რესურსების მართვას.
2. ბანკმა სამართლებრივ რისკთან დაკავშირებული ყველა მოვლენა, მათ შორის ამ მოვლენებით გამოწვეული ყველა პოტენციური ზარალის ოდენობა უნდა აღრიცხოს მონაცემთა ადმინისტრირების სისტემაში. მონაცემთა აღრიცხვასა და ადმინისტრირებას უნდა მიეცეს სტატისტიკური მონაცემების ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური ზარალის დასაგეგმად, კონკრეტულ პერიოდთან და საქმიანობასთან მიმართებაში.
3. სამართლებრივი რისკის შეფასებისას ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაცია.
4. ბანკმა რეგულარული მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამართლებრივ რისკზე, სამართლებრივი რისკით წარსულში მიღებული ზარალის გათვალისწინებით და ამ გამოცდილების შესაბამისად.
5. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს დროული, სრულყოფილი და ზუსტი ანგარიშების მომზადება სამართლებრივი რისკის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილებები მიღებას.

### მუხლი 32. სამართლებრივი რისკის კონტროლი

1. იურიდიულმა დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს ბანკსა და სხვა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებების რეგულარული განხილვა, მათ შორის განხილულ, უნდა იქნეს კანონებისა და ნორმატიული აქტების გატარების ეფექტიანობა, რათა შემონდეს, კვლავაც მოქმედებს თუ არა ამგვარი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები.
2. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი გასცემს გარანტიებს, როგორცაა ხელშეკრულება ვალდებულებებისა და მოთხოვნების ურთიერთჩათვლის ან გირაოს შესახებ, ეს გარანტიები გამაგრებული უნდა იყოს მოქმედი იურიდიული დოკუმენტაციით.
3. ბანკმა უნდა გააუმჯობესოს სამართლებრივი რისკის კონტროლი, რათა უზრუნველყოს შემდეგი:
  - ა) ოპერაციების, ორგანიზაციისა და შიდა კონტროლის შესაბამისობა შესაბამის სამართლებრივ დებულებებთან, ნორმატიულ აქტებთან, ეთიკის კოდექსთან და ბიზნესსტრატეგიასთან;
  - ბ) შესაბამისობა შიდა პროცედურებთან;

- გ) ფინანსური ანგარიშგებების ხარისხი;
- დ) რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობა და ქმედითობა;
- ე) კომუნიკაციების ეფექტიანი გამოყენება, რაც დაკავშირებულია სამართლებრივი რისკის გავლენასთან ორგანიზაციის ყველა დონეზე მომუშავე თანამშრომელზე.

## თავი VI რეპუტაციის რისკი

### მუხლი 33. რეპუტაციის რისკის ცნება, მისი კონტროლი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან

1. რეპუტაციის რისკი არის რისკი, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით უარყოფითი საჯარო განცხადებების გავრცელება ან ბანკის უარყოფითად წარმოდგენა.
2. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიერონ ბანკის გარკვეულ საქმიანობასთან დაკავშირებული რეპუტაციის რისკები, განსაკუთრებით ისეთი რისკი, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტმა აქტიურად უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ დაამტკიცონ და შეაფასონ რეპუტაციის რისკის კონტროლის პოლიტიკა.
3. დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკს ჰქონდეს რეპუტაციის რისკის მხრიდან ბანკის კაპიტალზე გავლენის დაანგარიშების პოლიტიკა.
4. ბანკს უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც ექნება შესაბამისი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომ კომპლექსური ინფორმაცია მიანოდოს კლიენტურას და სხვა დაინტერესებულ პირებს, რაც ბანკის მიერ რეპუტაციის რისკის კონტროლის შემადგენელი ნაწილი იქნება.

### მუხლი 34. რეპუტაციის რისკის პოლიტიკა, პროცედურები და ლიმიტების დადგენა

1. ბანკს უნდა ჰქონდეს წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის პრინციპებს და კლიენტურისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის განეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მოთხოვნებს, რეპუტაციის რისკის კონტროლთან დაკავშირებით. პოლიტიკა ასევე უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებს, მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებით.
2. ბანკს უნდა ჰქონდეს და განახორციელოს სათანადო საკომუნიკაციო პოლიტიკა, მედიაში უარყოფითი სტატიების, საჯარო პუბლიკაციების და ნეგატიური ინფორმაციის აღკვეთასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს ნეგატიური ტენდენციების განვითარებას ბანკის წინააღმდეგ.

- ამ პოლიტიკამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა მოიცავს ეფექტიანი მედიასტრატეგია, რაც ნეგატიურ მედიას დაუპირისპირდება.
3. ბანკმა უნდა განახორციელოს რეპუტაციის რისკთან დაკავშირებული პროცედურები და თავიდან აიცილოს ამგვარი წარსული გამოცდილება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.
4. ბანკმა რეპუტაციის რისკთან დაკავშირებული თავისი პოლიტიკა და პროცედურები უნდა გააცნოს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონის თანამშრომელს.

### მუხლი 35. რეპუტაციის რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

1. ბანკმა უნდა დაადგინოს რეპუტაციის რისკი, რომელიც ახასიათებს კონკრეტულ ბიზნესსაქმიანობას, მათ შორის, საკრედიტო (თანხებით უზრუნველყოფა), სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობას და მომსახურებას, მიზნობრივი და ფინანსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისა და ადამიანური რესურსების მართვას.
2. ბანკმა რეპუტაციის რისკთან დაკავშირებული ყველა მოვლენა, მათ შორის, ამ მოვლენებით გამოწვეული ყველა პოტენციური ზარალის ოდენობა უნდა აღრიცხოს მონაცემთა ადმინისტრირების სისტემაში. მონაცემთა აღრიცხვასა და ადმინისტრირებას უნდა მიეცეს სტატისტიკური მონაცემების ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული საქმიანობის პოტენციური ზარალის დასაგეგმად, კონკრეტულ პერიოდთან და საქმიანობასთან მიმართებაში.
3. რეპუტაციის რისკის შეფასებისას ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაცია.
4. ბანკმა უნდა განახორციელოს რეპუტაციის რისკის რეგულარული მონიტორინგი წარსულში მიღებული ზარალის გათვალისწინებით და ამ გამოცდილების შესაბამისად.
5. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს დროული, სრულყოფილი და ზუსტი ანგარიშების მომზადება რეპუტაციის რისკის შესახებ, რაც დაეხმარება დირექტორატს გადანაცვლებების მიღებაში.

### მუხლი 36. რეპუტაციის რისკის კონტროლი

1. ბანკმა უნდა გააუმჯობესოს შესაბამისობა მოქმედ კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან, რაც რეპუტაციის რისკის კონტროლის ნაწილია.
2. ბანკმა უნდა გაათავოს დაუყოვნებელი ღონისძიებები, რათა გადაჭრას კლიენტურის ნებისმიერი პრობლემა და დავა, რამაც შეიძლება გაზარდოს ბანკის რეპუტაციის რისკი, მათ შორის ბანკს მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს კლიენტურასთან ან მხარეებთან (მსესხებლებთან) და უნდა აწარმოოს ორმხრივი მოლაპარაკებები კლიენტურასთან,

რათა თავიდან აიცილოს ბრალდებები და სამართლებრივი სახის საჩივრები.

3. ბანკმა უნდა ითანამშრომლოს მესამე მხარესთან, რათა გააკონტროლოს რეპუტაციის რისკი.

## თავი VII სტრატეგიული რისკი

### მუხლი 37. სტრატეგიული რისკის ცნება და მისი კონტროლი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან

1. სტრატეგიული რისკი არის რისკი, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნესგადაწყვეტილებები ან ბანკის მიერ რეაგირების არმოხდენა გარე ცვლილებებზე.
2. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა კარგად უნდა გააცნობიერონ ბანკის გარკვეული საქმიანობისთვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი, განსაკუთრებით ის რისკები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და აქტიურად იმუშაონ, რათა მიიღონ და შეაფასონ სტრატეგიული რისკის კონტროლის პოლიტიკა.
3. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ ერთობლივი გეგმა და ბიზნესგეგმა, რომელიც მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი დებულებებით გათვალისწინებულ საკითხებს.
4. დირექტორატმა რეგულარული მონიტორინგი უნდა გაუწიოს ბანკის შიდა მდგომარეობას (ძლიერ და სუსტ მხარეებს) და იმ გარე ფაქტორებს/გარემოებებს, რომელთაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ბანკის ბიზნესსტრატეგიაზე.
5. დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ბანკის ბიზნესამოცანების მიღწევის მიზნით შემუშავებულმა სტრატეგიამ მხედველობაში მიიღოს სტრატეგიული რისკის გავლენა ბანკის კაპიტალზე.
6. ბანკს უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც ექნება უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რაც ხელს შეუწყობს ბანკის სტრატეგიის, მათ შორის ერთობლივი გეგმისა და ბიზნესგეგმის შემუშავებას და მისი განხორციელების მონიტორინგს.

### მუხლი 38. სტრატეგიული რისკის პოლიტიკა და პროცედურები

1. ბანკს უნდა ჰქონდეს წერილობით შემუშავებული ერთობლივი გეგმა და ბიზნესგეგმა, რომლებშიც დადგენილი იქნება ამ პოლიტიკის განხორციელების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები.
2. ერთობლივი გეგმა და ბიზნესგეგმა უნდა მიიღოს დირექტორატმა და დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ; ეს გეგმები გაეცნოს ბანკის ყველა თანამ-

შრომელსა და პასუხისმგებელ პირს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე.

3. ერთობლივი გეგმასა და ბიზნესგეგმაში უნდა იყოს ალტერნატიული დაშვებები იმ შემთხვევებისთვის, თუ ბანკი გადაუხვევს დასახულ ამოცანებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გარე და შიდა ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვლილებით.
4. ბანკს უნდა ჰქონდეს პროცედურები, რომელიც თვალს მიადევნებს პროგრესს ბიუჯეტის შედეგებსა და მუშაობის გეგმასთან მიმართებაში.

### მუხლი 39. სტრატეგიული რისკის დადგენა, შეფასება, მონიტორინგი და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა

1. ბანკმა უნდა დაადგინოს ბანკის ძირითადი საქმიანობისთვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკები, როგორცაა საკრედიტო (თანხებით უზრუნველყოფა), სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობა და მომსახურება.
2. ბანკმა უნდა მოახდინოს მუშაობაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების აღრიცხვა და ადმინისტრირება, რომელიც გამოწვეულია დამტკიცებული ერთობლივი გეგმის ან ბიზნესგეგმის შუსრულებლობით ან არაეფექტიანი შესრულებით, – განსაკუთრებით ის ცვლილებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბანკის კაპიტალზე.
3. სტრატეგიული რისკის შეფასებისას ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაცია.
4. ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს სტრატეგიული რისკის მონიტორინგი, სტრატეგიული რისკის გამო წარსულში გამოწვეული დანაკარგების შესაბამისად.
5. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს უზრუნველყოს სრულყოფილი, ზუსტი და დროული ანგარიშები სტრატეგიული რისკის შესახებ, რაც დაეხმარება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაში.

### მუხლი 40. სტრატეგიული რისკის კონტროლი

1. ბანკმა უნდა დაანესოს ფინანსური კონტროლი, რომლის მიზანი იქნება დასახული ამოცანების განხორციელების მონიტორინგი და უზრუნველყოფა იმისა, რომ განუვლი რისკები გონივრულ ჩარჩოებში იქნეს შენარჩუნებული.
2. ბანკს უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა გააანალიზოს აქტუალური და მიზნობრივი ანგარიშები ბიზნესგეგმასთან დაკავშირებით და მოახსენოს ანალიზის შედეგები დირექტორატს.
3. ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს სტრატეგიული რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ტესტირება და განხილვა.

## თავი VIII შესაბამისობის რისკი

### მუხლი 41. შესაბამისობის რისკის ცნება და ამ რისკის მართვასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები

- შესაბამისობის რისკი არის საკანონმდებლო და რეგულაციური სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ. როგორც წესი, კანონებთან, ნორმატიულ აქტებთან და საკანონმდებლო დებულებებთან მიმართებაში, შესაბამისობის რისკი საბანკო რისკების განუყოფელი ნაწილია, როგორცაა, მაგალითად, კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნასთან, შემოსავლიანი აქტივების ხარისხთან, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვთან და დაკრედიტების ლიმიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის დამახასიათებელი საბაზრო რისკი, წლიური სამუშაო გეგმისთვის და ბანკის ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი და კონკრეტულ დებულებებთან დაკავშირებული სხვა რისკები.
- ბანკმა უნდა დაადგინოს და გააანალიზოს ის ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს შესაბამისობის რისკი და რაოდენობრივი გავლენა იქონიოს ბანკის მოგება-ზარალსა და კაპიტალზე, როგორცაა:
  - ბანკის ბიზნესსაქმიანობა, კერძოდ, ბანკის ოპერაციების სახეობები და კომპლექსურობა, მათ შორის, ახალი პროდუქტები და საქმიანობა;
  - ბანკის შიდა პოლიტიკასა და პროცედურებთან, შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან, ჯანსაღ ბიზნესსაქმიანობასთან და ეთიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობების მოცულობა და მნიშვნელობა;
  - სასამართლო დავებისა და კლიენტების სარჩელების რაოდენობა და მნიშვნელობა.
- ბანკმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის რისკის ეფექტიანი მართვა, სრულყოფილი პოლიტიკისა და მისი განხორციელების თაობაზე სათანადო პროცედურების, ასევე კვალიფიციური ადამიანური რესურსების და გამართული კონტროლის სისტემის გამოყენებით, რომელიც მოიცავს:
  - პოლიტიკასთან დაკავშირებით:
    - რისკის სათანადო ლიმიტების დადგენა;
    - რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისობა ბანკის მიმართულებებსა და ბიზნესსტრატეგიასთან;
    - პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულების შესაბამისობა და რეგულირება ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე;
    - უარის თქმა დარღვევების შემთხვევაში;
    - რეგულარული, პროცედურული შემოწმებების განხორციელება შესაბამისობასთან დაკავშირებით.
  - პროცედურებთან დაკავშირებით:
    - პოლიტიკის დროული გაცნობა საორგანიზაციო სტრუქტურის ყველა დონეზე მომუშავე თანამშრომლებისათვის;
    - ახალი პროდუქტების შემუშავების ადეკვატური კონტროლი;
    - ანგარიშებისა და მონაცემთა სისტემების ადეკვატურობა;
    - კონტროლის განხორციელება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან.
    - ბანკის შიდა კონტროლის ადეკვატურობა, მათ შორის, ფუნქციების დანაწილება და ორმაგი კონტროლი;
    - მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის დროული მუშაობა და მოდერნიზების სათანადო დონე;
    - კონტროლის ეფექტიანობა მონაცემთა სიზუსტესთან, სრულყოფილებასთან და მიუკერძოებლობასთან (სამართლიანობასთან) დაკავშირებით;
    - შესაბამისი კანონებისა და ნორმატიული აქტების ინტერპრეტირების ადეკვატურობა;
    - ბანკის ვალდებულება უზრუნველყოს ბანკის რესურსების სწორი განაწილება თანამშრომელთა ტრენინგისა და შესაბამისობის კულტურის გაზრდის მიზნით;
    - შესაბამის კანონებსა და ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობისა და მათი დარღვევების დროული დადგენა და მათი აღმოფხვრისათვის მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება;
    - შესაბამისობის ადეკვატური ინტეგრირება ბანკის კორპორაციული დაგეგმვის ნებისმიერ საფეხურზე.
    - ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით:
      - ბანკის თანამშრომელთა სწორი საკომპენსაციო პროგრამა და მენეჯმენტი;
      - სტრატეგიული თანამდებობების მქონე პირებისა და თანამშრომლების ბრუნვის (როტაციის) განაკვეთი (მაღალი რისკის მატარებელი სტრუქტურები);
      - სასწავლო პროგრამის ადეკვატურობა;
      - ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის კომპეტენციის ადეკვატურობა;
      - ბანკის ბიზნესსაქმიანობის ტოლერანტობა რისკის მიმართ.
    - კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით:
      - აუდიტის სამსახურისა და რისკის მართვის სტრუქტურის ეფექტიანობა, ქმედუნარიანობა და დამოუკიდებლობა;
      - ანგარიშებისა და მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის სიზუსტე, სრულყოფილება და სამართლიანობა;
      - დარღვევების მონიტორინგის სისტემა, რომელსაც უნარი აქვს დაადგინოს და შეაფასოს რისკის სიხშირისა და მოცულობის ნებისმიერი მატება;
      - ბანკის რეაგირება შიდა პოლიტიკისა და პროცედურების დარღვევებზე;
      - ბანკის რეაგირება ბანკის შიდა კონტროლის სისტემაში არსებულ დარღვევებზე.

## მუხლი 42. ბანკის ვალდებულება შესაბამისობის რისკთან დაკავშირებით

ამ დებულების 41-ე მუხლის მიზნებისათვის თითოეული ბანკი ვალდებულია ჩამოაყალიბოს შესაბამისობის სამსახური, უზრუნველყოს და დაიცვას მისი დამოუკიდებელი საქმიანობა.

## თავი IX რისკების მართვის მომზადება და ანგარიშგება

### მუხლი 43. რისკების მართვის ეფექტიანობა

1. ბანკების რისკების მართვა უნდა განხორციელდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განრიგის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ბანკმა უნდა გაატაროს დაუყოვნებელი ღონისძიებები რისკების მართვის მომზადებასთან დაკავშირებით, მათ შორის, დაადგინოს ბანკის შიდა მდგომარეობა, რომლის შედეგები გამოყენებული უნდა იქნეს რისკების მართვის სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად. ბანკმა რისკების მართვა უნდა განხორციელოს ეტაპობრივად ან მის გარეშე.
2. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიძლება მოითხოვოს, რომ ბანკმა კორექტივები შეიტანოს თავის სამოქმედო გეგმაში, თუ ეს უკანასკნელი სრულად არ აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის და ამ დოკუმენტის მოთხოვნებს.
3. ბანკს მოეთხოვება რისკების მართვის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა სებ-თვის, სამოქმედო გეგმის თითოეული ეტაპის დასრულებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4. ეროვნული ბანკის მიერ ამ დებულებების გამოცემიდან რისკების მართვის გამოყენებამდე პერიოდის განმავლობაში ბანკმა შეიძლება დაიცვას შემდეგი მითითებები:
  - ა) განხორციელოს ბანკის რისკების მართვის პოლიტიკის, პროცედურების, ორგანიზაციის, სისტემებისა და პროცესების კომპლექსური ანალიზი;
  - ბ) შეაფასოს, შეამოწმოსა და შეადაროს იგი ამ დოკუმენტის მოთხოვნებს;
  - გ) დაადგინოს რისკების მართვის სუსტი და არაეფექტიანი მხარეები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადასაჭრელია, რათა უზრუნველყოს, ბანკის ჩარევა რისკების მართვის განხორციელებისთვის დადგენილ ვადაში.
5. გამოყოს თანამშრომელი ან პირთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამოქმედო გეგმის ფორმულირებაზე. ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა შეატყობინოს ასეთი თანამშრომლის ან პასუხისმგებელ პირთა ჯგუფის ხელმძღვანელის ვინაობა, რომელიც საკონტაქტო პირად იქნება დანიშნული.
6. ყველა თანამშრომელს უნდა გაეცნოს რისკების მართვის მინიმალური სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ თანამშრომლებს

საკმარისი ცოდნა ჰქონდეთ რისკების მართვის გამოყენებასთან დაკავშირებით.

7. სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის ანგარიში, ზემოლნიშნულის თანახმად, უნდა გადაეცეს ბანკის დირექტორატს, მის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და დამტკიცების მიზნით. დირექტორატი სრულად უნდა იყოს პასუხისმგებელი გარდამავალ ეტაპზე სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებაზე.
8. შიდა აუდიტი უნდა მონაწილეობდეს ბანკის მდგომარეობის დადგენის (დიაგნოსტიკის) პროცესში და სამოქმედო გეგმის ფორმულირებასა და მონიტორინგში. შიდა აუდიტმა თავისი აუდიტის გეგმა უნდა შეუსაბამოს სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგებსა და მიღწეულ პროგრესს.
9. დირექტორატს უნდა მიენდოს ჯგუფის ხელმძღვანელის რეგულარული ანგარიში სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ინფორმაცია იმ აუცილებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა გატარდეს გარდამავალ ეტაპზე მიზნების ეფექტურად განხორციელების მიზნით.
10. დიაგნოსტიკური ანგარიში, სამოქმედო გეგმა და ანგარიში მუშაობის მიმდინარეობის შესახებ უნდა მიენდოს შიდა აუდიტის სამსახურს და სებ-ს იმისათვის, რომ შეფასდეს გარდამავალ ეტაპზე განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოები.

### მუხლი 44. ანგარიში რისკის პროფილის შესახებ

1. ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკს ყოველკვარტალურად უნდა წარუდგინოს ანგარიში რისკის პროფილის შესახებ მარტის, ივნისის, სექტემბრისა და დეკემბრის მდგომარეობით, საანგარიშგებო თვის დამთავრებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. ეს ანგარიში უნდა მოიცავდეს შედარებას გასულ კვარტალთან. რისკის პროფილმა უნდა ასახოს ყველა შესაბამისი რისკის დონე და ტენდენცია (დინამიკა), ბანკის ბიზნესსაქმიანობის კომპლექსურობის შესაბამისად.
2. რისკის მართვის სტრუქტურის მიერ რისკის პროფილის შესახებ წარდგენილმა ანგარიშმა უნდა მოიცვას იგივე შინაარსი, როგორც გადაეცა დირექტორს და რისკების მართვის კომიტეტს.

### მუხლი 45. ანგარიში ახალი პროდუქტისა და საქმიანობის შესახებ

1. ყოველი ახალი პროდუქტისა და საქმიანობის დაწყებამდე ბანკს უნდა მოეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ანგარიში ახალი პროდუქტისა და საქმიანობის შესახებ, ახალი პროდუქტისა და საქმიანობის განხორციელებიდან არა უგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში. პროდუქტისა და საქმიანობის შესახებ ანგარიში პირველად წარდგენილი უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც ბანკი განხორციელებს ზემოაღნიშნულ სამოქმედო გეგმას.



2. ახალი პროდუქტისა და საქმიანობის შესახებ ანგარიშმა უნდა მოიცვას მონაცემები, ინფორმაცია და განმარტებები მინიმუმ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
  - ა) ახალი პროდუქტისა და საქმიანობის სტანდარტული სამუშაო პროცედურები;
  - ბ) ახალი პროდუქტისა და საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურა და უფლებამოსილებები;
  - გ) ბანკის მიერ ახალი პროდუქტისა და საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების დადგენის შედეგები;
  - დ) ახალი პროდუქტისა და საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდების შემოწმების შედეგები;
  - ე) ახალი პროდუქტისა და საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა, მათ შორის, განმარტება ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემასა და ბანკის საერთო ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებს შორის ურთიერთობის შესახებ;
  - ვ) ახალი პროდუქტისა და საქმიანობის სამართლებრივი ანალიზი.
3. ბანკს უნდა მოეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს სხვა ანგარიშები, რომელთა ფორმატი უნდა შემუშავდეს ბანკსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გამართული კონსულტაციების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მდგომარეობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს, ან სხვა მიზეზთა გამო, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ბანკს მნიშვნელოვნად მიაჩნია. ამასთან დაკავშირებით, ბანკის ასეთ მდგომარეობად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:
  - ა) ეროვნული ბანკი ბანკს უწევს ინტენსიურ ან სპეციალურ ზედამხედველობას;
  - ბ) ბანკი დგას უდიდესი საბაზრო და ლიკვიდობის რისკის წინაშე;
  - გ) გარე (ბაზრის) მდგომარეობა მწვავე მერყეობას განიცდის და არ ექვემდებარება ბანკის კონტროლს.

## თავი X საოპერაციო რისკი ამოღებულია

მუხლი 46. ამოღებულია

მუხლი 47. ამოღებულია

მუხლი 48. ამოღებულია

მუხლი 49. ამოღებულია

### 3.1.13 კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკს, როგორც ადგილობრივს, ისე უცხოეთის ბანკის ფილიალს უნდა გააჩნდეს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო (შემდგომში – ჩარჩო).
2. ჩარჩო უნდა იყოს კომერციული ბანკის ზომისა და სირთულის შესაფერისი და შესაბამისობაში უნდა იყოს კომერციული ბანკის მიერ გაწეულ საქმიანობასთან.
3. ჩარჩო სრულიად ინტეგრირებული უნდა იყოს კომერციული ბანკის მთლიან რისკების მართვის პროცესში.
4. ბანკი უფლებამოსილია თვითონ განმარტოს ტერმინები და მეთოდოლოგია, რაც უშუალოდ უკავშირდება ჩარჩოს და რომელიც ეფუძნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (შემდგომში - ბაზელი) მეთოდოლოგიას ან აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

#### მუხლი 2. საოპერაციო რისკების ჩარჩო

1. ჩარჩო უნდა შედგებოდეს იმ პოლიტიკების ერთობლიობისაგან რომელიც ნათლად და გასაგებად ასახავს შემდეგ საკითხებს:
  - ა) საოპერაციო რისკების მართვის მიზნებს და რისკის აპეტიტს;
  - ბ) საოპერაციო რისკის განმარტებას და აღნიშნული რისკის გამიჯვნას სხვა ტიპის რისკებისგან;
  - გ) საოპერაციო რისკების დანაკარგის განმარტებას;
  - დ) სხვა საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული ტერმინები, რომლებიც უნდა ეფუძნებოდნენ ბაზელის მეთოდოლოგიას ან აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას;
  - ე) ბიზნეს ხაზების და მოვლენათა კატეგორიების ტრილში საოპერაციო რისკების კლასიფიკაციას და შესაბამისი რისკების განსაზღვრას;
  - ვ) რისკების შეფასების ინსტრუმენტებს და მეთოდებს, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ინსტრუმენტებით:
    - ვ.ა) საოპერაციო რისკების დანაკარგების მონაცემთა ბაზას;
    - ვ.ბ) ბიზნეს პროცესების იდენტიფიცირებას და განსაზღვრას;
    - ვ.გ) ძირითადი რისკების ინდიკატორებს.
  - ზ) რისკების მართვის პროცესის სასიცოცხლო ციკლს, რომელიც უნდა მოიცავდეს:
    - ზ.ა) რისკების იდენტიფიცირებას, კონტროლის მექანიზმების შემუშავებას და დანერგვას;
    - ზ.ბ) რისკების მონიტორინგს და ანგარიშგებას;

- 8.გ) რისკების შერბილებას(მიტიგირებას) და ნარჩენი რისკების შეფასებას.
  - თ) ნათელ, გასაგებ, ეფექტიან და საღ მმართველობით სტრუქტურას, კარგად განსაზღვრული, გამჭვირვალე და თანმიმდევრული პასუხისმგებლობების ხაზებით, რომელსაც კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს;
  - ი) ტრენინგებს და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს იმისათვის, რომ ორგანიზაციის საოპერაციო რისკების ცნობიერება ამაღლდეს;
  - კ) მესამე მხარეებზე და ეკონომიკის სხვა სექტორებზე დამოკიდებულებას (დამოკიდებულებებს);
  - ლ) საინფორმაციო სისტემების მართვას;
  - მ) თაღლითობის რისკების იდენტიფიცირების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და კონტროლის მექანიზმს;
  - ნ) ბიზნეს უწყვეტობის მართვას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს უბედური შემთხვევებისგან აღდგენის კომპონენტსაც;
  - ო) სიზუსტის რისკის მართვას, რაც გულისხმობს კომერციული ბანკის შესახებ სხვადასხვა მონაცემების სიზუსტის უზრუნველყოფას და ანგარიშგების პროცესის გამართულობას.
2. კომერციული ბანკი ვალდებულია რეგულარულად შეაფასოს ჩარჩოს ადეკვატურობა და ჩარჩო განაახლოს მოსალოდნელი საოპერაციო რისკების და კომერციული ბანკის რისკის პროფილის ცვლილების შესაბამისად.
  3. ჩარჩოში შემავალი ყველა პოლიტიკა უნდა სრულიად იყოს წერილობით დოკუმენტირებული.

#### მუხლი 3. სამეთვალყურეო საბჭო

1. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია, რომ დაადგინოს, დაამტკიცოს და ასევე პერიოდულად გადახედოს ჩარჩოს და მასში შემავალ ყველა პოლიტიკას. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება იმის შეფასებით არის თუ არა კომერციული ბანკი შესაბამისობაში დადგენილ საოპერაციო რისკების მიზნებთან, ზღვრებთან და ლიმიტებთან, რომელიც გამომდინარეობს კომერციული ბანკის რისკის აპეტიტიდან.
2. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ მხარი უნდა დაუჭიროს და განავითაროს რისკების მართვის ეფექტიანი კულტურა, რომელიც სრულად ითვალისწინებს და აცნობიერებს საოპერაციო რისკებს.
3. სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეს საოპერაციო რისკების შესახებ სათანადო ცოდნა და აღქმა.
4. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა იღებდეს კომერციული ბანკის შიდა საოპერაციო რისკების ანგარიშგებას. ანგარიშგება უნდა იყოს ანალიტიკური და შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, რომ დადგინდეს რამდენად შეესაბამება კომერციული ბანკის საოპერაციო რისკის პროფილი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ რისკის აპეტიტს.

## მუხლი 4. დირექტორატი

1. დირექტორატის პასუხისმგებლობაა, რომ საოპერაციო რისკების მიმართულებით ამაღლდეს ცნობიერების დონე ორგანიზაციის მასშტაბით. აღნიშნული ემსახურება იმ მიზანს, რომ კომერციული ბანკის ყველა თანამშრომელი ინფორმირებული იყოს, თუ რისგან შედგება და რას მოიცავს საოპერაციო რისკი.
2. დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის სათანადო და კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტება კომერციული ბანკის ყველა ბიზნეს ხაზის მიმართულებით, იზრუნოს კომპეტენტურობის და პატიოსანების პრინციპების ამაღლებაზე და განვითარებაზე. დირექტორატი ვალდებულია, რომ ჩამოყალიბდეს ძლიერი ორგანიზაციული კულტურა, რომელიც მხარს უჭერს პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობის მაღალ დონეს ორგანიზაციის მასშტაბით.
3. დირექტორატი პასუხისმგებელია, რომ თანმიმდევრულად განახორციელოს ორგანიზაციის მასშტაბით პოლიტიკები, პროცესები და სისტემები საოპერაციო რისკების მართვის ჭრილში, რომელიც მოიცავს კომერციული ბანკის ყველა პროდუქტს, მომსახურებას და ოპერაციებს და რომელიც თანხვედრაშია კომერციული ბანკის რისკის აპეტიტთან.
4. დირექტორატი პასუხისმგებელია განსაზღვროს და საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმოს თუ რას წარმოადგენს მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენა.
5. დირექტორატი პასუხისმგებელია, რომ კომერციულმა ბანკმა შეიმუშაოს მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის შეტყობინების მექანიზმი.
6. მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენის მაღალი ალბათობით მოლოდინის ან დაფიქსირების შემთხვევაში, კომერციული ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ საქართველოს ეროვნულ ბანკს.
7. დირექტორატმა უნდა უზრუნველყოს, რომ კომერციულ ბანკში არსებობდეს საოპერაციო რისკების მოვლენების შესახებ სათანადო ინფორმაციის გაცვლის მექანიზმი.
8. ნაკისრი ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, საოპერაციო რისკების ხელმძღვანელობა უნდა გათანაბრდეს სხვა რისკების მართვის ხელმძღვანელებთან.
9. იმ თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კომერციული ბანკის რისკებისა და კონტროლის პოლიტიკასთან შესაბამისობის განხორციელებაზე, უნდა იყვნენ დამოუკიდებელი იმ სტრუქტურულ ერთეულებთან მიმართებაში, რომლებსაც ისინი ზედამხედველობენ.
10. დირექტორატმა უნდა განახორციელოს საოპერაციო რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი თანმდევნი რისკების შეფასება ყველა მატერიალური პროდუქტისთვის, საქმიანობისთვის, პროცესსა თუ სისტემისთვის იმ მიზნით, რომ თანმდევნი რისკები კარგად იყოს გათვითცნობიერებული.

## მუხლი 5. ახალი პროდუქტების დამტკიცება

კომერციული ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს პოლიტიკა და პროცედურები რომელიც ითვალისწინებს ახალი პროდუქტების, საქმიანობის, პროცესების და სისტემების შეფასებას და დამტკიცებას. შეფასების და დამტკიცების პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ახალი პროდუქტის, საქმიანობის, პროცესების და სისტემების დანერგვის წინასწარ შეტყობინებას;
- ბ) ახალი პროდუქტის, მომსახურების ან საქმიანობის თანმდევ რისკებს;
- გ) იმ ცვლილებებს, რაც შეიძლება დაფიქსირდეს კომერციული ბანკის საოპერაციო რისკის პროფილში, აპეტიტსა და ტოლერანტულობაში, არსებული პროდუქტების და საქმიანობის რისკების გათვალისწინებით;
- დ) საჭირო კონტროლებს, რისკების მართვის პროცესებს, და რისკის მიტიგაციის სტრატეგიებს;
- ე) ნარჩენ რისკს;
- ვ) ახალ პროდუქტთან დაკავშირებულ პროცედურებს და რისკის გამოშვების და მონიტორინგის მექანიზმებს; და
- ზ) ცვლილებებს რისკის ლიმიტებში.

## მუხლი 6. მოთხოვნები საინფორმაციო სისტემების მიმართ

1. ყველა კომერციულ ბანკს უნდა გააჩნდეს პოლიტიკა და პროცედურები რომელიც მოიცავს კომერციულ ბანკში არსებულ საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების ადეკვატურობის და უსაფრთხოების საკითხებს.
2. საინფორმაციო სისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს აღიარებულ სტანდარტს და მეთოდოლოგიას (მაგ. NIST, ISACA, ISO და სხვა).
3. კომერციულმა ბანკებმა უნდა დანერგონ ისეთი საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები რომლებიც კომერციული ბანკისთვის შესაფერისია და შეესაბამება ბანკის მიერ განხორციელებულ ოპერაციების მოცულობას.
4. კომერციულმა ბანკებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ და გადახედონ საინფორმაციო სისტემების შესაბამისობას და შესაფერისობას, კომერციული ბანკის ზომისა და სირთულის გათვალისწინებით.
5. კომერციულმა ბანკებმა რეგულარულად უნდა განახორციელონ საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი აუდიტი. საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების აუდიტი შეიძლება განხორციელებულ იქნეს როგორც კომერციული ბანკის მიერ (დამოუკიდებელი შიდა აუდიტი), ასევე კომერციული ბანკის მიერ დაქირავებულ, ფართოდ აღიარებულ აუდიტორული კომპანიის მიერ. დამატებით, კომერციულმა ბანკებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მათი საინფორმაციო სისტემები არ იყოს იმაზე მეტად კომპლექსური ვიდრე არის აუცილებელი იმისათვის, რომ ორგანიზაციამ გამართულად განახორციელოს საკუთარი ბიზნესი

პროცესები. აღნიშნული თავის მხრივ მოიცავს საინფორმაციო სისტემების სათანადოდ დაგეგმვისა და ამავე საკითხთან დაკავშირებით ეფექტიანი მართვის სისტემების არსებობის აუცილებლობას.

- ბანკები ვალდებული არიან, რომ შეიმუშაონ საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ორგანიზაციის საინფორმაციო უსაფრთხოების მიზნებს და სტრატეგიას.

## მუხლი 7. მოთხოვნები ბიზნესის უწყვეტობის მართვის შესახებ

- კომერციულ ბანკებს უნდა გააჩნდეთ ნათელი და საფუძვლიანად დოკუმენტირებული ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. აღნიშნული ემსახურება ბიზნესის უწყვეტობის მაღალი დონის მიღწევას, რაც შესაძლებლობას მისცემს ორგანიზაციას საჭიროების შემთხვევაში უბედური შემთხვევისგან დროულად აღადგინოს ოპერაციები.
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმა უნდა შეიცავდეს წერილობით პოლიტიკას და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის უწყვეტ რეჟიმში მუშაობას და დეტალურად ასახავენ კომერციული ბანკის გეგმებს და რეაგირების მექანიზმებს მოულოდნელი სიტუაციების/მოვლენების ან/და კომერციული ბანკის ოპერაციებში მსხვილი წყვეტის დაფიქსირებისას.
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმა უნდა შედგებოდეს შემდეგი საფეხურებისგან:
  - ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი (ორიენტირებული კრიტიკულ ბიზნეს პროცესებზე);
  - რისკების შეფასება;
  - რისკების მართვა;
  - რისკების მონიტორინგი; და
  - რეგულარული ტესტირება.
- კომერციულმა ბანკებმა უნდა განახორციელონ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის სრული ტესტირება არანაკლებ წელიწადში ორჯერ.
- კომერციული ბანკები ვალდებული არიან ყოველი წლის ბოლოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინონ და წინასწარ შეათანხმონ მომდევნო წლის ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ტესტირების განრიგი.
- ბიზნესის უწყვეტობის გეგმა უნდა შეფასდეს და განახლდეს რეგულარულად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ფიქსირდება ან/და ახალი პროდუქტების შემოღება იგეგმება.
- შიდა აუდიტი (დამოუკიდებელი აუდიტი) აქტიურად უნდა იყოს ჩართული კომერციული ბანკის ბიზნეს უწყვეტობის პროცესებისა და ტესტირების შეფასებაში. შიდა აუდიტის მიერ შედგენილი რეკომენდაციები, რომლებიც ეხება ბანკის ბიზნესის უწყვეტობის მართვას უნდა იქნეს დროულად გათვალისწინებული და შესაბამისი ცვლილებები უნდა იქნეს შეტანილი კომერციული ბანკის ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში.
- კომერციული ბანკი ვალდებულია, რომ ტესტირების შედეგები აღრიცხოს დეტალურად, როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით.

## მუხლი 8. მოთხოვნები აუთოსორსინგულ ოპერაციებთან დაკავშირებით

- კომერციული ბანკი ვალდებულია ამ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის მიღების მიზნით აუთოსორსინგული ურთიერთობის, რაც უშუალოდ უკავშირდება კომერციული ბანკის ძირითად საქმიანობას და ძირითადი საქმიანობის საინფორმაციო სისტემებს, დამყარებამდე არანაკლებ 30 სამუშაო დღით ადრე წინასწარ შეატყობინოს ამის თაობაზე საქართველოს ეროვნულ ბანკს.
- აუთოსორსინგული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს იმ პირობის დაცვით, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ ბანკს ხელი არ შეეშალოს ან გაუჭირდეს კომერციული ბანკის საქმიანობის დროული და შეუფერხებელი აღდგენა.
- აუთოსორსინგული ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულებაში უნდა ჩაიდოს პირობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც კომერციული ბანკების ზედამხედველ ორგანოს, მიენიჭოს უფლება კომერციულ ბანკთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის დაუყოვნებელი და უპირობო გამოთხოვის შესახებ.
- კომერციული ბანკის მიერ უცხოური კომპანიის გამოყენებამ და საქართველოს ფარგლებს გარეთ კრიტიკული მონაცემების და პროცესების გატანამ ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკის შემომწების შესაძლებლობას. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის საქართველოს ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ჩანაწერები საქართველოში არ ინახება, დაუშვებელია აუთოსორსინგი იმ იურისდიქციებში სადაც საქართველოს ეროვნულ ბანკს შეიძლება არ გააჩნდეს სრული და შეუფერხებელი წვდომა კომერციული ბანკის ინფორმაციაზე, ინფორმაციის მიმოქცევასთან დაკავშირებით იურიდიული ან/და ადმინისტრაციული შეზღუდვების გამო.
- ბანკი ვალდებულია, რომ ჩაატაროს ადეკვატური და კომპეტენტური რისკების შეფასება აუთოსორსინგულ ურთიერთობასთან დაკავშირებით რაც თავის მხრივ მოიცავს კომპანიის შესახებ კომერციული ბანკისთვის ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის სრულყოფილ ანალიზს რომელიც გულისხმობს არანაკლებ ბოლო (ყველაზე ახალი) დამოუკიდებელი ფინანსური/ტექნოლოგიური აუდიტის დასკვნის შეფასებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ აუთოსორსინგი ხორციელდება ისეთ კომპანიასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, კომერციული ბანკი ვალდებულია აუთოსორსინგული კომპანიის აუდიტის დასკვნის ასლი იქონიოს და შეინახოს საქართველოს ტერიტორიაზე. საჭიროების შემთხვევაში და საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, კომერციული ბანკი ვალდებულია რისკების შეფასება, ისევე როგორც კომპანიის აუდიტის დასკვნა დაუყოვნებლივ მიანოდოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

6. ბანკის ბიზნესის უწყვეტობის გეგმა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს კომერციული ბანკის აუტოსორსინგულ ოპერაციებს, რაც გულისხმობს კომერციული ბანკის კრიტიკულ ინფორმაციაზე დროულ წვდომასა და მომსახურების განახლებას მოულოდნელი ეროვნული ან გეოგრაფიული შეზღუდვების ან შეფერხებების პირობებში, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის მიერ აუტოსორსინგული საბანკო მომსახურების ადეკვატურად მიწოდებაზე.
7. იმ შემთხვევაში თუ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ სრულდება მესამე მხარის (კომპანიის) მიერ, რომელიც კომერციულ ბანკს აწვდის აუტოსორსინგულ მომსახურებას, კომერციულ ბანკს ეკისრება პასუხისმგებლობა დებულების მოთხოვნების შეუსრულებლობაზე „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად.

### მუხლი 9. ეროვნული ბანკის მიერ შეტყობინების განხილვა

1. ამ დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 30 სამუშაო დღეში საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს დაგეგმილ აუტოსორსინგულ ურთიერთობას და აძლევს თანხმობას ან უარს ასეთი ურთიერთობის დამყარების შესახებ. აუტოსორსინგული ურთიერთობის სირთულიდან გამომდინარე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება დამატებით გაგრძელდეს 30 სამუშაო დღემდე და ამის შესახებ უნდა ეცნობოს კომერციულ ბანკს.
2. ამ დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების წარმოდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი აუტოსორსინგული ურთიერთობის დამყარებაზე თანხმობის მიცემას.
3. აუტოსორსინგული ხელშეკრულება ბათილია, თუ კომერციულმა ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკს არ შეატყობინა დაგეგმილ აუტოსორსინგულ ურთიერთობის თაობაზე, თანხმობის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინა არასწორი/არაზუსტი ინფორმაცია ან საქართველოს ეროვნული ბანკისაგან მიიღო დასაბუთებული უარი, მაგრამ მაინც დადო აუტოსორსინგული ხელშეკრულება.

### მუხლი 10. ინფორმაციის გამოქვეყნება

კომერციული ბანკი ვალდებულია მისი ჩარჩო საჯაროდ გამოაქვეყნოს იმ ფორმით, რომელიც ინვესტორებს და კონტრაქტენტებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ კომერციული ბანკი რეალურად ახდენს თუ არა საოპერაციო რისკების ეფექტურ იდენტიფიკაციას, შეფასებას, მონიტორინგსა და კონტროლს.

### 3.1.14 კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქვეყანაში საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობა.
2. საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობა მიიღწევა კომერციული ბანკების მიერ ფინანსურ ანგარიშგებათა საჯაროობით.
3. კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებების საჯარო გამოქვეყნება ხელს შეუწყობს თითოეული ბანკის საქმიანობის გამჭვირვალობას და დაინტერესებულ პირთა ფართო ფენების ინფორმირებას ბანკის საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის, მისი ცვლილების, ასევე ბანკის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული საბანკო პროდუქტებისა და სხვათა შესახებ. კომერციული ბანკების ფინანსურ ანგარიშგებათა საჯაროობა დაეხმარება დაინტერესებულ პირებს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, რაც დადებით ასახვას პოვნებს როგორც თავად ბანკის, ისე საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე.
4. კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისათვის ბანკები ვალდებული არიან წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების პარალელურად განახორციელონ ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება კვარტალურად.
5. ეს წესი შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, რომლის მიზანია მოანესრიგოს კომერციული ბანკების მიერ ფინანსურ ანგარიშგებათა გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
6. ამ წესის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის (შემდგომში – ბანკი).

#### მუხლი 2. ბანკის ფინანსური ანგარიშგებათა გამოქვეყნება

1. ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ბანკმა უნდა გამოაქვეყნოს კვარტალურად – მარტის, ივნისის, სექტემბრის, აგრეთვე აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები.
2. ბანკის ფინანსური ანგარიშგებები ექვემდებარება:
  - ა) გამოქვეყნებას ბეჭდვით ორგანოში;
  - ბ) განთავსებას ბანკის საკუთარ ვებგვერდზე, თუ

- ასეთი გვერდი ბანკს აქვს;
  - გ) განთავსებას ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.
3. ბანკის ფინანსური ანგარიშგებები უნდა გამოქვეყნდეს:
    - ა) კვარტალური – საანგარიშგებო კვარტალის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
    - ბ) წლიური აუდიტირებული – გარეაუდიტორული დასკვნის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
  4. კვარტალური და აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა გამოქვეყნდეს ამ წესის დანართის შესაბამისად.
  5. აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად ბანკმა უნდა გამოაქვეყნოს გარეაუდიტორების მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა.

#### მუხლი 3. ბანკების ვალდებულება

1. ბანკი ვალდებულია:
  - ა) ყოველწლიურად მოიწვიოს გარეაუდიტორი და უზრუნველყოს წლიური ფინანსური ანგარიშგების გარეაუდიტორული შემოწმება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად არა უგვიანეს საანგარიშგებო წლის დამთავრებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში;
  - ბ) უზრუნველყოს ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში შესრულება;
  - გ) წარუდგინოს ეროვნულ ბანკს ინფორმაცია იმ ბეჭდვითი ორგანოს დასახელებისა და ნომრის შესახებ, რომელშიც გამოქვეყნებული იქნება ბანკის კვარტალური და წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, აგრეთვე გამოქვეყნებული კვარტალური და წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების ელექტრონული ვერსია მისი ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსების მიზნით;
  - დ) უზრუნველყოს ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის ეროვნულ ბანკში წარდგენა არა უგვიანეს ბეჭდვით ორგანოში საჯარო გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
2. კომერციული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებების საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციასთან შესაბამისობის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია ეროვნული ბანკიდან აღნიშნულის თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს რეალური ფინანსური ანგარიშგება.

#### მუხლი 4. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეამოწმოს ასრულებს თუ არა ბანკი ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.
2. ბანკის მიერ ამ წესით გათვალისწინებული მოთ-

ხოვნების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი გამოიყენებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ სანქციებს ფულადი ჯარიმების ჩათვლით.

## მუხლი 5. ეკონომიკური მაჩვენებლების განმარტებანი და გაანგარიშება

1. ამ წესის დანართის N4 ცხრილში მოცემულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს აქვთ შემდეგი განმარტებანი და გაანგარიშება:
  - ა) პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან;
  - ბ) საზედამხებდველო კაპიტალის კოეფიციენტი – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ბანკის საზედამხებდველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან;
  - გ) რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები;
  - დ) მთლიანი აქტივები – საბალანსო უწყისით გათვალისწინებული მთლიანი აქტივები;
  - ე) მთლიანი ვალდებულებები – საბალანსო უწყისით გათვალისწინებული მთლიანი ვალდებულებები;
  - ვ) სააქციო კაპიტალი – საბალანსო უწყისით გათვალისწინებული სააქციო კაპიტალი;
  - ზ) ლიკვიდური აქტივები – ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ფულადი სახსრები და ისეთი სახის აქტივები, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად მყისიერად (სწრაფად) გადაქცევის უნარი და შესაძლებლობა;
  - თ) მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები – საბალანსო უწყისით გათვალისწინებული მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტების ჯამი;
  - ი) მთლიანი სესხები – საბალანსო უწყისით გათვალისწინებული მთლიანი სესხები;
  - კ) სმდრ – საბალანსო უწყისით გათვალისწინებული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, რომელიც იქმნება ბანკის მიერ სესხების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, არაიდენტიფიცირებული და იდენტიფიცირებული ზარალისათვის;
  - ლ) უმოქმედო სესხები – მთლიანი სესხებიდან ბანკის მიერ არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო კატეგორიად კლასიფიცირებული სესხების ჯამი;
  - მ) მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი – საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სესხების მოცულობას გამოკლებული საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის არსებული მთლიანი სესხების მოცულობა და გაყოფილი საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის არსებული მთლიანი სესხების მოცულობაზე;
  - ნ) წმინდა მოგება – მოგება-ზარალის უწყისით გათვალისწინებული წმინდა მოგება;
  - ო) მთლიანი საპროცენტო შემოსავლები – წლიურად გადაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო შემოსავლები;

- პ) მთლიანი საპროცენტო ხარჯები – წლიურად გადაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო ხარჯები;
- ჟ) საოპერაციო შედეგი – წლიურად გადაანგარიშებული ბანკის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობისგან მიღებული შედეგი, რომელიც გამოითვლება როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავალს მიმატებული მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები გარდა დილინგური ფასიანი ქალაქებიდან, საინვესტიციო ფასიანი ქალაქებიდან, სავალუტო სახსრების გადაფასებიდან და ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალისა, და გამოკლებული მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები;
- რ) წმინდა საპროცენტო მარჟა – წლიურად გადაანგარიშებული წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან;
- ს) უკუგება საშუალო აქტივებზე – წლიურად გადაანგარიშებული წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ აქტივებთან;
- ტ) უკუგება საშუალო კაპიტალზე – წლიურად გადაანგარიშებული წმინდა მოგება შეფარდებული საშუალო წლიურ სააქციო კაპიტალთან.
2. ამ წესის დანართის N 4 ცხრილში მოცემული ეკონომიკური მაჩვენებლები გამოისახება პროცენტებით. ეკონომიკური მაჩვენებლების შესადარი-სობისათვის, მათ გაანგარიშებაში მონაწილე ფინანსური მონაცემები აიღება საშუალო წლიური ან წლიურად გადაანგარიშებული მნიშვნელობით.
3. საბალანსო მაჩვენებლების საშუალო წლიური მნიშვნელობა გაიანგარიშება როგორც წლის დასაწყისიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე შემავალი თვეების მიხედვით არსებული მონაცემების საშუალო არითმეტიკული. კერძოდ:
  - ა) მარტი- (01, 02 და 03 თვეების მონაცემების ჯამი)/3;
  - ბ) ივნისი- (01, 02, 03, 04, 05 და 06 თვეების მონაცემების ჯამი)/6;
  - გ) სექტემბერი- (01, 02, 03, 04, 05, 06, 07, 08 და 09 თვეების მონაცემების ჯამი)/9;
  - დ) წლიური (დეკემბერი) - (01, 02, 03, 04, 05, 06, 07, 08, 09, 10, 11 და 12 თვეების მონაცემების ჯამი)/12.
4. მოგება-ზარალის უწყისის მაჩვენებლების წლიურად გადაანგარიშება წარმოებს საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის უწყისის შესაბამისი მონაცემის გამრავლებით ქვემოთ მითითებული სქემით მოცემულ კოეფიციენტზე:
  - ა) მარტი - \*4/1;
  - ბ) ივნისი - \*4/2;
  - გ) სექტემბერი - \*4/3;
  - დ) წლიური (დეკემბერი) - \*4/4.
5. ამ წესის დანართის N5 ცხრილში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტებანი:
  - ა) ბენეფიციარი – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სახის სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ გააჩნია;
  - ბ) არაპირდაპირი მონაწილეობა – კომერციული ბანკის სანესდებო კაპიტალში წილის ფლობა შესაბამისი მესამე პირის მეშვეობით.

## ცხრილი N1

ბანკი:  
თარიღი:

საბალანსო უწყისი

ლარებით

N	აქტივები	საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
		ლარი	უც. ვალუტა	სულ	ლარი	უც. ვალუტა	სულ
1	ნაღდი ფული						
2	ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში						
3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში						
4	ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის						
5	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები						
6.1	მთლიანი სესხები						
6.2	მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი						
6	წმინდა სესხები						
7	დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები						
8	დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება						
9	ინვესტიციები სანესდებო კაპიტალში						
10	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები						
11	სხვა აქტივები						
12	<b>მთლიანი აქტივები</b>						
	<b>ვალდებულებები</b>						
13	ბანკების დეპოზიტები						
14	მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები)						
15	მოთხოვნამდე დეპოზიტები						
16	ვადიანი დეპოზიტები						
17	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები						
18	ნასესხები სახსრები						
19	დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები						
20	სხვა ვალდებულებები						
21	სუბორდინირებული ვალდებულებები						
22	<b>მთლიანი ვალდებულებები</b>						
	<b>სააქციო კაპიტალი</b>						
23	ჩვეულებრივი აქციები						
24	პრივილეგირებული აქციები						
25	მინუს: გამოსყიდული აქციები						
26	საემისიო კაპიტალი						
27	საერთო რეზერვები						
28	გაუნაწილებელი მოგება						
29	აქტივების გადაფასების რეზერვები						
30	<b>სულ სააქციო კაპიტალი</b>						
31	<b>მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი</b>						

გენერალური დირექტორი  
მთავარი ბუღალტერი



ცხრილი N2

ბანკი:  
თარიღი:

მოგება-ზარალის უწყისი

ლარებით

N		საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
		ლარი	უს- ვალუტა	სულ	ლარი	უს- ვალუტა	სულ
	<b>საპროცენტო შემოსავლები</b>						
1	საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით						
2	საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან						
2,1	ბანკთაშორისი სესხებიდან						
2,2	ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან						
2,3	ენერჯეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან						
2,4	სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის სექტორზე გაცემული სესხებიდან						
2,5	მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან						
2.6	სამთომომპოვებელ და გადაამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან						
2.7	ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან						
2.8	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან						
2.9	დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან						
3	საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან						
4	სხვა საპროცენტო შემოსავლები						
5	<b>მთლიანი საპროცენტო შემოსავლები</b>						
	<b>საპროცენტო ხარჯები</b>						
6	მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები						
7	ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები						
8	ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები						
9	საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები						
10	ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები						
11	სხვა საპროცენტო ხარჯები						
12	<b>მთლიანი საპროცენტო ხარჯები</b>						
13	<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>						
	<b>არასაპროცენტო შემოსავლები</b>						
14	წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით						
14.1	საკომისიო და სხვა შემოსავლები განეული მომსახურების მიხედვით						
14.2	საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით						
15	მიღებული დივიდენდები						
16	მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან						
17	მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან						
18	მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან						
19	მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან						
20	მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან						
21	სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები						

22	სხვა არასაპროცენტო შემოსავლები						
23	<b>მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები</b>						
	<b>არასაპროცენტო ხარჯები</b>						
24	სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით განეული არასაპროცენტო ხარჯები						
25	ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები						
26	ბანკის პერსონალის ხარჯები						
27	ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები						
28	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები						
29	სხვა არასაპროცენტო ხარჯები						
30	<b>მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები</b>						
31	<b>წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი</b>						
32	<b>წმინდა მოგება დარეგულირებამდე</b>						
33	ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით						
34	ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით						
35	ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით						
36	<b>მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით</b>						
37	<b>მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე</b>						
38	მოგების გადასახადი						
39	<b>მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ</b>						
40	გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები)						
41	<b>წმინდა მოგება</b>						

გენერალური დირექტორი  
მთავარი ბუღალტერი

ცხრილი N3

ბანკი:  
თარიღი:

ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი

ლარებით

N	-	საანგარიშგებო პერიოდი			წინა წლის შესაბამისი პერიოდი		
		ლარი	უც-ვალუტა	სულ	ლარი	უც-ვალუტა	სულ
1	პირობითი ვალდებულებები						
1.1	აქცეპტები და ინდოსამენტები						
1.2	გაცემული გარანტიები						
1.3	მიღებული გარანტიები						
1.4	გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები						
1.5	გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები						
1.6	სხვა პირობითი ვალდებულებები						
2	ფორმალური ვალდებულებები						
2.1	აღებული ფინანსური ვალდებულებები						
2.2	მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები						
2.3	მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები						
2.4	გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები						
2.5	ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები						
2.6	ფორვარდული სავალუტო ოპერაციები						
2.7	დანარჩენი ვალდებულებები						
3	სხვა ვალდებულებები						
3.1	ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ						
3.2	კლიენტის ვალდებულება						
3.3	მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ						
4	ვალდებულებები ბანკში შესანახავად განთავსებულ ქონებაზე						
4.1	ძვირფასი ლითონები						
4.2	ფასიანი ქაღალდები						
4.3	სხვა ქონება						
5	საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები						
5.1	საპროცენტო განაკვეთების სვოპების ძირითადი თანხა						
5.2	ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები						
5.3	ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერული კონტრაქტები						
5.4	ოფციონები						
6	კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ						
6.1	სვოპების ძირითადი თანხა						
6.2	ფორვარდული კონტრაქტები						
6.3	ფიუჩერული კონტრაქტები						
6.4	ოფციონები						
7	გაუნაღებელი დოკუმენტები						

7.1	ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით						
7.2	ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით						
7.3	გაუნაღდებელი სანესდებო ფონდი						
8	ზარალში ჩამონერილი ვალები						
8.1	სესხებზე მიღებული პროცენტები 31.12.2000-მდე						
8.2	სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან						
8.3	ზარალში ჩამონერილი ვალები 31.12.2000-მდე						
8.4	ზარალში ჩამონერილი ვალები 01.01.2001-დან						
8.5	ზარალში ჩამონერილი სხვა აქტივები						
9	სხვა ფასეულობა და დოკუმენტები						
9.1	გაურჩეველი ფულიანი ამანათები						
9.2	მცირეფასიანი ინვენტარი						
9.3	მკაცრი აღრიცხვის ბლანკები						
9.4	სპეცლატარიის ანაზღაურება						
10	სულ						

გენერალური დირექტორი  
მთავარი ბუღალტერი

**ცხრილი N4**

ბანკი:  
თარიღი:

ეკონომიკური მაჩვენებლები

ლარებით

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა წლის შესაბამისი პერიოდი
	კაპიტალი		
1	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი = 8%		
2	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი = 12%		
3	რისკის მიხედვით შენონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან		
4	ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან მოგება		
5	მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან		
6	მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან		
7	საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან		
8	წმინდა საპროცენტო მარჟა		
9	უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)		
10	უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) აქტივების ხარისხი		
11	უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან		
12	სშდრ / მთლიან სესხებთან		
13	უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან		
14	უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან		
15	მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი		
	ლიკვიდობა		
16	ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან		
17	უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან		
18	მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან		

გენერალური დირექტორი  
მთავარი ბუღალტერი

ცხრილი N5

ბანკი:  
თარიღი:

ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის, აქციონერების და ბენეფიციარების შესახებ

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ჩამონათვალი					
1					
2					
3					
4					
5					
დირექტორთა საბჭოს წევრების ჩამონათვალი					
1					
2					
3					
4					
5					
სანესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით					
1					
2					
3					
4					
5					
ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს წილების მითითებით					
1					
2					
3					
4					
5					

გენერალური დირექტორი  
მთავარი ბუღალტერი

### 3.1.15 დებულება კომერციულ ბანკებში შიდააუდიტორული საქმიანობისადმი მოთხოვნების შესახებ

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) კომერციული ბანკებში რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის განვითარების მიზნით აწესებს მოთხოვნებს შიდააუდიტორული საქმიანობისადმი.
2. საბანკო სისტემაში შიდააუდიტორული საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია ჩამოაყალიბოს შიდააუდიტორული სამსახური (შემდგომში – სამსახური), უზრუნველყოს და დაიცავს მისი დამოუკიდებელი საქმიანობა.
3. სამსახურის ძირითადი ამოცანა და მიზანია ბანკის შიდა კონტროლის, რისკების მართვის, მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის დამოუკიდებელი შეფასების განხორციელება. სამსახურის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის პრინციპებსა და შიდა აუდიტორების ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს.
4. სამსახურის ფუნქციონირება და მისი საქმიანობა დაფუძნებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპებზე:
  - ა) დამოუკიდებლობა;
  - ბ) კომპეტენტურობა;
  - გ) მიუკერძოებლობა;
  - დ) შიდა აუდიტის პროგრამისა და მასშტაბის ადეკვატურობა;
  - ე) რესურსებით უზრუნველყოფა.
5. სამსახური მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე.
6. სამსახურის მიერ მომზადებულმა დასკვნებმა დახმარება უნდა გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს ბანკის საქმიანობაში არსებული რისკის დონის დადგენაში, პრობლემებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში, ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებაში.
7. ამ დებულებით განსაზღვრული სამსახურის ფუნქციების, პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების ჩამოყალიბება და შესრულება სავალდებულოა ყველა კომერციული ბანკისათვის.

#### მუხლი 2. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტისა და დირექტორატის პასუხისმგებლობა შიდააუდიტორული სამსახურის ფუნქციონირებისა და საქმიანობისათვის

1. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, მასთან არსებული აუდიტის კომიტეტი და დირექტორატი პასუხს აგებენ აქციონერთა საერთო კრების წინაშე ბანკში სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის.
2. ბანკის აუდიტის კომიტეტი უფლებამოსილია სამსახურის მემვლობით ჩაატაროს ბანკის ანგარიშგებისა და საბუღალტრო ჩანაწერების, შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასება.
3. ბანკის აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს და დაამტკიცოს სამსახურის დებულება და ორგანიზება გაუწიოს ბანკში სამსახურის ფუნქციონირებას.
4. სამსახურის დებულებაში ჩამოყალიბებული და განსაზღვრული უნდა იყოს:
  - ა) სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა;
  - ბ) სამსახურის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;
  - გ) სამსახურის საქმიანობის სფერო და მასშტაბები;
  - დ) სამსახურის ანგარიშვალდებულება ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე;
  - ე) სამსახურისა და ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ანგარიშვალდებულებრივი ურთიერთობები;
  - ვ) სამსახურისა და მისი თანამშრომლების უფლება-მოვალეობანი;
  - ზ) შიდა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცედურები, აგრეთვე აუდიტორული შემოწმებების, გამოკვლევების, დასკვნებისა და რეკომენდაციების აუდიტის კომიტეტისათვის მოხსენების პროცედურები;
  - თ) შიდააუდიტორულ საქმიანობაში შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები.
5. ბანკის აუდიტის კომიტეტი ვალდებულია:
  - ა) განიხილოს და დაამტკიცოს სამსახურის მიერ მომზადებული შიდა აუდიტის წლიური სამუშაო პროგრამა კვარტალების მიხედვით;
  - ბ) კონტროლი გაუწიოს სამსახურის მუშაობას მისი საქმიანობის კვარტალური და წლიური სამუშაო პროგრამის მიხედვით;
  - გ) უზრუნველყოს სამსახურის ობიექტურობა და მისი დამოუკიდებლობა დირექტორატისაგან;
  - დ) განიხილოს სამსახურის კვარტალური მოხსენებები, დაამტკიცოს აუდიტორული გამოკვლევები და რეკომენდაციები, წარუდგინოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს ინფორმაციისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების გასატარებლად;
  - ე) შეაფასოს სამსახურისა და მისი უფროსის მიერ გაწეული მუშაობა პროფესიონალიზმისა და საქმიანობის დამოუკიდებელი მიდგომის გათვალისწინებით და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება;
  - ვ) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატთან ერთად უზრუნველყოს ბანკის სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობა სამსახურთან;
  - ზ) არ დაუშვას სამსახურის უფროსისა და თანამშრომლების საქმიანობაში დირექტორატისა და

ბანკის სხვა თანამშრომლების ისეთი ჩარევა, რამაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს სამსახურის დამოუკიდებლობა;

- თ) ხელი შეუწყოს სამსახურსა და გარე აუდიტს შორის, ასევე, სამსახურსა და ეროვნულ ბანკს შორის თანამშრომლობას რისკებისა და ხარვეზების ეფექტიანი იდენტიფიცირებისათვის.

### მუხლი 3. შიდააუდიტორული სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობა

1. კომერციულ ბანკში შიდააუდიტორული საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რასაც უნდა განაპირობებდეს ბანკის დირექტორატის მხრიდან ჩაურევლობა, სტრუქტურული დამოუკიდებლობა, დამოუკიდებელი საკადრო პოლიტიკა და შრომის ანაზღაურების სისტემა.
2. შიდააუდიტორულ საქმიანობაში სტრუქტურული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით სამსახური ანგარიშვალდებული უნდა იყოს ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე.
3. ბანკის შიდააუდიტორულ საქმიანობაში დამოუკიდებელი საკადრო პოლიტიკის წარმართვის მიზნით:
  - ა) სამსახურის სამტალო ნუსხა უნდა დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ მხოლოდ აუდიტის კომიტეტისა წარდგინებისა და თანხმობის საფუძველზე;
  - ბ) სამსახურის უფროსსა და მის მოადგილეს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო მხოლოდ აუდიტის კომიტეტის წარდგინებისა და თანხმობის საფუძველზე;
  - გ) სამსახურის სხვა თანამშრომლების დანიშვნა და გათავისუფლება ხდება მხოლოდ სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, რაც ბანკის შიდა პროცედურების თანახმად შეიძლება საჭიროებდეს აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებას.
4. სამსახურის უფროსის, მისი მოადგილისა და სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების, მატერიალური ნახალისებისა და ამ სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ოდენობას განსაზღვრავს აუდიტის კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში ან სამეთვალყურეო საბჭო აუდიტის კომიტეტის წარდგინებით. დაუშვებელია სამსახურის თანამშრომლების ანაზღაურების დამტკიცებაში ბანკის დირექტორატისა და სხვა აღმასრულებელი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა.
5. აუდიტის კომიტეტმა და სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყონ სამსახურის ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფა და მისი თანამშრომლებისათვის ისეთი ანაზღაურებისა და მოტივაციების სისტემის არსებობა, რომელიც იძლევა პროფესიონალური კადრების აყვანისა და შენარჩუნების შესაძლებლობას.
6. შიდააუდიტორული სამსახურის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის თანამშრომლების ანაზღაურება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, რომლებსაც ამონიშნებს სამსახური.

### მუხლი 4. აუდიტის კომიტეტისა და შიდააუდიტორული სამსახურის უფლებები

1. აუდიტის კომიტეტს შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებით უფლება აქვს:
  - ა) ჩამოაყალიბოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს სამსახურის სამტალო ნუსხა;
  - ბ) განიხილოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხები;
  - გ) შეთანხმების მიზნით განიხილოს სამსახურის უფროსის მიერ წარდგენილი სამსახურის ნებისმიერი თანამშრომლის დანიშვნის, დანიშნულებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხები;
  - დ) დაამტკიცოს ან სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სამსახურის უფროსის, მისი მოადგილისა და სამსახურის სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების, მატერიალური ნახალისებისა და ამ სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების შესახებ საკითხები;
  - ე) რეგულარულად მოიწვიოს კვარტალური და, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საგანგებო შეხვედრები სამსახურის უფროსსა და სამსახურის სხვა თანამშრომლებთან შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განსახილველად;
2. სამსახურს უფლება აქვს:
  - 3) სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად განიხილოს შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და დირექტორატის მხრიდან სამსახურის რეკომენდაციების უგულვებელყოფის ან მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების გამო სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს ბანკის პასუხისმგებელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლება.
2. სამსახურს უფლება აქვს:
  - ა) მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებით განსაზღვროს შიდა აუდიტის ჩატარების ფორმები და მეთოდები;
  - ბ) შიდააუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ბანკის ნებისმიერი იურიდიული, ბუღალტრული და სხვა შიდა დოკუმენტები, აგრეთვე აუდიტთან დაკავშირებით ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი თუ წერილობითი ფორმით;
  - გ) სრული მოცულობით შეამოწმოს ბანკის საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობა, ნებისმიერი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე შეამოწმოს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების პრაქტიკა და პროცედურები, დაადგინოს მათი უტყუარობა, სისრულე და შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმატივებთან;
  - დ) საბანკო საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით შეისწავლოს ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის განხორციელებული ყველა ოპერაცია და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მოახსენოს იგი აუდიტის კომიტეტსა და, შესაბამ-

- ისად, სამეთვალყურეო საბჭოს;
- გ) ერთპიროვნულად ან გარე აუდიტთან ერთად იქონიოს ურთიერთობა ეროვნულ ბანკთან, პარტნიორ ბანკებთან, ბანკის კლიენტებსა და სხვა კრედიტორებთან, ასევე მესამე პირის სხვა მხარეებთან ანგარიშების ნაშთების ან იმ საბანკო ოპერაციების შესწავლისა თუ დადასტურების მიზნით, რომელთა აუდიტორული შემოწმებაც ხდება;
  - ვ) ითანამშრომლოს ეროვნულ ბანკთან და გარე აუდიტთან ბანკის შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის სისტემებისა და პროცესების შეფასების ეფექტიანობის ზრდისათვის;
  - ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით პირდაპირი და კონფიდენციალური ურთიერთობა იქონიოს ბანკის აუდიტის კომიტეტთან, სამეთვალყურეო საბჭოსთან, დირექტორატთან, ბანკის სტრუქტურულ ერთეულებთან, აგრეთვე გარე აუდიტორებთან;
  - თ) შიდა აუდიტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისათვის შეხვედეს ბანკის შესაბამისი სამსახურების ნებისმიერ მუშაკს და დირექტორატის წარმომადგენლებს, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს აუდიტის კომიტეტის სხდომის გამართვა მათი მონაწილეობით.
3. სამსახურის მიერ ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება არ ითვლება კონფიდენციალურობის დარღვევად და კომერციული ბანკის დირექტორატი და სხვა თანამშრომლები ვალდებული არიან არ შეაფერხონ ეროვნულ ბანკსა და შიდა აუდიტს შორის პირდაპირი თანამშრომლობა.

## მუხლი 5. შიდააუდიტორული სამსახურის პასუხისმგებლობა

სამსახურს ეკისრება შემდეგი პასუხისმგებლობა:

- ა) შეასრულოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული შიდა აუდიტის სტანდარტები ამ დებულების შესაბამისად;
- ბ) განიხილოს ბანკის შიდა კონტროლის სისტემა, შეაფასოს ამ სისტემის ადეკვატურობა და ეფექტიანობა, ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები ამ სისტემის გასაუმჯობესებლად და გაუწიოს მას მონიტორინგი;
- გ) განსაზღვროს შეესაბამება თუ არა ბანკის მმართველობის სისტემა, პოლიტიკა და სტრატეგია მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს;
- დ) გარკვეული პერიოდულობით შეამოწმოს ბანკის ოპერაციები, პროგრამები და თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა და განსაზღვროს მათი შესაბამისობა ბანკის ბიზნესგეგმებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან;
- ე) შეამოწმოს შეესაბამება თუ არა ბანკის თანამშრომლების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულება ბანკის შიდა ინსტრუქციებს, პოლიტიკასა და პროცედურებს, აგრეთვე მოქმედ კანონმდებლობას და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს;
- ვ) შეაფასოს ბანკის მიერ საკუთარი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა და შედეგები მოახსენოს აუდიტის კომიტეტს;
- ბ) შეაფასოს მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის სანდოობა, სისწორე, სისრულე და ასეთი ინფორმაციის იდენტიფიცირების, კლასიფიცირებისა და

- თ) მოხსენების პროცედურის ეფექტიანობა;
- თ) გარე აუდიტის ეფექტიანი განხორციელების მიზნით ითანამშრომლოს გარე აუდიტორებთან;
- ი) მოამზადოს და აუდიტის კომიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინოს შიდააუდიტორული საქმიანობის პროგრამა თითოეული ფისკალური წლისათვის კვარტალების მიხედვით;
- კ) დაგეგმოს თითოეული შიდააუდიტორული შემოწმება, ჩაატაროს შესაბამისი პროცედურები და შემოწმების შედეგები მოახსენოს აუდიტის კომიტეტს;
- ლ) აუდიტის ობიექტურად განხორციელების მიზნით განიხილოს აუდიტის შედეგები და რეკომენდაციები აუდიტის მსვლელობისას და მისი დამთავრებისას, იმ პირებთან ერთად, რომელთა საქმიანობაც შემოწმდა;
- მ) შეამოწმოს ბანკის დირექტორატის მიერ შიდა და გარე აუდიტის შედეგებისა და რეკომენდაციების შესაბამისი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად განხორციელება;
- ნ) მოამზადოს და აუდიტის კომიტეტს წარუდგინოს კვარტალური მოხსენება, რომელშიც განხილული იქნება აუდიტორული შემოწმების შედეგად მიღებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და რეკომენდაცია, ასევე ყველა მნიშვნელოვანი მაკორექტირებელი ღონისძიება, რომლებიც ამ რეკომენდაციების საფუძველზე მხედველობაში მიიღო ბანკის დირექტორატმა;
- ო) დაეხმაროს ბანკის უსაფრთხოების სამსახურს არასწორი მოქმედებების გამოძიებასა და დადგენაში;
- პ) მიიღოს მონაწილეობა ბანკის დირექტორატსა და გარე აუდიტორებთან ერთად იმ აუდიტორული შემოწმების დაგეგმვასა და ჩატარებაში, რომელიც ობიექტების ყიდვა-გაყიდვასა და მსგავს წინადადებებთან (კაპიტალდაბანდებათა შექმნა და გასხვისება, შვილობილი ორგანიზაციის ყიდვა-გაყიდვა, უძრავი ქონების შექმნა, გასხვისება, დატვირთვა, იჯარით გაცემა და სხვა მსგავსი უფლებები) არის დაკავშირებული;
- ჟ) ჩაატაროს სპეციალური აუდიტი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის ან ეროვნული ბანკის მოთხოვნით;
- რ) მოახსენოს აუდიტის კომიტეტს სამსახურის საქმიანობისათვის შექმნილი დაბრკოლებები;
- ს) საიდუმლოდ შეინახოს შიდააუდიტორული საქმიანობის განხორციელების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაუროს კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობები, არ გამოიყენოს ისინი თავისი ან მესამე პირის ინტერესებისათვის, განუხრელად დაიცვას საბანკო საიდუმლოება. აღნიშნული არ ეხება შიდა აუდიტის მიერ ინფორმაციის ეროვნული ბანკისა და გარე აუდიტისათვის გამჟღავნებას.

## მუხლი 6. შიდააუდიტორული სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის კრიტერიუმები

1. სამსახურის შესაბამის თანამდებობებზე მიღება უნდა განხორციელდეს კვალიფიკაციის კრიტერიუმების გათვალისწინებით.
2. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს უნდა ჰქონდეს:



- ა) საუნივერსიტეტო განათლება ბუღალტერიაში, საბანკო საქმეში, ეკონომიკაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში ან სხვა შესაბამისი განათლება, რომელიც მნიშვნელოვანია მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად
  - ბ) შესაბამის სფეროში მუშაობის 5 წლის გამოცდილება, მათ შორის 2 წელი მაღალი რანგის თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე);
  - გ) საქმისადმი მიუკერძოებელი მიდგომა;
  - დ) საბანკო ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა.
3. სამსახურის უფროსის მოადგილეს უნდა ჰქონდეს:
- ა) საუნივერსიტეტო განათლება ბუღალტერიაში, საბანკო საქმეში, ეკონომიკაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში ან სხვა შესაბამისი განათლება, რომელიც მნიშვნელოვანია მასზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად
  - ბ) შესაბამის სფეროში მუშაობის 3 წლის გამოცდილება, მათ შორის 1 წელი მაღალი რანგის თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე);
  - გ) საქმისადმი მიუკერძოებელი მიდგომა;
  - დ) საბანკო ოპერაციების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ცოდნა.
4. შიდა აუდიტორს უნდა ჰქონდეს დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო განათლება, საქმისადმი მიუკერძოებელი მიდგომა.
5. ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმების გარდა, სამსახურის უფროსს, მის მოადგილესა და თანამშრომელს მოეთხოვება, ჰქონდეს ბანკის საქმიანობის მასშტაბებისა და კომპლექსურობის შესაბამისი განათლება, კვალიფიკაცია, უნარები და გამოცდილება.

### მუხლი 7. მოთხოვნები კომერციული ბანკის მიმართ

1. თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია სახელმძღვანელოდ მიიღოს ამ დებულებით გათვალისწინებული სტანდარტები, რათა:
  - ა) ხელმძღვანელობის ყველა რგოლისათვის გასაგები და მისაღები იყოს შიდა აუდიტის როლი და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა;
  - ბ) შეიქმნას სათანადო ბაზა აუდიტის კომიტეტისათვის, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს და შეაფასოს სამსახურის მუშაობა.
2. კომერციული ბანკის აუდიტის კომიტეტი ან სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია სამსახურის უფროსის დანიშნამდე სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია;
  - ბ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ.
3. კომერციული ბანკი ვალდებულია, ეროვნულ ბანკს აცნობოს ინფორმაცია შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დაუყოვნებლივ, ხოლო, სადაც ეს შესაძლებელია, აღნიშნული ღონისძიების განხორციელებამდე სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

### მუხლი 8. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება

1. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ითანამშრომლოს შიდააუდიტორულ სამსახურთან და აუდიტის კომიტეტთან ბანკის შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და მართვის სისტემებისა და პროცესების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის.
2. ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების შეფასებისას ადგენს:
  - ა) ჩამოაყალიბა თუ არა ბანკმა შიდააუდიტორული სამსახური, უზრუნველყოფილია თუ არა ეს სამსახური სამუშაო პირობებითა და სათანადო მასალებით;
  - ბ) ასრულებს თუ არა ბანკი ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
3. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მოთხოვოს აუდიტის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის დამატებითი რესურსებით უზრუნველყოფა, თუ თვლის, რომ არსებული რესურსები არ არის საკმარისი წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის. აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება ითვალისწინებდეს კონკრეტული კვალიფიკაციის აუდიტორების დანიშვნას.
4. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, შეამოწმოს აკმაყოფილებს თუ არა სამსახური აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეესაბამება თუ არა სამსახურის უფროსისა და თანამშრომლების განათლება, კვალიფიკაცია, უნარები და გამოცდილება ბანკის საქმიანობის მასშტაბებსა და კომპლექსურობას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს. ასეთი შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს გასაუბრების, კონკრეტულ საკითხზე თანამშრომლობის, მათ შორის ჩატარებული აუდიტის შედეგების ანალიზის ფარგლებში. აღნიშნულის შედეგად ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მოთხოვოს ბანკის აუდიტის კომიტეტს ან/და სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმის წარმოდგენა თუ იგი დასაბუთებულად ჩათვლის, რომ სამსახური ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, მოთხოვოს აუდიტის კომიტეტსა და/ან სამეთვალყურეო საბჭოს ზომების მიღება სამსახურის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის. ასეთი ზომები შესაძლებელია მოიცავდეს ანაზღაურებისა და მოტივაციის პოლიტიკის ცვლილებას, სამსახურისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნას, მათთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლის შესაძლებლობის მიცემას.
6. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მიერ თანამდებობის დატოვებამდე ან მისი გათავისუფლების შემდეგ ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, გაესაუბროს მას მისი წასვლის მიზეზების, აღნიშნულთან დაკავშირებული სხვადასხვა რელევანტური ფაქტისა და გარემოების დაზუსტების მიზნით.
7. იმ ბანკების მიმართ, რომელთა შიდააუდიტორული საქმიანობაც არ შეესაბამება ამ დებულების მოთხოვნებს და რეკომენდებულ შიდა აუდიტის სტანდარტებს, ეროვნული ბანკი გამოიყენებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ სანქციებს ჭარბების ჩათვლით.

### 3.1.16 კომერციული ბანკების გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი არეგულირებს კომერციული ბანკის, მათ შორის უცხოეთის ბანკის ფილიალის (შემდგომში – ბანკი) გარე აუდიტორულ დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, აგრეთვე ურთიერთობას საქართველოს ეროვნულ ბანკს (შემდგომში – ეროვნული ბანკი), ბანკების გარე აუდიტორებსა (შემდგომში – აუდიტორი) და ბანკებს შორის.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) პირი – რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი;
- ბ) აუდიტორი – პირი, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად რეგისტრირებულია სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში და ფლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემულ აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატს ან საერთაშორისოდ აღიარებულ ბუღალტერთა პროფესიული ასოციაციის/ორგანიზაციის საკვალიფიკაციო სერტიფიკატს, როგორცაა სერტიფიცირებულ საჭარო ბუღალტერთა ამერიკული ინსტიტუტისა (AICPA) და დიპლომირებულ და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საკვალიფიკაციო სერტიფიკატი;
- გ) ზოგადი ანგარიშგება – წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა მომზადდეს „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდგომში-ფასს) მიხედვით და რომლის აუდიტაც უნდა განხორციელდეს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის „საერთაშორისო აღრიცხვისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად;
- დ) დამხმარე უწყისი – დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს:
  - დ.ა) უწყისი ყველა რისკის (საბალანსო და გარე-საბალანსო) შესახებ, რომელთა შეფასება მოხდა ინდივიდუალურად ზოგად ანგარიშგებაში მოყვანილი აღრიცხვის მეთოდების გამოყენებით და რომელიც მოიცავს ყველა ხელმისაწვდომი დოკუმენტური ინფორმაციის მხოლოდ ჩამონათვალს,

- დ.ბ) გაუფასურების ზარალის მეთოდოლოგია და განგარიშება კოლექტიური შეფასების მიხედვით ზოგად ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი პრინციპების საფუძველზე,
- დ.გ) კორექტირების ცხრილი (საბალანსო უწყისის და მოგება/ზარალის ანგარიშგებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია დანართი N1-ის შესაბამისად).

#### მუხლი 3. ბანკის ვალდებულებები

ბანკი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს ზოგადი ანგარიშგების წლიური გარე აუდიტის ჩატარება ბანკის საქმიანობის სირთულის, მოცულობისა და რისკის პროფილის შესაფერისი პროფესიული გამოცდილების მქონე აუდიტორის მიერ;
- ბ) ყოველი საანგარიშგებო წლის (იმ წლის, რომლისთვისაც აუდიტის დასკვნა მზადდება) არაუგვიანეს 31 ოქტომბრისა, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ეროვნულ ბანკს წარუდგინოს აუდიტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი ზოგადი ანგარიშგების აუდიტის ჩატარების შესახებ;
- გ) სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული აუდიტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელებაზე უარის თქმის, ან აუდიტის ხელშეკრულებაში შესული ნებისმიერი ცვლილების შესახებ ეროვნულ ბანკს შეატყობინოს 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
- დ) ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ზოგადი ანგარიშგების, დამხმარე უწყისის (რომელიც შესაბამისაბაშია მოყვანილი ზოგად ანგარიშგებასთან) და სარეკომენდაციო წერილის ელექტრონული და დოკუმენტური ასლები, მათი მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 15 მაისისა. ბანკს შეუძლია წარმოადგინოს დამხმარე უწყისების მხოლოდ ელექტრონული ვერსია;
- ე) აუდიტორთან ერთად ხელი მოაწეროს სპეციალურ ურთიერთშეთანხმების წერილს, თუ აღნიშნულს მოითხოვს აუდიტორი;
- ვ) არაუგვიანეს 1 მარტისა (საანგარიშგებო წლის დამთავრებიდან), ეროვნულ ბანკს წარუდგინოს აუდიტორისთვის გადაცემული ფასს-ზე დაფუძნებული არა აუდიტებული ზოგადი ანგარიშგებისა და დამხმარე უწყისების პროექტების ელექტრონული ვერსიები;
- ზ) საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსოს აუდიტებული ზოგადი ანგარიშგება, არაუგვიანეს ამ მუხლის „დ“ პუნქტში გათვალისწინებული ვადისა;
- თ) ეროვნულ ბანკს დოკუმენტური და ელექტრონული ფორმით წარუდგინოს დამფუძნებელი/სათავო ბანკისა და დამფუძნებელი კოლდინგური კომპანიის წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებები მარეგისტრირებულ ქვეყანაში მათი გამოქვეყნებისთანავე, აგრეთვე შუალედური შემოწმებული ანგარიშგებანი, თუ ეს უკანასკნელი საჭაროდ ხელმისაწვდომია;

- ი) უზრუნველყოს ამ წესით დადგენილი, უცხო ენაზე მომზადებული ზოგადი ანგარიშგების, აუდიტორის დასკვნისა და სარეკომენდაციო წერილის ეროვნულ ბანკში წარდგენა ქართულ ენაზე, თანდართული დედნებით. დასაშვებია ამ მუხლის „თ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტებისა და დამხმარე უწყისის წარდგენა ინგლისურ ენაზე;
- კ) აანაზღაუროს ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისას წარმოქმნილი ნებისმიერი ხარჯი.

#### მუხლი 4. აუდიტორის ვალდებულებები

1. აუდიტორი ვალდებულია:
  - ა) უარი განაცხადოს ნებისმიერი ისეთი მომსახურების განწევაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის აუდიტორის დამოუკიდებლობას/მიუკერძოებლობას, IFAC-ის ეთიკის კოდექსის შესაბამისად;
  - ბ) ზოგად ანგარიშგებაში განსაზღვრული სტანდარტული აუდიტის განხორციელებისას ამ ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევების აღმოჩენისას დაუყოვნებლივ ეროვნულ ბანკს უნდა მიაწოდოს:
    - ბ.ა) ინფორმაცია, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საბანკო ლიცენზიის ერთ-ერთი მოთხოვნის შეუსრულებლობის თაობაზე;
    - ბ.ბ) ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირებთან კონფლიქტის შესახებ;
    - ბ.გ) ინფორმაცია ნორმატიული აქტების ან ბანკის წესდების მუხლების არსებითი დარღვევის თაობაზე;
    - ბ.დ) ინფორმაცია აუდიტორის შესაძლო გადადგომის ან მისი მომსახურების შეწყვეტის შესახებ;
    - ბ.ე) ინფორმაცია ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებში რაიმე სახის არსებითი ნეგატიური ცვლილების ან შესაძლო სამომავლო რისკების შესახებ.
  - გ) ამ მუხლის მიზნებისათვის გარე აუდიტორის მიერ ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდება არ ჩაითვლება კონფიდენციალობის დარღვევად.
2. თუ აუდიტორი მოითხოვს, ბანკი და ეროვნული ბანკი ხელს აწერენ სპეციალურ ურთიერთშეთანხმების წერილს.

#### მუხლი 5. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:
  - ა) ბანკთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ნებისმიერ დროს, წერილობითი სახით მოითხოვოს დამატებითი ახსნა-განმარტებები აუდიტორისაგან, ჩატარდა თუ არა აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ეფუძნება თუ არა ზოგადი ანგარიშგება ფასს-ს (ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკს მიაწოდოს ინფორმაცია მოთხოვნილი დამატებითი ახსნა-განმარტების შესახებ);
  - ბ) ბანკისაგან ან/და აუდიტორისგან მოითხოვოს ხელშეკრულება აუდიტორის მიერ ბანკისათვის განეული ყველა მომსახურების შესახებ აუდიტორის

დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შეფასების მიზნით;

- გ) ეროვნულ ბანკს, ბანკსა და აუდიტორს შორის შემდგარი ოფიციალური მოლაპარაკებების შემდგომ ბანკს მოსთხოვოს სხვა აუდიტორის შერჩევა, თუ დაადგენს, რომ ზოგადი ანგარიშგება არ არის მომზადებული ფასს-ის საფუძველზე, აუდიტი არ არის განხორციელებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და/ან კითხვის ნიშნის ქვეშ დგას აუდიტორის დამოუკიდებლობა/მიუკერძოებლობა, ან აუდიტორი არღვევს ამ წესის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი ისარგებლებს ამ უფლებამოსილებით, მან ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს აუდიტორს და ბანკს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
- 2. ეროვნული ბანკი არ არის უფლებამოსილი განსაზღვროს აუდიტის ჩატარებისთვის აუცილებელი სამუშაოს მასშტაბი და ფორმები.

#### მუხლი 6. სანქციები

ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკების მიმართ გამოიყენოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის N242/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჭარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესით“ გათვალისწინებული ფულადი ჭარიმა.

# დანართი N1

## კორექტირების ცხრილი

		ბალანსი (BS)		მოგება-ზარალის უწყისი (IS)	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
<b>რეკლასიფიკაციის გატარებები</b>					
გატარება 1					
ანგარიში	დებეტი				
ანგარიში	კრედიტი				
გატარება 1					
ანგარიში	დებეტი				
ანგარიში	კრედიტი				
<b>საწყისი გატარებები</b>					
გატარება 1					
ანგარიში	დებეტი				
ანგარიში	კრედიტი				
გატარება 1					
ანგარიში	დებეტი				
ანგარიში	კრედიტი				
<b>მაკორექტირებელი გატარებები</b>					
გატარება 1					
ანგარიში	დებეტი				
ანგარიში	კრედიტი				
გატარება 1					
ანგარიში	დებეტი				
ანგარიში	კრედიტი				
ინფორმაცია შვილობილ საწარმოებზე					
ინფორმაცია მეკავშირე საწარმოებზე					

# დანართი N1

## კორექტირების ცხრილი

\_\_\_\_\_ საბანკო ჯგუფი

მომზადების თარიღი

(საანგარიშგებო ვალუტა)

მომზადებულია:

ფინანსური მენეჯერი (სახელი, გვარი)

შესაბამისობაშია აუდიტებულ ფინანსურ უწყისებთან (დიახ/არა)

	კონსოლი- დირების გარეშე	შვილობილი		კონსოლიდირებისათვის საჭირო გატარებები				კაპიტალ მეთოდი	კონსოლი- დირებული		
		სანარ- მოები	ფასს	1 (PCAJE 1)	გამო- რიცხვა	1 (PCAJE 2)	გამო- რიცხვა				
სებ-ის ანგარიშ- გების შესაბამისი სვეტი	რეკლასი- ფიკაციის შემდგომი სვეტი	სანყისი გატარე- ბების შემდგომი სვეტი	ფასს	შვილ1	შვილ2	შვილ1	შვილ2	შვილ1	შვილ2	მეკავშირე სანარ- მოები	ფასს
<b>ბალანსი</b>											
აქტივები											
მთლიანი აქტივები											
ვალდებულებები და კაპიტალი											
მთლიანი ვალდებულებები											
კაპიტალი											
მთლიანი კაპიტალი											
უმცირესობის წილი											
მთლიანი კაპიტალი											
სულ ვალდებულებები და კაპიტალი											
<b>მოგება-ზარალი</b>											
წმინდა საპროცენტო შემოსავლები გაუფასურების ზარალის რეზერვის გამოქვითვამდე											
წმინდა საპროცენტო შემოსავალი											
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი											
ოპერაციული შემოსავალი											
ოპერაციული მოგება											
დასაბეგრი მოგება											
წმინდა მოგება											
უნდა შეივსოს კომპანიის კაპიტალის მფლობელების მიერ უმცირესობის წილი											

### 3.1.17 კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის (შემდგომში: წესი) მიზანია კომერციული ბანკების რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პროცესის ეფექტიანი ორგანიზება.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. რისკების შეფასების საერთო პროგრამა – რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლი, რომლის მიზანია კომერციული ბანკების რისკების დონის შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრა.
2. კომერციული ბანკების რისკის კატეგორიები – საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ბიზნეს მოდელი, მომგებიანობა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯგუფის სტრუქტურა, კორპორაციული მართვა და საერთო რისკი.
3. რისკის ზედამხედველები – საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონკრეტული რისკის კატეგორიის შეფასებაზე თითოეული კომერციული ბანკისა და სისტემის დონეზე.
  - ა) კორპორატიული, მცირე და საშუალო საკრედიტო რისკების განყოფილების თანამშრომლები და საცალო საკრედიტო რისკების განყოფილების თანამშრომლები ზედამხედველობენ საკრედიტო რისკებს;
  - ბ) ფინანსური რისკებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის განყოფილების თანამშრომლები ზედამხედველობენ ლიკვიდობისა და საბაზრო რისკებს, ბიზნესმოდელთან და მომგებიანობასთან, ასევე, მაკროეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებულ რისკებს;
  - გ) საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების თანამშრომლები ზედამხედველობენ საოპერაციო რისკებს;
  - დ) კორპორაციული მართვისა და საზედამხედველო პოლიტიკის განყოფილების თანამშრომლები ზედამხედველობენ ჯგუფის სტრუქტურასთან და კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ და ბანკის საერთო რისკს.
4. კომერციული ბანკის ზედამხედველები – საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონკრეტული კომერციული ბანკის ყველა რისკის კატეგორიის შეფასებაზე.

5. საზედამხედველო გეგმა – რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის მიმდინარე დღის წესრიგი, რომელიც ასახავს შესაფასებელ კომერციულ ბანკებსა და რისკის კატეგორიებს პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

#### მუხლი 3. რისკების შეფასება

1. ცალკეული კომერციული ბანკის კონკრეტული რისკის კატეგორიის მიმართულებით რისკების შეფასება ხორციელდება მოცემული რისკის და კომერციული ბანკის ზედამხედველების მიერ.
2. კონკრეტული რისკის კატეგორიის სისტემურ დონეზე შეფასება ხორციელდება მოცემული რისკის ზედამხედველის მიერ.
3. თითოეული ბანკისათვის კონკრეტული რისკის კატეგორიის შეფასება მოიცავს ინჰერენტული რისკის განსაზღვრას, არსებული მიტიგანტების ანალიზსა და წმინდა რისკის დონის შეფასებას.
4. რისკების ანალიზისა და შეფასების ფაზაში სხვადასხვა კომერციული ბანკის კონკრეტული რისკის კატეგორიის შეფასების თანმიმდევრობისათვის რისკის ზედამხედველები მხედველობაში იღებენ სხვა კომერციული ბანკების რისკის პროფილს.
5. რისკების შეფასება ძირითადად ეყრდნობა „CAMEL“-ის შეფასების ჩარჩოს, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის მნიშვნელოვანი პრინციპების“ დოკუმენტსა და სხვა მონიწივე საერთაშორისო საზედამხედველო პრაქტიკას.
6. რისკების შეფასება წარმოადგენს უწყვეტ საზედამხედველო ციკლს.

#### მუხლი 4. საზედამხედველო ქმედებები

1. იდენტიფიცირებული რისკების შეფასების შედეგად რისკის და კომერციული ბანკის ზედამხედველები, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებენ საზედამხედველო ქმედებების შესახებ წინადადებას, რომლის მიზანია სხვადასხვა რისკის კატეგორიის დონეების შემცირება ან კომერციული ბანკებისათვის მაღალი რისკის მიტიგაციისათვის საჭირო რესურსების ოდენობის გაზრდის მოთხოვნა.
2. საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრა შესაძლებელია განხორციელდეს უწყვეტი საზედამხედველო ციკლის ნებისმიერ ფაზაში, იქნება ეს ბანკის საერთო რისკის შეფასება, თუ ცალკეული რისკის კატეგორიის შეფასება, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიღების შედეგად, რასაც ეროვნული ბანკი ჩათვლის დროული რეაგირების საგნად.

#### მუხლი 5. რისკების შეფასებისა და საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრისა და დადასტურების პროცესი

1. რისკების შეფასებისა და საზედამხედველო ქმედებების ინიცირება ხდება საზედამხედველო გეგმის

- მიხედვით, როგორც ციკლური (პერიოდულად გამეორებადი), ასევე არაციკლური სამუშაოების ფარგლებში.
2. თითოეულ დავალებას ჰყავს ავტორი/ჯგუფის უფროსი, ჯგუფის წევრები და გადამხედავი. როგორც წესი, ავტორი/ჯგუფის უფროსი და გადამხედავი სხვადასხვა დეპარტამენტიდანაა.
  3. პირველ ეტაპზე, საზედამხედველო გეგმა მტკიცდება საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკისა და საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტების უფროსების მიერ. საზედამხედველო გეგმას საბოლოოდ ამტკიცებს საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან შეთანხმებით.
  4. საზედამხედველო ქმედებების კომერციულ ბანკთან კომუნიკაცია, როგორც წესი, ხდება მხოლოდ იმ ძირითად არგუმენტებთან ერთად, რაც გახდა საზედამხედველო ქმედებების მიზეზი.
7. საზედამხედველო ყურადღების ინტენსივობა განისაზღვრება კომერციული ბანკის რისკის კატეგორიისა და მისი სისტემური მნიშვნელობის გათვალისწინებით.

## მუხლი 6. რისკების რაოდენობრივი შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ყურადღების დონე

1. გარდა კორპორაციული მართვის კატეგორიისა, ამ წესის მეორე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული რისკის კატეგორიის რისკის დონის განსაზღვრისათვის ფასდება:
  - ა) ინჰერენტული რისკი;
  - ბ) რისკის მიტიგანტები, რომლის ფარგლებშიც ფასდება სამეთვალყურეო საბჭო, აღმასრულებელი მენეჯმენტი და რისკების მართვა და კონტროლი.
2. რისკის დონე თითოეული რისკის კატეგორიისათვის და საერთო რისკის დონე განისაზღვრება [1 ; 5] ინტერვალზე შეფასების ქულების მინიჭებით. შეფასების ბიჯის საორიენტაციო სიდიდეა 0,5.
3. საშუალო რისკის კატეგორიას მიეკუთვნება 3 ქულა, შედარებით დაბალი რისკის კატეგორიას – ქულები, რომლებიც ნაკლებია 3-ზე, ხოლო შედარებით მაღალი რისკის კატეგორიას – ქულები, რომლებიც მეტია 3-ზე.
4. თითოეული კომერციული ბანკისათვის რისკის კატეგორიებს ენიჭებათ წონები. აღნიშნული წონების ჯამი უნდა უდრიდეს 100%-ს. წონების განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალიზებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ სექტორის მასშტაბით თითოეული რისკის კატეგორიისათვის განსაზღვრული საშუალო წონები.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წონები ცალკეული კომერციული ბანკისათვის იცვლება მისი ბიზნეს მოდელისა და მოცემული კომერციული ბანკისათვის კონკრეტული რისკის კატეგორიის მნიშვნელობის დონეზე დაყრდნობით.
6. ინფორმაცია მინიჭებული ქულების შესახებ კონფიდენციალურია და წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა საზედამხედველო ორიენტირებს.

### 3.1.18 კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჭარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ამ წესის მიზანია დადგინდეს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - ეროვნული ბანკი) მიერ კომერციული ბანკების (შემდგომში - ბანკი) მიმართ ფულადი ჭარიმების განსაზღვრისა და დაკისრების საკითხები.
- ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ბანკების მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჭარიმები, თუ ბანკმა ან მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა:
  - დაარღვია ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ეროვნული ბანკისა და/ან საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესები, დადგენილებები, მოთხოვნები, წერილობითი მითითებები;
  - დაარღვია ნებისმიერი პირობა ან შეზღუდვა, რომელიც დართული აქვს საბანკო ლიცენზიას ან ეროვნული ბანკისა და/ან საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შესაბამის დებულებას;
  - დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადები ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია.
  - დაარღვია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
- ბანკებისათვის ფულადი ჭარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც მითითებული იქნება მისი აღსრულების წესი.
- ბანკებისათვის ფულადი ჭარიმების დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი ბანკისათვის გაცნობისთანავე. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ წესის შესაბამისად დაკისრებული ჭარიმის აღსრულება უზრუნველყოს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული გასაჩივრების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ.
- ბანკის მიერ გადახდილი ფულადი ჭარიმის თანხები მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

#### მუხლი 2. ფულადი ჭარიმის ოდენობა

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნებადართული საქმიანობის გარდა ბანკის მიერ სხვა საქმიანობის წარმოებისას ბანკი ჭარიმდება დარღვევის გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.1%-ის ოდენობით.
- ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ბანკის (ბანკის ფილიალის ან სხვა სტრუქტურული ერთეულის) მიერ საბანკო ოპერაციების წარმოებისას ბანკი ჭარიმდება დარღვევის გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.1%-ის ოდენობით.
- ბანკის მიერ ეროვნული ბანკისა და/ან საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინსტრუქციებით, დებულებებით, წესებით, დადგენილებებით, მოთხოვნებითა და წერილობითი მითითებებით აკრძალული ოპერაციების წარმოებისას ბანკი ჭარიმდება თითოეული ასეთი ოპერაციის წარმოების გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.1%-ის ოდენობით.
- ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ყოველწლიური დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმების ჩატარებლობისა და/ან აუდიტორული დასკვნის დადგენილ ვადებში ეროვნულ ბანკში წარუდგენლობის შემთხვევაში ბანკი ჭარიმდება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.
- ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის თაობაზე ეროვნული ბანკის წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ბანკი ჭარიმდება შემდეგი ოდენობით:
  - კვარტალური და აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების დადგენილი ფორმითა და/ან დადგენილ ვადებში ბეჭდვით ორგანოში გამოუქვეყნებლობის თითოეულ შემთხვევაში - 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
  - ბანკის კვარტალური და აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნების შესახებ ინფორმაციისა და გამოქვეყნებული კვარტალური და აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებების ელექტრონული ვერსიის დადგენილ ვადაში ეროვნული ბანკისათვის წარუდგენლობის შემთხვევაში დარღვევის თითოეულ ფაქტზე - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- ეროვნული ბანკისა და/ან საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინსტრუქციებით, დებულებებით, წესებით, დადგენილებებით, მოთხოვნებითა და წერილობითი მითითებებით დადგენილი შემდეგი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ბანკი ჭარიმდება შემდეგი ოდენობით:
  - საფინანსო ანგარიშგების, სხვა ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში ეროვნული ბანკისათვის წარუდგენლობის შემთხვევაში დარღვევის თითოეულ ფაქტზე - 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;



- ბ) ეროვნულ ბანკში არამუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში დარღვევის თითოეულ ფაქტზე 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
- გ) ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წესების დარღვევის შემთხვევაში თითოეულ ფაქტზე 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
- დ) ბანკის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (ბალანსურ ან გარეგანსურ უწყისებში) აღურიცხველობის შემთხვევაში აღურიცხველობის თითოეულ ფაქტზე 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;
- ე) ეროვნულ ბანკში წარდგენილი დადგენილი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების არასწორად გაანგარიშების შემთხვევაში დარღვევის თითოეულ ფაქტზე 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
- ვ) კრებისთი საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში – დადგენილ ლიმიტს გადაჭარბებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით დარღვევის თითოეულ დღეზე;
- ზ) საბალანსო საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში - დადგენილ ლიმიტს გადაჭარბებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით დარღვევის თითოეულ დღეზე;
- თ) საბალანსო და კრებისთი საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტების ერთდროულად დარღვევის შემთხვევაში დადგენილ ლიმიტებს გადაჭარბებულ თანხებს შორის უდიდესის 0,1 პროცენტის ოდენობით დარღვევის თითოეულ დღეზე.
- 7. ეროვნული ბანკისა და/ან საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინსტრუქციებით, დებულებებით, წესებით, დადგენილებებით, მოთხოვნებით დადგენილი და წერილობითი მითითებებით მოთხოვნილი შემდეგი დოკუმენტაციის წარუდგენლობისათვის ბანკი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:
  - ა) ბანკის აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და სარევიზიო კომისიის კრების ოქმების დადგენილ ვადებში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
  - ბ) ბანკის სამეწარმეო რეესტრის, წესდების, ბანკის ფილიალების სარეგისტრაციო დოკუმენტებისა და მათში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
  - გ) ბანკის აქციონერებთან დაკავშირებული საფინანსო და იურიდიული დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
  - დ) ბანკის ადმინისტრატორებთან დაკავშირებული დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
  - ე) ბანკთან და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტაციისა და ინფორმაციის დადგენილ ვადებში ეროვნულ ბანკში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.
- 7<sup>1</sup>. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის

- სარეზერვო ანგარიშზე არსებული ნაშთის დასაცავ მინიმალურ რეზერვთან დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკს გადაახდეინებს ფულად ჯარიმას სარეზერვო ანგარიშზე ყოველ კალენდარულ დღეს არსებული დანაკლისის თანხის 0,2%-ის ოდენობით. ჯარიმა დაერიცხება ეროვნული ვალუტით, იმ დღეს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.
- 7<sup>2</sup>. ეროვნული ვალუტის საშუალო ნაშთის დასაცავ მინიმალურ რეზერვთან დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკს გადაახდეინებს ფულად ჯარიმას, მოცემული დანაკლისის 2,8%-ს.
- 7<sup>3</sup>. ყოველდღიური მოზიდული სახსრების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო მოზიდული სახსრების არასწორად გაანგარიშების ფაქტის ეროვნული ბანკის მიერ აღმოჩენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი დააკისრებს ფულად ჯარიმას ბანკს 10 000 ლარის ოდენობით. არასწორად გაანგარიშების ფაქტის კომერციული ბანკის მიერ აღმოჩენის შემთხვევაში ბანკს არ დაეკისრება აღნიშნული ფულადი ჯარიმა.
- 7<sup>4</sup>. ამ მუხლის 71 და 72 პუნქტებით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმა ბანკს დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუკი დასაცავ მინიმალურ რეზერვებთან დანაკლისი წარმოიშობა საშუალო მოზიდული სახსრების არასწორად გაანგარიშების ფაქტის აღმოჩენის გამო, მონაცემების კორექტირების შედეგად.
- 7<sup>5</sup>. ამ მუხლის 71 და 72 პუნქტებით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმა ბანკს არ დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ გამოთვლილი ფულადი ჯარიმის თანხა 100 ლარზე ნაკლებია.
- 8. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებითა და წერილობითი მითითებებით დადგენილი შემდეგი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ბანკი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:
  - ა) ბანკის შემონმების თაობაზე ეროვნული ბანკის ბრძანებით ან განკარგულებით განსაზღვრული შემონმების დანყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესით წარუდგენლობის ან/და დადგენილი ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეულ ფაქტზე: – 30 დღემდე დაგვიანებისათვის – 100 (ასი) ლარის ოდენობით; – 30 და მეტი დღით დაგვიანებისათვის – 300 (სამასი) ლარის ოდენობით;“;
  - ბ) ბანკის შემონმების თაობაზე ეროვნული ბანკის განკარგულებით განსაზღვრული შემონმების დანყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარუდგენლობის გამოვლენის შემთხვევაში - 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით

- დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- გ) იდენტიფიკაციის გარეშე ნებისმიერი პირისათვის საბანკო მომსახურების გაწევის გამოვლენის შემთხვევაში - 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- დ) მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში - 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- ე) ბანკის შემონმების თაობაზე ეროვნული ბანკის ბრძანებით ან განკარგულებით განსაზღვრული შემონმების დანყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების დადგენილი წესით წარუდგენლობის ან/და დადგენილი ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- 30 დღემდე დაგვიანებისათვის - 100 (ასი) ლარის ოდენობით;
- 30 და მეტი დღით დაგვიანებისთვის - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
- ვ) ბანკის შემონმების თაობაზე ეროვნული ბანკის ბრძანებით ან განკარგულებით განსაზღვრული შემონმების დანყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარუდგენლობის გამოვლენის შემთხვევაში - 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
- 8) კომერციული ბანკი ან მისი ადმინისტრატორი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბანკის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების მიღებას და/ან აღნიშნული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების დაცვას, დაჭარბდება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.
- 8<sup>1</sup>. ეროვნული ბანკის მოთხოვნებისა და/ან წერილობითი მითითებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჭარბდება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.
- 8<sup>2</sup>. ეროვნული ბანკის მოთხოვნებისა და/ან წერილობითი მითითებების მრავალჯერადი შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჭარბდება 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით.
- 8<sup>3</sup>. კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე, თუ ადმინისტრატორი ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რაც იწვევს ბანკის მიერ კანონმდებლობის დარღვევას, ადმინისტრატორი ჭარბდება 2,000 ლარის ოდენობით.
9. დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ბანკის მიმართ ფულადი ჭარიმის დაკისრების შემდეგ, ამავე მოთხოვნის შეუსრულებლობის შემ-

- თხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკის მიმართ გამოიყენოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა სანქციები.
10. ამ მუხლში აღნიშნული დარღვევების გამოვლენისას დარღვევის და აქტივების არსებული თუ შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკის მიმართ ფულადი ჭარიმის დაკისრების ნაცვლად გამოიყენოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა სანქციები.

### მუხლი 3. ფულადი ჭარიმისაგან გათავისუფლება

- ეროვნული ბანკი სანქციის სახით ჭარიმის განსაზღვრის შემთხვევაში ბანკს ათავისუფლებს უკვე დაკისრებული და არგადახდილი ფულადი ჭარიმისაგან, ასევე ახალი ფულადი ჭარიმის დაკისრებისაგან და გადახდისაგან, თუ:
  - ბანკში მოქმედებს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი;
  - ბანკს გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია.
- განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნულ ბანკს შეუძლია ბანკი გაათავისუფლოს ფულადი ჭარიმის დაკისრებისა და გადახდისაგან, თუ ფულადი ჭარიმის გადახდის შედეგად შესაძლებელია:
  - ბანკის ფინანსური მდგომარეობა ისე გაუარესდეს, რომ საფრთხე შეექმნას მის მომავალ ფუნქციონირებასა და გადახდისუნარიანობას;
  - ბანკი გახდეს არალიკვიდური და ვეღარ განახორციელოს კლიენტთა დეპოზიტების მომსახურება, რომლის შედეგადაც შესაძლებელია შეფერხდეს ანგარიშსწორება საბანკო სისტემაში.
- ფულადი ჭარიმის დაკისრებისაგან და დაკისრებული ფულადი ჭარიმის გადახდისაგან ბანკის გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიყენება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

### 3.1.19 კომერციული ბანკის გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, აგრეთვე „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების ძირითად საკითხებს. აიძ
- ბანკის გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ეროვნული ბანკი.
- ბანკი გადახდისუნაროდ შეიძლება გახდეს როგორც საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, ისე ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დროს.
- ბანკი შეიძლება გაკოტრდეს მხოლოდ მისი ლიკვიდაციის პროცესის დროს.
- ბანკის გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტებს. ასეთი ადმინისტრაციული აქტები გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.
- ბანკის გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები დაუყოვნებლივ ქვეყნდება ეროვნული ბანკისა და სხვა ბეჭდვით ორგანოში.
- ბანკის გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი წარედგინება ამ ბანკის მარეგისტრირებულ სასამართლოს სამრეწველო რეესტრში შესაბამისი აღნიშვნისათვის.

#### მუხლი 2. ბანკის გადახდისუნაროდ გამოცხადება

- ბანკი გადახდისუნაროდ ხდება იმ დროს, როდესაც მისი აქტივები ვეღარ ფარავს თავის ვალდებულებებს.
- საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მქონე ბანკის გადახდისუნარობის დადგენისათვის ბანკის მთლიანი აქტივების ღირებულება გაიანგარიშება ბალანსზე რიცხული თითოეული აქტივის წმინდა ღირებულების ჯამით.
- ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის გადახდისუნარობის დადგენისათვის ბანკის მთლიანი აქტივების ღირებულება გაიანგარიშება სალიკვი-

დაციო ბალანსზე რიცხული თითოეული აქტივის წმინდა ღირებულების ჯამით.

- ბანკის გადახდისუნაროდ გამოცხადების თაობაზე ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების საფუძველია ბანკის გადახდისუნარობის დამადასტურებელი დასკვნა, რომელსაც ამზადებს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო.
- მოქმედი ბანკის გადახდისუნაროდ გამოცხადების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე უქმდება ამ ბანკის საბანკო საქმიანობის ლიცენზია და იწყება მისი ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც წარიმართება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“- ს საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად.
- გადახდისუნაროდ ბანკი მისი ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე ექვემდებარება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს

#### მუხლი 3. ბანკის გაკოტრებულად გამოცხადება

- ბანკის გაკოტრების ფაქტი დგინდება მისი ლიკვიდაციის პროცესის მსვლელობისას.
- ბანკი კოტრდება იმ დროს, როდესაც მას სალიკვიდაციო ბალანსით ერიცხება დაუფარავი მოთხოვნები, მაგრამ აღარ აქვს აქტივები ამ მოთხოვნების დასაფარავად.
- ბანკს აქტივები აღარ აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ამ გარემოებათაგან ერთ-ერთთან:
  - რეალიზებულია (ამოღებულია) ყველა აქტივი;
  - არარეალიზებული აქტივების საბაზრო (სარეალიზაციო) ღირებულება ნულის ტოლია;
  - სესხებისა და სხვა აქტივების ამოღება შეუძლებელია იმის გამო, რომ მათი მფლობელები გაკოტრებული არიან ან არ გააჩნიათ რეალიზებადი ქონება.
- ბანკის გაკოტრებულად გამოცხადების თაობაზე ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების საფუძველია ბანკის გაკოტრების დამადასტურებელი დასკვნა, რომელსაც ამზადებს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო.
- ბანკის გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე წყდება ამ ბანკის ლიკვიდაციის პროცესი.

### 3.1.20 კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი გამოიყენება იმ კომერციული ბანკის (შემდგომში - ბანკი) მიმართ, რომელსაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (შემდგომში - ეროვნული ბანკი) გაუუქმა საბანკო საქმიანობის ლიცენზია.
2. ეროვნული ბანკის მიერ ბანკისათვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისთანავე იწყება ბანკის ლიკვიდაციის პროცესი.
3. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისა და ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს. ასეთი ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.
4. ბანკის ლიკვიდაციას ახორციელებს ლიკვიდატორი, რომელიც ინიშნება და თავისუფლდება ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტით. ასეთი ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით. დაუშვებელია ლიკვიდატორი იყოს ამ ბანკთან დაკავშირებული პირი.
5. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება და ლიკვიდატორის დანიშვნა შეიძლება განხორციელდეს ერთი ადმინისტრაციული აქტით.
6. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი (აქტები) დაუყოვნებლივ ქვეყნდება ეროვნული ბანკის საიტზე და საკანონმდებლო მაცნეში.
7. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი (აქტები) ეროვნული ბანკის მიერ წარედგინება ამ ბანკის მარეგისტრირებულ ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი აღნიშვნისათვის და ადგილობრივი სისტემის ოპერატორს, თუ ბანკი წარმოადგენდა ამ სისტემის მონაწილეს.

#### მუხლი 2. ლიკვიდაციის პროცესის თავისებურებები

1. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ ბანკის ლიკვიდატორმა უნდა აწარმოოს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესით განსაზღვრული საქმიანობა.
2. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება იძულებითი აღსრულება.
3. თუ ლიკვიდირებული ბანკი იყო საგადახდო სი-

სტემის ოპერატორი ან/და ანგარიშსწორების აგენტი, ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშნოსთანავე უზრუნველყოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყებამდე სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისა და ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშში (ანგარიშები) დაიხურება და ეროვნულ ბანკში გაიხსნება ახალი სალიკვიდაციო ანგარიში (როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის), რომელზეც გადაიტანება ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე (ანგარიშებზე) რიცხული ნაშთი და სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე რიცხული თანხა.
5. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან ბანკში წყდება პროცენტებისა და სარგებლის დარიცხვა დეპოზიტებსა და სხვა ვალდებულებებზე და ამ თარიღისათვის დარიცხული გაუცემელი პროცენტები გადაიტანება შესაბამისი პირის ძირითად ანგარიშზე.
6. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების დღიდან დაიბლოკება ბანკის მიერ გახსნილი ყველა ანგარიში.
7. ბანკში ერთი ფიზიკური პირის სახელზე სხვადასხვა საანაბრე ანგარიშებზე და/ან სხვადასხვა ხელშეკრულებით რიცხული მოთხოვნები ერთიანდება და გადაიტანება შესაბამისი ფიზიკური პირის ძირითად ანგარიშზე. ასევე ერთი იურიდიული პირის სხვადასხვა ხელშეკრულებით რიცხული მოთხოვნები ერთიანდება და გადაიტანება მის ძირითად ანგარიშზე. პირის ძირითად ანგარიშზე რიცხული ჯამური თანხა არის ამ პირის ერთი მოთხოვნა ბანკის მიმართ.
8. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა შეიძლება მხოლოდ ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად ვადადამდგარი მოთხოვნების მიმართ.
9. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისა და ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთანავე ეროვნული ბანკის წარმომადგენლები ლუქავენ და აღრიცხავენ სალიკვიდაციო ბანკის დოკუმენტაციას, შენობა-ნაგებობებსა და სხვა ძირითად საშუალებებს.
10. ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე ბანკი ექვემდებარება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს.

#### მუხლი 3. ლიკვიდატორის უფლებები

1. ლიკვიდაციის პროცესში მყოფ ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ლიკვი-

დატორი. მას ეკისრება ბანკის ყველა ორგანოს (მათ შორის, აქციონერთა საერთო კრების) ყველა უფლებამოსილება.

2. ლიკვიდატორი უფლებამოსილია წარმართოს ბანკის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმეები, დაამთავროს სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები, საჭიროების შემთხვევაში კი ჩაებას ახალ გარიგებებში.
3. ლიკვიდატორს დანიშვნის დღიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე შეუძლია შეწყვიტოს:
  - ა) გარიგება ბანკის თანამშრომელთა დაქირავების შესახებ;
  - ბ) კონტრაქტები მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებამაც ბანკი მონაწილეობდა;
  - გ) ბანკის ნებისმიერი ვალდებულება, როგორც უძრავი ქონების მოიჯარისა, თუ მეიჯარე 60 დღით ადრე იყო გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ ბანკი აპირებს გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება.
4. ლიკვიდატორი უფლებამოსილია სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს ბანკის ადმინისტრატორის მიერ ლიკვიდატორის დანიშვნამდე ერთი წლით ადრე განხორციელებული ისეთი მოქმედება ან გარიგება და მოითხოვოს მათი ბათილად ცნობა, რომელთა შედეგად კომერციულ ბანკთან დაკავშირებულ პირებს ამ ბანკის ხარჯზე ჰქონდათ ქონებრივი სარგებელი ან რაიმე უპირატესობა, შეღავათი, რამაც გამოიწვია ბანკისათვის ან/და მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება.
5. ლიკვიდატორს ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დროულად და სწორად წარმართვის მიზნით უფლება აქვს:
  - ა) მიიღოს სესხი ეროვნული ბანკისაგან;
  - ბ) ეროვნული ბანკის თანხმობით სალიკვიდაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების შესახებ გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები სხვადასხვა პირთან, ასევე, შესაბამის სამსახურებთან ბანკის საბუთების დადგენილი წესით აღრიცხვის, აკინძვისა და მათი საარქივო შენახვის უზრუნველსაყოფად;
  - გ) გაატაროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ის ღონისძიება, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს სალიკვიდაციო ბანკის მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა ფინანსური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
6. მხოლოდ ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ლიკვიდატორს უფლება აქვს:
  - ა) გახსნას სალიკვიდაციო ანგარიშები სხვა ბანკში სხვადასხვა ვალუტით;
  - ბ) დროებით არ დახუროს სხვა ბანკებში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშები;
  - გ) მიიღოს სესხი სხვა ბანკებისაგან;
  - დ) გადასცეს სხვა ბანკს სესხების ან სხვა საფინანსო აქტივების მოთხოვნის უფლება და ორგანიზაცია გაუწიოს ასეთი ბანკისათვის ვალდებულებათა გადაცემას.

#### მუხლი 4. ლიკვიდატორის ვალდებულებები

1. ლიკვიდატორი მის მიერ განხორციელებული სა-

ქმიანობისათვის ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე.

2. ლიკვიდატორმა ბანკის სალიკვიდაციო საქმეები უნდა აწარმოოს კეთილსინდისიერად. მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ლიკვიდატორი პასუხს აგებს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბანკის დროებითი ან ყოფილი ადმინისტრატორები ვალდებულნი არიან, გადააბარონ ბანკის საქმეები ლიკვიდატორს ეროვნული ბანკის მიერ მითითებულ ვადებში. ხოლო, ლიკვიდატორმა თავის მხრივ, მისი დანიშვნის დღიდან უნდა აღწეროს და გადაიბაროს ბანკის საქმეები ბანკის დროებითი ან ყოფილი ადმინისტრატორებისაგან ეროვნული ბანკის მიერ მითითებულ ვადებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის ყოფილი ადმინისტრატორები თავს აარიდებენ ბანკის საქმეების გადმობარებას, ლიკვიდატორმა მის მიერ შექმნილ სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად უნდა აღწეროს და შეადგინოს ბანკის საქმეთა ინვენტარიზაციის აქტი და ამავდროულად მიიღოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები აღნიშნულ ადმინისტრატორთა პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად.
5. ლიკვიდატორი ვალდებულია ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებიდან 10 კალენდარულ დღეში:
  - ა) შეადგინოს სალიკვიდაციო ბანკის საწყისი ბალანსი არსებული ყოველდღიური საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების ან სხვა შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე და წარუდგინოს ეროვნულ ბანკს.
  - ბ) დაუგზავნოს შეტყობინებები მოკორესპონდენტო ბანკებს, საბანკო ბარათებისა და ფულადი გზავნილების ანგარიშწორებათა მომსახურე ორგანიზაციებს, რათა ლიკვიდატორის ნებართვის გარეშე არ მოხდეს საკორესპონდენტო ანგარიშებიდან ოპერაციების წარმოება და მოითხოვოს ბანკის მიერ ემითირებული საბანკო ბარათების გაუქმება;
  - გ) უზრუნველყოს ბანკის კუთვნილი ყველა ბანკომატის დალუქვა;
  - დ) გააკეთოს განაცხადები საჯარო რეესტრსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა ლიკვიდატორის გარეშე არ მოხდეს სალიკვიდაციო ბანკის კუთვნილი ქონების (უძრავი ქონება, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვ.) გახსვისება;
  - ე) დაუგზავნოს შეტყობინებები ბანკის ყოფილ ყველა ადმინისტრატორს ბანკისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ყველა ბეჭდისა და შტამპის 10 კალენდარული დღის განმავლობაში ჩაბარების მოთხოვნით. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.
6. ლიკვიდატორმა, მის მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიასთან ერთად, უნდა გაანადგუროს ბანკისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ყველა ბეჭედი და შტამპი და შესაბამისი განადგურების აქტი წარმოადგინოს ეროვნულ ბანკში. ლიკვიდატორმა ამავდროულად უნდა უზრუნველყოს ლიკვიდატორის ბეჭდისა და შტამპის დამზადება.
7. ლიკვიდატორმა მოკორესპონდენტო ბანკებში უნ-

და წარადგინოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამოწმებული ხელმოწერისა და ბეჭდის ნიმუშები.

8. ლიკვიდატორმა უნდა უზრუნველყოს სხვა ბანკებში სალიკვიდაციო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხების გადარიცხვა ეროვნულ ბანკში არსებულ სალიკვიდაციო ანგარიშებზე და ასეთი საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვა.
9. ლიკვიდატორმა სალიკვიდაციო ბანკის სანყის ბალანსის შედგენიდან ერთ თვეში:
  - ა) ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება კრედიტორებს უნდა აცნობოს სპეციალური შეტყობინებით, ხოლო ისეთ კრედიტორებს, რომელთა იურიდიული მისამართიც უცნობია, ბეჭდვით ორგანოში განცხადების გამოქვეყნებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მათ დადგენილ ვადებში ბანკს უნდა წარუდგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი საბუთები. ანალოგიური შინაარსის განცხადება, საჭიროების შემთხვევაში, განმეორებით უნდა გამოქვეყნდეს ერთი თვის ინტერვალით.
  - ბ) ბანკის მსესხებლებს და სხვა დებიტორებს უნდა დაუგზავნოს შეტყობინებები ხელშეკრულებების შესაბამისად ბანკის წინაშე არსებული დავალიანების (ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტების) სრულად და დროულად დაფარვის შესახებ და უნდა მოთხოვოს 1 თვეში წერილობითი დასტურის წარდგენა მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე. შეტყობინებაში აგრეთვე უნდა მიეთითოს, რომ, თუ ვალდებულების დაფარვა წერილობით არ არის დადასტურებული, ლიკვიდატორი სასარჩელს შეიტანს შესაბამის სასამართლოში.
10. ლიკვიდატორი ვალდებულია საჯარო აუქციონზე გაყიდოს ბანკის აქტივები ან აქტივების ხელსაყრელი პირობებით რეალიზაციისათვის ამოიჩიოს რეალიზაციის სხვადასხვა ფორმა. ამისათვის მან ეროვნულ ბანკს უნდა დაუსაბუთოს ის გათვლები და ვარაუდები, რომლებსაც დაეყრდნობა რეალიზაციის ფორმის შერჩევისას, კერძოდ, ამონაგები თანხის ოდენობის, რეალიზაციის ვადების, საპროცენტო განაკვეთების, ინფლაციის, აქტივების ფლობასთან დაკავშირებული და სხვა ხარჯების შესახებ.
11. ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დროულად და სწორად წარმართვის მიზნით ლიკვიდატორი ვალდებულია:
  - ა) აწარმოოს ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგება სწორი საბუღალტრო ჩანაწერების განხორციელებით;
  - ბ) დანიშნვიდან ორ თვეში ბანკის სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად გაუგზავნოს დამღვეული წერილობითი ამონაწერები ყველა იმ პირს, რომლებიც ბანკის სეიფებში ინახავენ ფასეულობას, აგრეთვე იმ ქონების დეპონენტებს, ვის ქონებასაც განაგებს ბანკი, რომლებშიც აღნიშნული იქნება, რომ წერილის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში მათ საკუთარი ფასეულობის მისაღებად უნდა წარადგინონ თავიანთი მოთხოვნის რეალურობის დამადასტურებელი საბუთები;
  - გ) დანიშნვიდან ორ თვეში მიიღოს საჭირო ზომები

რწმუნებული პირის ყველა იმ ფუნქციის შეწყვეტისათვის, რომელსაც ასრულებდა დაწესებულია; დაუბრუნოს დაწესებულების, როგორც რწმუნებული პირის, კუთვნილი ყველა აქტივი და საკუთრება მათ მესაკუთრეს და ყველა ანგარიშსწორება განახორციელოს რწმუნებული პირის ანგარიშების მიხედვით;

- დ) დანიშნვიდან სამი თვის განმავლობაში განახორციელოს ბანკის ყველა აქტივისა და ვალდებულების ინვენტარიზაცია და აღრიცხვა, საჭიროების შემთხვევაში - მათი აუდიტორული შეფასება;
- ე) ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, ასევე მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით შეადგინოს ბანკის აქტივ-პასივების რეალური ნუსხა (ბალანსი) და გამოსაქვეყნებლად წარუდგინოს ეროვნულ ბანკს;
- ვ) უზრუნველყოს ბანკის მიმართ მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა მიერ წაყენებული ყველა მოთხოვნის კანონიერების შემოწმება;
- ზ) ბანკის აქტივების მაქსიმალურად ამოღების მიზნით, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, მიიღოს იმ მსესხებლებისა და სხვა დებიტორების დავალიანებების ბანკისათვის ხელსაყრელ რესტრუქტურისა, რომელთაც არა აქვთ საკმარისი ფულადი სახსრები და მატერიალური საშუალებები დავალიანების სრულად და დროულად დასაფარავად;
- თ) მსესხებელთა და სხვა დებიტორთა მხრიდან დავალიანების წერილობითი დასტურით ან რესტრუქტურისა, რომელთაც გათვალისწინებულ ვადებში დაუფარაობის შემთხვევაში განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება სასამართლოში სარჩელის შეტანის ჩათვლით;
- ი) ბანკში ქონების გაფლანგვა-განიავებისა და დატაცების ფაქტების ან სხვა დანაშაულის ნიშნების გამოვლენისთანავე ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით საქმეები გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს შესაბამისი ზომების მიღების მოთხოვნით;
- კ) გაასაჩივროს სასამართლოს გადანყვეტილება ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის ქონების დაყადაღების ან რეალიზაციის შესახებ ან სხვა ისეთი გადანყვეტილება, რომელიც შეიძლება არახელსაყრელი იყოს ბანკის მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის;
- ლ) წარუდგინოს ეროვნულ ბანკს სალიკვიდაციო ბანკის ანგარიშგება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში;
- მ) დადგენილი პერიოდულობით ან მოთხოვნისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს განუული საქმიანობის ანგარიში, ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი;
- ნ) ბანკის გადახდისუნარობის ან გაკოტრების ფაქტის გამოვლენისთანავე მოამზადოს მისი გადახდისუნარობის ან გაკოტრების დამადასტურებელი დასკვნა და შესაბამისი გადანყვეტილების მისაღებად წარუდგინოს ეროვნულ ბანკს;
- ო) მესაკუთრის გამოვლენის მიზნით ეროვნულ ბანკს შესაბამისად გადასცეს ფულადი სახსრები და ქონება

(შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად), რომელიც ერიცხება ბანკს ხელშეკრულებების ან სხვა დოკუმენტების საფუძველზე და რომელთა გამოთხოვაც არ მოხდა ამონაწერში მითითებულ ვადებში;

- პ) განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული ყველა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკის მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა კუთვნილი ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მაქსიმალურად და დროულად დაკმაყოფილებას;
  - ჟ) მოეპყროს ბანკის კლიენტებს სამართლიანად და დაიცვას ეთიკის ნორმები.
12. ლიკვიდაციის პროცესში ბანკის ლიკვიდატორის გათავისუფლების შემთხვევაში იგი ვალდებულია ახალ ლიკვიდატორს ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული აქტის საფუძველზე გადააბაროს სალიკვიდაციო ბანკის საქმეები.

### მუხლი 5. მოთხოვნების დაკმაყოფილება

1. ბანკის ლიკვიდაციის დროს ფინანსური გირაოს მოგირავნეს აქვს ფინანსური გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება. ბანკის ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები, რომელთა საფუძველია გირაო, დაკმაყოფილდება შესაბამისი შეთანხმების პირობების თანახმად (გირაოს ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი თანამიმდევრობით:
  - ა) ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც კომერციულ ბანკს წარმოეშვა ვალდებულება საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ;
  - ბ) ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები არა უმეტეს 1500 ლარისა;
  - გ) ფიზიკურ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
  - დ) იურიდიულ პირთა ანგარიშებზე არსებული თანხები;
  - ე) საბიუჯეტო დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
  - ვ) კომერციული ბანკის მიმართ დანარჩენი მოთხოვნები.
2. თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მოთხოვნების სრულად დასაფარავად, მაშინ ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს თანაბარი პროპორციით.
3. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის თითოეულ ქვეპუნქტში აღნიშნული მოთხოვნების თანაბარი პროპორციით დაფარვის უზრუნველსაყოფად ლიკვიდატორს უფლება აქვს მოახდინოს აქტივების რეალიზაციის შედეგად ნაწილ-ნაწილ შემოსული თანხების აკუმულირება.

### მუხლი 6. სალიკვიდაციო ბანკის აქტივების საჯარო აუქციონის ფორმით ჩატარების პროცედურა

1. ლიკვიდატორის მიერ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში ბანკის კუთვნილი ფიქსირებული აქტივების საჯარო აუქციონი წარიმართება შემდეგი პროცედურების დაცვით:
  - ა) აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს ადგენს ლიკვიდატორი. იგი აუქციონის ჩატარებამდე სულ ცოტა 10 კალენდარული დღით ადრე აქვეყნებს სპეციალურ განცხადებას პრესაში, რომელიც უნდა მოიცავდეს აუქციონის გამართვის თარიღს, გასაყიდი ქონების და/ან აქტივის დასახელებას და სანყის ფასს, აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადების მიღების ვადასა და ადგილს, „ბე“-ს მოცულობასა და შეტანის წესს, აუქციონის პირობებს და სარეალიზაციო ქონების და/ან აქტივის მოკლე აღწერას, განცხადებას იმის შესახებ, რომ ყველა სხვა პირი, რომელთაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდად გასატან ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებების დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინონ აუქციონის დაწყებამდე;
  - ბ) განცხადების პროექტს აუქციონის ჩატარების შესახებ, საინფორმაციო წყაროების მითითებით, ლიკვიდატორი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს აუქციონის ჩატარებამდე სულ ცოტა 14 კალენდარული დღით ადრე;
  - გ) აუქციონს ატარებს აუქციონის ჩატარების მიზნით ლიკვიდატორის მიერ შექმნილი სააუქციონო კომისია ლიკვიდატორის თავმჯდომარეობით. სააუქციონო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისაგან, რომლებსაც შეარჩევს ლიკვიდატორი საქართველოს ეროვნულ ბანკთან წინასწარი შეთანხმებით;
  - დ) აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განცხადებები არ მიიღება;
  - ე) აუქციონში მონაწილეობის მსურველმა პირმა კომისიას უნდა წარუდგინოს შევსებული განცხადების ფორმა, ბეს შეტანის ქვითარი; ფიზიკურმა პირმა – პირადობის დამადასტურებელი მონწობა, ხოლო იურიდიულმა პირმა - წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა ქონების რამდენიმე ობიექტით ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს „ბე“ ცალ-ცალკე ყველა ობიექტისათვის. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, კომისია მონაწილეს გადასცემს „საჯარო აუქციონის მონაწილის ბარათს“;
  - ვ) აუქციონს გახსნილად აცხადებს ლიკვიდატორი (კომისიის თავმჯდომარე) და მონაწილეებს სთავაზობს სანყის ფასს. აუქციონი გრძელდება მანამდე, სანამ სხვა შემოთავაზება აღარ მოხდება.

- ლიკვიდატორმა უნდა გამოაცხადოს ფასის ბოლო შეთავაზება სამჯერ ხმაამლლა და მყიდველი;
- 8) აუქციონზე შეძენილი ქონების შესახებ უფლებამოსილი პირთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. აუქციონზე ქონების შემძენს ევალება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 კალენდარულ დღეში მის მიერ აუქციონზე შემოთავაზებული ფასის შესაბამისი ფულადი თანხა შეიტანოს ბანკის სალიკვიდაციო ანგარიშზე ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების სულ ცოტა 50 %, გადახდის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს კიდევ 15 კალენდარული დღით. შესაძლებელია სათანადო დასაბუთების არსებობისას, ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობით, მოხდეს ხელშეკრულების სხვა პირობებზე შეთანხმება. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დროულად არ გადაიხდის აუქციონზე დასახელებულ თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და ბე არ უბრუნდება;
- თ) თუ აუქციონის მონაწილის ბარათის მფლობელი ვერ გახდება გამარჯვებული ან არ გამოცხადდება საჯარო აუქციონზე, ან მონაწილეობას არ მიიღებს ვაჭრობაში, მას გადახდილი ბე უბრუნდება;
- ი) ქონების და/ან აქტივის შემძენს ამ ქონების და/ან აქტივის მიმართ შეუძლია გამოიყენოს თავისი კანონიერი უფლებები მხოლოდ ფასის სრულად გადახდის შემდეგ. მყიდველს ბე ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;
- კ) აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე;
- ლ) თუ პირველი აუქციონის დროს არ მოხდება საწყის ფასში ქონების და/ან აქტივის რეალიზაცია, მაშინ ლიკვიდატორი ნიშნავს განმეორებით აუქციონს პირველი აუქციონის დანიშნისათვის გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. განმეორებით აუქციონზე ქონების და/ან აქტივის სარეალიზაციო საწყისი ფასი, ლიკვიდატორის მხრიდან სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, შესაძლებელია განისაზღვროს პირველ აუქციონზე საწყისი ფასის არანაკლებ 75%-ის ფარგლებში;
- მ) იმ შემთხვევაში, თუ განმეორებით აუქციონზე ვერ მოხერხდა ქონების და/ან აქტივის რეალიზაცია საწყისი ფასის არანაკლებ 75%-ის ფარგლებში, შემდეგ აუქციონზე სარეალიზაციო ქონების და/ან აქტივის საწყისი ფასი, ლიკვიდატორის მხრიდან სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, შესაძლებელია განისაზღვროს პირველი აუქციონის საწყისი ფასის არანაკლებ 50%-ის ფარგლებში;
- ნ) ყოველი აუქციონის შემდეგ ლიკვიდატორის მიერ შექმნილი კომისია აჯამებს საჯარო აუქციონის შედეგებს, ადგენს შესაბამის ოქმს, რომელშიც ასახული უნდა იყოს ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმი ინომრება და მას ხელს აწერენ მყიდველი, კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები. საჯარო აუქციონის ოქმს მოხსენებით ბარათთან ერთად ლიკვიდატორი წარუდგენს ეროვნულ ბანკს აუქციონის ჩატარებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

- ლიკვიდატორის მიერ ფინანსურ აქტივებზე ბანკის მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის მიზნით საჯარო აუქციონი ტარდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
- ამ მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტების გარდა, ბანკის კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინებით, ლიკვიდატორს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით შეუძლია მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის მიზნით საჯარო აუქციონი ჩაატაროს დამატებით.
- ლიკვიდატორი უფლებამოსილია ის მოთხოვნის უფლებები, რომელთა რეალიზაცია არ განხორციელდა არცერთი აუქციონის დროს და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასებულია ნულოვანი ღირებულების მქონედ, ბუღალტრული სტანდარტებით შესაბამისი გატარებების მეშვეობით გააუქმოს საბალანსო უწყისიდან.

## მუხლი 7. ლიკვიდაციის პროცესის დასრულება

- ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება სალიკვიდაციო ბანკის ვალდებულებების გასტუმრების ხანგრძლივობით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ბანკის აქტივების რეალიზაციასა და სასამართლო საქმეების დასრულების ვადებზე.
- ლიკვიდაციის პროცესი დასრულებულად ითვლება, თუ:
  - სრულადაა დაფარული ბანკის მიმართ არსებული ყველა მოთხოვნა;
  - ბანკს ერიცხება დაუფარავი მოთხოვნები, მაგრამ აღარ აქვს აქტივები ასეთი მოთხოვნების დასაფარავად და იგი ეროვნულმა ბანკმა გამოაცხადა გაკოტრებულად.
- ბანკს აქტივები აღარა აქვს, თუ:
  - რეალიზებულია (ამოღებულია) ყველა აქტივი;
  - არარეალიზებული აქტივების საბაზრო (სარეალიზაციო) ღირებულება ნულის ტოლია;
- სესხებისა და სხვა აქტივების ამოღება შეუძლებელია იმის გამო, რომ მათი მფლობელები გაკოტრებული არიან ან არ გააჩნიათ რეალიზებადი ქონება.
- ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ლიკვიდატორი ადგენს ბანკის სალიკვიდაციო აქტს, რომელიც უნდა მოიცავდეს:
  - ინფორმაციას ლიკვიდატორის მიერ ბანკის ლიკვიდაციის დაწყების შემდეგ რეალიზებული ყველა აქტივის შესახებ მათი რეალიზაციის საბოლოო ფასის ჩვენებით;
  - დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბანკის ყველა არარეალიზებული აქტივის შეფასებას, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ ამ აქტივის საბაზრო (სარეალიზაციო) ღირებულება ნულის ტოლია;
  - ბანკის მიმართ დავალიანების მქონე იურიდიული თუ ფიზიკური პირის გაკოტრების დამადასტურებელ სასამართლო გადანაცვლებებს;
- ინფორმაციას ბანკის მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა მოთხოვნების დაფარვის შესახებ;
- ინფორმაციას ლიკვიდატორის მიერ განხორციელებული ყველა სხვა ღონისძიების შესახებ.



5. ბანკის ლიკვიდატორი მისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ ბანკის სალიკვიდაციო აქტს, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგენს ეროვნულ ბანკს.
6. ეროვნული ბანკი გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ. ასეთი ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.
7. ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტი წარედგინება შესაბამის მარეგისტრირებულ ორგანოს ბანკის ლიკვიდაციის რეგისტრაციისა და მისი სამეწარმეო რეესტრიდან ამოღების მიზნით.
8. იმ შემთხვევებში, თუ ლიკვიდაციის დასრულებისას, ბანკს სრულად აქვს დაფარული ვალდებულებები და დარჩა აქტივები, ლიკვიდატორი ამ აქტივებს გადასცემს ბანკის აქციონერებს მათთან შეთანხმებით და სათანადოდ გაფორმებული გადაცემის აქტით.
9. გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ ეროვნული ბანკის თანხმობით, შეიძლება ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა ბანკმა შეიცვალოს საქმიანობის საგანი და გარდაიქმნას არასაბანკო საქმიანობის საზოგადოებად. საქმიანობის საგნის შეცვლა უნდა ემსახურებოდეს ბანკის ვალდებულებების გასტუმრებას, რისთვისაც საჭიროა ბანკის აქციონერთა გადაწყვეტილება და აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ყველა მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. აქციონერთა გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი ეკონომიკური გათვლებითა და გაანგარიშებებით.
10. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის მიერ საქმიანობის საგნის შეცვლის შემთხვევაში წყდება ამ ბანკის ლიკვიდაციის პროცესი და იგი აღარ ექვემდებარება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს.
11. ბანკის ლიკვიდაციის შემდგომ აღმოჩენილი აქტივის რეალიზაცია და ამოღებული თანხების განაწილება ბანკის დარჩენილ კრედიტორებზე, განხორციელდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად.

## მუხლი 8. ეროვნული ბანკის უფლებები

1. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს:
  - ა) ნებისმიერ დროს შეამოწმოს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკი;
  - ბ) შეამოწმოს ლიკვიდატორის საქმიანობა;
  - გ) ადმინისტრაციული აქტით კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაათავისუფლოს ლიკვიდატორი და მის ნაცვლად დანიშნოს სხვა პირი;

- დ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ბანკის ლიკვიდაციის პროცესის მსვლელობის შესახებ;
  - ე) მოითხოვოს ლიკვიდატორის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიების შეჩერება ან გაუქმება, თუ იგი ეწინააღმდეგება მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების მოთხოვნებთან დაკავშირებულ ინტერესებს.
2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოვლენილი დარღვევების გამო მათი სერიოზულობის გათვალისწინებით ლიკვიდატორის მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული სახდელი ან საქმე გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს.

## მუხლი 9. ლიკვიდატორის პასუხისმგებლობა

1. ლიკვიდატორი პასუხისმგებელია:
  - ა) ბანკის ლიკვიდაციის პროცესთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით ლიკვიდაციის პროცესის წარმართვისათვის, ასევე სალიკვიდაციო სამუშაოებისა და ღონისძიებების შეგნებულად გაჭიანურებისათვის;
  - ბ) თავისი საქმიანობის პერიოდში ბანკის აქტივების გაფლანგვა-განიავებისა და ბანკის ყოფილი ადმინისტრატორების ან თავად ლიკვიდატორის მხრიდან ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, საქმეების შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებისათვის გადაუცემლობისათვის;
  - გ) სხვა ბანკებისაგან და ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხის არამიზნობრივად გამოყენებისათვის;
  - დ) სალიკვიდაციო ბანკის აღრიცხვა-ანგარიშგებებში საბუღალტრო ჩანაწერებისა და განეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უტყუარობისა და სიზუსტისათვის;
  - ე) ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ არასწორი ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენისათვის;
  - ვ) ბანკის მსესხებლებისა და სხვა დებიტორების მიერ დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში, თანხის ამოღების მიზნით სასამართლოში სარჩელის შეუტანლობისათვის.
  - ზ) ფინანსური დარღვევებისათვის.
  - თ) ბანკის კლიენტებთან არაეთიკური მოპყრობისათვის.
2. ლიკვიდატორს არ დაეკისრება პირადი პასუხისმგებლობა რომელიმე პირის მიმართ რაიმე მოქმედებისათვის ან უმოქმედობისათვის, თუკი მან ეს ქმედება ჩაიდინა ან მისგან თავი შეიკავა თავისი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეროვნული ბანკი ვალდებულია სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში დაიცვას ლიკვიდატორის ინტერესები, თუ აღნიშნული ლიკვიდატორის მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება განპირობებული იყო სამსახურებრივი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებით.

## მუხლი 10. ლიკვიდატორის შერჩევისა და დანიშვნის კრიტერიუმები

1. ლიკვიდატორის კანდიდატურის შერჩევა ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. ბანკის სალიკვიდაციო საქმეების ეფექტურად წარმართვისათვის ბანკის ლიკვიდატორს უნდა ჰქონდეს საბანკო-საფინანსო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელი სათანადო კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება.
3. პირს ეკრძალება იყოს ბანკის ლიკვიდატორი თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.
4. ლიკვიდატორად დასანიშნ პირს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ისეთი სპეციალობით, როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტერია.
5. ლიკვიდატორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, რისთვისაც მას უნდა ჰქონდეს საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის მინიმუმ 3 წლის სტაჟი.
6. ერთი და იგივე პირი შეიძლება დანიშნული იქნას ლიკვიდატორად რამოდენიმე ბანკში.
7. დანიშვნის დღიდან ეროვნულ ბანკსა და ლიკვიდატორს შორის ფორმდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულება.
8. შრომით ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელი ლიკვიდატორის ხელფასის ოდენობა განისაზღვრება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით.

---

## 3.2 საკრედიტო კავშირების გედამხედველობა

3.2.1	საკრედიტო კავშირის წევრთა მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება	275
3.2.2	საკრედიტო კავშირების მიმართ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნის შესახებ დებულება	276
3.2.3	საკრედიტო კავშირებისათვის სესხის გაცემის პირობებისა და რისკის დონეების დადგენის შესახებ დებულება	278
3.2.4	საკრედიტო კავშირების მიერ აქტივების კლასიფიკაციის და შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნის წესი	282
3.2.5	საკრედიტო კავშირში გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ დებულება	287
3.2.6	არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესი	290
3.2.7	არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესი	294

### 3.2.1 საკრედიტო კავშირის წევრთა მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 73-ე მუხლის და „არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. საკრედიტო კავშირის წევრთა მინიმალური ოდენობა განისაზღვროს:
  - ა) საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის სოფელში ჩამოყალიბებული კავშირისათვის არანაკლებ 10 კაცის ოდენობით;
  - ბ) მაღალმთიანი რეგიონის გარდა საქართველოს სხვა ტერიტორიაზე განაშენიანებულ სოფელში, ასევე საქართველოს ნებისმიერ ქალაქში ჩამოყალიბებული კავშირისათვის არანაკლებ 50 კაცის ოდენობით.
2. ამ ბრძანების მოთხოვნები ვრცელდება როგორც მოქმედ, ისე 2002 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შექმნილ საკრედიტო კავშირებზე. ამასთან, მოქმედ საკრედიტო კავშირს, რომლის წევრთა რაოდენობაც ნაკლებია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ წევრთა მინიმალურ ოდენობაზე, უფლება აქვს ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი წლის განმავლობაში თავის წევრთა რაოდენობა შეუსაბამოს განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას.
3. საკრედიტო კავშირების მიერ ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს (მ. ტფენაძე).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

### 3.2.2 დებულება საკრედიტო კავშირების მიმართ კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის შესახებ

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კაპიტალი არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ძირითადი ელემენტი, რადგან იგი მას აძლევს საბანკო საქმიანობის განხორციელების, მისი სტაბილური ზრდის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების, ასევე ზარალის განეიტრალების შესაძლებლობას.
2. კაპიტალის მნიშვნელობის გათვალისწინებით და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების მიზნით ეროვნული ბანკი მათ პერიოდულად განუსაზღვრავს საზედამხედველო კაპიტალს, განაღდებული საწესდებო კაპიტალისა და მთლიანი კაპიტალის მინიმალური ოდენობის სახით.
3. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მენეჯმენტისა და მისი საქმიანობისადმი საზედამხედველო სამსახურის უპირველესი მიზანია, შესაბამისად, დაწესებულების გადახდისუნარიანობისათვის საკმარისი საზედამხედველო კაპიტალის შენარჩუნება და მისი ადეკვატურობის შეფასება.
4. ეს დებულება, რომელიც შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, აგრეთვე „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განსაზღვრავს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისათვის განაღდებული საწესდებო და მთლიანი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნას, აგრეთვე კაპიტალის კოეფიციენტების ადეკვატურობას.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) კაპიტალი – არის დაწესებულების „წმინდა“ ღირებულებისა და საკუთრების განმსაზღვრელი ფულადი სახსრები, რომლებიც გამოითვლება აქტივების მეტობით ვალდებულებებთან შედარებით;
- ბ) საზედამხედველო კაპიტალი – არის კაპიტალის სახეობა, რომლებიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების, ზარალის განეიტრალებისა და საკრედიტო, საპროცენტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებისაგან დასაცავად;

- გ) განცხადებული საწესდებო კაპიტალი – არის დაწესებულების დაფუძნებისათვის აუცილებელი და მისი წესდებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის შეტანასაც პარტნიორები წესდებით კისრულობენ და რომლის ოდენობაც ყოველთვის შეადგენს პაის ნომინალური ღირებულების ჯამს;
- დ) განაღდებული საწესდებო კაპიტალი – არის განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი;
- ე) მთლიანი კაპიტალი არის – განაღდებული საწესდებო კაპიტალი, დამატებითი ფულადი შენატანების, შემოწირულობების, საერთო რეზერვის, გასული წლის გაუნაწილებელი მოგებისა და სამეურნეო წლის მოგების ერთობლიობა;
- ვ) კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები – მოიცავს საკრედიტო კავშირების რეგულირების მიზნით განაღდებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობას, ასევე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების განეიტრალების და მიმდინარე ოპერაციების უზრუნველყოფისათვის მთლიანი კაპიტალის და მისი ადეკვატურობის კოეფიციენტების განსაზღვრის წესებს;
- ზ) გადახდისუნარიანობა – არის ფულადი სახსრების არსებობა უფრო ხანგრძლივი პერიოდის ფინანსური ვალდებულებების დროულად შესასრულებლად;
- თ) აქტივები – არის საკრედიტო კავშირების განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც იგი მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლობის მიღებას;
- ი) საბანკო საქმიანობა – არის „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობა;
- კ) საპროცენტო განაკვეთის რისკი – არის ისეთი რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად;
- ლ) ლიკვიდურობის რისკი – არის ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარავად ფულადი სახსრების მიღებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში წარმოშობილი რისკი;
- მ) საბაზრო რისკი – არის ისეთი რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად;
- ნ) საკრედიტო რისკი – არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას;
- ო) საოპერაციო საქმიანობა – არის საკრედიტო კავშირის ძირითადი შემოსავლების მომენტი და სხვა საქმიანობა, რომლებიც არ არის დაკავშირებული ინვესტიციებთან.

### მუხლი 3. სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა

1. საკრედიტო კავშირის სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა ფულადი ფორმით განისაზღვრება მისი წევრთა რაოდენობისა და 50 ლარის ნამრავლის ოდენობით. მისი განაღდება საკრედიტო კავშირის წევრების მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზიის მისაღებად განცხადების წარდგენამდე.
2. საკრედიტო კავშირების ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკი პერიოდულად განიხილავს მათთვის სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის გაზრდის საკითხს და გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს მისი ოდენობის, განაღდებას ვადისა და პირობების შესახებ.
3. საკრედიტო კავშირების სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დადგენის მთავარი კრიტერიუმი არის მათი აქტივები, შესაბამისად სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის გადასინჯვა და მისი მოთხოვნის ზრდა განხორციელდება ისე, რომ გადასინჯვის თარიღისათვის მისი სიდიდე არ იყოს თითოეული მათგანის აქტივების 10 პროცენტზე ნაკლები.
4. არ შეიძლება საკრედიტო კავშირის სანესდებო კაპიტალის შემცირება, თუ ამის შედეგად იგი აღმოჩნდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობაზე ნაკლები.

### მუხლი 4. მთლიანი კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა

1. საკრედიტო კავშირის მთლიანი კაპიტალის მინიმალური ოდენობა მის მიერ ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლები სანესდებო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნისა, ხოლო შემდეგ, მომდევნო წელს აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა. ეს მოთხოვნა ძალაშია მთლიანი კაპიტალის მინიმალური ოდენობის ცვლილების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე.

### მუხლი 5. სანქციები და შეზღუდვები

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და ლიცენზირებული ნებისმიერი საკრედიტო კავშირი ვალდებულია უზრუნველყოს ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელად დაცვა.
2. საკრედიტო კავშირის მიერ ამ დებულების მესამე და მეოთხე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მის მიმართ შემდეგი სახის სანქციებისა და შეზღუდვების გამოყენებას:
  - ა) დივიდენდების პროცენტის გამოცხადების, მისი დარიცხვის და ასევე გადახდის აკრძალვასა და სანაცვლოდ გასანაწილებელი მოგების საერთო რეზერვში ჩარიცხვის მოთხოვნას;

- ბ) განსაზღვრულ ვადამდე ან საკრედიტო კავშირის მიერ დამაკმაყოფილებელი კაპიტალის აღდგენის გეგმის საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენამდე აქტივების ზრდის მთლიან ან ნაწილობრივ აკრძალვას;
  - გ) სამეთვალყურეო საბჭოს და გამგეობის წევრების გადაყენებისა და მათი შემადგენლობის განახლების მოთხოვნას;
  - დ) ხელფასების ზრდის, პრემიებისა და სხვა ჯილდოების გაცემის, აგრეთვე ანაბრების მოზიდვის შეზღუდვას;
  - ე) დროებითი ადმინისტრაციის მმართველობის რეჟიმის შემოღებას;
  - ვ) ლიცენზიის გაუქმებას.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქციებისა და შეზღუდვების დაწესებას საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების მიმართ სანქციების გამოყენების წესის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად.

### 3.2.3 დებულება საკრედიტო კავშირებისათვის სესხის გაცემის პირობებისა და რისკის დონეების დადგენის შესახებ

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ დებულების მიზანია საკრედიტო კავშირებისათვის დაადგინოს სესხის გაცემის პირობები, აგრეთვე ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელთა დაცვა ხელს შეუწყობს არსებული და მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას და მათი საქმიანობის განვითარებას.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს საკრედიტო კავშირებში არსებული რისკის დონეებს და მათი მართვისა და ოპტიმიზაციის მიზნით აწესებს შესაბამის ეკონომიკურ ნორმატივებს.
3. ამ დებულებით ასევე დადგენილია შეზღუდვები, რომელთა დაცვა საკრედიტო კავშირებს თავიდან ააცილებს კრედიტების კონცენტრაციას და მის საფუძველზე წარმოშობილ მაღალ რისკებს.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი, საზედამხედველო მიზნებიდან გამომდინარე, საკრედიტო კავშირის ადგილზე ინსპექტირების, ასევე მის მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოფს კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების – საკრედიტო რისკის, საპროცენტო რისკის, სავალუტო რისკის, ლიკვიდობის რისკის იდენტიფიკაციას და მათი შემდგომი მართვის გათლისწინებით დადგენილი რისკის სამი დონიდან – ადევკატური, არაადევკატური და კრიტიკული – მას მიაკუთვნებს მისთვის შესაბამის კატეგორიას.
5. ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ყველა საკრედიტო კავშირისათვის.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

ამ დებულებში გამოყენებული ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) მთლიანი აქტივები – უდრის N 10, 11, 14, 17, 18, 19, 24, 25, 27, 29 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თხეების ჯამს გამოკლებული NN 41, 49 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თხეები;
- ბ) საკრედიტო დაბანდება (პორტფელი) – საკრედიტო კავშირის ყველა ვადიან და ვადაგადაციებულ სასესხო ანგარიშებზე რიცხული თხეები;
- გ) ვადაგადაცილებული სესხი – სესხი, რომლის ძირითდი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებული თანხის გადახდა არ მომხდარა სესხთა დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციით გათლისწინებული, შეთხმებული თარიღის შემდეგ 30-ზე მეტი კალენდარული ღის განმავლობაში;

- დ) საბალანსო სესხი – სესხი, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი გირაოთი ან იპოთეკით, ან თუ არის, მას არა აქვს საბაზრო ღირებულება, ანდა ღირებულების მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ იგი არ ყოფილა სწორად რეგისტრირებული;
- ე) ნეგატიურად კალსიფიცირებული აქტივი – საყურადღებო, საეჭვო და უიმედო კატეგორიად კლასიფიცირებული აქტივი;
- ვ) აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი – საკრედიტო კავშირის აქტივებისათვის შექმნილი რეზერვის ანგარიში, რომელიც არის სასესხო, არასასესხო და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად გათვალისწინებული თანხა;
- ზ) ლიკვიდური აქტივები – არის ფულადი სახსრები და ისეთი სახის აქტივები, რომლებსაც აქვთ ფულად სახსრებად სწრაფად გადქცევის უნარი. ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში მონაწილეობას იღებს NN 1001, 1004, 1005, 1006, 1011, 1014, 1015, 1016, 1401 მინუს 1402, 1411 მინუს 1412, 1703, 1713, 1723, 1733 საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თხეები.
- თ) მიმდინარე აქტივები – არის ერთ თვემდე დაფარვის ვადის მქონე აქტივები;
- ი) მთლიანი ვალდებულებები – უდრის N 35, 36, 37, 40, 44, 45, 47 კლასის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თხეების ჯამს;
- კ) მიმდინარე ვალდებულებები – არის ერთ თვემდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებები;
- ლ) მსხვილი სესხი – საკრედიტო კავშირების მიერ ერთი წევრისთვის გაცემული სესხის ოდენობა, რომლის მოცულობა აღემატება საკრედიტო დაბანდების 10%-ს.
- მ) ძირითადი საშუალებები – არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება საკრედიტო კავშირის განკარგულებაში, გამოიყენება მომსახურების გასაწევად, ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშებო პერიოდზე მეტი ხნით სარგებლობისათვის;
- ნ) ძირითდი საშუალებების წარჩინი ღირებულება – არის ძირითდი საშუალებების საბალანსო ღირებულება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. მისი გაანგარიშებისას N 290 და N 291 ჯგუფის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თხეების ჯამს აკლდება N 490 და 492 ჯგუფის საბალანსო ანგარიშებზე რიცხული თანხა;
- ო) რისკი – ფინანსური დანაკარგების შესაძლებლობა, რომელსაც განაპირობებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების შესაბამისად ფინანსური ინსტრუმენტის (ინსტრუმენტების) ღირებულების მერყეობა ან ამ ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- პ) საპროცენტო განაკვეთის რისკი – ისეთი რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად;
- ჟ) ლიკვიდობის რისკი – ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარავად ფულადი სახსრების მიღებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში წარმოშობილი რისკი;

- რ) საკრედიტო რისკი – რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას;
- ს) მთლიანი კაპტალი – განაღებული საწვდებო კაპიტალის, დამატებითი ფულადი შენატანების, შემოწირულობების, საერთო რეზერვის, გასული წლის გაუნაწილებელი მოგებისა და სამეურნეო წლის მოგების ერთობლიობა;
- ტ) შემოსავლიანი აქტივები – ყველა ის აქტივი, რომელიც იძლევა შემოსავალს პროცენტული შემოსავლის სახით;
- უ) საპროცენტო ხასითის ვალდებულებები – ყველა ის ვალდებულება, რომელზეც გადაიხდება თანხა პროცენტული ხარჯის სახით;
- ფ) სარეკლამაციო წერილი – ეროვნული ბანკის მერ საკრედიტო კავშირის საქმიანობაში აღმოჩენილი დარღვევა – ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გაგზავნილი წერილობითი გაფრთხილება;
- ქ) გადახდისუნარი საკრედიტო კავშირი – არის ისეთი საკრედიტო კავშირი, რომელსაც არ შეუძლია შეასრულოს ვადადამდაგარი გადახდის ვალდებულებები;
- ღ) სესხი – საკრედიტო კავშირის მიერ თვისი წევრისათვის დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება.

### მუხლი 3. სესხის გაცემის პირობები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები

1. საკრედიტო კავშირი სესხს გასცემს მხოლოდ თავისი წევრებისათვის სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მისი თანხის მიუხედავად უნდა დაიდოს წერილობით, სხვა შემთხვევაში იგი ბათილად ითვლება.
2. მოკლევადიანი სესხი გაიცემა არა უმეტეს ერთი წლის ვადით, ხოლო გრძელვადიანი სესხი – არაუმეტეს 5 წლის ვადით.
3. საკრედიტო კავშირის წევრს ერთდროულად შეუძლია მიიღოს არა უმეტეს ორი სესხისა.
4. საკრედიტო კავშირის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, ასეთ პირობებში რიცხული სესხი, მიუხედავად სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის ვადისა, ექვემდებარება გადახდას არა უგვიანეს წევრობის შეწყვეტის დღისა, თუ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის გამო გამგეობის წევრებს მიღებული არ ექნება სხვაგვარი გადაწყვეტილება.
5. საკრედიტო კავშირის წევრს ეკრძალება სხვა წევრის სასარგებლოდ ნებისმიერი სახის სესხის აღება.
6. საკრედიტო კავშირმა შეიძლება თავისი სამეთავალურეო საბჭოს, გამგეობისა და საკრედიტო კომიტეტის წევრებს მიცეს სესხი იმ პირობით, თუ:
  - ა) სესხი არ გაიცემა სხვა მსესხებელი წევრებისათვის გაცემულ სესხებთან შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობებით;
  - ბ) ასეთი პირობებისათვის გაცემული სესხების საერთო თანხა არ აღემატება საკრედიტო კავშირის აქტივების 20 პროცენტს.

7. გამგეობის, სამეთავალურეო საბჭოს და საკრედიტო კომიტეტის წევრებისათვის სესხების გაცემის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს გამგეობისა და სამეთავალურეო საბჭოს სხდომის ერთობლივი გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრით, ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, რომელსაც უნდა ესწრებოდეს სამეთავალურეო საბჭოს და გამგეობის წევრების ნახევარი მაინც. ამასთან ის პირი, ვისი სესხის გაცემის საკითხიც იხილება, სხდომას არ უნდა ესწრებოდეს.

### მუხლი 4. ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები

საკრედიტო კავშირის სტაბილურად საქმიანობისა და რისკების მინიმიზაციის მიზნით დადგენილია შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები:

- ა) კ1 – მთლიანი კაპტალი შეფარდებული მთლიან აქტივებთან  $b100 \geq 10\%$ ;
- ბ) კ2 – ლიკვიდური აქტივები შეფარდებული მთლიან აქტივებთან  $b100 \geq 10\%$ ;
- გ) კ3 – სამეთავალურეო საბჭოს, გამგეობის და საკრედიტო კომიტეტის წევრებისათვის გაცემული სესხის და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა შეფარდებული მთლიან აქტივებთან  $b100 \leq 20\%$ ;
- დ) კ4 – ყველა მსხვილი სესხის საერთო თანხა შეფარდებული მთლიან აქტივებთან  $b100 \leq 30\%$ ;
- ე) კ5 – ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა შეფარდებული მთლიან საკრედიტო დაბანდებასთან  $b100 \leq 80\%$ ;
- ვ) კ6 – ვადაგადაცილებული სესხების საერთო თანხა შეფარდებული მთლიან საკრედიტო დაბანდებასთან  $b100 \leq 15\%$ ;
- ზ) კ7 – მიმდინარე აქტივები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან  $b100 \geq 90\%$ ;
- თ) კ8 – ერთ კომერციულ ბანკში, ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში ინვესტირებული თანხების საერთო მოცულობა შეფარდებული მთლიან აქტივებთან  $b100 \leq 15\%$ ;
- ი) კ9 – კომერციულ ბანკებში, ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებში ინვესტირებული ჯამური თანხის საერთო მოცულობა შეფარდებული მთლიან აქტივებთან  $b100 \leq 30\%$ ;
- კ) კ10 – ძირითდი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეფარდებული მთლიან აქტივებთან  $b100 \leq 10\%$ ;

### მუხლი 5. რისკის დონეები კატეგორიების მიხედვით

1. ეროვნული ბანკი საზედამხედველო მიზნებისათვის ანხორციელებს საკრედიტო კავშირის შეფასებას რისკის სამი დონის – ადევკატორი, არაადევკატორი და კრიტიკული რისკის დონის შესაბამიად (დანართი N 1).
  - ა) ადევკატორი რისკის დონე – ადევკატორი რისკის დონის მქონე საკრედიტო კავშირი არ წარმოადგენს გაძლიერებული ზედამხედველობის ობიექტს, ვინაიდან ამ კატეგორიას მიკუთვნებული საკრედიტო კავშირის ფინანსური მდგომარეობა



სტაბილურია და მის საქმიანობაში არსებული რისკების შესაბამისად დაბალია, ადეკვატური რისკის დონის დადგენა ხდება შემოსხენებული დანართით გათვალისწინებული რისკის I დონის პირობითი პარამეტრების მიხედვით;

- ბ) არაადეკვატური რისკის დონე – ამ კატეგორიის საკრედიტო კაპიტალისათვის დამახასიათებელია პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია გაცემულ კრედიტებთან, კერძოდ საქმე გვაქვს ვადაგადაცილებული სესხების არსებობასთან, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის არაადეკვატურ ფორმირებასთან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში საკრედიტო კაპიტალის ზარალიან საქმიანობასთან და ა.შ. ასეთი საკრედიტო კაპიტალი არის აქტიური ზედამხედველობის ობიექტი, რათა ზედამხედველობის შედეგად მიღწეულ იქნეს კავშირში მიმდინარე უარყოფითი ტენდენციების შეჩერება. არაადეკვატური რისკის დონის დადგენა ხდება შემოსხენებული დანართით გათვალისწინებული რისკის II დონის პირობითი პარამეტრების მიხედვით;
- გ) კრიტიკული რისკის დონე – აღნიშნული კატეგორიის საკრედიტო კაპიტალის ფინანსური მდგომარეობა უმძიმესია, სახეზეა კაპიტალის გადახდისუნარობა, რაც არის ეროვნული ბანკის მხრიდან ასეთი კავშირების გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების საფუძველი, კრიტიკული რისკის დონის დადგენა ხდება შემოსხენებული დანართით გათვალისწინებული რისკის III დონის პირობითი პარამეტრების მიხედვით;

### მუხლი 6. საკრედიტო კავშირისათვის შესაბამისი რისკის დონის მიკუთვნების საფუძვლები

1. ეროვნული ბანკის არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველო ვალდებულია, საკრედიტო კავშირის საქმიანობის შეფასების მთავარ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორცაა აქტივები, კაპიტალი, მოგება და ლიკვიდობა, უზრუნველყოს მისთვის შესაბამისი რისკის დონის მიკუთვნება და რისკების მინიმიზაციის მიზნით მის მიმართ განახორციელოს სათანადო საზედამხედველო ღონისძიება.
2. აქტივების შესაფასებლად უნდა დადგინდეს საკრედიტო კაპიტალის აქტივების ხარისხი და განისაზღვროს რამდენად არის დაცული აქტივები სათანადო რეზერვებით. უნდა განხორციელდეს საკრედიტო პორტფელის ანალიზი გაცემული სესხების ვადიანობის და უზრუნველყოფის (გირავნობა, იპოთეკა) ობიექტების თვალსაზრისით. უნდა დადგინდეს რამდენად ადეკვატურია საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი.
3. აპიტალის შეფასებამ უნდა მოიცვას მთლიანი კაპიტალის, ასევე მისი სტრუქტურის ძირითადი კომპონენტების დახასიათება, მათი ზრდის წყაროები და შესაძლებლობები. უნდა დადგინდეს რამდენად სტაბილურია კაპიტალის ზრდის წყარო. გაანალიზდეს კაპიტალის ზრდის (შემცირების) ფაქტები,

მისი გამომწვევი მიზეზები და ცვლილების სიხშირე, ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კავშირის მიერ წევრების, ასევე ფულად ფორმაში სანესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად შესრულებას.

4. მომგებიანობის შესაფასებლად უნდა გაანალიზდეს კავშირის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთები, კერძოდ, როგორი თნაფარდობაა შემოსავლიან აქტივებსა და საპროცენტო ხასიათის ვალდებულებებისათვის დადგენილ საპროცენტო განაკვეთებს შორის. დეტალურად უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს საკრედიტო კავშირის მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებს შორის არსებული თნაფარდობა – ლიკვიდობის პოზიცია.
5. საკრედიტო კაპიტალის საქმიანობის შეფასების ბოლო ეტაპზე უნდა შეფასდეს, თუ როგორ ასრულებს კაპიტალის მმართველობითი რგოლი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დაცვის კუთხით, რამდენად ოპერატიულად რეაგირებს ეროვნული ბანკის მიერ გაგზავნილი საარეკლამაციო წერილით გათვალისწინებულ გამოსასწორებელ წინადადებებზე.

### მუხლი 7. საკრედიტო კავშირის ვალდებულება

საკრედიტო კავშირი ვალდებულია;

- ა) განუხრელად დაიცვას ამ დებულების მე-3 და მე-4 მუხლებით დადგენილი შეზღუდვები, ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები;
- ბ) საანგარიშგებო პერიოდის გასვლიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში საფინანსო ანგარიშგებასთან ერთად საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების გაანგარიშება;
- გ) არ დაუშვას ცალკეულ წევრთა სასარგებლოდ კრედიტების გაცემა სხვა წევრებთან შედარებით უფრო ხელსაყრელი და შეღვათიანი პირობებით.

### მუხლი 8. სანქციები და შეზღუდვები

1. საკრედიტო კავშირის მიერ ამ დებულების მე-3 მუხლით დადგენილი შეზღუდვების გაუთვალისწინებლობის, ასევე მე-4 მუხლით დადგენილი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი ასეთი კავშირის მიმართ გამოიყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 8 ოქტომბრის N 257 ბრძანებით დამტკიცებული „არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესით“ განსაზღვრულ შეზღუდვებს და სანქციებს.

# დანართი N1

## საკრედიტო კავშირებისათვის ეკონომიკური ნორმატივების დადგენილი ნორმა და რისკის დონეების მიხედვით მათი პირობითი პარამეტრების მატრიცა

N		ეკონომიკური ნორმატივები	ნორმა	ადექვატური რისკის I დონის პირობითი პარამეტრები	არაადექვატური რისკის II დონის პირობითი პარამეტრები	კრიტიკული რისკის III დონის პირობითი პარამეტრები
1	კ1	მთლიანი კაპიტალი/მთლიანი აქტივები	$\geq 10\%$	$\geq 10\%$	9%-5%	$< 5\%$
2	კ2	ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	$\geq 10\%$	$\geq 10\%$	9%-5%	$< 5\%$
3	კ3	სამეთვალყურეო საბჭოს, გამგეობის და საკრედიტო კომიტეტის წევრებზე გაცემული სესხები და სხვა ვალდებულებები /მთლიან აქტივებთან	$\leq 20\%$	$\leq 20\%$	21%-30%	$\geq 30\%$
4	კ4	ყველა მსხვილი სესხის საერთო თანხა / მთლიანი აქტივები	$\leq 30\%$	$\leq 30\%$	31%-49%	$\geq 50\%$
5	კ5	ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა / საკრედიტო დაბანდება	$\leq 80\%$	$\leq 80\%$	81%-90%	$\geq 90\%$
6	კ6	ვადაგადაცილებული სესხების საერთო თანხა/საკრედიტო დაბანდება	$\leq 15\%$	$\leq 15\%$	16%-24%	$\geq 25\%$
7	კ7	მიმდინარე აქტივები /მიმდინარე ვალდებულებები	$\geq 90\%$	$\geq 90\%$	89%-51%	$\leq 50\%$
8	კ8	ერთ კომერციულ ბანკში ან საკრედიტო დანესებულებაში განხორციელებული ინვესტიცია /მთლიანი აქტივები	$\leq 15\%$	$\leq 15\%$	16%-24%	$\geq 25\%$
9	კ9	კომერციულ ბანკებში ან საკრედიტო დანესებულებებში განხორციელებული ჯამური ინვესტიციები /მთლიანი აქტივები	$\leq 30\%$	$\leq 30\%$	31%-49%	$\geq 50\%$
10	კ10	ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება /მთლიანი აქტივები	$\leq 10\%$	$\leq 10\%$	11%-24%	$\geq 25\%$

შენიშვნა: საკრედიტო კავშირის რისკის დონის შესაფასებლად თითოეულ ფაქტიურ კოეფიციენტს დადგენილი რისკის 3 დონის პირობითი პარამეტრის მიხედვით ენიჭება შესაბამისი რისკის წონა (I დონე - 1, II დონე -2, III დონე - 3), რომლის შემდეგ გამოითვლება რისკის წონების საშუალო არითმეტიკული. მიღებული მაჩვენებელი განსაზღვრავს საკრედიტო კავშირის რისკის შესაბამის დონეს.

### 3.2.4 საკრედიტო კავშირების მიერ აქტივების კლასიფი- კაციის და შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ამ წესის მიზანია საკრედიტო კავშირების მიერ თავიანთი აქტივების კლასიფიკაცია და რეზერვებთან დაკავშირებული ვალდებულებებისათვის შიდა პროცედურებისა და საანგარიშგებო მოთხოვნების ჩამოყალიბებისა და შესრულების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს საკრედიტო კავშირის რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენას და მის განვითარებას.
- ამ წესის მოთხოვნების შესრულების მიზნით საკრედიტო კავშირებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებები და პროცედურები.
- თითოეული საკრედიტო კავშირი ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს წარუდგენს ყოველკვარტალურ ანგარიშებს, რომლებშიც აისახება ამ წესით გათვალისწინებული კლასიფიკაცია და თითოეული აქტივისათვის შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვი.
- საკრედიტო კავშირის მიერ ამ წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი მის მიმართ გამოიყენებს „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ სანქციებს.

#### მუხლი 2. წესში გამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა განსაზღვრება

ამ წესის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- აქტივები – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგია და რომლისგანაც იგი მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას;
- სესხი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის მიერ თავისი წევრისათვის დაბრუნებადობის, ფასიანობის და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება;
- ვადგადაცემაზე დაფუძნებული სესხი – სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებული თანხის გადახდა არ მომხდარა, სეს-

ხთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციით გათვალისწინებული შეთანხმებული თარიღის შემდეგ, 30-ზე მეტი კალენდარული დღის განმავლობაში;

- მთლიანად უზრუნველყოფილი სესხი – სესხი, რომლის დროული და სრული გადახდის უზრუნველსაყოფად საკრედიტო კავშირში განთავსებულია დეპოზიტები, აგრეთვე საკრედიტო კავშირის სასარგებლოდ აქტივი დატვირთულია გირაოთი ან იპოთეკით, რომლის საბაზრო ღირებულებაც ტოლია ან აღემატება სესხის გადაუხდელ თანხას.
- ნაწილობრივ უზრუნველყოფილი სესხი – სესხი, რომლის უზრუნველყოფაში მიღებული გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულება ნაკლებია სესხის გადაუხდელ თანხაზე;
- საბლანკო სესხი – სესხი, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი გირაოთი ან იპოთეკის, ან თუ არის, მას არა აქვს საბაზრო ღირებულება, ანდა ღირებულების მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ იგი არ ყოფილა სწორად რეგისტრირებული;
- რესტრუქტურირებული სესხი – სესხი, რომლის დაფარვის პირობების შეცვლის შესახებ მსესხებლის იურიდიული ან ფინანსური მდგომარეობის საფუძველზე, არსებობს შეთანხმება საკრედიტო კავშირსა და მსესხებელს შორის. რესტრუქტურირებული სესხებს მიეკუთვნება ყველა ის სესხი, რომლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებიც შეცვლილია ერთ-ერთი შემდეგი ქვეპუნქტის მიხედვით:
  - საპროცენტო განაკვეთის შემცირება ან დარიცხული პროცენტების მიღების უფლებაზე უარის თქმა;
  - ძირითადი თანხის ან პროცენტის შემცირება;
  - სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება;
  - საკრედიტო კავშირის მიერ მსესხებლისათვის მიწვეული ნებისმიერი სხვა უფლება ან პრივილეგია, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში არ მოხდებოდა;
- ნეგატიურად კლასიფიცირებული აქტივი – საყურადღებო, საჭვო და უიმედო კატეგორიად კლასიფიცირებული აქტივი;
- გირაო – ნებისმიერი სახის მოძრავი ქონების და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, რომელიც დააგირავა მსესხებელმა საკრედიტო კავშირში გირავნობის ხელშეკრულებით, რომლითაც საკრედიტო კავშირი იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე;
- იპოთეკა – ნებისმიერი უძრავი ქონების გამოყენება (დატვირთვა) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, რომელიც დატვირთულია მსესხებლის მიერ საკრედიტო კავშირისათვის იპოთეკის შესახებ რეგისტრირებული და იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებით, ისე, რომ საკრედიტო კავშირი იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა ამ ქონების ხარჯზე;
- დარეზერვება – ამ წესიდან გამომდინარე, რეზერვების შექმნა საკრედიტო კავშირის მიერ კლასიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებული მოსა-

- ლოდნელი დანაკარგების დაფარვის მიზნით;
- ბ) აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი – საკრედიტო კავშირის აქტივებისათვის შექმნილი რეზერვის ანგარიში, რომელიც არის სასესხო, არასასესხო და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად გათვალისწინებული თანხა;
  - გ) დეპოზიტი საკრედიტო კავშირის მიერ კომერციულ ბანკში გარკვეული ვადით და მოთხოვნამდე განთავსებული ფულადი სახსრები;
  - დ) სხვა უძრავი ქონება – უძრავი ქონება, რომელიც დაისაკუთრა საკრედიტო კავშირმა იმ დავალიანების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით, რომელიც მსესხებელმა ვადაში ვერ დაფარა;
  - ე) გირათი დასაკუთრებული ქონება – საკრედიტო კავშირის მიერ მსესხებლის დავალიანების მთლიანად ან ნაწილობრივ დასაფარავად დასაკუთრებული გირათ სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-დანადგარების (რომლებიც არ არის უძრავი ქონების განუყოფელი ნაწილი), ფასიანი ქაღალდების, აგრეთვე სხვა სახის მოძრავი ქონებისა და ფინანსური აქტივების სახით;
  - ვ) აღრიცხული აქტივი-სესხის შემთხვევაში გადაუხდელი ძირითადი თანხის ნაშთს დამატებული დარიცხული პროცენტი; ხოლო არასასესხო აქტივის შემთხვევაში – მისი შეძენის მთლიანი ღირებულება.

### მუხლი 3. საკრედიტო კავშირების ვალდებულება

1. საკრედიტო კავშირები ვალდებულია:
  - ა) განახორციელოს აქტივების კლასიფიკაცია იმ წერილობითი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც დაამტკიცა მისმა გამგეობამ და რომლებიც დაცული უნდა იყოს კრედიტების მართვის დოკუმენტებში. იგი მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული ბანკის შემომწმებლებისათვის და სესხის სახეობის მიხედვით უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:
    - ა.ა) განცხადება სესხის მიღების თაობაზე;
    - ა.ბ) გირავნობის (იპოთეკის) შესახებ იურიდიული დოკუმენტაცია;
    - ა.გ) საკრედიტო ხელშეკრულება, სესხის გაცემის თაობაზე დასკვნა და გადანაცვები;
    - ა.დ) ინფორმაცია სესხის მონიტორინგის თაობაზე და სხვ.;
  - ბ) კლასიფიკაციას დაუქვემდებაროს ნებისმიერი ვალუტით ფორმირებული და საბალანსო უწყისებზე არსებული ყველა აქტივი;
  - გ) აქტივების კლასიფიკაცია განსაზღვროს მას შემდეგ, რაც მხედველობაში მიიღებს ყველა გარემოებასა და შესაძლებლობას, რომლებიც ზედმინვნით ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ზეგავლენას ახდენს აქტივების ხარისხზე;
  - დ) დანაკარგების რეზერვი შექმნას ნებისმიერი ვალუტით ფორმირებული აქტივების დასაფარავად;
  - ე) დანაკარგების რეზერვი შექმნას საქართველოს

- ეროვნული ვალუტით;
- ვ) აქტივების დანაკარგების რეზერვის ანგარიშზე დარეზერვება მოახდინოს იმ თანხით, რომელიც დაფარავს შესაძლო დანაკარგებს;
  - ზ) შექმნილი რეზერვები და მათი ნებისმიერი შემდგომი ზრდა გაატაროს საკრედიტო კავშირის ხარჯებში მუხლით – „ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით“, რომელიც ნაჩვენებია იქნება მის ბალანსზე მუხლით – „აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი“;
  - თ) აქტივების რისკის კლასიფიკაციის მიხედვით საჭირო რეზერვების შექმნა ანარმოს სააღრიცხვო პერიოდში მიღებული შემოსავლების მიუხედავად;
  - ი) შეიმუშაოს წერილობითი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც აღწერს რის საფუძველზე ხდება ამოუღებელი აქტივის ჩათვლა „უიმედოდ“ და მათი ჩამოწერა საბალანსო უწყისიდან;
  - კ) „უიმედოდ“ კლასიფიცირებული აქტივი ჩამოწეროს საკრედიტო კავშირის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვიდან.
2. ეროვნული ბანკის მიერ ნებისმიერი აქტივის კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ გადანაცვებებსა და იმ საკრედიტო კავშირის გადანაცვებებს შორის განსხვავებები, რომელმაც გააკეთა კლასიფიკაცია, შეიძლება მათი განხილვის საგნად იქცეს, მაგრამ ეროვნული ბანკის გადანაცვებებსა და საბოლოოა. ეროვნულმა ბანკმა შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერი აქტივის კლასიფიკაციის ცვლილება და მასთან ერთად შესაძლო დანაკარგების რეზერვის დამატებითი შექმნა, თუ მისი აზრით, ეს გამართლებულია ისეთი ფაქტებითა და გარემოებებით, როგორცაა:
    - ა) საკრედიტო კავშირის პორტფელის საერთო მდგომარეობის გაუარესება;
    - ბ) ცვლილება სესხის გაცემის პროცედურებში ან რისკის მართვის ადეკვატური პოლიტიკის უქონლობა;
    - გ) საკრედიტო კავშირის მენეჯმენტის უმოქმედობა (არასაკმარისი მოქმედება) იმისათვის, რომ ამოიღოს პრობლემური სესხები;
    - დ) სესხების კონცენტრირება რამდენიმე მსესხებელზე, რომელთა ბიზნესი და ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ფაქტორის გამო მნიშვნელოვნად გაუარესებული;
    - ე) მოვალის ან თვით საკრედიტო კავშირის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა ნეგატიური გარემოებები, რომლებიც გამოვლინდა ეროვნული ბანკის შემომწმებების შედეგად.

### მუხლი 4. აქტივების კლასიფიკაციის სისტემა

1. აქტივების კლასიფიკაცია ნეგატიურად დამყარებული უნდა იყოს იმ ფაქტებსა და სისუსტეებზე, რომლებიც გამოწვეულია ან გამომდინარეობს ისეთი გარემოებებიდან, მოვლენებიდან ან მდგომარეობიდან, რომელთა ზედმინვნით ჩატარებული ანალიზისა და განსჯის შემდეგ ნათელი ხდება, რომ აქტივის ღირებულება მცირდება.
2. კატეგორიების მიხედვით აქტივების კლასიფიკაციისას საკრედიტო კავშირმა უნდა გამოიყენოს მათ შესახებ არსებული ინფორმაცია, რომელიც

3. სესხის ნეგატიურად კლასიფიკაციის დროს საკრედიტო კავშირმა ამ მსესხებელს არ უნდა მისცეს დამატებითი სესხი მასთან დაკავშირებული რისკების და მომავალი დანაკარგების შესაძლებლობების ზედმინვენიტ განხილვის გარეშე. ასეთი განხილვის შედეგად დამატებითი სესხის მიცემის შემთხვევაში მას შეიძლება მიენიჭოს კატეგორია – „სტანდარტული“, თუ იგი მთლიანად დაცულია ლიკვიდური უზრუნველყოფით ამ მსესხებლისათვის მიცემული სხვა სესხების ნეგატიურად კლასიფიცირების მიუხედავად.
4. საკრედიტო კავშირმა ყოველთვიურად თვითონ უნდა მოახდინოს თავისი აქტივების კლასიფიკაცია ამ წესით დადგენილი კატეგორიების მიხედვით.

### მუხლი 5. სესხების კლასიფიკაციის კატეგორიები

სესხების კლასიფიკაცია წარმოებს ოთხი კატეგორიის მიხედვით, მათ შორის:

1. სტანდარტული სესხები
  - ა) სესხი კლასიფიცირდება „სტანდარტულად“, თუ მისი ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) და პროცენტის მუდმივად გადახდა დროულად წარმოებს;
  - ბ) „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის მიღებული გირაო ან იპოთეკა გამოყენებული იქნება როგორც უსაფრთხოების დამატებითი კომპონენტი, თუმცა, საჭიროა მისი სწორად რეგისტრაცია და დოკუმენტურად დადასტურება;
  - გ) ბიზნესისათვის გაცემული სესხის შემთხვევაში მსესხებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ბიზნესგეგმა რეალურია და პრაქტიკულად განხორციელებადი, მისი ძირითადი პროდუქცია და მარკეტინგული სტრატეგია სტაბილურია და კონკურენტუნარიანი;
  - დ) „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხი ჩვეულებრივი მდგომარეობაა, მაგრამ ყოველ საკრედიტო კავშირს მოეთხოვება თითოეული „სტანდარტულად“ კლასიფიცირებული სესხისათვის რეგერვის შექმნა სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 2%-ის ოდენობით;
2. საყურადღებო სესხები
  - ა) სესხი კლასიფიცირდება „საყურადღებოდ“, თუ:
    - ა.ა) იგი ადეკვატურად არის დაცული, მაგრამ პოტენციურად სუსტია, მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაცემის დრო მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და გადახდის უნარი სტაბილური ჩანდა, შემდეგ კი გამოჩნდა გარკვეული ნაკლოვანებები და ტენდენციები, რომლებმაც განაპირობა ნებისმიერი შეთანხმებული გადასახდელის, მათ შორის, სესხზე დარიცხული პროცენტის 30-ზე მეტი დღით ვადაგადაცილება;
    - ა.ბ) მსესხებლის საქმიანობაში ან წარმოებაში მოსალოდნელია ისეთი მოვლენები, ან ისეთი მიმართულებები ბაზარზე, რომელთა გამოც შეიძლება მსესხებლის მოგება ან ბიზნესი გახდეს არასტაბილური, ანდა მნიშვნელოვნად გაუარესდეს;

- ა.გ) გირაოსთან ან იპოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ არის სწორად გაფორმებული, ანდა როდესაც გირაო ან იპოთეკა არ არის სწორად რეგისტრირებული, და ამ ორიდან რომელიმე ვითარებას თან ერთვის გადახდის პირველადი წყაროს მეშვეობით ამ ვალის სათანადოდ დაფარვის დაქვეითებული უნარი;
- ა.დ) სესხის ვადაგადაცილებული პროცენტი დაუფარავია და დამატებულია სესხის ძირითად თანხაზე;
- ბ) ყოველ საკრედიტო კავშირს მოეთხოვება რეგერვის შექმნა თითოეული „საყურადღებოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 10%-ის ოდენობით.
3. საეჭვო სესხები
  - ა) სესხი კლასიფიცირდება „საეჭვოდ“ თუ მას აქვს „საყურადღებოდ“ კლასიფიცირებული სესხის მახასიათებლები, მაგრამ არსებულ პირობებში მისი გადახდა საეჭვოა ერთ-ერთი ისეთი სისუსტის გამო, როგორცაა სესხის მიმდინარე ნაწილობრივი გადახდა ან გირაოს (იპოთეკის) დასაკუთრებისა და გაყიდვის პროცედურების დაყოფა და განხორციელება უახლოეს მომავალში, აგრეთვე დამატებითი გირაოს ან იპოთეკის ჩადების შესაძლებლობა, რითაც სესხი მთლიანად უზრუნველყოფილი გახდება;
  - ბ) საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 90 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „საეჭვო“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა, ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი;
  - გ) მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 120 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს „საეჭვო“ სესხის კლასიფიკაცია, თუმცა, ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი;
  - დ) ყოველ საკრედიტო კავშირს მოეთხოვება რეგერვის შექმნა თითოეული „საეჭვოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 70%-ის ოდენობით.
4. უიმედო სესხები
  - ა) სესხი კლასიფიცირდება „უიმედოდ“, თუ:
    - ა.ა) მსესხებლის გადახდის უუნარობის გამო შეუძლებელია მისი ამოღება ან ამოღებაში თანხა იმდენად მცირეა, რომ იგი ბანკის ბალანსზე არ უნდა დარჩეს;
    - ა.ბ) გირაოს (იპოთეკის) მიუხედავად, მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია 150 დღით;
    - ა.გ) 150-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილების მიუხედავად, მსესხებლის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სესხის ამოღება მთლიანად შეუძლებელია ან ამოსაღებად მოსალოდნელი თანხები არ შეესაბამება ამოღებისათვის დახარჯულ დროსა და ხარჯებს;
    - ბ) დანაკარგები სესხებიდან ბალანსზე აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დადგინდა, რომ სესხის ამოღება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მისი საბუღალტრო აღრიცხვა უნდა შეწყდეს და

- გ) ჩამოწმების ამავე პერიოდის ბალანსიდან; საკრედიტო კავშირებში ძალისხმევა უნდა მიმართონ „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხების კანონიერად ამოსაღებად სათანადო ზომების გამოყენებით, ყველა არსებული გირაოს ან იპოთეკის დასაკუთრებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული (კანონმდებლობით გათვალისწინებული) პროცედურების დაცვის ჩათვლით;
- დ) ყოველ საკრედიტო კავშირს მოეთხოვება რეგულაციის შექმნა თითოეული „უიმედოდ“ კლასიფიცირებული სესხისათვის, სესხის ძირითადი თანხის გადაუხდელი ნაშთის 100% - ის ოდენობით.

**მუხლი 6. დანაწევრებული კლასიფიკაციები**

1. საკრედიტო კავშირს უფლება აქვს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების კრიტერიუმების შესაბამისად, მოახდინოს სესხის კლასიფიკაცია დანაწევრებულად, როგორც „საყურადღებო“, „საეჭვო“ ან „უიმედოდ“ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სესხი ნაწილობრივ უზრუნველყოფილი სესხია.
2. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულების ტოლია, კლასიფიკაცია შეიძლება იყოს „საყურადღებო“.
3. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი აღემატება გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულებას, კლასიფიკაცია შესაბამისად შეიძლება იყოს „საეჭვო“ ან „უიმედოდ“.
4. დანაწევრებული კლასიფიკაციის შემთხვევაში სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილის „საეჭვოდ“ კლასიფიკაცია დასაბუთებული უნდა იყოს მკაფიო და სარწმუნო არგუმენტებით.

**მუხლი 7. დეპოზიტების კლასიფიკაცია**

1. საკრედიტო კავშირი რომელიმე კომერციულ ბანკში დეპოზიტის განთავსებამდე უნდა ფლობდეს მის შესახებ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც უნდა მოიცავდეს გარე აუდიტის დასკვნას კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ და ბანკის უახლეს საფინანსო-ანგარიშგებას, ხოლო თანხის განთავსების შემდეგ უნდა მოითხოვოს და მიიღოს ბანკისაგან განსაზღვრული თარიღისათვის კვარტალური ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.
2. დეპოზიტების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და მის უნარზე შეასრულოს მასა და საკრედიტო კავშირს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. თუ სხვა ურთიერთსაპირისპირო ფაქტორების არსებობისას წარმოიშობა პრობლემები (დაგვიანება), აქტივი ექვემდებარება კლასიფიკაციას.
3. თუ თანხის მიღება ბანკისაგან დაგვიანებულია 30 ან მეტი დღით, დეპოზიტი კლასიფიცირდება როგორც „საყურადღებო“.

4. თუ თანხის მიღება ბანკისაგან დაგვიანებულია 60 ან მეტი დღით, დეპოზიტი კლასიფიცირდება როგორც „საეჭვო“.
5. თუ თანხის მიღება ბანკისაგან დაგვიანებულია 90 ან მეტი დღით, დეპოზიტი კლასიფიცირდება „უიმედოდ“ და იგი უნდა ჩამოიწმინდოს მისი განმთავსებელი საკრედიტო კავშირის ბალანსიდან.
6. კომერციულ ბანკში განთავსებული დეპოზიტები და სხვა მოთხოვნები ან ბანკის ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურების დაწყებისას კლასიფიცირდება როგორც „უიმედოდ“ და უნდა ჩამოიწმინდოს მისი განმთავსებელი საკრედიტო კავშირის ბალანსიდან.

**მუხლი 8. არასასესხო აქტივების კლასიფიკაცია და დარეგულირება, მათი შესაძლო დანაკარგების რეგულირების შექმნა და გამოყენება**

1. საკრედიტო კავშირის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონება მისი ღირებულების მიუხედავად, საკრედიტო კავშირის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არაჯანსაღი აქტივია და უნდა გაიყიდოს, ასეთი აქტივი დასაკუთრებისთანავე უნდა გააანალიზოს საკრედიტო კავშირმა და დაუქვემდებაროს კლასიფიკაციას. მათი კლასიფიკაცია და შესაბამისად, შესაძლო დანაკარგების რეგულირების შექმნა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:
  - ა) საკრედიტო კავშირმა იპოთეკის დასაკუთრებისთანავე უნდა მოახდინოს სხვა უძრავი ქონების კლასიფიკაცია და მისთვის შესაბამისი რეგულირების შექმნას შემდეგნაირად:
    - ა.ა) სხვა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამდე თანხაზე, - როგორც „საყურადღებო“;
    - ა.ბ. სხვა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებაზე მეტ თანხაზე, - როგორც „უიმედოდ“;
  - ბ) ბალანსზე აყვანიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ საკრედიტო კავშირმა უნდა მოახდინოს მისი კლასიფიკაცია როგორც „საეჭვოსი“ და შექმნას შესაბამისი რეგულირება;
  - გ) ბალანსზე აყვანიდან სამი წლის შემდეგ საკრედიტო კავშირი ვალდებულია სხვა უძრავი ქონების კლასიფიკაცია მოახდინოს როგორც „უიმედოსი“, შექმნას შესაბამისი რეგულირება და ჩამოიწმინდოს თავისი ბალანსიდან, რის შემდეგაც მათი აღრიცხვა ინარმოებს შესაბამისი გარესაბალანსო ანგარიშზე;
  - დ) სხვა უძრავი ქონება საკრედიტო კავშირმა უნდა აღრიცხოს მისი დასაკუთრების თარიღისათვის აღრიცხული აქტივის ღირებულებით ან მისი საბაზრო ფასით, თუ ეს უკანასკნელი ნაკლებია აღრიცხული აქტივის ღირებულებაზე.
2. გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეგულირების შექმნა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:
  - ა) გირაოთი დასაკუთრებულ ყველა მოძრავ ქონებას საკრედიტო კავშირი აანალიზებს და კლასიფიკაციას ახდენს თითოეული შემთხვევის მიხედვით;
  - ბ) საკრედიტო კავშირი უნდა შეიცავდეს, არ იქონიოს გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონება

მისი დასაკუთრებიდან 180-ზე მეტი დღის განმავლობაში;

- გ) საკრედიტო კავშირმა გირაოთი მოძრავი ქონების დასაკუთრებისთანავე უნდა მოახდინოს ამ ქონების კლასიფიკაცია და მისთვის შესაბამისი რეგერვები შექმნას შემდეგნაირად:
- გ.ა) გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამდე თანხაზე, – როგორც „საყურადღებო“;
- გ.ბ) გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებაზე მეტ თანხაზე, – როგორც „უიმედო“;
- დ) თუ გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონება საკრედიტო კავშირის ბალანსზე აყვანიდან 90 დღის შემდეგ კვლავ ირიცხება, საკრედიტო კავშირმა უნდა მოახდინოს მისი კლასიფიკაცია როგორც „საეჭვოსი“ და შექმნას შესაბამისი რეგერვი;
- ე) ბალანსზე აყვანიდან 180 დღის შემდეგ ყოველი საკრედიტო კავშირი ვალდებულია გირაოთი დასაკუთრებული მოძრავი ქონების კლასიფიკაცია მოახდინოს როგორც „უიმედოსი“, შექმნას შესაბამისი რეგერვი და ჩამოწეროს თავისი ბალანსიდან, რის შემდეგაც მისი აღრიცხვა ინარმოებს შესაბამის გარესაბალანსო ანგარიშებზე.

### მუხლი 9. აქტივების შესაძლო დანაკარგების რეგერვების შექმნა და აღრიცხვა, უიმედო აქტივების ბუღალტრული აღრიცხვა და ჩამოწერა

1. საკრედიტო კავშირმა ამ წესის შესაბამისად უნდა შექმნას ყველა სესხისა და სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების რეგერვი.
2. საკრედიტო კავშირის მენეჯმენტი პასუხისმგებელია იმისათვის, რომ მისდამი რწმუნებულ საკრედიტო კავშირს მუდმივად ჰქონდეს ადეკვატური რეგერვი.
3. რეგერვების ადეკვატურობა საკრედიტო კავშირმა უნდა განიხილოს ყოველთვიურად და თუ აქტივებისა და მათი კლასიფიკაციის ზედმიწევნითი შესწავლის შემდეგ დადგინდება, რომ შესაძლო დანაკარგების რეგერვი არასაკმარისია, მენეჯმენტი იღებს კლასიფიკაციის გათვალისწინებით დამატებითი რეგერვის შექმნის გადაწყვეტილებას და ქმნის მას იმ ოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარავად.
4. საკრედიტო კავშირი აქტივების შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეგერვის შესაქმნელად საჭირო ყოველ ახალ თანხას გაატარებს ხარჯებში და ასახავს თავის მიმდინარე მოგება-ზარალის უწყისში.
5. თუ საკრედიტო კავშირმა სასესხო პორტფელის ანალიზის შედეგად ჭარბი რეგერვი გამოავლინა. საკრედიტო კავშირი დაადებეტებს სესხების შესაძლო დანაკარგების რეგერვის ანგარიშს და დააკრედიტებს ხარჯების ანგარიშს.
6. თუ დადგინდა, რომ შეუძლებელია სესხის დაფარვა და სხვა აქტივების ამოღება, საკრედიტო კავშირმა უნდა ჩამოწეროს „უიმედოდ“ კლასი-

ფიცირებული აქტივები და შეამციროს შესაძლო დანაკარგების რეგერვი მისი დადებეტებითა და აქტივის ანგარიშის დაკრედიტებით.(აიმ)

7. საკრედიტო კავშირის მიერ სესხის ჩამოწერა გადახდის შეუძლებლობის გამო არ ჩაითვლება ვალის გაუქმებად. აღნიშნულ ვალი უნდა დარჩეს სპეციალურ გარესაბალანსო ანგარიშებზე მისი ჩამოწერიდან ხეტი წლის განმავლობაში. საკრედიტო კავშირმა უნდა მიიღოს ზომები როგორც ვადაგადაცილებული პროცენტი, ისე ძირითადი თანხის ამოსაღებად. ასეთ აქტივზე, საკრედიტო კავშირის გამგეობის შეხედულებისამებრ, პროცენტების დარიცხვა გაგრძელდება გარესაბალანსო ანგარიშზე, რათა კვლავ სათანადოდ აისახოს მიმდინარე ვალდებულებები.
8. საკრედიტო კავშირმა 5-წლიანი პერიოდის განმავლობაში სულ ცოტა თვეში ერთხელ უნდა მიაწოდოს მსესხებელს ანდა მის სამართალმემკვიდრეს, ან წარმომადგენელს გადაუხდელი ძირითადი თანხის ნაშთისა და დარიცხული პროცენტის დამადასტურებელი ამონაწერი, რომელიც ზუსტად ასახავს ზემოაღნიშნული სპეციალური გარესაბალანსო ანგარიშის ნაშთებს.
9. თუ მოვალე ფარავს სესხს, რომელიც ჩამოწერა საბალანსო უწყისიდან და ეს მოხდა ამავე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში, საკრედიტო კავშირი თავიდან დაადებეტებს ფულადი სახსრების ანგარიშს და დააკრედიტებს აქტივების შესაძლო დანაკარგების რეგერვების ანგარიშს, რის შემდეგაც იგი დაადებეტებს აქტივების შესაძლო დანაკარგების რეგერვის ანგარიშს და დააკრედიტებს დარეგერვებისათვის განეული ხარჯების ანგარიშს.
10. თუ მოვალე არ გადაიხდის ჩამოწერილ სესხს 5-წლის განმავლობაში, სესხის როგორც ძირითადი თანხა, ისე პროცენტები გაუქმებული იქნება სპეციალური გარესაბალანსო უწყისის ანგარიშიდან ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისი გატარებების მეშვეობით, რაც არ ნიშნავს სესხის ამოღების პროცედურების შეწყვეტას.

### 3.2.5 დებულება საკრედიტო კავშირში გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს დებულება შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე და 73-ე მუხლების, „არასაბანკო სადემოზიტი დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად და ადგენს საკრედიტო კავშირში გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების წესს.
- ყველა საკრედიტო კავშირი ვალდებულია ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად.
- აუდიტორული შემოწმება შეიძლება ჩატარდეს საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივით, საერთო კრების ან წევრთა 10 პროცენტის მოთხოვნით.
- გარე აუდიტის ჩატარებას საკრედიტო კავშირში, მისი საფინანსო დოკუმენტებისა და ანგარიშგების ობიექტური შემოწმებით, უზრუნველყოფს აუდიტორი.
- აუდიტორული ანგარიში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად როგორც საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოსათვის, გამგეობისა და კავშირის წევრებისათვის, ისე საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, როგორც ზედამხედველისათვის. შესაბამისად, საკრედიტო კავშირში აუდიტის თავისდროულად ჩატარება პრინციპულად მნიშვნელოვანია, – აუდიტი უნდა ჩატარდეს საანგარიშგებო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 3 თვეში და მისი შედეგების შესახებ ანგარიში განსახილველად უნდა წარედგინოს კავშირის წევრთა საერთო კრებას.
- საკრედიტო კავშირი ვალდებულია აუდიტორული საქმიანობის უფლებამოსილების მქონე პირთან გააფორმოს სათანადო ხელშეკრულება, რომელშიც აუდიტორული დასკვნის შედგენასთან ერთად, როგორც წესი, გათვალისწინებული იქნება სრული ანგარიშის შედგენა აუდიტის შედეგებზე, აღნიშნული საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრამდე შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და გარეაუდიტორული შემოწმების დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში აუდიტორული შემოწმების სრული ანგარიში საკრედიტო კავშირის წლიურ საფინანსო ანგარიშგებასთან ერთად წარუდგინოს ეროვნულ ბანკს.
- აუდიტორის შრომა ანაზღაურდება საკრედიტო კავშირის ხარჯზე, საკრედიტო კავშირსა და აუ-

დიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, საკრედიტო კავშირის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს ყოველწლიური გარეაუდიტორული შემოწმების ხარჯი. ამავე ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს აუდიტის მიზანი და პირობები, გასაწევი მომსახურების მოცულობა, ანაზღაურების წესი და მხარეების პასუხისმგებლობა, აგრეთვე აუდიტთან დაკავშირებული ყოველგვარი ჩანაწერის, დოკუმენტებისა და სხვა ინფორმაციის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა.

- საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საფინანსო ანგარიშგების სწორად შედგენისა და მათი მომხმარებლისათვის წარდგენისათვის, ასევე მისი აქტივების უსაფრთხო დაცვისათვის, ხოლო აუდიტორი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების შესახებ დასკვნის შედგენისა და წარდგენისათვის. საფინანსო ანგარიშგების აუდიტი კავშირის ხელმძღვანელობას პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს.
- საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან აუდიტორს შეუქმნან სამუშაო პირობები და მისი მოთხოვნის შესაბამისად წარუდგინონ ნებისმიერი ინფორმაცია საკრედიტო კავშირის ოპერაციებისა და გარიგებების თაობაზე.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- საფინანსო ანგარიში – არის საკრედიტო კავშირის საფინანსო მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი, რომელიც მოიცავს ბუღალტრულ ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ, შენიშვნებს და ახსნა-განმარტებით მასალას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილს წარმოადგენს;
- აქტივები – არის საკრედიტო კავშირის განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგია და რის საფუძველზეც კავშირი მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას;
- საფინანსო საქმიანობა – არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგადაც რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საკრედიტო კავშირის კაპიტალი;
- ხელმძღვანელი პირი – არის სამეთვალყურეო საბჭოს, გამგეობისა და საკრედიტო კომიტეტის წევრი, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვისათვის პასუხისმგებელი პირი.

#### მუხლი 3. საკრედიტო კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობა აუდიტორის შერჩევისა და აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით

სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია:



- ა) საკრედიტო კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებულ აუდიტორთა, ან იმ აუდიტორთაგან, რომელთაც მიღებული აქვთ აუდიტორული საქმიანობის საბჭოს ლიცენზია, ყოველწლიურად ყურადღებით შეარჩიოს კარგი რეპუტაციის მქონე კომპეტენტური აუდიტორული ფირმა (აუდიტორი), რომელიც სამართლებრივი და ორგანიზაციული ურთიერთობების თვალსაზრისით დამოუკიდებელია და არ არის დაკავშირებული საკრედიტო კავშირთან ან მის ადმინისტრატორებთან, და წარუდგინოს საერთო კრებას დასამტკიცებლად. აუდიტორის დამოუკიდებლობის საკითხებს არეგულირებს „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი და საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს „აუდიტის ეთიკის კოდექსი“;
- ბ) გააცნოს აუდიტორს დებულება საკრედიტო კავშირში გარეაუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ.
- 2. სამეთვალყურეო საბჭომ საანგარიშგებო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 90 დღისა აუდიტორისაგან, რომელიც უნდა პასუხობდეს ამავდემუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, უნდა მიიღოს საკრედიტო კავშირის აუდიტის ანგარიში, განიხილოს და წარუდგინოს იგი საერთო კრებას, წლიური ანგარიშის შესახებ დასკვნასთან ერთად, განსახილველად და სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად.
- 3. აუდიტის დასკვნამ დახმარება უნდა გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატს კავშირის საქმიანობაში არსებული რისკის დონის დადგენაში, პრობლემებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში, ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელებაში.
- 4. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია საგანგებო სხდომაზე გაათავისუფლოს ან შეცვალოს მის მიერ დანიშნული ნებისმიერი აუდიტორი, თუ მან მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აუდიტორს ჩამორთმეული აქვს ლიცენზია, დაკავშირებულია საკრედიტო კავშირის პასუხისმგებელ პირებთან, საქმიანობის პროცესში მან გამოავლინა არაკომპეტენტურობა ან თაღლითობა და სხვ.

**მუხლი 4. აუდიტორის უფლება - მოვალეობა და პასუხისმგებლობა აუდიტის ჩატარებისას**

- 1. აუდიტორს უფლება აქვს:
  - ა) მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკრედიტო კავშირის ოპერაციებისა და გარიგებების თაობაზე;
  - ბ) წვდომა ჰქონდეს ბუღალტრულ წიგნებთან, ანგარიშებთან, ქვითრებთან და მიიღოს საკრედიტო კავშირის ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლებიც შეეხება გარიგების საგანს, საკრედიტო კავშირის მიერ დამოწმებული მოთხოვნის შესაბამისად;
  - გ) მიიღოს აუდიტის საგანთან დაკავშირებით საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელობისა და მუშაკებისაგან ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით;

- დ) დამოუკიდებლად განსაზღვროს აუდიტის პროცედურები მოქმედი კანონმდებლობის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, საკრედიტო კავშირთან გარიგების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე;
- ე) მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რათა შეძლოს დასაბუთებული დასკვნების გამოტანა, რომლებიც საფუძველად დაედება აუდიტორულ დასკვნას;
- ვ) უარი განაცხადოს დასკვნის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის მასშტაბის შეზღუდვის მოსალოდნელი გავლენა საკრედიტო კავშირის ფინანსურ ანგარიშგებაზე იმდენად არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორს არ შესწევს უნარი მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები და ამის გამო არ შეუძლია რაიმე აზრის გამოხატვა ფინანსური ანგარიშგების შესახებ და დასკვნის გაცემა.
- 2. აუდიტორი ვალდებულია:
  - ა) უზრუნველყოს საკრედიტო კავშირში გარე აუდიტის ჩატარება მისი საფინანსო ანგარიშგებისა და დოკუმენტების სიზუსტის ობიექტური შემოწმებით;
  - ბ) აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები და პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის ნორმები;
  - გ) უზრუნველყოს საკრედიტო კავშირის სალაროს ნაშთის, ფასიანი ქაღალდების, წევრთა ანგარიშების და ვადაგადაცხილებული კრედიტების, ასევე ხელმძღვანელი პირებისათვის გაცემული ყველა სესხისა და ოპერაციის შემოწმება, რომლებზეც დამოუკიდებელია საკრედიტო კავშირის ფინანსური მდგომარეობა, რომელიც, აუდიტორის აზრით, არაა დამაკმაყოფილებელია და მოითხოვს გამოსწორებას;
- დ) აუდიტის დამთავრებისთანავე შემოწმების შედეგების მიხედვით მოამზადოს წერილობითი ანგარიში რეკომენდაციების გათვალისწინებით და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს და გამგეობას;
- ე) უზრუნველყოს საბჭოს ინფორმირება ნებისმიერი გარიგების თაობაზე, რომელიც გაცდა საკრედიტო კავშირის რწმუნების ჩარჩოებს, აგრეთვე ნებისმიერი სარისკო საფინანსო ოპერაციის, გარიგებისა თუ პოლიტიკის შესახებ, რომელმაც აუდიტორის შეხედულებით, შეიძლება საკრედიტო კავშირს ზარალი მოუტანოს;
- ვ) საკრედიტო კავშირის ფინანსური მონაცემები ხელმისაწვდომი გახადოს მესამე მხარისათვის მხოლოდ აუდიტირებული კავშირის წერილობითი თანხმობის ან შესაბამისი სასამართლო მოთხოვნის არსებობისას.
- 3. გარე აუდიტის მიერ მომზადებული ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს:
  - ა) აუდიტორულ დასკვნას;
  - ბ) წლიური ბალანსისა და მოგების (ზარალის) შეფასებას;
  - გ) კაპიტალის სტრუქტურისა და მისი ადეკვატურობის შეფასებას;
  - დ) აქტივების ხარისხის ანალიზს სესხებისა და სხვა

აქტივების რეკლასიფიკაციის გათვალისწინებით, აქტივების შეფასებას და აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ადეკვატურობას, ასევე აქტივების ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციებს, კრედიტების რევიზიას;

- გ) საკრედიტო კავშირის შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზს საპროცენტო და არასაპროცენტო კატეგორიების გათვალისწინებით;
  - ვ) საკრედიტო კავშირის მიერ აქტივ-პასივების მართვის გათვალისწინებით ლიკვიდობის პოზიციის შეფასებას;
  - ზ) საკრედიტო კავშირის მართვის სტრუქტურის, პოლიტიკის და პროცედურების შეფასებას და მათი გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციას.
- მუხლი 5. აუდიტორი პასუხისმგებელია:
- ა) საკრედიტო კავშირის საფინანსო ანგარიშგების უტყუარობის შეფასებისათვის, -- თუ რამდენად სამართლიანად ასახავს იგი საანგარიშგებო წლის საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და ფინანსურ მდგომარეობას;
  - ბ) საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელობისთვის, მისდამი რწმუნებული კავშირის ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურასა და ფუნქციონირებაში არსებული იმ არსებითი ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობისათვის, რომლებიც მისთვის აუდიტის პროცესში გახდა ცნობილი.

### 3.2.6 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიმართ სანქციების გამოყენების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების ზედამხედველობის განხორციელების შედეგად ამ დაწესებულებების საქმიანობაში არსებული პოტენციური სისუსტეების ან დარღვევების გამოვლენისას, მათი გამოსწორებისა და აღკვეთის ადეკვატური ღონისძიებების სახეობებს, მათ გამოყენებას, ასევე საეჭვო გარიგებების თაობაზე მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2003 წლის 31 დეკემბრის N27 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ ინფორმაციის მიღების, აღრიცხვის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ“ დებულების მოთხოვნების დარღვევისათვის შესაბამის სანქციებს.
- არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფილობითი ზემოქმედების ზომებს.
- ნებაყოფილობითი ზემოქმედების ზომების გამოყენება ძირითადად ხორციელდება ისეთი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ, რომელთა საქმიანობაც ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით და მათი სერიოზულ პრობლემებად გადაქცევის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გადაუდებელი რეაგირება. ნებაყოფილობითი ზემოქმედების ზომებს მიეკუთვნება:
  - ნაკლოვანებების მქონე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საგარანტიო წერილი მის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღიარების და მათი გამოსასწორებელი ღონისძიებების დადგენილ ვადებში განხორციელების შესახებ;
  - წერილობითი შეთანხმება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დაწესებულების საქმიანობაში გამოვლენილი არსებითი ნეგატიური ასპექტების აღმოსაფხვრელად.
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ სა-

ვალდებულო ზემოქმედების ზომების გამოყენება ხორციელდება იმის ათვალისწინებით, თუ:

- რამდენად სრულად ან დროულად ასრულებს მის საზედამხედველო მოთხოვნებს ეს დაწესებულება;
  - როგორია ამ დაწესებულებაში დარღვევების ხარისხი და რა ზარალს განიცდის თავად ეს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება;
  - რამდენად სრულად ან დროულად ასრულებს ეს დაწესებულება „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2003 წლის 31 დეკემბრის N27 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების მიერ ინფორმაციის მიღების, აღრიცხვის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ“ დებულების, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით შიდა კონტროლის განხორციელების თაობაზე ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- სავალდებულო ზემოქმედების ზომებს მიეკუთვნება:
    - წერილობითი გაფრთხილება დადგენილ ვადებში კონკრეტული ნაკლოვანების (ნაკლოვანებების) აღმოფხვრის თაობაზე;
    - სამეთვალყურეო საბჭოსადმი მოთხოვნის წაყენება, რათა მონვეულ იქნეს რეგარემე საგანგებო საერთო კრება დარღვევათა განსახილველად, მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების გასატარებლად ან ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობის განსაახლებლად;
    - აქტივების ზრდის, მოგების განაწილების, დივიდენდების გაცემის, ხელფასის ზრდის, ანაბრების მოზიდვის, პრემიებისა და სხვა ჯილდოების გაცემის შეჩერება ან შეზღუდვა;
    - ინსტრუქციის (მითითების) გამოცემა, რომლის მიხედვითაც არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება შეაჩერებს ან შეწყვეტს ამა თუ იმ საქმიანობას და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადებში მიიღებს ზომებს დარღვევების და სხვა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;
    - საჭარიმო სანქციების დაკისრება დაწესებულებისათვის;
    - ფულადი ჯარიმის გადახდევინება დაწესებულების იმ ხელმძღვანელისათვის, რომლის ქმედებამ ფინანსური ზარალი მიაყენა დაწესებულებას;
    - საჭარიმო სანქციების დაკისრება დაწესებულებისათვის/პასუხისმგებელი პირისათვის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით შიდა კონტროლის განხორციელებლობაზე;
    - არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ხელმძღვანელისათვის (ხელმძღვანელებისათვის) ხელმოწერის უფლების შეჩერება;
    - დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება;
    - ლიცენზიის გაუქმება.
  - ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სავალდებულო ზემოქმედების ზომების გამოყენებას საქა-

როგელოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებების შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოში სათანადო მოთხოვნის შესახებ წერილის გაგზავნით, ხოლო „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომების გამოყენებას – ადმინისტრაციული აქტის გამოცემით.

7. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებას უფლება აქვს გაასაჩივროს საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტი ზემოქმედების ზომების გამოყენების თაობაზე. გასაჩივრების შემთხვევაში დაუშვებელია ამ აქტის მოქმედების შეჩერება საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ ეროვნული ბანკი არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი – არის კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული სანარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს „არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონით ნებადართულ სხვა საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება;
- ბ) ზედამხედველობის განხორციელება – არის არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების საქმიანობისადმი საქართველოს ეროვნული ბანკის მეთვალყურეობა დოკუმენტური შემოწმებისა და ადგილზე ინსპექტირების გზით;
- გ) აქტივები – არის დაწესებულების განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულის სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც დაწესებულება მოვლის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას;
- დ) დივიდენდი – არის არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების საერთო კრების მიერ დადგენილი პროცენტის შესაბამისად მოგების განაწილება დაწესებულების პარტნიორებს (წევრებს) შორის, კაპიტალში მათ მიერ სრულად ინვესტირებული წილის პროპორციულად;
- ე) ანაბარი – არის არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების პარტნიორის (წევრის) მიერ შეტანილი ფულადი თანხა, რომლის საკუთრების უფლებას იძენს დაწესებულება და რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტი;
- ვ) ხელმძღვანელი – არის არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების მართვის უფლების მქონე პირი;
- ზ) ჭარიმა – არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობის ან დარღვევებისათვის არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებისათვის, ასევე მისი ხელმძღვანელებისათვის დადგენილი ოდენობით ფულადი თანხის გადახდის დაკისრება; თ)

- წერილობითი ფორმა – არის კომუნიკაციის ნაბეჭდი ან ლითოგრაფიული ფორმა;
- ი) გადახდისუნარიანობა – არის ფულადი სახსრების არსებობა უფრო ხანგრძლივი პერიოდის ფინანსური ვალდებულებების დროულად შესასრულებლად;
- კ) ადმინისტრაციული აქტი – არის ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ – „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საზედამხედველო ღონისძიების ამოქმედების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი;
- ლ) უკანონო შემოსავალი – არის პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები, სხვა ქონება ან ქონებრივი უფლებები, რომლებიც მან მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის (მათ შორის, იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკული დანაშაულების, ტრეფიკინგის, ტერორიზმის) ჩადენის შედეგად, გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანაშაულების ჩადენის შემთხვევებისა;
- მ) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია – არის უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა, ანდა ასეთი მოქმედების ჩადენის მცდელობა;
- ნ) საეჭვო გარიგება – არის არასაბანკო სადევპოზიტო ოპერაცია, მიუხედავად მისი თანხის ოდენობისა, რომელზეც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი დაიდო ან შესრულდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით (არა აქვს დასაბუთებული ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი ან ამჟამად კანონიერი მიზანი, არ შეესაბამება გარიგების მონაწილე პირის ჩვეულებრივ სანარმოო საქმიანობას, შეუძლებელია გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია ან გარიგების თანხის წარმოშობის დადგენა და ა.შ.) ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირი დაკავშირებულია ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირებთან, ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი არის არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლედ) ზონაში, ან რომ მისი თანხის გადარიცხვა ხდება ასეთ ზონაში ან ასეთი ზონიდან;
- ო) საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური – არის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

## მუხლი 3. სავალდებულო და ნებაყოფლობითი საზედამხედველო ღონისძიებების გამოყენების განსაზღვრა და დოკუმენტურად გაფორმება

1. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების ზედამხედველობის სამმართველოს სპეციალისტების

მიერ არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებების საქმიანობის როგორც დოკუმენტური, ისე ადგილზე შემოწმების პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებები და პრობლემები უნდა აისახოს შესაბამისად მოხსენებით ბარათში ან შემოწმების თაობაზე აქტში, რომელიც მისი გაფორმებისთანავე განსახილველად წარედგინება, უპირველეს ყოვლისა, იმავე სამმართველოს არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის განყოფილების უფროსს.

2. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მიღებიდან ერთ დღეში მის წარმდგენ სპეციალისტთან ერთად განიხილოს იგი, არსებული ნაკლოვანებებისა და პრობლემების გათვალისწინებით მოამზადოს და სამმართველოს უფროსს წარუდგინოს წინადადება სათანადო საზედამხედველო ღონისძიების გამოყენების თაობაზე.
3. იმ შემთხვევაში, თუ არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების მიმართ ამა თუ იმ საზედამხედველო ღონისძიების გამოყენების თაობაზე წარდგენილი წინადადება დაწესებულების საქმიანობაში არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების გათვალისწინებით მისაღები იქნება სამმართველოს უფროსისათვის, სამმართველოს თანამშრომლები ამზადებენ სათანადო დოკუმენტის (წერილი ან განკარგულება) პროექტს კურატორ ვიცე-პრეზიდენტისათვის წარსადგენად.
4. იმ შემთხვევაში, თუ სამმართველოს უფროსი არ ეთანხმება ზედამხედველობის განყოფილების უფროსისა და სპეციალისტის მიერ წარდგენილ წინადადებას, იგი ვალდებულია წარმოდგენილი წინადადება და პირადი მოსაზრება განსახორციელებელი საზედამხედველო ღონისძიების შესახებ გააფორმოს წერილობით და წარუდგინოს კურატორ ვიცე-პრეზიდენტს გადაწყვეტილების მისაღებად.
5. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების მიმართ კონკრეტული საზედამხედველო ღონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით ზედამხედველობის სამმართველოს სათანადო სპეციალისტები ადგენენ შესაბამისად წერილის, ინსტრუქციის ან განკარგულების პროექტს, რომლებიც სათანადოდ გაფორმების შემდეგ ეგზავნება არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებას.

#### მუხლი 4. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებების მიმართ გამოყენებული საზედამხედველო ღონისძიების შესრულების მონიტორინგი

1. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტები ვალდებული არიან:
  - ა) ყოველკვარტალურად არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებისგან მიღებული ანგარიშგებების

საფუძველზე განახორციელონ მათ მიმართ შეფარდებული საზედამხედველო ღონისძიებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი;

- ბ) მონიტორინგის შედეგების თაობაზე წერილობითი ინფორმაცია წინადადებებით პერიოდულად წარუდგინონ თავიანთი განყოფილებისა და სამმართველოს უფროსებს.
2. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, სამმართველომ უნდა განიხილოს დაწესებულების მიმართ საზედამხედველო ღონისძიების შერჩელების, აუქმების ან გამკაცრების საკითხი და წარუდგინოს წინადადებები კურატორ ვიცე-პრეზიდენტს სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად.

#### მუხლი 5. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულებისა და მათი ადმინისტრატორებისთვის ფულადი ჯარიმის დაკისრება და გადახდევინება

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ხშირია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ზედამხედველობის მიზნებისათვის დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობის ან დარღვევების ფაქტები, არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების თაობაზე წინადადებას ერთობლივად ამზადებენ არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების ზედამხედველობის სამმართველოს ლიცენზირებისა და ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტები და წარუდგენენ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილების მისაღებად.
2. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულება დაჯარიმდება:
  - ა) თუ არ მოამზადებს და ეროვნულ ბანკს არ წარუდგენს საზედამხედველო ანგარიშგებას – 500 ლარით თითოეულ წარუდგენელ ანგარიშზე;
  - ბ) თუ ჩაშლილია და მოუწესრიგებელია აღრიცხვა-ანგარიშგება – 1500 ლარით.
3. არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების:
  - ა) მმართველი ორგანოს წევრების მიერ ყალბ ანგარიშგებაზე ხელის მოწერა გამოიწვევს მათ დაჯარიმებას 500 ლარით;
  - ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების დარღვევა გამოიწვევს ამ უბნისათვის პასუხისმგებელი ხელმძღვანელის დაჯარიმებას – 500 ლარით;
  - გ) ხელმძღვანელი, რომლის ქმედობამ (ქმედება ან უმოქმედობა) ფინანსური ზარალი მიაყენა დაწესებულებას, დაჯარიმდება – 1500 ლარით.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი:
  - ა) არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების დაჯარიმების თაობაზე მისი მიღებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ეგზავნება დაწესებულების ხელმძღვანელობას, ასევე ამ დაწესებულების მომსახურე კომერციულ ბანკს, თანდართული საინკასო დავალებით მისი ანგარიშიდან საჯარიმო თანხის ჩამოწერის მიზნით;
  - ბ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად არასაბანკო სადევპოზიტო დაწესებულების ხელმძღვანელების დაჯარიმების თაობაზე ინფორმაცია ეგზავნება

დანესებულების სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელის ხელფასიდან ან მისი სხვა ანგარიშიდან საჯარიმო თანხის დაკავების მიზნით.

## მუხლი 6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის თაობაზე დადგენილი მოთხოვნების დარღვევებისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების – საკრედიტო კავშირებისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის სანქციების დაკისრება

1. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებითა და წერილობითი მითითებებით დადგენილი შემდეგი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულება ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:
  - ა) 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარით, დადგენილ ვადებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობისთვის;
  - ბ) შემონმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესისა და ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
  - გ) შემონმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარუდგენლობის გამოვლენის შემთხვევაში 500 (ხუთასი) ლარით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
  - დ) იდენტიფიკაციის დადგენილი წესის დაუცველად პირისათვის გარიგების (ოპერაციის) განხორციელების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში 150 (ას ორმოცდაათი) ლარით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
  - ე) მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში 150 (ას ორმოცდაათი) ლარით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- 3) შემონმების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების დადგენილი წესისა და დადგენილი ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში, 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- 8) შემონმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენა, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის

- თითოეულ ფაქტზე;
- თ) შემონმების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებით ინფორმაციაზე მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
  - ი) შემონმების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარუდგენლობის გამოვლენის შემთხვევაში 1 000 (ერთი ათასი) ლარით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
  - კ) გარიგების (ოპერაციის) სპეციალური პროგრამული საშუალებით აღრიცხვაობა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;
  - ლ) საკრედიტო კავშირი ან მისი მმართველი ორგანოს წევრი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების მიღებას და/ან აღნიშნული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების დაცვას დაჯარიმდება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.
2. არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების:
- ა) პასუხისმგებელი პირი, რომელიც სათანადოდ არ ასრულებს საეჭვო გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიღებასთან, აღრიცხვასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და დადგენილ ვადაში ანგარიშგების დანიშნულებისამებრ წარდგენასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს დაჯარიმდება 500 ლარით;
  - ბ) აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც სათანადოდ არ ასრულებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის თავიდან აცილების მიზნით შიდა კონტროლის განხორციელების თაობაზე ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დაჯარიმდება 500 ლარით.

### 3.2.7 არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების – საკრედიტო კავშირების გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, აგრეთვე „არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და აწესრიგებს ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების და მათი ლიკვიდაციის პროცედურებს.
- არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების გადახდისუნარობის დადგენა განეკუთვნება საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციას.
- არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების გადახდისუნარობა დგინდება მისი როგორც დოკუმენტალური შემონიშნების, ისე ადგილზე ინსპექტირების მასალებზე დაყრდნობით და წარმოადგენს არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების რეაბილიტაციის ან მისი გადახდისუნარობის (გაკოტრების) თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის მიღების საფუძველს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- გადახდისუნარო არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულება – არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულება გადახდისუნაროა, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვადამოსული გადახდის ვალდებულებები;
- ადმინისტრაციული აქტი – არის ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ამოქმედების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი;
- საკუთარი კაპიტალი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ;
- აქტივები – არის დანესებულების განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური

- ერესურსი, რომელიც წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგია და რის საფუძველზეც დანესებულება მოვლის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას;
- ვალდებულება – არის დანესებულების მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგად და რომლის შესრულებაც გულისხმობს სანარმოს ეკონომიკურ სარგებელში განვითარებული რესურსების გასვლას სანარმოდან;
- რესტრუქტურისაცია – არის დანესებულების ხელმძღვანელობის მიერ შედგენილი და კონტროლირებადი პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის საქმიანობის სფეროს ან საქმიანობის წარმართვის ხერხებს;
- ბალანსი – არის ბუღალტრული ანგარიშგების ძირითადი ფორმა, რომლებშიც აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებული შესაბამისად როგორც მოკლე- და გრძელვადიანი ან ლიკვიდურობის მიხედვით;
- ვადაგადაცილებული სესხი – არის სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მოახდენს მათთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ვადაში;
- პარტნიორი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების წევრი, რომელსაც აქვს დანესებულების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები მის მიმართ;
- დროებითი ადმინისტრაცია – ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების განსაკუთრებული მუშაობის რეჟიმი, რომელიც მიმართულია დანესებულების ფინანსური სიძნელეების, მათ შორის გადახდისუნარობის აღმოსაფხვრელად;
- დროებითი ადმინისტრაცია – არის ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო საკრედიტო დანესებულებაში დროებითი ადმინისტრაციული რეჟიმის განსახორციელებლად დანიშნული პირი;
- რეაბილიტაცია – არის ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების ფინანსური სიძნელეების დაძლევას, ლიკვიდურობის აღდგენას და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას;
- გაკოტრების სუბიექტი – არის არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულება, რომლის მიმართაც გამოიყენება გაკოტრების საქმის წარმოება;
- ლიკვიდურობა – არის საკმარისი სახსრების არსებობა ანგარიშებიდან თანხების მოსახსნელად და სხვა ფინანსური ვალდებულებების თავის დროზე დასაფარავად;
- საფინანსო საქმიანობა – არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგადაც რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების კაპიტალი;
- გაკოტრების საფუძველი – არის გაკოტრების საქმის გახსნის მომენტისათვის არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულების გადახდისუნარობა;
- ლიკვიდაცია – არის არასაბანკო საკრედიტო დანესებულების ლიკვიდაცია გაკოტრების საქმის

- წარმოების შედეგად;
- ს) ლიკვიდატორი – არის ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების გაკოტრების საქმის სანარმოებლად დანიშნული პირი;
  - ტ) ფინანსური ანგარიშგება – არის სანარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი;
  - უ) უფლებამოსილი საზედამხედველო სამსახური – არის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭო და საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველო.

### მუხლი 3. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობის გამომწვევი მიზეზები და მათი აღმოფხვრის ღონისძიებები

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობას ძირითადად განაპირობებს;
  - ა) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მართვისათვის პასუხისმგებელი პირების არაკომპეტენტურობა და უუნარობა, საიმედოდ და უსაფრთხოდ მართონ მათდამი რწმუნებული დაწესებულება;
  - ბ) არაკვალიფიცირებული კადრები;
  - გ) სათანადო საზედამხედველო სამსახურების მიერ არსებულ პრობლემებზე დაგვიანებით რეაგირება ან მათი საერთოდ უყურადღებოდ დატოვება;
  - დ) არასტაბილურ მაკროეკონომიკური გარემო;
  - ე) ხანძარი, სტიქიური უბედურება და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები.
2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნარობის წინაპირობაა დაწესებულების საფინანსო საქმიანობის მკვეთრი გაუარესება, რაც ძირითადად ვლინდება საკუთარი კაპიტალის სტრუქტურული ცვლილებით და რაოდენობრივი შემცირებით, მთლიან აქტივებში ძნელად სარეალიზაციო აქტივების, მათ შორის ვადაგადაცილებული სესხების ხვედრითი წილის ზრდით, ფულადი ნაკადების შემცირებით და, შესაბამისად, ლიკვიდობის გაუარესებით.
3. იმის გამო, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური მაჩვენებლები ასახულია არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ფინანსურ ანგარიშგებაში, დაწესებულების ზედამხედველობისათვის უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან როგორც დოკუმენტური, ისე ადგილზე ინსპექტირების საფუძველზე გააანალიზონ და შეაფასონ დაწესებულების საფინანსო საქმიანობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საფინანსო საქმიანობის გაუარესების გამომწვევი მიზეზების გამოვლენას და მათ აღმოსაფხვრელად „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ სანქციების გამოყენების წესით“ გათვალისწინებული ზომების გამოყენების თაობაზე დასკვნა ამავე წესის მე-3 მუხლის შესაბამისად წარუდგინონ გადაწყვეტილების მიღებისათვის უფლებამოსილ ეროვნულ ბანკის სათანადო ხელმძღვანელ პირებს.

### მუხლი 4. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნაროდ გამოცხადების საფუძვლები და მათი განხილვა

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ღონისძიებების მიუხედავად, მისი საქმიანობის გაურესებისა და ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ან ადგილზე ინსპექტირების მასალების საფუძველზე გადახდისუუნარობის დადგენისას, დაწესებულების ზედამხედველობისათვის პასუხისმგებელი პირი წარუდგენს დასკვნას დაწესებულების გადახდისუუნაროდ გამოცხადების და მისთვის ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის უფლებამოსილ ეროვნული ბანკის სათანადო ხელმძღვანელ პირებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საკითხის განხილვის პროცესში შეიძლება წარმოიშვას დაწესებულების საქმიანობის გაჯანსაღების (რეაბილიტაციის) რეალური პირობები, შესაბამისად, შეიძლება ჩამოყალიბდეს დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების და ლიკვიდურობის აღდგენის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი ვალეების განსაზღვრულ ვადებში დაფარვის გათვალისწინებით, რაც შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების მიღებაზე თავის შეკავების ან მისი შეცვლის საფუძველი.
3. დაწესებულების რეაბილიტაციის გეგმა მისი მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ორგანიზაციულ, ფინანსურ-ეკონომიკურ და რესტრუქტურისაციის ღონისძიებებს, მასში ცვლილება შეიძლება შეტანილი იქნეს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით.
4. რეაბილიტაციის გეგმას შეიმუშავებს, ამტკიცებს და ახორციელებს:
  - ა) დაწესებულების ხელმძღვანელობა და/ან
  - ბ) ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული დროებითი ადმინისტრატორი.

### მუხლი 5. დროებითი ადმინისტრატორის უფლებამოსილება რეაბილიტაციის პერიოდში

1. დროებითი ადმინისტრატორი ახორციელებს რეაბილიტაციის გეგმას, აგრეთვე მართავს და განკარგავს მოვალის ქონებას მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად. მას უფლება აქვს რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი მოქმედება.
2. დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს დადოს გარიგებები და ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობით განკარგოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ის უძრავი ქონება, რომელიც სცილდება რეაბილიტაციის გეგმას.
3. დროებით ადმინისტრატორს შეუძლია ეროვნულ ბანკს მოსთხოვოს რეაბილიტაციის შეწყვეტა რეაბილიტაციის მიზნის მიუღწევლობის თაობაზე შესაბამისი დასკვნის წარდგენით.



## მუხლი 6. დროებითი ადმინისტრატორის გასამრჩელო რეაბილიტაციის პერიოდში

1. დროებითი ადმინისტრატორის გასამრჩელოს იხდის ეროვნული ბანკი.
2. განუვლი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენისას დროებით ადმინისტრატორს თანხები აუნაზღაურდება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სახსრებიდან.

## მუხლი 7. რეაბილიტაციის დასრულება და შეწყვეტა

1. რეაბილიტაცია დასრულდება:
  - ა) თუ მიღწეული იქნა მისი მიზანი;
  - ბ) გავიდა რეაბილიტაციისათვის დადგენილი ვადა და მიზანი მიღწეული არ არის;
  - გ) ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, დროებითი ადმინისტრატორის დასკვნის საფუძველზე.
2. რეაბილიტაცია დასრულდება ან შეწყვეტილად ითვლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის (ან ვიცე-პრეზიდენტის) განკარგულების გამოცემის თარიღიდან, ამასთან, თუ რეაბილიტაცია შეწყდა ამ მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე განკარგულებით გახსნილად ცხადდება არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების გაკოტრების საქმე.

## მუხლი 8. გადახდისუუნაროდ გამოცხადება და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გადახდისუუნაროდ აცხადებს მხოლოდ ეროვნული ბანკი, თუ:
  - ა) დადგინდება არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიერ ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულების უუნარობა;
  - ბ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების კრედიტორებმა, განცხადებით და დოკუმენტური მტკიცებულებით მიმართეს ეროვნულ ბანკს, რომ დაწესებულება მათ მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას არ უზრუნველყოფს;
  - გ) გავიდა რეაბილიტაციისათვის დადგენილი ვადა და მიზანი მიღწეული არ არის.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისას ეროვნული ბანკი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზისა და სიტუაციის გამოსასწორებლად გატარებული ღონისძიებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების თაობაზე.
3. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გაკოტრების საქმე გახსნილად ითვლება მისი გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებისთანავე. მასში აუცილებლად უნდა მიეთითოს:

- ა) იმ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი, რომელიც ცხადდება გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად;
- ბ) რომ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას ეკრძალება თავისი ქონების მართვა და განკარგვა;
- გ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში დანიშნული ლიკვიდატორის სახელი და გვარი, ლიკვიდატორად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ასრულებდა დროებითი ადმინისტრატორის მოვალეობას;
- დ) რომ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების კრედიტორებმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინონ ლიკვიდატორს თავიანთი მოთხოვნები შესაბამისი ვალუტით თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად;
- ე) რომ ყველა იმ პირმა, რომელიც ფლობს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ქონების მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ რისამე შესრულებისათვის, უნდა უზრუნველყოს ამ ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება უშუალოდ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის;
- ვ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დღე და საათი;
- ზ) კრედიტორთა პირველი კრების თარიღი.

## მუხლი 9. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნება

1. ადმინისტრაციული აქტი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის საშუალებით. ადმინისტრაციული აქტის გავრცელებიდან 2 დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის მიმართ.
2. ეროვნული ბანკი არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა იმ ბანკს და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას, რომელთანაც ამ დაწესებულებას აქვს საქმიანი ურთიერთობა.
3. ადმინისტრაციული აქტის გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ უნდა გაეგზავნოს:
  - ა) თვით არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებას, ასევე მის ლიკვიდატორს;
  - ბ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ძირითად კრედიტორებს;
  - დ) მარეგისტრირებელ უწყებებს მოთხოვნით, რომ მონაცემები გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ შეიტანონ შესაბამისად სამეწარმეო და საჯარო რეესტრში.

## მუხლი 10. გაკოტრების საქმის წარმოება

1. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთანავე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება კარგავს გაკოტრების მასის განკარგვისა და მართვის უფლებას.
2. ლიკვიდატორმა უნდა მართოს და განკარგოს გაკოტრების მასა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება.
3. გაკოტრების წარმოების საქმის გახსნისთანავე არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები ექვემდებარება მოთხოვნათა დაფარვის კანონისმიერ რიგითობას „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად.
4. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების შემდეგ კრედიტორი ვალდებულია არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ ვალდებულების შესრულება განახორციელოს გაკოტრების მასაში.
5. გაკოტრების საქმის წარმოებისას ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა დაიშვება მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. დაუშვებელია კრედიტორმა ან ლიკვიდატორმა მოითხოვოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, თუ გაქვითვის გარემოება წარმოიშვა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ და იგი იწვევს „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული რიგითობის დარღვევას.

## მუხლი 11. ლიკვიდატორის ვალდებულება

### ლიკვიდატორი ვალდებულია:

- ა) დაწესებულების საქმეს გაუძღვას ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით და კეთილსინდისიერებით. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისას იგი კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხს აგებს ეროვნული ბანკის, როგორც საზედამხებელო ორგანოს, და იმ კრედიტორთა წინაშე, რომელთა მიმართაც დაუშვა ბრალეული ქმედება;
- ბ) დაწესებულების ლიკვიდაციის თაობაზე გადანაცვების საფუძველზე გადაიფორმოს საბანკო ანგარიშები და დამოუკიდებლად განკარგოს ანგარიშებზე რიცხული თანხები, რისთვისაც მან შესაბამის ბანკებში უნდა წარადგინოს ხელმოწერისა და ბეჭდის ნიმუშების დამოწმებული ბარათი;
- გ) დანიშნისთანავე შეადგინოს ბალანსი დაწესებულების საბუღალტრო წიგნიდან ან სხვა წყაროებიდან, ცნობილ კრედიტორებს დაწესებულების ლიკვიდაციის თაობაზე აცნობოს დაზღვეული/

- დ) შეკვეთილი წერილით, ხოლო უცნობ კრედიტორებს და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია –საჯარო განცხადებით და მოიწვიოს ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისათვის;
- ე) გაუგზავნოს დაწესებულების საადრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად დაზღვეული წერილობით ამონაწერები თანხის შესახებ ყველა მენაბრეს, დანარჩენ კრედიტორებს, წერილში უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდატორისათვის პრეტენზიის წარდგენა შესაძლოა წერილის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში;
- ვ) დანიშნისთანავე 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს ლიკვიდატორის ბეჭდისა და შტამპის დამზადება, ხოლო სალიკვიდაციო დაწესებულების (სტრუქტურული ერთეულების ჩათვლით) ყველა ბეჭდის და შტამპის განადგურების მიზნით ეროვნული ბანკისათვის ჩაბარება;
- გ) სალიკვიდაციო დაწესებულების (სტრუქტურული ერთეულის) ყოფილი ხელმძღვანელის მიერ 10 დღის განმავლობაში შტამპის და ბეჭდის ჩაუხარებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ საქმე გადასცეს შესაბამის სამართალდაცვის ორგანოებს;
- დ) დანიშნისთანავე მიიღოს აუცილებელი ზომები იმ ფუნქციების შეწყვეტისათვის, რომელსაც ასრულებდა არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, ასევე მისთვის აქტივებისა და ქონების დასაბრუნებლად და დაწესებულების ანგარიშების მიხედვით ანგარიშსწორების განსახორციელებლად;
- თ) აწარმოოს სწორი საბუღალტრო ჩანაწერების განხორციელებით ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგება;
- ი) წარუდგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს სალიკვიდაციო დაწესებულების ანგარიშგება დადგენილ ვადებში და დადგენილი ფორმით;
- კ) დაწესებულებაში გაფლანგვა-განიავებისა და დატაცების ფაქტების გამოვლენისთანავე ზომების მიღების მიზნით საქმეები გადასცეს სამართალდაცვის ორგანოებს;
- ლ) სამართლიანად მოეპყროს დაწესებულების კლიენტებს;
- მ) განახორციელოს დაწესებულების ყველა აქტივის და ვალდებულების ინვენტარიზაცია და კატალოგიზაცია;
- ნ) დაწესებულების აქტივების მაქსიმალურად ამოღების მიზნით უზრუნველყოს ყველა სახის ღონისძიების გატარება, სასამართლო ორგანოებში საქმის აღძვრის და სააღსრულებო ბიუროებისათვის საქმეების გადაცემის ჩათვლით;
- ო) განახორციელოს დაწესებულების მიმართ წამოყენებული მოთხოვნების კანონიერების შემოწმება, გიროთი და იპოთეკის უზრუნველყოფილი ვალდებულებების და სხვა კრედიტორების რიგითობით გასტუმრება;
- პ) მოახდინოს დაწესებულების ძირითადი საშუალებების რეალიზაცია საჯარო გაყიდვით;
- ჟ) მოაწესრიგოს ურთიერთობა ან დადოს შეთანხმება კრედიტორებთან, ან იმ პირებთან, რომლებ-

საც დაწესებულების მიმართ აქვთ კონკრეტული თუ პირობითი მოთხოვნა, რომელიც შესაძლოა გახდეს ზარალის მომტან დაწესებულებისათვის, ანდა რომლის გამოც მას შეიძლება დამატებითი ვალდებულება დაეკისროს;

- რ) დაწესებულების დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინოს პარტნიორების მიერ წილების თაობაზე დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენლობის პირობებში მათი პრეტენზიების სამართლიანობა;
- ს) გადასცეს ეროვნულ ბანკს მფლობელობაში მესაკუთრის გამოვლენის მიზნით გამოუთხოვადი და მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება, რომელიც ერიცხება დაწესებულებას ხელშეკრულების ან სხვა დოკუმენტების საფუძველზე;
- ტ) მხარეთა შორის მორიგების თაობაზე განცხადების არსებობისას შეიმუშაოს სამომრიგებლო წინადადება;
- უ) დაასრულოს დაწესებულების ლიკვიდაცია და სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების თაობაზე ანგარიში, ხელმოწერით და ბეჭდით დადასტურებული აქტის დართვით წარუდგინოს კრედიტორთა კრებას, ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს.

## მუხლი 12. ლიკვიდატორის უფლებები

1. ლიკვიდატორი წარმოდგენს დაწესებულებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში მას შეუძლია წარმართოს დაწესებულებასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავროს სასამართლო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთოს ახალ გარიგებებში, თავისუფლად გაყიდოს აქტივები, ფილიალების ჩათვლით.
2. ლიკვიდატორის დანიშვნის დღიდან შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს:
  - ა) გარიგება დაწესებულების თანამშრომლის დაქირავების შესახებ;
  - ბ) კონტრაქტები მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებაშიც დაწესებულება იღებდა მონაწილეობას;
  - გ) დაწესებულების ნებისმიერი ვალდებულება, როგორც უძრავი ქონების მოიჭარადრისა, თუ მოიჭარეს (რომელიც 60 დღით ადრე უნდა იქნეს გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ დაწესებულება აპირებს გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება) არა აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელებზე, გარდა იმ თანხისა, რომლებიც დაირიცხა შეთანხმების გაუქმების თარიღისათვის და არ მოითხოვს ასეთი გაუქმების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებას.
3. ლიკვიდატორი უფლებამოსილია:
  - ა) სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ადმინისტრატორის მიერ დროებითი ადმინისტრატორის ან ლიკვიდატორის დანიშვნამდე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელებული მოქმედება ანდა გარიგება და მოითხოვოს მათი ბათილობა, თუ ამის შედეგად დაწესებულებას-

თან დაკავშირებულმა პირებმა ამ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი, ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის (მისი კრედიტორებისათვის) ზიანის მიყენება. სარჩელის შეტანა შეიძლება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნიდან მხოლოდ სამი წლის განმავლობაში.

- ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით შექმნას (ან არ შექმნას) სალიკვიდაციო კომისია. სალიკვიდაციო კომისიის შექმნისას იგი წერილობით აცნობებს ეროვნულ ბანკს სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობის და მათი უფლება-მოვალეობების თაობაზე;
- გ) აუცილებლობის გათვალისწინებით დაიქირაოს გარეშე სპეციალისტები;
- დ) გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოს მთავარ საარქივო სამსახურთან, დაწესებულების საბუთების დადგენილი წესით აღრიცხვის, აკინძვის და მათი საარქივო სამსახურისათვის შესანახად გადაცემაზე;
- ე) გაყიდოს უზრუნველყოფის მიზნით მესამე პირისაგან მიღებული საგანი, აგრეთვე საგანი, რომელიც გირავნობის უფლებით არის დატვირთული;
- ვ) გადადოს იმ ნივთის რეალიზაცია, რომლის მიმართაც პრეტენზია აქვს მესამე პირს, საკუთრების ან გირავნობის უფლების არსებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

## მუხლი 13. კრედიტორთა კრება

1. გაკოტრების საქმის წარმოებისას თავის მოთხოვნებთან დაკავშირებულ უფლებებს კრედიტორები ახორციელებენ კრედიტორთა კრებაზე, რომელსაც მოიწვევს ლიკვიდატორი მისი დანიშვნიდან სამი თვის განმავლობაში.
2. კრედიტორთა კრება მოიწვევა აგრეთვე ლიკვიდატორის, კრედიტორთა კომიტეტის ან გაკოტრების იმ კრედიტორის მიმართვის საფუძველზე, რომელსაც გაცხადებული მოთხოვნების შესაბამისად ეკუთვნის მოთხოვნების საერთო თანხის სულ ცოტა 1/5. ლიკვიდატორი ვალდებულია მოიწვიოს კრედიტორთა კრება მიმართვიდან არა უგვიანეს 14 დღისა.
3. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში კრების ჩატარებამდე არა უგვიანეს 7 დღისა.
4. კრებაზე ყოველ კრედიტორს აქვს თავისი მოთხოვნის პროპორციული რაოდენობის ხმა. კრედიტორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით დამსწრე კრედიტორთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. შეთანხმების მიუღწევლობის ან ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადანაცვტილებას იღებს ლიკვიდატორი.
5. კრედიტორთა კრება უფლებამოსილია იმსჯელოს საგაკოტრებო მორიგების თაობაზე.

## მუხლი 14. კრედიტორთა კომიტეტი

1. კრედიტორთა კრებას შეუძლია შექმნას კრედიტორთა კომიტეტი, რომლებიც შედგება გაკოტრების კრედიტორებისა და სხვა კომპეტენტური პირებისაგან. კრედიტორთა კომიტეტის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს კრედიტორთა კრება.
2. კრედიტორთა კომიტეტი ვალდებულია დაეხმაროს და კონტროლი გაუწიოს ლიკვიდატორს მისი საქმიანობის განხორციელებისას.
3. კრედიტორთა კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

## მუხლი 15. საგაკოტრებო მორიგება

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების გაკოტრების საქმე შეიძლება დასრულდეს საგაკოტრებო მორიგებით.
2. საგაკოტრებო მორიგების თაობაზე განცხადების შეტანის უფლება აქვს არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების ყოველ პარტნიორს, გაკოტრების ყოველ კრედიტორს, კრედიტორთა კრებას, კრედიტორთა კომიტეტს, სამომრიგებლო წინადადებების შემუშავება ევალება ლიკვიდატორს, რაც არ უშლის სხვა ნებისმიერ განმცხადებელს წინადადებების მომზადებისას ლიკვიდატორს წარუდგინოს განსხვავებული წინადადებები.
3. სამომრიგებლო წინადადებაში უნდა მიეთითოს, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ კრედიტორები, მოხდეს თუ არა მათი უზრუნველყოფა და რა სახით. ამასთან უზრუნველყოფილი და პრივილეგირებული კრედიტორები (მეანაბრეები) უნდა დაკმაყოფილდნენ პირველ რიგში. ერთი რიგის ყველა კრედიტორს მიენიჭება თანაბარი უფლებები.
4. საგაკოტრებო მორიგება უნდა დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული აქტით, დამტკიცებაზე უარი ითქმება, თუ მორიგება არაკეთილსინდისიერი გზით არის დადებული, იგი კრედიტორთა ნაწილს აყენებს გაუმართლებელ ბარალს ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლების გამო.

## მუხლი 16. განაწილება

1. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ლიკვიდაციის დროს მოთხოვნები, რომელთა საფუძველია გირაო, დაკმაყოფილდება შესაბამისი შეთანხმების პირობების თანახმად (გირაოს ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დაიფაროს შემდეგი თანმიმდევრობით:
  - ა) საქართველოს ეროვნული ბანკი და სხვა კრედიტორები, რომელთა მიმართაც არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებას წარმოეშვა ვალდებულება საქმიანობის ლიკვიდაციის გაუქმების შემდეგ;
  - ბ) მეანაბრეები;
  - გ) სხვა დანარჩენი მოთხოვნები არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მიმართ.
2. თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ამ მუხ-

ლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მოთხოვნების სრულად დაფარვისათვის, მაშინ ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს თანაბარი პროპორციით.

## მუხლი 17. დამატებითი განაწილება

1. თუ საბოლოო განაწილების შემდეგ ლიკვიდატორის მიერ გაკოტრების მასაში შეჩერებული თანხები გამოთავისუფლდება იმავე მასის სასარგებლოდ ან გაკოტრების მასიდან გაცემული თანხები მასვე დაუბრუნდება, ლიკვიდატორი ეროვნული ბანკის მითითების საფუძველზე დამატებით განაწილებს მათ საბოლოო ცხრილის საფუძველზე. ასეთი თანხების მართვისა და განაწილების შესახებ წარსადგენი ანგარიში უნდა შეამოწმოს და დაამტკიცოს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა.
2. იგივე წესი მოქმედებს, თუ საბოლოო განაწილების ან საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ აღმოჩნდება გაკოტრების მასას მიკუთვნებული ქონების ობიექტი.
3. თუ განაწილების, მათ შორის დამატებითი განაწილების, შემდეგ გაკოტრების მასაში აღარ დარჩა თანხები, მაშინ საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს გადაწყვეტილებას გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ.

## მუხლი 18. გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრება

1. დაწესებულების ქონების რეალიზაციის დამთავრების შემდეგ, ლიკვიდატორმა უნდა შეადგინოს საბოლოო ანგარიში და წარუდგინოს იგი კრედიტორთა კრებას, ასევე ეროვნულ ბანკს შესაბამის დოკუმენტებთან და კრედიტორთა კომიტეტის შენიშვნებთან ერთად, გაკოტრების საქმის ყველა მონაწილესათვის გასაცნობად.
2. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას და ნებისმიერ კრედიტორს უფლება აქვთ გაასაჩივრონ საბოლოო ანგარიში მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში. თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში საბოლოო ანგარიშის წინააღმდეგ არცერთი უფლებამოსილი პირი ოფიციალურად არ წარუდგენს პრეტენზიას ლიკვიდატორს ასლის ეროვნულ ბანკში გაგზავნით, ანგარიში ჩაითვლება მოწონებულად და აღიარებულად.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშის აღიარება არის გაკოტრების საქმის წარმოების დამთავრების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების საფუძველი, რომელსაც უგზავნის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების მარეგისტრირებელ უწყებას.

### 3.3 ფასიანი ქალაქების ბაზრის მდგრადი განვითარება

3.3.1	აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების წესი	301
3.3.2	აქტივების მმართველი კომპანიების საწესდებო კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ წესი	306
3.3.3	აქტივების მმართველ კომპანიებთან ხელშეკრულების დადების წესი	307
3.3.4	აქტივების მმართველი კომპანიების პერსონალის საკვალიფიკაციო სტანდარტების შესახებ წესი	309
3.3.5	აქტივების მმართველი კომპანიებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების ინტერესთა კონფლიქტების შესახებ წესი	310
3.3.6	სპეციალიზებულ დეპოზიტართა ლიცენზირების წესი	311
3.3.7	სპეციალიზებულ დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის წესი	314
3.3.8	სპეციალიზებულ დეპოზიტართან ხელშეკრულების დადების წესი	315
3.3.9	სპეციალიზებული დეპოზიტარის საპენსიო აქტივის შენახვის ვალდებულებების განსაზღვრის წესი	317
3.3.10	არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი	318
3.3.11	საბროკერო კომპანიის ლიცენზირების, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესი	321
3.3.12	ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტის წესი	328
3.3.13	ფასიანი ქალაქების რეგისტრის წარმოების წესი	339
3.3.14	ფასიანი ქალაქების ნომინალური მფლობელობის შესახებ წესი	343
3.3.15	ფასიანი ქალაქების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესი	347
3.3.16	ფასიანი ქალაქების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი	351
3.3.17	საინვესტიციო ფონდების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები	353
3.3.18	ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მომსახურების განევის წესი	355
3.3.19	საფონდო ბირჟის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესი	363
3.3.20	საჯარო ფასიან ქალაქებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერთ ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქალაქებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესი	369
3.3.21	ანგარიშვალდებული საწარმოების მიმართ პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნების განსაზღვრის, საანგარიშგებო მოთხოვნებისგან განთავისუფლების, ანგარიშვალდებული საწარმოების ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ემიტენტისთვის ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის დანიშვნის წესი	384
3.3.22	ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული ამ საწარმოს ფასიანი ქალაქების ფლობის შესახებ ანგარიშის წარდგენისა და ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქალაქების მნიშვნელოვანი შენაძენის და მისი ცვლილებების საჯაროობის წესი	388
3.3.23	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვითი ორგანოს განსაზღვრისა და ანგარიშვალდებული საწარმოს 1%-ზე ნაკლები წილის მფლობელის აუქციონერთა საერთო კრებაზე მოწვევის წესი	397
3.3.24	უცხო ქვეყნის ალიარებული საფონდო ბირჟების ნუსხისა და მათზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქალაქების მფლობელის მიერ საქართველოში ფასიანი ქალაქების საჯარო შეთავაზების განხორციელების წესი	398
3.3.25	ფასიანი ქალაქების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესი	403
3.3.26	საწარმოთა ობლიგაციების ემისიის პროსპექტებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ წესი	406
3.3.27	საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატების დებულება	409
3.3.28	კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება	415

### 3.3.1 აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების წესი

#### თავი I ბოგადი დებულებები

##### მუხლი 1.

- ეს წესი შემუშავებულია „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მე- 40 მუხლის მეორე პუნქტის, აგრეთვე „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს საპენსიო დანაგროვთა აქტივების მართვის საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზიის გაცემის პირობებსა და წესს, აგრეთვე ლიცენზიის გამოყენების კონტროლის მექანიზმებს, ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის, ლიცენზიის მოხსნისა და გაუქმების საფუძვლებსა და წესებს.
- აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ლიცენზირება და ლიცენზიის გამოყენებაზე კონტროლი ხორციელდება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ.
- აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზიის მიღება სავალდებულოა პირისთვის, რომელიც ახორციელებს ან აპირებს განახორციელოს კანონით დადგენილი აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურება არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის სფეროში
- აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის განხორციელება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ითვლება უკანონო ქმედობად და ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

##### მუხლი 2. განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონით და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები. გარდა ამისა, გამოიყენება ტერმინები შემდეგი მნიშვნელობებით:

- არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის სფეროს მონაწილე – დამფუძნებელი, სპეციალიზირებული დეპოზიტარი და აქტივების მმართველი კომპანია
- აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზია – ლიცენზია, რომელიც უფლებას აძლევს იურიდიულ პირს განახორციელოს კანონის 11-ე მუხლის 2-ე

- პუნქტით განსაზღვრული აქტივების მართვა.
- ადვილად ხელმისაწვდომი ადგილი – აქტივების მმართველი კომპანიის ოფისში ხელმძღვანელობის ნებართვით დოკუმენტების ადვილად მოპოვების მიზნით გამოყოფილი სათავსო.
- დაცული ადგილი – რკინის კარით აღჭურვილი სათავსო ან ცეცხლგამძლე კარადა, რომელიც განთავსებულია აქტივების მმართველი კომპანიის ოფისში.
- ლიცენზიის მაძიებელი – აქტივების მმართველი კომპანიის სპეციალური ლიცენზიის მიღების მსურველი.
- სისტემატური დარღვევა – აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებული რამოდენიმე მოთხოვნის დარღვევა წელიწადში ორჯერ ან მეტად.

#### თავი II ლიცენზიის გაცემის პირობები და წესი

##### მუხლი 3.

- აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზიის მისაღებად პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
  - რეგისტრირებული უნდა იყოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, როგორც სააქციო საზოგადოება ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო;
  - მისი საკუთარი კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს კომისიის წესით განსაზღვრულ ოდენობას;
  - პირის მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს არა უნდა ჰქონდეს ჩამორთმეული მმართველი ორგანოში მონაწილეობის უფლება, ბოლო 10 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს ნასამართლევ ეკონომიკური დანაშაულისთვის, ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების და საპენსიო და სადაზღვევო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის;
  - მისი განთავსების ადგილი უნდა იყოს სხვა დანესებულებებისაგან და საქმიანობებისაგან განცალკევებული შესასვლელით გამოყოფილი ფართი, რომელიც არ მდებარეობს და არ უკავშირდება საცხოვრებელ ფართს და რომლის ადგილმდებარეობაც ცნობილი უნდა იყოს კომისიისათვის;
  - ყველა დავთარი და ჩანაწერი უნდა ინახებოდეს დაცულ ადგილზე, ხოლო იმ ჩანაწერებისა და დავთრების შენახვა, რომელიც შექმნილი იქნება კომპანიის საქმიანობის ბოლო ორი წლის განმავლობაში, უნდა მოხდეს ადვილად ხელმისაწვდომ ადგილზე;
  - მისი წესდება და შინაგანაწესი უნდა შეესაბამებოდეს კომისიის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
  - ის არ უნდა იყოს საპენსიო სქემის დამფუძნებლის,

მეანაბრისა და/ან სპეციალიზებული დეპოზიტარის აფილირებული პირი ან თვით დამფუძნებელი ან სპეციალიზებული დეპოზიტარი (გარდა სადაზღვევო კომპანიისა და ბანკისა);

- თ) ის ვალდებულია აქტივების მართვის პროცესში საპენსიო დანაგროვთა ინვესტირება განახორციელოს მხოლოდ სპეციალიზებული დეპოზიტარის მეშვეობით.

#### მუხლი 4.

1. აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას შემდეგი დოკუმენტები უნდა წარუდგინოს:
  - ა) განაცხადება ლიცენზიის მიღებაზე (დანართი 1)
  - ბ) რეგისტრაციის (სადამფუძნებლო) დოკუმენტთა ნოტარიულად დამოწმებული ასლები მათი ყველა ცვლილებებითა და დამატებებით ლიცენზიის მიღებაზე დოკუმენტების წარდგენის დროისათვის;
  - გ) ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის ან არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირთა სია, მათი სამუშაო გამოცდილების მითითებით ბოლო 5 წლის განმავლობაში;
  - დ) ლიცენზიის მაძიებლის საკუთარი კაპიტალის ოდენობის დამადასტურებელ დოკუმენტთა აუდიტორის მიერ დამოწმებული ასლები;
  - ე) ლიცენზიის მაძიებლის აფილირებული პირების და მათი ხელმძღვანელების შესახებ მონაცემების შემცველი დოკუმენტი;
  - ვ) ლიცენზიის მაძიებლის მიერ სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
  - ზ) იმ პირთა სიას, რომლებიც ფლობენ ლიცენზიის მაძიებლის წილების 5%-ს ან მეტს;
  - თ) შინაგანაწესი, კლიენტებთან ხელშეკრულების ფორმების ნიმუში და კლიენტებთან ხელშეკრულების დადებისთვის საჭირო სხვა დოკუმენტაცია;
  - ი) კომისიის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ხელმოწერილი აქტი განთავსების ადგილის შემოწმების შედეგად მისი კომისიის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

#### მუხლი 5.

1. ლიცენზიაზე განაცხადებისა და საჭირო დოკუმენტების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში კომისიამ უნდა გასცეს ლიცენზია ან მოსთხოვოს ლიცენზიის მაძიებელს წერილობითი ახსნა-განმარტებანი და შესწორებანი, ან წერილობითვე წარუდგინოს ლიცენზიის მაძიებელს დასაბუთებული უარი.
2. კომისიის მიერ განაცხადში შესწორებებისა და ახსნა-განმარტებების მოთხოვნისას განსახილველი პერიოდის ათვლა ხელახლა იწყება სათანადო შესწორებათა და ახსნა-განმარტებათა წარდგენის მომენტიდან.
3. თუ კომისია უარს ამბობს ლიცენზიის გაცემაზე სალიცენზიო განაცხადსა და საჭირო დოკუმენტებზე

ბში ხარვეზების არსებობის გამო, მაშინ კომისიამ ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს ლიცენზიის მაძიებელს და განსაზღვროს დრო (არანაკლებ 30 დღისა) აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებლად. თუ ლიცენზიის მაძიებელი დადგენილ პერიოდში ვერ მოახერხებს არსებული ხარვეზების გამოსწორებას, მაშინ კომისია უარს განაცხადებს ლიცენზიის გაცემაზე.

4. აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ლიცენზია გაცივმა განუსაზღვრელი ვადით.
5. ლიცენზია გაცივმა დადგენილი ფორმით. ამასთან, მონაცემები აქტივების მმართველი კომპანიის შესახებ შეიტანება უწყებრივ და სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრებში, მათში ასევე შეიტანება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების, განახლების და გაუქმების ყველა შემთხვევა.
6. ლიცენზიის გაუცემლობაზე გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში სალიცენზიო მოსაკრებელი ლიცენზიის მაძიებელს უკან არ უბრუნდება.
7. კომისია უფლებამოსილია, წესების შესაბამისად, მოითხოვოს სალიცენზიო განაცხადში მოცემული ინფორმაციის განახლება ლიცენზიის გაცივმის შემდეგაც. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს დოკუმენტები განმცხადებლის, მისი ხელმძღვანელობის (მმართველი ორგანოს წევრების) და დამფუძნებელი აქციონერების, აგრეთვე მათთან აფილირებული პირების სამეურნეო საქმიანობის შესახებ.
8. თუ სალიცენზიო მონშობა დაიკარგა ან დაზიანდა, მისმა მფლობელმა ან წარმომადგენელმა წერილობით უნდა მიმართოს კომისიას ასლის გაცივმის თაობაზე. სალიცენზიო სერტიფიკატს დუბლიკატს ისეთივე იურიდიული ძალა გააჩნია, როგორც სალიცენზიო მონშობის დედანს.

#### მუხლი 6.

- კომისია უარს აცხადებს ლიცენზიის გაცემაზე, თუ:
- ა) განაცხადში არსებული ინფორმაცია არასრული ან მცდარია;
  - ბ) ესა თუ ის წარდგენილი დოკუმენტი არ შეესაბამება ამ წესის, საქართველოს კანონმდებლობისა და კომისიის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
  - გ) არ დაკმაყოფილებულა ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნები;
  - დ) თუ წარმოდგენილ დოკუმენტებში ლიცენზიის გაცივმისთვის არასათანადო მონაცემებია შეტანილი;
  - ე) თუ ლიცენზიის მაძიებელს ჰქონდა და გაუქმდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ან არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის სფეროს მონაწილის ლიცენზია და გაუქმებიდან არ გასულა ერთი წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ლიცენზიის გაუქმება მოხდა პირადი განაცხადების საფუძველზე;
  - ვ) თუ ლიცენზიის მაძიებელს შეჩერებული აქვს ლიცენზია და ლიცენზიის შეჩერების საფუძველი აღმოფხვრილი არ არის;
  - ზ) თუ ლიცენზიის მაძიებლის პერსონალი არ აკმაყოფილებს კომისიის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო სტანდარტებს.

# თავი III კონტროლი ლიცენზიის გამოყენებაზე

## მუხლი 7.

- ლიცენზიის გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისას კომისია უფლებამოსილია:
  - აქტივების მმართველ კომპანიას მოთხოვოს კომისიის მიერ წინასწარ დადგენილ ვადებში აქტივების მმართველი კომპანიების საქმიანობის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტის დედნების (ან მათი ასლების) და მონაცემის კომისიისთვის წარდგენა;
  - მისთვის მინიჭებული კომპეტენციის შესაბამისად კანონმდებლობით განსაზღვრული მოცულობით და ვადებში ადგილზე შეამოწმოს აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობა.
- აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია კომისიას კონტროლის განსახორციელებლად წარუდგინოს თავის საქმიანობის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტი და მონაცემი.
- თუ კონტროლის პროცესში გამოვლენილი იქნება აქტივების მმართველი კომპანიის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევები, კომისია უფლებამოსილია აქტივების მმართველ კომპანიას მისცეს შესასრულებლად სავალდებულო ინსტრუქციები და გაფრთხილება, აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეაჩეროს ან გააუქმოს მისი საქმიანობის ლიცენზია, ასევე მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
- კომისიის მიერ ინსტრუქციების და გაფრთხილების მიცემა უნდა მოხდეს წერილობით და უნდა უკავშირდებოდეს გამოვლენილი დარღვევების დადგენილ ვადებში აღმოფხვრას.
- კომისია აქტივების მმართველ კომპანიას ინსტრუქციებს აძლევს შემდეგ შემთხვევებში:
  - თუ აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ირღვევა საპენსიო დანაგროვთა აქტივების მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობით ან ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები;
  - თუ კომისიისადმი წარსადგენი ანგარიშგებები დროულად ან საერთოდ არ იქნება წარდგენილი;
  - თუ კომისიის (მისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის შემოწმებისას ადგილი ექნება ხელის შეშლის ფაქტს;
  - თუ დაირღვევა სალიცენზიო პირობა;
  - თუ აქტივების მმართველი კომპანიის მიერ წარმოდგენილ ანგარიშგებაში იქნება არასწორი ან არასრული ინფორმაცია;
  - თუ აქტივების მმართველი კომპანიის მხრიდან ადგილი ექნება სხვა ისეთი არამართლზომიერი და არაკეთილსინდისიერი მოქმედების გამოვლენას, რომელიც გამოიწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს საპენსიო სქემის მონაწილეთა ან მესამე პირთა უფლებების დარღვევა.

## მუხლი 8.

- კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის მოქმედება შემდეგ შემთხვევებში:
  - თუ აქტივების მმართველი კომპანიის მიერ დარღვეულ იქნა ლიცენზიის პირობები ან აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა;
  - თუ აქტივების მმართველი კომპანიის მიერ არ შესრულდება საპენსიო სქემის შესაბამისად დადგენილი საინვესტიციო დეკლარაციის მოთხოვნები საპენსიო დანაგროვთა აქტივების შემადგენლობის თაობაზე;
  - თუ კომისიის მიერ აქტივების მმართველი კომპანიისათვის მიცემული ინსტრუქციები დროულად არ შესრულდება;
  - თუ საპენსიო სქემის დამფუძნებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების მმართველი კომპანიის მოვალეობები არ ან არასათანადოდ შესრულდება;
  - თუ ირღვევა აქტივების მმართველ კომპანიაში არსებული აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესი ან კომისიისადმი წარსადგენი ანგარიშგების ვადები და წესი;
  - თუ კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმების დროს აქტივების მმართველი კომპანიის მხრიდან ადგილი ექნება ხელის შეშლას;
  - აქტივების მმართველი კომპანიის მიერ კომისიის კანონიერი მოთხოვნების იგნორირების შემთხვევაში;
  - აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ლიცენზიის შეჩერების შესახებ კომისიაში წარდგენილი განცხადების საფუძველზე.
- აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობაში ლიცენზიის მოქმედების შეჩერების საფუძვლის მქონე ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში კომისიამ უნდა შეადგინოს აქტი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი:
  - ლიცენზიის მოქმედების შეჩერების გამომწვევი საფუძვლები;
  - დარღვევის გამოსასწორებლად საჭირო ზომები;
  - დარღვევის გამოსასწორებელი ღონისძიებები და კომისიისადმი დარღვევის გამოსწორების შესახებ ანგარიშგების წარდგენის ვადების მითითება;
  - იმ საქმიანობის მითითება, რომლის განხორციელებაც აქტივების მმართველმა კომისიამ უნდა გააგრძელოს ლიცენზიის შეჩერების პირობებშიც, კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე, კომისიის მიერ ლიცენზიის მოქმედების განახლებამდე.
- ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებამდე, მაგრამ კომისიის მიერ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან, არა უმეტეს, ექვსი თვის ვადით.



## მუხლი 9.

1. კომისია უფლებამოსილია გააუქმოს აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ლიცენზია შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) თუ მის მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში აქტივების მმართველმა კომპანიამ შედეგებიანად არ აღმოფხვრა ის დარღვევები, რომელთა გამო მოხდა ლიცენზიის მოქმედების შეჩერება;
  - ბ) თუ აქტივების მმართველი კომპანიის მხრიდან მოხდა მათი საქმიანობის შესახებ კანონმდებლობითა და კომისიის აქტებით დადგენილი მოთხოვნების სისტემატური ან უხეში დარღვევა;
  - გ) თუ სისტემატურად ჰქონდა ადგილი კომისიის მიერ იმ დარღვევების აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადების დაუცველობას, რომელთა გამო ლიცენზიის მოქმედება შეჩერებული იყო;
  - დ) თუ სისტემატურად ჰქონდა ადგილი კომისიის მიერ დადგენილი ანგარიშგების ვადების დაუცველობას;
  - ე) თუ აქტივების მმართველმა კომპანიამ ერთი წლის განმავლობაში არ განახორციელა საპენსიო დანაგროვთა აქტივების მართვის ფუნქცია;
  - ვ) თუ მოხდა აქტივების მმართველი კომპანიის ლიკვიდაცია;
  - ზ) თუ მოხდა აქტივების მმართველი კომპანიის რეორგანიზება;
  - თ) თუ აქტივების მმართველი კომპანია გაკოტრდა;
  - ი) აქტივების მმართველი კომპანიის მხრიდან ისეთი მოქმედების სისტემატურად ან უხეში გამოვლენის შემთხვევაში, რომელმაც გამოიწვია ან შეეძლოთ გამოიწვიათ საპენსიო სქემის მონაწილის ან მესამე პირების უფლებების დარღვევა;
  - კ) თუ აქტივების მმართველის კომპანია კომისიას მიმართავს განცხადებით ლიცენზიის გამოთხოვის შესახებ.
2. კომისია გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ იღებს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.
3. ლიცენზიის გამოთხოვის შემთხვევაში აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია გადასცეს საპენსიო დანაგროვთა სქემის მართვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი იმ ვადაში დაწესით, რაც გათვალისწინებულია მას და საპენსიო სქემის (სქემების) დამფუძნებელს (დამფუძნებლებს) შორის დადებული ხელშეკრულებით და შესაბამისი კანონმდებლობით.

## მუხლი 10.

გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან გაუქმების შესახებ კომისიის მიერ დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება აქტივების მმართველ კომპანიას, სპეციალიზირებულ დეპოზიტარს, რომელთანაც აქტივების მმართველ კომპანიას ხელშეკრულება აქვს დადებული და იმ საპენსიო სქემის დამფუძნებლებს, რომელთა აქტივები სამართავად მას აქვს მიბარებული.

## მუხლი 11.

1. აქტივების მმართველი კომპანიების მიერ კანონმდებლობის დარღვევის შესახებ შეანაბრების შეტყობინების მიღებისას კომისია ვალდებულია ჩაატაროს შემოწმება და მიიღოს გადაწყვეტილება მისი შედეგების მიხედვით.
2. კომისიის მოქმედება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებები, მათ შორის, მისი წერილობითი მითითებანი და გადაწყვეტილებები ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან გაუქმების შესახებ ძალაში რჩება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

# დანართი 1

## განცხადება

### საპენსიო დანაგროვთა აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად

1. ლიცენზიის მაძიებლის მონაცემები:
  - ა) ლიცენზიის მაძიებლის სახელწოდება;
  - ბ) იურიდიული მისამართი;
  - გ) საფოსტო მისამართი;
  - დ) ტელეფონის ნომერი;
  - ე) ფაქსის ნომერი;
  - ვ) იმ პირის სახელი, გვარი და თანამდებობა, რომელთანაც უნდა მოხდეს დაკავშირება ცნობების მისაღებად;
  - ზ) ლიცენზიის მაძიებლის სტრუქტურა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
  - თ) რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანოს დასახელება, რეგისტრაციის გაცემის თარიღი და ნომერი;
  - ი) ლიცენზიის მაძიებლის დირექტორების, პასუხისმგებელი თანამდებობის პირების სახელი, გვარი, თანამდებობა და თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი;
  - კ) კომისიასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის სახელი, გვარი და თანამდებობა.
2. ცნობები ლიცენზიის მაძიებლის სამეურნეო საქმიანობაზე:
  - ა) აფილირებულ პირთა ამომწურავი ჩამონათვალი აფილირების ხასიათის მითითებით (საწესდებო კაპიტალში წილის ოდენობა, შეთანხმებების არსებობა, ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელი პირების მონაწილეობა აფილირებული პირების მმართველ ორგანოებში, აფილირებული პირების სამეურნეო საქმიანობის ხასიათი და ა.შ. );
  - ბ) ლიცენზიის მაძიებლის დამფუძნებელი/მონაწილე აფილირებული პირების ამომწურავი ჩამონათვალი აფილირების ხასიათის მითითებით;
  - გ) იმ სამეურნეო სუბიექტთა სია, რომელთა მმართველ ორგანოში ლიცენზიის მაძიებლის დირექტორები და სხვა თანამდებობის პირები შედიან;
  - დ) იმ საბანკო დაწესებულებების სია, რომელშიც ლიცენზიის მაძიებელს ანგარიში აქვს გახსნილი;
  - ე) ლიცენზიის მაძიებლის აუდიტორის სახელწოდება და მისამართი;
  - ვ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების თარიღები (აუდიტორთა დასკვნები თან უნდა იყოს დართული);
  - ზ) იმ სასამართლო საქმეების ჩამონათვალი, სადაც ლიცენზიის მაძიებელი გამოსულა (გამოდის) როგორც მოპასუხე, მოსარჩელე ან მესამე პირი;
  - თ) ლიცენზიის მაძიებლის მიმართ გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებების ჩამონათვალი სანქციების დამდები ორგანოს მითითებით;

- ი) ლიცენზიის მაძიებლის კრედიტორების ჩამონათვალი კრედიტორული დავალიანების ოდენობათა მითითებით განცხადების შემოტანის თარიღისათვის;
- კ) ლიცენზიის მაძიებელსა ან მის თანამშრომელზე ადმინისტრაციულ ორგანოში გაგზავნილი ან ლიცენზიის მაძიებლისათვის ჩაბარებული წერილობითი საჩივრების რაოდენობა და მათი საგანი უკანასკნელი წლის განმავლობაში, აგრეთვე ასეთ საჩივართა ის რაოდენობა, რაც განცხადების შემოტანის მომენტისათვის განხილული არ არის;
- ლ) იყო თუ არა ლიცენზიის მაძიებლის რომელიმე დირექტორი ან სხვა თანამდებობის პირი საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული სისხლის სამართლის საქმეზე.

ლიცენზიის მაძიებელი, სურს რა საპენსიო დანაგროვთა აქტივების მართვის საქმიანობის განხორციელება, ადასტურებს, რომ განცხადებაში შეტანილი ინფორმაცია წარმოადგენს სრულსა და უტყუარს. არასწორი ან მცდარი ინფორმაციის წარმოდგენისათვის ლიცენზიის მაძიებელს ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია ვალდებულია კისრულობს, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამ განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილება, რომელმაც შეიძლება ადგილი იქონიოს როგორც ამ განცხადების განხილვის პროცესში, ასევე მისი დაკმაყოფილების შემთხვევის შემდგომაც.

\_\_\_\_\_

ხელმოწერა

\_\_\_\_\_

თანამდებობა

\_\_\_\_\_

თარიღი და ბეჭედი

### 3.3.2 წესი

## აქტივების მმართველი კომპანიების საწესდებო კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ

#### მუხლი 1.

ეს წესი შემუშავებულია „არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს მოთხოვნებს აქტივების მმართველი კომპანიების მინიმალური საწესდებო კაპიტალისადმი

#### მუხლი 2.

ამ წესში გამოყენებულია ტერმინები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობებით.

#### მუხლი 3. მოთხოვნები საწესდებო კაპიტალისადმი

- 3.1 აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია ლიცენზიის მაძიებლის განადგებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.
- 3.2 ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში აქტივების მმართველი კომპანიის განადგებული საწესდებო კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს პირველ პუნქტში განსაზღვრულ სიდიდეს.
- 3.3 თუ აქტივების მმართველი კომპანია მართავს ერთზე მეტი იურიდიული პირის აქტივებს მაშინ მისი საწესდებო კაპიტალი უნდა გაიზარდოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ოდენობის 10 პროცენტით ყოველი დამატებითი ერთეულისათვის.
- 3.4 თუ საწესდებო კაპიტალი ნაკლებია ამ წესით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე მმართველი კომპანია ვალდებულია ამის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს კომისიას.
- 3.5 ინვესტორთა დაცვის მიზნით კომისიას შეუძლია დაანოს დაამატებითი მოთხოვნები მმართველი კომპანიის კაპიტალზე (მათ შორის კაპიტალის ადექვატურობის მოთხოვნების დაცვაზე).

### 3.3.3 აქტივების მმართველ კომპანიებთან ხელშეკრულების დადების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი შემუშავებულია „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-40-ე მუხლის 2-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელსა და აქტივების მმართველ კომპანიას შორის ხელშეკრულების (შემდგომში – „აქტივების მართვის ხელშეკრულება“) დადების წესსა და ფორმას.
- ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ საქართველოს კანონით „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ“ განსაზღვრული ტერმინებისა და განმარტებების მნიშვნელობა.
- საპენსიო სქემის დამფუძნებელსა და აქტივების მმართველ კომპანიას შორის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით საქართველოს კანონმდებლობის, კანონის და ამ წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

#### მუხლი 2. ხელშეკრულების დადების პირობები

- საპენსიო აქტივების მართვის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე პირს, რომელსაც სპეციალიზებულ დეპოზიტართან დადებული აქვს ხელშეკრულება სადეპოზიტო მომსახურებაზე.
- აქტივების მმართველი კომპანია არ უნდა იყოს საპენსიო სქემის დამფუძნებლის, მენაბრისა და ან სპეციალიზებული დეპოზიტარის აფილირებული პირი ან თვით დამფუძნებელი ან სპეციალიზებული დეპოზიტარი, გარდა სადაზღვევო კომპანიისა და ბანკისა.
- საპენსიო სქემის დამფუძნებელი ირჩევს აქტივების მმართველ კომპანიას და დებს მასთან საპენსიო დანაგროვთა აქტივების მართვის შესახებ ხელშეკრულებას, რომლის სტანდარტული ფორმაც გათვალისწინებულია ამ წესის დანართით.
- აქტივების მმართველ კომპანიას საპენსიო დანაგროვი უნდა გადაეცეს ფულადი ფორმით თითოეული საპენსიო სქემის მიხედვით ცალ-ცალკე. საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ საპენსიო აქტივების მმართველი კომპანიისთვის საპენსიო დანაგროვის (სახსრების) სამართავად გადაცემა არ იწვევს ამ სახსრებზე საკუთრების უფლების გადაცემას.

#### მუხლი 3. მხარეთა ძირითადი ვალდებულებები

- აქტივების მმართველი კომპანია უზრუნველყოფს მისთვის სამართავად გადაცემული სახსრების მართვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საპენსიო აქტივების გაზრდის მიზნით.
- საპენსიო დანაგროვთა აქტივებით განხორციელებულ გარიგებებს აქტივების მმართველი კომპანია ახორციელებს თავისი სახელით, იმის მითითებით, რომ ის წარმოადგენს ამ აქტივების მმართველს და არა მესაკუთრეს.
- საპენსიო დანაგროვთა აქტივებით განხორციელებულ გარიგებების ამსახველ დოკუმენტებში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მითითების ფორმა და შინაარსი განისაზღვრება აქტივების მართვის ხელშეკრულებით და ის უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.
- აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია აღრიცხოს საპენსიო დანაგროვთა აქტივების შემადგენელი ფასიანი ქაღალდები, განცალკევებულად თითოეული საინვესტიციო პორტფელისათვის.
- თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, საპენსიო აქტივების მართვას აქტივების მმართველი კომპანია ახორციელებს პირადად. საპენსიო აქტივების მართვისას საპენსიო აქტივების არარეზიდენტი ემიტენტის ფასიანი ქაღალდებში განთავსების მიზნით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თუ ეს გათვალისწინებულია აქტივების მართვის ხელშეკრულებით, აქტივების მმართველ კომპანიას შეუძლია გააფორმოს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირებთან. ამ შემთხვევაში აქტივების მმართველი კომპანია პასუხისმგებელია საპენსიო სქემის დამფუძნებლის წინაშე მის მიერ სხვა პირისთვის გადაცემულ აქტივებზე.
- აქტივების მმართველი კომპანია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს, როგორც საპენსიო სქემის დამფუძნებლის ასევე მის მონაწილეთა წინაშე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
- აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია საპენსიო დანაგროვთა ინვესტირება განახორციელოს მხოლოდ ლიცენზირებული სპეციალიზებული დეპოზიტარის მეშვეობით მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება შეთანხმებული უნდა იყოს საპენსიო სქემის დამფუძნებელთან და მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.
- საპენსიო სქემის დამფუძნებელი პასუხისმგებელია რომ მის მიერ შერჩეული აქტივების მმართველ კომპანიასთან ხელშეკრულების დადება არ ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

#### მუხლი 4. აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების ანაზღაურება

1. აქტივების მმართველი კომპანიის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება კანონის მე-40 მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული „აქტივების მმართველი კომპანიების მომსახურების ანაზღაურების ნორმების შესახებ“ კომისიის წესის შესაბამისად

#### მუხლი 5. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. აქტივების მართვის ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილი იქნეს:
  - ა) აქტივების მმართველი კომპანიის მიერ თავისი მოვალეობის არ ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში;
  - ბ) აქტივების მმართველი კომპანიის შესაბამისი ლიცენზიის შეჩერების ან გამოთხოვის შემთხვევაში;
  - გ) აქტივების მმართველი კომპანიის ვაკოტრების შემთხვევაში;
  - დ) ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში;
  - ე) კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. აქტივების მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში:
  - ა) სამართავად გადაცემული აქტივების შემადგენელი ფულადი სახსრები, ხელშეკრულების შეწყვეტიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში უნდა დაუბრუნდეს საპენსიო სქემის დამფუძნებლის ანგარიშზე;
  - ბ) დანარჩენი ქონება საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ არჩეული ადმინისტრატორის ზედამხედველობით უნდა გაიყიდოს უმოკლეს ვადაში და მიღებული ფულადი სახსრები უნდა ჩაირიცხოს საპენსიო სქემის დამფუძნებლის ანგარიშზე;
  - გ) საპენსიო სქემის დამფუძნებელს ახალ აქტივების მმართველ კომპანიასთან ერთად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საპენსიო აქტივების შემადგენელი ქონების ნაწილის ახალი აქტივების მმართველი კომპანიისთვის სამართავად გადაცემის შესახებ.
3. აქტივების მართვის ხელშეკრულებით გადაცემული ქონება არ შეიძლება იყოს აქტივების მმართველი კომპანიის, ან ნებისმიერ სხვა პირის, ფინანსური ვალდებულების დაფარვის საგანი.

#### მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

ეს წესი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

### 3.3.4 წესი აქტივების მმართველი კომპანიების კერსონალის საკვალიფიკაციო სტანდარტების შესახებ

#### მუხლი 1.

ეს წესი შემუშავებულია „არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აქტივების მმართველი კომპანიების კერსონალის მიმართ

#### მუხლი 2.

ამ წესში გამოყენებულია ტერმინები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობებით. გარდა ამისა წესში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები:

- ა) აქტივების მმართველი კომპანიის ხელმძღვანელი პირები:
  - პირველი ხელმძღვანელი პირი (კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, ან პირი, რომელიც ერთპიროვნულად ახორციელებს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციას) და მისი მოადგილე
  - კომპანიის მათავარი ბუღალტერი და მისი მოადგილე
  - მმართველი კომპანიის ფილიალის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე

#### მუხლი 3.

მმართველი კომპანიის ხელმძღვანელების არჩევა/დანიშნა თანამდებობაზე ხდება მათი კანდიდატურების ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიასთან (შემდგომ – კომისია) წინასწარი შეთანხმების ან არჩევიდან/დანიშნიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში შეთანხმების შემდეგ.

#### მუხლი 4.

- 4.1 ლიცენზიის მიღებისას ყველა კომპანიამ უნდა წარადგინოს კომისიაში მონაცემები ყველა ხელმძღვანელი პირის შესახებ. კომისია ინფორმირებული უნდა იყოს მათ რიგებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.
- 4.2 მმართველი კომპანიების სალიცენზიო დოკუმენტებში ასახული, აგრეთვე მათ მიერ კომისიაში შემდეგ წარდგენილი მასალების საფუძველზე კომისია ანარმობებს მმართველი კომპანიების ხელმძღვანელ მუშაკთა რეესტრს. რეესტრის წარმოებისას კომისია უფლებამოსილია გამოითხო-

ვოს საჭირო ინფორმაცია სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოების, აუდიტორების, ბანკთაშორისი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა ასოციაციებისაგან.

- 4.3 საპენსიო დანაგროვთა ინვესტირებასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება შეუძლიათ მხოლოდ პირებს, რომლსაც გააჩნიათ კომისიის მიერ გაცემული ბროკერის ლიცენზია და პროფესიული გამოცდილების მინიმუმ 2 წლის სტაჟი.
- 4.4 კანდიდატებს მმართველი კომპანიის ხელმძღვანელი პირების თანამდებობაზე უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება, კომისიის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინდივიდუალური მონაწილის ლიცენზია და ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებული პროფესიული საქმიანობის სტაჟი, ან მუშაობის გამოცდილება საბანკო და სხვა ორგანიზაციებში და დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ ყოველდღიურ საქმიანობას ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე: – მმართველი კომპანიის პირველი პირის ან მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე არანაკლებ 2 წლისა; – ზემოხსენებულ პირთა მოადგილეების ან კომპანიის ფილიალების პირველი პირის და მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე არანაკლებ ერთი წლისა.
- 4.5 მმართველი კომპანიის ხელმძღვანელ პირად უცხო ქვეყნის მოქალაქის და/ან მოქალაქეობის არ მქონე პირის, რომლებიც არ ცხოვრობენ საქართველოში არჩევის/დანიშვნისათვის აუცილებელია კომისიაში წარდგენილ იქნას დოკუმენტები რომლებიც ა) ადასტურებენ მათი მუშაობის ხუთწლიან გამოცდილებას აქტივების მართვის სფეროში საზღვარგარეთის ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე; ბ) ადასტურებენ მათი არანაკლებ ერთწლიანი მუშაობის გამოცდილებას საქართველოს ორგანიზაციებში – ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიულ მონაწილეებში, ან ბანკებსა და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ მუდმივ საქმიანობას ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარზე.

#### მუხლი 5.

კანდიდატების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას აფასებს შესაბამისი საკვალიფიკაციო კომისია გასაუბრების ან ტესტირების წესით.

### 3.3.5 წესი აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების ინტერესთა კონფლიქტების შესახებ

#### მუხლი 1.

- 1.1 ეს წესი შემუშავებულია „არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე
- 1.2 ამ წესის მიზანია იმ მოთხოვნების განსაზღვრა, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს საპენსიო სქემის დამფუძნებელთა და მონაწილეთა ინტერესთა დაცვას და ამ მიზნით საპენსიო აქტივების მართვისა და ინვესტირების პროცესში აქტივების მმართველი კომპანიებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილებასა და აღკვეთას

#### მუხლი 2.

ამ წესში გამოყენებულია ტერმინები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობებით. გარდა ამისა, ამ წესის მიზნებისათვის ინტერესთა კონფლიქტად ჩაითვლება თანამდებობის პირთა და მათთან დაკავშირებულ პირთათვის ისეთი უფლებების მინიჭება, რომელიც მათ საშუალებას აძლევს პირადად, სხვა იურიდიულ პირთა ან წარმომადგენელთა მეშვეობით მიიღონ მატერიალური ან სხვა სახის პირადი სარგებელი საპენსიო დანაგროვთა აქტივების ინვესტირებისა და მართვის პროცესში

#### მუხლი 3.

- 3.1 არც ერთ საწარმოს არ შეუძლია მოქმედებდეს ერთდროულად როგორც აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი.
- 3.2 აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი საკუთარ ფუნქციებს უნდა ახორციელებდნენ დამოუკიდებლად.
- 3.3 მმართველი კომპანიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მმართველი ორგანოს წევრს ან თანამშრომელს არ შეიძლება ეკავოს სპეციალურ დეპოზიტარის აღმასრულებელი ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრის პოზიცია ან იყოს თანამშრომელი იმ სპეციალიზებული დეპოზიტარისა, რომელიც უზრუნველყოფს ამ მმართველი კომპანიისათვის სამართვად გადაცემული საპენსიო დანაგროვთა აქტივების შენახვას.

- 3.4 სპეციალიზებულ დეპოზიტარს შეუძლია ფლობდეს ადგილების არაუმეტეს ერთი მეოთხედისა იმ მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში რომელთანაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დეპოზიტარულ მომსახურებაზე.
- 3.5 სპეციალიზებულ დეპოზიტარს შეუძლია იმოქმედოს როგორც აქტივების მმართველმა კომპანიამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველი კომპანიის უფლებამოსილებები ამოიწურა და ობიექტურ გარემოებათა გამო ვერ ხერხდება აქტივების სხვა მმართველი კომპანიისათვის გადაცემა. ასეთ შემთხვევაში საპენსიო აქტივების მართვის ფუნქცია დროებით გადადის სპეციალიზებულ დეპოზიტარზე და ეს უკანასკნელი მოქმედებს როგორც მმართველი კომპანია. მასთან, დეპოზიტარი ვალდებულია მართვის ხელში აღებიდან მაქსიმუმ სამი თვის ვადაში გადასცეს აქტივები სხვა მმართველ კომპანიას. წინააღმდეგ შემთხვევაში საპენსიო სქემის დამფუძნებელი აქტივებს ანაწილებს სქემის მონაწილეებზე დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
- 3.6 ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნების დარღვევისას კომისია უფლებამოსილია გააუქმოს ლიცენზია ან მოითხოვოს საინვესტიციო კომპანიისაგან მისი მმართველი კომპანიის შეცვლა.

#### მუხლი 4.

- 4.1 აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებული არიან იმოქმედონ მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად საპენსიო სქემის დამფუძნებლისა და მონაწილეთა ქონებრივი უფლებებს და ინტერესების გათვალისწინებით.
- 4.2 აქტივების მმართველი კომპანიის და სპეციალიზებული დეპოზიტარს და მათთან დაკავშირებული პირებს ეკრძალებათ მონაწილეობა საპენსიო სქემის ქონების, აქციონერების და მონაწილეთათვის საზიანო გარიგებებში.
- 4.3 მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელმძღვანელ პირებსა და მმართველი ორგანოს წევრებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა მათი მიზნით გამოწვეული ზიანისათვის
- 4.4 თუ დადგინდა რომ მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მენეჯერებმა და მმართველი ორგანოს წევრებმა მიიღეს სარგებელი ინვესტორთა ხარჯზე, ან ინვესტორებმა იზარალებს ზემოხსენებულ პირთა არასათანადო ქმედებების გამო ინვესტორები უფლებამოსილი არიან სასამართლოში გაასაჩივრონ მათი ქმედება მოითხოვონ ასეთი გარიგებით მიღებული უფლება-მოვალეობების გადაცემა ან მიღებული ზარალის ანაზღაურება.

#### მუხლი 5.

ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა შეიძლება გახდეს აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარებისათვის ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების საფუძველი.

### 3.3.6 სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზირების წესი

#### თავი I ბოგადი დებულებანი

##### მუხლი 1.

- ეს წესი შემუშავებულია საქართველოს კანონის „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს საპენსიო დანაგროვთა აქტივების სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზიის გაცემის პირობებსა და წესს, მათი გამოყენების კონტროლის მექანიზმებს და, აგრეთვე, ლიცენზიების გაცემაზე უარის თქმის, შეჩერებისა და გაუქმების საფუძვლებსა და პროცედურებს.
- სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზირება და ლიცენზიის გამოყენებაზე კონტროლი ხორციელდება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ.
- სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ითვლება უკანონო ქმედებად.
- ამ წესში გამოიყენება ტერმინები და განმარტებები საქართველოს კანონით „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ განსაზღვრული მნიშვნელობით.

#### თავი II ლიცენზიის გაცემა პირობები და წესები

##### მუხლი 2.

- კომისიის მიერ ლიცენზია გაცივება იმ პირის (შემდგომში – ლიცენზიის მაძიებელი) განცხადების საფუძველზე, რომელსაც სურს საპენსიო დანაგროვთა აქტივების სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელება.
- სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს კომისიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, წესებს საკუთარი კაპიტალის ოდენობის შესახებ, საპენსიო აქტივების შენახვის ვალდებულების შესახებ და აქტივების მმართველი კომპანიებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების

- ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.
- ლიცენზიის მაძიებელი უნდა იყოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
- სპეციალიზებული დეპოზიტარი არ შეიძლება იყოს საპენსიო სქემის დამფუძნებლის, მენაბრის და/ან იმ აქტივების მმართველი კომპანიის აფილირებული პირი (გარდა ბანკისა), რომელთანაც მას დადებული აქვს ხელშეკრულება.
- ლიცენზიის განმცხადებლის აღმასრულებელ ორგანოში არ უნდა მონაწილეობდეს ისეთი პირი, რომელსაც სამეურნეო პირის აღმასრულებელი ორგანოს წევრობის უფლება ჩამორთმეული აქვს სასამართლოს მიერ ან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ნასამართლევი იყო ქონებრივი, საფინანსო ან თანამდებობის პირის დანაშაულის გამო ან უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისათვის.
- ლიცენზიის მაძიებელის წესდება უნდა ითვალისწინებდეს, რომ საპენსიო დანაგროვთა აქტივების სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობა მისი ერთადერთი საქმიანობაა.
- ლიცენზიის მაძიებელს უნდა გააჩნდეს დეპოზიტარული აღრიცხვისა და კონტროლის წესები, რომლებიც განსაზღვრავენ დეპოზიტარული ოპერაციების აღრიცხვისა და წარმოების წესებსა და ტექნოლოგიურ პროცედურებს, აგრეთვე, საპენსიო დანაგროვთა აქტივების შემადგენელი ქონებით განხორციელებული გარიგებების კონტროლს.
- ლიცენზიის მაძიებელს უნდა გააჩნდეს კლიენტთა (დეპონენტთა) წინაშე ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფი პროგრამულ-ტექნიკური აღჭურვილობა.
- სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - განცხადება ლიცენზიის მიღებაზე.
  - სარეგისტრაციო (სადამფუძნებლო) დოკუმენტთა ასლები მათი ყველა ცვლილებებითა და დამატებებით ლიცენზიის მიღებაზე დოკუმენტების წარდგენის თარიღისათვის;
  - დეპოზიტარული აღრიცხვისა და კონტროლის წესების ასლები;
  - ლიცენზიის მაძიებლის მიერ კლიენტთათვის (დეპონენტთათვის) ხელმოსაწერად შესათავაზებელი დეპოზიტარული ხელშეკრულების ნიმუში;
  - ლიცენზიის მაძიებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, აგრეთვე მისი დანიშვნისა ან არჩევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ლიცენზიის მაძიებლის მიერ განცხადების შემოტანის თარიღისათვის საკუთარი კაპიტალის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, რასაც თან უნდა ერთვოდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა;
  - დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებული ლიცენზიის მაძიებლის ბუღალტრული ბალანსი უკანასკნელი წლისა და უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღისათვის;



- თ) ლიცენზიის მაძიებლის აფილირებული პირების და მათი ხელმძღვანელების შესახებ მონაცემების შემცველი დოკუმენტი;
- ი) ლიცენზიის მაძიებლის მიერ სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის ასლი.

### მუხლი 3.

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევები:

- ა) თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მათში შეტანილი მონაცემები არ შესაბამეობა საქართველოს კანონმდებლობას, წინამდებარე წესსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, მათ შორის, კომისიის მიერ მიღებული სპეციალიზებული დეპოზიტარის სანესდებო კაპიტალიზაციის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის წესითა და სხვა წესებით დადგენილ მოთხოვნებს;
- ბ) თუ წარმოდგენილ დოკუმენტებში ლიცენზიის გაცემისთვის არასათანადო, არაზუსტი ან არასრული მონაცემებია შეტანილი;
- გ) თუ ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიას იმ საქმიანობაზე ითხოვს, რომელზედაც უკვე გაუქმდა ლიცენზია და გაუქმებიდან არ გასულა ერთი წელი;
- დ) თუ ლიცენზიის მაძიებელს შეჩერებული აქვს ლიცენზია და ლიცენზიის შეჩერების საფუძველი აღმოფხვრილი არ არის.

### მუხლი 4.

1. ლიცენზიის გაცემაზე ან არ გაცემაზე კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ლიცენზიის მაძიებლის მიერ განაცხადისა და ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
2. კომისია უფლებამოსილია მიზგების მითითებით ლიცენზიის მაძიებელს მოთხოვოს წარმოდგენილ დოკუმენტებში სამეურნეო საქმიანობის, ხელმძღვანელებისა და აფილირებული პირების წარმოდგენილ დოკუმენტებში სამეურნეო საქმიანობისა და აფილირებული პირების თაობაზე სხვა ისეთი დამატებითი ინფორმაციის შეტანა, რაც გათვალისწინებული არ არის ამ წესის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით. ამ შემთხვევაში ლიცენზიის გაცემასა და გაუქმლობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა გამოითვლება კომისიაში დამატებითი დოკუმენტების წარდგენის დღიდან.
3. სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზია გაცივმა განუსაზღვრელი ვადით.
4. მონაცემები სპეციალიზებული დეპოზიტარის შესახებ შეიტანება უწყებრივი და სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრებში, მათში შეითანება ასევე ლიცენზიის მოქმედების შეჩერების, განახლების და გაუქმების ყველა შემთხვევა.
5. ლიცენზიის გაუქმლობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სალიცენზიო მოსაკრებელი ლიცენზიის მაძიებელს უკან არ უბრუნდება.

### მუხლი 5.

სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მისმა მფლობელმა ან წარმომადგენელმა წერილობით უნდა მიმართოს კომისიას ასლის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო მოწმობის ასლს ისეთივე იურიდიული ძალა გააჩნია, როგორც სალიცენზიო მოწმობის დედანს.

## თავი III კონტროლი ლიცენზიის გამოყენებაზე

### მუხლი 6.

ლიცენზიის გამოყენებაზე კონტროლი განხორციელებს კომისია უფლებამოსილია:

- ა) სპეციალიზებულ დეპოზიტარს მოთხოვოს კომისიის მიერ წინასწარ დადგენილ ვადებში მისი შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტისა (ან მათი ასლების) და მონაცემების წარდგენა;
- ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ადგილზე შეამოწმოს სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობა.

### მუხლი 7.

1. სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია კომისიას კონტროლის განსახორციელებლად წარუდგინოს თავის საქმიანობის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტი და მონაცემი.
2. თუ კონტროლის პროცესში გამოვლენილი იქნება სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევები, კომისია უფლებამოსილია სპეციალიზებულ დეპოზიტარს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო ინსტრუქციები, აგრეთვე, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეაჩეროს ან გააუქმოს მისი საქმიანობის ლიცენზია.
3. კომისიის მიერ ინსტრუქციების მიცემა ხდება წერილობით და გამოვლენილი დარღვევების დადგენილ ვადებში აღმოფხვრას უკავშირდება.
4. კომისია სპეციალიზებულ დეპოზიტარს ინსტრუქციებს აძლევს შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ირღვევა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები;
  - ბ) თუ კომისიისადმი წარსადგენი ანგარიშები დროულად ან საერთოდ არ იქნება წარდგენილი;
  - გ) თუ კომისიის (მისი უფლებამოსილი პირების) მიერ სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის შემოწმებისას ადგილი ექნება ხელის შეშლის ფაქტს;
  - დ) თუ დაირღვევა სალიცენზიო პირობა;
  - ე) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ წარმოდგენილ ანგარიშგებაში დარღვევები გამოვლინდება;
  - ვ) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მხრიდან ადგილი ექნება სხვა ისეთი არამართლმომიერი და არაკეთილსინდისიერი მოქმედების გამოვლენას,

რომელიც გამოიწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს საპენსიო სქემის მონაწილეთა ან მესამე პირთა უფლებების დარღვევა.

## მუხლი 8.

1. კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზიის მოქმედება შემდეგ შემთხვევაში:
  - ა) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ დარღვეული იქნა ლიცენზიის პირობები ან სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა;
  - ბ) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ დაცული არ იქნება დეპოზიტარული აღრიცხვის და კონტროლის წესები;
  - გ) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობაზე კონტროლის პროცედურები დაირღვევა და მათ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საპენსიო სქემის მენაბრეების (მონაწილეების) უფლებების შელახვის გამოწვევა შეუძლიათ;
  - დ) თუ კომისიის მიერ სპეციალური დეპოზიტარისათვის მიცემული მითითებები დროულად არ შესრულდება;
  - ე) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ დეპოზიტარული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები არ ან არასათანადოდ სრულდება;
  - ვ) თუ კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმების დროს სპეციალიზებული დეპოზიტარის მხრიდან ადგილი ექნება ხელის შეშლის ფაქტს;
  - ზ) სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ლიცენზიის შეჩერების შესახებ კომისიაში წარდგენილი განცხადების საფუძველზე.
2. სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობაში ლიცენზიის მოქმედების შეჩერების საფუძვლის მქონე ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში კომისიამ უნდა შეადგინოს აქტი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი:
  - ა) ლიცენზიის მოქმედების შეჩერების გამომწვევი საფუძვლები;
  - ბ) დარღვევის გამოსასწორებლად საჭირო ზომები;
  - გ) დარღვევის გამოსასწორებელი და კომისიისადმი დარღვევის გამოსწორების შესახებ ანგარიშგების წარდგენის ვადების მითითება;
  - დ) იმ საქმიანობაზე მითითება, რომლის განხორციელებაც დაუშვებელია კომისიის მიერ ლიცენზიის მოქმედების განახლებამდე.
3. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ხდება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებამდე, მაგრამ კომისიის მიერ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან, არა უმეტეს, სამი თვისა.

## მუხლი 9.

1. კომისია უფლებამოსილია გააუქმოს სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზია შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) თუ მის მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა არ აღმოფხვრა

- ბ) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მხრიდან მოხდა მისი საქმიანობის შესახებ კანონმდებლობითა და კომისიის აქტებით დადგენილი მოთხოვნების სისტემატური (სამი და მეტი) ან უხეში დარღვევა;
  - გ) თუ სისტემატურად ჰქონდა ადგილი კომისიის მიერ იმ დარღვევების არმოფხვრისათვის დადგენილი ვადების დაუცველობას, რომელთა გამო ლიცენზიის მოქმედება შეჩერებული იყო;
  - დ) თუ სისტემატურად ჰქონდა ადგილი კომისიის მიერ დადგენილი ანგარიშგების ვადების დაუცველობას;
  - ე) თუ სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა განახორციელა (წამოიწყო) სხვა სახის პროფესიული საქმიანობა;
  - ვ) თუ სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა ერთი წლის განმავლობაში არ განახორციელა ლიცენზიით ნებადართული საქმიანობა;
  - ზ) თუ მოხდა სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიკვიდაცია;
  - თ) თუ მოხდა სპეციალიზებული დეპოზიტარის რეორგანიზაცია;
  - ი) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარი გაკოტრდა;
  - კ) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარის მხრიდან ადგილი აქვს ისეთი მოქმედების სისტემატურად ან უხეში გამოვლენის შემთხვევებს, რომელმაც საპენსიო სქემის მონაწილის ან მესამე პირების უფლებების დარღვევა გამოიწვიოს ან შეეძლოთ ეს გამოეწვიათ;
  - ლ) თუ სპეციალიზებული დეპოზიტარი განაცხადებს ლიცენზიის გაუქმების შესახებ.
2. კომისია გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებ იღებს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.
  3. ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია დეპოზიტარულ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი გადასცეს იმ აქტივების მმართველ კომპანიას, რომელთანაც მას დადებული აქვს ხელშეკრულება, ან ამ უკანასკნელთან შეთანხმებით მას და აქტივების მმართველ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

## მუხლი 10.

1. გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან გაუქმების შესახებ კომისიის მიერ 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობით ეცნობება სპეციალიზებულ დეპოზიტარს, იმ აქტივების მმართველ კომპანიას, რომელთანაც სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელშეკრულება აქვს დადებული, და იმ საპენსიო სქემის დამფუძნებელს, რომელსაც მომსახურებას უწევს აღნიშნული აქტივების მმართველი კომპანია.
2. კომისიის მოქმედება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებები, მათ შორის, მისი წერილობითი მითითებანი და გადაწყვეტილებები ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან გაუქმების შესახებ ძალაში რჩება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

### 3.3.7 წესი

## სპეციალიზებული დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ

#### მუხლი 1.

ეს წესი შემუშავებულია „არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მეორე პუნქტის „თ“ და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე და განსაზღვრავს მოთხოვნებს სპეციალიზებული დეპოზიტარების მინიმალური საწესდებო კაპიტალისადმი.

#### მუხლი 2.

ამ წესში გამოყენებულია ტერმინები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობებით.

#### მუხლი 3. მოთხოვნები საწესდებო კაპიტალისადმი

- 3.1 სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია, რომ ლიცენზიის მაძიებლის განადგებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.
- 3.2 ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, სპეციალიზებული დეპოზიტარის განადგებული საწესდებო კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს პირველ პუნქტში განსაზღვრულ სიდიდეს.
- 3.3 თუ საწესდებო კაპიტალი ნაკლებია ამ წესით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე, მმართველი კომპანია ვალდებულია ამის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს კომისიას
- 3.4 ინვესტორთა დაცვის მიზნით, კომისიას შეუძლია დააწესოს დამატებითი მოთხოვნები სპეციალიზებული დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალზე.

### 3.3.8 სპეციალიზირებულ დეპოზიტართან ხელშეკრულების დადების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი შემუშავებულია „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს საპენსიო სქემის დამფუძნებელსა და სპეციალიზირებულ დეპოზიტარს შორის ხელშეკრულების (შემდგომში ხელშეკრულება) დადების წესს და პირობებს.
- საპენსიო სქემის დამფუძნებელსა და სპეციალიზირებულ დეპოზიტარს შორის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს წერილობით საქართველოს კანონმდებლობის, კანონის და ამ წესის მოთხოვნათა შესაბამისად.

#### მუხლი 2. ხელშეკრულების დადების პირობები

- აქტივების მმართველი კომპანიის (შემდგომში – კლიენტი) დეპოზიტარული მომსახურება შეუძლია განახორციელოს იურიდიულმა პირმა, რომელსაც აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ლიცენზია სპეციალიზირებული დეპოზიტარის საქმიანობაზე (შემდგომში – სპეციალიზირებული დეპოზიტარი).

#### მუხლი 3. სპეციალიზირებული დეპოზიტარის მოვალეობა

- სპეციალიზირებული დეპოზიტარი ვალდებულია:
  - ა) აღრიცხოს თითოეული საპენსიო სქემის დანაგროვი ცალ-ცალკე;
  - ბ) განაცალკევოს საპენსიო სქემის მიხედვით და ხელშეკრულების საფუძველზე წარმოებული დანაგროვები ერთმანეთისაგან;
  - გ) განაცალკევოს საპენსიო დანაგროვი საკუთარი და სამართავად მისთვის მინდობილი ქონებისაგან;
  - დ) აქტივების მმართველი კომპანიის სახელზე გახსნას ცალკე საბანკო ანგარიში აქტივების მართვასა და ინვესტირებასთან დაკავშირებული ანგარიშების წარმოებისათვის.
  - ე) აღრიცხოს და გააკონტროლოს საპენსიო დანაგროვთა აქტივებით შექმნილი სხვა ქონება და საპენსიო აქტივების ფულადი სახსრები;
  - ვ) აკონტროლოს საპენსიო სქემის დამფუძნებლისა და აქტივების მმართველი კომპანიების მიერ „საპენსიო აქტივების ინვესტირების წესით“ და

„საპენსიო დანაგროვთა აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის მიმართ მოთხოვნების შესახებ“ წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

- ბ) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტებში მითითებული წესების დარღვევის შესახებ შეატყობინოს კლიენტს, საპენსიო სქემის დამფუძნებელსა და მარეგულირებელ ორგანოს 3 სამუშაო დღის ვადაში.
- თ) შეასრულოს კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით, სპეციალურ დეპოზიტართა ლიცენზირების წესითა და ამ წესით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

#### მუხლი 4. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

- დეპოზიტარსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:
  - ა) ფასიანი ქაღალდების შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურების დანვრილებით ჩამონათვალს;
  - ბ) კლიენტის სხვა სახსრების შენახვასა და აღრიცხვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებისა და მომსახურების დანვრილებით ჩამონათვალს;
  - გ) ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და დეპოზიტარის მომსახურების ანაზღაურების პირობებს და ოდენობას;
  - დ) დეპოზიტარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში დეპოზიტარის პასუხისმგებლობის პირობებს;
  - ე) დეპოზიტარის მიერ კონტროლის განხორციელების ვალდებულების მოთხოვნას;
  - ვ) დეპოზიტარის მიერ ნომინალური მფლობელის ფუნქციების შესრულების ვალდებულებას;
  - ზ) დეპოზიტარის მიერ საპენსიო დანაგროვის აქტივების გადაცემის პირობებს აქტივების მმართველი კომპანიის დავალებით;
  - თ) საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია გადასცეს დეპოზიტარს ყველა იმ აქტივის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, რომელშიც განთავსებულია საპენსიო აქტივები და საპენსიო აქტივებზე დადებული ყველა გარიგების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
  - ი) დეპოზიტარის ვალდებულებას სათანადოდ შეინახოს და აღრიცხოს მისთვის გადაცემული ინფორმაცია;
  - კ) პირობას, რომლის შესაბამისად დეპოზიტარს ენიჭება უფლება მიიღოს გადაწყვეტილება მის ნომინალურ მფლობელობაში მყოფი ქონების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების არ შესრულების თაობაზე, რომელშიც ინვესტირებულია საპენსიო დანაგროვის აქტივები, თუ ასეთი გადაცემის განხორციელება არღვევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
  - ლ) დეპოზიტარის მიერ კლიენტისთვის წარსადგენი საპენსიო დანაგროვის აქტივებით განხორციელებული ოპერაციებისა და საპენსიო დანაგროვის ფონდის ანგარიშზე აღრიცხული აქტივების შემად-

გენლობისა და ოდენობის შესახებ ანგარიშების ფორმას და ვადებს;

- ლ) საპენსიო სქემის დამფუძნებლისათვის, კლიენტი-სათვისა და კომისიისათვის აქტივების დაკარგვის ან დაზიანების ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების პირობებს, თუ ასეთი ინფორმაცია ცნობილი გახდა დეპოზიტარისთვის თავისი ვალდებულებების შესრულებიდან გამომდინარე;
- მ) დასტურს იმისა, რომ დეპოზიტარისთვის კლიენტის მიერ ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფასიანი ქაღალდები და სხვა აქტივები წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და არ გადადის დეპოზიტარის საკუთრებაში
- ნ) სხვა დეპოზიტართან დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში დეპოზიტარის მიერ სხვა დეპოზიტარისთვის ყველა საჭირო დოკუმენტის და მის სახელზე აღრიცხული ქონების გადაცემის პირობების და ვალდებულების მოთხოვნები.
- 2. ხელშეკრულება შეიძლება დამატებით შეიცავდეს:
  - ა) დეპოზიტარის უფლებას თავისი ვალდებულებების შესრულების მიზნით გააფორმოს ხელშეკრულებები სხვა პირებთან;
  - ბ) დეპოზიტარის პროფესიონალური პასუხისმგებლობის დაზღვევის მოთხოვნას;
  - გ) სხვა პირობებს, რომელთა შესრულება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

1. ეს წესი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

### 3.3.9 სპეციალიზებული დეპოზიტარის საპენსიო აქტივის შენახვის ვალდებულებების განსაზღვრის წესი

#### მუხლი 1.

ეს წესი შემუშავებულია „არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს სპეციალიზებული დეპოზიტარის საპენსიო აქტივის შენახვის ვალდებულებებს.

#### მუხლი 2.

ამ წესში გამოყენებულია ტერმინები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობით

#### მუხლი 3.

სპეციალიზებული დეპოზიტარი დეპოზიტარული ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია:

- განახორციელოს დოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების მიღება და შენახვა;
- აწარმოოს საპენსიო აქტივების დანაგროვთა შემადგენელი არადოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა;
- მიიღოს და შეინახოს საანგარიშსწორებო დოკუმენტების ასლები ფულადი სახსრების გაცემასა და გადარიცხვებზე იმ საბანკო ანგარიშებიდან, რომელზეც ინახება საპენსიო დანაგროვთა შემადგენელი ფულადი სახსრები;
- მიიღოს, აღრიცხოს და შეინახოს განკარგულებები ფასიანი ქაღალდებისა და იმ დოკუმენტების გადაცემაზე რომელთა შესაბამისადაც ხდება საპენსიო აქტივების დანაგროვთა შემადგენელი ქონების შექმნა და გადაცემა და საპენსიო დანაგროვთა აქტივების შემადგენელ ქონებასთან დაკავშირებული სხვა პირველადი დოკუმენტების ასლები.

#### მუხლი 4.

სპეციალიზებული დეპოზიტარი დეპოზიტარულ მომსახურებაზე ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულია განახორციელოს ფულადი ანგარიშსწორება, ფასიანი ქაღალდების შენახვა და გადაცემა აქტივების მმართველი კომპანიის მიერ საპენსიო დანაგროვთა ინვესტირების თაობაზე დასრულებული გარიგებებთან დაკავშირებით და აწარმოოს აღრიცხვა საპენსიო დანაგროვთა ანაზღაურებული მოცულობისა.

#### მუხლი 5.

დეპოზიტარულ მომსახურებაზე ხელშეკრულების შესაბამისად სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია აკონტროლოს აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შეზღუდვების დაცვას მიაწოდოს ინფორმაცია სქემის დამფუძნებელსა და ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას გამოვლენილი დარღვევის ფაქტებზე.

#### მუხლი 6.

სპეციალიზებული დეპოზიტარი მოვალეა წარუდგინოს დამოუკიდებელ აუდიტორს აქტივების შემადგენელი ქონების აღრიცხვის მონაცემები და მის განკარგულებაში არსებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე მასთან არსებული პირველადი დოკუმენტების ასლები, და მის ხელთ არსებული სხვა ინფორმაცია, რაც აუცილებელია აქტივების მართვასთან დაკავშირებული აღრიცხვისა და საანგარიშგებო მასალების შესამოწმებლად.

#### მუხლი 7.

სპეციალიზებული დეპოზიტარის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის დასაზუსტებლად საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია ადგენს სპეციალიზებული დეპოზიტარის მოქმედების სტანდარტებს.

### 3.3.10 არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის, აქტივების მმართველი კომპანიის და სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების საკითხებს.
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელმა:
  - დაარღვია კანონმდებლობის, ინსტრუქციის, დებულების, წესის, ეროვნული ბანკის მოთხოვნები და/ან წერილობითი მითითებები რაც გათვალისწინებულია ამ წესის მე-2 მუხლით;
  - დაარღვია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ აქტივების მმართველმა კომპანიამ და/ან სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა:
  - დაარღვია კანონმდებლობის, ინსტრუქციის, დებულების, წესის, ეროვნული ბანკის მოთხოვნები და/ან წერილობითი მითითებები, რაც გათვალისწინებულია ამ წესის მე-4 მუხლით;
  - დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადები ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია;
- არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლისათვის, აქტივების მმართველი კომპანიისათვის და სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც მითითებული იქნება მისი აღსრულების წესი.

- არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლისათვის, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი მზღვეველისათვის გაცნობისთანავე.
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ წესის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის აღსრულება უზრუნველყოს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული გასაჩივრების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ.
- ამ წესის შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული ჯარიმის იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ხდება კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
- ამ წესის შესაბამისად გადახდილი ფულადი ჯარიმის თანხა მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

#### მუხლი 2. არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლისათვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა

- კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობის მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენისას, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ჯარიმდება 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.
- ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმით ანგარიშგების წარმოდგენლობის და/ან დადგენილ ვადაში წარმოდგენლობის შემთხვევაში საპენსიო სქემის დამფუძნებელი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. ამ პუნქტის მიზნებისათვის დარღვევის თითოეულ ფაქტად მოიაზრება მოცემული წესით გათვალისწინებული ანგარიშგების ფორმების ერთობლიობის დადგენილი ფორმით და/ან დადგენილ ვადაში წარმოდგენლობა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული წლიური ანგარიშისა და აუდიტორის დასკვნის წარმოდგენლობის ან დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში საპენსიო სქემის დამფუძნებელი დაჯარიმდება 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.
- ეროვნულ ბანკში არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, საპენსიო სქემის დამფუძნებელი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- ეროვნულ ბანკში წარმოდგენილ ანგარიშგების ფორმაში არსებული ინფორმაციის ცვლილების და/ან ეროვნული ბანკის მითითებით დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
- საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ არასახ-

ელმნიფო საპენსიო დაზღვევის რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივების არასახელმნიფო საპენსიო რეზერვებთან ზღვრული თანაფარდობის მოთხოვნების დარღვევისას საპენსიო დაზღვევის სქემის დამფუძნებელი ჯარიმდება დარღვევის თითოეული ასეთი ფაქტისათვის 5 000 (ხუთი ათასი) ლარით ან ლიკვიდური აქტივების დანაკლისის ოდენობის 2%-ით, იმის გათვალისწინებით, რომელი ოდენობაც უდიდესია.

7. საპენსიო სქემების აღრიცხვა-ანგარიშების წესებისა და მენაბრეთა რეესტრის წარმოების მოთხოვნების დარღვევისათვის, არასახელმნიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
8. საპენსიო სქემაში ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნების დარღვევისათვის არასახელმნიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ჯარიმდება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;

### მუხლი 3. არასახელმნიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლისათვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებითა და წერილობითი მითითებებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებითა და წერილობითი მითითებებით დადგენილი შემდეგი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის არასახელმნიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:

- ა) დადგენილ ვადებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;
- ბ) ამოღებულია
- გ) შემონშემების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესით წარუდგენლობის ან/და დადგენილი ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეულ ფაქტზე:
  - 30 დღემდე დაგვიანებისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით;
  - 30 და მეტი დღით დაგვიანებისათვის 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
- დ) შემონშემების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარუდგენლობის გამოვლენის შემთხვევაში 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;

- ე) რის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე; იდენტიფიკაციის გარეშე ნებისმიერი პირისათვის მომსახურების განევის გამოვლენის შემთხვევაში 200 (ორასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- ვ) მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში 500 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- ზ) შემონშემების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების დადგენილი წესით წარუდგენლობის ან/და დადგენილი ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეულ ფაქტზე:
  - 30 დღემდე დაგვიანებისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით;
  - 30 და მეტი დღით დაგვიანებისათვის 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
- თ) შემონშემების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენა, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- ი) შემონშემების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციაზე მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- კ) შემონშემების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარუდგენლობის გამოვლენის შემთხვევაში 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
- ლ) არასახელმნიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი ან მისი მმართველი ორგანოს წევრი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების მიღებას და/ან აღნიშნული შიდა კონტროლის პროცედურებისა და წესების დაცვას დაჯარიმდება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

### მუხლი 4. აქტივების მმართველი კომპანიისათვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა

1. კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენისას, აქტივების მმართველი კომპანია ჯარიმდება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.
2. წლიური ანგარიშის გამოქვეყნების და ეროვნულ ბანკში წარმოდგენის მოთხოვნის დარღვევის შემ-



თხვევაში აქტივების მმართველი კომპანია ჯარიმდება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

- ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის წარმოდგენლობა ან მითითებული ვადების დარღვევით წარმოდგენა ჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით.

### მუხლი 5. სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის დასაკისრებელი ფულადი ჯარიმის ოდენობა

- კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენისას, აქტივების მმართველი კომპანია ჯარიმდება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.
- საპენსიო დანაგროვების აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენისას სპეციალიზებული დეპოზიტარი ჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის წარმოდგენლობა ან მითითებული ვადების დარღვევით წარმოდგენა ჯარიმდება 500 (ხუთასი) ლარით.

### მუხლი 6. ფულადი ჯარიმისაგან გათავისუფლება

- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაათავისუფლოს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი ფულადი ჯარიმის დაკისრებისა და გადახდისაგან, თუ ფულადი ჯარიმის გადახდის შედეგად შესაძლებელია:
  - არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის ფინანსური მდგომარეობა ისე გაუარესდეს, რომ საფრთხე შეექმნას მათ მომავალ ფუნქციონირებასა და გადახდისუნარიანობას;
  - არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი გახდეს გადახდისუნარო.
- ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან და დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდისაგან არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

### 3.3.11 საბროკერო კომპანიის ლიცენზირების, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი ეს წესი განსაზღვრავს:

- ა) მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი (შემდგომში – „ლიცენზიის მაძიებელი“), სალიცენზიო განაცხადის ფორმასა და წარდგენის პროცედურას, ასევე ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაციის განახლების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკისათვის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) შეტყობინების პროცედურას.
- ბ) მოთხოვნებს საბროკერო კომპანიის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის მიმართ;
- გ) საბროკერო კომპანიების მიერ ბუღალტრული ჩანაწერების წარმოების წესს, ანგარიშგების სახეებსა და მათი ეროვნულ ბანკში წარმოდგენის პერიოდულობასა და პროცედურებს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 1. წესის მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - ა) დეკლარაცია – ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სპეციალური ფორმა, რომელიც ასახავს ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს (ორგანოების) წევრის შესაბამისობას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – კანონი) და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან;
  - ბ) აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება, რომელიც აუდიტირებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
  - გ) ფიქსირებული ვალიანი პრივილეგირებული კუმულატიური სააქციო კაპიტალი – კომპანიის მიერ გამოშვებული და განთავსებული იმ აქციების ნომინალურ ღირებულებათა ჯამი, რომლებიც (აქციები) ძალაშია მხოლოდ დროის ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგაც ხდება ამ აქციების სანაცვლოდ მათი მფლობელებისათვის განსაზღვრული თანხის გადახდა. ამ აქციების მფლობელებს აქვთ გარკვეული უპირატესობა ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან შედარებით დივიდენდების გადახდისა და კომპანიის ლიკვიდაციის დროს, აგრეთვე მათზე ხდება წინასწარ განსაზღვრული დივიდენდების აკუმულირება, დივიდენდების გაუნაწილებლობის შემთხვევაში;

- დ) დაინტერესებული პირი – იურიდიული პირი, რომელთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.
- 2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

#### მუხლი 3. საბროკერო კომპანიის სალიცენზიო მოთხოვნები

- 1. ლიცენზიის მაძიებელმა საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის (შემდგომში „ლიცენზია“) მიღების მიზნით ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელსაც თან უნდა დაურთოს განცხადების ფორმა (დანართი N1), და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია და დოკუმენტები, კერძოდ:
  - ა) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი, „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება.
  - ბ) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს არცერთ წევრს ჩამორთმეული არ აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება; მისი მმართველი ორგანოს არცერთი წევრი ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის, ასევე მათ ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ ჰქონდათ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევისთვის (დეკლარაციის ფორმა – დანართი N2); დეკლარაციის ფორმა ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრის მიერ უნდა იქნას შევსებული სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი არ განიხილავს სალიცენზიო განაცხადს;
  - გ) ინფორმაცია საბროკერო კომპანიის იმ ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს (10% და მეტს). ინფორმაცია (დოკუმენტაცია) ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ გულისხმობს:
    - გ.ა) სახელს, გვარს;
    - გ.ბ) საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებს (მოქალაქის პირადი ნომერი, დაბადების თარიღი), ამ დოკუმენტის ასლს;
    - გ.გ) სხვა ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – სათანადო წესით ლეგალიზებულ ან აპოსტილით

დამონმებულ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება პირის იდენტიფიცირება;

- დ) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - ე) ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ახალი). თუ, ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არა უგვიანეს ნახევარი წლისა, წარადგენს მიმდინარე ბალანსს (არააუდიტებულს);
  - ვ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ეროვნულ ბანკს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 დღის განმავლობაში.
  3. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს კანონის 23-ე მუხლით განსაზღვრული საქმიანობა 231 მუხლის ზოგადი მოთხოვნების დაცვით.

#### მუხლი 4. ლიცენზიის გაცემა და ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. საბროკერო საქმიანობის ლიცენზია გაცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და ამ წესის შესაბამისად.
2. ლიცენზია არ გაცემა, თუ:
  - ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;
  - ბ) ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;
  - გ) ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.
3. ეროვნული ბანკი ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას წარდგენილი სალიცენზიო დოკუმენტაციის შესწავლიდან 30 დღის ვადაში.
4. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი ლიცენზიის მაძიებელს.
5. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

#### მუხლი 5. ლიცენზიის გაუქმება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავითა და კანონის 31-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გააუქმოს საბროკერო საქმიანობის ლიცენზია.
2. იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მფლობელი არ ასრულებს საბროკერო საქმიანობის სალიცენზიო პირობებს ან ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ეროვნული ბანკი აფრთხილებს ლიცენზიის მფლობელს და უწესებს ვადას არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებები.
3. თუ ლიცენზიის მფლობელი ვერ შეძლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გააუქმოს ლიცენზია. ლიცენზიის გაუქმების საფუძველს ასევე წარმოადგენს:
  - ა) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა, რომელსაც იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი წესით წარუდგენს ეროვნულ ბანკს.
  - ბ) ლიცენზიის მფლობელის ლიკვიდაცია.
4. ლიცენზიის გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას იღებს 30 დღის ვადაში.
5. ეროვნული ბანკი ვალდებულია ლიცენზიის მფლობელს დაუყოვნებლივ აცნობოს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
6. ეროვნულ ბანკს სალიცენზიო მონმობა უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

#### მუხლი 6. ფინანსური მოთხოვნები

1. საბროკერო კომპანიის საკუთარი კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ:
  - ა) 2010 წელს – 125 000 ლარს;
  - ბ) 2011 წელს – 155 500 ლარს;
  - გ) 2012 წელს – 194 400 ლარს;
  - დ) 2013 წელს – 262 400 ლარს;
  - ე) 2014 წელს – 362 100 ლარს;
  - ვ) 2015 წელს – 500 000 ლარს.
2. საბროკერო კომპანიის აუდიტირებული საკუთარი კაპიტალის ოდენობის გამოთვლა უნდა მოხდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უნდა წარმოადგენდეს შემდეგი კომპონენტების ჯამს:
  - ა) ჩვეულებრივი და პრივილეგირებული სააქციო კაპიტალის ჯამი (ფიქსირებულვადიანი პრივილეგირებული კუმულატიური სააქციო კაპიტალის გამოკლებით); მგზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოებების შემთხვევაში – საწესდებო კაპიტალი;

- ბ) საემისიო კაპიტალი – სააქციო საზოგადოებების შემთხვევაში;
  - გ) რეზერვები (გადაფასების რეზერვების გამოკლებით);
  - დ) გაუნაწილებელი მოგება ან აკუმულირებული ზარალი (უკანასკნელ შემთხვევაში იგი გამოაკლდება).;
  - ე) მიმდინარე პერიოდის მოგება ან ზარალი (უკანასკნელ შემთხვევაში იგი გამოაკლდება).
3. საბროკერო კომპანია ვალდებულია თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე დაიცვას ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა.

### მუხლი 7. ბუღალტრული ჩანაწერების წარმოება და მათი შენახვა

1. საბროკერო კომპანიამ ბუღალტრული ჩანაწერები უნდა აწარმოოს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
2. საბროკერო კომპანიის მიერ წარმოებული ყველა საბუღალტრო ჩანაწერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული ბანკისთვის.
3. ყველა ხელშეკრულება საბროკერო კომპანიასა და მის კლიენტებს შორის ფორმდება წერილობით.
4. ბუღალტრული დავთრებისა და ჩანაწერების შენახვა უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი ელექტრონული ან/და მატერიალიზებული ფორმით 6 წლის განმავლობაში, თუ ეროვნული ბანკის მხრიდან არ არის მოთხოვნა უფრო მეტი ვადით შენახვაზე.
5. თუ კომპანია რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ჩანაწერის შესანახად და წარსადგენად მხოლოდ ელექტრონული საშუალებების გამოყენებას ან ასეთი შენახვის უკვე არსებული საშუალებების შეცვლას გადაწყვეტს, მაშინ მან ამის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს ეროვნულ ბანკს 30 დღით ადრე;
6. ელექტრონულ საშუალებაზე შენახული ჩანაწერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
  - ა) შექმნილი იყოს სტანდარტული ანბანური კოდირების სისტემაში;
  - ბ) შესაძლებელი იყოს მისი წარდგენა „სტანდარტულ ფორმატში“ (Word; Excel; PDF).
7. საბროკერო კომპანიამ, თავისი აქტივების კლიენტების ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრებისაგან გამიჯვნის მიზნით, უნდა აწარმოოს განცალკევებული აღრიცხვა და იქონიოს განცალკევებული ანგარიშები.

### მუხლი 8. კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა და მისი ვალდებულება ბუღალტრულ ჩანაწერებთან დაკავშირებით

1. თუ საბროკერო კომპანიას გაუუქმდა ლიცენზია ან/და კომპანია წყვეტს საბროკერო საქმიანობას,

მაშინ მან საქმიანობის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 5 დღისა ეროვნულ ბანკს უნდა მიაწოდოს ყველა ჩანაწერი, რომელთათვისაც ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ვადა არ ამოწურულა.

2. თუ, კომპანია წყვეტს საბროკერო საქმიანობას რეორგანიზაციის გამო, ის კომპანია, რომელიც აგრძელებს არსებობას, პასუხისმგებელი უნდა იყოს რეორგანიზებული კომპანიის ჩანაწერების შენახვაზე.

### მუხლი 9. ანგარიშგებები

1. საბროკერო კომპანია ეროვნულ ბანკში წარადგინს:
  - ა) წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
  - ბ) კვარტალურ ანგარიშგებას;
  - გ) მიმდინარე ანგარიშგებას (შეტყობინებას).

### მუხლი 10. წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

1. საბროკერო კომპანიამ ყოველწლიურად, კალენდარული წლის საფუძველზე, უნდა მოამზადოს და ეროვნულ ბანკში წარადგინოს წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა;
2. საბროკერო კომპანიის მიერ მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებსა (უწყისებს) და შენიშვნებს;
3. საბროკერო კომპანიამ წლიური ფინანსური ანგარიშგება ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. წლიური ანგარიშგების ელექტრონული ნაწილი წარმოდგენილ უნდა იქნას Excel-ის და PDF-ის ფორმატში.
4. პასუხისმგებლობა წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენაზე ეკისრებათ კომპანიის მმართველი ორგანოს წევრებს.
5. წლიური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს:
  - ა) ბალანსს;
  - ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
  - გ) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
  - დ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
  - ე) ახსნა- განმარტებით შენიშვნებს;
  - ვ) ინფორმაციას კლიენტების რაოდენობაზე;
  - ზ) ინფორმაციას კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე;
6. საბროკერო კომპანიის მიერ წარმოდგენილ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას ეროვნული ბანკი აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე (PDF ფორმატში). ეროვნულმა ბანკმა არ უნდა გამოაქვეყნოს ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერ კონფიდენციალურად იქნება ცნობილი.

## მუხლი 11. კვარტალური ანგარიშგება

1. საბროკერო კომპანია კვარტალში ერთხელ ეროვნულ ბანკს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშგებას კვარტლის დასრულებიდან მომდევნო 45 კალენდარული დღის განმავლობაში.
2. კვარტალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილ უნდა იქნას მატერიალიზებული და ასევე ელექტრონული ფორმით. კვარტალური ფინანსური ანგარიშგების ელექტრონული ნაწილი წარმოდგენილ უნდა იქნას Excel-ისა და PDF-ის ფორმატის მეშვეობით;
3. საბროკერო კომპანიის მიერ მომზადებული კვარტალური ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებსა (უწყისებს) და შენიშვნებს.
4. კვარტალური ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს:
  - ა) ბალანსს;
  - ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
  - გ) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
  - დ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
  - ე) ახსნა - განმარტებით შენიშვნებს;
  - ვ) ინფორმაციას კლიენტების რაოდენობაზე;
  - ზ) ინფორმაციას კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე.
5. საბროკერო კომპანიის მიერ წარმოდგენილ კვარტალურ ფინანსურ ანგარიშგებას ეროვნული ბანკი აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე (PDF ფორმატში). ეროვნულმა ბანკმა არ უნდა გამოაქვეყნოს ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერ კონფიდენციალურად იქნება ცნობილი.

## მუხლი 12. ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი მიმდინარე ანგარიშგება (შეტყობინება)

1. საბროკერო კომპანიამ ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მიმდინარე ანგარიშგება (შეტყობინება) ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 7 დღისა, თუ:
  - ა) მისი მნიშვნელოვანი წილის მფლობელი (10% და მეტი) ან თანამშრომელი გახდება სხვა საბროკერო კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ან თანამშრომელი;
  - ბ) მისი რომელიმე თანამშრომელი გახდება საფონდო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ან ცენტრალური დეპოზიტარის თანამშრომელი;
  - გ) მისი საკუთარი კაპიტალის ოდენობა ჩამოვიდა ამ წესით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნაზე დაბლა. აღნიშნულ შემთხვევაში საბროკერო კომპანია ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებული და/ან მისაღები ღონისძიებების გეგმა—გრაფიკი. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კორექტირებები შეიტანოს წარმოდგენილ ღონისძიებათა გეგმა—გრაფიკში და აღნიშნული

ინფორმაცია გონივრული ვადით ჩათვალოს კონფიდენციალურად. თუ საბროკერო კომპანია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარუდგენს ეროვნულ ბანკს ამგვარ ინფორმაციას, აღნიშნული ვითარება წარმოადგენს საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების საფუძველს.

2. საბროკერო კომპანიამ ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მიმდინარე ანგარიშგება (შეტყობინება) ქვემოთ ჩამოთვლილი გადანაცვებების მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ აღნიშნული გადანაცვებების აღსრულებამდე არაუგვიანეს 10 დღისა:
  - ა) თუ გადანაცვებს ფილიალის გახსნას ან/და დახურვას;
  - ბ) თუ გადანაცვებს საფირმო სახელწოდების შეცვლას;
  - გ) თუ, საბროკერო კომპანია აპირებს რეორგანიზაციას. აღნიშნულ შემთხვევაში კომპანიამ ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რას ეხება რეორგანიზაცია და რა არის მისი განხორციელების მიზეზი. რეორგანიზაციის განსახორციელებლად კომპანიამ უნდა მიიღოს ეროვნული ბანკისგან თანხმობა. ეროვნულმა ბანკმა შეიძლება არ მისცეს თანხმობა საბროკერო კომპანიას მის რეორგანიზაციაზე, თუ აღნიშნული რეორგანიზაცია საფრთხეს შეუქმნის საბროკერო კომპანიისათვის მინდობილ კლიენტის ფულად სახსრებს ან/და კლიენტის ფასიანი ქაღალდებს.
  - დ) თუ შეიცვლება საბროკერო კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.
3. ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშგებას (შეტყობინება) ხელს აწერს საბროკერო კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

## მუხლი 13. დავთრები და ჩანაწერები, რომელთა წარმოება მოეთხოვება კომპანიას

1. საბროკერო კომპანიამ უნდა აწარმოოს და დროულად განაახლოს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული დავთრები და ჩანაწერები, კერძოდ:
  - ა) ოპერაციათა აღრიცხვის შურნალი, სადაც აღირიცხება:
    - ა.ა) თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდების ყველა ყიდვა-გაყიდვა;
    - ა.ბ) თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდის ყველა მიღება და მიწოდება;
    - ა.გ) ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული საკომისიო, პროცენტები და სხვა თანხები;
    - ა.დ) ფასიანი ქაღალდებით განხორციელებულ ან განსახორციელებელ ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ყველა მიღება და გაცემა;
    - ა.ე) ფასიანი ქაღალდებით განხორციელებულ ან განსახორციელებელ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა სხვა დებეტი და კრედიტი;
2. კლიენტის ანგარიშების დავთარი, რომელშიც კომპანიამ ყოველდღიურად თითოეული კლიენტის ანგარიშზე უნდა ასახოს ყველა შესრულებული გარიგება. კლიენტების ანგარიშებზე ასახული ოპ-

- ერაციები უნდა მოიცავდეს:
- ა) ფასიანი ქაღალდების ყიდვასა და გაყიდვას;
  - ბ) ფასიანი ქაღალდების მიღებასა და მიწოდებას;
  - გ) დივიდენდებსა და საპროცენტო შემოსავლებს;
  - დ) ყველა სხვა დებეტსა და კრედიტს.
3. ყველა შეკვეთის ან შეკვეთის მემორანდუმის ფაილი;
  4. ყველა გარიგების დასტურის ასლების ფაილი;
  5. ამ მუხლში განსაზღვრული დავთრები და ჟურნალები შესაძლებელია არსებობდეს, როგორც მატერიალიზებული ისე ელექტრონული ფორმით.

3. საბროკერო კომპანია (ბროკერი) ვალდებულია კლიენტისათვის რჩევის მიცემამდე საფუძვლიანად დარწმუნდეს, რომ ეს რჩევა კლიენტისათვის სასარგებლოა.
4. საბროკერო კომპანიამ დადგენილი წესით კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საბროკერო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ინვესტიციების ვარგისიანობის, შეთავაზებულ ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში საბროკერო კომპანიის/თანამშრომლის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ.

#### მუხლი 14. მოთხოვნები შიდა კონტროლის მიმართ

1. საბროკერო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საქმის წარმოების შიდა კონტროლის წესების შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი თამშრომლებისა და საბროკერო კომპანიის კლიენტებისათვის.
2. საბროკერო კომპანიის შიდა კონტროლის წესები უნდა უზრუნველყოფდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
  - ა) კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის დაცვას გამჟღავნებისაგან;
  - ბ) ბაზარზე არსებული ეთიკის მოთხოვნების დაცვას;
3. საბროკერო კომპანიაში ასევე უნდა არსებობდეს შიდა რეპორტირების (ანგარიშგების) სისტემა. აღნიშნული სისტემა კომპანიის სიდიდის შესაბამისი უნდა იყოს.
4. კომპანიას უნდა ჰქონდეს გაუთვალისწინებელი, ზიანის მიმყენებელი ან ფორსმაჟორული შემთხვევის დადგომისას ზიანის გამოსწორებისა და დაკარგული ინფორმაციის აღდგენის გეგმა, რომელიც მოიცავს:
  - ა) საბროკერო კომპანიის მონაცემებსა და სისტემებში არსებული ინფორმაციის მოპოვებაზე კონტროლის წესებს;
  - ბ) იმ ინფორმაციის, მონაცემების, ჩანაწერების და სხვა დოკუმენტების არასანქცირებული მოპოვების, მათი შეცვლის, განადგურების, გაყალბების, გახსნისა და გავრცელების, აგრეთვე მათი შემთხვევით დაკარგვის ან დაზიანებისაგან დაცვისათვის მიღებულ ზომებს, რომლებიც ეხება კლიენტებსა და მათ ანგარიშებს;
  - გ) ინფორმაციის ელექტრონულ მატარებლებზე მონაცემთა დაცვისა და აღდგენის ზომებს.

#### მუხლი 15. საბროკერო კომპანიის (ბროკერის) მოვალეობანი კლიენტებთან ურთიერთობისას

1. საბროკერო კომპანია (ბროკერი) კლიენტებთან ურთიერთობისას ვალდებულია დაიცვას კანონის 33-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.
2. საბროკერო კომპანიამ (ბროკერმა) კლიენტთან ურთიერთობისას უნდა გამოიკვლიოს რისკის დონე, რომლის აღებაც კლიენტს თავის თავზე სურს და შესაბამისად შესთავაზოს მისი რისკის პროფილიდან გამომდინარე ფასიანი ქაღალდები.



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

საბროკერო საქმიანობის  
სალიცენზიო განცხადების ფორმა

Brokerage Company License  
Application Form

დამოწმებულია სგბ-ის მიერ  
No. [ ]  
Approved by NBG  
No. [ ]

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ]

**1. ადმინისტრაციული ორგანო / ADMINISTRATIVE BODY**

ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება /Name of Administrative body [ ]

**2. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ / INFORMATION ABOUT APPLICANT**

კომპანიის სახელწოდება/Company's Name [ ]

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address [ ]

ტელეფონი/Phone Number [ ]

ფაქსი/Fax Number [ ]

ელ. ფოსტა/E-mail [ ]

ვებ-გვერდი/Web Site [ ]

**3. მოთხოვნა/Demand**

**4. ინფორმაცია განმცხადებლის საკუთარი კაპიტალის შესახებ / INFORMATION ABOUT APPLICANT'S CHARTERED CAPITAL**

საკუთარი კაპიტალის ოდენობა/Amount of the Chartered Capital [ ]

**5. ინფორმაცია განმცხადებლის მმართველი ორგანოს წევრების შესახებ / INFORMATION ABOUT THE MEMBERS OF THE APPLICANT'S MANAGING BODY**

სახელი, გვარი/First Name, Last Name [ ]

დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ]

პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document: პასპორტი / Passport  პირადობის მოწმობა / ID card  სხვა / Other

პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number [ ] სერია / Series [ ]

გაცემის თარიღი/Date of Issuance (DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ] მოქმედების ვადა / Expiration Date [ ]/[ ]/[ ]

გაცემის ადგილი/Place of Issuance [ ]

პოზიცია კომპანიაში/Position in the Company [ ]

**6. ინფორმაცია განმცხადებლის ბენეფიციარ მესაკუთრეების ვინაობის შესახებ, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ მნიშვნელოვან წილს (10%-ს ან მეტს) / INFORMATION ABOUT APPLICANT'S BENEFICIARY OWNERS, WHO DIRECTLY OR INDIRECTLY OWN A SUBSTANTIAL SHARE(10% or MORE)**

სახელი, გვარი/First Name, Last Name [ ]

დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ]

პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document: პასპორტი / Passport  პირადობის მოწმობა / ID card  სხვა / Other

პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number [ ] სერია / Series [ ]

გაცემის თარიღი/Date of Issuance(DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ] მოქმედების ვადა / Expiration Date [ ]/[ ]/[ ]

გაცემის ადგილი/Place of Issuance [ ]

პოზიცია კომპანიაში/Position in the Company [ ]

**7. დანართების ჩამონათვალი / LIST OF APPENDICES**

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები/Application form must be attached with the following annexes enclosed:

თანდართულია/Enclosed

ხელმოუწვდომელია/Not available

ა. ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ან მიმდინარე არაუდიტირებული ბალანსი (არაუგვიანეს ნახევარი წლისა კომპანიის დაფუძნებიდან)

a. Last year's (or last 6 months) Audited FS or current non-audited BS (not later than 6 months after the foundation of the company)

ბ. სხვა თანდართული დოკუმენტაცია/b. Other enclosed documentation [ ]

**ხელმოწერა / SIGNATURE**

[ ]

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)

[ ]/[ ]/[ ]



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

დამოწმებულია სეგ-ის მიერ  
No.   
Approved by NBG  
No.

კომპანიის მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლების, ბოლო 5 წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისა და ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური დანაშაულისათვის ნასამართლეობის შესახებ  
დეკლარაციის ფორმა

Declaration Form

Concerning the right to be a member of the company's managing body, being subject to administrative sanctions for gross violations of the legislation on securities during past 5 years and being convicted for economic crime during past 10 years

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)  /  /

**1. ინფორმაცია მმართველ ორგანოში მონაწილე პირის შესახებ / INFORMATION ABOUT COMPANY'S MANAGING BODY MEMBER**

სახელი, გვარი/First Name, Last Name

დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY)  /  /

პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document:  პასპორტი / Passport  პირადობის მოწმობა / ID card  სხვა / Other

პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number  სერია / Series

გაცემის თარიღი/Date of Issuance (DD/MM/YYYY)  /  /  მოქმედების ვადა / Expiration Date  /  /

გაცემის ადგილი/Place of Issuance

დეკლარანტის პოზიცია კომპანიაში/Declarant's position in the Company

კომპანიის სახელწოდება/Company's Name

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address

ტელეფონი/Phone Number

ელ.ფოსტა/E-mail

ვებ-გვერდი/Web Site

**2. დეკლარანტის მდგომარეობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებასთან მიმართებაში / INFORMATION ON APPLICANT CONCERNING ADMINISTRATIVE SANCTIONS FOR GROSS VIOLATIONS OF THE LEGISLATION ON SECURITIES**

დაკისრებული აქვს/Had been sanctioned  დაკისრების თარიღი  /  /  Date of Sanction (DD/MM/YYYY)

დაკისრებული არ აქვს/Had not been sanctioned

**3. დეკლარანტის მდგომარეობა ეკონომიკური დანაშაულისათვის ნასამართლეობასთან მიმართებაში / INFORMATION ON APPLICANT CONCERNING CONVICTION FOR ECONOMIC CRIME**

ნასამართლეობა/Had been convicted  დაკისრების თარიღი  /  /  Date of Conviction (DD/MM/YYYY)

არ არის ნასამართლეობა/Had not been convicted

**4. დეკლარანტის მდგომარეობა კომპანიის მმართველ ორგანოში მისი მონაწილეობის უფლებასთან მიმართებაში / INFORMATION ABOUT APPLICANT CONCERNING HIS RIGHT TO BE A MEMBER OF THE COMPANY'S MANAGING BODY**

ჩამორთმეული აქვს/Has been deprived

ჩამორთმეული არ აქვს/Has not been deprived

**ხელმოწერა / SIGNATURE**

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)  /  /



### 3.3.12 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს:

- ა) მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის მაძიებელი (შემდგომში-ლიცენზიის მაძიებელი) სალიცენზიო განცხადების ფორმასა და წარდგენის პროცედურას, ასევე ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაციის განახლების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) შეტყობინების პროცედურას;
- ბ) საკუთარი კაპიტალის მინიმალურ ოდენობას;
- გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ანგარიშგების წარმოების წესსა და მათი ეროვნულ ბანკში წარმოდგენის პერიოდულობასა და პროცედურებს;
- დ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტისა და ემიტენტთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის წესსა და პირობებს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 1. ამ წესის მიზნებისთვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - ა) დეკლარაცია – ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სპეციალური ფორმა, რომელიც ასახავს ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს (ორგანოების) წევრის შესაბამისობას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში „კანონი“) დადგენილ მოთხოვნებთან;
  - ბ) აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება, რომელიც აუდიტირებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
  - გ) დაინტერესებული პირი – იურიდიული პირი, რომელთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო

გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

- 2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

#### მუხლი 3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო მოთხოვნები

- 1. ლიცენზიის მაძიებელმა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის (შემდგომში „ლიცენზია“) მიღების მიზნით ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით (დანართი N1), რომელსაც თან უნდა დაურთოს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტები (თანდართული დეკლარაციის ფორმა ლიცენზიის მაძიებლის მიერ უნდა იქნას შევსებული სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი არ განიხილავს სალიცენზიო განცხადებას), აგრეთვე სხვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, კერძოდ:
  - ა) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიცენზიის მაძიებელი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულია, როგორც სააქციო საზოგადოება ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
  - ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს არცერთ წევრს ჩამორთმეული არ აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება. მისი მმართველი ორგანოს არცერთი წევრი ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის, ასევე მათ ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ ჰქონდათ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევისთვის (დეკლარაციის ფორმა – დანართი N2); დეკლარაციის ფორმა ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრის მიერ უნდა იქნას შევსებული სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი არ განიხილავს სალიცენზიო განცხადებას;
  - გ) ინფორმაცია იმ ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს (10% და მეტს). ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ გულისხმობს:
    - გ.ა) სახელს, გვარს;
    - გ.ბ) საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებს (მოქალაქის პირადი ნომერი, დაბადების თარიღი), ამ დოკუმენტის ასლს;
    - გ.გ) სხვა ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – სათანადო წესით ლეგალიზებულ ან აპოსტილით დამოწმებულ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება პირის იდენტიფიცირება;
    - დ) ამონაწერები მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
    - ე) ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის აუდიტებული

ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ახალი). თუ, ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არაუგვიანეს ნახევარი წლისა, წარადგენს მიმდინარე ბალანსს (არაუდიტებულს);

- 3) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ეროვნულ ბანკს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.
3. ლიცენზიის მაძიებლის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს უნდა ჰყავდეს რეესტრის წარმომებაზე პასუხისმგებელი პირი;
  - ბ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმომებაში უნდა ჰქონდეთ შესაბამისი გამოცდილება;
  - გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა თანამშრომლებს უნდა განუმარტოს საქმიანობის განხორციელებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებული ვალდებულებები და მიიღოს მათგან ამ ვალდებულებების დაცვის წერილობითი დასტური.
4. ლიცენზიის მაძიებლის ტექნიკური საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ჰქონდეს რეესტრის წარმოების პროგრამა, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიცენზიის მიღების შემთხვევაში, ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია საქმიანობის განხორციელების დროს გამოიყენოს ის პროგრამა, რომელიც მან ეროვნულ ბანკში წარადგინა ლიცენზიის მიღებამდე.
5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის მაძიებელმა უნდა შეიმუშაოს და სალიცენზიო განცხადებას თან დაურთოს წესდება და რეესტრის წარმოების შინაგანაწესი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად ემიტენტებისა და რეგისტრირებული პირებისათვის. აღნიშნული შინაგანაწესი უნდა შეიცავდეს:
  - ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ოპერაციების ჩამონათვალსა და განხორციელების ვადებს;
  - ბ) დოკუმენტების ჩამონათვალსა და ფორმებს, რის საფუძველზე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ახორციელებს ფასიანი ქაღალდების გადაცემის რეგისტრაციასა და სხვა ოპერაციებს რეესტრში;
  - გ) შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის, დამუშავებისა და შენახვის წესებს;
  - დ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მომსახურების საფასურს;
  - ე) იმ ინფორმაციის, მონაცემების, ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების არასანქცირებული მოპოვების, მათი შეცვლის, განადგურების, გაყალბების,

- ბის, გახსნისა და გავრცელების, აგრეთვე მათი დაკარგვისაგან ან დაზიანებისაგან დაცვისათვის მიღებულ ზომებს, რომლებიც ეხება რეგისტრირებულ პირებსა და მათ ანგარიშებს;
- 3) ინფორმაციის ელექტრონულ მატარებლებზე მონაცემთა დაცვის ზომებს;
- 8) გაუთვალისწინებელ შემთხვევებში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობისა და დაკარგული ინფორმაციის აღდგენის გეგმას.
6. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა სალიცენზიო განცხადებას უნდა დაურთოს ინფორმაცია მისი პარტნიორების (აქციონერების), ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების შესახებ, კერძოდ:
  - ა) პარტნიორების (აქციონერების) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა; საქმიანობა ბოლო 5 წლის განმავლობაში და ინფორმაცია ანგარიშვალდებულ სანარმოებში საჯარო ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ;
  - ბ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პარტნიორების (აქციონერთა) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა;
  - გ) ხელმძღვანელ პირთა სახელები, მისამართები და პროფესიული გამოცდილების აღწერა;
  - დ) იმ თანამშრომელთა სახელები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონის, შესაბამისი წესებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობაზე.
7. პირებს, რომლებსაც არ აქვთ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია, უფლება არა აქვთ, საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ სიტყვები „რეგისტრატორი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი“ ან სხვა სიტყვები, თუ მათი კომბინაცია შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

#### მუხლი 4. ფინანსური მოთხოვნები

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის აუდიტირებული საკუთარი კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 250 000 ლარისა;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კაპიტალის ოდენობის გაანგარიშება უნდა მოხდეს საანგარიშგებო წლისათვის ძალაში მყოფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ინტერპრეტაციების (ფაისკ) მიხედვით.
3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე დაიცვას ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა.

#### მუხლის 5. ლიცენზიის გაცემა და გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ლიცენზიების გაცემა ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი წესით.

2. ლიცენზია არ გაიცემა, თუ:
  - ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;
  - ბ) ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს.
  - გ) ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.
3. ეროვნული ბანკი ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას წარდგენილი სალიცენზიო დოკუმენტაციის შესწავლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
4. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი ლიცენზიის მაძიებელს.
5. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## მუხლი 6. ლიცენზიის გაუქმება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავითა და კანონის 31-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გააუქმოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია.
2. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელი არ ასრულებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობებს, ან ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ეროვნული ბანკი აფრთხილებს ლიცენზიის მფლობელს და უწესებს ვადას არანაკლებ 30 დღისა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებები.
3. თუ ლიცენზიის მფლობელი ვერ შეძლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გააუქმოს ლიცენზია. ლიცენზიის გაუქმების საფუძველს ასევე წარმოადგენს:
  - ა) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა, რომელსაც იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი წესით წარუდგენს ეროვნულ ბანკს;
  - ბ) ლიცენზიის მფლობელის ლიკვიდაცია.
4. ლიცენზიის გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას იღებს 30 დღის ვადაში;
5. ეროვნული ბანკი ვალდებულია ლიცენზიის მფ-

ლობელს დაუყოვნებლივ აცნობოს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

6. ეროვნულ ბანკს სალიცენზიო მოწმობა უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

## მუხლი 7. მოთხოვნები საქმიანობის მიმართ

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ლიცენზიის მიღებიდან ერთი კალენდარული წლის გასვლის შემდეგ – უნდა აწარმოებდეს არანაკლებ 25 სანარმოს ფასიანი ქაღალდების რეესტრს;
2. ლიცენზიის მიღებიდან ერთი კალენდარული წლის გასვლის შემდეგ 15 კალენდარული დღის ვადაში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშგება საქმიანობასთან დაკავშირებით. ანგარიშგებაში უნდა შედიოდეს:
  - ა) ემიტენტების სრული სია, რომელთა რეესტრსაც აწარმოებს რეგისტრატორი;
  - ბ) თითოეული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელ პირთა რაოდენობა;
  - გ) ინფორმაცია კონსოლიდაციის შესახებ;
3. იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს საქმიანობისადმი, მან ეროვნულ ბანკს მაინც უნდა წარუდგინოს ანგარიში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფორმით; ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი უწესებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ვადას, არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელმა უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი.

## მუხლი 8. ანგარიშგებები

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ეროვნულ ბანკში წარადგენს:

- ა) წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- ბ) წლიურ ანგარიშგებას ემიტენტების შესახებ;
- გ) ყოველთვიურ ანგარიშგებას ემიტენტების შესახებ;
- დ) მიმდინარე ანგარიშგებას (შეტყობინებას).

## მუხლი 9. წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ყოველწლიურად უნდა მოამზადოს და ეროვნულ ბანკში წარადგინოს შესაბამისი კალენდარული წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა;
2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

- სტანდარტების გათვალისწინებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებსა (უწყისებს) და შენიშვნებს;
3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ელექტრონული ნაწილი წარმოდგენილი უნდა იქნას Excel -ის და PDF-ის ფორმატში;
  4. პასუხისმგებლობა წლიური ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენაზე ეკისრებათ კომპანიის მმართველი ორგანოს წევრებს;
  5. წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს:
    - ა) ბალანსს;
    - ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
    - გ) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
    - დ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
    - ე) ახსნა-განმარტებით შენიშვნებს;
  6. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ PDF ფორმატში წარმოდგენილ წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ეროვნული ბანკი აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. ეროვნულმა ბანკმა არ უნდა გამოაქვეყნოს ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერ კონფიდენციალურად იქნება ცნობილი.

### მუხლი 10. წლიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ

1. ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს წლიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ, რომელთა რეესტრსაც ის აწარმოებს (დანართი N3);
2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა წლიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. ანგარიშგების ელექტრონული ნაწილი წარმოდგენილ უნდა იქნეს Excel-ის ფორმატში.

### მუხლი 11. ყოველთვიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ

1. ყოველი თვის დამთავრებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში რეგისტრატორმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს თავისი საქმიანობის ამსახველი ანგარიშგება, რომელშიც მოცემული უნდა იყოს:
  - ა) ემიტენტების სია, ფასიანი ქაღალდების მფლობელების რაოდენობის მითითებით (დანართი N4);
  - ბ) კონსოლიდაციის შედეგები (ახალი კონსოლიდირებული რეესტრის არსებობის შემთხვევაში), (დანართი N5);
  - გ) სარეგისტრაციო ოპერაციის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევები და მიზეზები (დანართი N6);
  - დ) ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ (დანართი N7);

- ე) ანგარიშგაღებული საწარმოს ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გადაცემები (დანართი N8);
- ვ) ანგარიშგებზე განხორციელებული ბლოკირების შემთხვევები (დანართი N9).
2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ყოველთვიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. ანგარიშგების ელექტრონული ნაწილი წარმოდგენილ უნდა იქნეს Excel-ის ფორმატში.

### მუხლი 12. მიმდინარე ანგარიშგება (შეტყობინება)

- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მიმდინარე ანგარიშგება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების თაობაზე, ფაქტის დადგომიდან 7 კალენდარული დღის ვადაში:
- ა) ემიტენტთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მიზეზებისა და თარიღის მითითებით, აგრეთვე იმ პირის მითითებით, ვისაც გადაეცა რეესტრი;
  - ბ) რეგისტრატორის სალიცენზიო დოკუმენტებში ცვლილებების შესახებ;
  - გ) რეგისტრატორის წარმომადგენლობის ან ფილიალის შექმნის (გაუქმების) და მისი სტატუსის შესახებ.

### მუხლი 13. ხელმოწერები

რეგისტრატორის ანგარიშებს ხელს უნდა აწერდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სათანადოდ უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ანგარიშებში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე.

### მუხლი 14. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ვალდებულებები მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის დროს

მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია, ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრი 5 დღის ვადაში გადასცეს იმ ემიტენტს, რომლის ფასიანი ქაღალდების რეესტრსაც ის აწარმოებდა ან ამ უკანასკნელის მოთხოვნით, მის ახალ რეგისტრატორს.

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	ვასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო განცხადების ფორმა  Registrar License Application Form	დამოწმებულია სგბ-ის მიერ No. <input type="text"/> Approved by NBG No. <input type="text"/>
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>		

**1. ადმინისტრაციული ორგანო / ADMINISTRATIVE BODY**

ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება /Name of Administrative body

**2. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ / INFORMATION ABOUT APPLICANT**

კომპანიის სახელწოდება/Company's Name

რეგისტრირებული ოურიდიული მისამართი/Registered Legal Address

ტელეფონი/Phone Number

ფაქსი/Fax Number

ელ.ფოსტა/E-mail

ვებ-გვერდი/Web Site

**3. მოთხოვნა/Demand**

**4. ინფორმაცია განმცხადებლის საკუთარი კაპიტალის შესახებ / INFORMATION ABOUT APPLICANT'S CHARTERED CAPITAL**

საკუთარი კაპიტალის ოდენობა/Amount of the Chartered Capital

**5. ინფორმაცია განმცხადებლის მმართველი ორგანოს წევრების შესახებ / INFORMATION ABOUT THE MEMBERS OF THE APPLICANT'S MANAGING BODY**

სახელი, გვარი/First Name, Last Name

დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY)  /  /

პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document:  პასპორტი / Passport  პირადობის მოწმობა / ID card  სხვა / Other

პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number  სერია / Series

გაცემის თარიღი/Date of Issuance (DD/MM/YYYY)  /  /  მოქმედების ვადა / Expiration Date  /  /

გაცემის ადგილი/Place of Issuance

პოზიცია კომპანიაში/Position in the Company

**6. ინფორმაცია განმცხადებლის ბენეფიციარი მესაკუთრეების ვინაობის შესახებ, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ მნიშვნელოვან წილს (10%-ს ან მეტს) / INFORMATION ABOUT APPLICANT'S BENEFICIARY OWNERS, WHO DIRECTLY OR INDIRECTLY OWN A SUBSTANTIAL SHARE(10% or MORE)**

სახელი, გვარი/First Name, Last Name

დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY)  /  /

პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document:  პასპორტი / Passport  პირადობის მოწმობა / ID card  სხვა / Other

პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number  სერია / Series

გაცემის თარიღი/Date of Issuance(DD/MM/YYYY)  /  /  მოქმედების ვადა / Expiration Date  /  /

გაცემის ადგილი/Place of Issuance

პოზიცია კომპანიაში/Position in the Company


**7. დანართების ჩამონათვალი / LIST OF APPENDIXES**

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები/Application form must be attached with the following annexes enclosed:

	თანდართულია/Enclosed	ხელმოუწვდომელია/Not available
ა. ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ან მიმდინარე არაუდიტირებული ბალანსი (არაუგვიანეს ნახევარი წლისა კომპანიის დაფუძნებიდან)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
a. Last year's (or last 6 months) Audited FS or current non-audited BS (not later than 6 months after the foundation of the company)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ. სხვა თანდართული დოკუმენტაცია/b. Other enclosed documentation	<input style="width: 90%;" type="text"/>	

**ხელმოწერა / SIGNATURE**

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)  /  /

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	კომპანიის მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლების, ბოლო 5 წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისა და ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური დანაშაულისათვის ნასამართლეობის შესახებ <b>დეკლარაციის ფორმა</b> Declaration Form Concerning the right to be a member of the company's managing body, being subject to administrative sanctions for gross violations of the legislation on securities during past 5 years and	დამოწმებულია სტ-ის მიერ No. <input type="text"/> Approved by NBG No. <input type="text"/>
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>		

**1. ინფორმაცია მმართველ ორგანოში მონაწილე პირის შესახებ / INFORMATION ABOUT COMPANY'S MANAGING BODY MEMBER**

სახელი, გვარი/First Name, Last Name	<input style="width: 100%;" type="text"/>
დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY)	<input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>
პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:	
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document:	პასპორტი / Passport <input type="checkbox"/> პირადობის მოწმობა / ID card <input type="checkbox"/> სხვა / Other <input type="checkbox"/>
პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number	<input style="width: 60%;" type="text"/> სერია / Series <input style="width: 20%;" type="text"/>
გაცემის თარიღი/Date of Issuance (DD/MM/YYYY)	<input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> მოქმედების ვადა / Expiration Date <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>
გაცემის ადგილი/Place of Issuance	<input style="width: 100%;" type="text"/>
დეკლარანტის პოზიცია კომპანიაში/Declarant's position in the Company	<input style="width: 100%;" type="text"/>
კომპანიის სახელწოდება/Company's Name	<input style="width: 100%;" type="text"/>
რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address	<input style="width: 100%;" type="text"/>
ტელეფონი/Phone Number	<input style="width: 100%;" type="text"/>
ელ.ფოსტა/E-mail	<input style="width: 100%;" type="text"/>
ვებ-გვერდი/Web Site	<input style="width: 100%;" type="text"/>

**2. დეკლარანტის მდგომარეობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებასთან მიმართებაში / INFORMATION ON APPLICANT CONCERNING ADMINISTRATIVE SANCTIONS FOR GROSS VIOLATIONS OF THE LEGISLATION ON SECURITIES**

დაკისრებული აქვს/Had been sanctioned	<input type="checkbox"/>	დაკისრების თარიღი <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> Date of Sanction (DD/MM/YYYY)
დაკისრებული არ აქვს/Had not been sanctioned	<input type="checkbox"/>	

**3. დეკლარანტის მდგომარეობა ეკონომიკური დანაშაულისათვის ნასამართლეობასთან მიმართებაში / INFORMATION ON APPLICANT CONCERNING CONVICTION FOR ECONOMIC CRIME**

ნასამართლეობა/Had been convicted	<input type="checkbox"/>	დაკისრების თარიღი <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> Date of Conviction (DD/MM/YYYY)
არ არის ნასამართლეობა/Had not been convicted	<input type="checkbox"/>	

**4. დეკლარანტის მდგომარეობა კომპანიის მმართველ ორგანოში მისი მონაწილეობის უფლებასთან მიმართებაში / INFORMATION ABOUT APPLICANT CONCERNING HIS RIGHT TO BE A MEMBER OF THE COMPANY'S MANAGING BODY**

ჩამორთმეული აქვს/Has been deprived	<input type="checkbox"/>
ჩამორთმეული არ აქვს/Has not been deprived	<input type="checkbox"/>

**ხელმოწერა / SIGNATURE**

<input style="width: 100%; height: 20px;" type="text"/>	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>
---	---



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

ემიტენტის წესის  
წლიური ფორმა

List of Issuers  
Annual Form

დამოწმებულია სტ-ის მიერ  
No.   
Approved by NBG  
No.

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)  /  /

**1. რეგისტრატორის დასახელება / REGISTRAR'S NAME**

კომპანიის დასახელება/Name of the Company  
რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered legal Address  
ტელეფონი/Phone Number  
ელ.ფოსტა/E-mail  
ვებ-გვერდი/Web Site


**2. ემიტენტების წლიური წესის / ANNUAL LIST OF ISSUERS**

ემიტენტის დასახელება Issuer's Name	სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი State registration number	მისამართი Address	ტელეფონი Phone	საქმიანობის სახე Type of activity	საწესდებო კაპიტალი Chartered Capital	ფ.კ.-ის მფლობელი რაოდენობა Number of Security Owners	ემისიების რაოდენობა Number of emissions	მათ შორის ეროვნულ ბანკში დარეგისტრირებული Number of emissions registered by NBG	გამომცემული რაოდენობა ფ.კ. Number of securities issued	ფ.კ.-ის კლასი Type of securities	ნომინალური ღირებულება Nominal value	დირექტორების რაოდენობა Director(s)	სამედიაციო საბჭოს შემადგენლობა Composition of supervisory board	რეგისტრირებული პირის სახელი Responsible person for register	შენიშვნა Note	
N																
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

**უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / SIGNATURE OF AUTHORIZED PERSON**

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)  /  /

# დანართი N4



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

დამოწმებულია სგ-ის მიერ  
No.

Approved by NBG  
No.

ემიტენტების სია და ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რაოდენობა  
ყოველთვიური ფორმა

List of Issuers and Number of Security Owners  
Monthly Form

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)

**1. რეგისტრატორის დასახელება / REGISTRAR'S NAME**

კომპანიის დასახელება/Name of the Company

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address

ტელეფონი/Phone Number

ელ.ფოსტა/E-mail

ვებ-გვერდი/Web Site


**2. ემიტენტების სია და აქციონერთა რაოდენობის შესახებ ყოველთვიური ინფორმაცია / MONTHLY INFORMATION ON CONTRACTS CONCLUDED WITH ISSUERS AND NUMBER OF SECURITY OWNERS**

N	ემიტენტის დასახელება	მისამართი	ხელშეკრულების დადების თარიღი	მონაცემთა ბაზის მიღების თარიღი	ფ.კ. მფლობელთა რაოდენობა
	Issuer's Name	Address	Date of conclusion of the contract	Reception date of the data base	Number of security owners
1	2	3	4	5	6

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / SIGNATURE OF AUTHORIZED PERSON

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)

# დანართი N5



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

დამოწმებულია სგ-ის მიერ  
No.

Approved by NBG  
No.

კონსოლიდაციის შედეგები  
ყოველთვიური ფორმა

Consolidation Results  
Monthly Form

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)

**1. რეგისტრატორის დასახელება / REGISTRAR'S NAME**

კომპანიის დასახელება/Name of the Company

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address

ტელეფონი/Phone Number

ელ.ფოსტა/E-mail

ვებ-გვერდი/Web Site

**2. კონსოლიდაციის შედეგები / RESULTS OF THE CONSOLIDATION**


N	ემიტენტის დასახელება	ფ.კ. მფლობელთა რაოდენობა	ფ.კ. მფლობელთა რაოდენობა კონსოლიდაციის შემდეგ	ანგარიშთა რაოდენობა რომელიც საჭიროებს ბლოკირებას	ფ.კ. რაოდენობა რომელიც საჭიროებს ბლოკირებას	შენიშვნა
	Issuer's Name	Number of Security Owners	Number of Security Owners after consolidation	Number of accounts to be blocked	Number of Securities to be blocked	Note
1	2	3	4	5	6	7

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / SIGNATURE OF AUTHORIZED PERSON

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)



# დანართი N6


 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	სარეგისტრაციო ოპერაციის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევები და მიზეზები ყოველთვიური ფორმა  Cases and Reasons of the refusal of the registration entry making Monthly Form  თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>	დამოწმებულია სგბ-ის მიერ No. <input type="text"/> Approved by NBG No. <input type="text"/>
---	--	---

<b>1. რეგისტრატორის დასახელება / REGISTRAR'S NAME</b>	
კომპანიის დასახელება/Name of the Company	<input type="text"/>
რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address	<input type="text"/>
ტელეფონი/Phone Number	<input type="text"/>
ელ. ფოსტა/E-mail	<input type="text"/>
ვებ-გვერდი/Web Site	<input type="text"/>

<b>2. სარეგისტრაციო ოპერაციის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევები და მიზეზები / CASES AND REASONS OF THE REFUSAL OF THE REGISTRATION ENTRY MAKING</b>				
N	ოპერაციის სახე	შემოსვლის თარიღი	უარის ან დაყოვნების მიზეზი	
	Operation type	Date of entry	Reason of refusal or delay	
1	2	3	4	

<b>უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / SIGNATURE OF AUTHORIZED PERSON</b>	
<input type="text"/>	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>

# დანართი N7

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ყოველთვიური ფორმა  Information on beneficiary owners who own a major package of securities Monthly Form  თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>	დამოწმებულია სგბ-ის მიერ No. <input type="text"/> Approved by NBG No. <input type="text"/>
---	--	---

<b>1. რეგისტრატორის დასახელება / REGISTRAR'S NAME</b>	
კომპანიის დასახელება/Name of the Company	<input type="text"/>
რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address	<input type="text"/>
ტელეფონი/Phone Number	<input type="text"/>
ელ. ფოსტა/E-mail	<input type="text"/>
ვებ-გვერდი/Web Site	<input type="text"/>

<b>2. სარეგისტრაციო ოპერაციის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევები და მიზეზები / CASES AND REASONS OF THE REFUSAL OF THE REGISTRATION ENTRY MAKING</b>				
N	ემიტენტის დასახელება	5% -ზე მეტი წილის მფლობელ პირთა ვინაობა	პროცენტული წილი	
	Name of Issuer	Persons who own more then 5%	Ownership in %	
1	2	3	4	

<b>უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / SIGNATURE OF AUTHORIZED PERSON</b>	
<input type="text"/>	თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

ანგარიშვალდებული საწარმოს  
ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გადაცემები  
ყოველთვიური ფორმა

Securities Orders Execution of the Companies Subject to Reporting  
Monthly Form

დამოწმებულია სებ-ის მიერ

No.

Approved by NBG

No.

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)

**1. რეგისტრატორის დასახელება / REGISTRAR'S NAME**

კომპანიის დასახელება/Name of the Company

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address

ტელეფონი/Phone Number

ელ.ფოსტა/E-mail

ვებ-გვერდი/Web Site

**2. ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გადაცემები / SECURITIES ORDERS EXECUTION**

ემიტენტი	გადაცემები ბაზრის შუამავლის მეშვეობით				გადაცემები ბაზრის შუამავლის გარეშე			
	გადაცემათა რაოდენობა	ყიდვა-გაყიდვა	ჩუქება	ფ.ქ.-ის საერთო რაოდენობა	ყიდვა-გაყიდვა	ჩუქება	სხვა	ფ.ქ.-ის საერთო რაოდენობა
Issuer	Number of orders	Sales-acquisitions	Donation	Securities overall number	Sales-acquisitions	Donation	Other	Securities overall number
1	2	3	4	5	6	7	8	9


**3. ნომინალურ მფლობელობაში გადაცემები / SECURITIES ORDERS EXECUTION IN NOMINAL OWNERSHIP**

ემიტენტი	გადაცემათა რაოდენობა			შენ. მესაკუთრიდან საბროკერო კომპანიაში		საბროკერო კომპანიიდან დეპოზიტარში		დეპოზიტარ იდან საბროკერო კომპანიაში		საბროკერო კომპანიიდან მესაკუთრესთან		დეპოზიტარიდან შენ. მესაკუთრესთან	
	გადაცემათა რაოდენობა	ფ.ქ. რაოდენობა	ფ.ქ. რაოდენობა	ფ.ქ. რაოდენობა	ფ.ქ. რაოდენობა	გადაცემათა რაოდენობა	ფ.ქ. რაოდენობა	ფ.ქ. რაოდენობა	გადაცემათა რაოდენობა	ფ.ქ. რაოდენობა	გადაცემათა რაოდენობა	ფ.ქ. რაოდენობა	
Issuer	Number of orders	Number of Securities	Number of Securities	From the beneficiary ownership to brokerage	From the brokerage company to central depository	From the central depository to brokerage	From the brokerage company to owner	From the central depository to beneficiary owner					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11			

**უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / SIGNATURE OF AUTHORIZED PERSON**

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)

# დანართი N9

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	ანგარიშებზე განხორციელებული ბლოკირების შემთხვევები ყოველთვიური ფორმა Cases of Blocking Execution on the Accounts Monthly Form	დამოწმებულია სგზ-ის მიერ No. <input style="width: 100%;" type="text"/> Approved by NBG No. <input style="width: 100%;" type="text"/>						
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/>								
<b>1. რეგისტრატორის დასახელება / REGISTRAR'S NAME</b>								
კომპანიის დასახელება/Name of the Company	<input style="width: 100%;" type="text"/>							
რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address	<input style="width: 100%;" type="text"/>							
ტელეფონი/Phone Number	<input style="width: 100%;" type="text"/>							
ელ.ფოსტა/E-mail	<input style="width: 100%;" type="text"/>							
ვებ-გვერდი/Web Site	<input style="width: 100%;" type="text"/>							
<b>2. კონსოლიდაციის შედეგები / RESULTS OF THE CONSOLIDATION</b>								
N	ემიტენტების დასახელება	ბლოკირებულ ანგარიშთა რაოდენობა	ბლოკირებულ ფ.კ. რაოდენობა	ბლოკირების საფუძველი	ბლოკირების თარიღი	ბლოკირების მოხსნის თარიღი	ფ.კ. რაოდენობა რომლებზეც მოიხსნა ბლოკირება	შენიშვნა
	Name of Issuer	Number of blocked accounts	Number of blocked Securities	Reason for blocking	Blocking date	Unblocking date	Number of securities which was unblocked	Note
1	2	3	4	5	6	7	8	9
<b>უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / SIGNATURE OF AUTHORIZED PERSON</b>								
					თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/>			

### 3.3.13 ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესი

#### მუხლი 1. ზოგვდი დებულებები

- ეს წესი შემუშავებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესსა და პირობებს, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების უფლება-მოვალეობებს ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების პროცესში.
- წინამდებარე წესის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების რეესტრში შეტანილ იქნეს ყველა ის ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს კანონის რეგულირების სფეროს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა. მათ გარდა წესში გამოიყენება ტერმინები შემდეგი მნიშვნელობით:

- პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები – ფიზიკური პირისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, ხოლო იურიდიული პირისათვის სარეგისტრაციო მონაცემები.
- სააგენტო – საქართველოს საფინანსო მდგრადი განვითარების სააგენტო.
- აქცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ემიტენტის საწესდებო კაპიტალის ნაწილია და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებებს სააქციო საზოგადოების მოგების წილის მიღებაზე, სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობისა და სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების ნაწილზე.
- ამონაწერი რეესტრიდან – რეესტრატორის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ფასიანი ქაღალდების მფლობელის საკუთრების უფლება ფასიანი ქაღალდზე.
- აქციის გადაცემა – აქციის მფლობელის უფლებების გადაცემა, რაც რეესტრში ინვესტორს ცვლილებას ახალი მფლობელის მონაცემების დაფიქსირებით.
- რეესტრირებული პირი – აქციათა რეესტრში რეესტრირებული აქციების მფლობელი.
- რეესტრის მასტერ-ფაილი – ქაღალდის ან ელექტრონული ფორმით წარმოდებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყოველი აქციონერის პიროვნული ანგარიშის ყველა რეკვიზიტს.
- გადასაცემი განკარგულება – რეესტრატორისათვის გადასაცემი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გადაცემის განხორციელების მოთხოვნებს.
- გლობალური ოპერაციები – ოპერაციები (კონსოლიდაცია, დანაწევრება, კონვერტაცია), რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაზე.

- პიროვნული ანგარიში – რეესტრში არსებული მონაცემების ერთობლიობა: მონაცემები რეესტრირებული პირების შესახებ; ინფორმაცია ამ მონაცემების ყველა ტიპის ცვლილების შესახებ.
- რეესტრატორი – ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეესტრატორი ან ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებაზე ატესტირებული ფიზიკური პირი.
- დანაწევრება – გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საერთო რაოდენობის გაზრდა არსებულთან შედარებით გარკვეული კოეფიციენტით, რომლის შესაბამისადაც პროპორციულად მცირდება აქციის ნომინალური ღირებულება. დანაწევრების ოპერაცია არ ინვესტს საწესდებო კაპიტალის შეცვლას.
- კონსოლიდაცია – გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საერთო რაოდენობის შემცირება არსებულთან შედარებით გარკვეული კოეფიციენტით, რომლის შესაბამისადაც პროპორციულად იზრდება ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება. კონსოლიდაციის ოპერაცია არ ინვესტს საწესდებო კაპიტალის შეცვლას.
- კონვერტაცია – ერთი კლასის ან კატეგორიის ფასიანი ქაღალდების გარდაქმნა სხვა კლასის ან სხვა კატეგორიის ფასიანი ქაღალდებად, რაც ხორციელდება ემიტენტის მმართველი უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებით ან ემისიის პროსპექტის შესაბამისად.
- მატერიალიზებული რეესტრი – ქაღალდის ფორმით წარმოდებული რეესტრი.
- არამატერიალიზებული რეესტრი – ელექტრონული ფორმით წარმოდებული რეესტრი.
- ფქსენ – ფასიანი ქაღალდის ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომერი.

#### მუხლი 3. ფასიანი ქაღალდების რეესტრატორი

- დამოუკიდებელი რეესტრატორი და ემიტენტი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თვითონ აწარმოებს თავისი ფასიანი ქაღალდების რეესტრს, ვალდებული არიან ფასიანი ქაღალდების რეესტრი აწარმოონ ამ წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- რეესტრატორს არა აქვს უფლება უარი განაცხადოს ფასიანი ქაღალდების გადაცემის ოპერაციაზე ან სხვა საჭირო მოქმედების განხორციელებაზე, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ემიტენტის წესდებით, ამ წესით და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ რეესტრატორი უარს განაცხადებს ოპერაციების კანონიერ განხორციელებაზე, მას ვალდება დაინტერესებულ პირს არა უგვიანეს 3 დღის ვადაში წარუდგინოს დასაბუთებული უარი.
- რეესტრატორმა უნდა უზრუნველყოს:
  - რეესტრის წარმოება მხოლოდ წინამდებარე წესის, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით;
  - რეესტრში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

- გ) რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მხოლოდ ამ წესით დადგენილ სუბიექტებზე.

#### მუხლი 4. ფასიანი ქაღალდების რეესტრი

1. ფასიანი ქაღალდების რეესტრი ინარმოვება მატერიალიზებული და არამატერიალიზებული ფორმით.
2. რეესტრის ოფიციალური ასლი უნდა არსებობდეს მატერიალიზებული (ქაღალდის) ფორმით და უნდა მოიცავდეს ყველა სააქციო საზოგადოების და ყოველი აქციონერის პიროვნული ანგარიშის ყველა რეკვიზიტს. იგი უნდა იქმნებოდეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს და დასტურდებოდეს რეგისტრატორის ორი ოფიციალური პირის ხელმოწერით და რეგისტრატორის ბეჭდით, აღნიშნული რეესტრის დედანი უნდა ინახებოდეს რეგისტრატორთან არა ნაკლებ 10 წლის განმავლობაში.
3. არამატერიალიზებული ფორმით წარმოებული ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოდგენა შესაძლებელი უნდა იყოს სტანდარტულ ფორმატში (Word; Exsel; PDF).
4. რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) ემიტენტის რეგისტრატორის შესახებ;
  - ბ) ემიტენტის, მისი აქციონერების და მისი დამფუძნებლის შესახებ;
  - გ) საწესდებო კაპიტალის ოდენობის, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების კლასის, საერთო რაოდენობისა და ნომინალური ღირებულების შესახებ;
  - დ) სააგენტოს მიერ მინიჭებული ფქქსნ ყველა კლასის ფასიანი ქაღალდისათვის;
  - ე) ჩანაწერები ემიტენტის მიერ შედენილი ან გამოსყიდული ყველა ფასიანი ქაღალდების შესახებ;
  - ვ) ინფორმაცია ყველა გლობალური ოპერაციის (კონსოლიდაცია, დანაწევრება, კონვერტაცია) შესახებ;
  - თ) ფორმულირება (გადაანგარიშების მათემატიკური საფუძველი), რის შედეგადაც მოხდა ფასიანი ქაღალდების კონსოლიდაცია ან დანაწევრება.
5. რეესტრის წარმოება უნდა მოიცავდეს ისეთი სახის ოპერაციებს, როგორცაა:
  - ა) რეესტრში ყოველი ჩანაწერის ქრონოლოგიური აღრიცხვა და ყოველი ჩანაწერისათვის თანმიმდევრული ინდივიდუალური ნომრის მინიჭება;
  - ბ) სარეგისტრაციო ჟურნალში ქრონოლოგიური რიგის მიხედვით წარმოება;
  - გ) რეგისტრირებულ პირთა პიროვნული ანგარიშების წარმოება;
  - დ) იმ ცვლილებების აღრიცხვა, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვასა და გლობალური ოპერაციების ჩატარებასთან;
  - თ) პიროვნულ ანგარიშებზე ყაღალა;
  - ი) რეესტრის მონაცემთა აღდგენის საშუალებების უზრუნველყოფა;
  - კ) რეესტრიდან ამონაწერების გაცემა.
6. რეესტრის წარმოება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ოპერაციებს:

აქციონერთა სიის მომზადება იმისათვის, რომ განისაზღვროს:

- ა) ვის აქვს მინიჭებული ემიტენტის მართვის ორგანოებში მონაწილეობისათვის შეტყობინების მიღებისა და ხმის მიცემის უფლება;
- ბ) ვისი აქციები გამოისყიდება ან გაუქმდება;
- ვ) ვისი აქციები ექვემდებარება დანაწევრებას ან კონსოლიდაციას;
- დ) ვის აქვს მინიჭებული, აქციების მფლობელობიდან გამომდინარე, რაიმე უპირატესობა;
- ე) სხვა საქმიანობა, რომელიც გათვალისწინებულია ემიტენტსა და რეგისტრატორს შორის დადებული ხელშეკრულებით.

#### მუხლი 5. პიროვნული ანგარიში

1. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას რეგისტრატორს ევალება რეესტრში პიროვნული ანგარიშები გაუხსნას ნებისმიერ პირს, რომლებიც არიან ამ სააქციო საზოგადოების აქციონერები.
2. რეგისტრატორს ევალება პიროვნული ანგარიშები გაუხსნას ფასიანი ქაღალდების ყველა ახალ მფლობელს.
3. თითოეულ პიროვნულ ანგარიშს ენიჭება განსხვავებული ნომერი. ყოველი ჩანაწერის შეტანისას რეესტრში აღინიშნება რეგისტრირებული პირის სახელი და ამ პირის ანგარიშის ნომერი.
4. რეესტრში პიროვნული ანგარიშის გახსნა არ წარმოადგენს რეგისტრატორსა და პირს შორის ხელშეკრულების დადების საგანს, არამედ ეს არის ემიტენტსა და რეგისტრატორს შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილი.
5. პიროვნული ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
  - ბ) პიროვნული ანგარიშის ნომერს.
6. თუ ფასიანი ქაღალდი თანასაკუთრებაში იმყოფება, რეესტრში იხსნება ერთი პიროვნული ანგარიში, რომელშიც ამ წესით დადგენილი მოთხოვნების გარდა დამატებით მიეთითება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ყველა თანამესაკუთრისა და თანასაკუთრებაში თითოეულის წილის თაობაზე.
7. რეგისტრირებული პირის ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების რაოდენობის ყოველი ცვლილებისას უნდა გაკეთდეს ჩანაწერი ცვლილების მიზეზის, რეგისტრირებული პირის სახელზე არსებული ფასიანი ქაღალდების შეცვლილი რაოდენობის, ფასიანი ქაღალდების ვალდებულებით დატვირთვის და ცვლილების თარიღის შესახებ. ასევე შეტანილ უნდა იქნეს ინფორმაცია რეგისტრირებული პირის წარმომადგენლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
8. თუ ნომინალურ მფლობელს, კლიენტების ფასიანი ქაღალდების გარდა, აქვს საკუთარი ფასიანი ქაღალდებიც, რეგისტრატორი ვალდებულია გაუხსნას მას ორი პიროვნული ანგარიში.

## მუხლი 6. რეესტრში არსებული ინფორმაციის მოპოვების უფლება

1. რეესტრში არსებული ინფორმაციის მოპოვების უფლება აქვთ შემდეგ პირებს:
  - ა) ემიტენტს;
  - ბ) რეგისტრირებულ პირებს;
  - გ) სააგენტოს.
2. რეგისტრირებულ პირებს უფლება აქვთ მიიღონ რეესტრიდან ინფორმაცია თავიანთ სახელზე რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების, ამ ინფორმაციაში ყველა ცვლილებისა და ემიტენტის საწესდებო კაპიტალთან კუთვნილი აქციების საერთო რაოდენობის პროცენტული შეფარდების შესახებ.
3. რეესტრატორი ვალდებულია ემიტენტს წარუდგინოს რეესტრიდან ინფორმაცია იმ მოცულობით, რომელიც მითითებულია ემიტენტის შესაბამის მოთხოვნაში და რომელიც ეხება ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს და მასში შეტანილ ცვლილებებს.
4. რეესტრატორი ვალდებულია სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს მიერ დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად, აგრეთვე ცალკეული მოთხოვნების შემთხვევაში.

## მუხლი 7. ფასიანი ქაღალდების გადაცემა

1. ფასიანი ქაღალდების გადაცემა (ნაყიდობა, ჩუქება, გაცვლა და სხვა) დაიშვება ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამ მოთხოვნების დარღვევით ფასიანი ქაღალდების რეგისტრაცია რეესტრში არ დაიშვება.
2. რეესტრატორმა ფასიანი ქაღალდების გადაცემის ამსახველი ცვლილებების შესახებ ჩანაწერები რეესტრში უნდა შეიტანოს რეგისტრირებული პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი გადასაცემი განკარგულების საფუძველზე განკარგულების მიღებიდან 3 დღის ვადაში.
3. გადაცემის შესახებ გადასაცემი განკარგულების გამცემი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე პასუხისმგებელია მის მიერ დადასტურებული ფაქტების სიზუსტისა და სისრულისათვის.
4. თუ ფასიანი ქაღალდებზე უფლებების გადაცემა ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის გარეშე, დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:
  - ა) თუ ფასიანი ქაღალდების მფლობელობაზე უფლებების გადაცემა ხდება სასამართლოს განწყვეტილებით, რეესტრატორს წარედგინება ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ან სააღსრულებო ფურცელი;
  - ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების უფლებების გადაცემა ხდება მემკვიდრეობით, რეესტრატორს წარედგინება ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მონაწილეობა.

## მუხლი 8. ამონაწერი რეესტრიდან

1. რეესტრიდან ამონაწერი გაცივმა რეგისტრირებულ

ლი პირის სახელზე მისი პიროვნული ანგარიშის გახსნის დროს. რეესტრიდან ამონაწერი გადაეცემა რეგისტრირებულ პირს ან რეგისტრირებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში გაეგზავნება მას პიროვნული ანგარიშის გახსნიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში ფოსტის საშუალებით.

2. რეესტრიდან ამონაწერი გადაეცემა როგორც რეგისტრირებულ პირს, ვისი პიროვნული ანგარიშიდანაც გადაირიცხება ფასიანი ქაღალდები, ისე იმ პირს, ვის სახელზეც ჩაირიცხება ფასიანი ქაღალდები.
3. რეგისტრირებული პირის მოთხოვნის შესაბამისად, რეესტრატორი ვალდებულია დაადასტუროს მისი უფლებები ფასიანი ქაღალდებზე რეესტრიდან ამონაწერის გაცემის გზით წელიწადში ერთხელ ანაზღაურების გარეშე, აგრეთვე მის პიროვნულ ანგარიშზე ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ხოლო ყოველ სხვა შემთხვევაში – ანაზღაურებით.
4. რეესტრიდან ამონაწერზე უნდა იყოს აღნიშნული:
  - ა) რეგისტრირებული პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;
  - ბ) რეგისტრირებული პირის პიროვნული ანგარიშის ნომერი;
  - გ) თარიღი, როდესაც გაცაა ამონაწერი;
  - დ) ემიტენტის სრული სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
  - ე) რეგისტრირებული პირის ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების კლასი, რაოდენობა და ნომინალური ღირებულება;
  - ვ) ფქქსნ;
  - ზ) ფასიანი ქაღალდების ვალდებულებებით დატვირთვის შემთხვევაში ამონაწერი რეესტრიდან უნდა შეიცავდეს რეესტრში არსებულ შესაბამის ინფორმაციას;
  - თ) რეგისტრატორის სრული ოფიციალური სახელწოდება, და საკონტაქტო რეკვიზიტები, საქმიანობის ლიცენზიის (ატესტატის) მიღების თარიღი და ნომერი;
  - ი) მითითება იმის თაობაზე, რომ ამონაწერი არ არის ფასიანი ქაღალდი და მხოლოდ ადასტურებს, რომ ამონაწერში ხსენებული პირი არის ამონაწერში აღნიშნული ფასიანი ქაღალდების მფლობელი გარკვეული თარიღისათვის;
  - კ) რომ ფასიანი ქაღალდების გაცემისა და ახალი მფლობელის რეგისტრაციისათვის სავალდებულოა წარედგინოს რეესტრატორს შესაბამისად შედგენილი დოკუმენტები.

## მუხლი 9. პიროვნულ ანგარიშებზე ოპერაციების ბლოკირება

1. რეგისტრირებულ პირთა პიროვნულ ანგარიშებზე ოპერაციების ბლოკირება არის რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი, რომელსაც ასრულებს რეესტრატორი, რათა არ იქნეს დაშვებული ფასიანი ქაღალდების გადაცემის ოპერაციები განსაზღვრული ვადით ან რაიმე მოვლენის დადგომამდე.
2. ბლოკირება შეიძლება მოხდეს:

- ა) რეგისტრირებული პირის განკარგულებით;
  - ბ) სააგენტოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
  - გ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
  - დ) იმ პირის მოთხოვნით, ვის სასარგებლოდაც იქნა ფასიანი ქაღალდები დატვირთული;
  - ე) ფასიანი ქაღალდების გირავნობით ან რაიმე სხვა სახის ვალდებულებებით დატვირთვა.
3. ბლოკირების შემთხვევაში რეგისტრატორმა რეგისტრირებული პირის პიროვნულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს კოდი და გააკეთოს ჩანაწერი ბლოკირების მიხედვის, ბლოკირებული აქციების რაოდენობისა და კლასის, ბლოკირების ვადის შესახებ და იმ დოკუმენტების მითითებით, რომელთა საფუძველზეც მოხდა ბლოკირება.
4. ბლოკირების შესახებ განკარგულების გამცემ პირს შეუძლია მოსთხოვოს რეგისტრატორს ამონაწერი ბლოკირების თაობაზე.
5. ბლოკირების შეწყვეტა უნდა მოხდეს იმ პირის განკარგულების საფუძველზე, ვისი განკარგულებითაც მოხდა ბლოკირება ან ვინც, კანონის თანახმად, უფლებამოსილია, რომ გააუქმოს ბლოკირება შემდეგ შემთხვევებში:
- ა) ბლოკირების შესახებ განკარგულებაში მითითებული ვადის გასვლისას;
  - ბ) მოვლენის დადგომის შემდეგ, რომელიც ბლოკირების შესახებ განკარგულებაში არის მითითებული;
  - გ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
  - დ) სააგენტოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
6. ბლოკირების შეწყვეტისას, რეგისტრატორმა უნდა ამოშალოს შესაბამისი კოდი პიროვნული ანგარიშიდან.

## მუხლი 10. გლობალური ოპერაციები

თუ ემიტენტი ახორციელებს გლობალურ ოპერაციებს, რეგისტრატორმა აღრიცხვის თარიღის მიხედვით უნდა შეიტანოს ყველა საჭირო მონაცემი რეესტრში შესაბამის პიროვნულ ანგარიშებზე 15 დღის ვადაში.

### 3.3.14 ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ წესი

#### მუხლი 1. ამ წესის რეგულირების სფერო

- ეს წესი შემუშავებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – „კანონი“) მე –10 მუხლის მე –3 პუნქტისა და 32-ე მუხლის მე –3 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრავს:
  - ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის (შემდეგში – „ნომინალური მფლობელი“) საქმიანობის პრინციპებს, მათ შორის, ნომინალური მფლობელის მიერ კლიენტის საინვესტიციო სახსრების შენახვისა და კლიენტის კრებსით ანგარიშში აღრიცხვის პირობებს;
  - ნომინალური მფლობელის მიერ კლიენტთან საინვესტიციო სახსრებისათვის შესაბამისი ანგარიშების წარმოების პროცედურას;
  - პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდების შემდეგი საფეხურის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის პირობებს.
- ამ წესით არ განისაზღვრება საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადების, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობაში გადაცემისა და მათი ნომინალური მფლობელის მიერ კლიენტისათვის გადაცემის წესები.
- კანონის თანახმად, ამ წესის შესრულებას ბანკების მიერ უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები. მათ გარდა, ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება ტერმინები შემდეგი მნიშვნელობებით:

- „კლიენტი“ – ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი (ბენეფიციარი მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი), რომელიც ნომინალურ მფლობელთან დებს ხელშეკრულებას ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ;
- „მინდობილობა“ – კანონის მე – 17 მუხლის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელის მიერ გაცემული უფლებამოსილება (რწმუნებულება), რომლის მიმღები პირი ამ მფლობელის წარმომადგენელია და მისი სახელით და ინტერესებისათვის ახორციელებს ფასიანი ქაღალდის მფლობელობიდან გამომდინარე ერთ ან მეტ უფლებას (მაგ.: საერთო კრებაზე დასწრების, ხმის მიცემის და სხვა უფლებები);

- „პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი“ – ის ნომინალური მფლობელი;
- გ.ა) რომელსაც საინვესტიციო სახსრები ნომინალურ მფლობელობაში უშუალოდ ბენეფიციარი მესაკუთრე კლიენტისაგან აქვს გადაცემული;
- გ.ბ) რომელიც საინვესტიციო სახსრებს შეიძენს ბენეფიციარ მესაკუთრე კლიენტის სასარგებლოდ, მასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;
- დ) „რეკვიზიტები“;
- დ.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში: სახელი და გვარი. მოქალაქეობა, მოქალაქის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (პირადობის მოწმობა ან პასპორტი, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეგისტრირებული ბინადრობის მოწმობა) ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- დ.ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში: საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი და ტელეფონის ნომერი (ასევე, საქმიანობის ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი, თუ ეს ყოველივე იურიდიული მისამართისაგან განსხვავდება) და სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი, ადგილი და მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება;
- დ.გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში: დასახელება, მისი აღმასრულებელი ორგანოს ადგილსამყოფელი და ტელეფონის ნომერი;
- დ.დ) სახელმწიფოს შემთხვევაში: სათანადოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო;
- ე) „საინვესტიციო სახსრები“ – ფასიანი ქაღალდები და საოპერაციო ფულადი სახსრები;
- ვ) „საოპერაციო ფულადი სახსრები“ – ფულადი სახსრები, რომლებიც აღრიცხულია და ინახება ნომინალურ მფლობელთან ფასიანი ქაღალდების შექმნა-გასხვისების ოპერაციების საწარმოებლად ამასთან, კლიენტის საოპერაციო ფულადი სახსრები აღრიცხულია და ინახება ნომინალური მფლობელის განცალკევებულ (კლიენტის) ანგარიშზე და ისინი:
- ვ.ა) ნომინალური მფლობელის მიერ ნომინალურ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების შედეგად არის მიღებული; ან/და
- ვ.ბ) კლიენტმა ნომინალურ მფლობელს გადასცა ფასიანი ქაღალდებით სავაჭრო ოპერაციების განხორციელების მიზნით;
- გ) „კლიენტის კრებისითი ანგარიში“ – ნომინალური მფლობელის მიერ კლიენტის თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდებისა და საოპერაციო ფულადი სახსრებისათვის როგორც სხვა კლიენტების, ისე თავისი კუთვნილი საინვესტიციო სახსრებისაგან გამიჯნულად გახსნილი პირადი ანგარიშების მოწესრიგებული ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ამ წესით განსაზღვრულ მონაცემებს;
- თ) „შემდეგი საფეხურის ნომინალური მფლობელი“ – ნომინალური მფლობელი, რომელიც საინვესტიციო სახსრებს იღებს იმ პირისაგან, რომელიც, თავის მხრივაც, ამ სახსრების ნომინალური მფლობელია.



### მუხლი 3. ნომინალური მფლობელის შინაარსი და ძირითადი ვალდებულებები

1. კლიენტის საინვესტიციო სახსრების ნომინალური მფლობელობა ხორციელდება მისი ბენეფიციარი მესაკუთრის სასარგებლოდ, რისკითა და ხარჯებით და არ გულისხმობს მათზე საკუთრების ან მფლობელობის უფლების გადაცემას ნომინალური მფლობელისათვის, ნომინალური მფლობელი კლიენტის საინვესტიციო სახსრებით ოპერაციებს ახორციელებს თავისი სახელით.
2. პირველი ან შემდეგი საფეხურის ნომინალური მფლობელობაში მყოფი საინვესტიციო სახსრების, აგრეთვე, მათზე საკუთრების უფლებიდან გამომდინარე ნივთსა და უფლების ნაყოფების (დივიდენდი, პროცესი და ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე სხვა უფლებები) მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ პირველი რიგის ნომინალური მფლობელის ის შესაბამისი კლიენტი (ბენეფიციარი მესაკუთრე), რომლის მფლობელობა ამ სახსრებზე დასტურდება ნომინალური მფლობელ(ებ) ის მიერ წარმოებული კლიენტის კრებსით ანგარიშ(ებ)ში არსებული ჩანაწერები.
3. ნომინალური მფლობელის ვალდებულებები, იმ საინვესტიციო სახსრებთან დაკავშირებით, რომელიც მის ნომინალურ მფლობელობაშია, შემდეგია:
  - ა) კლიენტის ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა და შენახვა მის (კლიენტის) ანგარიშზე, ხოლო საოპერაციო ფულადი სახსრებისა – განცალკევებული კლიენტის საბანკო ანგარიშზე და მათი განკარგვა (მათ შორის, შემდეგი საფეხურის ნომინალური მფლობელობაში გადაცემა) კლიენტთან დადებული ხელშეკრულება პირობების შესაბამისად, ასევე, მათ მოძრაობაზე კონტრლი;
  - ბ) კლიენტის კრებსითი ანგარიშიდან ამონაწერის გაცემის გზით ფასიან ქაღალდებზე შესაბამისი კლიენტის მფლობელობის უფლების დადასტურება;
  - გ) სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად კლიენტის საინვესტიციო სახსრების ნომინალური მფლობელობაში გადაცემის, სავაჭრო ოპერაციების განხორციელების შედეგების, აგრეთვე, ვალდებულებებით დატვირთვის ფაქტთა რეგისტრაცია; და ფასიანი ქაღალდებიდან სარგებლის (დივიდენდი, პროცენტი) კლიენტის მიერ მისაღებად კანონმდებლობითა და კლიენტთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჭირო მოქმედების განხორციელება;
  - ე) ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის (მაგ.: აქციონერთა საერთო კრებების მოწვევის, გლობალური ოპერაციების, მინდობილობის მიღების სურვილის გაცხადების და სხვათა შესახებ) მიწოდება კლიენტისათვის, რომელიც ნომინალური მფლობელს ემიტენტისაგან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისაგან, მინდობილობის მიღების მსურველისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირისაგან ეცნობება;

- 3) კლიენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა როგორც სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, ისე მის შემდეგ;
- 8) სხვა იმ მოთხოვნების შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და კლიენტთან დადებული წერილობითი ხელშეკრულებით.
4. ნომინალური მფლობელი ვალდებულია შეასრულოს კლიენტის მითითებები, ამასთან:
  - ა) მას მითითებებიდან გადახვევა შეუძლია, თუ გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლია ივარაუდოს, რომ კლიენტი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოინებდა ასეთ გადახვევას. თუ დაყოვნება კლიენტს ზიანის საფრთხეს არ უქმნის, ნომინალურმა მფლობელმა მას მითითებებისგან გადახვევამდე უნდა შეატყობინოს და იმოქმედოს მისი გადაწყვეტილების მიხედვით;
  - ბ) თუ მითითებების შესრულებამ შეიძლება კლიენტს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ნომინალური მფლობელს შეუძლია ისინი შეასრულოს მხოლოდ მაშინ, როცა კლიენტს ზიანის თაობაზე აცნობებს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მითითებებს არ შეცვლის;
  - 3) ნომინალური მფლობელის კეთილსინდისიერების პრინციპებისათვის გამოიყენება ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები.
5. როგორც წესი, ზონალური მფლობელის მომსახურება ანაზღაურებადი. თუ საზღაურის (გასამრჯელოს) ოდენობა ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის, მაშინ შეთანხმებულად მიიჩნევა ჩვეულებრივი (სანიხრო) გასამრჯელო.
6. ნომინალური მფლობელი შეიძლება იყოს საბროკერო კომპანია, ცენტრალური დეპოზიტარი და ბანკი. ამასთან, ბანკი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო სასესხო ვალდებულებების ნომინალური მფლობელი.
7. ფასიანი ქაღალდების გადაცემა ერთი ნომინალური მფლობელის კლიენტებს შორის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან არ რეგისტრირდება.

### მუხლი 4. ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ამსახველი ანგარიშები

1. პირველი საფეხურის ნომინალურმა მფლობელმა ემიტენტს, მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და კომისიას ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და მოცულობით უნდა წარუდგინოს იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ამსახველი ანგარიშები, რომელთა ფასიან ქაღალდებსაც იგი ნომინალურად ფლობს.
2. თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ჩანაწერით მფლობელთა მონაცემები კონფიდენციალურია.

### მუხლი 5. კლიენტის კრებსითი ანგარიში

1. ნომინალურმა მფლობელმა კლიენტის კრებსითი ანგარიში შეუძლია აწარმოოს კომპიუტერული

ან ქალაქის ფორმით, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ:

- ა) მათში შეტანილი ჩანაწერები ადვილად უნდა იკითხებოდეს;
- ბ) შესაძლებელი უნდა იყოს ამონაწერის გაკეთება;
- გ) თითოეული კლიენტის ყოველი კლასის ფასიანი ქაღალდები განცალკევებულად უნდა აღირიცხოს, ხოლო თუ ეს არ ხერხდება, მაშინ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს:
- გ.ა) კლიენტის სხვადასხვა კლასის ფასიანი ქაღალდების ერთმანეთისაგან გარჩევა;
- გ.ბ) კლიენტის ერთი კლასის ფასიანი ქაღალდზე განხორციელებული გლობალური ოპერაციის სხვა კლასზე აუსახველობა;
- გ.გ) კლიენტის თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდზე სრული ამონაწერის გაკეთება ქალაქის ფორმით.
- დ) თითოეული კლიენტის საოპერაციო ფულადი სახსრები განცალკევებულად უნდა აღირიცხოს.
- 2. თუ კლიენტის კრების ანგარიში მხოლოდ ქალაქის ფორმით იწარმოება. ნომინალურმა მფლობელმა ყველა კლიენტისათვის ცალკე კლიენტის კრების ანგარიში უნდა აწარმოოს.
- 3. თუ კლიენტის კრების ანგარიში კომპიუტერულ ფორმით იწარმოება, ნომინალურმა მფლობელმა კლიენტის კრების ანგარიშის ასლი ქალაქის ფორმითაც უნდა გააკეთოს.
- 4. კლიენტის კრების ანგარიშის წარმოება მოიცავს;
- ა) ანგარიში ყველა ჩანაწერის ქრონოლოგიის დაცვით შეტანას და ყველა ჩანაწერისათვის თანმიმდევრული ნომრის მინიჭებას;
- ბ) თითოეული კლიენტისათვის ცალკე ანგარიშის წარმოებას მასში სავაჭრო ოპერაციების შედეგების შეტანითა და ისტორიული მონაცემების შენახვით;
- გ) კლიენტის საინვესტიციო სახსრების ვალდებულებებით დატვირთვის აღრიცხვას;
- დ) ფასიანი ქაღალდებზე დარიცხული სარგებლის (დივიდენდი, პროცენტი) აღრიცხვას, თუ კლიენტთან ხელშეკრულება ამას ითვალისწინებს;
- ე) გლობალური ოპერაციების შედეგების აღრიცხვას;
- ვ) კლიენტის კრების ანგარიშიდან ამონაწერის გაცემას თითოეული კლიენტის თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდებზე, აგრეთვე კრების და ბრუნვითი ანგარიშების გაცემას;
- ზ) თითოეული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სიის მომზადებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- თ) სხვა მომსახურებას, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით და კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით.
- 5. ნომინალურმა მფლობელმა თითოეული კლიენტისათვის ცალკე კლიენტის კრების ანგარიში უნდა გახსნას, რომელშიც მოცემული იქნება შემდეგი ინფორმაცია კლიენტის შესახებ:
- ა) კლიენტის რეკვიზიტები;
- ბ) კლიენტის ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და მათი ემიტენტის რეკვიზიტები;
- გ) კლიენტის საოპერაციო ფულადი სახსრების რაოდენობა;
- დ) დივიდენდის, პროცენტის მიღებისას და ხმის

უფლების გამოყენებისას კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ნომინალური მფლობელის ვალდებულებანი;

- ე) სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და კლიენტთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.
- 6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილება კლიენტის კრების ანგარიშში უნდა შევიდეს დაუყოვნებლივ, როგორც კი ნომინალური მფლობელისათვის ცნობილი გახდება ცვლილების შესახებ.
- 7. კლიენტის კრების ანგარიშის მონაცემები კონფიდენციალურია და ის შეიძლება გაიხსნას შემდეგ შემთხვევაში:
- ა) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მოთხოვნით, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამასთან, ნომინალურმა მფლობელმა უნდა მიუთითოს, რომ კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია;
- ბ) კლიენტის მოთხოვნით;
- გ) სასამართლოს მოთხოვნით;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში

## მუხლი 6. ამონაწერი კლიენტის კრების ანგარიშიდან

- 1. ნომინალური მფლობელი კლიენტის მოთხოვის საფუძველზე, კლიენტის კრების ანგარიშიდან ამონაწერის გაცემის გზით ადასტურებს, რომ საინვესტიციო სახსრები, რომელიც გადაეცემა ნომინალურ მფლობელს ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე საინვესტიციო სახსრები, რომლებიც ნომინალურმა მფლობელმა კლიენტის სასარგებლოდ, მისი დავალების თანახმად, სავაჭრო ოპერაციების შედეგად მიიღო, წარმოადგენს კლიენტის მფლობელობას.
- 2. კლიენტის კრების ანგარიშიდან ამონაწერი ნომინალური მფლობელის სატიტულო ფურცელზე უნდა დაიბეჭდოს, რომელიც, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს უნდა მოიცავდეს:
- ა) ნომინალურ მფლობელთან დაკავშირებით: მისი საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ლიცენზიის სახე და ნომერი;
- ბ) კლიენტის რეკვიზიტები;
- გ) ამონაწერის გაცემის თარიღი და დრო;
- დ) საინვესტიციო სახსრების შესახებ: მათი რაოდენობა, ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, აგრეთვე – ემიტენტის საფირმო სახელწოდება (დასახელება) კლასი, ნომინალური ღირებულება, და ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი, თუ ეს უკანასკნელი მინიჭებულია;
- ე) ბლოკირების არსებობა, ამასთან, მითითებულ უნდა იქნეს, ბლოკირების სახე და ბლოკირებული ფასიანი ქაღალდების კლასი და რაოდენობა;
- ვ) ის ფაქტი, რომ ამონაწერი ფასიანი ქაღალდი არ არის, მისი მესამე პირისათვის გადაცემა მასში აღნიშნულ ფასიანი ქაღალდებზე უფლებების გადაცემას არ იწვევს და ის მხოლოდ ადასტურებს, რომ მასში დასახელებული პირი არის აღნიშნული ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი ამონაწერის გაცემის თარიღისათვის;

- 8) ამონაწერის გამცემი ნომინალური მფლობელის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.
- 3. ნომინალურმა მფლობელმა კლიენტზე უნდა გასცეს შემდეგი ამონაწერი, იმის მიხედვით, რომელს მოითხოვს კლიენტი:
  - ა) ამონაწერი ცალკეული კლას(ებ)ის ფასიან ქალაქ-დებზე;
  - ბ) კრებისთი ამონაწერი, რომელშიც შევა სრული ინფორმაცია კლიენტის საინვესტიციო სახსრებზე;
  - გ) ბრუნვითი ამონაწერი, რომელშიც შევა ინფორმაცია კლიენტის ანგარიშებზე არსებული საინვესტიციო სახსრების მოძრაობის შესახებ.
- 4. თუ კლიენტთან სხვა ვადა არ არის შეთანხმებული, ნომინალურმა მფლობელმა კლიენტის კრებისთი ანგარიშიდან ამონაწერი უნდა გასცეს კლიენტის მიერ ამონაწერის მოთხოვნიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 7. ფასიანი ქალაქდების რეგისტრაციისათვის ფასიანი ქალაქდების რეგისტრირებული მფლობელების სიის მიწოდება**

- 1. პირველი საფეხურის ნომინალურმა მფლობელმა უნდა შეადგინოს და ფასიანი ქალაქდების რეგისტრატორს, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზების მიზნით, ფასიანი ქალაქდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით და ვადებში უნდა წარუდგინოს კლიენტის კრებისთი ანგარიშში რეგისტრირებულ მფლობელთა სია.
- 2. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, სია უნდა შეიცავდეს ფასიანი ქალაქდების ყოველი რეგისტრირებული მფლობელის შესახებ შემდეგ მონაცემებს:
  - ა) რეკვიზიტებს;
  - ბ) მფლობელობაში არსებული შესაბამისი ემიტენტის ხმის უფლების მქონე ფასიანი ქალაქდების რაოდენობას.
- 3. თუ ნომინალურ მფლობელს ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება გააჩნია, მაშინ მან სიაში შესაბამისი კლიენტ(ებ)ის მონაცემების ნაცვლად საკუთარი უნდა მიუთითოს.

**მუხლი 8. კლიენტისაგან უფლებამოსილი ნომინალური მფლობელი**

- 1. ნომინალური მფლობელი ჩაითვლება მინდობილობის მქონედ თუ იგი კლიენტისაგან უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:
  - ა) კლიენტის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად, წარმოადგენს კლიენტს, ესწრება აქციონერთა საერთო კრებებს და კლიენტის მფლობელობაში არსებული აქციების შესაბამისი ხმებით მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში;
  - ბ) იღებს დივიდენდებს, პროცენტებს და განათავსებს მათ კლიენტის საოპერაციო ფულადი სახსრების ანგარიშზე.
- 2. თუ კლიენტმა ნომინალურ მფლობელს წინასწარი დავალება არ მისცა მინდობილობის (მათ შორის, აქციონერთა საერთო კრების) ერთ ან რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, მაშინ მინდობილი უფლებამოსილების განხორციელებისას ნომინალურმა მფლობელმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება საუკეთესოა

- კლიენტის კანონიერი ინტერესებისათვის, და იჩენდეს ისეთ გულისხმიერებას, როგორსაც იგი საკუთარი საქმეების მიმართ გამოიჩენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი.
- 3. თუ ნომინალური მფლობელი აქციონერთა საერთო კრებაზე რამდენიმე კლიენტს წარმოადგენს, მაშინ ხმის მიცემისას იგი თითოეულ მარნმუნებელ კლიენტს ცალკე წარმოადგენს. იგივე წესი მოქმედებს, თუ ნომინალურ მფლობელს ფასიანი ქალაქდები თავის მფლობელობაშიც გააჩნია.
- 4. ამ მუხლით გათვალისწინებული მინდობილობა გაფორმებული უნდა იყოს წერილობით. თუ მინდობილობა ნომინალური მფლობელობის ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობაა, მაშინ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ხელშეკრულების დანარჩენი პირობების კონფიდენციალობის დაცვა.
- 5. მინდობილობის მქონე ნომინალურ მფლობელს უფლება არ აქვს კლიენტის თანხმობის გარეშე.
  - ა) მესამე პირს გადასცეს მინდობილობა;
  - ბ) შეთანხმებული საზღაურის (გასამრჯელო) გარდა, საკუთრივ მიიღოს სარგებელი მინდობილი უფლებამოსილებებიდან, მათ შორის, პირდაპირ ან არაპირდაპირ საკუთარ თავთან დადოს გარიგება.

**მუხლი 9. მინდობილობის მიღების უზრუნველყოფა**

თუ ნომინალური მფლობელი დადგენილი წესით მიიღებს შეტყობინებას, რომ პირი ან პირთა ჯგუფი დაინტერესებულია რომელიმე კლასის ფასიანი ქალაქდებზე მინდობილობის მიღებით, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს კლიენტს და იმოქმედოს მისი მითითებებისა და ფასიანი ქალაქდების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 10. გლობალური ოპერაციები**

- 1. ემიტენტის მიერ, ფასიანი ქალაქდების კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი ან ფასიანი ქალაქდების რეგისტრირებული მფლობელის ინიციატივით, გლობალური ოპერაციის (ფასიანი ქალაქდების შერწყმა, დანაწევრება ან კონვერსია) განხორციელების შემთხვევაში ნომინალური მფლობელი ვალდებულია ოპერაციის შედეგები მათი ემიტენტის ან ფასიანი ქალაქდების რეგისტრატორისაგან ოფიციალურად მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შეიტანოს შესაბამისი კლიენტის კრებისთი ანგარიშ(ებ)ში და ამის თაობაზე ამავე ვადაში აცნობოს კლიენტს, თუ კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული. ნომინალურმა მფლობელმა უნდა იზრუნოს, რომ ოპერაციის შედეგების თაობაზე ცნობები მოიპოვოს.
- 2. თუ საქართველოს კანონმდებლობით, ემიტენტის წესდებით ან/და შესაბამისი ემისიის პროსპექტით განსაზღვრულ შემთხვევებში ფასიანი ქალაქდის ბენეფიციარ მესაკუთრე კლიენტს კონვერსიის განხორციელება სურს, მან უნდა მიმართოს პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელს, რომელიც ვალდებულია (თუ საჭიროა, შემდეგი საფეხურის ნომინალური მფლობელ(ებ)ის მეშვეობით) უზრუნველყოს ფასიანი ქალაქდების რეგისტრატორისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

### 3.3.15 ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების ემისიის დაბეჭედილი პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს:
  - საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ ემიტენტების ემისიის დამტკიცებული პროსპექტის, ასევე იმ ემიტენტის, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის, ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის („ფქსსნ“-ISIN) მინიჭების პროცედურებს;
  - კერძო შეთავაზებისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსსნ-ის მინიჭების წესს;
  - ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის ფორმას და ეროვნულ ბანკში წარსადგენ ინფორმაციას.
- ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი ერთდროულად არის როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი (ფქსსნ -ISIN) – ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის სტრუქტურაც და შინაარსიც ეფუძნება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ დადგენილ მოთხოვნებს და რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ ემიტენტის ერთსა და იმავე კლასისა და ნიშან-თვისებების მატარებელი ფასიანი ქაღალდის უნიკალური იდენტიფიცირების საშუალებას;
- ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკატორი (CFI - Classification of Financial Instruments) – ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდისთვის მინიჭებული კოდი, რომლის სტრუქტურაც და შინაარსიც ეფუძნება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ N10962-ე სტანდარტს;
- განმცხადებელი – პირი, რომელიც განაცხადებს ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსსნ-ის მინიჭების

- სურვილს;
- სათანადო ფასიანი ქაღალდი – ემიტენტის მიერ საქართველოს ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად გამოშვებული ფასიანი ქაღალდი;
  - რეგისტრაცია – ემისიის დამტკიცებული პროსპექტის, ხოლო კერძო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების ან/და იმ ემიტენტის, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების ძირითადი მონაცემების შეტანის პროცედურა ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ რეგისტრში;

#### მუხლი 3. ფქსსნ-ის მინიჭება

- ეროვნული ბანკი ერთსა და იმავე ფქსსნ-ს ანიჭებს სათანადო ფასიანი ქაღალდების ერთსა და იმავე კლასს და, პირიქით, სათანადო ფასიანი ქაღალდების ერთსა და იმავე კლასს – ერთი და იმავე ფქსსნ-ს.
- ეროვნულ ბანკს შეუძლია ფქსსნ მინიჭების განმცხადებლის მოთხოვნით ან მის გარეშე.
- ეროვნული ბანკი ფასიანი ქაღალდს ფქსსნ-ს ანიჭებს ემიტენტის ემისიის პროსპექტის დამტკიცებისას, ხოლო იმ ემიტენტის, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების მიღებისას, თუ ამავე კლასის ფასიანი ქაღალდებს მანამდე ფქსსნ მინიჭებული არ ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ ფქსსნ მანამდე მინიჭებული უკვე ჰქონდა ამავე ფასიანი ქაღალდების კლასს, უკვე მინიჭებული ფქსსნ გამოყენებულ იქნება ამ პროსპექტით ან შეტყობინებით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდებისათვისაც.
- ეროვნული ბანკი კერძო შეთავაზებისათვის განკუთვნილ ფასიან ქაღალდს ფქსსნ-ს ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტი საქართველოში აპირებს ფასიანი ქაღალდების კერძო შეთავაზებას და წინამდებარე წესით განცხადებით მიმართავს ეროვნულ ბანკს ფქსსნ-ს მინიჭების თაობაზე. კერძო შეთავაზებისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსსნ-ის მინიჭება ხორციელდება საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.
- ფქსსნ-ის მინიჭებასთან ერთად ეროვნული ბანკი ფასიანი ქაღალდებს ანიჭებს ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკატორს, აღნიშნული კოდი გადაეგზავნება ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრების სააგენტოთა ასოციაციას.

#### მუხლი 4. ემიტენტის ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსსნ-ს მისანიჭებლად ეროვნულ ბანკში წარსადგენი ინფორმაცია

- ფქსსნ-ის მინიჭებამდე ეროვნული ბანკი დაადგენს, ფასიანი ქაღალდები სათანადოა თუ არა. ამ მიზნისათვის, ეროვნულ ბანკს ემიტენტმა უნდა

მიანოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ემიტენტის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც ის შეიქმნა (დაფუძნდა) და ახორციელებს თავის საქმიანობას, ასევე ცვლილებები ემიტენტის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - ბ) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ან ემიტენტის იურიდიული მისამართის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - გ) ემიტენტის საფირმო სახელწოდება;
  - დ) ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელები, გვარები და თანამდებობა;
  - ე) ემიტენტის იურიდიული მისამართი და ფაქტობრივი მისამართი;
  - ვ) ფასიან ქაღალდებზე ნებისმიერი შეზღუდვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
2. თუ ემიტენტი ფქსსნ-ის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართავს ეროვნულ ბანკს საბოლოო პროსპექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 თვისა და აღნიშნული განცხადებით ის ითხოვს ბოლო პროსპექტით დამტკიცებული ფასიანი ქაღალდებისათვის ნომრის მინიჭებას, მას არ სჭირდება დამატებით იმ ინფორმაციის წარდგენა, რომელიც უკვე მოცემულია აღნიშნულ საბოლოო პროსპექტში.
  3. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს შეუძლია უარი განაცხადოს ფქსსნ-ის მინიჭებაზე.
  4. თუ განმცხადებელი არის ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირი, მაშინ მან დამატებით უნდა წარმოადგინოს ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი თანხმობა, რომ აღნიშნულ პირს ენიჭება უფლება გამოითხოვოს საიდენტიფიკაციო ნომერი.
  5. საქართველოში საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოშვებულია იმ ემიტენტის მიერ, რომლის ფასიანი ქაღალდებიც დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე, არ სჭირდება ეროვნული ბანკის მიერ ხელახლა ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, თუ მათ უკვე გააჩნიათ საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი.
  6. საქართველოში საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები სჭირდება ეროვნული ბანკის მიერ ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, თუ მათი საჯარო შეთავაზება უნდა განახორციელოს ემიტენტმა, რომლის ქაღალდებიც დაშვებულია უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე, მაგრამ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით უშვებს ახალი კლასის ფასიანი ქაღალდების ემისიას, რომელსაც არ გააჩნია საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი. აღნიშნულ შემთხვევაში ეროვნულ ბანკს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელების

შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ინფორმაცია გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შესახებ, კერძოდ, გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების კლასი და რაოდენობა.

7. განცხადების საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს მას და ანიჭებს ფასიან ქაღალდებს საიდენტიფიკაციო ნომერს, თუ წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

## მუხლი 5. ეროვნული ბანკის მიერ ინფორმაციის მოთხოვნა

1. ფქსსნ-ის მინიჭების შესახებ განმცხადებელმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, თუ იგი არის:
  - ა) ემიტენტი, თავის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით;
  - ბ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, იმ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, რომელთა რეგისტრატორულ მომსახურებას ეწევა;
  - გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მესაკუთრე, ფასიანი ქაღალდების იმ კლასთან დაკავშირებით, რომლის 1%-ს ან მეტის რეგისტრირებული მესაკუთრე არის;
  - დ) საბროკერო კომპანია, რომელიც მოქმედებს ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირის ინტერესებისათვის;
  - ე) ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი;
  - ვ) საფონდო ბირჟა;
  - ზ) ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრების სააგენტოთა ასოციაციის წევრი ან პარტნიორი ორგანიზაცია.
2. განმცხადებლის მიერ ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები და მონაცემები შეიძლება წარდგენილ იქნეს როგორც ორიგინალის, ასევე სანოტარო წესით დამოწმებული ასლის სახით.

## მუხლი 6. ფქსსნ-ის ფორმულა ემიტენტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისთვის

1. ფქსსნმინიჭება GE-S-CCC-T-nnnn-k ფორმულის მიხედვით, სადაც:
  - GE= „საქართველოს“ აღმნიშვნელი ორი ანბანური ნიშანი;
  - S= ციფრი 0-დან 9-ის ჩათვლით, რომლითაც განისაზღვრება ფასიანი ქაღალდის ძირითადი სახეები;
  - CCC= ციფრი 0-დან 9-ის ჩათვლით, რომლებითაც განისაზღვრება ფასიანი ქაღალდის ძირითადი ნიშნები;
  - T= ციფრი 0-დან 9-ის ჩათვლით, რომლითაც განისაზღვრება ფასიანი ქაღალდის ვადა ან ხანგრძლივობა;
  - nnnn= ეროვნული ბანკის მიერ თითოეული ემიტენტისათვის მინიჭებული რიგითი ნომერი;
  - k= საკონტროლო ციფრი, რომელიც გამოითვლება „მოდულოს 10 დოუბლე-ადდ-დოუბლე“ ფორ-

- მულის სახით.
- ამ ფორმულაში მოცემული ასოები აღნიშნავენ ადგილს, სადაც ასოები და ციფრები განლაგდება ნომრის მისანიჭებელი ფასიანი ქაღალდების ნიშანთა მიხედვით.
  - „GE“ ასოების ადგილას დაინერება ინგლისური ანბანის ორი ასო „GE“, რაც „საქართველოს“ აღნიშნავს.
  - ასო „S“-ის ადგილას ჩაინერება რომელიმე რიცხვი 0-დან 9-მდე, რომელიც ფასიანი ქაღალდების ძირითად სახეს შემდეგნაირად აღნიშნავს:

ფასიანი ქაღალდის სახე	რიცხვი „S“-ის ადგილზე
აქცია	1
კორპორაციული ობლიგაცია	2
კოლექტიური საინვესტიციო სქემის ფასიანი ქაღალდი	3
ოფციონის ხელშეკრულება	4
ფიუჩერსის ხელშეკრულება	5
ვარანტი	6
სადეპოზიტო ხელწერილი	7
განუსაზღვრელი სახე	8
ადგილობრივი თვითმმართველობის სასესიო ვალდებულება	9
განუსაზღვრელი ნიშანი	0

- „C“ - ის თითოეულ სამ ადგილას ჩაინერება რიცხვი 0-დან 9-მდე, რომელიც მიუთითებს ფასიანი ქაღალდის ძირითად ნიშანზე. ამდენად, შეიძლება აღინიშნოს ფასიანი ქაღალდის სამ ნიშანამდე შემდეგის გათვალისწინებით:

ფასიანი ქაღალდის ნიშნები	რიცხვი თითოეული „C“-ის ადგილზე
ჩვეულებრივი	1
პრივილეგირებული	2
კონვერტირებადი	3
კაპიტალის გარანტიით	4
შემოსავლის გარანტიით	5
საბანკო გარანტიით	6
კუპონით	7
დისკონტით	8
პროსპექტის დამტკიცების გარეშე გამოშვებული ფასიანი ქაღალდი	9
განუსაზღვრელი ნიშანი	0

თუ ფასიანი ქაღალდს აქვს ამ პუნქტში ჩამოთვლილი მახასიათებლების სამზე მეტი ნიშანი, მაშინ ნიშნები ენიჭება რიგითობის მიხედვით დაწყებული ერთიდან დამთავრებული ნულის ჩათვლით.

- „T“- ის ადგილას ჩაინერება ერთი ციფრი 0-დან 9-მდე ფასიანი ქაღალდის ვადის ან ხანგრძლივობის აღსანიშნავად შემდეგის გათვალისწინებით:

ფასიანი ქაღალდის ვადიანობა	რიცხვი „T“-ის ადგილზე
1 თვე ან ნაკლები	1
1 თვეზე მეტი, მაგრამ 3 თვემდე	2
3 თვეზე მეტი, მაგრამ 6 თვემდე	3
6 თვეზე მეტი, მაგრამ 9 თვემდე	4
9 თვეზე მეტი, მაგრამ 1 წლამდე	5
1 წელიწადზე მეტი, მაგრამ 5 წლამდე	6
5 წელიწადზე მეტი, მაგრამ 10 წლამდე	7
10 წელზე მეტი	8
(ჯერ არ არის განსაზღვრული)	9
განუსაზღვრელი ხანგრძლივობა	0

- „noion“-ის ადგილას ჩაინერება ეროვნული ბანკის მიერ თითოეული ემიტენტისათვის მინიჭებული რიგითი ნომერი.
- „K“-ს ადგილას ჩაინერება ერთნიშნა რიცხვი, რომელიც გამოითვლება „მოდულოს 10 დოუბლე-პლუს-დოუბლე“ სახის ფორმულის სტანდარტული საკონტროლო ციფრის გამოყენებით, რაც განისაზღვრება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) 6166:1994 სტანდარტის 1 ტექნიკურ ჩამონათვალში.

### მუხლი 7. ემისიის პროსპექტის, საჯარო ან/და კერძო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის ფორმულა

ემისიის პროსპექტს, საჯარო ან/და კერძო შეთავაზების თაობაზე შეტყობინებას მიენიჭება ნომერი ISIN-R-EE ფორმულის მიხედვით, სადაც:

- ISIN: ფასიანი ქაღალდის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერია;
- R:
  - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ემისიის შემთხვევაში არის 1;
  - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგისა და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ რეგისტრირებული ემისიის შემთხვევაში არის 0;
  - 2003 წლამდე საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ, ხოლო 2003 წლის შემდეგ შესაბამისი უფლებამონაცვლე სამინისტროს მიერ რეგისტრირებული ემისიის შემთხვევაში არის 9;
  - სხვა ქვეყნების შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ რეგისტრირებული ემისიების შემთხვევაში არის 5.
- EE = წარმოადგენს ემისიის რიგით ნომერს კონკრეტული ემიტენტისათვის.

## მუხლი 8. ჩანაწერი და შეტყობინება

1. ეროვნული ბანკი ფქსსნ-ის მინიჭებისთანავე, მას დაუყოვნებლივ შეიტანს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ჩანაწერებში. ადმინისტრაციული წარმოების გასაიოლებლად ეროვნულმა ბანკმა შეიძლება ფქსსნ „GE“ თავსართის გარეშე ჩაწეროს, მაგრამ ამგვარად ჩაწერილი ფქსსნ-ის ნაკითხვა უნდა მოხდეს ისე, როგორც ფქსსნ „GE“ თავსართი.
2. მინიჭებიდან 3 დღის ვადაში ეროვნული ბანკი ფქსსნ-ს აცნობებს მოცემული ფასიანი ქაღალდების ემიტენტს, საქართველოს საფონდო ბირჟას და განმცხადებელს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## მუხლი 9. არსებულ ნომერთა შეცვლა

ახალი ნომრების მისანიჭებლად საჭიროა:

- ა) ეროვნული ბანკის ოფიციალურ ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა, რათა ნაჩვენები იქნეს ძველი ნომრის გაუქმება და მის ნაცვლად ახალი ნომრის მინიჭება;
- ბ) შეტყობინების გაგზავნა მოცემული ფასიანი ქაღალდების გამომშვები ემიტენტისათვის, საქართველოს საფონდო ბირჟისა და იმ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის, რომელიც ამ ფასიანი ქაღალდების რეესტრს აწარმოებს.

### 3.3.16 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი მიზანად ისახავს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის, დაკისრებისა და აღსრულების საკითხების დადგენას.
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში ეროვნული ბანკი) უფლებამოსილია სანქციის სახით გამოიყენოს ფულადი ჯარიმები ამ წესით დადგენილი პირობებით.
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 55<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი დარღვევის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც მითითებული იქნება მისი აღსრულების წესი.
- ფულადი ჯარიმების დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი შესაბამისი პირისათვის გაცნობის მომენტიდან. ჯარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას.
- ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში

მითითებული გასაჩივრების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, ფულადი ჯარიმის იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

- ამ წესის შესაბამისად სანქციის სახით გადახდილი ფულადი ჯარიმის თანხები მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

#### მუხლი 2. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის სანქციის ოდენობა

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის და საბროკერო კომპანიის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებითა და წერილობითი მითითებებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის, პირი შეიძლება დაჯარიმდეს:

- 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით დადგენილ ვადებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობისათვის;
- ამოღებულია
- 300 (სამასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისათვის, იდენტიფიკაციის დადგენილი წესის დაუცველად პირისათვის გარიგების (ოპერაციის) განხორციელების ფაქტის გამოვლენისთვის;
- 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისათვის, შემონგების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესისა და ვადის დაუცველად დაგვიანებით წარდგენისათვის;
- 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისთვის, შემონგების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენისათვის;
- 1000 (ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტისათვის, შემონგების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარუდგენლობის გამოვლენისათვის დარღვევის თითოეული ფაქტისთვის;
- 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისთვის, შემონგების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესისა და ვადის დაუცვე-



ლად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენისათვის;

- თ) 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისთვის, შემონგების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებით ინფორმაციაზე მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენისთვის;
- ი) 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეული ფაქტისთვის, შემონგების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარუდგენლობის გამოვლენისთვის;
- კ) 300 (სამასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტისათვის, მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისთვის;
- ლ) 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გარიგებების (ოპერაციების) სპეციალური პროგრამული საშუალებით აღურიცხაობისთვის.
- მ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, საბროკერო კომპანია ან მათი მმართველი ორგანოს წევრი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების მიღებას და/ან აღნიშნული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების დაცვას დაჯარიმდება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

### მუხლი 3. ფულადი ჯარიმისაგან გათავისუფლება

1. ეროვნული ბანკი, ფასიანი ქაღალდის რეგისტრატორს ან საბროკერო კომპანიას ათავისუფლებს უკვე დაკისრებული და არგადახდილი ფულადი ჯარიმისაგან, ასევე ახალი ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან და გადახდისაგან, თუ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ან საბროკერო კომპანიას გაუუქმდა შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია.
2. განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნულ ბანკს შეუძლია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან საბროკერო კომპანია გაათავისუფლოს ფულადი ჯარიმის დაკისრებისა და გადახდისაგან, თუ ფულადი ჯარიმის გადახდის შედეგად შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ისე გაუარესდეს, რომ საფრთხე შეექმნას მის მომავალ ფუნქციონირებასა და გადახდისუნარიანობას.
3. ამ წესის შესაბამისად ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან და დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდისაგან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და საბროკერო კომპანიის გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

### 3.3.17 საინვესტიციო ფონდების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი განსაზღვრავს საინვესტიციო ფონდის საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) რეგისტრაციის საკითხებს და პირობებს;
- საინვესტიციო ფონდის წესები, რომლის წარმოდგენაც სავალდებულოა საინვესტიციო ფონდის მიერ „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, შედგენილი უნდა იყოს ამ წესის მიხედვით და უნდა მოიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც ამ წესით არის განსაზღვრული.

#### მუხლი 2. საინვესტიციო ფონდის განაცხადი

- საპაიო საინვესტიციო ფონდის სარეგისტრაციო განაცხადში, გარდა „საინვესტიციო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნებისა, მითითებული უნდა იყოს პირი, რომელიც მოქმედებს ფონდის სახელით და თანდართული უნდა იყოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.
- სააქციო საინვესტიციო ფონდმა (მათ შორის ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდმა და კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდმა) სარეგისტრაციო განაცხადთან ერთად დასამტკიცებლად უნდა წარმოადგინოს ემისიის წინასწარი პროსპექტი. ემისიის პროსპექტის წარდგენა უნდა განხორციელდეს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად.
- იმ შემთხვევაში, თუ უკვე რეგისტრირებული ფონდი გადაწყვეტს გარდაიქმნას სხვა სახის ფონდად, მაშინ ის საჭიროებს ხელახალ რეგისტრაციას და ამ წესით გათვალისწინებული იმ დოკუმენტების წარმოდგენას, რომელიც მოეთხოვება ახალი სახის ფონდს რეგისტრაციისათვის.
- დახურული საპაიო ფონდის სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული უნდა იყოს ფონდის მოქმედების ვადა, ანუ ის, თუ რა პერიოდის შემდეგ შეწყვეტს ფონდი საქმიანობას. აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.
- სარეგისტრაციო განაცხადს თან უნდა ერთვოდეს აქტივების მმართველთან დადებული ხელშეკრულების და ასევე, აქტივების მმართველის მიერ დეპოზიტართან დადებული ხელშეკრულების ას-

ლები, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულია დეპოზიტართან ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნა.

- სარეგისტრაციო განაცხადთან ერთად საინვესტიციო ფონდმა უნდა წარმოადგინოს საინვესტიციო დეკლარაცია, რომელიც არის ფონდის მიერ განსაზღვრული საინვესტიციო მიმართულებები.
- ფონდის საქმიანობის პროცესში შესაძლო სამომავლო რისკების გათვალისწინებით შესაძლებელია ეროვნული ბანკის მიერ საინვესტიციო დეკლარაციაში გარკვეული შესწორებების შეტანის და საინვესტიციო მიმართულებების ცვლილების მოთხოვნა.
- გათვითცნობიერებულ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის სარეგისტრაციო განაცხადში მითითებული უნდა იყოს ფონდის საწყისი კაპიტალის ოდენობა და ფონდის მონაწილეთა რაოდენობა.

#### მუხლი 3. საპაიო საინვესტიციო ფონდის წესები

- საპაიო საინვესტიციო ფონდის წესი უნდა განსაზღვრავდეს ურთიერთობას აქტივების მმართველსა და მეპაიებს შორის და ამასთან უნდა მოიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:
  - ფონდის დასახელებას და მითითებას იმაზე, თუ რა სახის საპაიო ფონდს წარმოადგენს ის;
  - ინფორმაციას აქტივების მმართველზე. კერძოდ, მის დასახელებას, მისამართს და საქმიანობის სფეროს იმის მითითებით, თუ რომელ ლიცენზირებულ საფინანსო ინსტიტუტს წარმოადგენს ის;
  - იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობით გათვალისწინებულია დეპოზიტართან ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნა, ინფორმაციას დეპოზიტარის შესახებ. კერძოდ, მის დასახელებას, მისამართს და საქმიანობის სფეროს იმის მითითებით, თუ რომელ ლიცენზირებულ საფინანსო ინსტიტუტს წარმოადგენს ის;
  - ფონდის საინვესტიციო სტრატეგიის აღწერილობას და საინვესტიციო მიმართულებებს; საინვესტიციო პოლიტიკის გატარების დროს არსებულ შეზღუდვებს, იმ გეოგრაფიული არეალის ან/და მიმართულების შესახებ ინფორმაციას, რომელშიც მოხდება ინვესტირების განხორციელება;
  - ფონდში განწევრიანების პირობებს და პროცედურას;
  - პაის განთავსების ან/და უკან გამოსყიდვის პროცედურას და პირობებს. ასევე, ფონდის მეპაიეთა უფლებებს და ვალდებულებებს;
  - პაის გაცემის ან/და გამოსყიდვის ფასის დადგენის წესს;
  - პაის ღირებულების დადგენის წესს, გამოთვლის მეთოდებს და პერიოდულობას;
  - ინფორმაციას იმ ოპერაციების შესახებ, რომელსაც განახორციელებს აქტივების მმართველი ფონდის სასარგებლოდ; ასევე, აქტივების მმართველის უფლებებს და ვალდებულებებს;
  - იმ ხარჯების ამომწურავ ჩამონათვალს და ოდენობას, რომლებზეც შეიძლება იქნეს მიმართული ფონდის სახსრები. აქტივების მმართველის და დეპოზიტარის მომსახურების საფასურის ოდენობას, გადახდის წესს და პერიოდულობას;

- ლ) აქტივების მმართველის ან/და დეპოზიტარის შეცვლის წესს და პირობებს;
  - მ) იმ ფონდებში, რომელსაც კანონის შესაბამისად აქვს უფლება შეაჩეროს პაის განთავსება, პაის განთავსების შეჩერების წესს და პირობებს;
  - ნ) ფონდის წესების შეცვლის წესს და პირობებს.
  - ო) ფონდის აქტივების მართვით მიღებული მინიმალური საინვესტიციო მოგების ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - პ) საინვესტიციო ფონდების შესახებ ინფორმაციის გაცემის პროცედურას;
  - ჟ) ფონდის საქმიანობის შეწყვეტის წესსა და პირობებს.
2. მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში მითითებული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ფონდის აქტივების მართვასთან შესაძლებელია გაღებულ იქნეს საინვესტიციო ფონდის აქტივებიდან.

#### მუხლი 4. სააქციო საინვესტიციო ფონდის წესები

1. სააქციო საინვესტიციო ფონდის წესი უნდა მოიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:
  - ა) ფონდის სახელს და მითითებას იმაზე, თუ რა სახის სააქციო საინვესტიციო ფონდს წარმოადგენს ის.
  - ბ) ინფორმაციას აქტივების მმართველზე, კერძოდ მის დასახელებას, მისამართს და საქმიანობის სფეროს იმის მითითებით, თუ რომელ ლიცენზირებულ საფინანსო ინსტიტუტს წარმოადგენს ის;
  - გ) ინფორმაციას დეპოზიტარის შესახებ. კერძოდ მის დასახელებას, მისამართს და საქმიანობის სფეროს იმის მითითებით, თუ რომელ ლიცენზირებულ საფინანსო ინსტიტუტს წარმოადგენს ის;
  - დ) ფონდის საინვესტიციო სტრატეგიის აღწერილობას და საინვესტიციო მიმართულებებს; საინვესტიციო პოლიტიკის გატარების დროს არსებულ შეზღუდვებს, იმ გეოგრაფიული არეალის ან/და მიმართულების შესახებ ინფორმაციას, რომელშიც მოხდება ინვესტირების განხორციელება;
  - ე) ინფორმაციას იმაზე, თუ რა ტიპის და კატეგორიის ინვესტორებზეა ფონდის სამომავლო საქმიანობა გათვლილი და ვინ შეიძლება პოტენციურად დაინტერესდეს ფონდში მონაწილეობით;
  - ვ) იმ რისკების დეტალურ აღწერას, რომელიც ფონდის საქმიანობას შეიძლება უკავშირდებოდეს;
  - ზ) აქტივების მმართველის და დეპოზიტარის მომსახურების საფასურის ოდენობას, გადახდის წესს და პერიოდულობას.
2. სააქციო საინვესტიციო ფონდის წესები, საინვესტიციო დეკლარაცია და აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

#### მუხლი 5. საინვესტიციო ფონდის წესებში ცვლილებების შეტანა

1. იმ შემთხვევაში თუ ფონდი, მისი საქმიანობის პერიოდში გადაწყვეტს შეცვალოს წესები ან მისი რომელიმე ნაწილი, ან/და საინვესტიციო დეკლარაცია, მეპაიებზე, აქციონერებზე, ან/და ინ-

ვესტორებზე ახალი წესების და დეკლარაციის გავრცელებამდე, ის ვალდებულია აცნობოს ეროვნულ ბანკს ცვლილებების შესახებ და ამ უკანასკნელისგან მიიღოს თანხმობა ცვლილების განხორციელებისთვის.

2. ეროვნული ბანკი საინვესტიციო ფონდის წესის ან საინვესტიციო დეკლარაციის ცვლილებას განიხილავს მისი მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში და ადასტურებს ცვლილებას, ან უარს ამბობს წესში ან/და საინვესტიციო დეკლარაციაში ცვლილების შეტანაზე.
3. სააქციო საინვესტიციო ფონდი, დამტკიცებულ პროსპექტში ცვლილების შეტანის დროს, მოქმედებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

#### მუხლი 6. საინვესტიციო ფონდის რეგისტრაციის გაუქმება

1. რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:
  - ა) საინვესტიციო ფონდის წამომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადება რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე;
  - ბ) ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი სიყალბე;
  - გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე;
  - დ) საინვესტიციო ფონდი არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობითა და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობით მითითებებს.
2. სააქციო საინვესტიციო ფონდის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, სააქციო საზოგადოება ინარჩუნებს ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსს.

### 3.3.18 ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მომსახურების გაწევის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი განსაზღვრავს:

- ა) მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მქონე ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის (შემდგომში – ცენტრალური დეპოზიტარის) ლიცენზიის მისაღებად, სალიცენზიო განცხადების ფორმასა და წარდგენის პროცედურას;
- ბ) მოთხოვნებს ცენტრალური დეპოზიტარის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის მიმართ;
- გ) ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ანგარიშის შედგენის, საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) წარმოდგენის პერიოდულობასა და პროცედურებს;
- დ) ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის საქმიანობის განხორციელების პირობებს;
- ე) ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურების წესს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 1. ამ წესის მიზნებისთვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - ა) დეპოზიტარული მომსახურება – ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების აღრიცხვა და შენახვა, მათზე დეპონენტების უფლებების ფიქსირება და დადასტურება, აგრეთვე ამ უფლებების დატვირთვის და შეზღუდვის აღრიცხვა;
  - ბ) დეპონენტი – ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების მფლობელი, რომელიც ხსნის, ფლობს და განკარგავს ანგარიშს, რომელზეც აღრიცხება მისი ან/და მისი კლიენტის ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები;
  - გ) ცენტრალური დეპოზიტარი – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია, რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის დავალებით აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური კლირინგი და ანგარიშსწორება, აგრეთვე განახორციელოს სპეციალიზებული დეპოზიტარის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული სხვა

- დ) მომსახურება;
- დ) კასტოდიანური მომსახურება – მომსახურება, რომელიც მოიცავს აქტივების, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას და შენახვას, ინვესტირებას ანგარიშსწორების განხორციელებას მათი მეშვეობით, შემოსავლის მიღებას, ჩანაწერების წარმოებასა და ანგარიშგებას და მეურვეობის უფლებით;
- ე) ანგარიშსწორება – ფასიანი ქაღალდების გადაცემის ბოლო ეტაპი, რის შედეგადაც ხდება საკუთრების უფლების გადაცემა შესაბამის ფულად სახსრებზე და/ან ფასიანი ქაღალდებზე;
- ვ) ცენტრალური კლირინგი – ფასიანი ქაღალდებზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორებამდე ჩასატარებელი პროცედურები. ცენტრალური კლირინგი შეიძლება მოიცავდეს მონაწილე მხარეების წმინდა პოზიციების დადგენას და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას ანგარიშსწორებისათვის;
- ზ) საკორესპოდენტო ანგარიში – ანგარიში, რომელიც ეხსნება დეპოზიტარს და განკუთვნილია მისი უფლებების დასაფიქსირებლად და დეპონენტების ანგარიშებზე არსებულ შესაბამის ფასიანი ქაღალდებზე და ფულად სახსრებზე ანგარიშსწორებისათვის;
- თ) მიწოდება გადახდის სანაცვლოდ – ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაზე გარიგების შესრულების მეთოდი, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ ან სრულად იქნება გადახდილი ფული და გადარიცხული შესაბამისი ფასიანი ქაღალდები ან არ მოხდება არც ერთი და არც მეორე;
- ი) ქართული დეპოზიტარული ხელწერილი – შესაბამისი უფლებამოსილების მქონე რეზიდენტი დეპოზიტარის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ადასტურებენ უფლებებს გარკვეული რაოდენობის ფასიანი ქაღალდებზე, რომლებიც გამოშვებულია არარეზიდენტი ემიტენტის მიერ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;
- კ) დეკლარაცია – ლიცენზიის მქონე მმართველი ორგანოს წევრის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სპეციალური ფორმა, რომელიც ასახავს ლიცენზიის მქონე მმართველი ორგანოს წევრის შესაბამისობას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – „კანონი“) დადგენილ მოთხოვნებთან;
- ლ) აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება – „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს“ მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება, რომელიც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- 2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.

#### მუხლი 3. ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობები

- 1. ლიცენზიის მქონე მმართველი ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის მიღების მიზნით ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით (დანართი N1),

რომელსაც „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა, თან უნდა დაურთოს ამ წესით განსაზღვრული და შევსებული დეკლარაცია (დანართი N2) (თანდართული დეკლარაციის ფორმა ლიცენზიის მაძიებლის მიერ უნდა იქნას შევსებული სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი არ განიხილავს სალიცენზიო განცხადებას) აგრეთვე სხვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, კერძოდ:

- ა) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს ჩამორთმეული არ აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება. მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევ ეკონომიკური დანაშაულისთვის. ასევე, მათ ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ ჰქონდათ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევისთვის;
  - გ) მნიშვნელოვანი წილის (10% და მეტის) მფლობელი პარტნიორების (აქციონერთა) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა;
  - დ) ინფორმაცია საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ, რაც დადასტურება აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებით;
  - ე) ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ახალი). თუ ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არა უგვიანეს ნახევარი წლისა, წარადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებულ მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებას;
  - ვ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.8) ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი წესდება, შინაგანაწესი და წესები;
  - ზ) ხელმძღვანელ პირთა სახელები, მისამართები და პროფესიული გამოცდილების აღწერა;
  - თ) იმ თანამშრომელთა სახელები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და ცენტრალური დეპოზიტარის (დეპოზიტარის) მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობაზე.
2. ლიცენზიის მაძიებლის ტექნიკური აღჭურვილობა უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ შემდეგ მოთხოვნებს:
- ა) უნდა ჰქონდეს ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. სალიცენზიო განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ის პირობა, რომ ლიცენზიის მაძიებელი ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის საქმიანობის განხორციელების დროს გამოიყენებს იმ პროგრამას, რომელსაც ის ეროვნულ ბანკში წარადგენს ლიცენზიის მიღებამდე;

- ბ) აღჭურვილი უნდა იყოს სერვერით ან ცენტრალური კომპიუტერით, რომელსაც აქვს დაცული წვდომა სისტემასთან, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ტრანზაქცია.
3. ლიცენზიის მაძიებელ კომპანიას წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან და ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის ფლობის ყველა ეტაპზე უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) გახსნილ ანგარიშებზე ჯამურად არანაკლებ მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით.
4. ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენისას ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან (დაწესებულებებიდან) ამ წესით განსაზღვრული მინიმალური ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების თაობაზე.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესასრულებლად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) გახსნილ ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომელთა მიმართაც გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებები და ღონისძიებები.
6. იურიდიული პირები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვთ უფლება განახორციელონ ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა მათთვის გაცემული სხვა ლიცენზიის საფუძველზე, ვალდებული არიან ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე ან/და დასრულებამდე არა უგვიანეს 15 დღისა წერილობით აცნობონ აღნიშნული ფაქტის შესახებ ეროვნულ ბანკს.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელების დროს უნდა იხელმძღვანელონ ამ წესითა და ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით. ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელების დროს მათზე გავრცელდება ყველა ის მოთხოვნა და ვალდებულება, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს ცენტრალური დეპოზიტარის მიმართ.

**მუხლი 4. ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის საქმიანობის განხორციელების პირობები**

1. ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის შეთავსების შემთხვევაში ლიცენზია გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.
2. ცენტრალურმა დეპოზიტარმა ფასიანი ქაღალდების რეესტრი უნდა აწარმოოს კანონისა და

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

## მუხლი 5. ფინანსური მოთხოვნები

1. ცენტრალური დეპოზიტარის საკუთარი კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კაპიტალის ოდენობის გაანგარიშება უნდა მოხდეს საანგარიშგებო წლისათვის ძალაში მყოფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ინტერპრეტაციების (ფაისკ) მიხედვით.
3. ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია, საანგარიშო წლის ყოველი კვარტალის დასრულებიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვისა წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს საბანკო დანესებულების (დანესებულებების) მიერ დადასტურებული კვარტალური ამონაწერი ყოველდღიური ნაშთების შესახებ იმ ანგარიშიდან (ანგარიშებიდან), რომელზეც განთავსებულია ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოდენობა ან ცნობა საბანკო დანესებულებიდან (დანესებულებებიდან), რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო დანესებულების ბლანკზე და მითითებული უნდა იყოს კვარტალის განმავლობაში ამ ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული მინიმალური ნაშთის ოდენობა (ამ წესის დანართ N3-ში მოცემული ფორმის შესაბამისად).

## მუხლი 6. ლიცენზიის გაცემა და გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ლიცენზიის გაცემა ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
2. ლიცენზია არ გაიცემა, თუ:
  - ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;
  - ბ) ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;
  - გ) ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.
3. ეროვნული ბანკი ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის მაძიებლის განცხადების წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
4. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი ლიცენზიის მაძიებელს.

## მუხლი 7. ლიცენზიის გაუქმება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავითა და კანონის 31-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გაუქმოს ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია.
2. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელი არ ასრულებს ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობებს, ან ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ეროვნული ბანკი აფრთხილებს ლიცენზიის მფლობელს და უწესებს ვადას არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებები.
3. თუ ლიცენზიის მფლობელი ვერ შეძლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გააუქმოს ლიცენზია. ლიცენზიის გაუქმების საფუძველს ასევე წარმოადგენს:
  - ა) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა, რომელსაც იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი წესით წარუდგენს ეროვნულ ბანკს;
  - ბ) ლიცენზიის მფლობელის ლიკვიდაცია;
  - გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.
4. ლიცენზიის გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის გაუქმების საფუძვლის აღმოჩენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
5. ეროვნული ბანკი ვალდებულია ლიცენზიის მფლობელს დაუყოვნებლივ აცნობოს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
6. ეროვნულ ბანკს სალიცენზიო მონშობა უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

## მუხლი 8. ცენტრალური დეპოზიტარის მირ ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი ანგარიშგება

1. ყოველი კალენდარული წლის დამთავრებიდან 1 თვის ვადაში ცენტრალურმა დეპოზიტარმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს და ეროვნულ ბანკში წარდგენისთანავე თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს:
  - ა) ცენტრალური დეპოზიტარის აქციონერთა (პარტნიორთა) სია;
  - ბ) კრებისთი ინფორმაცია ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და თანხის შესახებ;

- გ) ინფორმაცია ჩატარებული ოპერაციების რაოდენობისა და დინამიკის შესახებ;
- დ) ინფორმაცია დეპოზიტარში გახსნილი და დახურული ანგარიშების შესახებ.
- 2. ცენტრალურმა დეპოზიტარმა ყოველწლიურად ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს შესაბამისი კალენდარული წლის აუდიტებული წლიური ფინანსური ანგარიშგება, წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა.
- 3. წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ უნდა იქნეს საანგარიშგებო წლისათვის ძალაში მყოფი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ინტერპრეტაციების (ფაისკ) მიხედვით.
- 4. ცენტრალურმა დეპოზიტარმა წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება ელექტრონულად წარმოდგენილი უნდა იქნას Excel-ისა და PDF-ის ფორმატში. ამასთან, ორივე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს იდენტური. ფორმებს შორის განსხვავების აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მატერიალიზებულ ფორმას. ანგარიშგებაში შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს გამოიყენოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები და/ან საფონდო ბირჟას მოსთხოვოს შეცდომების გამოსწორება.
- 5. პასუხისმგებლობა წლიური ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენაზე ეკისრებათ კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს.
- 6. წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს:
  - ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საბალანსო უწყისი);
  - ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგება (მოგება-ზარალის უწყისი);
  - გ) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
  - დ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
  - ე) ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.
- 7. ცენტრალური დეპოზიტარის მიერ PDF ფორმატში წარმოდგენილ წლიურ აუდიტებულ ანგარიშგებას ეროვნული ბანკი აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. ეროვნულმა ბანკმა არ უნდა გამოაქვეყნოს ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერ კონფიდენციალურად იქნება ცნობილი ცენტრალური დეპოზიტარის მოთხოვნის საფუძველზე.
- 8. ცენტრალურმა დეპოზიტარმა თავისი აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება ეროვნულ ბანკში წარდგენისთანავე უნდა გამოაქვეყნოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე, ეროვნული ბანკის მიერ კონფიდენციალურად ცნობილი ინფორმაციის გარდა.
- 9. ცენტრალურმა დეპოზიტარმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მიმდინარე შეტყობინება ამ პუნქტში ჩამოთვლილი მოვლენის დადგომიდან

- არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა:
  - ა) ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ;
  - ბ) ცენტრალური დეპოზიტარის წესების შეცვლის, ახალი წესების მიღების ან მოქმედი წესების გაუქმების შესახებ;
  - გ) აქციათა კონტროლთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ;
  - დ) ეროვნულ ბანკში უკანასკნელად წარდგენილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული კაპიტალის 10%-ის და მეტი ღირებულების იმ აქტივების შეძენის ან გასხვისების შესახებ;
  - ე) გაკოტრების საქმის აღძვრის, გაკოტრების დასრულების და რეაბილიტაციის, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრის შესახებ;
  - ვ) აუდიტორის ცვლილების შესახებ;
  - ზ) ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოს წევრების ცვლილებების შესახებ.
- 10. ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშგებას ხელს აწერს ცენტრალური დეპოზიტარის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

### მუხლი 9. ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურების სახეები

1. ცენტრალური დეპოზიტარი უნდა ახორციელებდეს შემდეგ ძირითად მომსახურებას:
  - ა) ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების აღრიცხვასა და შენახვას, დეპონენტთა უფლებების დაფიქსირებას და დადასტურებას;
  - ბ) ფასიანი ქაღალდებით გარიგებების კლირინგსა და ანგარიშსწორებას.
2. ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი სახის დამატებითი მომსახურებები:
  - ა) კასტოდინური მომსახურების განევა რეზიდენტი და არარეზიდენტი დეპონენტებისათვის როგორც უცხოურ, ასევე ეროვნულ ფასიან ქაღალდებზე და ფულად სახსრებზე;
  - ბ) დეპოზიტარული მომსახურება ყველა იმ ფასიანი ქაღალდების მიმართ, რომლებიც დაშვებულია ცენტრალურ დეპოზიტარში;
  - გ) სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი ფასიანი ქაღალდების შენახვა;
  - დ) ფასიანი ქაღალდების მფლობელების რეგისტრების წარმოება, ასევე კლიენტების ანგარიშების მართვა ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად;
  - ე) სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურება საპენსიო ფონდებისათვის;
  - ვ) ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაცემთა სისტემატიზებული ბაზის წარმოება. ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და წარდგენა ემიტენტების ფასიანი ქაღალდების გამოშვების, კორპორაციული ქმედებების, ემიტენტებთან დაკავშირებული არსებითი ფაქტების და მოვლენების, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტატისტიკური მონაცემების თაობაზე;
  - ზ) ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორებთან შეთანხმებით ცენტრალური დეპოზიტარის მიერ რეგისტრატორების მონაცემთა ბაზე-

ბისა და სხვა ინფორმაციის სარეზერვო ასლების შენახვა.


## მუხლი 10. ცენტრალური დეპოზიტარის უფლებამოსილებანი

1. ანგარიშების გახსნისა და წარმოებისათვის ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია:
  - ა) გახსნას ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში) ანგარიშები, მათ შორის, ფასიანი ქაღალდებით გარიგებების კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის;
  - ბ) გაუხსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები რეზიდენტ დეპოზიტარებს, აგრეთვე სხვა რეზიდენტებს, რომლებისთვისაც დასაშვებია ანგარიშების გახსნა ცენტრალურ დეპოზიტარში. განახორციელოს ამ ანგარიშების წარმოება;
  - გ) გაუხსნას საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ქვეყნების ცენტრალურ დეპოზიტარებს და საერთაშორისო დეპოზიტარულ-საკლირინგო ორგანიზაციებს და განახორციელოს ამ ანგარიშების წარმოება. აგრეთვე გახსნას ფულადი სახსრების ანგარიშები მოთხოვნილ ვალუტაში დეპოზიტარული და საანგარიშსწორებო ოპერაციების განსახორციელებლად;
  - დ) გახსნას საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ქვეყნების ცენტრალურ დეპოზიტარებში და საერთაშორისო საკლირინგო-სადეპოზიტო ორგანიზაციებში, აგრეთვე გახსნას ფულადი სახსრების ანგარიშები მოთხოვნილ ვალუტაში დეპოზიტარული და საანგარიშსწორებო ოპერაციების განსახორციელებლად;
  - ე) გახსნას საკორესპონდენტო და სხვა ანგარიშები სხვა არრეზიდენტ ორგანიზაციებში, რომლებიც აწარმოებენ ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს თავისი კლიენტებისათვის, ასევე გაუხსნას საკორესპონდენტო და სხვა ანგარიშები ასეთ ორგანიზაციებს, თუ დაშვებულია ასეთი ორგანიზაციებისათვის ანგარიშების გახსნა ცენტრალურ დეპოზიტარში და განახორციელოს ამ ანგარიშების წარმოება;
  - ვ) მოსთხოვოს ანგარიშის მფლობელებს გახსნა ფულადი სახსრების ანგარიშები მის მიერ შეთავაზებულ ბანკებში.
2. კლირინგისა და ანგარიშსწორების განხორციელებისას ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია:
  - ა) განახორციელოს კლირინგი და ანგარიშსწორება ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ბაზარზე დადებული გარიგებების შედეგების მიხედვით;
  - ბ) განახორციელოს კლირინგი და ანგარიშსწორება არაორგანიზებულ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დადებული გარიგებების საფუძველზე;
  - გ) უზრუნველყოს – „მოწოდება გადახდის სანაცვლოდ“ – რეჟიმის გამოყენების შესაძლებლობა ორგანიზებული და არაორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დადებული გარიგებებისას;
  - დ) უზრუნველყოს ანგარიშსწორების სისტემა „მიწოდება გადახდის სანაცვლოდ“ რეალური დროის

რეჟიმში, აგრეთვე ანგარიშსწორების ალტერნატიული სისტემა გარიგების დადების მომენტიდან ერთი დღის ან გარიგების პირობებით გათვალისწინებულ სხვა ვადაში.

3. ფასიანი ქაღალდების სესხების, გირავნობისა და რეპო ოპერაციების განხორციელებისას ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია:
  - ა) უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების სესხების სისტემის ჩამოყალიბება დადებული გარიგებების შესრულების გარანტიის მიზნით;
  - ბ) გამოვიდეს როგორც, მესამე მხარე, გირავნობის ოპერაციების, სამხრავი რეპო გარიგებებისა და სხვა აუცილებელ შემთხვევებში გარიგებების პირობების შესრულების გარანტიად.
4. ქართული დეპოზიტარული ხელწერილების მიმართ ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია:
  - ა) განახორციელოს ქართული დეპოზიტარული ხელწერილების ემისია და მათი დეპოზიტარული მომსახურება;
  - ბ) აწარმოოს ქართული დეპოზიტარული ხელწერილებისა და სხვა წარმოებული ფასიანი ქაღალდების გამოშვების უზრუნველსაყოფად დეპონირებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა და შენახვა.
5. ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ფუნქციების განხორციელებისას, უფლებამოსილია უზრუნველყოს კორპორაციული ქმედებების ეფექტური შესრულება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სტანდარტების საფუძველზე, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების განთავსებისას, ფასიანი ქაღალდებზე დივიდენდების გადახდისას, ფასიანი ქაღალდების დაფარვისას, ფასიანი ქაღალდების მფლობელების რეესტრების შედგენისას რეგისტრატორთან ან ემიტენტთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.
6. სტანდარტების გავრცელების, სტატისტიკისა და კონსულტაციების განხორციელებისას ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია:
  - ა) გაავრცელოს დეპოზიტარული მომსახურების წარმოების საერთაშორისო სტანდარტები;
  - ბ) განახორციელოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დეპოზიტარული მომსახურების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, შენახვა და გავრცელება; აწარმოოს საკონსულტაციო საქმიანობა დეპოზიტარული მომსახურების სფეროში.
  - გ)



 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის სალიცენზიო განცხადების ფორმა  Central Depository Licence Application Form	დამოწმებულია სგ-ის მიერ No. <input type="text"/> Approved by NGB No. <input type="text"/>
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/>		
<b>1. ადმინისტრაციული ორგანო / ADMINISTRATIVE BODY</b>		
ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება /Name of Administrative body <input style="width: 90%;" type="text"/>		
<b>2. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ / INFORMATION ABOUT APPLICANT</b>		
კომპანიის სახელწოდება/Company's Name <input style="width: 90%;" type="text"/>		
რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address <input style="width: 90%;" type="text"/>		
ტელეფონი/Phone Number <input style="width: 200px;" type="text"/>		
ფაქსი/Fax Number <input style="width: 200px;" type="text"/>		
ელ.ფოსტა/E-mail <input style="width: 200px;" type="text"/>		
ვებ-გვერდი/Web Site <input style="width: 200px;" type="text"/>		
<b>3. მოთხოვნა/Demand</b>		
<b>4. ინფორმაცია განმცხადებლის საკუთარი კაპიტალის შესახებ / INFORMATION ABOUT APPLICANT'S CHARTERED CAPITAL</b>		
საკუთარი კაპიტალის ოდენობა/Amount of the Chartered Capital <input style="width: 80%;" type="text"/>		
<b>5. ინფორმაცია განმცხადებლის მმართველი ორგანოს წევრების შესახებ / INFORMATION ABOUT THE MEMBERS OF THE APPLICANT'S MANAGING BODY</b>		
სახელი, გვარი/First Name, Last Name <input style="width: 90%;" type="text"/>		
დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY) <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/>		
პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:		
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document:		
პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number		
გაცემის თარიღი/Date of Issuance (DD/MM/YYYY)		
გაცემის ადგილი/Place of Issuance		
პოზიცია კომპანიაში/Position in the Company		
პასპორტი / Passport <input type="checkbox"/> პირადობის მოწმობა / ID card <input type="checkbox"/> სხვა / Other <input type="checkbox"/>		
სერია / Series <input style="width: 50px;" type="text"/>		
მოქმედების ვადა / Expiration Date <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/>		
<b>6. ინფორმაცია განმცხადებლის აქციონერების/პარტნიორების ვინაობის შესახებ, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ მნიშვნელოვან წილს (10%-ს ან მეტს) / INFORMATION ABOUT APPLICANT'S</b>		
სახელი, გვარი ან დასახელება /First Name, Last Name or Name <input style="width: 90%;" type="text"/>		
დაბადების თარიღი ან რეგისტრაციის თარიღი/Date of Birth or Date of registration <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/>		
საიდენტიფიკაციო მონაცემები/Identification details:		
საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, პასპორტი, პირ. მოწმობა ა.შ./Type of identification Document:		
პასპორტის (პირადობის მოწმობის) ან რეგისტრაციის ნომერი/Passport (or ID Card) or registration Number		
გაცემის ან რეგისტრაციის თარიღი/Date of Issuance or registration(DD/MM/YYYY)		
გაცემის ან რეგისტრაციის ადგილი/Place of Issuance or registration		
პოზიცია კომპანიაში/Position in the Company		
პასპორტი / Passport <input type="checkbox"/> პირადობის მოწმობა / ID card <input type="checkbox"/> სხვა / Other <input type="checkbox"/>		
სერია ან რეგისტრაციის ნომერი/Series or registration number		
მოქმედების ვადა / Expiration Date <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/>		
<b>7. პროგრამული უზრუნველყოფა/SOFTWARE</b>		
განმცხადებელი საქმიანობაში გამოიყენებს იმ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც წარუდგინა ადმინისტრაციულ ორგანოს		
During the activity the applicant will use that software which was presented to Administrative body		
დიახ/Yes <input type="checkbox"/> არა/No <input type="checkbox"/>		
<b>8. დანართების ჩამონათვალი / LIST OF APPENDIXES</b>		
განმცხადებელი მოითხოვს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიას/Aplicant postulate to registrarlicense obtention		
განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები/Application form must be attached with the following annexes enclosed:		
თანდართულია/Enclosed <input type="checkbox"/> ხელმოუწოდებელია/Not available <input type="checkbox"/>		
ა. ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის ან მიმდინარე აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება (არაუგვიანეს ნახევარი წლისა კომპანიის დაფუძნებიდან)		
a. Last year's, last 6 months or current Audited FS (not later than 6 months after the foundation)		
ბ. სხვა თანდართული დოკუმენტაცია/b. Other enclosed documentation		
<input style="width: 80%;" type="text"/>		
<b>ხელმოწერა / SIGNATURE</b>		
<input style="width: 80%;" type="text"/>		
თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/> / <input style="width: 20px;" type="text"/>		



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

დამოწმებულია სგ-ის მიერ  
No. [ ]  
Approved by NBG  
No. [ ]

კომპანიის მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლების, ბოლო 5 წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისა და ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური დანაშაულისათვის ნასამართლეობის შესახებ

დეკლარაციის ფორმა

Declaration Form

Concerning the right to be a member of the company's managing body, being subject to administrative sanctions for gross violations of the legislation on securities during past 5 years and being convicted for economic crime during past 10 years

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ]

**1. ინფორმაცია მმართველ ორგანოში მონაწილე პირის შესახებ / INFORMATION ABOUT COMPANY'S MANAGING BODY MEMBER**

სახელი, გვარი/First Name, Last Name [ ]  
 დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ]  
 პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:  
 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document: პასპორტი / Passport  პირადობის მოწმობა / ID card  სხვა / Other   
 პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number [ ] სერია / Series [ ]  
 გაცემის თარიღი/Date of Issuance (DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ] მოქმედების ვადა / Expiration Date [ ]/[ ]/[ ]  
 გაცემის ადგილი/Place of Issuance [ ]  
 დეკლარანტის პოზიცია კომპანიაში/Declarant's position in the Company [ ]  
 კომპანიის სახელწოდება/Company's Name [ ]  
 რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address [ ]  
 ტელეფონი/Phone Number [ ]  
 ელ.ფოსტა/E-mail [ ]  
 ვებ-გვერდი/Web Site [ ]

**2. დეკლარანტის მდგომარეობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებასთან მიმართებაში / INFORMATION ON APPLICANT CONCERNING ADMINISTRATIVE SANCTIONS FOR GROSS VIOLATIONS OF THE LEGISLATION ON SECURITIES**

დაკისრებული აქვს/Had been sanctioned  დაკისრების თარიღი [ ]/[ ]/[ ] Date of Sanction (DD/MM/YYYY)  
 დაკისრებული არ აქვს/Had not been sanctioned

**3. დეკლარანტის მდგომარეობა ეკონომიკური დანაშაულისათვის ნასამართლეობასთან მიმართებაში / INFORMATION ON APPLICANT CONCERNING CONVICTION FOR ECONOMIC CRIME**

ნასამართლევია/Had been convicted  დაკისრების თარიღი [ ]/[ ]/[ ] Date of Conviction (DD/MM/YYYY)  
 არ არის ნასამართლევი/Had not been convicted

**4. დეკლარანტის მდგომარეობა კომპანიის მმართველ ორგანოში მისი მონაწილეობის უფლებასთან მიმართებაში / INFORMATION ABOUT APPLICANT CONCERNING HIS RIGHT TO BE A MEMBER OF THE COMPANY'S MANAGING BODY**

ჩამორთმეული აქვს/Has been deprived   
 ჩამორთმეული არ აქვს/ Has not been deprived

**ხელმოწერა / SIGNATURE**  
 [ ] თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) [ ]/[ ]/[ ]

# დანართი N3

## ცნობა

### კვარტალის განმავლობაში ცენტრალური დეკოვიტარის ანგარიშზე არსებული მინიმალური ნაშთის ოდენობის შესახებ

ცნობა ეძლევა \_\_\_\_\_ მასზე, რომ 201 — წლის \_\_\_\_\_ დან  
ორგანიზაციის დასახელება

201 — წლის \_\_\_\_\_ მდე მის ანგარიშზე N \_\_\_\_\_ მინიმალური ნაშთის ოდენობა

შეადგენდა \_\_\_\_\_ ლარს.

ცნობა ეძლევა საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენად.

\_\_\_\_\_ უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა

\_\_\_\_\_ ხელმოწერა

### 3.3.19 საფონდო ბირჟის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი განსაზღვრავს:

- ა) მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მაძიებელი საფონდო ბირჟის ლიცენზიის მისაღებად, სალიცენზიო განცხადების ფორმასა და წარდგენის პროცედურას;
- ბ) მოთხოვნებს საფონდო ბირჟის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის მიმართ;
- გ) საფონდო ბირჟის მიერ ანგარიშის შედგენის, საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – „ეროვნული ბანკი“) წარმოდგენის პერიოდულობასა და პროცედურებს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- 1. ამ წესის მიზნებისთვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:
  - ა) დეკლარაცია – ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სპეციალური ფორმა, რომელიც ასახავს ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრის შესაბამისობას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – კანონი) დადგენილ მოთხოვნებთან;
  - ბ) აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება – „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება, რომელიც აუდიტებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- 3. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.

#### მუხლი 3. საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობები

- 1. ლიცენზიის მაძიებელმა საფონდო ბირჟის ლიცენზიის მიღების მიზნით ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით (დანართი N1) და თან უნდა დაურთოს ამ წესით განსაზღვრული და შევსებული დეკლარაცია (დანართი N2) (თანდართული დეკლარაციის ფორმა ლიცენზიის მაძიებლის მიერ უნდა იქნას შევსებული სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი არ განიხილავს სალიცენზიო განცხადებას) აგრეთვე სხვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, კერძოდ:
  - ა) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიცენზიის მაძიებ-

- ბლის მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს ჩამორთმეული არ აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება. მისი მმართველი ორგანოს არცერთი წევრი ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისთვის. ასევე მათ ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონდათ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევისთვის (დანართი N2);
  - გ) მნიშვნელოვანი წილის (10% და მეტის) მფლობელი პარტნიორების (აქციონერთა) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა;
  - დ) ინფორმაცია საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ, რაც დადასტურებულია აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებით;
  - ე) ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ახალი). თუ, ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არა უგვიანეს ნახევარი წლისა, წარადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებულ მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებას;
  - ვ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
2. ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი წესდება, შინაგანაწესი და წესები, რომლებიც:
- ა) მოიცავს საფონდო ბირჟის წევრობის, სავაჭრო, სავაჭროდ დასაშვებ, უთანხმოებათა მოგვარებისა და სხვა წესებს;
  - ბ) მოითხოვს სამართლიან, კეთილგონივრულ და თანასწორუფლებიან დამოკიდებულებას საფონდო ბირჟის ყველა წევრისა თუ წევრობის კანდიდატისადმი.
3. ლიცენზიის მაძიებლის ტექნიკური აღჭურვილობა უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ შემდეგ მოთხოვნებს:
- ა) უნდა ჰქონდეს საფონდო ბირჟის საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. სალიცენზიო განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ის პირობა, რომ ლიცენზიის მაძიებელი საფონდო ბირჟის ლიცენზიის საქმიანობის განხორციელების დროს გამოიყენებს იმ პროგრამას, რომელსაც ის ეროვნულ ბანკში წარადგენს ლიცენზიის მიღებამდე;
  - ბ) აღჭურვილი უნდა იყოს სერვერით ან ცენტრალური კომპიუტერით, რომელსაც აქვს დაცული წვდომა სისტემასთან, რომლის შემვობითაც უნდა განხორციელდეს ტრანზაქცია;
  - გ) გაფორმებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტართან, იმის თაობაზე, რომ ლიცენზიის აღების შემთხვევაში ისარგებლებს ამ ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურებით.
  - 4. ლიცენზიის მაძიებელ კომპანიას წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან და საფონდო ბირჟის ლიცენზიის ფლობის ყველა ეტაპზე უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) გახსნილ ანგარიშებზე ჭამურად

არანაკლებ მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით.

- ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენისას ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან (დაწესებულებებიდან) ამ წესით განსაზღვრული მინიმალური ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) განთავსების თაობაზე.
- ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესასრულებლად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) გახსნილ ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომელთა მიმართაც გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებები და ღონისძიებები.

#### მუხლი 4. ფინანსური მოთხოვნები

- საფონდო ბირჟის საკუთარი კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.
- ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კაპიტალის ოდენობის გაანგარიშება უნდა მოხდეს საანგარიშგებო წლისათვის ძალაში მყოფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ინტერპრეტაციების (ფაისკ) მიხედვით.
- საფონდო ბირჟა ვალდებულია, საანგარიშო წლის ყოველი კვარტალის დასრულებიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვისა წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს საბანკო დაწესებულების (დაწესებულებების) მიერ დადასტურებული კვარტალური ამონაწერი ყოველდღიური ნაშთების შესახებ იმ ანგარიშიდან (ანგარიშებიდან), რომელზეც განთავსებულია ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ფულადი სახსრები ან ცნობა საბანკო დაწესებულებებიდან (დაწესებულებებიდან), რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო დაწესებულების ბლანკზე და მითითებული უნდა იყოს კვარტალის განმავლობაში ამ ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული მინიმალური ნაშთის ოდენობა (ამ წესის დანართ N3-ში მოცემული ფორმის შესაბამისად).

#### მუხლის 5. ლიცენზიის გაცემა და გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

- ლიცენზიის გაცემა ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
- ლიცენზია არ გაიცემა, თუ:
  - ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;
  - ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;
  - ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმევის თაობაზე.

ორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.

- ეროვნული ბანკი ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას განცხადების წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი ლიცენზიის მაძიებელს.

#### მუხლი 6. ლიცენზიის გაუქმება

- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავითა და კანონის 31-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გააუქმოს საფონდო ბირჟის ლიცენზია.
- იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელი არ ასრულებს საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობებს, ან ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ეროვნული ბანკი აფრთხილებს ლიცენზიის მფლობელს და უწესებს ვადას არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებები.
- თუ ლიცენზიის მფლობელი ვერ შეძლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გააუქმოს ლიცენზია. ლიცენზიის გაუქმების საფუძველს ასევე წარმოადგენს:
  - ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა, რომელსაც იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი წესით წარუდგენს ეროვნულ ბანკს;
  - ლიცენზიის მფლობელის ლიკვიდაცია;
  - სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.
- ლიცენზიის გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის გაუქმების საფუძველის აღმოჩენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- ეროვნული ბანკი ვალდებულია ლიცენზიის მფლობელს დაუყოვნებლივ აცნობოს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
- ეროვნულ ბანკს სალიცენზიო მოწმობა უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

#### მუხლი 7. საფონდო ბირჟის მიერ ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი ანგარიშგება

საფონდო ბირჟა ეროვნულ ბანკში წარადგენს:

- წლიურ აუდიტებულ ანგარიშგებას;
- წლიურ ანგარიშგებას საფონდო ბირჟის საქმიანობის შესახებ;
- მიმდინარე ანგარიშგებას (შეტყობინებას).

## მუხლი 8. საფონდო ბირჟის მიერ წარმოსადგენი წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება

- საფონდო ბირჟამ ყოველწლიურად უნდა მოამზადოს და დადგენილ ვადაში ეროვნულ ბანკში წარადგინოს შესაბამისი კალენდარული წლის აუდიტებული წლიური ფინანსური ანგარიშგება, წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა.
- საფონდო ბირჟის მიერ მომზადებული წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებსა (უწყისებს) და შენიშვნებს.
- საფონდო ბირჟამ წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება ელექტრონულად წარმოდგენილ უნდა იქნეს Excel-ისა და PDF-ის ფორმატში. ამასთან, ორივე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს იდენტური. ფორმებს შორის განსხვავების აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მატერიალიზებულ ფორმას. ანგარიშგებაში შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს გამოიყენოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები და/ან საფონდო ბირჟას მოსთხოვოს შეცდომების გამოსწორება.
- პასუხისმგებლობა წლიური ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენაზე ეკისრებათ კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს.
- წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს:
  - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საბალანსო უწყისი);
  - სრული შემოსავლის ანგარიშგება (მოგება-ზარალის უწყისი);
  - კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
  - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
  - ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.
- საფონდო ბირჟის მიერ PDF ფორმატში წარმოდგენილ წლიურ აუდიტებულ ანგარიშგებას ეროვნული ბანკი აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. ეროვნულმა ბანკმა არ უნდა გამოაქვეყნოს ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერ კონფიდენციალურად იქნება ცნობილი.
- ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიში საფონდო ბირჟამ უნდა გამოაქვეყნოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე, ეროვნული ბანკის მიერ კონფიდენციალურად ცნობილი ინფორმაციის გარდა.


## მუხლი 9. საფონდო ბირჟის მიერ წარმოსადგენი წლიური ანგარიშგება მისი საქმიანობის შესახებ

- საფონდო ბირჟამ უნდა მოამზადოს და ეროვნულ ბანკში ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა წარმოადგინოს წლიური ანგარიშგება მისი საქმიანობის შესახებ როგორც მატერიალიზებული,

- ასევე ელექტრონული ფორმით.
- საფონდო ბირჟის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშგება საქმიანობის შესახებ მოიცავს:
  - კრებსით ინფორმაციას ვაჭრობის ძირითად მაჩვენებლებთან (გარიგების რაოდენობა, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და ღირებულება) დაკავშირებით ემიტენტების მიხედვით და საბროკერო კომპანიების მიხედვით;
  - იმ საწარმოთა ნუსხას, რომელთა ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში;
  - საფონდო ბირჟის აქციონერთა (პარტნიორთა) რეესტრი;
  - იმ საწარმოთა ნუსხას, რომელთა ფასიანი ქაღალდებზე ბოლო 2 წლის განმავლობაში დაიდო გარიგება საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიაზე ან/და დაფიქსირდა გარიგება საფონდო ბირჟაზე.
- ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენისთანავე საფონდო ბირჟამ აღნიშნული ანგარიში უნდა გამოაქვეყნოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.
- ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშგებას ხელს აწერს საფონდო ბირჟის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

## მუხლი 10. საფონდო ბირჟის მიერ ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი მიმდინარე ანგარიშგება (შეტყობინება)

- საფონდო ბირჟამ მიმდინარე ანგარიშგება (შეტყობინება) უნდა წარმოადგინოს:
  - საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის შეჩერების, განახლების და ვაჭრობიდან მოხსნის შესახებ;
  - ბირჟის ვაჭრობაში მონაწილეთათვის მონაწილეობის უფლების შეჩერების, შეწყვეტისა და განახლების შესახებ;
  - ბირჟის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ;
  - ბირჟის წესების შეცვლის, ახალი წესების მიღების ან მოქმედი წესების გაუქმების შესახებ;
  - აქციათა კონტროლთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ;
  - ეროვნულ ბანკში უკანასკნელად წარდგენილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული კაპიტალის 10%-ის და მეტი ღირებულების აქტივების შეძენის ან გასხვისების შესახებ;
  - გაკოტრების საქმის აღძვრის, გაკოტრების დასრულების და რეაბილიტაციის, გადახდისუნარიანობის საქმის აღძვრის შესახებ;
  - ბირჟის საქმიანობის შეჩერების ან/და განახლების შესახებ;
  - აუდიტორის ცვლილების შესახებ;
  - ბირჟის მმართველი ორგანოს წევრების ცვლილებების შესახებ.
- საფონდო ბირჟამ ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მიმდინარე შეტყობინება ამ მუხლში ჩამოთვლილი მოვლენის დადგომიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა.
- ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშგებას ხელს აწერს საფონდო ბირჟის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის სალიცენზიო განცხადების ფორმა  Stock Exchange Company License Application Form	დამოწმებულია სეზ-ის მიერ No. <input type="text"/> Approved by NBG No. <input type="text"/>
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>		
<b>1. ადმინისტრაციული ორგანო / ADMINISTRATIVE BODY</b>		
ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება /Name of Administrative body <input style="width: 100%;" type="text"/>		
<b>2. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ / INFORMATION ABOUT APPLICANT</b>		
კომპანიის სახელწოდება/Company' s Name <input style="width: 100%;" type="text"/> რეგისტრირებული ოფისური მისამართი/Registered Legal Address <input style="width: 100%;" type="text"/> ტელეფონი/Phone Number <input style="width: 100%;" type="text"/> ფაქსი/Fax Number <input style="width: 100%;" type="text"/> ელ. ფოსტა/E-mail <input style="width: 100%;" type="text"/> ვებ-გვერდი/Web Site <input style="width: 100%;" type="text"/>		
<b>3. მოთხოვნა/Demand</b>		
<b>4. ინფორმაცია განმცხადებლის საკუთარი კაპიტალის შესახებ / INFORMATION ABOUT APPLICANT'S CHARTERED CAPITAL</b>		
საკუთარი კაპიტალის ოდენობა/Amount of the Chartered Capital <input style="width: 100%;" type="text"/>		
<b>5. ინფორმაცია განმცხადებლის მმართველი ორგანოს წევრების შესახებ / INFORMATION ABOUT THE MEMBERS OF THE APPLICANT'S MANAGING BODY</b>		
სახელი, გვარი/First Name, Last Name <input style="width: 100%;" type="text"/> დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document: <input type="checkbox"/> პასპორტი / Passport <input type="checkbox"/> პირადობის მოწმობა / ID card <input type="checkbox"/> სხვა / Other <input type="checkbox"/> პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number <input style="width: 100%;" type="text"/> სერია / Series <input style="width: 100%;" type="text"/> გაცემის თარიღი/Date of Issuance (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> მოქმედების ვადა / Expiration Date <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> გაცემის ადგილი/Place of Issuance <input style="width: 100%;" type="text"/> პოზიცია კომპანიაში/Position in the Company <input style="width: 100%;" type="text"/>		
<b>6. ინფორმაცია განმცხადებლის აქციონერების/პარტნიორების ვინაობის შესახებ, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ მნიშვნელოვან წილს (10%-ს ან მეტს) / INFORMATION ABOUT APPLICANT'S SHAREHOLDERS/PARTNERS, WHO DIRECTLY OR INDIRECTLY OWN A SUBSTANTIAL SHARE(10% or MORE)</b>		
სახელი, გვარი ან დასახელება /First Name, Last Name or Name <input style="width: 100%;" type="text"/> დაბადების თარიღი ან რეგისტრაციის თარიღი/Date of Birth or Date of registration <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> საიდენტიფიკაციო მონაცემები/Identification details: საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, პასპორტი, პირ. მოწმობა ა.შ./Type of identification Document: <input type="checkbox"/> პასპორტი / Passport <input type="checkbox"/> პირადობის მოწმობა / ID card <input type="checkbox"/> სხვა / Other <input type="checkbox"/> პასპორტის (პირადობის მოწმობის) ან რეგისტრაციის ნომერი/Passport (or ID Card) or registration Number <input style="width: 100%;" type="text"/> სერია ან რეგისტრაციის ნომერი/Series or registration number <input style="width: 100%;" type="text"/> გაცემის ან რეგისტრაციის თარიღი/Date of Issuance or registration(DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> მოქმედების ვადა / Expiration Date <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/> გაცემის ან რეგისტრაციის ადგილი/Place of Issuance or registration <input style="width: 100%;" type="text"/> პოზიცია კომპანიაში/Position in the Company <input style="width: 100%;" type="text"/>		
<b>7. პროგრამული უზრუნველყოფა/SOFTWARE</b>		
განმცხადებელი საქმიანობაში გამოიყენებს იმ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც წარუდგინა <span style="float: right;">დია/Yes <input type="checkbox"/></span> <span style="float: right;">არა/No <input type="checkbox"/></span> ადმინისტრაციულ ორგანოს <input type="checkbox"/> During the activity the applicant will use that software which was presented to Administrative body <input type="checkbox"/>		
<b>8. დანართების ჩამონათვალი / LIST OF APPENDIXES</b>		
განმცხადებელი მოითხოვს ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის ლიცენზიას/Aplicant postulate to registrarlicense obtention განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები/Application form must be attached with the following annexes enclosed:		
თანდართულია/Enclosed <input type="checkbox"/> <span style="margin-left: 100px;">ხელმოუწვედომელია/Not available <input type="checkbox"/></span>		
ა. ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის ან მიმდინარე აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება (არაუგვიანეს ნახევარი წლისა კომპანიის დაფუძნებიდან) <input type="checkbox"/> a. Last year's, last 6 months or current Audited FS (not later than 6 months after the foundation) <input type="checkbox"/>		
ბ. სხვა თანდართული დოკუმენტაცია/b. Other enclosed documentation <input style="width: 100%;" type="text"/>		
<b>ხელმოწერა / SIGNATURE</b>		
<input style="width: 100%;" type="text"/>		თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) <input type="text"/> / <input type="text"/> / <input type="text"/>



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

დამოწმებულია სეგ-ის მიერ  
No. \_\_\_\_\_  
Approved by NBG  
No. \_\_\_\_\_

კომპანიის მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლების, ბოლო 5 წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისა და ბოლო 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური დანაშაულისათვის ნასამართლეობის შესახებ

დეკლარაციის ფორმა

Declaration Form

Concerning the right to be a member of the company's managing body, being subject to administrative sanctions for gross violations of the legislation on securities during past 5 years and being convicted for economic crime during past 10 years

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) \_\_\_\_\_

**1. ინფორმაცია მმართველ ორგანოში მონაწილე პირის შესახებ / INFORMATION ABOUT COMPANY'S MANAGING BODY MEMBER**

სახელი, გვარი/First Name, Last Name \_\_\_\_\_

დაბადების თარიღი/Date of Birth (DD/MM/YYYY) \_\_\_\_\_

პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) მონაცემები/Personal ID Card (or Passport) details:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/Identification Document: პასპორტი / Passport  პირადობის მოწმობა / ID card  სხვა / Other

პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) ნომერი/Passport (or ID Card) Number \_\_\_\_\_ სერია / Series \_\_\_\_\_

გაცემის თარიღი/Date of Issuance (DD/MM/YYYY) \_\_\_\_\_ მოქმედების ვადა / Expiration Date \_\_\_\_\_

გაცემის ადგილი/Place of Issuance \_\_\_\_\_

დეკლარანტის პოზიცია კომპანიაში/Declarant's position in the Company \_\_\_\_\_

კომპანიის სახელწოდება/Company's Name \_\_\_\_\_

რეგისტრირებული იურიდიული მისამართი/Registered Legal Address \_\_\_\_\_

ტელეფონი/Phone Number \_\_\_\_\_

ელ.ფოსტა/E-mail \_\_\_\_\_

ვებ-გვერდი/Web Site \_\_\_\_\_

**2. დეკლარანტის მდგომარეობა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებასთან მიმართებაში / INFORMATION ON APPLICANT CONCERNING ADMINISTRATIVE SANCTIONS FOR GROSS VIOLATIONS OF THE LEGISLATION ON SECURITIES**

დაკისრებული აქვს/Had been sanctioned  დაკისრების თარიღი \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_ Date of Sanction (DD/MM/YYYY)

დაკისრებული არ აქვს/Had not been sanctioned

**3. დეკლარანტის მდგომარეობა ეკონომიკური დანაშაულისათვის ნასამართლეობასთან მიმართებაში / INFORMATION ON APPLICANT CONCERNING CONVICTION FOR ECONOMIC CRIME**

ნასამართლეობა/Had been convicted  დაკისრების თარიღი \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_ / \_\_\_\_\_ Date of Conviction (DD/MM/YYYY)

არ არის ნასამართლეობა/Had not been convicted

**4. დეკლარანტის მდგომარეობა კომპანიის მმართველ ორგანოში მისი მონაწილეობის უფლებასთან მიმართებაში / INFORMATION ABOUT APPLICANT CONCERNING HIS RIGHT TO BE A MEMBER OF THE COMPANY'S MANAGING BODY**

ჩამორთმეული აქვს/Has been deprived

ჩამორთმეული არ აქვს/ Has not been deprived

**ხელმოწერა / SIGNATURE**

\_\_\_\_\_

თარიღი/DATE (DD/MM/YYYY) \_\_\_\_\_



# დანართი N3

## ცნობა კვარტალის განმავლობაში საფონდო ბირჟის ანგარიშზე არსებული მინიმალური ნაშთის ოდენობის შესახებ

ცნობა ეძლევა \_\_\_\_\_ მასზე, რომ 201 — წლის \_\_\_\_\_ დან  
ორგანიზაციის დასახელება

201 — წლის \_\_\_\_\_ მდე მის ანგარიშზე N \_\_\_\_\_ მინიმალური ნაშთის ოდენობა

შეადგენდა \_\_\_\_\_ ლარს.

ცნობა ეძლევა საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენად.

\_\_\_\_\_ უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა

\_\_\_\_\_ ხელმოწერა

### 3.3.20 საჭარო ფასიან ქალაქდებაზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება- მოვალეობათა განსაზღვრის და საჭარო ფასიან ქალაქდებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესი

#### თავი I ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს საჭარო ფასიან ქალაქდებაზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჭარო ფასიან ქალაქდებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურებსა და თანდართული ფორმების შესაბამისად ანგარიშის წარდგენის წესს.

##### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- ამ წესის მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - აქციონერთა საერთო კრების მოწვევის თარიღი (შემდგომში-კრების მოწვევის თარიღი) – ანგარიშვალდებული სანარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის უფლების მქონე პირის ან ორგანოს მიერ დადგენილი თარიღი, რომლისთვისაც მოწვეულ უნდა იქნას აქციონერთა საერთო კრება (შემდგომში – საერთო კრება);
  - გამოცხადება – ემიტენტის, ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ დადგენილ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული პირებისათვის მოსაწვევების გაგზავნა და ფასიანი ქალაქდების რეგისტრატორისათვის (შემდგომში – რეგისტრატორი) შეტყობინება;
  - საერთო კრების მოწვევის გამოცხადების თარიღი

– თარიღი, როდესაც აქციონერთა საერთო კრების მოწვევის უფლების მქონე პირი ან ორგანო აკეთებენ გამოცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით და რომელიც უნდა იყოს არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა კრების მოწვევის თარიღამდე, მაგრამ საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის შემდეგ;

- საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი – თარიღი, რომელიც უნდა დაინიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 კალენდარულ დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დროს დგება აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერთა სია. საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა ემთხვეოდეს დასვენების და/ან უქმე დღეს;
- დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი – აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილი თარიღი, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღის შემდეგ ამ თარიღის გამოცხადებიდან. ამ სააღრიცხვო თარიღის (სამუშაო დროის) დასრულების მდგომარეობით დგება იმ აქციონერთა სია, რომელთაც აქვთ დივიდენდების მიღების უფლება. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა ემთხვეოდეს დასვენების და/ან უქმე დღეს;
- დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი – აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილი თარიღი, საიდანაც სანარმოს წარმოემშობა დივიდენდების გაცემის ვალდებულება და რომელიც უნდა იყოს დივიდენდების გაცემის სააღრიცხვო თარიღიდან არანაკლებ 15 კალენდარული დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ორი თვისა იმ საერთო კრების ჩატარებიდან, რომელზედაც გადაწყდა დივიდენდების გაცემა;
- სააღრიცხვო თარიღები – საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი, დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი.
- ნიშნელოვანი თარიღები – კრების მოწვევის თარიღი, დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი, სააღრიცხვო თარიღები, ასევე მათი გამოცხადების თარიღები.
- პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი – ნომინალურ მფლობელი, რომელსაც ფასიან ქალაქდებაზე ნომინალური მფლობელობის უფლება უშალოდ ბენეფიციარი მესაკუთრისაგან აქვს გადაცემული;
- ჩანაწერით ფლობა – ფასიანი ქალაქდის ისეთ მფლობელობა, რომელიც დასტურდება ფასიანი ქალაქდის რეგისტრატორის მიერ ან ამ ფასიანი ქალაქდის ემიტენტის მიერ წარმოებული ფასიანი ქალაქდების რეესტრის ჩანაწერებით. ხოლო თუ ფასიანი ქალაქდი ნომინალურ მფლობელობაშია, მაშინ – ყოველი საფეხურის ნომინალური მფლობელის ჩანაწერებით.
- რეგისტრირებული მფლობელი – ფასიანი ქალაქდების მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი, რომელიც რეგისტრირებულია ფასიანი ქალაქდების რეესტრში;
- რეგისტრირებული მესაკუთრე – პირი, რომელიც

არ არის ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი ან რეგისტრირებული მფლობელის წარმომადგენელი და რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ შემდეგ მოთხოვნას:

- მ.ა) არის ფასიანი ქაღალდის რეგისტრირებული მფლობელი, გარდა ნომინალური მფლობელისა;
  - მ.ბ) წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის;
  - მ.გ) იღებს ფულად მოგებას, როგორც ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე;
  - მ.დ) აქვს ფასიანი ქაღალდთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება;
  - მ.ე) აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება, გახდეს ფასიანი ქაღალდის რეგისტრირებული მესაკუთრე;
- ბ) არასაბიროჟო გარიგებები – საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებები, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გატანის გარეშე.
- ო) განკარგულება – ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისადმი ან ნომინალური მფლობელისადმი წარსადგენი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც საჯარო ფასიანი ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობას, შეცვლას ან/და შეწყვეტას ადასტურებს. განკარგულება სამი სახისაა:
- ო.ა) გასხვისების განკარგულება – რომელიც დგება იმ არასაბიროჟო გარიგების დროს, რომლის შედეგადაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი თავის პირად ანგარიშზე არსებულ საჯარო ფასიანი ქაღალდებს არასაბიროჟო გარიგებით ასხვისებს;
  - ო.ბ) გირავნობის განკარგულება – რომელიც დგება იმ არასაბიროჟო გარიგების დროს, როგორც საჯარო ფასიანი ქაღალდის დაგირავებაა და რომლის შედეგადაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი თავის პირად ანგარიშზე არსებულ საჯარო ფასიანი ქაღალდებს აგირავებს;
  - ო.გ) გადასაცემი განკარგულება – რომელიც დგება რეგისტრირებული მფლობელის მიერ თავის პირად ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ნომინალური მფლობელი ფასიანი ქაღალდებს გადასცემს იმ პირს (კლიენტს), რომლის ინტერესებისთვის და დავალებით იგი ნომინალურად ფლობდა ფასიანი ქაღალდებს ან შეიძინა ისინი.
- პ) საბიროჟო ვაჭრობა – ფასიანი ქაღალდის ნასყიდობის გარიგების დადება საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიაზე.
- ჟ) პირადი ანგარიში – ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელის სახელზე გახსნილი ფასიანი ქაღალდების ანგარიში.
- რ) საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილი – საერთაშორისო დეპოზიტარის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებებს რეზიდენტი ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების განსაზღვრულ რაოდენობაზე.

- ს) ქართული დეპოზიტარული ხელწერილი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი დეპოზიტარის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ადასტურებენ უფლებებს გარკვეული რაოდენობის ფასიანი ქაღალდებზე, რომლებიც გამოშვებულია არარეზიდენტი ემიტენტის მიერ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

## თავი II საჯარო ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების უფლების საპლრიცხვო თარიღის დადგენა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება- მოვალეობათა განსაზღვრა

### მუხლი 3. ჩანაწერით მფლობელები

ჩანაწერით მფლობელად ითვლება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირი:

- ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი;
- ბ) ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მესაკუთრე, რომლის ფასიანი ქაღალდებს ნომინალური მფლობელი ფლობს;
- გ) ყოველი ის პირი, რომელიც ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნებისმიერი პირის ჩანაწერით ფლობაში არსებული ფასიანი ქაღალდის (ქაღალდების) თანამესაკუთრეა.

### მუხლი 4. პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელთა ვალდებულებები

- 1. პირველი საფეხურის ნომინალურმა მფლობელმა ემიტენტსა და მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ყოველი კალენდარული წლის დასაწყისიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა წარუდგინოს იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ამსახველი ანგარიში, რომელთა ფასიანი ქაღალდებსაც იგი წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა.
- 2. ემიტენტის ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოთხოვნით, პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი ვალდებულია მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მას იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ამსახველი განახლებული ანგარიში წარუდგინოს, რომელთა ფასიანი ქაღალდებსაც იგი ფლობს.
- 3. ეროვნული ბანკის მოთხოვნით, პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი ვალდებულია მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მას იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ანგარიში

წარუდგინოს, რომელთა ფასიან ქაღალდებსაც იგი ფლობს, მათი ვინაობის, საკონტაქტო ინფორმაციისა და მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის მითითებით.

4. პირველი საფეხურის ნომინალურმა მფლობელმა ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშების წარდგენისათვის ტარიფი არ უნდა დაანესოს.

## მუხლი 5. მნიშვნელოვანი თარიღების დადგენა

1. სამეთვალყურეო საბჭო საწარმოს საერთო კრების სააღრიცხვო თარიღს ადგენს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ წესის შესაბამისად.
2. დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი და დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი დგინდება აქციონერთა იმ საერთო კრების მიერ, რომელიც სათანადოდ გამოცხადებული დღის წესრიგის მიხედვით უფლებამოსილია გადაწყვიტოს დივიდენდების ოდენობისა და მათი გაცემის საკითხი.

## მუხლი 6. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ვალდებულებები მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით

1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებისათვის გამოცხადება (ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) ითვლება ოფიციალურ შეტყობინებად, რომლის შესაბამისად მათ წარმოეშობათ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები.
2. ცენტრალურ დეპოზიტარსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს (რეგისტრატორებს) შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომელიც ურთიერთობის სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს ინფორმაციის (მათ შორის რეესტრიდან ამონაწერების) მიწოდებისა და გაცვლის ფორმებს, ვადებსა და მონაცემთა შედარების პროცედურებს.
3. იმ შემთხვევაში, თუ საბროკერო კომპანია წარმოადგენს ფასიან ქაღალდების ნომინალურ მფლობელს, მაშინ ნომინალურ მფლობელად გახდომიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება აღნიშნულ საბროკერო კომპანიისა და იმ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის, რომელიც აწარმოებს ამ ფასიანი ქაღალდების რეესტრს, რომელიც ურთიერთობის სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს ინფორმაციის (მათ შორის რეესტრიდან ამონაწერების) მიწოდებისა და გაცვლის ფორმებს, ვადებსა და მონაცემთა შედარების პროცედურებს.
4. ცენტრალური დეპოზიტარი სააღრიცხვო თარიღიდან 3 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრატორს მიანვდის ინფორმაციას შეტყობინებაში მითითებული ემიტენტის იმ ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომლის რეგისტრირებულ მფლობელსაც წარმოადგენს დეპოზიტარი. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ა) იმ ბენეფიციარ მესაკუთრეთა სიას, რომელთა ფასიანი ქაღალდების პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელს წარმოადგენს დეპოზიტარი, მათი იდენტიფიცირებისთვის საჭირო სრული ინფორმაციისა და თითოეულის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით;
- ბ) იმ ნომინალურ მფლობელთა სიას, რომელთა ფასიანი ქაღალდების მომდევნო საფეხურის ნომინალურ მფლობელსაც წარმოადგენს დეპოზიტარი, მათი იდენტიფიცირებისთვის საჭირო სრული ინფორმაციისა და თითოეულის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით.
5. საბროკერო კომპანია, რომელიც წარმოადგენს ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელს, სააღრიცხვო თარიღიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწვდის რეგისტრატორს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) იმ ბენეფიციარ მესაკუთრეთა სიას, რომლებმაც არ მიანიჭეს საბროკერო კომპანიას კრებაზე მათ ხმების განკარგვისა და მათი სახელით დივიდენდების მიღების უფლებამოსილება, მათი იდენტიფიცირებისთვის საჭირო სრული ინფორმაციისა და თითოეულის საკუთრებაში არსებული ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით;
  - ბ) იმ ფასიანი ქაღალდების ოდენობას, რომლის განკარგვის უფლებაც მიანიჭეს ბენეფიციარმა მესაკუთრებმა საბროკერო კომპანიას, ან რომელთა ბენეფიციარ მესაკუთრესაც წარმოადგენს თვით ეს საბროკერო კომპანია.
6. საბროკერო კომპანია ვალდებულია თავის ყველა კლიენტს, რომელიც ფლობს ამ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიან ქაღალდებს, დაუყოვნებლივ შეატყობინოს სააღრიცხვო თარიღის შესახებ. აგრეთვე ამ აქციების ყიდვაზე ან გაყიდვაზე კლიენტის დავალების მიღების შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს და მისცეს განმარტება კლიენტს სააღრიცხვო თარიღის თაობაზე.
7. მიღებული ინფორმაციის შეუსაბამობის შემთხვევაში, რეგისტრატორი ვალდებულია არაუგვიანეს მეორე დღისა აცნობოს ამის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელს (მიმწოდებლებს) და მიიღოს ზომები ამ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად ურთიერთშედარების გზით.
8. ინფორმაციის მიმწოდებელი (მიმწოდებლები) ვალდებულია არაუგვიანეს მესამე დღისა მიანოდოს რეგისტრატორს მიწოდებული ინფორმაციის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი (უკანასკნელი თარიღით რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერი რეესტრიდან).
9. მასთან არსებული და ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის საფუძველზე რეგისტრატორი შესაბამისად ადგენს საერთო კრებაზე მონაწილეობის ან დივიდენდების მიღების უფლებამოსილების მქონე პირთა სიას მათი იდენტიფიცირებისათვის საჭირო სრული ინფორმაციისა და თითოეულის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის მითითებით.

10. სააღრიცხვო თარიღიდან 6 სამუშაო დღის ვადაში რეგისტრატორი გადასცემს ემიტენტს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ სიას, რომლის ყოველი გვერდი დამონშებული უნდა იყოს მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და რეგისტრატორის ბეჭდით.
11. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის არსებული ხელშეკრულება მოიცავს რეგისტრატორის მიერ საერთო კრების გამოცხადების ვალდებულებას, რეგისტრატორი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და ფორმით უზრუნველყოფს საერთო კრების გამოცხადებას.
12. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის არსებული ხელშეკრულება არ მოიცავს რეგისტრატორის მიერ საერთო კრების გამოცხადების ვალდებულებას, რეგისტრატორი გამოცხადების თარიღამდე სულ მცირე ორი სამუშაო დღით ადრე აწვდის ემიტენტს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას.

### თავი III საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებები

#### მუხლი 7. საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებანი

1. საბროკერო კომპანიის მონაწილეობით ან საბროკერო კომპანიის მონაწილეობის გარეშე საჯარო ფასიანი ქაღალდებით შეიძლება დაიდოს შემდეგი სახის არასაბირჟო გარიგებები :
  - ა) საჯარო ფასიანი ქაღალდების ჩუქება;
  - ბ) საჯარო ფასიანი ქაღალდების დაგირავება;
  - გ) საჯარო ფასიანი ქაღალდების გაცვლა;
  - დ) საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა, მათ შორის სატენდერო შეთავაზებით;
  - ე) ემიტენტის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 531 მუხლის თანახმად;
  - ვ) საწესდებო კაპიტალში საჯარო ფასიანი ქაღალდებით შენატანის განხორციელებისას;
  - ზ) სხვა გარიგებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.
2. თუ ერთი პირადი ანგარიშით რამდენიმე მესაკუთრე ფლობს გასასხვისებელ ან დასაგირავებელ საჯარო ფასიან ქაღალდს/ქაღალდებს (თანასაკუთრება), მაშინ გარიგებაში მონაწილე საბროკერო კომპანიას ან ფასიან ქაღალდების რეგისტრატორს წარედგინება ყველა თანამესაკუთრის წერილობითი თანხმობა.
3. წილის უპირატესი შესყიდვის უფლება განისაზღვრება თანამესაკუთრეთა შეთანხმებით, კანონმდებლობის შესაბამისად.
4. საბროკერო კომპანიის ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მონაწილეობით 100 ლარზე მეტი თანხის ოდენობით საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების დადებისას

5. საფონდო ბირჟაზე საჯარო ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის დაფიქსირება ხდება საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად.
5. საბროკერო კომპანიამ ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გარიგების დადებისას საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის დაფიქსირება უნდა მოახდინოს გარიგების დადებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ბირჟის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
6. საფონდო ბირჟა ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებისას დადგენილი მოთხოვნების დაცვით მომზადებული განაცხადი ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის დაფიქსირების თაობაზე და ასახოს იგი საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად.
7. არასაბირჟო გარიგების შედეგად საჯარო ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების უფლება წარმოშობილად, შეცვლილად ან/და შეწყვეტილად ჩაითვლება:
  - ა) ამ გარიგების ფაქტის შესახებ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან სათანადო ჩანაწერის გაკეთების მომენტიდან;
  - ბ) ნომინალურ მფლობელთან სათანადო ჩანაწერის გაკეთების მომენტიდან, თუ გარიგების ყველა მხარე ერთი და იმავე ნომინალური მფლობელის კლიენტია და გარიგების საგნად არსებული ფასიანი ქაღალდები ამ ნომინალურ მფლობელს აქვს გადაცემული.

#### მუხლი 8. საჯარო ფასიანი ქაღალდებით ბოგიერთი გარიგების დადების შემზღვევა

1. დაუშვებელია იმ ფასიანი ქაღალდის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გატანა, რომლის საფასური მისი ემიტენტისათვის სრულად არ არის დაფარული. თუ ამგვარი აქციის კლასი საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია, მის გასაყიდად ჯერ საფასურის დაფარვა უნდა მოხდეს, ხოლო შემდეგ გადაცემულ იქნას ნომინალურ მფლობელობაში.
2. დაუშვებელია იმ საჯარო ფასიანი ქაღალდების გაცვლა, რომელიც სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე დაშვებულია. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის შესაბამისი წესები. აღნიშნული შემზღვევა არ ვრცელდება საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდების შესაბამისი საერთაშორისო ან ქართული დეპოზიტური ხელწერილის სანაცვლოდ დეპოზიტარისათვის ნომინალურ ან ბენეფიციარულ მფლობელობაში გადაცემისას და ამგვარი ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარული ხელწერილის მფლობელთათვის დაბრუნებისას.
3. დაუშვებელია ერთი საჯარო ფასიანი ქაღალდის მხოლოდ ნაწილის გადაცემა ნომინალურ მფლობელობაში, მისი გადაცემა უნდა მოხდეს მთლიანად, ყველა თანამესაკუთრის თანხმობით.
4. საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ

გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებებზე ამ წესის მოქმედება ვრცელდება კანონით და ამ იურიდიულ პირთა წესებით (წესდებით) განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

5. ფასიანი ქაღალდების სესხება ექვემდებარება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს.

### მუხლი 9. საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის ისეთი შემთხვევები, რომლებიც ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურებს არ საჭიროებს

1. საფონდო ბირჟაზე ვაჭრობას და ამ წესით გათვალისწინებულ განკარგულებათა შედგენას არ ექვემდებარება საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან/და შეწყვეტა:
  - ა) მემკვიდრეობის საფუძველზე;
  - ბ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდის გაყიდვას ადგენს;
  - გ) იმ კორპორაციული საქმიანობის საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საწესდებო კაპიტალის ოდენობის ან/და სტრუქტურის ცვლილებასთან, კერძოდ:
    - გ.ა) საწარმოს დაფუძნებისას საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა საწარმოს დამფუძნებლისათვის (შენატანის შესრულება);
    - გ.ბ) „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარო ფასიან ქაღალდზე (ქაღალდებზე) საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან/და შეწყვეტა;
    - გ.გ) საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა საწარმოს გარდაქმნის, შერწყმის ან ნატურით გაყოფის შედეგად;
    - გ.დ) საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა ემიტენტის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემისიის (მათ შორის, აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების) შედეგად. აგრეთვე, საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ფასიანი ქაღალდის მფლობელის თხოვნით მის მფლობელობაში არსებული საჯარო ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზებაში შეტანის შედეგად;
    - გ.ე) საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა საჯარო ფასიან ქაღალდის დანაწევრების, შერწყმის ან კონვერსიის შედეგად.
2. ამ წესით არ რეგულირდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საჯარო ფასიანი ქაღალდის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადა-

ცემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესებით გასხვისება, თუ ეს ფასიანი ქაღალდი მისი მესაკუთრის მიერ ბირჟაზე სავაჭროდ არ არის გამოტანილი.

3. ხელშეკრულებები, რომლებიც წარმოებულ ფასიან ქაღალდებს წარმოადგენს (ფიუჩერსი, ოფციონი და სხვ.) და რომელთა საგანი ამ მუხლის პირველი ან/და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდებია, კანონისა და ამ წესის მოთხოვნებს ექვემდებარება.
4. საბროკერო კომპანიის მიერ ემიტენტისაგან ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებით შესყიდული ფასიანი ქაღალდების შემდგომი გასხვისება ექვემდებარება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და შესაბამისი საფონდო ბირჟის წესების მოთხოვნებს.

### მუხლი 10. განკარგულების შემდგენის ვალდებულებანი

1. არასაბირჟო გარიგებით საჯარო ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისების ან დაგირავებისას (ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა, გამოსყიდვა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 531 მუხლის თანახმად, საწესდებო კაპიტალში შენატანის საჯარო ფასიანი ქაღალდებით შესრულება), გარიგების მხარეების, გარიგების შუამავალი საბროკერო კომპანიის ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ შედგენილ უნდა იქნას გასხვისების განკარგულება (ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული ფორმით), ხოლო დაგირავებისას – გირავნობის განკარგულება (ამ წესის დანართი N2-ით გათვალისწინებული ფორმით).
2. საბროკერო კომპანია ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, რომელსაც დაევალია გარიგების შესახებ განკარგულების შედგენა, ვალდებულია:
  - ა) გარიგების მხარეებს ხელი შეუწყოს მათი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში;
  - ბ) გარიგების მხარეებს განუმარტოს მათი უფლებამოვალეობანი და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საანგარიშგებო ან სხვა შესაბამისი მოთხოვნები მოცემული გარიგებებისადმი;
  - გ) გარიგების მხარეებს აცნობოს შემძენი, გასასხვისებელი ან დასაგირავებელი საჯარო ფასიანი ქაღალდის საფონდო ბირჟაზე დადგენილი უკანასკნელი საშუალო შენონილი ფასი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
  - დ) უზრუნველყოფს, რომ გარიგების მხარეებმა გარიგება მისი დადების მომენტისათვის ობიექტურად შესაძლებელი ყველაზე ხელსაყრელი პირობებით დადონ;
  - ე) გარიგების მხარეები გააფრთხილოს შესასრულებელი საშუალო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ, რათა ინვესტირების საკითხებსა და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაში მხარეთა გაუთვითცნობიერებლობა მათივე ინტერესების საზიანოდ არ იქნას გამოყენებული.
3. თუ გარიგების მხარე წერა-კითხვის უცოდინარი ან

უსინათლოა, ბროკერი მოვალეა წაუკითხოს მას განკარგულების ტექსტი. თუ გარიგების მხარე ყრუ ან/და მუნჯია, ბროკერმა განკარგულების შედგენას უნდა დაასწროს შესაბამისი სპეციალისტი ან იგი, ვინც თავისუფლად ამყარებს კონტაქტს ამგვარ პირთან და ვისაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი.

4. ბროკერის ბრალეულობის ფარგლებში, საბროკერო კომპანია პასუხისმგებელია მისი ბროკერის მიერ შედგენილი განკარგულების კანონიერებაზე. ამგვარი პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ გარიგების ბათილობა ან უკანონობა გამომწვეულია გარიგების მხარის (მხარეების) ბრალით.
5. საბროკერო კომპანიის მიერ ყოველი განკარგულებით შემდგარი გარიგება უნდა გატარდეს ოპერაციითა ალრიცხვის ჟურნალში (პირველადი გატარებების დავთარში).

### მუხლი 11. მოთხოვნები განკარგულების შედგენისადმი

1. არასაბირჟო გარიგებისას განკარგულების შესადგენად საბროკერო კომპანიას ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს უნდა წარედგინოს:
  - ა) ამონაწერი რეგისტრიდან, რომლითაც დადასტურებულია შესაბამისი კლასისა და რაოდენობის ფასიანი ქაღალდზე პირის საკუთრების უფლება;
  - ბ) ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - გ) თანამესაკუთრების შემთხვევაში, აგრეთვე ყველა თანამესაკუთრის წერილობითი თანხმობა ან სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება, რომ თანამესაკუთრე სხვების სახელით მოქმედებს;
  - დ) საწარმოს შესაბამისი ორგანოს (თანამდებობის პირის) თანხმობა მოცემული კლასის ფასიანი ქაღალდების გადაცემაზე, თუ ამ კლასის გადაცემა საწარმოს წესდებით ამგვარ თანხმობას საჭიროებს;
  - ე) თუ გარიგებას არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანი პირი თავად დებს, მაშინ მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანხმობა;
2. წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადებისას დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნას:
  - ა) თუ წარმომადგენელი ფიზიკური პირია – წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამასთან, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სახელით ჩუქება დაუშვებელია), ან თუ იგი ამ პირის მშობელია – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმოდგენილი პირის დაბადების მოწმობა;
  - ბ) თუ წარმომადგენელი იურიდიული პირია – იმ პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც კანონით, წესდებით (დებულებით) ან რწმუნებულებით მინიჭებული აქვს გარიგების დადების უფლება წარმოდგენილი იურიდიული პირის სახელით. საბროკერო კომპანია მოვალეა გაეცნოს იურიდიული პირის წესდებას (დებულებას, კანონს, რწმუნებულებას) და შეამოწ-

მოს, შეესაბამება თუ არა შესასრულებელი მოქმედება მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. თუ იურიდიული პირის მართვა კოლეგიური ორგანოს მიერ ხდება, ამ ორგანოს ხელმძღვანელს მოეთხოვება საბუთი თანამდებობაზე არჩევისა და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესახებ.

3. ფიზიკური პირის ვინაობა შეიძლება დადგინდეს ძალაში არსებული რომელიმე შემდეგი დოკუმენტით:
  - ა) მოქალაქის პირადობის მონმობით ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტით;
  - ბ) 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. განკარგულების შედგენისას დაკმაყოფილებულ უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები:
  - ა) ტექსტი ნათლად და გარკვევით უნდა ჩაიწეროს;
  - ბ) შეძენილ-გასხვისებელი ან დაგირავებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა როგორც ციფრებში, ასევე სიტყვებით უნდა დაიწეროს;
  - გ) იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება (დასახელება) შეუმოკლებლად უნდა დაიწეროს;
  - დ) იმ ფასიანი ქაღალდების ჩუქების, გაცვლის ან დაგირავებისას, რომლის ფასი ემიტენტისათვის სრულად არ არის დაფარული, საკუთრებაში მიმღებ მხარეს ან მოგირავნეს განკარგულებაზე ხელმოწერამდე უნდა ეცნობოს ფასის არასრულად დაფარვის შესახებ;
  - ე) თუ გარიგების მხარე არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირია და იგი გარიგებას თავად, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით დებს, მაშინ საბროკერო კომპანიას უნდა წარედგინოს ეს თანხმობა. ამასთან, ამგვარმა პირმა სატენდერო შეთავაზება შეიძლება განახორციელოს მხოლოდ თავისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით, ხოლო ორმხრივი გარიგება დადოს – ამგვარი თანხმობის გარეშე, თუ მისთვის ეს გარიგება სარგებელიანია და ეს საფონდო-საბირჟო მონაცემებით დასტურდება. ორმხრივი გარიგების დადებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა შეიძლება წარდგენილ იქნას წერილობით, ან საბროკერო კომპანიის მიერ მიღებულ იქნას ზეპირად უშუალოდ წარმომადგენლისაგან.
5. თუ საჯარო ფასიანი ქაღალდის გაცვლის გარიგების ის მხარე, რომელიც საჯარო ფასიანი ქაღალდს გადასცემს, სანაცვლოდ ისეთ ქონებას იღებს, რომელზედაც საკუთრების უფლება მხოლოდ საქართველოს რომელიმე საკანონმდებლო აქტით დადგენილი ფორმის დაცვით წარმოიშობა, მაშინ საჯარო ფასიანი ქაღალდის გაცვლის გარიგებისას გასხვისების განკარგულების შესადგენად სავალდებულოა, რომ დაეცულ იქნას აღნიშნული ფორმა.
6. არასაბირჟო გარიგების მხარეებმა განკარგულებაზე ხელი ბროკერის ან რეგისტრატორის თანდასწრებით უნდა მოაწერონ (ბლოკირების მოხსნის მოთხოვნისას ხელმოწერების გარდა). თუ იგი

ხელმოწერას არ დასწრებია, ხელმოწერმა პირადად უნდა დაუდასტუროს, რომ განკარგულებას ხელი მან მოაწერა. თუ გარიგების მხარე განკარგულებას ხელს თვითონ ვერ აწერს წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, მას შეუძლია ხელის მოწერა სანოტარო ფორმის დაცვით სხვას მიანდოს.

## თავი IV სატენდერო შეთავაზება

### მუხლი 12. საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა სატენდერო შეთავაზების გზით

1. თუ სატენდერო შეთავაზებელს ანგარიშვალდებული სანარმოს რომელიმე კლასის საჯარო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა სურს იმ რაოდენობით, რომლის შედეგადაც მის საკუთრებაში აღმოჩნდება ამ კლასის ფასიანი ქაღალდების 10%-ზე მეტი, მან სატენდერო შეთავაზების განცხადების ეროვნულ ბანკში წარდგენამდე, ეროვნულ ბანკს წერილობით უნდა შეატყობინოს ამგვარი სატენდერო შეთავაზების სურვილის შესახებ, და შეტყობინებას თან უნდა დაურთოს შეთავაზების განცხადების პროექტი. განცხადება შემთავაზებელმა უნდა გამოაქვეყნოს ასევე ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გაზეთის მეშვეობით;
2. სატენდერო შეთავაზების განცხადება შემდეგი შემცველობის უნდა იყოს:
  - ა) ფასიანი ქაღალდების ის კლასი, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს;
  - ბ) ფასიანი ქაღალდების ის რაოდენობა, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს;
  - გ) ის ფასი, რომლითაც შემთავაზებელს ფასიანი ქაღალდების შესყიდვა სურს;
  - დ) მოცემული ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ გამოშვებული ყოველი ფასიანი ქაღალდის კლასი და როგორც პროცენტული, ასევე რიცხობრივი რაოდენობა, რომლის რეგისტრირებული მფლობელიც ან/და მინდობილობით მფლობელიც არის შემთავაზებელი;
  - ე) სატენდერო შეთავაზების ვადები, კერძოდ რა ვადის განმავლობაში იღებს შემთავაზებელი განცხადებებს, რა ვადის განმავლობაში განიხილავს მათ და როდის იღებს გადაწყვეტილებას;
  - ვ) პირობა, რომ სატენდერო შეთავაზება შედგება მხოლოდ მაშინ, თუ შემთავაზებელი განცხადებაში აღნიშნული რაოდენობის გაყიდვაზე მიიღებს თანხმობას;
  - ზ) პირობა, რომ სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელდება;
  - თ) პირობა, რომ შემთავაზებლისათვის გათვალისწინებულზე მეტი ფასიანი ქაღალდის გაყიდვაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში ფასიანი ქაღალდები შესყიდულ იქნება თანაბარწილად, პროცენტულობის ან რაოდენობის მიხედვით;

- ი) პირობა, რომ შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ;
  - კ) შეთავაზების აგენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი, იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
  - ლ) თუ შემთავაზებელს სურს, რომ რეგისტრირებულ მფლობელებს რაიმე რეკომენდაცია მისცეს ან თავისი სამომავლო მოქმედების გეგმა აცნობოს, მას შეუძლია ეს განცხადებაში შეიტანოს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები არ მოითხოვება იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 532 მუხლით განსაზღვრული სავალდებულო სატენდერო შეთავაზება.
  4. სატენდერო შეთავაზების ვადა არ უნდა იყოს 2 თვეზე ნაკლები სატენდერო შეთავაზების განცხადების გავრცელების დღიდან.
  5. სატენდერო შეთავაზების განცხადების გავრცელება უნდა მოხდეს მოცემული ფასიანი ქაღალდების ყველა რეგისტრირებულ მფლობელს შორის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, ემიტენტის, გაზეთის და საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - ასევე საფონდო ბირჟის მეშვეობით, ამასთან:
    - ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა განცხადების ასლები შემთავაზებლის ხარჯით დაზღვეული ფოსტით უნდა დააგზავნოს ან/და ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს პირადად გადასცეს, ამ გადაცემის დადასტურებით;
    - ბ) ემიტენტმა და საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – საფონდო ბირჟამ ყველა დაინტერესებული პირისათვის თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოაქვეყნოს ცნობა სატენდერო შეთავაზების შესახებ და ხელმისაწვდომი გახადოს განცხადების ასლის გადაღება;
    - გ) შერჩეული გაზეთი უნდა ვრცელდებოდეს მთელ ტერიტორიაზე, რომელზედაც საქართველოს იურისდიქცია მოქმედებს.
  6. თუ სატენდერო შეთავაზებელი სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე ცვლის სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობას, მან უნდა მოამზადოს და ამ მუხლით გათვალისწინებული წესით გაავრცელოს სატენდერო შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია, ამასთან, თუ იგი შეთავაზებულ თანხას ზრდის, მაშინ მან განახლებული ვერსიის გავრცელებამდე დათანხმებულ ყველა რეგისტრირებულ მფლობელსაც გაზრდილი თანხა უნდა გადაუხადოს. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც უნდა იქნეს დაცული.
  7. გაყიდვაზე თანხმობა შეიძლება გაკეთდეს შეთავაზების ვადის გასვლამდე წერილობით ან ზეპირად, მაგრამ მისი მიღების წერილობითი დადასტურებით. თუ თანხმობა გაყიდვაზე ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელისაგან მიღებულ იქნა სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ თანხმობიდან ირკვევა, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი, თანხმობა დაგვიანებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ სატენდერო შეთავაზებელი ან მისი აგენ-



ტი დამთანხმებელს დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ. შემთავაზებელს უფლება აქვს მისაღებად ჩათვალოს დაგვიანებული თანხმობაც, ამ მუხლის მე-10 პუნქტის გათვალისწინებით.

8. საჯარო ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელს, რომელიც შეთავაზების პირობებს დათანხმდა, სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე უფლება აქვს წერილობით უარი განაცხადოს თავის თანხმობაზე.
9. თუ სატენდერო შემთავაზებელი უფრო მეტი საჯარო ფასიანი ქაღალდის გაყიდვის თანხმობას მიიღებს, ვიდრე ეს შეთავაზების განცხადებაში იყო აღნიშნული, მაშინ მან ფასიანი ქაღალდები შეთავაზებით გათვალისწინებული რაოდენობით თანაბარწილად უნდა შეისყიდოს ყველა დათანხმებული რეგისტრირებული მფლობელისაგან.
10. სატენდერო შეთავაზების პერიოდში შემთავაზებელს და მასთან დაკავშირებულ პირს ეკრძალება:
  - ა) სატენდერო შეთავაზების გარდა, სხვა ნებისმიერი გზით შეისყიდოს, ან აწარმოოს მოლაპარაკება სატენდერო შეთავაზებაში განხილული ან მათში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების შესახებ;
  - ბ) გაყიდოს სატენდერო შეთავაზებაში აღნიშნული საწარმოს ფასიანი ქაღალდები.
11. თუ სატენდერო შეთავაზების განცხადების გავრცელების ან სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ სატენდერო შემთავაზებელს მოცემული ფასიანი ქაღალდების შესყიდვა აღარ სურს ან სატენდერო შეთავაზების გზით აღარ სურს, მაშინ მას უფლება აქვს გააუქმოს შეთავაზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი პირობა სატენდერო შეთავაზების განცხადებაში აღნიშნული იყო ან ვადის გასვლის შემდეგ მიღებულ არ იქნება შემთავაზებლისათვის სასურველი რაოდენობის ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე თანხმობები. შემთავაზებელმა გაუქმების თაობაზე ყველა რეგისტრირებულ მფლობელს იმავე წესებით უნდა აცნობოს, რომელიც მან განცხადების გავრცელებისას გამოიყენა, თუ შეთავაზების განცხადებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
12. გასხვისების განკარგულებათა შედგენა შეიძლება მხოლოდ სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ.

## თავი V ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა. ნომინალური მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდის გადაცემა კლიენტისათვის

### მუხლი 13. ამ თავის რეგულირების სფერო

1. ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:
  - ა) რეგისტრირებული მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების აღ-

- ბ) სრულების მიზნით;  
ნომინალური მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდების გადაცემა იმ პირისათვის (კლიენტისათვის), რომლის ინტერესებისთვის და დავალებით იგი ნომინალურად ფლობდა ფასიანი ქაღალდებს ან შეიძინა ისინი.
2. ეს თავი არ არეგულირებს ნომინალური მფლობელების მიერ თავიანთ ნომინალურ მფლობელობაში არსებული საჯარო ფასიანი ქაღალდებით საბირჟო ვაჭრობას ან არასაბირჟო გარიგებების დადებას, რაც ექვემდებარება კანონის, ამ წესისა და იმ საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის წესების მოთხოვნებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საბირჟო ვაჭრობა.

### მუხლი 14. გადასაცემი განკარგულება

1. ფასიანი ქაღალდი იმ მომენტიდან ჩაითვლება გადაცემულად მისი რეგისტრირებული მფლობელის მიერ ნომინალურ მფლობელობაში, აგრეთვე ნომინალური მფლობელის მიერ იმ პირისათვის (კლიენტისათვის), რომლის ინტერესებისათვის და დავალებით იგი ნომინალურად ფლობდა ფასიანი ქაღალდებს ან შეიძინა ისინი, როდესაც დადგენილი წესით გაკეთდება რეგისტრატორთან ჩანაწერი ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ.
2. თუ ნომინალურ მფლობელობაში გადასაცემი ფასიანი ქაღალდი (ქაღალდები) რამდენიმე პირის საკუთრებაშია (ანუ ერთი პირადი ანგარიში რამდენიმე რეგისტრირებული მფლობელის სახელზეა გახსნილი), მაშინ გადაცემისათვის საჭიროა ყველა თანამესაკუთრის წერილობითი თანხმობა, რაც თან უნდა დაერთოს გადასაცემ განკარგულებას. ამ თანხმობებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ამ წესის დანართი N5-ით გათვალისწინებული ფორმა. საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე დანართი უნდა შეივსოს.
3. გადასაცემი განკარგულება შედგენილ უნდა იქნეს ამ წესის დანართი N3-ით განსაზღვრული ფორმით.

## თავი VI განკარგულებები

### მუხლი 15. განკარგულების შინაარსი და დანიშნულება

1. განკარგულება და მისი დანართები არ წარმოადგენს საჯარო ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო გარიგებისა და მისი პირობების შესახებ წერილობით შეთანხმებას, არამედ საბროკერო კომპანიის მიერ არის იმის დადასტურება, რომ გადაცემა (გასხვისება, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა ან დაგირავება) ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით განხორციელდა.
2. ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო გარიგებით

შეძენა-გასხვისების, დაგირავების ან ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა-მიღების ფაქტები შესაბამის პირად ანგარიშში (ანგარიშებში) უნდა აისახოს კანონით დადგენილი წესით, სათანადო ჩანაწერის სახით:

- ა) თუ ფასიანი ქაღალდების გამსხვისებლის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ წარდგენილია ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი გასხვისების განკარგულება;
- ბ) თუ ფასიანი ქაღალდების დამგირავებლის ან მოგირავნის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ წარდგენილია ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი გირავნობის განკარგულება;
- გ) თუ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობაში გადამცემის (ან მისი წარმომადგენლის) მიერ წარდგენილია ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის განკარგულება;
- დ) თუ განკარგულება უფლებამოსილი საბროკერო კომპანიის მიერაა წარდგენილი და ამ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ მისი წარდგენა ამ საბროკერო კომპანიას აქვს დავალებული. ხოლო, თუ გარიგება ბროკერის შუამავლობის გარეშე ხდება, განკარგულება წარდგენილია გარიგების მხარეების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

გასხვისების განკარგულება N.....	
<p>1. გამსხვისებელი:</p> <p>ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....</p> <p>ბ) (სახელწოდება): .....</p> <p>გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....</p> <p>დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....</p> <p>ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....</p> <p>ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....</p>	
<p>2. მონაცემები გასხვისებისა და გასხვისებული ფასიანი ქაღალდების შესახებ:</p> <p>ა) ემიტენტის სახელწოდება: .....</p> <p>ბ) კლასი: .....</p> <p>გ) ფქსნ (თუ მინიჭებული აქვს): .....</p> <p>დ) რაოდენობა: .....</p> <p>ე) გარიგების სახე: .....</p> <p>– ჩუქება          – გაცვლა          – სესხება          – ნასყიდობა.</p> <p>– საწესდებო კაპიტალში შენატანის საჯარო ფასიანი ქაღალდით (ქაღალდებით) შესრულება</p> <p>ამასთან, თუ ნასყიდობა შემდეგი სახით ხდება შესაბამისი უჭრედი აღინიშნოს:</p> <p>ა) ნასყიდობა სატენდერო შეთავაზებით</p> <p>ბ) გამოსყიდვა („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53<sup>1</sup> მუხლის მიხედვით)</p>	
<p>3. შემძენი:</p> <p>ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....</p> <p>ბ) (სახელწოდება): .....</p> <p>გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....</p> <p>დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....</p> <p>ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....</p> <p>ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....</p>	
<p>4. განკარგულებას თან ერთვის: .....</p>	
<p>5. განკარგულების წარდგენის თაობაზე:</p> <p>..... განკარგულებას გამსხვისებელი საბროკერო დაევალოს</p>	<p>..... განკარგულების წარდგენა კომპანიას წარადგენს</p>
<p>6. ფ/ქ რეგისტრატორის ან ნომინალური მფლობელის საფირმო სახელწოდება, რომელსაც განკარგულება წარედგინება: .....</p>	

7. გთხოვთ, განკარგულებაში აღნიშნული კლასის და რაოდენობის ფასიანი ქაღალდები გამსხვისებლის პირადი ანგარიშიდან შემძენის პირად ანგარიშზე გადაიტანოთ:

გამსხვისებელი:

შემძენი:

ხელმოწერა: .....

ხელმოწერა: .....

თარიღი: “.....” .....

თარიღი: “.....” .....

20 ..... წ.

20 ..... წ.

8. გარიგების შუამავალი საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება და ბროკერის ხელმოწერა (თუ გარიგება ბროკერის მეშვეობით შედგა):

საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება და ლიცენზიის N: .....

ბროკერის სახელი, გვარი: .....

ბროკერის ხელმოწერა: .....

თარიღი: “.....” ..... 20 ..... წ.

9. მოთხოვნა შესრულებულია:

მარეგისტრირებელის ხელმოწერა: .....

თარიღი: “.....” ..... 20 ..... წ.

გირავნობის განკარგულება N .....			
1.	<p>დამგირავებელი:</p> <p>ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....</p> <p>ბ) (სახელწოდება): .....</p> <p>გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება):.....</p> <p>დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....</p> <p>ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....</p> <p>ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი:.....</p>		
2.	<p>მონაცემები გირავნობასა და დაგირავებულ ფასიან ქალაქდებზე:</p> <p>ა) ემიტენტის სახელწოდება: .....</p> <p>ბ) კლასი: .....</p> <p>გ) ფქსნ (თუ მინიჭებული აქვს): .....</p> <p>დ) რაოდენობა: .....</p> <p>ე) მოთხოვნის მოცულობა: .....</p> <p>ვ) სარგებელი: .....</p> <p>ზ) გირავნობის ვადა:.....</p> <p>თ) მესამე მოვალე: .....</p>		
3.	<p>მოგირავნე (კრედიტორი):</p> <p>ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....</p> <p>ბ) (სახელწოდება): .....</p> <p>გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....</p> <p>დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....</p> <p>ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....</p> <p>ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....</p>		
4.	<p>განკარგულებას თან ერთვის: .....</p>		
5.	<p>განკარგულების წარდგენის თაობაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- განკარგულება წარედგინება მხარის(მხარეების) მიერ</li> <li>- განკარგულების წარდგენა დაევალოს საბროკერო კომპანიას</li> </ul>		
6.	<p>ფ/ქ რეგისტრატორის ან ნომინალური მფლობელის საფირმო სახელწოდება, რომელსაც განკარგულება წარედგინება: .....</p>		
7.	<p>გთხოვთ, განკარგულებაში აღნიშნული კლასის და რაოდენობის ფასიანი ქალაქდების ბლოკირება (გასხვისების შეზღუდვა) მოახდინოთ დამგირავებლის ანგარიშზე:</p> <table style="width: 100%; border: none;"> <tr> <td style="width: 50%; padding: 5px;"> <p>მოგირავნე:</p> <p>ხელმოწერა: .....</p> <p>თარიღი: “.....” .....</p> <p style="text-align: center;">20 ..... წ.</p> </td> <td style="width: 50%; padding: 5px;"> <p>დამგირავებელი:</p> <p>ხელმოწერა: .....</p> <p>თარიღი: “.....” .....</p> <p style="text-align: center;">20 ..... წ.</p> </td> </tr> </table>	<p>მოგირავნე:</p> <p>ხელმოწერა: .....</p> <p>თარიღი: “.....” .....</p> <p style="text-align: center;">20 ..... წ.</p>	<p>დამგირავებელი:</p> <p>ხელმოწერა: .....</p> <p>თარიღი: “.....” .....</p> <p style="text-align: center;">20 ..... წ.</p>
<p>მოგირავნე:</p> <p>ხელმოწერა: .....</p> <p>თარიღი: “.....” .....</p> <p style="text-align: center;">20 ..... წ.</p>	<p>დამგირავებელი:</p> <p>ხელმოწერა: .....</p> <p>თარიღი: “.....” .....</p> <p style="text-align: center;">20 ..... წ.</p>		

8. გარიგების შუამავალი საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება და ბროკერის ხელმოწერა (თუ გარიგება ბროკერის მეშვეობით შედგა):

საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება და ლიცენზიის N: .....  
ბროკერის სახელი, გვარი:.....  
ბროკერის ხელმოწერა: .....  
თარიღი: “.....”..... 20 ..... წ.

9. ბლოკირების მოთხოვნა შესრულებულია:

მარეგისტრირებელის ხელმოწერა: .....  
თარიღი: “.....”..... 20 ..... წ.

10. გთხოვთ, ამ განკარგულებაში აღნიშნული ბლოკირება მოხსნათ:

მოგირავენე: ..... დამგირავებელი: .....  
ხელმოწერა: ..... ხელმოწერა: .....  
თარიღი: “.....”..... თარიღი: “.....”.....  
20 ..... წ. 20 ..... წ.

11 . ბლოკირების მოხსნის მოთხოვნა შესრულებულია:

მარეგისტრირებელის ხელმოწერა: .....  
თარიღი: “.....”..... 20 ..... წ

# დანართი N3

გადასაცემი განკარგულება N .....
<p>1. გადამცემი:</p> <p>ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....</p> <p>ბ) (სახელწოდება): .....</p> <p>გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....</p> <p>დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....</p> <p>ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....</p> <p>ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....</p>
<p>2. მონაცემები გადასაცემი ფასიანი ქალაქდების შესახებ:</p> <p>ა) ემიტენტის სახელწოდება: .....</p> <p>ბ) კლასი: .....</p> <p>გ) ფქსნ (თუ მინიჭებული აქვს): .....</p> <p>დ) რაოდენობა: .....</p> <p>ე) გარიგების ფასი: .....</p> <p>ვ) გადაცემის სახე:                      – კლიენტის მიერ ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა                      – ნომინალური მფლობელის მიერ კლიენტისათვის გადაცემა</p>
<p>3. მიმღები:</p> <p>ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....</p> <p>ბ) (სახელწოდება): .....</p> <p>გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....</p> <p>დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....</p> <p>ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....</p> <p>ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....</p>
<p>4. განკარგულებას თან ერთვის: .....</p>
<p>5. ფასიანი ქალაქდების რეგისტრატორის საფირმო სახელწოდება, რომელსაც განკარგულება წარედგინება:                      .....</p>
<p>6. გთხოვთ, განკარგულებაში აღნიშნული კლასის და რაოდენობის ფასიანი ქალაქდები გადამცემის პირადი ანგარიშიდან გადაიტანოთ მიმღების პირად ანგარიშზე:</p> <p style="margin-left: 40px;">გადამცემის ხელმოწერა: .....</p> <p style="margin-left: 40px;">თარიღი: “.....” ..... 20 ..... წ.</p>
<p>7. მოთხოვნა შესრულებულია:</p> <p>მარეგისტრირებელის                      ხელმოწერა: .....</p> <p>თარიღი: “.....” ..... 20 ..... წ</p>

## დანართი N4

N ..... განკარგულების დანართი N .....	
1. ___ გამსხვისებლის თანამესაკუთრე ___ დამგირავებლის თანამესაკუთრე	___ შემძენის თანამესაკუთრე ___ თანამოგირავენე
2.	
ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....	
ბ) (სახელწოდება): .....	
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....	
დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....	
ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....	
ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....	
ზ) ხელმოწერა	
3. ბროკერის ხელმოწერა: .....	
დანართის შევსების თარიღი: “.....” ..... 20 ..... წ.	

## დანართი N5

N ..... განკარგულების დანართი N.....	
ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფასიანი ქაღალდების თანამესაკუთრე:	
ა) სახელი, გვარი და მოქალაქეობა: .....	
ბ) (სახელწოდება): .....	
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი (რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება): .....	
დ) მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: .....	
ე) პირადი ანგარიშის ნომერი: .....	
ვ) წარმომადგენლობისას – მისი სახელი, გვარი, წარმომადგენლობის სახე და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახე, სერია და ნომერი: .....	
ზ) ხელმოწერა: .....	
თარიღი: “.....” ..... 20 ..... წ	



### 3.3.21 ანგარიშვალდებული საწარმოების მიმართ კერიოლული საანგარიშგებო მოთხოვნების განსაზღვრის, საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან განთავისუფლების, ანგარიშვალდებული საწარმოების ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს ანგარიშვალდებული საწარმოს (შემდგომში – საწარმო) მიერ წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშების შინაარსს და მათი საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსადმი (შემდგომში – სააგენტო) წარდგენის წესს, ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის, აგრეთვე საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან საწარმოს განთავისუფლების გარემოებებსა და საწარმოს მიერ ანგარიშგებისას წარმოდგენილი, მის მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის სააგენტოსადმი წარდგენის, ამ ინფორმაციის კონფიდენციალურად აღიარებისა და მისი საჭაროდ გამოცხადების პროცედურებს.
- საწარმო წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს სააგენტოს წარუდგენს წინამდებარე წესში მითითებულ ვადებში დოკუმენტური და ელექტრონული ფორმით, ხოლო სააგენტო უზრუნველყოფს აღნიშნული ანგარიშების გამოქვეყნებას თავის ვებგვერდზე ([www.qsa.gov.ge](http://www.qsa.gov.ge)).
- ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

#### მუხლი 2. საწარმოს მიერ სააგენტოში წარსადგენი ანგარიშგება

- საწარმო სააგენტოში წარადგენს:
  - წლიურ ანგარიშს;
  - ნახევარწლიურ ანგარიშს;
  - მიმდინარე ანგარიშს.
- საწარმოს მიერ წარდგენილი წლიური და ნახევარწლიური ფინანსური ანგარიში უნდა შეიცავდეს

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა (ბასს) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გათვალისწინებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებსა (უწყისებს) და შენიშვნას.

- საწარმომ ანგარიშები სააგენტოში უნდა წარადგინოს როგორც დოკუმენტური, ასევე ელექტრონული ფორმით.
- ამ მუხლით და ასევე ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშებს ხელს აწერენ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. აღნიშნული პირები კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი არიან ანგარიშში შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

#### მუხლი 3. წლიური ანგარიში

- წლიური ანგარიში დგება ყოველი სამეურნეო წლისათვის და უნდა შეიცავდეს:
  - ინფორმაციას ემიტენტის, მისი საქმიანობის, მმართველი ორგანოს წევრთა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც აქციონერთა კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმების მნიშვნელოვან წილს;
  - აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშს, რომელიც შედგება:
    - ბალანსისაგან;
    - მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისაგან;
    - კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებისაგან;
    - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებისაგან;
    - ახსნაგანმარტებითი შენიშვნებისაგან.
- წლიური ანგარიშის აუდიტი უნდა განხორციელდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- საწარმო ვალდებულია წარადგინოს სააგენტოში წლიური ანგარიში ყოველი სამეურნეო წლის დასრულებიდან 90 დღის განმავლობაში. აღნიშნულ წლიურ ანგარიშს ასევე წარადგენს ის საწარმოც, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმო გახდა სამეურნეო წლის განმავლობაში, ამ პუნქტში აღნიშნული ვადების დაცვით.

#### მუხლი 4. ნახევარწლიური ანგარიში

- ნახევარწლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს:
  - ბალანსს;
  - მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
  - კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
  - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
  - ახსნაგანმარტებით შენიშვნებს.
- ნახევარი წლის ანგარიში დგება სამეურნეო წლის პირველი 6 თვის შესახებ (30 ივნისის მდგომარეობით). თუ საწარმო გახდა ანგარიშვალდებული საწარმო სამეურნეო წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, მაშინ ის ნახევარი წლის ანგარიში, რომელიც მოიცავს ამ ნთვთან პერიოდს, წარედგ-

ინება სააგენტოს ამ პერიოდის დამთავრებიდან 45 დღის განმავლობაში. შემდგომში, ნახევარი წლის ანგარიში წარედგინება სააგენტოს წევრიანი პერიოდის დამთავრებიდან 45 დღის განმავლობაში

### მუხლი 5. საწარმოს მიერ სააგენტოში წარსადგენი მიმდინარე ანგარიში

1. საწარმომ უნდა წარმოადგინოს მიმდინარე ანგარიში:
  - ა) აქციათა კონტროლთან (მნიშვნელოვან წილთან, მნიშვნელოვან შენაძენთან) დაკავშირებული ცვლილებების შესახებ; ამ ინფორმაციის სააგენტოსათვის შეტყობინება უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერის წარდგენის სახით;
  - ბ) ლიკვიდაციის პროცესის დაწყების, ლიკვიდატორის დანიშვნისა და ლიკვიდატორის შესახებ ინფორმაცია;
  - გ) საწარმოს ქონებაზე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნა/შენწყვეტა ან რეაბილიტაცია;
  - დ) საწარმოს საქმიანობის შეჩერების ან განახლების შესახებ;
  - ე) საწარმოს მიერ აუდიტორის შერჩევისა და მისი შეცვლის შესახებ;
  - ვ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შესახებ;
  - ზ) ინფორმაცია: შერწყმის/გაყოფის, ფასიანი ქაღალდის დანაწევრების, მნიშვნელოვანი ხელშეკრულების დადების, სხვა ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზების შესახებ;
  - თ) ინფორმაცია საწარმოს შეფასებით საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენის შესახებ;
  - ი) ინფორმაცია სააგენტოში წარდგენილ ანგარიშში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე.
2. საწარმომ სააგენტოს უნდა წარუდგინოს მიმდინარე შეტყობინება ამ მუხლში ჩამოთვლილი მოვლენის დადგომიდან 15 დღის განმავლობაში.

### მუხლი 6. სააგენტოსადმი კონფიდენციალური ინფორმაციის წარდგენა

1. საწარმოს უფლება აქვს სააგენტოსთვის წარსადგენ ანგარიშებში არ შეიტანოს მის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია. ანგარიშის იმ ნაწილში, რომელშიც უნდა ასახულიყო კონფიდენციალური ინფორმაცია, საწარმო აკეთებს მითითებას, რომ ინფორმაცია გამოტოვებულია საწარმოს მიერ მისი კონფიდენციალურად მიჩნევის გამო და ცალკე იქნება წარდგენილი.
2. საწარმოს მიერ არ შეიძლება კონფიდენციალურად იქნეს ცნობილი ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია.
3. საწარმო სააგენტოს ცალკე, კონფიდენციალურობის მითითებით, წარუდგენს სპეციალურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას. საწარმო ამ ინფორმაციას წარადგენს სა-

აგენტოში უშუალოდ თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, ან ანგარიშთან ერთად უგზავნის სააგენტოს დაზღვეული ფოსტით.

4. სააგენტოსადმი წარდგენილ კონფიდენციალურ ინფორმაციას საწარმო თან ურთავს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ახსნაგანმარტებას იმის თაობაზე, თუ რატომ მიიჩნევს საწარმო ინფორმაციას კონფიდენციალურად და რატომ არ არის მიზანშეწონილი ამ ინფორმაციის გამჟღავნება.

### მუხლი 7. სააგენტოს მიერ ინფორმაციის კონფიდენციალურად აღიარება

1. სააგენტო ინფორმაციის კონფიდენციალურად აღიარების საკითხს განიხილავს მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში, რის შემდგომაც წერილობითი ფორმით აცნობებს საწარმოს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
2. თუ სააგენტომ არ აღიარა საწარმოს მიერ წარდგენილი ინფორმაცია კონფიდენციალურად, საწარმო უფლებამოსილია დამატებით ფაქტორებზე დაყრდნობით, წერილობითი ფორმით სთხოვს სააგენტოს, გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება. ასეთი წერილობითი მიმართვის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში სააგენტომ უნდა გადაამოწმოს თავისი ბოლო გადაწყვეტილება. სააგენტოს გადაწყვეტილების გადამოწმება შეუძლია მხოლოდ ერთხელ.
3. თუ სააგენტო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომ ინფორმაცია არასწორად იყო ამოღებული წარდგენილი ანგარიშიდან, საწარმო, რომელმაც წარადგინა დოკუმენტები, ვალდებულია წარადგინოს შესწორებული დოკუმენტები, რომლებშიც ჩართული იქნება ადრე ამოღებული ინფორმაცია.

### მუხლი 8. კონფიდენციალური ინფორმაციის საჭაროდ გამოცხადება

1. საწარმოს შეუძლია ნებისმიერ დროს წერილობით მიმართოს სააგენტოს კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის საჭაროდ გამოცხადების თხოვნით. ინფორმაცია ღიად ჩაითვლება სააგენტოს მიერ საწარმოს თხოვნის მიღებისთანავე.
2. ინფორმაციის საჭაროდ გამოცხადებიდან 15 დღის ვადაში საწარმო უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის საჭაროობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონფიდენციალური ინფორმაციის ღიად გამოცხადების თაობაზე, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომ:
  - ა) მას აღარ გააჩნია ის ღირებულება, რის გამოც კონფიდენციალურად იქნა აღიარებული;
  - ბ) კონფიდენციალური ინფორმაცია ცნობილი გახდა ისეთ პირთათვის, რომელთაც, ჩვეულებრივ, არ უნდა ჰქონოდათ აღნიშნული ინფორმაცია.
4. სააგენტო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობითი

ფორმით აცნობებს საწარმოს, რომ აპირებს კონფიდენციალური ინფორმაციის ღიად გამოცხადებას და მიუთითებს ამ გადაწყვეტილების საფუძვლებს.

5. თუ საწარმო არ ეთანხმება სააგენტოს გადაწყვეტილებას კონფიდენციალური ინფორმაციის ღიად გამოცხადების თაობაზე, იგი 5 დღის ვადაში წერილობითი ფორმით აცნობებს აღნიშნულის შესახებ სააგენტოს შესაბამისი არგუმენტების მითითებით. თუ საწარმო აღნიშნულ ვადაში არ მიაწოდებს სააგენტოს საკუთარ მოსაზრებას, ინფორმაცია ჩაითვლება ღიად.
6. საწარმოსაგან ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში სააგენტო საბოლოო გადაწყვეტილებას კონფიდენციალური ინფორმაციის ღიად გამოცხადების თაობაზე იღებს 10 დღის ვადაში და წერილობითი ფორმით აწვდის საწარმოს. თუ სააგენტო ამ ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, ინფორმაცია დარჩება კონფიდენციალურად.
7. საწარმო უფლებამოსილია სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს. თუ საწარმო გაასაჩივრებს სააგენტოს გადაწყვეტილებას, სააგენტო ვალდებულია ინფორმაცია კონფიდენციალურად შეინახოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

### მუხლი 9. საწარმოს საანგარიშო მოთხოვნებისაგან გათავისუფლება

1. წინამდებარე წესით განსაზღვრული საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან თავისუფლება საწარმო:
  - ა) რომლის საქმიანობა შეჩერებულია საგადასახადო ორგანოში საწარმოს მიერ წარდგენილი სათანადო განცხადების საფუძველზე;
  - ბ) რომლის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების პროცესი ან რეაბილიტაცია, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;
  - გ) რომლის ფასიან ქაღალდებსაც ჩანაწერით ფლობს 50-ზე ნაკლები მფლობელი;
  - დ) რომლის ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გარიგება არ დაფიქსირებულა საფონდო ბირჟაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში;
  - ე) ლიკვიდაციის დაწყებისას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საწარმოები თავისუფლებიან ამ წესით დადგენილი წლიური და ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენის ვალდებულებებისაგან. ეს საწარმოები ვალდებული არიან სააგენტოში წარმოადგინონ მიმდინარე ანგარიში ამ წესის შესაბამისად.
3. ვალდებულებისაგან გათავისუფლება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით საწარმოზე ვრცელდება იმ თარიღიდან, როდესაც ამის შესახებ იგი წერილობით აცნობებს სააგენტოს.
4. ვალდებულებისაგან გათავისუფლება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ

საწარმოზე ვრცელდება იმ თარიღიდან, როდესაც ამის შესახებ იგი წერილობით აცნობებს სააგენტოს და წარმოადგენს ამ გარემოების დამადასტურებელ დოკუმენტს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გაცემული სათანადო ამონაწერის სახით.

5. ვალდებულებისაგან გათავისუფლება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საწარმოზე ვრცელდება იმ თარიღიდან, როდესაც ამის შესახებ იგი წერილობით აცნობებს სააგენტოს და წარუდგენს შესაბამისი კრების ან სასამართლო გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე.
6. სააგენტო უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული საწარმოებისგან ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია. ამ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარუდგენლობა იწვევს საწარმოს უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 10. რეგისტრატორის დანიშვნა

1. თუ ემიტენტი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში არ შეარჩევს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, მას რეგისტრატორს უნიშნავს სააგენტო ამ მუხლის შესაბამისად.
2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებმა, რომელთაც სურვილი აქვთ აწარმოონ იმ ემიტენტების ფასიანი ქაღალდების რეესტრი, რომელთაც სააგენტო დაუნიშნავს რეგისტრატორს, სააგენტოში უნდა წარადგინონ განაცხადი აღნიშნულის თაობაზე ყოველი კალენდარული წლის პირველი 30 დღის განმავლობაში.
3. განაცხადის სააგენტოში წარდგენა ნებაყოფლობითია.
4. რეგისტრატორთა პირველადი რიგი ყალიბდება სააგენტოში რეგისტრირებულ განაცხადთა წილისყრის მიხედვით.
5. იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი რეგისტრატორი არ გააკეთებს განაცხადს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სააგენტო რეგისტრატორების რიგს ჩამოაყალიბებს მის მიერ ლიცენზირებული რეგისტრატორების წილისყრის მიხედვით.
6. სააგენტო ყოველი კალენდარული წლის პირველი 45 დღის განმავლობაში შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთა სიას, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება ემიტენტისათვის რეგისტრატორის დანიშვნის დროს.
7. რეგისტრატორთა პირველადი რიგიდან იმ რეგისტრატორის შერჩევა, რომელიც სააგენტოს გადაწყვეტილებით უნდა დაენიშნოს ემიტენტს, ხდება თანმიმდევრული როტაციის (ყოველი მომდევნო რეგისტრატორი იკავებს წინა რეგისტრატორის ადგილს) პრინციპით.
8. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით შერჩეულ რეგისტრატორს, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არა აქვს მოცემული

ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების უფლება, შერჩევა გაგრძელდება იმავე პრინციპით.

9. ემიტენტისათვის დასანიშნად შერჩეულ რეგისტრატორს არა აქვს უფლება უარი თქვას მოცემული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებაზე, თუ მას საამისოდ არ გააჩნია სათანადო არგუმენტები, რასაც სააგენტო უარის თქმის საფუძვლად მიიჩნევს.
10. რეგისტრატორი შეიძლება ამოღებულ იქნეს პირველადი რიგიდან:
  - ა) საკუთარი სურვილით, სააგენტოსადმი წერილობითი განაცხადის წარდგენის გზით;
  - ბ) სააგენტოს გადაწყვეტილებით, რეგისტრატორის მიერ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.
11. რეგისტრატორის პირველადი რიგიდან ამოღებულ რეგისტრატორს არ აქვს უფლება ხელახლა განაცხადოს აღნიშნულ რიგში შეყვანის შესახებ რიგიდან მისი ამოღების დღიდან 90 დღის განმავლობაში.

### მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საფუძვლები საწარმოებზე ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ ეს საფუძვლები წარმოიშვა ამ წესის ამოქმედებამდე.

### 3.3.22 ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ანგარიშის წარდგენისა და ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის და მისი ცვლილებების საჭაროობის წესი

#### თავი I ზოგადი დებულებანი

##### მუხლი 1. წესი მოქმედების სფერო

- ეს წესი განსაზღვრავს:
  - საჭაროობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის და მათში ცვლილებების მიმართ, ადგენს ამგვარ შენაძენთა შესახებ შეტყობინებების ფორმასა და შინაარსს, ასევე მათი გავრცელების ვადებსა და პროცედურას;
  - ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ანგარიშის შემდგენელ პირს ან პირთა ჯგუფს, ანგარიშის ფორმებსა და შინაარსს და მისი საქართველოს ეროვნული ბანკისადმი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) წარდგენის ვადებსა და პროცედურას.
- ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – კანონი) განსაზღვრული მნიშვნელობა.

### თავი II ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენი და მისი ცვლილებების საჭაროობა

##### მუხლი 2. მოთხოვნები შეტყობინებათა გავრცელებისადმი ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის დროს

- პირი ან პირთა ჯგუფი ვალდებულია ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ შეტყობინება (ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული ფორმით) ამ ფაქტის დადგომიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, წარუდგინოს:
  - ეროვნულ ბანკს;
  - ამ ფასიანი ქაღალდების ემიტენტს;
  - იმ საფონდო ბირჟას, რომელზედაც, ხორციელდება ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა (სავაჭროდ არის დაშვებული).
- თუ პირი ან პირთა ჯგუფი შეიძენს იმ კომერციული ბანკის მნიშვნელოვან წილს, რომელიც არის ანგარიშვალდებული საწარმო და, თუ ამ პირს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი აქვს შესაფერისობის დეკლარაცია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41 და 81 მუხლების შესაბამისად, მაშინ მას არ ევალება დამატებით ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების წარმოდგენა ეროვნულ ბანკში, მაგრამ არ თავისუფლდება აღნიშნული შეტყობინების წარდგენის ვალდებულებისაგან ემიტენტისთვის და საფონდო ბირჟისთვის.
- ამ წესის მიზნებისათვის ჯგუფად ჩაითვლებიან პირები, თუკი ისინი აკმაყოფილებენ კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.
- თუ ემიტენტის აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე დგება, შეტყობინებათა წარდგენა უნდა მოხდეს შეძენის შემდეგ 1 სამუშაო დღის ვადაში.
- ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში რეგისტრატორს ეკისრება ვალდებულება შემძენს შეატყობინოს აქციონერთა საერთო კრების გამართვის თარიღი.

##### მუხლი 3. წარდგენილ შეტყობინებათა საჭაროობა

ამ წესის შესაბამისად წარდგენილი შეტყობინებები საჭაროა.

## მუხლი 4. შეტყობინებლობით გამოწვეული შედეგები

1. თუ ეროვნული ბანკის ან საფონდო ბირჟის მიერ გამოაშკარავდება, რომ პირმა ან პირთა ჯგუფმა დაარღვია ამ წესით გათვალისწინებული შეტყობინებასთან დაკავშირებული რომელიმე მოთხოვნა, მაშინ ეროვნულ ბანკს შეუძლია შეუჩეროს მას სანარმოს უახლოეს აქციონერთა საერთო კრებაზე მის მფლობელობაში არსებული ანგარიშვალდებული სანარმოს 10%-ზე მეტ აქციებზე ხმების გამოყენების უფლება.
2. თუ შეტყობინებისადმი მოთხოვნა პირთა ჯგუფის მხლოდ ერთმა ან ზოგიერთმა წევრმა დაარღვია, მაშინ ხმის უფლებას დაკარგავს ჯგუფის ყველა წევრი სოლიდარულად.

## თავი III ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული ამ სანარმოს ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ანგარიში

### მუხლი 5. ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული ამ სანარმოს ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ანგარიშის წარდგენა

1. ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს ყოველი წევრი ვალდებულია ეროვნულ ბანკში წარადგინოს მის საკუთრებაში არსებული ამ სანარმოს ყველა ფასიანი ქაღალდის ამსახველი საწყისი ანგარიში, ამ წესის დანართი N2-ით გათვალისწინებული ფორმით.
2. საწყისი ანგარიში წარდგენილ უნდა იქნას ეროვნულ ბანკში 10 სამუშაო დღის ვადაში მას შემდეგ, როცა:
  - ა) სანარმო გახდა ანგარიშვალდებული;
  - ბ) პირი (რომელიც ფლობს ანგარიშვალდებული სანარმოს ფასიან ქაღალდებს) გახდა ამ სანარმოს მმართველი ორგანოს წევრი;
  - გ) პირმა (სანარმოს მმართველი ორგანოს წევრმა) შეიძინა აღნიშნული სანარმოს ფასიანი ქაღალდები.
3. თუ სანარმოს ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, მაშინ ეროვნულ ბანკში ანგარიშის წარდგენისთანავე მმართველი ორგანოს წევრი ანალოგიურ ანგარიშს წარუდგენს საფონდო ბირჟასაც.
4. თუ მმართველი ორგანოს წევრის მიერ მოხდა ანგარიშვალდებული სანარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი წილის შექცევა, მაშინ ის ეროვნულ ბანკში წარადგენს ერთ ანგარიშს, რომელიც შედგენილია ამ მუხლის შესაბამისად. აღ-

ნიშნულ შემთხვევაში მმართველი ორგანოს წევრი ანგარიშში აკეთებს მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ მითითებას.

## მუხლი 6. საანგარიშგებო ცვლილებები ბენეფიციურ საკუთრებაში

1. ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მის ბენეფიციურ საკუთრებაში ცვლილებების ამსახველი განახლებული ანგარიში. მას ეს იმ შემთხვევაშიც მოეთხოვება, როდესაც გარკვეულ მიზეზთა გამო მის მიერ საწყისი ანგარიში ჯერ არ არის წარდგენილი.
2. განახლებული ანგარიში წარდგენილ უნდა იქნას ბენეფიციურ საკუთრებაში ცვლილების მოხდენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამ წესის დანართი N3-ით გათვალისწინებული ფორმით.
3. თუ სანარმოს ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, მაშინ ეროვნულ ბანკში განახლებული ანგარიშის წარდგენისთანავე მმართველი ორგანოს წევრი ანალოგიურ ანგარიშს წარუდგენს საფონდო ბირჟასაც.

## მუხლი 7. სატენდერო შეთავაზების შედეგად ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის შეტყობინებათა ეროვნულ ბანკში წარდგენა

ეროვნულ ბანკში შეტყობინებათა წარდგენის ვადა სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში შემდეგნაირად დადგინდება:

1. თუ პირი ან პირთა ჯგუფი სატენდერო შეთავაზების შედეგად შეიძენს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვან წილს, მან ამის შესახებ ეროვნულ ბანკს უნდა აცნობოს 10 სამუშაო დღის ვადაში ამ წესის დანართი N4-ით გათვალისწინებული ფორმით;
2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში იგივე შემთავაზებელი გააკეთებს ახალ სატენდერო შეთავაზებას, მაშინ მან პირველი შეთავაზების შედეგად შექცნილი მნიშვნელოვანი წილის შესახებ უნდა აცნობოს 2 სამუშაო დღის ვადაში;

# დანართი N1

## ანგარიშვალდებულებული საწარმოს ფასიანი ქალაქების მნიშვნელოვანი შენაძენის (წილის) შეძენის ან/და მისი სვლილების შესახებ

1. იმ ანგარიშვალდებულებული საწარმოს სრული სახელწოდება, რომლის ხმის უფლების მქონე ფასიანი ქალაქების მნიშვნელოვანი წილის შეძენაც მოხდა:
 

---
2. შემტყობინებლის სახელი და გვარი, ხოლო თუ შემტყობინებელი იურიდიული პირია მისი რეკვიზიტები:
 

---
3. შემტყობინებელი არის თუ არა საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი:
  - ა) არა (მაშინ გადადით მე-4 პუნქტზე)
  - ბ) დიახ (მაშინ დაასახელეთ თანამდებობა) \_\_\_\_\_
4. შეტყობინებას წარმოვადგენ იმიტომ, რომ:
  - ა) ფასიანი ქალაქები ბენეფიციურ საკუთრებაში შევიძინე ან გავასხვისე.
  - ბ) შევიძინე ან გადავეცი ფასიანი ქალაქების ხმის უფლება, თუ ასეა, მიუთითეთ თითოეული ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი და გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება):
5. დაშვებულია თუ არა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ საწარმოს ფასიანი ქალაქები:
  - ა) არა;
  - ბ) დიახ (მაშინ შეტყობინების ასლი წარუდგინეთ ამ საფონდო ბირჟასაც).
6. შემტყობინებელმა ფასიანი ქალაქები მნიშვნელოვანი რაოდენობით პირადად თუ პირთა ჯგუფთან ერთად შეიძინა:
  - ა) პირადად (მაშინ გადადით მე-7 პუნქტზე);
  - ბ) პირთა ჯგუფთან ერთად (მაშინ დაასახელეთ ჯგუფის თითოეული წევრის სახელი და გვარი).
7. წარმოგიდგენიათ თუ არა აქამდე შეტყობინება?
  - ა) არა, ეს არის ჩემს მიერ წარმოდგენილი პირველი შეტყობინება (მაშინ გადადით მე-8 პუნქტზე)
  - ბ) დიახ, აღრევ წარმომიდგენია შეტყობინება (მაშინ შეავსეთ მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული ცხრილები და აღნიშნეთ შეძენისა და გასხვისების ყოველი ფაქტი):

გასხვისების თარიღი	გასხვისების ფორმა	გასხვისებამდელი რაოდენობა (%)	გასხვისების შემდგომი რაოდენობა (%)

8. მონაცემები შეძენისა და შენაძენის შესახებ (II სვეტში მოცემულია შეძენის სახე და მასში უნდა აღინიშნოს, შესაბამისად: ყიდვა, ჩუქება, მემკვიდრეობა, გაცვლა, კონვერტაცია, მინდობილობის საფუძველზე მიღება, პირთა ჯგუფთან გაერთიანება):

შეძენის თარიღი	შეძენის სახე	პირადი შენაძენის რაოდენობა (%)		პირთა ჯგუფთან ერთად შენაძენის მთლიანი რაოდენობა (%)	
		რაოდენობა შეძენამდე	შეძენის შემდგომი რაოდენობა	რაოდენობა შეძენამდე	შეძენის შემდგომი რაოდენობა

9. შემტყობინებლის დადასტურება:
 

ვაცნობიერებ რა, რომ ანგარიშში არასწორი ან არასრული ინფორმაციის შეტანისათვის შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად დამეკისროს პასუხისმგებლობა, მათ შორის – ჯარიმა, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარდგენილ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია მართალი და სრულია.

ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის შეტყობინებამ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

(ხელმოწერა)

(თარიღი)

## დანართი N2

### ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ საწყისი ანგარიში

1. სანარმოს სრული სახელწოდება: \_\_\_\_\_
2. საწყისი ანგარიშის წარმდგენის სახელი, გვარი და თანამდებობა:  
\_\_\_\_\_
3. დაშვებულია, თუ არა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ სანარმოს ფასიანი ქაღალდები (თუ არის, მაშინ ამ ანგარიშის ასლი წარმდგენილ უნდა იქნეს ამ საფონდო ბირჟაზეც):
  - ა) დიახ;
  - ბ) არა.
4. საწყისი ანგარიშის წარმდგენის მიზეზი:
  - ა) სანარმო გახდა ანგარიშვალდებული;
  - ბ) სანარმოს რომელიმე კლასის ფასიან ქაღალდებს "ჩანაწერით ფლობს" ფასიანი ქაღალდების 100-ზე მეტი მფლობელი;
  - გ) სანარმოს ფასიანი ქაღალდები დაშვებულ იქნა სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე;
  - დ) წარმდგენი არჩეულ ან დანიშნულ იქნა სანარმოს მმართველი ორგანოს წევრად.
5. საწყისი ანგარიშის წარმდგენის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ცხრილი (II სვეტში მოცემულია შეძენის სახე და მასში უნდა აღინიშნოს, შესაბამისად: ყიდვა, ჩუქება, მემკვიდრეობა და ა.შ.):

ფასიანი ქაღალდების კლასი	შეძენის თარიღი და სახე	შენაძენის რაოდენობა	შენაძენი ერთეულის ფასი	შენაძენის მთლიანი ფასი	შეძენის შემდგომი რაოდენობა (რიცხვ.)	შეძენის შემდგომი ოდენობა (%)

6. ანგარიშვალდებული სანარმოს ფასიან ქაღალდებზე საწყისი ანგარიშის წარმდგენის მიერ ბენეფიციური საკუთრების შეძენის გარიგების, უპირატესი უფლებების, ოფციონის და ვარანტების ცხრილი (I სვეტში უნდა აღინიშნოს: ოფციონი, ვარანტი ან სხვა შეთანხმება):

გარიგების სახე	გარიგების მხარე (მხარეები)	გარიგების თარიღი	შენაძენის რაოდენობა	ერთეულის ფასი	შეძენის საერთო ღირებულება



7. ფასიანი ქაღალდები თანასაკუთრებაში:

ფასიანი ქაღალდების კლასი	თანამესაკუთრის ვინაობა	ანგარიშის წარმდგენის თანასაკუთრების რაოდენობა	თანამესაკუთრის საკუთრების მთლიანი რაოდენობა	თანასაკუთრების პროცენტული თანაფარდობა გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან

8. საწყისი ანგარიშის წარმდგენის ხელმოწერა:

ვაცნობიერებ რა, რომ ანგარიშში არასწორი ან არასრული ინფორმაციის შეტანისათვის შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად დამევკისროს პასუხისმგებლობა, მათ შორის – ჭარიმა, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმდგენილ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია მართალი და სრულია.

ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის შეტყობინებამ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_ (თარიღი)

# დანართი N3

## ანგარიშვალდებული სანარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ განახლებული ანგარიში

1. სანარმოს სრული სახელწოდება: \_\_\_\_\_
  
2. განახლებული ანგარიშის წარმდგენის სახელი, გვარი და თანამდებობა:  
\_\_\_\_\_
  
3. სანყისი ანგარიშის წარმდგენის თარიღი:  
\_\_\_\_\_
  
4. დაშვებულია თუ არა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ სანარმოს ფასიანი ქაღალდები (თუ არის, მაშინ ამ ანგარიშის ასლი წარმდგენილ უნდა იქნეს ამ საფონდო ბირჟაზეც):
  - ა) დიახ;
  - ბ) არა.
5. განახლებული ანგარიშის წარმდგენის მიზეზი:
  - ა) ფასიანი ქაღალდების შექმნა;
  - ბ) ფასიანი ქაღალდების შექმნის გარიგების (გარიგებების) დადება;
  - გ) ფასიანი ქაღალდების გასხვისება;
  - დ) ფასიანი ქაღალდების გასხვისების გარიგების(გარიგებების) დადება;
  - ე) თანასაკუთრების შეთანხმების დადება;
  - ვ) თანასაკუთრების შეთანხმების შეწყვეტა.
6. თუ ბენეფიციურ საკუთრებაში ცვლილება გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების შექმნით, შევსებულ უნდა იქნას შემდეგი ცხრილი (II სვეტში მოცემულია შექმნის სახე და მასში უნდა აღინიშნოს, შესაბამისად: ყიდვა, ჩუქება, მემკვიდრეობა და ა.შ.):

ფასიანი ქაღალდების კლასი	შექმნის თარიღი და სახე	შენაძენის რაოდენობა	შენაძენის ერთეულის ფასი	შენაძენის მთლიანი ფასი	შექმნამდელი რაოდენობა (რიცხ.)	შექმნის შემდგომი რაოდენობა (რიცხ.)	შექმნის შემდგომი ოდენობის თანაფარდობა ამავე კლასის გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან (%)

7. თუ ანგარიშვალდებული სანარმოს ფასიანი ქაღალდების ბენეფიციურ საკუთრებაში ცვლილება გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების შექმნის გარიგებით, ჩამოთვლილ უნდა იქნას ყველა გარიგება, უპირატესი უფლების, ოფციონი და ვარანტი იმის მიუხედავად, ანგარიშვალდებული სანარმო არის თუ არა მისი მხარე, ან გარიგება წერილობითია თუ – ზეპირი (I სვეტში უნდა აღინიშნოს: ოფციონი, ვარანტი ან სხვა შეთანხმება):

გარიგების სახე	გარიგების მხარე (მხარეები)	გარიგების თარიღი	გარიგების ვადის გასვლის თარიღი	შენაძენის რაოდენობა	შენაძენი ერთეულის ფასი	შეძენის საერთო ფასი

8. თუ ცვლილება ბენეფიციურ საკუთრებაში გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების გასხვისებით, შევსებულ უნდა იქნას შემდეგი ცხრილი (II სვეტში მოცემულია გასხვისების სახე და მასში უნდა აღინიშნოს, შესაბამისად: გაყიდვა, ჩუქება და ა.შ.):

ფასიანი ქაღალდების კლასი	გასხვისების თარიღი და სახე	გასხვისებულის რაოდენობა	გასხვისებული ერთეულის ფასი	გასხვისების მთლიანი ღირებულება	გასხვისებამდელი რაოდენობა (რიცხვ.)	გასხვისების შემდგომი რაოდენობა (რიცხვ.)	გასხვისების შემდგომი ოდენობის თანაფარდობა ამავე კლასის გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან (%)

9. თუ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების ბენეფიციურ საკუთრებაში ცვლილება გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების გასხვისების გარიგებით, ჩამოთვლილ უნდა იქნას ყველა გარიგება, უპირატესი უფლება, ოფციონი თუ ვარანტი იმის მიუხედავად, ანგარიშვალდებული საწარმო არის თუ არა მისი მხარე, ან გარიგება წერილობითა თუ – ზეპირი (I სვეტში უნდა აღინიშნოს: ოფციონი, ვარანტი ან სხვა შეთანხმება):

გარიგების სახე	გარიგების მხარე (მხარეები)	გარიგების თარიღი	გარიგების ვადის გასვლის თარიღი	გასხვისების რაოდენობა (რიცხვ.)	გასხვისებული ერთეულის ფასი	გასხვისების მთლიანი ღირებულება

10. თუ ბენეფიციური საკუთრების ცვლილება დაკავშირებულია თანასაკუთრებასთან, შევსებულ უნდა იქნას შემდეგი ცხრილი:

ფასიანი ქაღალდების კლასი	თანამესაკუთრის ვინაობა	ანგარიშის წარმდგენის თანასაკუთრების ადრინდელი რაოდენობა (რიცხვ.)	ანგარიშის წარმდგენის თანასაკუთრების ამჟამინდელი რაოდენობა (რიცხვ.)	თანამესაკუთრის საკუთრების ამჟამინდელი მთლიანი რაოდენობა (რიცხვ.)	ორივეს თანასაკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის თანაფარდობა ამავე კლასის გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან (%)

11. განახლებული ანგარიშის წარმოდგენის ხელმოწერა:

ვაცნობიერებ რა, რომ ანგარიშში არასწორი ან არასრული ინფორმაციის შეტანისათვის შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად დამეკისროს პასუხისმგებლობა, მათ შორის – ჯარიმა, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარდგენილ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია მართალი და სრულია.

ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის შეტყობინებამ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებში შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

\_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

\_\_\_\_\_

(თარიღი)

# დანართი N4

## შეფოტინება ფასიანი ქალაქების სატენდერო შეთავაზების შესახებ

1. შემტყობინებლის სახელი, გვარი (თუ იურიდიული პირია – რეკვიზიტები)

---

2. ფასიანი ქალაქების კლასი და რაოდენობა, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს;

კლასი	რაოდენობა
აქცია	
კორპორაციული ობლიგაცია	
სამთავრობო ფასიანი ქალაქი	
მუნიციპალური სასესხო ვალდებულება	
კოლექტიური საინვესტიციო სქემის ფასიანი ქალაქი	
ოფციონის ხელშეკრულება	
ფიუჩერული ხელშეკრულება	
ვარანტი	
სადეპოზიტო ხელწერილი	
სხვა დანარჩენი	

3. ფასი, რომლითაც შემთავაზებელს ფასიანი ქალაქების შესყიდვა სურს

---

4. მოცემული ანგარიშვალდებულებული საწარმოს მიერ გამოშვებული ყოველი ფასიანი ქალაქის კლასს და როგორც პროცენტულ, ასევე რიცხობრივ რაოდენობას, რომლის რეგისტრირებული მფლობელიც ან/და მინდობილობით მფლობელიც არის შემთავაზებელი;

5. სატენდერო შეთავაზების ვადები

- ა) რა თარიღიდან იწყება სატენდერო განცხადებების მიღება \_\_\_\_\_
- ბ) რა თარიღამდე იღებს შემთავაზებელი განცხადებებს \_\_\_\_\_
- გ) რა ვადაში გასცემს განცხადებას პასუხს \_\_\_\_\_
- დ) ანგარიშსწორების პირობები და ვადები \_\_\_\_\_

6. ვადასტურებ რომ:

- ა) სატენდერო შეთავაზება შედგება მხოლოდ მაშინ, თუ ამ განცხადებაში აღნიშნულ ფასიანი ქალაქების რაოდენობის გაყიდვაზე მივიღებ თანხმობას;
- ბ) თუ შეიცვლება სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობა, გაკეთდება სატენდერო შეთავაზების განახლებული ვერსია და გავრცელდება ხელახლა.
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მივიღებ ამ განცხადებით გათვალისწინებულზე მეტი ფასიანი ქალაქის შესყიდვის თანხმობას ფასიანი ქალაქები შესყიდული იქნება თანაბარწილად, პროცენტულობის ან რაოდენობის მიხედვით.

7. სატენდერო შეთავაზების აგენტის რეკვიზიტები;

8. შენიშვნები

---

---

(ხელმოწერა)

(თარიღი)

### 3.3.23 საერთო– სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვითი ორგანოს განსაზღვრისა და ანგარიშვალდებული საწარმოს 1%–ზე ნაკლები წილის მფლობელის აქციონერთა საერთო კრებაზე მოწვევის წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოდ, სადაც ქვეყნდება სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების (შემდგომში – საერთო კრება) მოწვევის შესახებ შეტყობინება, განისაზღვროს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.
2. ანგარიშვალდებული საწარმოს 1%–ზე ნაკლები წილის მფლობელი აქციონერი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას გაეცნობა ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ბეჭდვით ორგანოში.
3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინების გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მოსაწვევთა დაგზავნის პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2002 წლის 15 აპრილის N14 დადგენილება.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

### 3.3.24 უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების მფლობელის მიერ საქართველოში ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების განხორციელების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს:
  - უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოში საჯარო შეთავაზების განხორციელების წესსა და პირობებს;
  - უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიერ საქართველოში ახალი ემისიის გზით საჯარო შეთავაზების განხორციელების წესსა და პირობებს.
  - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე პერიოდულ საანგარიშგებო მოთხოვნებს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- ამ წესის მიზნებისათვის, წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - ფასიანი ქაღალდების მფლობელი – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მესაკუთრე ან/და ნომინალური მფლობელი;
  - პირი – ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.
- ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.

#### მუხლი 3. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პირობები

- პირი, რომლის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის ერთ-ერთ ალიარებულ საფონდო ბირჟებზე მაინც და რომელიც აპირებს აღნიშნული ფასიანი ქაღალდებით ან/და უცხო ქვეყნის ალიარებულ ბირჟებზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სხვა ფასიანი ქაღალდებით საჯარო შე-

თავაზების განხორციელებას საქართველოში, არ საჭიროებს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებას.

- იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების განხორციელებელია ემიტენტი, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებიდან ერთ-ერთზე მაინც, მაგრამ საქართველოში საჯარო შეთავაზების განხორციელებისთვის იგი ახორციელებს განსხვავებული კლასის ფასიანი ქაღალდების ემისიას, რომელსაც არ აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი, ემიტენტი აცნობებს ამის შესახებ ეროვნულ ბანკს და აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს საიდენტიფიკაციო ნომერი მიენიჭება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

#### მუხლი 4. უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე განთავსებული ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება საქართველოში

- ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, საჯარო შეთავაზების განხორციელებელმა პირმა საჯარო შეთავაზების განხორციელებამდე არა უგვიანეს 3 დღისა, ეროვნულ ბანკს წერილობით უნდა აცნობოს მის მიერ განსახორციელებელი შეთავაზების შესახებ და შესაბამისი ფასიანი ქაღალდების რეესტრიდან ამონაწერის გარდა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ემიტენტის მიერ უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით საჯარო შეთავაზების განხორციელების შემთხვევაში, ემიტენტმა უნდა წარმოადგინოს უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტი უცხო ქვეყნის იმ ალიარებულ საფონდო ბირჟიდან, რომელზეც განთავსებულია მისი ფასიანი ქაღალდები;
  - ფასიანი ქაღალდების მფლობელის მიერ უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით საჯარო შეთავაზების განხორციელების შემთხვევაში მან უნდა წარმოადგინოს უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტი იმ ემიტენტისგან, რომლის ფასიან ქაღალდებსაც ფლობს ის, ან უცხო ქვეყნის ალიარებული საფონდო ბირჟისაგან, რომელზეც სავაჭროდ დაშვებულია აღნიშნული ფასიანი ქაღალდები;
  - თუ საჯარო შეთავაზება კეთდება უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით და ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება უნდა განხორციელდეს საქართველოში ლიცენზირებულ საფონდო ბირჟებზე, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების დაშვების დამადასტურებელი ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია საქართველოში ლიცენზირებული საფონდო ბირჟის მეშვეობითაც. აღნიშნულ შემთხვევაში, საფონდო ბირჟა ეროვნულ ბანკს უგზა-

ვნის წერილობით შეტყობინებას, რომ იმ პირის/ემიტენტის ფასიანი ქაღალდები, რომელიც აპირებს საქართველოში საჯარო შეთავაზების განახორციელებას, სავაჭროდ განთავსებულია უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე მისთვის წარმოდგენილი მონაცემების ფარგლებში, პასუხისმგებელია საქართველოში ლიცენზირებული საფონდო ბირჟა.

## მუხლი 5. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები

1. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ უცხო ქვეყნის ერთ-ერთ აღიარებულ საფონდო ბირჟაზე და რომელიც საქართველოში ახორციელებს საჯარო შეთავაზებას, ვალდებულია ეროვნულ ბანკში წარმოადგინოს ყველა ის ფინანსური, თუ სხვა სახის ანგარიში, რომლის წარდგენაც მას ევალება იმ აღიარებულ საფონდო ბირჟაზე, რომელზეც მისი ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ და რომლის შესახებ მან საჯარო შეთავაზების დროს აცნობა ეროვნულ ბანკს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფინანსური, თუ სხვა სახის ანგარიში საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა წარადგინოს იმ ფორმით და იმ ვადებში როგორც იმ აღიარებულ საფონდო ბირჟაზე, რომელზეც მისი ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ და რომლის შესახებ მან საჯარო შეთავაზების დროს აცნობა ეროვნულ ბანკს.



# დანართი N1

## უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟების ნუსხა

- ავსტრიის რესპუბლიკა:  
ვენის საფონდო ბირჟა (Wiener Borse AG – <http://www.wbag.at>);
- ბელგიის სამეფო:  
ბრიუსელის საფონდო ბირჟა – „ევრონექსტ ბრიუსელი“ (Euronext Brussels – <http://www.euronext.com>);
- ბულგარეთის რესპუბლიკა:  
ბულგარეთის საფონდო ბირჟა – სოფია (Bulgarian Stock Exchange, Sofia – <http://www.bse-sofia.bg>);
- კვიპროსის რესპუბლიკა:  
კვიპროსის საფონდო ბირჟა (Cyprus Stock Exchange – <http://www.cse.com.cy>);
- ჩეხეთის რესპუბლიკა:  
პრაღის საფონდო ბირჟა (Prague Stock Exchange – <http://www.pse.cz>);
- დანის სამეფო:  
კოპენჰაგენის საფონდო ბირჟა – „ოუ ემ იქს კოპენჰაგენი“ (Copenhagen Stock exchange, OMX Copenhagen – <http://www.omxnordicexchange.com>);
- ესტონეთის რესპუბლიკა:  
ტალინის საფონდო ბირჟა – „ოუ ემ იქს ტალინი“ (Tallinn Stock Exchange, OMX Tallinn – <http://www.baltic.omxnordicexchange.com>);
- ფინეთის რესპუბლიკა:  
ჰელსინკის საფონდო ბირჟა – „ოუ ემ იქს ჰელსინკი“ (Helsinki Stock Exchange, OMX Helsinki – <http://www.omxnordicexchange.com>);
- საფრანგეთის რესპუბლიკა:  
„ევრონექსტ პარიზი“ (Euronext Paris ; <http://www.euronext.com/>);
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა:
  - „დოიჩე ბორსე“ (Deutsche Borse – <http://deutscheboerse.com/>);
  - ბერლინის საფონდო ბირჟა (Borse Berlin – <http://www.equiduct-trading.de>);
  - ჰამბურგის საფონდო ბირჟა (Borse Hamburg – <http://www.hamburger-boerse.de>);
  - ჰანოვერის საფონდო ბირჟა (Borse Hanover – <http://www.boersenag.de>);
  - მიუნხენის საფონდო ბირჟა (Borse Munchen – <http://www.boerse-muenchen.de>);
- „ევრექსი“ (Eurex – <http://www.eurexchange.com>);
- შტუტგარტის საფონდო ბირჟა (Borse Stuttgart – <http://www.boerse-stuttgart.de>);
- საბერძნეთის რესპუბლიკა:
  - ათენის საფონდო ბირჟა (Athens Stock Exchange – <http://www.ase.gr>);
  - თესალონიკის საფონდო ბირჟა (Thessalonica Stock Exchange – <http://www.tsec.ase.gr>);
- უნგრეთის რესპუბლიკა:  
ბუდაპეშტის საფონდო ბირჟა (Budapest Stock Exchange – <http://www.bse.hu>);
- ირლანდია:  
ირლანდიის საფონდო ბირჟა (Irish Stock Exchange – <http://www.ise.ie>);
- იტალიის რესპუბლიკა:  
იტალიის/მილანის საფონდო ბირჟა (Borsa Italiana – <http://www.borsaitaliana.it>);
- ლატვიის რესპუბლიკა:  
რიგის საფონდო ბირჟა – „ოუ ემ იქს რიგა“ (Riga Stock Exchange, OMX – <http://nasdaqomx.com>);
- ლიტვის რესპუბლიკა:  
ვილნიუსის საფონდო ბირჟა – „ოუ ემ იქს ვილნიუსი“ (Vilnius Stock Exchange, OMX – <http://nasdaqomx.com>);
- ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო:  
ლუქსემბურგის საფონდო ბირჟა (Luxembourg Stock Exchange – <http://www.bourse.lu>);
- მალტის რესპუბლიკა:  
მალტის საფონდო ბირჟა (Malta Stock Exchange – <http://www.borzamalta.com.mt>);
- ნიდერლანდის სამეფო:  
„ევრონექსტ ამსტერდამი“ (Euronext Amsterdam – <http://www.euronext.com>);
- პოლონეთის რესპუბლიკა:
  - ვარშავის საფონდო ბირჟა (Warsaw Stock Exchange – <http://www.gpw.pl>);
  - „ნიუ კონექტი“ (New Connect – <http://www.newconnect.pl>);
- პორტუგალიის რესპუბლიკა:
  - „ევრონექსტ ლისაბონი“ (Euronext Lisbon – <http://www.euronext.com>);
  - „ოპექსი“ (OPEX – <http://www.opex.pt>);
- რუმინეთი:
  - ბუქარესტის საფონდო ბირჟა (Bucharest Stock Exchange – <http://www.bvb.ro>);
  - „სიბექსი“ (SIBEX – Sibiu Monetary Financial and Commodities Exchange – <http://www.bmfms.ro>);
- სლოვაკეთის რესპუბლიკა:  
ბრატისლავას საფონდო ბირჟა (Bratislava Stock Exchange – <http://www.bsse.sk>);
- სლოვენიის რესპუბლიკა:  
ლუბლიანას საფონდო ბირჟა (Ljubljana stock Exchange – <http://www.ljse.si>);
- ესპანეთის სამეფო:
  - მადრიდის საფონდო ბირჟა (Bolsa de Madrid – <http://www.bolsamadrid.es>);
  - ბარსელონას საფონდო ბირჟა (Bolsa de Barcelona – <http://www.borsabcn.es>);
  - ვალენსიის საფონდო ბირჟა (Bolsa de Valencia – <http://www.bolsavalencia.es>);
  - ბილბაოს საფონდო ბირჟა (Bolsa de Bilbao – <http://www.bolsabilbao.es>);
- შვედეთის სამეფო:
  - სტოკჰოლმის საფონდო ბირჟა – „ოუ ემ იქს სტოკჰოლმი“ (Stockholm Stock Exchange. OMX – <http://omxnordicexchange.com>);
  - „ჩრდილოეთის მზარდი ბაზარი“ (Nordic Growth Market – <http://www.ngm.se>);
- დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო:
  - ლონდონის საფონდო ბირჟა (London Stock Exchange – <http://www.londonstockexchange.com>);
  - ლონდონის საერთაშორისო ფიუჩერსების ბირჟა – „ევრონექსტი“ (London International Financial Futures Options Exchange – Euronext – <http://www.euronext.com>);
  - „პლას მარკეტს“ (Plus Markets – <http://www.plusmarketsgroup.com>);
  - ნორმანდიის კუნძულების საფონდო ბირჟა (Channel Islands Stock Exchange – <http://www.cisx.com>);
  - გიბრალტარის საფონდო ბირჟა (Gibraltar stock Exchange);
- ამერიკის შეერთებული შტატები:
  - ნიუ იორკის საფონდო ბირჟა (New York Stock exchange – NYSE Euronext – <http://www.nyse.com>);
  - „ნასდაკი ოუ ემ იქსი“ (NASDAQ OMX – <http://nasdaqomx.com>);
  - „ენ აი სი“ (NYC – New York Cotton Exchange – „ICE

- Trade the world“ – <http://www.theice.com>);
- დ) „ნიუ იორკის ფიუჩერსების ბირჟა“ (New York Futures Exchange – „ICE Trade the world“ – <http://www.theice.com>);
- ე) ჩიკაგოს სავაჭრო საბჭო (Chicago Board of Trade – <http://www.cbot.com>);
- ვ) ჩიკაგოს ოფციების სავაჭრო საბჭო (Chicago Board Options Exchange – <http://www.cboe.com>);
- ზ) ჩიკაგოს საფონდო ბირჟა (Chicago Stock Exchange – <http://www.chx.com>);
- თ) ყავის, შაქრის და კაკაოს ბირჟა (Coffee, Sugar and Cocoa Exchange – <http://www.theice.com>);
- ი) ამერიკის საფონდო ბირჟა (American Stock Exchange – <http://www.amex.com>);
- კ) კანზასის სავაჭრო საბჭო (Kansas City Board of Trade – <http://www.kcbot.com>);
- ლ) მინეაპოლისის მარცვლეულის ბირჟა (Minneapolis Grain Exchange – <http://www.mgex.com>);
29. კანადა:
- ა) „ნასდაკ კანადა“ (NASDAQ Canada – <http://www.nasdaq-canada.com>);
- ბ) ტორონტოს საფონდო ბირჟა (Toronto Stock Exchange – TSX Group – <http://www.tsx.com>);
- გ) მონრეალის საფონდო ბირჟა (Montreal Stock exchange – <http://www.m-x.ca>);
- დ) კანადის ახალი საფონდო ბირჟა (Canada's New Stock Exchange – <http://www.cnq.ca>);
- ე) კანადის ფიუჩერსების ბირჟა (ICE Futures Canada – <https://www.theice.com/futures-canada.jhtml>);
30. კორეის რესპუბლიკა:
- ა) „კოსდაკი“ (KOSDAQ – Korean Securities Dealers Automated Quotations);
- ბ) კორეის საფონდო ბირჟა (Korea stock Exchange – <http://krx.co.kr>);
31. იაპონია:
- ა) ტოკიოს საფონდო ბირჟა (Tokyo stock Exchange – <http://www.tse.or.jp>);
- ბ) „ჯასდაკი“ (JASDAQ – <http://www.jasdaq.co.jp>);
- გ) ოსაკას საფონდო ბირჟა (Osaka Stock Exchange – <http://www.ose.or.jp>);
- დ) ფუკუოკას საფონდო ბირჟა (Fukuoka Stock Exchange – <http://www.fse.or.jp>);
- ე) ნაგოიას საფონდო ბირჟა (Nagoya stock Exchange – <http://www.nse.or.jp>);
- ვ) საპოროს საფონდო ბირჟა (Sapporo Securities Exchange – <http://www.sse.or.jp>);
32. ჰონგ კონგი:
- ა) ჰონგ კონგის საფონდო ბირჟა (Hong Kong Stock Exchange – <http://www.hkex.com.hk>);
- ბ) ჰონგ კონგის მზარდი საწარმოების ბაზარი (Hong Kong Growth Enterprise Market – <http://www.hkgem.com>);
33. ისრაელის სახელმწიფო:
- თელავივის საფონდო ბირჟა (Tel Aviv Stock Exchange – <http://www.tase.co.il>);
34. სინგაპურის რესპუბლიკა:
- ა) სინგაპურის საფონდო ბირჟა (Singapore Stock Exchange – <http://www.sgx.com>);
- ბ) სინგაპურის სასაქონლო ბირჟა (Singapore Commodity Exchange – <http://www.sicom.com.sg>);
35. ბაჰრეინის სამეფო:
- ბაჰრეინის საფონდო ბირჟა (Bahrain Stock Exchange – <http://www.bahrainstock.com>);
36. შვეიცარიის კონფედერაცია:
- ა) შვეიცარიის საფონდო ბირჟა (SWX Swiss Exchange – <http://www.swx.com>);
- ბ) ბერნის საფონდო ბირჟა (Berne Exchange – <http://www.berne-x.com>);
37. არაბთა გაერთიანებული საამიროები
- ა) აბუ დაბის საფონდო ბირჟა (Abu Dhabi stock Exchange – <http://www.adx.ae>);
- ბ) დუბაის საფინანსო ბაზარი (Dubai Financial Market – <http://www.dfm.ae>);
- გ) დუბაის საერთაშორისო საფინანსო ბირჟა (Dubai International financial Exchange – <http://www.difx.ae>);
38. ისლანდიის რესპუბლიკა:
- ისლანდიის საფონდო ბირჟა – „ოუ ემ იქს ისლანდია“ (Iceland Stock Exchange – OMX – <http://omxnordicexchange.com>);
39. ნორვეგია:
- ოსლოს საფონდო ბირჟა – „ოუ ემ იქს ოსლო“ (Oslo Stock Exchange, OMX – <http://omxnordicexchange.com>);
40. ახალი ზელანდია:
- ახალი ზელანდიის საფონდო ბირჟა (New Zealand Stock Exchange – <http://www.nzx.com>);
41. ავსტრალიის თანამეგობრობა:
- ა) სიდნეის ფიუჩერსების ბირჟა (Sydney Futures Exchange – <http://www.sfe.com.au>);
- ბ) ავსტრალიის წყნარი ოკეანის ბირჟა (Australia Pacific Exchange – <http://www.apx.com.au>);
- გ) ავსტრალიის ნაციონალური საფონდო ბირჟა (National Stock exchange of Australia – <http://www.nsx.com.au>);
- დ) ავსტრალიის ფასიანი ქაღალდების ბირჟა (Australian Securities Exchange – <http://www.asx.com.au>);
- ე) ბენდიგოს საფონდო ბირჟა (Bendigo Stock Exchange – <http://www.bsx.com.au>);
42. მაკედონია:
- მაკედონიის საფონდო ბირჟა (Macedonia Stock Exchange – <http://www.mse.org.mk>);
43. მონტენეგრო:
- ა) მონტენეგროს საფონდო ბირჟა (Montenegro Stock Exchange – <http://www.montenegroberza.com>);
- ბ) ფასიანი ქაღალდების ახალი საფონდო ბირჟა (New Securities Stock Exchange or NEX Stock Exchange (NEX) – <http://www.tmx.com/en/nex/>);
44. სერბეთი:
- ბელგრადის საფონდო ბირჟა (Belgrade Stock Exchange – <http://www.belex.co.yu>);
45. ხორვატია:
- ზაგრების საფონდო ბირჟა (Zagreb stock Exchange – <http://www.zse.hr>);
46. ბოსნია და ჰერცეგოვინა:
- ა) სარაევოს საფონდო ბირჟა (Sarajevo Stock Exchange – <http://www.sase.ba>);
- ბ) ბანია ლუკას საფონდო ბირჟა (Banja Luka Stock Exchange – <http://www.blberza.com>);
47. რუსეთი:
- ა) მოსკოვის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა (Moscow Interbank Currency Exchange – <http://www.micex.com>);
- ბ) მოსკოვის საფონდო ბირჟა (Moscow Stock Exchange – <http://www.mse.ru>);
- გ) რუსეთის სავაჭრო სისტემა (The Russian Trading System – <http://www.rts.ru>);
- დ) სანკტ-პეტერბურგის საფონდო ბირჟა (Saint Petersburg Stock Exchange – <http://www.spbex.ru>);
48. ბელორუსია:
- ბელორუსიის სავალუტო და საფონდო ბირჟა (Belarusian Currency and Stock Exchange – <http://www.bcse.by>);
49. მოლდავეთი:
- მოლდავეთის საფონდო ბირჟა (Moldavia Stock Exchange – <http://www.moldse.md>);
50. უკრაინა:
- ა) უკრაინის საფონდო ბირჟა (Ukrainian Stock Exchange – <http://www.ukrse.kiev.ua>);

- ბ) „პი ეფ ტი ეს“ – (PFTS Stock Exchange – <http://www.pfts.com>);
51. სომხეთი:  
„ნასდაკი ოუ ემ იქსი“ (NASDAQ OMX Armenia – <http://www.nasdaqomx.am>);
52. აზერბაიჯანი:  
ბაქოს საფონდო ბირჟა (Baku Stock Exchange – <http://www.bfb.az>);
53. ყაზახეთი:  
ყაზახეთის საფონდო ბირჟა (Kazakhstan Stock Exchange – <http://www.kase.kz>);
54. უზბეკეთი:  
ტაშკენტის საფონდო ბირჟა (Toshkent Stock Exchange – <http://www.uzse.uz/new/main/main.asp>);
55. ფარერის კუნძულები:  
ფარერის ფასიანი ქაღალდების ბაზარი (Faroese securities Market – <http://vmf.fo/>);
56. მალაიზია:  
მალაიზიის საფონდო ბირჟა ( Bursa Malaysia – <http://www.klse.com.my>);
57. ჩინეთი:  
ა) შანჰაის საფონდო ბირჟა (Shanghai Stock Exchange – <http://www.sse.com.cn>);  
ბ) შანჰაის მეტალის ბირჟა (Shanghai Metal Exchange – <http://en.smm.cn/Information/Default.aspx>);  
გ) შენჯენის საფონდო ბირჟა (Shenzhen Stock Exchange – <http://www.szse.cn>);
58. ტაივანი:  
ტაივანის საფონდო ბირჟა (Taiwan Stock Exchange – <http://www.tse.com.tw>);
59. მალდივები:  
მალდივების საფონდო ბირჟა (Maldives Stock Exchange – <http://www.maldivesstockexchange.com.mv>);
60. პაპუა ახალი გვინეა:  
პორტ მორსბის საფონდო ბირჟა (Port Moresby Stock Exchange – <http://www.pomsox.com.pg>);
61. ფიჯი:  
სამხრეთ წყნარი ოკეანის საფონდო ბირჟა (South Pacific Stock Exchange – <http://www.spse.com.fj>);
62. კატარი:  
დოჰას ფასიანი ქაღალდების ბაზარი (Doha Securities Market – <http://www2.dsm.com.qa/>);
63. ეგვიპტე:  
ეგვიპტის ბირჟა (The Egyptian Exchange – <http://www.egyptse.com>);
64. თურქეთი:  
სტამბულის საფონდო ბირჟა (Istanbul Stock Exchange – <http://www.ise.org>);
65. ომანი:  
მუსკატის საფონდო ბირჟა (Muscat Securities Market – <http://www.msm.gov.om>);
66. იორდანია:  
ამანის საფონდო ბირჟა (Amman Stock Exchange – <http://www.ase.com.jo>);
67. საუდის არაბეთი:  
საუდის არაბეთის საფონდო ბირჟა (Saudi Stock Exchange, Tadawul – <http://www.tadawul.com.sa>);
68. ბაჰამის კუნძულები:  
ბაჰამის საფონდო ბირჟა (Bahamas Securities Exchange – <http://www.bisxbahamas.com>);
69. მექსიკა:  
მექსიკის საფონდო ბირჟა (Bolsa Mexicana de Valores – <http://www.bmv.com.mx>);
70. კარიბის კუნძულები:  
აღმოსავლეთ კარიბის საფონდო ბირჟა (Eastern Caribbean Securities Exchange – <http://www.ecseonline.com>);
71. ბერმუდა:  
ბერმუდის საფონდო ბირჟა (Bermuda Stock Exchange – <http://www.bsx.com>);
72. ბრაზილია:  
ა) რიო-დე-ჟანეიროს საფონდო ბირჟა (Rio de Janeiro Stock Exchange – <http://www.bvrj.com.br/>);  
ბ) ბრაზილიის საფონდო ბირჟა (BM&F Bovespa – [www.bovespa.com.br](http://www.bovespa.com.br));  
გ) მინაუს, ესპირიტუს სანტოსის და ბრაზილიის საფონდო ბირჟა (BOVMESB – Minas, Brasilia and Espírito Santo Stock Exchange – <http://www.bovmesb.com.br>);
73. ჩილე:  
ა) სანტიაგოს საფონდო ბირჟა (Santiago stock exchange – <http://www.bolsadesantiago.com>);  
ბ) სანტიაგოს ელექტრონული საფონდო ბირჟა (Santiago Electronic stock exchange – <http://www.bolchile.cl>);
74. სალვადორი:  
სალვადორის საფონდო ბირჟა (Bolsa de Valores de El Salvador – <http://www.bves.com.sv>);
75. გვიანა:  
გვიანას საფონდო ბირჟა (Guyana Stock Exchange – <http://www.gasci.com>);
76. ჰონდურასი:  
ჰონდურასის საფონდო ბირჟა (Bolsa de Valores de Honduras – <http://www.bolcen.org>);
77. პანამა:  
პანამის საფონდო ბირჟა (Bolsa de Valores de Panama – <http://www.panabolsa.com>);
78. პერუ:  
ლიმას საფონდო ბირჟა (Bolsa de Valores de Lima – <http://www.bvl.com.pe>);
79. ურუგვაი:  
ა) მონტევიდეოს საფონდო ბირჟა (Bolsa de Valores de Montevideo – <http://www.bvm.com.uy>);  
ბ) ურუგვაის ელექტრონული ბირჟა (Bolsa Electronica de Valores de Uruguay – <http://www.bevsa.com.uy>);
80. ვენესუელა:  
კარაკასის საფონდო ბირჟა (Bolsa de Valores de Caracas – <http://www.bolsadecaracas.com>);
81. სამხრეთ აფრიკა:  
ა) იოჰანესბურგის საფონდო ბირჟა (Johannesburg Securities Exchange – <http://www.jse.co.za>);  
ბ) სამხრეთ აფრიკის ფიუჩერსების ბირჟა ( SAFEX – The South African Futures Exchange – <http://www.safex.co.za>);  
გ) ალტერნატიული ბირჟა (ALTX – <http://www.altx.co.za>);  
დ) სამხრეთ აფრიკის ობლიგაციების ბირჟა (Bond exchange of South Africa – <http://www.bondexchange.co.za>);
82. ბოტსვანა:  
ბოტსვანას საფონდო ბირჟა (Botswana Stock Exchange – <http://www.bse.co.bw>);
83. კოტ დივუარის რესპუბლიკა:  
მოდრაჟი ქონების რეგიონალური საფონდო ბირჟა – (BRVM) (Bourse Régionale des Valeurs Mobilières SA – <http://www.brvm.org/>);
84. განა:  
განას საფონდო ბირჟა ( Ghana Stock exchange – <http://www.gse.com.gh>);
85. მავრიკი:  
მავრიკის საფონდო ბირჟა (The Stock Exchange of Mauritius – <http://www.stockexchangeofmauritius.com>);
86. ტუნისი:  
ტუნისის მოძრაჟი ქონების საფონდო ბირჟა (Bourse des Valeurs Mobilières de Tunis – <http://www.bvmt.com.tn>).

### 3.3.25 ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაპისრების და აღსრულების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაპისრებისა და აღსრულების საკითხებს.
- ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების და/ან მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილემ და/ან მისი მმართველი ორგანოს რომელიმე წევრმა დაარღვია ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, მოთხოვნები და/ან წერილობითი მითითებები.

#### მუხლი 2. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევა

- ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევა გამოიწვევს ემიტენტის დაჯარიმებას თითოეულ შემთხვევაზე 1000 ლარის ოდენობით.
- კანონმდებლობით განსაზღვრული პირის მიერ საბოლოო პროსპექტის გარეშე ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ან პროსპექტის გამოყენება, რომლის დამტკიცებაც შეჩერებული ან გაუქმებულია ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გამოიწვევს დაჯარიმებას თითოეულ შემთხვევაზე 10000 ლარის ოდენობით.
- ემისიის პროსპექტში არასწორი ინფორმაციის მითითება და/ან მნიშვნელოვანი გარემოების მიუთითებლობა, გამოიწვევს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროსპექტზე ხელის მოწერის უფლებამოსილების მქონე თითოეული პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს

ველოს კანონით გათვალისწინებული ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გაცემა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

- ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის ან/და საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებული სათანადო ანგარიშების დადგენილი წესით წარუდგენლობა და/ან დაგვიანებით წარდგენა გამოიწვევს ემიტენტის დაჯარიმებას თითოეულ შემთხვევაზე 2000 ლარის ოდენობით.
- ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში ემიტენტის მიერ დამტკიცებული ემისიის პროსპექტში შესწორებების შეუტანლობა გამოიწვევს ემიტენტის დაჯარიმებას დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე 1000 ლარის ოდენობით.

#### მუხლი 3. ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა

- ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ანგარიშვალდებული სანარმოს დაჯარიმებას დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე 2000 ლარის ოდენობით.
- ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ ფასიანი ქაღალდების ლიცენზირებული რეგისტრატორის შერჩევის თაობაზე ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა გამოიწვევს ანგარიშვალდებული სანარმოს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.
- ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა, გარდა ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშისა, გამოიწვევს ანგარიშვალდებული სანარმოს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.
- ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშში არასწორი ან არაზუსტი ინფორმაციის შეტანა გამოიწვევს ანგარიშვალდებული სანარმოს დაჯარიმებას დარღვევის თითოეულ ფაქტზე 300 ლარის ოდენობით.
- ანგარიშვალდებული სანარმოს მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული არსებითი ინფორმაციის არასწორად ან არასრულად შეტანა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშში გამოიწვევს ანგარიშვალდებული სანარმოს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.
- პირის მიერ ანგარიშვალდებული სანარმოს ფასიანი ქაღალდების შეძენის თაობაზე ანგარიშის ან/და შეტყობინების წარუდგენლობა, თუ მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ვვალდებოდა აღნიშნული ანგარიშის ან/და შეტყობინების წარდგენა, გამოიწვევს თითოეულ წარუდგენელ ანგარიშზე ან/და შეტყობინებაზე ამ პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

7. პირის მიერ სატენდერო შეთავაზების წესების დარღვევა გამოიწვევს მის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.
8. ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მმართველი ორგანოს დანიშვნის და/ან აქციონერთა საერთო კრების ჩატარებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს ანგარიშვალდებული საწარმოს დაჯარიმებას დარღვევის თითოეულ ფაქტზე 2000 ლარის ოდენობით.
9. „საჯარო ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 თებერვლის N20/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას დარღვევის თითოეულ ფაქტზე 2000 ლარის ოდენობით.

**მუხლი 4. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესებისა და სხვა წესების დარღვევა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების მიერ**

1. დაინტერესებული პირის მიერ ინსაიდერული ინფორმაციის ან/და ხმის უფლების ბოროტად გამოყენება ან/და ინსაიდერული ვაჭრობა ან/და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 161 მუხლის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
2. ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობასთან დაკავშირებით დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს ნომინალური მფლობელის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
3. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მანიპულაციაში მონაწილეობა გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
4. პირის მიერ ეროვნული ბანკის წერილობითი მოთხოვნის და მითითების შეუსრულებლობა, მისთვის შემოწმების ჩატარებაში ხელის შეშლა, მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარუდგენლობა ან/და არასწორი ან არასრული ინფორმაციის ან დოკუმენტის წარდგენა, გამოიწვევს მის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.

**მუხლი 5. საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების, მათი თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიერ საანგარიშგებო მოთხოვნებისა და სხვა წესების დარღვევა**

1. საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, საბროკერო კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშის წარუდგენლობა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.
2. საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, საბროკერო კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშში არასწორი ან არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, პირი ჯარიმდება დარღვევის თითოეულ ფაქტზე 300 ლარის ოდენობით.
3. საბროკერო კომპანიის მიერ ჩანაწერების წარმოების მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
4. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ფასიანი ქაღალდების რეგისტრის წარმოების წესების დარღვევა გამოიწვევს რეგისტრატორის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
5. საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიის, მათი თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიერ ამ წესში აღნიშნული დარღვევების გარდა სხვა მარეგულირებელი წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.

**მუხლი 6. ფულადი ჯარიმის დაკისრებისა და აღსრულების წესი**

1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ რეკვიზიტებთან ერთად მითითებული იქნება მისი აღსრულების წესი.
2. ფულადი ჯარიმების დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი შესაბამისი პირისათვის გაცნობის მომენტიდან. ჯარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

- არ იწვევს მისი მოქმედების შეჩერებას.
3. ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული გასაჩივრების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, ფულადი ჯარიმის აღსასრულებლად მიქცევა ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
  4. ამ წესის შესაბამისად, სანქციის სახით გადახდილი ფულადი ჯარიმის თანხები მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

## მუხლი 7. ფულადი ჯარიმისაგან გათავისუფლება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაათავისუფლოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე უკვე დაკისრებული ჯარიმისაგან ან არ დააკისროს ფულადი ჯარიმა იმ შემთხვევაში, თუ:
  - ა) ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის მიმართ მოქმედებს დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმი;
  - ბ) ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეს გაუუქმდა შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია.
2. განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნულ ბანკს შეუძლია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე გაათავისუფლოს ფულადი ჯარიმის დაკისრებისა და გადახდისაგან, თუ ფულადი ჯარიმის გადახდის შედეგად, შესაძლებელია, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის ფინანსური მდგომარეობა ისე გაუარესდეს, რომ საფრთხე შეექმნას მის მომავალ ფუნქციონირებასა და გადახდისუნარიანობას.
3. ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან და დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდისაგან ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილის გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

### 3.3.26 საწარმოთა ობლიგაციების ემისიის პროსპექტებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ წესი

#### მუხლი 1. წესის საფუძველი, მიზანი და გავრცელების სფერო

- ეს წესი შემუშავებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3, მე-5 პუნქტებისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მისი მიზანია, განსაზღვროს მოთხოვნები გამო-საშვები ან/და გამოშვებული ობლიგაციების ემი-სიის პროსპექტის შემცველობასთან, პროსპექტი ცვლილებების შეტანასა და ობლიგაციების გან-თავსების ანგარიშთან დაკავშირებით.
- ამ წესის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ „მე-წარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შე-საბამისად დაფუძნებულ საწარმოებზე (შემდეგ – „ემიტენტები“).
- თუ ემიტენტი რამდენიმე კლასის ობლიგაციებს უშვებს, მაშინ ამ წესით გათვალისწინებული მოთ-ხოვნები თითოეულის მიმართ ცალ-ცალკე უნდა დაკმაყოფილდეს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნია „ფასიანი ქა-ღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – კანონი) განსაზღვრული მნიშვნელობა. გა-რდა ამისა, ქვემოთ მოცემული ტერმინები შემდეგი მნიშ-ვნელობებით გამოიყენება:

- ანდერაიტერი – საბროკერი კომპანია, რომელთ-ანაც ემიტენტს დადებული აქვს ფასიანი ქაღალ-დების შეთავაზების ხელშეკრულება;
- განთავსება – ფასიანი ქაღალდ(ებ)ის გასხვისება ემიტენტისა ან ანდერაიტერ(ებ)ის მიერ საჭარო ან კერძო შეთავაზებით. ამასთან, განთავსებად მი-იჩნევა ის შემთხვევა, როცა შეთავაზებაში შეიტ-ანება ემიტენტის მიერ მეორად ბაზარზე შექმნილი ან კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალ-ისწინებული ფასიანი ქაღალდების მფლობელის ფასიანი ქაღალდები, გამოშვებული ამავე ემიტენ-ტის მიერ;
- უზრუნველყოფილი ობლიგაცია – ობლიგაცია, რომლის ნომინალური ღირებულება და სარგე-ბელი უზრუნველყოფილია შესაბამისი ღირე-ბეების აქტივებით ან საბანკო გარანტიით;
- დისკონტიანი ობლიგაცია – ნომინალურ ღირე-ბელებზე ნაკლები ფასით განსათავსებელი ობ-ლიგაცია;
- კერძო შეთავაზება – ფასიანი ქაღალდების ანაზ-

- ლაურებით შექმნილი შეთავაზება იმ 100-ზე ნაკლები პირისათვის, რომელთა ჩამონათვალი ემიტენტის მიერ წინასწარაა განსაზღვრული შეთავაზებისას;
- კონვერსიული ობლიგაცია – ობლიგაცია, რომ-ლის საემისიო პირობებით განსაზღვრულია მისი გადაცემა ამავე ობლიგაციის ემიტენტის მიერ გამოშვებულ (ან გამოსაშვებ) სხვა კლასის ფასიან ქაღალდ(ებ)ზე;
- საკუთარი კაპიტალი – აქტივებს გამოკლებული ვალდებულებები და გადაფასების რეზერვები;
- ობლიგაცია – სასესხო ფასიანი ქაღალდი, რო-მელიც გამოშვებულია (ან უნდა გამოიშვეს) ემი-ტენტის მიერ და რომელიც ადასტურებს ამ ემი-ტენტის ფინანსურ ვალდებულებას, საემისიო პირობების შესაბამისად, გაუნაღდოს ობლიგა-ციონერს ნომინალური ღირებულება, სარგებლით ან მის გარეშე;
- ობლიგაციის განაღდება (განაღდება) – ემიტენ-ტის მიერ ობლიგაციონერისათვის ნომინალური ღირებულების გადახდა საემისიო პირობებით განსაზღვრულ ვადაში (განაღდება ვადა) და ამ პირობების შესაბამისად;
- ობლიგაციის ნომინალური ღირებულება (ნომი-ნალური ღირებულება) – ის ფიქსირებული თანხა, რომლითაც ემიტენტმა ობლიგაცია განაღდება ვადის დადგომისას უნდა გაანაღდოს. ნომინალ-ურ ღირებულებაში სარგებელი არ შედის;
- ობლიგაციის სარგებელი (სარგებელი) – ემიტენ-ტის მიერ ობლიგაციონერისათვის შესაბამისი ემი-სიით გათვალისწინებული ოდენობით და ვადაში, პერიოდულად ან ერთჯერადად გადასახდელი ფულადი თანხა (პროცენტი, დისკონტი) ან/და შეს-ასრულებელი სხვა ვალდებულება;
- ობლიგაციის საკლასო თვისებები – სახეობა (კონ-ვერსიული, დისკონტიანი და სხვ.), ვადიანობა, ნომინალური ღირებულებისა და სარგებელის ოდენობანი, გაანგარიშების მეთოდი, გადახდის პერიოდულობა და ვადები, ასევე ობლიგაციის ყოველი ის მახასიათებელი, რაც განსაზღვრავს მოცემული კლასის ობლიგაციის მფლობელის უფლება-მოვალეობებსა და მათი რეალიზაციისა და გარანტირებულების სპეციფიკას;
- ობლიგაციონერი – ობლიგაციის რეგისტრირებუ-ლი მფლობელი.

#### მუხლი 3. ობლიგაციების შეთავაზების ზოგადი წესები

- ემიტენტს შეუძლია გამოუშვას, შესთავაზოს და გა-ნათავსოს პროცენტიანი, დისკონტიანი, კონვერ-სიული ან/და სხვა კლასის ობლიგაცია. ობლიგა-ციის საკლასო თვისებები წესდება მისი საემისიო პირობებით, რომელთაც განსაზღვრავს ემიტენტი და რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქა-რთველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- თუ შეთავაზება კანონის მე-4 ან/და მე-5 მუხლის პირველი პუნქტების მოთხოვნის დარღვევით გა-ნხორციელდა, შემდგომ განცხადებით, შეთავა-ზება შეიძლება გაუქმდეს. ამ შემთხვევაში დაუშ-

ვებელია ამავე ემიტენტის მიერ შეთავაზების განხორციელება ყველა იმ შემდგომ მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე, რომელთაც შეთავაზების გაუქმების საფუძვლით ან ამის შედეგად ზიანი მიადგათ.

#### მუხლი 4. ობლიგაციების ემისიის პროსპექტი, საჯარო შეთავაზების განაცხადი

1. ობლიგაციების საჯარო შეთავაზება ხორციელდება ემიტენტის ან/და ანდერაიტერ(ებ)ის მიერ, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დამტკიცებული და რეგისტრირებული ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებისთანავე ან შემდეგ, ამ პროსპექტის მოქმედების ვადის გათვალისწინებით.
2. საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ობლიგაციების ემისიის პროსპექტის დასამტკიცებლად ემიტენტმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს საჯარო შეთავაზების განაცხადი, რომელშიც შეიტანება, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:
  - ა) განაცხადი – ამ წესის დანართი 1-ით გათვალისწინებული ფორმით;
  - ბ) წინასწარი პროსპექტის 3 ასლი – კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამასთან:
    - ბ.ა) პროსპექტში შეტანილი ფინანსური ანგარიშები საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს;
    - ბ.ბ) აუცილებელი არაა იმ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეტანა, რომელიც ემიტენტს სააგენტოში მანამდე უკვე წარუდგინო აქვს, მაგრამ უნდა მიეთითოს მისი წარდგენის თარიღი, დასახელება და, საჭიროების შემთხვევაში, გვერდი და აბზაცი;
    - ბ.გ) პროსპექტში უნდა შევიდეს საკუთარი კაპიტალის ოდენობისა და ბრუნვაში არსებული ობლიგაციების გაუნაღლებელი ნომინალური ღირებულებისა და გადასახდელი სარგებლის შესახებ აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნა;
    - ბ.დ) პროსპექტში უნდა შევიდეს ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა გამოსაშვები ობლიგაციები უზრუნველყოფილი;
    - ბ.ე) საემისიო ობლიგაციებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მათი ყოველი საკლასო თვისება, განთავსების პროცედურა და წესები, მიმოქცევის პირობები, განაღდება (მათ შორის, ვადამდელი, თუ ასეთი პირობა განისაზღვრება) და სარგებლის გადახდის წესები და ადგილ(ებ)ი, აგრეთვე, თუ არსებობს, დამატებითი ან სხვაგვარი უზრუნველყოფის სახე, პირობები და მისი რეალიზაციის პირობები;
  - გ) ემიტენტის სადამფუძნებლო დოკუმენტები და მათში შეტანილი ცვლილებები, გარდა ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
  - დ) ობლიგაციების ემისიის შესახებ ემიტენტის პარტნიორთა (აქციონერთა) კრებისა და, მის საფუძველზე, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების

- ასლები. ამასთან, თუ კანონმდებლობით ან ემიტენტის წესდებით ემიტენტის ხელმძღვანელობას შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა მოეთხოვება, მაშინ ეს თანხმობა მის გადაწყვეტილებას წერილობით უნდა დაერთოს;
- ე) რეორგანიზაციის ამსახველი დოკუმენტები, თუ რეორგანიზაცია გახდა ემისიის მიზეზი (ამ მიზეზის დასაბუთებით);
- ვ) იმ ექსპერტთა დასკვნების ხელმოწერილი ასლები, რომლებმაც მოამზადეს, შეამოწმეს ან დაადასტურეს ემისიის პროსპექტში შეტანილი ესა თუ ის ინფორმაცია;
- ზ) თუ ემიტენტი ანგარიშვალდებული საწარმოა, რომელსაც წარდგენილი არ აქვს ან არასრულად (არაზუსტად) აქვს წარდგენილი წლიური, ნახევარწლიური ან მიმდინარე ანგარიში უკანასკნელი 2 სამეურნეო წლისა და იმ წლის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება პროსპექტის სააგენტოში წარდგენა, მაშინ მან ეს ხარვეზი პროსპექტის წარდგენისას უნდა გამოასწოროს. ამასთან, ეს მოთხოვნა აღნიშნული პერიოდის იმ მონაკვეთზე არ ვრცელდება, როცა კანონით ემიტენტი ანგარიშვალდებულ საწარმოდ არ ითვლებოდა;
- თ) ემიტენტის ვალდებულება, რომ განთავსებიდან მოზიდული სახსრები ზარალის ან ვალის, მათ შორის, მანამდე გამოშვებული ობლიგაციების ნომინალური ღირებულების ან სარგებლის დასაფარავად არ გამოიყენოს;
- ი) ყოველი წინა ემისიის ჩამონათვალი, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საკლასო თვისებების, აგრეთვე განთავსებული და განაღებული (გამოსყიდული) რაოდენობების მითითებით;
- კ) საქართველოს ეროვნული ბანკის საექსპერტო შეფასების ანგარიში, თუ ემიტენტი საბანკო დაწესებულებაა.
3. ემისიის საბოლოო პროსპექტში შეტანილი ფინანსური ინფორმაციისა და ტექსტში მოყვანილი აღწერების ვადიანობა კანონის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით განისაზღვრება.

#### მუხლი 5. ემისიის პროსპექტში შეტანილი ინფორმაციის ცვლილება საჯარო შეთავაზების პერიოდში

1. საჯარო შეთავაზების პერიოდში საემისიო ობლიგაციების ოდენობის, ფასის, შეთავაზების დასრულების ვადისა ან სხვა არსებითი ფაქტის ცვლილების შემთხვევაში ემიტენტმა კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პროცედურებს უნდა მიმართოს.
2. საჯარო შეთავაზების პერიოდში არაარსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში ემიტენტმა ამ ცვლილების პროსპექტში შეტანამდე:
  - ა) სააგენტოს უნდა წარუდგინოს ცვლილების შესახებ განცხადება (ამ წესის დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმით) და 3 ასლად ცვლილების ამსახველი დოკუმენტი;



- ბ) ყველა ანდერაიტერს ცვლილების შესახებ წერილობით უნდა აცნობოს;
- გ) ცვლილების შესახებ წერილობით უნდა აცნობოს ყველა იმ ინვესტორსა და პოტენციურ ინვესტორს, რომლებთანაც მას მოლაპარაკება ჰქონდა ობლიგაციების შექმნაზე.

- გ) ისტრატორის მეშვეობით არ ევალება, მაშინ – რეესტრის წარმოების საკვალიფიკაციო ატესტატის მფლობელი პირი;
- 5. ყოველი ანდერაიტერის ხელმძღვანელ(ებ)ი განთავსების ანგარიში ექვემდებარება სააგენტოს მიერ განხილვასა და დამტკიცებას.

## მუხლი 6. ობლიგაციების ემისიის რეგისტრაცია

ემისია რეგისტრირდება ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2003 წლის 30 ივნისის N34 დადგენილებით დამტკიცებული “ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭებისა და ემისიის დამტკიცებული პროსპექტის რეგისტრაციის შესახებ” წესის (“საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” N73, III ნაწ., 2003 წლის 21 ივლისი) მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 7. ემისიის პროსპექტის დამტკიცების შემდეგ წარსადგენი დოკუმენტები და ინფორმაცია

ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ემიტენტმა სააგენტოს კანონის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია უნდა წარუდგინოს.

## მუხლი 8. ობლიგაციების ემისიის განთავსების ანგარიში

1. ობლიგაციების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის ვადაში ემიტენტმა სააგენტოს ობლიგაციების ემისიის განთავსების ანგარიში უნდა წარუდგინოს. საჯარო შეთავაზების დასრულებად ჩაითვლება შემდეგიდან ყველაზე ადრე დამდგარი ფაქტი:
  - ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა;
  - ბ) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების სრულად ვადამდე განთავსება;
  - გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.
2. თუ ემიტენტი საბანკო დაწესებულებაა, მან ემისიის განთავსების ანგარიში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს ეროვნულ ბანკსაც უნდა წარუდგინოს.
3. განთავსების ანგარიში ამ წესის დანართი 3-ით გათვალისწინებული ფორმით უნდა შედგეს და თან დაერთოს იმ ბეჭდვითი გამოცემის ეგზემპლარი, რომელშიც გამოქვეყნდა განცხადება საჯარო შეთავაზების (აგრეთვე, მისი ცვლილებების - მათი არსებობის შემთხვევაში) შესახებ, თუ განცხადება გამოქვეყნებული იყო.
4. განთავსების ანგარიშს ხელს უნდა აწერდნენ:
  - ა) ემიტენტის ხელმძღვანელი პირ(ებ)ი;
  - ბ) განთავსებულ ობლიგაციებთან დაკავშირებით ემიტენტისათვის რეგისტრატორული მომსახურების გამწვევს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ხელმძღვანელ(ებ)ი, ხოლო თუ ემიტენტს რეესტრის წარმოება ფასიანი ქაღალდების რეგ-

### 3.3.27 საქართველოს ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატების დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს დებულება არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ ოქროს სერტიფიკატების გამოშვების, მიმოქცევის და განაღდებას საკითხებს და ადგენს ოქროს სერტიფიკატების შესაბამისი სტანდარტიზირებული ოქროს ზოდების მახასიათებლებს.
- ოქროს სერტიფიკატის ყიდვა და გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების (შემდგომში – კომერციული ბანკები) მეშვეობით.
- საქართველოში ოქროს ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული ბანკი უშვებს საინვესტიციო ფინანსურ ინსტრუმენტს ოქროს სერტიფიკატს, რომელიც არის ეროვნული ბანკის უვადო და უპროცენტო ფასიანი ქაღალდი, რომლითაც ეროვნული ბანკი ვალდებულია მისი განაღდებას მოთხოვნის შემთხვევაში, სერტიფიკატის მესაკუთრეზე (მისი სახელით მოქმედი კომერციული ბანკის მეშვეობით) გასცეს შესაბამისი სტანდარტიზირებული ოქროს ზოდი.
- საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებს ორი სახის ოქროს სერტიფიკატს:
  - ოქროს ზოდის სერტიფიკატებს;
  - ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატებს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ დებულების მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

- ოქროს ზოდის სერტიფიკატი – უვადო და უპროცენტო ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ეროვნული ბანკის ვალდებულებას საკუთრებაში იქონიოს სერტიფიკატის შესაბამისი სტანდარტიზირებული ოქროს ზოდი და სერტიფიკატის განაღდებას მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში, სერტიფიკატის მესაკუთრეზე (მისი სახელით მოქმედი კომერციული ბანკის მეშვეობით) გასცეს შესაბამისი სტანდარტიზირებული ოქროს ზოდი (ზოდები).
- ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატი – უვადო და უპროცენტო ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს ეროვნული ბანკის ვალდებულებას, ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის განაღდებას მოთხოვნის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პირობებითა და დადგენილ ვადებში სერტიფიკატის მესაკუთრეზე (მისი სახელით მოქმედი კომერციული ბანკის მეშვეობით) გასცეს

შესაბამისი სტანდარტიზირებული ოქროს ზოდი (ზოდები).

- სტანდარტიზირებული ოქროს ზოდი (შემდგომში – სტანდარტიზირებული ზოდი) – საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის, ფორმის, დამლის, წონისა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა მახასიათებლების შესაბამისად დამზადებული ოქროს ზოდი.
- ოქროს სერტიფიკატის განაღდება – ეროვნული ბანკის მიერ ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრისათვის ოქროს სერტიფიკატის სანაცვლოდ ამ დებულებით განსაზღვრული სტანდარტიზირებული ზოდის (ზოდების) მიწოდება კომერციული ბანკის მეშვეობით.
- შერჩევითი დაფარვა – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემის წესებით გათვალისწინებული ელექტრონული შეტყობინება.

#### მუხლი 3. ოქროს სერტიფიკატის ძირითადი პირობები

- ოქროს სერტიფიკატის ყიდვისა და გაყიდვის უფლება აქვს ნებისმიერ პირს.
- ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრეს უფლება აქვს ნებისმიერ პირზე გაასხვისოს ოქროს სერტიფიკატი ამ დებულებით გათვალისწინებული რეგისტრაციის პირობების დაცვით.
- ოქროს სერტიფიკატის შექმნამდე პირი (გარდა კომერციული ბანკისა) ვალდებულია კომერციულ ბანკში იქონიოს საბანკო ანგარიში. ოქროს სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშსწორება (ყიდვა, გაყიდვა) უნდა განახორციელოს საბანკო ანგარიშის მეშვეობით.
- ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს კომერციული ბანკის მეშვეობით მოითხოვოს ოქროს სერტიფიკატის განაღდება და მიიღოს მისი შესაბამისი წონის სტანდარტიზირებული ზოდი (ზოდები).
- ოქროს სერტიფიკატის განაღდებას მოთხოვნა და ეროვნული ბანკის მიერ მისი დადასტურება წარმოადგენს ოქროს სერტიფიკატის, როგორც ფასიანი ქაღალდის დაფარვას და მისი მიმოქცევიდან ამოღებას.
- ოქროს სერტიფიკატი არსებობს მხოლოდ არამატერიალიზებული ფორმით, ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში (შემდგომში – ჩმდ სისტემა) ელექტრონული ჩანაწერის სახით.
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ოქროს სერტიფიკატი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება.
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ოქროს სერტიფიკატების შენახვისათვის დაადგინოს საკომისიო, რის შესახებ ინფორმაციას ელექტრონული შეტყობინებით წინასწარ აცნობებს კომერციულ ბანკებს და აქვეყნებს შესაბამის ვებ-გვერდზე.
- ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ ოქროს სერტიფიკატთან დაკავშირებული ოპერაციების

შესახებ კომერციულ ბანკსა და კლიენტს შორის ერთჯერადად ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა უფლებამოვალეობებსა და მომსახურების ძირითადი პირობებს. კომერციული ბანკი ასევე ვალდებულია ხელშეკრულებაში მკაფიოდ მიუთითოს ოქროს სერტიფიკატის განაღდებას ამ დებულებით გათვალისწინებული პირობები და ვადები.

10. კომერციულ ბანკსა და კლიენტს შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ოქროს სერტიფიკატის შექმნის/გაყიდვის შესახებ გარიგების დადება შეიძლება განხორციელდეს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრონული სისტემის გამოყენებით ან მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა საშუალებებით. გარიგების ელექტრონული სისტემის მეშვეობით დადების მიზნით კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს კლიენტისათვის ოქროს სერტიფიკატის ყიდვა-გაყიდვის გარიგების პირობების წინასწარ ელექტრონული ფორმით შეტყობინება. გარიგების ელექტრონული სისტემის მეშვეობით დადების შემთხვევაში, გარიგება დადებულად ითვლება, თუ კლიენტი ელექტრონული ფორმით თანხმობას განაცხადებს კომერციული ბანკის მიერ შეთავაზებულ პირობებზე.

#### მუხლი 4. ოქროს სერტიფიკატების გამოშვება და მათი შესყიდვა

1. ოქროს სერტიფიკატების პირველად ბაზარზე გამოშვებას და რეგისტრაციას ახორციელებს ეროვნული ბანკი.
2. პირველად ბაზარზე ოქროს სერტიფიკატების გაყიდვა წარმოებს კომერციული ბანკების მეშვეობით. კომერციული ბანკი ვალდებულია ოქროს სერტიფიკატის ყიდვის მსურველ პირს გააცნოს ოქროს სერტიფიკატის პირობები.
3. ერთი ოქროს სერტიფიკატის ნომინალი შეესაბამება 1 უნციას ან 20 გრამს.
4. ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ოქროს ზოდის სერტიფიკატების რაოდენობა შეესაბამება ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებული შესაბამისი წონისა და მახასიათებლების სტანდარტიზებული ზოდების რაოდენობას.
5. ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატების რაოდენობას განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.
6. ოქროს სერტიფიკატების გამოშვების შეტყობინებას ეროვნული ბანკი უგზავნის კომერციულ ბანკებს ელექტრონული საშუალებით ოქროს სერტიფიკატების გამოშვებამდე სულ მცირე ერთი საბანკო დღით ადრე.
7. ოქროს სერტიფიკატების გამოშვების შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) ოქროს სერტიფიკატების გაყიდვის დაწყების თარიღი და დრო;
  - ბ) ოქროს სერტიფიკატის საიდენტიფიკაციო ნომერი;
  - გ) გასაყიდი ოქროს სერტიფიკატების რაოდენობა;
  - დ) ოქროს სერტიფიკატის ფასების გამოქვეყნების საშუალებები;

- გ) ყიდვისა და გაყიდვის განაცხადის წარდგენის დრო და ფორმები;
- ვ) ყიდვისა და გაყიდვის განაცხადის წარდგენის ტექნიკური საშუალება;
- ზ) ანგარიშსწორების წესი
- თ) საერთაშორისო ბაზარზე ოქროს საბაზრო ფასის ცვლილების ზღვრული ოდენობა, რომელზე მეტად ცვლილების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი არ განახორციელებს ოქროს სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს.
8. ეროვნული ბანკი ყიდულობს მის მიერ გამოშვებულ ოქროს სერტიფიკატებს კომერციული ბანკებისაგან და/ან მათი მეშვეობით.
9. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს საერთაშორისო ბაზარზე ოქროს საბაზრო ფასის ცვლილების ზღვრული ოდენობა, რომელზე მეტად ცვლილების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი არ განახორციელებს ოქროს სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს.
10. განსაკუთრებულ შემთხვევებში ეროვნული ბანკს უფლება აქვს უარი თქვას ოქროს სერტიფიკატების გაყიდვაზე და/ან ყიდვაზე და ამის შესახებ ინფორმაციას უგზავნის კომერციულ ბანკებს ელექტრონული საშუალებით.
11. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში გაგზავნილი ოქროს სერტიფიკატის ყიდვის ან გაყიდვის განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) შესასყიდი ან გასაყიდი ოქროს სერტიფიკატის საიდენტიფიკაციო ნომერს;
  - ბ) შესასყიდი ან გასაყიდი ოქროს სერტიფიკატის რაოდენობას.
12. განაცხადის გაგზავნით კომერციული ბანკი ადასტურებს ოქროს სერტიფიკატის ყიდვის ან გაყიდვის ოპერაციის განხორციელების გადამწყვეტილებას და ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას.
13. ეროვნული ბანკი არ განიხილავს ისეთ განაცხადს, რომელიც დადგენილ დროზე გვიან არის წარდგენილი, არ შეიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას ან მონაცემებს, რომელიც შეუსაბამოა გამოცხადებულ პარამეტრებთან.
14. ყიდვის ან გაყიდვის განაცხადის წარდგენის დროის დასრულების შემდეგ, კომერციულ ბანკს არ აქვს უფლება შეცვალოს ან გააუქმოს მის მიერ ეროვნულ ბანკში გაგზავნილი ოქროს სერტიფიკატის ყიდვის ან გაყიდვის განაცხადი.
15. ოქროს სერტიფიკატების გამოშვების შეტყობინებაში გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ეროვნული ბანკი ადასტურებს კომერციული ბანკის განაცხადს ოქროს სერტიფიკატის ყიდვაზე ან გაყიდვაზე, რომელიც ითვლება ოქროს სერტიფიკატის ყიდვა-გაყიდვის გარიგებად.
16. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დაადგინოს ერთ დღეში ერთი კომერციული ბანკისაგან და/ან მისი მეშვეობით ოქროს სერტიფიკატების ვაჭრობის ლიმიტები, რომელსაც ელექტრონული შეტყობინებით უგზავნის კომერციულ ბანკებს ლიმიტის ამოქმედებამდე ერთი დღით ადრე.

## მუხლი 5. ოქროს სერტიფიკატის მიმოქცევა მეორად ბაზარზე

1. მეორად ბაზარზე ოქროს სერტიფიკატების მიმოქცევა ხდება კომერციული ბანკების მეშვეობით.
2. მეორად ბაზარზე ოქროს სერტიფიკატის ყიდვა-გაყიდვის პირობებს კომერციული ბანკები აქვეყნებენ თავიანთ ვებ-გვერდზე და/ან კლიენტებისათვის ხელმისაწვდომი სხვა საშუალებების გამოყენებით.
3. კომერციული ბანკი ვალდებულია ოქროს სერტიფიკატის ყიდვის მსურველ პირს გააცნოს ოქროს სერტიფიკატის პირობები.
4. ოქროს სერტიფიკატის გასხვისებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება კომერციულმა ბანკმა უნდა განახორციელოს ურისკო ანგარიშსწორების პრინციპის დაცვით, ე.წ. DVP ტრანზაქციით.
5. კომერციული ბანკი ვალდებულია:
  - ა) აწარმოოს ოქროს სერტიფიკატის სუბრეესტრი;
  - ბ) ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში, გაუხსნას შესაბამისი ანგარიში CSD სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.
6. ოქროს სერტიფიკატის სუბრეესტრში ოქროს სერტიფიკატის თითოეულ მესაკუთრეზე კომერციულმა ბანკმა უნდა განახორციელოს შემდეგი მინიმალურად აუცილებელი მონაცემის შეტანა და წარმოება:
  - ა) ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის დასახელება ან სახელი, გვარი;
  - ბ) ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომერი;
  - გ) სუბრეესტრში პირის რეგისტრაციის თარიღი;
  - დ) პირის საკუთრებაში არსებული ოქროს სერტიფიკატების საიდენტიფიკაციო ნომერი (ნომრები) და მათი რაოდენობა;
7. ოქროს სერტიფიკატის საკუთრების დამადასტურებელია კომერციული ბანკის ოქროს სერტიფიკატის სუბრეესტრში არსებული ელექტრონული ჩანაწერი.
8. კომერციული ბანკი ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრეს აძლევს ამონაწერს ოქროს სერტიფიკატის სუბრეესტრიდან, რომლის მიღებაც შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული საშუალებებით.
9. ოქროს სერტიფიკატის სუბრეესტრის ამონაწერში სრულყოფილად უნდა იყოს აღნიშნული ოქროს სერტიფიკატის ძირითადი პირობები, მისი მესაკუთრის მონაცემები და საკუთრებაში არსებული სერტიფიკატების საიდენტიფიკაციო ნომერი, ერთეულის ნომინალი, მათი რაოდენობა და შესაბამისი ოქროს მოცულობა გრამებში ან უნციებში.
10. კლიენტებს შორის ოქროს სერტიფიკატის გასხვისების დავალების ფორმას ადგენს კომერციული ბანკი, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას:
  - ა) ოქროს სერტიფიკატის საიდენტიფიკაციო ნომერი;
  - ბ) ოქროს სერტიფიკატების რაოდენობა;
  - გ) გარიგების თანხა;
  - დ) გარიგების დადებისა და ანგარიშსწორების თარიღები;

- ვ) მყიდველისა და გამყიდველის დასახელება ან სახელი, გვარი;
  - გ) მყიდველისა და გამყიდველის საბანკო ანგარიშის ნომერი.
11. კლიენტის სახელზე შენახული ოქროს სერტიფიკატის გასხვისების, დაგირავების, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის, განაღდების მოთხოვნის მიღების და/ან კლიენტის მიერ მომსახურე კომერციული ბანკის შეცვლის შემთხვევაში, კომერციული ბანკი ვალდებულია:
    - ა) განახორციელოს ცვლილებების შესაბამისი ჩანაწერები თავის სუბრეესტრში;
    - ბ) თუ ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის ანგარიში ასევე განსნილი აქვს CSD სისტემაში, ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები განახორციელოს CSD სისტემაშიც.

## მუხლი 6. ოქროს სერტიფიკატებზე ფასების განსაზღვრა

1. ოქროს სერტიფიკატების ყიდვისა და გაყიდვის ფასებს განსაზღვრავს მისი მყიდველი და გამყიდველი.
2. ეროვნული ბანკის ფასები ოქროს სერტიფიკატების გაყიდვაზე და ყიდვაზე განისაზღვრავება ეროვნული ბანკის მიერ, საერთაშორისო ბაზარზე ოქროს საბაზრო ფასისა და ეროვნული ბანკის მარჯის გათვალისწინებით.
3. ეროვნული ბანკის ფასები ოქროს სერტიფიკატის გაყიდვაზე და ყიდვაზე გამოითვლება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს და ქვეყნდება შესაბამის ვებ-გვერდზე ყოველ სამუშაო საბანკო დღეს.
4. კომერციული ბანკები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ მათი საკომისიოს ოდენობას ლარებში, რომელსაც ითვალისწინებენ ოქროს სერტიფიკატის ყიდვა-გაყიდვის ფასების დადგენისას.
5. კომერციული ბანკი, რომელიც ახორციელებს კლიენტების მომსახურებას ოქროს სერტიფიკატების ბაზარზე, ვალდებულია, ყოველ სამუშაო საბანკო დღეს გამოაქვეყნოს ოქროს სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვის ფასები.

## მუხლი 7. ოქროს სერტიფიკატის განაღდება

1. ოქროს სერტიფიკატის განაღდებას აწარმოებს ეროვნული ბანკი შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდების გაცემით.
2. ოქროს სერტიფიკატის განაღდებას ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციული ბანკების მეშვეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ოქროს ზოდის სერტიფიკატის განაღდებაზე ეროვნული ბანკი არ ადგენს საკომისიოს.
4. ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის განაღდებაზე ეროვნული ბანკი აწესებს საკომისიოს ლარებში, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდის (ზოდების) საერთაშორისო ბაზარზე შექმნა/დამზადებისა და მისი საქართველოში ჩამოტანის ღირებულებიდან.

5. ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის განაღდებას საკომისიოს ოდენობას ეროვნული ბანკი წინასწარ ატყობინებს კომერციულ ბანკებს ელექტრონული საშუალებით და აქვეყნებს შესაბამის ვებგვერდზე.
6. ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის განაღდებას მთხოვნელი პირი განაღდებას საკომისიოს უხდის ეროვნულ ბანკს განაღდებას მოთხოვნის დღეს, მისი სახელით მოქმედი კომერციული ბანკის მეშვეობით.
7. ოქროს სერტიფიკატის განაღდებასათვის ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრე განაღდებას მოთხოვნით მიმართავს კომერციულ ბანკს.
8. ოქროს სერტიფიკატის განაღდებაზე კომერციული ბანკი შესაბამისი განაცხადით მიმართავს ეროვნულ ბანკს და წარუდგენს:
  - ა) ოქროს სერტიფიკატის განაღდებაზე ცალ-ცალკე თითოეული კლიენტის მოთხოვნის შესაბამისი „შერჩევითი დაფარვის“ შეტყობინებას CSD სისტემის მეშვეობით, ამავე სისტემის წესების შესაბამისად;
  - ბ) ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის განაღდებას საკომისიოს გადახდის შესახებ ინფორმაციას, ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის „შერჩევითი დაფარვის“ განაცხადის ეროვნული ბანკის მიერ დადასტურების დღეს.
9. სტანდარტიზირებული ზოდის გატანაზე კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წარუდგენს სტანდარტიზირებული ზოდის გატანაზე კომერციული ბანკის პასუხისმგებელი პირის პირადობის მოწმობის მონაცემებს და CSD სისტემაში „შერჩევითი დაფარვის“ შეტყობინების უნიკალურ ნომერს, რომელსაც აგზავნის ეროვნული ბანკის შეტყობინებაში განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებით:
  - ა) ოქროს ზოდის სერტიფიკატის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ „შერჩევითი დაფარვის“ განაცხადის დადასტურების შემდეგ არაუგვიანეს იმავე დღის საოპერაციო საათების დასრულებამდე;
  - ბ) ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის მიერ „შერჩევითი დაფარვის“ განაცხადის დადასტურების შემდეგ 34 კალენდარულ დღის განმავლობაში;
  - გ) საჭიროების შემთხვევაში კომერციულმა ბანკმა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებაში უნდა მიუთითოს სტანდარტიზირებული ზოდის გატანაზე პასუხისმგებელი პირისათვის სტანდარტიზირებული ზოდის ლაბორატორიული შემოწმების მოთხოვნის უფლებამოსილება.
10. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ განსაზღვროს გასაცემი სტანდარტიზირებული ზოდების რაოდენობა წონების მიხედვით კომერციული ბანკის მოთხოვნის გათვალისწინებით.
11. ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის სახელით მოქმედი კომერციული ბანკი ვალდებულია ოქროს სერტიფიკატის შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდი მიიღოს ეროვნული ბანკიდან:
  - ა) ოქროს ზოდების სერტიფიკატების შემთხვევაში, ოქროს სერტიფიკატის განაღდებაზე CSD სისტემის მეშვეობით ეროვნული ბანკის დასტურის მიღების დღიდან სამი სამუშაო საბანკო დღის განმავლობაში;
  - ბ) ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის შემთხვევაში, ოქროს სერტიფიკატის განაღდებაზე CSD სისტემის მეშვეობით ეროვნული ბანკის დასტურის მიღების დღიდან 35-ე კალენდარული დღეს. თუ 35-ე კალენდარული დღე უქმე ან/და დასვენების დღეს ემთხვევა, მაშინ ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდის გაცემა განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
12. კომერციული ბანკის მიერ ეროვნული ბანკიდან ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდის გატანის შემდეგ, ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრე უფლებამოსილია კომერციულ ბანკს მიმართოს სტანდარტიზირებული ზოდის გაცემის მოთხოვნით მასსა და კომერციულ ბანკს შორის შეთანხმებულ ვადებში.
13. ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა დამამზადებელი კომპანიის მიზგზით ვერ ხორციელდება შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდის დადგენილ ვადებში დამამზადება და ჩამოტანა, ეროვნული ბანკი ამის შესახებ ატყობინებს განმცხადებელ კომერციულ ბანკს და აწარმოებს შესაბამის ღონისძიებებს სხვა დამამზადებელ კომპანიებთან ანალოგიური სტანდარტიზირებული ზოდის დამამზადებასა და ჩამოტანაზე.
14. ოქროს სერტიფიკატის განაღდებას მოთხოვნის პირობების დაცვის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ვალდებულია, შესაბამისი პროცედურების დაცვით უპირობოდ გასცეს სტანდარტიზირებული ზოდი ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის სახელით მოქმედ კომერციულ ბანკზე.
15. ეროვნული ბანკიდან შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდის მიღების შემდეგ, კომერციული ბანკი უზრუნველყოფს მის გაცემას ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრეზე, საკუთარი პროცედურების შესაბამისად.
16. ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრე უფლებამოსილია, ეროვნული ბანკიდან ოქროს სერტიფიკატის შესაბამისი სტანდარტიზირებული ზოდის გატანამდე, კომერციული ბანკის მეშვეობით მოითხოვოს სტანდარტიზირებული ზოდის შეფუთვის გახსნა და ლაბორატორიული შემოწმება ეროვნული ბანკის სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლის თანდასწრებით.
17. თუ სტანდარტიზირებული ზოდის სტანდარტული შეფუთვის გახსნა და შემოწმება არ მომხდარა ამ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს სტანდარტიზირებული ზოდის მახასიათებლების (სიწკი, წონა) შესაბამისობაზე თანმხლებ სერტიფიკატზე მითითებულ რეკვიზიტებთან.
18. თუ ამ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული შემოწმების შედეგად ეროვნული ბანკის მიერ დადგინდა, რომ შემოწმებული სტანდარტიზირებული ზოდი არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ სტანდარტებს, ეროვნული ბანკი ვალდებულია, გასცეს სხვა შესაბამისი წონისა და

19. მახასიათებლების სტანდარტიზირებული ზოდი. თუ ამ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული შემოწმების შედეგად ეროვნული ბანკის მიერ დადგინდა, რომ შემოწმებული სტანდარტიზირებული ზოდი შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ სტანდარტებს, ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს იმ ცვლილებებზე, რაც გამოწვეულია შეფუთვის მთლიანობის დარღვევითა და შემოწმებით.

### მუხლი 8. სტანდარტიზირებული ზოდი

1. ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ თითოეულ ოქროს ზოდის სერტიფიკატზე ეროვნულ ბანკში ინახება შესაბამისი წონის სტანდარტიზირებული ზოდი.
2. ამ დებულების მიზნებისათვის სტანდარტიზირებულ ზოდს აქვს შემდეგი მახასიათებლები:
  - ა) ოქროს სინჯი არის უმაღლესი 999.9 სტანდარტის;
  - ბ) ზოდის წონა შეიძლება განისაზღვროს გრამებში და/ან უნციებში;
  - გ) ზოდი დამზადებულია ლონდონის ოქროს ზოდის ბაზრის ასოციაციისთან (London Bullion Market Association - LBMA) აკრედიტირებული დამამზადებელი კომპანიის მიერ;
  - დ) ზოდზე ამოტვიფრულია დამამზადებლის დამლა, ზოდის დენომინაცია გრამებში და/ან უნციებში, ოქროს სინჯის აღმნიშვნელი წარწერა და/ან საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სხვა წარწერები და/ან ნიშნები;
  - ე) ზოდი არის სტანდარტული შეფუთვით სერტიფიკატთან ერთად, რაც მოიცავს ზოდის მახასიათებლების, სერიული ნომრის, წარმოების წლისა და დამდამზადებლის ხელმოწერის აღნიშვნებს.
3. ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის სახელით მოქმედი კომერციული ბანკის მიერ სტანდარტიზირებული ზოდის ეროვნული ბანკიდან გატანისთანავე, ეროვნული ბანკის ვალდებულება ოქროს სერტიფიკატის მესაკუთრის მიმართ ითვლება შესრულებულად.
4. ეროვნული ბანკიდან გატანილი სტანდარტიზირებული ზოდი, ამ დებულების მიზნებისათვის აღარ წარმოდგენს სტანდარტიზირებულ ზოდს და ეროვნულ ბანკს არ ეკისრება მისი შესყიდვის და/ან შენახვის და/ან ნებისმიერი სხვა მიზნით უკან დაბრუნების ვალდებულება. ეროვნული ბანკის გარეთ არსებული ზოდების მიმოქცევა არ არის შეზღუდული და არ ექვემდებარება რეგულირებას ამ დებულების შესაბამისად.
5. ამ დებულების მიზნებისათვის, ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია სტანდარტიზირებული ზოდების უსაფრთხო შენახვაზე მისი ეროვნული ბანკიდან გატანამდე, ხოლო ოქროს სერტიფიკატის განაღდებას, სერტიფიკატის მესაკუთრის სახელით მოქმედ კომერციულ ბანკზე ოქროს სერტიფიკატის შესაბამისი ოდენობის სტანდარტიზირებული ზოდის (ზოდების) გაცემამდე.

### მუხლი 9. ოქროს სერტიფიკატების აღრიცხვა და ანგარიშსწორება

1. ოქროს სერტიფიკატების გამოშვებასთან, რეგისტრაციასთან, გასხვისებასთან, ყიდვა-გაყიდვასთან, განაღდებასთან, დაგირავებასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ოპერაციები აღირიცხება ეროვნული ბანკის CSD სისტემაში, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.
2. ოქროს სერტიფიკატების თითოეულ ნომინალს ეროვნული ბანკი ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს და არეგისტრირებს CSD სისტემაში.
3. ოქროს სერტიფიკატების საიდენტიფიკაციო ნომერი იქმნება შემდეგი 12 სიმბოლოსაგან:
  - ა) პირველი და მეორე სიმბოლო არის ქვეყანის საერთაშორისო კოდი GE;
  - ბ) მესამე და მეოთხე სიმბოლო არის ფასიანი ქალაქის ტიპის აღმნიშვნელი, რომელიც ეროვნული ბანკის ოქროს სერტიფიკატის შემთხვევაში არის GC;
  - გ) მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე სიმბოლო არის ოქროს სერტიფიკატის ნომინალის აღმნიშვნელი;
  - დ) მეცხრე, მათე და მეთერთმეტე სიმბოლო არის ოქროს სერტიფიკატის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი;
  - ე) მეთორმეტე სიმბოლო არის საკონტროლო ციფრი (გასაღები), რომელიც გამოითვლება წინა თერთმეტი მონაცემის გათვალისწინებით სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალური სტანდარტის შესაბამისად.
4. პირველად ბაზარზე ოქროს სერტიფიკატების ყიდვა-გაყიდვის გარიგების ანგარიშსწორების დღეს, არაუგვიანეს შესაბამისი საოპერაციო საათების დასრულებამდე, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემებისა და CSD სისტემის მეშვეობით ხდება ოქროს სერტიფიკატის მყიდველი კომერციული ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშებიდან შესაბამისი თანხების ჩარიცხვა ეროვნული ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე.
5. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობის შესასრულებლად, საოპერაციო საათების დასრულებამდე კომერციული ბანკი ვერ უზრუნველყოფს ოქროს სერტიფიკატის ყიდვის გარიგების ანგარიშსწორების განხორციელებას, უქმდება ყველა გარიგება, რომლის მიხედვითაც ვერ მოხდება ანგარიშსწორება.
6. გასაყიდი ოქროს სერტიფიკატები მათ გაყიდვამდე აღირიცხება ეროვნული ბანკის შესაბამის ანგარიშზე ჩშD სისტემაში.

### მუხლი 10. კომერციული ბანკის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

1. კომერციული ბანკის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ოქროს სერტიფიკატით ოპერაციების წარმოების შემთხვევაში, კომერციული ბანკები ვალდებული არიან შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ მათი კლიენტებისათვის ოქროს სერტიფიკატებით ოპერაციების (ნებისმიერი ფორმით გასხვისება,

დაგირავება, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა) განხორციელების პირობები, მათ შორის, მომსახურების ტარიფები, განაცხადების და ხელშეკრულებების ფორმები.

2. კომერციული ბანკის მხრიდან ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის გადანყვეტილებით, კომერციულ ბანკს შეიძლება გარკვეული ვადით უარი ეთქვას ოქროს სერტიფიკატების პირველად ბაზარზე მონაწილეობის მიღებაზე ან დაეკისროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
3. კომერციული ბანკი, ამ დებულებით გათვალისწინებული ოქროს სერტიფიკატით ოპერაციების წარმოების შემთხვევაში, ვალდებულია, იქონიოს ამ დებულების მე-3 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული სისტემა და უზრუნველყოს მისი დაცულობა და უსაფრთხოება. ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული გარიგების პირობების უცვლელად შენახვა და კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში დადებული გარიგების შესახებ ინფორმაციის მატერიალური ფორმით მიწოდება.

### 3.3.28 კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი არეგულირებს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების (შემდგომში – ბანკი) მიერ სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების, რეგისტრაციის, მიმოქცევისა და დაფარვის საკითხებს.
- სადეპოზიტო სერტიფიკატი არის საბანკო დეპოზიტი (ანაბარი) და წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებულ დღეს სერტიფიკატის მფლობელს გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხა.
- ბანკის მიერ ამ დებულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს სტანდარტულ სადეპოზიტო სერტიფიკატს (შემდგომში – სერტიფიკატი).
- ბანკი უფლებამოსილია გამოუშვას არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი ამ დებულებებისგან განსხვავებული პირობებით, რომელიც არ ჩაითვლება სტანდარტულ სერტიფიკატად ამ დებულების მიზნებისათვის და რომელსაც არ შეიძლება ეწოდოს სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი.

#### მუხლი 2. სერტიფიკატის გამოშვების ძირითადი პირობები

- ბანკის მიერ გამოშვებული სერტიფიკატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად პირობებს:
  - ბანკი არ არის ვალდებული ვადაზე ადრე გამოისყიდოს სერტიფიკატი;
  - სერტიფიკატის მფლობელს უფლება აქვს ბანკის თანხმობის გარეშე ნებისმიერ პირზე გაასხვისოს სერტიფიკატი ამ დებულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
  - სერტიფიკატი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დემატერიალიზებული ფორმით;
  - სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლარით, უნაღდო ანგარიშსწორებით;
  - ერთ სერტიფიკატს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი მფლობელი. დაუშვებელია სერტიფიკატის ნაწილობრივ გასხვისება.
- სერტიფიკატის გამოშვების პირობები წინასწარ უნდა იყოს გამოქვეყნებული ბანკის ვებგვერდზე და იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
- სერტიფიკატის გამოშვების პირობებში გათვალ-

ისწინებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს ბანკის მიერ ვადაზე დეპოზიტთან მიმართებაში ნაკისრი ვალდებულებების ანალოგიური პირობები.

- სერტიფიკატი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სერტიფიკატის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენების დროს აუცილებელია იგივე ნორმებისა და პირობების დაცვა, რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ვადიანი დეპოზიტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებისას.
- ბანკის მიერ გამოშვებულ სერტიფიკატთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ ბანკსა და კლიენტს შორის ერთჯერადად ფორმდება ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და მომსახურების ძირითადი პირობებს.
- ბანკსა და კლიენტს შორის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სერტიფიკატის შექმნის შესახებ გარიგების დადება შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. გარიგების ელექტრონული სისტემის მეშვეობით დადების მიზნით ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს კლიენტისათვის სერტიფიკატის პირობების წინასწარ ელექტრონული ფორმით შეტყობინება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად უნდა მოიცავდეს სერტიფიკატის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. გარიგების ელექტრონული სისტემის მეშვეობით დადების შემთხვევაში, გარიგება დადებულად ჩაითვლება, თუ კლიენტი ელექტრონული ფორმით თანხმობას განაცხადებს ბანკის მიერ შეთავაზებულ პირობებზე.
- ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გარიგებების ელექტრონული ფორმით დადების მიზნით, ბანკი ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ელექტრონული სისტემის დაცულობა და უსაფრთხოება. ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული გარიგების პირობების უცვლელად შენახვა და კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში დადებული გარიგების შესახებ ინფორმაციის მატერიალური ფორმით მიწოდება.

#### მუხლი 3. სერტიფიკატის გამოშვების კონკრეტული პირობები

- ბანკი ვალდებულია განსაზღვროს მის მიერ შეთავაზებული სერტიფიკატის შემდეგი კონკრეტული პირობები:
  - სერტიფიკატის ტიპი: დისკონტური და/ან საპროცენტო;
  - სერტიფიკატის გამოშვების მინიმალური ოდენობა;
  - სერტიფიკატის ნომინალი;
  - სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (ფიქსირებული და/ან ცვლადი);



- გ) სერტიფიკატის ვადიანობა.
2. სერტიფიკატის ცვლადი საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან.
3. დაუშვებელია გაყიდული სერტიფიკატის პირობების ცვლილება.
4. სერტიფიკატის გამოქვეყნებულ კონკრეტულ პირობებში აღნიშნული უნდა იყოს მისი შემოსავლიანობის მონაცემები.
5. სერტიფიკატის კონკრეტული პირობები მხარეთათვის წარმოადგენს სავალდებულო ძალის შეთანხმებას, რომელიც დეტალურად უნდა იყოს აღნიშნული გამოშვებული სერტიფიკატის ამონაწერში. სერტიფიკატის კონკრეტულ პირობებზე მყიდველის თანხმობა გამოიხატება სერტიფიკატის შექენით.
6. სერტიფიკატი უნდა იყოს:
  - ა) ლარით დენომინირებული და არ შეიძლება იყოს ინდექსირებული სხვა უცხოური ვალუტის მიმართ;
  - ბ) 3, 6, 9, 12, 18 ან 24 თვის ვადიანობის;
  - გ) საპროცენტო სერტიფიკატის შემთხვევაში, პროცენტის გადახდა უნდა ხდებოდეს მხოლოდ თვეში ერთხელ.
7. ბანკს უფლება აქვს კლიენტისგან გამოსყიდოს სერტიფიკატი ურთიერთშეთანხმებული ფასით.
8. სერტიფიკატის შექენამდე, პირი ვალდებულია სერტიფიკატის გამომშვებ ბანკში იქონიოს საბანკო ანგარიში. სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშსწორება (შექენა, საპროცენტო სარგებლის გადახდა, დაფარვა) უნდა განახორციელოს აღნიშნული ანგარიშის მეშვეობით. სერტიფიკატის განაღდება მისი ვადის ამოწურვისას ან გამოსყიდვისას უნდა განხორციელდეს პირის მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.
9. სერტიფიკატის გასხვისებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება ბანკმა უნდა განახორციელოს ურისკო ანგარიშსწორების პრინციპის დაცვით, ე.წ. DvP ტრანზაქციით.
5. სერტიფიკატის მფლობელს გამომშვები ბანკი აძლევს ამონაწერს სერტიფიკატის რეესტრიდან, რომლის მიღებაც შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული საშუალებებითაც.
6. სერტიფიკატის რეესტრის ამონაწერში სრულყოფილად უნდა იყოს აღნიშნული სერტიფიკატის ძირითადი და კონკრეტული პირობები, მისი მფლობელის მონაცემები და მფლობელისათვის გადაცემული სერტიფიკატების მოცულობა და რაოდენობა.
7. სერტიფიკატის გასხვისების დავალების ფორმას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ადგენს ბანკი, რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას:
  - ა) სერტიფიკატის ნომერი;
  - ბ) სერტიფიკატის თანხა;
  - გ) გარიგების თანხა და შემოსავლიანობა;
  - დ) სერტიფიკატის საწყისი საპროცენტო განაკვეთი;
  - ე) გარიგების დადებისა და ანგარიშსწორების თარიღები;
  - ვ) გარიგების მხარეების დასახელება ან სახელი, გვარი;
  - ზ) გარიგების მხარეების მიმდინარე ანგარიშის ნომრები;
  - თ) მიმღები მხარის თანხმობა სერტიფიკატის პირობებზე.
8. მხარეები ვალდებული არიან აცნობონ ბანკს სერტიფიკატის გასხვისების შესახებ და გასხვისება დაარეგისტრირონ სერტიფიკატის რეესტრში.
9. სერტიფიკატის ვადის გასვლის ან ბანკის მიერ მფლობელთან შეთანხმებულ ფასად სერტიფიკატის გამოსყიდვის შემდეგ ხდება სერტიფიკატის დაფარვა, რის შედეგადაც ხდება სერტიფიკატის შესაბამისი ჩანაწერის გაუქმება და წყდება სერტიფიკატის პირობებით გათვალისწინებული სარგებლის დარიცხვა.

#### მუხლი 4. სერტიფიკატის რეგისტრაცია

1. ბანკი ვალდებულია სერტიფიკატის ყიდვის მსურველ პირს გააცნოს სერტიფიკატის პირობები.
2. სერტიფიკატის მფლობელობის დამადასტურებელი არის ბანკის სერტიფიკატის რეესტრში არსებული ელექტრონული ჩანაწერი.
3. სერტიფიკატის რეესტრს აწარმოებს სერტიფიკატის გამომშვები ბანკი.
4. სერტიფიკატის რეესტრში თითოეულ სერტიფიკატზე ბანკმა უნდა განახორციელოს შემდეგი აუცილებელი მონაცემების შეტანა:
  - ა) სერტიფიკატის ნომერი;
  - ბ) მფლობელის დასახელება ან სახელი, გვარი;
  - გ) მფლობელის საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომერი;
  - დ) სერტიფიკატის გამომშვებისა და დაფარვის თარიღი;
  - ე) სერტიფიკატის რეგისტრაციის თარიღი.

---

### 3.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების ზედამხედველობა

3.4.1	მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები	418
3.4.2	ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესი	423
3.4.3	ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების წესი	433
3.4.4	მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი	441
3.4.5	კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისა და რეგულირების წესი	444

### 3.4.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (შემდგომში – მისო) საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) რეგისტრაციის წესსა და პირობებს.
- იურიდიული პირს მისოს სტატუსით საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ.
- ეროვნული ბანკი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იმ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების რეგისტრაციას, რომლის სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის სახეობა და საფირმო სახელწოდება შეესაბამება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

#### მუხლი 2. მისოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაცია

- მისოს რეგისტრაცია ხდება ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებისა და დოკუმენტების ეროვნულ ბანკში წარდგენის საფუძველზე.
- განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:
  - საფირმო სახელწოდების შესახებ;
  - სამართლებრივი ფორმის შესახებ;
  - იურიდიული მისამართის შესახებ;
  - ფულადი ფორმით განაღდებული კაპიტალის ოდენობის შესახებ.
- განცხადებას თან უნდა ერთოდეს:
  - ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრიდან;
  - რეგისტრირებული წესდების დედანი ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
  - კანონმდებლობით გათვალისწინებული კაპიტალის სრული ოდენობით შევსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
  - დოკუმენტები სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, მისი თავმჯდომარის არჩევისა და დირექტორების დანიშვნის თაობაზე;
  - ცნობა დირექტორთა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ნასამართლობის შესახებ. ამ ქვეპუნქტის საფუძველზე ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო

- ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.
- დირექტორების ხელწერილი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შესაფერისობის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის თაობაზე;
- დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის, ან საკუთრების უფლებას, სადაც განთავსებული იქნება მისო;
- ინფორმაცია დირექტორთა განათლებისა ან/და გამოცდილების შესახებ.
- სათავო ოფისისა და ფილიალების/სერვისცენტრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის/აქტების ასლი.
- ამ წესის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული. უცხოენოვანი დოკუმენტების წარმოდგენა ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.
- პირს ეკრძალება იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორი ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.
- დირექტორის შემდგომი ცვლილების შემთხვევაში, მისომ ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მისოს რეგისტრაციის დროს დირექტორების შესახებ წარსადგენი დოკუმენტაცია და ინფორმაცია.
- მისამართის ცვლილების ან/და ახალი ფილიალის/სერვისცენტრის გახსნის შემთხვევაში მისომ უნდა წარმოადგინოს ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილი დოკუმენტაცია.
- დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ეროვნული ბანკი 15 სამუშაო დღის ვადაში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მისოს რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი პირი ეგზავნება განმცხადებელს.
- იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე უარს განაცხადებს მისოს რეგისტრაციაზე, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ მენარმე სუბიექტს;
- თუ დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ იურიდიულ პირს განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომლის განმავლობაშიც ჩე-

რდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული იურიდიული პირისათვის მისოდ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

8. რეგისტრაციის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება მისოს საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.
9. ეროვნული ბანკი მისოს რეგისტრაციის თაობაზე აწარმოებს ელექტრონულ რეესტრს, რომელშიც შეიტანება ინფორმაცია მისოს საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის, საკონტაქტო ნომრის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების სახელებისა და გვარების თაობაზე. რეესტრში აგრეთვე მიეთითება რეგისტრაციის ან/და რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და მისი მიღების თარიღი, აგრეთვე რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი.
10. თბილისის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, გორის, კასპის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, ოზურგეთის, ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული მისო, ვალდებულია უზრუნველყოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით გათვალისწინებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის პარამეტრებსა და მახასიათებლებს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით დამონტაჟება, მაშინ დაინტერესებული მენარმე სუბიექტი მისოს რეგისტრაციის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესის მოთხოვნებისაგან განსხვავებული განლაგებით დამონტაჟების თაობაზე.
11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა განთავსდეს მისოს შიგნით და გარეპერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა მისოს შიგნით უნდა განთავსდეს ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს შემომსვლელი პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიკაცია.
12. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯის გათიშვის ან/და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანების გამო მისო ვერ უზრუნველყოფს ვი-

დეომეთვალყურეობის სისტემის გამართულ მუშაობას, მისო ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. მისომ ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანება უნდა აღმოფხვრას გონივრულ ვადებში.

13. მისო ვალდებულია საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში სათავო ოფისში და ფილიალებში/სერვისცენტრებში იქონიოს ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

### მუხლი 3. ცვლილებების რეგისტრაცია

1. მისოს საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცვლილებების შემთხვევაში, მისო ვალდებულია ამ ცვლილების განხორციელებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს ეროვნულ ბანკს.
2. ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში სათანადო ცვლილებები შეიტანოს მისოს რეგისტრაციის რეესტრში ან/და მისოს რეგისტრაციის თაობაზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

### მუხლი 4. მისოს რეგისტრაციის გაუქმება

1. მისოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც უნდა მიეთითოს რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი.
2. რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:
  - ა) მისოს წამომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადება რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე;
  - ბ) კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვის მიუხედავად დეპოზიტების მიღება იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;
  - გ) ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი სიყალბე;
  - დ) თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ მისო არღვევს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;
  - ე) მისოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამოღება;
  - ვ) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით ეროვნული ბანკისთვის ზედმიზეძვით ორჯერ ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობა;
  - გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.
  - თ) მისო არ ასრულებს საქართველოს კანონმდებ-

ლობითა და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობით მითითებებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ვ“, და „თ“ ქვეპუნქტში მითითებული საფუძვლებით, მისოს რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, მისოს მფლობელი მენარმე სუბიექტი არ არის უფლებამოსილი ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს რეგისტრაციის გაუქმების თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია გაუქმდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, მაშინ მისოს მფლობელი მენარმე სუბიექტი არ არის უფლებამოსილი ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც მას სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამოერთვა შესაბამისი საქმიანობის უფლება.

### მუხლი 5. მისოს ვალდებულება საექვო (ყალბი) ფულის გამოვლენასთან დაკავშირებით

1. ნაღდი ფულადი ოპერაციების განხორციელებისას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და დირექტივებით.
2. საექვო (ყალბი) ფულის გამოვლენის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია შეადგინოს ცნობა (დანართ N2-ის შესაბამისად) სამ პირად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი – ეძლევა კლიენტს, მეორე – რჩება სალაროს, მესამე – ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება ეროვნულ ბანკს შემდგომი რეაგირებისათვის. ეროვნული ბანკი ექსპერტიზის შედეგებს 10 დღის განმავლობაში ატყობინებს მისოს. ექსპერტიზის შედეგად ნამდვილი და გადასახდელად ვარგისი ფულის ნიშნის გამოვლენისას შესაბამისი თანხა უნაზღაურდება კლიენტს, ყალბი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება, გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება და მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება შემომტანს.

### მუხლი 6. მიკროსესხის წინსწრებით დაფარვის დროს საკომისისო დადგენის პირობები

მისოს ეკრძალება მის მიერ გაცემულ მიკროსესხზე მომხმარებელს გადაახდევინოს რეფინანსირების ან საკუთარი სახსრებით დაფარვის შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, ან ნებისმიერი სახის საჭარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს, რომელიც აღემატება მიკროსესხის გადასახდელი ძირი თანხის 2%-ს.

# დანართი N1

## რეესტრი

### ეროვნულ ბანკში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის თაობაზე

№	საფირმო სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა	ფულადი ფორმით განადგეხული კაპიტალი	რეგისტრაციის თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი		იურიდიული მისამართი საკონტაქტო ნომრის	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სახელები და გვარები	დირექტორების სახელები და გვარები	რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი		რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი
			№	თარიღი				№	თარიღი	

# დანართი N2

ქალაქი \_\_\_\_\_

„\_\_\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 20 წ.

## ცნობა საეჭვო (ყალბი) ფულის გამოვლენის შესახებ

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დასახელება \_\_\_\_\_

პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

შემომტანი \_\_\_\_\_

(პირის სახელი, გვარი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით,

მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და

ტელეფონის ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება ასევე მისი დასახელება

ვალუტის დასახელება	ნომინალი	გამოშვების წელი	სერია, ნომერი

პასუხისმგებელი პირის  
ხელმოწერა:

საეჭვო ფულის  
შემომტანის ხელმოწერა:

ექსპერტიზის დასკვნა: \_\_\_\_\_

ექსპერტის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

\* იმ შემთხვევაში, თუ ფულის ნიშნის მფლობელი უარს აცხადებს ცნობაზე ხელის მოწერაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამისი ჩანაწერი გააკეთოს ცნობაზე.

### 3.4.2 ვალუტის გადამცვლელი კუნძულების რეგისტრაციისა და რეგულირების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (შემდგომში – ეროვნული ბანკი) ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მათი საქმიანობის რეგულირების საკითხებს.
- მენარმე სუბიექტი (გარდა კომერციული ბანკისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ამ წესით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) უფლებამოსილია განახორციელოს ნაღდი ფულით გადაცვლის ოპერაციები, როგორც საკუთარი სამენარმეო საქმიანობა, მხოლოდ ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ.

#### მუხლი 2. რეგისტრაციის პირობები

- დაინტერესებული მენარმე სუბიექტი შევსებულ სარეგისტრაციო ფორმას (დანართი N1) აგზავნის ან უშუალოდ აბარებს ეროვნულ ბანკში. გაგზავნის თარიღად ჩაითვლება საფოსტო ორგანიზაციის მიერ კონვერტზე დასმული თარიღი, ხოლო უშუალოდ ეროვნულ ბანკში ჩაბარების შემთხვევაში – სარეგისტრაციო ფორმაზე დასმულ შტამპზე აღნიშნული თარიღი. შევსებულ სარეგისტრაციო ფორმას თან უნდა დაერთოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამსახურთან დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლი. დაინტერესებულმა მენარმე სუბიექტებმა, რომელთაც სურთ განათავსონ ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე უნდა წარმოადგინონ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის ასლი.
- იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეუძლებელია საოპერაციო ფართობის დაცვის საგანგაშო ღილაკის დამონტაჟება, მაშინ დაინტერესებული მენარმე სუბიექტი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საოპერაციო

ფართობის დაცვის საგანგაშო ღილაკის დამონტაჟების შეუძლებლობის თაობაზე.

- დაინტერესებულ მენარმე სუბიექტს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს: გააჩნია ყალბი ფულის ამომცნობი საშუალება, კომპიუტერი, შესაბამისი საბეჭდი და ასლგადამღები საშუალებები, ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, საოპერაციო ფართობის დაცვის საგანგაშო ღილაკი, აგრეთვე, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა ვალუტის გადაცვლის ოპერაციების აღსარიცხად.
- სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა უნდა პასუხობდეს ამ წესითა და „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N1 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- დაინტერესებულმა მენარმე სუბიექტებმა თბილისის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, გორის, კასპის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, ოზურგეთის, ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ საზღვრებში ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციის მიზნით ეროვნულ ბანკში სარეგისტრაციო ფორმის წარდგენამდე უნდა უზრუნველყონ ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება.
- ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა განთავსდეს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის შიგნით და გარეპერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის შიგნით უნდა განთავსდეს ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს ვალუტის გადამცვლელ პუნქტში შემომსვლელი პირების ვიზუალურად დანახვა.
- გარეპერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით გათვალისწინებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის პარამეტრებსა და ტექნიკურ მახასიათებლებს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით დამონტაჟება, მაშინ



დაინტერესებული მენარმე სუბიექტი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესის მოთხოვნებისაგან განსხვავებული განლაგებით დამონტაჟების თაობაზე.

- 7<sup>1</sup> ვიდეოჩანწერის შედეგად მიღებული ელექტრონული ინფორმაცია, შესაბამისი ჩანაწერებით ინახება და მისი ამოღება ხორციელდება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით გათვალისწინებული ვადითა და წესით.
8. თუ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ან/და მენარმე სუბიექტს, რომელსაც კანონმდებლობით ეკისრება გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების ვალდებულება, აქვთ საერთო შესასვლელი ან რომელთა შესასვლელი განლაგებულია ფეხით მოსიარულეთა გზის ერთსა და იმავე სავალ ნაწილზე ერთმანეთის გვერდით, არა უმეტეს 10 მეტრის დაშორებით, მაშინ ვალუტის გადამცვლელი პუნქტი უფლებამოსილია, შემონმების ობიექტებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაამონტაჟოს გარე ვიდეომეთვალყურეობის საერთო სისტემა.
9. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯის გათიშვის ან/და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანების გამო ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვერ უზრუნველყოფს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართულ მუშაობას, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანება უნდა აღმოფხვრას გონივრულ ვადებში.
10. მენარმე სუბიექტი, რომელიც ახორციელებს სასტუმროს საქმიანობას, უფლებამოსილია, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გარეშე სასტუმროს ტერიტორიაზე განახორციელოს ვალუტის გადაცვლის ოპერაციები, თუ თანხის გადაცვლის თითოეული ოპერაცია არ აღემატება 2000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში).
11. თუ თანხის გადაცვლის ერთ-ერთი ოპერაცია აღემატება 2000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში), სასტუმროს მფლობელი ვალდებულია, განახორციელოს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაცია, რეგისტრაციისათვის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
12. პირს ეკრძალება იყოს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია

მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის და ვალდებულია რეგისტრაციისას წარმოადგინოს ნასამართლეობის თაობაზე ცნობის დედანი ან მისი ნოტარიულად დამონმებული ასლი. ამ პუნქტის საფუძველზე ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლეობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ნასამართლეობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

13. ამ წესის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამონმებული ან ლეგალიზებული. უცხოენოვანი დოკუმენტების წარმოდგენა ხორციელდება ნოტარიულად დამონმებული თარგმანის სახით.
14. ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში იქონიოს ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული დაცვის საგანგაშო ლილაკი და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

### მუხლი 3. გადანყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე

1. ეროვნული ბანკი სარეგისტრაციო ფორმის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადანყვეტილებას ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის და რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ მენარმე სუბიექტს.
2. თუ დაინტერესებული მენარმე სუბიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ მენარმე სუბიექტს განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და წარმოდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში – ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული მენარმე

- სუბიექტისათვის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.
- 2<sup>1</sup> იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამონურვამდე უარს განაცხადებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციაზე, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ მენარმე სუბიექტს.
3. ეროვნული ბანკი ანარმოებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სარეგისტრაციო ელექტრონულ რეესტრს და ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მასში შეაქვს ინფორმაცია ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე.
4. სარეგისტრაციო ფორმაში არსებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი წერილობით ინფორმაციას აწვდის ეროვნულ ბანკს ცვლილების განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ეროვნული ბანკი ახორციელებს ცვლილებას შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და/ან შესაბამის სარეგისტრაციო რეესტრში.
5. ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციას ახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციო ფორმა სრულყოფილად შევსებული და დაცულია ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნები.
6. ამოღებულია

#### მუხლი 4. რეგისტრაციის გაუქმება

1. ვალუტის გადამცვლელ პუნქტს რეგისტრაცია გაუქმდება, თუ:
- ა) ვალუტის გადამცვლელი პუნქტი წერილობით განცხადებით მიმართავს ეროვნული ბანკს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე;
- ბ) ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელი ფიზიკური პირი (ინდივიდუალური მენარმის შემთხვევაში) გარდაიცვალა ან გამოცხადდა გარდაცვლილად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან ქმედუუნაროდ;
- გ) განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელი იურიდიული პირის ლიკვიდაცია;
- დ) კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე;
- ე) დადგინდა, რომ სარეგისტრაციო ფორმა შევსებულია ყალბი მონაცემების საფუძველზე;
- ვ) ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მივლინებული ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ

- დაუშვა შემონმებაზე;
- ბ) ეროვნული ბანკის შემომნმებელს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი არ დახვდა მითითებულ მისამართზე ან ვალუტის გადამცვლელი პუნქტი არ მოიძებნა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სარეგისტრაციო რეესტრში მითითებულ მისამართზე;
- თ) არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობითა და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობით მითითებებს.
- ი) რეგისტრაციიდან 3 თვის განმავლობაში არ განახორციელა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობა.
- კ) დარღვეულია ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.
2. ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ეს ინფორმაცია შეაქვს სარეგისტრაციო ელექტრონულ რეესტრში.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტებში ან „კ“ ქვეპუნქტში მითითებული საფუძველებით ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელი მენარმე სუბიექტი არ არის უფლებამოსილი ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს რეგისტრაციის გაუქმებიდან შემდეგინ თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია გაუქმდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით, მაშინ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელი მენარმე სუბიექტი არ არის უფლებამოსილი ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც მას სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამოერთვა შესაბამისი საქმიანობის უფლება.
4. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფაქტის დადგომის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უგზავნის წერილობით მითითებას ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მფლობელ მენარმე სუბიექტს შემონმების უზრუნველყოფის მოთხოვნით, ხოლო ამ წერილობითი მითითების ერთი თვის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში უუქმებს მას რეგისტრაციას. ამასთან, წერილობითი მითითების ფოსტით დაბრუნების შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია არ დაიცვას ზემოაღნიშნული ერთთვიანი ვადა და გააუქმოს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაცია აღნიშნულ მისმართზე;

## მუხლი 5. ვალუტის გადამცვლელი პუნქტის უფლება-მოვალეობანი

1. ვალუტის გადამცვლელ პუნქტს უფლება აქვს:
  - ა) განახორციელოს ნაღდი ფულით ვალუტის გადაცვლის ოპერაციები, ასევე, კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობა. კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესრულების შემდგომ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ბ) კონკრეტული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსი დაადგინოს მასზე მოთხოვნა-მიწოდებისა და ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე ჩამოყალიბებული კურსის გათვალისწინებით.
2. ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია:
  - ა) რეგისტრაციიდან 10 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში წარადგინოს „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N1 ბრძანებით განსაზღვრული „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ვალუტის გადამცვლელი პუნქტების აღრიცხვის ფორმა“;
  - ბ) შეასრულოს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N1 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები და წერილობითი მითითებები;
  - გ) სპეციალური პროგრამული საშუალებით წარმოებულ ციფრულ მონაცემთა ბაზაში ასახოს მის მიერ განხორციელებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თითოეული ოპერაცია, ამ წესის დანართი N3-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად, ამობეჭდოს „ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ განეული მომსახურების ქვითარი“ (დანართი N3), მისი ერთი პირი გადასცეს კლიენტს, მეორე კი შეინახოს ვალუტის გადამცვლელ პუნქტში. ზემოაღნიშნული ოპერაციის ასახვის დროს მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითება სავალდებულოა მხოლოდ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
  - გ<sup>1</sup>) ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ კომერციულ ბანკში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ან სხვა ვალუტის გადამცვლელ პუნქტში ვალუტის

- ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის განხორციელებისას, აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული ოპერაციის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე, სპეციალური პროგრამული საშუალებით წარმოებულ ციფრულ მონაცემთა ბაზაში ასახოს ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თითოეული ოპერაცია ამ წესის დანართი N5-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად, ამობეჭდოს „ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მიღებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მომსახურების ქვითარი“ (დანართი N5) და შეინახოს აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემული ოპერაციის დამადასტურებელ საბუთთან ერთად;
- დ) უზრუნველყოს დოკუმენტების, აგრეთვე სპეციალური პროგრამული საშუალებით წარმოებული ციფრული მონაცემთა ბაზის დაარქივება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით უსაფრთხოდ შენახვა;
- ე) დანართი N2-ის შესაბამისად ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ელექტრონული და მატერიალიზებული (დოკუმენტური) სახით კვარტალური ანგარიშგება (შემდგომში – ანგარიშგება), კვარტალის დამთვრებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, ორივე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს იდენტური. ფორმებს შორის განსხვავების აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მატერიალიზებულ ფორმას. ანგარიშგების ელექტრონულად წარდგენა უნდა განხორციელდეს ელექტრონულ მისამართზე [valuta@nbg.gov.ge](mailto:valuta@nbg.gov.ge) და წარდგენილის ანგარიშგება მომზადებული უნდა იყოს MSExcel-ის ფორმატში;
- ვ) ამოღებულია
- ზ) ნაღდი ფულადი ოპერაციების განხორციელებისას იხელმძღვანელოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და დირექტივებით;
- თ) საექვო (ყალბი) ფულის გამოვლენის შემთხვევაში შეადგინოს ცნობა (დანართი N4) სამ პირად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა კლიენტს, მეორე რჩება სალაროს, მესამე ფულის ნიშნთან ერთად ეგზავნება ეროვნულ ბანკს შემდგომი რეაგირებისათვის. ეროვნული ბანკი ექსპერტიზის შედეგებს 15 სამუშაო დღის განმავლობაში ატყობინებს ვალუტის გადამცვლელ პუნქტს. ექსპერტიზის შედეგად ნამდვილი და გადასახდელად ვარგისი ფულის ნიშნის გამოვლენისას შესაბამისი თანხა უნაზღაურდება კლიენტს, ყალბი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება, გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება და მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება შემომტანს.
- ი) ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მომსახურების მომხმარებელს მიაწოდოს სრული ინფორმაცია ვალუტის გაცვლის კურსისა და მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობის შესახებ. ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა აგრეთვე უნდა უზრუნველყოს მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შესახებ კლიენტისათვის თვალსაჩინო ადგილას (სალაროსთან და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსის თითოეულ მაჩვენებელთან) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსის ამსახველი შრიფტის ზომის ინფორმაციის განთავსება.

## მუხლი 6. ვალუტის გადამცვლელი პუნქტის შემონმება

1. ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ადგილზე შემონმებას ახორციელებს ეროვნული ბანკი. შესამონმებად მივლინებულმა ეროვნული ბანკის თანამშრომელმა, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის თანამშრომელს უნდა წარუდგინოს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სამსახურებრივი მონმობა.
2. ადგილზე შემონმების პროცესში უნდა დადგინდეს ეროვნულ ბანკში წარდგენილ სარეგისტრაციო ფორმაში შეტანილი მონაცემების შესაბამისობა არსებულთან და ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N1 ბრძანებით და ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა.
3. ადგილზე შემონმებისას, ეროვნული ბანკის მიერ მივლინებული თანამშრომელი ადგენს დასკვნას, რომლის ერთი პირი, მასზე სათანადო ხელმონერების გაფორმების შემდეგ, გადაეცემა ვალუტის გადამცვლელ პუნქტს.

# დანართი N1

## სარეგისტრაციო ფორმა

I	პირველი განყოფილება ინფორმაცია დაინტერესებული მენარმე სუბიექტის თაობაზე	
1	საფირმო სახელწოდება	
2	იურიდიული მისამართი	
3	ფაქტობრივი მისამართი	
4	საკონტაქტო ტელეფონები	
5	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი	
6	სამართლებრივი ფორმა	
7	საიდენტიფიკაციო ნომერი ან პირადი ნომერი ინდივიდუალური მენარმის შემთხვევაში.	
8	მომსახურე კომერციული ბანკის(ბანკების) დასახელება და მისი ანგარიშების რეკვიზიტები ამ ბანკში(ბანკებში)	
II	მეორე განყოფილება ინფორმაცია ვალუტის გადამცვლელი ტექნიკური აღჭურვილობის თაობაზე (მონიშნეთ შესაბამისი კვადრატი)	
	პუნქტის სარეგისტრაციო არსებული ტექნიკური საშუალებები:	
ა)	ყალბი ფულის ამომცნობი ტექნიკური საშუალება	—
ბ)	კომპიუტერული ტექნიკა	—
გ)	ვალუტის ყიდვა-გაყიდვის იპერაციების აღსარიცხავად, სისტემატიზაციისა და კანონით განსაზღვრული ვადით შენახვისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა	—
დ)	საოპერაციო ფართობის დაცვის საგანგაშო ლილაკი	—
ე)	ვიდეომეთვალყურეობის სისტემა	—

(უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი)

ვდასტურებ სარეგისტრაციო ფორმაში შეტანილი ინფორმაციის უტყუარობას. ვდასტურებ, რომ გავცანი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიულ აქტებს

დაინტერესებული მენარმე სუბიექტი \_\_\_\_\_  
(უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, ხელმოწერა)

ვდასტურებ, რომ გავცანი ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიულ აქტებს

მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_  
(მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი, ხელმოწერა)

სარეგისტრაციო ფორმის ეროვნულ ბანკში გაგზავნის თარიღი:

# დანართი N2

## ვალუტის გადამცვლელი კუნძულის ანგარიშგება

კუნძულის დასახელება და მისამართი:					
სარეგისტრაციო ნომერი:					
საანგარიშგებო პერიოდი		თვე	წელი	201__	
ანგარიშგების წარდგენის თარიღი			ტელეფონი		
<b>1 ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის</b>					
1.1.	ლარი				
1.2.	აშშ დოლარი				
1.3.	ევრო				
1.4.	რუსული რუბლი				
1.5.					
2	<b>შემოსავალი</b>				სხვა შემოსავალი*
2.1.	ლარი				
2.2.	აშშ დოლარი				
2.3.	ევრო				
2.4.	რუსული რუბლი				
2.5.					
3	<b>გასავალი</b>				
1.1.	ლარი				
1.2.	აშშ დოლარი				
1.3.	ევრო				
1.4.	რუსული რუბლი				
1.5.					
4	<b>სხვა გასავალი და ხარჯი**</b>				
1.1.	იჯარის ქირა				
1.2.	კომუნალური გადასახადები				
1.3.	საკომუნიკაციო ხარჯები				
1.4.	ბიუჯეტში გადახდილი თნხები				
1.5.	სხვა გასავალი				
5	<b>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>				
1.1.	ლარი				
1.2.	აშშ დოლარი				
1.3.	ევრო				
1.4.	რუსული რუბლი				
1.5.					

შენიშვნა:

\* ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შედეგად მიღებული თანხების გარდა აღირიცხება სხვა ფულადი სახსრების შემოდინება ან გადინება.

\*\* ინგარიშგება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა \_\_\_\_\_

## დანართი N3

### ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ განული მომსახურების ქვითარი (ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია)

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დასახელება და მისამართი				ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დასახელება და მისამართი			
ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ქვითარი №				ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ქვითარი №			
საფირმო სახელწოდება*				საფირმო სახელწოდება*			
საიდენტიფიკაციო ნომერი *				საიდენტიფიკაციო ნომერი *			
სახელი				სახელი			
გვარი				გვარი			
მისამართი				მისამართი			
პირადობის დამადასტ. დოკუმენტის №				პირადობის დამადასტ. დოკუმენტის №			
პირადი №				პირადი №			
პირადობის დამადასტ. დოკუმენტის გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი				პირადობის დამადასტ. დოკუმენტის გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი			
შემოსული ვალუტის დასახელება		თანხა		შემოსული ვალუტის დასახელება		თანხა	
გადაცვლის კურსი				გადაცვლის კურსი			
გასული ვალუტის დასახელება		თანხა		გასული ვალუტის დასახელება		თანხა	
ოპერაციის განხორციელების თარიღი				ოპერაციის განხორციელების თარიღი			
ოპერაციის განხორციელების დრო				ოპერაციის განხორციელების დრო			
კლიენტის ხელმოწერა				კლიენტის ხელმოწერა			
ოპერაციის შემსრულებლის ხელმოწერა				ოპერაციის შემსრულებლის ხელმოწერა			

\*ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არის იურიდიული პირი, ინდივიდუალური მენარმე ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი. ასეთ შემთხვევაში, შესაბამის ველებში უნდა მიეთითოს წარმომადგენელი პირის შესაბამისი საიდენტიფიკაციო მონაცემები

# დანართი N4

ქალაქი \_\_\_\_\_

„\_\_\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 20 წ.

## ცნობა საეჭვო (ყალბი) ფულის გამოვლენის შესახებ

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დასახელება \_\_\_\_\_

პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

შემომტანი \_\_\_\_\_

(პირის სახელი, გვარი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი

საბუთის მიხედვით, მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და

ტელეფონის ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება ასევე მისი დასახელება

ვალუტის დასახელება	ნომინალი	გამოშვების წელი	სერია, ნომერი

პასუხისმგებელი პირის  
ხელმოწერა:

საეჭვო ფულის  
შემომტანის ხელმოწერა:

ექსპერტიზის დასკვნა: \_\_\_\_\_

ექსპერტის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

\* იმ შემთხვევაში, თუ ფულის ნიშნის მფლობელი უარს აცხადებს ცნობაზე ხელის მოწერაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამისი ჩანაწერი გააკეთოს ცნობაზე.



## დანართი N5

### ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მიღებული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მომსახურების ქვითარი (ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია)

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დასახელება და მისამართი			
ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ქვითარი N			
საფირმო სახელწოდება*;			
სახელი **			
გვარი **			
მისამართი **			
პირადობის დამადასტ. დოკუმენტის N ან პირადი N **			
შემოსული ვალუტის დასახელება		თანხა	
გადაცვლის კურსი			
გასული ვალუტის დასახელება		თანხა	
ოპერაციის განხორციელების თარიღი			
ოპერაციის განხორციელების დრო			
ოპერაციის შემსრულებლის ხელმოწერა			

\* ივსება კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან სხვა ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დასახელება, სადაც განხორციელდა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია.

\*\* ივსება ვალუტის გადამცვლელი პუნქტის უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელიც დაფიქსირებულია ზემოაღნიშნულ ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემულ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის დამადასტურებელ საბუთში.

### 3.4.3 ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ამ წესის მიზანია შექმნას სამართლებრივი მექანიზმი ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის საქმიანობისათვის.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკისა, საკრედიტო კავშირისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა), რომელიც სხვადასხვა სისტემის მეშვეობით, ახორციელებს ფიზიკური პირების ფულადი გზავნილებით მომსახურებას;
- ბ) პასუხისმგებელი პირი – ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის ხელმძღვანელის მიერ სპეციალურად განსაზღვრული თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების აღრიცხვაზე, ინფორმაციის სისტემატიზაციაზე, ანგარიშების შედგენასა და დადგენილი წესით საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენაზე;
- გ) პირის იდენტიფიკაცია – პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იძლევა პირის მოკვლევისა და მისი სხვა პირებისგან გამორჩევის საშუალებას.

#### მუხლი 3. რეგისტრაციის პირობები

- 1. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი ავსებს სარეგისტრაციო ფორმას (დანართი N1) და რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს.
- 2. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის მფლობელი არ უნდა იყოს ნასამართლვეი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის რის თაობაზეც რეგისტრაციის დროს ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა ნასამართლობის შესახებ. ამ ქვეპუნქტის საფუძველზე ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლეობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღე-

- 2<sup>1</sup> მატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. ამ წესის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული. უცხოენოვანი დოკუმენტების წარმოდგენა ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.
- 3. ეროვნული ბანკი სარეგისტრაციო ფორმის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციის და რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ეროვნული ბანკი ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.
- 4. თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს 30-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და წარმოდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებულ პირისათვის ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.
- 4<sup>1</sup> იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამონურვამდე უარს განაცხადებს ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციაზე, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.
- 5. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის უწყებრივ სარეგისტრაციო რეესტრს და რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მასში შეაქვს ინფორმაცია პირის რეგისტრაციის თაობაზე.
- 6. სარეგისტრაციო ფორმაში არსებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი წერილობით ინფორმაციას აწვდის ეროვნულ ბანკს ცვლილების განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ინფორმაციის

საფუძველზე ეროვნული ბანკი ახორციელებს ცვლილებას შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და/ან შესაბამის სარეგისტრაციო რეესტრში.

7. ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირს რეგისტრაცია გაუქმდება, თუ დადგინდა, რომ:
  - ა) სარეგისტრაციო ფორმა შევსებულია ყალბი მონაცემების საფუძველზე;
  - ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ დაუშვა შემონმებაზე ან ზედმიზეძვით სავსე განმავლობაში არ დახვდა სარეგისტრაციო რეესტრში მითითებულ მისამართზე, რის გამოც ვერ მოხერხდა ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის ადგილზე შემონმება ან აღარ ფუნქციონირებს სარეგისტრაციო რეესტრში მითითებულ მისამართზე;
  - გ) სისტემატურად არღვევს საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობით მითითებებს;
  - დ) რეგისტრაციიდან 3 თვის განმავლობაში არ განახორციელა ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის საქმიანობა.
8. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ეს ინფორმაცია შეაქვს სარეგისტრაციო რეესტრში.
9. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული საფუძველებით, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის მფლობელი არ არის უფლებამოსილი საქართველოს ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს შემდეგი 6 თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია გაუქმდა ამ მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით, მაშინ ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის მფლობელი შენარმე სუბიექტი არ არის უფლებამოსილი ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც მას სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამოერთვა შესაბამისი საქმიანობის უფლება.
10. რეგისტრაცია გაუქმდება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც:
  - ა) ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს;
  - ბ) ფულადი გზავნილების განმახორციელებელი ფიზიკური პირი გარდაიცვალა ან გამოცხადდა გარდაცვლილად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუნაროდ.
  - გ) განხორციელდა ფულადი გზავნილების განმახორციელებელი იურიდიული პირის ლიკვიდაცია;
  - დ) კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამ-

ტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

#### მუხლი 4. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის უფლება-მოვალეობანი

1. ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირს უფლება აქვს:
  - ა) განახორციელოს ფიზიკური პირების ფულადი გზავნილებით მომსახურება ნებისმიერი სისტემის მეშვეობით;
  - ბ) ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიიღოს კომუნალური და სხვა სახის გადასახადები და გადასახდელები.
2. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი ვალდებულია:
  - ა) რეგისტრაციის შესახებ განკარგულების გამოცემიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში წარადგინოს „ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის აღრიცხვის ფორმა“;
  - ბ) შეასრულოს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 24 იანვრის ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები და წერილობითი მითითებები;
  - გ) წარუდგინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ყოველკვარტალური ანგარიშგება N2, N3 და N4 დანართების შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის დამთვრებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;
  - დ) ნაღდი ფულადი ოპერაციების განხორციელებისას იხელმძღვანელონ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და დირექტივებით;
  - ე) საეჭვო (ყალბი) ფულის გამოვლენის შემთხვევაში შეადგინოს ცნობა (დანართი N5-ის შესაბამისად) სამ პირად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი – ეძლევა კლიენტს, მეორე – რჩება სალაროს, მესამე – ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება ეროვნულ ბანკს შემდგომი რეაგირებისათვის. ეროვნული ბანკი ექსპერტიზის შედეგებს 10 დღის განმავლობაში ატყობინებს ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირს. ექსპერტიზის შედეგად ნამდვილი და გადასახდელოდ ვარგისი ფულის ნიშნის გამოვლენისას შესაბამისი თანხა უნაზღაურდება კლიენტს, ყალბი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება, გადასახდელოდ უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება და მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება შემომტანს.

#### მუხლი 5. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის ზედამხედველობა

1. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი

რის ზედამხედველობას, ადგილზე პერიოდული შემოწმებით, ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

2. შემოწმების პროცესში უნდა დადგინდეს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენილ სარეგისტრაციო ფორმაში შეტანილი მონაცემების ნამდვილობა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა, მათ შორის:
  - ა) პირი ახორციელებს თუ არა თითოეული ოპერაციის აღრიცხვას სპეციალური პროგრამული საშუალებით და ინფორმაციის დადგენილი ვადის განმავლობაში შენახვას;
  - ბ) მისი ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე, ახდენს თუ არა მასთან საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირის (მისი წარმომადგენლისა და მარწმუნებლის, აგრეთვე მესამე პირის, თუ გარიგება იდება მესამე პირის სასარგებლოდ) იდენტიფიკაციას, თუ გარიგების (ოპერაციის) თანხა აღემატება 1 500 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში);
  - გ) ახდენს თუ არა მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების (ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში) აღრიცხვას, მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) შენახვასა და მათი ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილ ვადაში წარდგენას;
  - დ) განსაზღვრულია თუ არა ინფორმაციის სისტემატიზაციისა და შიდა კონტროლის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი პირი.

# დანართი N1

## ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის სარეგისტრაციო ფორმა

I	პირველი განყოფილება ინფორმაცია ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის თაობაზე	
1	საფირმო სახელწოდება	
2	იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები	
3	სამართლებრივი ფორმა	
4	სახელმწიფო რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანოს დასახელება	
5	სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი ან ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი	
6	მომსახურე კომერციული ბანკის (ბანკების) დასახელება და მისი ანგარიშების რეკვიზიტები ამ ბანკში (ბანკებში)	
7	მისამართი, სადაც პირი განახორციელებს ფულად გზავნილებთან დაკავშირებულ ოპერაციებს	
II	მეორე განყოფილება ინფორმაცია ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის ტექნიკური აღჭურვილობის თაობაზე	
1	სარეგისტრაციო არსებული ტექნიკური საშუალებები:	
1.1	კომპიუტერული ტექნიკა	
1.2	საბეჭდი საშუალება	
1.3	ასლგადამღები საშუალება	
1.4	სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა	

ვადასტურებ ინფორმაციის უტყუარობას.

ფულადი გზავნილის განმახორციელებელი პირის  
უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი \_\_\_\_\_

ხელმოწერა \_\_\_\_\_

სარეგისტრაციო ფორმის საქართველოს ეროვნულ ბანკში გაგზავნის თარიღი:

## დანართი N2

### ფულადი გზავნილების განმარტების ელემენტები პირის ანგარიშებზე

პირის დასახელება და მისამართი:			
საანგარიშო პერიოდი	თვე	წელი	
ანგარიშის წარდგენის თარიღი		ტელეფონი	
<b>1</b>	<b>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის</b>		
1.1.	ლარი		
1.2.	აშშ დოლარი		
1.3.	ევრო		
1.4.	რუსული რუბლი		
1.5.			
<b>2</b>	<b>ჩარიცხული თანხები</b>		
			სხვა შემოსავალი*
2.1.	ლარი		
2.2.	აშშ დოლარი		
2.3.	ევრო		
2.4.	რუსული რუბლი		
2.5.			
<b>3</b>	<b>გადარიცხული თანხები</b>		
3.1.	ლარი		
3.2.	აშშ დოლარი		
3.3.	ევრო		
3.4.	რუსული რუბლი		
3.5.			
<b>4</b>	<b>სხვა გასავალი და ხარჯი**</b>		
4.1.	იჯარის ქირა		
4.2.	კომუნალური გადასახადები		
4.3.	საკომუნიკაციო ხარჯები		
4.4.	ბიუჯეტში გადახდილი თანხები		
4.5.	სხვა გასავალი		
<b>5</b>	<b>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>		
5.1.	ლარი		
5.2.	აშშ დოლარი		
5.3.	ევრო		
5.4.	რუსული რუბლი		
5.5.			

შენიშვნა:

\* მიღებული თანხების გარდა აღირიცხება სხვა ფულადი სახსრების შემოდინება ან გადინება.

\*\* იანგარიშება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა \_\_\_\_\_

# დანართი N3

## ანგარიშგება ნაღდი ფულისა და დეპოზიტების შესახებ

პირის დასახელება და მისამართი:			
საანგარიშო პერიოდი	_____თვე	_____წელი	
ანგარიშის წარდგენის თარიღი		ტელეფონი	
(ორიგინალურ ვალუტაში)			
<b>1</b>	<b>ნაღდი უცხოური ვალუტა სალაროში</b>	<b>ნაშთი პერიოდის დასაწყისში</b>	<b>ნაშთი პერიოდის ბოლოს</b>
1.1	აშშ დოლარი		
1.2	ევრო		
1.3	რუსული რუბლი		
1.4	გირვანჯა სტერლინგი		
1.5	სხვა(მიუთითეთ)		
1.6	სხვა(მიუთითეთ)		
<b>2</b>	<b>დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები არარეზიდენტ ბანკებში</b>		
1.1	აშშ დოლარი		
1.2	ევრო		
1.3	რუსული რუბლი		
1.4	გირვანჯა სტერლინგი		
1.5	სხვა(მიუთითეთ)		
1.6	სხვა(მიუთითეთ)		





# დანართი N5

ქალაქი \_\_\_\_\_

„\_\_\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 20 წ.

## ცნობა საქვო (ყალბი) ფულის გამოვლენის შესახებ

ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის დასახელება \_\_\_\_\_

პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

შემომტანი \_\_\_\_\_

(პირის სახელი, გვარი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი

საბუთის მიხედვით, მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და

ტელეფონის ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება ასევე მისი დასახელება

ვალუტის დასახელება	ნომინალი	გამოშვების წელი	სერია, ნომერი

პასუხისმგებელი პირის  
ხელმოწერა:

საქვო ფულის  
შემომტანის ხელმოწერა:

ექსპერტიზის დასკვნა: \_\_\_\_\_

ექსპერტის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

\* იმ შემთხვევაში, თუ ფულის ნიშნის მფლობელი უარს აცხადებს ცნობაზე ხელის მოწერაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამისი ჩანაწერი გააკეთოს ცნობაზე.

### 3.4.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცველი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის ფულადი ჭარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცველი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების მიმართ ფულადი ჭარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების საკითხებს.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, ვალუტის გადამცველი პუნქტისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირისათვის ფულადი ჭარიმის დაკისრების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც მითითებული იქნება მისი აღსრულების წესი.
- ჭარიმა გადახდილ უნდა იქნეს დაჭარიმების შესახებ განკარგულების ასლის მხარისათვის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, ვალუტის გადამცველი პუნქტისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირისათვის ფულადი ჭარიმის დაკისრების იძულებითი აღსრულება ხორციელდება ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის, ვალუტის გადამცველი პუნქტისათვის და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული ფულადი ჭარიმის იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ხდება კანონიერ ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, ვალუტის გადამცველი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების მიერ გადახდილი

ფულადი ჭარიმის თანხა მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

- ვალუტის გადამცველი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმება, მფლობელს არ ათავისუფლებს დაკისრებული ფულადი ჭარიმის გადახდისაგან.

#### მუხლი 2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დარღვევები და სანქციები

- თუ ეროვნული ბანკი შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააფრთხილოს იგი, გამოიყენოს მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი სანქცია ან მიიღოს გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სარეგისტრაციო პირობების დარღვევა გამოიწვევს მის დაჭარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
- ფინანსური ანგარიშგების დაგვიანებით წარდგენა გამოიწვევს დაჭარიმებას 500 ლარის ოდენობით;
- ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობა გამოიწვევს დაჭარიმებას 1000 ლარის ოდენობით;
- ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ფორმების წარუდგენლობა გამოიწვევს დაჭარიმებას 200 ლარის ოდენობით ანგარიშგების თითოეულ წარუდგენელ ფორმაზე.
- არაზუსტი ინფორმაციის წარდგენა გამოიწვევს დაჭარიმებას 200 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა:
  - დადგენილ ვადებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობა გამოიწვევს დაჭარიმებას 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;
  - იდენტიფიკაციის დადგენილი წესის დაუცველად პირისათვის გარიგების (ოპერაციის) განხორციელების ფაქტის გამოვლენა გამოიწვევს დაჭარიმებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
  - შემოწმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესისა და ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენა გამოიწვევს დაჭარიმებას 100 (ასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
  - შემოწმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის მცდარი მონაცემების წარდგენის გამოვლენა გამოიწვევს დაჭარიმებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
  - შემოწმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორ-



- ველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარუდგენლობის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
9. მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.
  10. გარიგებების (ოპერაციების) სპეციალური პროგრამული საშუალებით აღურიცხაობა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.
  11. ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი ან მისი დირექტორი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესის მიღებას და/ან ორგანიზაციის მიერ აღნიშნული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესის დაცვას დაჯარიმდება 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

#### მუხლი 5. ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობა

1. ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ სარეგისტრაციო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
2. კვარტალური ანგარიშგების დადგენილ ვადაში წარუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
3. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III1 თავის მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დაჯარიმებას 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეულ შემთხვევაზე.
4. ეროვნული ბანკის წერილობითი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის დაჯარიმებას 100 (ასი) ლარის ოდენობით თითოეულ შემთხვევაზე.
5. ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის N1 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა:
  - ა) დადგენილ ვადებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
  - ბ) იდენტიფიკაციის დადგენილი წესის დაუცველად თანხის გადაცვლის განხორციელების ფაქტის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 (ასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;

- გ) შემონმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესისა და ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 (ასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- დ) შემონმების დაწყების თარიღისათვის, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარუდგენლობის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- ე) შემონმების დაწყების თარიღისათვის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი წესით წარუდგენლობის და/ან დადგენილი ვადის დაუცველად, დაგვიანებით წარდგენის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 (ასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- ვ) მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 (ასი) ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე;
- ზ) გარიგებების (ოპერაციების) სპეციალური პროგრამული საშუალებით აღურიცხაობა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

#### მუხლი 6. ფულადი ჯარიმისაგან გათავისუფლება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაათავისუფლოს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ან ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი უკვე დაკისრებული ჯარიმისაგან ან არ დააკისროს ფულადი ჯარიმა იმ შემთხვევაში თუ:
  - ა) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ან ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის ფინანსური მდგომარეობა ისე გაუარესდეს, რომ საფრთხე შეექმნას მის მომავალ ფუნქციონირებასა და გადახდისუნარიანობას;
  - ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ან ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი გახდეს გადახდისუნარო.
2. ფულადი ჯარიმის დაკისრებისაგან და დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდისაგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის ან ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიყენება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

### 3.4.5 კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისა და რეგულირების წესი

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად მიჩნეული იურიდიული პირის (შემდგომში – პირი) ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგულირების წესსა და პირობებს.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი – პირი, რომელიც ასეთად მიჩნეულია ეროვნული ბანკის მიერ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად;
- ბ) ადმინისტრატორი – მმართველი ორგანოს (მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის) წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან ერთ ან/და ერთზე მეტ პირთან ერთად კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სახელით აილოს ვალდებულებები;
- გ) კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტთან დაკავშირებული პირები – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ადმინისტრატორები, აქციონერები/პარტნიორები, მათთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან, ასევე ყველა ზემოხსენებულ პირთან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირები;
- დ) მაკონტროლებელი პირი – პირდაპირი და არაპირდაპირი კონტროლის განმახორციელებელი პირი;
- ე) კონტროლი – საწარმოს (ორგანიზაციის) ფინანსური ან/და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილება, ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით;
- ვ) მონათესავე საწარმო – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის შვილობილი ან/და კონტროლისადაში დაქვემდებარებული საწარმო, აგრეთვე მისი მაკონტროლებელი პირები და მათი შვილობილი და კონტროლისადაში დაქვემდებარებული საწარმოები;
- გ) კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ინსაიდერი – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ადმინისტრატორები, დაკავშირებული პირები, მა-

კონტროლებელი პირები და მონათესავე საწარმოები;

- თ) ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფი – პირის ორ ან მეტ მსესხებელს შორის არსებული ურთიერთობა, როდესაც:
- თ.ა) მსესხებლები წარმოადგენენ ერთ რისკს, ვინაიდან, ერთ-ერთი მათგანი პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ახორციელებს კონტროლს მეორეზე ან დანარჩენებზე;
- თ.ბ) მსესხებლები განიხილებიან ერთი რისკის შემადგენელ პირებად, ვინაიდან, ისინი ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ თუ ერთ მათგანს შეექმნება ფინანსური პრობლემები, მეორე ან ყველა დანარჩენი აღმოჩნდებიან ფინანსური სირთულეების წინაშე.

#### მუხლი 3. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსის მინიჭება/გაუქმება

1. გადაწყვეტილებას პირისათვის კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსის მინიჭების შესახებ იღებს ეროვნული ბანკი. აღნიშნულის თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
2. პირი ითვლება კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად იმ მომენტიდან, როდესაც ეროვნული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას პირისათვის კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსის მინიჭების შესახებ.
3. პირისათვის კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსის მინიჭება არ იწვევს მისთვის ისეთი საქმიანობის უფლების მინიჭებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საჭიროებს ლიცენზიის ან ნებართვის მიღებას.
4. პირისათვის კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსის გაუქმება ხორციელდება ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით.

#### მუხლი 4. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ეროვნულ ბანკში რეგისტრაცია

1. პირისათვის კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსის მინიჭების თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში პირი ვალდებულია ეროვნულ ბანკში დარეგისტრირდეს კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად.
2. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის რეგისტრაცია ხდება ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებისა და დოკუმენტების ეროვნულ ბანკში წარდგენის საფუძველზე.
3. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:
  - ა) საფირმო სახელწოდების შესახებ;
  - ბ) სამართლებრივი ფორმის შესახებ;
  - გ) იურიდიული მისამართის შესახებ.
4. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრიდან;

- ბ) სადამფუძნებლო დოკუმენტების დედნები ან მათი სანოტარო წესით ან აპოსტილით დამონშებული ან/და ლეგალიზებული ასლები.
- 5. პირის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ეროვნული ბანკი 15 სამუშაო დღის ვადაში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის რეგისტრაციის თაობაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი პირი ეგზავნება განმცხადებელს.
- 6. რეგისტრაციის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.
- 7. ეროვნული ბანკი კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის რეგისტრაციის თაობაზე აწარმოებს ელექტრონულ რეგისტრს, რომელშიც შეიტანება ინფორმაცია კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის, საკონტაქტო ნომრის თაობაზე. რეგისტრში აგრეთვე შეიქმნება რეგისტრაციის ან/და რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და მისი მიღების თარიღი, აგრეთვე რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

**მუხლი 5. ცვლილებების რეგისტრაცია**

- 1. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის ან ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციაში ცვლილებების შემთხვევაში, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი ვალდებულია ამ ცვლილებების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ცვლილებების შესახებ წერილობით აცნობოს ეროვნულ ბანკს.
- 2. ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში სათანადო ცვლილებები შეიტანოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის რეგისტრაციის რეგისტრში ან/და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის რეგისტრაციის თაობაზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

**მუხლი 6. ადმინისტრატორებთან, უშუალო და ბენეფიციარ მესაკუთრეებთან დაკავშირებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

- 1. პირი ვალდებულია კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოადგინოს:
  - ა) ადმინისტრატორების:

- ა.ა) საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- ა.ბ) ცნობა, რომ ისინი არ არიან ნასამართლვეი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
- ბ) უშუალო და ბენეფიციარი მესაკუთრეების:
  - ბ.ა) საიდენტიფიკაციო მონაცემები;
  - ბ.ბ) ცნობა, რომ ისინი არ არიან ნასამართლვეი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.
- 2. პირი არ შეიძლება იყოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ადმინისტრატორი, უშუალო ან ბენეფიციარი მესაკუთრე თუ იგი ნასამართლვეია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.

**მუხლი 7. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის რეგისტრაციის გაუქმება**

- 1. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
- 2. კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს რეგისტრაცია გაუქმდება თუ:
  - ა) ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება პირისათვის კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსის მოხსნის შესახებ;
  - ბ) არსებობს რეგისტრაციის გაუქმების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი.

**მუხლი 8. მომხმარებლისათვის რისკების გამჟღავნების ვალდებულება**

- 1. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი ვალდებულია მომხმარებელს არ მიაწოდოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის შესახებ მცდარი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რის საფუძველზეც მომხმარებელი მიიღებს მისი მომსახურებით სარგებლობის გადაწყვეტილებას.
- 2. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი ვალდებულია ფიზიკურ პირთან სახსრების მოზიდვის ხელშეკრულების პირველ გვერდზე, ადვილად აღქმადი შრიფტით, განათავსოს რისკების გამჟღავნებასთან დაკავშირებული შემდეგი ტექსტი: „(კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სახელწოდება) არ არის ბანკი, არამედ არის კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი და მასზე ვრცელდება შედარებით მსუბუქი სახელმწიფო ზედამხედველობის რეჟიმი. ეს ნიშნავს, რომ კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, თქვენი შენატანის დაკარგვის რისკის შემცირების მხრივ სახელმწიფო ზედამხედველობის როლი ნაკლებია“.

3. ხელშეკრულებაში მიუთითოს კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ვებგვერდი.

დგას აუდიტორის დამოუკიდებლობა/მიუკერძოებლობა.

### მუხლი 9. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის ვალდებულება

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი ვალდებულია:

- ა) დააკმაყოფილოს მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესით, ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით და წერილობითი მითითებებით დაწესებული მოთხოვნები;
- ბ) აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- გ) ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმატით ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული პერიოდულობით წარმოადგინოს მისთვის დადგენილი ანგარიშგებები;
- დ) ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 მაისამდე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასული წლის წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) მიხედვით და რომლის აუდიტაც განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის „საერთაშორისო აღრიცხვისა და მარნშუნგბელი სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ISA) შესაბამისად;
- ე) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შეთხვევაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) მისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ვ) იქონიოს ინსაიდერების იდენტიფიცირების პოლიტიკა, აწარმოოს ინსაიდერების აღრიცხვა, რომელსაც იგი მომსახურებას უწევს;
- ზ) დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის მიერ მისთვის დაწესებული ინდივიდუალური ეკონომიკური ლიმიტები, ნორმატივები, შეზღუდვები და აკრძალვები;
- თ) ეროვნული ბანკის მოთხოვნის საფუძველზე დროებით შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახსრების მოზიდვასთან და/ან სესხების გაცემასთან დაკავშირებული საქმიანობა;
- ი) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში გამოაქვეყნოს მის შესახებ დამატებითი ინფორმაცია;
- კ) ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში შეცვალოს სამართლებრივი ფორმა;
- ლ) არ გაუწიოს შეღავათიანი მომსახურება ინსაიდერებს;
- მ) შეარჩიოს სხვა აუდიტორი, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი დაადგენს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ფასს-ის საფუძველზე, აუდიტი არ არის განხორციელებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და/ან კითხვის ნიშნის ქვეშ

### მუხლი 10. ეკონომიკური ლიმიტები, ნორმატივები, შეზღუდვები და აკრძალვები

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების ზედამხედველობის მიზნით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თითოეულ კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტს ინდივიდუალურად დაუდგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი ფინანსური მაჩვენებლები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური ლიმიტები, ნორმატივები, შეზღუდვები და აკრძალვები:

- ა) სხვადასხვა სახეობის კაპიტალის დათვლის მეთოდი და/ან მინიმალური ოდენობა და მისი თანაფარდობა სხვადასხვა ტიპის აქტივებთან და/ან ვალდებულებებთან;
- ბ) აქტივებისა და/ან ვალდებულებების კონცენტრაციის ლიმიტები, მათი სახეობების მიხედვით;
- გ) ლიკვიდური სახსრების აქტივებთან და გარკვეული სახის ვალდებულებებთან თანაფარდობა;
- დ) აქტივებისა და გარესაბალანსო ვალდებულებების კლასიფიკაცია და მათი შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება;
- ე) უცხოურ ვალუტაში, ძვირფას ლითონებში ან ძვირფას ქვებში ღია პოზიციებთან დაკავშირებული ლიმიტები/შეზღუდვები;
- ვ) შეზღუდვები და აკრძალვები სხვადასხვა ოპერაციაზე, მათ შორის, სახსრების მოზიდვაზე.

### მუხლი 11. დარღვევები და სანქციები

1. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის მხრიდან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმებისა და წერილობითი მითითებების შეუსრულებლობის გამოვლენისას, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თანმიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, არათანმიმდევრულად გამოიყენოს შემდეგი სანქციები:
  - ა) კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტს გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება;
  - ბ) დააკისროს ფულადი ჭარიმა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;
  - გ) დაუწესოს შეზღუდვები და/ან აკრძალვები სხვადასხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებით.
2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის მიმართ გამოიყენოს შემდეგი ფულადი ჭარიმები:
  - ა) მოთხოვნილ ვადაში რეგისტრაციისათვის დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობა – 1,000 (ერთი ათასი) ლარი;
  - ბ) ფინანსური ანგარიშგების, სხვა ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში ეროვნული ბანკისათვის წარუდგენლობა – 1,000 (ერთი ათასი) ლარი;
  - გ) ეროვნულ ბანკში არაზუსტი ინფორმაციის წარდგენის თითოეული ფაქტი – 500 (ხუთასი) ლარი;

- დ) ეროვნული ბანკის მიერ გაცემული წერილობითი მითითების/გაფრთხილების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა – 1,000 (ერთი ათასი) ლარი;
  - ე) ყოველწლიური დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმების ჩაუტარებლობისა ან/და აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში ეროვნულ ბანკში წარუდგენლობა – 10,000 (ათი ათასი) ლარი;
  - ვ) საკუთარ ვებგვერდზე აუდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების გამოუქვეყნებლობა – 1,000 (ერთი ათასი) ლარი;
  - ზ) სახსრების მოზიდვაზე პირთან გაფორმებულ კონტრაქტში რისკების გამჟღავნებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა – 2,000 (ორი ათასი) ლარი.
3. იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი აწარმოებს ეროვნული ბანკის მიერ აკრძალულ ოპერაციებს, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი ჯარიმდება თითოეული ასეთი ოპერაციის წარმოების გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული კაპიტალის 0.1%-ის ოდენობით.
4. კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის მიერ გადახდილი ფულადი ჯარიმის თანხა მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.



---

## 4 საგადახდო სისტემა

4.1 დებულება საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ	449
4.2 დებულება საგადახდო და ფასიანი ქაღალდების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების შესახებ	452
4.3 გადახდის ოპერაციების შესრულების წესი	454
4.4 საგადახდო ბარათების შესახებ დებულება	463
4.5 საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქცია	467
4.6 საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაცია	471
4.7 საგადახდო სისტემის ოპერატორის რეგისტრაცია	476

## 4.1 დებულება საგადახდო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ დებულების მიზანია საგადახდო სისტემის მონაწილე სუბიექტებს (სისტემის ოპერატორი, სისტემის მონაწილეები) შორის ურთიერთობის მონეზრება და მათი უფლებების დაცვა. სისტემის მონაწილეთა წრე ყოველი კონკრეტული საგადახდო სისტემისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად სისტემის წესების მიხედვით.
2. სისტემის ოპერატორისა და მონაწილის იმ უფლებების დაცვას, რომელსაც არ ანეზრებებს ეს დებულება, არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) საგადახდო სისტემა - ფულადი სახსრების გადარიცხვის სისტემა, ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა, კლირინგის სისტემა;
- ბ) სისტემის ოპერატორი – იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა იურიდიულ პირებთან ერთად უფლებამოსილია და პასუხისმგებელია საგადახდო სისტემის ოპერირებაზე და სისტემის წესების შემუშავებაზე;
- გ) სისტემის მონაწილე – პირი, რომელიც უფლებამოსილია იყოს საგადახდო სისტემის მონაწილე;
- დ) ელექტრონული დოკუმენტი (ელექტრონული შეტყობინება) – ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს;
- ე) საგადახდო სისტემის მეშვეობით მომსახურების განწევა – სახელშეკრულებო პირობების და სისტემის წესების შესაბამისად განხორციელებული მოქმედებები;
- ვ) საგადახდო სისტემის მეშვეობით მომსახურების განწევისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები – პროგრამულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც სისტემის ოპერატორს ან მონაწილეებს აძლევს მომსახურების განწევის ან მიღების საშუალებას.

### მუხლი 3. სისტემაში მონაწილე სუბიექტები

საგადახდო სისტემების მონაწილე სუბიექტები არიან სისტემის ოპერატორი და სისტემის მონაწილე.

## მუხლი 4. სტანდარტიზაცია

1. საგადახდო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საფუძველია ერთიანი სტანდარტები (ფორმატები, ტერმინოლოგია, ფონტები და სხვ.), რომლებმაც უნდა ასახოს გამოყენებული სისტემის თავისებურებები. აღნიშნულ სტანდარტებს განსაზღვრავს სისტემის ოპერატორი.
2. კონკრეტულ საგადახდო სისტემაში გამოყენებული პროგრამულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს ექსპლუატაციის პროცედურებს და სტანდარტიზაციის შესაბამის მოთხოვნებს.
3. საგადახდო სისტემების ელექტრონული საქმიანობის უნიფიცირების მიზნით შემუშავებულ ეროვნულ (ან შიდაუწყებრივ) სტანდარტებთან ერთად შეიძლება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებაც.
4. სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის ელექტრონული ინფორმაციის გაცვლისას გამოყენებული შეტყობინებები უნდა შეიცავდეს ისეთ ელემენტებს (რეკვიზიტებს), რომლებიც მას ანიჭებს სამართლებრივ სტატუსს.
5. ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავებისას საჭიროა შეტყობინების ელემენტები განთავსდეს კონკრეტულ ადგილზე, კონკრეტული სიგრძით და წარმოდგენილი იყოს ისეთი ფორმატით, რომ შეიძლებოდეს მათი დამუშავება კონკრეტულ საგადახდო სისტემაში.
6. საგადახდო სისტემაში შესაძლებელია არსებობდეს ინფორმაციის ელექტრონულად გადაცემის საშუალება თავისუფალი ფორმატითაც.

## მუხლი 5. სისტემის წვდომა

1. სისტემის წვდომის ორგანიზებას ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სისტემის ოპერატორი მის მიერვე დადგენილი პროცედურების, წესების და რეგლამენტის ფარგლებში.
2. სისტემის ფუნქციონირებისას გამოყენებული პროგრამულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტული სისტემისათვის დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს.

## მუხლი 6. ელექტრონული ინფორმაციის დაცვის, შენახვის უზრუნველყოფა

1. ელექტრონული ინფორმაციის დაცვის პოლიტიკას განსაზღვრავს სისტემის ოპერატორი.
2. სისტემის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს სისტემის, მასში არსებული ინფორმაციის დაცვა იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც შეთანხმებულია სისტემის მონაწილესთან.
3. ელექტრონული ინფორმაციის შენახვა უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 7. შეთანხმება სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის ელექტრონული მომსახურების შესახებ

1. სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის მომსახურების საფუძველია მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება, სისტემის წესები, ეს დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები.
2. ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ერთი კონკრეტული საგადახდო სისტემის მიმართებაში.
3. ხელშეკრულება და/ან სისტემის წესები უნდა მოიცავდეს:
  - ა) მომსახურების სახეს (სახეებს);
  - ბ) ოპერაციისა და წარმოების წესს;
  - გ) დოკუმენტრუნვის წესს და ელექტრონულ შეტყობინებებზე დასტურების აუცილებლობას;
  - დ) სახსრების გადარიცხვის დასრულებადობის საკითხს;
  - ე) მოთხოვნებს პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების მიმართ;
  - ვ) მხარეთა მოვალეობებსა და ვალდებულებებს;
  - ზ) პასუხისმგებლობას ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო;
  - თ) მონაწილისა და ოპერატორის იდენტიფიკაციის საშუალებებს (ელექტრონული/ციფრული ხელმოწერები, პაროლები, გასაღებები და სხვ.);
  - ი) მომსახურების დროს;
  - კ) მონაწილის მოთხოვნებისა და პრეტენზიების განხილვის წესს;
  - ლ) ხელშეკრულების შეჩერების (შენწყვეტის) და მისი განახლების საფუძვლებს.
4. ხელშეკრულება და/ან სისტემის წესები შეიძლება შეიცავდეს სხვა დამატებით პირობებს.

## მუხლი 8. სისტემის ოპერატორის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

1. სისტემის ოპერატორი ვალდებულია:
  - ა) სისტემის მონაწილეს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით და/ან სისტემის წესებით გათვალისწინებული პირობებით;
  - ბ) შეასრულოს მხოლოდ სისტემის მონაწილის მიერ ინიცირებული ოპერაციები;
  - გ) არ დაუშვას ოპერაციების შესრულება შემონაშენისა და კონტროლის პროცედურების გარეშე;
  - დ) შესრულებული ოპერაციების შესახებ მონაწილეს წარუდგინოს სათანადო ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით და წესით;
  - ე) ინფორმაცია შეინახოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით;
  - ვ) უზრუნველყოს არაუფლებამოსილი პირის მიერ ოპერაციების შესრულების გამორიცხვა;
  - ზ) სისტემაში ან მომსახურების პირობებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში დროულად შეატყობინოს ეს მონაწილეს;
  - თ) მონაწილეს გაუწიოს კონსულტაციები და რეკომენდაციები, გადასცეს სათანადო დოკუმენტაცია კონკრეტულ სისტემასთან დაკავშირებით (მათ შორის სისტემაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში).

2. სისტემის ოპერატორი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის (არასათანადოდ შესრულების) შემთხვევაში პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. იმ შემთხვევაში, თუ სისტემის ოპერატორის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა (არასათანადოდ შესრულება) გამომწვეულია სისტემის მუშაობაში გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებათა გამო, პასუხისმგებლობა ეკისრება სისტემის ოპერატორს, თუ იგი არ დაამტკიცებს, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა (არასათანადოდ შესრულება) გამომწვეული იყო მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.
4. ზარალი, რომელიც მიადგება სისტემის მონაწილეს სისტემის ოპერატორის არაუფლებამოსილი პირის გამო, დაეკისრება სისტემის ოპერატორს მისი ბრალეულობის შემთხვევაში, თუ ამას დაამტკიცებს მხარეთა მიერ შექმნილი კომისია ან სასამართლო.
5. სისტემის ოპერატორი პასუხს აგებს მონაწილისადმი მიყენებული იმ ზარალისათვის, რომელიც წარმოიშვა დოკუმენტების გაცვლისას არსებული შეცდომებით იმის გამო, რომ მან ვერ უზრუნველყო ამ დებულებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ან გააგრძელა ელექტრონული მომსახურების განევა იმის მიუხედავად, რომ სისტემის მონაწილემ შეატყობინა არსებული შეცდომები.
6. ეროვნული ბანკის, როგორც სისტემის ოპერატორის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები განისაზღვრება მონაწილეებთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და სისტემის წესების მიხედვით.

## მუხლი 9. სისტემის მონაწილის ვალდებულებები მონაწილე ვალდებულთა:

- ა) შეასრულოს ხელშეკრულებით, სისტემის წესებით და შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- ბ) აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის საკომისიო გადასახადები;
- გ) ოპერაციების შესრულებისას აღმოჩენილი შეცდომები დაუყოვნებლივ აცნობოს სისტემის ოპერატორს.

## მუხლი 10. სისტემის მონაწილის პასუხისმგებლობის საფუძვლები

პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც მომსახურებისას შეიძლება მიადგეს სისტემის ოპერატორს, დაეკისრება მონაწილეს მისი ბრალეულობის შემთხვევაში, თუ ამას დაამტკიცებს მხარეთა მიერ შექმნილი კომისია ან სასამართლო.

## მუხლი 11. ელექტრონული შეტყობინებების დამუშავების ზოგადი პრინციპები

1. სისტემაში მონაცემების დამუშავების პირველი ეტაპი უნდა იყოს ელექტრონული შეტყობინების ნამდვილობისა და ანგარიშების მდგომარეობის შემოწმება, რის შემდეგაც სრულდება ჩარიცხვების ან ჩამოწერის ოპერაციები.
2. ეროვნული ბანკის საგადახდო სისტემებში ელექტრონული შეტყობინებების დამუშავების პრინციპები და პროცესი რეგულირდება შესაბამისი სისტემის წესების მიხედვით.

## მუხლი 12. გადამხდელის მიერ ელექტრონული შეტყობინების უკან გამოთხოვა

ნებისმიერ სისტემაში მონაწილეს უფლება აქვს უკან გაითხოვოს ან გააუქმოს თავისი შეტყობინება შესაბამისი სისტემის წესებით განსაზღვრულ მომენტამდე. ამ მომენტის შემდგომ შეტყობინება ხდება გამოუთხოვადი.

## მუხლი 13. ანგარიშსწორების საბოლოობა

მომენტი, როდესაც ანგარიშსწორება არის საბოლოო ყოველი კონკრეტული საგადახდო სისტემისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად და აისახება სისტემის წესებში.

## მუხლი 14. ელექტრონული ინფორმაციის გადატანა ქალაქში

ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს ქალაქში ამონაბეჭდის სახით. ელექტრონული ინფორმაციის ქალაქში ამონაბეჭდი უნდა გააფორმოს და დაამოწმოს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა.

## მუხლი 15. პრეტენზიის წარდგენა და დავის განხილვა კომისიის მიერ

1. ელექტრონული შეტყობინებების გაცვლის დროს სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს ან მონაწილეს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, დაინტერესებულმა მხარემ მეორე მხარეს უნდა წარუდგინოს სათანადოდ გაფორმებული პრეტენზია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
2. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, პრეტენზიის განსახილველად შეიძლება შეიქმნას საექსპერტო კომისია, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება მხარეებს შორის შეთანხმებით.
3. კომისიის მუშაობის რეგლამენტს ადგენენ მხარეები.

## 4.2 დებულება საგადახდო და ფასიანი ქალაქების სისტემაში (GPSS) ელექტრონული დოკუმენტისა და ციფრული ხელმოწერის გამოყენების შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ დებულების მიზანია საგადახდო და ფასიანი ქალაქების სისტემაში (GPSS) (შემდგომში – სისტემა) მონაწილე სუბიექტებს შორის ელექტრონული ურთიერთობის (ციფრული ხელმოწერით დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტების გაცვლისას წარმოქმნილი ურთიერთობა) მოწესრიგება, ელექტრონულ დოკუმენტში ციფრული ხელმოწერის გამოყენების პირობებისა და წესების უზრუნველყოფა, რომელთა დაცვის შემთხვევაში ციფრულ ხელმოწერას გააჩნია მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.
2. ურთიერთობის მოწესრიგება ხდება როგორც ამ დებულებით, ისე საგადახდო და ფასიანი ქალაქების სისტემის წესებით (შემდგომში – სისტემის წესები), მონაწილეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით, საგადახდო სისტემებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებით და მოქმედი კანონმდებლობით.
3. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება სისტემის მონაწილე სუბიექტებზე.
4. მონაწილეთა იმ უფლებების დაცვას, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს დებულება, არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) საგადახდო და ფასიანი ქალაქების სისტემა (GPSS) – საქართველოს ეროვნული ბანკის საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც მოიცავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) და სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ანგარიშსწორების (CSD) სისტემებს;
- ბ) GPSS სისტემის წესები (სისტემის წესები) – RTGS სისტემის და CSD სისტემის წესები;
- გ) ელექტრონული დოკუმენტი (ელექტრონული შეტყობინება) – ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს;
- დ) ციფრული ხელმოწერის მფლობელი – პირი, რომელსაც აქვს ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი და ამ დებულების და სისტემის წესების

- ე) ციფრული ხელმოწერა – ელექტრონული ხელმოწერის ნაირსახეობა, რომელიც მიღებულია ელექტრონულ მონაცემთა კრიპტოგრაფიული გარდაქმნის შედეგად, ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების გამოყენებით, ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: დაკავშირებულია მხოლოდ ხელმოწერთან, მისი მეშვეობით შესაძლებელია ხელმოწერის ვინაობის დადგენა, იგი შექმნილია ხელმოწერის სრული კონტროლის ქვეშ მყოფი დახურული გასაღების მეშვეობით, ისეა დაკავშირებული მონაცემებთან, რომ იძლევა იმის აღმოჩენის საშუალებას, მოხდა თუ არა ცვლილება ამ მონაცემებში;
- ვ) კრიპტოგრაფიული გარდაქმნა – ელექტრონულ მონაცემთა შიფრაცია და დეშიფრაცია მათემატიკური და ლოგიკური გარდაქმნების გამოყენებით;
- გ) გასაღების წყვილი – ასიმეტრიულ კრიპტოსისტემაში დახურული და მასთან მათემატიკურად დაკავშირებული ღია გასაღები. გასაღების წყვილი იქმნება ხელმოწერის მიერ ან/და მისი მოთხოვნის საფუძველზე ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემის მიერ;
- თ) დახურული გასაღები – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში, ცნობილია მხოლოდ ხელმოწერისათვის და გამოიყენება ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად;
- ი) ღია გასაღები – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის და გამოიყენება ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შესამოწმებლად;
- კ) ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების კომპრომეტირება – ნებისმიერი შემთხვევა ან/და ქმედება, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს დახურული გასაღების არასანქცირებული გამოყენება;
- ლ) არასანქცირებული წვდომა – ინფორმაციის ან სისტემაზე წვდომა იმ პირთა მიერ, რომელთაც არა აქვთ ამის უფლება.
- მ) ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემი – საქართველოს ეროვნული ბანკი;
- ნ) ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი – ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც გაცემულია სერტიფიკატის გამცემის მიერ და შეიცავს ციფრული ხელმოწერის ღია გასაღებს, იძლევა ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმებისა და ხელმოწერის ვინაობის დადგენის საშუალებას;
- ო) ციფრული ხელმოწერის საშუალებები – ელექტრონული (პროგრამული) საშუალებების და კრიპტოგრაფიული მეთოდების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება გასაღების წყვილის ან/და ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად და ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შესამოწმებლად;
- პ) ელექტრონული დოკუმენტის ნამდვილობა – ელექტრონული დოკუმენტის ნამდვილობა, თუ მან წარმატებით გაიარა სისტემაში არსებული შემოწმების პროცედურები და მისი ციფრული ხელმოწერა ნამდვილია;

- ჟ) დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმება – ზუსტად დადგენა იმისა, რომ:
- ჟ.ა) ციფრული ხელმოწერა შექმნილია ხელმოწერის სერტიფიკატში მოცემული ღია გასაღების შესაბამისი დახურული გასაღების გამოყენებით;
- ჟ.ბ) დოკუმენტი არ შეცვლილა მასზე ციფრული ხელმოწერის შექმნის შემდეგ;

### მუხლი 3. ელექტრონული დოკუმენტის იურიდიული ძალა

ელექტრონულ დოკუმენტს ქალაქის დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა აქვს, თუ მისი შედგენა, გადაცემა, დამუშავება და შენახვა ხდება ამ დებულებით, სისტემის წესებით, სისტემის ოპერატორსა და მონაწილეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, საგადახდო სისტემებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

### მუხლი 4. ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი

1. ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატს სისტემის მონაწილეებს აძლევს საქართველოს ეროვნული ბანკი (სისტემის ოპერატორი).
2. ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა:
  - ა) სერტიფიკატის უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი;
  - ბ) ციფრული ხელმოწერის მფლობელი;
  - გ) მონაცემებს გამოყენებული კრიპტოგრაფიული ალგორითმისა და ციფრული ხელმოწერის საშუალებების შესახებ;
  - დ) ციფრული ხელმოწერის ღია გასაღებს;
  - ე) სერტიფიკატის მოქმედების ვადა;
  - ვ) სერტიფიკატის გაცემის თარიღი, დრო;
  - ზ) სერტიფიკატის გამცემი.
3. ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა ხდება ელექტრონული სახით, რომელიც დასტურდება სისტემის ოპერატორის ელექტრონული ხელმოწერით.
4. ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი რეგისტრირდება რეესტრში, რომელსაც ანარმობებს სისტემის ოპერატორი.

### მუხლი 5. ციფრული ხელმოწერის მფლობელის ვალდებულებები

1. ციფრული ხელმოწერის მფლობელი ვალდებულია:
  - ა) ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღებები შეინახოს საიდუმლოდ;
  - ბ) ციფრული ხელმოწერისათვის არ ისარგებლოს დახურული გასაღებებით, თუ მან იცის, რომ ეს გასაღებები კომპრომეტირებულია;
  - გ) დაუყოვნებლივ მოითხოვოს ხელმოწერის გასაღებების სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება, ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების საიდუმლოების დარღვევის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.
2. ციფრული ხელმოწერის მფლობელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს ციფრული გასაღებები, ინფორმაცია დამუშავების ტექნოლოგიების შესახებ და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავ-

- შირებული სხვა ინფორმაცია.
- 3. ციფრული ხელმოწერის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით სისტემის ოპერატორს დახურული გასაღებების კომპრომეტირება და შეწყვიტოს მათი გამოყენება.
- 4. ამ მოთხოვნების დაუცველობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება ციფრული ხელმოწერის მფლობელს.
- 5. სისტემის ოპერატორი გასაღებების კომპრომეტირების თაობაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებულია შეაჩეროს მონაწილის შესაბამისი მოხმარებლის შემდგომი მომსახურება ვითარების გამოსწორებამდე.
- 6. გასაღებების კომპრომეტირების თაობაზე სისტემის ოპერატორის ინფორმირებამდე ელექტრონული დოკუმენტის დამუშავებით გამოწვეული ზარალი დაეკისრება სისტემის მონაწილეს.

### მუხლი 6. ციფრული ხელმოწერის შექმნა

1. ციფრული ხელმოწერის გასაღებების შექმნა ხორციელდება სისტემის ოპერატორის/მონაწილის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
2. მონაწილის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურების დაუცველად დამზადებული გასაღებებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება ეკისრება აღნიშნულ მონაწილეს.
3. პირს, რომელმაც უკანონოდ მოიპოვა სხვისი ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღები და ისარგებლა მისი ციფრული ხელმოწერით, ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 7. ელექტრონული დოკუმენტების გაფორმება ქალაქდზე

1. ელექტრონული დოკუმენტი ან მისი მეშვეობით წარმოებული ოპერაციის შედეგი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქალაქდზე ამონაბეჭდის სახით. ელექტრონული დოკუმენტის ქალაქდზე ამონაბეჭდი უნდა გააფორმოს და დაამონტოს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა.
2. ელექტრონული დოკუმენტის ქალაქდზე ამონაბეჭდი არის ოპერაციის შესრულების საფუძველი მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტის ნამდვილობის პირობებში.

### მუხლი 8. ელექტრონული დოკუმენტების შენახვა

1. შესრულებული ელექტრონული დოკუმენტების შენახვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.
2. აუცილებელია სისტემისა და ინფორმაციის დაცვა არასანქცირებული წდომისაგან.
3. ელექტრონული დოკუმენტების შენახვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი:
  - ა) დაცვა განზრახ ან დაუდევრობით გამოწვეული დამახინჯებისაგან, გაყალბებისა და არასანქცირებული განადგურებისაგან;
  - ბ) უცვლელიობა და ხელმისაწვდომობა, გამოყენება ან ასლების შექმნა.

## 4.3 გადახდის ოპერაციის შესრულების წესი

### თავი I

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

1. ეს წესი, „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავის დებულებებთან ერთად, განსაზღვრავს:
  - ა) ლარით და უცხოური ვალუტით საკრედიტო საგადახდო დავალებისა და საინკასო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციების შესრულების საკითხებს;
  - ბ) უცხოური ვალუტით დასაშვები გადახდის ოპერაციების ჩამონათვალს და მასთან დაკავშირებულ დებულებებს.
2. ეს წესი არ განსაზღვრავს ელექტრონული ფულით გადახდის ოპერაციების შესრულების საკითხებს.
3. ამ წესით გათვალისწინებული ნორმების დაცვა პირს არ ათავისუფლებს საკანონმდებლო და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით (მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით) დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან.

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:
  - ა) საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (პროვაიდერი) – იურიდიული პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
  - ბ) საგადახდო მომსახურების მომხმარებელი (მომხმარებელი) – პირი, რომელიც სარგებლობს საგადახდო მომსახურებით, როგორც გადამხდელი ან/და მიმღები;
  - გ) გადამხდელი – პირი, რომელიც გასცემს საგადახდო დავალებას ან/და ეთანხმება საგადახდო დავალების გაცემას, ხოლო ამ წესის III თავის მიზნებისათვის პირი, რომლის ანგარიშიდანაც ხდება საინკასო დავალების შესრულება;
  - დ) მიმღები – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია;
  - ე) პირი – განსაზღვრული „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

- ვ) საკრედიტო გადახდის ოპერაცია (საკრედიტო გადარიცხვა) – გადამხდელის მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია;
- ზ) საკრედიტო საგადახდო დავალება – გადამხდელის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის გადაცემული დავალება საკრედიტო გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე;
- თ) საგადახდო ანგარიში (ანგარიში) – პირის მიმდინარე, მოთხოვნამდე დეპოზიტის, საკორესპონდენტო, საკასო მომსახურების, ნომინალური მფლობელობის ანგარიში, რომლიდანაც კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის თანხმობით გადახდის ოპერაციის განხორციელება. საინკასო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციის შესრულებისას საგადახდო ანგარიშიდან განიხილება მხოლოდ პირის მიმდინარე, მოთხოვნამდე დეპოზიტის, საკორესპონდენტო, საკასო მომსახურების ანგარიში, რომლიდანაც აღნიშნული ოპერაციის შესრულება ხორციელდება გადამხდელის თანხმობის გარეშე;
- ი) ბანკის კოდი/სახელმწიფო ხაზინის კოდი – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის მონაწილის კოდი.
- კ) საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი (IBAN) – „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისი საბანკო ანგარიშის ნომერი;
- ლ) სადებეტო საგადახდო დავალება – მიმღების მიერ გაცემული საგადახდო დავალება. ასევე, საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გაცემული დავალება გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს პირი მოქმედებს როგორც გადამხდელი;
- მ) საინკასო დავალება – საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ ბანკისადმი გაცემული სადებეტო საგადახდო დავალება, გადამხდელის ანგარიშიდან მისი (გადამხდელის) თანხმობის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვაზე;
- ნ) სადებეტო გადახდის ოპერაცია (სადებეტო გადარიცხვა) – მიმღების მიერ ინიცირებული გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია. ასევე, საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი პირის მიერ ინიცირებული გადამხდელის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს პირი მოქმედებს როგორც გადამხდელი;
- ო) საყოფაცხოვრებო მომსახურების გადასახადი – ელექტროენერჯის, გაზის, წყლის, დასუფთავების, სატელეკომუნიკაციო მომსახურებისათვის გადასახადი;
- პ) ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი (სახა-

ზინო კოდი) – საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი;

- ჟ) საიდენტიფიკაციო ნომერი – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი ან ფიზიკური პირის პირადი ნომერი;
  - რ) საგადახდო დავალების შესრულება – პროვაიდერის მიერ გადამხდელის ანგარიშის დადებებზე დავალებაში მითითებული თანხის ოდენობით და/ან დავალებაში მითითებული თანხის ჩარიცხვა მიმღების ანგარიშზე (თუ მიმღების ანგარიში ამავე პროვაიდერთან არის) ან მიმღების პროვაიდერის ანგარიშზე (თუ მიმღები სხვა პროვაიდერის მომხმარებელია);
  - ს) საინკასო დავალების ნაწილობრივი შესრულება – პროვაიდერის მიერ გადამხდელის ანგარიშის დადებებზე საინკასო დავალებაში მითითებული თანხის მხოლოდ ნაწილის ოდენობით, გადამხდელის ანგარიშზე საინკასო დავალების შესასრულებლად საკმარისი ხელმისაწვდომი თანხის არარსებობის გამო.
  - ტ) სახელმწიფო ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა),
  - უ) ერთჯერადი გადახდის ოპერაცია – გადახდის ოპერაცია, რომლის შესრულება პროვაიდერის მიერ ხდება ფიზიკური პირის მიერ პროვაიდერისათვის გადაცემული ნაღდი თანხის ფარგლებში, აღნიშნული თანხის ამ ფიზიკური პირის ანგარიშზე ჩარიცხვის გარეშე. აღნიშნული ოპერაციისას პროვაიდერისთვის გადაცემული ნაღდი თანხის ოდენობა წარმოადგენს გადახდის ოპერაციის (ოპერაციების) თანხისა და საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამს;
  - ფ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი;
  - ქ) ტრანზაქციის უნიკალური კოდი – პროვაიდერის მიერ საგადახდო სისტემის ან შეტყობინებების გაცვლის სისტემის წესების საფუძველზე, ან/და მისი შიდა სისტემისთვის განსაზღვრული ასოების, ციფრების ან სიმბოლოების კომბინაცია, რომელიც ენიჭება აღნიშნული სისტემებით შესრულებული გადახდის ოპერაციებს და რომელიც უნიკალურია თითოეული ოპერაციისთვის.
2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული მნიშვნელობები.

## თავი II საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციის შესრულების წესი

### მუხლი 3. საკრედიტო საგადახდო დავალება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკი (შემდგომში - „ბანკი“) უფლებამოსილია განახორციელოს პირის საკრედიტო გადახდის ოპერაცია შესაბამისი საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე პირის საგადახდო ანგარიშზე ხელმისაწვდომი მისი ფულადი სახსრების, ასევე სესხისა და/ან ოვერდრაფტის ფარგლებში, ან მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.
2. გადამხდელის ანგარიშზე საკრედიტო საგადახდო დავალებების შესასრულებლად საკმარისი ხელმისაწვდომი თანხების არარსებობისას, გადამხდელის ბანკი ვალდებულია პირველ რიგში შეასრულოს ის საგადახდო დავალება, სადაც მიმღების ბანკის რეკვიზიტებში მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური (შემდგომში „სახელმწიფო ხაზინა“), ხოლო შემდეგ სხვა საკრედიტო საგადახდო დავალებები გადამხდელის მიერ განსაზღვრული რიგითობით.
3. გადამხდელის პროვაიდერი უფლებამოსილია გადამხდელის მიერ ერთჯერადად გაცემული მუდმივი დავალების საფუძველზე განახორციელოს რეგულარული საკრედიტო გადახდის ოპერაციები. გადამხდელი უფლებამოსილია მორიგი საკრედიტო გადახდის ოპერაციის შესრულებამდე (ოპერაციის თანხით მისი ანგარიშის დადებებამდე) გააუქმოს მუდმივი დავალება.
4. ბანკი, როგორც გადამხდელი, გადახდის ოპერაციას სხვა იურიდიულ პირთან ახორციელებს მხოლოდ უნაღდო გადახდის ფორმით - საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე.
5. თუ რეზიდენტი ფიზიკური პირის გადახდის ოპერაციის განხორციელება ხდება მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში გადამონმების საფუძველზე, ბანკი ვალდებულია მოახდინოს კლიენტის იდენტობის დადგენა აღნიშნულ ბაზაში არსებული ფოტოსურათის შემცველი მონაცემების საფუძველზე.
6. საკრედიტო საგადახდო დავალების დისტანციური საშუალებით გაცემის/მიღების მიზნით სავალდებულოა, გადამხდელის ბანკსა და გადამხდელს შორის გაფორმებული იყოს ხელშეკრულება ელექტრონული, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით საკრედიტო საგადახდო დავალებების მიღების/გაცემის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს გადამხდელსა და ბანკს შორის დისტანციური საშუალებებით ინფორმაციის გაცვლასთან, საკრედიტო საგადახდო დავალების გაცემასთან, მიღებასთან და უარყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დისტანციური სა-



- შუალეხებით კლიენტების მომსახურებისას, ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოება.
7. პროვაიდერის შიდა სააღრიცხვო სისტემაში მომხმარებლის ყველა გადახდის ოპერაციას უნდა გააჩნდეს უნიკალური კოდი.

**მუხლი 4. დამატებითი დებულებები არამენარმე ფიზიკური პირის საკრედიტო გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებით**

1. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს არამენარმე ფიზიკური პირის გადახდის ოპერაციები, საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე:
  - ა) ამ ფიზიკური პირის ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხის (მათ შორის სესხის და/ან ოვერდრაფტის) ფარგლებში;
  - ბ) ერთჯერადი გადახდის ოპერაციის სახით, თუ ოპერაციის თანხა არ აღემატება 1500 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში ან:
    - ბ.ა) ოპერაციის დანიშნულება არის საყოფაცხოვრებო გადასახადის, სამედიცინო მომსახურების გადასახადის ან სწავლების საფასურის გადახდა;
    - ბ.ბ) გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები არის სახელმწიფო ხაზინა ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო.
2. დაუშვებელია ერთჯერადი გადახდის ოპერაციის დავალების გაცემა/მიღება მომავალი შესრულების თარიღით.

**მუხლი 5. საკრედიტო გადახდის ოპერაცია სხვა პირის მაგივრად**

1. ბანკში პირი უფლებამოსილია განახორციელოს:
  - ა) სხვა არამენარმე ფიზიკური პირის მაგივრად, ნებისმიერი საკრედიტო გადახდის ოპერაცია;
  - ბ) სხვა მენარმე პირის მაგივრად, მხოლოდ ისეთი საკრედიტო გადახდის ოპერაციები სადაც გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები არის სახელმწიფო ხაზინა ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში არამენარმე ფიზიკური პირი უფლებამოსილია განახორციელოს მესამე პირის მაგივრად გადახდის ოპერაცია, როგორც საკუთარი საგადახდო ანგარიშიდან, ასევე ერთჯერადი გადახდის ოპერაციის სახით. აღნიშნულ შემთხვევაში, ერთჯერადი გადახდის ოპერაციებზე ვრცელდება ამ ნუსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დებულებები.
3. თუ ლარით საკრედიტო გადახდის ოპერაცია სრულდება სხვა პირის მაგივრად, სადაც მიმღების ბანკის რეკვიზიტებში მითითებულია სახელმწიფო ხაზინა, სავალდებულოა მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ველების შევსება.
4. თუ ლარით საკრედიტო გადახდის ოპერაცია სრულდება სხვა პირის მაგივრად, გარდა სახელმწიფო ხაზინაში გადახდის ოპერაციისა, მიმღებსა და გადამხდელის ბანკს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, გადამხდელ-

ის ბანკი უფლებამოსილია მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ამ პირის შესახებ ინფორმაცია მითითოს საკრედიტო საგადახდო დავალების სპეციალურ ველებში. ამავე დროს უნდა არსებობდეს შეთანხმება მიმღებსა და მიმღების პროვაიდერს შორის, მიმღების პროვაიდერის მიერ ამ პუნქტში აღნიშნული სპეციალურ ველებში მითითებული ინფორმაციის მიმღებისთვის გადაცემაზე.

**მუხლი 6. საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტები**

1. ეს მუხლი განსაზღვრავს საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტების ჩამონათვალს, როდესაც საკრედიტო გადახდის ოპერაციის მიმღები არ არის სახელმწიფო ხაზინა (საგადახდო დავალების მიმღების ბანკის ველში მითითებული არ არის სახელმწიფო ხაზინა).
2. ლარის საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტებია:
  - ა) გადამხდელის დასახელება;
  - ა.ა) პირის (გარდა ფიზიკური პირისა) დასახელება და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ა.ბ) ფიზიკური პირის სახელი და გვარი;
  - ბ) გადამხდელის ანგარიში;
  - ბ.ა) გადამხდელის ანგარიშის ნომერი ან
  - ბ.ბ) შიდასაბანკო ანგარიშის ნომერი (მხოლოდ ფიზიკური პირის ერთჯერადი გადახდის ოპერაციებისთვის);
  - გ) გადამხდელის ბანკის დასახელება;
  - დ) გადამხდელის ბანკის კოდი;
  - ე) მიმღების დასახელება;
  - ვ) მიმღების ანგარიშის ნომერი;
  - ზ) მიმღების ბანკის დასახელება;
  - თ) მიმღების ბანკის კოდი;
  - ი) გადახდის ოპერაციის დანიშნულება;
  - კ) გადახდის ოპერაციის თანხა ციფრებით;
  - ლ) გადახდის ოპერაციის ვალუტის დასახელება;
  - მ) გადახდის ოპერაციის შესრულების თარიღი (ივსება იმ შემთხვევაში თუ დავალების შესრულება მომავალი თარიღით ხდება);
- ბ) გადამხდელის ბანკში საგადახდო დავალების წარდგენის თარიღი;
- ო) საგადახდო დავალების მიღების თარიღი (ივსება ბანკის მიერ).
3. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, საკრედიტო საგადახდო დავალებას ემატება შემდეგი ველები: ინფორმაცია პირის შესახებ, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა:
  - ა) პირის დასახელება;
  - ბ) პირის საიდენტიფიკაციო კოდი და/ან მიმღების მიერ ბანკთან შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული სხვა ნებისმიერი იდენტიფიკატორი;
4. თუ ქვეყნის შიგნით განხორციელებული გადახდის ოპერაციის თანხა აღემატება 1500 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში, ასევე კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, საკრედიტო საგადახდო დავალებაში გადამხდელის დასახელების გარდა მითითებული უნდა იქნას

- გადამხდელი (რეზიდენტი ან არარეზიდენტი) ფიზიკური პირის პირადი ნომერი საქართველოში გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის უცხოური პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და ამ დოკუმენტის გამცემი ქვეყნის დასახელება.
5. თუ გადამხდელი ფიზიკური პირი ახორციელებს ერთჯერადი გადახდის ოპერაციას, მაშინ ბანკი ვალდებულია თავად მიუთითოს გადამხდელის ანგარიშის ველში ანგარიშის (შიდასაბანკო ანგარიშის) ნომერი.
  6. უცხოური ვალუტის გადახდის ოპერაციის შესრულებისას, შესაბამისი საკრედიტო საგადახდო დავალება შესაძლოა შეიცავდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებულ რეკვიზიტებს შესაბამისი საგადახდო ან შეტყობინების გაცვლის სისტემის წესების შესაბამისად.
  7. თუ უცხოური ვალუტის გადახდის ოპერაციის განხორციელებისას შუამავალი ან/და მიმღების პროვაიდერი არ არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი პირი ან მისი ადგილსამყოფელი არ არის საქართველოს ტერიტორია, მაშინ უცხოური ვალუტის საკრედიტო საგადახდო დავალება უნდა შეიცავდეს:
    - ა) გადამხდელის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: დასახელება, ანგარიშის ნომერი (გარდა ერთჯერადი გადახდის ოპერაციებისა), საიდენტიფიკაციო ნომერი ან/და მისამართი ან/და ფიზიკური პირის დაბადების თარიღი და ადგილი.
    - ბ) მიმღების შესახებ შემდეგ ინფორმაციას: დასახელება და ანგარიშის ნომერი, თუ გადახდის ოპერაციის შესრულებაში ანგარიშის ნომერი იღებს მონაწილეობას.
  8. თუ მე-7 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ოპერაციის შესრულებაში არ მონაწილეობს გადამხდელის ან/და მიმღების ანგარიში, მაშინ მითითებული უნდა იყოს ტრანზაქციის უნიკალური კოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ამ ოპერაციის გამორჩევა სხვა ოპერაციებისა.
  9. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც გადახდის ოპერაციის შესრულების პროცესში მონაწილეობს როგორც შუამავალი, ვალდებულია გადამხდელის და მიმღების შესახებ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია სრულად გადასცეს მიმღების პროვაიდერს გადახდის ოპერაციის სხვა რეკვიზიტებთან ერთად.
  10. საკრედიტო საგადახდო დავალების შევსება ხდება ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია საგადახდო დავალების ინგლისურ ენაზე შევსება.
  11. გადამხდელის მიერ მატერიალური ფორმით წარდგენილ საკრედიტო საგადახდო დავალებაზე თანხა მითითებულ უნდა იქნას როგორც ციფრებით, ასევე სიტყვებით (დასაშვებია თეთრების მხოლოდ ციფრებით მითითება). მათ შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, დავალება არ სრულდება.
  12. საკრედიტო საგადახდო დავალებაში თარიღი მიეთითება შემდეგი ფორმატით დდ.თთ.წწწწ ან დდ.თთ.წწ. დასაშვებია თვის დასახელების მითითება სიტყვებით.

13. მატერიალური ფორმით წარდგენილ საკრედიტო საგადახდო დავალებას ხელს აწერს საკრედიტო დავალების გაცემაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირი (პირები).
14. ამ მუხლით განსაზღვრული რეკვიზიტების გარდა, კომერციული ბანკი უფლებამოსილია განსაზღვროს საკრედიტო საგადახდო დავალების სხვა დამატებითი რეკვიზიტები.

## მუხლი 7. საკრედიტო გადახდის ოპერაცია სახელმწიფო ხაზინაში

1. თუ ლარით საკრედიტო გადახდის ოპერაციაში მიმღების ბანკის ველში მითითებულია სახელმწიფო ხაზინა, მაშინ საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტებია:
  - ა) გადამხდელის შესახებ:
    - ა.ა.) გადამხდელის დასახელება;
    - ა.ა.ა) პირის (გარდა ფიზიკური პირისა) დასახელება და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - ა.ა.ბ) ფიზიკური პირის სახელი და გვარი; ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო კოდი ან/და არარეზიდენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და ქვეყნის დასახელება;
    - ა.ბ) გადამხდელის ანგარიშის ნომერი;
    - ა.გ) გადამხდელის ბანკის დასახელება;
    - ა.დ) გადამხდელის ბანკის კოდი;
    - ბ) პირის შესახებ, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა:
      - ბ.ა) პირის დასახელება;
      - ბ.ბ) საიდენტიფიკაციო კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - გ) მიმღების შესახებ:
      - გ.ა) სახაზინო კოდი;
      - გ.ბ) გადასახადის ამკრეფის და თვითმმართველი ერთეულის დასახელება;
      - გ.გ) მიმღების ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა;
      - გ.დ) სახელმწიფო ხაზინის კოდი;
    - დ) გადახდის ოპერაციის დანიშნულება;
    - ე) გადახდის ოპერაციის თანხა ციფრებით;
    - ვ) გადახდის ოპერაციის ვალუტის დასახელება;
    - ზ) გადახდის ოპერაციის შესრულების თარიღი (ივსება იმ შემთხვევაში თუ დავალების შესრულება მომავალი თარიღით ხდება);
    - თ) საგადახდო დავალების წარდგენის თარიღი;
    - ი) საგადახდო დავალების მიღების თარიღი (ივსება ბანკის მიერ).
  2. თუ გადამხდელი ახდენს სხვა პირის მაგივრად გადახდას, ასეთ შემთხვევაში გრაფაში „გადამხდელის დასახელება“ მიეთითება იმ პირის დასახელება, რომელიც ახდენს საკუთარი ფულადი სახსრების გადახდას, ხოლო „პირის დასახელებაში“ მიეთითება იმ პირის დასახელება, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა. ამავე დროს გრაფაში „საიდენტიფიკაციო კოდი“ მიეთითება იმ პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა.
  3. სახაზინო სამსახურში უცხოური ვალუტით გადახდის ოპერაციის შემთხვევაში სახაზინო კოდი არ მიეთითება.
  4. სახაზინო სამსახურში გადახდის ოპერაციის შე-

საბამისი საკრედიტო საგადახდო დავალება უნდა შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის მე-5-მე-13 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

## მუხლი 8. ელექტრონული საგადახდო დავალება

ბანკის მიერ ელექტრონული ფორმით (ინტერნეტბანკით, მობილური ბანკით და სხვა ელექტრონული საშუალებით) საგადახდო დავალების მიღების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს გადამხდელის მიერ წარსადგენი საგადახდო დავალების სტრუქტურა და რეკვიზიტები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადახდო დავალების შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევაში, კლიენტის მიერ დავალების შესრულების დასტურის მოთხოვნისას, ბანკის მიერ გაცემული დასტური ან კლიენტისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ჩანაწერი უნდა შეიცავდეს მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ რეკვიზიტებს, გარდა ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ბანკი პასუხისმგებელია, საგადახდო დავალების საგადახდო სისტემისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მის მიერ დამატებულ ინფორმაციაზე.

## მუხლი 9. ელექტრონული ერთჯერადი საკრედიტო გადახდის ოპერაციის შესრულება

1. თუ საკრედიტო საგადახდო დავალების ინიცირება ხდება ელექტრონულად, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, როდესაც არ ხდება გადამხდელის იდენტიფიცირება გადამხდელისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის უშუალო კონტაქტის საფუძველზე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ შესრულებული ერთჯერადი გადახდის ოპერაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1500 ლარს (ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნება გადახდის ოპერაციის შესრულება. ამ შემთხვევაში გადახდის ოპერაციის დამადასტურებელი ქვითარი ან კლიენტისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ჩანაწერი უნდა შეიცავდეს ყველა იმ რეკვიზიტს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება გადახდის ოპერაციის სხვა გადახდის ოპერაციებისგან გამორჩევა.

## მუხლი 10. საკრედიტო საგადახდო დავალების მიღება

1. ბანკი, საკრედიტო საგადახდო დავალების მიღებისას, ვალდებულია საგადახდო დავალებაზე აღნიშნოს მისი მიღების თარიღი.
2. თუ მატერიალური ფორმის საკრედიტო საგადახდო დავალების მიღება ხდება უშუალოდ ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ და გადამხდელი

ითხოვს საგადახდო დავალების მიღების დასტურს, ბანკის უფლებამოსილი პირი ვალდებულია საკრედიტო საგადახდო დავალების მიღება დაუდასტუროს გადამხდელს მასზე ხელმოწერის შესრულებით.

## მუხლი 11. საკრედიტო საგადახდო დავალების უარყოფა

1. თუ საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უარს ამბობს საკრედიტო საგადახდო დავალების შესრულებაზე, იგი ვალდებულია ამ მუხლის შესაბამისად აცნობოს გადამხდელს ამის შესახებ.
2. ერთჯერადი გადახდის ოპერაციის შემთხვევაში, პროვაიდერი ვალდებულია:
  - ა) აცნობოს გადამხდელს დავალების შესრულებაზე უარის შესახებ დავალების წარგენისთანავე; ან
  - ბ) მიაწოდოს ინფორმაცია გადამხდელის მიერ დავალების შესრულების სტატუსის გადამოწმების ვალდებულების შესახებ;
3. გადამხდელის საგადახდო ანგარიშიდან საკრედიტო დავალების შესრულებაზე უარის შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია გახადოს ეს ინფორმაცია გადამხდელისთვის ხელმისაწვდომი გადამხდელთან წინასწარ შეთანხმებული ფორმით შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, მაგრამ არა უგვიანეს საკრედიტო საგადახდო დავალების შესრულების ვადისა.

## მუხლი 12. საკრედიტო საგადახდო დავალების გაუქმების ან გამოთხოვის დაუშვებლობა

1. გადახდის ოპერაციის შესრულებაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია, გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში მის მიერ მატერიალური ფორმით გაცემულ საკრედიტო საგადახდო დავალებაზე (გარდა შესრულების მომავალი თარიღით გაცემული დავალებისა), შეასრულოს შემდეგი შინაარსის აღნიშვნა: საგადახდო დავალება არ ექვემდებარება გადამხდელის მიერ გაუქმებას ან გამოთხოვას.
2. საკრედიტო საგადახდო დავალების გაუქმება ან გამოთხოვა დაუშვებელია „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად. ბანკს უფლება არ აქვს გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე გააუქმოს ან გამოითხოვოს საკრედიტო საგადახდო დავალება, თუ ამ დავალებაზე შესრულებულია აღნიშვნა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ფაქტი არ გამოიციხავს ამ საკრედიტო საგადახდო დავალების შესრულების უარყოფას ან შეჩერებას გადამხდელის პროვაიდერისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

## მუხლი 13. საკრედიტო საგადახდო დავალების შესრულების ვადა

1. საკრედიტო საგადახდო დავალება სრულდება „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახ-

ურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლითა ან ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადაში.

2. თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, გადამხდელის პროვაიდერი ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს საკრედიტო საგადახდო დავალება შესასრულებლად საგადახდო დავალების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა.
3. დასაშვებია საკრედიტო დავალების შესრულება გადამხდელის პროვაიდერსა და მიმღებს შორის შეთანხმებულ ვადაში, თუ მიმღები აღიარებს გადამხდელის მიერ გადახდის შესრულებას გადამხდელის პროვაიდერის მიერ გადამხდელის საკრედიტო საგადახდო დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე საბანკო დღეს.
4. გადამხდელის ბანკი ვალდებულია, 10000 (ათი ათასი) ლარი და მეტი ოდენობის თანხის გადახდის ოპერაცია შესასრულოს აღნიშნული დავალების მიღების დღეს დაუყოვნებლივ, თუ გადამხდელსა და მის ბანკს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არაუგვიანეს „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვადისა.

#### მუხლი 14. მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა

1. მიმღების ბანკი ვალდებულია ქვეყნის შიგნით განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესაბამისი თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მხოლოდ მიმღების IBAN ფორმატის ანგარიშის მიხედვით.
2. თუ საზღვარგარეთიდან განხორციელებული გადახდის ოპერაციის თანხა აღემატება ან ტოლია 10 000 (ათი ათასი) ევროს, აშშ დოლარს, ან 20 000 (ოცი ათასი) ლარის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, ბანკი ვალდებულია თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მიმღების IBAN ფორმატის ანგარიშის და დასახელების მიხედვით. ამ რეკვიზიტებიდან მხოლოდ ერთერთის შესაბამისობის შემთხვევაში მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა დაუშვებელია და სახსრების მფლობელის დადგენამდე ბანკს უფლება აქვს შეაჩეროს მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა.
3. თუ საზღვარგარეთიდან განხორციელებული გადახდის ოპერაციის თანხა არ აღემატება 10 000 (ათი ათასი) ევროს, აშშ დოლარს, ან 20 000 (ოცი ათასი) ლარის ეკვივალენტს სხვა უცხოურ ვალუტაში, მიმღების ბანკი ვალდებულია თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მხოლოდ მიმღების IBAN ფორმატის ანგარიშის მიხედვით.
4. თუ მიმღების იდენტიფიცირება ვერ განხორციელდა ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით განსაზღვრული რეკვიზიტის საფუძველზე, ბანკი უფლებამოსილია აღრიცხოს მიღებული თანხა „გაურკვეველი თანხების ანგარიშზე“. მიმღების ბანკი ვალდებულია მიიღოს ზომები თანხის მიმ-

ღების დასადგენად. თუ მიმღების დადგენა ვერ განხორციელდა 3 საბანკო დღის განმავლობაში, მაშინ მიმღების ბანკი ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს მეორე საბანკო დღეს თანხა დაუბრუნოს გადამხდელს საგადახდო დავალებაში მითითებული რეკვიზიტების შესაბამისად (დაბრუნების მიზეზის მითითებით), გარდა საზღვარგარეთიდან განხორციელებული ჩარიცხვებისა. თუ თანხის ჩარიცხვა განხორციელდა საზღვარგარეთიდან, მიმღების ბანკი მოქმედებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

5. გადამხდელის ბანკიდან მიმღების შესახებ დაზუსტებული მონაცემების მიღების შემთხვევაში, მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა წარმოებს მიღებული საგადახდო საბუთის და დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე, ამასთან, ამ ოპერაციის შესრულებისას, დანიშნულებაში ან დამატებითი ინფორმაციის ველში მიეთითება იმ დოკუმენტის ნომერი და თარიღი, რომლითაც მოხდა მონაცემების დაზუსტება.

### თავი III საინკასო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციის შესრულების წესი

#### მუხლი 15. საინკასო დავალება

- საინკასო დავალების გაცემის უფლება აქვს შემდეგ პირებს (შემდგომში „საინკასო დავალების გამცემი“):
- ა) საქართველოს ეროვნულ ბანკს (შემდგომში „ეროვნული ბანკი“), „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე;
  - ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირს – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – „აღსრულების ეროვნული ბიურო“), „აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე;
  - გ) კერძო აღმასრულებელს, „აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე;
  - დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
  - ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირს შემოსავლების სამსახურს (შემდგომში „შემოსავლების სამსახური“), საგადასახადო კოდექსის საფუძველზე.

#### მუხლი 16. საინკასო დავალების რეკვიზიტები

1. მატერიალური ფორმის საინკასო დავალების რეკვიზიტებია:
  - ა) გადამხდელის დასახელება;
  - ა.ა) პირის (გარდა ფიზიკური პირისა) დასახელება და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;
  - ა.ბ) ფიზიკური პირის სახელი და გვარი, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;

- ბ) გადამხდელის ბანკის დასახელება;
  - გ) გადამხდელის ბანკის კოდი;
  - დ) მიმღების დასახელება;
  - ე) მიმღების ანგარიშის ნომერი ან სახაზინო კოდი;
  - ვ) მიმღების ბანკის დასახელება ან სახელმწიფო საზინა;
  - 8) მიმღების ბანკის კოდი;
  - თ) გადახდის ოპერაციის დანიშნულება;
  - ი) გადახდის ოპერაციის თანხა ციფრებით;
  - კ) გადახდის ოპერაციის ვალუტის დასახელება;
  - ლ) საინკასო დავალების გაცემის თარიღი;
  - მ) საინკასო დავალების მიღების თარიღი (ივსება ბანკის მიერ).
2. ელექტრონული ფორმით საინკასო დავალების გაცემისას, ბანკსა და საინკასო დავალების გამცემს შორის შეთანხმება ან/და პროტოკოლი უნდა ითვალისწინებდეს საინკასო დავალების მინიმუმ იმ რეკვიზიტებს, რომლის საფუძველზეც გადამხდელის ბანკის მიერ შესაძლებელი იქნება მისი შესრულება შესაბამისი საგადახდო სისტემის საშუალებით.
  3. საინკასო დავალებაში გადამხდელის ანგარიშის მითითება, სავალდებულო არ არის. თუ საინკასო დავალებაში მითითებულია გადამხდელის ანგარიში, ბანკი არ არის ვალდებული შეამოწმოს მითითებული ანგარიშის სისწორე და გადამხდელის იდენტიფიცირებას ახორციელებს მხოლოდ საინკასო დავალებაში მითითებული გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
  4. კერძო აღმასრულებელის მიერ გაცემულ საინკასო დავალებას სავალდებულო წესით უნდა ახლდეს უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების დედანი ან სანოტარო წესით დამონმებული მათი ასლები.
  5. ბანკში წარდგენილი სააღსრულებო ფურცელი გაფორმებული უნდა იყოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### მუხლი 17. საინკასო დავალების მიღება

1. მე-15 მუხლით განსაზღვრული პირების მიერ საინკასო დავალება წარედგინება ბანკს:
  - ა) უშუალოდ შესაბამისი უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ; ან
  - ბ) საფოსტო გზავნილით; ან
  - გ) ელექტრონული სახით (ბანკსა და საინკასო დავალების გამცემს შორის კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბანკს არ აქვს უფლება შესასრულებლად მიიღოს საინკასო დავალება მისი წარმომდგენის ვინაობის დადგენის გარეშე. ბანკი ვალდებულია დაადგინოს დავალების წარმდგენი პირის (პირების) სამსახურებრივი უფლებამოსილება:
  - ა) კერძო აღმასრულებლის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული კერძო აღმასრულებლების რეესტრიდან ამონაწერით ან/და საქართველოს იუსტიციის სა-

- ბ) მინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული კერძო აღმასრულებელთა რეესტრში გადამონმებით;
2. სხვა შემთხვევაში – სამსახურებრივი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. სამსახურებრივი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს საინკასო დავალების გამცემი პირის მიერ.
  3. ბანკი ვალდებულია საინკასო დავალება მიიღოს შესასრულებლად გადამხდელის საგადახდო ანგარიშზე (ანგარიშებზე) ნაშთის არარსებობის მიუხედავად.
  4. საინკასო დავალების გამცემი პირის მიერ საინკასო დავალების წარდგენის ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნების არასრულყოფილად დაცვის შემთხვევაში, ბანკი საინკასო დავალებას დაუბრუნებს წარმომდგენს, ამ დავალების შესრულებაზე უარის მიზღობის მითითებით.

### მუხლი 18. საინკასო დავალების შესრულება

1. საინკასო დავალების შესრულება შესაძლებელია ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი საგადახდო ანგარიშიდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიუხედავად იმისა, მითითებულია თუ არა საინკასო დავალებაში გადამხდელის ანგარიშის ნომერი.
2. საინკასო დავალების შესრულება შესაძლებელია როგორც გადამხდელის ერთი ანგარიშიდან, ასევე ნაწილ-ნაწილ გადამხდელის სხვადასხვა ანგარიშებიდან, ან გადამხდელის სხვა ანგარიშებიდან თანხების ერთ ანგარიშზე აკუმულირების გზით (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) საინკასო დავალებაში მითითებული თანხის ოდენობით.
3. საინკასო დავალების შესრულება არ შეიძლება ვადიანი დეპოზიტის ანგარიშიდან.
4. საინკასო დავალების შესრულება ხდება მხოლოდ გადამხდელის საკუთარი თანხის ფარგლებში (გადამხდელის საგადახდო ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული საკრედიტო ნაშთის ფარგლებში ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით). დაუშვებელია საინკასო დავალების შესრულება ოვერდრაფტის ან საკრედიტო ხაზის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადამხდელს გაცემული აქვს ბანკის მიმართ თანხმობა საინკასო დავალების აღნიშნული თანხებით შესრულებაზე. საინკასო დავალების შესრულებაზე ბანკი ვალდებულია შეუზღუდოს გადამხდელს ოვერდრაფტის ან საკრედიტო ხაზის გამოყენების უფლება.
5. იმ შემთხვევაში, როდესაც გადამხდელის მიმდინარე ანგარიშზე (ანგარიშებზე) არის სადებეტო ნაშთი (ოვერდრაფტი) და ამავე დროს წარდგენილია ამ გადამხდელზე საინკასო დავალება, საინკასო დავალება უნდა შესრულდეს მისი წარდგენის შემდეგ აღნიშნულ ანგარიშზე (ანგარიშებზე) განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხული თანხიდან.
6. საგადახდო ბარათით განხორციელებული ოპერაციის შესახებ ბანკის მიერ ინფორმაციის მიღების მომენტიდან აღნიშნული ოპერაციის თანხა არ წარმოადგენს გადამხდელის საკუთარ თანხას, მიუხედავად იმისა, რომ საგადახდო ბარათით განხორციელებული ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებებზე არ განხორციელებულა. საგა-

- დახლო ბარათით შესრულებული ოპერაციის გაუქმების შესახებ ბანკის მიერ ინფორმაციის მიღებისთანავე, გაუქმებული ოპერაციის თანხა წარმოადგენს გადამხდელის საკუთარ თანხას.
7. დასაშვებია საინკასო დავალების ნაწილობრივ შესრულება.
  8. თუ საინკასო დავალების ვალუტის ანგარიშზე (ანგარიშებზე) არ არის თანხა ან არის არასაკმარისი თანხა დავალების შესასრულებლად, მაშინ გადამხდელის ბანკი ვალდებულია შეუსრულებელი თანხის ოდენობით განხორციელოს გადამხდელის სხვა ვალუტის ანგარიშზე (ანგარიშებზე) არსებული თანხის კონვერტაცია საინკასო დავალების ვალუტაში და შეასრულოს საინკასო დავალება. კონვერტაცია ხდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო საინკასო დავალების შესრულებასთან დაკავშირებული საკომისიო (გადარიცხვის საკომისიო, კონვერტაციის საკომისიო) განისაზღვრება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.
  9. თუ გადამხდელს ანგარიშზე (ანგარიშებზე) (მათ შორის, საინკასო დავალების ვალუტისგან განსხვავებული ვალუტის ანგარიშებზე) არ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საინკასო დავალების შესასრულებლად, დავალება აღირიცხება „შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული საინკასო დავალებების რეესტრში“. რეესტრის წარმოება დასაშვებია როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით.
  10. რეესტრში აღრიცხული საინკასო დავალებების შესრულება ბანკის მიერ უნდა განხორციელდეს გადამხდელის ანგარიშზე (ანგარიშებზე) ფულადი სახსრების ჩარიცხვიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შესაბამისი ცვლილებების ასახვა უნდა განხორციელდეს რეესტრში.
  11. საინკასო დავალების მიღების ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევით საინკასო დავალების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ბანკი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
  12. ბანკი არ არის პასუხისმგებელი საინკასო დავალების წარდგენის საფუძვლიანობასა და სამართლიანობაზე, ასევე მასში ასახული რეკვიზიტების სისწორეზე.

### მუხლი 19. ცვლილება ბანკის მიერ მიღებულ და რეესტრში აღრიცხულ საინკასო დავალებაში

ბანკის მიერ მიღებულ და რეესტრში აღრიცხულ საინკასო დავალებაში თანხის კორექტირების აუცილებლობის შემთხვევაში, საინკასო დავალების გამცემი პირი ბანკს წარუდგენს ახალ საინკასო დავალებას. თუ:

- ა) ახალი საინკასო დავალების გაცემა მოხდა მატერიალური ფორმით, მაშინ საინკასო დავალების „დამატებითი ინფორმაციის“ ან „დანიშნულების“ ველში აუცილებელია იმ საინკასო დავალების მითითება, რომელშიც ხორციელდება ცვლილება. მატერიალური ფორმით წარდგენილი ახალი საინკასო დავალების შესრულების რიგითობის მიზნისათვის, მისი მიღების თარიღად ითვლება იმ საინკასო დავალების მიღების თარიღი, რო-

მელშიც განხორციელდა ცვლილება.

- ბ) ახალი საინკასო დავალების გაცემა/მიღება მოხდა ელექტრონული ფორმით, აღნიშნული საინკასო დავალების შესრულების რიგითობა, საინკასო დავალების გამცემი იმავე პირის სხვა საინკასო დავალებების მიმართ, განისაზღვრება ბანკსა და საინკასო დავალების გამცემ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და პროტოკოლის საფუძველზე.

### მუხლი 20. საინკასო დავალების შესრულების რიგითობა

1. საინკასო დავალებას აქვს შესრულების უპირატესობა შესასრულებელ სხვა საგადახდო დავალებასთან შედარებით, ამავე დროს დაცული უნდა იქნას ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საინკასო დავალებების შესრულების რიგითობა.
2. საინკასო დავალებები სრულდება შემდეგი რიგითობით, მიუხედავად იმისა როდის იყო ისინი წარდგენილი ბანკში:
  - ა) ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საინკასო დავალებები, ბანკში მათი წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით;
  - ბ) შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული საინკასო დავალებები, მატერიალური ფორმით ბანკში მათი წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით ან ელექტრონული ფორმით წარდგენისას ბანკსა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და პროტოკოლის მიხედვით;
  - გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აღსრულების ეროვნული ბიუროს და კერძო აღმასრულებლის მიერ წარდგენილი საინკასო დავალებები, ბანკში მათი წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით.

### მუხლი 21. გადამხდელის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების განკარგვა მათზე ყადაღის დადების ან საინკასო დავალების წარდგენისას

1. უფლებამოსილი პირის მიერ გადამხდელის ანგარიშებზე თანხიანი ყადაღის წარდგენის შემთხვევაში, პირველ რიგში ყადაღდება ყადაღის ვალუტის ანგარიშზე არსებული თანხა. თუ აღნიშნულ ანგარიშზე არის ყადაღის თანხაზე ნაკლები ნაშთი (თანხა), ყადაღა უნდა გავრცელდეს სხვა ვალუტის ანგარიშებზე ყადაღის თანხისა და ყადაღის ვალუტის ანგარიშზე არსებული თანხის სხვაობის ექვივალენტის ოდენობით. ყადაღის ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტის ანგარიშზე ყადაღის გავრცელების შემთხვევაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი, თუ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო ყადაღის შესაბამისი ოდენობის თანხის დათვლის დროს ანგარიშებზე არსებული თანხები არ აღმოჩნდა საკმარისი წარდგენილი ყადაღის სრულად შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირის მიერ ყადაღა წარდგენილია მხოლოდ კონკრეტულ ერთ ან რამდენიმე ანგარიშზე, მაშინ ბანკი ვალდებულია ყადაღა გაავრცელოს მხოლოდ ამ კონკრეტულ ანგარიშებზე.

2. საგადახდო ანგარიშზე ყადაღის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ანგარიშიდან ოპერაცია (მათ შორის შესრულებული ან ნაწილობრივ შესრულებული საინკასო დავალების შესრულება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყადაღისაგან თავისუფალი თანხების ფარგლებში, გარდა ყადაღის დადებამდე საგადახდო ბარათით შესრულებული ოპერაციისა, რომლის ანგარიშზე ასახვა (ოპერაციის თანხით ანგარიშის დადებებზე) შესაძლოა განხორციელდეს ყადაღის თანხის ფარგლებშიც ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.
3. გადამხდელის ანგარიშზე (ანგარიშებზე) მხოლოდ შემოსავლების სამსახურის ყადაღის არსებობის შემთხვევაში, დაყადაღებული ანგარიშიდან უნდა განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული საინკასო დავალებების შესრულება და ასევე, კლიენტის მიერ წარდგინილი საგადახდო დავალების საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის, საურავისა და ჭარიმის თანხების ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ან საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეზე სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდა, როგორც ყადაღისაგან თავისუფალი ფულადი სახსრების ფარგლებში, ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ დაყადაღებული თანხების ფარგლებშიც.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც გადამხდელის ანგარიშზე (ანგარიშებზე) არის სადებეტო ნაშთი (ოვერდრაფტი) და ამავე დროს ამ გადამხდელზე წარმოდგენილია ყადაღა, რომლის ჩანაცვლება მოხდა საინკასო დავალებით, აღნიშნული საინკასო დავალება უნდა შესრულდეს ყადაღის წარდგენის შემდეგ ჩარიცხული იმ თანხებითაც (ან თანხის იმ ნაწილითაც), რომლითაც მოხდა ოვერდრაფტის ნაწილობრივი ან სრული დაფარვა (სადებეტო ნაშთის შემცირება/განულება). ამ მუხლის მიზნებისათვის ანგარიშზე ჩარიცხვად არ ითვლება ოვერდრაფტის და საკრედიტო ბარათების ჩამოწერისა და გარესაბალანსო ანგარიშზე აღირცხვის მიზნით კლიენტის ანგარიშზე ბანკის მიერ განხორციელებული ბუღალტრული გატარება.
5. ბანკსა და შემოსავლების სამსახურს შორის ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის შესახებ ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის მიერ დადებული ყადაღა ავტომატურად გაავრცელოს ბანკში არსებულ გადამხდელის ყველა ანგარიშზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყადაღის მოცულობის ფარგლებში.
6. ბანკში საინკასო დავალების წარდგენისას, არ იზღუდება გადამხდელის უფლება, საინკასო დავალების სრულად შესრულებამდე (მათ შორის საინკასო დავალების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაშიც) განკარგოს საინკასო დავალების შესასრულებლად საკმარისი თანხის ზემოთ არსებული ფულადი სახსრები.

## თავი IV უცხოური ვალუტით გადახდის ოპერაციების წარმოება

### მუხლი 22. შეზღუდვები უცხოური ვალუტით განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე

დასაშვებია უცხოური ვალუტით ნებისმიერი გადახდის ოპერაციის განხორციელება, გარდა:

- ა) საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებასა და/ან მომსახურების საფასურის გადახდის ოპერაციებისა, თუკი აღნიშნული ოპერაცია არ არის დაკავშირებული ექპორტ-იმპორტთან;
- ბ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირის სასარგებლოდ რეზიდენტის მიერ განხორციელებული გადახდის ოპერაციებისა.

### მუხლი 23. დამატებითი დებულებები უცხოური ვალუტით განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე.

1. უცხოური ვალუტით განხორციელებასთან დაკავშირებული ამ წესის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება:
  - ა) უცხოური ვალუტით დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების (მათ შორის, სესხის ან დეპოზიტის) ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის, ასევე პროცენტული გამოხატულების მქონე პირგასამტეხლოს ან/და ჭარიმის გადახდის ოპერაციებზე;
  - ბ) უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე არარეზიდენტი პირისათვის თანხის გადარიცხვის შემთხვევებზე. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის პირის არარეზიდენტობის განსაზღვრისას ბანკი ეყრდნობა გადამხდელის მიერ წარდგენილ ინფორმაციას.
2. უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისას გადარიცხვის დოკუმენტებში უნდა მიეთითოს ოპერაციის დანიშნულება.
3. თუკი უცხოურ ვალუტაში გადახდის ოპერაციის თანხა აღემატება 30000 ლარს ან ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ბანკი ვალდებულია გადამხდელი მენარმე სუბიექტისაგან დამატებით მოითხოვოს გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. ბანკი ვალდებულია შეინახოს ამ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები. ასლების შენახვა შესაძლებელია ელექტრონული ასლის ფორმით.
4. ამ წესის 22-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისები, ასევე ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან სასარგებლოდ განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ ვრცელდება სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ სხვა კომერციული ბანკის დავალებით განხორციელებულ გადახდებზე.

## 4.4 საგადახდო ბარათების შესახებ დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოში კომერციული ბანკების (შემდგომში – ბანკი) მიერ უნაღდო გადახდების ინსტრუმენტის – საგადახდო ბარათების (საკრედიტო, სადებეტო, წინასწარი გადახდის და სხვ.) გამოშვებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ემიტენტსა და ბარათის მფლობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითად პირობებს, ასევე მოთხოვნებს, რის საფუძველზეც მოხდება მხარეთა ინტერესების დაცვა.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) საგადახდო ბარათი (შემდგომში – ბარათი) – ბანკის მიერ გამოშვებული საგადახდო ინსტრუმენტი (მათ შორის საბანკო პლასტიკური ბარათი), რომლის საშუალებით ხდება საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდა, ნაღდი ფულის მიღება, ვალუტის გადაცვლა, ფულადი გზავნილის განხორციელება და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ოპერაციების შესრულება;
- ბ) პერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელზეც ასახულია მფლობელის სახელი (შესაძლოა მხოლოდ ინიციალი) და გვარი. ასევე, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი ჩაწერილია ბარათის მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში;
- გ) არაპერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელზეც არ არის ასახული ბარათის მფლობელის სახელი ან/და გვარი. ასევე, აღნიშნული ინფორმაცია არ არის ჩაწერილი მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკროჩიპში;
- დ) სადებეტო ბარათი – ბარათი, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტსა და ბარათის მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს მის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხები, ასევე ისარგებლოს ოვერდრაფტით;
- ე) საკრედიტო ბარათი – ბარათი, რომელიც ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს ოპერაციები მოახდინოს ემიტენტის მიერ მინიჭებული საკრედიტო ხაზის ფარგლებში;
- ვ) წინასწარი გადახდის ბარათი – ბარათი, რომელიც არ საჭიროებს ბარათის მფლობელის ან ბარათის შემძენის სახელზე საბარათე ანგარიშის გახსნას. აღნიშნული ბარათით ოპერაციები სრულდება მხოლოდ წინასწარ ჩარიცხული თანხის ფარგლებში (საკრედიტო ლიმიტი არ დაიშვება);
- ზ) ვირტუალური ბარათი – მატერიალური ფორმის არმქონე ბარათი, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე ემიტენტის მი-

ერ უსაფრთხოების ზომების დაცვით ბარათის მფლობელისათვის მიწოდებული რეკვიზიტების (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და უსაფრთხოების კოდი) ერთობლიობას, რომლის საშუალებით ბარათის მფლობელს შეუძლია განახორციელოს გადახდები მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით;

- თ) კომერციული ბარათი – სადებეტო ან საკრედიტო ბარათი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს განკარგოს იურიდიული პირის ან მწარმე ფიზიკური პირის ანგარიში და შეასრულოს ოპერაციები;
- ი) მწარმე ფიზიკური პირი – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად;
- კ) ბარათის მფლობელი – ბარათით მოსარგებლე იდენტიფიცირებული პირი;
- ლ) ბარათის შემძენი:
- ლ.ა) ფიზიკური პირი, რომელიც შეიძენს არაპერსონიფიცირებულ წინასწარი გადახდის ბარათს პირადი სარგებლობისთვის ან სხვა ფიზიკურ პირზე სარგებლობაში გადასაცემად;
- ლ.ბ) იურიდიული პირი, რომელიც შეიძენს არაპერსონიფიცირებულ წინასწარი გადახდის ბარათს (ბარათებს) ფიზიკურ პირზე (ფიზიკურ პირებზე) სარგებლობაში გადასაცემად.
- მ) ემიტენტი – ბანკი, რომელიც ახდენს ბარათების გამოშვებას;
- ნ) საბარათე ანგარიში – ემიტენტ ბანკში გახსნილი ბარათის მფლობელის მიმდინარე, ასევე კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიში, რომელზეც აისახება სადებეტო ბარათებით შესრულებული ოპერაციები.
- ო) ხარჯვის ლიმიტი – ემიტენტის მიერ დადგენილი, ბარათის მეშვეობით განსაზღვრულ ვადაში ფულადი სახსრების განკარგვის ზღვრული სიდიდე;
- პ) ავტორიზაცია – ემიტენტის და/ან საბარათე საგადახდო სისტემის მიერ გაცემული ნებართვა ბარათით ან მისი რეკვიზიტებით ოპერაციის განხორციელებაზე;
- ჟ) პინ-კოდი – ბარათის თანხლები პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც ბარათთან ერთად წარმოადგენს ბარათის მფლობელის ელექტრონულ იდენტიფიკატორს;
- რ) ბანკომატი – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბარათის მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა;
- ს) პოს-ტერმინალი – ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ბანკში ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით გადახდის განსახორციელებლად ან თანხის გასატანად;
- ტ) ანგარიშ-ქვითარი (შემდგომში – საბარათე ქვითარი) – ბანკომატის ან პოს-ტერმინალის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდას, ბარათის საშუალებით ნაღდი ფულის მიღებას ან სხვა ოპერაციის განხორციელებას;



- უ) იმპრინტერი – ბარათის ემბოსირებული რეკვიზიტების სპეციალურ ქვითარზე გადამტანი მექანიკური მონყობილობა;
- ფ) ემბოსირება – ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების (როგორცაა ბარათის ნომრის, მოქმედების ვადის, მფლობელის სახელისა და გვარის ან/და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების) რელიეფური ფორმით ბარათზე დაბეჭდვა;
- ქ) პროცესინგი – საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბარათებით წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას (შეგროვებას), შენახვას, დამუშავებას და დამუშავებული ინფორმაციის გადაცემას ანგარიშსწორების განსახორციელებლად;
- ღ) ექვირინგი – პირის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს:
  - ღ.ა) სავაჭრო (მომსახურების) ობიექტებთან ან სხვა პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პოს-ტერმინალის საშუალებით ბარათით გადახდის, ასევე ბარათის რეკვიზიტებით ინტერნეტ-გადახდის შესრულებას და შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებას სავაჭრო/მომსახურების ობიექტებთან;
  - ღ.ბ) ბარათით განხორციელებული ოპერაციის შედეგად ნაღდი ფულის გაცემას;
- ყ) ექვირერი – ექვირინგის განმახორციელებელი პირი;
- შ) სტოპ-სია – იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებზედაც ტრანზაქციები დაუშვებელია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი.

### მუხლი 3. ბარათის მომსახურების ხელშეკრულება და პირობები

1. ემიტენტი ვალდებულია გააფორმოს ბარათის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ბარათის მფლობელთან, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკვიზიტებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს:
  - ა) ბარათის დასახელება და ტიპი;
  - ბ) ბარათის გამოყენების წესი, შეზღუდვები, ყველა შესაძლო საკომისიო და საპროცენტო განაკვეთი;
  - გ) ბარათის სტოპ-სიაში შეყვანის, გაუქმების და ამოღების წესები;
  - დ) მხარეთა უფლება-მოვალეობები;
  - ე) ბარათის დაკარგვის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები;
  - ვ) ბარათით წარმოებული ოპერაციების და სხვა უზუსტობების გასაჩივრების ვადები;
  - ზ) დავის გადაწყვეტის პროცედურა და ვადები;
  - თ) საჭარიმო სანქციების ამოქმედების წესი;
  - ი) შესრულებულ ოპერაციებზე ინფორმაციისა და/ან ანგარიშიდან ამონაწერის მიწოდების პირობები.
2. ბარათის მფლობელს/ბარათის შემძენს ბარათის (ვირტუალური ბარათის შემთხვევაში - ბარათის რეკვიზიტებს), პინკოდს (ასეთის არსებობისას) და მოხმარების წესს გადასცემს ემიტენტი.
3. ემიტენტი ვალდებულია სადებეტო/საკრედიტო ბარათების (ვირტუალური ბარათის შემთხვევაში ბარათის რეკვიზიტების) გადაცემამდე მოახდინოს ბარათის მფლობელის იდენტიფიცირება.

4. ალნიშნული ბარათების გააქტიურებამდე (მისი საშუალებით ოპერაციების განხორციელებამდე) სავალდებულოა ბარათის მფლობელის სახელზე მიმდინარე/საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა. არაპესონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის შემთხვევაში ბარათის შემძენთან შესაძლებელია არ გაფორმდეს ხელშეკრულება და მას გადაეცეს მხოლოდ ბარათით სარგებლობის პირობები და წესები. ალნიშნული ტიპის ბარათი მისი შემძენის მიერ შესაძლოა გადაცემულ იქნას სხვა ფიზიკური პირისათვის სარგებლობაში.
5. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ბარათის გაცემაზე ან განახლებაზე მიზნის მითითების გარეშე.

### მუხლი 4. ბარათის დაცვის მექანიზმები

1. ბარათის არასანქცირებული მოხმარებისაგან დასაცავად გამოყენებული უნდა იყოს სულ მცირე ქვემოთ მოცემული მექანიზმებიდან ერთ-ერთი:
  - ა) საბარათე ქვითარზე ხელმოწერის შედარება ბარათზე დატანილ ხელმოწერასთან;
  - ბ) პინ-კოდი;
  - გ) ელექტრონული (ინტერნეტ) გადახდის დროს ბარათის უკანა მხარეს არსებული „ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი“ (CVC2 ან CVV2), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არარეზიდენტი პირი მომსახურების/საქონლის მიწოდებისას არ ითხოვს ასეთ ინფორმაციას.
2. დამატებითი იდენტიფიცირების მიზნით დასაშვებია მფლობელის სურათის დაბეჭდვა ბარათზე.
3. სტოპ-სიაში მოხვედრილი ბარათის გამოყენების მცდელობის შემთხვევაში სასურველია მომსახურე ობიექტმა ბარათით მოსარგებლე პირს ჩამოართვას ბარათი ან ალნიშნული ბარათი დაკავებულ უნდა იქნას ბანკომატის მიერ.
4. ექვირერსა და სავაჭრო/მომსახურების ობიექტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ვალდებულებას ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით დადგენილი დებულების შესრულების შესახებ.
5. სავაჭრო/მომსახურების ობიექტი უფლებამოსილია ცხელი ხაზის საშუალებით გადაამოწმოს არაპესონიფიცირებული ბარათის (გარდა არაპესონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის) გამოყენებისას ბარათის მფლობელი მისი პირადი ნომრითა და ბარათის ნომრით.
6. ბარათებზე (გარდა ვირტუალური ბარათებისა) მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:
  - ა) ბარათის მოქმედების ვადა;
  - ბ) საბარათე საგადახდო სისტემის და ემიტენტის დასახელება ან/და მათი ლოგოტიპები;
  - გ) ბარათის ნომერი;
  - დ) ბარათის მფლობელის ხელმოწერის ადგილი;
  - ე) ემიტენტის ცხელი ხაზის ნომერი;
  - ვ) ემიტენტის მისამართი.
7. თუ წინასწარი გადახდის ბარათის გამოყენება ხდება მხოლოდ ერთ ობიექტში (ან ერთ იურიდიულ პირთან) გადახდის განხორციელების მიზნით, მაშინ ასეთ ბარათზე:
  - ა) მაქსიმალური დასაშვები ნაშთი (ნებისმიერ მომენ-

ტში ოპერაციების განსახორციელებლად გამოსაყენებელი მაქსიმალური ჯამური თანხა) განისაზღვრება 3000 (სამი ათასი) ლარამდე;

- ბ) არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი და მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები.
- 8. თუ წინასწარი გადახდის ბარათის გამოყენება შესაძლებელია რამდენიმე პირთან ან რამდენიმე ობიექტში გადახდის განსახორციელებლად, მაშინ ასეთ ბარათზე მაქსიმალური ნაშთი (ნებისმიერ მომენტში ოპერაციების განსახორციელებლად გამოსაყენებელი მაქსიმალური ჯამური თანხა) არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ერთი ათასი) ლარს.

## მუხლი 5. ოპერაციები ბარათების საშუალებით

1. ბარათზე ფულადი სახსრები შეიძლება შეტანილ იქნას როგორც ნაღდი, ისე უნაღდო სახით.
2. სახსრების განკარგვა ერთსა და იმავე საბარათე ანგარიშიდან შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ბარათით (დამატებითი ბარათით).
3. ბარათის მფლობელთან შეთანხმებით საკრედიტო ან სადებეტო ბარათის საშუალებით ოპერაციების შესასრულებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბარათის მფლობელის სხვა მიმდინარე ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშებზე არსებული თანხა. ანგარიშებზე არსებული თანხების გამოყენების თანმიმდევრობას განსაზღვრავს ბარათის მფლობელი.
4. ბარათის გადაცემის შემდეგ ბანკი:
  - ა) ვალდებულია ბარათზე ჩარიცხული ფულადი სახსრები ხელმისაწვდომი გახადოს ბარათის მფლობელისთვის/ბარათის შემძენისათვის;
  - ბ) ბარათის მფლობელის/არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის წარმომდგენის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს წარმომებული ოპერაციების შესახებ და ნაშთის შესახებ ინფორმაციის დროულად გადაცემა;
  - გ) უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ოპერაციები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
5. ბანკს ეკრძალება არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათით დაუშვას შემდეგი სახის ოპერაციები (გარდა ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა):
  - ა) ნაღდი ფულის გაცემა;
  - ბ) ინტერნეტში გადახდების განხორციელება;
  - გ) თანხის ჩარიცხვა (თავდაპირველი ჩარიცხვის შემდეგ);
  - დ) თანხის გადარიცხვა, თუ ეს არ არის დაკავშირებული საქონლის/ მომსახურების ბარათით შეძენის ოპერაციასთან სავაჭრო/მომსახურების ობიექტში;
  - ე) დაბრუნებული ბარათის ხელახალი გამოყენება სხვა ან იმავე ბარათის მფლობელისთვის/არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის წარმომდგენისთვის;
  - ვ) ბარათის გამოყენება საქართველოს ფარგლებს გარეთ.
6. ბანკს უფლება აქვს გამოსცეს არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათები, რომლებზეც არ იქნება მოთხოვნილი ავტორიზაცია ხელმოწერის და/ან პინ-კოდის მეშვეობით, დაუშვას ნაღდი თანხის გაცემა, თუ აღნიშნული ბარათის

გამოყენება ხდება მხოლოდ ერთ ობიექტში (ან ერთ იურიდიულ პირთან).

7. ბანკს უფლება აქვს დაუშვას არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათის საშუალებით ნაღდი ფულის გაცემა, მისი ინტერნეტში და საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოყენება, თანხის ჩარიცხვა (თავდაპირველი ჩარიცხვის შემდეგ), თუ ბარათის მფლობელი (ამ შემთხვევაში პირი, რომელიც მიიღებს ბარათს ბარათის შემძენისაგან ან თავად ბარათის შემძენი, თუ თვითონ აპირებს ამ ბარათის გამოყენებას) მოახდენს ბანკში ბარათის მფლობელად იდენტიფიცირებას და ბარათის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.
8. ბარათით ჩატარებული ოპერაციის ფაქტობრივი თარიღი შეიძლება განსხვავდებოდეს საბარათე ანგარიშებზე მისი ასახვის თარიღისაგან. ეს განსხვავება რეგულირდება საბარათე სისტემის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით.
9. ბარათის მფლობელის მიერ პერსონიფიცირებული ან არაპერსონიფიცირებული საკრედიტო ბარათით განხორციელებული ოპერაციების შედეგად ბანკის მიმართ წარმოშობილი დავალიანების დაფარვა უნდა განხორციელდეს ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშის საშუალებით.
10. ბარათით განხორციელებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია ბარათის მფლობელად ემიტენტ ბანკში იდენტიფიცირებული პირი.
11. კომერციული ბარათით წარმომებული ოპერაციებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ბარათის მფლობელ იურიდიულ პირს
12. ბანკი ვალდებულია დაიცვას ბარათის მფლობელის პერსონალური მონაცემების და საბარათე ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა (ჩატარებული ოპერაციები, ნაშთები და სხვ.). გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები ან/და ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საბარათე სისტემაში მონაწილეობასთან.
13. ბარათის მფლობელის იდენტიფიცირების პროცედურები, ასევე ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.
14. ბანკი ვალდებულია აღრიცხოს და შეინახოს ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი ვადით მის მიერ გაცემული ყველა სახეობის ბარათების მფლობელებისა და მათი საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.
15. დროის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი უნდა იყოს ბარათების მფლობელების საიდენტიფიკაციო მონაცემების, ასევე შესაბამის ბარათზე არსებული ნაშთების ან კონკრეტული ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

## მუხლი 6. ბარათით განხორციელებული ოპერაციების დასტური

1. პოს-ტერმინალში ბარათით განხორციელებული ოპერაციის დამადასტურებელი საბარათე ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
  - ა) ნაღდი ფულის გამცემი მომსახურე ცენტრის ან სავაჭრო/მომსახურე ობიექტის დასახელებას და მისამართს (სასურველია ტელეფონის ნომრის მითითება);
  - ბ) ოპერაციის შესრულების თარიღს და დროს;
  - გ) ტერმინალის იდენტიფიკატორს (ID);
  - დ) შესრულებული ოპერაციის თანხას და ვალუტას;
  - ე) ავტორიზაციის კოდს;
  - ვ) ბარათის რეკვიზიტებს (საბარათე საგადახდო სისტემის დასახელება, ბარათის არასრული ნომერი, რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ ამ ნომრის ბოლო ოთხ ციფრს, პერსონიფიცირებული ბარათის მფლობელის სახელი და გვარი);
- 8) ბარათის მფლობელის ხელმოწერას (ბარათის მფლობელის ხელმოწერა არ არის სავალდებულო, თუ გადახდის ოპერაცია სრულდება პინ-კოდის საშუალებით).
2. ოპერაციის განხორციელების შედეგად ბანკომატის მიერ გაცემული საბარათე ქვითარი უნდა შეიცავდეს ისეთ რეკვიზიტებს, როგორცაა:
  - ა) ბანკომატის მფლობელი ბანკის დასახელება;
  - ბ) ოპერაციის შესრულების თარიღი და დრო;
  - გ) ბანკომატის იდენტიფიკატორი (ID) და მისამართი;
  - დ) შესრულებული ოპერაციის თანხა, ვალუტა;
  - ე) ავტორიზაციის კოდი;
  - ვ) ბარათის რეკვიზიტები (საბარათე საგადახდო სისტემის დასახელება, ბარათის არასრული ნომერი, რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ ამ ნომრის ბოლო ოთხ ციფრს, პერსონიფიცირებული ბარათის მფლობელის გვარი)
3. ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციის შედეგად გაცემული ელექტრონული ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
  - ა) სავაჭრო/მომსახურე ობიექტის დასახელება და მისამართი;
  - ბ) ოპერაციის განხორციელების თარიღი;
  - გ) ობიექტის ონ-ლაინ საიტის მისამართი;
  - დ) ტრანზაქციის თანხა და ვალუტა;
  - ე) ავტორიზაციის კოდი;
  - ვ) ბარათის რეკვიზიტები (საბარათე საგადახდო სისტემის დასახელება, ბარათის არასრული ნომერი, რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ ამ ნომრის ბოლო ოთხ ციფრს);
4. იმპრინტერის საშუალებით ბარათით განხორციელებული ოპერაციის დამადასტურებელი ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
  - ა) ბარათის რეკვიზიტები (არასრული ნომერი, მოქმედების ვადა, მფლობელის სახელი და გვარი);
  - ბ) ოპერაციის ჩატარების თარიღი;
  - გ) სავაჭრო/მომსახურე ობიექტის დასახელება და იდენტიფიკატორი;
  - დ) შესრულებული ოპერაციის თანხა და ვალუტა;
  - ე) ავტორიზაციის კოდი;
  - ვ) ბარათის მფლობელისა და მოლარის ხელმოწერა.
5. ბარათით შესრულებული ოპერაციების შესახებ სა-

ბანკო ამონაწერი უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:

- ა) ბარათის მფლობელის საბარათე ანგარიშის ნომერს და/ან ბარათის ნომერს;
- ბ) ვალუტას;
- გ) სანყის ნაშთს;
- დ) ოპერაციის დანიშნულებას;
- ე) შესრულებული ოპერაციის (სადებეტო/საკრედიტო) თანხას;
- ვ) ოპერაციის შესრულების თარიღს, დროს, ადგილს (სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ან ბანკომატის მისამართის და ტელეფონის ნომრის მითითებით თუ ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ექვირერისგან);
- ზ) საბოლოო ნაშთს;
- თ) სხვა დამატებით ინფორმაციას.

## მუხლი 7. მოქმედებები ბარათის დაკარგვის შემთხვევაში

1. ემიტენტი ვალდებულია უზრუნველყოს ბარათის მფლობელი 24-საათიანი ცხელი ხაზის მომსახურებით. ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი მითითებული უნდა იყოს ბანკსა და ბარათის მფლობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ან/და ბარათის მოხმარების წესში. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს ემიტენტის ვებ-გვერდზე, ასევე ბანკომატების ადგილმდებარეობის მიხედვით. ცხელ ხაზთან დაკავშირება შესაძლებელი უნდა იყოს არსებული სატელეკომუნიკაციო კავშირებით, მათ შორის, მობილური ოპერატორის მეშვეობით.
2. ბარათის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცხელი ხაზის საშუალებით ემიტენტს აღნიშნულის თაობაზე, ხოლო ემიტენტი ვალდებულია დაბლოკოს აღნიშნული ბარათი.
3. ბარათის დასაბლოკად, ემიტენტმა ბარათის მფლობელთან წინასწარ შეთანხმებული მეთოდით უნდა მოახდინოს ბარათის მფლობელის იდენტიფიცირება და არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, დაბლოკოს ბარათი. არაპერსონიფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათი დაიბლოკება იმ შემთხვევაში, თუ ბარათით მოსარგებლე პირი უკვე წინასწარ არის ბანკში ბარათის მფლობელად იდენტიფიცირებული.
4. ბანკი უფლებამოსილია დროებით დაბლოკოს (შეაჩეროს) ბარათი იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს აქვს იმის დასაბუთებული ეჭვი, რომ ბარათზე ხორციელდება არასანქცირებული ოპერაციები.
5. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის დაკარგვის თაობაზე მფლობელმა განუცხადა ემიტენტს (დადგენილი წესების შესაბამისად) და ამის შემდეგ მოხდა საბარათე ანგარიშზე არასანქცირებული წვდომა, ბარათის მფლობელისათვის მიყენებული მთლიანი ზარალის ანაზღაურება ეკისრება ემიტენტს.
6. ემიტენტი პასუხს არ აგებს არასანქცირებულ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია მესამე პირის მიერ ბარათის დაკარგვის გაცხადებამდე, თუ შესაბამისი საბარათე სისტემის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

## 4.5 ინსტრუქცია საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ამ ინსტრუქციის მიზანია საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების პრინციპებისა და პროცედურის დადგენა, საბანკო ანგარიშების ნომრის სტანდარტიზაცია, საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენებით უნაღდო ანგარიშსწორების ხელშეწყობა და საერთაშორისო გადარიცხვების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის სიზუსტის ხარისხის გაზრდა.
- ამ ინსტრუქციით განისაზღვრება საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის სტრუქტურა და ფორმატი, გენერირებისა და ვალიდაციის (სანდოობის შემოწმება) ტექნიკა, ასევე ელექტრონულ და მატერიალიზებულ დოკუმენტებზე საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის ასახვის მოთხოვნები.

### მუხლი 2. ინსტრუქციის გამოყენების სფერო

საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის ფორმატი გამოყენებას ექვემდებარება ბანკის კლიენტების ანგარიშები (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), რომლებიც გამოიყენება საანგარიშსწორებო ოპერაციებში, ასევე შიდასაბანკო ანგარიშები (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის ანგარიშსწორებაში.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

- ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:
  - საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი (IBAN) – ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით და ISO 13616 სტანდარტის შესაბამისად გენერირებული უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც წარმოადგენს ლათინური სიმბოლოების და არაბული ციფრების 22 (ოცდაორი) ერთეულის კომბინაციას, და რომელიც გამოიყენება საბანკო ანგარიშის აღნიშვნისათვის;
  - სხვა სახის ანგარიშის ნომერი – საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელიც არ წარმოადგენს IBAN-ს;
  - IBAN-ის გენერირება – დანართ N1-ში აღწერილი პროცედურის შესაბამისად საბანკო ანგარიშისათვის საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის შექმნის პროცესი;
  - IBAN-ის ვალიდაცია – IBAN-ის შემოწმების პრო-

ცესი, რომელიც მოიცავს IBAN-ის ფორმატის შესაბამისობის დადგენას ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლში და დანართ N1-ში აღწერილი პროცედურების მიხედვით;

- ქვეყნის კოდი – ISO 3166-1 სტანდარტით დადგენილი ქვეყნის აღმნიშვნელი ორი ლათინური სიმბოლო, რომელიც გამოსახულია საბანკო დაწესებულების (შემდგომში – ბანკი) მიერ გენერირებულ IBAN-ში;
  - ბანკის კოდი – ამ ინსტრუქციის დანართი N2-ით განსაზღვრული ბანკის ორი ლათინური სიმბოლო კომბინაცია, რომელიც წარმოადგენს IBAN-ის ნაწილს და გამოიყენება იმ ბანკის იდენტიფიკაციისათვის, რომელშიც გახსნილია ანგარიში;
  - საკონტროლო გასაღები – ორნიშნა რიცხვი, რომელიც გენერირებულია ამ ინსტრუქციის დანართი N1 შესაბამისად, წარმოადგენს IBAN-ის ნაწილს და უზრუნველყოფს IBAN-ის სისწორის დადგენას ვალიდაციის პროცესში.
- ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის N166 ბრძანებით დამტკიცებული წესებით განსაზღვრული მნიშვნელობები.

### მუხლი 4. IBAN-ის სტრუქტურა

- საქართველოში ბანკის მიერ გენერირებული IBAN შედგება 22 (ოცდაორი) სიმბოლოსაგან და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
  - ქვეყნის კოდი;
  - საკონტროლო გასაღები;
  - ბანკის კოდი;
  - ბანკის მიერ ანგარიშისათვის მინიჭებული არაბული ციფრების კომბინაცია.
- IBAN-ში აკრძალულია ნებისმიერი სიმბოლოს გამოყენება, გარდა არაბული ციფრებისა 0-დან 9-მდე და ლათინური დიდი ზომის სიმბოლოებისა A-დან Z-მდე.
- IBAN არის ერთიანი და დაუშვებელია მისი რომელიმე ნაწილის განცალკევებით გამოყენება ანგარიშსწორებისას ან საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

### მუხლი 5. IBAN-ის ფორმატის რეგისტრაცია

- საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) ახდენს ბანკის მიერ მოსაყენებელი IBAN-ის ფორმატის რეგისტრაციას მსოფლიო ბანკთაშორის საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოებაში (SWIFT).
- ამოღებულია
- ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ბანკის კოდების გამოქვეყნებას ეროვნული ბანკის ვებგვერდზე – [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

### მუხლი 6. IBAN-ის გამოყენება ბანკის მიერ

- ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობებით,

- ბანკი ვალდებულია:
- ა) უზრუნველყოს IBAN–ის გამოყენება ბანკის კლიენტების ანგარიშების მიმართ (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), ასევე შიდასაბანკო ანგარიშების მიმართ (ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში), რომლებიც გამოიყენება ბანკთაშორის ანგარიშსწორებაში;
  - ბ) უზრუნველყოს IBAN–ის გამოყენება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ანგარიშებთან დაკავშირებულ ნებისმიერ, როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალიზებულ დოკუმენტზე;
  - გ) უზრუნველყოს IBAN–ის გამოყენება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ანგარიშებთან დაკავშირებულ ელექტრონულ საგადახდო შეტყობინებებში და ამ ანგარიშებთან დაკავშირებული ნებისმიერი საბანკო ოპერაციის შესრულებისას;
  - დ) უზრუნველყოს IBAN–ის ვალიდაცია ამ ინსტრუქციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად;
  - ე) ამ ინსტრუქციით დადგენილ ვადებში, სხვა სახის ანგარიშის ნომრით აღნიშნული ანგარიშებისათვის მოახდინოს IBAN–ის გენერირება და უზრუნველყოს ანგარიშის მფლობელის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე.
2. ბანკი ვალდებულია IBAN–ის გენერირება მოახდინოს დანართ N1–ში აღწერილი პროცედურის შესაბამისად. ანგარიშის ნომერი, რომლის გენერირების პრინციპი არ შეესაბამება ამ ინსტრუქციას, მიიჩნევა სხვა სახის ანგარიშის ნომრად.
  3. ბანკი ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს თავისი შიდა საბანკო სისტემების მზადყოფნა IBAN–ის გამოყენებისათვის.

## მუხლი 7. IBAN–ის ვალიდაცია ბანკის მიერ

1. IBAN–ის ვალიდაცია წარმოადგენს ამ ინსტრუქციის დანართი N1–ის შესაბამისად IBAN–ის ფორმატის შესაბამისობის დადგენის პროცესს.
2. ვალიდაციის პროცესი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:
  - ა) ქვეყნის კოდის შემოწმება;
  - ბ) ფორმატში სიმბოლოების რაოდენობის კონტროლი ქვეყნის კოდის მიხედვით;
  - გ) 2 ნიშნიანი რიცხვითი საკონტროლო გასაღების შემოწმება;
  - დ) ფორმატის შემადგენელი ალფაბეტური და ციფრული სიმბოლოების სტრუქტურის კონტროლი (მხოლოდ საქართველოს ბანკების მიერ გენერირებული IBAN–თვის);
  - ე) IBAN–ში ბანკის აღმნიშვნელი კოდის კონტროლი (მხოლოდ საქართველოს ბანკების მიერ გენერირებული IBAN–თვის).

## მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. 2010 წლის 3 მაისიდან, ბანკი ვალდებულია IBAN მიანიჭოს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ანგარიშებს მათი გახსნისას.

2. ბანკი ვალდებულია 2013 წლის 1 იანვრამდე, უზრუნველყოს ბანკში არსებული, ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა სახის ანგარიშების ნომრების, ამ ინსტრუქციის შესაბამისად, IBAN–ის ფორმატში წარმოდგენა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ბანკს ეკრძალება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ანგარიშებთან დაკავშირებული მომსახურების განევა სხვა სახის ანგარიშის ნომრის გამოყენებით.
4. 2013 წლის 1 იანვრამდე, ბანკს უფლება აქვს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ანგარიშებისათვის გამოიყენოს, როგორც IBAN, ისე სხვა სახის ანგარიშის ნომერი.
5. სხვა სახის ანგარიშების ნომრების ამ ინსტრუქციასთან შესაბამისობის მოყვანისას, ბანკი ვალდებულია კლიენტებს მიაწოდოს ინფორმაცია მათი საბანკო ანგარიშებისათვის IBAN–ის მინიჭების შესახებ. ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს სხვა სახის ანგარიშის ნომრების ამ ინსტრუქციასთან შესაბამისობაში მოყვანისა და ამის თაობაზე კლიენტების ინფორმირების პროცედურა.

## მუხლი 9. პასუხისმგებლობა

ბანკის მიერ ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების დაკისრებას.

# დანართი N1

## IBAN-ის სტრუქტურა და საკონტროლო გასაღების გენერირებისა და ვალიდაციის მეთოდი

1. საქართველოს ბანკების მიერ გენერირებული IBAN-ის სიგრძე იქნება 22 სიმბოლო, სადაც 1-2 პოზიცია დაეთმობა ქვეყნის კოდს, 3-4 საკონტროლო გასაღებს, 5-6 ბანკის კოდს, ხოლო 7-22 (16) სიმბოლო გამოყენებული იქნება ბანკის მიერ ანგარიშისათვის ციფრების კომბინაციისათვის, აქედან 7-22 პოზიციებზე განლაგებული სიმბოლოები ყოველთვის უნდა იყოს არაბული ციფრები. ამის გარდა აღნიშნულ ფორმატში გამოყენებული იქნება ციფრები და მხოლოდ ლათინური დიდი ზომის სიმბოლოები, ფორმატის ნიმუში: GE29NB0000000101904917
2. ანგარიშის ქვალდზე გადატანის დროს შესაძლებელია მისი შემდეგი სახით წარმოდგენა: GE29 NB00 0000 0101 9049 17
3. დეტალური ტექნიკური მახასიათებლები:
  - ა) IBAN ფორმატში წარმოდგენილი ანგარიშების ნომრების საერთო სიგრძე: 22!c;
  - ბ) IBAN ფორმატის სტრუქტურა: GE2!n2!a16!n (ცხრილი N 1);
  - გ) GE – ქვეყნის კოდი ISO 3166-1 სტანდარტის შესაბამისად, გამოხატულია 2 ნიშნიანი ალფაბეტური ლათინური სიმბოლოთი;
  - დ) საკონტროლო გასაღები – ციფრები 2 სიმბოლოს კომბინაცია წარმოადგენს რიცხვს რომელიც დგინდება ფორმატის სხვა ყველა დანარჩენი სიმბოლოების მნიშვნელობის მიხედვით. გასაღები გამოითვლება ISO/IEC 7064 (MOD97-10)-ის შესაბამისად. ალფაბეტური სიმბოლოების რიცხვითად გადაკეთება ხორციელდება ცხრილიდან (იხ. ცხრილი N 2).
4. საკონტროლო გასაღები გენერირდება შემდეგი მეთოდით:
  - ა) გამოსათვლელი საკონტროლო გასაღები ჩავთვალოთ რომ არის 00 (ნულები) და ჩავსვათ ფორმატში  
GE00NB0000000101904917
  - ბ) პირველი ოთხი სიმბოლო გადაგვაქვს ანგარიშის ნომრის ბოლოს  
NB0000000101904917GE00
  - გ) მოცემული ცხრილის (ცხრილი N2) მიხედვით ალფაბეტური სიმბოლოები ჩანაცვლდება რიცხვული მნიშვნელობებით (A=10, B=11, ... Z=35)  
NB0000000101904917GE00 (N=23, B=11, G=14, E=16,)  
23110000000101904917161400  
პირობითად ეს რიცხვი აღვნიშნოთ ლათინური სიმბოლოთი - n
  - დ) საკონტროლო გასაღების მისაღებად უნდა გამოვითვალოთ ამ რიცხვის MOD 97-10, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:  
 $MOD(n; 97) = n - 97 * INT(n/97)$ , სადაც INT არის

რიცხვის მთელი ნაწილი.  
 მოცემული ანგარიშის ნომრის საკონტროლო გასაღები იქნება 98-ს გამოკლებული ეს რიცხვი. ერთნიშნა რიცხვის მიღების შემთხვევაში მას თავში ემატება 0 (ნული).  
 თუ მოცემულ ფორმულაში ჩავსვათ ჩვენს მიერ გამოყენებულ ანგარიშის ნომრის მაგალითს მაშინ მივიღებთ:  
 $98 - MOD(23110000000101904917161400; 97) =$   
 $98 - (23110000000101904917161400 - 97 * INT(23110000000101904917161400/97)) =$   
 $98 - 69 = 29$   
 ანგარიშის ნომრის საკონტროლო გასაღებია 29  
 GE29NB0000000101904917

5. საკონტროლო გასაღების ვალიდაცია ხორციელდება შემდეგი მეთოდით: აღნიშნული მეთოდით ხორციელდება გასაღების შესაბამისობის დადგენა:
  - ა) პირველი ოთხი სიმბოლო გადაგვაქვს ანგარიშის ნომრის ბოლოს  
NB0000000101904917GE29
  - ბ) მოცემული ცხრილის (ცხრილი N2) მიხედვით ალფაბეტური სიმბოლოები ჩანაცვლდება რიცხვული მნიშვნელობებით (A=10, B=11, ... Z=35)  
NB0000000101904917GE29 (N=23, B=11, G=14, E=16,)  
23110000000101904917161429
  - გ) საკონტროლო გასაღების შესაბამისობის დასადგენად უნდა გამოვითვალოთ ამ რიცხვის MOD 97-10. თუ მიღებული ნაშთი ტოლია 1-ის მაშინ საკონტროლო გასაღები სწორია.

ცხრილი N 1. გამოყენებული სიმბოლოების განმარტებები

N	ციფრები (0 დან 9)
A	ასოები ლათინური ანბანიდან (სიმბოლოები A-Z)
C	დიდი და პატარა ზომის ლათინური ანბანის ან ციფრული სიმბოლოები (A-Z, a-z და 0-9)
!	აღნიშნავს სიმბოლოების ფიქსირებულ რაოდენობას (მაგ: 2!n)

ცხრილი N 2. საკონტროლო გასაღების გამოსათვლელი ლათინური სიმბოლოების ციფრულში გადასაყვანი ცხრილი

A = 10	G = 16	M = 22	S = 28	Y = 34
B = 11	H = 17	N = 23	T = 29	Z = 35
C = 12	I = 18	O = 24	U = 30	
D = 13	J = 19	P = 25	V = 31	
E = 14	K = 20	Q = 26	W = 32	
F = 15	L = 21	R = 27	X = 33	

## დანართი N2

ბანკის დასახელება	IBAN კოდი
საქართველოს ეროვნული ბანკი	NB
სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“	AZ
სს „ბაზისბანკი“	BS
სს „ბანკი ქართუ“	CR
სს „სილქ როუდ ბანკი“	BT
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	VT
სს „გირაათ ბანკის“ თბილისის ფილიალი	ZB
სს „თიბისი ბანკი“	TB
სს „კაპიტალ ბანკი“	IN
სს „კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო“	CS
სს „კორ სტანდარტ ბანკი“	KS
სს „პროგრეს ბანკი“	PG
სს „პროკრედიტ ბანკი“	PC
სს „საქართველოს ბანკი“	BG
სს „ლიბერთი ბანკი“	LB
სს „პრივატბანკი“	TP
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	HB
სს ბანკი „რესპუბლიკა“	BR
სს „თურქეთის იმ ბანკი“	IS
სს „პაშა ბანკი საქართველო“	PB
სს „ფინკა ბანკი საქართველო“	FG

## 4.6 საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის (შემდგომში – პროვაიდერი) საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების პროცედურებს და პირობებს.
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერს აქვს უფლება განხორციელოს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურება მხოლოდ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ.
- ამ წესის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებზე, ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირებზე, ასევე „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებზე.
- ამ წესის მიზნებისთვის მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტი არის საგადახდო ინსტრუმენტი, მათ შორის ელექტრონული ფულის ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული პირობებიდან ერთ-ერთს:
  - მისი საშუალებით შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ცალკეული გადახდის ოპერაციის განხორციელება, რომლის ოდენობა არ აღემატება 70 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, ხოლო თუ ამ ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში, მაშინ ოპერაციის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 140 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში;
  - მისი საშუალებით განხორციელებული გადახდის ოპერაციების ჯამური ოდენობა დღეში არ აღემატება 350 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, ხოლო თუ ამ ინსტრუმენტით გადახდის ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში, მაშინ ოპერაციების ჯამური ოდენობა არ აღემატება 1500 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში;
  - მასზე დროის ნებისმიერ მომენტში შეუძლებელია შენახულ იქნეს ელექტრონული ფული, რომლის ოდენობა აღემატება 1500 ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში.

- საგადახდო მომსახურების პროვაიდერი რეგისტრაციისათვის ეროვნულ ბანკში წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:
  - პროვაიდერის სარეგისტრაციო ფორმა (დანართი N1);
  - პროვაიდერის მიერ გასაწევი საგადახდო მომსახურების განხორციელების სქემატური აღწერა თითოეული მომსახურების სახის მიხედვით. სქემა უნდა ასახავდეს გადახდის ოპერაციის ინიცირებიდან მის დასრულებამდე შემადგენელ ყველა რგოლს;
  - ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც ასახავს პროვაიდერის მიერ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღისათვის არსებულ ყველა ცვლილებას;
  - ინფორმაცია პროვაიდერის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი წილის (შემდგომში მნიშვნელოვანი წილის) მფლობელების შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი, იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც ასახავს პროვაიდერის მიერ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღისათვის არსებულ ყველა ცვლილებას, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – დამატებით შესაბამისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ამონაწერი ფასიანი ქაღალდების რეესტრიდან);
  - ინფორმაცია პროვაიდერის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ, მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებთან ერთად;
  - ცნობა პროვაიდერის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ნასამართლეობის შესახებ, რომელიც მოქმედია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღისათვის, ხოლო უცხოეთის ორგანოების მიერ გაცემული ცნობის შემთხვევაში აღნიშნული ცნობის გაცემიდან ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის თარიღამდე პერიოდი არ აღემატება 60 დღეს;
  - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც განთავსებული იქნება პროვაიდერის სათავო ოფისი.
- პირს ეკრძალება იყოს პროვაიდერის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის.



3. ისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
4. თუ პროვაიდერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს 30 კალენდარული დღის ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და წარმოდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩერდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და წარმოდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად დადგენილ ვადაში ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარმოდგენლობა დაინტერესებული პირისათვის პროვაიდერად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.
5. ეროვნული ბანკი პროვაიდერის რეგისტრაციის მოთხოვნისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პროვაიდერის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.
6. ეროვნული ბანკი პროვაიდერის რეგისტრაციის თაობაზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება პროვაიდერის დასახელება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.
7. ეროვნული ბანკის მიერ პროვაიდერის „საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, მნიშვნელოვან პროვაიდერად აღიარების შემთხვევაში პროვაიდერი ვალდებულია დამატებით წარადგინოს ეროვნული ბანკის შესაბამისი წესით განსაზღვრული დოკუმენტაცია და დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები.
8. ეროვნული ბანკი აწარმოებს პროვაიდერების უწყებრივ სარეგისტრაციო რეესტრს ელექტრონული ფორმით და პროვაიდერის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მასში შეაქვს ინფორმაცია პროვაიდერის რეგისტრაციის თაობაზე.
9. პროვაიდერი, გარდა იმ პროვაიდერისა, რომელიც საგადახდო მომსახურებას ახორციელებს მხოლოდ მცირემოცულობიანი საგადახდო ინსტრუმენტებით, ვალდებულია რეგისტრაციის შესახებ განკარგულების გამოცემიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სააღრიცხვო ფორმის წარდგენა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამკვიცების თაობაზე“ საქართველოს მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანებით დადგენილი წესით.

### მუხლი 3. ცვლილებების რეგისტრაცია

1. პროვაიდერის დასახელების, სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის და/ან მნიშვნელოვანი წილის მფლობელების ცვლილების შემთხვევაში პროვაიდერი ვალდებულია ამ ცვლილებების განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ეროვნულ ბანკს.
2. ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროვაიდერის რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე და გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ეს ინფორმაცია შეიტანოს უწყებრივ სარეგისტრაციო რეესტრში.
3. პროვაიდერი ვალდებულია აცნობოს ეროვნულ ბანკს მის მიერ საგადახდო მომსახურების განწევასთან დაკავშირებით დაგეგმილი შემდეგი ცვლილებები:
  - ა) ახალი სახის საგადახდო მომსახურების განხორციელება ან არსებულის შეწყვეტა
  - ბ) წარმოდგენილი საგადახდო მომსახურების სქემის ცვლილება ან/და მისი შემადგენელი კომპონენტის (რგოლის) სხვა კომპონენტით (რგოლით) ჩანაცვლება;
4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პროვაიდერს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა და განუსაზღვროს პროვაიდერს 10 კალენდარული დღის ვადა აღნიშნული ინფორმაციის წარმოსადგენად.

### მუხლი 4. პროვაიდერის რეგისტრაციის გაუქმება

1. პროვაიდერის რეგისტრაცია გაუქმდება იმ შემთხვევაში, როდესაც:
  - ა) პროვაიდერი რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართავს ეროვნულ ბანკს;
  - ბ) განხორციელდა პროვაიდერის ლიკვიდაცია;
  - გ) ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის მიზნით წარდგენილ საბუთებში აღმოჩნდა სიყალბე ან არასწორი ინფორმაცია;
  - დ) უფლებამოსილი ორგანოსგან მიღებულია შეტყობინება მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან პროვაიდერის ამოღების თაობაზე;
  - ე) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და ვადაში ზედმიწევნით სამჭერ არ განხორციელდა ეროვნული ბანკისათვის ანგარიშგების წარდგენა; ხორციელდება „საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს

კანონის, ამ წესებისა და/ან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სისტემატური დარღვევა, მიუხედავად ეროვნული ბანკის მიერ ამ დარღვევების გამოსასწორებლად მიცემული მითითებებისა;

- 8) ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ დაუშვა შემონმებაზე ან ზედიზედ სამი თვის განმავლობაში არ დახვდა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე, რის გამოც ვერ განხორციელდა პროვაიდერის ადგილზე შემონმება;
  - თ) რეგისტრაციიდან 3 თვის განმავლობაში არ განახორციელა შესაბამისი საგადახდო მომსახურება;
  - ი) კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.
2. პროვაიდერის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და აქტის გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ინფორმაცია შეაქვს შესაბამის რეესტრში.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ე“-„ი“ ქვეპუნქტებით მითითებული საფუძვლებით საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, აღნიშნული პირის მფლობელს უფლება არ აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს შემდეგი 6 თვის განმავლობაში.
4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული ვადა შეამციროს დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

## მუხლი 5. ეროვნულ ბანკში წარსადგენი ინფორმაცია

პროვაიდერი ვალდებულია მიაწოდოს ეროვნულ ბანკს:

- ა) საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული ინფორმაცია;
- ბ) ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, მისი ფილიალების და სერვისცენტრების მისამართები, სადაც პროვაიდერი განახორციელებს საგადახდო მომსახურებას;
- გ) ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ინფორმაცია მისი აგენტების შესახებ, კერძოდ, აგენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი, ადგილმდებარეობა (მისამართი (მისამართები), სადაც აგენტი განახორციელებს საგადახდო მომსახურებას), საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი.

## დანართი N1

### საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სარეგისტრაციო ფორმა

1.	საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სახელწოდება	
2.	სამართლებრივი ფორმა	
3.	გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	
4.	იურიდიული მისამართი	
5.	საკონტაქტო ტელეფონები	
6.	ელექტრონული ფოსტის მისამართი	
7.	საბანკო რეკვიზიტები: (ბანკის (ბანკების) დასახელება და ანგარიშის ნომერი ამ ბანკში (ბანკებში))	

საგადახდო მომსახურების პროვაიდერის უფლებამოსილი პირი \_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

სარეგისტრაციო ფორმის საქართველოს ეროვნულ ბანკში გაგზავნის/ჩაბარების თარიღი: \_\_\_\_\_

## დანართი N2

### ფორმა 1. ინფორმაცია საგადახდო მომსახურების შესახებ (ბარდა ელექტრონული ფულით)

საგადახდო მომსახურების პროვაიდერის დასახელება \_\_\_\_\_

საანგარიშო თვე \_\_\_\_\_

ანგარიშგების წარდგენის თარიღი \_\_\_\_\_

1	საგადახდო მომსახურების განხორციელების ადგილების რაოდენობა საანგარიშო თვის ბოლოსთვის	
2	გადახდების რაოდენობა საანგარიშო თვის განმავლობაში	
3	გადახდების თანხა საანგარიშო თვის განმავლობაში	
4	საგადახდო მომსახურებიდან მიღებული საკომისიოს საერთო თანხა საანგარიშო თვის განმავლობაში	0
ა)	მიმღების მიერ გადახდილი საკომისიო	
ბ)	გადამხდელის მიერ გადახდილი საკომისიო	
5	გადახდების განხორციელების მიზნით პროვაიდერთან არსებული მომხმარებლის თანხები საანგარიშო თვის ბოლოსთვის	
6	პროვაიდერის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხა საანგარიშო თვის ბოლოსთვის (ლარებში)	

პასუხისმგებელი პირი: \_\_\_\_\_

საკონტაქტო ტელეფონი: \_\_\_\_\_

შენიშვნა

## ფორმა 2. ინფორმაცია ელექტრონული ფულის შესახებ

ელექტრონული ფულის პროვაიდერის დასახელება \_\_\_\_\_

საანგარიშო თვე \_\_\_\_\_

ანგარიშგების წარდგენის თარიღი \_\_\_\_\_

1	ელექტრონული ფულის მომსახურების ადგილების რაოდენობა საანგარიშო თვის ბოლოსთვის	
2	ელექტრონული ფულით გადახდების რაოდენობა საანგარიშო თვის განმავლობაში	
3	ელექტრონული ფულით გადახდების თანხა საანგარიშო თვის განმავლობაში	
4	ელექტრონული ფულით მომსახურებიდან მიღებული საკომისიოს საერთო თანხა საანგარიშო თვის განმავლობაში	0
ა)	მიმღების მიერ გადახდილი საკომისიო	
ბ)	გადამხდელის მიერ გადახდილი საკომისიო	
5	ელექტრონული საფულეების რაოდენობა	0
ა)	ფიზიკური პირების ელექტრონული საფულეების რაოდენობა	
ბ)	იურიდიული პირების ელექტრონული საფულეების რაოდენობა	
6	აქტიური (თვეში განხორციელდა მინ 1 ოპერაცია) ელ. საფულეების რაოდენობა	0
ა)	ფიზიკური პირების აქტიური ელექტრონული საფულეების რაოდენობა	
ბ)	იურიდიული პირების აქტიური ელექტრონული საფულეების რაოდენობა	
7	გამოშვებული ელექტრონული ფულის მოცულობა საანგარიშო თვის ბოლოსთვის	0
ა)	ფიზიკური პირების ელ. საფულეებში ელექტრონული ფულის მოცულობა	
ბ)	იურიდიული პირების ელ. საფულეებში ელექტრონული ფულის მოცულობა	
8	პროვაიდერის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხა საანგარიშო თვის ბოლოსთვის (ლარებში)	0
ა)	პროვაიდერის საკუთარი ფულადი სახსრები	
ბ)	პროვაიდერთან არსებული მომხმარებლის ფულადი სახსრები	

პასუხისმგებელი პირი: \_\_\_\_\_

საკონტაქტო ტელეფონი: \_\_\_\_\_

შენიშვნა

## 4.7 საგადახდო სისტემის ოპერატორის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს საგადახდო სისტემის ოპერატორის (შემდგომში – ოპერატორი) საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების პროცედურებს და პირობებს.
- ოპერატორს აქვს უფლება საქართველოს ტერიტორიაზე განახორციელოს საგადახდო სისტემის მართვა მხოლოდ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ.
- ამ წესის მოთხოვნები არ ვრცელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პირობებზე.

### მუხლი 2. ოპერატორის რეგისტრაციის პირობები

- ოპერატორი რეგისტრაციისათვის ეროვნულ ბანკში წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:
  - ოპერატორის სარეგისტრაციო ფორმა (დანართი N1);
  - ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; ინფორმაცია ოპერატორის განცხადებული ან შევსებული კაპიტალის 10 პროცენტი ან 10 პროცენტზე მეტი წილის (შემდგომში მნიშვნელოვანი წილის) მფლობელების შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი, იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან);
  - ინფორმაცია ოპერატორის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ, მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებთან ერთად;
  - ცნობა ოპერატორის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ნასამართლობის შესახებ;
  - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის, ან საკუთრების უფლებას, სადაც განთავსებული იქნება ოპერატორის სათავო ოფისი;
  - სისტემის წესები;
  - საგადახდო სისტემის ანგარიშსწორების აგენტე-

- ბის სია, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სისტემის მონაწილეთა შორის ანგარიშსწორება;
- საგადახდო სისტემის სქემატური აღწერა, რომელიც მოიცავს ტრანსფერ-ორდერის ინიცირებიდან სისტემის მონაწილეთა შორის ანგარიშსწორებამდე შემადგენელ ყველა ეტაპს;
- სხვა პირის მართვაში მყოფი საგადახდო სისტემის კომპონენტების (ფუნქციონალის) ჩამონათვალი, ამ პირების სახელწოდებების, იურიდიული მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;
- პირს ევრძალეა იყოს ოპერატორის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
- თუ ოპერატორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს 30 კალენდარული დღის ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და წარმოდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩერდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და წარმოდგენილი მონაცემების დასაზუსტებლად დადგენილ ვადაში ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარმოდგენლობა დაინტერესებული პირისათვის ოპერატორად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.
- ეროვნული ბანკი ოპერატორის რეგისტრაციის მოთხოვნისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ოპერატორის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.
- ეროვნული ბანკი ოპერატორის რეგისტრაციის თაობაზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება ოპერატორის დასახელება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ პირს.
- ეროვნული ბანკის მიერ ოპერატორის მიერ მართული სისტემის „საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მნიშვნელოვან სისტემად აღიარების შემთხვევაში ოპერატორი ვალდებულია დამატებით წარადგინოს ეროვნული ბანკის შესაბამისი წესით განსაზღვრუ-

ლი დოკუმენტაცია და დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები.

8. ეროვნული ბანკი აწარმოებს ოპერატორების უწყებრივ სარეგისტრაციო რეესტრს ელექტრონული ფორმით და ოპერატორის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მასში შეაქვს ინფორმაცია ოპერატორის რეგისტრაციის თაობაზე.

### მუხლი 3. ცვლილებების რეგისტრაცია

1. ოპერატორის დასახელების, სამართლებრივი ფორმის, იურიდიული მისამართის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის და/ან მნიშვნელოვანი წილის მფლობელების ცვლილების შემთხვევაში ოპერატორი ვალდებულია ამ ცვლილებების განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ეროვნულ ბანკს.
2. ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ოპერატორის რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე და გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ეს ინფორმაცია შეიტანოს უწყებრივ სარეგისტრაციო რეესტრში.
3. ოპერატორი ვალდებულია აცნობოს ეროვნულ ბანკს მის მიერ საგადახდო სისტემის მართვასთან დაკავშირებით დაგეგმილი შემდეგი ცვლილებები:
  - ა) სისტემის წესებში განსახორციელებელი ცვლილებები;
  - ბ) წარმოდგენილი საგადახდო სისტემის სქემის ცვლილება;
  - გ) საგადახდო სისტემის რომელიმე კომპონენტის (ფუნქციონალის) სხვა პირის მართვაში გადაცემა;
  - დ) ახალი მონაწილის დამატება;
  - ე) ახალი საგადახდო სისტემის დანერგვა.
4. ოპერატორი ვალდებულია შეძლებისდაგვარად მოკლე დროში აცნობოს ეროვნულ ბანკს მისი სისტემის მონაწილის მონაწილეობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ.
5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ოპერატორს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა და განუსაზღვროს ოპერატორის 10 კალენდარული დღის ვადა აღნიშნული ინფორმაციის წარმოსადგენად.

### მუხლი 4. ოპერატორის რეგისტრაციის გაუქმება

1. ოპერატორის რეგისტრაცია გაუქმდება იმ შემთხვევაში, როდესაც:
  - ა) ოპერატორი რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართავს ეროვნულ ბანკს;
  - ბ) განხორციელდა ოპერატორის ლიკვიდაცია ან შეწყდა საგადახდო სისტემის ფუნქციონირება;
  - გ) ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის მიზნით წარდგე-

ნილ საბუთებში აღმოჩნდა სიყალბე ან არასწორი ინფორმაცია;

- დ) უფლებამოსილი ორგანოსგან მიღებულია შეტყობინება მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ოპერატორის ამოღების თაობაზე;
  - ე) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და ვადაში ზედიზედ სამჯერ არ განხორციელდა ეროვნული ბანკისათვის ანგარიშგების წარდგენა;
  - ვ) ხორციელდება „საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესებისა და/ან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სისტემატური დარღვევა, მიუხედავად ეროვნული ბანკის მიერ ამ დარღვევების გამოსასწორებლად მიცემული მითითებებისა;
  - ზ) ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ დაუშვა შემონმებაზე ან ზედიზედ სამი თვის განმავლობაში არ დახვდა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე, რის გამოც ვერ განხორციელდა ოპერატორის ადგილზე შემონმება;
  - თ) რეგისტრაციიდან 6 თვის განმავლობაში არ იქნა მიღებული ექსპლოატაციაში შესაბამისი საგადახდო სისტემა;
  - ი) კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.
2. ოპერატორის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და აქტის გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ინფორმაცია შეაქვს შესაბამის რეესტრში.
  3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ე“-„ი“ ქვეპუნქტებით მითითებული საფუძვლებით ოპერატორის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, აღნიშნული პირის მფლობელს უფლება არ აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკს ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართოს შემდეგი 6 თვის განმავლობაში.

### მუხლი 5. სისტემის წესები

საგადახდო სისტემის მუშაობა განისაზღვრება ოპერატორის მიერ შემუშავებული სისტემის წესებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- ა) ნათლად და არაორაზროვნად განსაზღვრავდეს სისტემაში მონაწილეობის პირობებსა და მოთხოვნებს, ასევე სისტემაში მონაწილეობის შეჩერებისა და გაუქმების პირობებს;
- ბ) ასახავდეს ოპერატორისა და სისტემის მონაწილეობის უფლებებსა და მოვალეობებს;
- გ) მოიცავდეს საგადახდო სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპების, სისტემის ძირითადი კომპონენტების და ფუნქციონალის აღწერას;
- დ) განსაზღვრავდეს მონაწილეთა შორის ანგარიშსწორების განხორციელების მექანიზმებს;
- ე) შეიცავდეს საგადახდო სისტემის უსაფრთხოების ზომებს.

**მუხლი 6. ეროვნულ ბანკში წარსადგენი ინფორმაცია**

ოპერატორი ვალდებულია მიანოდოს ეროვნულ ბანკს:

ა) საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული ინფორმაცია;

ბ) ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე საგადახდო სისტემის პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეების სრული სია მათი სახელწოდების, იურიდიული მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის ჩათვლით.

**დანართი N1**

**საგადახდო სისტემის ოპერატორის სარეგისტრაციო ფორმა**

1.	საგადახდო სისტემის ოპერატორის სახელწოდება	
2.	სამართლებრივი ფორმა	
3.	გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	
4.	იურიდიული მისამართი	
5.	საკონტაქტო ტელეფონები	
6.	ელექტრონული ფოსტის მისამართი	
7.	საბანკო რეკვიზიტები: (ბანკის (ბანკების) დასახელება და ანგარიშის ნომერი ამ ბანკში (ბანკებში))	

საგადახდო მომსახურების პროვაიდერის უფლებამოსილი პირი \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

სარეგისტრაციო ფორმის საქართველოს ეროვნულ ბანკში გაგზავნის/ჩაბარების თარიღი: \_\_\_\_\_

## დანართი N2

### ფორმა 1. ინფორმაცია საგადახდო სისტემაში განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ

საგადახდო სისტემის ოპერატორი: \_\_\_\_\_

საგადახდო სისტემა: \_\_\_\_\_

საანგარიშო თვე \_\_\_\_\_

ანგარიშგების წარდგენის თარიღი \_\_\_\_\_

		რაოდენობა	თანხა
1	საგადახდო სისტემის მონაწილეების მიერ ერთმანეთთან (საგადახდო სისტემის შიგნით) განხორციელებული ტრანზაქციები (გროს პრინციპით)		
2	საგადახდო სისტემის მონაწილეების მიერ სისტემის გარეთ განხორციელებული ტრანზაქციები (გადარიცხვები)	-	-
ა)	ქვეყნის შიგნით		
ბ)	ქვეყნის გარეთ		
3	საგადახდო სისტემის მონაწილეების მიერ სისტემის გარედან მიღებული ტრანზაქციები (ჩარიცხვები)	-	-
ა)	ქვეყნის შიგნით		
ბ)	ქვეყნის გარეთ		
	საგადახდო სისტემის მონაწილეთა რაოდენობა		

პასუხისმგებელი პირი: \_\_\_\_\_

საკონტაქტო ტელეფონი: \_\_\_\_\_

შენიშვნა



---

## 5 საკასო-საემისიო საქმიანობა

5.1 კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი	481
5.2 ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების წესი	500
5.3 ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების შესყიდვის წესი	502
5.4 ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მათი მიღება-გამოცვლის წესი	509
5.5 მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაციის წესი	510
5.6 ლარის ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაციის წესი	517
5.7 ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირების წესი	520
5.8 ლარის ბანკნოტებისა და მონეტების განადგურების წესი	521

## 5.1 კომერციულ ბანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი, ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკებისა და მათი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებისათვის (შემდგომში – კომერციული ბანკი) ნაღდ ფულსა (როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტა) და სხვა ფასეულობასთან (ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაწარმი, მკაცრი აღრიცხვის ბლანკები) დაკავშირებული ოპერაციების წარმოების ზოგად წესებს.
- კომერციული ბანკი ვალდებულია, ამ წესის შესაბამისად შეიმუშაოს დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციებით დაკავებულ პირთა ფუნქციებს, პასუხისმგებლობას, ასევე უზრუნველყოფენ ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ცალკეული ოპერაციების კონკრეტიზაციას და საანგარიშსწორებო/სააღრიცხვო რისკების მართვას.
- კომერციული ბანკი, რომელიც თავის საბანკო ოპერაციებში იყენებს ელექტრონულ ხელმოწერას, ვალდებულია შეიმუშაოს დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ წესის შესაბამისად მოთხოვნილ ზოგადი წესების დაცვას, ისე რომ შენარჩუნებულ იქნეს ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობებთან დაკავშირებული ცალკეული ოპერაციების კონკრეტიზაცია და საანგარიშსწორებო/სააღრიცხვო რისკების მართვის ის ხარისხი, რაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ამ ოპერაციის განხორციელებისას მატერიალურ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის გამოყენების შემთხვევაში.
- კომერციულ ბანკში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემის სამუშაო რეჟიმს კონკრეტული ერთეულისათვის განსაზღვრავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა.
- კომერციული ბანკის ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, უნდა აკმაყოფილებდნენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დაცვისა და უსაფრთხოების პირობებს, რომელიც განისაზღვრება კომერციული ბანკის ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილ სამსახურთან შეთანხმებით. კომერციული ბანკის მიერ ფასეულობის დაზღვევის შემთხვევაში კი აღნიშნული პირობები განისაზღვრება, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილ სამსახურთან, ისე სადაზღვევო ორგანიზა-

ციასთან შეთანხმებით. კომერციული ბანკების დაცვა უნდა განხორციელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილ სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

- ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების შესასრულებლად სალაროს კვანძის მოწყობა რეკომენდებულია განხორციელდეს ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
- კომერციულ ბანკს შეუძლია განახორციელოს საკუთარი და ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტურის ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობის გადაზიდვების ოპერაციები საკუთარი ან სხვა საინკასაციო სამსახურების საშუალებით, ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
- ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან მომუშავე პირების მატერიალური პასუხისმგებლობა განისაზღვრება კომერციული ბანკის ხელმძღვანელობასა და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
- ნაღდი ფულადი ოპერაციების განხორციელებისას კომერციული ბანკი ვალდებულია იხელმძღვანელოს ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – საქართველოს ეროვნული ბანკი) მიერ დადგენილი წესებითა და დირექტივებით.
- კომერციულ ბანკებში ლარის ბანკნოტების და მონეტების დამუშავება–დახარისხებაზე კონტროლს, ასევე ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების შემოწმებას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.
- კომერციული ბანკი ვალდებულია:
  - ყოველგვარი შეფერხებისა და საზღაურის გარეშე უზრუნველყოს ლარის ბანკნოტების და მონეტების გამოცვლა ან გადაცვლა სხვა ნომინალის ლარის ბანკნოტებზე ან მონეტებზე (გარდა ყალბი ან/და გადასახდელად უვარგისი ლარის ბანკნოტების და მონეტებისა).
  - ანგარიშსწორება განახორციელოს ერთი თეთრის სიზუსტით.
  - ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციები აღრიცხოს კონტროლის მექანიზმის შემცველი პროგრამული უზრუნველყოფით, სადაც დაცული უნდა იყოს ზუსტი აღრიცხვიანობის, ოპერატიულობის, თანმიმდევრულობისა და ყოველდღიურობის პრინციპი ისე, რომ შესაძლებელი იყოს ოპერაციის იდენტიფიცირება მის ყოველ ეტაპზე.
- საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან, ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებს შემდგომი სახის ოპერაციებს:
  - ნაღდი ფულის გაცემას მათ საკასო მომსახურების ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში;
  - ნაღდი ფულის მიღებას საკორესპოდენტო ანგარიშზე ასახვის მიზნით;
  - მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემას, ასევე გაუქმებული ან გამოუყენებელი ფორმების მიღებას.
  - მათ მიერ გამოვლენილი საეჭვო ფულის ნიშნების მიღებას ექსპერტიზის მიზნით.

12. საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს კომერციული ბანკიდან საექსპერტოდ მიღებული ეროვნული ვალუტის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობისა და ნამდვილობის დადგენას, ხოლო უცხოურ ვალუტაზე – მხოლოდ ნამდვილობის დადგენას.
13. ეროვნულ ბანკი კომერციული ბანკის მომსახურების მიზნით, უზრუნველყოფს კომერციული ბანკის მომხმარებლის სახელისა და პაროლის რეგისტრაციას „ნაღდი ფულის და ფასეულობის შესახებ განაცხადების რეგისტრაციის სისტემაში“ (შემდგომში – „განაცხადების რეგისტრაციის სისტემა“).
14. კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის „განაცხადების რეგისტრაციის სისტემაში“ მისთვის რეგისტრირებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის დაცვა. „განაცხადების რეგისტრაციის სისტემაში“ კომერციული ბანკის მომხმარებლის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კომერციულ ბანკს.
15. კომერციული ბანკი ეროვნულ ბანკს წინასწარ, წერილობითი ფორმით, უგზავნის ინფორმაციას იმ უფლებამოსილი პირებისა და ავტომატური შესახებ, რომელთა მეშვეობით ეროვნულ ბანკში ან საქართველოს ეროვნული ბანკიდან განხორციელდება ნაღდი ფულისა და ფასეულობის ინკასირება. ასევე ექსპერტიზის შედეგად დადგენილი ნამდვილი უცხოური, გადასახდელად უვარგისი ეროვნული და შემოტანილი უცხოური ვალუტის გადათვლის შედეგად გამოვლენილი მოძველებული ფულის ნიშნების გატანის შესახებ მინდობილობის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის სახელს, გვარს და ხელმოწერის ნიმუშს. კომერციული ბანკი ვალდებულია მონოტოპოლი ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილება აცნობოს ეროვნულ ბანკს.
16. რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ კომერციული ბანკისათვის მართვის მონაწილობის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული პირადი ნომრის შემცველი ოფიციალური დოკუმენტის წარდგენისას კომერციული ბანკი ვალდებულია, ფიზიკური პირის მოთხოვნის შემთხვევაში, კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვებული თანხმობის საფუძველზე, ამ წესით გათვალისწინებული იდენტიფიკაცია განხორციელოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული პერსონალური მონაცემების საფუძველზე.

**მუხლი 2. კომერციული ბანკის სალაროს კვანძის მონყობა და ტექნიკური გამაგრება**

1. კომერციული ბანკის სალაროს კვანძი მოიცავს ფასეულობათა საცავს, სალაროებს, გადათვლისა და ინკასატორთაგან ფულის მიღება-გაცემის ოთახებს. ცალკეული ერთეულისათვის დაკისრებული ფუნქციებისა და სამუშაოს შინაარსიდან გამომდინარე, სალაროს კვანძში ფასეულობათა საცავის, გადათვლისა და ინკასატორთაგან ფულის მიღება-გაცემის სათავსოს მონყობის აუცილებლობას განსაზღვრავს კომერციული ბანკის ხელმძღვან-

- ელობა.
2. სალაროს კვანძი უნდა განთავსდეს კომერციული ბანკის სხვა სათავსებისაგან იზოლირებულად ისე, რომ გამოირიცხოს მასში იმ პირების შესვლის შესაძლებლობა, რომლებიც სალაროს ქვედანაყოფის თანამშრომლებად არ ითვლებიან. ფასეულობათა საცავის გარსი არ უნდა ესაზღვრებოდეს გარე სივრცეს ან სხვა შენობას და მისი სიმტკიცე უნდა შეესაბამებოდეს არანაკლებ მე-5 კლასს (ცხრილი 3 ნოტ 50862-96 „ფასეულობათა სეიფები და საცავები. სიმტკიცისა და ცეცხლგამძლეობის მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები“). იმ შემთხვევაში, თუ იგი ესაზღვრება გარე სივრცეს ან სხვა შენობას, საცავის გარსი უნდა აღჭურვოს დაცვის დამატებითი სიგნალიზაციის საშუალებებით.
3. სალაროს მუშაკის სამუშაო ფართობი კლიენტისაგან გამოიყოფა ტყვიაგაუმტარი მინის სარკმლისა და ფულის გადასაცემი მონყობილობის (ხონჩა ან ბუნკერი) შემცველი ტიხრით (ისე, რომ შესაძლებელი იყოს კლიენტის მიერ ფულის გადათვლის ვიზუალური კონტროლი), რომლის სიმტკიცის კლასი უნდა იყოს არანაკლები ტყვიაგაუმტარი მუშისა. სალაროს მუშაკების სამუშაო ფართობი ერთმანეთისგან გამოიყოფა ტიხრით.
4. სალაროს კვანძში შესასვლელი კარი და ტყვიაგაუმტარი მინა უნდა შეესაბამებოდეს სიმტკიცის არანაკლებ მე-3 კლასს (ცხრილი 3 ნოტ 50862-96 „ფასეულობათა სეიფები და საცავები. სიმტკიცისა და ცეცხლგამძლეობის მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები“). ფასეულობათა საცავის კარები უნდა იყოს ჭავჭავიანი და თავისი სიმტკიცის კლასით უნდა შეესაბამებოდეს საცავის გარსის სიმტკიცის კლასს. ჭავჭავიანი კარები იკეტება არანაკლებ ორი საკეტით. ჭავჭავიანი კარების გარდა საცავის კარის ჭრილში ყენდება ცხურის კარი, რომელიც იღება შიგნით და იკეტება ორივე მხრიდან.
5. სალაროს კვანძის მონყობისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ევროსტანდარტებით დადგენილი ნორმები.
6. ცალკეული ერთეულის სპეციფიკიდან და დაცულობიდან გამომდინარე, სალაროსა და კლიენტს შორის არასრული იზოლაციისა და მათი ერთ დარბაზში განთავსების მიზანშეწონილობას, ასეთ პირობებში ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების უსაფრთხოდ განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე შესაბამისი დაცვის საშუალების დასკვნის საფუძველზე, განსაზღვრავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა.

**მუხლი 3. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის საინკასაციო სამსახური**

1. საინკასაციო მომსახურების განსახორციელებლად საინკასაციო სამსახური უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნებით, მაშუქი და ხმოვანი სასიგნალო საშუალებებით, რადიოკავშირით, ინკასატორთა უსაფრთხოებისა და გადასატანი ფასეულობების დაცვის საშუალებებით აღჭურვილი დაჭავჭავიანი ავტოტრანსპორტით.
2. ინკასაციის თანამშრომლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეციალური აღჭურვილობითა და

იარაღით, მათი უსაფრთხოებისათვის აუცილებელი დაცვის ინდივიდუალური საშუალებებით (ჭავჭავილეტები და სხვ.).

- საინკასაციო სამსახურის თანამშრომლები უნდა იყვნენ სათანადოდ ჯანმრთელნი, უნდა ჰქონდეთ გავლილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში შემოწმება და სპეციალური მომზადების კურსები, ასევე ნებაართვა იარაღის ტარებასა და შენახვაზე.

#### მუხლი 4. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემა

- სალაროში ნაღდი ფულის და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემისას გამოყენებული დოკუმენტები (შემოსავალ-გასავლის საბუთები და სხვა) უნდა იძლეოდეს მომსახურე ბანკის, კოდის, ანგარიშის ნომრების, მიღებული და გაცემული თანხის (ციფრებით და სიტყვებით) ან სხვა ფასეულობის (აღწერილობით), ოპერაციის დანიშნულების და თარიღის დადგენის საშუალებას, ხოლო კლიენტის იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
- ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მომსახურე ბანკის დასახელებას, გაყიდული ან შეძენილი ვალუტის დასახელებას, ოდენობას (სიტყვებით და ციფრებით), თარიღს, ხოლო კლიენტის იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
- იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის შესრულებისას „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კლიენტის იდენტიფიკაცია სავალდებულო არაა, კონვერტაციის ოპერაციები შესაძლებელია აღირიცხოს რეესტრში, ცალ-ცალკე ოპერაციების მიხედვით.
- ნაღდი ფულის მიღების, გაცემის, ვალუტის გადაცვლის და სხვა მსგავსი ტიპის დოკუმენტი დგება მინიმუმ ერთ ეგზემპლარად (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტისა).
- ნაღდი ფულის მიღების, გაცემის, ვალუტის გადაცვლის და სხვა მსგავსი ტიპის დამონებული დოკუმენტის ერთი ეგზემპლარის კლიენტზე გადაცემა ხორციელდება მოთხოვნის შემთხვევაში.
- ბანკს შეუძლია ნაღდი ფულის გაცემის ოპერაციები განახორციელოს მკაცრი აღრიცხვის ბლანკების მეშვეობით, რომელთა დამზადების, შენახვის, გამოყენების და ექსპერტიზა-უტილიზაციის წესები რეგულირდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- იურიდიულ პირებს შეუძლიათ ნაღდი ფული შეიტანონ მხოლოდ საკუთარ ანგარიშზე.
- დაუშვებელია კლიენტის მიერ სალაროში ფულის შემოტანის გარეშე თანხის მის ანგარიშზე ასახვა თანხის იმავდროულად გატანის მიზნით.
- ნაღდი ფულის ინკასირების მიზნით, კლიენტისაგან

დავალების (განაცხადის) მიღება შესაძლებელია დაცული ფორმის ელექტრონული (ინტერნეტ-ბანკი, ბანკი-კლიენტი და სხვა) საშუალებებით. ინკასაციის პროცესში თანხის მიღება-გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება ხდება ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

- ბანკს შეუძლია ნაღდი ფულთან დაკავშირებული ოპერაციები განახორციელოს ბანკომატისა და ფულის მიღება-გაცემის სხვა ალტერნატიული ავტომატური მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც უნდა იძლეოდეს ამონაბეჭდს, როგორც კლიენტისათვის გაცემული თანხის ოდენობის, ისე არსებული და ჩატვირთული ნაღდი ფულის ოდენობის შესახებ.
- კლიენტის მიერ შემოტანილი ნაღდი ფულის გადათვლისას ზედმეტობა-დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში ზედმეტობა უბრუნდება კლიენტს ან ჩაირიცხება მის ანგარიშზე, ხოლო გამოვლენილი დანაკლისის თანხა არ ექვემდებარება ანგარიშზე ასახვას.
- კლიენტის მიერ შემოტანილ ფულში ან ინკასირებულ (მათ შორის დაქვემდებარებული ობიექტებიდან) ნაღდი ფულიან ჩანთებში საეჭვო ფულის (რომელთა ნამდვილობისა და გადასახდელად ვარგისობის დადგენა ვერ ხერხდება ადგილზე) გამოვლენის შემთხვევაში, დგება ცნობა (შესაბამისად დანართი N1 ან დანართი N2) სამ პირად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი – ეძლევა კლიენტს (ან დაქვემდებარებულ ობიექტს), მეორე – რჩება სალაროს, მესამე – ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს შემდგომი რეაგირებისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკი ექსპერტიზის შედეგებს 15 დღის განმავლობაში ატყობინებს კომერციულ ბანკს. ექსპერტიზის შედეგად:
  - ნამდვილი და გადასახდელად ვარგისი ფულის ნიშნის გამოვლენისას შესაბამისი თანხა უნაზღაურდება კლიენტს, ხოლო ყალბი და/ან გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება.
  - ყალბი ფულის ნიშანი რჩება ეროვნულ ბანკში, ხოლო გადასახდელად უვარგისი – კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება კლიენტს.
  - იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება კლიენტისათვის გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნის დაბრუნება, კომერციული ბანკი ფულის ნიშანს საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული ცნობის (შესაბამისად დანართი N1 ან დანართი N2) ქსეროასლთან ერთად უბრუნებს ეროვნულ ბანკს. ცნობაში კომენტარის სახით მითითებული უნდა იქნეს დაუბრუნებლობის მიზეზი, რაც უნდა დადასტურდეს კომერციული ბანკის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.
  - თუ კლიენტი უარს აცხადებს გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნის მიღებაზე, კომერციული ბანკის პასუხისმგებელი პირი ფულის ნიშანს საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული ცნობის (შესაბამისად დანართი N1 ან დანართი N2) ქსეროასლთან ერთად უბრუნებს საქართველოს ეროვნულ ბანკს. ცნობაში კომენტარის სახით მითითებული უნდა იქნეს დაუბრუნებლობის მიზეზი, რაც დასტურდება კომერციული ბანკის პა-

13. სუხისმგებელი პირის და კლიენტის ხელმოწერებით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ ადგილზე ხდება ფულის ნიშნის გადასახდელად უვარგისად ცნობა, ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება:
- ა) კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი უბრუნდება კლიენტს. კომერციული ბანკის მიერ დგება ცნობა (დანართი N3) ორ ეგზემპლარად, რომელიც ხელმოწერით დასტურდება ორივე მხარის მიერ. ცნობის ერთი ეგზემპლარი ფულის ნიშანთან ერთად გადაეცემა კლიენტს, ხოლო მეორე – რჩება კომერციულს ბანკს;
  - ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მფლობელისათვის ფულის ნიშნის დაბრუნება კომერციული ბანკის მიერ დგება ცნობა (დანართი N3) ორ პირად, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება სალაროს, მეორე – ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს. ცნობაში კომენტარის სახით მითითებული უნდა იქნეს დაუბრუნებლობის მიზეზი, რაც უნდა დადასტურდეს კომერციული ბანკის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.
  - გ) თუ კლიენტი უარს აცხადებს გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნის მიღებაზე, კომერციული ბანკის მიერ დგება ცნობა (დანართი N3) სამ პირად, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კლიენტს, მეორე რჩება სალაროს, მესამე – ფულის ნიშანთან ერთად ეგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკს. ცნობაში კომენტარის სახით მითითებული უნდა იქნეს დაუბრუნებლობის მიზეზი, რაც უნდა დადასტურდეს კომერციული ბანკის პასუხისმგებელი პირისა და კლიენტის ხელმოწერებით.
  - დ) იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში გაგზავნილი გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი ექსპერტიზის შედეგად აღმოჩნდა ვარგისი, შესაბამისი თანხა ექვემდებარება კლიენტისათვის ანაზღაურებას.
14. კლიენტს უფლება აქვს კომერციული ბანკის სალაროდან მიღებული ნაღდი ფული გადაითვალოს ფურცლობით და ცალობით პასუხისმგებელი მუშაკის თანდასწრებით. მიღებული ფულის გადათვლისას დანაკლისი ანაზღაურდება, ხოლო ზედმეტობა ფორმირებული ფულის შემთხვევაში ჩაირიცხება ბანკის შესაბამის ანგარიშზე, არაფორმირებული ფულის შემთხვევაში – უბრუნდება სალაროს.
15. კლიენტის მიერ ფულის გადაუთვლელობის შემთხვევაში კომერციული ბანკი არ არის ვალდებული დააკმაყოფილოს მისი პრეტენზია დანაკლისის ანაზღაურების თაობაზე.

### მუხლი 5. ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირებისა და შეფუთვის წესი

1. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო სისტემაში მოქმედებს ამ მუხლში მოცემული ნაღდი ფულის (ბანკნოტებისა და მონეტების) ფორმირებისა და შეფუთვის ერთიანი წესი.
2. ბანკნოტებისა და მონეტების დახარისხება ხდება ვალუტების, ნომინალებისა და ვარგისობის კატეგორიების მიხედვით ცალ-ცალკე.
3. ფულის ნიშნების შეფუთვა ხდება პოლიეთილენის

პაკეტებში და მათ ფორმირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მფორმირებელ მოლარეს (ბრიგადული სისტემის შემთხვევაში – მფორმირებელ ბრიგადას).

4. ბანკნოტების ფორმირება ხდება ნომინალების მიხედვით, ნეკნებად და კონებად. ერთი ნეკნი შეიცავს ერთი და იმავე ნომინალის ას ფურცელს, ხოლო ერთი კონა ათ ნეკნს. მონეტების ფორმირება ხდება ნომინალების მიხედვით. ერთ პაკეტში მოთავსებული ეროვნული ვალუტის მონეტების მაქსიმალური რაოდენობა ნომინალების მიხედვით უნდა იყოს: 1 თეთრი – 2000 ცალი, 2 თეთრი – 1500 ცალი, 5 თეთრი – 1000 ცალი, 10 თეთრი – 1000 ცალი, 20 თეთრი – 800 ცალი, 50 თეთრი – 500 ცალი, 1 ლარი – 500 ცალი, 2 ლარი – 500 ცალი, 10 ლარი – 500 ცალი.
5. ერთი და იმავე ნომინალის ბანკნოტების სრული ნეკნები, რომელთაგან სრული კონების ფორმირება არ ხერხდება, შეიძლება შეიფუთოს არასრულ კონებად, რომლის ეტიკეტზე (ზედსადებზე) დამატებით აღინიშნება წარწერა „არასრული“.
6. სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტების სრული და არასრული ნეკნები შეიძლება დაფორმირდეს ნაკრებ კონებად, რომლის თითოეული ნეკნი არ უნდა შეიცავდეს ასზე მეტ ფურცელს. ნაკრები კონების ეტიკეტზე (ზედსადებზე) დამატებით აღინიშნება წარწერა „ნაკრები“.
7. მონეტების ფორმირება შესაძლებელია არასრულ და ნაკრებ პაკეტებად, რაზედაც შესაბამისად მითითება წარწერა – „არასრული“ ან „ნაკრები“.
8. ბანკნოტების კონებისა და მონეტების პაკეტის ეტიკეტზე (ზედსადებზე) უნდა მიეთითოს ვალუტის დასახელება, ნომინალი, ბანკნოტების/მონეტების რაოდენობა, მთლიანი თანხა (ნაკრების შემთხვევაში დამატებით – თანხა ნომინალების მიხედვით), შეფუთვის თარიღი, მფორმირებელი პირის ხელმოწერა, ბანკის დასახელება და კოდი, ასევე შესაძლებელია მფორმირებელი პირის სახელის, გვარის ან რიგითი ნომრის (ბრიგადის ნომრის) მითითება.
9. ბანკნოტებისა და მონეტების პოლიეთილენის პაკეტით შეფუთვა ხდება პაკეტის შედუღებით, რომლის ნაკვეთზეც ისმება კლიშეს ანაბეჭდი შემდეგი რეკვიზიტებით: ბანკის დასახელება და კოდი.

### მუხლი 6. ნაღდი ფულადი ოპერაციებისათვის საჭირო ბეჭდები, შტამპები და დასალუქი საშუალებები

1. კომერციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ ნაღდი ფულადი ოპერაციებისათვის საჭირო ბეჭდები, შტამპები და დასალუქი საშუალებები.
2. ნაღდი ფულის ფორმირებისათვის საჭირო შტამპებზე უნდა აღინიშნებოდეს კომერციული ბანკის დასახელება, კოდი, ასევე შესაძლებელია მოლარის გვარის და სახელის ან რიგითი ნომრის (ბრიგადის ნომრის) მითითება.
3. დასალუქი საშუალებებზე უნდა იკითხებოდეს რიგითი ნომერი, ბანკის კოდი ან დასახელება.
4. ფულადი საბუთების გასაფორმებელ ბეჭდებზე უნ-

და აღინიშნებოდეს ბანკის დასახელება, კოდი, ას-  
ვევ შესაძლებელია სალაროს ტიპის და რიგითი  
ნომრის აღნიშვნა.

5. ინკასატორთათვის გამოსაყენებელ შტამპებზე უნ-  
და იკითხებოდეს ბანკის დასახელება, კოდი, ინკა-  
სატორის გვარი და სახელი ან რიგითი ნომერი.
6. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ დაამზადონ შტამ-  
პები წარწერით: „მოძველებული“, „ნაკრები“, „არა-  
სრული“ „საკონტროლო გადათვლა“, თარიღი და  
სხვა.

## მუხლი 7. ნაღდი ფულის გადასატანი კონტეინერის მახასიათებლები და ფორმირება

1. ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკებიდან ნაღ-  
დი ფულის მიღება და საქართველოს ეროვნული  
ბანკიდან კომერციულ ბანკზე ნაღდი ფულის გაცე-  
მა ხორციელდება კონტეინერების მეშვეობით.
2. კონტეინერის კონსტრუქცია უნდა პასუხობდეს შემ-  
დეგ მოთხოვნებს:
  - ა) კონტეინერის შიდა ზომა უნდა იყოს 345.5X345.5X-  
185მმ, ხოლო გარე ზომა-395X395X200მმ;
  - ბ) ცარიელი კონტეინერის წონა არ უნდა აღემატე-  
ბოდეს 5 კილოგრამს, ხოლო დატვირთული კონ-  
ტეინერი უნდა უძლებდეს მასში განთავსებული 35  
კილოგრამი ტვირთის წონას;
  - გ) კონტეინერს უნდა გააჩნდეს ისეთი ფორმა, რომე-  
ლიც გამოირიცხავს მათი ერთმანეთზე დაწყობის  
შემთხვევაში დაცურება/გადმოვარდნის შესაძლე-  
ბლობას, უზრუნველყოფდეს 15 გრადუსამდე კუ-  
თხით დახრილ სიბრტყეზე მათ ერთმანეთზე დაწყ-  
ობას და მათი ერთმანეთზე დაწყობის შემთხვევაში  
300 კილოგრამამდე დატვირთვას;
  - დ) კონტეინერი უნდა დამზადდეს მაღალი მდგრადო-  
ბის ალუმინის ფურცლებისაგან, სპეციალური პრე-  
სის მეშვეობით და მისი კონსტრუქცია უნდა გამორ-  
იცხავდეს მანიპულაციის/დაზიანების გარეშე მის  
შიდა სივრცეში მოხვედრის შესაძლებლობას;
  - ე) კონტეინერის კუთხეები და გვერდითა ზედაპირ-  
ები უნდა იყოს მომრგვალებული. სახურავი უნდა  
იხსნებოდეს გარეთა მხრიდან. კონტეინერის შიდა  
ზედაპირები უნდა იყოს პოლირებული, რათა მას-  
ში ფულის ჩაწყობისა და ამოღების დროს ხახ-  
უნსა და წინააღმდეგობას არ ჰქონდეს ადგილი.  
გამოყენებული მოქლონვის დროს მისი თავის  
ზომა არ უნდა აღემატებოდეს 2.5 მმ, ხოლო სახ-  
ურავის უსაფრთხო მექანიზმზე 5 მმ;
  - ვ) კონტეინერის სახურავის ასახდელი მექანიზმი და-  
ხურულ მდგომარეობაში დაცული უნდა იყოს მა-  
ნიპულაციისაგან. სახურავის ახდის კუთხე უნდა  
შეადგენდეს 100 გრადუსს. კონტეინერის სახურა-  
ვის გარეთა კიდე უნდა იყოს მოღუნული და გადა-  
ფარვით მთლიანად ეხურებოდეს კონტეინერის  
გვერდით ზედაპირებს;
  - ზ) სახურავის მჭიდროდ დახურვის მიზნით კონტეინ-  
ერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეზინის ჩან-  
ართებით. მას უნდა გააჩნდეს ორი გვერდითი და  
ერთი წინა მხარეს სახელური, რომლებიც ზამბარ-  
ის დაჭიმულობის მეშვეობით მიბჭვნილი იქნება  
კონტეინერის კედლებზე, თითოეული მათგანი უნ-

- თ) და უძლებდეს 35 კილოგრამამდე წონას;  
კონტეინერს გვერდითა ზედაპირებზე ერთ ზო-  
ლად უნდა ჰქონდეს მცირე ზომის საპაერო ნახ-  
ვრეტები. წინა მხარეს უნდა გააჩნდეს 2 ერთმა-  
ნეთისგან დამოუკიდებელი ისეთი ფორმის მყარი  
საკეტი, რომლებიც ზამბარის მეშვეობით უზრუნვე-  
ლყოფენ სახურავის ავტომატურ დაკეტვას. საკეტს  
უნდა ჰქონდეს ლუქის ჩამოსაკიდი 8 მმ დიამეტრის  
ნახვრეტი;
- ი) კონტეინერს, წინა გვერდით ნაწილზე უნდა ჰქო-  
ნდეს 165X60 მმ ზომის საინფორმაციო ბარათის  
ჩასადები, დარტყმაგამძლე მასალისაგან დამზად-  
ებული, გამჭვირვალე ჭიბე. აღნიშნული ჭიბის ზედა  
ნაწილი კონტეინერის სახურავის დახურვისას უნდა  
დაიფაროს ნაწილობრივ, ისე რომ შეუძლებელი  
იყოს საინფორმაციო ბარათის ამოღება/ჩადება. ამ  
შემთხვევაში მისი ზომა უნდა იყოს 130X60 მმ;
- კ) კონტეინერის წინა მხარეს, სახელურის ქვევით  
მითითებული უნდა იყოს არანაკლებ 20 მმ სიმაღ-  
ლის ნომერი, რომლის პირველი ორი სიმბოლო  
ბანკის ორნიშნა კოდია, ხოლო დანარჩენი ციფ-  
რები ასახავს კონტეინერის რიგით ნომერს;
- ლ) კონტეინერი უნდა გადიოდეს შემდეგი ტიპის გამო-  
ცდებს: კონტეინერის სახურავი, ძირი და ყველა  
გვერდი უნდა უძლებდეს 1 მეტრი სიმაღლიდან  
ფოლადის 32 მმ დიამეტრის და 7 კილოგრამის  
წონის ცილინდრის დაცემას, კონტეინერის 2.5 მე-  
ტრი სიმაღლიდან 35 კილოგრამიანი შიგთავსით  
ვარდნის შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს საკეტე-  
ბისა და ლუქების მთლიანობა;
3. კონტეინერებში ნაღდი ფულის განთავსება ხორცი-  
ელდება ვალუტების, ბანკნოტების/მონეტების და  
ნომინალების მიხედვით. კონტეინერებში შესაძ-  
ლებელია განთავსებული იყოს როგორც სრული  
ისე არასრული კონები/პაკეტები.
4. კონტეინერებში განთავსებული ბანკნოტების თი-  
თოეული ნომინალის მიხედვით კონების რაოდენ-  
ობა არ უნდა აღემატებოდეს 12 კონას, გარდა  
200 ლარის ნომინალისა, რომლის რაოდენობაც  
არ უნდა აღემატებოდეს 8 კონას.
5. კონტეინერებში განთავსებული მონეტების პაკეტ-  
ების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: 1 თეთ-  
რი – 12 პაკეტს, 2 თეთრი – 12 პაკეტს, 5 თეთრი  
– 14 პაკეტს, 10 თეთრი – 11 პაკეტს, 20 თეთრი – 8  
პაკეტს, 50 თეთრი – 8 პაკეტს, 1 ლარი – 8 პაკეტს,  
2 ლარი – 8 პაკეტს და 10 ლარი – 6 პაკეტს.

## მუხლი 8. ნაღდი ფულის გადასატანი კონტეინერის ეტიკეტის მახასიათებლები

1. კონტეინერს უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, ზომით 165X58მმ,  
რომელზეც მითითებულ უნდა იქნეს:
  - ა) ბანკის დასახელება;
  - ბ) კონტეინერის ლუქის ნომერი (დასალუქი საშუალ-  
ების ნომერი);
  - გ) ვალუტა;
  - დ) ნომინალი;
  - ე) თანხა;
  - ვ) კატეგორია;
  - ზ) თარიღი;

- თ) შტრიხ-კოდი (მათ შორის შტრიხ-კოდის სიმბოლოები);
2. ეტიკეტზე დატანილი ტექსტის ფონტი უნდა იყოს "Sylfaen", ზომა – 11, სტილი – "Normal".
3. კონტეინერის ეტიკეტი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ა) კონტეინერის თავსახურის დაფარვის ადგილი მოიცავს ეტიკეტის ზედა კიდიდან 35მმ;
- ბ) ბანკის დასახელების ველი უნდა განთავსდეს ეტიკეტის ცენტრში, კონტეინერის თავსახურის დაფარვის ადგილიდან 4მმ დაშორებით;
- გ) ველები (გარდა „ბანკის დასახელება“) უნდა განთავსდეს მარცხენა კიდიდან 3.75 მმ დაშორებით;
- დ) შტრიხ-კოდი უნდა განთავსდეს ვერტიკალურად, კონტეინერის თავსახურის დაფარვის ადგილსა და ქვედა კიდეს შორის ცენტრში, მარჯვენა კიდიდან 3.75 მმ დაშორებით;
- ე) ველი „თარიღი“ უნდა განთავსდეს ქვედა კიდიდან 7.88მმ დაშორებით;
- ვ) ველი „უკატეგორიო“ – ველი „თარიღი“-დან 7.88მმ დაშორებით;
- ზ) ველი „კატეგორია“ – ველი „უკატეგორიო“-დან 5.25მმ დაშორებით;
- თ) თანხის რაოდენობის ველი – ველი „კატეგორია“-დან 7.88მმ დაშორებით;
- ი) ველი „თანხა“ – თანხის რაოდენობის ველიდან 5.25მმ დაშორებით;
- კ) ნომინალის დასახელების ველი – ველი „თანხა“-დან 7.88მმ დაშორებით;
- ლ) ველი „ნომინალი“ – ნომინალის დასახელების ველიდან 5.25მმ დაშორებით;
- მ) ვალუტის დასახელების ველი – ველი „ნომინალი“-დან 7.88მმ დაშორებით;
- ნ) ველი „ვალუტა“ – ვალუტის დასახელების ველიდან 5.25მმ დაშორებით;
- ო) კონტეინერის/ლუქის ნომრის ველი, ფონტის სტილი: Bold – ველი „ვალუტა“-დან 11.88მმ დაშორებით;
- პ) ველი „კონტეინერის/ლუქის ნომერი“ – კონტეინერის/ლუქის ნომრის ველიდან 6.63მმ დაშორებით;
4. კონტეინერის ეტიკეტის შტრიხ-კოდი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ა) სტანდარტი: CODE 128;
- ბ) სიგანე 9.25მმ;
- გ) ფონტის ზომა: 9;
- დ) ფონტის სტილი: Bold.
5. კონტეინერის ეტიკეტის შტრიხ-კოდის სტრუქტურის აღწერილობა:

საწყისი პოზიცია	სიგრძე	აღწერა	ტიპი	
1	1	სიგნატურა	C	ყოველთვის - 1
2	2	ბანკის ორნიშნა IBAN კოდი		ბანკის კოდი
4	2	ფილიალის კოდი	BB	Base32-ში გადაყვანალი რიცხვი 0-დან 1023-მდე
6	1	ვალუტა/ბანკნოტი-მონეტა		პუნქტი 11
7	1	ნომინალი		პუნქტი 12
8	5	რაოდენობა	BBBBB	base32-ში გადაყვანალი რიცხვი
13	1	კატეგორია		base32-ში გადაყვანალი კატეგორიის ნომერი - 0
14	მაქს.10	კონტეინერის ნომერი	CCCCCCCCC	მხოლოდ ლათინური დიდი ასოები და ციფრები
X	1	საკონტროლო ციფრი	C	პუნქტი 13

#### 6. ვალუტა/ბანკნოტი-მონეტა

ვალუტა	ბანკნოტი/მონეტა	კოდი
GEL	ბანკნოტი	G
GEL	მონეტა	g
USD	ბანკნოტი	U
USD	მონეტა	u
GBP	ბანკნოტი	B
GBP	მონეტა	b
EUR	ბანკნოტი	E
EUR	მონეტა	e

#### 7. ნომინალი

ნომინალი	კოდი
1	1
2	2
5	5
10	A
20	B
50	C
25	Q
100	D
200	E
500	F

8. საკონტროლო ციფრის დადგენა ხდება 2 ეტაპად:
  - ა) შტრიხ-კოდის ათობით კოდში გადაყვანა;
  - ბ) ჰეშირების ალგორითმით საკონტროლო ციფრის გამოთვლა (Verhoeff-ის ალგორითმით).
9. დაგენერირებული შტრიხ-კოდის ათობით სტრიქონში გადაყვანა ხდება შტრიხ-კოდის თითოეული სიმბოლოს ASCII კოდის შესაბამისი რიცხვის ტექსტური ექვივალენტის ერთმანეთის გვერდით მიწერა.

## მუხლი 9. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში ნაღდი ფულის ნიშნების შეტანა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკისაგან ნაღდი ფულის მიღება ხორციელდება დალუქული კონტეინერების მეშვეობით, სადაც განთავსებული უნდა იყოს მოქმედი წესით ფორმირებული ბანკნოტები და მონეტები.
2. კომერციული ბანკებისაგან მისაღები ნაღდფულიანი კონტეინერების გამჭირვალე ჭიბეში განთავსებული უნდა იყოს ეტიკეტი, შემდეგი მონაცემებით:
  - ა) ბანკის დასახელება;
  - ბ) კონტეინერის ლუქის ნომერი (ბანკის ორნიშნა IBAN კოდი და არა უმეტეს რვა ციფრი);
  - გ) ვალუტა;
  - დ) ნომინალი;
  - ე) თანხა;
  - ვ) სახეობა (ბანკნოტი/მონეტა);
  - ზ) კატეგორია;
  - თ) თარიღი.
  - ი) შტრიხკოდი.
3. კომერციული ბანკი ნაღდი ფულის შეტანის მიზნით, თანხის შეტანის დღეს არა უგვიანეს 10:30 საათისა „განაცხადების რეგისტრაციის სისტემაში“ ახდენს ვალუტების მიხედვით „ნაღდი ფულის შეტანის შესახებ განაცხადის“ რეგისტრაციას. განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) განაცხადის ნომერს;
  - ბ) თარიღს;
  - გ) თანხის შეტანის სავარაუდო დროს;
  - დ) კომერციული ბანკის დასახელებას;
  - ე) საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის დასახელებას;
  - ვ) შეტანაზე პასუხისმგებელი პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - ზ) საინკასაციო მანქანის ტიპს, ფერს და ნომერს;
  - თ) ინკასატორის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - ი) კონტეინერის ლუქის ნომერს;
  - კ) ვალუტას;
  - ლ) ნომინალს;
  - მ) თანხას;
  - ნ) სახეობას (ბანკნოტი/მონეტა).
4. განაცხადის რეგისტრაციის შემდგომ, ნაღდი ფულის მართვის სისტემაში (შემდგომში – „CMM სისტემა“) საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება განაცხადის დამუშავება, რაც მოიცავს:
  - ა) კონტეინერებში ნომინალების მიხედვით განთავსებული კონების/პაკეტების რაოდენობის შემოწმებას, შეუსაბამობის შემთხვევაში კი კომენტარის ველში შესაბამისი მითითების გაკეთებას;

- ბ) საჭიროების შემთხვევაში საკასო ცენტრში შემოსვლის დროის ცვლილებას;
- გ) საჭიროების შემთხვევაში მიმღები საკასო ცენტრის ცვლილებას;
5. განაცხადის სისწორის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს განაცხადის იმავდროულ ავტორიზაციას, ხოლო ცვლილების შემთხვევაში – ავტორიზაცია ხორციელდება კომერციული ბანკის მიერ შესაბამისი ცვლილების პროგრამული დასტურის შემდგომ. კომერციული ბანკის მიერ ცვლილების არდადასტურების შემთხვევაში განაცხადი უქმდება.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ განაცხადის ავტორიზაციის შემდგომ „განაცხადების რეგისტრაციის სისტემა“ ავტომატურად ახდენს დაშვების და განგაშის პაროლების გენერირებას. პაროლების უფლებამოსილი პირზე გადაცემა ხორციელდება ისე, რომ გამოირიცხოს მისი სხვა პირისათვის წვდომა.
7. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირების და საინკასაციო მანქანების საქართველოს ეროვნული ბანკის ტერიტორიაზე დაშვება ხორციელდება მხოლოდ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ დაშვების პაროლის გაცხადების შემდგომ, ხოლო განგაშის პაროლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე სახის საფრთხე ნაღდი ფულისა და ფასეულობის დაცულობასთან დაკავშირებით.
8. დაშვების სწორი პაროლის გაცხადების შემდგომ საქართველოს ეროვნულ ბანკში დაცვის სამსახური ახდენს კომერციული ბანკის ინკასატორებისა და საინკასაციო მანქანების იდენტიფიცირებას და მომსახურების სალაროსთან მისვლის მიზნით მათზე სპეციალური ბარათის გადაცემას, რის შემდგომაც კომერციული ბანკის თანხის შემოტანაზე უფლებამოსილი პირები კონტეინერებს ანთავსებენ სპეციალურად გამოყოფილ ურიკებში.
9. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ბანკის დასახელების შემდგომ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს „CMM სისტემაში“ განაცხადის მოძიებას, პირის იდენტიფიცირებას და ურიკებში განთავსებული კონტეინერების მიღებას კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მეთვალყურეობის ქვეშ. კონტეინერების მიღება მოიცავს:
  - ა) კონტეინერისა და ლუქის მთლიანობის შემოწმებას;
  - ბ) შტრიხ-კოდის წამკითხველის მეშვეობით კონტეინერის „CMM სისტემაში“ აღრიცხვას, მასზე არსებული ეტიკეტის მიხედვით;
  - გ) კონტეინერის ლუქის ნომრის შედარებას ეტიკეტზე არსებულ და წამკითხველის ეკრანზე გამოტანილ მონაცემებთან;
10. „CMM სისტემაში“ კონტეინერების სრულად აღრიცხვის შემდგომ პროგრამა ახდენს აღრიცხული და კომერციული ბანკის მიერ გამოგზავნილი მონაცემების შედარებას, რის შემდეგაც კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირი ელექტრონულ ხელმოწერის დაფაზე გამოტანილი მონაცემების სისწორეს ადასტურებს ელექტრონული ხელმოწერით.
11. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ კომერციული ბანკის უფლებამოსილი



- პირის ელექტრონული ხელმოწერის პროგრამული დადასტურების შემდგომ „CMM სისტემა“ ავტომატურად ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის განაცხადზე დატანას, განაცხადის კომერციულ ბანკში გაგზავნას და მის ამობეჭდვას 2 ეგზემპლარად.
12. განაცხადის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე რჩება ეროვნულ ბანკში.
  13. კომერციული ბანკის მიერ შემოტანილი ნაღდი ფულის შესაბამისი თანხა „CMM სისტემის“ მეშვეობით აისახება კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე.
  14. იმ შემთხვევაში, თუ კონტენერების მიღებისას აღრვეულია ლუქისა და კონტენერის სიმრთელე ან „CMM სისტემაში“ კონტენერების სრულად აღრიცხვის შემდგომ, დაფიქსირდა შეუსაბამობა (ლუქის ნომერი, ეტიკეტზე არსებული მონაცემები):
    - ა) საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხდება ელექტრონული განაცხადის დაწუნება, კომენტარის ველში შეუსაბამობის აღნიშვნა, მონაცემების საბოლოო დადასტურება და კონტენერების კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირზე დაბრუნება;
    - ბ) კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოახდინოს ელექტრონულ ხელმოწერის დაფაზე გამოტანილი ინფორმაციის, დაბრუნებული კონტენერების და ლუქის მონაცემების ურთიერთშედარება და აღნიშნულის ელექტრონული ხელმოწერით დადასტურება.
  15. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერის პროგრამული დადასტურების შემდგომ „CMM სისტემა“ ავტომატურად ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის განაცხადზე დატანას, განაცხადის კომერციულ ბანკში გაგზავნას და მის ამობეჭდვას 2 ეგზემპლარად.
  16. განაცხადის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე რჩება ეროვნულ ბანკში.
  17. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ არ მოხდა განაცხადით დადგენილ დროს ნაღდი ფულის შემოტანა, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი, არა უგვიანეს საოპერაციო დღის დასრულებისა, ახდენს აღნიშნული განაცხადის გაუქმებას.
  18. კომერციული ბანკის მიერ შემოტანილი ეროვნული და უცხოური ვალუტა საკონტროლოდ გადაითვლება თანხის მიღებიდან არა უგვიანეს ოთხი სამუშაო დღისა.
  19. გადათვლის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობის და/ან დანაკლისის შესახებ დგება ცნობა, რომელიც ეგზავნება კომერციულ ბანკს. ზედმეტობის კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვა ან/და დანაკლისის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩამოჭრა ხორციელდება გადათვლიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
  20. გადათვლის შედეგად გამოვლენილი მოძველებული უცხოური ვალუტის შესაბამისი თანხის კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან

ჩამოჭრა ხორციელდება გადათვლიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ხოლო შემოტანილი მოძველებული ფულის ნიშანი უბრუნდება კომერციულ ბანკს.

21. გადათვლის შედეგად გამოვლენილი საეჭვო ფულის ნიშნების შესახებ დგება ცნობა, რომელიც ეგზავნება კომერციულ ბანკს. ექსპერტიზის შედეგები კომერციულ ბანკს ეცნობება არა უგვიანეს თხუთმეტი სამუშაო დღისა.
22. ექსპერტიზის შედეგად დადგენილი ყალბი ან/და გადასახდელად უვარგისი ეროვნული ვალუტა, ასევე ყალბი უცხოური ვალუტა არ ანაზღაურდება და შესაბამისი თანხის კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩამოჭრა ხორციელდება არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ყალბი ფულის ნიშანი რჩება ეროვნულ ბანკში, ხოლო გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნის დაბრუნების საკითხი რეგულირდება საკასო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

### მუხლი 10. კომერციული ბანკებისაგან ეროვნულ ბანკში გაუქმებული ან გამოუყენებელი მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეტანა

1. კომერციული ბანკი მკაცრის აღრიცხვის ფორმების ეროვნულ ბანკში შეტანის მიზნით, შეტანის დღის არა უგვიანეს 10:30 საათისა „განაცხადების რეგისტრაციის სისტემაში“ ახდენს დასახელებების მიხედვით „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეტანის შესახებ განაცხადის“ რეგისტრაციას. განცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) განაცხადის ნომერს;
  - ბ) თარიღს;
  - გ) მკაცრი აღრიცხვის ფორმების შემოტანის სავარაუდო დროს;
  - დ) კომერციული ბანკის დასახელებას;
  - ე) საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის დასახელებას;
  - ვ) შეტანაზე პასუხისმგებელი პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - ზ) საინკასაციო მანქანის ტიპს, ფერს და ნომერს;
  - თ) ინკასატორის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - ი) დოკუმენტის დასახელებას;
  - კ) სერიას;
  - ლ) სანყის და საბოლოო ნომერს;
  - მ) რაოდენობას.
2. კომერციული ბანკის მიერ განაცხადის რეგისტრაციის შემდგომ, „CMM სისტემაში“ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება განაცხადის იმავდროული ავტორიზაცია, ხოლო განაცხადში საკასო ცენტრში შემოსვლის დროის და/ან საკასო ცენტრის ცვლილების შემთხვევაში – კომერციული ბანკის მიერ შესაბამისი ცვლილების პროგრამული დასტურის შემდგომ. კომერციული ბანკის მიერ ცვლილების არდადასტურების შემთხვევაში განაცხადი უქმდება.
3. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირებისა და საინკასაციო მანქანების საქართველოს ეროვნული ბანკის ტერიტორიაზე დაშვება მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეტანის მიზნით ხორციელდება მე-9 მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად.

4. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ბანკის დასახელების შემდგომ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს „CMM სისტემაში“ განაცხადის მოძიებას, პირის იდენტიფიცირებას და ფაქტობრივად წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის ფორმების მონაცემების საფუძველზე „CMM სისტემაში“ შემდეგი ინფორმაციის შეყვანას:
  - ა) დოკუმენტის დასახელება;
  - ბ) სერია;
  - გ) ნომერი.
5. „CMM სისტემაში“ მკაცრი აღრიცხვის ფორმების მონაცემების სრულად აღრიცხვის შემდგომ პროგრამა ახდენს აღრიცხული და კომერციული ბანკის მიერ გამოგზავნილი მონაცემების შედარებას, რის შემდეგაც კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირი ელექტრონულ ხელმოწერის დაფაზე გამოტანილი მონაცემების სისწორეს ადასტურებს ელექტრონული ხელმოწერით.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერის პროგრამული დადასტურების შემდგომ „CMM სისტემა“ ავტომატურად ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის განაცხადზე დატანას, განაცხადის კომერციულ ბანკში გაგზავნას და მის ამობეჭდვას 2 ეგზემპლარად.
7. განაცხადის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე რჩება ეროვნულ ბანკში.
8. იმ შემთხვევაში, თუ „CMM სისტემაში“ მკაცრი აღრიცხვის ფორმების მონაცემების სრულად აღრიცხვის შემდგომ დაფიქსირდა შეუსაბამობა (მკაცრი აღრიცხვის ფორმების დასახელება, სერია, ნომერი და რაოდენობა):
  - ა) საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხდება ელექტრონული განაცხადის დანუნება, კომენტარის ველში შეუსაბამობის აღნიშვნა, მონაცემების საბოლოო დადასტურება და მკაცრი აღრიცხვის ფორმების კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირზე დაბრუნება;
  - ბ) კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოახდინოს ელექტრონულ ხელმოწერის დაფაზე გამოტანილი ინფორმაციისა და დაბრუნებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების მონაცემების ურთიერთშედარება და აღნიშნულის ელექტრონული ხელმოწერით დადასტურება.
9. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერის პროგრამული დადასტურების შემდგომ „CMM სისტემა“ ავტომატურად ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის განაცხადზე დატანას, განაცხადის კომერციულ ბანკში გაგზავნას და მის ამობეჭდვას 2 ეგზემპლარად.
10. განაცხადის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე რჩება ეროვნულ ბანკში.
11. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ არ მოხდა მკაცრი აღრიცხვის ფორმების განაცხადით დადგენილ დროს შეტანა, საქართველოს ეროვნულ

ლი ბანკის უფლებამოსილი პირი, არა უგვიანეს საოპერაციო დღის დასრულებისა, ახდენს აღნიშნული განაცხადის გაუქმებას.

## მუხლი 11. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკიდან ნაღდი ფულის ნიშნების გატანა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკზე ნაღდი ფულის გაცემა, მისი საკასო მომსახურების ანგარიშზე არსებული თანხის ფარგლებში, ხორციელდება დალუქული კონტინერების მეშვეობით.
2. კომერციული ბანკი, ნაღდი ფულის გატანის მიზნით, წინა სამუშაო დღის 16:00 საათამდე „განაცხადების რეგისტრაციის სისტემაში“ ახდენს ვალუტების მიხედვით „ნაღდი ფულის გატანის შესახებ განაცხადის“ რეგისტრაციას. განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) განაცხადის ნომერს;
  - ბ) თარიღს;
  - გ) თანხის გატანის სავარაუდო დროს;
  - დ) კომერციული ბანკის დასახელებას;
  - ე) საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის დასახელებას;
3. გატანაზე პასუხისმგებელი პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - 8) საინკასაციო მანქანის ტიპს, ფერს და ნომერს;
  - თ) ინკასატორის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - ი) ვალუტას;
  - კ) ნომინალს;
  - ლ) თანხას (სრული კონების/პაკეტების გათვალისწინებით);
  - მ) სახეობას (ბანკნოტი/მონეტა).
3. განაცხადის რეგისტრაციის შემდგომ „CMM სისტემაში“ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება განაცხადის დამუშავება, რაც მოიცავს:
  - ა) შემოწმებას, შედგება თუ არა მოთხოვნილი თანხა ნომინალების მიხედვით სრული კონებისაგან/პაკეტებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კომენტარის ველში შესაბამისი მითითების შეტანას;
  - ბ) საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი თანხის ნომინალების ჭრილში ცვლილებას;
  - გ) საჭიროების შემთხვევაში საკასო ცენტრში შემოსვლის დროის ცვლილებას;
  - დ) საჭიროების შემთხვევაში გამცემი საკასო ცენტრის ცვლილებას.
4. განაცხადის სისწორის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს განაცხადის იმავდროულ ავტორიზაციას, ხოლო ცვლილების შემთხვევაში – ავტორიზაცია ხორციელდება კომერციული ბანკის მიერ შესაბამისი ცვლილების პროგრამული დასტურის შემდგომ, რის შემდგომაც „CMM სისტემა“ საკორესპონდენტო ანგარიშიდან საკასო მომსახურების ანგარიშზე თანხის გადატანის მიზნით აგენერირებს საგადახდო დავალებას. კომერციული ბანკის მიერ ცვლილების არ დადასტურების შემთხვევაში განაცხადი უქმდება.
5. ეროვნულ ბანკს შეუძლია განაცხადის გაუქმება, იმ შემთხვევაში, თუ საკორესპონდენტო ანგარიშზე

საკმარისი თანხის არ არსებობის გამო განაცხადის რეგისტრაციის დღის 16:20 საათამდე საკასო მომსახურების ანგარიშზე არ მოხდა შესაბამისი თანხის ჩარიცხვა.

6. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირებისა და საინკასაციო მანქანების საქართველოს ეროვნული ბანკის ტერიტორიაზე დაშვება ნაღდი ფულის გატანის მიზნით ხორციელდება მე-9 მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად.
7. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ბანკის დასახელების შემდგომ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს „CMM სისტემაში“ განაცხადის მოძიებას, პირის იდენტიფიცირებას და კონტეინერების გაცემას, რაც მოიცავს:
  - ა) შტრის-კოდის წამკითხველის მეშვეობით კონტეინერის „CMM სისტემაში“ აღრიცხვას მასზე არსებული ეტიკეტის მიხედვით;
  - ბ) კონტეინერის ლუქის ნომრის შედარებას, ეტიკეტზე არსებულ და წამკითხველის ეკრანზე გამოტანილ მონაცემებთან;
8. „CMM სისტემაში“ კონტეინერების სრულად აღრიცხვის შემდგომ პროგრამა ახდენს აღრიცხული და კომერციული ბანკის მიერ გამოგზავნილი მონაცემების შედარებას და შესაბამისობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხდება კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირზე კონტეინერების გადაცემა.
9. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირი კონტეინერების მიღების შემდგომ ახდენს კონტეინერის ლუქის ნომრის და ეტიკეტზე არსებული მონაცემების, ელექტრონულ ხელმოწერის დაფაზე გამოტანილი მონაცემებთან შედარებას და სისწორის ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებას.
10. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერის პროგრამული დადასტურების შემდგომ „CMM სისტემა“ ავტომატურად ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის განაცხადზე დატანას, განაცხადის კომერციულ ბანკში გაგზავნას და მის ამობეჭდვას 2 ეგზემპლარად.
11. განაცხადის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე რჩება ეროვნულ ბანკში.
12. კომერციული ბანკის მიერ გატანილი ნაღდი ფულის შესაბამისი თანხა „CMM სისტემის“ მეშვეობით ჩამოიჭრება კომერციული ბანკის საკასო მომსახურების ანგარიშიდან.
13. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ არ მოხდა ნაღდი ფულის განაცხადით დადგენილ დროს გატანა, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი, არა უგვიანეს მომდევნო საოპერაციო დღის დასრულებისა, ახდენს აღნიშნული განაცხადის გაუქმებას, რის საფუძველზეც შესაბამისი თანხა „CMM სისტემის“ მიერ ჩარიცხება კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე.

## მუხლი 12. საქართველოს ეროვნული ბანკიდან მკაცრი აღრიცხვის ბლანკების გატანა

1. საქართველოს ეროვნული ბანკიდან მკაცრი აღრიცხვის ბლანკები გაიცემა კომერციული ბანკის მიერ ამ მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის ანგარიშზე თანხის (ბლანკების ღირებულების) ჩარიცხვის საფუძველზე.
  2. კომერციული ბანკი, მკაცრი აღრიცხვის ფორმების გატანის მიზნით, წინა სამუშაო დღის 16:00 საათამდე „განაცხადების რეგისტრაციის სისტემაში“ ახდენს დასახელებების მიხედვით „მკაცრი აღრიცხვის გატანის შესახებ განაცხადის“ რეგისტრაციას. განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    - ა) განაცხადის ნომერს;
    - ბ) თარიღს;
    - გ) მკაცრი აღრიცხვის გატანის სავარაუდო დროს;
    - დ) კომერციული ბანკის დასახელებას;
    - ე) საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის დასახელებას;
  - 3) გატანაზე პასუხისმგებელი პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - 8) საინკასაციო მანქანის ტიპს, ფერს და ნომერს;
  - თ) ინკასატორის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - ი) დოკუმენტის დასახელებას;
  - კ) რაოდენობას.
3. განაცხადის რეგისტრაციის შემდგომ, „CMM სისტემაში“ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება განაცხადის იმავდროული ავტორიზაცია, ხოლო განაცხადში მკაცრი აღრიცხვის ფორმების რაოდენობის და/ან საკასო ცენტრში შემოსვლის დროის და/ან საკასო ცენტრის ცვლილების შემთხვევაში – კომერციული ბანკის მიერ პროგრამული დასტურის შემდგომ. კომერციული ბანკის მიერ ცვლილების დაუდასტურებლობის შემთხვევაში განაცხადი უქმდება.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს განაცხადი, თუ კომერციული ბანკის მიერ არ განხორციელდა განაცხადის რეგისტრაციის დღის 16:20 საათამდე მკაცრი აღრიცხვის ფორმების ღირებულების შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვა.
5. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირებისა და საინკასაციო მანქანების საქართველოს ეროვნული ბანკის ტერიტორიაზე დაშვება მკაცრი აღრიცხვის ფორმების გატანის მიზნით ხორციელდება მე-9 მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად.
6. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ ბანკის დასახელების შემდგომ საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს „CMM სისტემაში“ განაცხადის მოძიებას, პირის იდენტიფიცირებას და მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემას, რაც მოიცავს „CMM სისტემაში“ შემდეგი მონაცემების შეყვანას:
  - ა) დოკუმენტის დასახელება;
  - ბ) სერია (არსებობის შემთხვევაში);
  - გ) ნომერი.
7. „CMM სისტემაში“ მკაცრი აღრიცხვის ფორმების მონაცემების სრულად შეტანის შემდგომ პროგრამა ახდენს შეტანილი და კომერციული ბანკის განაცხადით მოთხოვნილი მონაცემების შედარებას

- და შესაბამისობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი გადასცემს კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს მკაცრი აღრიცხვის ფორმებს, რომელიც ახდენს მიღებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების დასახელების, სერიისა და რაოდენობის, ელექტრონულ დაფაზე გამოტანილ მონაცემებთან შედარებას და სისწორეს ადასტურებს ელექტრონული ხელმოწერით.
8. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერის პროგრამული დადასტურების შემდგომ „CMM სისტემა“ ავტომატურად ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის განაცხადზე დატანას, განაცხადის კომერციულ ბანკში გაგზავნას და მის ამობეჭდვას 2 ეგზემპლარად.
  9. განაცხადის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე რჩება ეროვნულ ბანკში.
  10. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ არ მოხდა მკაცრი აღრიცხვის ფორმების გატანა, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი, არაუგვიანეს საოპერაციო დღის დასრულებისა ახდენს აღნიშნული განაცხადების გაუქმებას და შესაბამისი თანხის კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე ჩარიცხვას.
  11. გადმორიცხული თანხის მის საკორესპოდენტო ანგარიშზე დაბრუნება ხდება არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

**მუხლი 13. კომერციული ბანკის მიერ გამოვლენილი საეჭვო ფულის ნიშნების ეროვნულ ბანკში ექსპერტიზის მიზნით შეტანა და ფულის ნიშნების საქართველოს ეროვნული ბანკიდან გაცემა**

1. კომერციული ბანკის მიერ კლიენტის შეტანილ ფულში ან ინკასირებულ ნაღდფულიან ჩანთებში გამოვლენილი საეჭვო ფულის (რომელთა ნამდვილობისა და გადასახდელად ვარგისიანობის დადგენა ვერ ხერხდება კომერციული ბანკის მიერ) ექსპერტიზის მიზნით მიღება ხორციელდება თანხმლებ ცნობასთან ერთად.
2. საეჭვო ფულის მიღების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირებას, მიღებულ საეჭვო ფულს უდარებს წარმოდგენილი ცნობის მონაცემებს და მათ საფუძველზე „CMM სისტემის“ „საეჭვო ფულის ნიშნების მიღების შესახებ“ ცნობის შევსებას, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) თარიღს;
  - ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის დასახელებას;
  - გ) კომერციული ბანკის დასახელებას;
  - დ) შეტანაზე პასუხისმგებელი პირის სახელს, გვარს და პირად ნომერს;
  - ე) ვალუტას;
  - ვ) სახეობას (ბანკნოტი/მონეტა);
  - ზ) ნომინალს;

- თ) რაოდენობას;
  - ი) თანხას (მონეტების შემთხვევაში);
  - კ) სერიასა და ნომერს;
  - ლ) ემისიის წელს;
  - მ) კომერციული ბანკის კლიენტის სახელს, გვარს და პირად ნომერს (მისი არსებობის შემთხვევაში);
  - ნ) კომერციული ბანკის მიერ გამოვლენის თარიღს.
3. „CMM სისტემაში“ ინფორმაციის შეყვანის შემდგომ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს ელექტრონულ ხელმოწერის დაფაზე გამოტანილი მონაცემების სისწორის ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებას.
  4. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერის პროგრამული დადასტურების შემდგომ „CMM სისტემა“ ავტომატურად ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის განაცხადზე დატანას და მის 2 ეგზემპლარად ამობეჭდვას.
  5. განაცხადის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე რჩება ეროვნულ ბანკში.
  6. წარმოდგენილი საეჭვო ფულის ნიშნების და თანდართული დოკუმენტების მონაცემებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, „CMM სისტემაში“ მონაცემების ასახვა ხორციელდება ფაქტობრივად წარმოდგენილი საეჭვო ფულის ნიშნების მიხედვით, რის შესახებაც შესაბამისი მითითება კეთდება შენიშვნის ველში.
  7. კომერციულ ბანკს ექსპერტიზის შედეგები ეგზავნება შესაბამისი ცნობის სახით. ექსპერტიზის შედეგად დადგენილი:
    - ა) ნამდვილი ეროვნული ვალუტის შესაბამისი თანხის კომერციული ბანკის საკორესპოდენტო ანგარიშზე ჩარიცხვა ხორციელდება ექსპერტიზიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
    - ბ) ნამდვილი უცხოური ვალუტა (იგივე ფულის ნიშანი) უბრუნდება კომერციულ ბანკს.
    - გ) ყალბი ან/და გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი არ ანაზღაურდება. ყალბი ფულის ნიშანი რჩება ეროვნულ ბანკში, ხოლო გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშანი, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება ბანკს.
  8. ექსპერტიზის შედეგად დადგენილი ნამდვილი უცხოური ან გადასახდელად უვარგისი ეროვნული, ასევე შემოტანილი უცხოური ვალუტის გადათვლის შედეგად გამოვლენილი მოძველებული ფულის ნიშნების გაცემა ხორციელდება კომერციული ბანკის ერთჯერადი წერილობითი მინდობილობის (დანართი N4) საფუძველზე, რომელიც ივსება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაგზავნილი ექსპერტიზის ცნობისა ან/და უცხოური ვალუტის გადათვლის შესახებ დოკუმენტის მიხედვით.
  9. კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი მინდობილობის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი ახდენს მის იდენტიფიცირებას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და „CMM სისტემაში“ „ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული ფულის ნიშნების შესახებ“ ცნობაში

- შემდეგი მონაცემების შეყვანას:
- ა) კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
  - ბ) გასაცემი ფულის ნიშნები.
10. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ „CMM სისტემაში“ გასაცემი ფულის ნიშნების სრულად აღრიცხვის შემდგომ კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირზე ფულის ნიშნების გადაცემას „საეჭვო ფულის ნიშნების ექსპერტიზის შესახებ“ ცნობასთან ერთად, რომელიც ახდენს მიღებული ფულის ნიშნებისა და ცნობის ელექტრონულ ხელმოწერის დაფაზე გამოტანილი მონაცემებთან შედარებას და სისწორის ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებას.
  11. საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერის პროგრამული დადასტურების შემდგომ „CMM სისტემა“ ავტომატურად ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ცნობაზე დატანას და მის ამობეჭდვას 2 ეგზემპლარად.
  12. ცნობის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა კომერციული ბანკის უფლებამოსილ პირს, ხოლო მეორე რჩება ეროვნულ ბანკში.
  13. კომერციული ბანკის მიერ გამოვლენილი გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნების ეროვნულ ბანკში შეტანა და მისი გადასახდელად ვარგისად დადგენის შემთხვევაში თანხის ანაზღაურება ხორციელდება ამავე მუხლის შესაბამისად.

#### მუხლი 14. ოქროს სერტიფიკატების განაღდებისას საქართველოს ეროვნული ბანკიდან ოქროს ზოდების გატანა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ CSD სისტემაში ოქროს სერტიფიკატის განაღდების დადასტურების შემდგომ კომერციული ბანკი SWIFT სისტემის მეშვეობით ავტორიზებული შეტყობინებით აცნობებს ეროვნულ ბანკს შესაბამისი ზოდის მიღებაზე მის მიერ უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საბუთის გამცემი ორგანო, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა) CSD სისტემაში „ნაწილობრივი დაფარვის“ შეტყობინების შესაბამისი უნიკალური ნომრის მითითებით. ოქროს ზოდის სერტიფიკატის განაღდების მოთხოვნის შემთხვევაში SWIFT შეტყობინება ეროვნულ ბანკს გაეგზავნება არა უგვიანეს იმავე დღეს, საოპერაციო საათების დასრულებამდე, ხოლო ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის შემთხვევაში – 34 კალენდარული დღის განმავლობაში.
2. კომერციული ბანკი SWIFT შეტყობინებაში მითითებული პირის მეშვეობით საქართველოს ეროვნული ბანკის სალაროდან მიიღებს ოქროს ზოდის სერტიფიკატის შესაბამის ზოდს (ზოდებს) შეტყობინების გაგზავნის მომდევნო სამუშაო საბანკო დღიდან სამი სამუშაო საბანკო დღის ვადაში, ხოლო ოქროს საინვესტიციო სერტიფიკატის შესაბამის ზოდს (ზოდებს) – საქართველოს ეროვნული

ბანკის დასტურის მიღების დღიდან 35-ე კალენდარულ დღეს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან აღმასრულებელი დირექტორის გადანაცვების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის სალაროდან ოქროს სერტიფიკატის შესაბამისი ზოდები კომერციულ ბანკზე შესაძლებელია გაიცეს განსხვავებულ ვადებში.

3. ზოდების გატანისას საქართველოს ეროვნული ბანკის საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირი შესაბამისი ზოდის მიღებაზე კომერციული ბანკის უფლებამოსილი პირის ზეპირი განაცხადის შემდგომ ახდენს მის იდენტიფიცირებას პირადობის დამადასტურებელი საბუთისა და SWIFT შეტყობინებით მინოდებული მონაცემების მიხედვით, ავსებს სათანადო გასავლის ორდერს, ბეჭდავს მას ორ ეგზემპლარად, ხელს აწერს და შესაბამის ზოდებთან ერთად ხელმოსაწერად გადასცემს კომერციული ბანკის წარმომადგენელს.
4. კომერციული ბანკის წარმომადგენელი ზოდის შემოწმებას ახდენს ვიზუალურად, შეფუთვასა და ზოდზე არსებული რეკვიზიტების მიხედვით (შეფუთვის დაუზიანებლად), მიღებას ადასტურებს გასავლის ორდერის ორივე ეგზემპლარზე ხელმოწერით და გასავლის ორდერის ერთ ეგზემპლარს უბრუნებს მოლარე-ოპერატორს.
5. კომერციული ბანკის წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს ზოდის თანმხლებ სერტიფიკატზე მითითებულ რეკვიზიტებთან მათი სინჯისა და წონის შესაბამისობის ლაბორატორიული შემოწმება, თუ ასეთი უფლებამოსილება კომერციული ბანკის მიერ მინიჭებული აქვს SWIFT შეტყობინებით. ამ შემთხვევაში შემოწმება ხორციელდება კომერციული ბანკის წარმომადგენლის თანდასწრებით, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში საქართველოს ეროვნული ბანკის სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (შემოწმებისას ხდება შეფუთვის გახსნა/დაზიანება).
6. ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის წარმომადგენლისათვის ზოდის გადაცემისას რაიმე შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, შეუსაბამო ზოდი დაუყოვნებლივ შეიცვლება შესაბამისი მახასიათებლების მქონე ზოდით.
7. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის წარმომადგენლის მიერ ეროვნულ ბანკში არ მოხდა ზოდის შემოწმება ადგილზე, პრეტენზიები რაიმე შეუსაბამობის ანაზღაურების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არ მიიღება.
8. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა რაიმე სახის შეუსაბამობა SWIFT შეტყობინებაში ან/და ზოდის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებში, საქართველოს ეროვნული ბანკი უარს აცხადებს მოთხოვნილი ზოდის გაცემაზე.

#### მუხლი 15. ოპერაციების აღრიცხვა, საბუთების დამუშავება

1. ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების დამთავრების შემდგომ,

ნაღდი ფული და სხვა ფასეულობა შემოსავალ-გასავლის საბუთებთან, ცნობებთან, აქტებთან, რე-ესტრთან და სხვა დოკუმენტებთან ერთად ბარდე-ბა შესაბამის პასუხისმგებელ პირებს.

2. პასუხისმგებელი პირები, წარმოდგენილი დოკუ-მენტების საბუღალტრო მონაცემებთან შედარების და ფაქტობრივად არსებული ნაშთის შესაბამისო-ბის შემოწმების შემდგომ, ადგენენ ცნობას შემო-სული და გასული დოკუმენტებისა და თანხების, ასევე სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის ნაშთების შესახებ ვალუტების მიხედვით.
3. ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ყოველდღი-ური ნაშთების აღრიცხვა კომერციული ბანკების მიერ წარმოებს კუპირული წყობის უწყისში.
4. პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილი ცნობები და კუპირული წყობის უწყისი ინახება სალაროს დღიურ საბუთებთან ერთად.
5. სალაროში არსებულ ფულის (ფასეულობის) ნა-შთსა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს შორის სხვაობის შემთხვევაში, შესაბამისი პასუ-ხისმგებელი პირი აღნიშნულის შესახებ დაუყო-ვნებლივ აცნობებს კომერციული ბანკის ხელმძღ-ვანელობას. სხვაობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევამდე, სალაროში გამოვლენილი ზედ-მეტობის ან დანაკლისის დადასტურების შემდგომ, დგება შესაბამისი აქტი, რის საფუძველზეც ზედმე-ტობა ჩაირიცხება ბანკის კრედიტორებში, ხოლო დანაკლისი თანხა – ბანკის დებიტორებში, ან დაე-წერება იმ მუშაკს, ვისი მიზეზითაც მოხდა აღნიშ-ნული ფაქტი.
6. სალაროს დღიური საბუთები დანართებთან ერ-თად (აქტები, ცნობები, უწყისი და სხვა) იკინძება საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშების, შემო-სავლისა და გასავლის დოკუმენტების მიხედვით.
7. თუ პირველადი დოკუმენტები შექმნილია ელექტ-რონული ხელმოწერის გამოყენებით, ბანკმა უზრ-უნველყოს მათი შინაარსის ამსახველი (საბალან-სო და ბალანსგარეშე ანგარიშების, შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტების მიხედვით) სრულ-ყოფილი სალაროს რეესტრის შექმნა, ამობეჭდ-ვა, საბუღალტრო მონაცემებთან შედარება და აკინძვა სალაროს სხვა მატერიალურ დღიურ საბუთებთან და დანართებთან ერთად. ამასთა-ნავე, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით შექმნილი პირველადი დოკუმენტებისთვის გამოი-ყენოს არქივაციის ისეთი სისტემა, რომელიც უზ-რუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტების მაქ-სიმალურად უსაფრთხო შენახვასა და დაცვას.

## მუხლი 16. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის შენახვა

1. კომერციული ბანკის ფული და სხვა ფასეულობა ინახება ფასეულობის საცავში, რომლის გასაღე-ბები ინახება შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან.
2. ფასეულობის საცავებს უნდა ჰქონდეთ გასაღე-ბების დუბლიკატები, რომლებიც სათანადო ნუსხ-ის თანხლებით იღება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დალუქულ პაკეტში.
3. გასაღებთა დუბლიკატების პაკეტი, შესაბამისი პა-

სუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერილ წერ-ილთან ერთად, ფასეულობათა საცავში შესანახად ბარდება კომერციული ბანკის ერთ-ერთ უახლოეს ფილიალს ან ხელშეკრულების საფუძველზე სხვა კომერციულ ბანკს, რის შესახებაც პაკეტის ჩამ-ბარებელს ეძლევა ხელმოწერილი და ბეჭედ-დასმული შემოსავლის ბალანსგარეშე ორდერის ერთი ეგზემლარი. გასაღებთა დუბლიკატების შეს-ანახად ჩაბარების დამადასტურებელი საბუთები ინახება კომერციული ბანკის ერთ-ერთ პასუხის-მგებელ პირთან სეიფში.

4. გასაღებთა დუბლიკატებიანი პაკეტის ჩამბარე-ბლისათვის გაცემა დასაშვებია მხოლოდ კომე-რციული ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი პი-რების წერილობითი და კომერციული ბანკის ბეჭდით დამონმებული მოთხოვნით. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ სათანადოგო გას-აღებების პაკეტის გამოტანის შემთხვევაში გამოი-წერება ბალანსგარეშე გასავლის ორდერი და გამოტანის მიზეზების აღნიშვნით დგება მიღება-ჩაბარების აქტი.
5. ფული და სხვა ფასეულობა საცავში ინახება ლით-ონის კარადებში, სეიფებში, ურიკებში და თაროებზე.
6. დაუშვებელია საცავში არაფორმირებული ფულის შენახვა, გარდა ბანკომატებისა და ფულის მიღე-ბა–გაცემის სხვა ალტერნატიული ავტომატური მოწყობილობებისათვის განკუთვნილი ფულისა, რომელიც მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კასეტებში, ასევე ინკასაციისთვის განკუთვნილი ან შემდგომი გადათვლის მიზნით ინკასირებული და-ლუქული ნაღდფულიანი ჩანთებისა (ან შენახვის სხვა საშუალებები), რაც აღირიცხება მათში არსე-ბული თანხის მიხედვით;
7. საეჭვო ფულის ნიშნები ეროვნულ ბანკში წარდგე-ნამდე, ინახება ცნობებთან ერთად და აღირიცხება ყურნალში ან კომპიუტერში (დანართი N5).
8. სხვა ფასეულობა (გარდა მკაცრი აღრიცხვის ბლ-ანკებისა) ვიზუალური დათვალიერების შემდგომ ინახება თანმხლებ აღწერილობასთან ერთად.
9. დაუშვებელია რადიაქტიული, ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების შემცველი ფასეულობების შენახვა.
10. ცალკეულ შემთხვევებში, ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის, ასევე სალაროს დოკუმენტების შე-ნახვა შესაძლებელია სალაროს კვანძში შესაბამ-ისი პასუხისმგებელი პირების ან ინკასატორების პასუხისმგებლობის ქვეშ.
11. სალაროს დღიური საბუთები ინახება 6 წლის გან-მავლობაში სათანადოდ დაცულ ადგილზე, შესა-ბამისი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ.

## მუხლი 17. ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის შემოწმება

1. კომერციული ბანკი ვალდებულია სისტემატურად განახორციელოს ნაღდი ფულისა და სხვა ფასეუ-ლობის ნატურის, მათი შენახვის მდგომარეობისა და სალაროს ოპერაციების წარმოების მოულოდ-ნელი შემოწმება.
2. შემოწმება უნდა ჩატარდეს ყველა ფასეულობის

აღწერით და ისეთი თანამიმდევრობით, რომ გამოირიცხოს ფულისა და ფასეულობების დანაკლისის ან დატაცების ფაქტის მიჩქმალვა.

3. შემონმებამ არ უნდა დაარღვიოს კომერციული ბანკის მუშაობის და კლიენტთა მომსახურების პროცესი.
4. ჩატარებული შემონმების შესახებ დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერს რევიზიის პროცესში მონაწილე ყველა პირი.
5. ჩატარებული რევიზიის აქტში მითითებული უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები: რევიზიის დღისათვის ფაქტობრივად რიცხული თანხები და სხვა ფასეულობა, მათი საბუღალტრო მონაცემებთან შესაბამისობა, რევიზიისას აღმოჩენილი ფულის ზედმეტობები და დანაკლისები (მათი არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ნაღდ ფულთან და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის დარღვევები და რისკების შეფასება.
6. კომერციული ბანკის მიერ სალაროს შემონმება ასევე ხორციელდება ნაღდი ფულისა და ფასეულობის გადაბარების დროს. ამ შემთხვევაში სხვა მონაცემების გარდა აქტში აღინიშნება საცავის გასაღებების, დასალუქი საშუალებებისა და ბეჭდების გადაცემა.
7. შემონმების შედეგად გამოვლენილი დანაკლისი, მის სრულ დაფარვამდე, დაეწერება იმ მუშაკს, ვისი მიზეზითაც მოხდა აღნიშნული ფაქტი. სალაროში გამოვლენილი ზედმეტობა ჩაირიცხება შესაბამის ანგარიშზე.
8. შემონმების შედეგებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, განიხილავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა.
9. კომერციული ბანკის შემონმებების მასალები ექვემდებარება შენახვას არანაკლებ 6 წლის განმავლობაში.

ქ. \_\_\_\_\_

„\_\_\_\_\_” „\_\_\_\_\_” 20 6

ცნობა  
საეჭვო ფულის გამოვლენის შესახებ

კომერციული ბანკის დასახელება \_\_\_\_\_

ბანკის პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

შემომტანი \_\_\_\_\_

პირის სახელი, გვარი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი საბუთის

მიხედვით, მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და

ტელეფონის ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება ასევე მისი დასახელება

ვალუტის დასახელება	ნომინალი	გამოშვების წელი	სერია, ნომერი	თანხა

შენიშვნა: \_\_\_\_\_

ბანკის პასუხისმგებელი პირი

შემომტანი

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნა: (შ.ა.)

საქართველოს ეროვნული ბანკის

პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

(ხელმოწერა, თარიღი)

კომენტარი: \_\_\_\_\_

ბანკის პასუხისმგებელი პირი

შემომტანი

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

\* იმ შემთხვევაში, თუ ფულის ნიშნის შემომტანი უარს აცხადებს ინდენტიფიცირებაზე ან/და ცნობაზე ხელის მოწერაზე, კომერციული ბანკი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ მიუთითოს შენიშვნის ველში.



# დანართი N2

ქ. \_\_\_\_\_

„\_\_\_\_\_” „\_\_\_\_\_” 20 6

## ცნობა

კომერციულ ბანკებში ინკასირებული ნაღდ ფულიანი ჩანთების საკონტროლო გადათვლისას საეჭვო ფულის ნიშნების გამოვლენის შესახებ

კომერციული ბანკის დასახელება \_\_\_\_\_

კლიენტის (ან დაქვემდებარებული ობიექტი) დასახელება \_\_\_\_\_

მიღებული თანხა \_\_\_\_\_

(ციფრებით, ვალუტის მითითებით)

გადათვლა განახორციელა \_\_\_\_\_ პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი)

(სახელი, გვარი)

ესწრებოდა შემომტანის წარმომადგენელი\* \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი)

საკონტროლო გადათვლის შედეგად გამოვლინდა \_\_\_\_\_

ნომინალი	გამოშვების წელი	ნომერი	თანხა
სულ			

სულ თანხა სიტყვებით \_\_\_\_\_

ბანკის წარმომადგენლები:

კლიენტის წარმომადგენელი\*:

გადათვლა განახორციელა \_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

\_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

(ხელმოწერა)

საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნა: (შ.ა.)

საქართველოს ეროვნული ბანკის

პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

(ხელმოწერა, თარიღი)

კომენტარი: \_\_\_\_\_

ბანკის პასუხისმგებელი პირი

შემომტანი

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

\* შენიშვნა: შემომტანის წარმომადგენლის ვინაობა და ხელმოწერა არ მიეთითება იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო გადათვლას არ ესწრება შემომტანის წარმომადგენელი, რის შესახებ კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

ცნობა

გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნების გამოვლენის შესახებ

კომერციული ბანკის დასახელება \_\_\_\_\_

ბანკის პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

შემომტანი \_\_\_\_\_

პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით,

მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და ტელეფონის ნომერი,

იურიდიული პირის შემთხვევაში მიეთითება ასევე მისი დასახელება

ბანკნოტი/მონეტა	ნომინალი	გამოშვების წელი	სერია, ნომერი	გადასახდელად უვარგისი ფულადი ნიშნის დახასიათება

ბანკის პასუხისმგებელი პირი

შემომტანი

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

კომენტარი: \_\_\_\_\_

ბანკის პასუხისმგებელი პირი

შემომტანი

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნა: (შ.ა.)

საქართველოს ეროვნული ბანკის

პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

(ხელმოწერა, თარიღი)

\* იმ შემთხვევაში, თუ ფულის ნიშნის მფლობელი არ თანხმდება კომერციული ბანკის გადაწყვეტილებას, საკითხის გარკვევის მიზნით შეუძლია მიმართოს ეროვნულ ბანკს.

# დანართი N4

კომერციული ბანკის დასახელება \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

## მინდობილობა N

\_\_\_\_\_ უფლებამოსილია საქართველოს ეროვნული  
(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

ბანკის საკასო ცენტრიდან მიიღოს:

\* ექსპერტიზის შედეგად დადგენილი ნამდვილი უცხოური ვალუტა \_\_\_\_\_

(ვალუტის დასახელება, თანხა ციფრებით და სიტყვებით)

\* გადასახდელად უვარგისი ეროვნული ვალუტა \_\_\_\_\_

(ვალუტის დასახელება, თანხა ციფრებით და სიტყვებით)

\* მოძველებული უცხოური ვალუტა \_\_\_\_\_

(ვალუტის დასახელება, თანხა ციფრებით და სიტყვებით)

\_\_\_\_\_ (კომერციული ბანკის პასუხისმგებელი  
პირის თანამდებობა, სახელი, გვარი)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

ბ.ა

შენიშვნა: მინდობილობა გაიცემა არა უმეტეს 3 სამუშაო დღის ვადით.

# დანართი N5

კომერციული ბანკის დასახელება \_\_\_\_\_

## საქვმო ფულის ნიშნების აღრიცხვის ჟურნალი

დაწყებულია 20\_\_ წლის \_\_\_\_\_

დასრულებულია 20\_\_ წლის \_\_\_\_\_

ჩანაწერი ამ ჟურნალში კეთდება მის სრულ გამოყენებამდე

რიგითი N	შემოტანი	შემოტანის თარიღი	ნომინალი	გამოშვების წელი	სერიული ნომერი (ბანკნოტის შემთხვევაში)	მიმღები პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	სებ-ში გაგზავნის თარიღი

## 5.2 ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი ადგენს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების (შემდგომში ბანკნოტები/მონეტები) დანიშნულებისა და ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრის, დასამზადებელი ბანკნოტების/მონეტების ოდენობის გაანგარიშების წესებსა და მათ დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმართვის პროცედურებს.
- ამ წესის მიზანია ბანკნოტების/მონეტების დანიშნულების, თემატიკისა და მახასიათებლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, ქვეყნის ეკონომიკის ფულის ნიშნებით შეუფერხებელი მომარაგება, ლარის ბანკნოტების და მონეტების დამზადების საქმიანობის ორგანიზება.
- დასამზადებელი ბანკნოტების/მონეტების დანიშნულების, ნომინალის, ზომის, წონის, რაოდენობის, გაფორმების, მასალისა და სხვა მახასიათებლების განსაზღვრის, მათ დასამზადებლად სათანადო პარტნიორის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.

### მუხლი 2. ბანკნოტების/მონეტების დანიშნულება და მახასიათებლები

- ბანკნოტები/მონეტები დანიშნულების მიხედვით შეიძლება გამოშვებულ იქნას, როგორც უშუალოდ მიმოქცევის, ისე საკოლექციოდ ან/და სხვა საჭიროებისათვის.
- მიმოქცევის დანიშნულებით ბანკნოტების/მონეტების (შემდგომში მიმოქცევის ბანკნოტები/მონეტები) დამზადება ხდება ნაღდ ფულზე ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.
- საკოლექციოდ ან/და სხვა საჭიროებისათვის შეიძლება დამზადდეს:
  - ბანკნოტები/მონეტები, რომელიც ეძღვნება რაიმე მნიშვნელოვან თარიღს, მოვლენას, პიროვნებას ან სხვა თემას და მათი მახასიათებლები ნაწილობრივ ან მთლიანად განსხვავდება მიმოქცევის ბანკნოტების/მონეტებისაგან. ასეთი სახის მონეტების დასამზადებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძვირფასი ან სხვა სახის ლითონი.
  - საინვესტიციო დანიშნულების უმაღლესი ხარისხისა და სინჯის 1/10, 1/4, 1/2, 1, 5 და 10 უნცია ოქროს მონეტები, რომელიც მზადდება ერთნაირი დიზაინით.
- საკოლექციოდ ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ბანკნოტები/მონეტები, გარდა საინვესტიციო დანიშნულების ოქროს მონეტებისა, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება გამოშვებულ იქნას მიმოქცევის დანიშნულებითაც.
- ბანკნოტების აუცილებელი მახასიათებლებია:
  - ვალუტის დასახელება და ნომინალური ღირებულება ორივე მხარეს, გამოხატული ციფრებითა და სიტყვებით ქართულ ენაზე;
  - ემიტენტი ქვეყნისა და დაწესებულების დასახელება ქართულ ენაზე;

- ცალკეული ნომინალისათვის ინდივიდუალური დიზაინი (მიმოქცევის ბანკნოტების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით);
  - თითოეული ნომინალისათვის ინდივიდუალური ზომები (სიგრძე, სიგანე) და ფერები;
  - დამცავი ნიშნები:
- რომელიც აღიქმება შეუიარაღებელი თვალით დახედვით (ბანკნოტის სხვადასხვა კუთხით დახრისას), შეხებითი შეგრძნებით;
  - რომელთა ნაკითხვა შესაძლებელია ტექნიკური ხელსაწყოების დახმარებით;
  - რომელთა ნაკითხვა შესაძლებელია ფულის ნიშნების სათვლელ-დამხარისხებელი აგრეგატების მეშვეობით.
- მონეტების აუცილებელი მახასიათებლებია:
    - ვალუტის დასახელება ქართულ ენაზე და ნომინალური ღირებულება ციფრებით;
    - ემიტენტი ქვეყნის დასახელება ქართულ ენაზე;
    - დიზაინი (მიმოქცევის მონეტების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით);
    - მიმოქცევის მონეტების შემთხვევაში – თითოეული ნომინალისათვის განსხვავებული ზომა (დiameter) და/ან სისქე) და/ან შემადგენლობა, საინვესტიციო მონეტების შემთხვევაში – განსხვავებული ზომა (დiameter).
  - ბანკნოტები/მონეტები უნდა შეიცავდეს გამოშვების წელს ციფრებით, ბანკნოტები ასევე უნდა შეიცავდეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერებს და ყველა ბანკნოტისათვის ინდივიდუალურ სერიულ ნუმერაციას.
  - მიმოქცევის ბანკნოტების/მონეტების დამზადებისას იცვლება გამოშვების წელი, ბანკნოტზე იცვლება ხელმოწერაც, თუ იმეცვალა ამ პერიოდში შესაბამისი ხელმოწერი პირი.
  - ცალკეულ შემთხვევაში, მახასიათებლების შეუცვლელად მიმოქცევის ბანკნოტების/მონეტების დამზადებისას გამოშვების წლის და/ან ხელმოწერის ცვლილება შეიძლება არ განხორციელდეს ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით.
  - ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ მიმოქცევის ბანკნოტებზე/მონეტებზე, რომელთა დამზადება ხორციელდება 2005 წლამდე გამოშვებული ბანკნოტების/მონეტების იდენტური დიზაინის მიხედვით.

### მუხლი 3. ბანკნოტების/მონეტების თემატიკისა და დიზაინის განსაზღვრა

- თემატიკის (თემის) მოძიებას და/ან შერჩევას ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ამ პროცესში შესაძლებელია ჩართული იქნან სოციოლოგიური კვლევის სამსახურები, ან ისტორიის, ხელოვნებისა და სხვა შესაბამის სფეროში მოღვაწე პირებიც.
- ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით თემატიკის (თემის) მოძიება-შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს კომისიური წესით.
- ბანკნოტების/მონეტების თემატიკის (თემის) თაობაზე ეროვნული ბანკის საბჭოსთვის ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ან

კომისიის) მიერ წარდგენილი წინადადებები უნდა შეიცავდეს თითოეული თემის დეტალურ აღწერას და არგუმენტაციას მისი მნიშვნელობის შესახებ.

- ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ განსაზღვრული თემატიკის (თემის) მიხედვით შესაბამისი დიზაინის ესკიზის/ესკიზების შერჩევა ხდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის მიერ.

#### მუხლი 4. დასამზადებელი

##### ბანკნოტების/მონეტების ოდენობის განსაზღვრა

- ქვეყნის ეკონომიკისათვის ბანკნოტების/მონეტების მიწოდება ნომინალების მიხედვით ხორციელდება ფაქტიური მოთხოვნის შესაბამისად, რისთვისაც ეროვნულ ბანკში იქმნება ბანკნოტებისა და მონეტების სარეზერვო მარაგი.
- მიმოქცევის ბანკნოტების/მონეტების დამზადების მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ მომდევნო სამი წლის საპროგნოზო მოთხოვნის გათვალისწინებით.
- მიმოქცევის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ბანკნოტების/მონეტების დამზადების სამუშაოების დაწყება ხორციელდება მიმოქცევაში ნაღდი ფულის ოდენობის შესახებ მაკროეკონომიკური საპროგნოზო მაჩვენებლისა და შესაბამისი გაანგარიშების მიხედვით ეროვნული ბანკის სისტემაში არსებული ცალკეული ნომინალის არანაკლებ 18 თვის საკმარისი მარაგის დადგომისთანავე.
- ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი პირობების მიუხედავად, მიმოქცევის ბანკნოტების/მონეტების დამზადების მოცულობის განსაზღვრისა და შესაბამისი სამუშაოების დაწყების მიზანშეწონილობის საკითხს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განიხილავს და წყვეტს ეროვნული ბანკის საბჭო.
- მიმოქცევის ბანკნოტების/მონეტების დასამზადებელი ოდენობის გაანგარიშებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:
  - ეროვნული ბანკის საცავებში არსებული მიმოქცევის ბანკნოტების/მონეტების სარეზერვო მარაგების ოდენობა;
  - მიმოქცევაში არსებული თითოეული ნომინალის ფაქტიური ხვედრითი წილი და მისი ზრდის/კლების ტენდენციები;
  - თითოეული ნომინალის ცვეთის კოეფიციენტი, ანალიტიკური და პრაქტიკული დაკვირვების შედეგები;
  - მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობის, მისი ზრდის/კლების საპროგნოზო მაჩვენებლები.
  - ნაღდი ფულის მიმოქცევასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები.
- ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება უშუალოდ მიმოქცევის დანიშნულების ბანკნოტებზე/მონეტებზე და არ ვრცელდება ისეთი სახის საკოლექციო და/ან სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილ ბანკნოტებზე/მონეტებზე, რომელთაც აქვთ მიმოქცევის დანიშნულება.
- საკოლექციო და/ან სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ბანკნოტების/მონეტების (გარდა საინვესტიციო მონეტებისა) დამზადების ოდენობა ლიმიტ-

ირებულია ყოველი ცალკეული მახასიათებლების მქონე ფულის ნიშნისათვის.

- საინვესტიციო მონეტების დასამზადებელი ოდენობის გაანგარიშება ხდება მათზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით.

#### მუხლი 5. ბანკნოტების/მონეტების დამზადების პროცედურები

- ბანკნოტების/მონეტების დამზადება ხდება ფულის დამამზადებელ სანარმოში ეროვნული ბანკისა და ამ სანარმოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
- ბანკნოტების/მონეტების დამზადების პროცედურები მოიცავს მოსამზადებელ, მიმდინარე და დასკვნით სამუშაოებს.
- მოსამზადებელი სამუშაოები მოიცავს:
  - ბანკნოტების/მონეტების თემატიკის (თემის), დიზაინისა და სხვა მახასიათებლების, დასამზადებელი ოდენობის გაანგარიშებას;
  - ფულის ნიშნების დამამზადებელი სანარმოებისათვის შეთავაზებების გაგზავნას;
  - სანარმოებისაგან კომერციული წინადადებების მიღება-დამუშავებასა და პარტნიორის შერჩევას.
- მიმდინარე სამუშაოები მოიცავს:
  - ფულის ნიშნების დამამზადებელ პარტნიორ სანარმოებთან ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმებას;
  - დასამზადებელი ბანკნოტების/მონეტების სასიგნალო ნიმუშების შექმნის პროცესში მონაწილეობას;
  - ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა-კონტროლს.
- დასკვნითი სამუშაოები მოიცავს:
  - მზა პროდუქციის მიღება-განთავსებას;
  - ახალი ბანკნოტების/მონეტების მიმოქცევაში გასაშვებად ან სარეალიზაციოდ მომზადებასა და მათ საკონტროლო გადათვლა-დახარისხებას;
  - საჭიროების შემთხვევაში დამამზადებელი სანარმოებისაგან პროდუქციის წარმოების შესახებ ანგარიშების მიღებას, ურთიერთპრეტენზიების განხილვა-გადაწყვეტას;
  - ბანკნოტების/მონეტების შემდგომი წარმოებისათვის ვარგისი ორიგინალური მასალების შენახვის (ეროვნული ბანკის საცავში ან ადგილზე, მწარმოებლის საცავში), შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მასალებისა და ნარჩენების განადგურების უზრუნველყოფას.
- ახალი ბანკნოტების/მონეტების მიმოქცევაში გაშვებამდე ან რეალიზაციამდე ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში ხდება მათი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის პირველადი შემოწმება შერჩევის პრინციპით შემდეგი ოდენობით:
  - მიმოქცევის ბანკნოტები/მონეტები – თითოეული ნომინალის არანაკლებ 1000 ერთეული;
  - საკოლექციო და/ან სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ბანკნოტები/მონეტები (მათ შორის ის ბანკნოტები/მონეტები, რომელთაც აქვთ მიმოქცევის დანიშნულება) – თითოეული ნომინალის მთლიანი ოდენობის არანაკლებ 0.2%.

## 5.3 ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების შესყიდვის წესი

### მუხლი 1. ზოგადი წესი

- ეს წესი ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ბანკი) მიერ ლარის ბანკნოტებისა და მონეტების (შემდგომში ბანკნოტები/მონეტები) დამზადების შესყიდვის წესს და ვრცელდება როგორც უშუალოდ მიმოქცევისათვის, ისე საკოლექციო და/ან სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებზე.
- წესის მიზანია ბანკნოტები/მონეტების დამზადების შესყიდვის ერთიანი სისტემის შექმნა, აღნიშნული საქმიანობის გამჭვირვალობისა და შესაბამისი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა.
- ბანკნოტები/მონეტების დამზადების შესყიდვისას, თუ ამ წესით შესაბამისი პროცედურა არ არის განსაზღვრული, ბანკი მოქმედებს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ნორმებისა და ჩვეულებების შესაბამისად.
- ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესყიდვა მოიცავს ბანკნოტები/მონეტების დიზაინის ესკიზის/ესკიზებისა (შემდგომში ესკიზი/ესკიზები) და მათ დასამზადებლად სათანადო პარტნიორის შერჩევას.
- ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესყიდვები ხორციელდება ბანკის მიერ დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის ფარგლებში. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:
  - ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესყიდვის მიზანი;
  - მსგავსი შესყიდვის განხორციელების გამოცდილება;
  - დასამზადებელი ბანკნოტების/მონეტების დამზადებისა და მოწოდების სავარაუდო ღირებულება;
  - ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა შესაძლო ხარჯები;
  - მზა ბანკნოტების/მონეტების მოწოდების სავარაუდო ვადები;
  - ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესყიდვასთან დაკავშირებით წინა წელს დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები მიმდინარე წლისათვის;
  - ამ შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.

### მუხლი 2. ესკიზის/ესკიზების შერჩევის ორგანიზება

- ბანკის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) გადაწყვეტილებით განსაზღვრული თემატიკის (თემის) მიხედვით ესკიზის/ესკიზების შერჩევა ხდება კონკურსის წე-

სით, თუ საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ესკიზის/ესკიზების ამ წესისაგან განსხვავებული ფორმით შერჩევის თაობაზე.

- კონკურსში გამარჯვებული ესკიზისთვის/ესკიზებისთვის დაწესებული ჭილდოს/ჭილდოების ოდენობა განისაზღვრება საბჭოს მიერ.
- ესკიზის/ესკიზების შესარჩევად კონკურსის ჩატარებასა და ესკიზის/ესკიზების შერჩევას ახდენს სპეციალური კომისია (შემდგომში – კომისია) არანაკლებ 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით, რომლის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და სხვა წევრებს ამტკიცებს და ათავისუფლებს ბანკის პრეზიდენტი.
- კომისიის წევრებად ინიშნებიან ბანკის ვიცე-პრეზიდენტი და/ან აღმასრულებელი დირექტორი და ბანკის შესაბამისი თანამშრომლები. კომისიის თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეიძლება ეთხოვოდ საჭიროების მიხედვით ისტორიის, ხელოვნების, კულტურისა და სხვა შესაბამის სფეროში მოღვაწე პირებს. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, კომისიის სხდომებზე ექსპერტებად და კონსულტანტებად შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები ან ბანკის სხვა თანამშრომლები.
- კომისიის იმ წევრებთან, რომლებიც არ არიან ბანკის თანამშრომლები, ეროვნული ბანკის მიერ ფორმდება ხელშეკრულება. ბანკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწვეულ წევრს/წევრებს მიეცეთ ფულადი ანაზღაურება კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის.
- კომისიის ძირითადი ფუნქციებია კონკურსის ტიპის (ღია ან შეზღუდული) და საკონკურსო პირობების განსაზღვრა, კონკურსის გამოცხადება, კონკურსანტებისაგან წარმოდგენილი ესკიზების განხილვა-შეფასება და საუკეთესო ესკიზის/ესკიზების შერჩევა ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.
- კომისიის წევრს უფლება არ აქვს კომისიაზე განსახილველად წარმოადგინოს მის მიერ შექმნილი ესკიზი.
- კომისიის წევრს ეკრძალება სუბიექტური მიდგომა ესკიზების შერჩევისას ნათესაური კავშირის ან სხვა პირადი ინტერესის გამო და იგი ვალდებულია თავიდან აიცილოს ისეთი გარემოებები, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი ამ საქმიანობასთან დაკავშირებით.
- კომისიის წევრს ეკრძალება მიიღოს რაიმე თანხა, ფასიანი საჩუქარი ან ნებისმიერი სახის მატერიალური სარგებლის დაპირება ამ კონკურსში მონაწილე პირებისათვის რაიმე უპირატესობის მინიჭების პირობით. ასეთი შემთავაზებების შემთხვევაში იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კომისიის სხვა წევრებს, რის საფუძველზეც კომისია იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კონკურსანტის კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების თაობაზე.
- კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გა-

დანყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისია გადანყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადანყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

11. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, სადაც დეტალურად აისახება სხდომაზე განხილული საკითხები, ყველა გამოთქმული მოსაზრება, შეფასება და მიღებული გადანყვეტილება. ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი.
12. კომისიის მიერ მიღებული გადანყვეტილებების შესრულებას უზრუნველყოფენ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები ბანკის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

### მუხლი 3. ესკიზზე/ესკიზებზე კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო ესკიზის/ესკიზების წარმოდგენა

1. ესკიზზე/ესკიზებზე კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება ქვეყნდება ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებებში ქართულ და/ან ინგლისურ ენებზე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დამატებით მოხდეს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
2. ესკიზზე/ესკიზებზე კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებას ამტკიცებს კომისია.
3. ესკიზზე/ესკიზებზე კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:
  - ა) ბანკის რეკვიზიტები;
  - ბ) საკონკურსო პროექტის აღწერილობა მისი მხატვრული და ტექნიკური შესრულების მოთხოვნების მითითებით (ბანკნოტის/მონეტის სახეობა, დანიშნულება, თემატიკა კონკრეტული თემის მითითებით, ნომინალი და დიზაინის შემადგენელი სავალდებულო სიმბოლოები, წარწერები და სხვა რეკვიზიტები ან ელემენტები, აგრეთვე ესკიზზე/ესკიზებზე მათი განთავსების კონკრეტული მიმართულებები ან კონკურსანტის მხრიდან აღნიშნულის საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევის შესაძლებლობა და სხვა);
  - გ) ინფორმაცია კონკურსის ტიპის შესახებ (ღია თუ შემღვდული);
  - დ) კონკურსში მონაწილეთა კრიტერიუმები (შემღვდული კონკურსის ჩატარების შემთხვევაში);
  - ე) საკონკურსო ესკიზების განხილვისა და საუკეთესო ესკიზის/ესკიზების შერჩევის ვადები;
  - ვ) გამარჯვებული ესკიზის/ესკიზებისათვის დანესებული ჯილდოს/ჯილდოების ოდენობა და ანაზღაურების პირობები;
  - ზ) საკონკურსო ესკიზის/ესკიზების ეროვნულ ბანკში წარმოდგენის ფორმა და ვადა;
  - თ) ინფორმაცია საკონკურსო ესკიზის/ესკიზების შემდგომი განკარგვის თაობაზე;
  - ი) ინფორმაცია კონკურსის დასრულების შემდეგ გამარჯვებული ესკიზის/ესკიზების ავტორთან/ავტორებთან შესაძლო ურთიერთობის თაობაზე;
  - კ) ინფორმაცია კონკურსის შედეგების გამოქვეყნე-

- ბის ადგილისა და ფორმის შესახებ;
  - ლ) კონკურსის ჩატარების თაობაზე განცხადების გამოქვეყნების თარიღი;
  - მ) სხვა პირობები, რომელსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს კომისია.
4. საკონკურსო ესკიზი/ესკიზები უნდა შესრულდეს A4 ზომის ფორმატზე როგორც საპრეზენტაციო, ისე ბანკნოტის/მონეტის ორიგინალურთან მიახლოებული ზომით და მისი წარმოდგენა სავალდებულოა როგორც ნახატის (ქალაქდზე), ასევე ელექტრონული (კომპიუტერულად შესრულებული) სახით;
  5. ესკიზს/ესკიზებს თან უნდა დაერთოს ბანკნოტის/მონეტების დიზაინის ელემენტების აღწერილობა და დიზაინის შინაარსის განმარტება;
  6. კონკურსანტის მიერ საკონკურსო ესკიზი/ესკიზები და პირადი რეკვიზიტები უნდა მოთავსდეს ცალკე, განსხვავებული ზომის დახურულ ორ კონვერტში, რომლებზეც არ უნდა იყოს მითითებული ავტორის/კონკურსანტის ვინაობა. დიდი ზომის კონვერტში მოთავსებული უნდა იყოს საკონკურსო ესკიზი/ესკიზები (როგორც ქალაქდზე, ასევე ელექტრონულ მატარებელზე), დიზაინის შინაარსის განმარტება და აღწერილობის ტექსტი, ხოლო მცირე ზომის კონვერტში – შესაბამისი ესკიზი/ესკიზები (შესაძლებელია შემცირებული ზომის) ავტორის/კონკურსანტის პირადი რეკვიზიტების (სახელი, გვარი, ხელმოწერა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი) მითითებით. ორივე კონვერტი მოთავსებული უნდა იყოს ერთ დიდ დალუქულ პაკეტში, რომელზეც მითითებული უნდა იქნეს მხოლოდ ბანკის მისამართი წარწერით: „საქართველოს ეროვნულ ბანკს, ლარის ბანკნოტის/მონეტის საკონკურსო ესკიზი/ესკიზები“.
  7. საკონკურსო მასალების შემცველი დალუქული პაკეტი კონკურსანტის მიერ ბანკში წარმოდგენილ უნდა იქნეს განცხადებაში მითითებულ ვადაში.
  8. ესკიზის/ესკიზების ეროვნულ ბანკში წარმოდგენის ვადა არ უნდა იყოს კონკურსის გამოცხადებიდან 1 (ერთი) თვეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 6 (ექვსი) თვეს.
  9. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამოცხადებული კონკურსის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს გადანყვეტილებით. გამოცხადებული კონკურსის გაუქმების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საკონკურსო ესკიზის/ესკიზების წარმოდგენისათვის დადგენილი ვადის დასრულებამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე და იმავე საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება.

### მუხლი 4. ესკიზის/ ესკიზების მიღება—განხილვა და შერჩევა

1. ეროვნულ ბანკში საკონკურსო მასალების შემცველი დალუქული პაკეტების მიღება ფიქსირდება სპეციალურ რეესტრში (სადაც მიეთითება წარმომდგენი, მიღების თარიღი, დრო, მიმღების ხელმოწერა) და იმავდროულად რეესტრში ხელმოწერით გაუხსნელად გადაეცემა კომისიის მდივანს, რომელიც უზრუნველყოფს პაკეტების



გაუხსნელად შენახვას მათი წარმოდგენის ვადის დასრულებამდე.

2. დალუქული პაკეტები იხსნება და განიხილება კომისიის მიერ მათი წარმოდგენის საბოლოო ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვეში.
3. კომისია არ განიხილავს საკონკურსო ესკიზების წარმოდგენის ფორმის დარღვევით ან დაგვიანებით მიღებულ ესკიზებს.
4. განცხადებაში მითითებულ მოთხოვნებთან კონვერტების შესაბამისობის შემთხვევაში კომისია ერთდროულად ახდენს დიდი ზომის კონვერტების გახსნას და მათში მოთავსებული ესკიზების განხილვას.
5. კომისიის წევრები სხდომაზე წარმოდგენილი ესკიზებიდან კონკრეტული ესკიზისადმი ხმის მიცემას ადასტურებენ ესკიზზე ხელმოწერით. ირჩევა არაუმეტეს 3 (სამი) ესკიზი.
6. ესკიზის/ესკიზების შერჩევის შემდეგ იხსნება მცირე ზომის კონვერტები და ვლინდება შერჩეული ესკიზის/ესკიზების ავტორის/ავტორების ვინაობა.
7. კომისიის მიერ შერჩეული ესკიზი/ესკიზები დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებული ესკიზის/ესკიზების თაობაზე.
8. კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საბჭოს მიერ ესკიზის/ესკიზების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში ბანკის ვებ-გვერდზე. კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ბანკის რეკვიზიტებს, საკონკურსო პროექტის აღწერილობას, კონკურსში მონაწილეთა და გამარჯვებულის/გამარჯვებულთა ვინაობას, კონკურსის ჩატარების თარიღს, გამარჯვებულ კონკურსანტს/კონკურსანტებს კონკურსის შედეგები შეიძლება ეცნობოთ პირადად.
9. კონკურსში გამარჯვებული ესკიზი/ესკიზები ხდება ბანკის საკუთრება. კონკურსში მონაწილე ესკიზები რჩება ბანკს.
10. ბანკნოტების/მონეტების დამზადების პროცესში დიზაინის ელემენტების სრულყოფის მიზნით ესკიზის/ესკიზების ავტორის/ავტორების მონაწილეობის საჭიროების შემთხვევაში ბანკსა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულება შესასრულებელი სამუშაოების თაობაზე.
11. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის ჩატარების თაობაზე განცხადებაში მითითებულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი ესკიზი, კონკურსი ითვლება არაშემდგარად, ხოლო თუ წარმოდგენილი არც ერთი ესკიზი არ იქნა მონაწილელი და შერჩეული ობიექტური მიზეზებით, კონკურსი ითვლება დასრულებულად უარყოფითი შედეგით, რაც შესაბამისად აისახება ესკიზის/ესკიზების შერჩევის კომისიის ოქმში. ამ შემთხვევაში ესკიზის/ესკიზების შესაქმნელად ახალი კონკურსის გამოცხადების ან ამ მიზნით სხვა საშუალების ან მეთოდის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

## მუხლი 5. ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის ორგანიზება

1. საბჭოს მიერ განსაზღვრული ბანკნოტების/მონეტის ოდენობის, დიზაინისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით მათ დასამზადებლად შესაბამისი პარტნიორის შერჩევის ორგანიზებას ახორციელებს სპეციალური კომისია (შემდგომში – კომისია) არანაკლებ 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით, რომლის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და სხვა წევრებს ამტკიცებს და ათავისუფლებს ბანკის პრეზიდენტი.
2. კომისიის წევრებად ინიშნებიან ბანკის ვიცე-პრეზიდენტი და/ან აღმასრულებელი დირექტორი და ბანკის შესაბამისი მუშაკები. კომისიის თავმჯდომარის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის სხდომებზე ექსპერტებად და კონსულტანტებად შეიძლება მოწვეული იქნენ ბანკის სხვა თანამშრომლები.
3. კომისიის ძირითადი ფუნქციებია:
  - ა) საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში პარტნიორის შესარჩევ პროექტში სანარმოთა მონაწილეობის პირობების განსაზღვრა ბანკნოტების/მონეტების დამზადების თაობაზე კომერციული წინადადებების წარმოდგენის მიზნით;
  - ბ) ბანკნოტების/მონეტების დამზადების თაობაზე სანარმოებისაგან მიღებული კომერციული წინადადებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა;
  - გ) ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად ყველაზე ხელსაყრელი შემოთავაზების მქონე სანარმოს/სანარმოების გამოვლენა და აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
  - დ) საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ბანკნოტების/მონეტების დამზადებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვა-გადაწყვეტა.
4. კომისიის სხდომებზე დამსწრე ყველა პირი ვალდებულია დაიცვას და არ გათქვას ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შერჩევა-ასთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია (მათ შორის მონაწილე სანარმოთა ვინაობა, კომერციული წინადადებებით გათვალისწინებული ინფორმაცია).
5. კომისიის წევრს ეკრძალება სუბიექტური მიდგომა პარტნიორის შერჩევისას ნათესაური კავშირის ან სხვა პირადი ინტერესის გამო და ვალდებულია თავიდან აიცილოს ისეთი გარემოებები, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი ამ საქმიანობასთან დაკავშირებით.
6. კომისიის წევრს ასევე ეკრძალება მიიღოს რაიმე თანხა, ფასიანი საჩუქარი ან ნებისმიერი სახის მატერიალური სარგებლის დაპირება ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროექტში მონაწილეებისაგან მათთვის რაიმე უპირატესობის მინიჭების პირობით. ასეთი შემო-

თავაზების შემთხვევაში იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წინასწარ აცნობოს კომისიის სხვა წევრებს.

7. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
8. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, სადაც დეტალურად აისახება სხდომაზე განხილული საკითხები, ყველა გამოთქმული მოსაზრება და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ადგენს სხდომის მდივანი, რომლის ფუნქციას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი. ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა პირი.
9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას უზრუნველყოფს ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

## მუხლი 6. პარტნიორის შესარჩევ პროექტში სანარმოთა მონაწილეობის პირობები

1. ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შესარჩევ პროექტებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ საბჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრულ ევრობანკნოტების/მონეტების და მსოფლიოს სხვა წამყვანი განვითარებული ქვეყნების ფულის ნიშნების დამამზადებელ სანარმოებს.
2. პროექტში მონაწილე სანარმოს უნდა ჰქონდეს ფულის ნიშნების დამზადების სათანადო გამოცდილება, მყარი ფინანსური მდგომარეობა და დადებითი რეპუტაცია.
3. პროექტში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვება სანარმო, თუ ცნობილია, რომ:
  - ა) ადგილი ჰქონდა მისი მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თვითნებურად გაჭიანურებას ან მათ შეუსრულებლობას, ან ის იყო ლარის ბანკნოტების/მონეტების დამზადების პროექტში გამარჯვებული, მაგრამ მისთვის წინასწარ ცნობილი პირობების დადასტურების მიუხედავად, მისი მიზგზით არ მოხდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება და აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოიქმნა ან შესაძლოა წარმოიქმნას სერიოზული რისკები.
  - ბ) მას ან მის წარმომადგენლებს აქვთ ფინანსური ან ნათესაური კავშირები კომისიის წევრებთან.
4. პროექტში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან აგრეთვე იმ ქვეყნის (როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი) სანარმოები:
  - ა) რომელთანაც აკრძალულია კომერციული ურთიერთობები საქართველოს კანონმდებლობით;
  - ბ) რომელთა მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით გამოცხადებულია ემბარგო საქონლის ექსპორტზე;
  - გ) რომელთანაც ბანკნოტების/მონეტების დამზადების პროექტის განხორციელება პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან.

41. ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით სათანადო ცვლილებების განმაპირობებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში პროექტის დაწყებამდე შესაძლებელია მოხდეს საბჭოს მიერ განსაზღვრული სანარმოების ნუსხის გადახედვა და მასში შესაბამისი ცვლილების შეტანა.
5. ამ ნუსხის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში კომისიის სხდომის ჩატარებამდე ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ფულის ნიშნების დამამზადებელი სანარმოების წინასწარი გამოკითხვის მიზნით, მიმართავს საბჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრულ სანარმოებს ბანკნოტების/მონეტების დამზადებასთან დაკავშირებით ბანკის განზრახვის თაობაზე, სადაც მიეთითება მხოლოდ დასამზადებელი ბანკნოტის/მონეტის სახეობა, ნომინალი, დანიშნულება და რაოდენობა (მიმართვა და შესაბამისი ინფორმაციების მიღება შესაძლებელია მოხდეს ელექტრონული საშუალებებით).
6. კომისიის მიერ პროექტში სანარმოთა მონაწილეობის პირობების განსაზღვრიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში დაინტერესებულ სანარმოებს ეგზავნებათ ბანკის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან აღმასრულებელი დირექტორის (შემდგომში ბანკის ხელმძღვანელი პირი) ხელმოწერილი შეთავაზება. შეთავაზება არ ეგზავნება იმ სანარმოს, რომელმაც კომისიის სხდომის ჩატარებამდე უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე ან არ გამოეხმაურა მიმართვას ბანკის განზრახვის თაობაზე.
7. შეთავაზებაში უნდა მიეთითოს:
  - ა) ბანკის დასახელება;
  - ბ) დასამზადებელი ბანკნოტის/მონეტის სახეობა, ნომინალი, ოდენობა, ესკიზი ან ბანკნოტის/მონეტის ნიმუში, ტექნიკური მახასიათებლები, ასევე ინფორმაცია იმის თაობაზე, დასაშვებია თუ არა ალტერნატივების შემოთავაზება;
  - გ) ინფორმაცია ორიგინალური მასალების არსებობის თაობაზე;
  - დ) მზა პროდუქციის მონოდების სასურველი ან სავალდებულო ვადები და ადგილი;
  - ე) სანარმოების მიერ კომერციული წინადადებების შედგენის ფორმა და წარდგენის ნუსხი;
  - ვ) გარანტირების მექანიზმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ზ) კომერციული წინადადების წარმოდგენის საბოლოო ვადა და ადგილი;
  - თ) გადახდის სასურველი ან სავალდებულო პირობები;
  - ი) პარტნიორის შერჩევის კრიტერიუმები;
  - კ) პარტნიორის შერჩევის პროცესისა და შერჩეულ სანარმოსთან ხელშეკრულების გაფორმების ვადები;
  - ლ) მოთხოვნა ბანკნოტების/მონეტების დამზადების და დანიშნულების ადგილამდე მონოდების ფასის თაობაზე შეთავაზებულ ვალუტაში;
  - მ) მოთხოვნა ბანკნოტების/მონეტების მონოდების განრიგის თაობაზე;
  - ნ) მოთხოვნა კომერციული წინადადების მოქმედების ვადის თაობაზე (ამ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და

- ამ პროცესში შესაძლო დაბრკოლებების გათვალისწინებით).
- ო) მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ კომერციული წინადადების რაიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში ბანკს ცვლილების თაობაზე უნდა ეცნობოს წინადადების წარმოდგენის განსაზღვრული ვადის დასრულებამდე;
  - პ) მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ კომერციული წინადადების მოქმედების პერიოდში ამ საწარმოს შერჩევის შემთხვევაში, მისი მხრიდან არ მოხდეს შემოთავაზებული პირობების შეცვლა ბანკისათვის მდგომარეობის გაუარესების კუთხით;
  - ჟ) მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საწარმომ და ასევე მისმა მომწოდებლებმა უნდა დაიცვან პროექტით გათვალისწინებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობა და ეროვნულ ბანკთან შეთანხმების გარეშე არ გასცენ ის სხვა პირებზე;
  - რ) მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ პროექტში მონაწილე საწარმოს, სადაც მოხდება ლარის ბანკნოტის/მონეტის დამზადება, უნდა ჰქონდეს შესაბამისი ქვეყნის ფულის ნიშნის დამზადების უფლებამოსილება, მათი უსაფრთხოების დაცვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პირობები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილ ნორმებს და ლარის ბანკნოტების/მონეტების დამზადება (გამოყენებული მასალების ჩათვლით) უნდა განხორციელდეს ამ კუთხით შესაბამისი ქვეყნის ბანკნოტების/მონეტების დამზადებისათვის განსაზღვრულ პირობებში;
  - ს) პროექტში მონაწილე საწარმოს მხრიდან წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი;
  - ტ) ბანკის იმ თანამშრომლის ვინაობა და საკონტაქტო რეკვიზიტები, რომელთაც უფლება აქვთ, კავშირი ჰქონდეთ პროექტში მონაწილეებთან და მიაწოდონ მათ ინფორმაცია და განმარტებები პროექტთან დაკავშირებით;
  - უ) სხვა პირობები, რომელსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს კომისია.
8. კომერციულ წინადადებებთან ერთად საწარმომ უნდა წარმოადგინოს:
    - ა) ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატის ასლი;
    - ბ) საწარმოს ბოლო პერიოდის საქმიანობის ფინანსური ანგარიშგება აღნიშნულთან დაკავშირებით დამოუკიდებელი საერთაშორისო აუდიტის დასკვნის ასლთან ერთად;
    - გ) ინფორმაცია საწარმოს მიერ ბოლო პერიოდში დამზადებული ფულის ნიშნების შესახებ დამკვეთის დასახელების მიხედვით;
    - დ) საწარმოს იმ მიმწოდებლების ჩამონათვალი, რომლებთანაც ექნებათ ურთიერთობა ბანკნოტების/მონეტების დამზადება-მოწოდებასთან დაკავშირებით;
    - ე) საწარმოსა და მისი მიმწოდებლების მიერ პროექტთან დაკავშირებით მისთვის/მათთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ხელწერილები;
    - ვ) საწარმოს მდებარეობის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკის ან სხვა სათანადო სახელმწიფო ორგანოს წერილობითი რეკომენდაცია.
  9. საჭიროების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია საწარმოსაგან მოითხოვოს აგრეთვე:
    - ა) ცნობა საწარმოს საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ, გაცემული შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ;
    - ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ საწარმოს მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის ან ლიკვიდაციის საქმე, გაცემული შესაბამისად სასამართლოს ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ;
    - გ) ცნობა იმის თაობაზე, რომ საწარმოს მიმართ არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან იძულებითი სააღსრულებო ღონისძიება;
    - დ) საწარმოს მიერ ბოლო პერიოდში დამზადებული ფულის ნიშნების დამკვეთის წერილობითი რეკომენდაცია;
    - ე) სხვა დოკუმენტაცია, ინფორმაცია ან ნიმუში, რომელთა წარმოდგენის აუცილებლობას კომისია განსაზღვრავს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.
  10. შეთავაზებებთან ერთად საწარმოს ეგზავნებათ შესაბამისი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:
    - ა) დასამზადებელი ბანკნოტის/მონეტის სახეობას, ნომინალს, დანიშნულებას, რაოდენობასა და მახასიათებლებს;
    - ბ) შესასრულებელ ოპერაციებს;
    - გ) მხარეთა უფლება-მოვალეობებს;
    - დ) კონტროლისა და უსაფრთხოების პრინციპებს;
    - ე) ბანკნოტის/მონეტის სასიგნალო ნიმუშების შეთანხმების ვადებსა და პროცედურებს;
    - ვ) ორიგინალი მასალებისა და სამუშაო იარაღების გამოყენების პრინციპებს;
    - ზ) გარანტიებსა და ვალდებულებებს;
    - თ) ფასებისა და ფასწარმოქმნის პრინციპებს;
    - ი) მზა პროდუქციის მინოდების პირობებს;
    - კ) გადახდის პირობებს;
    - ლ) საჯარიმო სანქციებს;
    - მ) მხარეთა პასუხისმგებლობებს;
    - ნ) დავების გადაწყვეტის წესს;
    - ო) სხვა აუცილებელ პირობებს.
  11. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო კომერციული წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულებამდე მოითხოვს ბანკნოტების/მონეტების დამზადების პროექტთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციასა და განმარტებებს, ბანკი ვალდებულია შესაბამისი ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მათი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
  12. საწარმოს მიერ ეროვნულ ბანკში გამოსაგზავნი კომერციული წინადადებები უნდა მოთავსდეს დალუქულ კონვერტში გრიფით „კონფიდენციალური“, რომელზეც მითითებული უნდა იყოს ადრესატი, გამომგზავნი და წარწერა „წინადადებები ბანკნოტის/მონეტის დამზადებაზე“.

## მუხლი 7. გარანტირების მექანიზმი

1. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის მიზნით ბანკს უფლება აქვს გამოიყენოს გარანტირების მექანიზმები.

2. გარანტირების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ დეტალურად უნდა მიეთითოს საწარმოებისათვის გასაგზავნ შეთავაზებებში.
3. გარანტიად ითვლება ბანკის მიერ წინასწარ დადგენილი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია, ბანკის მიერ დამოწმებული ჩევი ან აკრედიტივი ან გარანტიის დამადასტურებელი სხვა საბუთი (მათ შორის აუთენტიფიცირებული SWIFT შეტყობინების სახით).
4. კომერციული წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გარანტირების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა განისაზღვრება წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტით.
5. კომერციული წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს წინადადების მოქმედების ვადას. აღნიშნული გარანტიის უკან დაბრუნება საწარმოებისათვის ხდება ხელშეკრულების დადების დღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. გარანტია უკან არ დაუბრუნდებათ საწარმოებს იმ შემთხვევაში, თუ:
  - ა) კომერციული წინადადებების გახსნის შემდეგ საწარმომ უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე (წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე);
  - ბ) გამარჯვებულმა საწარმომ უარი განაცხადა ან წინასწარ განსაზღვრულ ვადაში არ გააფორმა ბანკთან ხელშეკრულება;
  - გ) საწარმო დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.
6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გარანტირების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 2 (ორი), მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) პროცენტის ფარგლებში.
7. მზა პროდუქციის მოწოდებამდე ავანსის სახით წინასწარი ანგარიშსწორებისას ავანსის უზრუნველყოფის მიზნით გარანტირების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში გარანტია განისაზღვრება ავანსის სახით გადახდილი თანხის ოდენობით.
8. ხელშეკრულების შესრულების და/ან ავანსის უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მზა პროდუქციის ბანკისათვის მოწოდების ვადას.
9. ხელშეკრულების შესრულების და/ან ავანსის უზრუნველყოფის მიზნით გარანტირების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს გარანტიის ზუსტ ოდენობას და მოქმედების ვადას, მისი დაბრუნებისა და გარანტიასთან დაკავშირებულ სხვა კონკრეტულ პირობებს.

## მუხლი 8. კომერციული წინადადებების წარმოდგენა და განხილვა

1. საწარმოებისაგან ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად კომერციული წინადადებები ბანკში

მიღებული უნდა იქნეს კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ამასთან, ეს ვადა არ უნდა იყოს 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს შესაბამისი შეთავაზების გაგზავნიდან.

2. საწარმოების მიერ წარმოდგენილი კომერციული წინადადებების გახსნა და განხილვა კომისიის მიერ ხდება მათი წარმოდგენის განსაზღვრული ვადის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.
3. საწარმოს მხრიდან ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი კომერციული წინადადების რაიმე პირობის შეცვლის, წინადადების გატანის ან გაუქმების შემთხვევაში ბანკს უნდა ეცნობოს კომერციული წინადადების წარმოდგენის განსაზღვრული ვადის დასრულებამდე. კომისია არ განიხილავს ბანკში დაგვიანებით მიღებულ კომერციულ წინადადებებს.
4. განსაზღვრულ ვადაში ბანკში წარმოდგენილი კომერციული წინადადებების გახსნის შემდეგ მოწოდება სრულად არის თუ არა წარმოდგენილი და სწორად შედგენილი მოთხოვნილი ინფორმაციები და საბუთები, არსებითად შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი წინადადება შეთავაზებაში მითითებულ მახასიათებლებს, ვადებსა და სხვა მოთხოვნებს. თუ საწარმოს კომერციული წინადადება შეიცავს მექანიკურ შეცდომებს და/ან სრულად არ ასახავს, მაგრამ არსებითად არ ეწინააღმდეგება ბანკის მიერ შეთავაზებაში მითითებულ მოთხოვნებს, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე საწარმოს შეიძლება მიეცეს დამატებითი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
5. კომისია ახდენს საწარმოს დისკვალიფიკაციას, თუ:
  - ა) საწარმოს მხრიდან არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია ან სხვა;
  - ბ) საწარმო უარს განაცხადებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შესწორებების შეტანაზე;
  - გ) ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროცედურების დროს ადგილი ექნება საწარმოს არაკეთილსინდისიერი ქმედებას; საწარმოს მიერ წარმოდგენილი მონაცემები და/ან საბუთები ყალბი აღმოჩნდება.
6. ორი ან მეტი კონკურენტული წინადადების შემთხვევაში კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი საწარმოებისაგან ფასების შემცირება და განახლებული წინადადებების წარმოდგენა. კონკურენტულად შეიძლება ჩაითვალოს წინადადებები, რომელთა საერთო ფასებს შორის განსხვავება ყველაზე კონკურენტულ ფასთან მიმართებაში არ აღემატება 5 (ხუთი) პროცენტს. საწარმოს კონკურენტუნარიანობას და მათგან განახლებული წინადადებების წარმოდგენის პირობებს განსაზღვრავს კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

## მუხლი 9. ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შერჩევა

1. ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კონკურენტული ფასი.

2. ორი ან მეტი ნომინალის ბანკნოტების/მონეტების დამზადების თაობაზე შემოსული კომერციული წინადადებების განხილვისას, მათ დასამზადებლად კომისიას შეუძლია შეარჩიოს ერთზე მეტი პარტნიორი დივერსიფიკაციის პრინციპით გარკვეული რისკების ან სხვა რაიმე პირობის ხელსაყრელობის გათვალისწინებით, თუ ამ წინადადებით შემოთავაზებულ ფასებს შორის განსხვავება არ აღემატება კონკურენტული ფასის 3 (სამი) პროცენტს.
3. კომერციული წინადადებების განხილვის შედეგების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება საბჭოს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ბანკნოტების/მონეტების დასამზადებლად კომისიის მიერ შერჩეული პარტნიორის/პარტნიორების დამტკიცების თაობაზე.
4. საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში პროექტი გამარჯვებულ სანარმოს/სანარმოებს ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება ხდება ეროვნულ ბანკსა და სანარმოს მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.
5. ბანკნოტების/მონეტების დამზადებაზე ხელშეკრულება ფორმდება ინგლისურ-ქართულ ენებზე არანაკლებ 2 (ორი) ეგზემპლარად. ხელშეკრულება სანარმოსთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას თარგმანთან დაკავშირებით პრიორიტეტის მინიჭების საკითხი განისაზღვრება ხელშეკრულებით. მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების პირველი ეგზემპლარი ეძლევა პარტნიორ სანარმოს, დანარჩენი (მათ შორის ვიზირებული) – ინახება ეროვნულ ბანკში.
6. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი გამარჯვებული სანარმოს მხრიდან არ მოხდა ხელშეკრულების ხელმოწერა შეთანხმებულ ვადაში, საბჭო ამ ვადის გასვლიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების გაფორმების ვადის გაგრძელების ან პროექტი მონაწილე მომდევნო კონკურენტუნარიანი წინადადების მქონე სანარმოს პარტნიორად შერჩევის თაობაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შემდგომი პროცედურები წარიმართება ამ მუხლის მიხედვით.
7. პარტნიორთან (პარტნიორებთან) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კომერციული წინადადებების წარმომდგენ სხვა სანარმოებს ეცნობებათ პარტნიორის (პარტნიორების) შესარჩევი პროცესის დასრულების შესახებ. სანარმოებს შესაძლებელია ეცნობოს ასევე გამარჯვებული ფასი და საჭიროების შემთხვევაში განხილვის სხვა შედეგები, რამაც გავლენა იქონია პარტნიორის (პარტნიორების) შერჩევაზე.
8. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი სანარმოს კომერციული წინადადება, ან არც ერთი წარმოდგენილი კომერციული წინადადება არ შეესაბამება ბანკის მიერ შეთავაზებულ მოთხოვნებს ან ფინანსური თვალსაზრისით არ არის ხელსაყრელი ბანკისათვის და აღნიშნულის შედეგად ვერ იქნა შერჩეული ბანკნოტების/მონეტის დასამზადებლად შესაბამისი პარტნიორი, პროექტი ითვლება უარყოფითი შედეგით დასრულებულად, რაც შესაბამისად აისახება კომისიის ოქმში. ამ შემთხვევაში შესყიდვის

განხორციელების სხვა საშუალებების/მეთოდის გამოყენებასთან ან პარტნიორის (პარტნიორების) სხვა კრიტერიუმებით შერჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

## მუხლი 10. ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით

1. ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით იმ შემთხვევაში, თუ:
  - ა) მზარდი მოთხოვნის შემთხვევაში საჭირო გახდა დასამზადებელი ბანკნოტების/მონეტის ოდენობის გაზრდა შერჩეულ პარტნიორთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მზა პროდუქციის სრულად მონოდებამდე;
  - ბ) არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა აღნიშნულის განსახორციელებლად. გადაუდებელ აუცილებლობას შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი ვითარება, რომლის გაჭიანურებამ შესაძლოა გამოიწვიოს შეფერხება ბანკნოტების/მონეტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესში და ამით რეალური საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკას;
  - გ) ბანკნოტის/მონეტის რომელიმე დამცავი ნიშნის, ტექნოლოგიის ან დიზაინის ელემენტის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ კონკრეტულ სანარმოს და აღნიშნული მისაღება ბანკისათვის.
  - დ) შერჩეული პარტნიორის მიერ დამზადებულ იქნა შეკვეთილზე მეტი (მაგრამ არაუმეტეს 10 (ათი) პროცენტისა) ოდენობის ფულის ნიშანი, შემოთავაზებული ღირებულება არ აჭარბებს მისი დამზადების საწყის ფასს და მათი შესყიდვა ხელსაყრელია ბანკისათვის;
  - ე) ბანკნოტის/მონეტის (საკოლექციოდ და/ან სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი) გამოშვება საერთაშორისო ან სხვა სპეციალური პროგრამითაა განსაზღვრული და მათ დამამზადებელ სანარმოს განსაზღვრავენ შესაბამის პროგრამაში მონაწილე მხარეები.
2. ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ბანკნოტების/მონეტების დამზადების შესყიდვის საკითხს წყვეტს საბჭო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

## 5.4 ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მათი მიღება-გამოცვლის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევის დანიშნულებით გამოშვებული ლარის ბანკნოტების და მონეტების (შემდგომში – ლარის ბანკნოტები და მონეტები) გადასახდელად ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმებს და მათი მიღება-გამოცვლის წესს.

### მუხლი 2. ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმები

ლარის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც არ იწვევენ ეჭვს ნამდვილობაში, ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით იყოფა ოთხ კატეგორიად:

- ა) I კატეგორიას მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი დაუზიანებელი და ისეთი დაზიანების მქონე ლარის ბანკნოტები და მონეტები, როგორიცაა:
  - ა.ა) ბანკნოტები, რომელთაც გააჩნიათ მცირე ზომის დეფექტები (ნახევები, წარწერები, ლაქები, დაბინძურება და სხვ.), რომლებიც არსებითად არ ცვლიან ბანკნოტის რეკვიზიტებს;
  - ა.ბ) მონეტები, რომლებსაც აქვთ მცირე ზომის ნაკანრები და კოროზიის ნიშნები, შენარჩუნებული აქვთ ფერი და მკვეთრი გამოსახულებები.
- ბ) II კატეგორიას მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი ისეთი დაზიანების მქონე ლარის ბანკნოტები და მონეტები, როგორიცაა:
  - ბ.ა) ბანკნოტები, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ზომის დეფექტები (ნახევები, წარწერები, ლაქები, დაბინძურება და სხვ.), რომელიც ხელს არ უშლის ბანკნოტის დამცავი ნიშნების და ნომინალის იდენტიფიცირებას და შენარჩუნებულია ბანკნოტის ორიგინალური ზომა;
  - ბ.ბ) მონეტები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ზომის დეფექტები, დაბინძურება და კოროზია, რაც მთლიანობაში არ ცვლის მონეტის გამოსახულებას, ზომას, ფერს და შესაძლებელია მონეტის იდენტიფიცირება.
- გ) III კატეგორიას მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი შემდეგი სახის დაზიანებული ლარის ბანკნოტები და მონეტები:
  - გ.ა) ბანკნოტები, რომელთაც შეცვლილი აქვთ ფერი, მაგრამ შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება;
  - გ.ბ) ბანკნოტები, რომლებიც დახეული და შეწებებულია, მაგრამ მტკიცდება რომ შემადგენელი ნაწილები მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე ბანკნოტს;
  - გ.გ) ბანკნოტები, რომელთაც აქვთ ნებისმიერი დაზიანება, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ ორიგინალი

- ბანკნოტის ზომის 50%-ზე მეტი და შესაძლებელია ბანკნოტის იდენტიფიცირება;
- გ.დ) მონეტები, რომელთაც აქვთ ნებისმიერი დაზიანება, მაგრამ შენარჩუნებულია ორიგინალი მონეტის ზომის 50%-ზე მეტი და შესაძლებელია მონეტის იდენტიფიცირება.
- დ) IV კატეგორიას მიეკუთვნება გადასახდელად უვარგისი ისეთი დაზიანების მქონე ლარის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებს.

### მუხლი 3. დაზიანებული ლარის ბანკნოტების და მონეტების მიღება-გამოცვლის წესი

1. არამენარმე ფიზიკურ პირს უფლება აქვს უარი თქვას II, III და IV კატეგორიის ლარის ბანკნოტების და მონეტების მიღებაზე.
2. მენარმე სუბიექტები (გარდა კომერციული ბანკისა) და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ვალდებული არიან ანგარიშსწორების პროცესში შეუფერხებლად მიიღონ I და II კატეგორიის ლარის ბანკნოტები და მონეტები ნომინალური ღირებულების მიხედვით.
3. კომერციული ბანკები ვალდებული არიან:
  - ა) ანგარიშსწორების ან გამოცვლის მიზნით, ყოველგვარი საზღაურის გარეშე, შეუფერხებლად მიიღონ I, II და III კატეგორიის ლარის ბანკნოტები და მონეტები;
  - ბ) არ დაუშვან მიღებული II და III კატეგორიის ლარის ბანკნოტების და მონეტების მიმოქცევაში დაბრუნება და უზრუნველყონ მათი საქართველოს ეროვნულ ბანკში ჩაბარება.
4. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის მიერ ვერ ხდება დაზიანებული ლარის ბანკნოტისა და მონეტისათვის IV კატეგორიის მინიჭება, მათი ვარგისობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკი.
5. IV კატეგორიის ლარის ბანკნოტები და მონეტები არ წარმოშობს მათი მიღება-გამოცვლის ვალდებულებას და მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება მფლობელს. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მფლობელისათვის მათი დაბრუნება, მენარმე სუბიექტები (გარდა კომერციული ბანკებისა) და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ვალდებული არიან, ყოველგვარი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე, გადასცენ კომერციულ ან საქართველოს ეროვნულ ბანკს, ხოლო კომერციულმა ბანკებმა ასევე ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე – საქართველოს ეროვნულ ბანკს.
6. იმ შემთხვევაში, თუ IV კატეგორიის ლარის ბანკნოტების და მონეტების დაზიანება გამოწვეულია ხანძრის, სტიქიური უბედურებების ან სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით, რაც დასტურდება შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებით, მათი გამოცვლის საკითხს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განიხილავს და წყვეტს საქართველოს ეროვნული ბანკი.

## 5.5 მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაციის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნულ ბანკში შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი (გაუქმებული ან გამოუყენებელი) მკაცრი აღრიცხვის ფორმების (შემდგომში – მკაცრი აღრიცხვის ფორმები) უტილიზაციის წესს;
- მკაცრი აღრიცხვის ფორმების კომისიური წესით უტილიზაცია ხდება სპეციალური გასანადგურებელი აგრეგატის მეშვეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის თბილისის საკასო ცენტრის გადათვლა-განადგურების უბანზე (შემდგომში – „გადათვლა-განადგურების უბანი“), რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს ვიდეო-სათვალითვალო, დაცვისა და უსაფრთხოების მოწყობილობებით;
- კომისიური წესით მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაციას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალისტებით დაკომპლექტებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისია“ (შემდგომში – „კომისია“), რომლის თავმჯდომარეს, წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;
- კომისიას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლის და უტილიზაციის პროცესის ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად წარმართვასა და განხორციელებაზე;
- კომისიური წესით მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაციისა და გადათვლა-განადგურების უბანზე დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ წესით;
- კომისიური წესით მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაცია ხორციელდება მხოლოდ მათი საკონტროლო გადათვლის შემდეგ;
- მკაცრი აღრიცხვის ფორმები საკონტროლოდ გადაითვლება ცალკეობით კომისიის მიერ.

### მუხლი 2. კომისიის უფლება-ვალდებულებანი

- კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია:
  - მკაცრი აღრიცხვის ფორმების გადათვლა-განადგურების უბანზე შესრულებული სამუშაოების შედეგების და მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების განხილვისა და ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით ჩაატაროს კომისიის სხდომები და შეადგინოს შესაბამისი ოქმები, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს კომისიის ყველა წევრი;
  - აუცილებლობის შემთხვევაში შეაჩეროს საკონტროლო გადათვლისა და უტილიზაციის პროცესი და ორგანიზება გაუკეთოს მათ ხელახლა გადათვლას.

- კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია:
  - კოორდინაცია გაუწიოს საკონტროლო გადათვლის და უტილიზაციის საქმიანობას;
  - უზრუნველყოს ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოების დოკუმენტალურად აღრიცხვა და საიმედოდ შენახვა, ხოლო საკონტროლო გადათვლის და უტილიზაციის პროცესების მთლიანად დასრულების შემდეგ დოკუმენტაცია დალუქული სახით, მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს ეროვნული ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მათი შემდგომი შენახვის მიზნით;
  - უტილიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ წარუდგინოს ანგარიში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს;
  - კომისიის წევრის მიერ ზედმეტობის ან დანაკლისის გამოვლენისას გააფორმოს შესაბამისი დოკუმენტი და გადასცეს ეროვნული ბანკის თბილისის საკასო ცენტრის საცავის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს;
  - უზრუნველყოს ლუქების თანმიმდევრობითი მიღება, გამოყენება და აღრიცხვა სპეციალურ დავთარში (დანართი N1).
- კომისიის წევრი ვალდებულია:
  - მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობის ყველა საკითხის განხილვაში, სხდომის მუშაობაში და დადგენილებების მიღების პროცესში;
  - დროულად შეატყობინოს კომისიის თავმჯდომარეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-განადგურების უბანზე არსებული პრობლემების შესახებ;
  - დადგენილ დროს გამოცხადდეს გადათვლა-განადგურების უბანზე;
  - მონაწილეობა მიიღოს ანგარიშგების შედგენაში, რომელიც დასტურდება ყველა წევრის ხელმოწერით;
  - კომისიის თავმჯდომარის თანხმობის გარეშე არ დატოვოს გადათვლა-განადგურების უბანი.
- კომისიას არა აქვს უფლება დაინყოს მუშაობა კომისიის თავმჯდომარის გადათვლა-განადგურების უბანზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

### მუხლი 3. მკაცრი აღრიცხვის ფორმების კომისიური წესით უტილიზაციის სამუშაოების ორგანიზება და წარმართვა

- კომისიური წესით მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაციის სამუშაოები მოიცავს:
  - მკაცრი აღრიცხვის ფორმების საცავიდან კომისიისათვის გადაცემას;
  - კომისიის მიერ მკაცრი აღრიცხვის ფორმების პაკეტებითა და ცალკეობით საკონტროლო გადათვლასა და უტილიზაციას;
  - მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლის და მათი უტილიზაციის თაობაზე ანგარიშის მომზადებას;
  - მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადებას და შენახვის მიზნით ჩაბარებას.
- კომისიისათვის გადათვლა-განადგურების უბანზე საცავის მატერიალურად პასუხისმგებელი პირე-

- ბის მიერ მკაცრი აღრიცხვის ფორმების გადაცემა ხორციელდება პაკეტებითა და ცალობით;
3. მკაცრი აღრიცხვის ფორმების მისაღებ მოცულობას განსაზღვრავს კომისია იმ ოდენობით, რომელთა საკონტროლო გადათვლა და უტილიზაცია შესაძლებელია ერთი სამუშაო დღის განმავლობაში;
  4. შესვენების ან სხვა საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე ახდენს გადათვლა-განადგურების უბნის შიფრკოდის მეშვეობით ცენტრალური დაცვის სამეთვალყურეო პულტზე აყვანას, ხოლო კომისიის ერთ-ერთი წევრი – დაკეტვას;
  5. დაუშვებელია გადათვლა-განადგურების უბანზე ჩანთების ან პირადი მოხმარების ნივთების შეტანა;
  6. კომისიის წევრების გარდა, სხვა პირთა შესვლა გადათვლა-განადგურების უბანზე დასაშვებია მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.

7. სხვა დოკუმენტები კომისიის თავმჯდომარის მიერ ინახება სეიფში; მკაცრი აღრიცხვის ფორმების უტილიზაციის პროცესის მთლიანად დასრულების შემდეგ საკონტროლო გადათვლისა და უტილიზაციის თაობაზე კომისიის თავმჯდომარე დოკუმენტების საფუძველზე ადგენს ანგარიშს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

**მუხლი 4. მკაცრი აღრიცხვის ფორმების კომისიური წესით უტილიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა და დოკუმენტების შენახვა**

1. საცავიდან კომისიისათვის მკაცრი აღრიცხვის ფორმების გაცემისას დგება მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N2), რომელიც დასტურდება საცავის მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისა და კომისიის წევრების ხელმოწერებით;
2. კომისიის წევრის მიერ მკაცრი აღრიცხვის ფორმების ზედმეტობის ან/და დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში კომისიის მიერ ხდება ხელმეორედ გადათვლა. ხელმეორედ გადათვლის შედეგების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარის მიერ ფორმდება სათანადო აქტი (დანართი N3) ორ ეგზემპლარად, რომელიც დასტურდება კომისიის წევრების ხელმოწერით;
3. დღის ბოლოს მიღებული, საკონტროლოდ გადათვლილი და განადგურებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ კომისიის თავმჯდომარის მიერ ხდება აქტის (დანართი N4) შედგენა ორ ეგზემპლარად (დანაკლისის ან/და ზედმეტობის მითითებით), რომელიც დასტურდება კომისიის წევრების ხელმოწერებით;
4. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია „დანაკლისის ან/და ზედმეტობის გამოვლენის შესახებ“, ასევე „გადათვლა-განადგურების შესახებ“ აქტების თითო ეგზემპლარი შესაბამისი ბუღალტრული გატარებისათვის გადასცეს ეროვნული ბანკის თბილისის საკასო ცენტრის საცავის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს;
5. გამანადგურებელი დანადგარის მწყობრიდან გამოსვლის ან/და სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში, გადათვლა-განადგურების უბანზე საკონტროლოდ გადაუთვლელი მკაცრი აღრიცხვის ფორმები, კომისიის თავმჯდომარის მიერ დალუქული ტომრებით ან ურიკებით მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი N5) საფუძველზე შესაძლებელია გადაეცემა თბილისის საკასო ცენტრის საცავის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, რაზედაც ხდება შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვა;
6. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ დავთრები და





# დანართი N2

## მიღება-ჩაბარების აქტი

საქართველოს ეროვნული ბანკის თბილისის საკასო ცენტრის N \_\_\_\_\_ საცავიდან 20 წლის “\_\_\_” \_\_\_\_\_ მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიას გადაეცა:

დასახელება	რაოდენობა	პაკეტის რაოდენობა	ნომერი	შენიშვნა
სულ				

რაოდენობა \_\_\_\_\_  
(ციფრებით და სიტყვებით)

საცავის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები:

_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)

20 წლის “\_\_\_” \_\_\_\_\_ თბილისის საკასო ცენტრის N \_\_\_\_\_ საცავიდან აღნიშნული მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღებას ვადასტურებთ მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიის

თავმჯდომარე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

კომისიის წევრები:

_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)

\*შენიშვნა:

აქტი N

საქართველოს ეროვნული ბანკის თბილისის საკასო ცენტრის N \_\_\_\_\_ საცავიდან მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიის მიერ მიღებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლისას ზედმეტობის ან/და დანაკლისის გამოვლენის შესახებ

ქ. თბილისი \_\_\_\_\_ 20 წელი  
(რიცხვი და თვე)

მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიის მიერ თბილისის საკასო ცენტრის N \_\_\_\_\_ საცავიდან მიღებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლის შედეგად გამოვლინდა:

	დასახელება	რაოდენობა	ნომერი	შენიშვნა
ზედმეტობა				
დანაკლისი				

ზედმეტობის ნაშთი სიტყვებით \_\_\_\_\_

დანაკლისის ნაშთი სიტყვებით \_\_\_\_\_

მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიის წევრები:

_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)

კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომლის ერთი პირი გადაეცა თბილისის საკასო ცენტრის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

მივიღეთ \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

# დანართი N4

## აქტი

### მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლისა და უტილიზაციის შესახებ

მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიის მიერ 20 წლის \_\_\_\_\_  
(რიცხვი და თვე)

საკონტროლოდ გადათვლილ და განადგურებელი იქნა მკაცრი აღრიცხვის ფორმები:

ბლანკების დასახელება	რაოდენობა	პაკეტის რაოდენობა	ნომერი	შენიშვნა
სულ				

რაოდენობა \_\_\_\_\_  
(ციფრებით და სიტყვებით)

მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიის  
თავმჯდომარე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

კომისიის წევრები:

_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)

\*შენიშვნა:

მიღება-ჩაბარების აქტი

საქართველოს ეროვნული ბანკის მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიამ თბილისის საკასო ცენტრის N \_\_\_\_\_ საცავის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს 20 წლის “\_\_\_” \_\_\_\_\_ გადასცა \_\_\_\_\_ ცალი (ციფრებით და სიტყვებით) (ტომარა/ურიკა) დალუქული N \_\_\_\_\_ ერთჯერადი ლუქებით.

აღწერილობა

დასახელება	რაოდენობა	პაკეტის რაოდენობა	ნომერი	შენიშვნა
სულ				

მკაცრი აღრიცხვის ფორმების საკონტროლო გადათვლა-უტილიზაციის კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_ (სახელი, გვარი) \_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

კომისიის წევრები:

_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)

20 წლის “\_\_\_” \_\_\_\_\_ აღნიშნული \_\_\_\_\_ ცალი (ტომარა/ურიკა) დალუქული N ერთჯერადი ლუქებით მიღებას ვადასტურებთ თბილისის საკასო ცენტრის N \_\_\_\_\_ საცავის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები:

_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)

\*შენიშვნა:

## 5.6 ლარის ბანკნოტების/ მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაციის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის ბანკნოტების/ მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის საკოლექციოდ ან/და სხვა საჭიროებისათვის რეალიზაციის წესებსა და პირობებს.
- ამ წესის მიზანია საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემიდან ლარის ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის სარეალიზაციო ფასის გაანგარიშების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და რეალიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
- ეს წესი არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ოქროს სერტიფიკატების შესაბამის სტანდარტიზირებულ ოქროს ზოდებზე.

### მუხლი 2. სარეალიზაციო ლარის ბანკნოტები/ მონეტები, ოქროს ზოდები და ნუმიზმატიკური ფასეულობა

- სარეალიზაციო ლარის ბანკნოტებს/მონეტებს (შემდგომში – ბანკნოტები/მონეტები) განეკუთვნება:
  - საკოლექციოდ დანიშნულების ბანკნოტები/მონეტები;
  - საინვესტიციოდ დანიშნულების ოქროს მონეტები;
  - მიმოქცევის დანიშნულების ბანკნოტები/მონეტები.
- სარეალიზაციო ოქროს ზოდებს განეკუთვნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დამზადებული ოქროს ზოდები, რომლებზეც დატანილია ეროვნული ბანკის ლოგო და/ან წარწერა „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე.
- სარეალიზაციო ნუმიზმატიკურ ფასეულობას განეკუთვნება:
  - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეპროდუცირებული ლარის ბანკნოტები და მონეტები, აგრეთვე ის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც ამოღებულია მიმოქცევიდან ან რომელთა ემისია არ განხორციელებულა შეუსაბამო მახასიათებლების გამო;
  - ისტორიული ბანკნოტები და მონეტები, მათი ასლები.
- ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის სარეალიზაციო ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი ან აღმასრულებელი დირექტორი (შემდგომში – საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირი).

### მუხლი 3. სარეალიზაციო ფასის განსაზღვრა

- ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდებისა და ნუმიზმატიკური ფასეულობის სარეალიზაციო ფასს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირი.
- მიმოქცევის ბანკნოტების/მონეტების სარეალიზაციო ფასი უნდა მოიცავდეს:
  - ნომინალურ ღირებულებას;
  - საკომისიო დანამატს.
- საკოლექციოდ ბანკნოტების/მონეტების სარეალიზაციო ფასი უნდა მოიცავდეს:
  - ნომინალურ ღირებულებას;
  - მათ დამზადება-მონოდებაზე განეულ ხარჯებს;
  - საკომისიო დანამატს.
- საინვესტიციოდ დანიშნულების ოქროს მონეტების სარეალიზაციო ფასი უნდა მოიცავდეს:
  - მონეტის შემადგენლობაში არსებული ოქროს ღირებულებას, რომლის გაანგარიშება ხდება დღეში ერთხელ, ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზარზე ვაჭრობის წინა დღის მეორე ნახევარში (ლონდონის დროით 15:00 საათზე) ოქროზე აშშ დოლარით დაფიქსირებული ფასითა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის მიმართ აშშ დოლარის გაცვლის ოფიციალურად მოქმედი კურსით;
  - საკომისიო დანამატს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობის 5–80 პროცენტის ფარგლებში.
- ოქროს ზოდების სარეალიზაციო ფასი უნდა მოიცავდეს:
  - მათ დამზადება-მონოდებაზე განეულ ხარჯებს;
  - საკომისიო დანამატს .
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამზადებული ნუმიზმატიკური ფასეულობის სარეალიზაციო ფასი უნდა მოიცავდეს:
  - მათ დამზადება-მონოდებაზე განეულ ხარჯებს (ფასის დადგენის მომენტისათვის არსებული კურსით);
  - საკომისიო დანამატს.
- იმ ნუმიზმატიკური ფასეულობის სარეალიზაციო ფასი, რომელთა დამზადება არ განხორციელებია საქართველოს ეროვნულ ბანკს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მისი ფაქტობრივი რაოდენობიდან და მასზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით.
- იმ შემთხვევაში, თუ ბანკნოტები/მონეტები, ოქროს ზოდები და ნუმიზმატიკური ფასეულობა მოთავსებულია სპეციალურ შესაფუთ საშუალებაში (კოლოფი, ალბომი და სხვა), სარეალიზაციო ფასი უნდა მოიცავდეს მათ ღირებულებასაც.
- საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით ბანკნოტების/მონეტების (გარდა საინვესტიციოდ დანიშნულების ოქროს მონეტებისა), ოქროს ზოდებისა და ნუმიზმატიკური ფასეულობის სარეალიზაციო ფასი შეიძლება განისაზღვროს საკომისიო დანამატის გარეშე.
- ბაზარზე ლითონის ფასის ცვლილების, ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის რაოდენობის ან/და სხვა მიზეზის გამო საკომისიო დანამატის ოდენობის ზრდა

ან შემცირება შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით.

#### მუხლი 4. ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაცია

1. საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაციას ახორციელებს როგორც რეზიდენტ, ისე არარეზიდენტ პირებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.
2. საქართველოს ეროვნული ბანკიდან ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის შეძენა შესაძლებელია შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში როგორც ნაღდი, ისე უნაღდო (საბანკო პლასტიკური ბარათით, საბანკო გადარიცხვით) ანგარიშსწორებით.
3. ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის საბანკო გადარიცხვით რეალიზაცია შეიძლება მოხდეს წინასწარი შეკვეთის საფუძველზე როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ან ზეპირი ფორმით შემდეგი პირობებით:
  - ა) წერილობითი ან ელექტრონული ფორმით წინასწარი შეკვეთის შემთხვევაში ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდებისა და ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაციის შემთხვევაში:
    - ა.ა) საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება განაცხადი, სადაც მიეთითება შემკვეთი პირის დასახელება, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ელ.ფოსტა, შესაძენი ბანკნოტის/მონეტის ოქროს ზოდების და/ან ნუმიზმატიკური ფასეულობის დასახელება, ნომინალი (არსებობის შემთხვევაში), რაოდენობა.
    - ა.ბ) ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაცია ხდება გარიგების დღისათვის დადგენილი ფასის მიხედვით. ქვეყნის გარეთ პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში ფასის გაანგარიშება უნდა მოხდეს უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარსა ან ევროში) გარიგების დღისათვის, შესაძენ ნივთზე/ნივთებზე ლარში დადგენილი ფასითა და ლარის მიმართ აშშ დოლარის ან ევროს გაცვლის ოფიციალურად მოქმედი კურსით.
    - ა.გ) განაცხადის საფუძველზე ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის შემკვეთს ეგზავნება საქართველოს ეროვნული ბანკის დასტური, რომლის გაგზავნის დრო ითვლება გარიგების მომენტად;
    - ა.დ) გარიგების საფუძველზე ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის მთლიანი თანხის საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვა უნდა მოხდეს ერთჯერადად, გარიგების დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, ხოლო მათი გატანა – შესაბამისი თანხის ჩარიცხვიდან არა უგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში;
    - ა.ე) რეალიზებული ბანკნოტები/მონეტები, ოქროს ზოდები, ნუმიზმატიკური ფასეულობა გაიცემა მხოლოდ

- საგადახდო დავალების მიხედვით ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის გატანაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის საფუძველზე. საგადახდო დავალებაში დამატებით უნდა მიეთითოს ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის გატანაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- ა.ვ) შეკვეთა ითვლება გაუქმებულად, თუ გარიგების დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში არ მოხდა შეძენილი ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის შესაბამისი თანხის ჩარიცხვა საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე ან შესაბამისი თანხის დროულად ჩარიცხვის მიუხედავად არ მოხდა საქართველოს ეროვნული ბანკიდან მათი გატანა თანხის ჩარიცხვიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში;
  - ა.ზ) შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში შემკვეთის მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში გადმორიცხული თანხა ექვემდებარება შემკვეთისათვის უკან დაბრუნებას, ხოლო გადარიცხვის ხარჯები გამოიქვითება შემკვეთის მიერ გადმორიცხული თანხიდან;
  - ბ) ზეპირი ფორმით წინასწარი შეკვეთის შემთხვევაში ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაცია ხდება წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის გაფორმების დრო ითვლება გარიგების დადების მომენტად.
4. საქართველოს ეროვნული ბანკიდან რეალიზებული ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის გატანას უზრუნველყოფს თვითონ შემკვეთი, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
  5. საქართველოს ეროვნული ბანკიდან ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის შეძენა ასევე შესაძლებელია:
    - ა) ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით (რომელიც განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე). ამ ფორმით ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული სავალდებულო ხასიათის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, სადაც კონკრეტულადაა განსაზღვრული როგორც ანგარიშსწორების, შეკვეთის განთავსებისა და მიწოდების პირობები, ასევე მხარეთა ვალდებულებები;
    - ბ) აუქციონის მეშვეობით, რომლის პირობები ყოველ ცაკლეულ შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის მიერ.
  6. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებითა და წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოახდინოს ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდებისა და ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაცია:
    - ა) შემდგომი ანგარიშსწორების პირობით;
    - ბ) იურიდიული პირების მეშვეობით.

7. საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელ პირს შეუძლია შეზღუდოს ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის რეალიზაცია.
8. საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ბანკნოტების/მონეტების, ოქროს ზოდების, ნუმიზმატიკური ფასეულობის სარეალიზაციო ფასებისა და რეალიზაციის პირობების თაობაზე ინფორმაციის განთავსებას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

## მუხლი 5. ფასდაკლების პირობები

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის გადანაცვებით ფასდაკლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბანკნოტების/მონეტების (გარდა მიმოქცევის დანიშნულების ბანკნოტების/მონეტების) ოქროს ზოდების და ნუმიზმატიკური ფასეულობის საკომისიო დანამატზე, შემდეგი პირობების მიხედვით:

- ა) 20-დან 100 ცალამდე რეალიზაციის შემთხვევაში – საკომისიო დანამატის 25 პროცენტით;
- ბ) 100-დან 250 ცალამდე რეალიზაციის შემთხვევაში – საკომისიო დანამატის 30 პროცენტით;
- გ) 250-დან 500 ცალამდე რეალიზაციის შემთხვევაში – საკომისიო დანამატის 45 პროცენტით;
- დ) 500 ცალის და მეტი ოდენობით რეალიზაციის შემთხვევაში – საკომისიო დანამატის 50 პროცენტით.



## 5.7 ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუქციების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუქციების პირობებს.
- ამ წესის მიზანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუქციების ნამდვილ ბანკნოტებსა და მონეტებში არევის რისკის თავიდან აცილება.
- ეს წესი ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებულ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებზე, მათ შორის, მიმოქცევიდან ამოღებულ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებზე, რომლებიც აღარ წარმოადგენენ გადახდის კანონიერ საშუალებებს.
- ამ წესით განსაზღვრული პირობები არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებულ რეპროდუქციებაზე.

### მუხლი 2. ლარის ბანკნოტების რეპროდუქციების პირობები

- დასაშვებია ლარის ბანკნოტების მატერიალური ფორმით რეპროდუქცირება, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:
  - რეპროდუქცირებულია ლარის ბანკნოტის ერთი მხარე და მისი ზომა შეადგენს შესაბამისი ორიგინალი ლარის ბანკნოტის ზომის მინიმუმ 125%-ს როგორც სიგრძეში, ისე სიგანეში;
  - რეპროდუქცირებულია ლარის ბანკნოტის ორივე მხარე და მისი ზომა შეადგენს შესაბამისი ორიგინალი ლარის ბანკნოტის ზომის მინიმუმ 200%-ს როგორც სიგრძეში, ისე სიგანეში;
  - რეპროდუქცირებულია ლარის ბანკნოტის დიზაინის ინდივიდუალური ელემენტები რაიმე საგნის ან სურათის ილუსტრირებისათვის და ასეთი ელემენტები გამოსახულია ფონზე, რომელიც ფერითა და დიზაინით არ ჰგავს ნამდვილ ბანკნოტს;
  - რეპროდუქცია დამზადებულია ისეთი მასალისაგან, რომელიც შესაძლებელია განსხვავდება ქაღალდისაგან და ბანკნოტებისათვის გამოყენებული მასალისაგან.
- დასაშვებია ლარის ბანკნოტების არამატერიალური ფორმით რეპროდუქცირება, რომელიც შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის ელექტრონულად ვებ გვერდის, საკაბელო ან უკაბელო საშუალებებით, ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:
  - რეპროდუქციის დიაგონალზე დაბეჭდილია სიტყ-

ვა „ნიმუში“ და ამ სიტყვის სიგრძე რეპროდუქციის სიგრძის სულ მცირე 75%-ს, ხოლო მისი სიმაღლე რეპროდუქციის სიგანის სულ მცირე 15%-ს შეადგენს, ამასთან არ არის გამჭვირვალე და კონტრასტულია შესაბამისი ნომინალის ბანკნოტის ძირითადი ფერისა;

- ელექტრონული რეპროდუქციის სიხშირის ზომის გარჩევადობა არ აღემატება 72 dpi-ს (სურათის გარჩევადობის საერთაშორისო საზომი გამოხატული წერტილების რაოდენობაში ერთ წრფივ დიუიმზე).

### მუხლი 3. ლარის მონეტების რეპროდუქციების პირობები

დასაშვებია ლარის მონეტების რეპროდუქცირება, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- რეპროდუქცია დამზადებულია ბრტყელ ზედაპირზე (მაგ., სურათზე, ნახატზე ან რაიმე გამოსახულებაზე) ან ისინი რეპროდუქცირებულია არამატერიალური ფორმით;
- რეპროდუქცია დამზადებულია ლითონისაგან განსხვავებული მასალით, რომელიც არ ჰგავს ლითონს;
- რეპროდუქცია დამზადებულია ლითონისაგან ნომინალის მითითების გარეშე, მისი ზომა არანაკლებ 50%-ით მეტია ან არანაკლებ 50%-ით ნაკლებია შესაბამისი ნამდვილი მონეტის ზომამდე და მისი პარამეტრები (ზომა, წონა, სისქე) განსხვავდება სხვა ნომინალის მონეტების პარამეტრებისგანაც.

### მუხლი 4. პასუხისმგებლობა და ვალდებულება

- იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეპროდუქციის დამზადებისას გამოყენებულია ძვირფასი ლითონი, მასზე თვალსაჩინოდ უნდა იყოს მითითებული რეპროდუქციის გამომშვები პირის დასახელება.
- ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუქცირება დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუქცირება ითვლება არაკანონიერად და პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.
- დაუშვებელია ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუქცირება ისეთი საგნების საილუსტრაციოდ ან/და რეკლამირებისათვის, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ ლარის ღირსებასა და მნიშვნელობაზე, ან რაიმე ფორმით წაახალისოს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გაყალბება.
- ისეთი სახის რეპროდუქცირებული ლარის ბანკნოტები ან მონეტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ექვემდებარება მფლობელისათვის ჩამორთმევას ანაზღაურების გარეშე. ანგარიშსწორების პროცესში რეპროდუქცირებული ლარის ბანკნოტების ან მონეტების გამოვლენის შემთხვევაში მათზე რეაგირება ხორციელდება ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენასთან დაკავშირებით დადგენილი წესების შესაბამისად.

## 5.8 ლარის ბანკოთქებისა და მონეტების განადგურების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ მიმოქცევისათვის უვარგისი ლარის ბანკოთქებისა და მონეტების გადათვლა-განადგურების ოპერაციების წარმოების საკითხებს.
- ამ წესის მიზნებისათვის მიმოქცევისათვის უვარგისი ლარის ბანკოთქებსა და მონეტებს (შემდგომში – ბანკოთქები და მონეტები) განეკუთვნება:
  - ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი დონის შესაბამისი ფიზიკური ცვეთის ან/და სხვა დაზიანების მქონე ბანკოთქები და მონეტები;
  - ქარხნული წუნის მქონე ბანკოთქები და მონეტები;
  - ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიმოქცევიდან ამოღებული ბანკოთქები და მონეტები.
- ბანკოთქებისა და მონეტების განადგურება ხორციელდება:
  - კომისიური წესით გადათვლა-განადგურება არავტომატურ რეჟიმში;
  - კომისიის გარეშე გადათვლა-განადგურება ავტომატურ რეჟიმში (გარდა მონეტებისა).
- კომისიური წესით გადათვლა-განადგურებას ექვემდებარება ეროვნული ბანკის საცავებში არსებული ბანკოთქები და მონეტები, რომელთა განადგურება ხორციელდება სპეციალური გასანადგურებელი აგრეგატების მეშვეობით.
- კომისიის გარეშე ავტომატურ რეჟიმში გადათვლა-განადგურება ხორციელდება სორტირების მანქანის მეშვეობით (სპეციალური ამომცნობი სენსორების, ავტომატური შეფუთვისა და განადგურების სისტემების მქონე ავტომატური დამუშავების მანქანა), კომერციული ბანკებისაგან მიღებული ბანკოთქების გადათვლა-დახარისხების პროცესში.
- გასანადგურებელი აგრეგატის და სორტირების მანქანის ტექნიკური მომსახურება ხორციელდება ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის წევრების მიერ.
- ბანკოთქებისა და მონეტების განადგურების პროცესის აღრიცხვის მიზნით, გამოიყენება ყოველდღიური კონტროლის მექანიზმისა და ავტომატური აღრიცხვის შემცველი ნაღდი ფულის მართვის სისტემა და ძირითადი საბანკო სისტემა (შემდგომში – პროგრამა).
- ბანკოთქებისა და მონეტების გადათვლა-განადგურების პროცესი ხორციელდება ეროვნულ ბანკის საკასო ცენტრში ვიდეო-სათვალთვალო სისტემების მეთვალყურეობის ქვეშ, ერთიანი დახურული და უსაფრთხო სივრცის პრინციპის გათვალისწინებით,

სადაც კატეგორიულად აკრძალულია უცხო პირთა დაშვება.

- განადგურების პროცესში მონაწილე პირებს კატეგორიულად ეკრძალებათ პროცესის ფოტო და ვიდეო გადაღება, ასევე ისეთი პირადი ნივთების შეტანა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ბანკოთქებისა და მონეტების გატანა.
- გადათვლა-განადგურების პროცესში მონაწილე პირებთან ფორმდება შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.
- გადათვლა-განადგურების პროცესში მონაწილე პირები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან ამ წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, აგრეთვე, ყველა ის პროფესიული საიდუმლო, რომელიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან.
- გადათვლა-განადგურების პროცესში მონაწილე პირები, სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების არცოდნის გამო არ თავისუფლდებიან დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან.
- ეროვნული ბანკის საბჭოს, ანგარიში ავტომატურ რეჟიმში განადგურებული ბანკოთქების შესახებ წარედგინება ყოველწლიურად, ხოლო კომისიური წესით განადგურებული ბანკოთქებისა და მონეტების შესახებ – განადგურების პროცესის დასრულების შემდეგ.
- გადათვლა-განადგურების შესახებ დოკუმენტები და ვიდეო ჩანაწერები ექვემდებარება 6 წლის ვადით შენახვას, გარდა კომისიის გარეშე ავტომატურ რეჟიმში გადათვლა-განადგურების ვიდეო ჩანაწერებისა, რომლებიც ინახება 6 თვის ვადით.

### მუხლი 2. კომისიური წესით გადათვლა-განადგურება არავტომატურ რეჟიმში

- კომისიური წესით ბანკოთქებისა და მონეტების გადათვლა-განადგურება ხორციელდება ეროვნული ბანკის თანამშრომლებით (შესაძლებელია სხვა სახელმწიფო უწყებებიდან წარმომადგენლების მონაწილეობა) დაკომპლექტებული კომისიის მიერ.
- ბანკოთქებისა და მონეტების გადათვლა-განადგურების კომისიის თავმჯდომარე, წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა, გასანადგურებელი ბანკოთქებისა და მონეტების ოდენობა, აგრეთვე გადათვლა-განადგურების პროცესის დაწყებისა და დასრულების ვადა განისაზღვრება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით.
- ბანკოთქებისა და მონეტების განადგურება ხორციელდება მოლარეების მიერ მხოლოდ მათი ფურცლობრივად და ცალობით საკონტროლო გადათვლის შემდეგ, კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ.
- კომისიური წესით განადგურების დროს დასაშვებია:
  - ეროვნული ბანკის მიერ დახარისხებული, მიმოქცევიდან ამოღებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკოთქების, ასევე 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების გასანადგურებელი თანხის არანაკლებ 50%-ის ფურცლობრივად/ცალობით გადათვლა;

- ბ) მწარმოებელი კომპანიის მიერ დახარისხებული ქარხნული წუნის მქონე ბანკნოტების მთელი მოცულობის გადათვლა კონებად და ნეკნებად, ხოლო მონეტების – პაკეტებად;
  - გ) ავტომატური შეფუთვისა და განადგურების სისტემების მქონე ბანკნოტების სორტირების მანქანის მეშვეობით დახარისხებული ბანკნოტების მთელი მოცულობის კონებად და ნეკნებად გადათვლა.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კონები/პაკეტები ექვემდებარება გახსნას და მათი შიგთავსის ვიზუალურ შემოწმებას ვიდეო-სათვალთვალო სისტემის ქვეშ.

**მუხლი 3. კომისიური წესით არაავტომატურ რეჟიმში გადათვლა-განადგურების პროცესში მონაწილე პირთა უფლება-ვალდებულებები**

1. კომისიის თავმჯდომარის უფლება-ვალდებულება:
  - ა) საკონტროლო გადათვლისა და განადგურების საქმიანობის ორგანიზება და კოორდინაცია;
  - ბ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დასალუქი საშუალებების მიღება და მათი გამოუყენებლობის შემთხვევაში უკან დაბრუნების უზრუნველყოფა;
  - გ) დასალუქი საშუალებების თანმიმდევრობით გამოყენებისა და მათი ყოველდღიური აღრიცხვის (დანართი N1) უზრუნველყოფა;
  - დ) სამუშაო დღის ბოლოს, შესვენების და სხვა საჭიროების შემთხვევაში გადათვლა – განადგურების უბნის დაკეტვის უზრუნველყოფა;
  - ე) ნაღდი ფულის მართვის პროგრამაში ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის, ამობეჭდვის და შენახვის უზრუნველყოფა;
  - ვ) მოლარის მიერ ზედმეტობის, დანაკლისის, განსხვავებული კატეგორიის ან ნომინალის, ასევე საეჭვო ფულის ნიშნების გამოვლენისას შესაბამისი დოკუმენტის შედგენის, ამობეჭდვის და შენახვის უზრუნველყოფა;
  - ზ) გასანადგურებელი აგრეგატის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის წევრების გამოძახება;
  - თ) განადგურების პროცესის დასრულების შემდეგ, ყოველდღიური მონაცემების (დოკუმენტების) საფუძველზე, ნაერთი აქტის შედგენა და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად დალუქული სახით, შემდგომი შენახვის მიზნით, ეროვნული ბანკის შესაბამის სტრუქტურული ერთეულისათვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემა;
  - ი) ბანკნოტებისა და მონეტების განადგურების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისათვის (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი) წინადადებების დაუყოვნებლივ წარდგენა;
  - კ) კომისიის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტისათვის წინადადებების წარდგენა;
  - ლ) გადათვლა-განადგურების უბანზე დასაქმებული

- მოლარეების შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის, ან ვადის გაგრძელების თაობაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტისათვის წინადადებების წარდგენა;
  - მ) განადგურების პროცესის დასრულების შემდეგ განადგურების თაობაზე ანგარიშის მომზადების უზრუნველყოფა, კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ანგარიშის ეროვნული ბანკის საბჭოსათვის წარდგენა.
2. კომისიის წევრების უფლება-ვალდებულება:
    - ა) საკონტროლო გადათვლისა და განადგურების პროცესის ზედამხედველობა;
    - ბ) გადათვლა-განადგურების პროცესში შექმნილი დოკუმენტების სისწორის ხელმოწერით დადასტურება;
    - გ) ბანკნოტებისა და მონეტების გადათვლა-განადგურების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით კომისიის თავმჯდომარისათვის წინადადებების წარდგენა;
    - დ) კომისიის თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში არ განახორციელონ ბანკნოტებისა და მონეტების გადათვლა-განადგურების პროცესი;
    - ე) კომისიის თავმჯდომარის თანხმობის გარეშე არ დატოვონ გადათვლა-განადგურების უბანი და წინასწარ შეატყობინონ მას უბანზე გამოუცხადებლობის შესახებ.
  3. მოლარის უფლება-ვალდებულება:
    - ა) კომისიის წევრების მეთვალყურეობის ქვეშ ბანკნოტებისა და მონეტების ფურცლობრივად და ცალობით გადათვლა;
    - ბ) ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლოდ გადათვლის შედეგად ზედმეტობის, დანაკლისის, განსხვავებული კატეგორიის ან ნომინალის, ასევე საეჭვო ფულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარისათვის ინფორმაციის მიწოდება;
    - გ) საკონტროლოდ გადათვლის დასრულების შემდგომ, კომისიის წევრების მეთვალყურეობის ქვეშ ბანკნოტებისა და მონეტების არარსებობის გადამოწმების მიზნით, სათვლეელი მანქანების კვანძების შემოწმება;
    - დ) არ დაუშვას მისთვის მინდობილი ბანკნოტების/ მონეტების სხვა პირთათვის გადაბარება და მის მიერ გახსნილი ყუთის გადაუთვლელად სამუშაო ადგილზე დატოვება;
    - ე) კომისიის თავმჯდომარის თანხმობის გარეშე არ დატოვოს გადათვლა-განადგურების უბანი და წინასწარ შეატყობინონ მას უბანზე გამოუცხადებლობის შესახებ.

**მუხლი 4. კომისიური წესით არაავტომატურ რეჟიმში გადათვლა-განადგურების სამუშაოების ორგანიზება და წარმართვა**

1. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ფასეულობათა საცავიდან ბანკნოტებისა და მონეტების განადგურების მიზნით გაცემა და კომისიის მიერ მიღება წარმოებს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის ხელმოწერით დამოწმებული ფულის ნიშნების განადგურების შესახებ დავალების (დანართი N2)

- საფუძველზე.
2. კომისიის მიერ ფასეულობათა საცავის მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისაგან ბანკნოტების მიღება ხორციელდება კონებით და ნეკნებით, მონეტების – პაკეტებით, შეფუთვის სიმრთელის და ეტიკეტზე არსებული წარწერების შემოწმებით. მიღებას არ ექვემდებარება დაზიანებული ან სხვა დეფექტის მქონე შეფუთვის ბანკნოტები და მონეტები.
  3. კომისიის თავმჯდომარის მიერ ბანკნოტებისა და მონეტების მიღება პროგრამაში დასტურდება განადგურების შესახებ დავალების, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ ორ ეგზემპლარად შედგენილი „განადგურების მიზნით გაცემული/მიღებული ბანკნოტებისა და მონეტების შესახებ ცნობის“ (დანართი N3) მონაცემებისა და ნაღდი ფულის ურთიერთშედარების შემდგომ.
  4. კომისიის წევრებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერით დადასტურებული ცნობის ერთი ეგზემპლარი რჩება კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო მეორე გადაეცემა – ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის მაკონტროლებელ პირს.
  5. ბანკნოტებისა და მონეტების მიღების შემდგომ, კომისია მიღებულ კონებს/პაკეტებს ათავსებს სპეციალურ ყუთებში, რომელთა დალუქვაც ხდება კომისიის თავმჯდომარის მიერ.
  6. საკონტროლოდ გადასათვლელი და ამ წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ბანკნოტებისა და მონეტების სპეციალურ ყუთებში განთავსება და დალუქვა ხორციელდება ერთმანეთისაგან განცალკევებით.
  7. კომისიის წევრების მიერ დალუქული ყუთების მოლარეზე გადაცემა ხორციელდება ყუთის ლუქის სიმრთელის შემოწმებით.
  8. მოლარის მიერ, ბანკნოტებისა და მონეტების ფურცლობრივად და ცალობით საკონტროლოდ გადათვლა ხორციელდება კონების/პაკეტების შეფუთვის სიმრთელის, ეტიკეტზე არსებული წარწერებისა და მასში განთავსებული ბანკნოტების/მონეტების ვიზუალური შემოწმების შემდგომ.
  9. საკონტროლოდ გადათვლის შემდგომ, მოლარე ახდენს გადათვლილი ბანკნოტების/მონეტების ყუთებში განთავსებას, თანდართულ პირველად ეტიკეტთან ერთად, ეტიკეტი ინახება ბანკნოტების/მონეტების განადგურებამდე.
  10. იმ ბანკნოტებისა და მონეტების ყუთებში განთავსება, რომელთა განადგურებაც დასაშვებია მათი საკონტროლოდ გადათვლის გარეშე ხორციელდება მათი შიგთავსის ვიზუალური შემოწმების შემდგომ.
  11. ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული ბანკნოტები და მონეტები იმავდროულად ილუქება კომისიის თავმჯდომარის მიერ.
  12. საკონტროლო გადათვლის მთლიანი პროცესის დასრულების შემდეგ, კომისიის მიერ ხორციელდება ყუთების გახსნა და ბანკნოტების/მონეტების სპეციალურ გასანადგურებელ აგრეგატში განთავსება.
  13. ყუთის ან კონების/პაკეტების შეფუთვის დაზიანების ან/და სხვა დეფექტის, ასევე შიგთავსში არსებული ნებისმიერი შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ მოლარის მიერ დაუყოვნებლივ ეცნობება კომისიის თავმჯდომარეს.
  14. ბანკნოტებისა და მონეტების ვიზუალური დათვალიერების ან საკონტროლოდ გადათვლის შედეგად ზედმეტობის, დანაკლისის ან სხვა შეუსაბამობის (განსხვავებული კატეგორიის ან ნომინალის) გამოვლენის შემთხვევაში, ბანკნოტები და მონეტები ექვემდებარება ხელმოწერულ საკონტროლოდ გადათვლას.
  15. ზედმეტობის, დანაკლისის ან სხვა შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მიერ იმავდროულად ფორმდება „დანაკლისის, ზედმეტობის ან სხვა შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ“ ცნობა (დანართი N4) ორ ეგზემპლარად, რომელიც დასტურდება მოლარისა და კომისიის წევრების ხელმოწერით.
  16. ბანკნოტებისა და მონეტების ვიზუალური დათვალიერების ან საკონტროლოდ გადათვლის შედეგად საეჭვო ბანკნოტების/მონეტების გამოვლენის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე იმავდროულად ახდენს „საკონტროლო გადათვლის შედეგად გამოვლენილი საეჭვო ფულის ნიშნის შესახებ ცნობის“ (დანართი N5) სამ ეგზემპლარად შედგენას, რომელიც დასტურდება მოლარისა და კომისიის წევრების ხელმოწერით.
  17. განადგურების დასრულების შემდგომ, კომისიის თავმჯდომარის მიერ ხორციელდება „განადგურების მიზნით გაცემული/მიღებული ბანკნოტებისა და მონეტების შესახებ“, „დანაკლისის, ზედმეტობის ან სხვა შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ“, „საკონტროლო გადათვლის შედეგად გამოვლენილი საეჭვო ფულის ნიშნის შესახებ“ ცნობებისა და ფაქტობრივად განადგურებული ბანკნოტებისა და მონეტების შესახებ მონაცემების პროგრამაში აღრიცხვა.
  18. პროგრამაში ინფორმაციის სრულად აღრიცხვის შემდგომ, კომისიის თავმჯდომარე ახდენს „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლისა და განადგურების შესახებ ცნობის“ (დანართი N6) და „საეჭვო ფულის ექსპერტიზის შესახებ ცნობის“ (დანართი N7) ორ ეგზემპლარად ამობეჭდვას, რომლებიც დასტურდება კომისიის წევრების ხელმოწერით.
  19. პროგრამაში მონაცემების სრულად აღრიცხვის შემდგომ, განსხვავებული კატეგორიის ან ნომინალის ფულის ნიშნების ფორმირების მიზნით, კომისიის თავმჯდომარე ახდენს პროგრამაში ეტიკეტის შექმნას, ამობეჭდვას და ვაკუუმური ცელოფანის მეშვეობით ფორმირებას, ხოლო საეჭვო ფულის ნიშნების ფორმირებას – „საეჭვო ფულის ექსპერტიზის შესახებ ცნობასთან“ ერთად ვაკუუმური ცელოფანის მეშვეობით.
  20. ფასეულობათა საცავის მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ ბანკნოტებისა და მონეტების მიღება პროგრამაში დასტურდება კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილი „განადგურების მიზნით მიღებული ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ფასეულობათა საცავში გაგაზავნის/მიღების შესახებ ცნობის“ (დანართი N8) მონაცემებისა და ნაღდი ფულის ურთიერთშედარების შემდგომ.
  21. განადგურების დასრულების შემდგომ კომისიის თავმჯდომარის მიერ ხორციელდება:
    - ა) „განადგურების მიზნით გაცემული/მიღებული ბანკნოტებისა და მონეტების შესახებ“, „დანაკლისის, ზედმეტობის ან სხვა შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ“, „საკონტროლო გადათვლის შედეგად გამოვლენილი საეჭვო ფულის ნიშნის შესახებ“,

„ლარის ბანკოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლისა და განადგურების შესახებ“ და „განადგურების მიზნით მიღებული ლარის ბანკოტებისა და მონეტების ფასეულობათა საცავში გაგზავნის/მიღების შესახებ“ ცნობების თითო ეგზემპლარის ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის მაკონტროლებელ პირზე გადაცემა;

- ბ) ფორმირებული ფულის ნიშნების ფასეულობათა საცავის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გადაცემის მიზნით, პროგრამაში შესაბამისი ინფორმაციის აღრიცხვა;
  - გ) ფორმირებული საეჭვო ფულის ნიშნების პროგრამაში გადაცემის მიზნით აღრიცხვა და „საეჭვო ფულის ექსპერტიზის შესახებ ცნობასთან“ ერთად ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის ექსპერტიზის ჯგუფის წევრზე გადაცემა.
22. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ განადგურების შესახებ დოკუმენტები კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობით ინახება სეიფში.
23. გასანადგურებელი ფულის ნიშნების საკონტროლოდ გადათვლის დასრულების შემდგომ, ბანკოტებისა და მონეტების არარსებობის გადამოწმების მიზნით, სათვლელი მანქანების კვანძები ექვემდებარება კომისიის წევრებისა და მოლარეების მიერ შემოწმებას.
24. განადგურების პროცესის დასრულების შემდგომ, ბანკოტებისა და მონეტების არარსებობის გადამოწმების მიზნით, ტრანსპორტირების და გამანადგურებელი აგრეგატის სხვა კვანძები ექვემდებარება კომისიის წევრების მიერ შემოწმებას.
25. იმ შემთხვევაში, თუ ბანკოტებისა და მონეტების გამანადგურებელი დანადგარის მწყობრიდან გამოსვლის ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ხერხდება განადგურების პროცესის გაგრძელება საკონტროლოდ გადათვლილი/გადათვლელი ბანკოტები და მონეტები ექვემდებარება კომისიის თავმჯდომარის მიერ დალუქული ყუთებით „განადგურების მიზნით მიღებული ლარის ბანკოტებისა და მონეტების ფასეულობათა საცავში გაგზავნის/მიღების შესახებ“ ცნობის საფუძველზე საცავში შესანახად გადაცემას.
26. ბანკოტებისა და მონეტების განადგურების მთლიანი პროცესის დასრულების შემდგომ, კომისიის თავმჯდომარის მიერ, მასთან არსებული დოკუმენტების საფუძველზე ხორციელდება ანგარიშის შედგენა.
27. განადგურების პროცესში გამოვლენილი დანაკლისი, ასევე ექსპერტიზის შედეგების შესაბამისად დადგენილი ყალბი ფულის ნიშნები ექვემდებარება მაფორმირებელი პირის მიერ ანაზღაურებას.

### მუხლი 5. კომისიის გარეშე ავტომატურ რეჟიმში გადათვლა-განადგურება

- 1. ავტომატურ რეჟიმში ბანკოტების გადათვლა-განადგურება ხორციელდება რეჟიმით – „გადათვლა-დახარისხება განადგურებით“, ჯგუფის უფროსის, დამხმარე მოლარის, შემკრები მოლარის და სორტირების მანქანასთან მომუშავე მოლარის მიერ.
- 2. კომისიის გარეშე ავტომატურ რეჟიმში ბანკოტების გადათვლა-განადგურების დროს სორტირების მანქანის ექსპლოატაცია ხორციელდება

სპეციალური პერსონალური ბარათების (შემდგომში – ბარათი) მეშვეობით.

- 3. დაუშვებელია დროის ერთ მონაკვეთში ერთი და იგივე მოლარის რეგისტრაცია ერთზე მეტ სორტირების მანქანაში.
- 4. სორტირების მანქანასთან დაშვების დონეები, ასევე სორტირების მანქანის გასანადგურებელი მოწყობილობის გასაღებების შესაბამის პირებზე გადაცემა ხორციელდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი პირის განკარგულების საფუძველზე.
- 5. დაუშვებელია სორტირების მანქანის გასანადგურებელი მოწყობილობის გასაღებების ერთი პირზე გადაცემა.

### მუხლი 6. კომისიის გარეშე ავტომატურ რეჟიმში გადათვლა-განადგურების პროცესში მონაწილე პირთა უფლება-ვალდებულებები

- 1. ჯგუფის უფროსის უფლება-ვალდებულება:
  - ა) საკონტროლო გადათვლისა და განადგურების საქმიანობის ორგანიზება და კოორდინაცია;
  - ბ) გადასათვლელი ბანკოტების მოლარეებზე განაწილება;
  - გ) ავტომატური სორტირების მანქანაში ბარათის მეშვეობით სამუშაო დღის გახსნა და რეჟიმის არჩევა;
  - დ) სორტირების მანქანაში მოლარეების რეგისტრაციის უზრუნველყოფა, მათი ბარათების მეშვეობით; ნაღდი ფულის მართვის პროგრამაში შესრულებული სამუშაოების ყოველდღიური აღრიცხვის უზრუნველყოფა;
  - ვ) სორტირების მანქანის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის წევრების გამოძახება.
- 2. დამხმარე მოლარის უფლება-ვალდებულება:
  - ა) მიღებული კონტეინერების ნომინალების მიხედვით გახსნა სორტირების მანქანაში არჩეული რეჟიმის შესაბამისად;
  - ბ) კონტეინერის ეტიკეტისა და დასალუქ საშუალებაზე არსებული მონაცემების ურთიერთშედარება და მათი მონაცემების ვიდეო-სათვალთვალო სისტემის მიერ დაფიქსირების მიზნით მაგიდის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე განთავსება;
  - გ) კონტეინერის ეტიკეტის და მასში განთავსებული კონების მონაცემების ურთიერთშედარება, კონებზე შეფუთვის მოხსნა, კასეტებში ნომინალების მიხედვით განთავსება და მანქანასთან მომუშავე მოლარეზე გადაცემა.
- 3. შემკრები მოლარე ვალდებულია მოახდინოს სორტირების მანქანის საეჭვო ჯიბეში განთავსებული ბანკოტების ფორმირება კატეგორიებისა და ნომინალების მიხედვით.
- 4. სორტირების მანქანასთან მომუშავე მოლარის უფლება-ვალდებულება:
  - ა) მიღებული ბანკოტების ნომინალების მიხედვით სორტირების მანქანაში ჩატვირთვა არჩეული რეჟიმის შესაბამისად;
  - ბ) სორტირების მანქანის მიერ საკონტროლოდ გადათვლის შედეგად ზედმეტობის, დანაკლისის, ან საეჭვო ფულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში ჯგუფის უფროსისათვის ინფორმაციის მიწოდება;
  - გ) არ დაუშვას მისთვის მინდობილი ბანკოტების

სხვა პირთათვის გადაბარება და სორტირების მანქანასთან სხვა პირის დაშვება.

## მუხლი 7. კომისიის გარეშე ავტომატურ რეჟიმში გადათვლა-განადგურების სამუშაოების ორგანიზება და წარმართვა

1. ჯგუფის უფროსის მიერ გადასათვლელი ბანკნოტების მიღება წარმოებს კონტინენტისა და დასალუქი საშუალების სიმრთელის, ასევე კონტინენტზე არსებული ეტიკეტის რეკვიზიტების შემოწმებით.
2. ჯგუფის უფროსი მიღებულ კონტინენტებს აღრიცხავს შტრიხ-კოდის წამკითხველის მეშვეობით პროგრამაში და ადასტურებს მათ მიღებას.
3. კონტინენტების მიღების შემდგომ, ჯგუფის უფროსის მიერ ხორციელდება დამხმარე მოლარეებზე კონტინენტების გადაცემა.
4. კონტინენტების მიღების შემდგომ, დამხმარე მოლარე სორტირების მანქანის რეჟიმის შესაბამისად, ახდენს მიღებული კონტინენტების გახსნას, კონტინენტის ეტიკეტის და დასალუქი საშუალების მონაცემების ურთიერთშედარებას და ვიდეო – სათვალთვალო სისტემით დაფიქსირების მიზნით, ეტიკეტისა და დასალუქი საშუალების მაგიდის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე განთავსებას.
5. კონტინენტის გახსნის შემდგომ, დამხმარე მოლარე ახდენს კონტინენტის ეტიკეტისა და მასში განთავსებული კონტინენტების ნომინალების მონაცემების ურთიერთშედარებას, ვაკუუმური ცელოფანის მოხსნას, კასეტებში განთავსებას და გადათვლა-განადგურების მიზნით სორტირების მანქანასთან მომუშავე მოლარეზე გადაცემას.
6. მანქანასთან მომუშავე მოლარე, გადათვლა-განადგურების მიზნით, ახდენს სორტირების მანქანაში გადასათვლელი თანხის ნომინალების მიხედვით შეყვანას, მასში მიღებული ბანკნოტების ჩატვირთვას და ყოველი ნომინალის გადათვლის პროცესის დასრულების შემდგომ მანქანის სისტემაში მონაცემების დადასტურებას.
7. საეჭვო ჯიბეში ბანკნოტების განთავსების შემთხვევაში, მანქანის სისტემაში მონაცემების დადასტურება ხორციელდება აღნიშნული ბანკნოტების მანქანასთან მომუშავე მოლარის მიერ ფურცლობრივად გადათვლის და მათი რაოდენობის სორტირების მანქანის სისტემაში (ველი „საეჭვო“) შეყვანის შემდგომ.
8. საეჭვო ჯიბეში განთავსებული ნამდვილი ბანკნოტები, სორტირების მანქანასთან მომუშავე მოლარის მიერ ფორმირების მიზნით, გადაეცემა შემკრებ მოლარეს, ხოლო საეჭვო ბანკნოტები ფორმირებისა და ექსპერტიზაზე გადაცემის მიზნით – ჯგუფის უფროსს.
9. ბანკნოტების გადათვლა-დახარისხების ყოველი რეჟიმის დასრულების შემდეგ, სორტირების მანქანასთან მომუშავე მოლარის მიერ უნდა მოხდეს სორტირების მანქანიდან სრული და არასრული ნეკნების ამოღება და ხელით ან სათვლელი მანქანის მეშვეობით ფურცლობრივად გადათვლა-ფორმირების მიზნით შემკრებ მოლარეზე გადაცემა.
10. ნაღდი ფულის ავტომატურ რეჟიმში გადათვლა-განადგურების პროცესის დასრულების შემდგომ,

ჯგუფის უფროსი პროგრამაში ახდენს ავტომატური გადათვლის ფუნქციის და შესაბამისი სორტირების მანქანების არჩევას, რის შემდგომაც გადათვლა-განადგურების შედეგები ავტომატურად აისახება პროგრამაში.

11. პროგრამაში ინფორმაციის სრულად აღრიცხვის შემდგომ, ჯგუფის უფროსი ახდენს მონაცემების პროგრამულ დადასტურებას, „საეჭვო ფულის ექსპერტიზის შესახებ ცნობის“, „შემოტანილი ნაღდი ფულის გადათვლის შედეგების“, „ღლის განმავლობაში გადათვლის შედეგების“ ამობეჭდვას და ხელმოწერით დადასტურებას.
12. ჯგუფის უფროსის მიერ ექსპერტიზაზე გადასაცემი საეჭვო ბანკნოტების ფორმირება ხდება „საეჭვო ფულის ექსპერტიზის შესახებ ცნობასთან“ ერთად.
13. დოკუმენტების ამობეჭდვის შემდგომ, ჯგუფის უფროსი ახდენს ფაქტიურად არსებული ნაღდი ფულის ნომინალებისა და კატეგორიების მიხედვით დოკუმენტებთან შედარებას და ნაღდი ფულის ფასეულობათა საცავში გაგზავნას, ხოლო „საეჭვო ფულის ექსპერტიზის შესახებ ცნობასთან“ ერთად ფორმირებული საეჭვო ბანკნოტები ჯგუფის უფროსის მიერ იგზავნება ფასეულობათა საცავში ან ექსპერტიზაზე.
14. გადათვლა-განადგურების პროცესში შექმნილი დოკუმენტების თითო ეგზემპლარი, „საეჭვო ფულის ექსპერტიზის შესახებ ცნობის“ გარდა ჯგუფის უფროსი მიერ გადაეცემა ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის მაკონტროლებელი პირს.
15. გადათვლა-განადგურების პროცესის დასრულების შემდგომ, ჯგუფის უფროსისა და მოლარეების მიერ, სორტირების მანქანაში ბანკნოტების არარსებობის გადამოწმების მიზნით, უნდა განხორციელდეს სორტირების მანქანის მიწოდების, ტრანსპორტირების, შეფუთვის და სხვა კვანძების შემოწმება.
16. მუშაობის პროცესში, სორტირების მანქანის ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში, მანქანასთან მომუშავე მოლარე ვალდებულია იმოქმედოს მანქანის ეკრანზე გამოსახული ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო თუ მის მიერ ვერ ხდება შეფერხების გამოსწორება, გამოიძახოს ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის წევრი და ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, სორტირების მანქანის მიერ მოთხოვნილი მონაცემების შეყვანა მოახდინოს ჯგუფის უფროსისა და ტექნიკური უზრუნველყოფის წევრის კონტროლის ქვეშ.
17. სორტირების მანქანის გასანადგურებელ მოწყობილობაში ბანკნოტის (ან მისი ნაწილების) გაჭედვის შემთხვევაში, მოწყობილობის გახსნა ხორციელდება გადათვლა-დახარისხების ჯგუფის წევრების, ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის უფროსის, ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის წევრისა და გასანადგურებელი მოწყობილობის გასაღების მფლობელი პირების მიერ.
18. გასანადგურებელი მოწყობილობიდან ბანკნოტების ამოღება და შემდგომი რეაგირება ხორციელდება სორტირების მანქანის ეკრანზე გამოსახული ექსპლუატაციის ინსტრუქციის შესაბამისად, ამ მუხლის მე-17 პუნქტში მითითებული პირების მეთვალყურეობის ქვეშ.



## დანართი N2

ფულის ნიშნების განადგურების შესახებ დავალება N \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

გამგზავნი \_\_\_\_\_

მიმღები \_\_\_\_\_

ვალუტა \_\_\_\_\_

საფუძველი \_\_\_\_\_

N	ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	კატეგორია	თანხა	რაოდენობა
სულ					

გადათვლა-განადგურების  
კომისიის თავმჯდომარე

საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის  
მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსი

აღმასრულებელი  
დირექტორი

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)



ცნობა

განადგურების მიზნით გაცემული/მიღებული ლარის  
ბანკნოტებისა და მონეტების შესახებ

თარიღი (რიცხვი და თვე) \_\_\_\_\_

საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის N \_\_\_\_\_ ფასეულობათა საცავიდან 20 წლის (რიცხვი და თვე)-ის  
N \_\_\_\_\_ დავალების საფუძველზე

მიმოქცევისათვის უვარგისი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლა-განადგურების კომისიას  
გადაეცა:

ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	კატეგორია	თანხა ციფრებით	კონის/პაკეტის რაოდენობა	შენიშვნა
სულ					

მთლიანი თანხა \_\_\_\_\_  
(ციფრებით და სიტყვებით)

კონების/პაკეტების რაოდენობა \_\_\_\_\_  
(ციფრებით და სიტყვებით)

საცავის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები:

_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)

მიმოქცევისათვის უვარგისი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლა-განადგურების  
კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)

კომისიის წევრები:

_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)
_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)

\*შენიშვნა:

ცნობა

დანაკლისის, გედმეტობის ან სხვა შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ

ქ. თბილისი \_\_\_\_\_ 20 წელი  
(რიცხვი და თვე)

მიმოქცევისათვის უვარგისი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლა-განადგურების კომისიის წევრებისაგან მიღებული

\_\_\_\_\_ -ს  
(საკასო ცენტრის დასახელება, სალაროს ნომერი, მოლარის სახელი, გვარი)

მიერ \_\_\_\_\_  
(ეტიკეტზე/ზედსადებზე მითითებული დახარისხების თარიღი)

დახარისხებული ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ჩემს \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ მიერ  
(გადამთვლელი მოლარის სახელი და გვარი)

საკონტროლო გადათვლის შედეგად გამოვლინდა:

შეუსაბამობა	კატეგორია	ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	რაოდენობა	თანხა
დანაკლისი					
გედმეტობა					
სხვა კატეგორია					
სხვა ნომინალი					

ნაშთი სიტყვებით \_\_\_\_\_

ეტიკეტი/ზედსადები: \_\_\_\_\_ ცალი.

მოლარე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

მიმოქცევისათვის უვარგისი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლა-განადგურების კომისიის წევრები:

_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)

კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად რომლის ერთი პირი გადაეცა საკასო ცენტრის მაკონტროლებელ პირს

მივიღე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)



# დანართი N6

## ლარის ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლისა და განადგურების შესახებ ცნობა N \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_

კომისიის წევრები \_\_\_\_\_

საფუძველი \_\_\_\_\_

განადგურებული

ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	კატეგორია	თანხა	რაოდენობა
სულ:				

ზედმეტობა

ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	კატეგორია	თანხა	რაოდენობა
სულ:				

დანაკლისი

ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	კატეგორია	თანხა	რაოდენობა
სულ:				

ფასეულობათა საცავში გასაგზავნი

ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	კატეგორია	თანხა	რაოდენობა
სულ:				

ექსპერტიზაზე გადასაცემი

ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	კატეგორია	თანხა	რაოდენობა
სულ:				

სულ განადგურებული

შენიშვნა \_\_\_\_\_

დამატებითი ინფორმაცია \_\_\_\_\_

კომისიის თავმჯდომარე:

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

კომისიის წევრები:

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა)

# დანართი N7

## ცნობა სააქვო ფულის ექსპერტიზის შესახებ N

შემოტანის დასახელება \_\_\_\_\_

შემოტანის თარიღი \_\_\_\_\_

გამოვლენის თარიღი \_\_\_\_\_

გამოვლენილია \_\_\_\_\_

გამოავლინა \_\_\_\_\_

ვალუტა \_\_\_\_\_

რაოდენობა \_\_\_\_\_

თანხა \_\_\_\_\_

### შტრიხკოდის ადგილი

N	ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	სერია და ნომერი	წელი	რაოდ	თანხა	გამომვლენი მოლარე	კატეგორია	ექსპერტ. თარიღი	პირადი ნომერი	სახელი და გვარი

სპეციალისტის ხელმოწერა \_\_\_\_\_

# დანართი N8

## ცნობა

### განადგურების მიზნით მიღებული ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ფასეულობათა საცავში გაგზავნის/მიღების შესახებ

თარიღი (რიცხვი და თვე) \_\_\_\_\_

მიმოქცევისათვის უვარგისი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლა-განადგურების კომისიის მიერ

საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრის N \_\_\_\_\_ ფასეულობათა საცავს გადაეცა:

ნომინალი	ბანკნოტი/ მონეტა	კატეგორია	თანხა ციფრებით	კონის/პაკეტის რაოდენობა	შენიშვნა
სულ					

მთლიანი თანხა \_\_\_\_\_  
(ციფრებით და სიტყვებით)

კონების/პაკეტების რაოდენობა \_\_\_\_\_  
(ციფრებით და სიტყვებით)

მიმოქცევისათვის უვარგისი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების საკონტროლო გადათვლა-განადგურების კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

კომისიის წევრები:

_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)

საცავის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები:

_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)
_____ (სახელი, გვარი)	_____ (ხელმოწერა)

\*შენიშვნა:

---

## 6 სხვა

6.1 საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქცია	535
6.2 კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი	543
6.3 დებულება დილინგური ოპერაციების მართვის შესახებ	559
6.4 ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევისა და კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის წესი	560
6.5 კომერციული ბანკის მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენისა და შეთანხმების წესი	564
6.6 ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი	566
6.7 ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო	583

## 6.1 საბანკო დაწესებულებაში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქცია

### თავი I ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1.

ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს საბანკო დაწესებულებების (ბანკების) მიერ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ ორგანიზაციული წარმონაქმნებისთვის, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშის (შემდგომში – ანგარიში) გახსნის წესს, ანგარიშის სახეებს და მათ დანიშნულებას.

#### მუხლი 2.

ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საბანკო ანგარიში (ანგარიში) – ბანკში პირის ფულადი სახსრების აღრიცხვის უნიკალური საშუალება;
- ბ) პირი – როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს (არარეგისტრირებული კავშირი, ამხანაგობა, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა);
- გ) რეზიდენტი – რეზიდენტი ფიზიკური პირი (საქართველოს მოქალაქე) და რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს სანარმო ან საქართველოს ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად);
- დ) არარეზიდენტი – იურიდიული პირი /ფილიალი/ წარმომადგენლობა/ მუდმივი დაწესებულება, ორგანიზაცია რომელიც არ არის რეზიდენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და ფიზიკური პირი, რომლის არარეზიდენტობის საკითხს ბანკი აღგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მოქალაქეობის მიხედვით;
- ე) ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები ერთ კონკრეტულ ვალუტაში;
- ვ) მულტისავალუტო საბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია ფულადი სახსრები რამდენიმე ვალუტაში ცალ-ცალკე და რომელიც რაოდენობრივად წარმოადგენს ერთ ანგარიშს;
- ზ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი. საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის პირადობის დადასტურება აგრეთვე შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული პირის შესაბამის

- სი მონაცემებით (ინფორმაციით). პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც პირს არ გააჩნია ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები (მაგალითად, არასრულწლოვანი პირის სახელზე დეპოზიტის (ანაბრის) გახსნის შემთხვევაში);
- თ) მენარმე ფიზიკური პირი – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად;
- ი) არამენარმე ფიზიკური პირი – ფიზიკური პირი, მათ შორის გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის მენარმე ფიზიკური პირი;
- კ) საბიუჯეტო ორგანიზაცია – ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია მისი მართვისთვის, ასევე ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების შესაბამისად;
- ლ) სსიპ – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაცია;
- მ) შიდასაბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელიც არ არის კლიენტის საბანკო ანგარიში;
- ნ) სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში – ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის მოთხოვნამდე ან გადახდის წინასწარ შეთანხმებული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები. ამ ინსტრუქციის შესაბამისად დეპოზიტად არ მიიჩნევა შიდასაბანკო ანგარიშებზე ბანკის მიერ განთავსებული საბანკო გარანტიის და აკრედიტივის უზრუნველყოფის თანხები, გაცემული გარანტიისა და გახსნილი აკრედიტივის ფარგლებში, ასევე გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით დაჭავენული თანხები, ათვისებული ოდენობის ფარგლებში;
- ო) დეპოზიტი (ანაბარი) – ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი) და მოთხოვნამდე დეპოზიტი (ანაბარი).
- ო.ა) ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი) – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელთა გატანა შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
- ო.ბ) მოთხოვნამდე დეპოზიტი (ანაბარი) – სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები, რომლებსაც ბანკი არიცხავს პროცენტს და რომელზეც თანხის შეტანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა და გატანა შესაძლებელია მოთხოვნისთანავე.
- პ) მიმდინარე ანგარიში – საბანკო ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით. აღნიშნული ტიპის ანგარიში მოიცავს საბარათე ანგარიშებსაც და ბინათმესაკუთრეთა მიერ გახსნილ საანგარიშგებო ანგარიშებსაც;
- ჟ) საკორესპონდენტო ანგარიში – ანგარიში, რომელსაც ერთი ბანკი სხნის მეორეში და რომელიც გამოიყენება ბანკებს შორის ანგარიშსწორებისათვის;
- რ) საკასო მომსახურების ანგარიში – ბანკის, ბანკის ფილიალის, განყოფილების (სერვის-ცენტრის) ანგარიში ეროვნულ ბანკში და/ან სხვა კომერციულ



ბანკში (მის ფილიალში), რომელიც გამოიყენება მხოლოდ ნაღდი ფულის შეტანისა და გატანის ოპერაციების, სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩარიცხვის ოპერაციების, ასევე ამ ანგარიშზე არსებული თანხების სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე გადარიცხვის მიზნებისათვის;

- ს) ნომინალური მფლობელობის ანგარიში – ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში ან ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში;
- ტ) ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში – ნოტარიუსის სადევოზიტო ანგარიში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის, ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ანგარიში, რომელიც გამოიყენება, კანონმდებლობის და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი კლიენტის (კლიენტების) ან/და რეგისტრირებული მესაკუთრის (მესაკუთრეების) ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების ერთობლივად აღსარიცხავად;
- უ) ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში – ნოტარიუსის სადევოზიტო ანგარიში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ანგარიში, რომელიც გამოიყენება, კანონმდებლობის და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე განსაზღვრული, მისი ერთი კლიენტის ან/და ერთი რეგისტრირებული მესაკუთრის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების აღსარიცხავად.
- ფ) „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“ (OECD) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პარიზის 1960 წლის 14 დეკემბრის კონვენციის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაცია.
- ქ) ფინანსური ინსტრუმენტი – „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფინანსური ინსტრუმენტი.

### მუხლი 3.

- 1. ბანკში პირს შეიძლება გაეხნას შემდეგი სახის ანგარიშები:
  - ა) მიმდინარე ანგარიში;
  - ბ) სადევოზიტო (საანაბრო) ანგარიში;
  - გ) საკორესპონდენტო ანგარიში;
  - დ) საკასო მომსახურების ანგარიში;
  - ე) ნომინალური მფლობელობის ანგარიში.
- 11. კომერციულ ბანკს ეკრძალება ისეთი ანგარიშების გახსნა და წარმოება, როდესაც მფლობელის იდენტიფიკაციის მიზნით გამოიყენება კოდური სიტყვა ან ციფრი (ციფრების კომბინაცია), რომელიც არ ატარებს მისი მფლობელის სახელს და ანგარიშის მფლობელის იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ ანგარიშის ნომრის მეშვეობით (ნომრიანი ანგარიში), მათ შორის, ბანკს ეკრძალება ისეთი ანგარიშის გახსნა და წარმოება, რომელიც შეუძლებელს ხდის „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით ბანკის მიერ

კლიენტის იდენტიფიკაციას.

- 2. რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებს შეუძლიათ გახსნან მიმდინარე ანგარიშები (გარდა კომერციული ბანკებისა), ნომინალური მფლობელობის ანგარიშები და სადევოზიტო (საანაბრო) ანგარიშები.
- 3. პირისათვის უცხოურ ვალუტაში ანგარიშის გახსნის შემთხვევაში ამავე პირს ეხსნება მიმდინარე ანგარიში ან მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიში ლარში, თუკი მას არ აქვს ანგარიში ეროვნულ ვალუტაში იმავე ბანკში. ამ პუნქტით განსაზღვრული ლარის ანგარიშის გახსნა შეიძლება განხორციელდეს ანგარიშის გახსნელად საჭირო დოკუმენტების დამატებით ბანკისათვის წარდგენის გარეშე.
- 4. მიმდინარე ან სადევოზიტო ანგარიში შეიძლება გაეხსნას და მას შეიძლება განკარგავდეს ერთზე მეტი პირი (ერთობლივი ანგარიში). ანგარიშის განკარგვის პირობები განისაზღვრება ანგარიშის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით.
- 41. ამ ინსტრუქციის შესაბამისად პირის ანგარიშის გახსნა შეიძლება განხორციელდეს მინდობილობის საფუძველზე.
- 5. რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა კომერციული ბანკებისა) ფილიალებს, განყოფილებებს და სხვა განცალკევებულ ქვედანაყოფებს ანგარიში გაეხსნებათ სათავო საწარმოს (ორგანიზაციის) შუამდგომლობით, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციას – სახაზინო სამსახურის ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობის საფუძველზე. ამასთანავე, სათავო საწარმოები (ორგანიზაციები), სახაზინო სამსახური ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უფლებამოსილნი არიან შეწყვიტონ შუამდგომლობა ან გააუქმონ ადრე გაცემული თანხმობა ანგარიშის გახსნის შესახებ.
- 6. საკასო მომსახურების ანგარიში ეხსნებათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს და მათ ფილიალებს და განყოფილებებს (სერვისცენტრებს).
- 7. სათავო ბანკებს საკორესპონდენტო ანგარიშები გაეხსნებათ:
  - ა) საქართველოს ეროვნულ ბანკში;
  - ბ) სხვა (სათავო) კომერციულ ბანკში.
- 8. კომერციულ ბანკს, მის ფილიალს, განყოფილებას (სერვისცენტრს) საკასო მომსახურებისათვის ეროვნულ ბანკში ან/და კომერციულ ბანკში ან/და მის ფილიალში გაეხსნება ერთი საკასო მომსახურების ანგარიში თითოეულ ვალუტაში. კომერციული ბანკის, მისი ფილიალის, განყოფილების (სერვისცენტრის) საკასო მომსახურების ანგარიშზე შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ნაღდი ფულის შეტანისა და გატანის ოპერაციები, სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ჩარიცხვის ოპერაციები, ასევე ამ ანგარიშზე არსებული თანხების გადარიცხვა სათავო ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე.

### მუხლი 4.

- 1. პირს უფლება აქვს აირჩიოს ერთი ან რამდენიმე ბანკი მომსახურებისათვის.
- 2. ანგარიშის გახსნა და მომსახურება ხორციელდება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სა-

- ფუძველზე, რომლის პირობებსაც განსაზღვრავენ მხარეები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
21. თუ პირს ამ ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად უკვე გახსნილი აქვს ანგარიში ამავე ბანკში, მაშინ დასაშვებია ამ პირისათვის დამატებითი ანგარიშის გახსნა დისტანციურად (სატელეფონო, ინტერნეტ ბანკის ან სხვა საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო საშუალებით) მიღებული განაცხადის საფუძველზე. ბანკს წინასწარ უნდა გააჩნდეს კლიენტის თანხმობა დისტანციური საშუალებით დამატებითი ანგარიშის გახსნის თაობაზე.
  22. ამ მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშის გახსნის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე კლიენტის მიერ თანხმობის სატელეფონო, ინტერნეტ ბანკის ან სხვა საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო საშუალებით გამოხატვის შემთხვევაში, ბანკმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი განაცხადის შენახვა თავდაპირველი შინაარსისა და ფორმის დაცვით ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი კლიენტისათვის გადაცემა მოთხოვნის შემთხვევაში.
  23. ამოღებულია
  3. ბანკს უფლება აქვს არ დაუშვას ვადიანი დეპოზიტების გატანა/გადარიცხვა ვადის ამოწურვამდე, თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
  - 3<sup>1</sup>. თუ ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კლიენტის მიერ თანხის ვადაზე ადრე გატანის შესაძლებლობა, ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს საპროცენტო სარგებლის დარიცხვასთან დაკავშირებულ პირობებს.
  - 3<sup>2</sup>. ვადიანი დეპოზიტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, შეტანა, გადარიცხვა და გატანა, გარდა სადეპოზიტო სერტიფიკატის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ვადიანი დეპოზიტის და ამ მუხლის 3<sup>3</sup> და 3<sup>5</sup> პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შესაძლებელია მხოლოდ დეპოზიტის მფლობელი პირის მიმდინარე ანგარიშის ან მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშის მეშვეობით.
  - 3<sup>3</sup>. არასრულწლოვნის სახელზე გახსნილი დეპოზიტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ნებადართულია თანხის შემომტანი პირის ანგარიშის მეშვეობით, ხოლო ანაბრის გატანა/გადარიცხვა – ანაბრის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის ანგარიშის მეშვეობით.
  - 3<sup>4</sup>. მოთხოვნამდე დეპოზიტის გატანისას, ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს წინასწარი შეტყობინება თანხის გატანის შესახებ, თუ ეს გათვალისწინებულია ბანკსა და კლიენტს შორის ხელშეკრულებით.
  - 3<sup>5</sup>. ბანკი უფლებამოსილია მის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა განახორციელოს ვადიანი დეპოზიტის მფლობელი პირის მიმდინარე ანგარიშზე თანხის გადატანის გარეშე, თუ აღნიშნული ვადიანი დეპოზიტი გამოყენებულია ბანკის მიმართ კლიენტის ვალდებულების უზრუნველსაყოფად და ვადიანი დეპოზიტის მოქმედების ვადა არ არის ვადიანი დეპოზიტით უზრუნველყოფილი ვალდებულების ვადაზე ნაკლები. ამასთანავე, ბანკის მიერ აღნიშნული ვადიანი დეპოზიტის ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებამდე, ვადიანი დეპოზიტის მფლობელი პირის ან-

4. გარიშების მიმართ არ უნდა მოქმედებდეს იძულებითი აღსრულების ღონისძიებები ამავე ბანკში.
4. ამოღებულია
5. ამოღებულია
6. საბანკო მომსახურების (ანგარიშის გახსნის) შესახებ ხელშეკრულების პირობებზე კლიენტის მიერ თანხმობის ელექტრონული ფორმით გამოხატვის შემთხვევაში, ბანკმა უნდა უზრუნველყოს ამგვარი ხელშეკრულების და მასში შეტანილი ცვლილებების შენახვა თავდაპირველი შინაარსისა და ფორმის დაცვით.
7. ბანკს შეუძლია პირს (გარდა არამენარმე ფიზიკური პირისა), რომელსაც ამავე ბანკში უკვე გახსნილი აქვს ანგარიში, გაუხსნას ახალი ანგარიში მხოლოდ განაცხადისა და მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის საფუძველზე, ხოლო არამენარმე ფიზიკურ პირს – მხოლოდ განაცხადის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ანგარიშის გახსნისას ბანკმა უნდა მოახდინოს კლიენტის გადამოწმება (ვერიფიკაცია).

## მუხლი 5.

1. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება განთავსდეს და/ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით.
- 1<sup>1</sup>. ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გაიხსნას როგორც მიმდინარე ანგარიშის, ასევე სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის სახით.
2. ბანკის მოთხოვნის შემთხვევებში, ნომინალური ანგარიშის მფლობელი პირი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ.
3. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს ანგარიშის ნომინალური მფლობელი.
4. აკრძალულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტის მიერ წარმოდგენილი დავალების საფუძველზე.
5. ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გაეხსნას იმ არარეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე ეწევა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის საქმიანობას და მის მიმართ ხორციელდება ზედამხედველობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი პირის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უნდა ითვალისწინებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ ქმედებათა ჯგუფის (FATF-ის) რეკომენდაციების შესაბამისად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის იდენტურ ან უფრო მკაცრ მოთხოვნებს.

# თავი II ანგარიშის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტები

## მუხლი 6.

1. რეზიდენტი იურიდიულ პირს (გარდა კომერციული ბანკისა) ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
  - ა) განაცხადი ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი;
  - ბ) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.
2. რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა კომერციული ბანკისა) ფილიალს ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
  - ა) სათავო დაწესებულების უფლებამოსილი პირის განაცხადი ანგარიშის გახსნის თაობაზე;
  - ბ) სათავო დაწესებულების ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - გ) ფილიალის ხელმძღვანელის და/ან ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
3. მენარმე ფიზიკურ პირს ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
  - ა) განაცხადი ანგარიშის გახსნის შესახებ;
  - ბ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი მონაცემები ან ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.
4. არამენარმე ფიზიკურ პირს ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
  - ა) განაცხადი ანგარიშის გახსნის თაობაზე (რომელიც ადასტურებს, რომ იგი არ წარმოადგენს მენარმე ფიზიკურ პირს ან/და არ გამოიყენებს ამ ანგარიშს სამენარმეო საქმიანობისათვის. აღნიშნული პირობის დარღვევიდან გამომდინარე, ყველა შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება ანგარიშის მფლობელს);
  - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.
5. ნომინალური მფლობელობის ანგარიში რეზიდენტი პირს გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
  - ა) განაცხადი ნომინალური მფლობელობის ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი;
  - ბ) ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ნოტარიუსის შემთხვევაში საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი);
  - გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი

- ბელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
- დ) ლიცენზია ან სხვა ტიპის დოკუმენტი, რომელიც გაცემულია შესაბამისი კანომდებლობის საფუძველზე, რომელიც პირს უფლებას აძლევს კლიენტთან ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე, ნომინალურ მფლობელობაში ჰქონდეს, ან/და კლიენტის სახელით ფლობდეს და განკარგავდეს კლიენტის ფულად სახსრებს.
  6. იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნს ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
    - ა) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა:
      - ა.ა) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
      - ა.ბ) ამხანაგობის წესდება ან ხელშეკრულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
      - ა.გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
      - ა.დ) საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შემთხვევაში). თუ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას ანგარიშის გახსნის შემდგომ დაუდგა გადასახადის გადახდის ვალდებულება, ბანკს დამატებით წარედგინება საგადასახადო ორგანოებში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული პირობის დარღვევიდან გამომდინარე, ყველა შედეგზე პასუხისმგებელია ანგარიშის მფლობელი;
      - ბ) ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა), რომელსაც ეხსნება ანგარიში, მათ შორის, დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობიდან გამომდინარე:
        - ბ.ა) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე (რომლითაც ერთობლივი ანგარიშის გახსნაზე უფლებამოსილი პირი ადასტურებს, რომ ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) არ მისდევს სამენარმეო საქმიანობას ან/და ამ ანგარიშს არ გამოიყენებენ სამენარმეო საქმიანობისათვის. აღნიშნული პირობის დარღვევიდან გამომდინარე ყველა შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება ანგარიშის მფლობელს);
        - ბ.ბ) ამხანაგობის ხელშეკრულება ან სანოტარო წესით დამონშებული წესდება;
        - ბ.გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
        - ბ.დ) გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი მონაცემები
      - გ) არარეგისტრირებული კავშირი:
        - გ.ა) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
        - გ.ბ) საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
        - გ.გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
      - დ) საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ან მაჟორიტარი კანდიდატი:
        - დ.ა) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
        - დ.ბ) საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის მონშობა;
        - დ.გ) საარჩევნო სუბიექტის წესდება (გარდა დამოუკი-

- დებელი კანდიდატისა);
- დ.დ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
- დ.ე) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტიას ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
- ა) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
- ბ) პარტიის სარეგისტრაციო მოწმობა (ამონაწერი მარეგისტრირებული ორგანოდან პარტიის რეგისტრაციის შესახებ);
- გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
- დ) გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი მონაცემები.
8. საბუჯეტო ორგანიზაციას და/ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
- ა) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
- ბ) შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა რეესტრიდან მოპოვებული ამონაწერი;
- გ) დაწესებულების უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში. ხელმოწერის უფლება ენიჭება პირს, რომელსაც ზემდგომი (უმაღლესი) ორგანოს გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს უფლება განკარგოს თანხები, ასევე ამ პირის მიერ უფლებამოსილ თანამდებობის პირებს;
- დ) საბუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში – სახაზინო სამსახურის თანხმობა ანგარიშის გახსნის და/ან თანხის განკარგვის შესახებ, თუ ასეთი თანხობის ვალდებულებას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.
9. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას ანგარიში გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
- ა) განაცხადი ანგარიშის გახსნაზე;
- ბ) საპატრიარქოს ან შესაბამისი ეპარქიის ნებართვა ანგარიშის გახსნის შესახებ;
- გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.
10. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის გახსნის შესახებ განაცხადად ჩაითვლება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანხმობით კომერციული ბანკისათვის გაგზავნილი ელექტრონული მიმართვა ანგარიშის გახსნის თაობაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული მიმართვა კომერციულ ბანკში გაგზავნილ უნდა იქნეს შესაბამისი პირის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და კომერციულ ბანკს შორის ინფორმაციის გაცვლის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.
11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის მიზნებისათვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პირის იდენტიფიკაციას. საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობის გადამოწმება (ვერიფიკაცია) განახორციელოს სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

## მუხლი 7.

1. არარეზიდენტი იურიდიული პირი ან მისი ფილიალი (გარდა ბანკისა) ანგარიშის გახსნისათვის უნდა წარუდგინოს:
  - ა) განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ;
  - ბ) ამონაწერს შესაბამისი რეესტრიდან, ან სხვა დოკუმენტს, რომელიც არარეზიდენტის სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს არარეზიდენტი პირის იურიდიულ სტატუსს;
  - გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშს.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ საბუთებთან ერთად არარეზიდენტი იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა/მუდმივი დაწესებულება) რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (გარდა ბანკისა), ანგარიშის გახსნისათვის უნდა წარუდგინოს ამონაწერს მწარმოებელ და არასამწარმოებელ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
3. ნომინალური მფლობელობის ანგარიში არარეზიდენტ იურიდიულ პირს გაეხსნება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:
  - ა) განაცხადი ნომინალური მფლობელობის ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი პირი;
  - ბ) ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან, ან სხვა დოკუმენტი, რომელიც არარეზიდენტის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს პირის იურიდიულ სტატუსს;
  - გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში;
  - დ) ლიცენზია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც გაცემულია შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და რომელიც პირს უფლებას აძლევს კლიენტთან ხელშეკრულების საფუძველზე, ნომინალურ მფლობელობაში ჰქონდეს, ან/და კლიენტის სახელით ფლობდეს და განკარგავდეს კლიენტის ფულად სახსრებს.
4. დიპლომატიური და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ფილიალები, წარმომადგენლობები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე სამწარმოო საქმიანობას არ განახორციელებენ, ანგარიშის გახსნისათვის უნდა წარუდგინონ:
  - ა) განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ;
  - ბ) დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზეც ის შეიქმნა (დაფუძნდა) ან განახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში;
  - გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშს.

- სილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერების ნიმუშს;
- დ) საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

## მუხლი 8.

1. რეზიდენტი ბანკი საკორესპონდენტო ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდგენს:
  - ა) განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ბანკის უფლებამოსილი პირი;
  - ბ) ამონაწერს მენარმეთა და არასამენარმეთა (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - გ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშებს;
- დ) საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ასლს.
2. საკასო მომსახურების ანგარიშის გასახსნელად ბანკს, მის ფილიალს, განყოფილებას (სერვისცენტრს) ეროვნულ ბანკში ან/და სხვა ბანკში (მის ფილიალში/ფილიალებში და/ან სერვისცენტრში/სერვისცენტრებში) შეიძლება გაეხსნას თითო ანგარიში საკასო მომსახურებისათვის. ანგარიშის გასახსნელად ბანკი წარადგენს:
  - ა) განაცხადს საკასო მომსახურების ანგარიშის გახსნის თაობაზე;
  - ბ) კომერციული ბანკის, მისი ფილიალის, განყოფილების (სერვისცენტრის) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე შესაბამისი უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშს;
  - გ) სათავო დანესებულების შესახებ ამონაწერს მენარმეთა და არასამენარმეთა (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იმ შემთხვევაში, თუ მას უკვე გახსნილი არ აქვს საკორესპონდენტო ანგარიში აღნიშნულ ბანკში).
3. საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის ბანკის ფილიალი საკორესპონდენტო ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდგენს:
  - ა) განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ფილიალის უფლებამოსილი პირი;
  - ბ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელმოწერის ნიმუშს;
  - გ) ამონაწერს მენარმეთა და არასამენარმეთა (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- დ) საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ასლს.
4. არარეზიდენტი ბანკი (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული არარეზიდენტი ბანკის ფილიალისა) საკორესპონდენტო ანგარიშის გასახსნელად ბანკს წარუდგენს:
  - ა) განაცხადს ანგარიშის გახსნის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ბანკის უფლებამოსილი პირი;
  - ბ) ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის ნიმუშს (ნიმუშებს);
  - გ) დოკუმენტაციას (ან შევსებულ კითხვარს), რომელიც ასახავს ბანკში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის პოლიტიკას. კითხვარის ფორმას შეიმუშავებს ბანკი, რომელშიც იხსნება ანგარიში;
- დ) სხვა დოკუმენტაციას ბანკის (რომელშიც იხსნება

- ბა საკორესპონდენტო ანგარიში) შიდაორმატივების (ინსტრუქციების) შესაბამისად.
5. საკორესპონდენტო ანგარიში ეხსნებათ მხოლოდ ბანკებს. ბანკის (ბანკების) ფილიალებს ეკრძალებათ ერთმანეთში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა. ბანკმა შეიძლება გამოიყენოს სხვა ბანკში გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიში საკუთარი გადახდების (მათ შორის, ბანკის სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე გადახდების) განსახორციელებლად.
  6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ბანკისთვის ანგარიში გაიხსნება იმ ბანკის დირექტორატის (ან უფლებამოსილი დირექტორის) თანხმობის შემდეგ, სადაც იხსნება ანგარიში.
  7. ბანკს შეუძლია თავად განსაზღვროს მასთან საკორესპონდენტო ანგარიშის მქონე ბანკისათვის სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის გახსნისათვის საჭირო საბუთები, ხოლო საკორესპონდენტო ანგარიშის არმქონე ბანკს სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიში გაეხსნება შესაბამისად ამ მუხლის პირველ ან მე-3 ან მე-4 პუნქტებში მოყვანილი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.
  8. რეზიდენტ ბანკს, რომელსაც მეორე რეზიდენტ ბანკში გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიში, უფლება აქვს ამავე ბანკში გახსნას სადეპოზიტო ანგარიში SWIFT-ის ავტორიზებული შეტყობინების მეშვეობით. ამ შემთხვევაში ანგარიშის გასახსნელად დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა საჭირო არ არის.

## მუხლი 8<sup>1</sup>.

1. კომერციულ ბანკს უფლება აქვს უშუალოდ იდენტიფიკაციის განხორციელების გარეშე გაუხსნას ანგარიშები პირებს:
  - ა) რომელთა იდენტიფიკაციისა და მათი ვინაობის გადამოწმებისას (ვერიფიკაციისას) კომერციული ბანკი დაეყრდნო მესამე პირს/შუამავალს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ახორციელებს მასთან ურთიერთობაში მყოფი პირის იდენტიფიკაციას და ვინაობის გადამოწმებას (ვერიფიკაციას) და ამ მესამე პირის/შუამავლის მიმართ ხორციელდება ზედამხედველობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. მესამე პირის/შუამავლის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით საქართველო კანონმდებლობის იდენტურ ან უფრო მკაცრ მოთხოვნებს.
  - ბ) რომლებსაც უკვე გახსნილი აქვთ ანგარიშები საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში და შესაბამისი ბანკის მიერ განხორციელებულია კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია (გადამოწმება) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
  - გ) რომელთა იდენტიფიკაციისა და მათი ვინაობის გადამოწმებისას (ვერიფიკაციისას) კომერციული ბანკი, ამ წესის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, დაეყრდნო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გახსნილ ანგარიშებზე, პირველი ჩარიცხვის ოპერაცია უნდა განხორციელდეს ანგარიშის გამხსნელი პირის მიერ საკუთარი ანგარიშიდან, რომელიც გახსნილი აქვს იმ ქვეყნის კომერციულ ბანკში, რომელ ქვეყანაშიც განხორციელდა აღნიშნული პირის იდენტიფიკაცია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ან იმ ანგარიშიდან, რომელიც გახსნილი აქვს ამ მუხლის პირველ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
3. ანგარიშის გასახსნელად ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტების მიღებამდე, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გახსნილ ანგარიშზე შესაძლებელია მხოლოდ ჩარიცხვის (მათ შორის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ვადიან დეპოზიტის ანგარიშზე გადატანა) ოპერაციების განხორციელება. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ ანგარიშის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში ბანკი არ მიიღებს ანგარიშის გახსნისთვის საჭირო დოკუმენტებს, ანგარიში იხურება და მასზე განთავსებული თანხები უბრუნდება გადმომრიცხავს იმავე ანგარიშზე საიდანაც განხორციელდა პირველი ჩარიცხვის ოპერაცია.
4. ანგარიშის ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად გახსნის შემთხვევაში, ანგარიშის გამხსნელ კომერციულ ბანკში პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მისვლამდე, ამ ანგარიშზე შესაძლებელია მხოლოდ ჩარიცხვის (მათ შორის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხული თანხის ვადიან დეპოზიტის ანგარიშზე გადატანა) ოპერაციების განხორციელება. თუ ანგარიშის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში პირი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი არ წარადგენს ანგარიშის გახსნისთვის საჭირო დოკუმენტებს, ანგარიში იხურება და მასზე განთავსებული თანხები უბრუნდება ანგარიშის მფლობელ პირს.

## მუხლი 9. ამოღებულია

## მუხლი 10.

1. ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტები (გარდა სამართლებრივი აქტებისა) ბანკს წარედგინება ორიგინალის ან შესაბამისი წესით დამოწმებული ასლის სახით, ან:
  - ა) ამ ინსტრუქციის 8<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იმ შუამავლის/მესამე პირის უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერით დამოწმებული ასლები, რომელსაც ეყრდნობა კომერციული ბანკი პირის იდენტიფიკაციისას/ვინაობის გადამოწმებისას;
  - ბ) ამ ინსტრუქციის 8<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკის უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერით დამოწმებული ასლები;
  - გ) ამ ინსტრუქციის 8<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კო-

- მერციული ბანკისათვის ანგარიშის გახსნის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გაგზავნილი ელექტრონული მიმართვა დამოწმებული უნდა იყოს საჭარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.
11. ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი მონმდებ ნოტარიუსის ან ანგარიშის გამხსნელი ბანკის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლის მიერ, ან:
    - ა) ამ ინსტრუქციის 8<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იმ შუამავლის/მესამე პირის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, რომელსაც ეყრდნობა კომერციული ბანკი პირის იდენტიფიკაციისას/ვინაობის გადამოწმებისას;
    - ბ) ამ ინსტრუქციის 8<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.
  12. ბანკს უფლება აქვს მოიპოვოს ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ან საჭარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სამართლებრივი სტატუსის შესახებ ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაციის (თუ ბანკსა და საჭარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის ხელშეკრულებით დარეგულირებულია ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის საკითხი) საფუძველზე, ხოლო პირის თანხმობის საფუძველზე ბანკსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს პირის პირადობის დადასტურებისათვის აუცილებელი ინფორმაცია.
  13. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციის წევრ-სახელმწიფოში გამოცემული დოკუმენტი (გარდა სამართლებრივი აქტისა) ბანკს წარედგინება აპოსტილით დამოწმებული სახით, ხოლო „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ მინსკის 1993 წლის კონვენციის წევრ-სახელმწიფოში, ასევე იმ სახელმწიფოში, რომელთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს დოკუმენტების გამარტივებული წესით წარდგენის თაობაზე შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება გამოცემული დოკუმენტი (გარდა სამართლებრივი აქტისა) - ნოტარიულად დამოწმებული ასლის ან ორიგინალის სახით. ყველა სხვა შემთხვევაში უცხო ქვეყანაში გამოცემული დოკუმენტი (გარდა სამართლებრივი აქტისა) ბანკს წარედგინება ლეგალიზებული სახით.
  2. ამოღებულია
  3. განაცხადში (ანგარიშის გახსნაზე) უნდა მიეთითოს პირის საქმიანობა.
  4. ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილმა პირმა

- ბანკში უნდა წარადგინოს მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 211 მუხლის მე-3 პუნქტის და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია.
  6. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 211 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე უფლება აქვთ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანაგარიშის გახსნაზე.
  7. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის ფილიალის განყოფილების (სერვის ცენტრის) საკასო მომსახურების ანგარიშის გახსნაზე.
  8. ბანკს უფლება აქვს, ანგარიშის გახსნის მსურველი პირის მიერ მისთვის წარსადგენი დოკუმენტები მოიპოვოს თავად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- გ) ეროვნულ ბანკში გახსნილი კომერციული ბანკის სალიკვიდაციო ანგარიშის შემთხვევაში – ლიკვიდაციის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად;
  - დ) ფილიალის შემთხვევაში – მისი სათავო საწარმოს (ორგანიზაციის) განცხადებით, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში – ანგარიშის გახსნაზე თანხმობის გამცემი ორგანოს განცხადებით;
  - ე) ფიზიკური პირის მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მონუმბის წარმოდგენის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე- 5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
  - ვ) დადგენილი წესით პირის (გარდა არამენარმე ფიზიკური პირის) გაკოტრებულად ცნობის შემთხვევაში;
  - ზ) სასამართლოს გადაწყვეტილებით;
  - თ) ანგარიშზე ანგარიშის მომსახურებისათვის და/ან დახურვისათვის ბანკში განსაზღვრული საკომისიოს ოდენობის ნაშთის და არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ოპერაციების არარსებობისას, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს;
  - ი) მოქმედი კანონმდებლობისა და საბანკო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. ბანკს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის (ანგარიშების) არდახურვის შესახებ იმ შემთხვევებში, თუკი ამავე კლიენტს ბანკში გახსნილი აქვს სხვა ანგარიში (ანგარიშები), რომლებზეც იმავე პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა კლიენტის ოპერაციები.
  5. სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის მფლობელის გარდაცვალებისას, მემკვიდრის განცხადებით, სამკვიდრო მონუმბის, მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ხელმოწერის ნიმუშის წარდგენის შემთხვევაში, მემკვიდრის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია არ დახუროს ვადიანი სადეპოზიტო ანგარიში სადეპოზიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე. ამ შემთხვევაში ხდება სადეპოზიტო (საანაბრო) ანგარიშის გადაფორმება მემკვიდრის სახელზე.
  6. ამოღებულია
  7. ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გადაფორმდეს სხვა პირზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
  8. აკრძალულია ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, თუ პირის საბანკო ანგარიშების მიმართ გამოყენებულია ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი III ამოღებულია

### მუხლი 11. ამოღებულია

## თავი IV ანგარიშების გადაფორმება და დახურვა

### მუხლი 12.

1. სამენარმეო იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელის და/ან გვარის შეცვლისას ბანკში ანგარიშის მფლობელი წარადგენს განაცხადს ცვლილების შესახებ და შესაბამისი ცვლილების დამადასტურებელ დოკუმენტს (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), რის საფუძველზეც ხდება ანგარიშის გადაფორმება.
2. ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, არსებული საკორესპონდენტო ანგარიში (ანგარიშები) იხურება და ხდება ახალი სალიკვიდაციო ანგარიშის გახსნა ეროვნულ ბანკში. სალიკვიდაციო ანგარიშის გახსნისას ეროვნულ ბანკს წარედგინება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნული ლიკვიდატორის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელმოწერის ნიმუში.
3. ბანკში პირის ანგარიში დაიხურება:
  - ა) ანგარიშის მფლობელის განცხადებით;
  - ბ) ლიკვიდატორის განცხადებით (გარდა ეროვნულ ბანკში გახსნილი სალიკვიდაციო ანგარიშებისა) და/ან პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემთხვევაში;

## 6.2 კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განვითარებისა და მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- ეს წესი არეგულირებს კომერციული ბანკების მიერ ფიზიკური პირებისათვის სამომხმარებლო კრედიტის გაცემისა და სადეპოზიტო მომსახურების განვითარების დროს სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების საკითხებს.
- ამ წესის შემუშავების მიზანია ქვეყანაში საბანკო დისციპლინის განმტკიცებისა და სამომხმარებლო ბაზრის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის, ასევე, საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვის და კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მომხმარებლის მიერ ახალი ფინანსური პროდუქტების აქტიურ გამოყენებას, ასევე საკრედიტო რისკების შემცირებას.
- ეს წესი ვრცელდება ფიზიკური პირებისათვის ყველა სახის სამომხმარებლო კრედიტის, მათ შორის, ოვერდრაფტისა და საკრედიტო ბარათის გაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე, როდესაც კრედიტის მთლიანი თანხა აღემატება 300 (სამას) ლარს და ნაკლებია 50 000 (ორმოცდაათი ათას) ლარზე (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში), ასევე, ფიზიკური პირების ყველა სახის სადეპოზიტო ხელშეკრულებებზე, რომელთა პირველადი შენატანი ნაკლებია 50 000 (ორმოცდაათი ათას) ლარზე (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში).
- ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის და უცხოური ბანკების ფილიალებისათვის (შემდგომში – ბანკი).

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

- მომხმარებელი – საბანკო მომსახურების, გარდა სავაჭრო, სამეწარმეო და პროფესიული საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, მიმღები ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკური პირი;
- საპროცენტო განაკვეთი – საკრედიტო ან სადეპო-

- ზიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფიქსირებული ან ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდის მანძილზე;
- საჭარო ინდექსი – ისეთი საჭაროდ ხელმისაწვდომი მაჩვენებელი, განაკვეთი ან ინდექსი, რომელზეც ბანკი ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას;
  - ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჭარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული;
  - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ფიქსირდება ხელშეკრულებაში და უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის მანძილზე ან რომლის ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული გარემოებების, გარდა საჭარო ინდექსის ცვლილების გარემოებისა, დადგომის შემთხვევაში. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებად არ მიიჩნევა ხელშეკრულებაში წინასწარ განსაზღვრული პირობების შესაბამისად მომხმარებლის ქმედებასთან დაკავშირებული გარემოების დადგომიდან გამომდინარე საპროცენტო განაკვეთის ავტომატური ცვლილება;
  - სამომხმარებლო კრედიტი (შემდგომში – კრედიტი) – ბანკის მიერ ფიზიკურ პირზე მიზნობრივად პირადი მოხმარებისთვის გაცემული კრედიტი;
  - კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – კრედიტის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების განვითარების პერიოდის გათვალისწინებით;
  - დეპოზიტი – ბანკში მომხმარებლის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომელსაც ვარიანტად სარგებელი;
  - სადეპოზიტო სერტიფიკატი – საბანკო დეპოზიტი, რომელიც წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებულ დღეს სერტიფიკატის მფლობელს გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხა.
  - დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – დეპოზიტის ისეთი საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი და მიღებული/მისაღები სარგებელი, მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების განვითარებისა და სარგებლის მიღების პერიოდის გათვალისწინებით;
  - ფინანსური ხარჯი – ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულებისათვის გასანაცვ აუცილებელ ხარჯს. ფინანსური ხარჯის გაანგარიშების წესი მოცემულია ამ წესის მე-6 მუხლში;
  - კრედიტის მთლიანი თანხა – საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი მთლიანი მისაღები თანხის მაქსიმალური შესაძლო ოდენობა;
  - დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულება –



საკრედიტო ხელშეკრულება ბანკსა და მომხმარებელს შორის, რომლის მიხედვითაც ბანკი კრედიტს გასცემს უშუალოდ საქონლის ან მომსახურების მიწოდების სხვა წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული შეთანხმების დაფინანსებისათვის;

- ბ) ნაღდი ანგარიშსწორების ფასი – დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების დროს საქონლის/მომსახურების ფასი, რომელსაც დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების მონაწილე მომხმარებელი გადაუხდის საქონლის მიწოდებელს საკუთარი სახსრებით ანგარიშსწორების შემთხვევაში ბანკის კრედიტის გამოყენების გარეშე;
- გ) ხელშეკრულების თავსართი – ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილს/დებულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. თავსართის ნიმუშები მოცემულია ამ წესის დანართ N5–ში;
- დ) ოვერდრაფტის ან საკრედიტო ბარათის ხელშეკრულება – საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი თანხა აღემატება მის მიმდინარე ანგარიშზე, მათ შორის, საბარათე ანგარიშზე, არსებულ სახსრებს;

### მუხლი 3. ბანკის ვალდებულება

- 1. ბანკმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საბანკო მომსახურების შესახებ უტყუარი, გასაგებ და გადამწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება, რომელიც მომხმარებელს არ უზიძვებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.
- 2. ბანკის მიერ არ უნდა მოხდეს საბანკო პროდუქტის მახასიათებლების შესახებ ისეთი ინფორმაციის განცხადება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება ან შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი.
- 3. ბანკს უნდა ჰქონდეს პრეტენზიების მიღების/განხილვის სტანდარტული წერილობითი პროცედურა. ბანკი უფლებამოსილია დამატებით იქონიოს პრეტენზიების მიღების/განხილვის სტანდარტული ელექტრონული პროცედურა. ბანკი ვალდებულია:
  - ა) მიიღოს პრეტენზიები მომხმარებლისგან ზეპირი, სტანდარტული წერილობითი და/ან ასეთის არსებობის შემთხვევაში ელექტრონული და სხვა ფორმებით;
  - ბ) იქონიოს პრეტენზიის წარდგენის სტანდარტული წერილობითი ფორმა, რომელსაც შესთავაზებს მომხმარებელს პრეტენზიის წარდგენის სურვილის შემთხვევაში;
  - გ) პრეტენზიის, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, მიღებისას პრეტენზიის განმცხადებელს წერილობით/ელექტრონულად დაუდასტუროს პრეტენზიის მიღება;
  - დ) პრეტენზიის შესწავლის დასრულების შემდეგ პრეტენზიის განმცხადებელს, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, დაუყოვნებლივ წერილობით/ელექტრონულად აცნობოს შესწავლის შედეგები და, სადაც შესაძლებელია, პრეტენზიის გადაწყვეტის

- პირობების შეთავაზება;
- ე) იმ შემთხვევაში, როდესაც იღებს ზეპირ პრეტენზიას, შესთავაზოს მომხმარებელს მისი ალტერნატივა პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმით გამოხატვის სახით;
- ვ) მუდმივად ჰქონდეს მიღებული პრეტენზიების, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, განახლებული ჩანაწერები, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას: პრეტენზიის განმცხადებელი მომხმარებლის მონაცემები, პრეტენზიის ხასიათი, ბანკის პასუხის შინაარსი, პრეტენზიაში დაფიქსირებული პრობლემის გადაჭრისათვის განხორციელებული ღონისძიებები და საბოლოო შედეგი. მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული ჩანაწერები უნდა მიწოდდეს საქართველოს ეროვნულ ბანკს;
- ზ) აწარმოოს ამ წესის დანართ N4–ში მოცემული სტატისტიკური მონაცემების გაანგარიშება მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ და ყოველთვიურად მიწოდოს აღნიშნული მონაცემები საქართველოს ეროვნულ ბანკს. მიწოდებულ მონაცემებში უნდა შედიოდეს გასული თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით მიღებული პრეტენზიების სტატისტიკა.
- 4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებები არ ვრცელდება ბანკზე იმ შემთხვევაში თუ:
  - ა) ბანკს უკვე განხილული აქვს იმავე მომხმარებლის ანალოგიური შინაარსის პრეტენზია;
  - ბ) მომხმარებლის პრეტენზია ეხება ბანკის უარს მომხმარებლისთვის კრედიტის გაცემაზე/დეპოზიტის მიღებაზე;
  - გ) პრეტენზიის მიზეზს წარმოადგენს შეფერხებები მომხმარებლისთვის მომსახურების განწვევას ან უარი მომსახურების განწვევაზე, რომელიც განპირობებულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.
- 5. ბანკი ვალდებულია ამ წესით განსაზღვრულ ხელშეკრულებებს გაუკეთოს თავსართი, რომელსაც უნდა ჰქონდეს სავალდებულო სათაური – „ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები“ და მასში ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს მომხმარებლისათვის ადვილად აღსაქმელი შრიფტის ზომით. ხელშეკრულების თავსართში ბანკმა უნდა განათავსოს შემდეგი წინადადება: „გაცენით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – [www.Nbg.gov.ge/cp](http://www.Nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 822 406 406“.
- 6. ბანკი ვალდებულია ამ წესით რეგულირებულ საკრედიტო ხელშეკრულებების თავსართში განათავსოს მხოლოდ ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ვ“, „ვ“, „ლ“, „მ“, „პ“ და „რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, ასევე, პრეტენზიის წარდგენის არსებული ფორმების ჩამონათვალი და ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.
- 7. ბანკი ვალდებულია ამ წესით რეგულირებულ სადეპოზიტო ხელშეკრულებების თავსართში განათავსოს მხოლოდ ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „ვ“, „გ“, „დ“, „ე“ და „მ“ ქვეპუნქტებით გა-

თვალისწინებული ინფორმაცია, ასევე, პრეტენზიის წარდგენის არსებული ფორმების ჩამონათვალი და ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.

8. ბანკი ვალდებულია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოთვლის წესში გამოიყენოს მხოლოდ საჯარო ინდექსი.
9. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს კრედიტის გაცემას უცხოური ვალუტით, ბანკმა ხელშეკრულების თავსართში უნდა გააკეთოს ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით: „უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!“ აღნიშნულ ჩანაწერს უნდა მოსდევდეს: „ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს“, ასევე ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.
10. იმ შემთხვევაში, როდესაც სადეპოზიტო ხელშეკრულება ითვალისწინებს დეპოზიტის უცხოური ვალუტით განთავსებას, ბანკმა ხელშეკრულების თავსართში უნდა გააკეთოს ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით: „უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!“ აღნიშნულ ჩანაწერს უნდა მოსდევდეს: „ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს“, ასევე, ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.
11. იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის მიერ ბანკში თანხის შეტანის დღე ემთხვევა უქმე დღეს, ბანკმა მომხმარებლისგან შენატანი უნდა მიიღოს მომდევნო სამუშაო დღეს ყოველგვარი დამატებითი პირგასამტეხლოს დარიცხვის გარეშე.
12. ბანკი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია სავალუტო რისკის შესახებ, როდესაც მომხმარებლის შემოსავლები არ არის პეჭირებული სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ. ასევე უცხოური ვალუტით დეპოზიტის განთავსების შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია მსგავსი პირობების მქონე პროდუქტზე ეროვნული ვალუტით.
13. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს მასში მოცემული პირობების ბანკის მიერ ცალმხრივი ცვლილების შესაძლებლობას, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ხელშეკრულების თავსართში.
14. ბანკი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე მომხმარებელს გააცნოს ხელშეკრულებაში ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად მოცემული ფინანსური ხარჯები და თანხმობის შემდეგ გააფორმოს მასთან ხელშეკრულება.

#### მუხლი 4. სტანდარტული სახელშეკრულებო ინფორმაცია

1. საკრედიტო/სადეპოზიტო მომსახურების ხელშეკრულება უნდა იყოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ბანკმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ხელშეკრულების დედანი და სადაც ეს შეუძლებელია, ხელშეკრულების ასლი. ხელშეკრ-

ულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სავალდებულო რეკვიზიტების გარდა მოცემული უნდა იყოს ამ მუხლით განსაზღვრული სტანდარტული სახელშეკრულებო ინფორმაცია.

2. საკრედიტო ხელშეკრულებაში მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია:
  - ა) კრედიტის ვადა;
  - ბ) კრედიტის მთლიანი თანხა;
  - გ) კრედიტის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის პირობები, მათ შორის: გასატანი თანხის ოდენობა, პერიოდულობა/გატანის თარიღები და გატანების საერთო რაოდენობა;
  - დ) კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ან განაკვეთები თუ აღნიშნული განსხვავებულ მნიშვნელობებს იღებს მომხმარებლის ქმედებასთან დაკავშირებული გარემოების დადგომიდან გამომდინარე თითოეული გარემოების მითითებით;
  - ე) კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაძლებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ იმ ცალკეული გარემოებების/წესების მითითებით, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ცვლილებები, ასევე, მოსალოდნელი ცვლილებების მომხმარებლისათვის წინასწარ შეტყობინების წესი;
  - ვ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ის ინდექსი, რომელზეც კრედიტის საპროცენტო განაკვეთია მიბმული;
  - ზ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, იმ ინდექსის საჯარო ხელმისაწვდომობის წყარო, რომელზეც კრედიტის საპროცენტო განაკვეთია მიბმული;
  - თ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რეგულარულობით და ფორმით მიენიჭება მომხმარებელს ინფორმაცია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მიერ მიღებული მნიშვნელობების შესახებ;
  - ი) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი;
  - კ) კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, დამრგვალებული სულ მცირე შეათვალამდე;
  - ლ) საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის გამოყენების შემთხვევაში დანართი N1-ით გათვალისწინებული ორი სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;
  - მ) უცხოური ვალუტით გაცემული საკრედიტო პროდუქტისათვის, დამატებით, დანართ N1-ში მოცემული ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;
  - ნ) სადაც შესაძლებელია, კრედიტის დასაფარად შენატანების ოდენობა, სიხშირე/შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები და საერთო რაოდენობა; შენატანების ოდენობა გამოსახული უნდა იყოს სულ მცირე თანხობრივად;
  - ო) კრედიტის გაცემასთან და შენარჩუნებასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები;
  - პ) ინფორმაცია იმ ფინანსური ხარჯების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში;
  - ჟ) ის დაშვებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში,

- რომლებიც გამოყენებული იქნა კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში;
- რ) შესაძლო პირგასამტეხლოს ოდენობა და მისი განგარიშების წესი;
- ს) ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები;
- ტ) წინასწარ კრედიტის დაფარვის უფლება და შესაძლო დამატებითი ხარჯები, რომელიც წარმოიშობა ამ უფლების გამოყენებისას, აღნიშნული ხარჯების სიდიდე ან გამოთვლის მეთოდი;
- უ) ბანკში პრეტენზიის წარდგენის ფორმები, პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წყარო, მაქსიმალური ვადა წერილობითი პასუხის მიღებისათვის თითოეული ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე, ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა, ასევე პრეტენზიების განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები;
- ფ) დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების შემთხვევაში, იმ საქონლის /მომსახურების ნაღდი ანგარიშსწორების ფასი, რომლის შესყიდვასაც აფინანსებს დაკავშირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტი. ასევე, აღნიშნული საქონლის/მომსახურების ფასი, რომელსაც მომხმარებელი იხდის დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმების შედეგად;
- ქ) იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი ბანკისგან იღებს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო მომსახურების მიღებისათვის სავალდებულო სხვა სახის დამატებით მომსახურებას, ყველა აფინანსური ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული დამატებითი მომსახურების მიღებასთან.
- 3. სადეპოზიტო (გარდა სადეპოზიტო სერტიფიკატის) ხელშეკრულებაში მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია:
  - ა) დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი ან განაკვეთები, თუ აღნიშნული განსხვავებულ მნიშვნელობებს იღებს მომხმარებლის ქმედებასთან დაკავშირებული გარემოების დადგომიდან გამომდინარე, თითოეული გარემოების მითითებით;
  - ბ) დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაძლებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ იმ ცალკეული გარემოებების/წესების მითითებით, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ცვლილებები და მოსალოდნელი ცვლილებების მომხმარებლისათვის წინასწარ შეტყობინების წესი;
  - გ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ის ინდექსი, რომელზეც დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთია მიბმული;
  - დ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, იმ ინდექსის საჭარო ხელმისაწვდომობის წყარო, რომელზეც დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთია მიბმული;
  - ე) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი;
  - ვ) დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, დამრგვალებული სულ მცირე მეთაქვამდე;
  - ზ) უცხოური ვალუტით განთავსებული სადეპოზიტო

- პროდუქტისათვის, დამატებით, დანართ N2-ში მოცემული ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;
- თ) ის დაშვებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც გამოყენებული იქნა დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში;
- ი) ვადიანი დეპოზიტის ხანგრძლივობა, ვადის მითითებით;
- კ) საპროცენტო სარგებლის დარიცხვის და ასახვის წესი – დარიცხვის დაწყების პირობები, ასევე, რა პერიოდულობით ხორციელდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა და ასახვა;
- ლ) მინიმალური მოთხოვნები დეპოზიტის გახსნისათვის, მინიმალური მოთხოვნები განცხადებული საპროცენტო სარგებლის მიღებისათვის;
- მ) სადეპოზიტო პროდუქტის ფინანსური ხარჯები;
- ნ) ვადიანი დეპოზიტის სხვა პირობები: ვადები, თანხის ადრეულ გამოტანასთან დაკავშირებული საურავები და გადასახდელები, სარგებლის გამოტანის პირობები, განახლების პირობები;
- ო) პრეტენზიის წარდგენის ფორმები ბანკში, პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის საჭაროდ ხელმისაწვდომობის წყარო, მაქსიმალური ვადა წერილობითი პასუხის მიღებისათვის თითოეული ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე, ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა, ასევე ბანკის პრეტენზიის განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები.
- 3<sup>1</sup>. სადეპოზიტო სერტიფიკატის ძირითად ხელშეკრულებაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: ბანკში პრეტენზიების წარდგენის ფორმები, პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის საჭაროდ ხელმისაწვდომობის წყარო, მაქსიმალური ვადა წერილობითი პასუხის მიღებისათვის თითოეული ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე, ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა, ასევე, პრეტენზიის განხილვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმები.
- 3<sup>2</sup>. სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობებში მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია:
  - ა) სერტიფიკატის ტიპი – საპროცენტო ან დისკონტური;
  - ბ) არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში – სადეპოზიტო სერტიფიკატის ვალუტა;
  - გ) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, დამრგვალებული სულ მცირე მეთაქვამდე;
  - დ) არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში – უცხოური ვალუტით განთავსებული სადეპოზიტო პროდუქტისათვის, დამატებით, დანართ N2-ში მოცემული ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი;
  - ე) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი;
  - ვ) სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადიანობა;
  - ზ) საპროცენტო სარგებლის დარიცხვის (გაანგარი-

- შების) და ასახვის (გადახდის) წესი.
- 3<sup>3</sup>. ბანკი ვალდებულია ამ წესის და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად გამოშვებული სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულების თავსართში განათავსოს შემდეგი წინადადება: „აღნიშნული სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს სტანდარტულ სადეპოზიტო სერტიფიკატს და მისი პირობები შეესაბამება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნებს.
- 3<sup>4</sup>. ბანკი ვალდებულია არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულების თავსართში განათავსოს შემდეგი წინადადება: „აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები.
4. ხელშეკრულებაში ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გასაგებ ენაზე და ადვილად წასაკითხი და აღქმადი შრიფტის ზომით.

### მუხლი 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების წესი

1. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაძლებლობას, ბანკმა მომხმარებელს უნდა შესთავაზოს საპროცენტო განაკვეთის წინასწარი შეტყობინების არსებული წერილობითი ან ელექტრონული ალტერნატივები და ხელშეკრულებაში ჩადოს წინასწარი შეტყობინების წესი.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესაბამისად მოსალოდნელია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ბანკმა აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს უნდა აცნობოს ცვლილების განხორციელებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების ფორმით ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე.
3. ბანკსა და მომხმარებელს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმება.
4. ბანკსა და მომხმარებელს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია წინასწარი შეტყობინების ვალდებულების გაუქმება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტის ხელშეკრულების პირობების ცვლილება მომხმარებლის სასარგებლოდ;
5. მომხმარებლის მიერ საკრედიტო პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა მას ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე დაუყოვნებლივ უნდა მიანოდოს მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია:
  - ა) სესხის ნაშთი;
  - ბ) სესხის შემდგომი შენატანის ვადა და ოდენობა გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო;

- გ) საშელავათო ან სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია მათ შესახებ და ამ პირობის გამოყენებისათვის არსებული ვადები და საჭირო შენატანები გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო.
6. მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია მას დაუყოვნებლივ მატერიალური/ელექტრონული ფორმით მიანოდოს ხელშეკრულების ასლი, რომელიც შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა იყოს დამონმებული.
7. მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა მას დაუყოვნებლივ უნდა მიანოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დეტალური წესი.
8. მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა მას დაუყოვნებლივ უნდა მიანოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული განახლებული მომავალი შენატანებისა და გამოტანების დეტალური გრაფიკი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: ძირითადი თანხა, პროცენტი, ბანკის მიერ დაწესებული სხვა გადასახდელები.
9. მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა მას დაუყოვნებლივ მატერიალური/ელექტრონული ფორმით უნდა მიანოდოს განხორციელებული შენატანებისა და გამოტანების დეტალური ამონაწერი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: ძირითადი თანხა, საპროცენტო განაკვეთი, პროცენტი, ბანკის მიერ დაწესებული სხვა გადასახდელები.

### მუხლი 6. ფინანსური ხარჯები

1. ფინანსური ხარჯები არის ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს, კერძოდ:
  - ა) საპროცენტო ხარჯები/შენატანები;
  - ბ) მომსახურებაზე ბანკის მიერ დაწესებული გადასახდელები;
  - გ) ბანკის მიერ დაწესებული ტრანზაქციისა და საკომისიო ხარჯები;
  - დ) აუცილებელი დაზღვევის ხარჯები;
  - ე) ქონების ღირებულების შეფასების ხარჯები;
  - ვ) სანოტარო ხარჯები;
  - ზ) ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური;
  - თ) გადასახდელი, რომელსაც მომხმარებელი უხდის მესამე პირს საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულების დროს, თუ ეს წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულების და ხელშეკრულებამდე არსებული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელ პირობას;
  - ი) ბანკის სხვა პროდუქტით სარგებლობასთან და-

კავშირებული აუცილებელი გადასახდელები/შენატანები, თუ აღნიშნული პროდუქტით სარგებლობა წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას;

- კ) სხვა მნიშვნელოვანი გადასახდელები, რომელთა შესახებ ბანკმა შეიტყო ამ წესის მე-3 მუხლის მე-14 პუნქტში მოცემული ვალდებულების შესრულებისას.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსურ ხარჯს მომხმარებელი უხდის მესამე პირს და ბანკს არ შეუძლია ზუსტი ფინანსური ხარჯის ოდენობის დადგენა, ბანკმა ის უნდა განსაზღვროს აღნიშნული ხარჯის მოსალოდნელი საბაზრო ღირებულების საფუძველზე.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის მიერ ფინანსური ხარჯის გადახდის საჭიროება დგება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ეტაპებზე და რომლის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა ბანკს წინასწარ არ შეუძლია, ფინანსური ხარჯი შეფასებული უნდა იქნას მიმდინარე საბაზრო ღირებულების საფუძველზე.
4. ფინანსურ ხარჯებს არ მიეკუთვნება ის ხარჯები, რომელთა გადახდაც მომხმარებლისათვის სავალდებულო იქნებოდა იმ შემთხვევაშიც თუ მომხმარებელი კრედიტის გამოყენების გარეშე თავად განახორციელებდა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების შეძენას ან/და რომელთა მომხმარებლის მიერ გადახდაც მოსალოდნელია საკრედიტო პროდუქტის გამოყენებლობის შემთხვევაშიც.
5. იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მინოდების ფასი აღემატება ამავე საქონლის/მომსახურების ნაღდი ანგარიშსწორების ფასს, აღნიშნული დადებითი სხვაობა ფასებს შორის უნდა მიეკუთვნოს ფინანსურ ხარჯებს.

### მუხლი 7. ინფორმაცია ოვერდრაფტისა და საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებზე

1. ოვერდრაფტით და საკრედიტო ბარათით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკმა მომხმარებელს უნდა შესთავაზოს ანგარიშის ამონაწერის მინიმუმ ყოველთვიური სიხშირით გაცემის მომსახურება ყოველგვარი დამატებითი გადასახდელების გარეშე. მომხმარებლის მიერ აღნიშნული მომსახურების მიღების სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, ბანკმა მას უნდა შესთავაზოს მომსახურების მინოდების წერილობითი ან ელექტრონული ფორმა. ამ პუნქტის მიზნებისათვის წერილობითი შეტყობინების მომსახურებას მიეკუთვნება წერილობითი დოკუმენტის მომხმარებლისათვის დაუყოვნებლივ გაცემა მისი ბანკში გამოცხადების შემთხვევაში.
2. ბანკის მიერ მომხმარებლისათვის მინოდებული ანგარიშის ამონაწერი უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: ინფორმაცია ანგარიშიდან თანხის გატანის/გადარიცხვის და ანგარიშზე თანხის შეტანის/ჩარიცხვის თარიღებისა და ოდენობების შესახებ მინიმუმ ბოლო ამონაწერის შემდგომი

პერიოდიდან ან მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი პერიოდიდან;

3. ოვერდრაფტითა და საკრედიტო ბარათით მომსახურების განევისას მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა მას უნდა მიანიჭოს შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) ოვერდრაფტის/საკრედიტო ბარათის საპროცენტო განაკვეთი ამონაწერის პერიოდის განმავლობაში;
  - ბ) მინიმალური სავალდებულო გადასახდელი თანხა, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში;
  - გ) საშელავათო ან სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია მათ შესახებ და ამ პირობის გამოყენებისათვის საჭირო ვადები და შენატანები.

### მუხლი 8. სანქციები

ბანკების მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

### მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნები გავრცელდეს 2011 წლის 1 ივნისის შემდეგ დადებულ ხელშეკრულებებზე და ამ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
2. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება არ შეიცავს ამ წესით გათვალისწინებულ ინფორმაციას ან ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მომხმარებლისათვის არ ხორციელდება ინფორმაციის ამ წესის მიხედვით მინოდება, არ შეიძლება გახდეს აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.

## დანართი N1

### კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისა და განმარტების კრიტერიუმები

1. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისათვის საჭიროა მომხმარებლის მიერ თანხის გადახდების დღევანდელი ღირებულება გაუთანაბრდეს მომხმარებლის მიერ ბანკიდან მიღებული და მისაღები თანხების დღევანდელ ღირებულებას. იგი გამოსახება წლიური პროცენტით და გაიანგარიშება მომხმარებლის მიერ კრედიტზე განეული ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:
2. გამოყენებულ აღნიშვნათა განმარტება:

$$\sum_{k=1}^{k=m} \frac{A_k}{(1+i)^{t_k}} = \sum_{k'=1}^{k'=m'} \frac{A'_{k'}}{(1+i)^{t_{k'}}$$

- ა) k – თანხის გამოტანის რიგითი ნომერი;
  - ბ) k' – თანხის შეტანის (გადახდის) რიგითი ნომერი;
  - გ) A<sub>k</sub> – k რიგითობით გამოტანილი კრედიტის თანხა;
  - დ) A'<sub>k'</sub> – k' რიგითობით გადახდილი თანხა – ფინანსური ხარჯი;
  - ე) Σ – ჯამის ნიშანი;
  - ვ) m – თანხის გამოტანის საერთო რაოდენობა;
  - ზ) m' – თანხის გადახდების საერთო რაოდენობა;
  - თ) tk – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, სესხის პირველ რიგობით გამოტანასა და შემდგომ გამოტანებს შორის – მეორედან – m-მდე;
  - ი) tk' – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, სესხის პირველ რიგობით გამოტანასა და გადახდებს შორის – პირველიდან – m'-მდე;
  - კ) i – კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.
3. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოსათვლელად გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი დაშვებები:
- ა) თუ მომხმარებელს შეუძლია გარკვეული ლიმიტის ფარგლებში ნებისმიერი ოდენობის თანხა გამოიტანოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დაიშვება რომ მომხმარებელს მთლიანი თანხა გამოაქვს ერთდროულად პირველივე გამოტანის შესაძლებლობისთანავე;
  - ბ) თუ არსებობს თანხის გამოტანის სხვადასხვა მეთოდები (მაგ. უშუალოდ ბანკის სალაროდან, ბანკომატიდან და სხვ.), რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ფინანსურ ხარჯებთან, დაიშვება, რომ მომხმარებელს თანხა გამოაქვს პრაქტიკაში არსებული ნაღდი ანგარიშსწორების ყველაზე იაფი მეთოდით;
  - გ) თუ თანხის გადახდის ფიქსირებული პერიოდი არ არის მითითებული, კრედიტის ხანგრძლივობად დაიშვება ერთი წელი და შენატანების სქემად ყოველთვიური შეტანის სქემა;
  - დ) თუ გადახდის თარიღები ფიქსირებულია და თითოეული გადახდის ოდენობა შესაძლოა იყოს განსხვავებული გარკვეული მინიმალური ლიმიტით, დაიშვება, რომ მომხმარებელი ახორციელებს მინიმალური შესაძლო თანხის შეტანას თითოეული თარიღისათვის;
  - ე) თუ კრედიტის ზედა ზღვარი არ არის მითითებული, დაიშვება რომ აღნიშნული ზღვარია 3,000 ლარი;
  - ვ) ოვერდრაფტის ან საკრედიტო ბარათის შემთხვევაში, დაიშვება, რომ მომხმარებელს გამოაქვს მაქსიმალური დასაშვები თანხა პირველივე შესაძლებლობისთანავე და ფარავს მას საკრედიტო პერიოდის დასასრულს. თუ არ არის მითითებული საკრედიტო ხელშეკრულების ხანგრძლივობა, ასეთად დაიშვება ერთი წელი;
  - ზ) ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში, კრედიტის ეფექტური საპროცენ-

- ნტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ კრედიტის საპროცენტო განაკვეთი მუდმივია და უტოლდება კრედიტის საწყის საპროცენტო განაკვეთს;
- თ) თუ საკრედიტო ხელშეკრულება ითვალისწინებს განსხვავებულ ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებს სხვადასხვა პერიოდებისა და გაცემული კრედიტის სხვადასხვა ოდენობებისათვის, კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება უნდა მოხდეს;
  - თ.ა) საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მნიშვნელობის გამოყენებით;
  - თ.ბ) სხვა საპროცენტო განაკვეთის (განაკვეთების) გამოყენებით შესაბამისი პირობების მითითებით.
4. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში დაიშვება, რომ მხარეები დროულად ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მის გამოთვლაში არ გაითვალისწინება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავის ხარჯები.
5. საკრედიტო ბარათის/ოვერდრაფტის ხელშეკრულებაში უნდა მოხდეს კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება შემდეგი ორი მეთოდით:
- ა) დაიშვება, რომ მომხმარებელი ახორციელებს საკრედიტო ლიმიტის განაღდებას;
  - ბ) დაიშვება, რომ მომხმარებელი ახორციელებს საკრედიტო ლიმიტის სავაჭრო ობიექტებში გახარჯვას.
6. უცხოური ვალუტით გაცემული კრედიტის ხელშეკრულებაში დამატებით უნდა მოხდეს ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება. დაიშვება, რომ ლარის გაუფასურება ხდება ყოველდღიურად თანაბარი აბსოლუტური ოდენობით და რომ მომხმარებელი თანხის გამოტანასა და შეტანას ბანკში ახორციელებს ლარებში.
7. საწყის თარიღს წარმოადგენს პირველი გამოტანის თარიღი.
8. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში დაიშვება, რომ წელიწადში არის 365 დღე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღე.
9. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების მაგალითები მოცემულია დანართ N3-ში.

## დადგენილი N2

### დეკომიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების პრინციპი

1. დეკომიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისათვის საჭიროა მომხმარებლის მიერ თანხის შეტანების დღევიანდელი ღირებულება გაუთანაბრდეს მომხმარებლის მიერ ბანკიდან მიღებული და მისაღები თანხების დღევიანდელ ღირე-

ბულებას. იგი გამოისახება წლიური პროცენტით და გაიანგარიშება მომხმარებლის მიერ დეპოზიტზე განეული ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით. დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

2. გამოყენებულ აღნიშვნათა განმარტება:

$$\sum_{k=1}^{k=m} \frac{A_k}{(1+i)^{t_k}} = \sum_{k'=1}^{k'=m'} \frac{A'_{k'}}{(1+i)^{t_{k'}}$$

- ა) k – დეპოზიტზე თანხის (ძირითადი თანხის და ფინანსური ხარჯების) შეტანის რიგითი ნომერი;
- ბ) k' – დეპოზიტიდან თანხის (დარიცხული პროცენტის და ძირითადი თანხის) გამოტანის რიგითი ნომერი;
- გ) A<sub>k</sub> – k რიგითობითი შეტანილი თანხა;
- დ) A'<sub>k'</sub> – k' რიგითობით გამოტანილი თანხა;
- ე) Σ – ჯამის ნიშანი;
- ვ) m – თანხის შეტანის საერთო რაოდენობა;
- ზ) m' – თანხის გამოტანის საერთო რაოდენობა;
- თ) tk – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, თანხის პირველ რიგობით შეტანასა და შემდგომ შეტანებს შორის – მეორედან – m-მდე;

- ი) tk' – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, თანხის პირველ რიგობით შეტანასა და გამოტანებს შორის – პირველიდან m'-მდე;
- კ) i – დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.
- 3. იმ შემთხვევაში, როდესაც სადეპოზიტო კონტრაქტი არ განსაზღვრავს იმ პარამეტრებს, რომლებიც საჭიროა დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისათვის, დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება ხდება ბანკის მიერ მიზანშეწონილად და ადეკვატურად მიჩნეული პარამეტრების საფუძველზე.
- 4. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტის ხელშეკრულებაში დამატებით უნდა მოხდეს ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება. დაიშვება, რომ ლარის გამყარება ხდება ყოველდღიურად თანაბარი აბსოლუტური ოდენობით და რომ მომხმარებელი თანხის შეტანასა და გამოტანას ბანკიდან ახორციელებს ლარებში.
- 5. საწყის თარიღს წარმოადგენს პირველი შეტანის თარიღი.
- 6. დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში დაიშვება, რომ წელიწადში არის 365 დღე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღე.

## დანართი N3

### კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების მაგალითები

#### მაგალითი N1

საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება ერთჯერადად 6,270 ლარის შეტანით ხელშეკრულების გაფორმებიდან (1/1/10) ექვსი თვის შემდეგ (7/1/10).

$$6,000 = \frac{6,270}{(1 + X)^{181/365}}$$

შედეგად, X=9.28220%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 9.3%.

#### მაგალითი N2

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 4 თანაბარი წლიური შენატანით. წლიური საპროცენტო განაკვეთია 9%. ბანკის მიერ განსაზღვრული თითოეული თანაბარი შენატანის ოდენობაა 1,852.01 ლარი.

$$6,000 = \frac{1,852.01}{(1 + X)^1} + \frac{1,852.01}{(1 + X)^{729/365+1/366}} + \frac{1,852.01}{(1 + X)^{729/365+1+1/365}} + \frac{1,852.01}{(1 + X)^4}$$

შედეგად, X=8.99509%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 9.0%.

### მაგალითი N3

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 24 თანაბარი თვიური შენატანით ყოველი თვის პირველ რიცხვში. წლიური საპროცენტო განაკვეთია 9%. ბანკის მიერ განსაზღვრული თითოეული თანაბარი შენატანის ოდენობაა 274.11 ლარი. ხელშეკრულების გაფორმებისას მომხმარებელს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გარეშეც ბანკი ვერ ახორციელებს მისთვის სესხის გაცემას. მიუხედავად იმისა, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა წარმოადგენს კრედიტის მიღების აუცილებელ პირობას და მისი აღებისათვის მომხმარებელს უწევს ხარჯის განწევა, იგი არ გაითვალისწინება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში, რადგან მომხმარებლის მიერ აღნიშნული თანხის გადახდა მოსალოდნელია საკრედიტო პროდუქტის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც.

$$6,000 = \frac{274.11}{(1 + X)^{31/365}} + \frac{274.11}{(1 + X)^{59/365}} + \dots + \frac{274.11}{(1 + X)^{\frac{729}{365} + 1/366}}$$

შედეგად, X=9.40192%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 9.4%.

### მაგალითი N4

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/12/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 24 თანაბარი თვიური შენატანით, რომელთაგან პირველი გადახდილი უნდა იქნას კონტრაქტის გაფორმებიდან 20 დღის შემდეგ. თანხის შეტანა ხორციელდება თითოეული თვის პირველ რიცხვში. წლიური საპროცენტო განაკვეთია 9%. ბანკის მიერ განსაზღვრული თითოეული შენატანის ოდენობაა 273.41 ლარი:

$$6,000 = \frac{273.41}{(1 + X)^{20/365}} + \frac{273.41}{(1 + X)^{48/365}} + \dots + \frac{273.41}{(1 + X)^{\frac{718}{365} + 1/366}}$$

შედეგად, X=9.41943%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 9.4%.

### მაგალითი N5

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 24 თანაბარი თვიური შენატანით ყოველი თვის პირველ რიცხვში. ხელშეკრულების გაფორმებისას გადასახდელია ადმინისტრაციული გადასახდელი 60 ლარის ოდენობით. წლიური საპროცენტო განაკვეთია 9%. ბანკის მიერ განსაზღვრული თითოეული თანაბარი შენატანის ოდენობაა 274.11 ლარი. ბანკის მოთხოვნით მომხმარებელი ასევე უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის საკუთარი სახსრებით დაფინანსებას, გარდა სამკვიდრო ქონების რეგისტრაციის ხარჯისა. მიუხედავად იმისა, რომ სამკვიდრო ქონების რეგისტრაცია კრედიტის მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, იგი არ გაითვალისწინება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში, რადგან მომხმარებლის მიერ აღნიშნული თანხის გადახდა მოსალოდნელია საკრედიტო პროდუქტის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც.

$$6,000 = 60 + \frac{274.11}{(1 + X)^{31/365}} + \frac{274.11}{(1 + X)^{59/365}} + \dots + \frac{274.11}{(1 + X)^{\frac{729}{365} + 1/366}}$$

შედეგად, X=10.49827%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 10.5%.



## მაგალითი N6

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 24 თანაბარი თვიური შენატანით. ადმინისტრაციული გადასახდელის, 60 ლარის, გადახდა ხორციელდება თანაბრად შენატანების დროს. წლიური საპროცენტო განაკვეთია 9%. ბანკის მიერ განსაზღვრული თითოეული თანაბარი შენატანის ოდენობაა:

$$A = 274,11 + \frac{60}{24} = 276.61$$

$$6000 = \frac{276.61}{(1+X)^{31/365}} + \frac{276.61}{(1+X)^{59/365}} + \dots + \frac{276.61}{(1+X)^{\frac{729}{365}+1/366}}$$

შედგად,  $X=10.39169\%$ , ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 10.4%.

## მაგალითი N7

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 24 თანაბარი თვიური შენატანით ყოველი თვის პირველ რიცხვში. ხელშეკრულების გაფორმებისას გადასახდელია ადმინისტრაციული გადასახდელი 60 ლარის ოდენობით. ასევე, გადასახდელია დაზღვევის ღირებულება – საკრედიტო ლიმიტის 5%-ის ოდენობით, რომლის გადახდაც ხორციელდება თანაბრად შენატანების დროს. წლიური საპროცენტო განაკვეთია 9%. ბანკის მიერ განსაზღვრული თითოეული თანაბარი შენატანის ოდენობაა:

$$A = 274,11 + \frac{5\% * 6000}{24} = 286,61$$

$$6000 = 60 + \frac{286.61}{(1+X)^{31/365}} + \frac{286.61}{(1+X)^{59/365}} + \dots + \frac{286.61}{(1+X)^{\frac{729}{365}+1/366}}$$

შედგად,  $X=15.54319\%$ , ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 15,5%.

## მაგალითი N8

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 24 თანაბარი თვიური შენატანით ყოველი თვის პირველ რიცხვში. ხელშეკრულების გაფორმებისას გადასახდელია ადმინისტრაციული გადასახდელი 60 ლარის ოდენობით. ამას გარდა, გადასახდელია დაზღვევის ხარჯი – საკრედიტო თანხის 5%-ის ოდენობით, რომლის გადახდაც ხორციელდება ერთჯერადად და ფინანსდება ბანკის მიერ.

ბანკის მიერ დაფინანსებული თანხის ოდენობაა:

$$6000 + 5\% * 6000 = 6300$$

თვიური შენატანი, რომელიც დაწესებულია ბანკის მიერ აღნიშნული თანხის დაფარვისათვის არის 287,81 ლარი.

$$6000 = 60 + \frac{287.81}{(1+X)^{31/365}} + \frac{287.81}{(1+X)^{59/365}} + \dots + \frac{287.811}{(1+X)^{\frac{729}{365}+1/366}}$$

შედგად,  $X=16.03370\%$ , ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 16,0%.

მაგალითი N9

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 1,000 ლარი, რომლის დაფარვაც ხდება 2 წლიური შენატანით რომელიმე შემდეგი სქემით:

- I. 700 ლარი – 1 წლის შემდეგ და 500 ლარი ორი წლის შემდეგ, ან
- II. 500 ლარი – 1 წლის შემდეგ და 700 ლარი ორი წლის შემდეგ.

წინამდებარე წესის N1 დანართის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაიშვება რომ მომხმარებელი იყენებს II სქემას.

$$1000 = \frac{500}{(1 + X)^1} + \frac{700}{(1 + X)^{\frac{729}{365} + 1/366}}$$

შედეგად, X=12.32125%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 12.3%.

მაგალითი N10

საკრედიტო ხელშეკრულებით (1/1/10) გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 1,000 ლარი, რომელსაც არ აქვს დაფარვის წინასწარ განსაზღვრული ვადა, თუმცა მოქმედებს შემდეგი შეზღუდვები: ადმინისტრაციული გადასახდევები კონტრაქტის გაფორმების დროს შეადგენს 25 ლარს, ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთია 0,949% და ყოველთვიურად ასევე უნდა განხორციელდეს ნაშთის 20%-ის შეტანა მინიმუმ ოცი ლარის ოდენობით, ხოლო როდესაც დარჩენილი ძირითადი თანხა ნაკლებია 20 ლარზე, უნდა მოხდეს მისი სრული დაფარვა. შეტანა ხორციელდება თითოეული თვის პირველ რიცხვში. N1 დანართის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბანკის მიერ დაწესებული შენატანების ოდენობებია: A1=200+9.49=209.49, A2=167.59, A3=134.07, A4= 107.26, A5= 85.81, A6= 68.65, A7=54.92, A8=43.93, A9=35.15, A10=28.12, A11=22.49, A12=20.82, A13=20.63, A14=20.44, A15=20.25, A16=5.96.

$$1000 = 25 + \frac{209.49}{(1 + X)^{31/365}} + \frac{167.59}{(1 + X)^{59/365}} + \dots + \frac{20.25}{(1 + X)^{455/365}} + \frac{5.96}{(1 + X)^{485/365}}$$

შედეგად, X=19.75875%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 19.8%.

მაგალითი N11

საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობაა – 6,000 აშშ დოლარი, რომლის დაფარვაც ხდება 24 თანაბარი თვიური შენატანით ყოველი თვის პირველ რიცხვში, თითოეული – 274.18 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულების გაფორმების დღეს (1/1/10) გაცვლითი კურსია: 1 აშშ დოლარი=1.7 ლარი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება უნდა მოხდეს ორი მეთოდით:

- I. დაიშვება, რომ გაცვლითი კურსი უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში

$$10,200 = \frac{466.10}{(1 + X)^{31/365}} + \frac{466.10}{(1 + X)^{59/365}} + \dots + \frac{466.10}{(1 + X)^{\frac{729}{365} + 1/366}}$$

შედეგად, X=9.43021%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 9.4%

- II. დაიშვება, რომ ხდება ლარის 15%-იანი წლიური გაუფასურება კურსის ყოველდღიურად თანაბარი აბსოლუტური ოდენობის ცვლილებით.

ლარის გაცვლითი კურსი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ორი წლის შემდეგ იქნება:

$$1 \text{ აშშ დოლარი} = 1.7 * 1.15^2 = 2,248 \text{ ლარი}$$

კურსის დღიური ზრდა იქნება:  $\frac{2.248-1.7}{370} \approx 0.000751027$

შედგად კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების მიზნით, ლარში გამოსახული თვიური შენატანები იქნება: 472.49, 478.25, 484.64, ....., 616.42, რის საფუძველზეც ვიღებთ შემდეგ ტოლობას:

$$10,200 = \frac{472.49}{(1+X)^{31/365}} + \frac{472.49}{(1+X)^{59/365}} + \dots + \frac{616.42}{(1+X)^{\frac{729}{365}+1/366}}$$

შედგად, X=26.66151%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 26.7%.

## მაგალითი N12

საკრედიტო ბარათის წლიური ლიმიტია 2,000 ლარი, ხოლო ვადა – 2 წელიწადი. იმ შემთხვევაში თუ ათვისებული თანხის დაბრუნება ხორციელდება 50 დღის განმავლობაში, გადასახდელი საპროცენტო განაკვეთია 0%. იმ შემთხვევაში თუ ათვისებული თანხის დაფარვა ხდება 50 დღის გასვლის შემდეგ, გადასახდელი წლიური საპროცენტო განაკვეთია ათვისებული თანხის 30%, რომლის დაფარვაც უნდა განხორციელდეს წლის მანძილზე. ბარათის გაცემის საკომისიოა 40 ლარი. ბანკომატში თანხის განაღდებას საკომისიოა განაღდებული თანხის 2%, ბანკის სალაროში განაღდებას საკომისიოა განაღდებული თანხის 5%, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორების საკომისიოა 0.5%. ამასთან, სავაჭრო ქსელებში გახარჯული თანხის 1.5% მომხმარებელს უბრუნდება ანგარიშზე ერთი თვის შემდეგ.

შესაძლებელია, მოხდეს რამდენიმე კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება, მათ შორის სავალდებულო წესით, ქვემოთ მოცემული I დაშვებით გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

I. დაიშვება, რომ მომხმარებელი ახდენს მთლიანი ლიმიტის ერთჯერად ათვისებას ხელშეკრულების გაფორმებისთანავე (1/1/2008) თანხის განაღდებას ბანკომატში, რომლის დაფარვასაც ერთი წლის შემდეგ ახორციელებს. ანალოგიურად ერთი წლის შემდეგ ხდება კვლავ მთლიანი ლიმიტის ერთჯერადი ათვისება იგივე მექანიზმით და დაფარვა ხორციელდება კვლავ ერთი წლის გასვლის შემდეგ. 30%-ით გაანგარიშებული საპროცენტო შენატანების გარდა ფინანსურ ხარჯებს მიეკუთვნება ბარათის გაცემის ერთჯერადი საკომისიო – 40 ლარი, ასევე, ბანკომატით თანხის განაღდებას საკომისიო –  $2000 \cdot 2\% = 40$  ლარი.

$$2,000 + \frac{2,000}{(1+X)^{\frac{365}{366}+1/365}} = 40 + 40 + \frac{2,600}{(1+X)^{365/366}} + \frac{40}{(1+X)^{\frac{365}{366}+1/365}} + \frac{2,600}{(1+X)^{\frac{365}{366}+365/365}}$$

შედგად, X=34.26984%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 34.3%.

II. შესაძლებელია მოხდეს კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება შემდეგი დაშვებებით: დაიშვება, რომ მომხმარებელი ახდენს მთლიანი ლიმიტის ერთჯერად ათვისებას (1/1/2008) სავაჭრო ქსელებში უნაღდო ანგარიშსწორებით და კრედიტის დაფარვას ახორციელებს 50–ე დღეს. მომხმარებელი იქცევა ანალოგიურად მეორე წელიწადს.

$$\begin{aligned} 2,000 + \frac{29.70}{(1+X)^{31/366}} + \frac{2,000}{(1+X)^{\frac{365}{366}+1/365}} + \frac{29.70}{(1+X)^{\frac{365}{366}+32/365}} \\ = 40 + 10 + \frac{2,000}{(1+X)^{50/366}} + \frac{10}{(1+X)^{\frac{365}{366}+1/365}} + \frac{2,000}{(1+X)^{\frac{365}{366}+51/365}} \end{aligned}$$

შედგად, X=0.11454%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 0.1%.

მომხმარებელი ყიდულობს Y ავტომანქანას განვადებით, რომლის ნაღდი ანგარიშსწორების ფასია 7000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, განვადების ფასი კი არის 7500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში. ბანკი სამომხმარებლო კრედიტით აფინანსებს აღნიშნული ავტომანქანის ყიდვას ნაწილობრივ 6000 აშშ დოლარით. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთია 15%. კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი ხელშეკრულების გაფორმების დროს (1/1/2008) არის 50 ლარი. კრედიტიდან მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის მოძიების ადმინისტრაციული გადასახდელი არის 2 ლარი. კრედიტის ხანგრძლივობაა 2 წელიწადი. თანხის დაფარვა ხორციელდება ყოველთვიურად თანაბარი შენატანების – 290,92 აშშ დოლარის, საფუძველზე. შეტანა ხორციელდება თითოეული თვის პირველ რიცხვში. კრედიტის აღების აუცილებელი პირობაა ავტომანქანის დაზღვევა, რომლის ღირებულებაა გაცემული კრედიტის 3%, რომელსაც მომხმარებელი თავად უხდის სადაზღვევო კომპანიას ერთჯერადად ხელშეკრულების გაფორმებისას. ხელშეკრულების გაფორმების დროს აშშ დოლარის ლარზე გაცვლის კურსია: 1აშშ დოლარი=1,7 ლარი.

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება ხდება ორი მეთოდით:

I. დაიშვება, რომ გაცვლითი კურსი უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, ყოველთვიური შენატანის ექვივალენტი ლარებში არის 496,56 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასსა და ნაღდი ანგარიშსწორების ფასს შორის არსებული მიმდინარე სხვაობა მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს – 850. აგრეთვე, აუცილებელი დაზღვევის ღირებულება – 306 ლარი მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

$$10,200 = 850 + 50 + 2 + 306 + \frac{496,6}{(1 + X)^{31/366}} + \frac{496,6}{(1 + X)^{60/366}} + \dots + \frac{496,6}{(1 + X)^{\frac{365}{366} + 366/365}}$$

შედეგად, X=32.15676%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 32,2%.

II. დაიშვება, რომ ხდება ლარის 15%–იანი წლიური გაუფასურება კურსის ყოველდღიურად თანაბარი აბსოლუტური ოდენობის ცვლილებით. შედეგად მიიღება ახალი ამორტიზაციის ცხრილი და შემდეგი ტოლობა:

$$10,200 = 850 + 50 + 2 + 306 + \frac{501,3}{(1 + X)^{31/366}} + \frac{507,7}{(1 + X)^{60/366}} + \dots + \frac{654,3}{(1 + X)^{\frac{365}{366} + 366/365}}$$

შედეგად, X=53.03607%, ე.ი. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 53,0%.

## დანართი N4

### პრეტენზიების სტატიისტიკის ყოველთვიურად საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი მახასიათებლების ნუსხა

1. ბანკმა უნდა უზრუნველყოს მიღებული პრეტენზიების, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, შესახებ მონაცემების საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიწოდება ამ დანართში მოცემული ცხრილი N1 სახით შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:
  - ა) ბანკის დასახელება;
  - ბ) პრეტენზიის მიღების თარიღი;
  - გ) პროდუქტის დასახელება;
  - დ) პრეტენზიის ხასიათი;

- ე) პრეტენზიის დამუშავების სტადია;
- ვ) პრეტენზიის დამუშავების დასრულების თარიღი. პრეტენზიის მიღების თარიღად ბანკმა უნდა მიუთითოს იმ დღის თარიღი, როდესაც მომხმარებელმა გამოხატა პრეტენზია.
- 2. პროდუქტის დასახელება ბანკმა უნდა მიაკუთვნოს ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:
  - ა) ავტო სესხები;
  - ბ) სამომხმარებლო სესხები;
  - გ) მომენტალური განვადება;
  - დ) ოვერდრაფტები;
  - ე) საკრედიტო ბარათები;
  - ვ) სესხები ბინის რემონტისათვის;
  - ზ) იპოთეკური სესხები;
  - თ) მიმდინარე ანგარიშები;
  - ი) მოთხოვნამდე დეპოზიტები;
  - კ) ვადიანი დეპოზიტები;
  - ლ) სხვა.
- 4. პრეტენზიის ხასიათი ბანკმა უნდა მიაკუთვნოს ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:
  - ა) გადასახდელეთან დაკავშირებული პრეტენზიები

- ა.ა) საპროცენტო შენატანები;
  - ა.ბ) მომსახურების საკომისიოები;
  - ა.გ) ჭარბები და ვადაგადაცილებასთან დაკავშირებული საკომისიოები;
  - ა.დ) სხვა გადასახდლებ;
  - ბ) ადმინისტრაციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებული პრეტენზიები (მაგ: ბანკის თანამშრომლის მიერ მოვალეობის არაფექტური შესრულება, რამაც გამოიწვია მომხმარებლის დიდი ხნით დაყოვნება);
  - გ) რეკლამასთან, გაყიდვებთან და რჩევებთან დაკავშირებული პრეტენზიები (მაგ: ბანკის თანამშრომლის მიერ არასწორი რჩევის მიცემა მომხმარებლისათვის, რამაც გამოიწვია მომხმარებლის მიერ დაუგეგმავი ფინანსური ხარჯების განწევა);
  - დ) ტრანზაქციებთან დაკავშირებული პრეტენზიები (მაგ. შეფერხება გადარიცხვებზე);
  - ე) პრეტენზიები დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულების მხარის მიერ მესამე პირებთან დაკავშირებით;
  - ვ) სხვა პრეტენზიები.
- 5. პრეტენზიის დამუშავების სტადია ბანკმა უნდა მიაკუთვნოს ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:
    - ა) განხილვა ბანკის შიგნით დასრულებულია და მომხმარებლის პრეტენზია მიჩნეული იქნა საფუძვლიანად, თუმცა პრეტენზიით გამოხატული პრობლემა არ არის აღმოფხვრილი;
    - ბ) განხილვა ბანკის შიგნით დასრულებულია და მომხმარებლის პრეტენზია მიჩნეული იქნა უსაფუძვლოდ;
    - გ) პრეტენზიასთან დაკავშირებით განხილვა არ არის დასრულებული;
    - დ) საფუძვლიანად მიჩნეული პრეტენზიის პრობლემა გადანყვეტილი იქნა მომხმარებლის სასარგებლოდ და მიღწეული იქნა პრეტენზიით გამოხატული პრობლემის აღმოფხვრა.
  - 6. პრეტენზიის დამუშავების დასრულების თარიღად ბანკმა უნდა მიუთითოს იმ დღის თარიღი, როდესაც განხილვის სტადიის მიკუთვნება ხდება ამ დანართის მე-5 პუნქტში მოცემული ერთ-ერთი კატეგორიისათვის.

**ცხრილი N1. მონაცემები პრეტენზიების შესახებ**

N	ბანკის დასახელება	პრეტენზიის მიღების თარიღი	პროდუქტის დასახელება	პრეტენზიის ხასიათი	პრეტენზიის დამუშავების სტადია	პრეტენზიის დამუშავების დასრულების თარიღი
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
...						

# დანართი N5

## ხელშეკრულების თავსართის ნიმუშები

### ნიმუში N1

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი = 9%
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = 16%

ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი) = 287,8 აშშ დოლარი
- დაზღვევის ღირებულება = 300 ლარი
- კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი = 60 ლარი

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- სამომხმარებლო კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა = 6,000 ლარი
- კრედიტის ვადა = 2 წელიწადი
- სესხის წინასწარი დაფარვის საკომისიო = კრედიტის დარჩენილი ძირის 3%.
- ვადაგადაცილების ჯარიმა = ვადაგადაცილებული თანხის 5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 822 406 406

### ნიმუში N2

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი
- 0% კრედიტის 50 დღის ვადაში დაფარვის შემთხვევაში
- 30% კრედიტის 1 წლის მანძილზე დაფარვის შემთხვევაში
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
- 0,1% კრედიტის 50 დღის ვადაში დაფარვის შემთხვევაში
- 34,3% კრედიტის 1 წლის მანძილზე დაფარვის შემთხვევაში

ფინანსური ხარჯები

- თანხის ბანკომატში განაღდების საკომისიო = 2%
- უნაღდო ანგარიშსწორების საკომისიო = 0,5%
- ბარათის გაცემის საკომისიო = 40 ლარი
- შენატანები განისაზღვრება ათვისებული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- საკრედიტო ბარათის ლიმიტი = 2,000 ლარი
- კრედიტის ვადა = 2 წელიწადი
- სესხის წინასწარი დაფარვის საკომისიო = კრედიტის დარჩენილი ძირის 3%.
- ვადაგადაცილების ჯარიმა = ვადაგადაცილებული თანხის 5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 822 406 406

### ნიმუში N3

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი = 15%
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = 32,2%

ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი) = 290,9 აშშ დოლარი
- დაზღვევის ღირებულება = 306 ლარი
- კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი = 50 ლარი
- გადასახდელი კრედიტინფოდან ინფორმაციის მოძიებისათვის = 2 ლარი
- სხვაობა სახელშეკრულებო და ნაღდი ანგარიშსწორების ფასს შორის = 850 ლარი

ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი = 7,500 აშშ დოლარი
- ნაღდი ანგარიშსწორების ფასი = 7,000 აშშ დოლარი

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- სამომხმარებლო კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა = 6,000 აშშ დოლარი
- კრედიტის ვადა = 2 წელიწადი
- სესხის წინასწარი დაფარვის საკომისიო = კრედიტის დარჩენილი ძირის 3%.
- ვადაგადაცილების ჯარიმა = ვადაგადაცილებული თანხის 5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში გეპირი, წერილობითი, სტანდარდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით

უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

- ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს.
- ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = 53%

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 822 406 406

### ნიმუში N4

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი

- დეპოზიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი = 8%
- დეპოზიტის ლარში განთავსების შემთხვევაში წლიური საპროცენტო განაკვეთი = 11%
- დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = 4,6%

ფინანსური ხარჯები

- დეპოზიტის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო = 10 ლარი
- ბანკომატით თანხის გამოტანის საკომისიო = 0.2%

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- დეპოზიტის ერთჯერადი შენატანი = 10,000 აშშ დოლარი
- ვადაზე ადრე გამოტანილ თანხაზე დარიცხული წლიური პროცენტი = 3%
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში გეპირი, წერილობითი, სტანდარდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

- ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს
- ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = -20,6%

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე – 822 406 406

## 6.3 დეპუტატ დილინგური ოპერაციების მართვის შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კომერციული ბანკების საბალანსო ანგარიშებზე სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტების მოცულობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია შესაბამისმა კომერციულმა ბანკმა შექმნას დილინგური ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვის შიდა პოლიტიკა და პროცედურები.
2. ამ დებულების მიზანია, უზრუნველყოს კომერციული ბანკებში დილინგური ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვის ეფექტიანი პრაქტიკის დანერგვა.

### მუხლი 2. დილინგური ოპერაციებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები

დილინგური ოპერაციებისათვის განკუთვნილ ფასიანი ქაღალდებზე უნდა ჩაითვალოს ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც კომერციული ბანკი ფლობს:

- ა) მოკლევადიან პერიოდში გაყიდვის მიზნით;
- ბ) ფასის მოსალოდნელი ცვლილების გამო გადაფასებით მიღებული მოგების მოლოდინით;
- გ) მისი გამოყენებით არბიტრაჟის გზით შემოსავლების მისაღებად;
- დ) წინამდებარე მუხლის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის შექმნილი ინსტრუმენტების რისკის პოზიციების დასაზღვევად (ჰეჯირებისთვის).

### მუხლი 3. შიდა პოლიტიკა და პროცედურები

1. კომერციულმა ბანკმა, რომელსაც აქვს დილინგური ოპერაციებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების პორტფელი, უნდა შეიმუშაოს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს:
  - ა) ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის დილინგურ ფასიან ქაღალდად კლასიფიცირების კრიტერიუმებისა და მექანიზმის განსაზღვრას;
  - ბ) ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სამართლიანი შეფასების სისტემის დანერგვას, მათ შორის, იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელიც აქტიურად არ ივაჭრება ბირჟებზე, და მასზე დაყრდნობით, დილინგური ფასიანი ქაღალდების პორტფელის ყოველდღიურად გადაფასებას;
  - გ) შერჩეულ პორტფელებსა და პოზიციებზე კომერციული ბანკის მენეჯმენტთან შეთანხმებული დოკუმენტირებული სტრატეგიების შექმნას, მოსალოდნელი მფლობელობის პერიოდის განსაზღვრას, პოზიციების ლიმიტების დადგენასა და ეფექტურ მონიტორინგს;
  - დ) კომერციული ბანკის მენეჯმენტთან რეგულარული

ანგარიშგებების წარდგენას, როგორც მთლიანი პორტფელის შედეგებზე, ასევე ძირითადი პოზიციების მიმდინარე პერიოდის საერთო ტენდენციებთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პოლიტიკა და პროცედურები უნდა დამოწმდეს კომერციული ბანკის მენეჯმენტის მიერ და შეთანხმდეს საქართველოს ეროვნულ ბანკთან.
3. სავაჭრო პორტფელის მართვასთან მიმართებაში რეკომენდირებულია კომერციულმა ბანკმა იხელმძღვანელოს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ან/და სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით.

### მუხლი 4. კომერციული ბანკის ვალდებულებები ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით

1. კომერციულმა ბანკმა, რომელსაც გააჩნია დილინგური ფასიანი ქაღალდები, ყოველთვიურად ელექტრონული ფორმით უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე საქართველოს ეროვნულ ბანკს.
2. შეტყობინება მინიმუმ უნდა მოიცავდეს სავაჭრო პორტფელში არსებული ფასიანი ქაღალდების ჩამონათვალს, პოზიციის მოცულობისა და ღირებულების მითითებით.
3. კომერციულმა ბანკმა, რომელსაც არ გააჩნია დილინგური ფასიანი ქაღალდები, პირველი ფინანსური ინსტრუმენტის შექმნამდე წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს ამის შესახებ საქართველოს ეროვნულ ბანკს.



## 6.4 ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევისა და კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ეს წესი არეგულირებს მონეტარული პოლიტიკის, სტატისტიკური და საფინანსო სექტორის სტაბილურობის, ასევე „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის და მის ხელმისაწვდომობაზე შეზღუდვების დანესების საკითხებს.
- ეს წესი განსაზღვრავს მონეტარული პოლიტიკის, სტატისტიკური და საფინანსო სექტორის სტაბილურობის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში მიჩნეული კონფიდენციალური ინფორმაციის ტიპებს, ასევე „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ინფორმაციული აქტივების კონფიდენციალურობის კატეგორიებს.
- ამ წესის მიზნებისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ინფორმაცია ან/და ინფორმაციული აქტივი, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის, სტატისტიკური ან/და საფინანსო სექტორის სტაბილურობას ან/და ეროვნული ბანკის ფუნქციონირებას და უსაფრთხოებას.
- ეროვნული ბანკის საბჭო კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის (დანართი N1) სახით ადგენს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის, სტატისტიკური ან საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის ტიპებს.
- ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის და ეროვნული ბანკის ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების მიზნებისათვის განსაზღვრავს ინფორმაციული აქტივების ჩამონათვალს.
- ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე, რომლის რეგულირებაც ხორციელდება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
- ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ ინფორ-

მაციაზე, რომლის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება ეროვნულ ბანკს გააჩნია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

- ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის კონფიდენციალური ინფორმაცია იყოფა ორ კატეგორიად:
  - პირველი კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაცია – მიეკუთვნება მონაცემი, რომლის გავრცელება ან დაკარგვა გამოიწვევს მძიმე შედეგს და საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის, სტატისტიკური ან/და საფინანსო სექტორის სტაბილურობას. ამ კატეგორიის ინფორმაციაზე წვდომის უფლების მქონე ეროვნული ბანკის თანამშრომლებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. პირველი კატეგორიის კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის (დანართი N1) პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია და ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის შიდააუდიტორული სამსახურის მიერ შემუშავებული დოკუმენტები (შემონუმების ანგარიშები, აქტები) მეორე კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაცია – მიეკუთვნება მონაცემი, რომლის გავრცელებამ ან დაკარგვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის, სტატისტიკური ან/და საფინანსო სექტორის სტაბილურობას. აღნიშნული კატეგორიის ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ნებისმიერი თანამშრომლისათვის, თუ ეს ინფორმაცია საჭიროა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსახორციელებლად. მეორე კატეგორიის კონფიდენციალურ ინფორმაციას მიეკუთვნება დანართ N1-ში არსებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით.
- ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისათვის ინფორმაციული აქტივების კონფიდენციალურობა იყოფა ორ კატეგორიად:
  - მესამე კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაცია – ისეთი ინფორმაციული აქტივები, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფას სავარაუდოდ მოჰყვება ეროვნული ბანკის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ნებისმიერი თანამშრომლისათვის, თუ ეს ინფორმაცია საჭიროა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსახორციელებლად;
  - მეოთხე კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაცია (შინასამსახურებრივი გამოყენების) - ისეთი ინფორმაციული აქტივები, რომლის კონფიდენციალურობის, მთლიანობის ან ხელმისაწვდომობის ხელყოფას, სავარაუდოდ, მოჰყვება ზიანი ეროვნული ბანკის უსაფრთხოებას ან/და გამოიწვევს ეროვნული ბანკის მიერ თავისი ფუნქციების შესრულების მნიშვნელოვან შეფერხებას. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ნებისმიერი თანამშრომლისათვის ან/და ეროვნულ ბანკთან სახელმწიფო ურთიერთობის მქონე პირისათვის,

10. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინოს ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციის საქმისწარმოების წესი.
11. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-9 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციაზე ვრცელდება ეროვნულ ბანკში არსებული საქმისწარმოების ერთიანი მოთხოვნები.
12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის დებულებების დაურღვევლად, ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციაზე დაადგინოს მარკირებისა და სპეციალური მოპყრობის სახელმძღვანელო სტანდარტები.

**მუხლი 2. ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევა და მის გაცემაზე შეზღუდვების დანესების ვადები**

1. ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ან აღმასრულებელ დირექტორს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით და მოითხოვოს საზედამხებლო ღონისძიების გატარების შესახებ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტთან კონკრეტული კორესპონდენციის პირველი კატეგორიის კონფიდენციალურ ინფორმაციად მიჩნევა. იმ შემთხვევაში თუ ვიცე-პრეზიდენტი ან აღმასრულებელი დირექტორი მიიღებს გადაწყვეტილებას კორესპონდენციის პირველი კატეგორიის კონფიდენციალურ ინფორმაციად მიჩნევის თაობაზე, მაშინ აღნიშნული კორესპონდენცია ექვემდებარება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ პირველი კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაციის სპეციალურ საქმისწარმოების წესს.
2. ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ან აღმასრულებელ დირექტორს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით და მოითხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტის გარდა არსებული სხვა კორესპონდენციის პირველი კატეგორიის კონფიდენციალურ ინფორმაციად მიჩნევა. იმ შემთხვევაში თუ ვიცე-პრეზიდენტი ან აღმასრულებელი დირექტორი მიიღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული კორესპონდენციის პირველი კატეგორიის კონფიდენციალურ ინფორმაციად მიჩნევის თაობაზე, მაშინ აღნიშნული კორესპონდენცია ექვემდებარება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ პირველი კატეგორიის კონფიდენციალური ინფორმაციის სპეციალურ საქმისწარმოების წესს.
3. ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია, დამატებით კონფიდენციალურად მიიჩნიოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ

- ბრძანების დანართი N1-ით, თუ:
  - ა) ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევა, დასაბუთებული შუამდგომლობით, მოთხოვნილია ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული იმ სუბიექტის მიერ (შემდგომი – დაინტერესებული პირი) რომელსაც ეხება აღნიშნული ინფორმაცია; ან
  - ბ) ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევა, დასაბუთებული შუამდგომლობით, მოთხოვნილია ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ეროვნული ბანკის საბჭო, მიმართვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის შესახებ და გადაწყვეტილების თაობაზე აცნობებს შესაბამის დაინტერესებულ პირს ან/და ეროვნული ბანკის სტრუქტურულ ერთეულს.
5. კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემაზე შეზღუდვის ვადა, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, განისაზღვრება 5 წლის ვადით, ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის მომენტიდან.
6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის ვადა განისაზღვრება თავად დაინტერესებული პირის მოთხოვნის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნაში აღნიშნული ვადა მითითებული არ არის, მაშინ ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის ვადები განისაზღვრება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
7. საჭიროების შემთხვევაში ეროვნული ბანკის საბჭო უფლებამოსილია დაადგინოს ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის ამ მუხლის მე-5 პუნქტისაგან განსხვავებული ვადები.

**მუხლი 3. კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გაცემის წესი**

1. გარდა ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ აღარ არსებობს ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის აუცილებლობა, ეროვნული ბანკის საბჭო, ეროვნული ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიმართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ.
2. ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინფორმაციული აქტივისათვის კონფიდენციალურობის სტატუსის მოხსნას ახორციელებს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი.
3. „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე ახორციელებს კონფიდენციალური ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებ

ბას. საჭაროდ გავრცელება ავტომატურად ნიშნავს ასეთი ინფორმაციისათვის კონფიდენციალურობის სტატუსის მოხსნას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა ეროვნული ბანკის საბჭო აგრეთვე უფლებამოსილია განახორციელოს კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გასაჯაროება, თუ ეს აუცილებელია ეროვნული ბანკის საქმიანობის მიზნებისათვის ან ინფორმაციის საჯაროება მოთხოვნილია კანონმდებლობის საფუძველზე.
5. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გასაჯაროება შესაძლებელია მხოლოდ იმ დაინტერესებული პირის თანხმობით, რომელსაც ეხება აღნიშნული ინფორმაცია, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა და ასევე იმ შემთხვევებისა როდესაც ინფორმაციის გასაჯაროება აუცილებელია ეროვნული ბანკის ფუნქციების განსახორციელებლად ან კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად.
6. ეროვნული ბანკის თანამშრომელი არ არის უფლებამოსილი დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას და გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისათვის. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულებისათვის ინფორმაციის მიწოდების დროს და იმ შემთხვევებზე, როდესაც ეს აუცილებელია ეროვნული ბანკის ფუნქციების შესასრულებლად საქართველოს ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებთან ან ფინანსურ ინსტიტუტებთან სამუშაო შეხვედრების, პრეზენტაციების, კონსულტაციების გამართვის ან სამუშაო გამოცდილების გაზიარების დროს.
7. ამ ბრძანების შესაბამისად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღასრულონ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტები, მათი აღსრულების პროცესში, შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს, ეროვნული ბანკის მიერ ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტის შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურზე, მისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.
8. ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე ამ წესით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია მიაწოდოს აუდიტორს ან/და ეროვნულ ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირს, თუ ეს ინფორმაცია აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად ან/და ინფორმაცია ეხება თავად ხელშეკრულებს მხარეს. აღნიშნულ შემთხვევაში, ეროვნულ ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერ-

ობაში მყოფმა პირმა უნდა დაიცავს გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

9. მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პირის მიერ ისეთი ინფორმაციის გასაჯაროება, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეულია კონფიდენციალურად, ავტომატურად არ ნიშნავს ამ ინფორმაციის ეროვნული ბანკის მიერაც გასაჯაროებას. ამ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ, ეროვნული ბანკის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნული ინფორმაცია კვლავ ინარჩუნებს კონფიდენციალურ ხასიათს.

## დანართი N1

### კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხა

1. ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტების შემოწმების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მოხსენებითი ბარათები, შემოწმების აქტები და შემოწმების დროს დამუშავებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
2. მოხსენებითი ბარათები და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიმართ სანქციების (გარდა რეგისტრაციის ან ლიცენზიის გაუქმების შესახებ ადმინისტრაციული აქტებისა) გამოყენების შესახებ. ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების ჯარიმების შესახებ ელექტრონულად წარმოებული რეგისტრები. დანესებული ფულადი ჯარიმების აღსრულების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები.
3. ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან კორესპონდენცია პირის შესახებ ინფორმაციის ეროვნული ბანკის საქმიანობის მიზნებისათვის გამოთხოვის თაობაზე.
4. საზედამხედველო ღონისძიების გატარების შესახებ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტთან კორესპონდენცია.
5. ცალკეული კომერციული ბანკის შესახებ ეროვნულ ბანკში არსებული სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა იმ ინფორმაციისა და დოკუმენტაციისა, რომელიც გათვალისწინებულია კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესით ან/და დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
6. ლიკვიდირებული და ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კომერციული ბანკების და საკრედიტო კავშირების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაციის გაცემასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ვრცელდება პირზე, თუ დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას ამ

- პირის ფინანსების ან პერსონალური მონაცემების შესახებ.
7. ცალკეული კომპანიების შესახებ ეროვნულ ბანკში არსებული საგარეო ვაჭრობის მონაცემები, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
  8. ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ცალკეული სუბიექტების (გარდა კომერციული ბანკებისა) შესახებ ეროვნულ ბანკში არსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა იმ ინფორმაციისა და დოკუმენტაციისა, რომლის გამოქვეყნების და გასაჯაროების ვალდებულება განსაზღვრულია არასაბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი კანონმდებლობით ან/და დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
  9. ინფორმაცია ეროვნული ბანკის ფულის ნიშნების დამახარისხებელი აგრეგატების შემოწმებისა და მათზე დონეების ცვლილებების თაობაზე.
  10. ინფორმაცია საკასო ცენტრში შესანახად შემოტანილი ნივთმტკიცებულებების და ფასეულობების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია გაიცემა მათ შემომტან პირებზე და იმ პირებზე, რომელთა მიმართაც აღნიშნული ნივთმტკიცებულებების თაობაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება საგამოძიებო ან/და სასამართლო ორგანოებში ან/და ამ პირების უფლებამოსილ წარმომადგენლებზე.
  11. საერთაშორისო რეზერვების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელსაც ეროვნული ბანკი აქვეყნებს თავის ვებგვერდზე, წლიურ ანგარიშგებაში ან/და ოფიციალურ გამოცემებში, ასევე იმ ინფორმაციისა, რომელიც დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
  12. მონეტარულ ოპერაციებთან დაკავშირებული განაცხადების შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელსაც ეროვნული ბანკი აქვეყნებს თავის ვებგვერდზე, წლიურ ანგარიშგებაში ან/და ოფიციალურ გამოცემებში, ასევე იმ ინფორმაციისა, რომელიც დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
  13. ეროვნული ბანკის საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის კომპონენტების შესახებ მონაცემები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას მოდულების, კონფიგურაციის, ვერსიების, არსებული დატვირთვის, წარმადობის, მხარდაჭერის, გარანტიის, წვდომის უფლებებისა და მისი რეალიზების საშუალებების, სანცისი კოდების, კრიპტოგრაფიული საშუალებების, სისტემური ლოგების შესახებ გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
  14. საგადახდო სისტემის ოპერატორებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სისტემისა ან/და საგადახდო მომსახურების უსაფრთხოების მექანიზმების შესახებ, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
  15. შიდააუდიტორული სამსახურის როგორც მარნ-მუნებელი, ასევე საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში შემუშავებული ის დოკუმენტები (შემოწმების ანგარიშები, აქტები, მიმოხილვები, მოხსენებით ბარათები, სამუშაო დოკუმენტაცია და ფაქტოლოგიური მასალები, სხვა მხარეების მიერ მომზადებული შეფასებითი ანგარიშები), რომლებიც შეიცავენ აღნიშნული ნუსხის ნებისმიერი ზემოხსენებული პუნქტით განსაზღვრული კონფიდენციალური სტატუსის მატარებელ ინფორმაციას, მასალებსა თუ მონაცემებს, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც დადგენილია ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

## 6.5 კომერციული ბანკის მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენისა და შეთანხმების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს კომერციული ბანკის (შემდგომში – კომერციული ბანკი) მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის (შემდგომში – უსაფრთხოების პოლიტიკა) საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) წარდგენისა და შეთანხმების წესსა და პირობებს.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) უსაფრთხოების პოლიტიკა – კონკრეტულ საბანკო მომსახურების განწვევისას კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პოლიტიკა, რომელიც იქმნება ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შესაბამისად.
- ბ) ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო – საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისათვის, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს კომერციული ბანკის ან უცხოური ბანკის ფილიალის მიერ ეროვნულ ბანკთან შესთანხმებლად წარსადგენი უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის საფუძველს.
- გ) ელექტრონული ხელმოწერა – „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შესრულებული იქნება კომერციული ბანკის მიერ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე.
- დ) უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმება – კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი უსაფრთხოების პოლიტიკის ეროვნული ბანკის მიერ დადასტურება, რომელიც ითვალისწინებს კომერციული ბანკისათვის კონკრეტულ საბანკო მომსახურებაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენის თაობაზე უფლებამოსილების მინიჭებას.

1. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბანკი განსახილველად იღებს კომერციული ბანკის მიერ მომზადებულ უსაფრთხოების პოლიტიკას.
2. უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც მატერიალური დოკუმენტის სახით, ასევე ელექტრონულ ფორმატში და თან ერთვოდეს კომერციული ბანკის განცხადებას კონკრეტული საბანკო მომსახურების განწვევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმების შესახებ. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.
3. ეროვნული ბანკი უსაფრთხოების პოლიტიკის მიღებიდან 60 დღის ვადაში განიხილავს უსაფრთხოების პოლიტიკას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც შესაძლებელია ითვალისწინებს კომერციული ბანკის მიერ კონკრეტულ საბანკო მომსახურების განწვევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების ა) უფლებამოსილების მინიჭებას; ან ბ) უფლებამოსილების მინიჭებაზე უარის თქმას.
4. უსაფრთხოების პოლიტიკაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს განუსაზღვროს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზების აღმოსაფხვრელად დადგენილ პერიოდში ჩერდება ამ მუხლის მესამე პუნქტში განსაზღვრული ვადის დინება;
5. კომერციული ბანკი უფლებამოსილია კონკრეტული საბანკო მომსახურების განწვევისას გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა, მას შემდეგ რაც უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად შევა ძალაში.
6. კომერციული ბანკისათვის კონკრეტულ საბანკო მომსახურების განწვევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაზე უფლებამოსილების მინიჭება თავისთავად არ გულისხმობს კომერციული ბანკის უფლებას ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენოს ნებისმიერი სხვა ტიპის საბანკო მომსახურების განწვევისას.

### მუხლი 4. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კონკრეტულ საბანკო მომსახურებაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებით კომერციულ ბანკს მოსთხოვოს:
  - ა) საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესით, ეროვნული ბანკის სხვა სამართლებრივი აქტებით და წერილობითი მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

- ბ) ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი და შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისათვის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების გატარება;
  - გ) მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ელექტრონული ხელმოწერის, ქალაქდღზე შესრულებული მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის, იდენტური იურიდიული მნიშვნელობის შესახებ. ასევე, მომხმარებლის ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსთხოვოს საინფორმაციო ბუკლეტების ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით ელექტრონულ ხელმოწერასა და ელექტრონულ დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;
  - დ) კომერციულ ბანკს საინფორმაციო ტექნოლოგიური (საინფორმაციო სისტემების და პროცესების) აუდიტის ჩატარება, კომერციულ ბანკში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე, დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის შეფასების მიზნით. ეროვნული ბანკი ითანხმებს კომერციული ბანკის მიერ აუდიტორული კომპანიის შერჩევას, რომელიც კომერციულ ბანკში განხორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ აუდიტს;
  - ე) ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის პოლიტიკის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა. ასევე, ნებისმიერი ინფორმაციის ეროვნულ ბანკისათვის დაუყოვნებლივ მიწოდება, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შეუსრულებლობასთან;
2. ეროვნული ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დროებით შეაჩეროს ან შეწყვიტოს კონკრეტულ საბანკო მომსახურებაზე ან/და სრულად საბანკო მომსახურებაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესი.

### მუხლი 5. უსაფრთხოების პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის განხორციელება

1. ეროვნული ბანკთან უკვე შეთანხმებულ უსაფრთხოების პოლიტიკაში შესაძლებელია შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ეროვნულ ბანკში ექვემდებარება იმავე სახის პროცედურების გავლას, რაც დგინდება ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად;
2. უკვე შეთანხმებულ უსაფრთხოების პოლიტიკაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს კონკრეტულად მხოლოდ ამ ცვლილებებსა და დამატებებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა;
3. უსაფრთხოების პოლიტიკაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილი გამოიყენოს ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება.

### მუხლი 6. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაზე უფლებამოსილების გაუქმება

ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებაზე უფლებამოსილების გაუქმების შემთხვევაში ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტს, რომელშიც მიეთითება უფლებამოსილების გაუქმების ერთ-ერთ შემდეგი საფუძველი:

- ა) კომერციული ბანკის ადმინისტრატორის განცხადება კონკრეტული საბანკო მომსახურების განევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უფლებამოსილების გაუქმების თაობაზე;
- ბ) კომერციული ბანკის მიერ შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნების უხეში დარღვევა
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

## 6.6 ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი

### ნაწილი 1 საფუძველი და დოკუმენტის მიზანი

- 1.1 საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „ეროვნული ბანკი“) გამოდის ინიციატივით და ახორციელებს საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტს. ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს საქართველოს საბანკო სექტორში ქალაქდამკვეთი ხელმოწერის ჩანაცვლებას ელექტრონული ხელმოწერითა და ელექტრონული დოკუმენტი ბრუნვით ყველა იმ შესაძლო ოპერაციაზე, რომლებზეც კონკრეტული კომერციული ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას.
- 1.2 ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს განსაზღვროს ის ძირითადი მოდელი, რომლის შესაბამისად შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა იქნება ქალაქდამკვეთი შესრულებული მატერიალური ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.
- 1.3 ეროვნული ბანკი, როგორც საბანკო სექტორის რეგულატორი და პროექტის ინიციატორი, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სანდო და დაცული გარემოს (შემდგომში „გარემო“) უზრუნველყოფის მიზნით, ითანამშრომლებს ყველა იმ ინსტიტუტთან, რომელიც ჩართული უნდა იყოს აღნიშნული მიზნის მისაღწევად. მათ შორის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობისას იხელმძღვანელებს ეროვნული ბანკისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და განსაზღვრავს მოთხოვნების იმ მინიმალურ ზღვარს, რომელთა დაცვა მიიჩნევა აუცილებელ პირობად.
- 1.4 უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებულ მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად, ეროვნული ბანკი, საერთაშორისო პრაქტიკისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე წინამდებარე და სხვა მონათესავე დოკუმენტების მიზნად არ ისახავს ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული კონკრეტული მოდელის ან/და სქემების (პროდუქტების) განსაზღვრას ან/და დამკვიდრებას. წინამდებარე და სხვა მონათესავე დოკუმენტები უზრუნველყოფენ, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად, ისეთი მოდელის განსაზღვრას, რომელთან შესაბამისობა ეროვნული ბანკის პოზიციიდან

- მიიჩნევა ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის სანდო და დაცული გარემოდ.
- 1.5 ეროვნული ბანკი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და უსაფრთხოების შესაბამისი ზომების ცვლილებასთან ერთად, განახორციელებს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების გარემოს და აუცილებელი მინიმალური ან/და რეკომენდირებული მოთხოვნების განახლებას და/ან გადახედვას.
- 1.6 როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ელექტრონული ხელმოწერის ქალაქდამკვეთი შესრულებული ხელმოწერის ტოლფასი მნიშვნელობით დატვირთვა გულისხმობს რამდენიმე ინსტიტუტის ჩართვას და მათ შორის თანამშრომლობის გარკვეული ფორმატის განსაზღვრას. ასევე, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების გარემოს საბოლოო მომხმარებლის, ხელმოწერის ურთიერთობას აღნიშნულ ინსტიტუტებთან როგორც სტანდარტულ გარემოში, ასევე ისეთ შემთხვევაშიც როცა შეიძლება საეჭვო ან/და სადაო გახდეს კონკრეტული ელექტრონული ხელმოწერა. წინამდებარე დოკუმენტი აღწერს თითოეული მონაწილის როლს აღნიშნულ გარემოში და განიხილება როგორც ჩართული ინსტიტუტების სარეკომენდაციო დოკუმენტი მათ მიერ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შენარჩუნებისთვის და შიდა პროცედურების განსაზღვრისთვის.
- 1.7 „ელექტრონული ხელმოწერის ევროპის სტანდარტიზაციის ინიციატივის“ პრინციპებზე დაყრდნობით, ეროვნული ბანკი სახელმძღვანელოდ მიიღებს შემდეგ დაშვებებს:
- 1.7.1 საერთაშორისო სტანდარტების ადაპტაციის ან/და დამკვიდრებისას ეროვნული ბანკი შემოიფარგლება მაქსიმალურად ზოგადი რეგულაციებით იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია;
- 1.7.2 სტანდარტების უალტერნატივო აუცილებლობიდან გამომდინარე, სადაც შესაძლებელია, მითითება გაკეთდება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტზე, რაც მიღებულ უნდა იქნეს როგორც აღნიშნული სტანდარტის სექტორში დამკვიდრება;
- 1.7.3 სტანდარტებთან შესაბამისობა განხილული იქნეს ორი ძირითადი მიმართულებით:
- ა) საინფორმაციო უსაფრთხოების ხარისხობრივი და პროცედურული სტანდარტები; და
- ბ) პროდუქტის თავსებადობის ტექნიკური სტანდარტები;
- 1.7.4 იმ შემთხვევაში, როცა ხდება ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების გარემოში ჩართული ელემენტების სტანდარტებთან შესაბამისობის დეკლარირება (სერტიფიცირება ან/და შესაბამისობის დადასტურება), ეს განხორციელებული უნდა იქნეს იმ ქვეყანაში არსებული შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს მიერ, რომელ ქვეყანაშიც ოპერირებს პროდუქტის მიმწოდებელი ან/და ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში აღიარებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ;

- 1.8 ეროვნული ბანკი იხელმძღვანელებს ევროკავშირში ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის მოდელის შესაბამისად განსაზღვრული პრინციპებით და მიიჩნევს, რომ სტანდარტიზაცია შესაძლოა გამოიხატოს ორი მიმართულებით:
- 1.8.1 აღიარებულ იქნეს სტანდარტები, რომელთა საშუალებითაც ხდება CSP-ს შეფასება ან/და სერტიფიცირება, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს „ელექტრონული ხელმოწერის სახელმძღვანელო ჩარჩო“-ს შესახებ 1999/93/EC დირექტივით (შემდგომში „დირექტივა“) განსაზღვრულ უსაფრთხოებისა და ფუნქციონალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამ ეტაპზე, აღნიშნული სტანდარტების აღიარება პრაქტიკაში გულისხმობს ამ პრინციპით შერჩეული CSP-ს დაშვებას საბანკო სექტორში; და
- 1.8.2 აღიარებულ იქნეს ელექტრონული ხელმოწერის შესრულებისთვის გამოყენებული პროდუქტების შესაფასებელი ის სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ელექტრონული ხელმოწერის დაცულობას და მისი ლეგალურ ეფექტს ზემოთ აღნიშნული დირექტივის შესაბამისად.
- 1.9 ასევე, ეროვნული ბანკი იხელმძღვანელებს ელექტრონული ხელმოწერის ტექნიკური თავსებადობის სტანდარტებით, რომელთა მიხედვით გამოყენებულ პროდუქტებსა და მომსახურებას შორის თავსებადობა ნიშნავს პროდუქტების სტანდარტიზაციასა და შესაბამის თავსებადობას, რაც კომერციულ ბანკს საშუალებას აძლევს იყიდოს/გამოიყენოს კონკრეტული კომპონენტები განსხვავებული მომწოდებლებისგან.
- 1.10 პრაქტიკაში, აღნიშნული სტანდარტების გამოყენება გულისხმობს ევროკავშირში ან/და ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეულ სხვა საკანონმდებლო სივრცეში არსებული მომწოდებლების პროდუქტებისა და მომსახურების დაშვებას საქართველოს საბანკო სექტორში.
- 1.11 ზემოთ აღნიშნული დაშვებებიდან გამომდინარე, საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა დამყარებული იქნება იმ პრინციპებსა და სტანდარტებზე, რაც განსაზღვრულია ევროკავშირში არსებული რეგულაციებით. ასევე, ეროვნული ბანკი გამოიყენებს სხვა, მის მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში მოქმედ რეგულაციებსა და სტანდარტებს, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნები შეფასდება უფრო მეტად დაცულად ან/და ბიზნეს პროცესებთან თავსებითად.
- 1.12 შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი იხელმძღვანელებს აღნიშნული პრინციპით და განსაზღვრავს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების გარემოში მონაწილე ინსტიტუტების ფუნქციებს და ასევე, გამოყენებული პროდუქტებისა და სერვისების საბანკო სექტორში დაშვების პრინციპებს.
- 1.13 საქართველოს საბანკო სექტორში, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის (შემდგომში „უსაფრთხოების

პოლიტიკა“) შედგენის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მომზადდება ცალკე დოკუმენტის სახით.

## გამოყენებული ტერმინები

- ა) **ელექტრონული ხელმოწერა** – „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შესრულებული იქნება კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;
- ბ) **ხელმოწერი** – ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს ხელმოწერის შექმნის მონეობილობას ისე, რომ ინარჩუნებს მასზე ერთპიროვნულ კონტროლს და მოქმედებს თავისი სახელით ან სხვისი სახელით, რომელსაც ის წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- გ) **ერთპიროვნული კონტროლი** – ხელმოწერის გარდა არცერთ პირს დამოუკიდებლად ან სხვა პირთან/პირებთან ერთად არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ხელმოწერა ხელმოწერის ნაცვლად;
- დ) **ელექტრონული ხელმოწერის ევროპის სტანდარტიზაციის ინიციატივა (EESSI)** – პროექტი, შექმნილი ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივის დანერგვის სტანდარტიზაციის მიზნით;
- ე) **სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP)** – ნებისმიერი უფლებამოსილი იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკატის გამოშვებას ან ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ მომსახურებას;
- ვ) **სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი (CA)** – ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გამომშვები სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP), რომლის სერვისითაც სარგებლობს ერთი ან ერთზე მეტი მომხმარებელი და მის მიერ გამოშვებული სერტიფიკატი სანდოა მესამე მხარისთვის;
- ზ) **განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა** – ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
- დაკავშირებულია მხოლოდ ხელმოწერთან;
  - მისი მეშვეობით შესაძლებელია ხელმოწერის იდენტიფიცირება;
  - შექმნილია ხელმოწერის შექმნისთვის აუცილებელი მონაცემების გამოყენებით ისე, რომ ხელმოწერი ხელმოწერის პროცესში უზრუნველყოფილია ნდობის მაქსიმალური პირობებით, რათა ხელმოწერა განხორციელდეს მისი ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ;
  - დაკავშირებულია იმ მონაცემებთან, რომელსაც ხელმოწერი ხელს აწერს ისე, რომ ხელმოწერა იძლევა ამ მონაცემებში ნებისმიერი ცვლი-



- ლების აღმოჩენის შესაძლებლობას;
- თ) **იდენტიფიცირება** – ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით ხელმომწერის იდენტურობის დადგენა, რაც უკავშირდება ელექტრონულ ხელმოწერაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური მონაცემის მონაწილეობას. აღნიშნული არ გულისხმობს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის“ შესახებ საქართველოს კანონისა და მისა საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ იდენტიფიცირებას;
- ო) **კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა** – განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შექმნილია უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მონაცემების (SSCD) მეშვეობით და იყენებს კვალიფიციურ სერტიფიკატს;
- კ) **სერტიფიკატი** – ელექტრონული დადასტურება, რომელიც აკავშირებს „ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემებს“ კონკრეტულ პირთან და ადასტურებს ამ პირის იდენტობას;
- ლ) **კვალიფიციური სერტიფიკატი** – სერტიფიკატი, გამოშვებულია იმ სერტიფიკაციების სერვისის მიმწოდებლის (CSP) მიერ, რომელიც აკმაყოფილებს დირექტივის დანართი 2-ის მოთხოვნებს და შეესაბამება ამავე დირექტივის დანართი 1-ის მოთხოვნებს;
- მ) **ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების** – პროგრამული უზრუნველყოფა ან/და მონაცემების (აპარატურა), რომელიც გამოიყენება „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების“ წარმოქმნისთვის;
- ნ) **ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემები** – უნიკალური მონაცემების ერთობლიობა, როგორცაა კოდები ან/და დახურული კრიპტოგრაფიული გასაღებები, რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის მიერ ელექტრონული ხელმოწერის შექმნისთვის;
- ო) **ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემები** – მონაცემები, როგორცაა კოდები ან შიფრაციის ღია გასაღები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობის დასადაგენად;
- პ) **ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები** – ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების შემადგენელი ნაწილი, კერძოდ სტატიკური და დინამიური მონაცემების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულ ხელმოწერასთან, უნიკალურია თითოეული ხელმოწერი პირისთვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება და შესაძლოა შეიცავდეს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების მიერ განსაზღვრულ სხვა, დამატებით მონაცემებს;
- ჟ) **საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო** – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს საბანკო სექტორში ელექტრონულ

- ლი ხელმოწერის გამოყენებისთვის სანდო და დაცული გარემოს შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტს, რაც ასევე წარმოადგენს კომერციული ბანკის ან უცხოური ბანკის ფილიალის (საბანკო სექტორი) მიერ, ეროვნულ ბანკთან შესათანხმებლად წარსადგენი უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის საფუძველს;
- რ) **ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილი** – ღია და დახურული გასაღები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისა და დეშიფრაციისთვის;
- ს) **შიფრაციის ღია გასაღები** – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში და გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისთვის;
- ტ) **შიფრაციის დახურული გასაღები** – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში, ცნობილია მხოლოდ იმ პირისთვის, რომელმაც განახორციელა გასაღების წყვილის გენერირება ან/და ახორციელებს მის მართვას და გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაციისთვის;
- უ) **ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირება და მართვა:**
- ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირება საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და იმ ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, რასაც ეროვნული ბანკი განსაზღვრავს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ შესაბამისად;
  - ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის დახურული გასაღების უსაფრთხო და საიმედოდ შენახვა, ასევე, დაცულ მატარებელზე დატანილი შიფრაციის დახურული გასაღების ასლის ეროვნული ბანკისათვის დაცული სახით გადაცემა მისი შენახვის მიზნით;
  - ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის ღია გასაღების დაცული გზით გადაცემა ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების მწარმოებლისთვის ან დამკვეთი კომერციული ბანკისთვის;
  - ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაცია და მიღებული ინფორმაციის ამავე ექსპერტიზის განმახორციელებელი პირისთვის გადაცემა;
  - ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში, ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებასა და მართვასთან დაკავშირებული

არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება და მართვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად;

- ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ევროკავშირში არსებული სარეკომენდაციო ალგორითმების და ტექნიკური ფორმატების გამოყენების შესახებ ამ ტერმინით განსაზღვრული ფუნქციის შემსრულებელი პირის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის მიწოდება როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე კონტრაქტორი კომერციული ბანკებისთვის;

ფ) **ელექტრონული შტამპი** – კომერციული ბანკის მიერ შესრულებული ელექტრონული დადასტურება, რომელიც მიზნულია ელექტრონულ დოკუმენტზე და ადასტურებს ამ კომერციული ბანკის მიერ ელექტრონული დოკუმენტის მომზადებას.

## ნაწილი 2 პროექტის ზოგადი მიმოხილვა

- 2.1 „ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი“, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მიზნად ისახავს საქართველოს საბანკო სექტორში სულ მცირე „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ დანერგვის შესაძლებლობას.
- 2.2 „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“ განისაზღვრება ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივის შესაბამისად და ითვალისწინებს მინიმუმ უსაფრთხოების იმ მოთხოვნების დაცვას, რაც განსაზღვრულია ამ დირექტივით.
- 2.3 „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ ასევე „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად და ზემოთაღნიშნული დირექტივისა და ევროკავშირში მოქმედი სხვა დაკავშირებული საკანონმდებლო და სარეკომენდაციო დოკუმენტების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი შეიმუშავებს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს“, რომელიც მიიღება, როგორც საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სანდო და დაცული გარემოს შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რაც ასევე წარმოადგენს ეროვნულ ბანკთან შესათანხმებლად წარსადგენი, კომერციული ბანკის „ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის“ შემუშავების მეთოდოლოგიურ საფუძველს.
- 2.4 ეროვნული ბანკი აღნიშნულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ პრინციპებზე დაყრდნობით ეთანხმება ან არ ეთანხმება კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილ უსაფრთხოების პოლიტიკას.

2.5 ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა იქნეს ქალაქდამატერიალური ხელმოწერის თანაბარ იურიდიულ ძალას.

2.6 პროექტის დანერგვა გულისხმობს, კომერციული ბანკის ნებას გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა თავის ბიზნეს პროცესებში და არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც სავალდებულო ნორმა. მიუხედავად ამისა, თუ კომერციული ბანკი სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენებს ელექტრონულ ხელმოწერას, ის ვალდებულია შეინარჩუნოს ქალაქდამატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის განხორციელების შესაძლებლობა ყველა იმ ოპერაციაზე, სადაც მომხმარებელს შესთავაზებს ელექტრონულ ხელმოწერას და შესაბამისად ელექტრონულ დოკუმენტ ბრუნვას. ეს ნიშნავს, რომ კომერციული ბანკი, რომელიც ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად თავის საქმიანობაში გამოიყენებს ელექტრონულ ხელმოწერას, ვალდებულია უზრუნველყოს ქალაქდამატერიალური ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა.

2.7 როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით პროექტის განხორციელება მინიმუმ გულისხმობს:

2.7.1 ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი სტატუსის და შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტის აღიარებას შესამე მხარის მიერ;

2.7.2 ელექტრონული ხელმოწერის შესრულების სტანდარტების დაცვას არსებული მონინავე ტექნოლოგიების და უსაფრთხოების რეკომენდირებული სტანდარტების გამოყენებით;

2.7.3 საბანკო სექტორში CSP-ს მომსახურების დაშვების უზრუნველსაყოფად, ამ უკანასკნელის საქმიანობის სანდოობის და უსაფრთხოების კრიტერიუმების მოდელის განსაზღვრას ისე რომ, დაცული იქნეს საბანკო პრინციპები და ასევე, შეუფერხებლად განხორციელდეს ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზარზე დამკვიდრების პროცესი. ანალოგიური მიდგომა გამოყენებული იქნება „ხელმოწერის შექმნის მონაცემების“ მწარმოებლების მიმართ;

2.7.4 ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების საიმედოდ დაცვის მოდელის შემუშავებას;

2.7.5 ხელმოწერის საეჭვოდ ან/და სადავოდ ცნობის შემთხვევაში, ქვეყნის შიგნით შესაბამისი ექსპერტიზის შესაძლებლობას;

2.7.6 ხელმოწერის ცნობადობის ამოღებას ელექტრონული ხელმოწერის იურიდიული ძალის მნიშვნელობის შესახებ.

2.8 პროექტის განხორციელებისთვის ეროვნული ბანკი:

2.8.1 გამოიყენებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას და ასევე, ხელს შეუწყობს შესაბამისი სამართლებრივი გარემოს შექმნისთვის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციე-

- ლებას ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის მიზნით;
- 2.8.2 იხელმძღვანელებს ევროკავშირში ან/და მის მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში არსებული რეგულაციებით, სტანდარტებით და რეკომენდაციებით. ასევე პროექტი ცალსახად განსაზღვრავს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებას ღია/დახურული გასაღების პრინციპის, ასიმეტრიული კრიპტოგრაფიისა და სერტიფიკატზე დამყარებული ხელმოწერის (PKI) პრინციპების დაცვას. ღია გასაღების ინფრასტრუქტურა (PKI) განიხილება, როგორც მომსახურების, სტანდარტების, პროტოკოლების და პროგრამული უზრუნველყოფის კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს ღია გასაღების შიფრაციის ტექნოლოგია. PKI ასევე შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ღია გასაღების სერტიფიკატზე დამყარებული სანდო იერარქია. სხვა შემთხვევაში შესაძლოა, ასევე გაგებულ იქნეს, როგორც შიფრაციისა და ციფრული სერტიფიკატის მომსახურების მინოდება. PKI ასევე, არის გარემო, რომელიც ახორციელებს ღია გასაღების მართვას CA-ს მიერ გამოშვებული ციფრული სერტიფიკატის მეშვეობით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს აღნიშნულ გარემოში განახორციელოს დაცული კომუნიკაცია და ოპერაციები;
- 2.8.3 „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ შესაბამისად და თავისუფალი საბაზრო პრინციპის დაცვით შეაფასებს კომერციული ბანკის მიერ მომზადებულ „უსაფრთხოების პოლიტიკას“ და კომერციული ბანკის არჩევანს კონკრეტული პროდუქტის ან/და სერვისის გამოყენებაზე;
- 2.8.4 უპირატესობას მიანიჭებს მხოლოდ იმ CSP, რომელთა საქმიანობა წარმოადგენს კონტროლირებად ან/და რეგულირებად საქმიანობას ევროკავშირში ან ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში, ან მისი მომსახურება აკმაყოფილებს უსაფრთხოების იმ მინიმალურ დონეს, რაც ექნებოდათ აღნიშნულ სივრცეში რეგულირებად CSP-ს და ეს შესაბამისობა ყოველწლიურად დამოწმებულია საერთაშორისოდ აღიარებული, სანდო და შესაბამისი სპეციალიზაციისა და უფლებამოსილების მქონე აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული საინფორმაციო სისტემების და შესაბამისი პროცესების შესახებ დასკვნით ან/და შესაძლებელია მისი შესაბამისობის დადასტურება სხვა აღიარებული საშუალებებით;
- 2.8.5 ხელმოწერის მონაცემების საიმედოდ დაცვის მიზნით, გამოიყენებს ევროკავშირში ან/და ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში არსებულ რეგულაციებს, სტანდარტებს, რეკომენდაციებს და საუკეთესო პრაქტიკას;
- 2.8.6 საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიზნით ითანამშრომლებს შე-

- საბანკის ინსტიტუტებთან ხელმოწერის საეჭვოდ ან/და სადავოდ ცნობის შემთხვევაში, ქვეყნის შიგნით ექსპერტიზის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, მისი კომპეტენციის ფარგლებში;
- 2.8.7 მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ითანამშრომლებს იმ კონკრეტულ კომერციულ ბანკთან, რომელიც დანერგავს ელექტრონულ ხელმოწერას, იმ მიზნით რომ მომხმარებელი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებამდე სრულად იყოს გათვითცნობიერებული მისი ლეგალური შედეგის შესახებ.

### ნაწილი 3 დირექტივის ძირითადი პრინციპები

- 3.1 ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტის ფარგლებში ეროვნული ბანკი ამოსავალ წერტილად მიიჩნევს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებს და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს“. იმისათვის, რომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს კომერციული ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმება (ეროვნულ ბანკთან), აუცილებელ ფაქტორად თვლის იმ ქვეყნებში მოქმედი რეგულაციებით, სტანდარტებითა და რეკომენდაციებით ხელმძღვანელობას, სადაც არსებობს ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის პრაქტიკა. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენება განაპირობებს საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს შექმნას. ამ უკანასკნელს ეროვნული ბანკის მხრიდან ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან საბანკო სექტორში დანერგილ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს სრული იურიდიული ძალა, იგივე რაც ქალაქდღმე შესრულებულ მატერიალურ ხელმოწერას.
- 3.2 რამდენადაც ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივის მიზანს წარმოადგენს ბიძგი მისცეს ელექტრონული ხელმოწერის განვითარებას და ელექტრონული ხელმოწერის ლეგალურ აღიარებას, ასევე დაამკვიდროს სამართლებრივი ჩარჩო როგორც ელექტრონული ხელმოწერისთვის, ასევე გარკვეული ტიპის სასერტიფიკატო მომსახურებისთვის (დირექტივა, ნაწილი I), ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ ეს დირექტივა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო თუ სარეკომენდაციო დოკუმენტები, ევროკავშირში მათი გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შემდგომ მიჩნეულ იქნეს შესაბამის ბაზად საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის.
- 3.3 პრაქტიკაში დირექტივის მართებულად გაგებისა და გამოყენების მიზნით, საჭიროა აღი-

- ნიშნოს, რომ მოცემული პროექტის ფარგლებში ტერმინი „ელექტრონული ხელმოწერა“ გულისხმობს დირექტივით განსაზღვრულ „განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერას“ (ან უფრო ძლიერი დაცვის მქონე ხელმოწერას), რომელიც საჭიროა აკმაყოფილებდეს ამავე დირექტივით განსაზღვრულ ოთხ მოთხოვნას.
- 3.4 „განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერის“ განმარტების ზოგადი და „ტექნოლოგიურად ნეიტრალური“ ბუნებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში მისი გამოყენება გულისხმობს ხელმომწერის იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემების შიფრაციას, ამ მონაცემების ხელმოსაწერ დოკუმენტთან დაკავშირებასა და სერტიფიკატზე დამყარებული ხელმოწერის განხორციელებისას ასიმეტრიული შიფრაციას რეკომენდირებული ალგორითმებით და PKI-ს სხვა პრინციპების გამოყენებით.
- 3.5 ხელმოწერის განხორციელება განიხილება როგორც ხელმომწერის მიერ ელექტრონული ხელმოწერის შექმნა, ხოლო „ხელმოწერი“ შესაძლებელია იყოს მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელიც ხელმოწერის პროცესში ფლობს „ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას“ და ინარჩუნებს მასზე ერთპიროვნულ კონტროლს. ხელმომწერი შეიძლება მოქმედებდეს როგორც თავისი, ასევე სხვა პირის სახელით.
- 3.6 ხელმოწერის შექმნის მოწყობილობაზე „ერთპიროვნული კონტროლი“ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მიზნებისთვის ნიშნავს, როცა ხელმომწერის გარდა არცერთ პირს დამოუკიდებლად ან სხვა პირთან/პირებთან ერთად არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ხელმოწერა ხელმომწერის ნაცვლად.
- 3.7 დირექტივის შესაბამისად „სერტიფიკატი“ ესაა ელექტრონული დადასტურება, რომელიც აკავშირებს „ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემებს“ კონკრეტულ პირთან და ადასტურებს ამ პირის იდენტობას. მნიშვნელოვანია განიმარტოს ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენების არეალი ამ პროექტის, როგორც საბანკო სექტორში „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ გამოყენების მიზნით. რამდენადაც სერტიფიკატი გაგებული უნდა იქნეს, როგორც CA-ს მიერ გამოშვებული, მომხმარებლისთვის განკუთვნილი ღია გასაღები გარკვეულ, სხვა ინფორმაციასთან ერთად, როცა სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის (CA) დახურული გასაღები გამოიყენება, რათა შიფრაციის საშუალებით გაყალბებისგან დაცული იქნეს ესა თუ ის ინფორმაცია.
- 3.8 „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ შექმნისთვის განკუთვნილი სანდო და დაცული გარემო გამოიყენებს კონკრეტული სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის (CA) მიერ კონკრეტული კომერციული ბანკისთვის გაცემულ ხელმოწერის სერტიფიკატს. მოცემული სერტიფიკატით (მისი გამოყენებით) უზრუნველყოფილი იქნება ღია და დახურული გასაღებების გენერირება უსაფრთხოების შეთ-
- ანხმებული სტანდარტებით. ხელმომწერის ბიომეტრიული მონაცემების დოკუმენტთან კავშირი და ხელმომწერილი დოკუმენტის უცვლელიობა დადასტურებული იქნება აღნიშნული სერტიფიკატით. ეს სქემა გაგებული უნდა იქნეს, როგორც „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა.
- 3.9 „სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი“ (CA), ასევე ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიმწოდებლები (რომლებიც ერთიანდებიან ტერმინი CSP-ს ქვეშ) უნდა აკმაყოფილებდნენ დირექტივითა და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომ ამ პროექტის ფარგლებში დაშვებულ იქნენ საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის.
- 3.10 დირექტივიდან გამომდინარე, CSP მოიცავს სანდო სერვისის მიწოდების ყველა მიმართულებას, თუ ეს სერვისი უკავშირდება ელექტრონული ხელმოწერის შესრულებას. დირექტივის დანერგვის არსებული მასშტაბის გათვალისწინებით, პროექტი ითვალისწინებს ელექტრონული ხელმოწერის შესრულებასთან დაკავშირებულ შემდეგი მომსახურების გამოყენებას: „სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი“-ს მომსახურება (CA), „დროის აღნიშვნა“ (Time stamp services) და ელექტრონული დოკუმენტის არქივირება და გრძელვადიანი ვალიდაცია. სხვა დანარჩენი (როგორცაა Registration authority services, Directory services ან/და სხვა შესაძლოა განხილულ იქნეს მომავალში).
- 3.11 მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ფორმატი არ ითვალისწინებს „კვალიფიციური სერტიფიკატის“ გამოყენებას, CSP-ს განხილვისას, შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნება კვალიფიციურ სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებული, აღნიშნული დირექტივისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნები. ასევე, ნებისმიერი CSP, რომელიც დაარსებულია და ექცევა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის იურისდიქციაში, შეფასებული იქნება დირექტივის მე-7 თავის პრინციპების და მთლიანად ამ დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 3.12 ეს მიდგომა განპირობებულია ორი მოსაზრებიდან გამომდინარე: პირველი – აღიარებული და დაცული იქნეს დირექტივის მოთხოვნები, და მეორე – დაშვებული იქნეს ის სასერტიფიკატო მომსახურება, რომელიც აღიარებულია ევროკავშირში ან აკმაყოფილებს ამ სივრცეში აღიარებულ სტანდარტებს.
- 3.13 CSP სავალდებულოა აკმაყოფილებდეს დირექტივის დანართი II-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო ამავე დებულების დანართი I-ით განსაზღვრული მოთხოვნები, რომელიც განკუთვნილია „კვალიფიციური სერტიფიკატისთვის, დაცული უნდა იქნეს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ შესასრულებლად.

- 3.14 დირექტივის აღნიშნული დანართების პრაქტიკაში უკეთ გაგების მიზნით, EESSI განსაზღვრავს CSP-ს ზოგად მოთხოვნებს:
- 3.14.1 CSP-ს ოპერაციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განეული მომსახურებისგან დამოუკიდებლად, საჭიროა შემუშავებული და დაცული იქნეს თვე ჩოდე ოფ Pრაქტიცე რომელიც უნდა ემყარებოდეს CSP -ს მართვის აღიარებულ სტანდარტებს. აღნიშნული Code of Practice მოიცავს უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირებისა და აღმოჩენილი რისკების შესაბამისი კონტროლის მეთოდებს. დოკუმენტით მოთხოვნილი სტანდარტები: BS 7799, ISO TR 13335; COBIT. საინფორმაციო ტექნოლოგიების უახლესი ტენდენციების დანერგვის მიზნით, ეროვნული ბანკი განახორციელებს მითითებული ან/და სხვა ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული სტანდარტების რეგულარულ გადახედვას და შესაბამისად იხელმძღვანელებს განახლებული დოკუმენტებით;
- 3.14.2 გამოყენებული იყოს სანდო და დაცული გარემო, იმის გათვალისწინებით თუ რას მოითხოვს CSP -ს რისკების შეფასების სისტემა. მიღწეულ იქნეს უსაფრთხოების მართვის სტანდარტიზებული მოდელი, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად;
- 3.14.3 დაცული იქნეს ტექნიკური სტანდარტები, მომსახურების ტიპის შესაბამისად;
- 3.14.4 უზრუნველყოფილ იქნეს პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტირება: CSP, თავისი გადაწყვეტილების ფარგლებში ირჩევს თუ როგორ წარმართავს საქმიანობას და რომელ მომსახურებას შესთავაზებს. მაგრამ იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს შეფასება თუ რამდენად შეესაბამება CSP თავის მიზნებს, საჭიროა გამჭვირვალობის სათანადო დონის დაცვა. ამ მიზნისთვის CSP საჭიროა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.
- 3.15 პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, CSP-ს შესაბამისობის დირექტივის მოთხოვნებთან შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება ევროკავშირში ან/და ეროვნული ბანკი მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში აღიარებულ CSP-ს, ასევე იმ CSP-ს რომლებიც აღნიშნულ საკანონმდებლო სივრცეში ექვემდებარებიან შესაბამისი ორგანოების ზედამხედველობას.

**საქართველოს საბანკო საქმეებში ელექტრონული ხელმოწერისთვის დირექტივის დანერგვის საწყისი მდგომარეობა შემდეგია:**

<p>დირექტივის პრინციპები საქართველოს საბანკო სექტორში</p>	<p>ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც მოითხოვს მინიმუმ „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ ან/და დაცვის უფრო მაღალი ხელმოწერისთვის შექმნის გარემოს;</p> <p>საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“</p>
<p>განმარტებები (art. 2)</p>	<p>ელექტრონული ხელმოწერა: დაცული იყოს საიდენტიფიკაციო მონაცემების (მაგ: ბიომეტრიული მონაცემების) ღია გასაღების კრიპტოგრაფიის (Public Key cryptography) შესრულება და მონაცემების ინტეგრირება;</p> <p>ხელმოწერი: ფიზიკური პირი, რომელიც ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობაზე ინარჩუნებს ერთპიროვნულ კონტროლს.</p> <p>ხელმოწერი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.</p> <p>ერთპიროვნული კონტროლი: როცა ხელმოწერის გარდა არცერთ პირს დამოუკიდებლად ან სხვა პირთან/პირებთან ერთად არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ხელმოწერა ხელმოწერის ნაცვლად</p>
<p>ხელმოწერის ტიპი</p>	<p>განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა კვალიფიციური ხელმოწერა</p>
<p>ქალაქდზე ხელმოწერის ლეგალური ექვივალენტი (art. 5.1)</p>	<p>ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „უსაფრთხოების პოლიტიკის“ შესაბამისად საქართველოს საბანკო სექტორში შექმნილი ხელმოწერა</p>

ელექტრონული ხელმოწერის ლეგალური ეფექტი (art. 5.2)	ელექტრონული ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტი წარმოადგენს მტკიცებულებას ყოველთვის, სადაც კანონი მოითხოვს ქალაქში მატერიალურ ხელმოწერას; „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად ელექტრონული ხელმოწერა არ გამოიყენება იმ ოპერაციებზე, სადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოითხოვს ქალაქში არსებულ ხელმოწერას; ეროვნული ბანკი განიხილავს აღნიშნულ მოთხოვნების გავრცელებას (ვალის აღიარება, თავდებობა) გულისხმობს იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის, გარანტიის შინაარსის ნებისმიერი გარიგების მიმართ
დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა	არ არსებობს
საერთაშორისო პერსპექტივა (art. 7)	საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებული ხელმოწერა; ევროკავშირში ან/და სხვა ეროვნული ბანკისთვის სანდო საკანონმდებლო სივრცეში აღიარებული CA-ს გამოყენება;
მონაცემების დაცვა (art. 8)	კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“; კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“; ელექტრონული დოკუმენტის შენახვის ვადა - 15 წელი (კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ); საოპერაციო რისკების მართვის ეროვნული ბანკის საზედამხებდველო ჩარჩო;
დირექტივის დანართების დანერგვა	მოთხოვნა „სერტიფიკატის“ მიმართ მსგავსია დანართი I-ში წარმოდგენილი მოთხოვნების; მოთხოვნები CSP-ს მიმართ იგივეა რაც დანართი II; SSCD ამ ეტაპზე არ იგეგმება, თუმცა განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერაზე ვრცელდება დანართი III-ის მოთხოვნები; დანართი IV დანერგვა არ ხდება, თუმცა დაცული იქნება ზოგიერთი პუნქტი;
სერტიფიკატით მომსახურება - შესაბამისი მუხლები	არ არსებობს სერტიფიკატით მომსახურებასთან დაკავშირებული რეგულირების მექანიზმი; საბანკო სექტორში აღიარდება ევროკავშირში და სხვა, ეროვნული ბანკისთვის სანდო საკანონმდებლო სივრცეში რეგულირებადი CSP, ან ქვეყანაში არსებული მომსახურების გამწვევი, თუ შესაძლებელია მოთხოვნილ სტანდარტიზაციასთან შესაბამისობის დადგენა
CSP ქვეყანაში	არ არსებობს აღიარებული CSP „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-7 პუნქტით მინიჭებული აქვს უფლება „აკრედიტაციის გავლის გარეშე გასცეს ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი“
ელექტრონული ხელმოწერის ფართო გამოყენება	გამოიყენება საბანკო პროდუქტების გამოყენებისას
თავსებადობის შეფასება	სავალდებულოა დაცული იქნეს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების შესაბამისობა საიდენტიფიკაციო მონაცემების აღების, კრიპტოგრაფიის, დოკუმენტთან ინტეგრირების და სანდო „სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის“ მიმართ არსებულ ევროკავშირის მოთხოვნებთან

სტანდარტების გამოყენება (article 3.5)	სავალდებულოა ევროკავშირში აღიარებული სტანდარტების დაცვა; მოთხოვნილია მოქმედი „სარეკომენდაციო“ ალგორითმების გამოყენება
ელექტრონული ხელმოწერის ბაზარი საბანკო სექტორში	საწყისი პროექტი: სექტორის რამდენიმე ბანკი
ვერ-მისამართი	www.nbg.gov.ge

## ნაწილი 4 მონაწილე მხარეები და მათი ფუნქციები

- 4.1 ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა გული-სხმობს ისეთი სანდო და დაცული გარემოს შექმნას, როცა შესრულებულია ინფრასტრუქტურული და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სისტემის მონაწილე მხარეების მიერ. ქვევით წარმოდგენილია აღნიშნული მინიმალური მოთხოვნების არასრული სია:
  - 4.1.1 ხელმომწერი ფლობს ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას და აქვს ერთპიროვნული კონტროლი მასზე;
  - 4.1.2 გარანტირებულია დოკუმენტის მთლიანობა და უცვლელობა;
  - 4.1.3 უზრუნველყოფილია სანდო CSP-ს და მონიავე ტექნოლოგიების გამოყენებით აღჭურვილი ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის გამოყენება;
  - 4.1.4 უზრუნველყოფილია დოკუმენტზე დროის აღნიშვნა მომსახურების გამწვევი სანდო პირის მიერ;
  - 4.1.5 დაცულია ხელმომწერის ბიომეტრიული ან/და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები;
  - 4.1.6 დაცულია მომხმარებლის უფლებები, რაც მინიმუმ გამოიხატება ელექტრონული ხელმოწერის ლეგალური ეფექტის შესახებ ინფორმირებულობასა, ხელმოწერამდე დოკუმენტის გაცნობასა და დოკუმენტის ორიგინალზე ხელმისაწვდომობაში;
  - 4.1.7 უზრუნველყოფილია ხელმოწერის სადაოდ ან/და საეჭვოდ ცნობის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა.
- 4.2 ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების გარემო წარმოდგენილია შემდეგი მონაწილე მხარეებით:
  - 4.2.1 ეროვნული ბანკი – განსაზღვრავს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის უსაფრთხოების მინიმალურ ზღვარს და უფლებას აძლევს კომერციულ ბანკს გამოიყენოს უსაფრთხოების ამ მოდელით შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა;
  - 4.2.2 კომერციული ბანკი – შეიმუშავებს უსაფრთხოების პოლიტიკას და შესათანხმებლად წარუდგენს ეროვნულ ბანკს;
  - 4.2.3 ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მოწოდებელი – უზრუნველყოფს მოწყობილობისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მოწოდებას;

- 4.2.4 სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი – გასცემს ხელმოწერის სერტიფიკატს;
- 4.2.5 „დროის აღნიშვნის“ მომსახურების გამწვევი – პირი, რომელიც კომერციულ ბანკს აწვდის ამ მომსახურებას;
- 4.2.6 ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო – უზრუნველყოფს ხელმომწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისთვის აუცილებელი გასაღების წყვილის გენერირებას და მის მართვას;
- 4.2.7 ექსპერტიზა – იღებს საექსპერტო მასალას ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანოსგან და ახორციელებს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზას;
- 4.2.8 ხელმომწერი – ფიზიკური პირი.
- 4.3 ეროვნული ბანკი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრავს მისთვის მისაღები სანდო და დაცული გარემოს შექმნისთვის მომსახურების გამწვევის, გამოყენებული პროდუქტის, უსაფრთხოების დონის, რისკების მართვის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სავალდებულო დონეს, რისთვისაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული შეიმუშავებს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სახელმძღვანელოს“. ეროვნული ბანკი ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ინიციატივის შესახებ ინფორმაციას გამოაქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე, სადაც მითითებული იქნება როგორც საბანკო სექტორში ეროვნული ბანკის მიერ დაშვებული „სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი“, ასევე ექსპერტიზის ის ერთეულები, რომელიც ითანამშრომლებს ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანოსთან ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის ჩატარების მიზნით.
- 4.5 ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობის უზრუნველყოფისთვის, ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკთან ერთად ითანამშრომლებს ექსპერტიზის განმხორციელებელ სანდო პირებთან და საბანკო სექტორში „ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ დაშვებამდე გაივლის კონსულტაციას მასთან, რომ არ მოხდეს საბანკო სექტორში ისეთი მოწყ-

- ობილობის გამოყენება, რომელზე შესრულებული ხელმოწერისთვის შეუძლებელი იქნება ექსპერტიზის ჩატარება ქვეყნის ტერიტორიაზე.
- 4.6 კომერციული ბანკი, ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის შესახებ გადამწყვეტილების მიღების შემთხვევაში ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს შესაბამისად, შეიმუშავებს უსაფრთხოების პოლიტიკას და შესათანხმებლად წარუდგენს ეროვნულ ბანკს.
- 4.7 კომერციული ბანკი, თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე ირჩევს მონაცემების მომწოდებელს და CSP-ს, ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული მომსახურების მიღების მიზნით.
- 4.8 ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამზადების გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო, ახორციელებს „ხელმოწერის შექმნის მონაცემობაზე“ აღებული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების საიმედოდ დამზადებისა და დაცვის მიზნით შესაბამისი გასაღების წყვილის გენერირებას. ასევე, უზრუნველყოფს ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამზადების ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში. საბანკო სექტორისთვის ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფად, ეროვნული ბანკი თანამშრომლობს ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამზადების გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელ ორგანოსთან და მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული ორგანო შეასრულებს PKI სქემაში განსაზღვრულ როლს ყველა კომერციული ბანკისთვის (რისთვისაც გაფორმდება ხელშეკრულება კომერციულ ბანკსა და ამ ორგანოს შორის).
- 4.9 ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამზადების გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო დაიცავს გასაღების „გენერირებისა და მართვის“ იმ სტანდარტს, რომელიც იქნება უახლესი დროის ნებისმიერი მომენტისთვის.
- 4.10 ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამზადების გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო ითანამშრომლებს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განმახორციელებელ რეზიდენტ ან/და არარეზიდენტ ორგანოსთან. მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელებს ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამზადების და მიღებული ინფორმაციის დაცული გზით გადაცემას ექსპერტიზის მხარისთვის. ამ მიზნით ის უზრუნველყოფს:
- 4.10.1 „ხელმოწერის შექმნის მონაცემობაზე“ მწარმოებლისგან პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას ან საკუთარი რესურსით ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, რომლით-

- აც ხორციელდება ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დამზადება;
- 4.10.2 დამზადებული ინფორმაციის ექსპერტიზისთვის უსაფრთხოდ გადაცემას.
- 4.11 ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც ამოთქვამს მზაობას მოთხოვნის შემთხვევაში შეასრულოს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა და აღნიშნულის განსახორციელებლად აღჭურვილი იქნება შესაბამისი ტექნოლოგიით და კვალიფიკაციის მქონე პერსონალით, ითანამშრომლებს ეროვნულ ბანკთან და სანდო მხარედ მიჩნევის შემთხვევაში ეროვნული ბანკი ინფორმაციას განათავსებს საკუთარ ვებ-გვერდზე.
- 4.12 ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანო უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელების შესაძლებლობას საბანკო სექტორში დაშვებული ყველა იმ მწარმოებლის ხელმოწერის შექმნის მონაცემობაზე შესრულებული ხელმოწერისთვის, რომელიც დაკავშირებულია მისი კონტრაქტორი ბანკის ოპერაციებთან.

## ნაწილი 5 ბიზნეს პროცესი

- 5.1 საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების ბიზნეს პროცესში ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო სექტორის რეგულატორის როლი განსაზღვრულია „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, რაც აღნიშნული მიზნის მისაღწევად მინიმუმ გულისხმობს, რომ ეროვნული ბანკი:
- 5.1.1 შეიმუშავებს უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელო დოკუმენტს კომერციული ბანკებისთვის;
- 5.1.2 მიიღებს და განიხილავს კომერციული ბანკის მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების პოლიტიკას;
- 5.1.3 გაცემს ან არ გაცემს თანხმობას კომერციული ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკაზე. უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმების შემთხვევაში, ამ პოლიტიკის შესაბამისად შექმნილ ელექტრონულ ხელმოწერას ენიჭება იურიდიული ძალა. უსაფრთხოების პოლიტიკის განხილვისას, კომერციულ ბანკს შესაძლებელია დაუდგინდეს ხარვეზი და წერილობით ეცნობოს არსებული ხარვეზების შესახებ. კომერციული ბანკის მიერ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა არის ელექტრონული ხელმოწერის დანერგვაზე კომერციული ბანკის მიმართვის განხილვის ვადის გაგრძელების საფუძველი;
- 5.1.4 თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ბანკის მიერ შემუშავებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკების მართვის პოლიტიკას;
- 5.1.5 კომერციულ ბანკში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებ-



- ბამოსილია მოსთხოვოს კომერციულ ბანკს საინფორმაციო ტექნოლოგიური (საინფორმაციო სისტემების და პროცესების) აუდიტის ჩატარება დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის შეფასების მიზნით;
- 5.1.6 ითანხმებს კომერციული ბანკის მიერ აუდიტორული კომპანიის შერჩევას, რომელიც კომერციულ ბანკში განხორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ აუდიტს;
- 5.1.7 საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის შექმნის ყოველი ახალი მოწყობილობის ან/და ახალი მწარმოებლის დაშვების მიზნით ითანამშრომლებს ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელ ორგანოსთან, საექსპერტო ორგანოსთან ან/და სხვა ნებისმიერ პირთან, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბანკო სექტორში დაშვებულ ნებისმიერ მოდელზე ელექტრონული ხელმოწერის საიმედოდ შესრულება და მისი ექსპერტიზა;
- 5.1.8 საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას დაშვებული CSP-სა და ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზაზე უფლებამოსილი პირების შესახებ;
- 5.1.9 ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხო და სანდო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდაციას უწევს კომერციულ ბანკს გამოყენებული ალგორითმების ან/და ტექნიკური ფორმატების განახლების შესახებ;
- 5.1.10 უზრუნველყოფს დაცული გზით მისთვის გადაცემული დახურული გასაღების ასლის შენახვას საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;
- 5.1.11 თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, მოსთხოვს კომერციულ ბანკს სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება.
- 5.2 საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების ინიცირებას ახდენს კომერციული ბანკი. დანართის სახით წარმოდგენილია ბიზნეს პროცესის ამსახველი სქემა, რომელიც აღწერს პროცესს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების ინიცირებიდან მისი ექსპერტიზის განხორციელების ჩათვლით.

**კომერციული ბანკის ქმედება ბიზნეს პროცესის შესაბამისად:**

- 5.3 აცნობებს ეროვნულ ბანკს, საბანკო საქმიანობაში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების შესახებ;
- 5.4 შეიმუშავებს უსაფრთხოების პოლიტიკას „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“-ზე დაყრდნობით;
- 5.5 აფორმებს ხელშეკრულებას ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფ-

- რაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელ პირთან. აღნიშნული ხელშეკრულება მინიმუმ უნდა უზრუნველყოფდეს:
- 5.5.1 ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შესრულებას;
- 5.5.2 ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებამდე ტესტირების შედეგების დოკუმენტირებას და კომერციული ბანკის მიერ აღნიშნული დოკუმენტების ეროვნული ბანკისთვის მიწოდების ვალდებულებას;
- 5.5.3 „კომპრომეტირების“ დეფინიციის არსებობას და კომპრომეტირების შემთხვევაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების დაუყოვნებლივ შეჩერებას;
- 5.5.4 სხვა მოთხოვნებს, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;
- 5.6 ირჩევს და აფორმებს ხელშეკრულებას ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მწარმოებელთან, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“-ს შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- 5.7 ირჩევს და აფორმებს ხელშეკრულებას ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის სერვისის მიმწოდებელთან, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“-ს შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- 5.8 ირჩევს და აფორმებს ხელშეკრულებას დროის აღნიშვნის სერვისის მიმწოდებელთან, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“-ს შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- 5.9 ირჩევს და აფორმებს ხელშეკრულებას ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მის მიერ საბანკო ოპერაციებში გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობა. ამ მიზნით:
- 5.9.1 უზრუნველყოფს, რომ ექსპერტიზის განმახორციელებელი პირი ფლობდეს საბანკო ოპერაციებში გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას და შესაბამისი მწარმოებლის საექსპერტო ანალიზის პროგრამულ უზრუნველყოფას;
- 5.9.2 საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას გაუკეთებს აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას;
- 5.10 უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით შექმნილი დოკუმენტების გრძე-

- ლვადიანი არქივირებისა და „განახლებული დროის აღნიშვნის“ გამოყენებას ელექტრონული დოკუმენტების მოქმედების ვადისა და ელექტრონული დოკუმენტების შენახვის სავალდებულო ვადის განმავლობაში;
- 5.11 შეიმუშავებს რისკების მართვის პოლიტიკას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების და მასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით, რაც მინიმუმ უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგს:
- 5.11.1 კომერციული ბანკის მიერ მიღებული ნებისმიერი მომსახურების დროს, დაცული იქნეს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნები;
- 5.11.2 კომპრომეტაციის ან შესაძლო კომპრომეტაციის შემთხვევაში, ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შეჩერება;
- 5.11.3 გამოყენებული ალგორითმების მოძველების ფაქტის ან/და კომპრომეტაციის ფაქტის შესაძლო შედეგების თავიდან არიდების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნეს დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის სისტემა;
- 5.12 მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ყოველწლიურ საინფორმაციო ტექნოლოგიურ (საინფორმაციო სისტემების) აუდიტს, რომელიც განხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული და სანდო აუდიტორული კომპანიის მიერ;
- 5.13 ეროვნულ ბანკს „უსაფრთხოების პოლიტიკასთან“ ერთად შესათანხმებლად წარუდგენს ამ დოკუმენტის 5.5-დან პუნქტიდან 5.12 პუნქტამდე ჩათვლით მითითებულ დოკუმენტაციას და სხვა ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილი იქნება ეროვნული ბანკის მიერ.

### შიფრაციის გასაღების გენერირება და მართვა

- 5.14 ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო ახორციელებს შიფრაციის გასაღების გენერირებასა და მართვას, რისთვისაც:
- 5.14.1 იღებს გასაღების გენერირების მოთხოვნას კომერციული ბანკისგან მათ შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად;
- 5.14.2 მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებას საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და იმ ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, რასაც ეროვნული ბანკი განსაზღვრავს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ შესაბამისად და ეს მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება კომერციულ ბანკსა და ამ ორგანოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში;

- 5.14.3 უზრუნველყოფს შიფრაციის დახურული გასაღების უსაფრთხო და საიმედოდ შენახვას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, რისთვისაც:
- 5.14.3.1 განახორციელებს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში, ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებასა და მართვის განხორციელებასთან დაკავშირებული არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებას და მართვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად;
- 5.14.3.2 ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ევროკავშირში არსებული სარეკომენდაციო ალგორითმების და ტექნიკური ფორმატების გამოყენების შესახებ „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანოს“ მიერ შეიმუშავებული რეკომენდაციის მიწოდებას როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე კონტრაქტორი კომერციული ბანკებისთვის;
- 5.14.3.3 შეიმუშავებს კომპრომეტირების შემთხვევაში შესაბამის პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც წარმოადგენს ამ ორგანოს მიერ შეიმუშავებული გასაღების მართვის პოლიტიკის ნაწილს;
- 5.14.3.4 უზრუნველყოფს კომერციულ ბანკთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველწლიური საინფორმაციო ტექნოლოგიური (საინფორმაციო სისტემების და პროცესების) აუდიტის დასკვნის ეროვნულ ბანკში წარდგენას, რომელიც მომზადებული იქნება საერთაშორისოდ აღიარებული და სანდო აუდიტორული კომპანიის მიერ.
- 5.14.4 კომერციულ ბანკთან შეთანხმებული სქემის მიხედვით უზრუნველყოფს შიფრაციის ღია გასაღების დაცული გზით გადაცემას „ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ მწარმოებლისთვის ან დამკვეთი კომერციული ბანკისთვის;
- 5.14.5 კომერციულ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული პროცესით, შიფრაციის ღია გასაღების მიმღებთან და ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან ერთად ახორციელებს ტესტირებას, რათა დარწმუნდეს, რომ ნამდვილად მის მიერ მიწოდებული გასაღებია გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის შესრულებისთვის;
- 5.14.6 წარუმატებელი ტესტირების შემთხვევაში შიფრაციის გასაღების წყვილს აგენერირებს ამ თავის („შიფრაციის გასაღების გენერირება და მართვა“) პირველი პუნქტიდან;
- 5.14.7 წარმატებული ტესტირების შემთხვევაში შიფრაციის დახურულ გასაღების ასლს დაცული გზით გადასცემს ეროვნულ ბანკს მისი შენახვის მიზნით.

## ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა

- 5.15 ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესრულებაზე უფლებამოსილი ორგანო:
- 5.15.1 ელექტრონულ ხელმოწერაზე ექსპერტიზის განხორციელებისთვის, აფორმებს ხელშეკრულებას ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელ ორგანოსთან, რომლის შესაბამისად განხორციელდება დაშიფრული ბიომეტრიის დეშიფრაციის მოთხოვნა და შესაბამისად მიღებული გაშიფრული ბიომეტრიის გადაცემა ექსპერტიზის მიზნებისთვის;
- 5.15.2 მიიღებს დაინტერესებული მხარის განაცხადს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის ჩასატარებლად. საექსპერტოდ წარმოდგენილი მასალის საკმარისად ცნობის და იმ პირის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის ელექტრონულ ხელმოწერაზეცაა მოთხოვნილი ექსპერტიზა, საექსპერტო ორგანო იწყებს ექსპერტიზის პროცესს;
- 5.15.3 საექსპერტოდ წარმოდგენილი მასალის საკმარისად არ ცნობის ან/და იმ პირის თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში, რომლის ელექტრონულ ხელმოწერაზეცაა მოთხოვნილი ექსპერტიზა, დაინტერესებულ მხარეს უგზავნის ექსპერტიზის დასკვნას ექსპერტიზის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ ან უარს, რადგან მოთხოვნა წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ ან ხელმოწერის თანხმობის არ არსებობისას, გარდა სასამართლოს მიერ ექსპერტიზის მოთხოვნის შემთხვევისა.
- 5.15.4 ახორციელებს ექსპერტიზას საექსპერტოდ მიღებული ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობის შესახებ;
- 5.15.5 დოკუმენტის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს უგზავნის უარს ელექტრონული დოკუმენტის ექსპერტიზაზე, გარდა სასამართლოს მიერ სხვა მოთხოვნის შემთხვევისა.
- 5.15.6 დოკუმენტის მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში, მიმართავს ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელ ორგანოს, რომ დაცული და უსაფრთხო გზით განხორციელდეს გაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების მიღება ექსპერტიზის მიზნებისთვის. ამ მიზნით ახდენს ელექტრონული დოკუმენტიდან დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების ამოღებას, და აგზავნის მას წინასწარ შეთანხმებული დაცული გზით, ისე რომ მაქსიმალურად დაცული იყოს ხელმოწერის ანონიმურობა. ამ ინფორმაციასთან ერთად აგზავნის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის დახურული გასაღების იდენტიფიკატორს;
- 5.16 ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო ახორციელებს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესრულებაზე უფლებამოსილი ორგანოსგან

- მიღებული დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაციას, იმ შემთხვევაში თუ მასთან ინახება ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის შესაბამისი დახურული გასაღები და შედეგად მიღებულ გაშიფრულ ბიომეტრიას, შესაბამისად შედგენილი ოქმის დართვით, უბრუნებს საექსპერტო ორგანოს ასევე წინასწარ შეთანხმებული დაცული გზით. იმ შემთხვევაში თუ ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის შესაბამისი დახურული გასაღები ამ ორგანოსთან არ ინახება, ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესრულებაზე უფლებამოსილი ორგანოს უბრუნებს უარყოფით პასუხს შესაბამის ოქმთან ერთად;
- 5.17 ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო ანადგურებს როგორც დაშიფრულ, ასევე გაშიფრულ ბიომეტრიულ მონაცემებს. აღნიშნული ორგანო თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად ინახავს გაშიფრული ბიომეტრიის უნიკალურ მაიდენტიფიცირებელ კოდს, ისე რომ შეუძლებელი იყოს ბიომეტრიის აღდგენა და ამავდროულად მისი მეშვეობით შესაძლებელი იყოს განხორციელებული კონკრეტული ბიომეტრიის დეშიფრაციის პროცესის და მინოდების დადასტურება;
- 5.18 ექსპერტიზაზე უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების ექსპერტიზას მოქმედი კანონმდებლობისა და თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად;
- 5.19 ექსპერტიზაზე უფლებამოსილი ორგანო გასცემს დასკვნას ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების ექსპერტიზის შედეგების შესახებ.
- 5.20 ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის სრულფასოვნად შესრულებისთვის, ექსპერტიზაზე უფლებამოსილი ორგანო უბრუნველყოფს არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებას და მართვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, რისთვისაც:
- 5.20.1 დანერგავს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის პროცედურას, საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- 5.20.2 საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლებს ყველა იმ დაწესებულებასთან, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული იქნება საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვასთან, რათა ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა ჩატარდეს საქართველოს კანონმდებლობისა და ექსპერტიზის წარმოების შესაბამისი პროცედურული წესებისა და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით;
- 5.20.3 შესაბამისობაში მოიყვანს საკუთარ ფუნქციასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას;
- 5.20.4 პროცესის უსაფრთხოებისა და სანდოობის მიზნით განახორციელებს საკუთარი საინფორმა-

ციო სისტემების სრულფასოვან და დაცულ ფუნქციონირებას.

## ხელმომწერი

- 5.21 საბანკო მომსახურების მიღების დროს ეძლევა შესაძლებლობა გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა ეროვნული ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისი მოდელით;
- 5.22 საბანკო მომსახურებაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთანავე უფლებამოსილია მიიღოს დოკუმენტის ორიგინალი ან/და დამოწმებული ასლი;
- 5.23 უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიიღოს წარსულში განხორციელებული საბანკო ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, თუ გამოიყენებული იყო ელექტრონული ხელმოწერა.

## ნაწილი 6

### შეთანხმება ეროვნულ ბანკთან

- 6.1 ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მიზნით, კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილი უსაფრთხოების პოლიტიკა გახდება ეროვნულ ბანკთან შეთანხმების საგანი თუ პოლიტიკა ითვალისწინებს და ბანკი განახორციელებს მინიმუმ შემდეგს:
  - 6.1.1 გამოიყენებს განვითარებულ ელექტრონულ ან/და უფრო მეტი დაცვის მქონე ხელმოწერას;
  - 6.1.2 შეისწავლის და დანერგავს ხელმოწერის შექმნის ისეთ მოწყობილობას, რომელიც უზრუნველყოფს „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ ან/და უფრო მეტი დაცვის მქონე ხელმოწერას;
  - 6.1.3 წარმოადგენს მოწყობილობის კონკრეტულ მოდელზე სანდო, საზოგადოდ ცნობილი და კომპეტენტური ორგანოს შესაბამისობის სერტიფიკატს, რაც ადასტურებს მისი გამოყენებით შექმნილი დოკუმენტის უცვლელობას, მთლიანობას და შედეგად განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის შესაძლებლობას. მოითხოვს მოწყობილობის მწარმოებლისგან ამ სერტიფიკატის რეგულარულ განახლებას;
  - 6.1.4 გამოიყენებს იმ CSP-ს მომსახურებას, რომელიც წარმოადგენს რეგულირებად ერთეულს იმ ქვეყანაში, სადაც ოპერირებს აღნიშნული CSP-ს სათაო ოფისი ან/და შვილობილი ერთეულები, რომელთა დაშვება საბანკო სექტორში განხორციელდება ეროვნული ბანკის დისკრეციის შესაბამისად;
  - 6.1.5 გამოიყენებს იმ „დროის აღნიშვნის“ მომსახურების გამწვევი ერთეულის პროდუქტს, რომელიც არის სანდოდ აღიარებული და ამ მომსახურების გამოყენება არ იქნება დაკავშირებული ბანკის საკუთარი სერვერის დროსა და თარიღთან;
  - 6.1.6 უზრუნველყოფილი იქნეს კონტროლის სქემა, რომ არ მოხდეს ხელმოწერის სერტიფიკატის

მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მისი გამოყენება;

- 6.1.7 ელექტრონულ დოკუმენტზე განახორციელებს ე. წ. ელექტრონულ შტამპს, რომელიც შესრულებული უნდა იყოს იმავე ან ანალოგიური კრიტერიუმებით შერჩეული სხვა CSP-ს სერტიფიკატის მეშვეობით და დოკუმენტით შესაძლებელი იქნება ოპერაციის შემსრულებელი პირის იდენტიფიცირება;
- 6.1.8 ხელმოწერის შექმნის გარემოს განახლებებს რეგულარულად, რეკომენდირებული ჰემის ან/და სხვა ნებისმიერი პარამეტრის ან/და ტექნოლოგიის უახლესი სქემების შესაბამისად;
- 6.1.9 არ დაუშვებს თავის სისტემაში ხელმოწერის შექმნის ისეთ მოწყობილობას, რომელიც თავისი ტექნიკური მახასიათებლებით და პროგრამული უზრუნველყოფით არ წარმოადგენს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებულ მოდელს;
- 6.1.10 უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტების არქივირებას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია მიანოდოს მას დოკუმენტის „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ კანონი“-ს შესაბამისად დამოწმებული ასლი, მიუხედავად იმისა მომხმარებელს გადაეცა თუ არა დოკუმენტის ორიგინალი ან/და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქონდა შესაძლებლობა მიეღო ის;
- 6.1.11 მომხმარებელს შესთავაზებს და უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტის ორიგინალის სანდო და დაცული გზით მომხმარებლის მიერ მიღების შესაძლებლობას ხელმოწერის შესრულებიდან დაუყოვნებლივ, თუ მომხმარებელი გამოხატავს დოკუმენტის ორიგინალის მიღების სურვილს;
- 6.1.12 უზრუნველყოფს მომხმარებლის ჯეროვან ინფორმირებას ელექტრონული ხელმოწერის იურიდიული ძალის შესახებ მანამ, სანამ მომხმარებელი გამოიყენებს ელექტრონულ ხელმოწერას;
- 6.1.13 მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელებს საინფორმაციო სისტემების ყოველწლიურ აუდიტს, რომელიც შესრულებული იქნება საერთაშორისოდ აღიარებული და სანდო, ამ მიმართულებით სპეციალიზებული ჯგუფის მიერ;
- 6.1.14 განახორციელებს საოპერაციო რისკების მართვის საზედამხედველო ჩარჩოს შესაბამის ზომებს, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი როგორც ახალი პროდუქტის დანერგვისა და განახლების რისკი, ასევე არსებული რისკების გავლენა ახალ პროდუქტზე;
- 6.1.15 უზრუნველყოფს მომხმარებლის ალტერნატიულ მომსახურების შესაძლებლობას არსებული, ფურცელზე ხელმოწერის გამოყენებით.

## ნაწილი 7

### დავების წარმოშობის პროცესი

- 7.1 ელექტრონული ხელმოწერის საეჭვო ან/და სადავოდ ცნობის შემთხვევაში, ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის მიზნით:

- 7.1.1 პირი მიმართავს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს;
- 7.1.2 ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, კანონმდებლობისა და თავისი პროცედურის შესაბამისად მოითხოვს კონკრეტული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის თანხმობას;
- 7.1.3 აღნიშნული თანხმობის არსებობის შემთხვევაში „ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი“ საექსპერტო ელექტრონულ ხელმოწერაში არსებული საიდენტიფიკაციო მონაცემების მიღების მიზნით თანამშრომლობს „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის განმახორციელებელ ორგანოსთან“.
- 7.2 ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დაშიფრული სახით პირდაპირ გზით გადაცემა ან/და გაშიფრული, ღია მონაცემების ნებისმიერი სახით გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის და ამ პროექტით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად.

## ნაწილი 8 სამართლებრივი საფუძვლები

- 8.1 არსებული საფუძვლები:
- 8.1.1 საკანონმდებლო აქტები, რომელიც ელექტრონულ ხელმოწერასთან მიმართებით სპეციალური ხასიათის ნორმებს შეიცავს და ქმნიან ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სამართლებრივ საფუძვლებს, გახლავთ 2008 წლის 14 მარტის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ და 1996 წლის 23 თებერვლის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონები.
- 8.1.2 „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მექანიზმების შემუშავებამდე ან/და საზღვარგარეთ გაცემული ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატთა აღიარებიდან 1 წლის განმავლობაში ძალაში რჩება საბანკო საქმიანობაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სტანდარტები და წესები. რაც შეეხება საზღვარგარეთ გაცემული სერტიფიკატების აღიარებას, კანონი მას, თავის მხრივ სხვა პირობებსაც უკავშირებს და შესაბამისად ამ ეტაპზე მისი მხედველობაში მიღების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.
- 8.1.3 საქართველოს ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები ეყრდნობიან ზემოთ აღნიშნულს

- 8.1.4 მიმდინარე პროექტმა დღის წესრიგში დააყენა, შეგვეშუქებინა იმ ტიპის ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც თავისი იურიდიული ბუნებით გაუთანაბრდებოდა მატერიალურ დოკუმენტზე პირად ხელმოწერას. ამ მხრივ ვიხელმძღვანელებთ ერთის მხრივ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დებულებით, რომელიც ნების გამოვლენაზე აპელირებს და ელექტრონულ დოკუმენტთან და ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას მიანიჭონ მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა თუ მათ შორის იარსებებს შეთანხმება ამის შესახებ ან/და მეორეს მხრივ საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვით დაინტერესებულმა კომერციულმა ბანკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესზე, რომლითაც მათ ენიჭებათ უფლება თავად შექმნან ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მთავარი საფუძველი – უსაფრთხოების პოლიტიკა.
- 8.1.5 „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი: „კომერციულ ბანკს უფლება აქვს შეიმუშაოს და ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს მის მიერ კონკრეტული საბანკო მომსახურების განვევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკა. კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კონკრეტული საბანკო მომსახურების განვევისას ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე კონკრეტული საბანკო მომსახურების განვევის დროს გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა“. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად:
  - 8.1.5.1 რეკომენდაციის სახით მიიღონ საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სახელმძღვანელო;
  - 8.1.5.2 შექმნან ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკა;
  - 8.1.5.3 შექმნილი უსაფრთხოების პოლიტიკა შესათანხმებლად წარუდგინონ ეროვნულ ბანკს;
  - 8.1.5.4 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმების შემთხვევაში, კონკრეტული ტიპის საბანკო მომსახურება გასწიონ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით;
  - 8.1.5.5 პროექტით დაინტერესებულმა კომერციულმა

- ბანკებმა მხედველობაში უნდა მიიღონ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც გარკვეული კატეგორიის გარიგებათა მიმართ იმპერატიულ დანაწესებს შეიცავენ მათი მხოლოდ მატერიალური ფორმით არსებობის თვალსაზრისით. კერძოდ, გარიგებები, რომლებიც შეეხება: ვალის აღიარებას, თავდებობას, სამიდღემშიო რჩენას და ანდერძს უნდა შესრულდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე, 892-ე, 942-ე და 1357 მუხლები). სამოქალაქო კოდექსის ამ მოთხოვნაზე მიუთითებს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტიც, რომელიც თავის მხრივ დაუშვებლად მიიჩნევს ხსენებულ გარიგებათა მიმართ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობას.
- 8.2 შემდგომში შესაქმნელი სამართლებრივი საფუძვლები:
- 8.2.1 პროექტით აღწერილი საგნის სრულყოფამ მოითხოვა ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. საქართველოს კომერციულ ბანკებთან გამართული კონსულტაციების შედეგად მომზადდა კანონპროექტები „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების მიზნით.
- 8.2.2 „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მიზანია საბანკო მომსახურების მომხმარებლებსა და კომერციულ ბანკებს შეეწყნათ გარანტია, რომ საბანკო მომსახურების დროს მათ მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული ელექტრონულ დოკუმენტი თავისი იურიდიული ბუნებით გაუთანაბრდება მატერიალურ დოკუმენტს და რომ ხსენებული პირები შეძლებენ აღნიშნული ელექტრონული დოკუმენტის გამოყენებას ყველა სახის ურთიერთობებში.
- 8.2.3 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134 მუხლის მე-11 ნაწილში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მიზანია საბანკო მომსახურების მომხმარებლებსა და კომერციულ ბანკებს შეეწყნათ გარანტია, რომ საბანკო მომსახურების დროს მათ შორის გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული ელექტრონულ დოკუმენტი სასამართლო საქმის წარმოების დროს დაშვებული იქნება წერილობითი მტკიცებულების სახით.
- 8.2.4 პროექტში მონაწილე პოტენციურ მხარეებს შორის თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძველი უნდა განისაზღვროს მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარების გზით. ამდენად, საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროექტი მოითხოვს შემდეგი ტიპის ხელშეკრულებების არსებობას:
- 8.2.4.1 მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება პროექტის დანერგვით დაინტერესებულ კომერციულ ბანკსა და „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის“ განმხორციელებელ ორგანოსთან;
- 8.2.4.2 მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება პროექტის დანერგვით დაინტერესებულ კომერციულ ბანკსა და „ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზაზე უფლებამოსილ“ ორგანოსთან;
- 8.2.4.3 მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება პროექტის დანერგვით დაინტერესებულ კომერციულ ბანკსა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა, ნებისმიერი სერვისის მიმწოდებელს შორის;
- 8.2.4.4 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის“ განმხორციელებელ ორგანოსა და „ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზაზე უფლებამოსილ“ ორგანოს შორის, სადაც გაინერგება ელექტრონული ხელმოწერით შესრულებული ელექტრონული დოკუმენტიდან ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების გაშიფვრისა და მისი ექსპერტიზისთვის გადაცემის მხარეთა მავალდებულებელი და სხვა სახის დებულებები.
- 8.2.4.5 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის, რომელიც ზოგადი თანამშრომლობის პრინციპებზე იქნება დაყვანილი.
- 8.2.5 ელექტრონული ხელმოწერის პროექტში მონაწილე პოტენციურმა მხარეებმა სისრულეში უნდა მოიყვანონ მათ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები:
- 8.2.5.1 „სახელმწიფო სერვისების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც დგინდება ამ უკანასკნელის ფუნქციები, მომსახურების განვითარებისა და მომსახურების საფასურის შესახებ დებულებები, აგრეთვე აღნიშნული კანონიდან გამომდინარე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, და მათ შორის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 13 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის N117 ბრძანება, მოითხოვს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ამ პროექტით აღებული ფუნქციის შესაბამისად ცვლილებების განხორციელებას;
- 8.2.5.2 შესაბამისი ცვლილებებია განსახორციელებელი აგრეთვე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255

დადგენილებასა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილებაში.

8.2.6 სამართლებრივი დასკვნა: ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებით მიიჩნევა, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს საკმარის სამართლებრივ საფუძვლებს იმისთვის, რომ კომერციული ბანკების მიერ შექმნილი და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე, საქართველოს მოქმედ კომერციულ ბანკებში კონკრეტულ საბანკო ოპერაციებზე დაინერგოს ელექტრონული ხელმოწერის ინსტიტუტი და მათ შორის ე.წ. ხელმოწერის შექმნის მონეობილობის გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების შესაძლებლობა.

9.1.7 კომერციული ბანკი და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფენ საინფორმაციო სისტემების აუდიტის ჩატარებას, რომელიც განხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

## ნაწილი 9 რისკების მართვა

- 9.1 ელექტრონული ხელმოწერის შექმნისთვის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფა გულისხმობს მოსალოდნელი რისკების მაქსიმალურად შემცირებას, რაც გამოიხატება:
  - 9.1.1 კომერციულ ბანკში ისეთი პროგრამული უზრუნველყოფისა და მონეობილობის დაშვებას, რომელიც უზრუნველყოფს ზემოთ აღნიშნული ევროდირექტივით განსაზღვრული „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ შესრულებას;
  - 9.1.2 კომერციული ბანკის მიერ იმ ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენებას, რომლის გამცემიც აკმაყოფილებს ევროკავშირში ან/და ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
  - 9.1.3 გასაღებების გენერირებისას იმ ალგორითმების გამოყენებას, რომელიც ევროკავშირში ან/და ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში წარმოადგენს რეკომენდირებულ მოთხოვნას;
  - 9.1.4 გასაღების გენერირებისა და შენახვის ევროკავშირში ან/და ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეულ საკანონმდებლო სივრცეში აღიარებული სტანდარტებით განხორციელებას;
  - 9.1.5 ხელმოწერის ექსპერტიზის დროისთვის არსებული მონინავე ტექნოლოგიებით ექსპერტიზის შესრულებას;
  - 9.1.6 შესაბამისი პროცესებისა და პროცედურების ისე დაგეგმვას, რომ არ იქნეს დაშვებული ხელმოწერის ბიომეტრიის ნებისმიერი მესამე მხარის მიერ სხვა მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობა;

## 6.7 ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ (შემდგომში – სახელმძღვანელო) წარმოადგენს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ბანკთან (შემდგომში – ეროვნული ბანკი) შესათანხმებლად წარსადგენ კომერციული ბანკის „ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის“ (შემდგომში – უსაფრთხოების პოლიტიკა) შემუშავების მეთოდოლოგიურ საფუძველს.
2. ეს სახელმძღვანელო შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა და ევროკავშირის სივრცეში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით. ეროვნული ბანკი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს ამოსავალ წერტილად მიიჩნევს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დადგენილ მოთხოვნებს და ამ სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ პრინციპებს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ეყრდნობა ევროკავშირის რეგულაციებით განსაზღვრულ ელექტრონული იდენტიფიკაციის, აუთენტიფიკაციის და ხელმოწერის (eIAS) ტექნიკურ, პროცედურულ და ხარისხობრივ მოთხოვნებს.
3. ელექტრონული ხელმოწერა შესაძლებელია დანერგილი იყოს სხვადასხვა მოდელის გამოყენებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს განსახორციელებელი ტრანზაქციის რისკის ხარისხს (ტრანზაქციის ასეთი რისკი შეიძლება იყოს გაყალბება, უარყოფის ან ანულირების შესაძლებლობა, ფინანსური ზარალი და სხვა). ელექტრონული ხელმოწერის ტიპი და უსაფრთხოება უნდა შეესაბამებოდეს ტრანზაქციის რისკს და უზრუნველყოფდეს ხელმოწერის აუთენტიფიკაციას.
4. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებიდან მოსალოდნელი შედეგის მნიშვნელოვნების და გარეშე ფაქტორებისა გათვალისწინებით, შესაბამის და მოქნილ ინსტიტუტად მიიჩნევა ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს „ელექტრონული ხელმოწერის სახელმძღვანელო ჩარჩო“-ს შესახებ 1999/93/EC დირექტივით (შემდგომში – დირექტივა) და „ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის ევროპის ინიციატივის“ (The European Electronic Signature Standardisation Initiative (EESSI)) ექსპერტთა ჯგუფი და მნიშვნელოვანია მათი რეკომენდაციით განსაზღვრული უსაფრთხოების სტანდარტებით შესრულებული ხელმოწერის გამოყენება.
5. დირექტივა განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს როგორც „სანდო სერვისის მიწოდებულების“ მიმართ, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებ-

ენ ელექტრონულ ხელმოწერაში, ასევე ხელმოწერისა და ვერიფიკაციის განხორციელების მიმართ. ეს მოთხოვნები კონკრეტდება დეტალური სტანდარტების ან/და სპეციფიკაციების საშუალებით. მიჩნეულია, რომ აღნიშნული სტანდარტები და სპეციფიკაციები იმდენად შეესაბამება დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომ პროდუქტები ან/და მომსახურება, რომლებიც გამოყენებული იქნება ელექტრონულ ხელმოწერაში აღიარებული უნდა იქნენ, როგორც ხელმოწერის კანონიერი ცნობისთვის შესაბამისი ინსტრუმენტები.

### მუხლი 2. სახელმძღვანელოს მიზანი და მოქმედების სფერო

1. ამ სახელმძღვანელოს მიზანია განსაზღვროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები. ეს სახელმძღვანელო ასევე მიზნად ისახავს, რომ მის საფუძველზე კომერციულმა ბანკებმა შეიმუშაონ უსაფრთხოების ისეთი პოლიტიკა რომელიც ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიზნებისთვის უზრუნველყოფს და განავითარებს იდენტიფიკაციის, აუთენტიფიკაციისა და ხელმოწერის (eIAS) გარემოსთან ფუნქციონალური თავსებადობის მაღალ ხარისხს.
2. ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს, საბანკო სექტორში ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრული განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საფუძველს.
3. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ეს სახელმძღვანელო ეფუძნება იმ წყაროს, რომელიც მიჩნეულია საკმარისად სანდოდ ეროვნული ბანკის უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ეროვნული ბანკი და მისი თანამშრომლები არ იძლევიან გარანტიას და არ უზრუნველყოფენ ამ სახელმძღვანელოს ან მისგან გამომდინარე სხვა ინფორმაციის მართებულობას და სისრულეს. ეროვნული ბანკი, ასევე მისი ნებისმიერი თანამშრომელი არ იღებს პირდაპირ თუ არაპირდაპირ პასუხისმგებლობას იმ შედეგებზე, რომელიც შეიძლება მიიღოს ამ სახელმძღვანელოს, ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი მონაცემის, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენებით ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა, ან ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა, რომელიც არ არის იურიდიული პირი. ეროვნული ბანკი არ იღებს არანაირ პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას და იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამ სახელმძღვანელოს და მასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი ინფორმაციის მდგომარეობაზე ან ვარგისიანობაზე კონკრეტული მიზნისთვის გამოსაყენებლად.
4. ნებისმიერი ფორმით ამ სახელმძღვანელოს გამოყენების შემთხვევაში, კომერციული ბანკი აღასტურებს თანხმობას, რომ ეროვნული ბანკს და მის შესაბამის პარტნიორებს, თანამშრომლებს, კონტრაქტორებს, წარმომადგენლებს, მომწოდებლებს არ შეიძლება ქონდეთ არანაირი პირდაპირ-



რი ან გამომდინარე ვალდებულებები ან პასუხისმგებლობა ნებისმიერ დანაკარგსა თუ ზარალზე, რაც შეიძლება გამომწვეული იყოს ამ სახელმძღვანელოს ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიზეზით ან სახელმძღვანელოთი წარმოდგენილი ან დაკავშირებული ინფორმაციით, ეროვნული ბანკის დამოკიდებულებით ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო და არ იქნებიან პასუხისმგებელი არანაირ მიუღებელ მოგებაზე ან შემოსავალზე, დანაკარგზე, ჯარიმაზე ან გაუთვალისწინებელ ზარალზე. ეროვნული ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი ან ნებისმიერი სახით ვალდებული ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც გამომწვეული იქნება შეცდომით, უზუსტობით, არასრულყოფილებით, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს ამ სახელმძღვანელოს ან მასში არსებულ ნებისმიერ ან დაკავშირებულ ინფორმაციას. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს ამ სახელმძღვანელოს ან მასში არსებულ ნებისმიერ ან დაკავშირებულ ინფორმაციის გამოყენებაზე.

5. ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში წარმოდგენილი პირობა თანაბრად ვრცელდება როგორც ამ სახელმძღვანელოზე, ასევე მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ წერილობით სიტყვიერ, ან ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით კომუნიკაციაზე.
6. ეროვნულ ბანკში შესათანხმებლად წარმოდგენილი უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა აკმაყოფილებდეს ამ სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ პრინციპებს ორი ძირითადი მიმართულებით:
  - ა) ინფორმაციული უსაფრთხოების ხარისხობრივი და პროცედურული სტანდარტები,
  - ბ) პროდუქტის ფუნქციონალური თავსებადობის მისაღწევად გამოყენებული ტექნიკური სტანდარტები.
7. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მართებული პრაქტიკის დანერგვისთვის შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ძირითადი მოთხოვნა, რომ განსახორციელებელი ტრანზაქციის ყველა მონაწილე მხარე დარწმუნებული უნდა იყოს:
  - ა) დოკუმენტის ავთენტურობაში;
  - ბ) დოკუმენტის უცვლელობაში.
8. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვა მიზნად ისახავს, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, საბანკო ოპერაციებზე ბიზნეს-პროცესის აწყობას მატერიალური დოკუმენტის გარეშე. ასეთი ბიზნეს-პროცესის დანერგვის შემდეგ მოსალოდნელია:
  - ა) საბანკო სექტორში ელექტრონული სერვისების ფართოდ განვითარება;
  - ბ) დროის დანაზოგი;
  - გ) გაყალბებისა ან/და შეცდომების აღბათობის შემცირების ხარჯზე ტრანზაქციის უსაფრთხოების ზრდა;
  - დ) სერვისის ხარისხის გაუმჯობესება;
  - ე) დოკუმენტ ბრუნვის ხარჯების შემცირება;
  - ვ) სხვა საოპერაციო ხარჯების შემცირება.
9. საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება არ გულისხმობს საბანკო საქმიანობაში ქაღალდზე შესრულებული მატერიალური ხელმოწერის გამოყენების ამოღებას. კომერციული ბანკი, რომელიც ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად

კონკრეტულ საბანკო ოპერაციაზე დანერგავს ელექტრონულ ხელმოწერას, ვალდებულია უზრუნველყოს ამ ტიპის ოპერაციაზე ქაღალდზე შესრულებული მატერიალური ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა.

### მუხლი 3. საბანკო სექტორში გამოყენებადი ელექტრონული ხელმოწერა

1. „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტისა შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს „ელექტრონულ ხელმოწერას“ როგორც „ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობას, რომელსაც ხელმოწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად“. ამ პრაქტიკის მიზნებისთვის საქართველოს საბანკო სექტორში გამოყენებული „ელექტრონული ხელმოწერა“ განიხილება მატერიალურ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ, თუ მისი გამოყენება დაკავშირებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ღია/დახურული გასაღების პრინციპის, ასიმეტრიული კრიპტოგრაფიისა და სერტიფიკატზე დამყარებული ხელმოწერის შესრულებასთან.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას ძენს მინიმუმ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ „ციფრული ხელმოწერის“ შესაბამის დაცვას. შედეგად, საბანკო სექტორში გამოყენებული „ელექტრონული ხელმოწერა“ იქნება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული „ციფრული ხელმოწერის“ მსგავსი შინაარსის და დაცვის მქონე.
3. დღეისათვის არსებობს ტერმინ „ელექტრონული ხელმოწერის“ რამდენიმე განმარტება. მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა გამოყენების არეალში. საერთაშორისოდ აღიარებული განმარტებაა მოცემული საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის შესახებ გაერთიანებული ერების კომისიის მიერ (The United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL)), სადაც ელექტრონული ხელმოწერა ნიშნავს: მონაცემთა გზავნილში არსებული ელექტრონული მონაცემები, რომლებიც მიმზღულია ან ლოგიკურად დაკავშირებულია მასთან და რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელმოწერის მონაცემთა გზავნილთან კავშირის მიზნით ხელმოწერის იდენტიფიცირებისთვის და მიუთითებს ხელმოწერის თანხმობას იმ ინფორმაციაზე, რაც განთავსებულია მონაცემთა გზავნილში („data in electronic form in, affixed to or logically associated with, a data message, which may be used to identify the signatory in relation to the data message and to indicate the signatory's approval of the information contained in the data message“).
4. ასევე არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული „ციფრული ხელმოწერის“ განმარტება, რომელიც მოცემულია ISO 7498-2 სტანდარტში (EESSI-ის საბოლოო დოკუმენტი აღნიშნავს, რომ „ხშირად ტერმინი „ციფრული ხელმოწერა“ გამოიყენება ტერმინი „ელექტრონული ხელმოწერის ნაცვლად“). სტა-

ნდარტი „ციფრულ ხელმოწერას“ განმარტავს, როგორც უსაფრთხოების მექანიზმს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების სხვადასხვა სერვისების მიწოდებისთვის, როგორცაა აუთენტიფიკაცია, მონაცემთა წარმომავლობის აუთენტიფიკაცია, მონაცემთა ერთიანობა (დაურღვევლობა) და უარყოფის შეუძლებლობა.

5. EESSI-ის საბოლოო დოკუმენტში ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ 1999/93/EC დირექტივის ტექნოლოგიურად ნეიტრალური მიდგომა საშუალებას არ იძლევა, რომ მითითება გაკეთდეს სპეციფიკურ ტექნოლოგიაზე, როგორცაა ციფრული ხელმოწერა დამყარებული ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ჯგუფის დასკვნის შესაბამისად, ნათელია, რომ დირექტივა, როცა „განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერას“ აღწერს, გულისხმობს სწორედ ასიმეტრიული კრიპტოგრაფიის და სერტიფიკატზე დამყარებული ვერიფიკაციის მახასიათებლებს. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია დირექტივის „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ განმარტების მსგავსება ISO 7498-2 (დამატება 2) სტანდარტის „ციფრული ხელმოწერის“ განმარტებასთან და მოცემულია დასკვნა, რომ „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“ რომელიც შეიძლება არც იყოს განხილული როგორც „კვალიფიციური“, რეალურად ISO სტანდარტით განმარტებული „ციფრული ხელმოწერის“ ექვივალენტურია (EESSI; გვ. 15).

6. ზემოაღნიშნულთან ერთდ, საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა „ელექტრონული ხელმოწერის ევროპის საზღვარგარეთ უწყებების ფორუმის (The Forum of European Supervisory Authorities for Electronic Signature (FESA)) სამუშაო დოკუმენტი, კერძოდ „სამუშაო დოკუმენტი განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ (Working Paper on Advanced Electronic Signature, October 12, 2004). ეს დოკუმენტი, ასევე იზიარებს დირექტივის „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ განსაზღვრების ტექნოლოგიურად ნეიტრალურ ხასიათს და მიუთითებს, რომ პრაქტიკაში მისი გამოყენება ძირითადად ეყრდნობა ასიმეტრიულ შიფრაციას.

7. „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის“ გამოყენებისას სერტიფიკატზე დამყარებული ხელმოწერის შინაარსის გაგებისთვის ყურადღება უნდა მიექცეს თუ როგორ განმარტავს UNCITRAL-ი სერტიფიკატს: „სერტიფიკატი“ ნიშნავს მონაცემთა გზავნილს ან სხვა ჩანაწერს, რომელიც ადასტურებს კავშირს ხელმოწერასა და „ხელმოწერის შექმნის მონაცემებს“ შორის (“Certificate” means a data message or other record confirming the link between a signatory and signature creation data).

8. სწორედ ხელმოწერის დაკავშირება „ხელმოწერის შექმნის მონაცემებსა“ (რაც თავის მხრივ კავშირშია ხელმოწერასთან) და ხელმოწერილ დოკუმენტთან წარმოადგენს განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შინაარსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პრაქტიკაში დანერგვა უკავშირდება სერტიფიკატის გამოყენებას.

#### მუხლი 4. მონაწილე მხარეები

1. საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის პროცესის მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ:
  - ა) ეროვნული ბანკი, რომელიც განიხილავს და ეთანხმება/არ ეთანხმება კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილ უსაფრთხოების პოლიტიკას;
  - ბ) კომერციული ბანკი, რომელიც შეიმუშავებს და შესათანხმებლად წარუდგენს ეროვნულ ბანკს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს მოქმედი კანონმდებლობით და ამ სახელმძღვანელოთ განსაზღვრულ ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ტექნიკურ და პროცედურულ მოთხოვნებს;
  - გ) სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP) – ნებისმიერი რეგისტრირებული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკატის გამოშვებას ან ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა მომსახურებას;
  - დ) სერტიფიკატის გამცემი სათანადო უფლებამოსილების მქონე პირი (CA) – ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გამომშვები სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP), რომლის სერვისითაც სარგებლობს ერთი ან ერთზე მეტი მომხმარებელი და მიეს მიერ გამოშვებული სერტიფიკატი სანდოა მესამე მხარისთვის;
  - ე) ხელმოწერი – ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას ისე, რომ ინარჩუნებს მასზე ერთპიროვნულ კონტროლს და მოქმედებს თავისი სახელით ან სხვა პირის სახელით, რომელსაც ის წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
  - ვ) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელი ორგანო – ასრულებს ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციას;
  - ზ) ექსპერტიზის განმარტაციულ ელემენტზე ორგანო, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ტექნოლოგიით და კვალიფიკაციის მქონე პერსონალით და გამოთქვამს მზაობას მოთხოვნის შემთხვევაში შეასრულოს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზა;
2. საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნის მიზნით, ეროვნული ბანკი თანამშრომლობს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა (შემდგომში – სააგენტო) და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან (შემდგომში – ბიურო);
3. სააგენტო და ბიურო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, შეასრულებენ 2013 წლის 10 ოქტომბრის „საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში თანამშრომლობის შესახებ“ სამმხრივი მემორანდუმით განსაზღვრულ ფუნქციას.
4. კონკრეტული კომერციული ბანკის მიერ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიზნით, კომერციული ბანკი აფორმებს შესაბამის ხელშეკ-

5. რულებებს სააგენტოსთან და ბიუროსთან; საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში სააგენტოსა ან/და ბიუროს ზემოაღნიშნული მემორანდუმით განსაზღვრული ფუნქცია შესაძლოა შესრულებულ იქნეს სხვა, ნებისმიერი შესაბამისი კვალიფიკაციის და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე პირის მიერ, რომელიც თავის საქმიანობას განახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა შესაბამისად.

## მუხლი 5. ტერმინთა განმარტებები

ამ სახელმძღვანელოს მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) „ელექტრონული ხელმოწერის ევროპის სტანდარტიზაციის ინიციატივა“ (EESSI (European Electronic Signature Standardisation Initiative)) – პროექტი შექმნილი ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივის დანერგვის სტანდარტიზაციის მიზნით;
- ბ) „სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი“ (CSP (Certification Service Provider)) – ნებისმიერი რეგისტრირებული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სერტიფიკატის გამოშვებას ან ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ მომსახურებას;
- გ) „სანდო სერვისის მიმწოდებელი“ (TSP (თრუსტედ შერვიცე პროვიდერ)) – სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP), რომელიც ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეული იქნება სანდო ერთეულად;
- დ) „სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი“ (CA (Certification Authority)) – ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გამომშვები სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP), რომლის სერვისითაც სარგებლობს ერთი ან ერთზე მეტი მომხმარებელი და მიეს მიერ გამოშვებული სერტიფიკატი სანდოა მესამე მხარისთვის;
- ე) „გაუქმებული სერტიფიკატების სია“ (CRL (Certificate Revocation List)) – სერტიფიკატების ჩამონათვალი, რომელშიც შეტანილია ის სერტიფიკატები, რომლებიც გაუქმდა ვადის გასვლამდე სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირის ან კომერციული ბანკის ინიციატივით;
- ვ) „ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც გამოყენებული იქნება საბანკო სექტორში“ – „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შესრულებული იქნება კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;
- გ) „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა“ (1999/93/EC დირექტივის შესაბამისად) – ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
- გ.ა) დაკავშირებულია მხოლოდ ხელმოწერთან;
- გ.ბ) მისი მეშვეობით შესაძლებელია ხელმოწერის იდენტიფიცირება;
- გ.გ) შექმნილია ხელმოწერის შექმნისთვის აუცილებელი

- ლი მონაცემების გამოყენებით, ისე რომ ხელმოწერილი ხელმოწერის პროცესში უზრუნველყოფილია ნდობის მაქსიმალური პირობებით, რათა ხელმოწერა განხორციელდეს მისი ერთპიროვნული კონტროლის ქვეშ;
- გ.დ) დაკავშირებულია იმ მონაცემებთან რომელსაც ხელმოწერილი ხელს აწერს ისე, რომ ხელმოწერა იძლევა ამ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას;
- თ) „იდენტიფიცირება“ – ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით ხელმოწერის იდენტიფიცირების დადგენა, რაც უკავშირდება ელექტრონულ ხელმოწერაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური მონაცემის მონაწილეობას. აღნიშნული არ გულისხმობს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის“ შესახებ საქართველოს კანონისა და მისა საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ იდენტიფიცირებას;
- ი) „ხელმოწერილი“ – ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს ხელმოწერის შექმნის მოწყობილობას ისე, რომ ინარჩუნებს მასზე ერთპიროვნულ კონტროლს და მოქმედებს თავისი სახელით ან სხვა პირის სახელით, რომელსაც ის წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კ) „ერთპიროვნული კონტროლი“ – ხელმოწერის გარდა არცერთ პირს დამოუკიდებლად ან სხვა პირთან/პირებთან ერთად არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა ხელმოწერის ნაცვლად;
- ლ) „კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა“ – განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შექმნილია უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის (SSCD) მეშვეობით და იყენებს კვალიფიციურ სერტიფიკატს;
- მ) „სერტიფიკატი“ – ელექტრონული დადასტურება, რომელიც აკავშირებს „ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემებს“ კონკრეტულ პირთან და ადასტურებს ამ პირის იდენტობას;
- ნ) „კვალიფიციური სერტიფიკატი“ – სერტიფიკატი, რომელიც გამოშვებულია იმ სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებლის (CSP) მიერ, რომელიც აკმაყოფილებს დირექტივის დანართი II-ის მოთხოვნებს და შეესაბამება ამავე დირექტივის დანართი I-ის მოთხოვნებს;
- ო) „ხელმოწერის ვერიფიკაციის მონაცემები“ – მონაცემები, როგორცაა კოდები ან შიფრაციის გასაღებები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ნამდვილობის დასადაგენად;
- პ) „ღია გასაღები“ (ამ დოკუმენტის მიზნებისთვის გამოიყენება როგორც ხელმოწერის სერტიფიკატის ღია გასაღები) – „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ კანონის შესაბამისად ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის და გამოიყენება დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის დასადაგენად
- ჟ) „დახურული გასაღები“ (ამ დოკუმენტის მიზნებისთვის გამოიყენება როგორც ხელმოწერის სერტიფიკატის დახურული გასაღები) – ელექტრონული მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც

- გენერირდება ავტომატურ რეჟიმში, ხელმისაწვდომია მხოლოდ ხელმოწერისთვის და გამოიყენება დოკუმენტზე განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის შესაქმნელად;
- რ) „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“ (Signature Creation Device) – პროგრამული უზრუნველყოფა ან/და მოწყობილობა (აპარატურა), რომელიც გამოიყენება „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების“ წარმოქმნისთვის;
- ს) „უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“ (SSCD) – ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა, რომელიც აკმაყოფილებს ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- ტ) „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემები“ (signature-creation-data) – უნიკალური მონაცემების ერთობლიობა, როგორცაა კოდები ან/და დახურული კრიპტოგრაფიული გასაღებები, რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის მიერ ელექტრონული ხელმოწერის შექმნისთვის;
- უ) „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები“ – ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების შემადგენელი ნაწილი, კერძოდ სტატიკური და დინამიური მონაცემების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულ ხელმოწერასთან, უნიკალურია თითოეული ხელმოწერი პირისთვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება, და შესაძლოა შეიცავდეს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მიერ განსაზღვრულ სხვა, დამატებით მონაცემებს;
- ფ) „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილი“ – ღია და დახურული გასაღები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისა და დეშიფრაციისთვის;
- ქ) „შიფრაციის ღია გასაღები“ – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში და გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისთვის;
- ღ) „შიფრაციის დახურული გასაღები“ – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში, ცნობილია მხოლოდ იმ პირისთვის, რომელმაც განახორციელა გასაღების წყვილის გენერირება ან/და ახორციელებს მის მართვას და გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაციისთვის;
- ყ) „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირება და მართვა“;
- ყ.ა) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირება საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და იმ ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით, რასაც ეროვნული ბანკი განსაზღვრავს „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ შესაბამისად;
- ყ.ბ) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის დახურული გასაღების უსაფრთხო და საიმედოდ შენახვა, ასევე, დაცულ მატარებელზე დატანილი შიფრაციის დახურული გასაღების ასლის ეროვნული ბანკისათვის დაცული სახით გადაცემა მისი შენახვის მიზნით;
- ყ.გ) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის ღია გასაღების დაცული გზით გადაცემა ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მწარმოებლისთვის ან დამკვეთი კომერციული ბანკისთვის;
- ყ.დ) ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაცია და მიღებული ინფორმაციის ამავე ექსპერტიზის განმახორციელებელი პირისთვის გადაცემა;
- ყ.ე) ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების პროცესში, ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებასა და მართვასთან დაკავშირებული არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება და მართვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად;
- ყ.ვ) ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ევროკავშირში არსებული სარეგულაციო ალგორითმების და ტექნიკური ფორმატების გამოყენების შესახებ ამ ტერმინით განსაზღვრული ფუნქციის შემსრულებელი პირის მიერ შემუშავებული რეგულაციის მიზნდება როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე კონტრაქტორი კომერციული ბანკებისთვის;
- შ) „ელექტრონული შტამპი“ – კომერციული ბანკის მიერ შესრულებული ელექტრონული დადასტურება, რომელიც მიბმულია ელექტრონულ დოკუმენტზე და ადასტურებს ამ კომერციული ბანკის მიერ ელექტრონული დოკუმენტის მომზადებას;
- ჩ) „საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სანდო და დაცული გარემოს შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტს, რაც ასევე წარმოადგენს კომერციული ბანკის ან უცხოური ბანკის ფილიალის (საბანკო სექტორი) მიერ, ეროვნულ ბანკთან შესათანხმებლად წარსადგენი უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნის საფუძველს.

**მუხლი 6. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სამართლებრივი საფუძვლები**

1. „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს ელექტრონულ ხელმოწერასთან მიმართებით სპეციალური ხასიათის ნორმებს და ქმნის ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სამართლებრივ საფუძვლებს.
2. გემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ელექტრონული ხელმოწერისა და ციფრული ხელმოწერის სახეებს. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ელექტრონული

ხელმოწერის გამოყენების რელევანტურობა ძირითადად უნდა განისაზღვროს ხელმოსაწერ გარიგებათა რისკების შემცველობისა და მათი იურიდიული ძალის შესაბამისად.

3. ელექტრონული ხელმოწერა ციფრული ხელმოწერის სტატუს იძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სახეზეა „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ციფრული ხელმოწერის თვისობრივი ერთობლიობა, ანუ ერთის მხრივ სერთიფიკატის არსებობა და მეორეს მხრივ შემოწმებისა და დადასტურების შესაძლებლობა.
4. ელექტრონული ტექნოლოგიის ამ ინოვაციამ დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველყოფა, რომლის შემუშავებაც პირდაპირ არის დაკავშირებული საბანკო საქმიანობაში „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების ამოქმედებასთან. თუმცა აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ კანონმდებელმა გაითვალისწინა რა უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების გრძელვადიანი პროგნოზი და ამ მხრივ სპეციალური დანაწესი აამოქმედა კომერციულ ბანკებთან მიმართებით კერძოდ, „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად სახელმწიფოს მხრიდან ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებამდე ან/და საზღვარგარეთ გაცემული ციფრული ხელმოწერის სერთიფიკატის აღიარებიდან 1 წლის განმავლობაში ძალაში რჩება საბანკო საქმიანობაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სტანდარტები და წესები. რაც შეეხება საზღვარგარეთ გაცემული სერთიფიკატების აღიარებას, კანონი მას, თავის მხრივ სხვა პირობებსაც უკავშირებს და შესაბამისად ამ ეტაპზე მისი მხედველობაში მიღების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.
5. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვით დაინტერესებულმა კომერციულმა ბანკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესზე, რომლითაც მათ ენიჭებათ უფლება თავად შექმნან ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მთავარი საფუძველი – უსაფრთხოების პოლიტიკა და ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად:
  - ა) იხელმძღვანელონ ამ სახელმძღვანელოთ;
  - ბ) შექმნილი უსაფრთხოების პოლიტიკა შესათანხმებლად წარუდგინონ ეროვნულ ბანკს;
  - გ) კონკრეტულ საბანკო ოპერაციებზე თავად განსაზღვრონ უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მიზანშეწონილობა.
6. მხედველობაშია მისაღები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც გარკვეული კატეგორიის გარიგებათა მიმართ იმპერატიულ დანაწესებს შეიცავენ მათი მხოლოდ მატერიალური ფორმით არსებობის თვალსაზრისით. კერძოდ, გარიგებები, რომლებიც შეეხება:

ვალის აღიარებას, თავდებობას, სამიღმეშიორჩენას და ანდერძს უნდა შესრულდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე, 892-ე, 942-ე და 1357-ე მუხლები). სამოქალაქო კოდექსის ამ მოთხოვნაზე მიუთითებს „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტიც, რომელიც თავის მხრივ დაუშვებლად მიიჩნევს სხენებულ გარიგებათა მიმართ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობას.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კეთდება სამართლებრივი დასკვნა: ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებით მიიჩნევა, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს საკმარის სამართლებრივ საფუძველებს იმისთვის, რომ კომერციული ბანკების მიერ შექმნილი და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე, საქართველოს მოქმედ კომერციულ ბანკებში კონკრეტულ საბანკო ოპერაციებზე დაინერგოს ელექტრონული ხელმოწერის ინსტიტუტი და მათ შორის ე. წ. ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების შესაძლებლობა.

### მუხლი 7. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის ზოგადი ასპექტები

1. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისთვის ეროვნული ბანკი ეყრდნობა ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივას და ევროკავშირის სივრცეში მოქმედ სხვა რეგულაციებსა და რეკომენდაციებს. ასევე, შესაძლოა იხელმძღვანელებს იმ განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო აქტებითა და რეგულაციებით, სადაც დანერგილია ელექტრონული ხელმოწერა და შესაბამისი საკანონმდებლო სივრცე ეროვნული ბანკის მიერ მიიჩნევა საკმარისად სანდოდ.
2. ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომერციული ბანკი, მის მიერ კონკრეტული საბანკო მომსახურების განვითარების განსაზღვრავს მასსა და მომსახურების მიმღებ პირს შორის ელექტრონული ხელმოწერის მეშვეობით გარიგების დადების შესახებ შეთანხმების გაფორმების საჭიროებას.
3. ევროპის ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის საინიციატივო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად ელექტრონული ხელმოწერის გაგების ძირითადი საკითხია, ერთის მხრივ სპეციფიკური მოთხოვნების განსაზღვრა ელექტრონული ხელმოწერის წარმოქმნისა და ვერიფიკაციისთვის. ეს წესები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მოთხოვნების შესაბამისი/შემხვედრი თემები. აღნიშნული წესები შეიძლება მოიცავდეს:
  - ა) ხელმოწერის შექმნის წესებს, ელექტრონული ხე-

- ლმონერის შექმნის მოწყობილობის სპეციფიკაციის, გამოყენებული ალგორითმებისა ტექნიკური ფორმატების გათვალისწინებით;
- ბ) CSP-ს მომსახურების მიღების წესებს, ისეთი მომსახურების გათვალისწინებით როგორცაა ხელმონერის სერტიფიკატის გამოყენება, „დროის აღნიშვნა“ და სხვა.
4. მნიშვნელოვანი ფაქტორია შეთანხმების არსებობა „ხელმონერსა“ და „ვერიფაიერს“ შორის, რითაც ხელმონერი გამოხატავს თავის მონაწილეობას და ერთგვარ ვალდებულებას ელექტრონული ხელმონერის გამოყენების მიმართ. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ასეთი შეთანხმების გარეშე გაურკვეველია თუ რა შეიძლება იქნეს აღიარებული მესამე მხარის მიერ ლეგიტიმურ ელექტრონულ ხელმონერად.
5. მომხმარებლის მიერ ელექტრონული ხელმონერის სამართლებრივი შედეგების გაცნობიერების მიზნით, კომერციულმა ბანკმა მომსახურების განვადმდე უნდა უზრუნველყოს პოტენციური მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ხელმონერის იურიდიულ მნიშვნელობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. აგრეთვე, მომხმარებელს უნდა ქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ელექტრონული დოკუმენტის დედანი ხოლო სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს მიაწოდოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტის ასლი.
6. ელექტრონული ხელმონერა ჩაითვლება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი მე-4 პუნქტის შესაბამისად შესრულებულად, თუ კომერციული ბანკის მიერ მომსახურების განვადის დროს ელექტრონული ხელმონერა შესრულებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ ფორმატში და იმ მოწყობილობის გამოყენებით, რაც გათვალისწინებულია ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკით.
7. კომერციული ბანკის მიერ მომხმარებელთან ნებისმიერი სახის ურთიერთობაში ელექტრონული ხელმონერის შექმნის იმ მოწყობილობის გამოყენება, რომელიც არ შეესაბამება ეროვნულ ბანკთან ამ კომერციული ბანკის მიერ შეთანხმებულ უსაფრთხოების პოლიტიკას და შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული კონკრეტული საბანკო მომსახურების მიწოდებისთვის, ეროვნული ბანკის მიერ განიხილება როგორც შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევა.
8. კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის იდენტიფიკაციის, მონაცემების აუთენტიფიკაციისა და ხელმონერის (eIAS) სანდო და დაცულ გარემოში შესრულება. ამავდროულად დაცული უნდა იქნეს „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.
9. ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, იმ პროდუქტის სანდოობის ხარისხის განსაზღვრისას, რომელიც მონაწილეობს ელექტრონული ხელმონერის გამოყენებაში, უპირატესობა მიენიჭება თანამშრომლობას იმ ორგანიზაციებთან:
- ა) რომელთა რეგისტრაციის ქვეყანა აღიარებს ევროკავშირის ან/და შესაბამისი დონის რეგულაციებს;
- ბ) ქვეყნის შესაბამისი ოფიციალური სტრუქტურები ახორციელებენ ორგანიზაციის ან/და მისი პროდუქტის რეგულირებას ან/და ლიცენზირებას;
- გ) ორგანიზაცია მიჩნეულია საყოველთაოდ ცნობილ ერთეულად და ეჭვგარეშეა მისი სანდოობის ხარისხი;
- დ) ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ან/და მისი პროდუქტის რეგულირების და/ან სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ე) ხელმისაწვდომია პროდუქტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ვ) სხვა კრიტერიუმები, რაც საკმარისი საფუძველი იქნება ორგანიზაციის ან/და მისი პროდუქტის სანდოობის დასადასტურებლად.
10. გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ აღნიშნული დირექტივის შესაბამისად სტანდარტიზებასა და შესაბამისობის შეფასებას ექვემდებარება:
- ა) CSPs-ს ნებაყოფლობითი აკრედიტაცია;
- ბ) CSPs-ს ზედამხედველობა;
- გ) საიმედო სისტემებისა და უსაფრთხო ხელმონერის შექმნის მოწყობილობა.
11. შესაძლებელია, სტანდარტიზაციისა და ნებაყოფლობით შესაბამისობის შეფასებას დამატებით ექვემდებარებოდეს:
- ა) ხელმონერის გადამოწმების (ნამდვილობის დადგენის) პროდუქტები;
- ბ) უსაფრთხო ხელმონერის შექმნის გარემო.
12. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს, რომ დირექტივა (პუნქტი 3.3) ითხოვს ევროკავშირის ქვეყნების მიერ თავის ტერიტორიაზე დაარსებული და ოპერირებად CSP-ს საზედამხედველო უწყებების/ორგანიზაციების დაარსებას, თუ ეს CSP უშვებს კვალიფიციურ სერტიფიკატს. აღნიშნული საზედამხედველო ორგანიზაციის ფუნქციაა განახორციელოს CSP-ს უწყვეტი ზედამხედველობა მათი საქმიანობის 1999/93/EC დირექტივის დანართი II-თან, ხოლო მათ მიერ გამოშვებული კვალიფიციური სერტიფიკატის ამავე დირექტივის დანართი I-თან შესაბამისობის კონტროლი.
13. აღსანიშნავია, რომ „ზედამხედველობას“ დაქვემდებარებული CSP უშვებს კვალიფიციურ სერტიფიკატს, რომელიც შეესაბამება 1999/93/EC დირექტივის დანართი I და II-ის მოთხოვნებს, ხოლო CSP, რომელსაც აქვს „სერტიფიცირებულის“ სტატუსი აკმაყოფილებს გარკვეული სტანდარტების მოთხოვნებს, მაგრამ არ უშვებს კვალიფიციურ სერტიფიკატს.
14. იდენტიფიკაციისთვის PIN, პაროლის ან ბიომეტრიული მონაცემების გამოყენების გათვალისწინებით, ელექტრონული ხელმონერა მიიჩნევა ამ სახელმძღვანელოთი განსაზღვრული უსაფრთხოების პოლიტიკის კრიტერიუმების შესაბამისად შექმნილ ხელმონერად, თუ ის შესრულებული იქნება უსაფრთხოების ისეთი მოთხოვნების დაცვით როცა 1999/93/EC ევროდირექტივის შესაბამისად:
- ა) დაცული იქნება „განვითარებული ელექტრონული ხელმონერის“ კრიტერიუმები;
- ბ) გამოყენებული იქნება „კვალიფიციური სერტიფიკატი“;
- გ) გამოყენებული „ხელმონერის შექმნის მოწყობილობა“ თავისი შინაარსით დააკმაყოფილებს/გაითვალისწინებს უსაფრთხო ხელმონერის შექმნის მოთხოვნებს.
15. კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული და დან-

ერგოლი უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ისეთი პროდუქტის გამოყენებას, რომელიც შეესაბამება/სერტიფიცირებულია შეფასებისა და უსაფრთხოების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, როგორცაა:

- ა) ITSEC საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების შეფასების კრიტერიუმები (Information Technology Security Evaluation Criteria)
  - ბ) უსაფრთხოების დონის შეფასების საერთო კრიტერიუმები (The Common Criteria for the Evaluation Assurance Levels)
  - გ) ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი (The European Telecommunications Standards Institute (ETSI))
  - დ) ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი (The European Committee for Standardization (CEN))
  - ე) სხვა, უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.
16. გამოყენებული პროდუქტების შესაბამისობა უსაფრთხოების საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაძლებელია განსაზღვრული იყოს ე.წ. დადასტურების სერტიფიკატით (Certificates of confirmation) ან/და მწარმოებლის სერტიფიკატით (Manufacturer's declarations).
17. დადასტურების სერტიფიკატი (Certificates of confirmation) გაიცემა შემდეგი პროდუქტების მიხედვით:
- ა) ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა (შიგნატურე ცრეატიონ დევიცეს);
  - ბ) ხელმოწერის ფორმატის კომპონენტები (შიგნატურე აპლიკაციონ ცომპონენტს);
  - გ) ტექნიკური კომპონენტები გასაღების გენერირებისთვის (Technical components for key generation);
  - დ) ტექნიკური კომპონენტები საცნობარო მომსახურებისთვის (თეცჰნიკალ ცომპონენტს ფორ დირეცტორე სერვიცეს);
  - ე) ტექნიკური კომპონენტები კვალიფიციური „დროის აღნიშვნის“ გენერირებისთვის თეცჰნიკალ ცომპონენტს ფორ ცრეატიონგ ქუალიფიედ ტიმე სტამპს.
18. ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში ყოველთვის სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს დადასტურების სერტიფიკატი (Certificates of confirmation), ხოლო დანარჩენზე, მისი არქონის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება მწარმოებლის დეკლარაცია.
19. მწარმოებლის დეკლარაცია – მის მარტივ ფორმას წარმოადგენს მწარმოებლის მიერ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლების აღწერა, რითაც წარმოდგენილია ამ პროდუქტის/მომსახურების შესაბამისობა არსებულ რეგულაციებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან ან/და სხვა ნორმატიულ აქტებთან. მწარმოებლის დეკლარაცია შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც მესამე მხარის სერტიფიკატის ან ტესტირების შედეგის პირდაპირი ალტერნატივა. ასეთ შემთხვევაში დეკლარაციაში აღწერილია თუ რა გზით არის უზრუნველყოფილი ამ სერვისის/მომსახურების სტანდარტებთან შესაბამისობა. ამ მიზნებისთვის, როგორც ერთ-ერთი საშუალება, გამოიყენება აკრედიტებული ლაბორატორიის ანგარიში/დასკვნა.
20. კომერციულმა ბანკმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოში, რომელიც აღწერილია ამ პროდუქტის უსაფრ-

თხოების დამადასტურებელ დოკუმენტებში.

- 21. ელექტრონული ხელმოწერაში, დროის აღნიშვნის (ე. წ. Time-Stamp) გამოყენება უნდა დაუკავშირდეს სანდო CSP–ს მომსახურების მიღებას. ამასთანავე, კომერციული ბანკის მიერ დანერგილ ელექტრონული ხელმოწერის კონკრეტულ ტექნოლოგიურ მოდელში, დროის აღნიშვნა ისე უნდა იქნეს გამოყენებული რომ უზრუნველყოფილი იქნეს ხელმოწერის იდენტიფიკატორის ინტეგრირება დროის აღნიშვნაში.
- 22. გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ელექტრონული ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს შექმნის მიზნით, გამოყენებითი პროგრამირების სამუშაო ზედაპირი (Application Programming Interface API), რომელიც დაკავშირებული იქნება ელექტრონული ხელმოწერის კონკრეტულ მოწყობილობასთან უნდა წარმოადგენდეს იმავე მწარმოებლის პროდუქტს, რომელსაც ეკუთვნის ელექტრონული ხელმოწერის ეს მოწყობილობა.
- 23. კომერციული ბანკი, რომელიც თავის საქმიანობაში გამოიყენებს ელექტრონულ ხელმოწერას, ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ დაცული გზით ელექტრონული დოკუმენტის ორიგინალის მიღების შესაძლებლობა.

## მუხლი 8. ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა

- 1. კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილი უსაფრთხოების პოლიტიკის შეფასებისას, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის დანერგილი იდენტიფიკაციის საშუალების გათვალისწინებით, გამოყენებული იქნება 1999/93/EC დირექტივის დებულებები, რაც წარმოადგენს ქვემოთ მოცემული მუხლების საფუძველს. ქვემოთ მოცემულ მუხლებში ასახული დებულებები „განვითარებული ელექტრონული ხელმოწერისთვის“ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ ტიპის ხელმოწერის ტექნოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე.
- 2. 1999/93/EC დირექტივის დანართი III-დან გამომდინარე „უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ მინიმალური ტექნიკური და პროცედურული მოთხოვნებია:
  - ა) ხელმოწერის შექმნის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის გენერირებისთვის, შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ ერთხელ, ხოლო მისი კონფიდენციალობა იყოს დაცული ისე, რომ შეუძლებელი იყოს ორ მომხმარებელს ქონდეს წვდომა ერთი და იგივე გასაღების წყვილზე. ასევე შეუძლებელი უნდა იყოს დახურული გასაღების მეორედ შექმნა ან/და კოპირება;
  - ბ) არსებობდეს საკმარისი დაცვა იმისთვის, რომ შეუძლებელი იყოს ხელმოწერის შექმნის მონაცემების (რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის გენერირებისთვის) მოპოვება, ხოლო მიღებული ხელმოწერა დაცული იქნეს გაყალბებისგან დროის არსებული მომენტისთვის გამოყენებული მონაცემების ტექნოლოგიებით;
  - გ) ამ მიზნისთვის კრიპტოგრაფიული ალგორითმი და გასაღების ზომა უნდა იყოს იმდენად უსაფრთხო, რომ შეუძლებელი იყოს ღია გასაღების მეშვეობით დახურული გასაღების გამოთვლა, ხოლო ეს პირობა მინიმუმ შენარჩუნებული იქნეს შესაბამისი

- სერტიფიკატის იურიდიული ძალის არსებობის პერიოდში; ხელმოწერის შექმნის მონაცემები, რომლებიც გამოიყენება ხელმოწერის გენერირებისთვის, საიმედოდ დაცული იყოს რათა არ მიადგეს ზიანი ხელმოწერის ინტერესებს, რაც მინიმუმ გულისხმობს დახურული გასაღების დაცვას პაროლის (ან სხვა) საშუალებით მოსალოდნელი შეტევებისგან. ასევე უნდა არსებობდეს პაროლის გამოთვლისთვის კომბინაციების გამოყენების ხელშემშლელი მექანიზმი;
- დ) ხელმოწერის შექმნის მონაცემები უნდა უზრუნველყოფდეს ხელმოსაწერად შეთანხმებული მონაცემების უცვლელობას, ხოლო ეს მონაცემები წარდგენილი უნდა იყოს ხელმოწერისთვის ხელმოწერის განხორციელებამდე.

### მუხლი 9. ხელმოწერის შექმნის პროცესი და გარემო

- რამდენადაც ხელმოწერის შექმნის მონაცემები წარმოადგენს ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის მხოლოდ ნაწილს, საჭიროა განისაზღვროს უსაფრთხო ხელმოწერის შექმნის მთელი პროცესის და ხელმოწერის შექმნის გარემოს დანერგვის კრიტერიუმები ქვემოთ აღწერილი სქემის შესაბამისად.
- ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემო სავალდებულოა ითვალისწინებდეს, მომხმარებლისთვის:
  - ხელმოსაწერად შეთანხმებული ინფორმაციის უცვლელობაში დარწმუნების შესაძლებლობას;
  - ხელმოსაწერად შეთანხმებული ინფორმაციის სრულად გადახედვის შესაძლებლობას;
  - ხელმოწერის უნდა აეხსნას ელექტრონული ხელმოწერის შედეგების მნიშვნელობას.

### მუხლი 10. ხელმოწერის გადამოწმების პროცესი და გარემო

- ზემოთ აღნიშნული დირექტივის შესაბამისად, არ არსებობს ხელმოწერის გადამოწმების (ნამდვილობის დადგენის/ვერიფიკაციის) საშუალებების ოფიციალური კრიტერიუმები. დირექტივის დანართი IV იძლევა რეკომენდაციებს, რომლის შესაბამისადაც ხელმოწერის გადამოწმების პროცესი შესაძლოა ითვალისწინებდეს:
  - ხელმოწერის გადამოწმებისთვის გამოყენებული ინფორმაცია ყოველგვარი ცვლილების გარეშე მიენოდოს პირს, რომელიც ახორციელებს ამ პროცესს (ამ მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტები);
  - ხელმოწერა გადამოწმდეს საკმარისად დაცული გზით, სადაც შეიძლება მოიაზრებოდეს ხელმოწერის მათემატიკური გადამოწმება. მიღებული ნებისმიერი შედეგი ეცნობოს პირს, რომელიც ახორციელებს ვერიფიკაციას (ამ მუხლის მე-5 – მე-10 პუნქტები);
  - ვერიფიკაციის შედეგის აღწერა (content) წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილად და მართებულად;
  - გადამოწმდეს სერტიფიკატის ძირეული გამცემი (Root CA);
  - გადამოწმდეს სერტიფიკატის ავთენტურობა (authenticity). ასევე, გადამოწმდეს სერტიფიკატის მოქ-

- მედების ვადა (validity);
- გადამოწმდეს სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების სტატუსი (revocation);
  - ხელმოწერისა და სერტიფიკატის პარამეტრების შემოწმებისას გამოყენებულ იქნეს დროის აღნიშვნის საშუალებით მათი შესრულების ვალიდურობა (ამ მუხლის მე-5 – მე-10 პუნქტები);
  - ვერიფიკაციის შემსრულებელი პირის მიერ დადგენილი იქნეს ხელმოწერის იდენტიფიკაცია;
  - შესაძლებელი იყოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების იდენტიფიკაცია.
- ხელმოწერის ვერიფიკაციის პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ავტომატიზირებული, ასევე არა ავტომატიზირებული მეთოდით და უზრუნველყოფს ხელმოწერის სრულყოფილ გადამოწმებას. არავტომატიზირებული მეთოდი გულისხმობს ადამიანის ჩარევით ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას და ის შესაძლებელია როცა მისი სამუშაო გარემო აღჭურვილია სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით. ავტომატიზირებული მეთოდი გულისხმობს კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, ადამიანის ჩარევის გარეშე ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას. ქვემოთ წარმოდგენილი მიდგომა ითვალისწინებს მხოლოდ ადამიანის ჩარევის შედეგად განხორციელებულ პროცესს. თუმცა ვერიფიკაციის ავტომატიზირებული მოდელი შესაძლოა უფრო ეფექტური აღმოჩნდეს ელექტრონული კომერციის განვითარებისთვის.
    - გადამოწმების დროს აღმოჩენილი ნებისმიერი უზუსტობა თუ შესაბამისობა საჭიროა იქნეს დეკლარირებული. ამ ინფორმაციაზე წვდომა უნდა ქონდეს პირს, რომელიც ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესს. ხელმოწერის ვერიფიკაცია შესაძლოა განხორციელდეს სხვა და სხვა გზით კონკრეტული პირის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.
    - ხელმოწერის ვერიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის არასრული ჩამონათვალია:
      - ხელმოწერის იდენტობის განსაზღვრა;
      - ხელმოწერის პოლიტიკით განსაზღვრული სხვა ნებისმიერი საიდენტიფიკაციო მონაცემთან შედარება;
      - სერტიფიკატის მოქმედების ვადა;
      - CP (ჩერტიფიკატე პოლიციეს) სპეციფიკა, რაც მითითებულია სერტიფიკატში;
      - სერტიფიკატის გამოყენებაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა ან ტრანზაქციის მოცულობა;
      - სერტიფიკატის გამომშვების იდენტიფიკაციის მონაცემები;
      - სერტიფიკატის გაუქმების შესახებ ინფორმაცია;
      - მითითება ძირეულ სერტიფიკატზე (Root CA–ს მიერ გაცემული), რომელიც გამოიყენებოდა ვერიფიკაციის პროცესისთვის.
  - ხელმოწერის ვერიფიკაციის განხორციელება შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ხელმოწერის შექმნის მომენტიდან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგაც. იმისთვის რომ, გადამოწმდეს ხელმოწერის მიერ, ხელმოწერის შექმნის მომენტისთვის გამოყენებული სერტიფიკატის ავთენტურობა და ქმედითობა, უნდა მოხდეს დადასტურება იმისა, რომ სერტიფიკატი არსებობდა და არ იყო გაუქმებული ხელმოწერის მომენტისთვის.
  - პირველადი ვერიფიკაცია არის ვერიფიკაცია, რო-



მელიც ხორციელდება ხელმოწერის შესრულების დროს. პირველადი ვერიფიკაცია შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ხელმოწერის მომენტში სერტიფიკატის ვალიდურობის გადამოწმებასთან.

7. როგორც პირველადი ვერიფიკაციის, ასევე შემდგომი ვერიფიკაციების დროს, იმის დასადასტურებლად, რომ ხელმოწერის დახურული გასაღები გამოყენებული იყო სერტიფიკატის საოპერაციო პერიოდში (ვალიდურობის პერიოდში), გამოყენებული უნდა იქნეს ხელმოწერაზე აღნიშნული დრო (Time-Stamping). ვერიფიკაციის საიმედოდ განხორციელების შესაძლებლობისთვის, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხელმოწერის დროის აღნიშვნა (Signature Time-Stamp) აღებული იქნეს Time Stamping Authorities –გან და არავითარ შემთხვევაში ხელმოწერის ან ხელმოწერის გარემოზე პასუხისმგებელი პირის ლოკალური წყაროდან. რადგან დროის აღნიშვნა ხდება ხელმოწერის მომენტის შემდეგ მყისიერად, პირველი ვერიფიკაცია რეალურად ასახავს თუ როდის მოხდა ხელმოწერა: თუ თიმე Stamping Authorities-ს მიერ დასმული დრო (ანუ ხელმოწერის დრო) თავსდება სერტიფიკატის მოქმედების პერიოდში, მათ შორის სერტიფიკატის გაუქმებამდე, მაშინ ხელმოწერა ვალიდურია. სხვა შემთხვევაში ხელმოწერა ჩაითვლება არა ვალიდურ ხელმოწერად.
8. ხელმოწერის დროის აღნიშვნა (Signature Time-Stamp) სრულდება ციფრული სერტიფიკატის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ, იმდენად მცირე დროის ინტერვალით, რომ ეს დრო მიჩნეული უნდა იქნეს არაარსებით განსხვავებად. დროის აღნიშვნა მიუთითებს, რომ ხელმოწერა შესრულდა მოცემულ დრომდე, ხოლო ციფრული სერტიფიკატის გამოყენებას და დროის აღნიშვნის სერვისის მიღებას შორის აღნიშნული დროის სხვაობის სიმცირის გამო,
9. შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ხელმოწერა შესრულდა იმ დროს, როცა მასზე განხორციელდა დროის აღნიშვნა. არაარსებითად მიჩნეულ უნდა იქნეს დროის იმდენად მცირე ინტერვალში, რომ შეუძლებელი იყოს ხელმოწერის შესრულების დროში (მომენტში) ეჭვის შეტანა.
10. ხელმოწერის შემდგომი ვერიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა Trusted Archival Services, რამდენადაც ამ მომსახურებით გაკეთებული ჩანაწერები იძლევა ინფორმაციას ხელმოწერის არსებობის და ვალიდურობის შესახებ.

### მუხლი 11. ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის თავისებურებები.

საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის თავისებურებები განსაზღვრულია ამ სახელმძღვანელოს მე-12– მე-20–ე მუხლებით.

### მუხლი 12. ბიომეტრიულ მონაცემებზე შექმნილი ელექტრონული ხელმოწერა

1. საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებას გულისხმობს ელექტრონული ხელ-

მოწერის იმ მოდელის გამოყენებას, რომელიც შესრულებული იქნება მომხმარებელთან პირისპირ საბანკო მომსახურების განვითარებას, ე.წ. ხელმოწერის დაფის საშუალებით.

2. აღნიშნული მოდელით ელექტრონული ხელმოწერის შექმნა ეყრდნობა ხელმოწერის ბიომეტრიულ მონაცემებს. ესაა ხელმოწერის სტატიკური და დინამიური მონაცემების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ხელმოწერის იდენტიფიცირება.
3. კომერციული ბანკის მიერ შერჩეული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების უზრუნველ ყოფნის ხელმოწერის შექმნისთვის საჭირო ყველა იმ ბიომეტრიული მონაცემის მიღებას ისეთი ხარისხით, რომ ისინი საკმარისი აღმოჩნდნენ ხელმოწერის ექსპერტიზის ჩასატარებლად.
4. ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემები სავალდებულოა ისე დაუკავშირდეს ხელმოწერის მონაცემებს, რომ შესაძლებელი იყოს ხელმოწერილ მონაცემებში ნებისმიერი ჩარევის შემჩნევა/დაფიქსირება. ამასთანავე აღნიშნული ბიომეტრიული მონაცემები დაცული უნდა იქნეს ისე, რომ შეუძლებელი იყოს დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემების დეშიფრაცია ნებისმიერი პირის მიერ, „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის“ ფუნქციის შემსრულებელი ორგანოს გარდა.
5. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს ღია გასაღების ინფრასტრუქტურის (PKI) პრინციპებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ისეთი სანდო და დაცული გარემოს შექმნას, რომელიც ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაზე დაფუძნებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების საშუალებას იძლევა. აღნიშნულ სანდო და დაცულ გარემოდ მიიჩნევა ის ღია გასაღების ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სანდო სერვისის მიმწოდებელი ერთეულების მონაწილეობას.
6. ღია გასაღების ინფრასტრუქტურა (PKI) უფრო ფართო გაგებისთვის, ის განიხილება, როგორც მომსახურების, სტანდარტების, პროტოკოლების და პროგრამული უზრუნველყოფის კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს ღია გასაღების შიფრაციის ტექნოლოგია. PKI ასევე შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ღია გასაღების სერტიფიკატზე დამყარებული სანდო იერარქია. სხვა შემთხვევაში შესაძლოა, ასევე გაგებულ იქნეს, როგორც შიფრაციისა და ციფრული სერტიფიკატის მომსახურების მიწოდება. PKI ასევე, არის გარემო, რომელიც ახორციელებს ღია გასაღების მართვას CA–ს მიერ გამოშვებული ციფრული სერტიფიკატის მეშვეობით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს აღნიშნულ გარემოში განახორციელოს დაცული კომუნიკაცია და ოპერაციები. PKI–ს საბაზისო ელემენტებად განიხილება სერტიფიკატი, ღია და დახურული გასაღები, სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი (CA) და სხვა სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებელი (CSP).
7. ხელმოსაწერ მონაცემებზე განხორციელებული

ხელმძღვანელის რაოდენობის მიუხედავად, დაცული უნდა იქნეს თითოეული ხელმძღვანელის მთლიანობა, რაც გულისხმობს თითოეული ხელმძღვანელის დაურღვეველ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

### მუხლი 13. კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი

1. ხელმძღვანელ მონაცემებზე ყველა ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული ხელმძღვანელის შემდეგ, ეს ხელმძღვანელი (ხელმძღვანელი), და შესაბამისად დოკუმენტი ჩაითვლება დასრულებულად როდესაც კომერციული ბანკის მიერ დოკუმენტს დაედება ელექტრონული შტამპი, რაც უნდა წარმოადგენდეს საბოლოო, ე.წ. საკონტროლო ციფრულ ხელმძღვანელს. აღნიშნული საკონტროლო ხელმძღვანელის შესრულებისთვის გამოყენებული უნდა იქნეს სანდო სერვისის მიმწოდებელი პირის მიერ გამოშვებული ციფრული ხელმძღვანელის სერტიფიკატი.
2. კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი უნდა შეიცავდეს კომერციული ბანკის იმ თანამშრომლის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული ოპერაციის შემსრულებელს ან/და ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმძღვანელს. კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი უნდა წარმოადგენდეს ციფრული სერტიფიკატის გამოყენებით შესრულებულ ხელმძღვანელს. კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპისა და ბიომეტრიულ მონაცემებზე დაფუძნებული ელექტრონული ხელმძღვანელის შესრულებისთვის არ უნდა იქნეს გამოყენებული ერთიდაიგივე სერტიფიკატი. თუმცა ამ ორი სერტიფიკატის გამცემი შესაძლებელია იყოს სერტიფიკატის გამცემი ერთი და იგივე უფლებამოსილი პირი.
3. კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი საშუალებას უნდა იძლეოდეს განისაზღვროს თუ ვის მიერ შესრულდა და ხელი მოეწერა კონკრეტულ საბანკო ოპერაციას კომერციული ბანკის მხრიდან. კომერციული ბანკის ელექტრონული შტამპი წარმოადგენს კონკრეტული ოპერაციის კომერციული ბანკის გარემოში შესრულების დადასტურებას.
4. ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმძღვანელის მიერ ბიომეტრიულ მონაცემებზე დაფუძნებული ელექტრონული ხელმძღვანელის შესასრულებლად ხელმძღვანელის სერტიფიკატის გამოყენების შემდეგ მყისიერად უნდა განხორციელდეს ბანკის ელექტრონული შტამპისთვის ხელმძღვანელის სერტიფიკატის გამოყენება. ამ ორი სერტიფიკატის გამოყენებას შორის არსებული დროის ინტერვალი შენარჩუნებული უნდა იქნეს კომერციული ბანკის გარემოში შექმნილი ნებისმიერი ელექტრონული დოკუმენტისთვის (რომელზეც ხორციელდება ელექტრონული ხელმძღვანელი), ხოლო ინფორმაცია დროის დასაშვები ინტერვალის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს მინიმუმ ერთ-ერთი სერტიფიკატის ფორმულარში.

### მუხლი 14. გამოყენებული მონაცემები და პროგრამული უზრუნველყოფა

1. გამოყენებული მონაცემები, არსებული პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც „ელექტ-

რონული ხელმძღვანელის შექმნის მონაცემების“ ნაწილია, უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიანობას, რომლის დარღვევა ნიშნავს მონაცემების კომპრომეტირებას.

2. გამოყენებული მონაცემები და პროგრამული უზრუნველყოფა, მაგ: გამოყენებითი პროგრამირების სამუშაო ზედაპირი (Application programming interface (API)) მიზანშეწონილია წარმოადგენდეს ერთი და იგივე მწარმოებლის პროდუქტს და მისი დანერგვა უნდა განხორციელდეს ერთდროულად.
3. ნებისმიერი ჩარევა, როგორც მონაცემებისა, ასევე პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, განიხილება ხელმძღვანელის სანდო და დაცული გარემოს დარღვევად, რაც შეფასდება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შეუსრულებლობად.
4. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელის მონაცემები და პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს სხვადასხვა მწარმოებლის პროდუქტს, ან სავალდებულო ხდება სხვა მწარმოებლის მიერ პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩარევა, სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს ამ ორი პროდუქტის ტექნიკური და ფუნქციონალური თავსებადობის და პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩარევის მიუხედავად აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ელექტრონული ხელმძღვანელის გამოყენების ისეთი პირობები, რაც ეროვნული ბანკის მიერ მიჩნევა სანდო და დაცულ გარემოდ.
5. უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელისთვის რეკომენდირებულია მხოლოდ PDF ფორმატის ფაილის გამოყენება, რომელიც ხელმძღვანელის შემდეგ, როგორც დასრულებული დოკუმენტი გადადის ელექტრონულ არქივში. ამასთანავე PDF ფორმატის ფაილის გამოყენებასთან ერთად დაცული უნდა იქნეს დოკუმენტზე „დრის აღნიშვნის“, მისი გრძელვადიანი არქივირებისა და დროის ნებისმიერ პერიოდში დოკუმენტის ვალიდაციის შემოწმების შესაძლებლობა.

### მუხლი 15. დროის აღნიშვნა და გრძელვადიანი არქივირება

1. დროის აღნიშვნა გამოიყენება ციფრული ხელმძღვანელზე დროის დაფიქსირებისთვის, რათა შესაძლებელი იყოს დადასტურება იმისა რომ ციფრული ხელმძღვანელი წარმოიქმნა უშუალოდ მოცემულ კონკრეტულ მომენტამდე. ღია გასაღების სერტიფიკატის გაუქმების შემთხვევაში, დროის აღნიშვნის არსებობა საშუალებას აძლევს ვერიფიკაციის განხორციელებელს განსაზღვროს ხელმძღვანელი შესრულდა თუ არა სერტიფიკატის გაუქმებამდე ან/და სერტიფიკატის მოქმედების პერიოდში.
2. დაუშვებელია ხელმძღვანელის სერტიფიკატის გამოყენება დროის აღნიშვნის სანდო სერვისის მიმწოდებლის პროდუქტის გარეშე, თუ შეთანხმებული არ არის ეროვნულ ბანკთან.
3. ხელმძღვანელის სერტიფიკატის გამოყენებისას და-

უშვებელია კომერციული ბანკის ლოკალური სერვერის დროის აღნიშვნა.

4. დროის აღნიშვნის სერვისის მიმწოდებელი უნდა იყოს დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელიც სხვა, ნებისმიერი სერტიფიცირების სერვისის მიმწოდებლის (CSP) მსგავსად, ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეული უნდა იქნეს სანდო სერვისის მიმწოდებლად.
5. დროის აღნიშვნა სანდო სერვისის მიმწოდებლის სერვერიდან სავალდებულოა მიყვებოდეს სერტიფიკატზე დამყარებულ ხელმოწერას დაუყოვნებლივ, როგორც კი ხელმოწერა წარმოიქმნება, ისე რომ დროის აღნიშვნამ ასახოს დოკუმენტზე ხელმოწერის დრო.
6. სანდო სერვისის მიმწოდებლისგან მიღებული დროის აღნიშვნა უნდა წარმოადგენდეს კრიპტოგრაფიულ მესიჯს, რომელიც შესრულებული იქნება დროის აღნიშვნის მომსახურების აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.
7. კომერციული ბანკის მიერ დროის აღნიშვნის სანდო სერვისის მიმწოდებელთან გაგზავნილი მოთხოვნა უნდა წარმოადგენდეს ციფრულ ხელმოწერაზე შესრულებულ ჰეშს. ამ მოთხოვნის პასუხად მიღებული ინფორმაცია არის ციფრული ხელმოწერის დროის აღნიშვნა.
8. იმ შემთხვევაში, როცა კომერციული ბანკი გამოიყენებს ელექტრონულ ხელმოწერას ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, მიღებულ ელექტრონულ დოკუმენტს შეინახავს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. ამავდროულად კომერციული ბანკი ვალდებულია განახორციელოს ელექტრონულ დოკუმენტზე დროის აღნიშვნის განახლება, დროის აღნიშვნის მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ მომსახურების მიწოდებისას შესრულებული ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის ვადის გასვლამდე.
9. კომერციული ბანკის მიერ დროის აღნიშვნის განახლებისთვის სანდო სერვისის მიმწოდებელთან გაგზავნილი მოთხოვნა უნდა წარმოადგენდეს დოკუმენტზე შესრულებულ ჰეშს. ამ მოთხოვნის პასუხად მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს დოკუმენტის დროის აღნიშვნას.
10. კომერციული ბანკი ვალდებულია განახლოს დროის აღნიშვნა ელექტრონულ დოკუმენტზე, თუ:
  - ა) იწურება დროის აღნიშვნის სერვისის მიმწოდებლის მიერ გამოყენებული ღია გასაღების სერტიფიკატის მოქმედების ვადა (როგორც ზემოთ იყო აღწერილი);
  - ბ) გამოყენებული ჰეშ ფუნქცია ან/და შიფრაციის ალგორითმი (ან/და სხვა ნებისმიერი გამოყენებული ტექნიკური პარამეტრი) კარგავს რეკომენდირებულ ტექნიკური პარამეტრების სტატუსს;
  - გ) იდენტიფიცირებულია კომპრომეტირების შემთხვევა;
  - დ) სხვა შემთხვევაში, თუ ეჭვქვეშ დადგება დოკუმენტის მთლიანობა.

## მუხლი 16. ხელმოწერის შექმნის მონაცემების კონტროლი

1. კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ელექტრონული ხელ-

მოწერის შექმნის მონაცემების, როგორც აპარატურის ასევე პროგრამული უზრუნველყოფის კონტროლი, ისე რომ უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის სანდო და დაცული გარემო.

2. „კონტროლი“ ასევე გულისხმობს ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებული არსებული და მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებას და მართვას.
3. კომერციული ბანკის მიერ, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემების გარდა, სხვა, ნებისმიერი ელექტრონული ხელმოწერის საშუალების გამოყენება საბანკო ოპერაციებში განიხილება როგორც უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევა.
4. კომერციული ბანკის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიური მოდელიდან გამომდინარე, შესაძლებელია კომერციულ ბანკს მოეთხოვოს ეროვნულ ბანკთან ინფორმაციის წარდგენა გამოყენებულ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მონაცემებისასთან დაკავშირებით.
5. კომერციულმა ბანკმა, მის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიური მოდელის გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს ხელმოწერის დაფების ექსპლუატაციიდან ამოღების სქემა, ისე რომ შედგომში არ დაუშვას ამ ხელმოწერის დაფების და მასში ჩაშენებული სერტიფიკატების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენება საბანკო ოპერაციებში.

## მუხლი 17. ღია გასაღების ინფრასტრუქტურის ელემენტები

1. საბანკო სექტორში განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისთვის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფა გულისხმობს ღია გასაღების ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელი ერთეულების მონაწილეობას. კომერციული ბანკი ვალდებულია თითოეულ მათგანთან გააფორმოს ვალდებულება მომსახურების მიღებაზე. ამასთანავე, თითოეული მათგანი ეროვნული ბანკის მიერ მიჩნეულ უნდა იქნეს სანდო სერვისის მიმწოდებლად.
2. ღია გასაღების ინფრასტრუქტურაში მონაწილეობენ:
  - ა) სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი პირი (CA), რომლის მიერ გაცემული სერტიფიკატი გამოიყენება:
    - ა.ა) ბიომეტრიულ მონაცემებზე დაფუძნებული ელექტრონული ხელმოწერის შესასრულებლად;
    - ა.ბ) ელექტრონულ დოკუმენტზე კომერციული ბანკის ელექტრონული შტამისთვის, ე. წ. საკონტროლო ხელმოწერის შესასრულებლად;
    - ბ) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის შემსრულებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისთვის აუცილებელი გასაღების წყვილის გენერირებას და მის მართვას;
  - გ) დროის აღნიშვნის სერვისის მიმწოდებელი (Time-Stamp Authority).
3. რისკების ეფექტურად მართვის მიზნით მიიჩნევა,

რომ კომერციულმა ბანკმა უნდა განახორციელოს ზემოთ ჩამოთვლილი სამი სერვისის მიმწოდებლის დივერსიფიკაცია.

4. საბანკო სექტორში გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიენიჭება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის იდენტური იურიდიული ძალა, თუ ის შესრულებული იქნება, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ, სხვა მოთხოვნებთან ერთად, მოქმედი სერტიფიკატით/სერტიფიკატებით.
5. ზემოთჩამოთვლილი სერვისის მიმწოდებლებთან კომერციული ბანკის ხელშეკრულება უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სერვისის მიწოდებას იმ მოთხოვნების დაცვით, რაც განსაზღვრულია ამ სახელმძღვანელოს დანართის მიხედვით.
6. კომერციული ბანკი აფორმებს ხელშეკრულებას ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის მწარმოებელთან, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სერვისის მიწოდებას მინიმუმ იმ მოთხოვნების დაცვით, რაც განსაზღვრულია ამ სახელმძღვანელოს დანართის მიხედვით.
7. კომერციულმა ბანკმა ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის აღიარებულ და მოთხოვნილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სავალდებულოა ეროვნულ ბანკს წარუდგინოს მწარმოებლის დეკლარაცია ან/და ეროვნული ბანკის მიერ სანდოდ მიჩნეული ორგანოს მიერ გაცემული ტექნიკური შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც უნდა ადასტურებდეს მინიმუმ შემდეგ მოთხოვნებს: დაცულია აპარატურაში/პროგრამულ უზრუნველყოფაში გასაღებების უსაფრთხო შენახვა (secure keys storage) და შეუძლებელია აპარატურიდან მათი ექსპორტირება (იმ შემთხვევაში თუ გასაღებები ჩაშენებულია აპარატურაში).
8. იმ შემთხვევაში თუ გასაღებები წარმოადგენს ბანკის მიერ კონტროლირებული პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილს, ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს და ეროვნულ ბანკს შესათანხმებლად წარუდგინოს „გასაღებების მართვის პოლიტიკა“ (Key Management Policy), რომელიც მომზადებული იქნება საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად:
  - ა) შეუძლებელია ღია ბიომეტრიული მონაცემების მიღება ხელმოწერის მოწყობილობიდან ან/და პროგრამული უზრუნველყოფიდან, რაც ნიშნავს რომ ბიომეტრიული მონაცემები ექსპორტირდება აღნიშნული სისტემებიდან მხოლოდ დაშიფრული სახით და ინტეგრირდება ხელმოსაწერ მონაცემებთან;
  - ბ) დაშიფრული ბიომეტრიული მონაცემები განუყოფლად მიბმულია ხელმოსაწერი დოკუმენტის იდენტიფიკატორთან;
  - გ) დაცულია დოკუმენტის მთლიანობა ხელმოწერის პროცესში, რაც მინიმუმ ნიშნავს, რომ:
    - გ.ა) შეუძლებელია დოკუმენტის ტექსტში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, ისე რომ შენარჩუნებული იყოს ხელმოწერის მთლიანობა, და
    - გ.ბ) ხელმოწერის მოწყობილობაზე შეუძლებელია ნაჩვენები იქნას სხვა, ნებისმიერი ტექსტი გარდა იმ დოკუმენტის სრული ან ნაწილობრივი ტექსტისა, რომელიც წარმოადგენს შეთანხმებული, ხელმოსაწერი დოკუმენტის სრულ ვერსიას და რომელზე

- დ) მოხსნილი ჰეში განიხილება დოკუმენტის იდენტიფიკატორად და მონაწილეობს დოკუმენტის მთლიანობის განსაზღვრაში;
- ე) მწარმოებლისგან შეძენილ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობაში (აპარატურაში ან/და პროგრამულ უზრუნველყოფაში) ნებისმიერი ჩარევა ინვესს წარმოდგენილ ტექნიკურ სერტიფიკატებთან ან/და შეთანხმებულ ტექნიკურ მოდელთან შესაბამისობის დარღვევას;
- ვ) მწარმოებლისგან შეძენილ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა (აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა) უზრუნველყოფს იმ მინიმალური:
  - ვ.ა) heS ფუნქციის (SHA);
  - ვ.ბ) შიფრაციის ალგორითმის;
  - ვ.გ) ღია გასაღების სერტიფიკატის (Public Key Certificates);
- ვ) ტექნიკური მოთხოვნების გამოყენებას, რაც განსაზღვრულია ამ სახელმძღვანელოს დანართით შემდეგი მიზნებისთვის:
  - ვ.ა) ხელმოწერის სერტიფიკატის გამოყენებისთვის;
  - ვ.ბ) დროის აღნიშვნის გამოყენებისთვის;
  - ვ.გ) ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციისთვის;
- ზ) ხელშეკრულებას თან უნდა ერთვოდეს მწარმოებლისგან შეძენილი ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის (აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის) ტექნიკური მოდელის ის დეტალური აღწერა, რომელიც წარდგენილი იყო მესამე მხარესთან ტექნიკური შესაბამისობის სერტიფიკატის მისაღებად;
- თ) ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების სტატიკური და დინამიური მონაცემების ჩამონათვალი და შეძენილი მოწყობილობის მიერ მათი აღების ხარისხი.
9. საბანკო ოპერაციებში გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, კომერციულმა ბანკმა უნდა ითანამშრომლოს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან.
10. კომერციული ბანკი ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის შესაძლებლობის დამადასტურებელი სამხრივი ტესტირების შედეგი, რომელშიც კომერციულ ბანკსა და საექსპერტო ორგანოსთან ერთად ჩართული იქნება „ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის“ ფუნქციის შემსრულებელი ორგანო.

## მუხლი 18. შესაბამისობა აღიარებულ სტანდარტებთან

1. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობა. ამ მიზნით სავალდებულოა უსაფრთხოების პოლიტიკის რეგულარული გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება.
2. კომერციულ ბანკში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია

მოსახლეობის კომერციულ ბანკს საინფორმაციო ტექნოლოგიური (საინფორმაციო სისტემების და პროცესების) აუდიტის ჩატარება დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვის შედეგების მიზნით.

3. ეროვნული ბანკი ითანხმებს კომერციული ბანკის მიერ აუდიტორული კომპანიის შერჩევას, რომელიც კომერციულ ბანკში განხორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ აუდიტს.
4. ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, კომერციული ბანკი ვალდებულია შეიმუშაოს და რეგულარულად განაახლოს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული არსებული და მოსალოდნელი რისკების მართვის პოლიტიკა, ასევე, უზრუნველყოს მისი პრაქტიკაში დანერგვა.

### მუხლი 19. ხელმოწერის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები

1. კომერციული ბანკი ვალდებულია ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებით ხელმოწერის ცნობიერების ამაღლების მიზნით მიიღოს შესაბამისი ზომები (მათ შორის ინფორმირება ელექტრონული დოკუმენტის საიმედოდ დაცვის აუცილებლობის შესახებ), რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებამდე ესმოდეს მისი იურიდიული მნიშვნელობა.
2. ნებისმიერი ელექტრონული დოკუმენტი, რომელზეც გამოყენებული იქნება ელექტრონული ხელმოწერა სავალდებულოა შეიცავდეს ინფორმაციას ელექტრონული დოკუმენტის, როგორც ხელმოწერის პერსონალური მონაცემების მატარებელი საშუალების შესახებ.
3. კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული დოკუმენტის დედნის მომხმარებლისთვის საიმედოდ და დაცული გზით მიწოდების შესაძლებლობა დოკუმენტის შექმნისთანავე.
4. მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, კომერციული ბანკი ვალდებულია მიაწოდოს მას ელექტრონული დოკუმენტის ასლი, რომელიც მომზადებული იქნება „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ კანონი“–ს მოთხოვნების შესაბამისად.
5. კომერციულმა ბანკმა, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით კონკრეტული საბანკო მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს ამ საბანკო მომსახურების მიწოდებისას მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა.
6. კომერციული ბანკი ვალდებულია, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების დაწყებამდე საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში რეგულარულად განაახლოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემი და სერტიფიკატის ძირეული გამცემი (Root CA), ასევე მათი ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი;
  - ბ) ხელმოწერის სერტიფიკატის ვალიდურობის გად-

- გ) ამონების ინსტრუქცია;
- დ) ხელმოწერის სერტიფიკატის ვალიდურობის გადამოწმებისთვის სავალდებულო ვებ-გვერდის მისამართი;
- ე) ხელმოწერის სერტიფიკატის გაუქმების შესახებ ინფორმაციის მოძიებისთვის საკუთარი ვებ-გვერდის მისამართი, ასევე ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემის და სერტიფიკატის ძირეული გამცემის (Root CA) გაუქმებული სერტიფიკატების სიის (ჩერტიფიკატე ლეგოცატიონ List (CRL) ვებ-გვერდის მისამართი.

### მუხლი 20. ხელმოწერის ლეგალური გამოყენება

1. საბანკო სექტორში კონკრეტული საბანკო მომსახურების განწესის გამოყენებულ ელექტრონულ ხელმოწერას მიენიჭება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა, თუ ელექტრონული ხელმოწერა შესრულებული იქნება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კომერციული ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, რაც თავის მხრივ შედგენილი იქნება წინამდებარე მეთოდოლოგიის მოთხოვნების დაცვით.
2. ელექტრონული ხელმოწერა არ ჩაითვლება ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული კომერციული ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად შესრულებულად და განიხილება შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან დარღვევად, თუ:
  - ა) გამოყენებულია ღია გასაღების სერტიფიკატი, რომლის მოქმედების ვადა გასულია ან/და გაუქმებულია CA-ს მიერ;
  - ბ) გამოყენებულია ნებისმიერი ტექნიკური კომპონენტი (SHA, ალგორითმი, პროტოკოლი ან/და სხვა), რომელზეც გამოაშკარავებულია კომპრომეტირების ფაქტი ან/და არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს;
  - გ) შესრულებულია იმ პერიოდში, როცა კომერციულ ბანკს შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უფლება;
  - დ) ეროვნული ბანკი მიიჩნევს რომ შეთანხმებული უსაფრთხოების პოლიტიკის შეუსრულებლობამ განაპირობა ან შეიძლება განაპირობოს ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობის ან/და უცვლელობის დარღვევა.

### მუხლი 21. ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის აღწერილობა

კომერციული ბანკის მიერ მომსახურების განწესისას ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის აღწერილობა განისაზღვრება ამ სახელმძღვანელოს 22–ე–29–ე მუხლების მოთხოვნების შესაბამისად.

### მუხლი 22. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის კრიტერიუმები

იმისათვის რომ კომერციულმა ბანკმა დანერგოს ელექტრონული ხელმოწერა და ამ ფორმით უზრუნველყოს კლიენტების მომსახურება, დანერგილი ელექტრონული ხელმოწერის მეთოდი უნდა აკმაყოფილებდეს და უზ-

რუნველყოფდეს შემდეგ პირობებს:

- ა) მთლიანობა – ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული მონაცემების თავდაპირველ, უცვლელ/დაურღვეველ მდგომარეობაში შენარჩუნების უზრუნველყოფა;
  - ბ) უარყოფის შეუძლებლობა – ელექტრონული ხელმოწერა უნდა წარმოადგენდეს ძლიერ და მყარ მტკიცებულებას იმისა, რომ ხელმოწერის იდენტიფიკაცია მოხდა და შედეგად შეუძლებელია ხელმოწერის მიერ თავისი ხელმოწერის უარყოფა;
  - გ) მომხმარებელთა აუტენტიფიკაცია – მტკიცე რწმუნების უზრუნველყოფა და დადასტურების შესაძლებლობა იმისა, რომ კონკრეტული ხელმოწერი პირი არის ნამდვილად ის პირი, რომლის სახელითაც დოკუმენტს ხელი ეწერება;
  - დ) ატრიბუტების დამატების შესაძლებლობა – ელექტრონული ხელმოწერა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეული ხასიათის ატრიბუტები დაემატოს ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებულ დოკუმენტს, როგორცაა ხელმოწერის დროის აღნიშვნა ხელმოწერილ დოკუმენტზე, რომელიც წარმოადგენს ელექტრონული ხელმოწერის განუყოფელ ნაწილს;
  - ე) ხელმოწერის გამოყენების უწყვეტობა – ელექტრონული ხელმოწერის შექმნისთვის არსებული გარემო უნდა უზრუნველყოფდეს ელექტრონული ხელმოწერის საჭაროდ უსაფრთხოდ გამოყენებას, ისე რომ დაცული იქნეს მონაცემების მთლიანობა და კონფიდენციალობის შენარჩუნების ზომები;
  - ვ) ხელმოწერის დროის განსაზღვრა – ხელმოწერების თანმიმდევრობის დადგენის შესაძლებლობა (დროითი ანალიზის შესაძლებლობა);
  - ზ) დამოუკიდებელი დადასტურება – ხელმოწერის დამოუკიდებლად დადასტურების უნარი ხელმოწერის ფიზიკური თანდასწრების გარეშე, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ხელმოწერის ფაქსიმილიეს არსებობის შემთხვევაში ან/და ელექტრონული ხელმოწერის სანდო და დაცული გარემოს არსებობის პირობებში;
  - თ) ფუნქციონალური თავსებადობა – ელექტრონული ხელმოწერის საინფორმაციო სისტემების გამოყენებისას საჭიროა არსებობდეს პროგრამული თავსებადობა გამოყენებულ სისტემებს შორის;
  - ი) მრავალი ხელმოწერის შესაძლებლობა – ტრანზაქციის ორ ან ორზე მეტ მხარეთა დოკუმენტზე ხელმოწერის შესაძლებლობა;
  - კ) მონაცემთა ტრანსპორტაბელობა – შესაძლებლობა იმისა რომ დაუცველი ქსელის ან/და გარემოს პირობებში თავისუფლად იყოს შესაძლებელი ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტის გაგზავნა და შენახვა;
  - ლ) კომუნიკაციის დაცულობა – კომუნიკაციის ისეთი ფორმა, როცა ინფორმაცია დაცული იქნება არასანქცირებული წვდომისგან, ასევე მასში ან/და მასზე ნებისმიერი არასანქცირებული ცვლილების განხორციელებისგან;
  - მ) საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის ჩარჩო:
- მ.ა) ბანკს უნდა გააჩნდეს საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის ჩარჩო, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის სანდო და დაცული გარემოს უზრუნველყოფას;
- მ.ბ) ელექტრონული ხელმოწერის და დაკავშირებული აპარატების, პროგრამების, პროდუქტების უსაფ-

- რთხობის შეფასება და არსებული მექანიზმების ინვენტარიზაცია და ტესტირება;
- მ.გ) უსაფრთხოების ტესტირება, მათ შორის ანტივირუსული შემოწმებები.
- მ) რისკების მართვა – შემუშავებული და დანერგული იქნეს არსებული და პოტენციური რისკების შეფასებისა და მათი მაქსიმალურად შემცირების ზომები.

### მუხლი 23. ადმინისტრაციული მოთხოვნები

კომერციულ ბანკს, კონკრეტულ საბანკო ოპერაციაზე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შემთხვევაში, ამ საბანკო ოპერაციის შინაარსის, ბანკის ზომისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია დამატებით განესაზღვროს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს დაკმაყოფილების ვალდებულება:

- ა) ბანკს გააჩნდეს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს ელექტრონულ მონაცემთა შენახვის, დაზღვევისა და აღდგენის მექანიზმს;
- ბ) უზრუნველყოფდეს მონაცემთა შენახვის, დაზღვევისა და აღდგენის მექანიზმის ტესტირების თავისივე შიდა პოლიტიკებით განსაზღვრული სქემის შესაბამისად;
- გ) საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს ინფორმაციაზე წვდომის შემდეგი საკონტროლო მექანიზმები:
- დ) საინფორმაციო სისტემების მომხმარებელთა წვდომის ავტორიზაციის სქემა;
- ე) საინფორმაციო სისტემების მომხმარებელთა წვდომის დადგენის შესაძლებლობა;
- ვ) მომხმარებელთა წვდომის მოდიფიკაციის შესაძლებლობა;
- ზ) შიდა/გარე აუდიტი – საინფორმაციო ტექნოლოგიური აუდიტის ჩატარების შესაძლებლობა მათ შორის ელექტრონული ხელმოწერების მთლიანობის, უწყვეტობის და კონფიდენციალურობის ხარისხზე შესაბამისი დასკვნის მიღების მიზნით;
- თ) უსაფრთხოების ინციდენტების მართვის პროცედურები;
- ი) ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიკაცია პროცედურები;
- კ) ინციდენტებზე რეაგირების პროცედურები;
- ლ) ბანკმა ჩაატაროს თანამშრომლების რეგულარული ტრენინგები, ისე რომ უზრუნველყოფილი იქნეს საქმიანობაში ჩართული პერსონალის პროფესიული დონის შესაბამისობა;
- მ) ელექტრონულ ხელმოწერებთან დაკავშირებით მომხმარებელთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

### მუხლი 24. გამოყენებული პროდუქტების ზოგადი მახასიათებლები

უსაფრთხოების პოლიტიკაში ასევე წარმოდგენილი იქნება:

- ა) გამოყენებული პროდუქტებისა და მათი მწარმოებლების ჩამონათვალი;
- ბ) აღნიშნული მწარმოებლების მარეგულირებელი ორგანოების ჩამონათვალი;
- გ) გამოყენებული პროდუქტების ტექნიკური მაჩვენებ-

ბლებსა და უსაფრთხოების ზომების შესაბამისობა მწარმოებლის რეგისტრაციის საკანონმდებლო სივრცეში მოქმედ ან/და აღიარებულ რეგულაციებთან.

## მუხლი 25. გამოყენებული პროდუქტების ფუნქციონალური აღწერა

1. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი პროდუქტები: „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობა“ (Electronic Signature Creation Devices) და ასევე „ელექტრონული ხელმოწერის განაცხადის კომპონენტები“ (Electronic Signature Application Components), რომელთა ფუნქციონალური აღწერა წარმოდგენილი უნდა იქნეს სერტიფიკატის გამცემი ორგანოს მიერ გაცემული „ჩერტიფიცატეს ოფ ცონფირმატიონ“ის ან/და „მწარმოებლის დეკლარაციის“ შესაბამისად.
2. ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის შესაძლო ფორმატიდან გამომდინარე (როდესაც კომერციული ბანკი თავის კლიენტურას ემსახურება CSP-ის პროდუქტის მეშვეობით, კომერციული ბანკის მიერ გამოყენებული პროდუქტების ფუნქციონალური აღწერა, პროდუქტის სპეციფიკაციის შესაბამისად, შესაძლოა განახორციელოს ამ სახელმძღვანელოს 26–ე–29–ე მუხლებსი შესაბამისად შესაბამისად.

## მუხლი 26. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის ფუნქციონალური აღწერა (ESCD)

1. პროდუქტის შემადგენელი კომპონენტები:
  - ა) ტექნიკური კომპონენტები;
  - ბ) პროგრამული კომპონენტები;
  - გ) მომხმარებლის სახელმძღვანელოები (უზრუნველყოფილი იქნეს საქმიანობაში ჩართული პერსონალის მიმართ მათი ადაპტაცია);
  - დ) ფუნქციონალობა და პროდუქტის არქიტექტურა;
2. უსაფრთხოების ფუნქციონალობები:
  - ა) წვდომის კონტროლი;
  - ბ) პაროლით, ტერმინალით ან ჩიპით აუთენტიფიკაცია;
  - გ) მომხმარებლის აუთენტიფიკაცია;
  - დ) მონაცემთა უსაფრთხო გაცვლა;
  - ე) უსაფრთხოების ფუნქციონალის დაცვა;
  - ვ) კრიპტოგრაფიული ფუნქციონალობა;
  - ზ) გამოყენებული ალგორითმებისა და მათთან დაკავშირებული პარამეტრების ჩამონათვალი და დანიშნულება;
3. გამოყენების პირობები:
  - ა) გამოყენების ტექნიკური წინაპირობები;
  - ბ) გამოყენების გარემო;
  - გ) შემოწმების დონისა და უსაფრთხოების მექანიზმების სიმტკიცის დონის საიმედოობის მაჩვენებლები;
4. ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სტანდარტებთან შესაბამისობა:
  - ა) დახურული გასაღების გამოყენება;
  - ბ) დახურული გასაღების არა ავტორიზებული გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველყოფა (გან-

- გ) საკუთრებით ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებისას);
- ბიომეტრიული მონაცემების კონფიდენციალობის შენარჩუნების ზომები (ბიომეტრიული მონაცემები არ უნდა იქნეს შენახული/გადაცემული, გარდა უსაფრთხოების პოლიტიკით გათვალისწინებული შენახვისა/გადაცემისა);
- ღია გასაღების მეშვეობით დახურული გასაღების გამოთვლის შეუძლებლობის უზრუნველყოფა;
- დახურული გასაღების დუბლირების შეუძლებლობის უზრუნველყოფა;
- ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალებიდან დახურული გასაღების ნაკითხვის/დაკოპირების შეუძლებლობა.

## მუხლი 27. ელექტრონული ხელმოწერის განაცხადის კომპონენტები (ESAC)

1. პროდუქტის შემადგენელი კომპონენტები:
  - ა) ტექნიკური კომპონენტები – ძირითადი და დამხმარე მოწყობილობები;
  - ბ) პროგრამული კომპონენტები – პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალი რომელიც გამოიყენება შესაბამისი ოპერაციის შესასრულებლად;
  - გ) მომხმარებლის სახელმძღვანელოები (უზრუნველყოფილი იქნეს საქმიანობაში ჩართული პერსონალის მიერ მათი ადაპტაცია);
  - დ) ფუნქციონალობა და პროდუქტის არქიტექტურა – პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის პრინციპის აღწერა;
  - ე) კომპონენტების არა ავტორიზებული ცვლილებებისაგან დაცვა;
  - ვ) უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება;
2. პოტენციური საფრთხეები:
  - ა) სატელეკომუნიკაციო ქსელებზე შეტევები;
  - ბ) შეტევა მონაცემებზე „ფიზიკური“ არა ავტორიზებული წვდომით;
  - გ) ინსტალაციის, გამოყენებისა და შეკეთებისას შეცდომები/მანიპულაციები;
  - დ) სხვა საფრთხეები (არსებობის შემთხვევაში);
3. უსაფრთხოების დადასტურება გამოყენების გარემოსათვის:
  - ა) რომელი გარემოსთვის არის დაშვებული კომპონენტი: დაუცველი დარემო, დაცული გარემო, იზოლირებული გარემო;
  - ბ) გამოყენების პირობები, რათა კომპონენტმა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული უსაფრთხოების დონე;
  - გ) უსაფრთხო და საიმედო ტექნიკური მომსახურება - ფიზიკური და პროცედურული უსაფრთხოება;
4. ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სტანდარტებთან შესაბამისობა:
  - ა) საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალობის დაცვა და მათი მხოლოდ ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალებებზე შენახვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ბ) ხელმოწერის განხორციელება მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ;
  - გ) ხელმოწერის შექმნის თაობაზე წინასწარ ინფორმაციის მიწოდება - მომხმარებლისათვის ინფორმაციის ბუკლეტის, ვებ გვერდზე გამოქვეყნებით ან სხვა საშუალებით მიწოდება;

- დ) იმ მონაცემების ცალსახად ჩვენება, რომელზეც ხორციელდება ხელმოწერა;
- ე) საჭიროების შემთხვევაში ხელმოწერილი მონაცემების შინაარსის ჩვენება;
- ვ) ხელმოწერის მხოლოდ ერთ ელექტრონულ დოკუმენტზე განხორციელება;
- ზ) ელექტრონულად ხელმოწერილი მონაცემების დეტალიზაცია;
- თ) ხელმოწერილი მონაცემების უცვლელობის უზრუნველყოფა;
- ი) შესაბამისი ხელმოწერის დახურული გასაღების კუთვნილება;
- კ) ხელმოწერის მომენტისათვის სერტიფიკატის ქმედითობა;
- ლ) ელ. ხელმოწერის სისწორის საიმედოდ შემოწმება და შესაბამისად ჩვენება.

### მუხლი 28. სერტიფიკატის გაცემის საშუალებები

სერტიფიკატის გაცემის საშუალებები უნდა უზრუნველყოფდეს:

- ა) დახურული გასაღების გენერირებისა და გადაცემისას მისი უნიკალურობისა და საიდუმლოების დაცვას;

## დანართი N1

### სახელმძღვანელო დოკუმენტები და ტექნიკური კარამეტრები

ამ დანართში წარმოდგენილია ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივის დანერგვასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და სტანდარტების არასრული ჩამონათვალი, რომელიც შესაძლებელია განახლდეს დირექტივის დანერგვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტების, მითითებების, რეკომენდაციების ან/და სტანდარტების განახლების შესაბამისად:

- ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- ბ) საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“;
- გ) საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“;
- დ) ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1999/93/EC დირექტივა; (DIRECTIVE 1999/93/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 13 December 1999 on a Community framework for electronic signatures);
- ე) ელექტრონული ხელმოწერის ევროპის ზედამხედველობის ფორუმი; სამუშაო დოკუმენტი განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებით, 12 ოქტომბერი, 2004 Forum of European Supervisory Authorities for Electronic Signature, Working Paper on Advanced Electronic Signature, October 12, 2004.

- ბ) მხოლოდ ხელმოწერის შექმნის საშუალებებზე დამახსოვრების შესაძლებლობას;
- გ) შესაბამისი სერტიფიკატების ღია გასაღებების საიმედო შენახვა და არა ავტორიზებული ცვლილებებისაგან დაცვას.

### მუხლი 29. ელექტრონული ხელმოწერის შექმნის პროცესის აღწერა

1. პროცესის აღწერა უნდა მოიცავდეს:
  - ა) ელ. ხელმოწერის პროცესში ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების აღწერას;
  - ბ) სუსტი წერტილების ანალიზის, შეტევის პოტენციალის შეფასების და ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის ანალიზის;
  - გ) უსაფრთხოების მექანიზმების სიძლიერის ანალიზის;
2. გამოყენებული ალგორითმები:
  - ა) გასაღებების წყვილის შექმნის, მონაცემების ჰეშირების, ელექტრონული ხელმოწერის შექმნისა და შემოწმების ალგორითმები;
  - ბ) ალგორითმების ვალიდობის კონტროლისა და კომპრომეტაციის შემოწმება.

- ვ) ევროპის ელექტრონული ხელმოწერის სტანდარტიზაციის ინიციატივა (EESSI); საბოლოო ანგარიში, 20 ივლისი 1999;(European Electronic Signature Standardization Initiative (EESSI) Final Report of the EESSI Expert Team 20th July 1999)
- ზ) ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი, ETSI TS 102 778-1 V1.1.1; ელექტრონული ხელმოწერა და ინფრასტრუქტურა (ESI)PDF განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პროფაილი ნაწილი 1: PAdES მიმოხილვა – ჩარჩო სახელმძღვანელო PAdES–თვის (Part 1: PAdES Overview – a framework document for PAdES)
- თ) ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი, ETSITS 102778-2V1.2.1; ელექტრონული ხელმოწერა და ინფრასტრუქტურა (ESI)PDF განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პროფაილი ნაწილი 2: PAdES საბაზისო – პროფაილი დამყარებულია ISO 32000-1 სტანდარტზე (Part 2: PAdES Basic - Profile based on ISO 32000-1)
- ი) ევროპის ტელეკომუნიკაციის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი, ETSITS 102778-4V1.1.1; ელექტრონული ხელმოწერა და ინფრასტრუქტურა (ESI)PDF განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის პროფაილი ნაწილი 4: გრძელ ვადიანი PAdES – PAdES LTV profaili (Part 4: PAdES Long Term – PAdES-LTV Profile)
- კ) ინტერნეტ X.509 ღია გასაღების ინფრასტრუქტურა; დროის აღნიშვნის პროტოკოლი (TSP); RFC 3161; აგვისტო 2001 Internet X.509 Public Key Infrastructure Time-Stamp Protocol (TSP) RFC 3161 August 2001.



## დანართი N2

### საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის ტექნიკური კარამეტრები

საქართველოს საბანკო სექტორში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი დონის უსაფრთხოება და ტექნიკური პარამეტრები:

ღია გასაღების სერტიფიკატის ფორმატი	X.509
გასაღების ტიპი	RSA
გასაღების ზომა	2048 ბიტი
კრიპტოგრაფიული ჰეშ ფუნქცია	SHA-256
დროის აღნიშვნის პროტოკოლი	RFC 3161
ხელმოსაწერი დოკუმენტის ფორმატი	PDF A/ - 1a; PDF A/ - 2a

## დანართი N3

### კონკრეტული საბანკო მომსახურების განვითარების ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების კოლიტივის შესათანხმებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. განცხადება, კონკრეტული საბანკო მომსახურების განვითარების ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის შეთანხმების შესახებ;
2. უსაფრთხოების პოლიტიკა;
3. ხელშეკრულება სერტიფიკატის გამცემ უფლებამოსილი პირთან (CA);
4. ხელშეკრულება ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის გასაღების წყვილის გენერირებისა და მართვის ფუნქციის შემსრულებელ ორგანოსთან;

5. ხელშეკრულება დროის აღნიშვნის მომსახურების გამწვევ (Time-Stamp Service) ორგანოსთან;
6. ხელშეკრულება ელექტრონული ხელმოწერის ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან;
7. ელექტრონულ ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების მართვის პოლიტიკა;
8. გამოყენებული „ელექტრონული ხელმოწერის შექმნის მოწყობილობის“ ტექნიკური შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
9. ელექტრონულ ხელმოწერის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი მოწყობილობის ან/და საინფორმაციო უზრუნველყოფის ტექნიკური შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მწარმოებლის დეკლარაცია;
10. სხვა, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი იქნება ეროვნული ბანკის მიერ.

ISBN 978-9941-0-7693-0



9 789941 076930